ᏣᏓᏅᏍᏗᏱᏍᏆ ᎤᏂᏩᏒᎯᏳ

ᏧᏂᎸᏫᏍᏓᏁᏗᏱ XXIX

ალექსანდრე ყაზბეგი

პირისპირ

III - IV

84 Гр — 4
894. 631 — 31
ქ. 841

სარედაქციო კოლეგია:
რ. თვარაძე
ე. მალრაძე
ა. სულაკაური
გ. ფანჯიკიძე
თ. ჰილაძე
რ. ჯაფარიძე

შემდგენელ-რედაქტორები:
ჯ. ღვინჯილია
ზ. ჯავახაძე

ნაწილი პირველი

მკვდრის ჯიხე

თავის გადარჩენის სურვილი და სიკვდილის ამ საშინელი ადგილიდან (სევასტოპოლიდან) რაც შეიძლება ჩქარა გაქცევის სურვილი ჰბუდობდა ყველას გულში.

ლ. ტოლსტოი

I

1919 წლის გაზაფხულზე თურქებმა ისევ შემოუტიეს საქართველოს და კორნელიმ ომში წასვლა და მიჯნურის წინაშე გმირობის გამოჩენა გადაწყვიტა.

რესტორანში დაწერილ წერილზე ნინოსაგან ჯერაც არ ჰქონდა კორნელის პასუხი მიღებული და იგი ქალაქში მოწყენილი დაეხეტებოდა. ქუჩაზე მიმავალთ როდი ამჩნევდა ჭაბუკი. ფიქრებში წასული მეოცნებე თვალებით გვერდულად სადღაც შორს, უცხო მხრისაკენ იხედებოდა. ასეთი ცქერა გრიგოლ ცაგურიშვილისაგან დასჩემდა. ამ წუთას იგი ვერის დალმართიდან კავკასიონის ქედებს და მყინვარს გასცქეროდა.

გზაზე მეგობარი — გიგა სუციშვილი შემოეყარა. 1918 წელს ისინი ჯარში იყვნენ და პირველი ნათლობა ასპინძის ბრძოლაში მიიღეს. ეს ის დრო იყო, როდესაც თურქეთი ბათუმს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს იკავებდა. ახლა კი — 1919 წელს, ისევ ჯარისკაცის მაზარაში რომ დაინახა გიგამ კორნელი, გაუკვირდა.

— კაცო, შენ კიდევ ჯარში ხარ? ომებს თუ მიჰყევი, ომი ჩვენს ქვეყანას, როგორც ვატყობ, მუდამ ექნება, — გაეხუმრა გიგა.

— მაშ არადა, შინ დავჯდები ცხელ ბუხართან, თურქებმა

ჟი ახალციხე, ახალქალაქი და თუნდ თბილისიც დაიკავონ, რას დავეძებ! მე აგრე რომ არა ვმსჯელობ, ხომ იცი, — ახლა უკვე პატრიოტულ ჰანგებზე მღეროდა კორნელი.

— ვიცი, განა მაგას მოვითხოვ შენგან? მაგრამ ცოდვა ხარ, ბიჭო. ამდენ ომებსა და დავიდარაბაში ხიფათი რამ არ შეგემთხვეს! — გააფრთხილა გიგამ.

— დავრდომილს რაღა ხიფათი უნდა შეემთხვეს, ხოლო ჯანსაღნი თუკი ბრძოლას გაექცნენ, სამშობლო ვინღა დაიცვას?! და მერმე: უხიფათო სიცოცხლე განა არსებობს? — ჰკითხა კორნელიმ.

წინათ, და განსაკუთრებით კი ამ ბოლო ხანს, კორნელი სიკვდილს ისე დაუდევრად ეკიდება, თითქოს არ კი ეშინია მისი, არამედ ეთამაშება კიდეცო.

მისი ასეთი ახირება, სასოწარკვეთილება და კაეშანი ნონოსთან განშორებით და პირადი ზრახვების მიუღწევლობით აიხსნებოდა.

— სიცოცხლე მაინც ტკბილია, — შენიშნა გიგამ.

— ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დადგება წამი, როდესაც იგი შეიგნებს, რომ სიცოცხლე, სიკვდილის მიერ დაგებული ხაფანგი ყოფილა, — მიუგო კორნელიმ.

— ურწმუნო ადამიანი საცოდავია, კორნელი, შენ შემცდარ გზას აღგახარ

— ასე ყოფილა ადამიანი: თუ თვითონ დალუპული არ არის, ხიფათში მყოფს და წყალწაღებულს უნდა მიეშველოს, ხელი გაუწოდოს, — მიუგო კორნელიმ და გრიგოლ ცაგურიშვილივით, ცალგვერდა ცქერით შეხედა. მეგობრის მზამზარეული და სანუგეშოდ თქმული სიტყვების აზრი განა გამოეპარებოდა?

ვერის ხიდზე გავიდნენ.

მთებსა და ვერის ბაღებს მწვანე ფერი დასდებოდათ. მზე ჩადიოდა ცეცხლმოდებულ ღრუბლებში. საამური დაისი იდგა და ჰაერში ნაადრევი გაზაფხულის სიო იგრძნობოდა, ხოლო მთვარესავით მკრთალი მზის სხივები უცნაურად ამუქებდნენ სის კენწეროებს.

— მკვდრის მზე! — თქვა კორნელიმ.

გიგამ ვერ მოითმინა და უთხრა:

— ბიჭო, რადა ხარ ასეთი? შეხედე: განა ქვეყანა, ჩვენი

ნატანჯი და წამებული სამშობლოც კი მშვენიერი არ არის?

— მით უარესი ჩვენთვის, — მიუგო კორნელიმ. — გახსოვს, რა დიდი მწუხარებით ამბობდა ილია სამშობლოს გამო:

მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული?!

რახან დღეს გიგამ გაზაფხულის მოახლოება პირველად იგრძნო, სამშობლოზე დარდმა და კაეშანმა ვერ წაშალა მის გულში ჩასახული აღტაცება და სიხარული. ისევ გაჰხედა მიდამოს. ყორღანოვის ჭუჩისა და ამ ჭუჩის ბოლოს აღმართული ეკლესიის გალავნის ქვემოთ, მთის კალთაზე ალუბლს, ჭერმისა და ატმის აყვავებული ხეები შენიშნა და დაიძახა

— ატამი აყვავებულა!

კორნელი ხიდზე შედგა, აყვავებულ ატმებს შეხედა და გაიღიმა.

მისი თვალებიც თითქოს აყვავდნენო. ახალამოწვერილ ულვაშით დაფენილი ზედა ტუჩი აებზიკა, გაიღიმა და ბავშვივით წამოიძახა:

— მშვენიერია!

გიგას გაუკვირდა კორნელის სახეზე სიხარულისა და აღტაცების ასეთი გაელვება. ბავშვობაში იცოდა კორნელიმ ასეთი გულუბრყვილო და უმწიკვლო ღიმილი, როდესაც ის და მისი ტოლები ხელთოფებს აკეთებდნენ და მერმე გვიმრაში ჩასაფრებულნი ჯოხის წვერზე წამოგებული პანტა ვაშლით ებრძოდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს კორნელი ჯარში ჩაეწერა და მალე ომში წავიდა.

2

როდესაც ნინომ კორნელის ცოლობაზე უარი განუცხადა, დაეშვიდობა და კარები მოხურა, უმალვე მუხლები მოეკვეთა, პალტო გაიხადა, დერეფანში დაჰკიდა და მერმე ოთახს ძლივს მიაღწია. კარადის სარკეში სახეს დააცქერდა. თვალები ისევ სიცხიანსავით ანთებოდნენ, სახეზე ალმური მოსდებოდა და ლოყაზე ყაყაჩოსავით წითელი ლაქები დასჩენოდა. ნი-

ნოს თავისი თავი შეეცოდა, ტუჩები აუცახცახდა, თვალებზე ცრემლი მოადგა და სახე დაელმიჭა. „ყველაფერი გათავდა“, — გაიფიქრა მან. იქვე სავარძელში მოცელილივით ჩავარდა, თვალებზე ხელები აიფარა და უმწეოდ აქვითინდა.

ბოლოს, როცა ტირილით გული იჯერა, თავი ასწია და ფანჯარას გაჰხედა. ფანჯარას ბნელი ღამე მოსწოლოდა და ოთახში გულის შემაღონებელი სიჩუმე დამკვიდრებულიყო. ადგა და დარაბები დახურა. ახლა ციხის ბნელ საკანში გამომწყვდეულივით დარჩა. საშინელი მარტოობა იგრძნო. „ნუთუ კორნელი მატყუებდა, სიყვარულს მეფიცებოდა და, ამავე დროს, გერმანელ ქალში — მარგარიტა ლეტცში მცვლიდა? უნდა გათავდეს ეს სისაძაგლე! დაცინვის უფლებას მე ერავის მივცემ!“ — დაადგინა ნინომ და მყისვე მაყაშვილთა სიამაყე დაუბრუნდა. კორნელისთან დანიშნული პაემანი და გადადგმული ნაბიჯი მოეწონა, მაგრამ მეორე დღეს კორნელის წერილი მიიღო და თავგზა აებნა.

წერილი ისეთი უჩვეულო და უცნაური იყო, რომ შიგ გამოთქმული გრძნობის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ეძნელებოდა. თანაც ფიქრობდა: „ვაითუ დედა, ელო, მიხა და მეგობრები განზრახ ჭორაობენ კორნელის და მე კი ასე სასტიკად მოვეპყარი?!“ დერეფნის კედლის სვეტზე გაკრული კორნელი, მისი აწეწილი თმა, უცნაურად ანთებული თვალები, უკანასკნელი სიტყვები და ხელის შეხება მოაგონდა. კორნელის წინაშე დანაშაული იგრძნო და მონანიების სურვილი დაებადა. მაგრამ კორნელი ფრონტზე ისე გაემგზავრა, რომ ნინომ დანაშაულის მონანიება და წერილზე პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ფრონტზე მიმავალი მებრძოლის ასეთი წერილის უპასუხოდ დატოვება დანაშაულად ჩასთვალა. საწერ მაგიდასთან მივიდა, ყუთიდან წერილი ამოიღო და მეასეჯერ წაიკითხა. თუმცა წაკითხვა რა საჭირო იყო, ზეპირადაც იცოდა. კორნელის წერილი სწორად იყო გამიზნული და, როგორც ამურის ისარი, ნინოს აუცდენლად პირდაპირ გულში მოხვდა. როდესაც იმ ადგილს მიაღწევდა, სადაც ეწერა — ჩემი გადარჩენისა და დაღუპვის სათავეც თქვენს ხელთ არისო, ერთთავად შეშფოთდებოდა. „კორნელი ორი თვე იქნება, რაც უკვე ფრონტზეა და ომში რომ რაიმე უბედურება შეემთხვეს, ბრალი მე დამედება“, — ფიქრობდა იგი. ახლა კორ-

ნელის სურათი აიღო და სათნოებით დააცქერდა. ყველაზე უფრო წერილის ბოლომ დააღონა: „შეუძლებელია ჩვენი ასეთი უსაფუძვლო და უაზრო განშორება: Мы так недавно, так нелепо разошлись.“ ამ რომანსის მოტივიც ნათლად მოაგონდა, თვალზე ცრემლი მოადგა და ინატრა: ნეტავი კორნელი მალე დაბრუნდებოდეს, სულსა და გულში რომ ჩავწვდე, და ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდე ჩემდამი მის გულწრფელობაშიო.

ქალი დაიტანჯა, ჩამოჭკნა. ოდესღაც ვარდისფერ ღაწვებს სანთლის ფერი დაედო. თავბრუ ეხვეოდა და გული მისდიოდა. უნივერსიტეტში და კონსერვატორიაში სიარულს თავი გაანება. სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“ კარგა ხანია 26 მაისის ზეიმის შესახვედრად ემზადებოდა, ნინო კი შინ იჯდა. არავის ნახვა არ სურდა. მშობლების მიერ მოწვეული ექიმების დარიგებასაც არ ასრულებდა და ძირმწარასავით საძაგელ წამლებსაც არ იღებდა. დარჩა ასე ქალი მარტოდმარტო, სნეული და სევდიანი. რას უნდა დაებრუნებია მისთვის ჯანი, ძალა და სიმხნე? ყველაზე უფრო საყვარელი და სათაყვანებელი არსება დაჰკარგა. ცხოვრება მისთვის უაზრო გახდა. აი, როგორი დედობა, ნათესაობა და მეგობრობა გაუწიეს მას ვარდომ, ელომ, მიხამ!.. ესენი იყვნენ, რომ სჭორავდნენ კორნელის, მისდამი სიყვარულზე ნინოს ხელს აღებინებდნენ. 14 იანვარს, როდესაც ვარდო ნინოს წაეკიდა და კორნელი უხეშად მოიხსენია, მისთვის უკვე ნათქვამი ჰქონდა ელოს: კორნელი მარგარიტა ლეტცთან ქეიფობს, დროს ატარებს და ცხოვრობსო. ეს მიხამ უამბო ელოს, ჩვეულებრივი ჩხუბის შემდეგ მომხდარი შერიგების დროს, და თან დაასძინა: აი, ხომ ხედავთ, თქვენ, მაყაშვილები მხოლოდ მე მიწოდებთ გარყვნილს. ნამდვილად კი ყველანი ჩემზე უფრო უარესები ხართ. იცოდეს ღმერთმა, მე ჩემი მეგობარი იმიტომ გავეცი და დავღუპე, რომ შენ, ნინო და საერთოდ მაყაშვილები მიყვარხართ, გაფასებთ და თქვენს ინტერესებს ჩემი მეგობრის ინტერესებზე მაღლა ვაყენებო....

მიხა ცრუობდა. იგი სხვანაირად ანგარიშობდა: თუ მაყაშვილები ჩემზე ცუდი აზრისა არიან, დაე, ჩემს მეგობარზეც ცუდი აზრისა დარჩნენო. გარდა ამისა, ქალების მოყვარულსა და თავდაუჯერელ მხატვარს ნინო მოსწონდა და, რად-

გახაც ქალს კორნელი უყვარდა. მეგობრისადმი შურით გამსჭვალული ჯავრობდა: რატომ ელოს მე არ ვუყვარვარო? მიზანსაც მიაღწია! ნინოს თვალში კორნელი გააშავა. და იჯდა ახლა მარტო თავის ოთახში საწყალი და შეჭვებული ქალი. რა წამს მარგარიტა ლეტიცი მოაგონდებოდა, გული ბოღმით ევსებოდა, სისხლი თავში უვარდებოდა. საშინელ დაცინვას, დამცირებას გრძნობდა და მაშინ მზად იყო, ქვეყანას გაქცეოდა და მტკვარში თავი დაეხრჩო. ხოლო როდესაც კორნელის წერილს წაიკითხავდა, ჭორი ავიწყდებოდა და ისევ კორნელის უჯერებდა. მართლაც დაიტანჯა ქალი. არავინ არ ჰყავდა მრჩეველი და მანუგეშებელი. მხოლოდ ოპერის თეატრის მსახიობი, ვარდოს მეგობარი მომღერალი ქალი — სამარინა უცქეროდა ისევ კედელზე დაკიდებული სურათიდან. ოდნავ ჩასუქებული, ორმოცი წლის ლამაზი ქალი, რომელსაც ყოველივე განცდილი ჰქონდა — სიყვარულიცა და ღალატიც. მაცდური ღიმილით თითქოს ეუბნებოდა: „გამოუცდელი ჭაბუკი მერყევია და ძნელად დასანდობი, ხოლო გამოცდილი მამაკაცი კი — უფრო საშიში, რადგან ვერ გაიგებ, როდის არის იგი გულწრფელი და როდის კიდევ შენიღბული. ერთი სიტყვით, მე რომ მკითხო, მამაკაცები არ არიან ღირსნი ჩვენი სიყვარულისა". ეს სიტყვები არაფერს ეუბნებოდნენ ახლა ნინოს სულსა და გულს. პირიქით, აბრაზებდნენ კიდეც და მან ორჭოფი ღიმილით მაცქერალი მსახიობი ქალის სურათი კედლიდან ჩამოიღო, შეაბრუნა და კარადის უკან შეინახა.

3

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში თურქებმა გენერალ მაყაშვილის ჯარის ნაწილები დაამარცხეს და ზემოთ აღნიშნული ორი მაზრა თითქმის მთლიანად დაიკავეს. მერმე იმ მაზრების დაბრუნებას ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა.

მთელი დღის განმავლობაში ნაბრძოლ იმ ბატარეას, რომელშიაც კორნელი მსახურობდა, ღამით პოზიცია შეაცვლევინეს. ჯარისკაცებმა სამთო ზარბაზნებს ცხენები შეუბეს, დაჭრილ-დახოცილნი ფურგონებზე მოათავსეს და, დაღამდა თუ არა, ტყით ღაფენილ მაღალ მთისაკენ გაეშურნენ.

ბატარეის წინ კაპიტანი ალექსიძე, მისი თანაშემწე — შტაბსკაპიტანი ბერეჟიანი, მეთაურები და მზვერავები მიდიოდნენ.

ბატარეის ქონების გადაზიდვას ფურგონები არ ეყო და მათ დატვირთული ურმები ზლაზვნით მიჰყვებოდნენ.

ჯარისკაცები დიდის ვაი-ვაგლახით მიდიოდნენ უხეიროგზით. ნისლიანი ღამე იყო. მეგზურნი ლატანებზე წამოგებულ ჭრაქებითა და ჩირაღდნებით უშუქებდნენ ბატარეას გზას. ზარბაზნები ორმოებში ვარდებოდნენ, გზაზე დაყრილ ლოდებზე გადაგორება უჭირდათ და ჯარისკაცები შეძახილითა და ყიჟინით აწვებოდნენ.

მარჯვნივ მაღალი მთა იყო აწვდილი, ხოლო მარცხნივ — თვალუწვდენი ნაპრალი იმუქრებოდა. ფრთხილად უნდა ევლო ჯარისკაცს ან ცხენს, ფეხი რომ არ დასცდენოდა და გზიდან ნაპრალში არ გადაჩეხილიყო.

კორნელიმ უზანგების მარყუჟში ფეხები გაუყარა, ბარძაყებში ამოიღო, დავორგლებული საბანი უნაგირზე დააკრა, ზედ დაემხო და მალე ჩაეძინა. აღვირმიშვებული ლურჯა წყლა მიდიოდა: მძინარი ჩემი მხედარი არ გადმოვარდესო, ფრთხილობდა. როცა კორნელის ტანის სიმძიმე მარჯვნივ ან მარცხნივ გადასძლევდა, ცხენი მაშინვე შეჩერდებოდა, დაიბღვიხვინებდა, თავს მოიქცევდა, მხედარს შემოხედავდა და, სანამ იგი უნაგირზე არ გასწორდებოდა, ფეხს არ მოიცვლიდა.

აღმართი გათავდა. ბატარეა მთის ტაფობზე გავიდა. ვაკეზე ჯარისკაცებმა წყვდიადით მოცულ ღამეში მოკიაფე, შორეული ხანძარი დაინახეს.

თურქების მიერ აღებული სოფელი იწოდა უძოწყალოდ.

ცამდე ავარდნილი ცეცხლის ალი ბოროტად იკლაკნებოდა მუნჯსა და ბნელ ღამეში, თითქოს უბედურების მაცნედ მოვლენილაო.

ჯარისკაცთა ძახილი და ყიჟინა ერთბაშად შეწყდა. ახლა ბნელი ღამის სიჩუმეს დაჭრილთა კვნესა, ზარბაზანთა ბორბლების გრიალი და უზანგების ჟღარუნი არღვევდა მხოლოდ.

ხანძარს გვერდი აუქციეს და ისევ აღმართს შეუდგნენ.

იდარა. ცაში ნათელი ჩადგა და რიჟრაჟმაც მოატანა, მაგრამ მერმე ისეთი მურისფერი ნისლი და ჯანღი წამოვიდა, რომ კაცი კაცს ორ ნაბიჯზეც ვერ გაარჩევდა და უკუნეთის-

მაგვარ წყვდიადს ახლა აბრიალებული ჩირაღდნებიც კი ვერ არღვევდნენ.

წვიმის წინწკლები წამოვიდა. ისე გულდაგულ ჟინჟღლავდა და სცრიდა, რომ ასე კოკისპირული წვიმაც კი ვერ დაასველებდა კაცს.

ტყე ერთბაშად გათავდა, ჯარისკაცები ველზე გავიდნენ და ერთ პატარა სოფელთან დაბანაკდნენ.

ზარბაზნებიდან ცხენები გამოუშვეს. საბმური გასჭიმეს. ზარბაზნებთან და ბატარეის ქონებასთან გუშაგები დააყენეს და მერმე, მოშივებულნი, სოფლისაკენ გაეშურნენ.

მიწური სახლის გვერდზე ქალი ძროხას წველავდა სახელდახელოდ.

ეს სოფელი გახიზნული ეგონა კორნელის და შიგ რომ სიცოცხლის ნიშანწყალი შენიშნა, გაუკვირდა. თუმცა სულ მალე დარწმუნდა, თუ რა ყოფაში იყვნენ ამ სოფლის მცხოვრებნი: ყოველი მიწურის წინ ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმები იდგნენ და, გუშინ რომ თურქებს კარჩხალში გაემარჯვათ, მაშინ ამ ურმებსა და სოფლის ხიზნებს ცხრა მთა ექნებოდათ გადავლილი. ახლა კი, კარჩხალში თურქთა დამარცხებისა და ქართული ბატარეის აქ მოსვლის გამო, იმედი მისცემოდათ. ჯარისკაცები სიხარულით მიიღეს და, როგორც ყოველთვის, პურით, ყველით, რძითა და კვერცხით გაუმასპინძლდნენ.

ზაფხულის დამდეგი იყო, მაგრამ ამ ნისლიან დილით მთაში ძლიერ ციოდა. ბატარეის „ბიჭებს“ კოცონები დაენთოთ, ცეცხლს მიფიცხებოდნენ და ტანისამოსს იშრობდნენ. მაზარებსა და ჩექმებზე ორთქლი ასდიოდათ.

კორნელიც კოცონის პირას მიეგდო. ცეცხლს მკერდი მიუშვირა და ჯარისკაცის მუხლზე თავი მისდო. სველი საცვლები ტანზე ცივ ტილოსავით ეკვროდა. უფრო ახლოს მიუჩოჩდა კოცონს. დაღლილსა და დაქანცულ ჯარისკაცებს თვალი მოავლო. საცოდავად მოკრუნჩხული დათა კაჭკაჭიშვილი ბატარეის ფეიერვერკერს — სანდრო ხოტივარს ჩაჰხუტებოდა. იქვე, თბილისიდან ახლახან ჩამოსული გიგა ხუციშვილი იწვა გულაღმა, ყანაში მუშაობით დაღლილი გლეხივით შრომით დაკოჟრებული და ტალახში ამოსვრილი ვეება ხელები მკერდზე დაეწყო. აგერ, კუკური ზარანდია არხეინად გაგორებუ-

ლიყო შავგვრემანი ჯავახელი ვაჟკაცის ლადო მეტრეველის გვერდით. ლადოს კი ბატარეის ჯარისკაცთა ფალავნის — მიტო ჩიკვაიძის განიერ მკერდზე დაედო თავი.

ბრძოლაგადახდილი ჯარისკაცები, რატომღაც, უფრო საყვარელ და ახლობელ მეგობრებად ეჩვენენ კორნელის. ბავშვურის სიმშვიდით და უდარდელობით ეძინათ მათ მშობლიური მესხეთის მთის მაღალ ტაფობზე.

კაპიტანი სანდრო ალექსიძე კი ძილფხიზლობდა. ბატარეისათვის ზრუნვას, მეთვალყურეობას, ბრძანებათა გაცემას, გარჯასა და ჯაფას დაეღალნა. მაზარის ღილები გაეხსნა და საყუმბარე ცარიელ ყუთზე ისე დამჯდარიყო. ხელის გულები ცეცხლზე მიეფიცხებინა და უძილო თვალებით აკვირდებოდა მოხალისე ჯარისკაცებს. კაპიტანს შეეცოდა ისინი:

— როგორ დახოცილებივით სძინავთ, საცოდავებს, — უთხრა მან თავის თანაშემწეს ბერეჟიანს — ქერას, მაღალსა და გამხდარ კაცს.

— ამათი ომი, მართლაც საცოდაობაა, — მიუგო ბერეჟიანმა.

— განა ესენი ცუდი მეომრები იქნებოდნენ, საჭირო მომზადება რომ მიეღოთ? აი, დედასა, — დაიძახა მსოფლიო ომში ნამყოფმა მამაცმა კაპიტანმა. — ერთხელ... — დაიწყო მან მშვიდად ბრძოლის დროს მომხდარი ეპიზოდის მოყოლა, ბატარეის უფროსის და მისი თანაშემწის გვერდით ექიმი იშხნელი, ვეტერინარი ექიმი — ახოვანი ვაჟკაცი ლევან ლევანიძე და „ზელიმხანად“ წოდებული ზემდეგი — სოსო ლაზრიშვილი ისხდნენ.

კორნელი ყურს უგდებდა კაპიტნის ნაამბობს, მერმე კაპიტანი დადუმდა. ტყავის ჩანთიდან წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო. ერთ ადგილას გაეღიმა. კორნელი დააკვირდა. კაპიტანი მწითური, ბრგე ვაჟკაცი იყო, წვერი გაუპარსავი ჰქონდა და თმა სახეზე ჯაგარივით დასდგომოდა. ქარმა დაუბერა, კაპიტანს მაზარა გადაუწია და ფრენჩის მკერდზე წმინდა გიორგის ჯვარი გამოუჩინა. „საოცარი ხალხია ეს ოფიცრები, — გაიფიქრა კორნელიმ, — წლობით სწავლობენ ბრძოლის წესებს, შეიარაღებულ ადამიანთა ხელმძღვანელობას, ადამიანთა ათასობით სოცვასა და ჟლეტას. წლობით ემზადებიან იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცხარე ბრძო-

ლაში, იერიშის დროს, თავი ისახელოს, გაიმარჯვოს ან სა-სიკვდილოდ დაიჭრას და განაგმირონ კიდეც", — ფიქრობდა კორნელი და ისევ აკვირდებოდა კაპიტნის მშვიდსა და წყნარ სახეს. — „ისე არხეინად ზის კაპიტანი ახლა ცეცხლის პირას, ისე მშვიდად კითხულობს წერილს და იღიმება, თითქო ხვალ ან რამდენიმე საათის მერმე სრულიადაც არ ელოდეს არავითარი ხიფათი! ვისგან არის ის წერილი? იქნებ დედამ, ცოლმა ან კაპიტნის გმირობითა და ვაჟკაცობით მოხიბლულმა სატრფომ გამოუგზავნა!" — ფიქრობდა კორნელი და ნინო მოაგონდა, მასაც თავის გამოჩენა და გმირობის ჩადენა მოუნდა, მაგრამ დიდხანს არ გაჰყოლია ამ ფიქრებს, რადგან მალე ძილი მოეკიდა.

კაპიტანთან ზემდეგი სოსო ლაზრიშვილი მივიდა, გლეხები მიუყვანა და შეატყობინა:

— ურმები ღამით ბატარეას ჩამორჩნენ და ლაფსა და ორმოდან ველარ ამოაქვთ.

კაპიტანმა მძინარ ჯარისკაცებს თვალი მოავლო. კორნელის ისევ ძილი ეკიდებოდა და უმწეოდ ლულავდა თვალებს. ხოლო სავალალო ამბავი რომ გაიგონა, მაშინვე დახუჭა თვალები, ეშინოდა: კაპიტანმა ამ ურმების ხევიდან ამოთრევა არ დამავალოსო. როცა ცოტა ხნის მერმე თვალი გაახილა, კაპიტანმა დაუძახა. რაღა ჯანი იყო: წელმოწყვეტილი წამოდგა და უფროსის წინაშე განწირულივით გაჩერდა. კაპიტანმა დაზარება შეატყო და უთხრა:

— მეცოდები, ბიჭო, მაგრამ რა გაეწყობა: შენ ამათზე უფრო ყოჩაღი ხარ. წაიყვანე ეს გლეხები, ხარები გაარეკინე და ლაფში ჩაფლული ურმები საჩქაროდ აქ ამოატანინე. ხომ იცი, იმ ურმებზე ზარბაზნის ვაზნები აწყვია, ხოლო ჩვენ ახლა ყოველი ვაზნა მილიონად გვიღირს. გასწი, თორემ ცოტა ხნის შემდეგ ახალ პოზიციაზე გავალთ და შენ იქ საჭირო იქნები.

— არის! — მიუგო კორნელიმ. თავისი ლურჯა შეკაზმა, ხუთი გლეხი შეარჩია, ხარები ხევისკენ გაარეკინა და მიცემული დავალების შესასრულებლად დაღმართისაკენ გულმოკლული და ამრეზილი გაეშურა.

ისევ ხევისაკენ მიმავალ, ვაი-ვაგლახით ამოვლილი დაღმართის უხეირო გზას დაადგნენ. კორნელიმ უკან მოიხედა:

სოფელი, ბატარეა და კოცონები ხისლეძი იყო გაბევეული და არაფერი არ ჩანდა.

ცეცხლის პირას არხეინად წამოწოლილ მეგობართა მიმართ ახლა შური დაებადა: „რათა, შვილო, რატომ მაინცდამაინც მე ამომიღო ნიშანში კაპიტანმა, განა სხვას ვერ დაავალებდა?!“ — გლეხებს დამუნჯებული მიჰყვებოდა და ფიქრობდა: „ხევიდან ურმების ამოტანა რა გმირობაა!“ ცოტა ხნის მერმე ყველაფერი ნისლში გაეხვია, საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა და კორნელი შეშინდა: „ვაითუ თურქები თავს დაგვესხნენ! ორი ამ გლეხთაგანი მუსულმანები არიან, ქართულს ძლივს ამბობენ. ამ უკაცურ ტყეში ხიფათს არ შემყარონ და არ გამათაონ“.

ხევიდან უჩუმრად მოდიოდა ნისლი და გზას ეფინებოდა. მეგზურებად კორნელიმ ადგილობრივი სოფლის ორი გლეხი გაუშვა, თათრები კი დატოვა. ბოლოს ძახილი შემოესმა.

ტალახში მუხლამდე ჩამდგარი მეურმეები ამაოდ ცდილობდნენ ლაფში ჩაფლული ურმების ამოტანას. ხარები ჭაპანწყვეტაში იყვნენ, მაგრამ ურმებს ადგილიდან ვერ სძრავდნენ. გამწარებული და იმედდაკარგული მეურმეები გამეტებით სცემდნენ საბელში სახრეს. აჭელებული პირუტყვები უღელს აწვებოდნენ, თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ ვერას აწყობდნენ და დამნაშავესავით აბრიალებდნენ შეშინებულსა და ცრემლიან თვალებს.

მეურმეებს მაშინვე აუკრძალა კორნელიმ პირუტყვთა ცემა. მოდუნილი, უღლიანი ხარები ურმებს ჯაჭვითა და თოკებით დაუბეს და ორმოდან ასე ამოათრიეს. ახლა ვაზნებით დატვირთული ათი ურემი მძიმედ მიჩრიალებდა ალმართზე.

მზის სხივებმა ნისლი აჰყარეს მთის მწვერვალებს. ნისლი მთის კალთებიდან დაბლა შიცურავდა და ხევში მიიპარებოდა. როცა მეურმეებმა ალმართი აიარეს, მაღალი მთის სახედიდან, დაბლა ველი გამოჩნდა. ნისლი ველზეც აყრილიყო.

მოულოდნელად ხევიდან შაშხანამ დაიჭექა და ტყვიამ კორნელის ყურთან ზუზუნით გაუარა. კორნელი ცხენიდან ჩამოხტა და სადავე გლეხს მიუგდო.

ურემში შებმული ხარი შეტოკდა. დაფასავით მოშავო სიბზე ნალიანი ფლოქვი უღონოდ დაუცურდა და განაფხაჭი

ზედ ცარცით გავლებულ ხაზივით დარჩა. თითქოს იეროგლიფებისმაგვარი, გამოუცნობი ნიშნები დასწერაო. ხარი მუხლებზე დაეცა, ყბა ლოდს დაჯახა, ქშენა აუვარდა და გასისხლიანებული ენა გადმოაგდო. მერმე ნაღვლიანი თვალები წინ აღმართულ, მოშიშვლებულ მთის საძოვრებს მოავლო და უმწეოდ დაიბღავლა, თითქოს ამ ალიონზე მზის ამოსვლას შეევედრაო. მაგრამ მალე მთელის ტანით აკანკალდა, მუხლები მოეკეცა და დედამიწაზე რუმბივით დაგორდა.

ტყვიამ ისევ ახლოს გაიზუზუნა. ერთი ურმის ბორბალს მიერჭო. შეშინებულმა გლეხებმა ურმები და პირუტყვი მიატოვეს და გაიქცნენ. აყლაყუდამ კორნელის ლურჯაზე დააპირა შეჯდომა, მაგრამ ცხენი არ დანებდა. კორნელიმ დასჭყივლა, შაშხანით დაემუქრა და ყველანი უკანვე გამოაბრუნა. მკვდარი ხარი მეურმეებს უღლიდან გამოაშვებინა და გზის პირას დააგდებინა, ხოლო მარჭაფად მყოლი, მეორე ხარი, უღელში შეაბმევინა. მერმე შაშხანით შეიარაღებული ქართველი გლეხი ქარავანს გააყოლა. თანაც სოფლისაკენ აჩქარებით სვლა და მომხდარი შემთხვევის კაპიტნისათვის შეტყობინება უბრძანა.

ქარავანი აღმართს შეუდგა. ბოლოში მიმავალი ურემი მოსახვევს რომ მიუახლოვდა, აყლაყუდა შავწვერა გლეხმა კორნელის ბოროტად შემოჰხედა და მისი შაშხანა შეათვალიერა. შიშისაგან გამოლენჩებულ სახეზე მიწისფერი დასდებოდა. ამ დროს ისევ სროლა შემოესმა და ოთხად მოიკეცა. მერმე, აღმართზე მიმავალ, წელში გაწყვეტილ ხარს სახრე გამეტებით გადაუჭირა და რქაზე გადაუტყდა.

— მხდალო, ჯაბანო! — მიაძახა კორნელიმ და ის მეურმეც რატომღაც შეეხიზღა.

ამ გარემოებამ ბრძოლისათვის წააქეზა და, როცა ქარავანი მოსახვევს მოეფარა, ლურჯა ხეზე მიაბა, თვითონ კი გზის პირას, ერთ დიდ მუხის ქვეშ ჩასაფრდა.

ხევისაკენ ცქერა დაიწყო. ხევში ბატარა მდინარე მიდიოდა, ნაპირის გასწვრივ ტირიფები ჩარაზმულიყვნენ. მალე ტირიფებთან ათიოდე უცხო ჯარისკაცი შენიშნა კორნელიმ. ასკერებად შეიცნო ისინი. ხიდან ხისაკენ გადარბოდნენ. კორნელის გულისფრიალი აუვარდა. უნებლიეთ შაშხანას ჩაელებულ ხელს დახედა. გაუკვირდა: ხელი საშინლად უკანკა-

ლებდა და ზედ მკვდრისფერი დასდებოდა. „მხდალო, ჯაბანო“, — შეუწყრა ახლა საკუთარ თავს. ისე გაიქცნენ ასკერები ტყისაკენ, რომ ვერც ერთი მათგანის ნიშანში ამოღება ვერ მოასწრო. მდინარიდან ნაპირზე ასკერი ამოვიდა. ჯერ ბეკზე შაშხანა შემოსდო, მერმე ხელისგულებით დაებჯინა და ახე ამოცოცდა. ტირიფების ხეივანი ფრთხილად გაიარა, შაშხანა მოიმარჯვა და მინდორში განმარტოებით მდგარ ვერხვთან შეჩერდა. მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი იყო. ვერხვის ტანს მიეყრდნო და შაშხანა მთისაკენ გამართა. „ალმართზე მომავალ ჩვენს ქარავანს თუ მოჰკრა თვალი!“ — გაიფიქრა კორნელიმ. ასკერი უთუოდ მოუფიქრებლად მოიქცა: ვერხვის თეთრ ტანზე მისი თავი დახატულივით ჩანდა: ნიშანში ამოღება ადვილი იყო. ასკერის თავი კორნელიმ შაშხანის საბიზნოზე სწორად დასვა, მაგრამ მტერმა მოასწრო ურმებისაკენ გასროლა და შეირხა. თავი სამიზნოს ასცდა, ასკერმა ცარიელი ვაზნა ამოაგდო, ახალი გაგზავნა ლულაში და შაშხანა ისევ გამართა. მეორედ ამოიღო კორნელიმ ნიშანში ასკერის თავი. იქნებ მანძილი მატყუებსო, — გაიფიქრა და სამიზნო დააყენა. კარგად იცოდა, მთაში ადამიანის თვალი მანძილს შეგრძნებაში რომ ტყუვდებოდა. თითქო ჯიბრზე, მარცხენა მხრიდან ქარმაც დაუბერა და კორნელიმ შაშხანა ოდნავ მარცხნივ მისწია. მაგრამ ამდენ მზადებაში ხელმეორედ დააგვიანდა და ასკერმა ისევ მოასწრო გასროლა. კორნელი ბრაზისაგან გაიგუდა, ასკერმა შაშხანა ხელში აიღო, კონდახით მიწაზე დაუშვა, მეორე ხელი ვერხვის ტანს მოჰხვია, თითქო მისი თეთრი ტანი მოეწონა და ეალერსებაო. მერმე თავი წაიგრძელა, გაირინდა და უცხო ბიბამოს თვალი მოავლო. ახლა კორნელი იმრიგად აღარ ღელავდა. სწრაფად ამოიღო ნიშანში ასკერის თავი, ნელა, თანაბარი დაწოლით დაუშვა სასხლეტი.

რა მოხდა? თითქო მიწა იძრაო წამიერ და გაქცეული ვერხვი ასკერს ხელიდან გაუსხლტა. არა მარტო ვერხვი: ტყე და მდინარე, მთა და ველი, მთელი დედამიწა, ყველაფერი თითქო გაექცა ასკერს, ჯარასავით დაუტრიალდა ფეხქვეშ. ცას ხანძარი წაეკიდა და თითქო ცა და მიწაც აუფეთქდაო. გადასახტომად მომზადებული, ფეხის წვერებზე შემდგარი ასკერი საოცრად შეტოკდა, ზვიადად შეტორტმანდა, ჰაერში

აილეწა, დატრიალდა და მერმე მოცელილივით მოსწყდა დაბ
დედამიწას პირქვე დაემხო. ყოველივე ეს ერთ წამში მოხდაა.

„საკვირველება მჭირს: რაგინდ ხიფათში არ უნდა ვიყოო,
თუნდაც სიკვდილის პირას მისული, ჩემი გონება მაინც ყველ-
ლაფერს ამჩნევს, სინჯავს და სწონის“, — გაიფიქრა კორნე-
ლიმ და მოაგონდა, რომ იმ საშინელ წუთს, როდესაც ასკე-
რი ფეხის წვერებზე შედგა, თავმოკვეთილივით დაბარბაცდა,
ხელები უცნაურად გაშალა და გაასავსავა, — მას გაელიმა: „რო
იყო ეს, — გაუკვირდა კორნელის, — განა იმ წუთას გაღ
ბა შეიძლებოდა? იქნებ მტრის მოკვლამ გამახარა. ან იქნებ
იმ ასკერის უცნაურმა მოძრაობამ, როკვამ გამაცინა, არ ვი
ცი!“

ამ ფიქრის მერმე კორნელიმ პირველად შენიშნა, რო
მის ირგვლივ საოცარი სიჩუმე დამკვიდრებულიყო და შეშინ
და. ჭურდულად იცქირებოდა საფარიდან. სიჩუმეს დაბლო
ხევში მიმავალი მდინარის ხმაური არღვევდა მხოლოდ. ეს
ხმაური რაღაც საიდუმლოებით მოსავდა მის ნაპირას ჩარაზ
მულსა და ტოტებდაშვებულ ტირიფებს, თეთრტანიან მაღალ
ვერხვსა და მის ქვეშ მინდორზე დაგდებულ ასკერის უძრაო
გვამს. მინდვრის პირას, კორნელისაკენ მომავალი, ტყით და
ფენილი მთის კალთა იწყებოდა. ცასა და მიწაზე და იმ კალთ
თაზე დაფენილ ტყეშიც ისეთი მძაფრი სიჩუმე, სიმშვიდე დ
მყუდროება გამეფებულიყო, როგორც წვიმა-ავდრისა და ქუხ
ხილის წინ დამკვიდრდება ხოლმე.

კორნელი შიშმა აიტანა და, მუხის ძირას გატრუნულს
ასეთი ფიქრი ეწვია: „ვინ იცის, იქნებ მოკლული ასკერის
ამხანაგები ტყიდან ხედავდნენ ყველაფერს. ამ მუხიდან გასს
როლა გაიგონეს და ახლა მთის კალთაზე ტყე-ტყე მოდიანან
მოკლული მეგობრის სისხლი რომ აიღონ! სისხლი აიღონ“, —
გაიმეორა კორნელიმ და ტანში გააჟრჟოლა. მერმე ისევ გაჯა
ნაგრძო ფიქრი: „აქ დავრჩე და, ერთი ათს შევებრძოლო
რა ანგარიში და ჭკუაა? ჩვენი ბატარეა, ალბათ, ახალ პო
ციაზე გავიდა, მე მეორე ზარბაზნის უფროსი ვარ და ამი
ტომ იქ უნდა ვიყო“, — გაქცევის გასამართლებელ მიზეზ
ეძებდა კორნელი. რა წამს ეს გაიფიქრა, თავისი ლურჯა შო
აგონდა. ლურჯამ ჭკვიანი თვალებით შეხედა, სიპი შეიკრ
და მთელის ტანით ჩაიხვიხვინა. თითქო გულისთქმას მიუხვ

დდა. კორნელიმ დატუქსა. მერმე, თოფნაკრავივით წამოიჭრა, ცხენს მოახტა და კარჩხალისაკენ გაჰკურცხლა. თანაც ზარდაკეთული უკან იხედებოდა, მდევრებისა ეშინოდა.

გზაზე ქართველი მებრძოლები გადარბოდნენ და მთის კალთაზე დაფენილ ტყეს ეფარებოდნენ. მოსახვევში კორნელის ასკერებმა დაინახეს და ტყვიები დაუყარეს. თითქოს ეს იყო ნიშანიო: მთის კალთაზე და ხევში, მთელი ფრონტის გვაჯვრივ. თოფის სროლა ატყდა. ცოტა ხნის მერმე მთაში ქუყანამფრქვეველიც აჭახჭახდა ჯოჯოხეთის საზარელ და უცხო ფერინველივით.

ბრძოლა დაიწყო.

კორნელი მთის ტაფობზე ავიდა. სწორედ იქ, სადაც ამ ღელით ბატარეა დაბანაკდა. მაგრამ ტაფობზე და სოფელშიც აარავინ არ დაუხვდა.

უზანგებზე აიმართა და არემარეს გადახედა.

„სად წავიდა ბატარეა, საითკენ ავიღო გზა?" — გაიფიქრა მან და მყისვე ხევის პირას, მახლობელ სერზე ზარბაზნებმა დაიქუხეს.

კორნელიმ ლურჯა შეატრიალა და იქითკენ მიუშვა.

ნაშუადღევის ოთხ საათზე ბრძოლა დასრულდა. თურქებმა უკუიქცნენ და ქართველებმა მისდიეს. ბატარეამაც წინ წაიწია. სწორედ იმ პატარა მდინარის ტირიფებისა და ვერხვის ახლოს დაბანაკდა, რომლის ქვეშაც კორნელიმ ასკერი მმოჭკლა.

4

როცა მზე გადიხარა, კორნელიმ მეგობრები მოკლული ასკერის სანახავად წაიყვანა.

მდინარის ტირიფიან ნაპირს დაჰყვნენ და ტყის ახლოს, მწირლორწე განმარტოებით მდგარ ვერხვისაკენ გაწიეს.

სიპრანი კალაპოტი შეეყარათ. ზედ ჩექმები უცურდებოდათ. ჩქერებმა ჯარისკაცები კინაღამ არ წაიღეს. ზემდეგ ასოცო ლაზრიშვილი, სანდრო, კუკური და გოგა ნაპირზე გადავიდნენ, კორნელი დინჯად მიაბიჯებდა და ვერხვს რომ მიუჯახლოვდა, მძაფრი გულის ძგერა აუვარდა.

ვერხვის ქვეშ, მაღალი და მწვანე ბალახით დაფენილ მინა-

დორზე, პირქვეჩამხობილი ასკერის გვამი ეგდო. ცალი ფეხი მოჰკეცოდა. ხელები გაეშალა და მოკრუნჩხული თითებით ბალახი ისე ჩაებღუჯა, გეგონებოდათ დედამიწას ჩაჰკვრიაო...

სანდრო ხოტივარმა კარაბინი აიღო და გასინჯა:

— მშვენივრად მოვლილი კარაბინია, — თქვა მან.

კორნელი მუხლებზე დაეშვა და ასკერის შეშუპებული თავი დაათვალიერა. ყურის ძირში ასკერს ნატყვიარი ნაჭდევი ებივით აჩნდა. ზედ სისხლი შეჰხმობოდა. იქითა მხარეც არ გაუგლეჯია ტყვიას, ისე სუფთად გასულიყო.

— კარგად გიმუშავნია, — შეუქო გასროლა სოსო ლაზრიშვილმა. — ამაოდ დაგცინე მაშინ, ბრიგადის საწყობთან ღამით გუშაგობის დროს ძაღლი რომ მოჰკალი!

კორნელიმ ის ადგილი დაანახვა, საიდანაც ასკერს ესროლა. სოსოს გაუკვირდა:

— ყოჩაღ, ასეთი შორი მანძილიდან ნიშანში ჩინებულად ამოგიღია.

გიგა ხუციშვილმა ასკერის გვამი გადმოაბრუნა. ასკერი ახოვანი ვაჟკაცი იყო. წვივებზე გერმანული ჰამაშები ეხვია და ტანზე გერმანულივე ჭურთუკი ემოსა — ხაკისფერი დაა გასისხლიანებული. ზურგზე ტყავის ჩანთა ეკიდა და ამიტომ ზედ გულაღმა დაწოლილს მაღალი მკერდი ამობურცვოდა, თავი კი დედამიწისაკენ გადავარდნოდა. ხშირი, გეზად გაშლილი წარბები ტალახში ამოსვროდა. უწვერულს, ულვაშებიის ღინღლზე ეტყობოდა, ჭაბუკი რომ იყო. მისი ჭუდი იქვეე ბალახებში ეგდო. გიშერივით შავსა და ხუჭუჭ თმას ქარი უნიავებდა. მაღალი შუბლი ჰქონდა და არაბსავით შავი, მზეზე გატრუსული ლამაზი სახე. მწერებმისეული სქელი ბაგეები გახსნოდა და იქიდან თეთრი კბილები გამოკრთოდნენ. უსიცოცხლო, სიკვდილის სუნთქვით დაორთქლილი, ოდნავ ჭახელილი თვალები უჩანდა, იქედნურად მაცქერალი და ტანჯვით სავსე.

— გალიპოლიის მსროლელი ლეგიონის ჯარისკაცია, — დაიძახა ომში ნათრევმა სოსო ლაზრიშვილმა.

— საიდან სად მოსულა! — ჩაილაპარაკა კორნელიმ და რატომღაც ინგლისელი მხატვარი — ალმა თადემა და მისი სურათი მოაგონდა: „უკანასკნელი ეგვიპტური დასჯა“, რომელშიც ფარაონის პირმშოს დაღუპვაა გამოხატული. დედას

მკვდარი შვილი კალთაში ჩაუსვენებია. დედის კალთიდან გადავარდნილი თავი ჯერ უწვერული ლამაზი ჭაბუკისა იქვე ჩამჯდარ ქალს მუხლებზე უძევს. ფარაონის სიყრმის შვილის ოდნავ გახელილი თვალები, გაპობილი სქელი ბაგეები, თეთრი კბილების კრთომა და შავგვრემან ლამაზ სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა, — ყოველივე ეს მაშინვე მოაგონა ჭაბუკი ასკერის სახემ კორნელის, ხოლო აქ არსად ჩანდა სფრინქსივით დადუმებული დედის მგლოვიარე სახე, ცრემლიან მის თვალთა მისტიკური ჭვრეტა და არ ისმოდა ეგვიპტურ საკრავთა უცნაური და კაეშნით სავსე ჰანგი.

— იქნებ ესეც ჩვენებრ სტუდენტი იყო, ვინ იცის! — თქვა ფიქრში წასულმა კორნელიმ. ჭაბუკ ასკერს თვალი მოარიდა და მდინარისაკენ გაიხედა.

გოგა ხუციშვილმა გაჩხრიკა და ასკერს საბუთები ვერ უპოვა.

მზე მთის იქით ჩადიოდა. მთის თავზე ქოჩორივით დამდგარ ხეთა კენწეროებში ალისფერი ცის დასავალი ილანდებოდა, მუნჯი და გატრუნული. ხევში მავალი მდინარე მთიანსა და ტყით დაფენილ არემარეს ხმაურით აღვიძებდა. მდინარის ნაპირთან თმაგაშლილი, მოტირალი ქალებივით ჩარაზმული ტირიფის ტოტები ზანტად ირხეოდნენ მზის შუქითა და სხივებით გაისრულ საამო ჰაერში, ხოლო კენწეროზე შემომჯდარი გულჭრელა ჩიტი გულდაგულ უსტვენდა მხიარულსა და უცნაურ ჰანგზე. მასთან მეორე ჩიტი მიფრინდა. ისინი ჟივილით მიეგებნენ ერთმანეთს. პატარები და ჩია ტანის ჩიტები იყვნენ, მესკია, სკვინჩის ოდენები, მაგრამ სულ სხვაგვარნი: წითელ-ყვითელი ფერის ჯუბოსანნი და კორნელის შეეცოდა მშვენიერი, გულგრილი ბუნების წინაშე მკვდარი ჭაბუკი.

— წაიღე, კორნელი, შენი ნაალაფევი! — უთხრა სანდრომ და ასკერის კარაბინი გადასცა.

წამოსვლის წინ კორნელიმ ისევ დაჰხედა ასკერს. იგი უძრავად იწვა, თითქო მშვიდად სძინავსო.

„გრიგოლ ცაგურიშვილიც ასე იწვა ჯავახეთში, ასპინძასთან დაჭრილი და თურქების მიერ განგმირული...“ — გაიფიქრა კორნელიმ და მაშინვე მრისხანედ დაიძახა:

— გრიგოლის სანაცვლო იყოს, ბიჭებო!

— აბინ! — შესძახეს მეგობრებმა.

ჯოფები გადაიკიდეს და ბატარეისაკენ წავიდნენ.

მდინარეს რომ მიაღწიეს, უკან მოიხედეს. ღრუბლიან დასავლეთიდან გამოსროლილი, ძალაგამოლეული მზის სხივები ვერხვის კენწეროს და ტყეს მკრთალად და რაღაც უცნაურად აშუქებდნენ, თითქო მზე კი არა, მთვარე ანათებსო.

— მკვდრის მზე, — უთხრა კორნელიმ მეგობრებს.

სოსო, სანდრო და კუკური ვერხვის კენწეროს განცვიფრებული მიაშტერდნენ, ხოლო გიგამ ისევ წყენით შენიშნა კორნელის:

— კაცო, რადა ხარ ასეთი!

მალე ომი გათავდა და ალექსიძის ბატარეაც თბილისში ჩამოვიდა.

ნაომარ და დაღლილ კორნელის დასვენება არ დასცალდა. იგი და მისი მეგობრები სატანვარჯიშო საზოგადოების გამგეობამ — „შევარდენმა" გამოიძახა. ათი დღის განმავლობაში იგი დღედაღამ სასპორტო დარბაზში დადიოდა და სტადიონზე გამოსასვლელად ემზადებოდა. ამ და კიდევ სხვა საბაბით ჯარიდან თავი გაითავისუფლა.

ვაკეში

საქართველოს მთავრობა აღფრთოვანებულია სურვილით იშუშაოს ინგლისთან შეხმატკბილებულად...

დოკუმენტებიდან

I

ოცდაექვსი მაისიც გათენდა, — საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადების წლისთავი. ყოფილი სასულიერო სემინარიის ახლოს, ვაკეში, ხალხმა და ჯარმა დილიდანვე იწყო დენა. მთავრობა ცდილობდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ელჩებისათვის და მათი ჯარების სარდლობისათვის სახალხო ზეიმი და სამხედრო ძლიერება ეჩვენებინა, რათა უცხოელი ელჩები და გათავხედებული გენერლები დაერწმუნებინა, რომ საქართველო ანგარიშვასაწევი სახელმწიფოა და არა

უსუსური და უილაჯო პატარა ქვეყანა. მაგრამ ამ დღეს საკვირველი და ყოველგვარ წესრიგს მოკლებული ზეიმი გამოვიდა. დილით ჯარის აღლუმი არ ყოფილა. მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე შესდგა ხანმოკლე საზეიმო სხდომა, სადაც ჟორდანიამ დიპლომატიური კორპუსისათვის მიჩნეულ ლოჟებში მახდომი უცხო ქვეყნების ელჩების და გენერლების გულის მოსაგებად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სიტყვა წარმოთქვა.

ერთადერთი მშვენება ამ დღისა სატანვარჯიშო საზოგადოების — „შევარდნის" გამოსვლა იყო.

კორნელი „შევარდენში" დილით ადრე მივიდა. მოვარჯიშენი. რკინიგზის სადგურის ახლოს, სასპორტო შენობის ეზოში შეგროვილიყვნენ. ახოვანმა, მაღალმა, შავგვრემანმა და ლამაზმა ვაჟკაცმა — შევარდნის მშვენებამ, დოცენტმა გიორგი ნიკოლაძემ გაუღიმა. თვთრი კბილების რკალი გამოაჩინა და ბოხი ხმით ჩაგუგუნა:

— ძილის გუდა ყოფილხარ, ჩემო ძმაო!

კორნელიმ ხელი ჩამოართვა და გაოცებით შეხედა: თითქო პირველად ხედავსო. ომში მოკლული ასკვრი მოაგონდა. გიორგი რუსეთიდან ჩამოსულა. პეტერბურგის ქარხნის ინჟინერი იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ჩერნიშევსკის მეგობრის, ნიკო ნიკოლაძის შვილი. დიდად განათლებული, ზნეობით სავსე და ემწყინებელი ადამიანი. მოვარჯიშენი კორნელის გარს შემოერტყნენ. ყველანი. ჩეხი სპორტსმენების მსგავსად, ლამაზ ტანსამოსში იყვნენ გამოწყობილნი. მესტებივით მსუბუქი და ფეხზე მოკვრილი წუღები. თეთრი მაიკები და ლურჯი შარვლები ეცვათ, რომელთა სათავეებიშავ, წითელ და თეთრ ზოლებიან სარტყელს წარმოადგენდნენ. ჭაბუკებს თავზე შევარდნის ფრთით შემკული თუშური ქუდები ეხურათ. ქალებიც ამრიგად იყვნენ გამოწყობილნი. ხოლო გრძელი შარვლის ნაცვლად. მოკლე ბანდურა შარვლები ეცვათ. კორნელის მაშინვე მოაგონდა. ყარსმერეთში ასეთნაირად გამოწყობილ ნინოს რომ ავარჯიშებდა ორძელზე და იონამ დასცინა; მაგრამ ქალებში ნინოს ძებნა არ დაუწყია. ნინო „შევარდენში" რომ არ დადიოდა და უქვეიფოდ იყო, კარგად იცოდა. ისიც იცოდა, თუ რისთვის იყო უქვეიფოდ. საშინლად სწუხდა. ნინოსგან წერილს პასუხს და მასთან

შეხვედრას მოუთმენლად ელოდა. თუმცა, წერილზე პასუხს რომ მიიღებდა და შეხვდებოდა, ამაში რატომღაც, დარწმუნებული იყო.

„შევარდნის“ უფროსმა — ბრინჯაოს ქანდაკების მსგავსად ტანამართულმა და კუნთმაგარმა შუახნის კაცმა — გურგენმა გამყივანი ხმით დაიძახა: დადექითო! იგი გამოჩენილი ჩეხი სპორტსმენების ღირსეული მოწაფე, პრაღაში შევარდენთა მსოფლიო შეჯიბრების მონაწილე იყო, სადაც პირველი ხარისხის ჯილდო მიაკუთვნეს. ეს ცისფერთვალება და ქერა კაცი მართლაც ჩეხსა ჰგავდა, ჩეხურ კილოზე ლაპარაკობდა, ჩეხური სატანვარჯიშო საზოგადოების, — „შევარდნის“ ტრადიციები ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და თბილისელი თავისი ბარტყები ჩინებულად ჰყავდა გაწვრთნილი და დაფრენილი.

შვიდი წელი იყო, რაც კორნელი მისი უშუალო ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ახლა კორნელი მწურთნელთა ჯგუფში იყო. მალე ვარჯიშობის მასწავლებელი გახდებოდა და მერმე კი — თვითონვე დაზრდიდა და დააფრენდა „შევარდნის“ ბარტყებს.

მწურთნელთა ჯგუფი ოცდაოთხი კაცისაგან შესდგებოდა, ხოლო საზოგადოებას ათასამდე წევრი ჰყავდა: თხუთმეტი წლიდან — ორმოც წლამდე. თვითონ გურგენი ორმოცი წლის კაცი იქნებოდა.

„შევარდნის“ მოვარჯიშეთა შორის ძმური განწყობილება სუფევდა და ერთმანეთს „ძმებს“ უწოდებდნენ. ავკაცობა და უზნეობა, შურღლი და თაღლითობა იძრახებოდა და არც შეიძლებოდა მათ შორის ყოფილიყო. „შევარდენი“ კეთილშობილებას, ძმობას, ვაჟკაცობას, ამტანობას და მხნეობას უნერგავდა და უვითარებდა ადამიანს, ხოლო ეს თვისებანი ყველაზე უფრო ჭარბად თვითონ გურგენში ცნაურდებოდნენ. გურგენთან ერთად გამგეობაში სხვა ცნობილი სპორტსმენებიც იყვნენ, რომელთაც, ჩეხურის ნაცვლად, ქართული ტერმინოლოგია შეიმუშავეს.

ჯგუფებად დაყოფილი მოვარჯიშენი მწკრივში ჩადგნენ. ყველაზე წინ ახოვანი ვაჟკაცები დაირაზმნენ: გიორგი ნიკოლაძე, დათა ჯავრიშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, მიტო ჩიკვაიძე, კუკური ზარანდია, სანდრო ხოტივარი, კორნელი და

სხვები. ეს მწურთნელთა ჯგუფი იყო, მერმე ჩვეულებრივი მოვარჯიშენი და ბოლოს — ქალები იდგნენ. ორკესტრმა მარში დაუკრა და სპორტსმენები ქუჩაში გამოვიდნენ.

მზიანი და ნათელი დღე იყო. ცა — მოწმენდილი, სუფთა და მუქ-ლურჯი.

დილით გრილოდა, მაგრამ მერმე მზემ დააჭირა და მოვარჯიშეებს შიშველი მკერდი, ზურგი და მკლავები დაუწვა. რუსთაველის პროსპექტზე ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ლეგიონი და მერმე არტილერია შეეყარათ. ხალიჩებით, ყვავილებითა და დროშებით მორთულ აივნებზე გამოსული მოქალაქენი ჯარსა და სპორტსმენებს გასცქეროდნენ. უნივერსიტეტამდე დაუსვენებლივ მივიდნენ მოვარჯიშენი. აქ კი, ეზოში წყალს მისცვივდნენ, შესვეს, სახეზე შეისხეს, ჭადრების ჩრდილქვეშ წამოწვნენ და დაისვენეს. მზით დამწვარ და გატრუსულ სახეზე ოფლი ჩამოსდიოდათ და ცხვირსახოცით იწმენდდნენ. ბოლოს გურგენმა ისევ დაიძახა: დადექითო! სპორტსმენების წინ ისევ მწურთნელები დადგნენ და მერმე ყველანი სტადიონისაკენ გაემართნენ.

სტადიონისაკენ ზღვა ხალხი მიედინებოდა. ზოგი ფეხით, ზოგი ორთვალით და ზოგიც კიდევ — ეტლით, საბარგო და მსუბუქი მანქანებით. სასულიერო სემინარიის ახლოს, მარცხნივ მთის ძირას გაშლილ ველზე, უამრავი ხალხი და ჯარი შეგროვილიყო. სტადიონის ირგვლივ თოკი იყო გაბმული და მილიციელები და სახალხო გვარდიელები წესრიგს იცავდნენ. ამფითეატრივით დაქანებულ მთის კალთებზე ჯარი და ხალხი იდგა და ზოგიც პირდაპირ მიწაზე დამჯდარიყო. გზის პირას, მთავრობისა და უცხოელი სტუმრებისათვის, ბრეზენტის დიდი ფარდულები — კარვები დაედგათ. იქვე, ტოტებითა და ხალიჩებით სახელდახელოდ გადახურულ და მოჩარდახებულ ფანჩატურებში ფულის მოგების მოყვარული მედუქნენი და მეწვრილმანენი წყალს, ნაყინს, ლუდს, ხილსა და საჭმელს ჰყიდიდნენ.

შევარდნელებმა გზიდან გადაუხვიეს, სტადიონის სავარჯიშო მოედანზე გავიდნენ და იქ, ერთ კუთხეში დაბანაკდნენ. მათთან მეგობრები და ნაცნობები მივიდნენ — პეტრე ცხომელიძე (მკერდზე დაკიდებული დაჭრილი ხელით), გივა ხუციშვილი, მიხა მაჭავარიანი.., სავარჯიშო იარაღები: გურზე-

ბი, შურდულები, კიბეები, რგოლები, ხარიხები, ტაიჭები, ღერძები და ორძელები უკვე მოეტანათ და ისინი „შევარდნის“ ხელმძღვანელებმა — გურგენმა, გიორგიმ და დათამ დაათვალიერეს.

2

სტადიონისაკენ მომავალ გზაზე უცხოდ ჩაცმული მხედრები გამოჩნდნენ. ისინი ჩაქურებში იყვნენ გამოწყობილნი. სირმიანი, შავი ხაverდის ჭურთუკები, ბანდული შარვლები ეცვათ. წელზე ბროწეულის ყვავილისფერი აბრეშუმის შარფები მოეხვიათ და მისი ფოჩიანი ბოლოები გვერდზე მარჯუჯად გაესკვნათ. თავები წითელი ჩაბალახებით წაეკრათ. მოწინავე რაზმის მერმე, ჯიშიანი ცხენებით შებმული, ღია და ფაროო ეტლი — ქართველი მრეწველის — ხოშტარიასეული ლანდო გამოჩნდა. შიგ ფრაკში გამოწყობილი ცილინდროსანი პირები ისხდნენ და კორნელის მსახიობები ეგონა. ლანდოს უკან მანქანები მოდიოდნენ. მანქანებში საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილი, უცხო სახელმწიფოთა ელჩები, გენერლები და სამხედრო პირები ისხდნენ. ლანდოს და მანქანებს, წინ და უკან, კოხტა ცხენებზე მჯდარნი, ჩაქურიანი მხედრები მოსდევდნენ და კორნელი მალე დარწმუნდა, რომ ლანდოში მჯდარი ცილინდროსნები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე — ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი იყვნენ.

უცნაური კორტეჟი სტადიონს მიუახლოვდა. ჯარი საალლუმო წესისამებრ დადგა და ორკესტრმა მარში დაუკრა. მთავრობის წევრები და უცხოელი სტუმრები ლანდოდან და მანქანებიდან ჩამოვიდნენ და კარვების წინ გაჩერდნენ. ტრიბუნის ერთ მხარეს მთავრობის თავმჯდომარე — ნოე ჟორდანია, მისი მინისტრები და სხვა თანამდებობის პირნი და მოღვაწენი იდგნენ. ბოლოს კი ქართველი ჯარების სარდლები — გენერალი კვინიტაძე, ოდიშელიძე, გაბაშვილი, მაზნიაშვილი, სუმბათაშვილი... მეორე მხარეს უცხო სახელმწიფოთა ელჩები ასულიყვნენ. ყველაზე წინ ბრიტანეთის ელჩი — ოლივერ უორდროპი იდგა, მერმე — საფრანგეთისა და იტალი-

ისა. ამათ გვერდით დადგებენ — ინგლისელი ჯარების საოფიცრო ამიერკავკასიასა და საქართველოში — გენერალი კორი, უოკერი, ბიჩი, პოლკოვნიკი სანდერსი, ბელე, კაპიტანი ხენტი, თარჯიმანი მელიქოვი, მაჭავარიანი, ინგლისელი გენერლების ადიუტანტები, მრჩეველნი და მხლებლები, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ჯუღელი და ზოგიერთი ქართველი გენერალი ამჟამად ფრონტზე იყვნენ: ზოგი — ახალციხისა და ზოგიც კიდევ — სოჭისა.

ჟორდანიამ მხრები აიჩეჩა, უცხო ქვეყნის ელჩებს, ინგლისელ გენერლებს გაწკეპრებული თვალებით მიაშტერდა, ფეხები დააბაკუნა და თავი ჩაჰკიდა. მენშევიკების ჭალარა ბელადი შესამჩნევად ღელავდა. რაღაც უხერხულობას გრძნობდა, თითქო მოედანზე თავშეყრილი ხალხის რცხვენია და თვალს ვერ უსწორებსო. ევროპელ მინისტრისათვის მიჩნეული ეს წოწოლიკა და უცნაური ჭუდი — ცილინდრი საჩქაროდ მოიხადა, ხალხი და ჯარი განცვიფრებით მისჩერებოდა ცილინდროსან მინისტრებს და საზეიმო მუნდირებში გამოწყობილ ინგლისელ გენერლებს.

ინგლისელი ელჩი და ოფიცრები ჩრდილოეთის ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ: ცივ, აუღელვებელნი, ბნგარიშიანი და თავდაჭერილნი. მათი ყურადღება, უმთავრესად, ქართულ ჯარს მიეპყრო. დინჯად, ქანდაკებასავით უძრავნი, მძაფრად გამოკვეთილი სახით გასცქეროდნენ ჯარს; ქართველი ოფიცრების და ჯარისკაცების ნაკლსა და ღირსებას აკვირდებოდნენ, აწონ-წონებდნენ და სწონიდნენ. მათ აღმოსავლეთის და ბზიის მრავალი ქვეყანა ჰქონდათ მოვლილი, ახლა სირია-მესოპოტამიდან ირანი გადმოლახეს, ამიერკავკასიას მოადგნენ და ბზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში თავისი ჯარებით ჩაბობრძანდნენ. მათი მიზანი იყო ამიერკავკასია, რანი და ავღანისტანი — ინდოეთისაკენ მიმავალი ეს გზა — გერმანელებს, თურქებს და ბოლშევიკებს ხელში არ ჩავარდნოდათ. მართლაც, მაშინდელი ინგლისის დიპლომატია იქითკენ იყო მიმართული, რომ ირანი და თურქესტანი გაეერთიანებინა და მერმე მთელი ცენტრალური ბზია და ავღანისტანიც ხელთ ეკდო. ასეთი მისია ჰქონდათ დაკისრებული ინგლისის ჯარების სარდალს — ჯერ გენერალ ტომსონს, მერმე კი — გენერალ კორს. კორი ბრაზობდა, რომ ამ მისიის შესრულებას

აგვიანებდა და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებით და ლაყბობით ძვირფას დროს ჰკარგავდა. ამიტომ იყო, ბანკეტებზე, რაუტებზე და ზეიმებზე რომ იშვიათად ცხადდებოდა. ახლა კი ისევ დინჯად, მოკუმული ბაგეებით და კუშტი სახით გასცქეროდა ქართულ ჯარსა და მოედანზე თავშეყრილ ხალხს.

ჟორდანია და მისი მინისტრები კი სამხრეთელნი იყვნენ — აჩქარებულნი, თავდაუჭერელნი და უანგარიშონი. მინისტრები ვერ ისვენებდნენ და ერთმანეთს ყურში რაღაცას უჩურჩულებდნენ, თითქო ქართველთათვის უჩვეულო ქუდებით — ცილინდრებით გამოჩენისა რცხვენოდათ. ახლა კი ველარ დამალა ხალხმა თავისი გაკვირვება და აქა-იქ, მოქალაქეთა შორის, სიცილი გაისმა.

— ერთი შეხედეთ, რასა ჰგვანან, — დაიძახა კორნელის ზურგს უკან ვიღაცამ მიამიტად. მეორემ მიუგო:

— სად არის მკვდარი კატა, რომ იმ ცილინდრებში ვდრუბლო!

ორივემ გადაიხარხარა. თითქოს ეს იყო წიშანიო, სიცილი ხალხსაც გადაედო, განსაკუთრებით კი ყმაწვილებსა და ჭაბუკებს. ზოგმა მათგანმა პირში თითები ჩაიყო და დაუსტვინა..

— რას ჰგავს ეს, ამხანაგებო? ბაზარში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? — დატუქსეს ხალხი. სახალხო გვარდიელებმა.. მილიციელები ავარულად მასტვენალ ყმაწვილებს გამოუდგნენ.: ჟორდანიამ ხარხარი და სტვენა გაიგონა, მობრუნდა, მინისტრებს შეხედა და მაშინვე მიხვდა, ხალხი რომ მას, მისი მინისტრების ცილინდრს დასცინოდა. მხრები ისევ აიჩეჩა, ფეხები დააბაკუნა, დარცხვენით ჩაჰკიდა თავი და გაიფიქრა:: „ღმერთმა დასწყევლოს ესტატე მაყაშვილი და ძმანი მათნი.. ეს ისინი ჩაგვაცივდნენ: ცილინდრები და ფრაკები ჩაიცვით,, ევროპელები ტანისამოსს, თავდაჭერას და ცერემონიებს დიდად აფასებენო. თითქოს არ ვიცოდე ეგ ამბავი! მადლობაა ღმერთს, ევროპასა და ინგლისში მიცხოვრია, მაგრამ მე პირადად მას ვერ ვეთვისები“.

ჟორდანიამ უცხოელ სტუმრებს თვალი შეასწრო, — ხომ არ დაგვცინიანო, — მაგრამ ინგლისელი გენერლები ისევე დინჯად, კუშტი სახეებით იდგნენ, ორკესტრს უსმენდნენ და ეტყობოდათ — ქართველი მინისტრების ფრაკები და ცილინდ-

რები მათ არ გაჰკვირვებიათ და არც სტევნა-ხარხარისათვის მიუქცევიათ ყურადღება.

— მგონი გადავრჩით, ბიჭებო! ინგლისელები ჩვენი მინისტრების პროვინციულ იერს, მათ სასაცილო ჩაცმულობას და ცილინდრებს ყურადღებას არ აქცევენ, არ უკვირთ და არც დასცინიან, — სერიოზულად წარმოსთქვა მინისტრების მაგიერ დარცხვენილმა, გაწითლებულმა, ფრანტობის მოყვარულმა სანდრომ.

გაბმულ თოკზე მიწოლილმა გიგა ხუციშვილმა მიუგო:

— აი, შენ კი მამიკვდი! რად უნდა გაუკვირდეთ ან დასცინონ! განა მათ სამშობლოში, ომის დროს და ახლაც, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციისა და დემოკრატიულ ძალთა კავშირის გათიშვის მიზნით, წვრილბურჟუაზიული და დაბალი წრიდან გამოსული ასეთი მინისტრები არ მომრავლდნენ! გუშინ ისინი თავისი უბრალო წარმოშობით იკვეხნიდნენ, დღეს კი ფრაკებში და ცილინდრებში გამოპრანჭულნი, მეფის ლაქიების როლში გამოდიან!

— მაგალითად? — ჰკითხა სანდრო ხოტივარმა.

— მაგალითად, რამზეი მაკდონალდი.

— განა ის ლორდი არ არის?

— არაფერიც არ გცოდნია.

— შენ კი საიდან იცი ყველაფერი?

— იკითხე წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და შენც გეცოდინება, — მიუგო გიგამ და დაიწყო: — მუშათა პარტიის ყოფილი ბელადი, მაკდონალდი ოდესღაც ღარიბი პროვინციული მოხელე იყო. იგი ირლანდიის მეთევზეთა ახალშენიდან ლონდონში ბედის საძიებლად ჩავიდა. ახლა ლეიბორისტ მინისტრ გენდერსონთან ერთად შველის ინგლისის მთავრობას რუსეთში რევოლუციური ხანძრის ჩაქრობაში.

— ავიღოთ აგრეთვე მინისტრი ჯემს ტომასი, — ჩაერია საუბარში მიტო ჩიქვაიძე, — ტომასი რკინიგზელი ზეინკლის შვილია. წარსულში თვითონვე ცეცხლფარეში ვახლდათ. ამაოდ კი არ უწოდებენ მას ოქროსკანჯობით „ორთქლმავლების გენერალს“. ახლა კი იგი ლორდს ბერნგჰემს მეგობრობს და მთავარი პოლიციელის როლს ასრულებს გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლაში.

— შენ თვითონ ზეინკლის შვილი ხარ და, ალბათ, იმი-

ტომაც შეისწავლე ასე ზედმიწევნით ტომასის ბიოგრაფია, — გაიცინა სანდრომ.

მიტოს ზურგს უკან ქურდივით განაბული კაცი სმენად იქცა. ტრიბუნისაკენ დაიწყო ცქერა, თითქო მიტოს ყურს არ უგდებსო. ნამდვილად კი ლელვის ფოთლისოდენა ყურები დაეცქვიტა და ცდილობდა არც ერთი სიტყვა არ გამოპარვოდა.

— დიახ, ისიც, რომლის შესახებ მიტო ამბობდა, არტურ გენდერსონიც ყოფილი მუშაა, — შენიშნა გიორგი ნიკოლაძემ.

— ახლა კი მუშების დაუძინებელი მტერია, — დაამთავრა მიტო ჩიკვაიძემ და მის ზურგს უკან ატუზულ გამხდარ კაცს უეცრად მოჰხედა. ჯაშუშს მკვდრის ფერი დაედო, თვალები დაახამხამა და ისევ ტრიბუნას გაჰხედა. — ჩვენ დაგვავიწყდა კიდევ ფინანსთა მინისტრი ფილიპ სნოუდენი, — გაიგრძო მიტომ, — ყოფილი უბრალო მოხელე, ამჟამად კი დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერი.

მიტოს ზურგს უკან ატუზული ჯუჯა, გამხდარი კაცი ფეხის წვერებზე შედგა, თავი გველის წიწილივით წაიგრძელა, გაასავსავა, რომ მიტოს ნათქვამი უკეთ მოესმინა.

— ინგლისელ გენერლებს სრულიადაც არ აინტერესებთ ჩვენი მინისტრების ჩაცმულობა, გარეგნობა და თავდაჭერა. ინგლისელებს სურთ იცოდნენ, თუ რა საკვებლობის მოტანა შეუძლიათ მათ ბრიტანეთისათვის. ამ გენერლებმა ძალიან კარგად იციან, რომ ასეთი ყალიბის და ჯურის მინისტრებს შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ ბრიტანეთის იმპერიას. იქ — ინგლისში, ამ გენერლების სამშობლოში, მუშათა კლასისადმი ღალატის პოლიტიკამ მაკდონალდი, ტომასი, ჰენდერსონი, სნოუდენი და სხვანი ბრიტანეთის იმპერიალიზმის დაუცხრომელ დამცველებად აქცია. ყველა ისინი ინგლისის მთავრობის ინტრიგებისა და მაქინაციების ერთგული გამტარებელნი არიან. მსოფლიოში რევოლუციური ტალღის აღმავლობა თუ დაეცა, მათ მაშინვე თავიდან მოიშორებენ.

მიტომ უეცრად მოჰხედა მის ზურგს უკან ატუზულ კაცს და თვალებით გააპო.

როცა ჯაშუში ხალხში გაიპარა და მიიმალა, მიტო ჩიკვაიძემ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— შემრიგებლობას და მუშათა კლასის გამცემლობას თა-

ვისი კანონი გააჩნია. იმ კაწოწებმა ქართული ბეხძევიზმის ჰესვეურნიც ქართველი ვაჭრების და თავადების მსახურებად გახადა და თავზე ევროპელი ბურჟუას ცილინდრები დაჰხურა. მაგრამ ინგლისელ გენერლებს, როგორც ხედავთ, ეს არ უკვირთ.

ახლომახლო მდგომი ხალხი და მეგობრები სულგანაბული უსმენდნენ მიტოს.

9

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ, კარლო ჩხეიძემ ხელი ასწია და როცა ორკესტრი გაჩუმდა, საზეიმო მიტინგი გახსნა, ხალხს მიესალმა და სიტყვა მთავრობის თავმჯდომარეს — პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას მისცა.

ჟორდანიამ ცილინდრი ტრიბუნაზე დასდო, მხრები აიჩეჩა, თეთრ წვერზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

— ჰოქალაქენო, მოგილოცავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლისთავს. ჩვენი ქვეყანა, დემოკრატიის თანხმობისა და ერთსულოვნების წყალობით, გადაურჩა ბოლშევიკურ საფრთხეს და ანარქიას. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ღირსეული პასუხი გავეცით და მოვიგერიეთ საქართველოს და ამიერკავკასიის დემოკრატიის მტრები. უპირველეს ყოვლისა — თურქების ურდოები, მერმე — დაშნაკური სომხეთის ჯარების მუხანათური თავდასხმა. ბოლოს — მო... მო.., ხალისეთა ლაშქრის შემოტევა.., (რატომღაც აქ მოიტეხა ენა ჟორდანიამ).

ინგლისელმა ელჩმა და გენერლებმა სახე შეიჭმუხნეს, რადგან ინგლისის ინტერესს სრულიად არ შეადგენდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცალკე რესპუბლიკების დაარსება, არამედ ამიერკავკასიის ერთ მთლიან მარიონეტულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ინგლისის პროექტორატის ქვეშ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციას რუსეთისათვის ინდოეთისაკენ და ახლო აღმოსავლეთისაკენ გზა გადაეღობა. არც დენიკინის ლაშქრის დამარცხება სურდა ინგლისს, რადგან ბოლშევიზმის წინააღმდეგ წამოწყებულ „ჯვაროსნულ ომში" დენიკინის ლაშქარს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. ეგრამ ყოველივე ეს ბევრმა არ იცოდა და ასე ეგონა,

ინგლისელებმა სახე იმიტომ შეიმუხნეს, რომ ჟორდანიამ ბრგვილობამ შეაწუხათო.

— ბოლოს ჩვენ მოვიგერიეთ და დავამარცხეთ, — ი გ— —— გა ძო ჟორდანიამ, — არდაგანიდან ახალციხით ჩვენს ტ ტ ტ ტერ რიაზე შემოჭრილი თურქ-თათრების ურდოები...

უცხოელი სტუმრების გულისმოსაგებად ჟორდანიამ ტანეთი, საფრანგეთი და იტალია შეაქო. ინგლისის პა მენტი, საფრანგეთის რევოლუცია, იტალიელი ჰარი ხსენება და დასძინა:

— მე ბედნიერი ვარ გაცნობოთ თქვენ, რომ ამიერიდან საქართველო მარტო არ არის. ამიერიდან მთელი ევრ დემოკრატია ჩვენს მხარეზეა და, ეჭვს გარეშეა, რომ სსა საქა ველოს თავისი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ს საქ მთელი ევროპის დემოკრატია დაეხმარება. — განსაკუთრებით ინგლისს ჩააცივდა ჟორდანია: — უპირველეს ყოვლისა, ა, დ ბრიტანეთის ხალხი დაეხმარება საქართველოს, ინგლისი — აკვანი დემოკრატიისა და ყოველივე იმისა, რითაც თავი აქვს განათლებულ კაცობრიობას. ინგლისი — ახალი ცხ ბის მო... მოციქული, ცივილიზაციის მეთაური და მებაირაღ რი! (აქაც ენა წაიტეხა ჟორდანიამ. ინგლისელებს კკი გაუბრწყინდათ).

ორკესტრმა ქართული ჰიმნის მერმე ინგლისური ნელი ჰიმნი დაუკრა.

ახლა ინგლისელი გენერლები, სამხედრო წესის გაწორდნენ და გაქვავდნენ. ხელით სალამი აიღეს, და შორეულ ჰორიზონტს მრისხანედ გაჰხედეს, თითქო ზი გამოსულ. ზარბაზნებით დახუნძლულ სამხედრო დრედნოუტებს სჭვრეტენო. როდესაც ჰიმნი დასრულდა, ლისს ელჩმა — ბატონმა ოლივერ უორდროპმა და საჩინარაროდ მა კორმა გაიღიმეს, თეთრი ხელთათმანი გაიძრეს, ა თან მივიდნენ, ხელი მაგრა ჩამოართვეს და მადლობა გ ვიხადეს.

სიტყვებისა და მისალმების მერმე „შევარდნის“ გამ და ფეხბურთი უნდა დაწყებულიყო. მანამდე კი შეს გააცხადეს. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ჯგუფ-ჯგუფად მ ნი დავობდნენ. მათ ჯარისკაცები აყვნენ. როდესაც ინგლ გელი უორდროპი, გენერალი კორი და საქართველოს პრ

დენტი ჟორდანია ღიმილით ერთმანეთს მიესალმნენ, ერთმა შუახნის მუშამ წყენით ჩაილაპარაკა:

— შეხედეთ, ჟორდანია რა დღეშია!

კორნელი გაჭიმულ თოკზე გადახტა და აქვე მდგარ გიგა ხუციშვილთან, მიტო ჩიკვაიძესთან და კუკური ზარანდიასთან მივიდა.

— ჩვენც საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ვზეიმობთ, რაღა! — დაეთანხმა მიტო მუშას.

მიტოს ნათქვამი ჯარისკაცს მოეწონა, კეფა მოიფხანა და წყენით უთხრა:

— რა ზეიმია! — იგი გამხდარი, თვალებჩაღამებული, ჩია კაცი იყო. ციხიდან ახალგამოსულსა ჰგავდა.

გვარდიელმა დატუქსა:

— თვალიც დაგიდგეს, თუ არ მოგწონს!

— ვისთვის ზეიმია და ვისთვის კიდეც — სატირალი, — შენიშნა ჯარისკაცმა.

გვარდიელმა ამრეზით შეხედა და დამცინავი ღიმილით ჰკითხა:

— რა გატირებს, შე მაიმუნო?

ჯარისკაცი აენთო და აღარ დაერიდა:

— ჩვენი ლეგიონი გუშინ ჩამოვიდა ფრონტიდან. შენ კი, ზურვის ვირთაგვავ, მაიმუნს გვიწოდებ?! ღიპს არა ხედავ, რომ დაგდებია და კანში ვეღარ ეტევი! შე პირშავო, სარკე მაინც არა გაქვს, შიგ რომ ჩაიხედო?!

კორნელი და მისი მეგობრები ჯარისკაცს მიემხრნენ.

— მაიმუნი ის არის, ვინც ზურგში რჩება, ვითომდა წესრიგს იცავს, სუქდება და გვარდიაში ყოფნით იკვეხნის, — შენიშნა კორნელიმ გვარდიელს.

— ეს რომ მუშა იყოს, შეგნებული მოქალაქე და არა ბნელეთის მოციქული, ყრუ გლეხი, მაშინ ესეც სახალხო გვარდიაში იქნებოდა, — განუმარტა გვარდიელმა კორნელის.

— გვარდიაში, თორემ მე ვიცი. საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ჩვენზე უკეთ იცავთ, — დასცინა ჯარისკაცმა.

— მაშ ვინ იცავს? იქნებ ბოლშევიკები და მათი არმია — რეაქციის მოციქული, ყრუ გლეხობა? — დაიჩემა გლეხობის გაკილვა გვარდიელმა.

— ვბაძე ძე, როგორ იცავდით თქვენ, შეგნებული სახალხო გვარდიელები ხალხის ინტერესებს კარისმერეთში, — ჩაურთო კორნელიმ.

— თქვენი პოლიტიკისა და ბრძოლის შედეგი აი, ეს არის, რაც დღეს აქ ხდება, — მიუშველა კორნელის ის მუშა, რომელმაც განაცხადა: შეხედეთ, ჟორდანია რა დღეში არისო.

— ამხანაგო, დემაგოგიას თავი გაანებე. დარდი ნუ გაქვს, ბოლშევიკებს ჩვენ კარგად ვიცნობთ, — მიუგო გვარდიელმა.

— შე კაი კაცო, — დაიწყო მიტომ, — ჟორდანია, ამ ოცი წლის განმავლობაში, საქართველოს კულტურული ავტონომიის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა. ახლა — ისტორიულ და ეთნოგრაფიულ პრინციპს იცავს იმისათვის, რომ დაამტკიცოს: რუსეთი თავისი ისტორიული გზით მიდის, საქართველო კიდევ — თავისი საკუთარითო. განა საქართველოს გზაა ეს? გუშინ — გერმანელებთან და თურქებთან, დღეს ინგლისელებთან და დენიკინელებთან ერთად. ხვალ ეშმაკმა იცის, ვისთან?! სად და როგორ დამთავრდება ეს თქვენი დამოუკიდებელი ისტორიული გზა? ამბობენ, რომის პაპს თხოვთ შველასო...

— ბრმა ყოფილხარ, ბიძია! ვერ ხედავ, ახლა რუსეთში რა ანარქია და რეაქცია მძვინვარებს? ასეთ რუსეთთან რა საერთო უნდა ჰქონდეს ნამდვილ სოციალისტს და დემოკრატს? — განრისხდა სახალხო გვარდიელი.

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოთ, რომ ბოლშევიზმი რევოლუცია არის და არა ანარქია. ვითომ ბოლშევიკებზე უკეთესი სოციალისტები და დემოკრატები თქვენა ბრძანდებით? საქმე ის არის, რომ თქვენ, მენშევიკები — ბურჟუაზიულ დემოკრატიას უჭერთ მხარს. ბოლშევიკები კი — პროლეტარულს, — შენიშნა მუშამ.

მიტომ დასკვნა გამოიტანა:

— რა გასაკვირია ამის შემდეგ, ჟორდანია დღეს თუ იმპერიალისტური ქვეყნების გენერლების გვერდით დგას?!

— წადით, დაიკარგეთ აქედან, თორემ აქვე დაგაპატიმრებთ! — იყვირა სახალხო გვარდიელმა, მუშას და მიტოს თვალები დაუბრიალა. იგი მენშევიკი იყო, პარტიული, ჟორდანიას თაყვანისმცემელი, რომელსაც თავისი ბელადის ყოველი მოსაზრება და შეხედულება ურყევ დებულებად, ზეშთაგო-

ნებულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა და უკიჟინოდ იღებდა. ჟორდანია კი, ისეთ მოსაზრებას და შეხედულებას, თუ ის მენშევიკური არ იყო და პირადად მას არ ეკუთვნოდა, ვერ ითმენდა. პარტიის ყოველ წევრს ისე უნდა ეფიქრა, ეაზროვნა და ელაპარაკნა, როგორც მას. მენშევიკურ პარტიაში ასეთი რეჟიმი იყო გამეფებული და ვინც ამ რეჟიმს არ დაემორჩილებოდა, ჟორდანია თავის ავტორიტეტს მიმართავდა, ამხანაგებში ნდობას დაუკარგავდა, ენამწარედ გააკრიტიკებდა, გააშავებდა და პარტიიდან გააძევებდა. ამ ნიადაგზე ჟორდანიას გარშემო მლიქვნელნი, თვალთმაქცნი, მედროვენი და მექთახორები მომრავლდნენ. მან თავისი ფავორიტები გაიჩინა და პარტიაში კამარილია გამეფდა. მენშევიკური პარტიის ყველა უარყოფითი თვისებებით შეპყრობილმა სახალხო გვარდიელმა ჟორდანიას დებულებათა საწინააღმდეგო მოსაზრებანი რომ გაიგონა, საშინლად აღშფოთდა, ვერ აიტანა და იმ მოსაზრებათა ავტორების დაპატიმრება განიზრახა, მაგრამ მეშას და მიტოს ჯარისკაცები გამოესარჩლნენ. შეიქმნა მიწყივ-მოწყევა. ჩხუბი და ალიაქოთი.

ამ დროს ცხენზე მჯდარმა პოლკოვნიკმა ჯიბრ მაყაშვილმ თავის ლეგიონს ჩაუარა და მოჩხუბარ ხალხში ჩარეული ჯარისკაცები რომ დაინახა, იქითკენ წავიდა. ცხენი შეაყენა და ჯარისკაცებს უყვირა:

— რა ამბავშია ხართ? მწკრივიდან რად გამოსულხართ? წადით. დადექით! ლეგიონტენანტო, დასჯეთ ესენი!

— რას გვემართლებით? — წეწუტიეს ჯარისკაცებმა. პოლკოვნიკმა ერთ ჯარისკაცთან ცხენი უხეიროდ მიაგდო და დაჭექსა:

— ხმა ჩაიწყვიტე!

აღელვებულმა ჯარისკაცმა ცხენს აღვირში ხელი წაავლო და ლეგიონის უფროსს უხეშად უთხრა:

— გაიარე!

— ხელი გაუშვი აღვირს, — უყვირა მას პოლკოვნიკმა და მათრახი შემართა. მაშინ ჯარისკაცმა შაშხანა გადმოიღო, მაგრამ მოჭიდავის მსგავსმა, ახოვანმა სახალხო გვარდიელმა მოაწვრო, მაუზერი დაალირა და ჯარისკაცს დაემუქრა.

— შაშხანა დააყენე, თორემ ძალლივით დაგაგდებ! შე პირ-

შავო, აჯანყებას გვიწყობ ამ სახალხო ზეიმის დროს?! წაართვით შაშხანა!

სახალხო გვარდიელები მისცვივდნენ, მაგრამ ჯარისკაცი სადღაც გააპარეს.

პოლკოვნიკი სახტად დარჩა. ერთმა სახალხო გვარდიელმა მის ცხენს აღვირში ხელი წაავლო, მხედარი ჯარიდან გაიყვანა და უთხრა:

— ცოტა ხანს მოშორდით აქაურობას, პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკმა ცხენი აღმართისაკენ წაიყვანა.

ეს შეტაკება და უსიამოვნება ერთ წუთში მოხდა და მთავრობას და უცხოელ სტუმრებს იგი არ შეუმჩნევიათ.

„ჰერი-ჰა, ახლა კი უფრო მეტი ფეხვები გაუდგამთ ბოლშევიკებს ჯარსა და ხალხში. ნეტავი ვიცოდე, მიტო ბოლშევიკია თუ არა?“ — გაიფიქრა სანდრომ და ჰკითხა:

— ბიჭო, შენ ბოლშევიკი ხარ?

— ბოლშევიკიც რომ არ ვიყო, ამ უმსგავსოებას მხარს მაინც არ დავუჭერდი, — მიუგო მიტომ. ტრიბუნიდან ჩამოსულ და კარავთან მოსაუბრე ჟორდანიას, მის მინისტრებს და ინგლისელ გენერლებს გაჰხედა და დასძინა: — ხომ ხედავთ, ჟორდანიამ საქართველო ინგლისელებს მიჰყიდა.

— კაცო, ასე რად აუხირდი ინგლისელებს, — შენიშნა კუკური ზარანდიამ, — შეხედე, რა სახიერი და კულტურული ხალხია!

თეთრ პიჯაკში გამოწყობილმა ქერა და სახეალანძულმა მასწავლებელმა შევარდნელის ტანსაცმელში გამოწყობილ ზარანდიას, სანდროს და კორნელის უთხრა:

— ჭაბუკებო, საქართველო მოწინავე და კულტურული ქვეყანა იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ინგლისს კულტურაზე არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა.

— წარსულში რაც იყო, — შენიშნა კორნელიმ, — მას ნუღარ გამოვეკიდებით. გახსოვთ ილიას ნათქვამი:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.

მერმე ფიქრში წასულმა, გზის პირას გაშლილ კარტოფილს და მთის კალთებს ნაღვლიანად გაჰხედა.

პოლკოვნიკ ჯიბო მაყაშვილს ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა. შერცხვენილი და იხტიბარგატეხილი პოლკოვნიკი ბოლმისაგან გულზე გასივებულიყო და ასე ფიქრობდა: „იმ თავხედ ჯარისკაცს თავი ხმლით რად არ წავაგდებინე? წავაგდებინებდი კიდეც, მაგრამ ასეთი სახალხო ზეიმის დროს, ეს მარტოკა იმ ჯარისკაცის თავის მოჭრა კი არ იქნებოდა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა. სწორედ ამან შემაჩერა. ვინ იყო ნეტავ? ალბათ — ბოლშევიკი. ვაი, სირცხვილო, სირცხვილო! რა ოფიცერი ვარ მე ახლა, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ! როგორ მივიდე ჩემს ლეგიონში?“ — სწუხდა პოლკოვნიკი. ხალხით გაჭედილ მთის კალთაზე ცხენი შეაყენა და ადიუტანტს თავისი თანაშემწე ახმობინა. ცხენს ყურებზე დააშტერდა. არ მოეწონა, ცხენი რომ ყურებს ათამაშებდა, წინა ფეხებს აბაკუნებდა და ცქმუტავდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ცხენი ერთ ადგილას ალარ გაჩერდებოდა. პოლკოვნიკმა აღვირი მოსწია. „დადექ, დაწყნარდი, შე მგლის არჩივო!.. — გაუჯავრდა ცხენს პოლკოვნიკი, — მარჯვნივ რომ დავაბირებ წაყვანას, იგი თავს მარცხნივ მოიღრეცს და ეშმაკებისაკენ მიიწევს, ტრიალებს, ერთ ადგილას არა დგება, ვინ შემომაჩეჩა ეს გაუხედნელი, ურჩ-ცხენი? ეს სამგლე, ვერ დავიოკე. ჯარისკაცს დაეტაკა, ფეხი დაადგა და ჯარისკაცმა იმიტომ მიყვირა: გაიარეთ, რას გვემართლებითო?! რომელი მხედარი მე ვიყავი, ქვეითი ჯარის ოფიცერი ამ ურა-ცხენზე რომ შეკჯექი?! ახია ჩემზე“. — ჯარისკაცს ვერ მოეწია და ცხენს დაუწყო საყვედური პოლკოვნიკმა. მერმე კორნელი მოაგონდა და ეწყინა: „რა უბედურებაა, ის მეტიჩარა რომ ყველგან ეჩრებაო!“ ხალხთან და ჯართან ცხენის მიყვანას ვერ ბედავდა. მამაცი პოლკოვნიკი ყბადაღებულ ცხენს ბრალს სდებდა და ასე ეგონა, ამით შერცხვენა შეუმსუბუქდებოდა. ბოლოს, თანაშემწეც მოვიდა. პოლკოვნიკი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ადიუტანტს მიუგდო და თანაშემწეს უთხრა:

— აქ დამიცადე. მალე დავბრუნდები და სარდლის განკარგულებას შეგატყობინებ. მე ვფიქრობ, ყაზარმაში ჩვენი ლეგიონის წაყვანაზე რომ დათანხმდებოდეს, აჯობებს.

— რა თქმა უნდა. აკი ვამბობდი, მხოლოდ ნამსახური

ჯარისკაცები წავიყვანოთ-მეთქი ზეიმზე. ჩვენ კი მთელი ლეგიონი მოვიყვანეთ. ლეგიონში მეტწილად ახალმოსული ჯარისკაცები არიან და, ღმერთმა იცის, რას გააკეთებენ! — მიუგო თანაშემწემ.

— თავი გამანებე, — შენიშნა პოლკოვნიკმა, — არც ახალმოსული და არც ის თქვენი ნამსახური ჯარისკაცები ვარგიან. ძველი ჯარისკაცი არ იყო ის გარეწარი, შაშხანით რომ დამემუქრა?! — ჩაიქნია ხელი პოლკოვნიკმა და კარვისაკენ გაბრუნდა.

დიდი კარვის უკან, ჩრდილში, სამხედრო და იუსტიციის მინისტრები, ვექილი ესტატე მაყაშვილი, სენატორი დადვაძე, ქართველი ოფიცრები იდგნენ და საუბრობდნენ. პოლკოვნიკმა კარავიდან თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალი კვინიტაძე გამოიხმო და ჩუმად უთხრა:

— ბატონო გენერალო, ჩემს ლეგიონს დილით არაფერი არ უჭამია, ჯარისკაცები დაიქანცნენ. ნება მიბოძეთ, ყაზარმაში წავიყვანო.

თეთრ ჩოხაში გამოწყობილმა, ჩია ტანის, შავწვერა გენერალმა კვინიტაძემ გაკვირვებით შეხედა და მიუგო:

— დედაკაცები და ბალღები არ დაქანცულან და ჯარისკაცებს რა ღმერთი გაუწყრა? — ჯარისკაცები რომ უჭმელნი იყვნენ, ამისათვის გენერალს ყურადღებაც არ მიუქცევია.

პოლკოვნიკი აღარ დაერიდა და პირდაპირ უთხრა:

— ბატონო გენერალო, ჩემს ლეგიონში ბოლშევიკებიც ყოფილან, ცუდად უჭირავთ თავი.

გენერალმა მიიხედ-მოიხედა. პოლკოვნიკი გვერდზე გაიხმო და წყენით უთხრა:

— შე კაი კაცო, თქვენს ლეგიონში თუ ბოლშევიკები და ბარასაიმედო ჯარისკაცები იყვნენ, ეს ადრევე უნდა გცოდნოდათ და დაგეტოვებინათ ისინი იქ, ყაზარმაში, — თითქო გენერალმა არ იცოდა, ჯარში რომ ბოლშევიკები იყვნენ!

გენერლის შენიშვნა არ ესიამოვნა პოლკოვნიკს. ბოლშევიკობა შუბლზე ხომ არ აწერიათ ჯარისკაცებსო, — გაიფიქრა, მაგრამ მორიდებით მიუგო:

— ამდენ ხანს წესიერად ეჭირათ თავი, ვერაფერს ვამჩნევდი, მაგრამ ჟორდანიას სიტყვა რომ მოისმინეს და ინგლისელი გენერლები დაინახეს, გაგიჟდნენ, გვარდიელებს მის-

ცვივდნენ და მთავრობის გინება დაიწყეს. მეშინია, ცუდი რამ არ გააკეთონ...

გენერალი გაფითრდა. პოლკოვნიკს ხელი კინაღამ ტუჩზე არ მიაფარა: გაჩუმდიო. მთავრობის კარავს თვალი მოავლო, მერმე ცალი წარბი აზიდა, პოლკოვნიკს ჩუმად უბრძანა:

— უმალვე დააწყვეთ თქვენი ლეგიონის ჯარისკაცები და ყველანი ყაზარმაში წაიყვანეთ... მოაშორეთ აქაურობას!

— მესმის! — მიუგო პოლკოვნიკმა. ხელით მხედრული სალამი მისცა. ჯარისკაცივით შეტრიალდა და წავიდა.

ესტატე მაყაშვილი გენერალ კვინიტაძესთან მივიდა და ჰკითხა:

— რა უნდოდა ჩემს ძმას?

— ლეგიონზე მელაპარაკებოდა. არ იქნება. კაცო, არ იქნება! ათასჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ბოლშევიკების მოსვენება არ იქნება! ახლა ჯარშიაც შეუგზავნიათ აგენტები. დღეს ისინი აქ არეულობის მოხდენას აპირებდნენ.

— რასა ბრძანებთ? — გაოცდა ესტატე.

— რამიშვილთან არ წამოვცდეთ, — შეეხვეწა გენერალი.

5

მთავრობისათვის მიჩნეულ კარავში გრძელი სუფრა იყო გაშლილი და ირგვლივ თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, ჰალსტუკიანი ოფიცრანტები ტრიალებდნენ. სუფრაზე ბუტერბროდი, ხიზილალა, ზეთხი და კალმახი ეწყო. ლანგრები, ვაზები, მაღალყელიანი პროლის ჭიქები, სურები, ვერცხლის დანა-ჩანგალი და სხვა ძვირფასი ჭურჭელი — მეფის ნაცვლის სასახლიდან ბოეტანათ. მწვანილი, ხილი და ლარნაკებში ჩადგმული თაგულები სუფრას ალამაზებდნენ და ეშხს პმატებდნენ.

საგარეო საქმეთა მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი უცხოელ ელჩებთან, ინგლისელ გენერლებთან მივიდა და ისინი სუფრასთან მიიპატიჟა.

სტუმრებს ქართველი გენერლები და მერმე მაღალი წრის ქალები თაიგულებით გაჰყვნენ.

ჟორდანია და მისი მინისტრები უკვე კარავში იყვნენ და უცხოელ სტუმრებს ღიმილით მიეგებნენ.

ქართველთა სტუმართმოყვარეობა ინგლისელებს, ფრანგებს და იტალიელებს ადრევე ჰქონდათ ნახული და ამიტომ გაშლილი სუფრა და საყინულედან ამოღებული ბროლის გაორთქლილი სურები და შამპანურის ბოთლები არ გაჰკვირვებიათ. ამდენ ხანს ქალაქს გარეთ, მცხუნვარე მზეზე, სუფთა ჰაერზე იდგნენ, მათაც მოშივდათ და მოსწყურდათ. პატივი არ დასჭირვებიათ: პირდაპირ სუფრას მისცვივდნენ, დანაყრდნენ, შამპანური გადაჰკრეს და უცხო ენაზე ლაპარაკს მოჰყვნენ.

გეგეჭკორი ორდენებით მკერდმოჭედილი, მწითურ კაცთან, ინგლისელ სარდალთან — კორთან მივიდა და ღიმილით ჰკითხა:

— ჩვენი რესპუბლიკის მზემ ხომ არ შეგაწუხათ, ბატონო გენერალო?

ვიქტორიას ორდენის კავალერმა, გორდონის მთიელთა პრიგადის გენერალმა არწივივით ბასრი თვალებით გადმოხედა გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრის ორაზროვანი შეკითხვა არ მოეწონა და ამაყად მიუგო:

როგორც მოგეხსენებათ, ბრიტანეთი მრავალი ქვეყნის მპყრობელია. მათ შორის არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც გაცილებით უფრო მხურვალე მზეა, ვიდრე საქართველოში.

გეგეჭკორმა გაუბედავად აჰხედა მაღალ, ტანადსა და მწითურ გენერალს. ჩემი შეკითხვა ხომ არ ეწყინაო, — გაიფიქრა და, ოდიშის თავადთა და აზნაურთა ნაშიერი, ამაყ ბრიტანელ მხედარს შეედავა:

— ინდოეთის, აფრიკისა და უდაბნოთა ტროპიკული ჰზისაგან საქართველოს მთის მზე მაინც დიდად განსხვავდება.

— ინგლისელებისათვის მთა და ბარი, ზღვა და ხმელეთიც ნაცნობია, — ამაყად მიუგო კორმა, ცალი ხელით დოინჯი შემოიდგა, ხოლო მეორეთი შამპანურით სავსე მაღალი ჭიქა აიღო, ნელინელ მოსვა, ცისფერი, ბასრი თვალები შეანათა გეგეჭკორს, თითქოს ეუბნებოდა: მთელი დედამიწა ერთი მთლიანი სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი და მბრძანებელი თვითმპყრობელი კუნძული — დიდი ბრიტანეთი და ბრიტანეთის მკვიდრნი არიანო.

— ბატონო გენერალო, ინგლისელები ახლა ეცნობიან ჩვენს ქვეყანას. თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ საქართვე-

ლო მაინც სხვა ქვეყანაა: რაინდული, კეთილშობილი და სამართლიანი, — არ ეშვებოდა კორს გეგეჭკორი.

„რას ჩააცივდა“, — წყენით გაიფიქრა ჟორდანიამ, მაგრამ კორის მაგივრად ინგლისის ელჩმა უორდროპმა ლმობიერი ღიმილით მიმართა ახლა გეგეჭკორს, რათა ინგლისელი უხეში მხედრის და ქართველი მინისტრის უხერხული პაექრობა შეეწყვიტა:

— საქართველო, მართლაც, ტურფა და იშვიათი ქვეყანაა. ბრიტანეთმა ჩემი დის სახით, დაამტკიცა, რომ იგი პატივსა სცემს საქართველოს ხალხს და მის კულტურას (ინგლისელი ელჩის დამ მარჯორი სკოტ უორდროპმა ინგლისურად გადათარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“). რაც უფრო ვეცნობი მე თქვენს სამშობლოს, მით უფრო მომწონს იგი. თქვენი ქვეყანა, მართლაც მშვენიერია, მაგრამ იგი უფრო კარგი იქნება, დიდ ბრიტანეთს თუ გულწრფელად მიენდობა.

— დაახლოებით ასეთი აზრი გავატარე მე მთავრობის თავმჯდომარესთან, ბატონ პრეზიდენტთან საუბრის დროს, — უთხრა უორდროპს გენერალმა უორკერმა. მერმე ჟორდანიას მიუბრუნდა და შენიშნა: — მთავარია, საქართველოს მთავრობა და ხალხი გვენდოს ჩვენ და დარწმუნდეს იმაში, რომ სადაც არ უნდა ჩნდებოდეს ინგლისის დროშა, იგი თავისუფლებისა, მშვიდობიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის ფრიალებს.

ჟორდანია მაშინვე ამეტყველდა და ინგლისელ გენერალს და საგარეო საქმეთა მინისტრსაც პოდიში მოჰხადა:

— აკი მოგახსენეთ, და ახლაც გიმეორებთ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოებრივი, აგრეთვე პუბლიცისტური, მიმართული იყო ინგლისის სასარგებლოდ. ჩემი სიმპათიები არ შეცვლილა არც ომის დროს და არც ახლა; რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს, მისი მოღვაწეობა და შეხედულებანი, როგორც შეთანხმების სახელმწიფოთა გულწრფელი მომხრესი, არასოდეს არ ყოფილა დაფარული და ყველამ კარგად უწყის.

რამიშვილმა ჟორდანიას სიტყვას კვერი დაჰკრა:

— ამ საკითხში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა, არამცდაარამც! ამაზე მეტყველებენ პრეზიდენტის წიგნები..

ევგენი გეგეჭკორი კი ყოველივე ამას სულგანაბული ისმენდა და მეტისმეტად სიამოვნებდა, რადგან მენშევიკების ბელადი ჩინებულ დახასიათებას აძლევდა თავისთავსა და მას..

— თუ საქართველო მართლა გულწრფელად მომხრე იქნება ინგლისისა, დიდად მოიგებს, — განუცხადა ჟორდანიას, გეგეჭკორმა და რამიშვილს უორდროპმა.

— ჩვენ და მთელი საქართველო მთლიანად, ინგლისთან მჭიდრო კავშირის გზით მივდივართ, — მიუგო გეგეჭკორმა და ჟორდანიას შეხედა, ხომ არ გადავჭარბეშეო, მაგრამ ჟორდანიამ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. წაქეზებულმა მინისტრმა ინგლისისა და საქართველოს კავშირისათვის, დიდის რიხით, სადღეგრძელო წარმოთქვა. მერმე, მოულოდნელად ინგლისელ ელჩს ვაჭრობა დაუწყო:

— საქართველოს არ შეუძლია ძლიერი სახელმწიფოს დახმარების გარეშე გაიაროს ის ძნელი და სახიფათო გზა, რომელიც მას ამჟამად ბედმა არგუნა. ჩვენ დახმარებას ვითხოვთ ინგლისისაგან და გვინდა ვიცოდეთ, რას მოითხოვს იგი ჩვენგან სამაგიეროდ. თქვენ მდიდარი ქვეყანა ხართ, ჩვენ კი — ღარიბი. ჩვენ ფინანსური დახმარება გვეჭირვება.

— თქვენს ქვეყანაში ჩატარებული ნაციონალიზაციის გამო, მოკავშირეთა კაპიტალს არ შეუძლია თქვენ დაგეხმაროთ. — შენიშნა ცუდი ინფორმაციით შეცდომაში შეყვანილმა გენერალმა უორკერმა.

ჟორდანიამ მაშინვე განუმარტა:

— ნაციონალიზაცია არ ვრცელდება სამრეწველო და საქვაჭრო წამოწყებებზე. ეს ჩვენში არ არის.

— ჩვენ არა ვაქვს ამის მტკიცე რწმენა, — ჩაურთო უორდროპმა.

ჟორდანიამ მტკიცედ მიუგო:

— უნდა გქონდეთ. სხვანაირად საქართველო საბჭოების ქვეყანა იქნებოდა და არა დემოკრატიული რესპუბლიკა. მაშ, რისთვის ვებრძვით ჩვენ ბოლშევიკებს?

ინგლისელმა გენერალმა ბიჩმა დრო შეუფრჩია ჟორდანიას და საკითხი პირდაპირ დაუყენა:

— თუ თქვენ ინგლისთან კავშირის ნამდვილად მომხრენი ხართ და ბოლშევიკებს ებრძვით, მაშინ რატომ არ შეიძლება შეუთანხმდეთ და მოელაპარაკოთ გენერალ დენიკინს?..

— გენერალ დენიკინთან მოლაპარაკება ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმიტომ, რომ იგი პრეტენზიებს აცხადებს ოდითგანვე საქართველოს ფარგლებში შემავალ მწვანე-წყალზე — სოჭზე, გაგრაზე და, წარმოიდგინეთ, სოხუმზედაც კი...

— თქვენ ეთუოდ უნდა დაეთმოთ მას თუნდაც სოჭი, — უპასუხა გენერალმა და დაძინა: — მაშინ მთელი ევროპა და ინგლისი დაიჯერებს, რომ თქვენი ქვეყანა მართლა ებრძვის ბოლშევიზმს. თუ თქვენ შეუთანხმდებით მოხალისეთა არმიას, ამით საშუალებას მისცემთ გენერალ დენიკინს მოხსნას დიდი ძალები შავი ზღვის ნაპირებიდან და გადაისროლოს იგი ჩრდილოეთში. მე გეუბნებით ამას, როგორც მეომარი. სხვა არავითარი მოტივები არ ბამოძრავებს. მინდა გაიგო, შეიძლიათ თუ არა ინგლისს რაიმე სარგებლობა მიუტანოთ, და, მაშასადამე, ჩვენც, სამხედრო პირებს, ბოლშევიკებთან ბრძოლაში?

— მე ვფიქრობ, ჩვენი რესპუბლიკა ყველა საშუალებით ებრძვის ბოლშევიკებს...

უორდროპმა ქართველ მინისტრებს დაბნეულობა შეამჩნია და ისევ ჩაერია საუბარში:

— როგორც საქართველოს მეგობარი, მეც ამას გირჩევთ.

— გმადლობთ, — მოწიწებით მიუგო ჟორდანიამ. — ჩვენდამი თქვენს კეთილგანწყობილებაში ადრევე დავრწმუნდით და ახლაც დარწმუნებული ვართ. მაგრამ თუ ჩვენ ასეთ დათმობას და მსხვერპლს გავიღებთ, მაშინ იგი გაღებული უნდა იქნეს დენიკინის მხრითაც.

— რა თქმა უნდა. ამის შესახებ ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ. ვფიქრობ, ყოველივე სასურველად მოგვარდება, — განაცხადა უორდროპმა და ამ საგანზე საუბარი უმალვე შეწყვიტა, რადგან ჟორდანიასთან და ინგლისელ გენერლებთან ჯერ იუსტიციის მინისტრი და ვექილი ესტატე მაყაშვილი მივიდნენ, მერმე კი ჟურნალისტები — ერემო გოდებანიძე, გენადი ქადაგიშვილი და სხვანი. ჟორდანიამ, უკმაყოფილების ნიშნად, მხრები აიჩეჩა და გაიფიქრა: ინგლისელ ელჩთან და

გენერლებთან საქვეყნო საქმეს ვაგვარებთ და ეს მეტიჩრები ჰირში რად გვეჩრებიანო.

უორდროპმა სუფრის ბოლოს ჩხეიძე შენიშნა. ჩხეიძე ლენინგრადელ მოხუც პროფესორს ერისთავს მადლობას უხდიდა ქართულ უნივერსიტეტში მუშაობაზე თანხმობის განცხადებისა და ანტიკური ლიტერატურის კათედრის ჩაბარებისათვის. პროფესორს ცისფერი ბაასრი თვალები ჰქონდა, მძაფრად გამოკვეთილი მოგრძო სახე და ინგლისელსა ჰგავდა. მთავრობის წევრებისა, ინგლისელი ელჩისა და გენერლების საუბრის დროს ჩხეიძე ადგილიდან არ ამდგარა. იქვე ირაკლი წერეთელი იჯდა. იგი მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილ მსახიობ ქალს — გერმანოვას ართობდა და უმასპინძლდებოდა. არც წერეთელს მიუღია მონაწილეობა ინგლისელ ელჩთან და გენერლებთან საუბარში. თითქო ჩხეიძეს და წერეთელს სამშობლოს ბედ-იღბალი არ აინტერესებდათ და რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ სამხატვრო თეატრის მსახიობებივით გასტროლიორები ყოფილიყვნენ.

ახოვანი, მკერდგანიერი და ეშხიანი მსახიობი ქალი გერმანოვა ინაზებოდა და საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ წერეთელს დიდრონ შავ თვალებში ღიმილით შესცქეროდა. კარვის კუთხეში მდგარი ქალები შურით უცქეროდნენ მას და მაშინვე ჭორი დაარხიეს: წერეთელს და გერმანოვას ერთმანეთი უყვართო. ეს ჭორი არ იყო საფუძველს მოკლებული.

ყოველი სპექტაკლის შემდეგ წერეთელი გერმანოვას თაიგულს უგზავნიდა და ვახშმად ეპატიჟებოდა. ძალიან მოეწონდა ამ ნიჭიერი მსახიობი ქალის თამაში. განსაკუთრებით „ძმები კარამაზოვებში“ — გრუშენკას როლის შესრულება.

— თქვენ გრუშენკას ჭეშმარიტი განსახიერება ხართ, — ეუბნებოდა გერმანოვას მისი ნიჭითა და ეშხით მოჯადოებული წერეთელი გულითადი ხმით და ახლა თვითონვე ჰგავდა მაცდურ გრუშენკას ბადეში გახვეულ მორცხვ, გამოუცდელ, მწირსა და უნებისყოფო ჭაბუკ ალიოშა კარამაზოვს. გერმანოვა გრძნობდა ამას და ისიც გრუშენკასაებრ ურცხვად ხარხარებდა.

მთავრობის წევრები და სტუმრები, შევარდნების ვარჯიშობის საცქერლად, კარავიდან გამოვიდნენ და მათთვის განკუთვნილ სავარძლებში ჩასხდნენ.

ახლა თბილისს მზე უფრო სასტიკად აჭერდა და ადიუტანტებმა ინგლისელ ელჩს და გენერლებს ჭილის ქუდები — ფართოყალმიანი პანამები მოუტანეს.

თოვლივით სპეტაკი, თეთრი ღრუბლის ვეება ქულები მახათას, სამგორსა და კახეთის მთების გადაღმა ლურჯი ცის ტატნობზე მიჯარულიყვნენ. მერმე ნელინელ გაიშალნენ, ცასა და დედამიწას შორის ფარივით დადგნენ, მზის სხივები აღარ გაატარეს და ჰაერი კიდევ უფრო დაიხუთა, სიცხე აუტანელი გახდა. ცა მხოლოდ თრიალეთის მთისაკენ იყო მოწმენდილი. დედამიწას და ქალაქს იდუმალი რაღაც მყუდროება მოეფინა. სიჩუმეში ყოველი ხმაური, ბგერა და ხმა ზარივით ისმოდა — გამყიდველთა შეძახილი, ბავშვთა და ყმაწვილთა ყვირილი, ჰაერში მონავარდე მერცხლების ჟივილი...

უცბად, მჭექარი, გამყივანი ხმა გაისმა:

— ნაბიჯით იარ ! — ეს გურგენი იყო.

მოვარჯიშენი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ, სცენაში გადაჯგუფდნენ და მოედანზე დალაგდნენ. გურგენი მაგიდაზე შეხტა და მოვარჯიშეთ გასძახა:

— სმენა, მარჯვნივ გაიწერ!

ოთხასი მოვარჯიშე სტადიონზე გაიშალა და, ჭადრის დაფასაებრ, ოთხკუთხედად დადგა.

ორკესტრმა საამური ჰანგი დაუკრა და ქალ-ვაჟმა მასობრივი ვარჯიში დაიწყო ჯერ უიარაღოდ, მერმე კი ჯოხებითა და გურზებით.

ამას უფრო საზრიანი და ლამაზი ვარჯიში მოჰყვა.

მერმე დარჩეულმა ჭაბუკებმა და ქალებმა რთული და ეპავალნაირი პირამიდები გააკეთეს.

უკანასკნელი პირამიდის დროს, მოვარჯიშეებმა ხუთი სართული გააკეთეს. მათი სხეულების მეხუთე სართულზე გიორგი, კუკური, კორნელი, სანდრო და კიდევ ორი სპორტსმენი ავიდა. მათ გადაშლილ მკლავებზე — „ბაქანზე“ ახოვანი და კუნთებდაგრაგნილი მოვარჯიშე — მიტო ჩიკვაიძე და

ჩია ჭაბუკი გიგა ლაფერაშვილი ავიდნენ. მიტომ გიგას ხელში ხელი ჩასჭიდა, ადგილიდან მოსწყვიტა, მაღლა, ჰაერში ბურთივით შეისროლა და მხრებზე შეისვა. ცისკენ ატოტებულ ხეების გულებზე გიგა დაებჯინა, აიმართა და წინშველრიდან ყირა გააკეთა. მთის კალთისა და მოწმენდილი ცის ფონზე პირამიდა ლამაზად აიხატა. ხალხს მოეწონა და მოვარჯიშენი მჭეხარე ტაშით დააჯილდოვა.

პირამიდებს იარალებზე ვარჯიშობა მოჰყვა.

მწურთნელთა ჯგუფის გამოსვლას ყველანი მოუთმენლად ელოდნენ. ამ ჯგუფის ვარჯიში „შევარდნის“ გვირგვინი იყო.

ოცდაოთხი დარჩეული ვაჟკაცი გურგენმა ისეთი ჩქარი, მკაცრუქი და ფრთაშესხმული ნაბიჯით წაიყვანა სავარჯიშო იარალებისაკენ, თითქო შევარდნები მიფრინავენო. მწურთნელები სამ ჯგუფად დაჰყო, თითოეულ ჯგუფში რვა კაცი დააყენა: პირველი ჯგუფი ორძელთან დადგა, მეორე — ღერძთან, მესამე კი — ტაიჭთან. ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა ტანწერწეტა, მკერდგანიერ ჭაბუკებს, რომელთაც მაგარკუნთებიან ბარძაყებზე და შიშველ ტანზე ლურჯი შარვლები და თეთრი მაიკები შემოტმასნოდათ.

პირველი ჯგუფი, შევარდენთა წესისამებრ, ორძელთან იდგა. მარჯვენა ფეხი მოვარჯიშეებს ოდნავ გალაჯული და ხელები ზურგს უკან დაწყობილი ჰქონდათ.

აქედან, მათ პირისპირ, გზის პირას გამართული კარვები, ტრიბუნა, სკამებზე მჯდარი მთავრობის წევრები, სტუმრები და ხალხი ჩანდა. ხალხი ამფითეატრივით დაქანებულ მთის კალთებზე იდგა და იჯდა. აქა-იქ გაშლილი, მზით განათებული და ფერად-ფერადი ქოლგები ქალებს შუქფარივით ეხურათ თავზე. თეთრი, ყვითელი და წითელი ქოლგები შორიდან მთის კალთაზე ამოსულ ვენება სოკოებსა და ყაყაჩოებს მოგაგონებდათ.

უცბად, კორნელიმ ხალხში ესტაფეტე, ვარდო, სენატორი გიორგი დადვაძე შეამჩნია და იმ რიგს, სადაც ისინი ისხდნენ, დაძაბული დააცქერდა, თავითბოლომდე დაათვალიერა. ელო, ნინო და მიხაც დაინახა. ელოს თეთრი ქოლგა გაეშალა და მარჯვნივ და მარცხნივ მიხა და ნინო შემოსხდომოდნენ. ნინომ დურბინდი მოიმარჯვა და პირველ ჯგუფს გაჰხედა. კორნელი შეკრთა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჯიბოსეულ სამ-

ხედრო დურბინდს თუ მომართავდა, კაცს ცხვირწინ დაუყენებდა.

პირველი ჯგუფის მწკრივში კორნელი მეოთხე იყო. პირველი — გიორგი, მეორე — მიტო, მესამე — კუკურია, მერმე კი — სანდრო. დათა, გიგა ლაფერაშვილი და შაქრო ლათიბაშვილი იდგნენ. დათა საშუალო ტანის კაცი იყო. გიგა კი — ყველაზე მომცრო, მაგრამ ტაიჭზე ვარჯიშობაში ტოლი არა ჰყავდა. მას ზანგივით სქელი ბაგეები, გარუჯული, შავი სახე და ტანი ჰქონდა.

კორნელი ნინოს თვალმოუშორებლივ გასცქეროდა. დურბინდის გამადიდებელი მიწით მოახლოებული მოვარჯიშენი და კორნელი ნინოს სულ ახლოს, თვალწინ დაუდგნენ. ნინოს ასე მოეჩვენა, თითქო კორნელი ხელს ჩამოართმევდა, დაელაპარაკებოდა კიდეც. ქალი შეკრთა. დურბინდი მუხლებზე დაიდო, ელოს და მიხას შეხედა, გაფითრდა და თავი ჩაჰკიდა. ზამშის პატარა თეთრ ტუფლებზე დაიხედა. ტუფლებზე მტვერი დაჰყროდა. ფეხსაცმლის წვერები ასწია, მიწაზე დააბაკუნა და გაიბერტყა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ელომ.

— არა, — მიუგო ნინომ. თუმცა თავბრუ ეხვეოდა, ყურებს ეროინი გაუდიოდა. ქალი სისუსტეს გრძნობდა. რედიკული გახსნა, აბრეშუმის თეთრი ხელთათმანით შემოკვართული ხელის გრძელი, ვიწრო თითები შიგ გააჯირითა, სურნელით დასხურებული პატარა ცხვირსახოცი ამოიღო, ჭილის ქუდი აიწია და მერმე ფიქალ შუბლზე და შავბუსუსებიან ზედა ტუჩზე ცვარცვარად დამჯდარი ოფლი მოიწმინდა. ელო ნინოს მალულად უცქეროდა და თვალს არ აშორებდა. ორივეს თეთრი ტანისამოსი ეცვათ და, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ მიხას გვერდით ჯდარნი, კორნელისათვის ადვილად შესამჩნევი იყვნენ.

გიორგიმ, მიტომ და კუკურიამ პირველი ვარჯიში მოათავეს, თავის ადგილზე მივიდნენ, დადგნენ და მერმე ორძელისაკენ შემობრუნდნენ. ახლა კორნელის ჯერი იყო, მაგრამ იგი ისევ ნინოს გასცქეროდა და მწკრივიდან გასვლა დააგვიანა. გურგენი გაოცდა. კუკურიამ ხელი ჰკრა. კორნელი ისე დაფეთებული მოსწყდა ადგილს და ორძელისაკენ ისეთი ჩქარა ნაბიჯით წავიდა, რომ ხალხმა სიცილი დააყარა.

კორნელის შერცხვა და ამან მის ვარჯიშზე ცუდად იმოქმედა. მრავალ ნაწილისაგან შემდგარი ვარჯიში ერთმანეთს ვერ გადააბა, ნაწილთა შორის ყოფნა, თანმიმდევრობა და რიტმულობა ვერ დაიცვა, ხოლო ვარჯიშის ბოლო ნაწილი კი ცუდად შეასრულა. ტაში აქა-იქ დაუკრეს.

კორნელი დარცხვენილი გაჩერდა მწკრივში, შემობრუნდა და ისევ ნინოს მიაშტერდა. ნინო მიხვდა, იმის გამო რომ იბნეოდა და ცუდად ვარჯიშობდა. დურბინდი ისევ მუხლებზე დაიდო, გაჯავრებულმა მუშტი მუშტს შემოჰკრა. კორნელის იამა, ნინოს რომ გული დაწყდა. გაიღიმა და გაიფიქრა: „მაშ ახლა მიცქირეთ, როგორ ვივარჯიშო“. დამშვიდდა, გულისყური იარაღისაკენ გადაიტანა და, როცა კუკურიმ ვარჯიში დაამთავრა, მაშინვე ორძელისაკენ დაიძრა.

ჩქარი ნაბიჯით წავიდა, იარაღთან ლამაზად გაჩერდა, ხელები შევარდნის ფრთებივით გაშალა, ორძელს დააფრინდა და ძლიერი ქანით პირდაპირ ყირაზე გაჩერდა. ყირიდან მოსწყდა, ძელებზე იღლიებით დატრიალდა, ხელები უშვა, ტანი ისარივით მაღლა ცისაკენ შეისროლა და მერმე შვეული ხაზით წამოვიდა, ძელებს დაახტა და, დატაცით, ყირაზე დადგა. ახლა ყირიდან დაეშვა კორნელი, ძელები-ლაჯებში გამოივლო, მაკრატელივით გაშლილი ფეხები შეაერთა. წინშვერიდან ძელთა შორის ჩავარდა, ზედ ხელებით დაეკიდა და კიდიდან, ქვედა ამართით, ისევ ყირაზე დადგა. ბოლოს მარჯვენა ხელი ძელს წეუშვა, ცალ ძელზე მარტოკა მარცხენა ხელით გაჩერდა, მარჯვენითაც დაებჯინა, დაეშვა, ორძელს ხელი უშვა, ფეხები ხელებშორის გაატარა, მიწაზე ფეხის წვერებზე დახტა, ზამბარასავით გაიმართა, წავიდა, მწკრივში დადგა და ზურგსაკენ შემობრუნდა.

ტაშმა იგრიალა.

ყმაწვილებმა, აღტაცების ნიშნად, სტადიონზე მტრედები აფრინეს. მტრედები მაღლა, ცის ტატნობისაკენ აიშალნენ. მთელ სტადიონს ფრთების ტკარცალით და დავლურით შეჰოუარეს და მათ თეთრ ფრთებზე ანარეკლი მზის სხივებისა ცაში ეჟვნების უცხო ჟღარუნივით გაისმა, თითქო მთა და ბარს და სტადიონზე თავშეყრილ ხალხს კორნელის ვარჯიშით მოჯადოებული ყმაწვილების აღტაცება მოჰფინესო.

ნინომ ისევ მუხლებზე დაიდო დურბინდი და ახლა მტრედებს მანაც აღტაცებით აჰხედა.

ელომ უკმაყოფილოდ უთხრა:

— რა მოცლილია ეს ხალხი! მხოლოდ ჩაცმა-დახურვას, ჭამა-სმასა და სანახაობას ეტანება. სხვა დანარჩენი ფეხებზე ჰკიდია! ამ ჩერჩეტებს, ასე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი არ გახარებიათ!

ელომ ქმარს ქოლგა დააკავებინა. ბედნიერმა ქმარმა ცოლსა და ცოლის დას ნეტარებით გადახედა.

ახლა მეორე და მესამე ჯგუფმა დაიწყო ვარჯიში. პირველი ჯგუფი ღერძთან მივიდა. აქაც პირველობა კორნელს დარჩა.

მრავალი და რთული ნაწილებისაგან შემდგარი ვარჯიშის მერმე, კორნელიმ აღმატრიალიდან ტანი წამიერად ღერძზე შეაჩერა. ყირაზე დადგა და ყირიდან წამოვიდა. ღერძს ხელები გაუშვა, თითქო მერცხალმა ფრთები გაშალა და მკერდით ჰაერს მოაპობსო. ტანი ჰაერშივე მოჰკეცა, მერმე გამართა, კალმახივით სწრაფად მოიქნია და მიწაზე დაფრინდა. ღერძიდან ასეთ ხტომას შევარდნები „მერცხალს“ ეძახდნენ.

ახლა უფრო მეტი ტაშისცემა გაისმა. ყმაწვილები ერთთავად გაგიყდნენ: სამჯერ მეტი მტრედები ააფრინეს სტადიონზე. მერცხლები დაფრთხნენ. დაბლა ნავარდით დაეშვნენ, ხალხს ცხვირწინ ჩაუქროლეს და ნინოს გრძელ წამწამებს კინაღამ ფრთა არ შეახეს. ნინომ ხელი მოიშველა, მოიქნია და კისკისით მიხას მიაწყდა.

მიხამ ამ შემთხვევით ისარგებლა. ნინოს გამხდარ მხრებზე ხელი მოჰხვია, მოსწია, ქალი ჩაიხუტა და გულუბრყვილო ბავშვივით დაიძახა: მერცხალი, მერცხალიო! მერმე დაიხარა, ნინოს თვალებში ჩაჰხედა, ჩაიხვიხვინა და ცხენივით გრძელი კბილები გამოაჩინა. ელომ მრისხანედ გადახედა და ხბოსავით აკუნტრუშებულმა, აყლაყუდა მხატვარმა ნინოს მაშინვე ხელი უშვა.

ყველანი კორნელის ვინაობას და სადაურობას იძიებდნენ.

— ჩემი მეგობარია, კორნელი მხეიძე, — ეუბნებოდა მიხა მეზობლებს.

— ჩემი დისწულია, — იკვეხნიდა კორსეტით შეწუხებუ-

ლი, ოფლში გაღვარული დეიდა ელენე და ინსპექტორ ჯანელიძეს და მასწავლებლებს ეუბნებოდა: — ენაცვალოს დეიდა. ნეტავი დედამისი ტერეზა აქ. ყოფილიყო და მისთვის ეცქირა, ო, რა გაეხარდებოდა!

— ჩვენი ყოფილი მდგმურია... სტუდენტი. იგი ახლახან დაბრუნდა ახალციხის ფრონტიდან. ბრძოლაში ასკერი მოუკლავს. კარგი ჭაბუკია. ნიჭიერი და წესიერი. ჩინებულად ვარჯიშობს, — აცნობდა იუსტიციისა და განათლების მინისტრებს ესტატე მაყაშვილი კორნელის.

— მწყურთნელთა ჯგუფი საქართველოს ქალაქებს რომ მოივლიდეს, ძალიან კარგი იქნება. — განაცხადა განათლების მინისტრმა. — ახალგაზრდობა დაინტერესდება. ჩვენ ყველგან სატანვარჯიშო საზოგადოება უნდა ჩამოვაყალიბოთ. საერთოდ, „შევარდენს“ ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ჩვენს ქვეყანაში. სპორტი ხალხს აჯანსაღებს, სიმხნევეს და მამაცობას უნერგავს.

— ჩინებული აზრია, — დაეთანხმნენ მას ესტატე, იუსტიციის მინისტრი და სენატორი დადვაძე.

— შემოდგომაზე ჩვენ ბამხედრო სკოლას ვხსნით და ამ ბიჭებისგან ჩინებული ოფიცრები გამოვლენ, — თქვა სამხედრო მინისტრმა.

ახლა პირველი ჯგუფი ტაიჭთან იდგა. კორნელი ისევ ნინოს მიშტერებოდა. ნინო გაფითრდა. უმალვე მოაგონდა ყოველივე: პაემანი. ჩხუბი, კორნელის წერილი და სული შეეხუთა.

— შენ ისევ მას უცქერ? — ჰკითხა ელომ.

— მას და სხვებსაც, — ამრეზით მიუგო ნინომ.

— ვიცი, მის წინაშე ისევ გადნები და ისევ თავიდან დაიწყება შენი წამება, ძლივს გამოჯანსაღდი და ახლა ისევ ავად გახდები, — დაგეხლა ელომ.

— თავი გამანებე, — უკმეხად შეწიშნა ნინომ.

— მე გაფრთხილებ, შენ კი, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი.

— ო, როგორ მომბეზრდა ეგ დაუსრულებელი ჩიჩინა ნეტავ იცოდეთ.

მიხამ გაიფიქრა: ნინო თუ კორნელის შეურიგდა და ჩემ

წართქვამე გადასცა, დიდი უსიამოვნება მოხდებაო. ქალთა შორის მოქცეულმა, უხერხულობა იგრძნო, თითქოს ორ ცეცხლს შუა მჯდარიყოს.

7

ფეხბურთის მერმე სალამომ მოატანა. მზე მთის მწვერვალებისაკენ დაეშვა და ვაკეში ოდნავ აგრილდა.

მთავრობის წევრები და სტუმრები მანქანებში, ლანდოში, ეტლებში ჩასხდნენ და ქალაქისაკენ გასწიეს.

ჯარმა და ხალხმაც ქალაქისაკენ იწყო დენა.

ნაწილი ხალხისა კი ჯგუფ-ჯგუფად გაიყო. ქეიფსმოყვარული მოქალაქენი, მოტანილი სანოვაგით, მთის კალთებზე დასხდნენ, ღვინის სმა და ღრეობა დაიწყეს.

კორნელი და სანდრო ქალაქში მიმავალ გზისკენ გაეშურნენ. ნაცნობი და უცნობიც გარს შემოეხვივნენ. უცბად კორნელისთან ესტატე და ვარდო მივიდნენ. ხელი ჩამოართვეს და მათაც თავისი აღტაცება გამოსთქვეს.

მათთან ელო, ნინო და მიხაც მივიდნენ. ვარდომ ჯერ კორნელის და მერმე კი — ფერმკრთალ, გამხდარ და დასუსტებულ თავის ქალს შეხედა. ნინო შეცოდა და გული შეეკუნშა. კორნელი კი შეჯავრდა, რადგან თავისი ქალის მტანჯველად მიაჩნდა. ჩუმად უთხრა ესტატეს:

— შეხედე. ნინო რას ჰგავს, დაიქანცა. წავიდეთ.

მაყაშვილებს ეტლი გზაზე უცდიდა. ცხენი აღმართს შეჰყვნენ. კორნელიმ ნინოს ზურგსა და გამხდარ მხრებს თვალი მიაპყრო. ნინო შეკრთა. მხრები ასწურა, თითქო მის ზურგს ვილაცამ ხელი შეახოო. ბავშვივით გულუბრყვილო, საბრალო და მუდარით სავსე თვალებით შემოხედა კორნელის. წარბები ფართო შუბლზე გაფრენილი მერცხალივით შეათამაშა და ტუჩები წინ წამოზიდა, თითქო კორნელის ჰყვედრიდა: ხომ ხედავ, შენს გამო, რა დღეში ვარ და როგორ დავიტანჯები? კორნელი მაშინვე მიხვდა ნინოს გამოხედვის აზრს. აღელდა. მანაც მუდარით შეხედა და, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ორივენი ჯადოსნურ ბადეში გაეხვნენ. ნინოს ფეხი შეეშალა. თავი ჩაჰკიდა. ხელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს და მშობლებს ჩამორჩა. კორნელი დაეწია,

მკლავში ხელი გამოსდო და აღმართზე ასვლაში მიეშველა. წინომ გაუღიმა და შემკრთალი შველივით შემოჰხედა. მზით დამწვარ სხეულზე კორნელის ალმური ასდიოდა. ჭაბუკის ღონიერი ხელი ქალის გრილ მკლავს მარწუხივით შემოეჭდო. ქალი აცახცახდა და გული მახეში გაბმული ჩიტივით აუფაფთხალდა. დუმილით მიდიოდნენ. კორნელი დაცხრა. გამშრალ ყელში ნერწყვი ძლივს გადაიტანა და ნინოს დახშული ხმით ჰკითხა:

— ჩემი წერილი თუ მიიღეთ?

— მივიღე? — დარცხვენით მიუგო ქალმა.

ისევ გულისდამაღონებელი დუმილი ჩამოვარდა, კორნელიმ გაუბედავად შეაპარა:

— მერმე?

პასუხს ელოდა. ნინო კი თრთოდა, სუნთქვა უძნელდებოდა და ვერაფერს ვერ ეუბნებოდა.

— მე ის წერილი, — დაიწყო კორნელიმ, — სულმოუთქმელად, ერთბაშად დავწერე, როდესაც სამშობლოდან გადმოხვეწილი, მთვრალი რუსი ოფიცერი რესტორანში კაეშნით მღეროდა ძველ რომანსს. მე იმ რომანსის სიტყვები: „Мы так недавно, так нелепо разошлись“ გულში ჩამწვდა. ქაღალდის ხელსახოცი ავიღე და ზედ ცხელ გულზე დავწერე. ის წერილი ჩემი გულის ამოძახილია. ახლაც ვიზიარებ ყოველივეს, რაც შიგ წერია.

კორნელი ისეთი გულითადი ხმით ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ახლა ნინოს აღარ შეეძლო. ისევ კორნელის წერილი და ის ადგილი მოაგონდა, სადაც ეწერა: „ჩემი დაღუპვის და ჩემი გადარჩენის სათავეც თქვენს ხელთ არის“. პასუხისმგებლობა იგრძნო. კორნელი შეეცოდა და მიუგო:

— მე გიპასუხებთ იმ წერილზე.

— როდის?

— ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. იმ პაემანის დროს, შესაძლოა გადავაჭარბე, მაგრამ როდესაც ყველაფერს შეგატყობინებთ, მაშინ დარწმუნდებით, მართალი რომ ვიყავი, — მიუგო ნინომ.

— როდის შევხვდებით ერთმანეთს? — მოუთმენლად ჰკი-

თხა კორნელიმ. — დიდხანს ცდა აღარ შემიძლია. მე გავგიჟდები.

— ჩვენ მალე გავემგზავრებით ქვიშხეთში.

— როდის?

— ამ ერთ კვირაში.

— ერთი კვირა უნდა ვიცადო?

— არა, მანამდე...

ამ დროს ვარდომ მოიხედა. კორნელი და ნინო ცალკე მომავალი დაინახა, მათ დააცქერდა, ყველაფერს მიხვდა და კაეშნით გაიფიქრა:

„ნინო მარწმუნებდა, კორნელისთან საქმე გავათავე, დამშვიდდითო, ახლა კი რა დღეშია! უმალვე დაივიწყა ყველაფერი, რაც მასა და კორნელის შორის მოხდა. არა, მათ ძალიან შორს შესტოპეს. როგორ იქნება მათი საქმე, არ ვიცი! ნუთუ კორნელი ნინოს ბედია? ღმერთო დიდებულო!“

ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐ

— გაუგებრობა!? იცით თუ არა თქვენ, რას ნიშნავს ბრიტანეთის ეშელონის დაკავება, თანაც ჯავშნიანი მატარებლით დამუქრება?

გენერალი კორი

I

ოცდაათ მაისს დენიკინის ლაშქარმა, მოულოდნელად საქართველოს საზღვარი გადმოლახა. ინგლისის სარდლობა ყარსიდან გამოტანილ იარაღს, საქართველოს ტერიტორიით, დენიკინს აწვდიდა, რაც მაშინდელი საქართველოს მესვეურთათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, მთავრობის განკარგულებით, იარაღით დატვირთული ბრიტანეთის მატარებელი თბილისის სადგურზე დააკავეს.

ოცდაერთ მაისს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ბრიტანეთის ჯარების სარდალი ამიერკავკასიაში გენერალ-მაიორი კორი ეახლა.

კორი ჩქარი ნაბიჯით შევიდა ჟორდანიას კაბინეტში. ჭუ-

დი არ მოეხდია. მთავრობის თავჯდომარეს ხელი რომ ჩამოართვა. მზედრული სალამი მისცა და უკმეხად ჰკითხა:

— იცით თუ არა თქვენ, თბილისის სადგურზე საქართველოს ჯავშნიანმა მატარებელმა რომ ბრიტანეთის მატარებლის მთელი შემადგენლობა დააკავა და მას არ უშვებს?

— დიახ, ვიცი.

— მერმე. რას ჰგავს ეს?

გენერალ კორთან ერთად შემოსული პოლკოვნიკი ბელე, თარჯიმანი — კაპიტანი ხერტი და კაბინეტში მყოფი თარჯიმანი — პოლკოვნიკი მელიქოვი და მდივანი — მაჭვარიანიც ფეხზე იდგნენ და ისე უსმენდნენ განრისხებულ გენერალს. კორმა ისე ხმამაღლა უყვირა ჟორდანიას, თითქო თავის ხელქვეით ოფიცერს დანაშაულისათვის ტუქსავს და პასუხისგებაში მიცემით ემუქრებაო. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს დამსწრე პირებისა შერცხვა, მხრები აიჩეჩა, თვალები თავხედ გენერალს შეანათა და განუმარტა:

— ახლა, დენიკინის ლაშქრობასთან სამხედრო შეჭმედების პირობებში, ინგლისის სარდლობის მიერ ყარსიდან გამოტანილი რუსული საომარი იარაღის მიწოდებას დენიკინისათვის ჩვენ ვერ დავუშვებთ.

ჟორდანია დაჯდა და გენერალს სავარძელი შესთავაზა. კორმა შენიშნა. როგორ ცახცახებდა, აღელვების გამო, პრეზიდენტის ხელი და ახლა უფრო მშვიდად ჰკითხა:

— თქვენი თანხმობის გარეშე მოხდა ეს უმსგავსოება, თუ პირადად თქვენ დაიკავეთ ბრიტანეთის მატარებელი?

— დიახ, პირადად მე, — მიუგო ჟორდანიამ.

— საკვირველია, როგორ გაბედეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა, ჟორდანიამ ინგლისელი ჯარების სარდლის ქუდზე მიკრულ კოკარდს შეხედა: დიდი ბრიტანეთის იმპერიის სამეფო გვირგვინი ატოტებულ ლომებს თათებით ეკავათ. კორმა თავის-თავზე უფრო დიდ ავტორიტეტულ პირთა საშუალებით სცადა ახლა ჟორდანიას დაშინება:

— კეთილი. მე დეპეშას გავუგზავნი და ვაცნობებ სტამბოლში უმაღლეს სარდლობას, რომ ბრიტანეთის მატარებლის მთელ შემადგენლობას არ შეუძლია თბილისიდან გასვლა თავისი მარშრუტით, რადგან, საქართველოს რესპუბლი-

კის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, მას ჯავშნიანი მატარებელი ემუქრება.

— გენერალ კორს ვთხოვ, — შენიშნა ჟორდანიამ, — ისიც აცნობოს უმაღლეს სარდლობას, რომ ამ მატარებლით იგზავნება რუსული იარაღი დენიკინის არმიისათვის, რომელიც ამჟამად საქართველოს რესპუბლიკასთან ომს აწარმოებს.

— ის იარაღი ეგზავნება ბაქოთი თურქმენებს, — განუმარტა კორმა.

— ბაქოთი და მერე კი პეტროვსკით დენიკინს, — გაუსწორა ჟორდანიამ. კორმა იწყინა:

— მე მხედარი ვარ და არა დიპლომატი. მე ტყუილი არასოდეს არ მითქვამს.

ჟორდანია შეშინდა და ბოლოს მეგობრული საუბარი არჩია:

— მე ძალიან მწყინს, რომ ამგვარ გაუგებრობას და ფაქტებს სწორედ ახლა აქვს ადგილი: საქართველოდან ინგლისელების წასვლის მომენტში, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობას სულითა და გულით სურდა ინგლისსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობა სამუდამოდ დაეყარებულიყო.

კორმა უნდობლად შეხედა. ცალი თვალი ეშმაკურად დახუჭა და მიუგო:

— დაუჯერებელი ამბავია. რადგან, როდესაც თქვენ ახლა ლაპარაკობთ, საქართველოს ჯავშნიანი მატარებელი დგას ბრიტანეთის მატარებლის შემადგენლობასთან. სპეციალურად ინჟინათვის, რომ ხელი შეუშალოს ინგლისური იარაღის გადაზიდვას. ეს არის მეგობრული ურთიერთობა?

— დაკავებულია მხოლოდ რუსული იარაღით დატვირთული ვაგონები. ინგლისური იარაღით დატვირთული ვაგონები კი — გაშვებული იქნება, — დათმობაზე წავიდა ჟორდანია.

— თქვენი განკარგულების თანახმად, ჯავშნიანი მატარებელი ბრიტანეთის მატარებლის მთელ შემადგენლობას ემუქრება.

— ასეთი განკარგულება საქართველოს მთავრობას არ გაუცია.

— ჯავშნიანი მატარებლის უფროსისა და იმის მიხედვით, რაც რკინიგზის საგუშაგოზე ახლა ხდება, მე იძულებული ვარ

დავასკვნა, რომ ასეთი განკარგულება თქვენს მიერ გაცემულია.

— გენერალს უფლება აქვს დამიჯეროს, ან არა, — ეს მისი საქმეა, მაგრამ რაჭან მე ვამბობ: საქართველოს მთავრობას ასეთი განკარგულება არ გაუცია-მეთქი, ეს საკმარისი უნდა იყოს. ინგლისური იარაღით დატვირთული ვაგონები, ვიმეორებ, გაშვებული იქნება.

— მიუხედავად მთავრობის თავმჯდომარის ასეთი განცხადებისა, ჯავშნიანი მატარებელი ემუქრება ბრიტანეთის მატარებლის მთელ შემადგენლობას და არც ერთ ვაგონს არ უშვებს, — ისევ დაიჩემა და ჩააცივდა კორი ჯავშნიან მატარებელს.

ჟორდანიამ გაიფიქრა: ხომ არ დამცინისო, და გადაჭრით განუცხადა:

— მე ჯავშნიანი მატარებლის უფროსი არ გახლავარ, არც სადგურის უფროსი, ამიტომ არ ვიცი იქ რა ხდება.

კორმა შუბლი შეიჭმუხნა. ჟორდანიას ისევ შეეშინდა: ხომ არ გადავამლაშეო, და ისევ დათმობაზე წავიდა:

— მე გავგზავნი სადგურში ჩემს მდივანს, თუ თქვენ ინებებთ, თქვენს ოფიცერთან ერთად, რომელიც ადგილზე გამოარკვევს მდგომარეობას და ბრიტანეთის მატარებელს გაუშვებს. ჩვენ სრულიადაც არა გვსურს ინგლისთან მეგობრული ურთიერთობის გამრუდება...

— მე ვარწმუნებ პრეზიდენტს საქართველოსადმი ჩემს უცვლელ, კარგ დამოკიდებულებაში, — მიუგო კორმა. — მაგრამ, — წყენით გაიქნია თავი მან, — რატომ დააყენეთ თქვენ ჯავშნიანი მატარებელი თბილისის სადგურზე, რომ მას ხელი შეეშალა ბრიტანეთის იარაღის გადაზიდვისათვის! — კორმა ისევ გაიქნია თავი, თითქო ძალიან სწუხს: ნეტავი ეს უბედურება არ მომხდარიყოო.

„ისევ ჯავშნიან მატარებელს ჩააცივდა ეს ოჯახქორიო“ — გაიფიქრა ჟორდანიამ და მიუგო:

— ეს გაუგებრობა გამოსწორებული იქნება. რაც შეეხება ჯავშნიან მატარებელს, მისი მუდმივი სამყოფელი არის სადგური თბილისი.

გენერალი კორი უმალვე გასწორდა სავარძელზე. გაცივებით შეხედა ჟორდანიას და მიახალა:

— ეს გაუგებრობა არ გახლავთ! იცით თუ არა თქვენ, რას ნიშნავს ბრიტანეთის მატარებლის დაკავება და მისდამი ჯავშნიანი მატარებლით დამუქრება?!

„ქვეყნის დაქცევას, წარღვნას და მეორედ მოსვლასო“, — გაიფიქრა ჟორდანიამ, მაგრამ მერმე გაურკვევლად წაილუღლუღა:

— ინგლისური ვაგონები არ შედიოდნენ მატარებლის შემადგენლობაში. ისინი უორთქლმავლოდ იდგნენ.

კორი წინ გადიხარა. მაგიდაზე იდაყვი შემოსდო. ფარ-თო ნიკაპს ცერი შეუყენა. ჟორდანიას გაოცებით დააცქერდა და ჰკითხა:

— პირველად აკავებთ ბრიტანეთის მატარებელს?

— დიახ.

— და უკანასკნელად?

— ვიმედოვნებ.

— არ კი ვიმედოვნებ, არამედ — უეჭველად! — მიუგო კორმა და მის წითურ სახეზე ერთბაშად ათასი პატარა ნაოჭი დაიფანტა, თითქო თვითეულმა მათგანმა დამცინავად გაიღიმაო.

ამ ირონიულმა ღიმილმა ჟორდანია დააბნია და მან ისევ გაურკვევლად წაილუღლუღა:

— იმ პირობით, რომ იარაღი არ გაეგზავნება გენერალ დენიკინს.

— აკი მოგახსენეთ, — მიუგო კორმა, — იარაღი ეგზავნება პეტროვსკიდან თურქმენებს, რომლებიც ბოლშევიკებს ებრძვიან. ვფიქრობ: საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი არ არის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა.

— გენერალს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს მთავრობა, მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, ებრძვის ბოლშევიკებს, იგი ბოლშევიკებთან ბრძოლის წინააღმდეგი არ არის.

— თქვენ ერიდებით ბოლშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტ და დაუნდობელ ბრძოლას, რადგან ერთგვარად, თქვენც სოციალიზმის იდეების ტყვეობაში ბრძანდებით. ამას ნათლად მოწმობენ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მიტინგები, დემონსტრაციები, წითელი დროშები. ერთადერთი რამ, რომელიც ამჟამად როგორც რუსეთს, აგრეთვე თქვენს ქვეყანასაც

ანარქიისა და დაღუპვისაგან იხსნის, ეს სამხედრო დიქტატუ-
რა გახლავთ. მაგრამ, ნუ გეწყინებათ, თქვენ სამხედრო დიქ-
ტატურის ისე გეშინიათ, როგორც ცეცხლისა... რუსეთის და,
საეჭვოდ, საქართველოს ხალხსაც, ამჟამად დიქტატურა
სჭირია... ასეთია ჩემი დაკვირვება... თორემ უამისოდ თქვენ-
ც ვიცი, საქართველოშიც, წითელ დიქტატურას მოიმკით. არ
იფიქროთ, თქვენს შინაურ საქმეებში ვერეოდე. მაპატიეთ,
მაგრამ თქვენ სამხედრო პირი არ ბრძანდებით და სამხედრო
საქმისა არა გაგეგებათ რა, ჩვენ კი, სამხედრო პირებმა, კარ-
გად ვიცით, როგორი ბრძოლა არის საჭირო ბოლშევიკებისს
წინააღმდეგ.

— როგორი? — დაინტერესდა ჟორდანია, იქნებ ბრიტა-
ნეთის ცნობილმა მხედარმა ბოლშევიკებთან ბრძოლის ახალი
მეთოდი გამოსძებნაო.

— ჩვენ ბოლშევიკებს კედელთან ვაყენებთ და ვხვრეტთ. —
მოკლედ მოსჭრა გენერალმა, რომელსაც ბრალი ედებოდა
ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის დახვრეტაში და ამაზე არანაკ-
ლებ სისხლიან საქმეებში.

— ეს მართალია იმ შემთხვევაში, — შენიშნა ჟორდანი-
ამ, — თუ თქვენ მოახერხებთ ყველა ბოლშევიკის დაჭერას.
მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან მათ ღრმად აქვთ გადგმუ-
ლი ფესვები ხალხში. ამიტომ ახლა სამხედრო დიქტატურა კი
არ არის მთავარი, არამედ ხალხისა და დემოკრატიის მოვლა....
გეთანხმებით, სამხედრო საქმეების მცოდნე კაცი არა ვარ,
მაგრამ მე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ხალხს და მის
სულისკვეთებას თქვენზე უკეთ ვიცნობ და ვიცი, რომ ხალხ-
მა რევოლუციის ზოგიერთი მონაპოვარი მაინც თუ არ მიიღო,
ივი ჩვენ არ გამოგვყვება, მით უმეტეს ბოლშევიკების წინააა-
ღმდეგ ბრძოლაში. თქვენ მისაყვედურებთ, სოციალიზმის
ილუზიის ტყვეობაში ხართო, მაგრამ ჯარისკაცები პირდაპირ
გვიყვებიან ახლა საკითხს: გაგვაგებინეთ, რისთვის ვიბრძვით
ჩვენ: რევოლუციისა და დემოკრატიული წყობილებისათვის,
თუ ისევ ძველი, ბატონყმური წესწყობილებისათვისაო? თქვენ
სამხედრო პირი ხართ და მასწავლეთ: რა პასუხი უნდა გავ-
ცეთ მათ? — ჰკითხა კორს ჟორდანიამ.

— უთხარით, რომ ისინი იბრძვიან ბოლშევიკური წეს-
წყობილების დასამხობად, რათა დემოკრატიული რესპუბლი-

.ჟა მოიპოვონ, — მიუგო ორ ცეცხლს შუა მოქცეულ პო-
ლიტიკურ მოღვაწეს ინგლისელმა გენერალმა.

— მაშინ ხალხში ზოგიერთი დემოკრატიული რეფორმაც უნდა გავატაროთ.

— ჯერ ბოლშევიკებს ებრძოლეთ და მერმე რეფორმებიც გაატარეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთი საქართველოსაც გააწითლებს და თქვენც კედელთან დაგაყენებთ.

— ეს მართალია, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკისათვის საბჭოთა რუსეთი ისევე მიუღებელია, როგორც მეფის რუსეთი. დენიკინი კი მეფის რუსეთის აღდგენას ცდილობს. ამიტომ საქართველო არაფერს ხელსაყრელს არ ხედავს იმაში, რომ რუსული საომარი იარაღი, საქართველოს ტერიტორიით, ეგზავნებოდეს დენიკინს, რომელიც ამჟამად საქართველოს ეომება. — შენიშნა ჟორდანიამ.

— ნუთუ თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ დენიკინი საქართველოს მართლა ეომება! — გაუკვირდა კორს.

— ეს უეჭველად ასეა. — მიუგო ჟორდანიამ.

— ეტყობა, საქართველოს მთავრობას ზუსტი ცნობები არ მოეპოვება.

— ვუშინ დენიკინის არმიის ნაწილებმა მდინარე მეჭადირთან შემოტევა დაიწყეს. რას ეძახით თქვენ ორ სხვადასხვა სახელმწიფოს სამხედრო ნაწილებს შორის შეტაკებას, როცა არიან მოკლულნი და დაჭრილნი? — ჰკითხა ჟორდანიამ.

— გაუგებრობას, რომელიც ადვილად იქნება თავიდან აცილებული, თუ თქვენ ოდნავ დათმობაზე წახვალთ, — მიუგო კორმა. — არა შესაშინებლად, არამედ, როგორც ჭართველების მეგობარმა, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ მოხალისეებს აქვთ ტანკები, სამხედრო გემები, თვითმფრინავები... დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი სამხედრო შეტაკებანი მხოლოდ გააუარესებენ საქართველოს მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოლაპარაკება, დათმობები და არა ომი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე შეეხება გონივრული დემარკაციული ხაზის გატარებას.

— საქართველო ვერ დასთმობს სოჭის რაიონს. გარდა ამისა, ეს ოლქი ძველთაგანვე საქართველოს ტერიტორიის განუ-

ყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მას ჩვენთვის მეტად არსებითი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭებაა. უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია დავთანხმდეთ, რომ სადავო ტერიტორია ნეიტრალურად გამოცხადდეს და იგი დაკავებულ იქნას ინგლისელი ჯარების მიერ.

— ეს არ შეადგენს ინგლისის ჯარების ამოცანას.

— მაშინ რაღა შეადგენს საქართველოში მყოფი ბრიტანეთის ჯარების ამოცანას?

— ეგ არა ჩემი, არამედ დიდი ბრიტანეთის მთავრობის კომპეტენციის საკითხია.

— ჩვენ შეგვპირდნენ დახმარებას, ხოლო ნაცვლად ამისა, ომის დროს, ეხმარებიან ჩვენს წინააღმდეგ სომხეთს, შენმდეგ იწყება მოხალისეთა არმიის შემოტევა, და ბოლოს, არდაგანისა და ახალციხის მხრიდან თურქების შემოჭრა. მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ამ გარემოებას, რადგან ბათუმისა და არდაგანის ოლქები ბრიტანეთის სამხედრო ძალების უშუალო გავლენისა და მმართველობის ქვეშ არიანან. თქვენ მხარი დაუჭირეთ და დაეხმარეთ სომხეთს, ახლა კი მხარს უჭერთ ბრიტანეთის ჯარების ხელში მყოფ ყარსშში შემდგარ სამხრეთ კავკასიის რომელიღაც მთავრობას.

— რაც შეეხება სომხეთს, ომის დაწყებისას იქ ბრიტანეთის არც ერთი ჯარისკაცი არ იმყოფებოდა...

— მაგრამ ბრიტანეთის სამხედრო მისია იყო... მაშ საიდან გაჩნდნენ ქართულ და სომხურ ჯარებს შორის ინგლისელი პიკეტები?

— ჩვენ ვუცდიდით დიდი ბრიტანეთის მთავრობის მითითებებს... დენიკინის მოქმედების გამო შემიძლია მოგახსენოთ, რომ ძალიან შეშფოთებული ვარ ყოველივე მომხდარით, მაგრამ კონფლიქტის ლიკვიდაცია თქვენზე არის დამოკიდებული. ყარს-არდაგნის მთავრობის შესახებ პირველად მესმის...

— მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს, გკითხოთ თქვენ, რატომ ხდება ყოველივე ეს თქვენი აქ ჩამოსვლის შემდეგ? როგორია ნამდვილად ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოს მიმართ?

— ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება.

ბოლოს ინგლისელ გენერალს მოსწყინდა უსაგნო, დიპლომატიური პაექრობა. თერთმეტ ივნისს, ბრიტანეთის მთავრობის დადგენილების თანახმად, მან ჟორდანიას ბრძანება გაუგზავნა. ამ ბრძანების მიხედვით საქართველოს სადავო ხაზღვარი მდინარე ბზიფთან — სამხრეთით უნდა გავლებულიყო... ამიერკავკასიის სახელმწიფოებს თავი უნდა შეეკავებინათ მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისაგან, ხელი უნდა შეეწყოთ გენერალ დენიკინისათვის და მიეწოდებინათ მისთვის ნავთი და სხვა მასალა. ეს ბრძანება მენშევიკურმა მთავრობამ პირნათლად შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში გამარჯვების მერმე, დენიკინი უთუოდ საქართველოსაც ჩაყლაპავდა.

— საქართველოს ცაზე კვლავ შავი ღრუბლები გროვდებიან, — უთხრა ერთხელ ესტატემ ვარდოს. — ინგლისელები თავის ჯარების ევაკუაციას აპირებენ. დენიკინი დღეს-თუ ხვალ მოსკოვს აიღებს და მერმე ჩვენს რესპუბლიკასაც მოუღებს ბოლოს.

— თავი გაუხმეს მას... ვინ იქნებიან ინგლისელების მაგივრად? — ჰკითხა შეშფოთებულმა ვარდომ.

— ამბობენ ბერსალიერებიო!

— ბერსალიერები ვინღა არიან?

— იტალიელი ჯარები. მთელი მსროლელნი... მე ვეთაყვანებოდი გერმანიას, გერმანიის კულტურას, პატივსა ვცემ ინგლისს და ინგლისის კულტურას, მაგრამ, მართალი გითხრა, იტალიელი არა მწადს! ბერსალიერების ამბით ჩემმა მტერმა იარა!

ᲛᲘᲨᲗᲐᲘᲓᲘ

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲘᲐ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲕᲗᲝᲜᲕᲔᲚ ᲞᲐᲢᲑᲣᲙᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ (ᲠᲐᲪ ᲐᲯᲐᲛᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ). ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲕᲐᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲛ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲐ.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ

1

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲮᲐᲛ ᲨᲔᲘᲐᲠᲐ.

— ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲘᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲝᲪ ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ, — ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲐ ᲛᲐᲜ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲫᲘᲜᲐ: — ᲔᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ. ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲘᲐᲜᲗ. ᲩᲔᲛᲡᲐᲡ ᲕᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲗ...

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ.

ᲘᲛᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲚᲝᲡᲐᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲡᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲐᲠᲘᲜᲯᲐᲮᲔᲡᲐᲡ ᲩᲐᲔᲫᲘᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ. ᲛᲔᲠᲛᲔ ᲓᲔᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲣᲫᲦᲘᲠᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ: ᲣᲥᲛᲔᲚᲘ ᲜᲣ ᲬᲐᲮᲕᲐᲚ, ᲩᲐᲘ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲐᲓᲣᲦᲓᲔᲑᲐᲝ. ᲠᲕᲘᲡ ᲝᲪᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲐᲜᲓᲐ.

ᲔᲚᲝᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲐᲣᲨᲐᲚᲐ. ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲓᲝᲛ.

— ᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲒᲕᲘᲬᲔᲕᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲒᲕᲪᲔᲛᲓᲔᲡ, ᲬᲣᲮᲔᲚ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ, — ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ.

ᲜᲘᲜᲝᲛ ᲛᲐᲯᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲡ ᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲒᲝ:

— ᲠᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ, ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲕᲣᲬᲧᲠᲔᲑᲗ.

— ᲣᲪᲐᲓᲔ, — ᲑᲠᲐᲖᲘᲗ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲔᲚᲝᲛᲛ, ᲣᲫᲘᲚᲝ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲮᲐᲛᲮᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲪᲛᲐᲠᲡ ᲖᲘᲖᲦᲘᲗ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ.

ᲛᲘᲮᲐ ᲩᲐᲜᲗᲐᲨᲘ ᲡᲐᲒᲖᲐᲚᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲐ. ᲣᲮᲐᲠᲝᲓᲐ. ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲚᲘᲗᲣᲠᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ. ᲪᲝᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲡᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲮᲖᲔ

საბუელი შეშოირტყა და სამი კაცის საგზალით გატენილი ჩანთა ზურგზე მოიკიდა. იგი ოთახში სეირნობდა, თან ბედნიერებისგან ღიმილით, „ქეთო და კოტედან“ არხეინად ღიღინებდა: „წავიდეთ მალე, წავიდეთ მალე, ქალაქის გარეთ — მცხეთაში“.

— გაჩერდი, იდიოტო, — დატუქსა ელომ, — პირდაპირ ნერვებს მიშლის ეგ შენი აბეზარი ბზუილი: „წავიდეთ მალე, წავიდეთ მალე“, განა თქვენს ხელში, ოდესმე და სადმე თავის დროზე წაბრძანდი!

— ელო! — უყვირა ნინომ, — ნერვებს რად იშლი, მიკვირს ღმერთმანი! ჩვენ საჩხუბრად კი არ მივდივართ მცხეთაში, არამედ სიამოვნების მისაღებად.

— რა სიამოვნებაა, — მიუგო ელომ, — შეხედე: უკვე რვის ნახევარია. ჩვენ დავაგვიანეთ!

კორნელი ოთახში შევიდა. ელო და ნინო ჩუმად იცხვლინენ და დარცხვენით შესცქეროდნენ. კორნელის გალიფე, ჩექმები და ტილოს ხალათი ჩაეცვა, თავზე თუშური ქუდი დაებურა და მხარზე კი საგზალით სავსე ჩანთა და საველე დურბინდი გადაეკიდა. იგი შუა ოთახში გაჩერდა და ქალებს თავი დაუკრა. ელომ უკეთურად შეხედა, ხელი ნაძალადევად გაუწოდა და შენიშნა:

— თქვენ სიტყვის კაცი არა ყოფილხართ.

კორნელი შეკრთა და ნინოს ისეთი მუდარით შეხედა, თითქო შველას თხოვსო. ნინომ გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა:

— რა მოგივიდათ? რად დაიგვიანეთ?

— დეიდას, უეცრად, ბრმა ნაწლავი ასტკივდა, შეტევები დაეწყო. გვეგონა სასწრაფო ოპერაცია დასჭირდებოდა. ექიმი მივუყვანე და დამაგვიანდა, — მიუგო კორნელიმ. ეს საკმაოდ საფუძვლიანი საბუთი იყო.

— თუ ასეა, საკვირველია, მცხეთაში როგორ მოდიხართ?

— ექიმმა გასინჯა, წამლები გამოუწერა და თქვა: ორი ან სამი დღე დავიცადოთ, ეფიქრობ, ოპერაცია არ დასჭირდებაო.

— ჰერი-ჰა, ეს რა უბედურება მოსვლია დეიდაშენს? მაგრამ, არა უშავს, უთუოდ გაუვლის. მაშ, ახლა წავიდეთ! — დაიძახა მიხამ. — მეორე მატარებელს მაინც მივუსწროთ!

ველანი სადგურისაკენ გაეშურნენ.

ელო და ნინო წინ მიდიოდნენ. მათ ტილოს მთლიანი, უსახელო კაბები ეცვათ. ფეხზე — წინდები და სანდლები, თავზე ჭილის ქუდები ეხურათ, ხოლო ხელში — იაპონური ქოლგები დაეჭირათ.

— შე პირძაღლო, დეიდასაც არ ინდობ! რას ერჩოდი, კონალამ რომ მოჰკალი? — ჩუმად ჰკითხა მიხამ კორნელის.

— არა, ჩემმა მზემ, ცუდად არის, — მიუგო კორნელიმ.

— განა ვერ მიეხვდი, რომ იცრუე! კარგად კი მოიგონე. ელო და ნინო ისეთი გაბრაზებული იყვნენ, რომ ტყავს გაგაძრობდნენ, — უჩურჩულა მიხამ კორნელის.

კორნელიმ ელოს და ნინოს შეხედა. ნინო მხნედ მიაბიჯებდა. მერმე უეცრად მოიხედა, კორნელის გაუღიმა და უთხრა:

— უკან რას მოჩანჩალებთ!

ჭაბუკებმა ქალებს მკლავში ხელი გაუყარეს და სადგურისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწიეს.

სადგურში ცუდი ამბავი შეიტყვეს ექსკურსანტებმა: მეორე მატარებელი ნაშუადღევის ოთხ საათამდე არ იქნებაო. მცხეთაში წასვლის საკითხი მოიხსნა. პირში ჩალაგამოვლებული ქალები ქალაქისაკენ უმიზნოთ მოყიალობდნენ. ელოს ბრაზისაგან იგუდებოდა და მზად იყო, კორნელი დაეხრჩო. ნინო კი ნაღვლიანად, დარცხვენით უღიმოდა კორნელის. ეცოდებოდა — ელოს რისხვა თავს არ დაატყდესო. ასე მივიდნენ მუშტაიდამდე. სიჩუმე მიხამ დაარღვია.

— მეგობრებო, მუშტაიდში მაინც შევიდეთ. მტკვრის პირას ჩრდილი მოვძებნოთ და იქ...

— გაჩუმდი!.. — სიტყვა გააწყვეტინა ელომ, — მე მუშტაიდში არ წამოვალ.

— თუ გნებავთ, ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ, — გაუბედავად შესთავაზა კორნელიმ.

— არც ბოტანიკურ ბაღში და არც მთაწმინდაზე, — ნოუჭრა ელომ, — მე მცხეთაში გულით მინდოდა წასვლა. რაისან ეს გეგმა ჩაშალეთ, ახლა არსად არ წამოვალ. სალდათები ხომ არა ვართ, მუშტაიდის ბაღში ხის ქვეშ დავეყაროთ!! არა, მე არსად არ წამოვალ.

კორნელის უზრდელობად ეჩვენა ელოს ასეთი პასუხი, თა-ვი ვეღარ შეიკავა და შენიშნა:

— ქალბატონო ელო, მე თქვენ უკვე მოგახსენეთ მიზეზი ჩემი დაგვიანებისა. ვგრძნობ დანაშაულს და ფრიად ვწუხვარ, ჩემს გამო რომ ჩაიშალა დღევანდელი ექსკურსია. ზედმეტი საყვედურებით ნუღარ დამსჯით. რაც შეეხება მუშტაიდს, იქ სალდათებიც და ჩვენზე უკეთესებიც დადიან. მეც სალდათი ვარ და თუ თქვენ სალდათთან ყოფნა და სეირნობა გეთაკილებათ, იყოს ნება თქვენი: გზა მშვიდობისა!

ამ ტირადას ნინო შეშფოთებული ისმენდა. ეშინოდა: ვაითუ ელომ კორნელი არ დაინდოსო. მაგრამ ელომ მხოლოდ უკეთურად შეხედა კორნელის და მიუგო:

— არა, მე მაინც საქმე მქონდა ქალაქში. მეგობართან უნდა შემევლო. თქვენ კი, სადაც გენებოთ, იქ წაბრძანდით. — ელომ ბრაზით შეხედა ყველას, თოფნაკრავივით შეტრიალდა და ტანალესილი შინისაკენ კუშტად და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

დედიმისის შვილი იყო და, აბა მიხა ნუ გაჰყვებოდა! ბოდიში მოიხადა და ცოლს ერთგული ძაღლივით ძუნძულით დაედევნა. ცოლ-ქმარს ნინოც გამოუდგა. ელოს სამჯერ დაუძახა. მაგრამ მან არ მოხედა. ნინო ხის ქვეშ ობლად გაჩერდა.

კორნელი მივიდა და წყენით უთხრა:

— რა უცნაური, რა ნერვიული ქალია ეგ თქვენი დაიკო ელო!

ნინომ ხმა არ გასცა. შინისაკენ მიმავალ ელოს და მიხას კავშირი გაჰხედა. იგი ერთბაშად გამოიცვალა. რატომღაც მიხა და ელო შეჯავრდა. მათი შეურაცხყოფაც კი მოუნდა. ჩიტებით მოხატული იაპონური ქოლგა დაატრიალა, კორნელის გაუღიმა და უთხრა:

— წავიდეთ მუშტაიდში.

— წავიდეთ, — მიუგო კორნელიმ და ქალს მკლავში ხელი გაუყარა.

2

დილის ათი საათი იქნებოდა. მუშტაიდის ბაღი ცარიელი იყო, მხოლოდ ორი მერძევე დედაკაცი მოდიოდა ქალაქისაკენ. ისინი ნაღვლიანად გასცქეროდნენ აქა-იქ სკამებზე წამოწო-

ლილ უსახლკაროებს. მოხუცი მებაღე წელიწადი ყვავილებს ირწყავდა. მან გაოცებით შეხედა კორნელის და ნინოს. გაეკვირდა: ეს რა უცხო ჩიტები მოფრენილან ამ დილით ბაღში? შემოსულთ ქუდი მოუხადა და მიესალმა.

— გამარჯობა, ძია-კაცო, — უთხრა კორნელიმ, — ერთი ეს მითხარი, სალდათების გარდა, სხვა ვინმე თუ დაიარება ამ ბაღში?

— ქვე, მარტო სალდათებისთვის კი არ გაუშენებიათ ეს დიდებული ბაღი, — მიუგო მოხუცმა. იგი მხარბეჭიანი, ჯერ კიდევ ჯანიანი მოხუცი იყო. წურწურა მიწაზე დასდო და კორნელის თუთუნი სთხოვა. კორნელიმ სათუთუნე ამოიღო და საამო სახის მოხუცს პაპიროსი მიაწოდა. მოხუცი ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა. კორნელის ვინაობა და სადაურობა გამოჰკითხა. ნინოს კეთილი თვალით შეხედა და გაუღიმა. მაგრამ კორნელი მალე დაემშვიდობა. ნინოს ისევ მკლავში ხელი გაუყარა და მებაღეს გაეცალა.

კორნელიმ და ნინომ ასწლოვან ჭადრებს ჩაუარეს. ნინო გაოცდა, ვეება ხეების კენწეროებს აჰხედა, მათ ჯავარიან ტანს ხელი შეახო და ბუმბერაზობა შეუქო. ახლა ცაცხვებთან შეჩერდნენ და მერმე კი ჩინური აკაციის — ძინაძინის ხეივანს გაჰყვნენ. ხეივანში გრილოდა. ნინომ ქოლგა დაკეცა. ძინაძინის ტოტები მაღლა შეერთებულიყვნენ, ნინოს და კორნელის თავზე გუმბათივით დასდგომოდნენ, თითქო მოსეირნენი საზღაპრო ტალავრის ქვეშ მიდიანო. ვარდისფერი ბუმბლა ყვავილები და გვიმრის მსგავსი გამჭვირვალე ფოთლები ეთერში უცნაურად გარინდებულიყვნენ, თითქო სძინავთო. ფოთლები მზის სხივებს ატარებდნენ და სინათლე ხეივანშიც აშუქებდა. ქოლგასავით გაშლილი ძინაძინის ტოტების ქვეშ მიმავალ ნინოს სახეზე ზღაპრული ფერებით მოქსოვილი, ნაზი, მაქმანის მომწვანო პირბადე მიჰფენოდა. ნიავმა ოდნავ შეარხია ფოთლები და ძინაძინის ტოტებისაგან შეთხზული, ჰაეროვანი გუმბათი ეთერში სიზმარივით შეირხა. საოცნებო მარაოს ჩრდილებმა ნინოს სახეზე ნელინელ გადაურბინეს და ქალი, მთვარიან ღამით, ტყეში მოსეირნე ფერიას დაემსგავსა, თითქო მდინარიდან ამოსულა და ძინაძინის ხეივანში კი არ მიდის — მისცურავსო.

კორნელიმ ქალს შეხედა და იგი ფერმკრთალი, დასუსტე-

პული და მინაზებული ეჩვენა. უმალვე კარისმეროთი მოაგონდა, მთვარისგან განათებულ მინდორზე რომ მიჰყავდა ნინო ტყის პირას.

ნინო და კორნელი ხეივნიდან გავიდნენ. ახლა ისევ ცაცხვები შეეყარათ. ცაცხვებზე ჩიტები ირეოდნენ. ზოგნი საამოდ უსტვენდნენ, თითქო ხეივანში მიმავალთ უცხო ჰანგებით მიაცილებენო.

მოსეირნენი მტკვრის პირას, დიდი ცაცხვის ქვეშ შეჩერდნენ. ნინომ კორნელის გაზეთი გამოართვა, სკამივით გამოთლილ სალ-ქვაზე დააფინა და ზედ დაჯდა. კორნელიმ ჩანთა და დურბინდი მიწაზე დაალაგა და ნინოს ჰკითხა:

— ამ ცაცხვის ქვეშ, სალდათი რომ თქვენს გვერდით დაჯდეს, ხომ არ დაიძრახებით?

— თქვენ უშნოშვნელო საწყენსაც კი ბოროტად იმახსოვრებთ თურმე. — მიუგო ნინომ.

— ელომ სალდათები ცუდად რომ ახსენა, ის მეწყინა. განა სალდათები საშიშროდ ხალხია? განა მე ჯარისკაცი არა ვარ? — შეეკითხა კორნელი და ქალის გვერდით მოლზე დაჯდა.

— რაღა უნდა გიპასუხოთ? ელო შეცდა, — გაუღიმა ქალმა.

მათ წინ, სულ ახლოს, პირთამდე სავსე მტკვარი მიედინებოდა. მდინარის ნაპირას, რიყეზე, ბოლოცანცარები და წყლის შაშვები ხტოდნენ, ტანზე წყალს იცლებდნენ და გაშლილი ფართო ფრთებით ფათქუნობდნენ. წყალგადმა მთა იყო ალმართული: მთიდან კლდეზე გადმოდენილი ჩანჩქერი მტკვარში ეშვებოდა. მთით დაქანებული, რძესავით თეთრი და აქაფებული წყალვარდნილს ხმაურს მტკვრის შხუილი ფარავდა. წყალვარდნილს ახლოს, ცაცაბო მთის ტაფობზე, ორსართულიანი ნაგებობანი მოსჩანდნენ.

— აი, ეს ჩვენი მეორე საარტილერიო ბრიგადის ყაზარმებია. ბრიგადის ბიჭები უვარგის ცხენებს ამ მთაზე მოიყვანენ, მტკვრის პირას. აი, იმ ციცაბოზე დააყენებდნენ, თავში ნაგანს ან შაშხანას ესროდნენ და წყალში გადაუძახებდნენ, — უთხრა კორნელიმ ნინოს.

— უი, რატომ?

— ის ცხენები უკურნებელი სენით იყვნენ დაავადებულ-

ნი. ისეთები რომ არ მოგვეკლა, სენს სხვა ცხენებსაც გადასდებდნენ და დაღუპავდნენ. იმ სენს კატუჯარს ეძახიან. ტვინის დაავადებაა ასეთი. ცხენს ნესტოებიდან საპნის ქაფის მსგავსი ჩირქი ჩამოსდის. საკვირველია, ამ სენს რუსულად „საპს“ ეძახიან.

— რა საშინელი სენი ყოფილა! — შენიშნა ნინომ და საბურთალოს მთაზე გაშენებულ ყაზარმებს გაჰხედა.

უცბად, ცაცხვის კენწეროზე უცხო ჩიტი შემოჯდა. საამური და რაღაც ნაღვლიანი სტვენა დაიწყო. კორნელიმ აჰხედა და გაუკვირდა:

— საოცარია, ამ ჩიტმა ჩემს მიერ მოკლული ასკერი მომაგონა.

— როგორ?

— სალამოს, — დაიწყო კორნელიმ, — მეგობრებმა ჩემს მიერ მოკლული ასკერის სანახავად წავიყვანე. ვერხვის ქვეშ, მოშიშვლებულ მიწდორზე ასკერი ეგდო. ირგვლივ აი, ასეთი სიჩუმე იყო. ხის კენწეროზე შემომჯდარი ჩიტი, აი, სწორედ ასევე გულდაგულ უსტვენდა უცნაურ ჰანგზე.

— როგორ მოჰკალით ის ასკერი? — ჰკითხა ნინომ.

კორნელიმ მოკლედ უამბო. ნინო სულგანაბული უსმენდა.

ამ წუთას ნინოს თვალები საზრიანი და ბასრი იყვნენ. ქალის წინაპარი — პაპა ნოდარ მაყაშვილი მოაგონდა კორნელის. ნინო ძალიან ჰგავდა პაპას. ნოდარი ფიცხი და ამაყი კაცი იყო. იგი სამოცი წლისა იქნებოდა მაშინ, როცა ხევში, მოულოდნელად, ლეკები თავს დაესხნენ. ნოდარმა ათი ლეკი აჰკუწა და მერმე მომხდურთ, თავისი ხალხით, ალაზნამდე მისდია. ალაზანზე მტრის რაზმის ნახევარიც კი არ გასულა. თითქოს იმ წინაპარმა გაიღვიძა ახლა ნინოში. ქალმა კორნელის ჰკითხა:

— მარტო ორი თურქი გყავთ ომში მოკლული?

— ზარბაზანზე მუშაობის დროს, — მიუგო კორნელიმ. — ჩემს მიერ გასროლილ ყუმბარას, ალბათ, არა ერთი კაცი მოუკლავს კიდეც, მაგრამ მე ეს არ დამინახავს და ამიტომ სინდისის ქენჯნასაც არ განვიცდიდი.

— თქვენ ის ასკერები რომ არ მოგეკლათ, ისინი მოგკლავდნენ. მომხდური მტერი ჩვენს ჯარს რომ არ დაემარცხებინა, იგი დაგვამარცხებდა და ჩვენს სამშობლოს ააოხრებდა.

მტრის ურდოები სამშობლოს დაიმონებდნენ, ქართველ ხალხს გაჟლეტდნენ და ააწიოკებდნენ, ისევ დაანგრევდნენ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, ხოლო სიონისა და სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძრის ჯავარიან ქვებისაგან თავის უმსგავსო საცოვრებელს გაიშენებდნენ! უნდა მოგეკლათ ისინი. თურქთა მიერ მოკლული თქვენი მეგობრის — გრიგოლ ცაგურიშვილისა და სხვათა სანაცვლო იყოს.

ახლა კორნელის გულში მის მიერ მოკლული ასკერებისადმი შებრალება წაიშალა. ნინოს შენიშვნის შემდეგ, მტკვრის პირას მჯდარი ჭაბუკი სასტიკ ფიქრთა მორევიდან თითქო ფონს გადიოდა. ქალი სამშობლო მიწის, კერის სიყვარულისაკენ მოუწოდებდა მას, მშობელი ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებას ავალებდა.

კორნელი და ნინო დიდხანს ისხდნენ ჩუმად. საარტილერიო ბრიგადის ყაზარმებს გასცქეროდნენ. მერმე ნინომ კორნელის მოაგონა:

— გახსოვთ, ქალბატონ ტერეზასთან ერთად იმ ყაზარმებში თქვენს სანახავად რომ მოვედით?

— როგორ არ მახსოვს, — მიუგო კორნელიმ, — თავლაში დაბმული ჯიშიანი ცხენი „გიაური“ რომ მოგეწონათ!

ნინო მტკვარს დააცქერდა და სევდიანი ხმით თქვა, თითქო მოხუცია და შორეულ წარსულს იგონებსო:

— ეხ, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ვინ იცის!

— ის დრო სჯობდა.

— რატომ?

— მაშინ ჩვენ უფრო ბედნიერი ვიყავით, — მიუგო კორნელიმ.

ნინომ უმალვე შეხედა ჯარისკაცის ტანისამოსში გვერდზე წამოწოლილ ჭაბუკს. შეკრთა: წერილზე პასუხი არ მომთხოვოსო და ისევ მტკვარს გაჰხედა. მთავარ საკითხზე პირდაპირ გადასვლას და საუბრის დაწყებას ორივენი გაურბოდნენ და ამიტომ ღობე-ყორეს ედებოდნენ. ბოლოს კორნელიმ გაბედა და ასე დაიწყო:

— ნინო, ჩვენ აქ მარტონი ვართ. შეგვიძლია დამშვიდებით ვისაუბროთ და გამოვარკვიოთ ჩვენს შორის არსებული გაუგებრობა, — კორნელი ძლიერ ღელავდა, სუნთქვა უწყდებოდა და მისი ხმა ყრუდ მოისმოდა. — მე ამ შეხვედრას მო-

ფიქრობდა. წერილობითი პასუხის მოცემა თქვენ არ მოისურვეთ და იქნებ ახლა მაინც მითხრათ: რა ჩავიდინე ისეთი, რომ შემიძულეთ, ჩემში არაფერი არა გკვირათ და ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეიტანეთ?

ნინო გაფითრდა. ამ მეორე პაემანის დროს მას უფრო მეტი საბუთი ჰქონდა კორნელი მიწასთან გაესწორებინა და ცოლობაზე უარი ეთქვა, მაგრამ რესტორანში დაწერილი წერილით ისევ მოჯადოებული იყო. თანაც, ომგადახდილი კორნელი გმირად ეჩვენებოდა და ამიტომ თვალი მოარიდა, მიწას დარცხვენით დააცქერდა და ასე მიუგო:

— თქვენ დამცინეთ იმ ქალის წინაშე, რომლის სახელი არც კი მინდა ვახსენო. იმ ქალმა თავქარიანი გოგონა მიწოდა...

კორნელი შეკრთა და შენიშნა:

— მართალია, მან გიწოდათ თქვენ, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

— ეს მაშინ იყო, როცა თქვენ ჩემზე ნაწყენი იყავით და, ალბათ, უფლება მიეცით მას ჩემთვის დაეცინა, — არ დაეთანხმა ნინო.

— მე თქვენთვის არასოდეს არ დამიცინია. იმ ქალმა კი, შესაძლოა, დაგცინათ, არ უარვყოფ.

— მერმე თქვენ დამშვიდებით მოუსმინეთ? რატომ მე არავის არ ვაძლევ უფლებას თქვენ დაგცინოთ? რატომ გექომაგებით ყოველთვის, როდესაც თქვენ მიწასთან გასწორებენ? თუ ეჭვი გეპარებათ, რომ ასეთებიც არიან? — ჰკითხა ნინომ.

— არა, — მიუგო კორნელიმ, — შურით სავსენი, ბოროტნი და ცილისმწამებელნი ამქვეყნად არასოდეს არ დაილევიან.

— განა თქვენ არ განუცხადეთ იმ ქალს, რომ ქალის შერთვაზე არასოდეს არ გიფიქრიათ? — ისევ შეეკითხა ნინო.

ეს სიტყვები კორნელის ნათქვამი ჰქონდა მარგარიტა ლეტიციასთვის და ახლა საჭირო იყო საბუთი მოეტანა, თუ რატომ თქვა ეს:

— განა ყოველ გამვლელსა და გამომვლელისათვის, ან იმ გერმანელი ქალისათვის ანგარიში უნდა ჩამებარებინა ჩვენი ინტიმური ურთიერთობის გამო? მაშინ მე ისეთივე ბრიყვი და რეგვენი ვიქნებოდი, როგორც ის კაცი, ვინც ეს ამბავი შეგატყობინათ.

ნინოს ჰკუაში დაუჯდა კორნელის პასუხი.

— კორნელი, — მუდარით წასჩურჩულა ქალმა, — გთხოვთ ამ საგანზე ნუღარ ვილაპარაკებთ. მეზიზღება, მრცხვენია... გემუდარებით: დღევანდელ დღეს ნუ ჩამამწარებთ.

— კეთილი, — მიუგო კორნელიმ, — მაგრამ ნუთუ არ უნდა ვიცოდე: გწერათ თუ არა ჩემი?

— არ მწეროდა, მაგრამ თქვენი წერილის შემდეგ თავგზა დამებნა. შეუძლებელია, იმ წერილის შემდეგ, თქვენს გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. ამაზე ფიქრისაც კი მეშინია. გეკედრებით, ახლა ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მე ბურანში ვარ. მომეცით დრო და საშუალება ყოველივე ავწონ-დავწონო. ხომ იცით — დრო ჩვენზე უფრო ბრძენია, ყველაფრის მკურნალი. დრო ყველაფერს გამოარკვევს. მე ხომ აჩქარებული ქალი ვიყავი! მე კიდევ დაგაკვირდებით თქვენ, იმ ჭორების მთქმელსაც. მაშინ ყოველივეს საბოლოოდ მოვისაზრებ და მოგახსენებთ. აი, თქვენს წერილზე ჩემი საბოლოო პასუხიც იქნება.

ასეთი პასუხი სრულიადაც არ აკმაყოფილებდა კორნელის. „აშკარაა, — ფიქრობდა იგი, — ჩემსა და ნინოს დამოკიდებულებას ვილაც ბინძური ხელით შეხებია და გაუბზარავს. მთავარი მაინც ჩემსა და მარგარიტას შორის რესტორანში მომხდარი საუბარია. მაგრამ რესტორნიდან ვინ გაიტანა ეს საუბარი: თვითონ მარგარიტამ, ქეთომ, მოცეკვავე ქალმა — ზინამ, ლეონმა თუ მიხამ? ყველაზე საშინელი ის იქნებოდა, ჩემს მეგობარს — მიხას რომ დაეცა ჩემთვის ჭურდულად დანა", — გაიფიქრა კორნელიმ და ნინოს ჰკითხა:

— მიხამ ხომ არ გაიმბოთ თქვენ ეს ჭორი?

ნინო შეკრთა, კორნელის წყენით შეხედა და მიუგო:

— არასოდეს არ გეტყვით ამას. მიხა რა შუაშია! ნუ მკითხავთ, ოდესმე გეტყვით... როდესაც საკმაებით დავრწმუნდები თქვენს გულწრფელობაში და სიმართლეში, როდესაც ეჭვის ნატამალიც კი არ დამრჩება. მაშინ ყოველივეს მოვიწანიებ და შეურაცხყოფისათვის პატიებას გთხოვთ. ნეტავი ეს ახლა მოხდებოდეს და, ელოს თქმის არ იყოს, გათავდებოდეს ჩვენი ერთმანეთის წამება.

— მე კარგად ვიცი ამ წამების სათავე, მაგრამ მისი აღმოფხვრა, ო, რა ძნელია!

— რატომ?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენც ქალი ხართ.

— მერე რა, ქალი რომ ვარ?

— ქალები ყველაფერს ლამაზი ფერებით ხატავენ, აფერადებენ და აზვიადებენ. ზოგნი, ჩვეულებრივ ადამიანს გენიოსად, გმირად და ზეადამიანად წარმოიდგენენ. ხოლო ახლო გაცნობის მერმე თავიანთ გმირში ისეთ ადამიანურ ნაკლს აღმოაჩენენ, რომ მათ მიერვე შექმნილი პირვანდელი ილუზია იმსხვრევა, — მიუგო კორნელიმ.

ნინო სდუმდა.

— თუმცა არიან, სხვანაირი ქალებიც, — განაგრძო კორნელიმ უცნაური საუბარი, — არის შემთხვევა, როდესაც ქალი მახინჯს ან რეგვენს შეიყვარებს და ცოლადაც გაჰყვება. აი, მაგალითად, თქვენი მეგობარი, მომღერალი ქალი. სამარინა. ჩინებულ ქმარს გაეყარა და ვიღაც ეჭიმს — კუზიანს და მაიმუნის მსგავს კაცუნას მისთხოვდა.

— იგი მართლაც მაიმუნსა ჰგავს. საოცარია: რა მოეწონა იმ კაცში! — დაეთანხმა ნინო.

— ალბათ, იმ კაცს ისეთი რაღაც თვისება გააჩნია, რაც სხვა ქალებს არ შეუმჩნევიათ. სამარინამ კი შეამჩნია და მოეწონა. შესაძლოა, იმ კაცს ის თვისება მერმისში არც კი აღმოაჩნდეს. თუმცა ისეთი გამოცდილი და ნატარი ქალი, როგორიც სამარინაა, მამაკაცში არ შეცდება.

კორნელის სიტყვები ორაზროვნად ეჩვენა ნინოს. ქალს გაუკვირდა, გაოცებით შეხედა კორნელის. შერცხვა და სახეზე წამოწითლდა. კორნელი კი ისევ განაგრძობდა უცნაურ საუბარს:

— მე არა ვარ კუზიანი, მახინჯი და რეგვენი, მაგრამ არც გენიოსი და გმირი გახლავარ. მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და, მაშასადამე, არც ერთი ადამიანური ნაკლი და სისუსტე უცხო არ არის ჩემთვის. ჭაბუკობისაგან ჩემისა შემომეჯარნენ ვნებანიო, წამიკითხავს ასეთი რამ საღმრთო წერილში. მაგრამ იმ ვნებებს ჩემი ზნეობა და კაცობა არასოდეს არ შეუბღალავს. არიან ქალები, რომლებიც მეხსიერებიდან მალე ქრებიან, მაგრამ შეგხვდებათ ქალი, რომელიც სულსა და გულში იჭრება. მისი სახე მუდამ თვალწინ გიდგას, აღარ გშორდება. უმისოდ სიცოცხლეც კი არ გინდა. იგი ადამიანს აღაზაღლებს, კაცად გახდის, გულში სიკეთის და სათნოების გრძნო-

ბას ჩაუნერგავს და საგმირო საქმისაკენ მოუწოდებს. აი, ანი-თი ქალი ხართ თქვენ ჩემთვის. ილუზია სჩვევიათ არა მარტო ქალებს, არამედ, მამაკაცებსაც, შესაძლოა, მეც. დაე, ასე იყოს! მე თქვენ მიყვარხართ სხვანაირი სიყვარულით, თქვენ ჩემთვის ჩვეულებრივი ქალი როდი ხართ.

ქალმა ჭკვიანი, მშვიდი თვალები მიაპყრო სიყვარულს გრძნობით მთვრალს, იცნებათა სამყაროში გადასულ ჭაბუკს და გულითადი ხმით განუცხადა:

— ქორწინების ჟამს მამაკაცი ზნეობრივად და ფიზიკურად ისეთივე წმინდა და სპეტაკი უნდა იყოს, როგორც ქალი.

ამ განცხადებამ უმალვე გამოაფხიზლა კორნელი, თითქოს სიყვარულის გრძნობით მთვრალ ჭაბუკს თავზე ცივი წყალი გადაავლესო. ნინოს სიტყვებმა გამოაფხიზლეს, სრულიად გაანაირაღეს კორნელი და მან არ იცოდა რა ეპასუხა ქალისათვის. თითქო ყველაფერი, რაც მან ნინოს უთხრა, თითიდან გამოწოვილი და წიგნებიდან ამოკრეფილი სიბრძნის ნაყოფი იყო, რომელიც რეალურ ქალთან — მაყაშვილთა ასულთან ბაასის ჟამს გაცამტვერდაო. კორნელი თავს დამარცხებულად გრძნობდა, იგი ნინოს გვერდით დარცხვენილი იჯდა. ბოლოს მორიდებით შეხედა.

გულხელდაკრეფილი ქალი ახლა მწუხარედ გასცქეროდა მტკვარს და მის წინაშე მარბენალი ჩქარი ტალღები, უხილავი ნიჩბების მოსმით, თითქო ნავების მსგავსად მიჰქრიანო. თავბრუ დაეხვა და ასე მოეჩვენა, თითქოს მტკვარი — ალმოსავლეთისაკენ, ხოლო ნაპირზე მჯდარი კორნელი და თვითონ კი — დასავლეთისაკენ მისცურავენო. ნინო მუხლისთავებს იდაყვებით დაეყრდნო, პეპლის ფრთასავით შუაზე ოღნავ შესამჩნევად გაყოფილი, ფართო და ორკაპი ნიკაპი ხელის გულებს დააბჯინა და დედამიწას დააცქერდა. იგი თავისი ბედიღბლის გამო ფიქრობდა. მაჯის სიმსხო, დაგრაგნილი ნაწნავები წინ — მკერდისაკენ გადაეკეთ და კალთაში ჩასცვენოდა, ისინი ცოცხალ არსებად ეჩვენენ კორნელის. წინ წახრილ ქალის ზურგს დააცქერდა. ნინოს კაბის ღილი გახსნოდა და ბეჭებს შორის, თეთრ ტანზე ბუსუსები უჩანდნენ. ასულის ბეჭები, ჩქარი სუნთქვის გამო, პატარა საბერველებივით მოძრაობდნენ. მთელი სხეული თანაბრად ირხეოდა, თითქო ქალი

დაილალა, ძილი ეკრძალა და, მართლაც, ნინო გრძელ წამწამთა სიმძიმით ნაბავდა თვალებს.

კორნელიმ ხორხი და უმანკო ასულის ტანის სურნელება იგრძნო, ქალს ხელი მოჰხვია. ქალმა ცრემლიანი თვალებით შემოხედა. თითქო ჰკვედრიდა: რაღა ხარ ასეთი უცნაური, გაგიცნობ კი ოდესმე სავსებითო?

ნინოს თვალები გოშბორის მთაზე ჩამოწოლილ უმთვარო ღამესავით შავი ჰქონდა. მაგრამ ოდნავ ძარღვიც თუ დაკვირდებოდა კაცი, მალე შენიშნავდა, რომ მისი თვალები ბნელს ჰკვანტავდნენ და იქიდან შუქთა ისრები მოქმართებოდნენ, თითქოს იდარა და ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენო. ამიტომ ნინოს თვალები ორმაგ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ: ილინოი, ერთსა და იმავე დროს, კაეშნით მიბნედილი, შავი, უძირო და უსახო იყვნენ და თანაც შუქიანი, მეტყველი და საზრიანი, ღიმილის დროს ოდნავ ეხუჭებოდნენ და მაშინ ქალი მზეზე განაბულ ძე ვეფხვსა ჰგავდა. არც სახე ჰქონდა ნინოსა, ერთი შეხედვით, ლამაზი: ყვრიმალის ძვალი — ფართო და მონდოლივით ოდნავ ამობორცვილი, ხოლო ბაგე — დიდი და მსუქანი. მაგრამ მისი ბაგეების ბოლოებში უმანკო ბავშვის ღიმილი თამაშობდა. ნიკაპზე და ორთავ ლოყაზე დამჯდარი ნაჭდობი — ფოსოები თავისთავად იღიმებოდნენ და თვალს ჰხიბლავდნენ. შუაზე გაყოფილი, მუქწაბლისფერ-თმა, მაღალსა და ფიქალ შუბლზე მერცხალივით გაფრენილი წარბები კი იმდენ სიტურფეს, ქართულ ეშხსა და პატიოსნებას ჰფენდნენ სახეზე, რომ ეს ქალი კორნელის „წმინდა ნინოსა“ ხატს მოაგონებდა, თითქო კაბადოკიიდან მოსული მარადქალწული, საქართველოს დედაქალაქში, მაღალი მთის წინაშე, მჭკვარის პირას დრო-ჟამის გამო გამოქარულ და გამოფიტულ, ნიავარდისფრო ფილაქვაზე ჩამომჯდარაო.

კორნელიმ ქალს პატარა და ნაზი ხელი შეჰყრო, ზედაზე აკოცა და უთხრა:

— ნეტავ იცოდეთ, რა ძვირფასი ხართ თქვენ ჩემთვის! ნეტავ იცოდეთ, რა მსხვერპლის გაღება შემიძლია თქვენს გამო! მე მხოლოდ თქვენი ბედნიერება მსურს. მე ისე ძლიერ მიყვარხართ თქვენ, რომ არ შემიძლია არაგულწრფელი ვიყო და მოგაყენოთ ტანჯვა და ტკივილი. როგორც ვთქვი, მეე

ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს. შესაძლოა, თქვენი სიყვარულის ღირსი არც კი ვიყო. მე ხშირად ყველასგან მეეჭვება...

რაც უფრო შავის ფერებით ხატავდა კორნელი თავის თავს, მით უფრო იზრდებოდა ქალის. ნინო ეფლო უცნაურ ადამიანად ეჩვენებოდა კორნელი და ძალიან ეხალისებოდა იგი. ნინომ ჰკითხა:

— ნეტავ ვიცოდე, რამ შეგაყვარათ ყველაფერი?

ამის შემდეგ კორნელის შეძენილი ცოდნა, წაკითხული და ნაფიქრის გადმოლაგების საშუალება მიეცა და მან ეს გაკეთა არა ერთგვარი თავმომწონეობისა და არტისტიზმის გარეშე, როგორც ეს ხელოვნებით გატაცებულ ჭაბუკებს მიჩნეოდათ საუბრის დროს ხშირათ.

— თქვენ ზედმეტად გართული ხართ საკუთარი პიროვნებით, — შენიშნა ნინომ.

კორნელის გაეკვირდა და მიუგო:

— ადამიანები ეცნობიან ერთმანეთს და თავის საკუთარ მეობასაც მხოლოდ დიდი ხნისა და ბჭირო კვლევის მერმე. რაც უფრო გეცნობით, მით უფრო ვრწმუნდები, რომ თქვენ სიწმობლის, ოჯახისა და მშობელი კერის ნოსტალგიური, ნაზი ქართველი ქალი ხართ... მე კი, თუმცა ამშობლო მიყვარს, ხალხში და ოჯახში გათქვეფა მეშინია. ამიტომ ბევრ ღლმობელია ჩემს მიმართ...

ნინო ერთბაშად შემობრუნდა, კორნელის შეხედა და გაოცდა:

შუაზე გაყოფილი შავი, გიშრისფერი, ოდნავ ხუჭუჭა თმა ნაკვს მიმოეშალა და კორნელის შუბლს ზემოთ რქებივით აჰყროდა. მაღალი და ოდნავ კეხიანი ცხვირის ნესტოები გაბეროდნენ და უთრთოდნენ, ბაგენი მოკუმა და ზედ დამცინავი ღიმილი უთამაშებდა. ნიკაპი თითქო გაზრდოდა. წარბი მაღლა ასხლტოდა და იქიდან თვალი ისეთის ძალით და შუქით ანათებდა, გეგონებოდათ ცხრამთას იქით მიწურულ ცის დასავალს წვდება და ყოველ წვრილმანსაც კი ამჩნევსო.

ნინოს ტანში ეაჟრჟოლა, თავი გაჰკვდა. გაფითრდა და თავბრუ დაესხა.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა კორნელიმ და ხელი მოჰხვია.

ნინომ აჰხედა. ახლა კორნელის ჩვეულებრივი, მშვიდი,

კეთილი, მუდარით სავსე სახე ჰქონდა. ქალმა განიერსა და კუნთმაგარ მკერდზე მიაყრდნო თავი და ჩუმად უთხრა:

— რაღაც ცუდი მეჩვენა, თითქო ჩემს გვერდით თქვენ კი არა, დემონი იჯდა.

— ფუი, ეშმაკს! ჩემში არაფერი დემონური არ არსებობს. მე სიკეთე, სიყვარული მწყურია, მინდა ახლო ვიყო ადამიანებთან, გავიგო მათი ავი და კარგი. ვემსახურო პატიოსნად ჩემს ხალხს, — მიუგო კორნელიმ.

ქანცმილეულ ქალს ბალახებში ჩავარდნილი ხელიდან მარაო გამოსტაცა, გაშალა და სახესთან დაუქროლა.

ქალს იამა. თვალები განაბა და გაუღიმა.

ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ

განშორებისა საათმა დაჰკრა.

Სიმღერა.

1

კორნელი ოც ივნისს მაყაშვილებს ესტუმრა. ვარდოს, ნინოსა და გამდელის გარდა, შინ ელო და მიხაც იყვნენ. ელო ქვიშხეთში მიჰყავდა ვარდოს. მიხა კი, რადგან ოპერის თეატრში დეკორატორად მუშაობდა, ქალაქში უნდა დარჩენილიყო.

მაყაშვილები შუშაბანდიან ივანზე ისხდნენ და ჩაის მირთმევდნენ. ივნის ფანჯრები ღია იყო და ბაღში ალვის ხეები სჩანდნენ. თბილისში ისევ საშინლად ცხელოდა. დახუთული ჰაერი ჩამდგარიყო. ხეზე ფოთოლი არ ირხეოდა.

ბარგი სადგურში გაეგზავნა ვარდოს. ევტიხი და შურა გაეყოლებინა. შინ თვითონ დიასახლისობდა. კორნელის ახლა ჩაის უსხამდა. ნინომ თხოვა: კორნელის კაკლის მურაბა გაესინჯინეთო. ესტატეს მოსვლას ელოდნენ.

ჩაის შემდეგ, ნინო, ელო, მიხა და კორნელი, სასტუმროზე გავლით, ნინოს ოთახში შევიდნენ. იატაკიდან აღებული და კედლიდან ჩამოსხნილი დაგორგლებული ნოხები და ხალიჩები სასტუმროს ერთ კუთხეში ეწყო. ავეჯისათვის — რო-

იალისა და სავარძლებისათვის პერანგები ჩაეცვათ. სურათებისა და ჭაღებისათვის კი მარმაში შემოეხვიათ, რათა მწერებს არ წაებილწათ. ოთახებში ნავთალინის უსიამო სუნი იდგა.

ელო და ნინო ტახტზე დასხდნენ. კორნელი ნინოს გვერდით მოთავსდა, ხოლო მიხა ცოლის ფერხთით, პირდაპირ იატაკზე გაიშხლართა. ქალებს გული წყდებოდათ, ქალაქს, მეგობრებს რომ სტოვებდნენ და სანტიმენტალურ განწყობილებაზე იყვნენ.

— ყოველ კვირას ქვიშხეთში უნდა ჩამოვიდე. უშენოდ ქალაქში რა გამაძლებინებს! — ძილმორეული და ნებიერი ბავშვივით უჩიოდა ცოლს ბედნიერი ქმარი — მიხა.

— საცოდავი, უჩემოდ რა ეშველება! — დაცინვით მოიჩლიქა ენა ელომ, თმაში ხელი წაავლო და მოჰქაჩა.

— ვაი, ვაი! — დაიძახა მიხამ და ცოლს ფეხებზე უფრო მაგრა მოეხვია.

ელო და ნინო მორიდებული, მორცხვი, აზიზი ქალები იყვნენ და რასაც ახლა სჩადიოდნენ, სხვა დროს არ ჩაიდენდნენ. ელომ გაიცინა, კორნელის შეხედა და უთხრა:

— მე ამის იმედი არ მაქვს. აბა, თქვენ იცით, უჩვენოთ თბილისში თუ არ იცულლუტებთ!

კორნელის მარგარიტა მოაგონდა, დაირცხვინა და თავი ჩაჰკიდა. ნინოს შეეცოდა და გაუღიმა. კორნელიმ ხელზე აკოცა. ნინო ელოს მოერიდა, ხელის წართმევა დააპირა, მაგრამ კორნელიმ არ ვაუშვა და ახლა ხელში ნინოს პატარა ნეკიღა შერჩა. ელოს კალთიდან მიხამ ცალი თვალით შეხედა ბატ. კორნელის გულაჩუყებული და ისევ ძილმორეული, ნებიერი ბავშვის მსგავსად უთხრა:

— ლატომ ნინოს შენც კალთაში თავს არ ჩაუდებ! ესენი ქვიშხეთში სულ ბალე წავლენ. მოდი, მანამდე ასე დავიძინოთ.

— შენ კი მომიკვდი! — დაიძახა ელომ და თავში ჩააფარა მაჭანკლობის მოყვარულ და გაქექილ ქმარს, რომელმაც ბავშვსავით ლაპარაკში ნინოს წაჰბაძა.

ამ დროს ნინოს ფეხზე ოქრომკედით მოქარგული წითელი ქოში გაძვრა. ქალს პატარა შიშველი ფეხი, ვარდისფერი, საამო ტერფი და ვიწრო ქუსლი გამოუჩნდა. ლამაზ თითებზე,

ფრჩხილების მაგიერ, თითქო ვარდის წითელი ფურცელი დაჰფენიათ. კორნელიმ ქოში აიღო და ნინოს მიაწოდა.

ცოტა ხნის ნერვე ოთახში გამდელი შემოვიდა. ტახტზე წამოწოლილი ქალები და ჭაბუკები.რომ დაინახა, — შესძახა:

— როგორ მტრედებივით დამჯდარხართ და არხეინად ღუღუნებთ! ეტლი უკვე მოვიდა.

2

მაყაშვილები პირველი კლასის ვაგონში მოთავსდნენ. ევტიხი და შურა კი მატარებლის ბოლოს — მესამე კლასში.

პირველი ზარი დაჰკრეს. გამცილებლები მგზავრებს დაემშვიდობნენ და ვაგონებიდან ჩამოვიდნენ. კორნელი და ნინო ვაგონის უკანა ბაქანზე მარტონი იდგნენ. ისინი განაბულიყვნენ და ერთმანეთს თვალში ისე მოჯადოებულივით მისჩერებოდნენ, რომ ეტყობოდათ, უსიტყვოდაც კარგად ახერხებდნენ საუბარსა და ერთმანეთისათვის გულისთქმის გაცხადებას.

მეორე ზარი დარეკეს. ნინო შეკრთა. კორნელის ხელზე ხელი მოუჭირა და ჰკითხა:

— ქვიშხეთში ჩამოხვალთ?

— უთუოდ, — მიუგო კორნელიმ.

მატარებელი დაიძრა. ნინომ ისეთი კაეშნიანი თვალებით შეხედა კორნელის, თითქო ჰყვედრიდა: ხომ ხედავ, როგორ მიყვარხარ და რად მტანჯავო? კორნელიმ ხელზე აკოცა, მერმე ქალის ხელი ლოყაზე მიიდო და წასვლა დააპირა, მაგრამ ნინომ მუდარით შეხედა და არ გაუშვა. მაშინ კი კორნელი დაიხარა და ქალს შუბლზე აკოცა. მატარებელი მიდიოდა და ნინომ, რატომღაც გაიფიქრა, თითქო სამუდამოდ სტოვებდა კორნელის, თბილისს. სახეზე წუხილი აღებეჭდა და თვალზე ცრემლი მოადგა. მერმე, უეცრად, კორნელის წელზე მოჰხვია ხელი, თავი მკერდზე მიადო და უსურვაზივით მოეხვია, კორნელის ნეტარების გამო სუნთქვა შეუწყდა. ხმა ვერ გასცა. ტანზე შემოხვეული ქალი გულში ჩაიკრა, მკლავების სალტეში მოაქცია. იმწამსვე თავში უცნაურმა ფიქრმა გაუელვა: ვაგონიდან გადაეხტები და ნინოს გავიტაცებო. რა წამს ეს გაიფიქრა, ვარდოს შეშფოთებული ძახილი შემოესმა:

— ნინო სად არის? ნინო!

კორნელი შეკრთა. ქალს თავი ატყუა, ცრემლიან თვალებში ჩახედა და მუდარით გახსნილ ტუჩებზე მაკრა აკოცა.

ვაგონში ისევ ვარდოს შეწფოთებული ძახილი გაისმა.

კორნელიმ ნინოს ხელი უშვა, ვაგონის კარებს მიაწყდა, მოიხედა და ქალს მიაძახა:

— ნახვამდის, ნინო, ნახვამდის! –

კიბე ჩაირბინა და გაქანებულ მატარებლიდან გადახტა.

კორნელი შეჩერდა და ვაგონებს თვალი გააყოლა. ჯანასკნელი ვაგონის ფანჯარაში გამოყოფილი ევტიხის წითური თავი და შურა დაინახა. მზარეულმა ყველის ვაჭარივით გაუცინა, ხელი დაუქნია და გადმოსძახა:

— მშვიდობით, კორნელი, გენაცვალე სულში!

8

კორნელი და მიხა ქალაქისაკენ დაღონებული წამოვიდნენ. დათა და ელენე, ორი დღის წინათ, ბორჯომში საავარაკოდ გაემგზავრნენ და ახლა კორნელი შინ მარტო დარჩა. ვაგონის ბაქანზე ნინოსთან გამომშვიდობება აგონდებოდა და მოზღვავებული გრძნობა გულში აღარ ეტეოდა.

მიხას მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა:

— იცი, ისეთ ვუნებაზე ვარ, მინდა რაღაც ჩავიდინო. მინდა ვიყვირო, გავიქცე, მთაზე ავირბინო, ვინმეს დავეტაკო, ან აი, ეს ხე ძირფესვიანად ამოვგლიჯო.

— „მიჯნური შმაესა გვიქვიან არაბულსა ენითა", — მიუგო მიხამ, უსიამოდ გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

ისინი ვერის ხიდთან დიდი ხეებით დაშვენებულ საჯაფხულო ბაღს მიუახლოვდნენ.

მიხა კორნელის არ მოეშვა და ისინი ბაღში შევიდნენ. ხევანში გაისეირნეს. მოსეირნე ხალხში, მარგარიტა ლეტიცი და ქეთო მაღალაშვილი დაინახეს. კორნელი შეკრთა და მიხას უთხრა:

— ოუ ძმა ხარ, თავი გაანებე მათ.

— ვა, რატომ? კავალრები არ ახლავთ, — მიუგო მიხამ და ქალებისაკენ წავიდა.

კორნელი ხის ქვეშ ჩრდილში დაიმალა. მარგარიტა მიხას მიესალმა, გაუღიმა და ჰკითხა:

— კორნელი სად არის?

— აქ გახლავთ, — მიუგო მიხამ და ქალები კორნელისაკენ წაიყვანა.

— რად იმალებით? — შესძახა გახარებულმა მარგარიტამ კორნელის. მიხამ რესტორნისაკენ გაიხედა და ქალები ვახშამზე მიიპატიჟა.

კორნელი და მიხა ღვინოს სვამდნენ და მარგარიტას და ქეთოსაც აძალებდნენ. მარგარიტამ შეიტყო, კორნელიმ და მიხამ მაყაშვილები ქვიშხეთში რომ გააცილეს. დამცინავად გაიღიმა და კორნელის უთხრა:

— ახლა კი მესმის, თუ რისთვის ხართ თქვენ უგუნებოდ. გაგიფრინდათ სამოთხის ჩიტი? არა გრცხვენიათ: სატრფო ქვიშხეთში გაისტუმრეთ, თქვენ კი ქალებთან რესტორანში ქეიფობთ! აი, როგორი სიყვარული გცოდნიათ თქვენ! აი, როგორ ატყუებთ თურმე ქალებს! — მარგარიტამ თითი ასწია და კორნელის დაემუქრა. — ეს თქვენ არ შეგრჩებათ!

— მერმე რა, ქალებთან რესტორანში რომ პურსა ვჭამ?! თქვენ ხომ ქმარშვილიანი, პატიოსანი მანდილოსნები ბრძანდებით! — შენიშნა კორნელიმ.

ქეთომ ყელი მოიღერა და ნუშისმაგვარი მოგრძო თვალები კორნელის გაოცებით მიაპყრო. კორნელიმ ღიმილით უთხრა:

— მე იმისი თქმა მინდოდა: პატიოსან ქალებთან ვქეიფობ-მეთქი.

— გაჩუმდით. თქვენ მთვრალი ხართ, — დატუქსა მარგარიტამ. თვალები შეანათა და მკლავზე უჩქმიტა.

კორნელიმ ხელი დაუჭირა. ფრჩხილებზე დახედა და უთხრა:

— როგორი ბასრი კლანჭები გქონიათ!

მარგარიტას პატარა ხელი ჰქონდა. მანიკურისმკეთებელ ქალს მისი ფრჩხილები ისე შეეღება, თითქო სისხლში შეუსვრიაო.

როდესაც შეზარხოშებული კომპანია ბაღიდან გამოვიდა და გერის ხიდს მიუახლოვდა, მიხამ პარკი უჩვენა კორნელის და უთხრა:

— რესტორნიდან ლიქიორი და შოკოლადი წამოვიღე. მოდი, შენსა წავიდეთ, ქალები თანახმა არიან.

რაღა გზა იყო. კორნელი დასთანხმდა და ქალები შინ მიიპატიჟა.

ელექტრონის დენი არ იყო და ოთახში ლამპა აანთო. მერმე ფანჯარა გამოაღო. მალე მტკვარზე ნიავმა დაუბერა და ოთახში სიგრილე შემოიჭრა. კორნელიმ პატარა მაგიდიდან წიგნები აალაგა და მაგიდა შუა ოთახში დადგა. მერმე კარადიდან ჭიქები, თეფშები და ხელსახოცები გამოიტანა.

— კორნელი, რა საპაემანო, საიდუმლო, კარგი ოთახი გქონიათ! — უთხრა მარგარიტამ.

ქეთოს გაუკვირდა:

— ღმერთო ჩემო, ამ თავის ქალას რად აჩერებთ ოთახში?

— რომ მუდამ გვახსოვდეს, რანი ვართ და რა მოგველის.

— აუ, რამდენი წიგნებია! ნუთუ ყველა ეს წიგნი წაკითხული გაქვთ? — ისევ გაუკვირდა ქეთოს.

— მეჯავრება წიგნებით გაოგნებული კაცი, — ამრეზით გაიკბა მარგარიტამ.

კორნელი მაშინვე მიხვდა, მარგარიტა რომ თავის ქმარს, მასწავლებელს და ზოგიერთ მის კოლეგას ჰგულისხმობდა. ქალი ფანჯარასთან მივიდა და მტკვარს გაჰხედა.

ამ დროს მიხამ ლიქიორი ჭიქებში ჩაასხა და ფანჯარასთან მდგარი ქალები სუფრაზე მიიპატიჟა.

ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. მიხამ ჭიქა ასწია და მარგარიტა და ქეთო ადღეგრძელა:

За милых женщин,
прелестных женщин,
любивших нас,
хотя бы час!

სტუმრებმა გადაიხარხარეს, ლიქიორი გადაჰკრეს და ზედ შოკოლადი დააყოლეს. ლიქიორის ბოთლი მალე დაიცალა, მიხა და ქეთო ტახტზე წამოწვნენ, ხოლო მარგარიტა კი რკინის საწოლზე გაიშხლართა. მარგარიტამ ხელი მიიდო შუბლზე, ამოიოხრა და კორნელის უთხრა:

— ო, როგორ მტივა თავი. მოდით, ოქ დაჯექით! თქვენ სულ დამივიწყეთ. აღიარეთ, რომ თქვენ მე გეზიზღებით.

— საიდან მოიტანეთ?

— თქვენ ჩემი გეშინიათ და ამიტომაც გამირბით.

— მე თქვენი მეშინია?

— დიახ, გეშინიათ, ჩემო შევარდენო! — მიუგო პარგარიტამ. ხელები მოჰხვია, სახეზე დასვა, მისი სახე მოიახლოვა და თვალებში ჩაჰხედა.

— უკვე დრო არის, სოლომონ რომა, შთაბეჭდო ლამპას უკვდავი სული! — დაუძახა მიხამ კორნელის.

კორნელი არ განძრეულა. მაშინ მიხა წამოდგა და ლამპა ჩააქრო. ოთახი წყვდიადმა მოიცვა...

ქიმერიონი

„მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რაჲთუ არა სთესენ არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ“...

სახარება მათესი, თ. 6,27.

1

სტამბაში სამსახურით დაღლილმა, ცხოვრებაზე და ადამიანებზე აღრენილმა და მშიერმა კორნელიმ გირვანქანახევარი შავი და ქატო-ნარევი პური აიღო, ქალაქში გაახვია და რუსთაველის პროსპექტზე, დრამატიული თეატრის ქვეშ, რესტორანში — „ქიმერიონში“ ჩავიდა. სარდაფში ჩასასვლელი კიბე, დერეფანი და დარბაზი უცნაურად იყო მოხატული. კიბეზე ჩასვლისას კედლები, უთუოდ, თქვენს ყურადღებას მოიპყრობდა. ერთზე პოეტი პლატონ მოგველაძე ეხატა, რომაელი პატრიციასა და მოწყენილი დენდის სახით. იქვე, მშვენიერ ბანოვანთა შორის, ბაღში მოსეირნე პოეტი რაფაელი. მეორე კედელზე — ორთაჭალის ბაღში მოქეიფე კინტოები, ისინი დაფა-ბურნაზე ჭეიფობდნენ და მოლზე გაშლილ სუფრას — მწვანილს, კიტრსა და მწვადებს შეექცეოდნენ. ერთს ცოცხალ ჭანარისათვის თავში ხელი წაევლო, ლაჯებში გამოეჩრა და მდინარეზე გადმომდგარ ქალებს უჩვენებდა. დარბაზში შესასვლელი კარების თავზე უზუნდარის მოცეკვავე „აზიის კახპა“ ეხატა, აღმოსავლური ვნება-ჭურუშისაგან მიბნიდილი შაღი თვალებით. დარბაზი კი კუბისტური ფუტუ-

რისტული, გაუგებარი სურათებით იყო მორთული; ზოგან ქალი ობობა, ქალი — ვამპირი, ქალი — როსკოპი, გადამთვრალ მენადებზე ადევნებული სატირები, ძუძუგაშიშვლებულ ქალთა და კაცთა ქეიფი და სქესობრივი შაბაში ეხატა. „ქიმერიონის“ კედლები, სვეტები და ფანჯრები მემარცხენე ლიტერატურული კორპორაციის მეთაურთა - პლატონის და რაფაელის გემოვნების მიხედვით იყო გაფორმებული.

კორნელის მობეზრებული ჰქონდა ჭკუანაღრძობი მხატვრების ეს დეკადენტური და გაუგებარი სურათები და, რადგან ეხლა ძალიან მშიერიც იყო, ყურადღება არ მიუქცევია. აქ ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის: კედლები, სვეტები, ფანჯრები, რომლებზედაც ლაშებდაღრენილ და რქიან ეშმაკთა ჩრდილები რიალებდნენ, პერანგჩაცმული კანკელი, გაჯვათლებული და გაცრეცილი დიდი პალმა, ბუფეტი, ბუფეტის გამგე — ონისიმე ომიაძე და ოფიციანტები, ყველაფერი — სამზადში გამოჭრილი პატარა ფანჯრები, საიდანაც ჭუჭყიან ტანაცმელში და ძირგაგდებულ წუღებში გამოწყობილ ოფიციანტებს დამზადებული სადილის კერძები და ულუფები მოჰქონდათ.

კორნელის ზემოიმერელი ვილაც ჭაბუკი ოფიციანტი, პოკია ქათამაძე, დაუმეგობრდა; იგი სრულიად არ შეეფერებოდა დეკადენტურად მორთულ და მოკაზმულ ამ რესტორანს, პოკია ათას კაცში იცნობდა და შეამჩნევდა კორნელის, გუდამებდა, სალამს მისცემდა და თვალით ანიშნებდა: ცოტა ხანს კიდევ გაუძელ შიმშილს და მერმე მეც შენთან გავჩნდებიო.

კორნელი პატარა მაგიდასთან იჯდა. სუფრაზე თითებს ნერვიულად ათამაშებდა და კუჭში შიმშილის სინძილა უვლიდა. დიდხანს ელოდა პოკიას. მერმე ლოდინი ვეღარ აიტანა და მაგიდას მუშტი დასცხო; პოკიამ ჭოჩორა მამალსავით თავი აწია და სამზადის კარებიდან გადმოსძახა: ეხლავესო.. ხშირად კორნელის ლოდინს საზღვარი არ ჰქონდა და მაშინ კორნელის და პოკიას შეხვედრა ლანძღვა-გინებით თავდებოდა. მაგრამ წვნიანის მირთმევის შემდეგ, კორნელი უკეთეს გუნებაზე დგებოდა. ეს კარგად იცოდა პოკიამ. ამიტომ, პირველს როგორმე მალე მიურბენინებდა, მერმე კი ისევ დიდხანს აცდევინებდა. აი ეხლაც, წვნიანის დახურებას შემდეგ,

ჯორნელის ბრაზმა, ადამიანების მიმართ ზიზღმა გაუარა და პოკიას შეგვიანებაც არად მიიჩნია. კორნელი და პოკია ალერსიანად შეხვდნენ ერთმანეთს:

— მეორეს რას მიირთმევთ? — ჰკითხა პოკიამ.

— რა გაქვთ?

— ლობიო, მაკარონი, კათლეთი და ბიშტეკი.

„ბიშტეკზე“ კორნელის გაეცინა და უთხრა:

— ბიფშტექსი ძველი ხორცისგან იქნება!

— არ გირჩევთ.

— მაშ, ისევ ლობიო მოიტანე.

— ეხლავეს, — მიუგო პოკიამ. ცალფეხზე, მაყაშვილთა მზარეულის — ევტიხისაებრ ოსტატურად შეტრიალდა, თითქო ლეკურ-ბუქნის დავლას აპირებსო და მერმე სამზადისაკენ გაიქცა.

— ერთი ბოთლი ლიმონათიც, — მიაძახა კორნელიმ და ფული გადათვალა.

დღეს ჯიბეზე ცოტა ფული ჰქონდა. ეშინოდა, ვაი თუ სადილისათვის არ მეყოსო. ასე შავად წავიდა კორნელის საქმე. „ხვალიდან ისევ ფულის ძებნას უნდა შევუდგე. დაიწყება დამცირება და წამებით სავსე დღეები“, — გაიფიქრა კორნელიმ. გუშინაც მარტო პური მიირთვა და ზედ ცივი წყალი დააყოლა. პოკია, ევტიხი და სხვებიც კი ფიქრობდნენ: კორნელი კაცია ქვეყანაზე და ქუდიც მას ჰხურავსო. გარედანაც არც თუ ისე ეტყობოდა კორნელის გაჭირვება, სიღატაკე და შიმშილი. პირიქით, უფულობის დროს, მარტო პურზე გადაივლიდა, წვერს შინ გაიპარსავდა, ძველ პიჯაკს და შარვალსაც დააუთოვებდა, ჰალსტუკს გაიკეთებდა და უკან ხელებშეწყობილი, პროსპექტზე ისე არხეინად და უზრუნველად გაივლიდა, თითქო აზოვისა და დონის ბანკში პირად ანგარიშზე, მილიონები ჰქონოდეს. მაგრამ, როდესაც რესტორანში მაგიდაზე მუშტს ბრაზმორეული დაარტყამდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ცხელი საჭმელის ოხშივარში და სურნელში გახვეულს, მეტის ატანა და სადილის მოლოდინი აღარ შეეძლო. ხშირად სადილიდან მეორე დღის სადილამდე არაფერს არ სჭამდა, და ეს რომ პოკიას სცოდნოდა, ალბათ, ამდენს არ ალოდინებდა. ვინ რა იცის, მშიერი და აღრენილი კაცისთვის, რესტორანში სადილის მოლოდინი რა ტანჯვაა! მერმე

რა გვიან უთავდება კორნელის სამსახური! მისი განყოფილების გამგე — რეგვენი გაბრიელ გაბრიჩიძე სალამომდე დაწესებულებაში ზის, ჩხირკედელაობს და მასაც აწვალებს. „როდის გათავდება ეს დაუსრულებელი თათბირები, სხდომები და ადამიანის გამათახსირებელი კრებები? დასწყევლოს ღმერთმა!“ — იტყოდა ხოლმე კორნელი და სამსახურიდან დაქანცული, მშიერი და აღრენილი გამოვიდოდა, არაფრის ხალისი არ ჰქონდა. იშრიტებოდნენ მისი სასიცოცხლო ძალები და, მაღალ იდეისაკენ სწრაფვის ნაცვლად, მისი ცნობიერება ჩვეულებრივ, წვრილმან და ადამიანის დამამცირებელ მოვლენებს და საგნებს დასტრიალებდა. გონება და გრძნობაც უჩლუნგდებოდა. უვარგისი საჭმლით დღეში ერთხელ სტომაქს ერთბაშად ავსება გულის აჩქარებულ ძგერას იწვევდა. მაშინ სახსრებში და მუხლებში კორნელი რაღაც უსიამო სიმძიმეს გრძნობდა და ძაბუნდებოდა. ღერძზე აღმატრიალს და „ჩერცხალს“ კი არა, უბრალო ამართსაც ვერ გააკეთებდა და მის სახეზე შთაგონების და აზრის ნიშანწყალიც კი ქრებოდა. მის ჭკვიან, ლამაზ და ბასრ თვალებს შუქი ეკარგებოდა, ძალი ეკიდებოდა და უაზროდ უშტერდებოდა. „ინსპექციაში რეგისტრატორად თუ ვიმსახურე, გამოჩერჩეტებული ჩემი გამგის — გაბრიელ გაბრიჩიძის მსგავსად ბუასილი, სკლეროზი ან ნაადრევი სიბერე შემეყრება. რა ვუყოთ, რომ ჭაბუკი ვარ! განა რახიტული, გულმანკიანი, სკლეროზიანი და უხანოდ დაბერებული ბავშვები არ არსებობენ ამა ქვეყნად?!“ — მწარედ ფიქრობდა კორნელი.

ნასადილევს ერთი საათით მაინც უნდა დაეძინა, რომ ძალა მოეკრიბა და კაცს დამსგავსებოდა. მერმე პირს დაიბანდა, ჩაიცმევდა და რუსთაველის პროსპექტისაკენ დინჯად გასწევდა. აქ ჭორიკანა, ანეგდოტების მოყვარული ჩერჩეტები: გაკოტრებული ვაჭრები, სპეკულიანტები, უსაქმო თავადები, ჯარის გარეშე დარჩენილი ოფიცრები, სტუდენტები, პოეტები, მსახიობები და საეჭვო პირები დაუხვდებოდნენ.

უსაქმო, მშიერი თავადების ოხუნჯობის და ლაყბობის მოსმენა ყველაზე უფრო უყვარდა კორნელის.

— კოწია, ხვალ ქორწილში ვარ დაპატიჟებული, იქ დიდი ჭამა-სმა იქნება და შენი ჩაჯენილი კბილები მათხოვე, — ეტ-

ყოდა მაღალს, ეშმაკსავით ჭრაბაძგიბულ, ჩოხიან აზნაურს — კოწია ჩხეიძეს, ზეწოიშერელიე აზნაური კოკინა კიკნაძე, პატარა, ჩია, ქონდრის კაცი.

— გათხოვებდი, მაგრამ, ამ ბოლო დროს, ჩონჩორკის ჭამა დაგიწყია და, მეშინია, არ წამიბილწო, — შიუგებდა კოწია ჩხეიძე ნიშნებაყრილ, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ ნაოფიცრალ კაცუნას.

მშიერი, გამხდარი, აყლაყუდა და კაფანდარა თავადები ერთმანეთს შეხედავდნენ და ხმამაღლა გადაიხარხარებდნენ. მერმე დასუსტებულნი ოთხად მოიკეცებოდნენ, ხვს მიაწვებოდნენ და ნაპირგადასულ სიცილისაგან არაქათგამოცლილნი ძლივსღა იძახდნენ:

— ოხ, რა უთხრა, რა უთხრა ეს, ამ შეჩვენებულმა! ოხრად არ აჭამა! თავადები სიცილს რომ მორჩებოდნენ, იხტიბარგატეხილი კოკინია ისევ დაიწყებდა:

— მასხრობა იქით იყოს და, გუშინ მართლაც დიდებულ ვახშამზე ვიყავი თამადად. ვახშმის ბოლოს, უზარმაზარი ყანწი დავცალე. შიგ ორი ბოთლი მაინც ჩავიდოდა. დავცალე და ღვინის სმაში განთქმულ აქვსენტი ფალავას და პოჭინა მიქელაძეს გადავულოცე. იცოცხლე, მე ისინი ვასლოკინე და ვასლოკინე-ყე!

კოწია ჩხეიძე ისევ დამცინავად გადახედავდა ცდისოდენა კოკინია კიკნაძეს და ჰკითხავდა:

— ვახშმის ბოლოს თუ ორი ბოთლი დალიე, მანამდე ხომ ერთი ან ორი ბოთლიც გექნებოდა დალეული?

— ოთხზე მეტიც.

— მერე. შე ოჯახაშენებულო, ექვსი ბოთლი დაგილევია და სად ჩაგეტეოდა, არ ვიცი!

— დავლიე, კაცობრიობას გეფიცები.

— ბიჭო, კაცმა რომ ოთხში ამოგიღოს და მერე შენი ტყავი გაბეროს, იმ ტიკჭორაში ორი ბოთლიც არ ჩაეტევა და ექვს ბოთლს რანაირად დალევდი?! — ჰქირდავდა კოწია ჩხეიძე.

ეხლა ამაზე აიტეხდნენ სიცილს თავადები. შუაღამე რომ მოაღწევდა, ვახშმის მოლოდინით მოთმინებიდან გამოსული კოკინია სარდაფში მოთავსებულ რესტორანს — „ქიმერიონს"

მიადგებოდა, შიგ ჩაიხედავდა და მერმე ასევე თავადებთან ივლიდა და ხმამაღლა ეტყოდა:

— მასხროპა იქით იყოს, ბიძია. თუ ვინმე რამეს აპირობს, ჯიბეში ფული უჭყავის და ჩვენს დაპატიჟებას იკისრებს, რესტორანი აგერ აირის და ბარემ შიგ ჩაგვასხიალოს, თორემ ღუალმე გადავიდა და რალას უცდის არ ვიცი!

თავადები სდუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ — კოკონიას ჩანგალზე თუ ვინმე წამოეგებაო: კოკონია თავადებს შესძახებდა:

— რამ დაგადუმათ? რა ალის ქარი ჩაგვარდათ მუცელში! ენა ხომ არ გადაგიყლაპავთ! თქვათ, ვის რამდენი მოგეცვათ? ასე რამ წაგახდინათ, გაგაკოტრათ და გაგაძუნწათ! ჩაყავით ჯიბეში ხელი. ნუ გეშინიათ, ჯიბეში მორიელი ხომ არ გეზით?

მაგრამ გალურსული თავადები არ იძროდნენ და ღამის სამ საათამდე სდუმდნენ და ჩანგალზე წამოსაგებს უთვალთვალებდნენ. ღრეობა რომ მოატანდა, პროსპექტზე პოჭინია მიქელაძე გამოჩნდებოდა. ვახშამზე წაწყდომას მონატრებული, სირბილს გამო არაჭათგამოცლილი, და მკერდჩავარდნილი შუა ხნის კაცი ულვაშებში ჩაიცინებდა და მერმე. თითქო თავადებ ვერ შეეძჩნიეო, თავს გვერდზე მიიქცევდა და ჩქარი ნაბიჯით ჩაივლიდა. კოწია ჩხეიძე მიაძახებდა:

— ბიჭო, პოჭინია! სად დაძვრები ამ ღამ-ღამე? სახლკარი ხომ აღ დაგწვა, დილამდე შენ რომ არ მიდიხარ?

პოჭინია მიქელაძე შორი-ახლოს გაჩერდებოდა, დოინჯს შემოიდგამდა და დინჯად მიუგებდა:

— შინ მივდივ, თორემ მე ვიცი, ჩემჩოკიანი პოვრები დამიხვდება! ისევ სიცილ-ხარხარი ატყდებოდა:

არც სხვა ხის ძირას გაჩერებულ პირთა შორის იყო ამაზე ჭკვიანი და საქმიანი საუბარი.

ლაყბობით ტკბობალაყებული, მშიერი და დაღლილი კორნელი შინ გვიან მივიდოდა. ასე ატარებდა იგი თბილისში დროს. ახლა მწარედ ფიქრობდა: „ხალხს მეც კაცი ვგონივარ. ხალხმა ისიც იცის. მე რომ სტუდენტი ვარ და თანაც გადასახადთა ინსპექციაში ვმსახურობ. საიდან დაასკვნიან ჩემი ნაცნობები. რომ ჩანებული ექიმის შვილს და განთქმული

დოსტაქრის ძმას, კორნელი მხეიძეს შიმშილით სული ძვრება და მას თვიური ჯამაგირი ათ დღესაც არა ჰყოფნის! მერე და, ყავარზე კუდის გადებას მაინც არ ვიყოთ ჩვეული მხეიძეები. რა იმედით ვაპირებ მაყაშვილთა სიძობას? როგორ ჩავიდე ქვიშხეთში, ნინოს სანახავად, ცარიელ-ტარიელი კაცი! მე შენ გეტყვი, ჯიბეზე ხელი არ გავიკრა და ნინო ბორჯომში არ დავპატიჟო, ან ეტლით აბასთუმნისკენ არ გავაქანო!“

ასე ფიქრობდა სასოწარკვეთილი ჭაბუკი, როდესაც „ქიმერიონში“ მხიარული კომპანია შემოლაგდა.

ბაქოდან ეხლახან ჩამოსული პლატონ მოგველაძე წინ მიდიოდა. უკან პოეტების ამალა მოჰყვებოდა.

პლატონს თეთრი პიჯაკი ეცვა და თავზე ჭილის ქუდი ეხურა — პანამა. იგი ამაყად გაჩერდა ბუფეტთან და ხალხს მედიდურად გადახედა, თითქო ბაქოდან კი არა, სინგაპურიდან, ინდოეთიდან ან ეგვიპტედან ჩამოსული ინგლისელი ყოფილიყოს. მას ისიც სჯეროდა, რომ ეს „შავი მასა“ და საცოდავი „კაცუნები“ მის პერსონას — იშვიათ, უცხო გმირსა და ადამიანს — მოწიწებით და თაყვანისცემით შესცქეროდნენ. მაგრამ დარბაზში მყოფი ადამიანების უმრავლესობა თავის სადილით და კერძით უფრო იყო გართული და მხოლოდ ზოგიერთმა და, მათ შორის კორნელიმაც, ასწია თავი და პლატონს შეხედა. პლატონმა კორნელი იცნო, პანამას ხელი შეახო და უგულისყურო, დაღლილი დენდივით ოდნავ ასწია.

კორნელი გაბრაზდა, რადგან იგი წამოდგა, პლატონს გაუღიმა და ასე დაუკრა თავი. პლატონმა კი ოდნავ შეახო პანამას ხელი და მედიდურად განზე გაიხედა. კორნელი დარცხვენილი დაჯდა და გაწითლდა. „ერთი თვე დედაჩემის სტუმარი ბრძანდებოდი, ვაჟბატონო. გასვით, გაჭამეთ და გაქეიფეთ, და ეხლა სალამის მოცემასაც აღარ კადრულობ? შხამად შეგერგოს დედაჩემის ამაგი“, — გაიფიქრა კორნელიმ. პლატონს და მის მეგობარ პოეტებს ზიზღით შეხედა.

იმ წამსვე პლატონთან რესტორნის გამგე — მსუქანი კაცი, ონისიმე ომიაძე მიძუნძულდა, სალამი მისცა, ფეხქვეშ გაეგო და კაბინეტში მიიპატიჟა. უმალვე ოფიციანტები აფუსფუსდნენ და მალე იმ კაბინეტში, რომელშიაც პოეტები შევიდნენ, ღვინო, სასმელები და შესანიშნავი საუზმე შეიტანეს. კორ-

ნელი გაოცდა: როგორ აჭერხებს ეს ხალხი უდარდელ ცხოვრებას! როგორ შოულობენ ფულს? წელიწადში ერთ ან ორ უნიჭო ლექსს ან წერილს დასწერენ და მერმე დღედაღამ ქეიფობენო — შეშურდა კორნელის. ლობიოს ჭამა გაათავა. პოკიას ანგარიში გაუსწორა. ოფიციანტებმა კაბინეტისაკენ ცოცხალი და შამფურზე წამოგებული მწვადები წაიღეს, კორნელი ნასადილევი იყო. მაგრამ ასეთ სადილს მალე ვახშამი უნდა მოჰყოლოდა და, ამიტომ ცოცხალი და მწვადები რომ დაინახა, ნერწყვი მოადგა და გაიფიქრა:

„ჩვენთვის ლობიო, მაკარონის და უვარგისი, ჭირიანი ხორცის გარდა სხვა არაფერი არ მოიძებნება ამ რესტორანში. თქვენთვის კი ყველაფერია: ცოცხალი, მწვადი, ქათამი და ჩიტის რძეც. რა გაეწყობა. თქვენი ყოფილა ეს წუთისოფელი. კაცებიც თქვენ ყოფილხართ, შვილო, ქუდიც თქვენ გხურებიათ. არსად არ მსახურობთ, არ შრომობთ და დროს კი დიდებულად ატარებთ. თქვენზე უთქვამს ქრისტეს: „მიხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცათა ზრდის მათ“... არ დაუმთავრებია კორნელის ქრისტეს მიერ თქმული იგავი და იმ წამსვე ოფიციანტი კორნელისთან მივიდა და ქაღალდი გადასცა. პლატონი კორნელის სწერდა: „მე და ჩემი მეგობრები ძალიან გთხოვთ სადილად გვეწვიოთ“. კორნელიმ შეუთვალა: „დიდად გმადლობთ. მე უკვე ვისადილე“. პლატონმა ისევ მოსწერა: „განა არ ვიცი, რომ ისადილეთ, მაგრამ მაინც, უთუოდ, მობრძანდით. მინდა ქალბატონ ტერეზას, იონას, კარისმერეთის და მაყაშვილთა გამო გესაუბროთ“. კორნელი კაბინეტისაკენ წავიდა. გზაში ფიქრობდა: პლატონი გულმისანი ყოფილაო.

ესეები

„...მწერლები იყვნენ უზნეო და, უმრავლეს შემთხვევაში, ცუდი ადამიანები, არარანი, ხასიათით კი — გაცილებით დაბლა მდგომნი იმ ადამიანებთან შედარებით, რომელნიც მე შემხვედრიან ჩემს წინანდელ ლაღსა, ქეიფი-ლხინით საკსე და სამხედრო ცხოვრების ჟამს, — მაგრამ თავისთავში დარწმუნებულნი და თავისთავით კმაყოფილნი"...

ლ. ტოლსტოი, „ალსარება".

კორნელიმ ტანსაცმელი გაისწორა და კაბინეტის კარები გაუბედავად შეაღო.

— კორნელის გაუმარჯოს, — შესძახა პლატონმა. ადგა, ხელი ჩამოართვა და მეგობრები გააცნო. თამადამ — რაფაელ ამილახვარმა — კორნელი პლატონის გვერდით დასვა და შემოასწრები დაალევინა. კორნელი გაოცებით უცქერდა პოეტებს: რაფაელ ამილახვარს — გონებამახვილ, ახოვან და მხიარულ კაცს. იგი 26 ან 27 წლისა იქნებოდა. რაფაელმა ხატოვანი ლაპარაკი იცოდა, ფერადი ჰალსტუკი შეენოდა და მთელი მისი არსება მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს მდიდარი, ბედნიერი და უცნაური ჭაბუკი, მართლაც, აღმოსავლური მშვენებით შემკულ ბაღში მოსეირნე პოეტსა ჰგავდა. მისი ლექსები სავსებით შეესაბამებოდნენ მის ეგზოტიკურ ბუნებას, თუმცა ამ ლექსებს ფრანგ დეკადენტებისადმი წაბაძვის დიდი დაღი აჯდა და იმ დეკადენტების ვერსიფიცირება და იმიტაცია უფრო იყო, ვიდრე დამოუკიდებელი ხილვა და შემოქმედება. მაგრამ ამ მხრივ, მისი მეგობარი პოეტები უფრო სცოდავდნენ და მათ ლექსებში დამოუკიდებელი შემოქმედების ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა, მიუხედავად ქართული ელფერისა და კოლორიტით ოსტატური შენიღბვისა.

ეხლა ლეონარდო ტაფადაძეს დააკვირდა კორნელი. მაგრამ ლეონარდო ბევრად ჩამორჩებოდა რაფაელს გარეგნობით და ლექსებითაც. იგი ტანმორჩილი და უშნოდ ჩასუქებული ჭაბუკი იყო. მას პლატონი დიდ ავტორიტეტად მიაჩნდა და მუდამ მის წინაშე თავის გამოჩენას ლამობდა. თავს ძალას ატანდა, ოფლში იწურებოდა და ახირებული ლაპარაკით იჭაჭებოდა. ნაცრისფერი უმწიკვლო კოსტუმი, ფერადი და ძვირ-

ფასი ჰალსტუკი, ცერც მანიკურიანი ხელები და ცერც ვა-
მოცვლილი სახელი — ლეონარდო, ვერ ჰფარავდნენ ტაფადა-
ძის გლეხურ წარმოშობას, ულაზათო მიხვრა-მოხვრას, თავი-
დაჭერას, უსიამო ხმას და ლაპარაკის კილოს. რომელიც ბა-
ყაყის ყიყინს უფრო ჰგავდა. ხშირად ლეონარდო ტაფადაძე
ბლაგვი და უნიჭო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამ-
გრძნობდა იგი, იტანჯებოდა, ბრაზობდა და მაშინ ენამწარე
და გესლიანი ხდებოდა. ღვინოს და კოკაინს ჭარბად ეტანე-
ბოდა, თვრებოდა და ნერვიული აგზნების ჟამს, ხელოვნურ დ
გამახვილებული გონება და გრძნობა უეცრად იელვებდა და
მაშინ იგი ისეთ მოსაზრებას, შეხედულებას და მხატვრულ
სახეს ეპოვაძვრენდა, რომ პლატონს და მეგობრებს საშინლად
გააოცებდა. მაშინ მის ნიჭში არავის ეჭვი არ შეჰქონდა. მა-
რამ ასეთი ხელოვნური აგზნების შემდეგ, დეპრესია იწყე-
ბოდა და მისი სხეული დღითი-დღე დუნდებოდა და ნადგუ-
დებოდა. წამების, ტანჯვისა და წვალების კვალი მის სხე-
და მის ლექსებსაც აშკარად დამჩნეოდა. ხანდახან მ-ს ლექ-
სებში, მართალია, უცნაური და ნიჭიერი მხატვრული სახე
გაიელვებდა, მაგრამ ხშირად კი — ენაბრგვილობა, სიბლანგე
და ოფლის სუნიც იგრძნობოდა. ეხლა უცნაური თვალებ ი
მიშტერებოდა ლეონარდო კორნელის.

ლეონარდოს გვერდით მოკლე და სქელკისერა კაცი —
ვარლამ შევარდნაძე იჯდა და მოხვეულივით იბღვირებოდა. წ
ზანგსავით ხუჭუჭი და გაშვრივით კრიალა თმა ჰქონდა. მსხ
ქანი ტუჩები, შმაგი, გაოცებული და მისტიკური ჰკრეტი
ამღვრეული თვალები. იგი უკიდურესი დეკადენტი და დო-
მატიკოსი იყო. იგი ლიტერატურული ტრადიციების მიხედვ ი
შექმნილ გმირებზე და პიროვნებებზე სწერდა ლექსებს. პატარა
პოეტის პატარა სამყაროში მოქცეული ეს გოლიათების მიერ
შექმნილი გმირები და პიროვნებები ძალზე შეიზღუდნენ და ბო-
ლოს ტიკინებად იქცნენ. ამ პატარა სამყოფელში მომწყვდე-
ულ ტიკინებს არაფერი არ ჰქონდათ საერთო ადამიანთა სა-
ყაროში მომქმედ გმირებთან და პიროვნებებთან. ვარლამ შევარდ-
ნაძის უცნაური ლექსები და გაუგებარი მხატვრული სახე-
ები ავადმყოფური მისი წარმოსახვის შედეგი იყო. მეგობ-
რებს ვარლამი ნაწილობრივ შეშლილ პოეტად მიაჩნდათ. ი-
ნი მას აფასებდნენ და მორიდებით ეკიდებოდნენ, გარდა რა-

ფაელისა. რაფაელი ვარლამის ნერვიული აშლილობით, სიშ-
შაგით და ეჭვიანობით სარგებლობდა, მეგობარს აწვალებდა
და უთვალთმაქცებდა. გამოგონილ, ფანტასტიკურ ისტორი-
ებს მოუყვებოდა და ისედაც ნახევრად შეშლილს, სულმთ-
ლად გააგიჟებდა. აი, ეხლაც რაფაელმა საოცარი ამბავის
თხრობა დაასრულა და ვარლამს უთხრა: საფეთქელზე თითს
მიგადებთ და ოცამდე დათვლას თუ გაუძლებთ. ვარლამმა
მეგობრებს განწირული კაცის თვალებით გადახედა და მია-
შტად და რაღაც საშინლად იყვირა: „გაუძლებ!“ და ერთ-
ბაშად დადუმდა, სახე გაუქვავდა და თვალები ერთ წერტილს
მიაშტერა. მაშინ რაფაელმა მეგობრებს გაუღიმა, მერმე ვარ-
ლამს თვალებში სერიოზულად ჩახედა, თითი საფეთქელზე
მიადო და ისეთი მისტიკური ხმით დაიწყო თვლა: ერთი, ორი,
სამი, თითქო სასწაული უნდა მომხდარიყო. ათამდე რომ
დათვალა, ვარლამს ნერვები აეშალა, თავის კანტური დააწ-
ყებინა. რაფაელს თითში ხელი წაავლო, კინაღამ არ გადაუ-
ტეხა და გიჟსაებრ დაუყვირა: „არ მინდა, სისულელეა!“, და
მკერდში მუშტი ისე ძლიერად დაატაკა, რომ გულისფიცარი
შეუნგრია.

პლატონი გაბრაზდა:

— რაფაელ, რად იცით ადამიანის წვალება. მართლაც,
რა სულელური მასხრობაა ეს! ასეთი მასხრობით შეიძლება
ადამიანი ჭკუაზე შეაცდინოთ. მეორედ არ გაბედოთ ასეთი
ანგლობა, თორემ თქვენთან სუფრაზე აღარ დავჯდები.

არსენ ლალიაშვილმა კი პლატონს გადააჭარბა. დანას ხე-
ლი წაავლო, თვალები გახელებულ ხარსავით დააბრიალა და
რაფაელს შესძახა:

— ასეთი უმსგავსოება თუ კიდევ ჩაიდინე, იცოდე, ამ
დანას დაგარტყამ.

ეხლა ამ ახმახი და ზვინივით აყუდებული კრიტიკოსის და-
წუნარება დაიწყეს. იგი ვარლამზე უფრო ნერვებაშლილი კა-
ცი იყო. ამ უზარმაზარ და, ერთი შეხედვით, ჯანმრთელ კაცს,
ყველაზე მეტი აგზნება ეტყობოდა; თუმცა იგი, უღვინოდაც,
მუდამ „აწეულ გუნებაზე“ იყო. ლალიაშვილს საღერღელი
აშლილი ჰქონდა, დაუსრულებელი ლაპარაკი და უცნაური
ანალოგიები უყვარდა. ისეთი უეცარი, ხმამაღალი და ნაპირ-
გადასული სიცილი იცოდა, რომ მასთან ქუჩაში გავლა, ან

შეკრებულობაში ყოფწა ბევრს ერცხვინებოდა. ლალიაშვილს ყურთასმენა ღალატობდა, თორემ ისე გვარიანი ბარიტონი ჰქონდა და რუსული ოპერებიდან არიების სიმღერა და რუსი პოეტების ლექსების თქმა უყვარდა. პუშკინი, ბლოკი და რუსი სიმბოლისტები ზეპირად იცოდა. რუსთაველისა და ქართველი სხვა პოეტების ლექსებიდან კი, ზეპირად ერთ ტაეპსაც ვერ იტყოდა. დაუსრულებელი ლაპარაკის გამო, მას ბევრი გაურბოდა. ლალიაშვილი დაწესებულებაში, ან ქუჩაზე ნაცნობს დაიჭერდა, ხესთან მიიყვანდა, პიჯაკში ჩააფრინდებოდა, საათობით ელაპარაკებოდა და ლაპარაკით მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ იმ ნაცნობს არ მიასიკვდილებდა და ჩამოახმობდა. ეს კიდევ არაფერი: ერთი რომ ცალი ხელით ეჭირა, სხვა ნაცნობს, ლაპარაკის შეუწყვეტლად, წამშივე მოლანდავდა, მერმე თავისუფალ ხელს მკლავში წაავლებდა და მასაც ხესთან მოიყვანდა. ერთხელ ბინიდან ქალაქში ფულის საშოვნელად გამოსული რაფაელი შეეყარა. ლალიაშვილმა ხესთან მიიყვანა და, როდესაც დაუსრულებელი ლაპარაკით ზეზეულად ჩამოახმო, რაფაელმა ველარ მოითმინა და უთხრა: გამიშვი, არსენ, ჯიბეში კაპიკი არა მაქვს, მინდა ერთი ასი მანეთი მაინც ვიშოვო, ან ვისმესგან ვისესხოო. არსენმა მიუგო: შე კაცო, ასი მანეთი არ ღირს ეს ჩვენი დიდებული საუბარი, ას მანეთში რომ გაყიდე და გაათახსირე? შენ ოღონდ დაიცადე და ორას მანეთს მე გასესხებო. არსენმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და კიდევ ორი საათის ლაპარაკში ორასი მანეთი გადაიხადა, რადგან კარგად იცოდა, რომ რაფაელს ვალის გადახდა არ უყვარდა და არც თავად გამოართმევდა სხვას უხვად გაცემულ და გასესხებულ ფულს.

თეოფილ გოთუა, — „თეოფილ გოთიეს“ კვალობაზე შერქმეული სახელი და გვარი იყო, ნამდვილი კი — ეპიფანე გეგეშიძე. ეს პატარა, ჯუჯა, გამჭრიახი გონების, ეშმაკი და ქალაქში სოფლიდან ჩამოსული მასწავლებელი მოხერხებულად იკვლევდა გზას და პოეტის სახელს იმკვიდრებდა: მისი შეტყობით, ეს ხელობა ყველაზე უფრო ადვილი, სასახელო, ხელსაყრელი და სარფიანი იყო. მლიქვნელობაში და გაიძვერობაში მას ვერავინ ვერ სჯობნიდა და ის თავის მიამტ, შეგობარ პოეტებს რომ აცქერდებოდა, უხაროდა: ესენი ეშმაკობით მე ვერ მაჯობებენ, ამათ ურაცხენსავით მოვაჯდები,

დასახულ მიზნისაკენ კარგა ხანს ვარბენინებ, ხოლო დასახულ მიზანს რომ მივაღწევ, მერმე პანღურს ამოვკრავ და, მადლობის ნაცვლად, ხელს შევუშვებ, ურწიანებ და, თუ საჭიროებამ მოიტანა, ხრამში გადვჩეხავ და ნაფთიანში გადავაგდებო. ეხლა შავი სევდა-კაეშნის, სიგიჟე, ჭლექის, თვითმკვლელობის, მალარიის და სამყაროს ხრწნის მოტივები მოდაშია. ამაში მე მათ უნდა გადავაჭარბო. ხოლო წრომის, ბრძოლის და სამშობლოს სიყვარულის ქადაგება თუ მოდაში შემოვიდა, ამაშიც ესენი ვერ მაჯობებენო. — ცინიკურად ფიქრობდა თეოფილე და მელასაებრ ეშმაკურად ნიბაკდა თვალებს და ასე მისჩერებოდა რაფაელსა და ვარლაამს და მათ ჩხუბზე ეღიმებოდა.

ვარლამი დაცხვენილი, გაბრაზებული იჯდა და ისევ იბღვირებოდა. რაფაელმა პლატონის წინაშე ბოდიში მოიხადა და მუშტის დარტყმით ნატკენ მკერდზე ხელი მიიდო, სახე დაეღმიჭა და დაიძახა: მოვკვდი, მომკლა, ძვალი გამიტეხაო. თავი ყველას შეაცოდა. ვარლამს ხელი მოხვია, თავი გაღაუწია, ტუჩებში და მერმე თვალებშიც აკოცა. პლატონის გაბრაზებასა და შენიშვნას შემდეგ პოეტები შერიგდნენ.

კორნელი გაოცებით უცქეროდა პოეტების ახირებულ და უცნაურ ქცევას და ძალიან უკვირდა მათი ჭკუანაღრძობი საუბარი. ყველაზე უფრო კი მათ შორის შექმნილი სახელები აოცებდა: რაფაელ, ლეონარდო, თეოფილ. თითქო პუშბერაჭ, გენიოს მხატვრების კვალობაზე სახელს თუ გამოიცვლიდნენ, ტაფადაძე და გეგეშიძე გენიალი პოეტები ვახდებოდნენ! ასეთი გადაწყვეტილება კორნელის სასაცილოდ მიაჩნდა. პლატონს ისე დიდი ცდუნება არ ჰქონდა ჩადენილი, რადგან მას თავის გვარს „მოგველაძეს" მხოლოდ ერთი ასო „ვ"ით მიუმატა — „მოგველაძე". მას ღიმილად ეგრძა თავი. პოეტები თვალში შესცქეროდნენ. ყოველ მის სიტყვას სულგანაბული უსმენდნენ. იგრძნობოდა, რომ პლატონი ამ პოეტების მეთაური და ხელმძღვანელი იყო, მათ შორის დიდი აკტორიტეტით სარგებლობდა და ყველანი მის წინაშე თავის გამოჩენას ლამობდნენ უცხოური ენები. პლატონისა და რაფაელის გარდა, არავის არ იცოდა. რაფაელი საფრანგეთში ნამყოფი კაცი იყო და ფრანგულს ამტვრევდა. პოეტები პლატონის წინაშე პირფერობდნენ, მლიქვნელობდნენ. პლატონს

აქებდნენ, ცამდე აჰყავდათ, გენიოს ეწოდებინათ და ნიჭგანაც ამას მოელოდნენ. ისინი ერთ თავად ეთაყვანებოდნენ — საქართველოში მათზე ნიჭიერი, ბრწყინვალე და აღფრთოვანებელი ადამიანი არ არსებობდა და ამიტომ მათ ყოველგვარი უმსგავსობა ეპატიებოდათ. „პოეზია უწრფანარეს ყოფილისა“, — იძახდნენ ისინი, პოეზია ცხოვრებია გაჭაბუკებულია, პოეტები — მოგვები არიან, ხოლო მოგვთა-მოგვი კი — პლატონ ძოწენელაძე არისო. ეს ყალბად აქცენტებული ნოსაზრება: რომ ისინი გენიოსები, იშვიათი და ყველაზე უფრო რჩეული და ქვეყნისათვის საჭირო ადამიანები იყვნენ, იქვენაად სწამდათ მათ (თეოფილ გოთუას და ჩოგოვრთთა გამოკლებით), ისინი ერთმანეთის წინაშე იმდენად სტრუობდნენ, პირფერობდნენ, ფარისევლობდნენ და მლიქვნელობდნენ, იდენად აქებდნენ ერთმანეთს და ტრაბახობდნენ, რომ კოონელზე შემზილი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვებ. კორნელის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სულით დაავადებულთა შორის, უნახავს გრანდიოზობის — განდიდების ჰანიით შეპყრობილნი, სადაც ზოგს იმპერატორად, იშვიათ გენრად, ქვეყნის მხსნელად და მესიად წარმოუდგენია თავისი თავი, ზოგს — ხალხის მიერ უცნობ გენიოს პოეტად და ზოგსაც კი — ვინ მოსთვლის კიდევ რად! მაგრამ იქ, სულით დაავადებულთა შორის, კორნელმა ერთი ისეთი თვისება შენიშნა, რომელიც „ქიმერიონის“ კაბინეტში თავმოყრილ პოეტებს არ აღმოაჩნდათ. ვიღაც სკამზე ავიდა, თავი გენიოს პოეტად გამოაცხადა და ლექსების კითხვა დაიწყო. „ე, დაიწყო პოეტმა ლექსების კითხვა!“ დაიძახა ერთმა ხნეულმა. ხელი ჩაიქნია და ისეთი დამცინავი ღიმილით გაიშორდა კრებას, თითქო ამბობდა: ვერა ხედავთ საცოდავს, რომ გიჟი არისო. აქ კი — „ქიმერიონის“ კაბინეტში შეკრებილი პოეტები ერთმანეთს სიგიჟეს ვერ ატყობდნენ, რადგან განდიდების მანიით ყველანი ერთნაირად დაავადებული იყვნენ. თავისი გენიოსობის საკითხში შეთანხმებული ეს პოეტები სხვა პოეტებს და მწერლებს ერთიანის ფრონტით უტევდნენ, წერის საშუალებას უსპობდნენ, ფულსა და პრესას ხელთ იგდებდნენ, შიგ თავის ლექსებს და წერილებს ათავსებდნენ და არავითარ მუხანათობას არ ერიდებოდნენ. დიდებულად ცხოვრობდნენ და დღედაღამ ჭეიფობდნენ. ამაყ, ანგარებით სავსე,

თავის გენიოსობაში დარწმუნებულ, თავისთავით კმაყოფილ, უზნეო და კაცობას მოკლებულ ამ პოეტთა შეკავშირება და ერთ ლიტერატურულ ჯგუფში გაერთიანება მათთვის ხელსაყრელი იყო. სხვა პოეტები და მწერალი თუ თავის გამოჩენას დააპირებდა, — იმ პოეტების მაგვარ ყალბი, იოლი და მოკლე გზით უნდა ეარნა, ე. ი. პოეზიის იმ მოგვთა ჯგუფში უნდა ჩაწერილიყო, იმ მოგვებთან და ჭურუმებთან უნდა მისულიყო, მათი ქება-დიდება და სხვათა გათახსირება. „ხელის დადება, დაკავება და გაბითურება“ უნდა დაეწყო. ეს ტერმინები მათ მოიგონეს და არ იყო ისეთი უმსგავსოება და ვერაგობა, რომელსაც ისინი მორიდებოდნენ და არ ჩაედინოთ. შრომა, მეცადინეობა და კაცობის გამოჩენა კი არ უყვარდათ. მათი განათლება ძალიან საეჭვო იყო და ხშირად საშუალოზე დაბალი — გიმნაზიელის და სტუდენტის ცოდნასაც კი არ აღემატებოდა. მოგვობას, ჭურუმობას და ხალხის წინამძღოლობას კი იჩემებდნენ. ცოდნის მხრივ გამონაკლისს პლატონ მოგველაძე და ვარლამ შევარდნაძე შეადგენდნენ თუმცა ვარლამის მიმართ ეს შეხედულება კორნელის მალე გამოეცვალა. სადილზე საუბრის დროს პლატონმა, სხვათა შორის, განაცხადა:

— ჩვენ სიმბოლისტები ვართ. სიმბოლისტები რეალურში და თუნდაც ურეალეს მოვლენაშიც კი ირეალურს და ირაციონალურს უნდა სჭვრეტდნენ მხოლოდ. სიმბოლისტების პოეტიკას გოეთეს ფორმულა ზედმიწევნით უდგება. უთუოდ! „Alles Fergaengliche ist nur ein Gleichniss“. ყოველივე წარმავალი სიმბოლოა მხოლოდ წარუვალისა, — სთარგმნა პლატონმა.

პოეტები სულგანაბული უსმენდნენ, რადგან „ფაუსტი“ არც ერთს ბოლომდე წაკითხული და, მით უფრო, დამუშავებული არ ჰქონდა.

კორნელიმ გაუბედავად შენიშნა პლატონს:

— სიტყვა „Gleichniss“ თქვენ სთარგმნეთ როგორც „სიმბოლო“, ნამდვილად კი იგი ნიშნავს: იგავს, „მსგავსებას“...

— არა, — დაიძახა პლატონმა და მიუგო, — „Gleichniss“ შეიძლება ითარგმნოს როგორც „იგავი, მსგავსება“. მაგრამ იგი „სიმბოლოსაც“ ნიშნავს, ფართო გაგებით კი — „ანარეკლს, ასახვას“,

— კარგი, — განაგრძო კორნელიმ შენიშვნა, — „Gleichniss“ სთარგმნეთ როგორც „სიმბოლო“; მაგრამ თქვენ სთქვით: ყოველივე წარმავალი სიმბოლოა მხოლოდ წარუვალისაო. სიტყვა „წარუვალი“ ტექსტში გოეთეს არა აქვს.

— მართალია, — მიუგო პლატონმა, — დედანში სიტყვა „წარუვალი“ არ არის, მაგრამ იგი იგულისხმება, ვინაიდან „წარმავალის“ საწინააღმდეგო ცნება სწორედ „წარუვალი“ გახლავთ.

— ჩვენც ვიგულისხმოთ და დედანი ისე ვთარგმნოთ, როგორც გოეთეს აქვს დაწერილი, — ისევ შენიშნა კორნელიმ.

— ეს შესაწყნარებელია, — მიუგო პლატონმა და, ცოტა არ იყოს, ეწყინა, კორნელი რომ ჩააცივდა, მაგრამ კორნელის მიერ „ფაუსტის“ ტექსტის ცოდნა მოეწონა და გაუკვირდა.

პოეტებს კი კორნელის ცოდნა შეშურდათ და „მეტიჩარა ჭაბუკის“ მიერ პლატონზე მოხდენილი შთაბეჭდილების გასაბათილებლად რაფაელმა ამრეზით განაცხადა:

— თავი გაანებეთ იმ ფილისტერ, მოფილოსოფოსო და უნიჭო პოეტს.

— ვის? — გაოცებით შეეკითხა კორნელი.

— გოეთეს, — მიუგო რაფაელმა.

— როგორ გეკადრებათ? — იყვირა პლატონმა.

— კაცი რომ ერთი ნაწარმოების დაწერას ორმოც წელიწადს მოანდომებს, მისი არაფერი არ მწამს. „ფაუსტი“ უნიჭო და მოსაწყენი წიგნია, — მიეშველა რაფაელს ვარლამ შევარდნაძე.

— თქვენ სირეგვნე მოგდით. „ფაუსტი“ ეპოქის უმაღლესი გამოხატულებაა. იმ ეპოქისა, რომელშიაც ევროპის ხალხთა ცხოვრებამ და სულიერმა განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. „ფაუსტი“ კლასიკური შედევრია უთუოდ, — ღაღადგინა პლატონმა.

— მეორე ნაწილი გაუგებარია და მბატვრულადაც მდარე. პირველი კი ფაუსტისა და მარგარიტას სამიჯნუროს, გულუბრყვილო და უბრალო ინტრიგით განისაზღვრება, — მიეშველა ვარლამს რაფაელი.

კორნელი აენთო:

— რაც თქვენ უბრალო ინტრიგად მიგაჩნიათ, — იგი მიჯ-

ხეობის წარმავალი იღუზიის ღვთაებრივი გამოხატულებაა, — შენიშნა კორნელიმ რაფაელს და გერმანულ ენაზე ზეპირად თქვა ის ადგილი, სადაც მარგარიტა ფაუსტს ეკითხება: ღმერთი თუ გწამსო და ფაუსტი მიუგებს: „Wer darf, ihn nennen?“ (ვინ გაბედავს მის დასახელებას). — ფაუსტის ამ თქმაში თავად გოეთეს მსოფლგაგება — პანთეიზმის სრული თეორია არის მოცემული.

პოეტებმა თვალები დააცეცეს. თეოფილ გოთუამ ცინიკურად გაიღიმა და ლეონარდოს უჩურჩულა: ძალიან არ აჭამა რაფაელსო? მაგრამ ლეონარდოს კორნელის ცოდნა შეშურდა და ასე ფიქრობდა: „ვაი თუ ამ ჭაბუკმა პლატონი მოაჯადოოს, მისი გული მოიგოს, თავი შეაყვაროს და დაუმეგობრდეს. მაშინ ჩვენ რაღა გვეშველებაო? ამასვე ფიქრობდნენ სხვებიც. ამიტომ კორნელის მოსაზრებათა გასაბათილებლად ცინიკური და ენამწარე ლაპარაკი დაიწყეს, ხოლო ვარლამ შევარდნაძემ კამათის დროს ლექსი დაწერა და მეგობრებს წაუკითხა:

„უთუოდ ჰქონდა ბუასილი ფაუსტის ავტორს...“

ასე ყველაფრის გაბიაბურება შეიძლება, მაგრამ რა? ეს ჩვენსავე უვარგისობას, უვიცობას და ცინიკოსობას ნიშნავს, — შენიშნა გაბრაზებულმა კორნელიმ. ვარლამმა პათოსით მიუგო:

— თავი გაანებეთ წარსულ დროებათა კერპების თაყვანისცემას. დეე, იცოდეთ თქვენ, რომ ჩვენ აწმყო და მომავლის პოეტები ვართ!

— **Was ich besitze, sehe ich wie im Weitten,**
und was verschwand, wird mir zu Wirklichkeiten.

„აწმყო წარმომიდგება მე, როგორც შორს წასული, ხოლო რაც გადავიდა, მე სინამდვილეში არსებული მგონია“, ამბობს იგივე გოეთე, — მიუგო და გადაუთარგმნა კორნელიმ.

პლატონი გაოცდა. კორნელის გაუღიმა და თარგმნის სისწორე დაუდასტურა. პოეტები კი ფიქრობდნენ: ეს ვინ ოხერი, ვიღაც ვუნდერკინდი გაგვაცნო პლატონმაო.

პლატონი ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა თავის მეგობარ პოეტებს. იგი ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურაზე აღზრდილი კაცი იყო. მისი მეგობრები კი შინგამოზრდილი, თანამედროვე პოეტები — დეკადენტური პოეზიის ბრმა თაყვა-

ნასმკემლები და წარსულის უარისმყოფელნი, სოლო წარსულის უცოდინარნი და უმეცარნი. პლატონი საქართველოს წარსულ დიდებასა და გმირობაში შეყვარებული რომანტიკოსი გახლდათ.

მწერლობაზე ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კორნელი წამოდგა. პლატონს და პოეტებს, სადილზე მიპატიჟების გამო, მადლობა გადაუხადა და განაცხადა:

— მე კმაყოფილი ვარ იმის გამო, რომ თქვენ გაგიცანით, მაგრამ თქვენს საუბარში და ქცევაში ერთი რამ არ მომეწონა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პოეტებს დამცინავის ღიმილით აუციმციმდნენ თვალები და ახლად გაცნობილ ჰაბუკს ისე შეხედეს, როგორც მასწავლებლებმა გამოცდაზე წამდგარ მოწაფეს, მაგრამ მოწაფე იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა ჭკუის დარიგება დაიწყო. ეს სრულიად არ მოეწონათ პოეტებს და აიმრიზნენ. კორნელი განაგრძობდა:

— ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა. ზოგჯერ თქმითაც დაშაედების“-ო, მაგრამ რა გაეწყობა. მე ჯარისკაცი ვარ და პირდაპირ უნდა მოგახსენოთ.

— ბრძანეთ, — უკეთურად უთხრა რაფაელმა. კორნელი არ მოერიდა:

— თქვენ არც ერთი სიტყვა არ გითქვამთ. გარდა ბატონ პლატონისა, იმ დიდ ამბებზე, რომლებიც საქართველოს გარშემო ხდებიან ბობოქრობენ და, რომელთაგან ჩვენს სამშობლოს ზოგი დაღუპვით ემუქრება და ზოგიც გადარჩენას უქადის.

— დეე, ცნობილი იყოს თქვენთვის, რომ ჩვენ პოლიტიკური მოღვაწენი და პროპაგანდისტები არ გახლავართ! — შენიშნა ვარლამ შევარდნაძემ.

პოეტებმა კორნელის სიცილი დააყარეს. ამან კორნელი წონასწორობიდან გამოიყვანა:

— მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ პოეტები ბრძანდებით, მაგრამ ვეჭვობ, — ჭკუა-გონებით, ხნეობითა და კაცობით იმ ადამიანებს სჯობდეთ, რომლებიც მე ჯარში და ომში, და ჯარის გარეთაც მინახავს.

— დეე, ცნობილი იყოს თქვენთვის, რომ ჩვენ პოლიტიკური მოღვაწეები, პროფესორები, ხნეობის მქადაგებელი ხუცები, არც ომისათვის გაწვრთნილი მანჭანები — ოფიცრები

და ჯარისკაცები არ გახლავართ. ჩვენთვის არ არსებობს კარგი და ცუდი. ჩვენ ქვეყნის დაშლისა და ხრწნის პოეტები ვართ. ჩვენ სიგიჟეს, ჭლექს, სიფილისს და თვითმკვლელობას ვუგალობთ. ჩვენ არ გვეშინია საშინელებათა ხილვისა, რადგან ცხოვრების სადავე პოეზიის ქურუმების და ჯადოქრების ხელთ არის! — შეშლილი კაცსაებრ იყვირა და შენიშნა ვარლამმა.

კორნელი გვიან მიხვდა, რომ ასეთ არეულ ხალხში დაწყობილი და დალაგებული ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ისევ ფსიქიატრიული საავადმყოფო მოაგონდა და ვარლამს დამშვიდებით შენიშნა:

— მაშ, მართალი უთქვამს ლომბროზოს: მეცნიერება ხელს უწყობს ადამიანში მავნე ვნებათა დათრგუნვას, ხოლო ხელოვნება მათ გაღვივებასო, ამიტომ მეცნიერთა შორის ბოროტმოქმედები მეტად მცირერიცხოვანია, ხოლო პოეტებსა და მხატვრებს შორის კი ძალიან ბევრიო.

— მით უმეტეს. ეს ჩვენი შეურაცხყოფა როდია, — გამარჯვებული კაცის სახით მიუგო რაფაელმა.

— არც შექებაა.

— ჩვენ სხვისი შექება და ხალხის მოწონება ფეხებზე გვკიდია. ჩვენ ერთმანეთისათვის ვწერთ ლექსებს და ერთმანეთს ვენდობით გემოვნებაში.

— მაგრამ თქვენ ერთმანეთს მართალს არ ეუბნებით. ან თუ ეუბნებით, იგი მაინც არ გამოხატავს ნამდვილ შეფასებას, რადგან ავადმყოფური, დეკადენტური პოეზიის დოგმატიკოსთა გემოვნება არ გამოდგება ესთეტიკურ ღირებულებათა ობიექტურ საზომად.

— ობიექტური საზომი არ არსებობს, — ახლა კრიტიკოსი არსენ ლალიაშვილი ჩაება კამათში.

— მაშ, ანარქია? — შეეკითხა კორნელი.

— ავტონომია! — ლალიაშვილის მაგივრად მიუგო პლატონმა და განაცხადა:

— ჩემი ნაწარმოები ერთმა კაცმაც თუ გაიგო ამა ქვეყნად სავსებით და მოეწონა მართებულად, მე გამართლებული ვარ როგორც პოეტი თავიდან — ბოლომდე, უთუოდ! — იყვირა პლატონმა და ისეთი მისტიკური ჭვრეტით გაიხედა განზე, თითქო ტრანსში გადავიდაო.

კორნელი შეედავა:

— არა მგონია. ესთეტიკურ ღირებულებათა მიმართ რაღაც საერთო და საყოველთაო საზომი მაინც არსებობს. შოთა, გოეთე, პუშკინი... მაშინ საყოველთაო მოწონებას და სიყვარულს ვერ მოიპოვებდნენ.

— სისულელეა. საყოველთაო სიყვარული და პოპულარობა პოეტისათვის დამღუპველია, ფილესტერობა, — იყვირა ვარლამმა.

— მაშ, ერთმანეთისათვის სწერეთ ლექსები. ერთმანეთს ხოტბა-დიდება შეასხით, გენიოსი უწოდეთ და მაშინ ხალხიც მოიწონებს თქვენს ლექსებს და თქვენც გენიოსად მიგიჩნევს. განა ასე იქნება? თავისთავში უეჭვოდ დარწმუნებული, თავისთავით კმაყოფილი და კადნიერი დიდი ადამიანი და პოეტი არ მსმენია. ჩვენამდეც ყოფილან, მართლაც, გენიოსი პოეტები, მწერლები და ბუმბერაზი ადამიანები, რომლებიც თავის ნაწარმოებზე და საქმეზე მოკრძალებით ლაპარაკობდნენ ან სრულიად არაფერს არ ამბობდნენ. მაგალითად, სტენდალის საფლავის ძეგლზე, თანახმად სტენდალის ანდერძისა, მოკრძალებით საკუთარი ასეთი წარწერაა: „ანრი ბეილი. მილანელი, სწერდა, უყვარდა, იცხოვრა 59 წელი და 2 თვე. მოკვდა 22 მარტს 1842 წელს“.

— ტყუილია. იმავე სტენდალმა საქვეყნოდ განაცხადა: ჩემს რომანებს თანამედროვენი ვერ გაიგებენ, მას მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ გაიგებენ და წაიკითხავენო, — სიტყვა გააწყვეტინა პლატონმა.

კორნელი შეკრთა. შეკრთა და თავისი სიტყვის სიყალბეც იგრძნო, რადგან იგი ქადაგებდა იმას, რაც თავად სავსებით არ სწამდა, ან თუ სწამდა, — ვერ ანხორციელებდა. იგი მოკრძალებას მოითხოვდა პოეტებისაგან, მაშინ როდესაც თავად არ იყო პატივმოყვარეობისა და კადნიერებისაგან თავისუფალი. ამიტომ დაიბნა. მაგრამ დებულება წამოყენებული იყო და ამ დებულებას დასაბუთება ეჭირვებოდა. პირველი მაგალითი უვარგისი აღმოჩნდა. კორნელიმ უმალვე მოსინჯა თავისი ცოდნის მარაგი და წიგ ბედნიერ საბუთს წააწყდა და ასე განაგრძო:

— კეთილი. სტენდალს თავი გავანებოთ. უმისოდაც უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ პოეტთა, მწერალთა

და გმირთა მოკრძალებისა. მოვიგონოთ ესქილე. ეს ყველა დროისა და ხალხთა უდიდესი დრამატურგი, პოეტი მოგვი და უშიშარი მებრძოლი. იგი სამშობლოს თავისუფლების დასაცავად ხმლით ხელში ებრძოდა აზიიდან მომდგარ ურდოებს. იგი ისე ნაკლებად ზრუნავდა პოეტური დიდებისა და სახელის მოხვეჭის გამო, რომ თავის ლიტერატურულ დამსახურებათა შესახებ არაფერიც კი არ უთქვამს მის მიერვე შედგენილ ეპიტაფიაში: „ამ ძეგლის ქვეშ დასაფლავებულია ესქილე, ეჰფორიონის შვილი. დაიბადა რა ათინელად, გარდაიცვალა ჰელოსის ნაყოფიერ ველში. მაკედონიის სახელგანთქმულ ტყეს და გრძელდალალიან მიდიელებს იგი უნახავთ. მის მამაცობაზე თქვენ ისინი გიამბობენ“. აი, როგორი მოკრძალებით სწერს პოეტი ესქილე თავის თავზე. იგი სამშობლოს დაცვის გამო წარმოებულ ომებში თავის მამაცობას უფრო აფასებდა, ვიდრე ლიტერატურულ დამსახურებას, იგი თავის პიესებში პატროკლეს და ტევკრის ლომგულობაზე მოუთხრობდა თანამემამულეებს, რათა მათში სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვის სურვილი ჩაენერგა.

— ქრისტეს დაბადებამდე რა იყო, ეს ჩვენ არ ვიცით და არც გვაინტერესებს, — აგდებულად შენიშნა რაფაელმა.

— თქვენი ლექსების გარდა სხვას თუ არაფერს წაიკითხავთ, რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ, — მიუგო კორნელიმ და თვითონვე მიხვდა, რომ ეს გიგო თავაძის და გიგა ნახუცრიშვილის მსგავსი დემაგოგია იყო.

რაფაელი გაფითრდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ კორნელიმ დაასწრო:

— თავი გაანებეთ პოეტებსა და მწერლებს. განა არ გახსოვთ სარკოფაგზე დაწერილი ნაპოლეონის ანდერძი: „ჩემი სურვილია, ჩემი გვამი განისვენებდეს სენის ნაპირზე, ფრანგ ხალხს შორის, რომელიც მე ესოდენ მიყვარდა“. თქვენ კი რა უნდა უანდერძოთ ქართველ ხალხს: თქვენი ლექსები, რომელშიაც ადამიანისათვის იდეალად სიგიჟე, ჭლექი, სიფილისი და თვითმკვლელობა დაგისახავთ?

— თქვენ ენაზე რაც მოგადგებათ, იმას ლაპარაკობთ, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, ცუდად გაგიგიათ. ნაპოლეონის მოკრძალებას ვინ დაგიჯერებთ. ხოლო რაც შეეხება ჩვენსა და ჩვენი ლექსე-

ბის ყბაზე აღებას, აძაზე უხდა ძოგაბსეხოთ, რომ ეს თავისგდებაა. თქვენ მეტიჩარა და უზრდელი ყოფილხართ! — უყვირა რაფაელმა, მაგიდას ხელი დაარტყა და წამოიჭრა.

კორნელიმ ჯერ მშვიდად შეხედა. მერმე კი მისმა თვალებმა ისე ბოროტად იელვეს, რომ ყველანი შეკრთნენ და ხმა გაჰკმიდეს.

— ეხლავე ბოდიში მოიხადეთ, თორემ მაგ შეურაცხყოფისათვის პასუხს გაგებინებთ! — დაემუქრა კორნელი.

— მართალია, თქვენ ჯარისკაცი და მოვარჯიშე ბრძაწდებით, მაგრამ მე თქვენი მუქარის არ მეშინია. თქვენ თუ მხეიძე ბრძანდებით, მე ახვლედიანი გახლავარ. მე ბოდიშს არ მოვიხდი. პირიქით, მე გიმეორებთ: თქვენ უზრდელი და ტლეტუცი ყოფილხართ.

კორნელი წამოდგა და დაბეჯითებით უთხრა:

— მე გიწვევთ თქვენ დუელში. დანიშნეთ დრო და ადგილი. გინდათ პისტოლეტებით, გინდათ ხმალ-ხმალ, გინდათ ხელით გავსწორდეთ.

რაფაელი სდუმდა.

— თუ თქვენ დუელს არ ისურვებთ. მაშინ მე იძულებული ვიქნები ეხლავ გაგისწორდეთ! — ხმას აუწია და ისევ გაიფრთხილა კორნელიმ.

რაფაელი ისევ სდუმდა.

— გასწორდი, მოემზადე. — ბატარეის უფროსის მსგავსად დაიძახა კორნელიმ, — ყბას დაგალეწავ, შე სალახანავ!

კორნელი ვეფხვივით მიიჭრა რაფაელთან, მაგრამ რაფაელმა ხელი ასწია და უთხრა:

— მე ვიღებ დუელს.

— კეთილი. მოითათბირეთ თქვენს მეგობრებთან. ელოდეთ ჩემს სეკუნდანტებს, — ეხლა „თქვენობით" მიუგო კორნელიმ. პლატონს თავი დაუკრა, მადლობა გადაუხადა, მერმე პიჯაკი გაისწორა და კაბინეტიდან ჩქარი და შედიდური ნაბიჯით გავიდა.

ლეონარდო ტაფადაძეს კანკალი დაეწყებინა, თვალები კატასავით სულმთლად გაუმწვანდნენ, რაფაელს გაოცებით შეხედა და უთხრა:

— რომელი მედუელე შენ მყავხარ. კორნელი განთქმული მოვარჯიშე და მებრძოლია. ტყვიას ტვინში აჯენს. გინდა თავი

მოაკვლევინო! ბოდიში უნდა მოიხადო. თქვენ რას იტყვით,, ბატონო პლატონ! — შეეკითხა ლეონარდო პლატონს.

— უთუოდ! — მიუგო პლატონმა.

რაფაელმა ლეონარდოს უყვირა:

— შენ თავმოყვარეობა არ გაგაჩნია. ვერ გაიგონე, რო-- გორ გაგვათახსირა.

წელმოწყვეტილი ვარლამ შევარდნაძე სუფრასთან იჯდა.. გაოცებით დაშტერებოდა საინს და ამბობდა:

— არა, გათახსირებით, მართლაც ძალიან გაგვათახსირა..

— ხელი დაგვადო და ლოთიანად დაგვიკავა, — ჩაიხითხი-- თა თეოფილე გოთუამ, — აბა რას იზამდა! გოეთე ფილისტე-- რი იყო და ბუასილი სჭირდაო, ესქილე ვინ ეშმაკიაო, ვუთხა-- რით და გაგიჟდა სტუდენტი კაცი.

— მართლაც ვინ ეშმაკია, ის მეტიჩარა და მატრაკვეცა, სტუდენტი, რომ გვაბითურებს, გვლანძღავს და ჭკუაზე გვა-- რიგებს! — იყვირა კრიტიკოსმა არსენ ლალიაშვილმა, გახე-- ლებულ კამეჩსავით ანთებული თვალები დააბრიალა და ისევ დანას წაავლო ხელი.

— არა, მეგობრებო. ის ტალანტიანი ჭაბუკი და უშიშა-- რი მებრძოლია. თქვენ მას არ იცნობთ. იგი ჩინებული ოჯახის შვილია. იგი ზრდილი და მოკრძალებული კაცია. თქვენ თა-- ვად ხართ დამნაშავე. დღევანდელი თქვენი მსჯელობა უცნა-- ური და უსუსური იყო. მას კი არა, მეც მაბრაზებდით მრა-- ვალგზის. ასე ყველაფრის უარყოფას და გაბითურებას ჩვენ ხალხი არ გვაპატიებს. არავითარი დუელი! რაფაელ, თქვენ ბოდიში უნდა მოიხადოთ, — განაცხადა პლატონმა.

— მე ბოდიშს არ მოვიხდი.

— მე მოვითხოვ, მე დუელს ვერ დავუშვებ, — სთქვა პლა-- ტონმა, პანამა დაიხურა და კორნელის გამოუდგა.

სუფრიდან პოეტებიც აიშალნენ. რესტორნის გამგეს ონი-- სიმე ომიაძეს ტანში გააცივა: პოეტები წასვლას აპირებენ და ვაი თუ სადილის ფული ისევ არ გადაიხადონო!

კორნელი სასტუმრო „მეჟესტიკთან“ მივიდა. პაპიროსი იყიდა, გააბოლა და მერმე „ქიმერიონს“ ნები ნაბიჯით ჩაუ-- არა. იგი აგზნებული იყო. კუნთები ქვასავით გახდომოდნენ. სახეზე წამოწითლებულიყო და ცალ თვალში სისხლი ჩასდ-- გომოდა. თეატრს რომ გაშორდა, გაიფიქრა: „დუელში თუ

არ გამომყვა, დედას ვუტირებ გალახძღვისათვის. ხელიდან ასი კაციც კი ვერ გამომართმევს და გამომგლეჯს. ისე გავასივებ ცემით, რომ საექიმო გახდეს. დუელში თუ გამომყვა?". კორნელი აღელდა, გულისცემა აუვარდა, სუნთქვა შეეკრა და გაიბერა. მერმე ღრმად ამოისუნთქა და ისევ გაიფიქრა: „ჩემზე უკეთესი მონიშნე ის არ იქნება: თავში და გულში არ ვესვრი, ცოდვაა. მარჯვენა ხელში დავუმიზნებ და მკლავს ჩამოვაგდებინებ, რომ ლექსების ჯღაბნას თავი გაანებოს. სიგიჟის, სიფილისის, ჭლექის, თვითმკვლელობისა და მალარიის პოეზია ვის რა ჭირად უნდა! მართლა გიჟები"... ასე ფიქრობდა კორნელი, როდესაც პლატონ მოგველაძე წამოეწია, მკლავში ხელი გაუყარა და აღელვებული ხმით უთხრა:

— ეს რა გაუგებრობა მოხდა! მე მას ბოდიშს მოვახდევინებ. თქვენ ჩვენი კორპორაციის მეგობარი უნდა გახდეთ და არა მტერი. თქვენისთანა ტალანტიანი ჰაბუკის დაკარგვა ჩვენ არ შეგვიძლია. არავითარი დუელი. რა სისულელეა!

— მე ის დუელში გამოვიწვიე და ეხლა მისი ნებაა. თუ დუელში არ გამომყვება, და ბოდიშს არ მოიხდის, მუშტი მაინც არ აშორდება, — მოუგო კორნელიმ და ვეება მუშტი უჩვენა.

პლატონმა ჰაბუკს რკინასავით კუნთმაგარ მკლავზე ხელი გაოცებით შეავლო და შენიშნა:

— თქვენ ატლეტის აღნაგობა გაქვთ. კრივში თქვენ რაფაელი ვერ გაჯობებთ. — მერმე პლატონი გაიჭიმა და ტრაბახით დაიწყო: — მე უცხოეთში ბოქსს ვსწავლობდი. რომ ვინმე კრივში გამომყვეს, ალბათ შემომაკვდება, მტერს მოხვდა ჩემი მუშტი.

„ქიმერიონიდან" რაფაელი, ლეონარდო, ვარლამი, თეოფილ და არსენი ამოვიდნენ და პროსპექტზე ხელმკლავით მიმავალი პლატონი და კორნელი დაინახეს.

— შარიანი კაცი ხარ, რაფაელ, — დაიწყო თეოფილემ, — არ გრცხვენია, ამოდენა და პატივსაცემ კაცს რომ აწუხებ. პლატონი, ალბათ, დუელის ჩაშლას ეხვეწება.

— მეგობრებო, ჩემი სიტყვა დაიხსომეთ, — გააფრთხილა პოეტები რაფაელმა, — თუ ფხიზლად არ ვიქენით, პლატონი იმ მატრაკვეცას თავზე დაგვაჯენს.

პოეტები შეშფოთდნენ. თეოფილემ განაცხადა:

— ნაკლებად დაუჯენია თავზე. კვირტში ამოიღებ და გაგაბითურებ.

— პლატონის თვალში უნდა გავაშავოთ და ხელი დავადვათ, — დაეთანხმა თეოფილეს ლეონარდო.

— ხელის დადებას და დაკავებას მე გაჩვენებთ როგორც უნდა! — დასძინა კრიტიკოსმა არსენ ლალიაშვილმა.

პოეტებმა კორნელი, წინასწარ, ნიშანში ამოიღეს. შიშობდნენ: კორნელი ჩვენი მეთაურის და ბელადის ფავორიტი არ გახდესო.

ვარლამ შევარდნაძე კორნელის დააცქერდა და მერმე რაფაელს თანაგრძნობით უთხრა:

— რამოდენა ბეჭები აქვს. დუელში და ჩხუბში გაჯობებს. ოფიცრებს და ჩოხიანებს ერიდე, — რევოლვერით და ხანჯლით არ გაგაფუჭონ.

— ნაკლებად დაუშინებივარ, — მიუგო რაფაელმა.

— კაი, კაი, რომელი ბაყბაყმდევი და დუელში გამყოლი შენ მყავხარ. შენი ოინები განა მე არ ვიცი, — უეცრად გაბრაზდა ლეონარდო, სახე უშნოდ დაეღმიჭა და უშნოდ აყანყანდა.

— შენ რა კუჭი მოგეწვა! — გაუკვირდა რაფაელს.

— აბა, რას გვაბითურებ? რისი დუელი და რა დუელი! ივ ბიჭსაც აფრენილი ჰყოლია. სადღეგრძელოების მეორე ტური არც კი დაგვიწყია და დიდებული სადილი ისე ჩაგვამწარეთ, — გაჯავრდა ლეონარდო, რადგან იმდენი მწვადი და ღვინო შეუჭმელი და შეუსმელი დარჩა.

პლატონი ხის ქვეშ გაჩერებულ კორნელის მოშორდა. ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა პოეტებისაკენ, ისეთი ტანალესილი და ბრიალა თვალებით მიიჭრა რაფაელთან და უბრძანა, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა:

— თქვენ კორნელი მხეიძეს, სრულიად უსაფუძვლოდ, უხრდელი და ტუტუცი უწოდეთ, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. მე მოვითხოვ, ჩვენი კორპორაციის სახელით, ეხლავე ბოდიში მოიხადოთ მის წინაშე.

— როგორ თუ უსაფუძვლოდ, ბატონო პლატონ! განა მართლა ჩვენ გაგვათახსირა მან? მისი სიტყვები თქვენც შეგეხებოდათ, — მიუგო რაფაელმა.

— მან თავისი შეხედულება გამოთქვა მხოლოდ, თქვენ

ჯერ-თავი უფლება არ გქონდათ, ამის გამო, შეურაცხყოფა მიგეყენებინათ მისთვის. წამობრძანდით და ბოდიში მოიხადეთ. — ისევ უთხრა პლატონმა.

— არ შემიძლია... — დაიწყო ვაჭრობა რაფაელმა.

— მაშ, კარგი. თქვენ არ იცით როგორ ჭაბუკთან გაქვთ საქმე. ბოლოს ინანებთ, მაგრამ გვიანღა იქნება. თქვენ არავითარი პატივისცემა არ გქონიათ ჩემი და კორპორაციის წევრებისადმი. ყოველგვარ ურთიერთობას ვწყვეტ თქვენთან. დღეის შემდეგ მე თქვენ არ გიცნობთ, — გაბრაზდა პლატონი. შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით კორნელისაკენ წავიდა.

ლეონარდო და ვარლამი დაედევნენ. პლატონი შეჩერდა და იყვირა:

— რას ჰგავს ეს? მე თქვენი კორპორაციის ხელმძღვანელი ვარ თუ არა? მე გავრიცხავ მას ჩვენს რიგებიდან.

რაფაელი შეშინდა. პლატონთან მივიდა და უთხრა:

— ბატონო პლატონ. თქვენი პატივისცემის გამო მე შევასრულებ თქვენს თხოვნას.

რაფაელმა კორნელის განუცხადა:

— თქვენ ჩვენ ძალიან გაგვლანძღეთ. მე გავბრაზდი და ამიტომ ვერ მოვზომე და გადავაჭარბე. ბოდიშს ვიხდი შეურაცხყოფისათვის.

რაფაელმა კორნელის ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

„ჰერი-ჰა, ეს როგორი ხალხი ყოფილა! თავისივე ნაფურთხის ალოკვა სცოდნიათ!“ — გაიფიქრა კორნელიმ. ფიქრი არ დასცალდა. კორნელისთან ლეონარდო მიიჭრა და მსუქანი ტუჩებით ლოშნა დაუწყო. მერმე ვარლამი, არსენი და ქონდრის კაცი — თეოფილ გოთუა მივიდნენ.

ლეონარდო დანჯღრეული სიარულით წინ წავიდა, მერმე, ოჩანი ცხენივით, ერთბაშად შეჩერდა და პოეტებს განუცხადა:

— მეგობრებო, ისევ „ჭიმერიონში“ ჩავიდეთ. სუფრა დაუმთავრებელი დაგვრჩა და ამ შერიგებისაც დავლიოთ.

— ხორაკი და ღვინო მართლაც ბევრი დაგვრჩა სუფრაზე და ამ შერიგებას ბარემ მარილიც მოვაყაროთ, — მიეშველა ლეონარდოს ჭამა-სმის მოყვარული და ზვინივით დაყუდებული კრიტიკოსი — არსენ ლალიაშვილი.

პლატონ მოგველაძე სდუმდა. მაშინ, პლატონის წინაშე, ჭინდრის კაცი — თეოფილე გოთუა მელასაებრ მიცუნცულდა, დაიმანჭა, მანჟეტებიდან გრძელი ხელები გამოაძვრინა, მარცხენა ხელის გული გაშალა, მარჯვენა ხელის თითები კი, ბირჯვრის სახვის დროს რომ იციან, ისე შეაკავშირა და ხელის გულზე დაატრიალა, თითქო ზედ მარილს აბნევსო და პლატონს უთხრა:

— კი, პლატონ ევსეიჩ, კი. ლეონარდოს და არსენს დაგუჯეროთ. ამ ამბავს, მართლაც, მარილის მოყრა მოუხდებაო.

იგი „ქიმერიონისაკენ“, მსუნაგ მელასაებრ, ყველაზე წინ გაიქცა, რომ რესტორანში ახალი სუფრა გაეშალა და წინასწარი ხაზირი მოეხდინა. ამ პატარა და ჯუჯა კაცმა იმოდენა ჭამა იცოდა, რომ ყველას აოცებდა.

კორნელი უარზედ იყო, მაგრამ პოეტები არ მოეშვნენ, ხელი ჩაჰკიდეს და რესტორანში ძალით ჩაიყვანეს: პლატონი სარდალივით ისევ წინ მიდიოდა დადუმებული და ბრძენი სახით. ხელები უკან შემოეწყო, თითქო უდიდესი საქმე გაეკეთა და ბრძოლა მოიგოო.

სუფრას რომ შემოუსხდნენ, პოეტებმა ეხლა კორნელის ქება-დიდება და „აწევა“ დაიწყეს: იშვიათ ადამიანს, მოვარჯიშეს, მებრძოლს, ტალანტიანს, კულტურულს და მცოდნეს უწოდებდნენ.

რაფაელმა ასკერის მოკვლა გამოჰკითხა. კორნელიმ საინტერესოდ უამბო. პლატონს ისე მოეწონა კორნელის ნაამბობი, რომ ალტაცებით განაცხადა:

— მეგობრებო, კორნელიმ რომ ასკერის მოკვლის ამბავი ისე დაწეროს, როგორც ჩვენ გვიამბო, ჩინებული მოთხრობა გამოვა.

— დასწერეთ, — შესძახეს კორნელის პოეტებმა და მეამიტი ჭაბუკის შეცდენა სცადეს.

— დაწერილი მაქვს დღიურის სახით, — წამოცდა კორნელის.

ამრიგად, პოეტების ცდა ამაო იყო: კორნელი მანამდე შეცდენილი ყოფილა.

საკვირველია, როგორ მოახერხა კორნელიმ ამ საიდუმლოების შენახვა ისე, რომ არც მის მეგობრებს და არ მე — მისი

ცხოვრების მესაიდუმლეს არაფერი არ გაგვიგია. ჩვენში ლექსის და მოთხრობის დაწერამდეც კი ბუღს აყენებენ, თორემ დაწერილს ვინ ეშმაკი შეინახავს, დაამუშავებს, დაამქავებს და დაჰხურავს უჩინმაჩინის ქუდს!

— მომიტანეთ თქვენი „ასკერი“ რედაქციაში, უთუოდ დავბეჭდავთ, — შესთავაზა პლატონმა.

ასე გათავდა პოეტების ღრეობა, ჩხუბი და კორნელისა და რაფაელის დუელი. პოეტებმა, ერთის ამბით, კორნელის მომავალი ნაწარმოები ღვინით აკურთხეს. მაგრამ „ასკერის“ ვარგისობა გულში არ სჯეროდათ და „გაბრიყვებულსა და სწორი გზიდან აცდენილ ჭაბუკს“ უფრო აცდენდნენ და აბრიყვებდნენ. თუმცა, ხანდახან, გულში შურიც ებადებოდათ: ვაი თუ „ასკერი“ მართლაც კარგი აღმოჩნდეს, მაშინ რაფაელის სიტყვები გამართლდება და პლატონი კორნელის თავზე დაგვაჯენსო.

„ასკერი“ მართლაც კარგი გამოვიდა და მან უმალვე სახელი მოუპოვა კორნელის. იგი გაცილებით სჯობდა ჩემს „ასკერს“. იქნებ იმიტომ, რომ შიგ მოთხრობილი ამბავი თავად კორნელის ჰქონდა განცდილი და პირველ პირში მოთხრობილი, ისე როგორც „ასკერზე“ ადრე დაწერილი და მერმე გამოქვეყნებული „ასპინძა“, რომელშიაც ჯავახეთში თურქებთან ომი და ამ ომში გრიგოლ ცაგურიშვილის დაჭრა და სიკვდილი იყო ნაამბობი. ამჟამად ახალ მოთხრობაზე ფიქრობდა კორნელი. ამ მოთხრობაში ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის — გოჯასპირის ცხოვრება და გვარდიელების მიერ მუხაზე მისი ჩამოხრჩობა უნდა ყოფილიყო ნაამბობი. მოთხრობას კორნელიმ „გოჯასპირი“ უწოდა.

დედის წერილი

მხოლოდ ეს მახსოვს, — გადმომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?“!

გ. ჭალადიდელი

კორნელიმ უწყება მიიღო. „შევარდნის“ საზოგადოების გამგეობა ატყობინებდა: განათლების სამინისტროს დადგენილების თანახმად, მწურთნელთა ჯგუფმა, სექტემბრის ოციდან საქართველოს ქალაქები უნდა მოიაროსო. მწურთნელთა ჯგუფში კორნელიც იყო და ოც სექტემბრამდე, ყოველ დღე, საღამოს ექვსი საათიდან ათ საათამდე „შევარდენში“ უნდა ევლო.

კორნელიმ გაიხადა და დაწვა. მეორე დღეს — კვირას გვიან დგა. პირი დაბანილი არც კი ჰქონდა, როდესაც ფოსტალიონმა წერილი მოუტანა. წერილი დედისა იყო. კორნელი საწერ მაგიდასთან დაჯდა და კითხვა დაიწყო. დედა სწერდა:

„ძვირფასო შვილო, კორნელი! დაგიკოცნი, დედუა, საყვარელ სახეს და ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერ ცხოვრებას. ისევ ომში რომ გაქცეულხარ, ვითომ რა ამბავია? რამე რომ შეგემთხვეს, მე ცოდვით სავსეს, რა მეშველება? რატომ ამაზე არ ფიქრობ? ნამეტანი მენატრება, შვილო, შენი ნახვა. ნახვას ვინ დაეძებს, წერილს მაინც მაღირსებდე! რამდენი წერილი გამოგიგზავნე, ნუთუ არც ერთი არ მიგიღია? ზაფხული ილევა და ხილიც დამწიფდა. ქალაქში ნაყიდ ხილს რა გემო უნდა ჩაატანო? სულ ამას ვიძახი: ნეტავი კორნელი ახლა აქ მყავდეს-მეთქი. ბიჭო, ჯარში სამსახური, ომი და მეცადინეობა, განა ყველაფერი ერთად, მოსახერხებელია? რა წამს საქმეები დაამთავრო, მაშინვე კარისმერეთისაკენ გამოსწიე. შენს ამბავს ელენე მატყობინებს. რატომ შენ თვითონ არ მომწერ წერილს და არ შემატყობინებ როგორ ხარ? როგორ მიდის შენი და ნინოს საქმე? ნინო პატიოსანი, კარგად აღზრდილი, ლამაზი, ნაზი და ჩინებული ქალია. ყურადღე-

ბით მოეპყარი მას. ჭკუით იყავი და არ იკეცლუტო. ახლა საქმეში ცუღლუტობა არ ვარგა. რა ცხოვრება გაქვს მანდ? ხელშეშლილი ხომ არა ხარ? თუ ააწყვე შენი ცხოვრება ცოტა უკეთ? ევგენის გამგზავრება პარიზში შენ დიდად დაგჩაგრავდა, მაგრამ ელენეს იმედი მაქვს. თუმცა ქმრის ნათესავების დახმარებას ვერ მორჩა, საცოდავი. ყველა კისერზე დააწვა. ახლა მეც აქედან ვერ ვეხმარები, ხომ იცი, რა საშინელი დრო არის, გლეხები ჩვენს მიწა-წყალს და მოსავალს ისევ ისაკუთრებენ და რა გავყიდო, ცოტა ფული რომ გამოგიგზავნო, მე უბედურმა? საბედნიეროდ, თბილისიდან ჩამოსული ვინც ვნახე, ყველა მეუბნება — ახლა კორნელი კარგად არისო. წინათ ასე არ ამბობდნენ. ეგების მიხვდე, შვილო, შენს მოსახდენსა და შენს წასახდენ საქმეს. შენი ურგები ნურაფერი ნუ გინდა. დრო არის, შვილო, და ახლა წლოვანება და გამოცდილებაც ხელს გიწყობს, დაფიქრდე. იყავი ბეჯითი, მუყაითი, გულმოდგინე და მეცადინი. თავი დაიფასე, გული არ აიცრუო და არ იცუღლუტო. უზნეო ქცევას და ღვინოს თავი არიდე. ბევრს უქეიფნია, მაგრამ შემდეგ ჭკუაში ჩავარდნილან და სწორი გზით უვლიათ. ასე მოიქეც შენაც. გახსოვდეს: ზედმეტი ღვინო ადამიანის გონების, გრძნობისა და კაცობის მომსპობია. მე შენით ვამაყობ. შენ გონიერი, გრძნობით სავსე და კეთილი კაცი ხარ. ნურმც გამეგონოს ნურასოდეს — კორნელი ლოთი, უზნეო, ფუქსავატი და ცუდი კაცი არისო. ხანდახან კანტიკუნტად მესმოდა: კორნელი ღვინომ და ქალებმა გაიტაცაო. ნუ მკითხავ, ვინ შემატყობინა. ჩიტმა მომიტანა ამბავი. ხომ იცი, დედას არაფერი არ დაემალება. მოსპე შენში ღვინითა და ქალებით გატაცება, თუ გინდა საღი გონება, ნიჭი და ჯანი შეინარჩუნო. რომ მომაგონდები, იცოდე, ძალიან ვიტანჯები. შენ მამაშენს გავხარ ხასიათით. შენ სუსტი ნების კაცი ხარ და ჩემი გული ვერ ისვენებს. რატომ შენთან არა ვარ ახლა, მე უბედური. რა ვქნა, ხომ იცი — დედა ვარ შენი! რა წამს საქმეს მორჩე, გიმეორებ, მაშინვე ჩემსკენ გამოსწიე. შენ მეცადინეობა, წიგნის კითხვა და მყუდროება გიყვარს და აქ გექნება საამისო პირობები. ომისა და გამოცდების შემდეგ დაქანცული იქნები და პატივს არ მოგაკლებ. საჭმელი და სასმელი, ღვთის მოწყალებით და ჩემის ჭკუითა და შრომითაც, ამ დაწყევ-

ლილ დროში, ჯერ კიდევ მომეპოვება. ზამთარში, როგორც იცი, ავად ვაყავი. ახლა გვარიანად ვგრძნობ თავს. რომ მეგონა, ისე მალე არ მოდის ის ოხერი სიკვდილი. მაგრამ უდროო დროს იცის, დაწყევლილმა ღალატი. მინდა შენს კაცობას, ცოლ-შვილს მოვესწრო და მერმე, შვილების ჭირიც წამიღია. საკმარისად მოვჭამე ეს წუთისოფელი. მუდამ ხომ ვერ ვიცოცხლებ? ბოლოს რკინაც კი ბერდება, ცვთება და ჟანგი ჭამს. ამ წერილს რომ გწერ, ოცი ივნისია, ღამის თორმეტი საათი. გარეთ მთვარიანი ღამეა. ხომ იცი, კარისმერეთის მთვარიანი ღამეები რა წარმტაცია! მაგრამ რად მინდა? მარტო დავრჩი ამ კარისმერეთში გამოყრუებული. არც ერთი შვილი ჩემთან არ არის. დომენტის და აგოიას აივანზე სძინავთ. აგოია შენს ჩამოსვლას მოუთმენლად ელის. ტვინი ამომიღო, კორნელი როდის ჩამოვაო. იცის შენი ხასიათი, რომ გაასულელებ, არ მოიშორებ, მუშაობაზე ხელს ააღებინებ და უხარია. ხვალ დილით, ალიონზე დომენტი, აგოია და მუშები ყანაში სამუშაოდ უნდა გავგზავნო. კარგი ამინდი დაგვიდგა. ივნისმა შემაწუხარი წვიმები იცის, სოფელში „ჩოხადამპალას“ ეძახიან, მაგრამ ახლა კარგა ხანია წვიმა არ მოსულა და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

მშვიდობით გნახე, შვილო. იყავი ბედნიერი, დაგიკოცნი საყვარელ სახეს და თვალებს. იონა, დიდი სიყვარულით, მოკითხვას გითვლის. მალე მოგელით. შენი დედა ტერეზა“.

2

დედის წერილმა და დარიგებამ კორნელი გამოაფხიზლა. თავის თავზე და ცხოვრებაზე მწარედ ჩააფიქრა, სულიერი განწმენდის სურვილი ჩაუნერგა. წერილმა ძალა, სიმხნე და თავდამტკიცება შეჰმატა. გულში თბილი და საამური გრძნობა ჩაუნერგა. ბავშვობა, სოფელი, იქ გატარებული ზაფხული და შემოდგომა მოაგონა. მერმე ისევ წაიკითხა წერილი და დედას ასეთი წერილი მისწერა:

„ძვირფასო დედა! ახლა კარისმერეთში ყოფნას რომ არაფერი სჯობს, კარგად ვიცი მაგრამ ამჟამად ვმსახურობ და შვებულებას ჯერ არ მომცემენ. სექტემბრის ბოლოს კი უთუოდ ჩამოვალ. ჩვენმა სატანვარჯიშო საზოგადოებამ — „შე-

ვარდენმა“ მწუხრთნელთა ჯგუფი შეარჩია, რომელმაც საქართველოს ქალაქები უნდა მოიაროს. ამ ჯგუფში მეცა ვარ და იქნებ კარისმერეთსაც ვესტუმროთ! მართალი გითხრა, ძალიან მიწევდა გული კარისმერეთისაკენ, მაგრამ მეცადინეობისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო, თბილისიდან ვერ წამოვედი. თბილისში ცხოვრება კი გამიჭირდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევგენი პარიზში, ხოლო დეიდა კი ბორჯომში გაემგზავრნენ. მეც ავდექი და სტამბაში კორექტორად მოვეწყვე. მეგონა, მეცადინეობასაც და სამსახურსაც შევძლებდი, მაგრამ სამსახური ძალიან ბევრ დროს მართმევს და ჩემი სამუშაო გეგმა ისევ განუხორციელებელი მრჩება. ნუთუ იმიტომ ვსწავლობდი ამდენ ხანს, რომ კორექტორად ვგდებულიყავ საქათმისმაგვარ სტამბაში? ამას კატორღაში ყოფნა სჯობია. ხშირად ღამითაც მიხდება სტამბაში მუშაობა. სამსახურს თავი რომ დავანებო, თბილისში როგორღა ვიცხოვრო? სტამბაში გირვანქანახევარ შავ პურს, ხანდახან ნავთსაც გვირიგებენ სახელმწიფო ფასებში და სად უნდა წავიდე? ელენე, დათა, მგონი სტეფანეც, ჩემს სამსახურს მიზანშეწონილად სთვლიან. სტამბაში კორექტორად დარჩენას, ვიცი, ისეთები მირჩევენ, რომელთაც ეშინიათ, სარჩენად არ გავუხდე, ისეთები, რომლებიც ხარჯის გაწევას ერიდებიან და ფეხებზედაც არ ჰკიდიათ ჩემი მომავალი. მართალია, ახლა ყველას უჭირს ცხოვრება და დახმარებას ვერავის ვერ დავავალებ, მაგრამ ცოტა რომ გაიჭირვონ, ქვეყანა დაიქცევა? განა არ გიჭირდა შენ მაშინ, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტში სამ შვილს ზრდიდი და ნათესავებსაც ეხმარებოდი! ახლა ფეხზე დამდგარმა ჩემმა ძმებმა და ნათესავებმა ცოტა გაიჭირვონ ჩემთვისაც. მისწერე სტეფანეს წერილი. ის და შენ ცოტას თუ დამეხმარებით, მაშინვე სამსახურს მივატოვებ და კარგად ვიმეცადინებ. ჩემი ხელფასი პურსა და წვრილმან ხარჯებს ძლივს ფარავს. ფეხსაცმელი დამეხა და ვინ იცის, მოვახერხებ კი ყიდვას! ტყავი არსად არ იშოვება. პალტოც არა მაქვს ზამთრისათვის. ჯარიდან რომ შალის თბელი საბანი გამომყვა, ის უნდა შევიკერო, სხვა გზა არ არის. თვეში ცხრაასი მანეთი მჭირდება. პური ერთი გირვანქა თხუთმეტი მანეთი ღირს. მარტო პურზე თვეში ოთხას ორმოცდაათი მანეთი მეხარჯება. ახლა შაქარი და ყველი იანგარიშე. მერმე თუთუნი, გაპარსვა

ლი გაკრეჭა. ცხრაასი ძანეთი ამ ხარჯს არ გასწვდება. მრცხვენია, მეწვრილმანე მედუქნესავით ასეთ რამეზე რომ გწერ, მაგრამ გაჭირვება, თურმე, კაცს ბევრ რამეს აკადრებინებს. საშინელი პირობები შეიქმნა ცხოვრებისათვის. ყველა გაძვალტყავებული და მშიერია. ჩაცმა-დახურვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ასეთი სახელმწიფო რომ დაინგრეოდეს, აბია! ყველა უკეთილ გამგელ-გამომგელის ხელში რომ ჩავცვივდით, მაშინ წახდა ჩვენი საქმე. ინგლისელების თაყვანისმცემელთა ოკხებები ისე ჩქარა გაიფანტა, როგორც გერმანელების მაჭანკალთა. ინგლისიდან საქონელს და სურსათს მოელოდნენ, მაგრამ კი — ბოლოკი. საქონელი — ეს ინგლისური სიგარეტებია, ხოლო სურსათი — ავსტრალიური კონსერვები, რომლითაც ინგლისელი ჯარისკაცები ეწევიან სპეკულაციას და რომელიც ჩვენთვის ფუფუნების საგანს წარმოადგენს. ომი, რომლის შესახებ შენ მწერ, ისიც ბრიტანეთის სპეკულაციის ნაირსახეობაა... წელს ძალიან ცხელა თბილისში. პაპანებაა. რა ვაეწყობა! ვმსახურობ, ტყავი მძვრება და თანაც ვმეცადინეობ. უნივერსიტეტი უნდა დავამთავრო, ხალხმა უდიპლომობა რომ არ წამომძახოს. ჩემი ცხოვრება იქნებ მალე სულ სხვა გზით წარიმართოს! მაშინ ჩემს წუწუნს ვერ გაიგონებ. ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მომავალი დაგვანახვებს. მე შენი და მამაჩემის ღირსეული შვილი გავხდები, მე შენ არ შეგარცხვენ. უნივერსიტეტს, სამსახურს, ვარჯიშობას — ყველაფერს ერთად, ერთი კაცი ვერ გაწვდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც ბევრს ვმეცადინეობ და ფარ-ხმალს არა ვყრი. სხვათა შორის, მოთხრობები დავწერე: „ასპინძა" და „ასკერი". ხალხს მოეწონა და ამან მუშაობაზე წამაქეზა. ახლა მესამე მოთხრობა უნდა დავწერო. ამ მოთხრობაში ყველაფერი ნაცნობი იქნება შენთვის და მაქაურებისათვის; თუმცა მოქმედ პირთა სახელი და გვარი ყველგან შეცვლილი მექნება, გარდა მოხუცი გოჯასპირისა, რომელიც გვარდიელებმა სარკოიაში მუხაზე ჩამოახრჩეს. თუ კარგი მოთხრობა გამომივიდა, ბედნიერი კაცი ვიქნები და მაშინ ასეთ უმსგავსო წუწუნს ჩემგან ვერ მოისმენ.

ჩემსა და ნინოს შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. თუმცა, ამას წინათ, უნებლიეთ, ისევ დამიცდა ფეხი. ეს შეცდომა თუ ცოდვა არასდროს აღარ

განმეორდება. ნინო მართლაც ჩინებული ქალია, მაგრამ ვარდომ და ელომ გააჭირვეს საქმე. ვიცი, ჭირი რაც არის: ჩემისთანა ცარიელ-ტარიელი კაცი ვის რად უნდა? მით უფრო მაყაშვილებს! სიყვარულის, ცოლ-შვილისა და ოჯახის საკითხი ძალიან რთული ყოფილა. მგონია, ოჯახური ცხოვრებისათვის მე არა ვარ გაჩენილი. მე ცხოვრების მჭვრეტელი უფრო უნდა ვიყო, ვიდრე მისი გარდაქმნისათვის მებრძოლი. არ დაგიმალავ, რომ მე ბევრს ვფიქრობ ახლა ამის შესახებ, მაგრამ ეს „ფილოსოფია“ ჯერ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა ჩემს თავში და ამიტომ ამაზე მეტს არაფერს მოგწერ, მტრებისაგან ჩემზე მოჭორილს ნუ დაუჯერებ. გახსოვდეს — შენ დედა ხარ ჩემი და შენგან მოველი მზრუნველობას და თანაგრძნობას. შენზე საყვარელი არსება ამქვეყნად არ გამაჩნია. არის კიდევ ერთი კაცი — ირონა, ჩემი სულის მესაიდუმლე. გადეცი მას გულწრფელი სალამი. წააკითხე ეს წერილი. სხვას კი ნურავის უჩვენებ. მომიკითხე სიყვარულით მაკო, იულო, დომენტი, აგოია... კარისმერეთში თუ ვერ ჩამოვედი, მაშინ შენ თვითონ ჩამოდი თბილისში. ჩამომიტანე სიმინდის ფქვილი და კვერცხი. ძალიან გთხოვ, თავს გაუფრთხილდი. ჩემზე ნუ იდარდებ. ათასს გაკოცებ. შენი კორნელი“.

კორნელიმ წერილი გადაიკითხა, დაკეცა, კონვერტში ჩასდო და მისამართი დააწერა. მერმე წამოდგა, ღია ფანჯარასთან მივიდა და მთებს გაჰხედა. მთის ზეგანზე სოფელი წყნეთი დაინახა. ტყე ჭედს ქოჩორივით დასდგომოდა და კორნელის სოფელი ზედაზენი და სარკოია მოაგონდა, მთის კალთებზე დარაზმული ვაზები და ტყე. უცბად, მთის კალთაზე ოთხმოცი წლის მოხუცის გოჯასპირის სახე, არყის ხის ქერქისფერი უცნაური მისი თვალები მოეჩვენა. მტკვარზე დილის ნიავმა დაუბერა და კორნელის ნედლი ხის, ნაავდრი მიწის, თევზის, მდინარისა და ფქვილის სუნი ეცა. მერმე კი — ანთებული აბედისა. კალამი აიღო და მოთხრობა „გოჯასპირის“ წერა დაიწყო:

„...წისქვილთან ცხენი შევაყენე...“

შესვედრა

კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის.

ფრანგული ანდაზა

I

„გოჯასპირზე“ მუშაობის დროს კორნელიმ სხვა ყველაფერი დაივიწყა — მეგობრები, მშობლები, ნინოც კი. სტამბაში იშვიათად დაიარებოდა. დღეღამეში ხშირად თექვსმეტ საათს მიჯრით მუშაობდა და ერთი თვის შემდეგ ორნაირი სიხარული განიცადა: „გოჯასპირის“ წერა დაამთავრა და ჟურნალში მოთხრობა „ასპინძა“ და „ასკერი“ დაბეჭდა. ავტორს მოთხრობების ცალკე წიგნად გამოცემა აღუთქვეს. გათამამებულმა ჭაბუკმა გამომცემლობის გამგეს მესამე მოთხრობა — „გოჯასპირიც“ შესთავაზა. გამგემ გულდასმით წაიკითხა და მერმე უთხრა:

— ეს მოთხრობა რომ დავბეჭდოთ, მთავრობა თქვენ ბოლშევიკად გამოგაცხადებს და მერმე თქვენცა და ჩვენც საქართველოდან გადაგვასახლებს. ნუთუ თქვენ არ გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ ანადგურებთ ამ მოთხრობაში ხელისუფლებას?

— მე ახლანდელი მთავრობის დამჭაშების მხეცობაზე ვწერდი და, მართალი გითხრათ, არ მიფიქრია, ამის გამო თუ გადამასახლებდნენ, — მიუგო გაოცებით კორნელიმ.

— სჯობს ეს მოთხრობა შინ შეინახოთ და არავის არ აჩვენოთ, — ურჩია ჭაღარით მოსილმა გამგემ. ოქროსჩარჩოიან სათვალიდან მრისხანედ შეხედა და „გოჯასპირი“ დაუბრუნა.

სამწერლო ასპარეზზე ეს კორნელის პირველი მარცხი იყო.

— თქვენ სიმართლისა გეშინიათ, — აღშფოთდა კორნელი, — თქვენ მოსყიდულ პრესას ემსახურებით. ძალიან მწყინს, რომ ყოველივე ეს ვერ გავითვალისწინე და ჩემი მოთხრობა თქვენ მოგიტანეთ.

„გოჯასპირში“ მენშევიკური ხელისუფლების და სახალხო გვარდიის უმსგავსოება, თარეში და მათ წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობის ბრძოლა იყო აღწერილი. კორნელიმ პირ-

ველად იგრძნო ცენზურის სუსხი და თავისუფალი შემოქმედების აღკვეთის და შეზღუდვის უმსგავსოება.

„ასპინძა“ და „ასკერში“ კორნელიმ დიდი ჰონორარი მიიღო და მერმე კოსტიუმის შეკერვა და ქვიშხეთში გამგზავრება გადასწყვიტა. ჰონორარი ჯიბეში ჩაიდო, რედაქციიდან პირდაპირ ლეონ მერაბიანს გაუარა და კოსტიუმის შერჩევა სთხოვა.

იმჟამად თბილისის მაღაზიებში საქონელი არ იშოვებოდა. ლეონმა კორნელი „სალდათის ბაზარში“ წაიყვანა, სადაც სპეკულანტები ვაჭრობდნენ, ვითომდა ომში დაზარალებულთა და სომეხ ლტოლვილთათვის ამერიკული კომიტეტის მიერ გამოგზავნილი საქონლით. ნამდვილად კი ეს საქონელი საეჭვო საქმოსნებს და სპეკულანტებს უვარდებოდათ ხელში. აქ უხმარ ტანსაცმელს იშვიათად თუ წააწყდებოდა კაცი და, კიდეც რომ წაწყდომოდა, კორნელისთანა ჭაბუკს ტანზე არ მოადგებოდა. კორნელიმ და ლეონმა მთელი ბაზარი უშედეგოდ მოიარეს. ბოლოს ლეონი გაბრაზდა და ერთ მსუქან, შავტუხა ვაჭარს — სურენს მიადგა.

— ვა, რა დროება დადგა, გედეონ მერაბიანის შვილი ბაზარში კოსტიუმს ეძებდეს, აფსუსი არ არის! აი გიდი, აბასთუმან! — შეეგება ლეონს გედეონის ყოფილი ნოქარი სურენი. იგი წამსვე დატრიალდა და დაიძახა: — ისეთი ანტიკა საქონელი გაჩვენოთ, მთელ ქალაქში ვერსად ნახოთ!

კორნელი და ლეონი სურენმა მაღაზიის უკან, საწყობში გაიყვანა. ახალმიღებული შეკვრა გახსნა. კორნელიმ და ლეონმა შიგ მუქ-ნაცრისფერი შალის ჩინებული კოსტიუმი მოსძებნეს. სინათლეზე გაიტანეს. ზედ ზოლებად ჩაქსოვილი ისფერი წინწკლები აჭდა და შალი ლურჯი ზღვის ტალღასავით ლივლივებდა. კოსტიუმი, მართლაც, ჩინებული იყო. კორნელის ტანზეც მოადგა. ცოტაოდენი გადაკეთება სჭირდებოდა. მაგრამ სურენი ძვირად აფასებდა და ჯიუტობდა:

— კაპიკიც არ დააკლდება. ნამუსს გეფიცები, სუფსარქისის მზემ, — განაცხადა მან.

— რას მეფიცები? — ჰკითხა კორნელიმ.

— ნამუსს, ღმერთსა და რჯულს.

— ის დაიფიცე, რაც გაგაჩნია — ფული, პიჯაკი და შარვალი...

სურენი მიხვდა, ანკესზე რომ წამოეგო, ეწყინა და კორნელის უკმეხად მიუგო:

— ვა, ეს რა მაზალო ვინმე ყოფილხარ! სინდისზე და ნამუსზე, ღმერთსა და რჯულზეც ხელი უნდა ამაღებინო?

— მე რად გაღებინებ? ამდენ მოგებას რომ ინარჩუნებ და საწყალ ხალხს ტყავს აძრობ, განა მაგით ღმერთსა და რჯულზე თვითონვე ხელს არ იღებ!

— მაშ ამოდენა ნალოგები როგორ გადავიხადო, ან ცოლშვილი ასეთ სიძვირეში როგორ დავარჩინო? ის დრო არ გეგონოთ, ეტლს რომ დავიჭერდი, შიგ მირონის პრავიზიას ჩავაწყობდით და იალა, ორთაჭალაში მივფრინდებოდით! იქ ცოცხალი, მწვადები... დილამდე ვქეიფობდით. მერე რა? კაპიკები ღირდა... აბა ახლა მიბრძანდი! აფსუს, რა ცხოვრება გაგვიფრინდა! ჰაი, გიდი, აბასთუმან! — დაიძახა სურენმა და ღაჟღაჟა, გაბუშტულ ლოყაზე ხელი ისე მაგრა შემოიკრა, რომ ბაგე გაეხსნა და მსუნაგი, ოქროსფერი კბილები კინაღამ არ გადმოსცვივდნენ.

კორნელიმ ჰონორარის ნახევარი გადაუთვალა სურენს და მერმე ლეონს უთხრა:

— საცარია. ვიღაც ამერიკელის კოსტიუმი ახლა თბილისში მე უნდა ვატარო.

ლეონმა ისევ შეათვალიერა კოსტიუმი და ღიმილით მიუგო:

— მას კი ცოტა ხანს უტარებია, უმალვე გამოუცვლია. მე ვიცი, გარდერობში მეტი კოსტიუმი აღარ დარჩებოდა, აი!

სურენმა იმ უცნობი და უხილავი მდიდარი კაცის მისამართით სასოებით და მლიქვნელურად განაცხადა:

— მახლას, რა გარდერობი და ცხოვრება ექნება, იმ დალოცვილსა!

2

კორნელი ფანჯარასთან იჯდა. იგი მტკვარს, ყორღანოვის ქუჩას და მთებს მოწყენილი გასცქეროდა. კოსტიუმი მკერავს მისცა გადასაკეთებლად, მანამდე კი, ყალბი თავმოყვარეობის გამო, ქვიშხეთში დახეული ტანსაცმლით ვერ ჩავიდოდა. თანაც, ჩადენილი ცოდვის გამო, ქალთან პეხვედრას ერი-

ელებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რა საშინელება ჩაიდინა. ნინოს გამგზავრების შემდეგ თვენახევარი გავიდა, მას კი ერთხელაც არ მიუწერია მისთვის წერილი და არ ჩასულა ქვიშხეთში.

„მაინც სად დაიკარგა მიხა მაჭავარიანი? რისთვის არ მწერა? რაც მწერლებთან სიარული და ჟურნალ-გაზეთებში ანამშრომლობა დავიწყე, მიხა, რატომღაც, ჩამომშორდა. შური ხომ არ დაებადა? იქნებ ნაწყენია და ქვიშხეთში უჩემოდ წავიდა? მე და ნინოს შორის, ალბათ, ისევ შავი კატა გაირბენს. ვგრძნობ, რაღაც ცუდი მოხდება“, — გაიფიქრა კორნელიმ. მაშინვე წამოიჭრა და მიხაკენ გასწია, მაგრამ გვიანღა იყო. მეზობლებმა უთხრეს: მიხა ქვიშხეთში წავიდაო. ეს ამბავი ძალიან ეწყინა კორნელის — ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ქვიშხეთში ერთად წავსულიყავით და, მიხა თუ პატრონი კაცია, უჩემოდ რად გაბედავს! იქნებ საჯაშუშოდ წავიდაო. — ფიქრობდა იგი.

ასე ფიქრობდა კორნელი, როდესაც დიდმთავრის ქუჩაზე, პოლოდნელად, ვანო მახათაძე და ნიკო გოცირიძე შეეყარნენ. ისინი კავკავიდან იყვნენ ჩამოსულნი. სახე მზით გატრუსული ჰქონდათ. გალიფე, ჩექმები და მოჭარგული უკრავნული ხელათები ეცვათ. ნიკო ახოვანი ვაჟკაცი იყო. შინდისფერი შარვალი — გალიფე ეცვა. ცხენოსანი ჯარის ოფიცრის მსგავსად. ვანოს, გამხდარსა და სუსტ კაცს, გულს ყაფაზი ჩავარღნოდა. მაგრამ თვალები უცნაური ძალით ანთებოდნენ. მათში ურყევი ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე, რწმენის გამო თავგანწირვა გამოსჭვიოდა.

— კორნელი, — უთხრა ვანომ, — შენ მწერალი გამხდარხარ. ჩვენ კი შენში ტალანტს ვერ ვამჩნევდით. შენი „ასპინძა“ და „აბჯარი“ წავიკითხე. „ასპინძა“ იმრიგად არ მომწონს. ნაკლონალისტური ტენდენცია ჩრდილავს მხატვრულ ღირსებას. მაგრამ შენ წერა შეგძლებია.

კორნელი ძალიან ღელავდა, რადგან ეს დამწყები მწერალი იყო და თავისი ნაწარმოების შეფასებას გულთან ახლოს იღებდა, სულ ერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი შემფასებელი; შენ წერა შეგძლებიაო, ვანომ რომ უთხრა, ეწყინა: „წერა შემძლებია კი არა, მოთხრობები დავწერე და კარგი შეფასებაც მივიღე“, — გაიფიქრა და ვანოს შეხედა.

ვანო ისეთი ცნობისმოყვარე და სერიოზული სახით მიშტერებოდა, რომ კორნელიმ კამათი აღარ დაუწყო, თავი ჩაჰკიდა და მორიდებით განაცხადა:

— ის მოთხრობები ჩემი პირველი ცდაა. ამას წინათ მესამე მოთხრობის წერა დავამთავრე, მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა.

— რატომ?

— მოთხრობაში გვარდიელების მიერ ნაწამები ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის — გოჯასპირის ცხოვრება ავწერე, რომელსაც შენ კარგად იცნობდი, — მიუგო კორნელიმ და გამომცემლობის გამგის ნათქვამი უამბო. ვანო დაინტერესდა:

— ის მოთხრობა რომ წაგვიკითხო, რამდენ ხანს მოუნდები?

— ორ საათს. იმ მოთხრობაში მოქმედ პირთა გვარები, აგრეთვე ქალაქისა და სოფლების სახელწოდება შეცვლილი მაქვს, მაგრამ თქვენთვის ყველაფერი ნაცნობი იქნება. იქ თქვენ თავსაც იცნობთ.

— მაშ წავიდეთ, წაგვიკითხე.

რეალურ სასწავლებელს გასცდნენ, სანაპირო ქუჩაზე გავიდნენ და კორნელის ბინას მიადგნენ.

კორნელიმ ფანჯარა გამოაღო. ვანოს და ნიკოს სკამები შესთავაზა. თვითონ მაგიდასთან დაჯდა. სუფთად გადაწერილი მოთხრობა უჯრიდან ამოიღო და გაშალა. ვანო კარადაში და მერმე ეტაჟერზე დალაგებულ წიგნებს მისდგომოდა და ხარბად ათვალიერებდა. კორნელიმ გაუბედავად ჰკითხა:

— შეიძლება დავიწყო?

— მიდი, მწერალო, ჩააბულბულე, — ისე აგდებულად მიუგო ვანომ, რომ კორნელის ეწყინა. ვანომ ეტაჟერიდან ჩეხოვის ტომი გადმოიღო, სკამზე დაჯდა, წიგნი მუხლზე დაიდო და გადაფურცლა. კორნელიმ გაიფიქრა: ამან თუ ჩეხოვის კითხვა დაიწყო, ჩემი მოთხრობა რა მოსატანიაო. ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ვანომ კორნელის აღელვება შეატყო და ისევ აგდებულად უთხრა:

— მიდი, მწერალო, ნუ გეშინია.

კორნელიმ მღელვარე ხმით დაიწყო:

„წისქვილთან ცხენი შევაყენე. წისქვილის თავზე ამართული ბებერი მუხა შრიალებდა. მუხის ძირას ახოვანი, თეთრ-

წვერა მოხუცი, ოთხმოცი წლის გლეხი — გოჯასპირი იდგა, ყალიონს აბოლებდა და მეზობლებს ესაუბრებოდა. მე მივესალმე მათ. ცხენიდან ჩამოვხტი, თუთუნი გაზეთის ქაღალდში გავახვიე და გლეხებს ცეცხლი ვთხოვე. გოჯასპირმა კვესა-ბედი ამოიღო, გაჰკრა და ანთებული ნამცეცი მომაწოდა.

თეთრწვერა მოხუცს ვეება ხელის ზურგზე დაზღმურდლული, ძირმაგარასავით პირღია იარა შევნიშნე და მისი შეხვევა და წამლობა ვურჩიე. გოჯასპირმა გაიღიმა და ოჩოკოჩის მსგავსი ბოხი ხმით ჩააგუგუნა:

„რა უჭირს. უნდა გენახა რას ჰგავდა? ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე“.

ეს სიტყვები კორნელიმ ისეთი მღელვარებით და ისეთი ხმით წარმოსთქვა, ეტყობოდა, მათ რაღაც დიდ მნიშვნელობას, მაგიურ ძალას ანიჭებდა და, მართლაც, შემდეგმა ადგილმა ვანო ამაში სავსებით დაარწმუნა:

„განცვიფრებით მივაშტერდი წარბგაფანჩული მოხუცის სახეს, არყის ხის ქერქისფერ მის უცნაურ თვალებს, თითქოს ისინი ატარებდნენ ჩვენი ხალხის ძველისძველსა და მრისხანე სიბრძნეს. მერმე, რატომღაც, გავიფიქრე: „ტყის ღმერთი“.

„ჩვენი ხალხის ძველისძველი და მრისხანე სიბრძნე... ტყის ღმერთი... აი, ისევ ნაციონალისტური ტენდენციისა და მისტიკური ჭვრეტის შედეგი“, — გაიფიქრა ვანომ. წიგნი დახურა და კორნელის აღმაცერად შეხედა. მაგრამ ფრონტიდან დაბრუნებული შვილისა და მისი ამხანაგების პატივსაცემად გოჯასპირის სახლში გამართული ვახშამი, აჯანყებული გლეხების ბრძოლა, გვარდიელების მიერ გოჯასპირის ჩამოხრჩობა და ქალების მიერ მისი დატირება ისე კარგად იყო დაწერილი, რომ ვანო კორნელის ახლა სულგანაბული უსმენდა. გოჯასპირის ჩამოხრჩობის სცენამ კი ტანში ჟრჟოლა მოჰგვარა, ველარ მოითმინა და დაიძახა:

— ყოჩაღ, შესანიშნავი მოთხრობაა! გოჯასპირი ცოცხლად დაგიხატია... ასეთ მოთხრობებს თუ დაწერ, ხალხის მხარდამხარ იქცი და ჩვენი ნანამგზავრი გახდები, მაშინ იცოდე, სწორ გზას დაადგები.

ვანოს თვალები უცნაურად აღენთნენ. საკინძეშეხსნილ მის

გამხდარ და გრძელ კისერზე კომშის წნელივით დაგრეხილი მოლურჯო ძარღვი გაბერილიყო და გამალებით ძგერდა.

— მე მინდა ხალხს ვემსახურო, — თქვა კორნელიმ, — ჩემი სურვილია ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება ვიხილო. მე სიმართლეს ვემსახურები... მე არც ერთ პარტიას არ ვკუთვნი...

— მაშ იცოდე, სიმართლე ჩვენს მხარეზეა. გახსოვდეს, რომ მწერლობა პოლიტიკის გარეშე არ არსებობს; მწერალს გარკვეული მსოფლმხედველობა და პოლიტიკური მრწამსი თუ არ გააჩნია, იგი ვერაფერს თვალსაჩინოს ვერ შეჰქმნის.

— ჩემი მსოფლმხედველობა, ვფიქრობ, ჩემს მოთხრობებში მჟღავნდება.

— უნდა ხედავდე, რა ხდება ჩვენში! მენშევიკებმა საერთო ენა გამონახეს ჩვენს მტრებთან. ისინი ჩვენი ქვეყნის და ხალხის ინტერესებით ვაჭრობენ. გუშინ ისინი ჰყიდიდნენ ჩვენს სამშობლოს გერმანელებზე, დღეს კი ჰყიდიან ინგლისელებზე და ფრანგებზე. ასე დაახასიათა ლენინმა საქართველოს და განაპირა ქვეყნების ბურჟუაზიის პოლიტიკა. ჩვენი ქვეყანა განა თავისუფალია!

— თავისუფლებას ბევრი რამ აკლია, — მიუგო კორნელიმ.

ვანომ ნიკოს შეხედა. მერმე კორნელის გაუღიმა და უთხრა:

— მოიტა შენი „გოჯასპირი“, ჩვენ ასეთი მოთხრობები გვჭირდება. ჩვენს პრესაში დავბეჭდავთ, თუ ხელის მოწერისა გეშინია, ფსევდონიმი გამოიგონე.

ფსევდონიმი კორნელის მოფიქრებული ჰქონდა. მოთხრობა აიღო, ქვეშ მოაწერა „გიორგი მახვილაძე“ და მოკრძალებით ვანოს გადასცა.

3

ჭუჭიდან ძახილი გაისმა. ვანომ ჭუჭაში გახედა და ნიკოს და კორნელის ჰკითხა:

— იმ ვაჟბატონს თუ იცნობთ?

კორნელიმ ფანჯრის წინ, ჭუჭაში გაჩერებული გიგო თავაძე დაინახა და გასძახა: შემოდიო.

გიგო ოთახში შემოვიდა. ვანოს და ნიკოს ხელი ჩამოართვა, მერმე გაიღიმა და კორნელის ჰკითხა:

— სად ვოსძებახე ეს ბახდიტები, ბწერალო? ისევ ანარჭიხა და აჯანყების მოსაწყობად ხომ არ ჩამობრძანებულხართ რუსეთიდან საქართველოში?

უმალვე დაიწყო კამათი.

— დენიკინის ლაშქარი მოსკოვს უახლოვდება და თქვენ რუსეთიდან საქართველოში გამორბიხართ? — დასცინა გიგომ ვანოს და ნიკოს.

— დენიკინმა, მოსკოვი თუ აიღო და მერმე ამიერკავკასიას შემოუტია, საქართველოს რაღა უჭირს? ინგლისელები დაიცავენ თეთრებისაგან! — მოუჭრა ვანომ გიგოს.

— დიახაც, მთელი ევროპის დემოკრატია დაგვიცავს.

— ნეტარ იყვნენ მორწმუნენი! ინგლისელები, რომლებზედაც თქვენ ესოდენ დიდ იმედებს ამყარებთ, თვითონვე ცდილობენ ხელთ იგდონ საქართველოს და ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი და იცი, სწორედ დენიკინის მეოხებით, — მიეშველა ნიკო ვანოს.

— დენიკინის გამარჯვება საქართველოსთვის, მართლაც, დამღუპველია, — ჩაურთო კორნელიმ და კამათში ჩაბმა სცადა, მაგრამ გიგომ არ აცალა აზრის დამთავრება:

— გაუმარჯოს ახალშობილ ბოლშევიკს! ბოლშევიკების გამარჯვება რუსეთში ჩვენთვის უფრო დამღუპველი იქნება, ვიდრე დენიკინისა.

— აი პირწავარდნილი მენშევიკი ნამდვილი თავისი სახით! ამის შემდეგ თქვენ კიდევ ბედავთ სოციალისტები უწოდოთ თქვენს თავს! ფუი! — გააფურთხა ვანომ.

გიგო მაინც არ იშლიდა, თავისას გაიძახოდა:

— რევოლუცია თქვენ თვითონ დამარხეთ.

— არა. რევოლუცია ცოცხლობს. მენშევიკებს დენიკინთან ერთად გსურთ მისი დამარხვა. მაგრამ არაფერი არ გამოგივათ. თქვენ თვითონ დაიღუპებით, — ცხარობდა ვანო.

— ახლა რისიღა იმედი გაქვთ? დენიკინმა ჩრდილო კავკასია, სამხრეთ რუსეთი დაიჭირა და ცენტრალურ რუსეთს მიადგა.

— მიუხედავად ამისა, იგი მიზანს მაინც ვერ მიაღწევს. თქვენ გსურთ რევოლუციას ზურგში მახვილი ჩასცეთ, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ.

— ისევ აჯანყებას აპირებთ? ჭკუით იყავით!

— თქვენ ყველგან აჯანყება გელანდებათ, მაგრამ სულ ვერთია: რევოლუციურ რუსეთს საქართველოს ვერავინ ვერ მოსწყვეტს.

— საქართველო უკვე მოწყდა ბოლშევიკურ რუსეთს. იგი დამოუკიდებელი ქვეყანაა. მის უფლებას მთელი ევროპის დემოკრატია იცავს. ვერც ბოლშევიკების და ვერც დენიკინის რუსეთი დარიალის კარებს ამიერიდან ვეღარ გააღებს.

— ბურჟუაზიულმა და კაპიტალისტურმა ევროპამ ორჯერ გააღო საქართველოს კარები და თქვენ ორჯერვე ხელგაშლილი შეეგებეთ ინტერვენტებს. საქართველოში უცხო ქვეყნების ჯარების ყოფნა და საქართველოს ინტერვენცია, განა ნამდვილ რევოლუციონერს და სოციალისტს უნდა ახარებდეს!

— უცხო ქვეყნების ჯარების ყოფნა ამა თუ იმ ქვეყანაში, ყოველთვის ინტერვენციას როდი ნიშნავს.

— რომელი სახელმწიფო შემოიყვანს ჩვენში ჯარს ისე, ჩვენს შინაურ საქმეებში რომ არ ჩაერიოს?

— ევროპა და ინგლისი სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ამიტომ ისინი ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან და საქართველოს უფლებებსაც დაიცავენ.

— ევროპის ქვეყნები, — დაიწყო ვანომ, — საქართველოს უფლებებს იმგვარად დაიცავენ, როგორც იცავენ ისინი მათ დაპყრობილ ქვეყნებში, კოლონიებში. უცხოური კაპიტალი მოდის ჩვენში ბუნებრივ სიმდიდრეთა გამო. იმ სიმდიდრეს ათეულ წლებში ამოსწურავს იგი და ჩვენს ქვეყანას გააჩანაგებს.

— აი, ეს არის პრინციპული საკითხი. თქვენი გზა რეაქციისაკენ მიდის, ჩვენი კი — რევოლუციისაკენ, სოციალიზმისაკენ, ხალხთან ძმობისა და ბედნიერებისაკენ, — განაგრძო ახლა ნიკომ. მაგიდიდან ჭუდი აიღო და წასასვლელად მოემზადა.

— გზა სოციალიზმისაკენ — შორეული გზა არის. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ევროპის დემოკრატია არ იბრძოლებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. — ისევ ეშმაკური ღიმილით შენიშნა გიგომ და გიდელივით წაგრძელებულ თავზე თხუნელას თათივით მოკლეთითებიანი ხელი გადაისვა.

— ბრძოლა ბოლშევიზმთან, — შენიშნა ვანომ, — ეს არის

გზა რეაქციისაკენ. აი, ეს გახლავთ პრინციპული საკითხი, რომლის შესახებაც შენ ზერელედ გიფიქრია, ან თუ გიფიქრია — ძალიან ცუდად. დაე, დრომ განსაჯოს: ვინ არის ჩვენს შორის მართალი. შენ ამაოდ გეღიმება. გახსოვდეს ფრანგული ანდაზა: კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს იცინისო, — მკაცრად უთხრა ვანომ. კორნელის დაემშვიდობა და ნიკოსთან ერთად ქუჩაში გავიდა.

4

— ვანო და ნიკო საკეთილოდ არ იქნებიან ჩამოსული რუსეთიდან. შენგან რა უნდოდათ? გაბოლშევიკებას ხომ არ გიპირებენ? — ჰკითხა გიგომ კორნელის.

— ისინი მართალს გეუბნებოდნენ, — მიუგო კორნელიმ.

ფანჯარასთან დაჯდა და გიგოს სკამი შესთავაზა.

გიგო სკამს დააცქერდა. მის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა, თითქოს ეშინოდა გაბედულად დაჯდომისა, კაკლის კაჭრის ოდენა თვალები გადმოკარკლა, კორნელის მიაშტერდა და მერმე ჩუმი და იდუმალი ხმით უთხრა, თითქო საიდუმლოს უმხელსო:

— არავინ არ გაგაბრიყვოს.

— როგორ?

— მე ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ სოციალიზმი არასოდეს არ განხორციელდება.

— რატომ?

— სოციალიზმი ხომ ადამიანებმა უნდა განახორციელონ?

— მაშ ვინ?

— მერმე, ადამიანებმა რომ სოციალიზმი განახორციელონ, მათში ხომ სოციალური ინსტინქტი უნდა სჭარბობდეს?

— უთუოდ.

— მერმე, სად არის სოციალური ინსტინქტი? ადამიანებში მე ყველგან ეგოიზმს ვხედავ. თავის გამოჩენისა და ერთმანეთის წახდენის სურვილს.

— რატომ, ეგოიზმი თანდაყოლილი და უცვლელი თვისება არის? — შეედავა კორნელი.

გიგო გველნაკბენივით წამოხტა და იყვირა:

— ეს არ გამაგონო! მაგაზე მე ხუთი წლის წინათ ვქადაგებდი და ახლა შენ დაიწყე იმ სიბრძნის ქადაგება? წინათ მეც მეგონა, რომ ეკონომიური და სოციალური პირობების შეცვლით ადამიანის შეგნებაც შეიცვლებოდა. მაგრამ, ახლა ვხედავ, რომ ეს უტოპია ყოფილა. ადამიანი, რაგინდ ბედნიერი და მდიდარი არ უნდა იყოს, მაინც ყველაფერი მე მინდა, იძახის. სხვასაც თუ უნდა, ამას კი არ დაგიდევს. ძლიერი კაცი ჩაგრავს სუსტს. ძლიერი სახელმწიფო — სუსტ სახელმწიფოს. ეს დასაბამიდან ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება, მორჩა და გათავდა!

— შენ ჰამლეტის მსგავსი სკეპტიკური და პესიმისტური ლაპარაკი დაგიწყია, — შენიშნა კორნელიმ.

— აბა, დონ კიხოტები — ვანო და ნიკო, აგერ, ვერის ხიდზე გადადიან და მერმე ქარის წისქვილებს შეებმიან, — მიუგო გიგომ, — აიღე ბუტაფორული ფარ-ხმალი და შენც იქ დონ კიხოტებს გაჰყევი, — დასძინა მან. თავისი ნათქვამი მოეწონა, წელზე ხელი შემოიდგა და ისე ხმამაღლა გადიხარხარა, რომ კორნელიმ გაშტერებით შეხედა.

გიგო ნაკითხი, დინჯი ჭაბუკი იყო და ახლა ასე რომ იქცეოდა და ახირებულად მსჯელობდა, კორნელის ძალიან გაუკვირდა.

— პირველად მესმის, სოციალისტი რომ ლაპარაკობდეს. სოციალიზმი არასოდეს არ განხორციელდებაო, — შენიშნა კორნელიმ.

— მე შენ სეკრეტად გეუბნები ამას და არა დეკრეტის წესით, — ღიმილით მიუგო გიგომ.

კორნელი სულ მთლად დააბნია მეგობრის ლაზღანდარობამ. ხომ არ მცდისო, — გაიფიქრა და რადგან დაღლილი იყო, ფანჯრის მოაჯირზე ხელები შემოსდო, ზედ თავი მიდვა, მჭკვარსა და მთებს გაჰხედა და სოციალიზმის განხორციელებაზე საუბარი შეწყვიტა.

მზე ჩადიოდა და ცა დასავლეთით ისე გაწითლებულიყო, თითქო მთის გადაღმა ხანძარიაო.

იმ დღეს საშინლად ცხელოდა თბილისში. მზე ულმობელად აჭერდა და თავდაუხურავად ქუჩაში ვერავინ ვერ გაივლიდა. სიარული და ოდნავი მოძრაობაც კი დაღლიდა და უზომო ოფლს მოადენდა. კაცს უმოძრაოდ და მშვიდად ყოფ-

ნა სამოვნებდა. კუნთები უდუნდებოდა და თვალმა ეკვე-
ბოდა. „გიგოს რა დაემართა, ასე აგზნებით და ახირებულად
რომ ლაპარაკობს? იქნებ დასიცხულია“, — გაიფიქრა კორნე-
ლიმ და მაშინვე უცნაური რამ დაინახა და გიგოს დაუძახა.

როდესაც დაისი მოახლოვდა, მზის უკანასკნელმა სხივებ-
მა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდგარი ხეების კენწეროები
ოქროსფრად შეღებეს და მაღალი შენობების ფანჯრები აელ-
ვარეს, — მაშინ მტკვრისაკენ უცნაური ხალხი გაემართა — მა-
ღალი და გამხდარი ინდოელები. ისინი სანაპირო ქუჩაზე,
გიმნაზიის შენობაში მოთავსებული, ინგლისის კოლონიური
ლაშქრის ჯარისკაცები იყვნენ. შავწვერა ინდოელებს თეთრი
ჩალმები ეხურათ თავზე და სპილენძისფერ ტანზე თეთრივე
ზეწრები მოესხამოთ მოეხურათ, თითქო სამხრეთ ინდოე-
თის — პენჯაბის მცხოვრებნი მდინარე ჯუმნაა მიუახლოვდ-
ნენ. რიყეზე ზეწრები დატოვეს, მდინარეში წელამდე შე-
ვიდნენ და ოფლთან და ჭუჭყთან ერთად, წმინდა და ნა-
კურთხი წყლით, ცოდვებისაგანაც განიბანენო. მერმე წყლი-
დან ამოვიდნენ, ზეწრები ისევ წამოისხეს მდინარის პირას
დადგნენ და მოკრძალებით, და რაღაც უცნაური სასოებით
დადუმდნენ. ჩამავალი მზით შეღებილ დასავლეთს გაჰხედეს.
ერთმა შავწვერა ინდოელმა, ყველაზე უფროსმა, მზისაკენ
ხელები კვედრებით გაიშვირა. მზისადმი ლოცვას თუ ამბობ-
დაო! მერმე ფაფასავით რბილი და პურის ცომივით მოზელილი
რაღაც საჭმელი მტკვარში გადაისროლა. როდესაც დღე ღა-
მეს გაეყარა და მწუხრი მოიწია, მტკვრის პირას გაჩერებულ
ინდოელებს ყვავილებისგან და ფოთლებისგან დაწნული გვირ-
გვინები დაურიგეს. მერმე სათამაშო ნავის ოდენა ლამბაქებ-
ზე დამაგრებული და ანთებული სანთლები მტკვრის ტალ-
ღებს გაატანეს. ტალღებმა ნათურები წაიღეს, თითქო მდი-
ნარეს ციცინათელები მიჰყვებიანო. მაშინ შავწვერა უფროს-
მა ანთებული სანთლები აიღო და დასავლეთისაკენ ხელები
ისევ რამდენჯერმე გაიშვირა.

კორნელის უცნაური ჰანგი შემოესმა, თითქო დოლებზე,
სალამურზე, ქნარზე და ფლეიტაზე უკრავენო. ის საამო ჰან-
გი უცნაურის ძალით იჭრებოდა კორნელის სულსა და გულ-
ში და მან „ლოცვა მზისადმი“ უწოდა მას.

ინდოელები ყაზარმაში წავიდნენ და კორნელის ისევ ეწ-

მოდა მათ მიერ მზისადმი თქმული ის საკვირველი და საიდუმლო ჰანგი.

„ნეტავი მცოდნოდა ნოტების წერა, იმ ლოცვის ჰანგი რომ ამომებეჭდა“, — გაიფიქრა კორნელიმ და ნეტარმა თრთოლვამ შეიპყრო. იგი მიბნედილი თვალებით უცქეროდა ვარდისფერ ცის დასავალს ისეთივე უძირო კაეშნით და მისტიკური ჰკრეტით, ვით განგზე — უპანიშადების სიბრძნეთა მქადაგებელი ქურუმი. გულში ქვითინი ჩაიკლა და ისევ ის ჰანგი, — „ლოცვა მზისადმი“ შემოესმა.

„ინდოეთი, განგი, — ფიქრობდა კორნელი, — საარაკო სახსახლეების, ტაძრების, ძვირფასი თვლების, ფერად-ფერადი ქათვილების, სპილოს ძვლისა და სასწაულების ქვეყანა! ქვეყანა, სადაც ბინადრობენ ზღაპრული ცხოველები და ფრინველები, სადაც ჰყვავიან და იზრდებიან გიგანტური პალმები და ბანანები, ლიანები, გორტენზიები და მაგნოლიები, საინის ოდენა ძოწეული ყვავილებით შემკული ბამბაკსები, ტიმარინდები და მანგა — სქელტყავიანი და გრძელფოთლებიანი მაღალი ხე, რომელიც კვერცხისოდენა ნაყოფს ისხამს, ქართლის ქლიავზე უფრო წვნიანსა და ირანის ატამზე გემრიელს“.

კორნელის ისევ ის ჰანგი „ლოცვა მზისადმი“ შემოესმა და თვალზე ცრემლი მოადგა. მერმე გიგომ რაღაც უთხრა. კორნელი ერთბაშად გამოფხიზლდა და გაიფიქრა: რა „ღმერთის წყრომაა ჩემს თავზე, განა ასეთი უნაპირო გრძნობითა და განცდით ცხოვრება იქნება? კიდეც ეგ არის, რომ მაშფოთებს და მაშორებს ამქვეყნიურ სინამდვილეს“.

— საცოდავები, — უთხრა გიგომ.

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა კორნელიმ.

— ინდოელებზე, — მიუგო გიგომ. — საიდან სად მოსულან! სამშობლოწართმეულთ სხვათა სამშობლოს აპყრობინებენ.

— აი, ეს არის ის პრინციპული საკითხი, რომელზედაც შენ ვანო მიგითითებდა. შენ კი დონ კიხოტი უწოდე.

გიგო დუმდა და მტკვარს გასცქეროდა.

ინდოელების მიერ მტკვარზე გაშვებული ნათურებიდან მხოლოდ ერთიღა დარჩენილიყო ჩაუმქრალი. იგი ტალღას გაერიყა და წყალგაღმა, ნაპირზე ბჟუტავდა.

ნაწილი მეოთხე

მთაწმინდაზე

მოწოდება — „ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ სიბრძოლველად", მენშევიკებმა შესცვალეს მოწოდებით: „ყველაფერი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

„რაბოჩი" № 1. 1919 წ.

1

მთაწმინდის ძირას, ორსართულიან აგურის პატარა სახლში მარო ფრუიძე ცხოვრობდა.

შუაღამე გადასულიყო და ოცდასამი წლის ლამაზი და შავგვრემანი ქალი — მარო თეთრეულით, ყასნაღებით, სანემსე პატარა ბალიშებით და ფერადი ძაფების მორგვებით სავსე მაგიდასთან იჯდა და, ლამპის შუქზე, წარმტაც ნახატებს ჰქარგავდა და აგვირისტებდა. მამა ადრე გარდაცვლოდა მაროს, იგი სამი წლის თუ იქნებოდა მაშინ. მის დედას — აღათის, მაროს გარდა, ორი ვაჟი ჰყავდა — მიხა და ბიჭია. მიხა კორნელის ძმის — შალვას ტოლი იყო ასაკით. ბალღებს — მიხას და შალვას აღათი აწოვებდა ძუძუს. მერმე სამი წლის მარო ევგენის მოენათლა. ქვრივი, ღატაკი და გაჭირვებული ქალის — შალვას გამდელის — აღათის შვილი მარო სამი წლისა იყო მაშინ, როდესაც კორნელის დედამ იშვილა. იგი ტერეზამ აღზარდა და მერმე ჭრა-კერვისა და ქარგვის სკოლა დაამთავრებინა. მარო და კორნელი თითქმის ტოლები იყვნენ და კარისმერეთში დაძმასავით დაიზარდნენ. ახლა მარო თბილისის ერთ-ერთ არტელში მუშაობდა მჭარგავ ქალად. მისი უფროსი ძმები, ჭიათურის მაღაროს მუშები — მიხა და ბიჭია ბოლშევიკები იყვნენ და მათ თავისი დაიც პარტიულ ქალად გახადეს.

მაროს ფეხები დაეწყო პატარა სკამზე, მუხლებზე კი ქალის კოფთა დაედო და გულისპირს ჰქარგავდა. სკამზე გასული ჭრელი კატა — „ნაცარა" ატოტებულიყო, ფეხები მაროს მუხლებზე შეეწყო და ქალს სახეში შესცქეროდა. ნაცარა

თვალებს ნაბავდა, თითქო ბაროს ეხვეწებოდა: კალთაში ჩაგიწვებიო. მაგრამ მარო ყურადღებას არ აქცევდა. კატა ისევ ჭანაბული შესცქეროდა, ნიშანს ელოდა, მაროს კალთაში უმალვე რომ ჩახტომოდა და ზედ დაგორგლებულს კრუტუნით დასძინებოდა. კატა გათამამდა. ფეხი მაღლა ასწია, წინ კიბეტად გაიშვირა და მუშაობით დაღლილ ქალს თათი ლოყაზე ნაზად მოუთათუნა, თითქოს ეფერებოდა და ეხვეწებოდა: გეყოფა ამდენი შრომა, თავი გაანებე ხელსაქმეს, მოდი ერთად დავწვეთ, დავისვენოთ და დავიძინოთო. მაროს გაეღიმა და მუდარით უთხრა:

— ნაცარა, ხვალ დილისათვის სამუშაო უნდა მოვასწრო, დამეხსენ, სათამაშოდ არ მცალია. — მერმე კედლის საათს შეხედა და გაუკვირდა, რა დიდი დრო გასულა, მუშაობაში არც კი შემიმჩნევიაო.

ღამის ორი საათი იყო.

უცბად, ქუჩაში გასასვლელი კარები ვიღაცამ გააღო და კიბეზე ამოვიდა. მარომ მაშინვე იცნო უცნობის ნაბიჯები. კალთაში სამუშაო ჩაბღუჯა, თავი ასწია და გაირინდა. მაროს ოთახი მეორე სართულზე, კიბის თავში იყო მოთავსებული. წინ, ეზოსკენ — გრძელი აივანი ჰქონდა. აივანზე გასასვლელი მინაჩასმული კარი და ფარდიანი ორივე ფანჯარა ღია იყო. უცნობი კიბეზე ავიდა, ღია ფანჯარას მიადგა, თავი ასწია და ფარდის ზემოთ, ოთახში შეიხედა.

— მიხა! — დაიძახა მარომ, წამოიჭრა, ხელსაქნარი მაგიდაზე დააგდო და ძმას შეეგება.

მკრთალი შუქით განათებულ ოთახში ჯმუხი ვაჟკაცის კბილებმა თეთრად გაიელვეს.

ძმამ კეპი გაისწორა, დას თვალებში ჩახედა და უთხრა:

— მე მარტო არა ვარ, სინათლე ჩააქრე, თორემ შუქი აივანზე გადის. კედიას აგენტებმა ჩვენს კვალს მიაგნეს. სამჯერ დაესხნენ თავს ჩვენს საიდუმლო ბინებს, მაგრამ სამჯერვე შინ არ აღმოვჩნდით. ახლა აქ უნდა გავათიოთ ღამე.

— ამოიყვანე ამხანაგები, — მიუგო მარომ და, როდესაც ძმა კიბეზე ჩავიდა, ზინგერის მანქანას დასწვდა და ფანჯრის მოაჯირზე შემოსდო. მაგიდიდან თეთრეული, ხელსაქნარი, ძაფები, თარგები და ჯავაირჩული ქსოვილები აიღო და სუფ-

თად გაწყობილ სუფრაზე დაალაგა. მაგიდა გადაწმინდა, ირგვლივ სკამები დადგა და მერმე სინათლე ჩააქრო.

ბნელი ღამე იყო. მარო კარებთან გაჩერდა. თმა გაისწორა და დაელოდა ძმის ამბანაგების მოსვლას. ფეხებზე კატა ეხახუნებოდა და კრუტუნებდა. ბოლოს ქუჩაში გასასვლელი კარი ფრთხილად გაიღო და კიბეზე მიხა და მისი ამხანაგები ამოვიდნენ. რადგან მაროს ოთახი აივნის თავში იყო, ამიტომ კიბეზე ამოსულს, უმალვე შეეძლო ძის ოთახში შესვლა. მიხა და მისი ამხანაგები ოთახში ფეხაკრეფით შევიდნენ. მიხამ ფანჯრები და კარი მიჰხურა, დას უთხრა:

— იცნობდე, ეს ნიკო გოცირიძეა, აგერ ამას თუ იცნობ?

— ამ ღამეში როგორ უნდა მიცნოს, — განაცხადა ვილაცამ.

— უი, ვანო, — ჩუმი, დაბნეული ხმით დაიძახა მარომ და ვანო მახათაძეს და ნიკო გოცირიძეს ხელი ჩამოართვა.

— ალბათ, ამასაც ვერ იცნობ! — ისევ უთხრა ძმამ.

— ამ ღამეში მეც ვერ მიცნობს მარო, — ვანოსავით განაცხადა მესამე კაცმა.

— გალაქტიონი ხარ, გიცანი. — უთხრა მარომ და ჰკითხა: — შენ როდის ჩამოდი, კაცო, რუსეთიდან?

— სამი დღე იქნება.

— რა ამბავია რუსეთში?

— ცუდი ამბავი. დენიკინის ლაშქარი მოსკოვს უახლოვდება და ჩვენც გვემუქრება.

— მერმე ჩვენ რა გზას დავადგეთ? — ჰკითხა მარომ ვანოს.

— სწორედ ამიტომ ბრუნდებიან რუსეთიდან ჩვენი ამხანაგები. იქაც და აქაც ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა დაექვემდებაროს, — მიუგო ვანომ.

— მენშევიკებმა ეს ლოზუნგი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგად გადააკეთეს. „ყველაფერი ბოლშევიკების წინააღმდეგო“, — მიუგო მარომ ვანოს.

— ჩუმად ილაპარაკეთ, თორემ მეზობლები გაიგონებენ, — თქვა გალაქტიონმა.

ვანომ ოთახს მოავლო თვალი და მაროს ჰკითხა:

— გვერდზე ვინ ცხოვრობს?

— კალატოზი ნიკა ლაფერაშვილი, — მიუგო მარომ.
— ქვევით?
— მეჩექმე ფირუზ გალობიანი.
— კიბეზე რომ ამოვედით, მგონი დაგვინახეს.
— მათი ნუ გეშინიათ, ჩვენები არიან.
— კიბის კარები იკეტება?
— იკეტება.
— აივნიდან კიდევ სად გადიხართ?
— ეზოში.
— მერმე, ეზოდან?
— ალაყაფის კარებით წინ — ქუჩაში. ეზოს უკან კი — ხრამია და მერმე, მთაზე მიმავალი საცალფეხო გზა.
— ჩვენ იმ საცალფეხო გზით მოვედით ვერიდან. ღამე იწყება ჩვენი ცხოვრება... ნადირივით გარე-გარე ვუვლით ქალაქს მენშევიკების ავაზაკების შიშით. ახლა კი, — მიუბრუნდა ვანო მაროს: — კიბის კარები დაკეტე და აივანზე დაჯექი. ეზოდან თუ მოგვეპარნენ, წინა კარებს გამოვიყენებთ, ხოლო წინა კარებს თუ მოადგნენ, ეზოში გავალთ. ორივე მხრიდან თუ თავს დაგვესხნენ... მაშინ კი არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, — შეყოყმანდა ვანო.
— მაშინ კალატოზს ნიკა ლაფერაშვილს გავაღვიძებ და მისი ფანჯრიდან მეზობლის ეზოში აღმოჩნდებით, იქიდან კი — თონეთის ქუჩაზე გახვალთ და მერმე მთის ბილიკს დაადგებით, — მიეშველა მარო.
— კეთილი. მაშ ქუჩის კარები დაკეტე და აივანზე დაჯექი, — დაავალა ვანომ.
ოთახში მამაკაცები დარჩნენ. მაგიდის ირგვლივ დასხდნენ და საუბარი განაგრძეს. ახლა თვალი შეეჩვია სიბნელეს და მოსაუბრენი ნათლად ხედავდნენ ერთმანეთს. ირცთუ ისე ბნელოდა. ცას ღრუბლები გადაეყარა და ვარსკვლავებით მოჭედილი ჩანდა. მაროს ქუჩის კარები დაკეტა, აივანზე ამოვიდა, მოაჯირთან დაჯდა და სმენად იქცა.
მაროს ოთახი ახალ კონსპირაციულ ბინად იქცა. აქ ვანო მახათაძემ რკინიგზის სადგურისა და არსენალის რაიონების უჯრედების წარმომადგენელთა თათბირი ჩაატარა, თათბირზე აჯანყებისათვის მომზადების საკითხს იხილავდნენ. ვანომ დაწვრილებით მოახსენა კრებას, თუ რა იყო საჭირო იმისათვის,

რომ პარტიული უჯრედები და მუშები აჯანყებისათვის მოემზადებინათ, თანაც დამსწრეთ აცნობა, რომ პარტიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც იძულებული იყო 1918 წელს თავისი ადგილსამყოფელი კავკავში გადაეტანა, თბილისში დაბრუნდა და აჯანყებისათვის მზადებას ხელმძღვანელობსო.

2

1919 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდს განიცდიდა. ახალი ჯარისკაცებით შევსებულმა მოხალისეთა არმიამ საზღვარგარეთიდან იარაღი, სამხედრო მარაგი, ტანსაცმელი მიიღო და ჩრდილოეთისაკენ, კურსკისა და ორიოლის მიმართულებით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. გენერალ დენიკინის არმია ცარიცინს მიუახლოვდა, ოცდაათ ივნისს ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული კვანძი დაიკავა და სარატოვ-ბალაშოვის რაიონში წინსვლა დაიწყო, რომ აქედან ეწარმოებინა შეტევა პენზაზე და ნიჟნი-ნოვგოროდზე. მთავარი იერიში მოსკოვზე გენერალ დენიკინის არმიას უნდა მიეტანა. მასთან შეთანხმებულად მოქმედებდა გენერალ იუდენიჩის არმია, რომელმაც ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ სამხედრო სპეციალისტების მიერ დამუშავებული გეგმის მიხედვით გაილაშქრა ესტონეთზე, ლატვიაზე და პეტროგრადზე.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში უნდა ჩაებათ აგრეთვე ფინეთი და ბალკანეთის სახელმწიფოები. ანტანტის ჯარები მზად იყვნენ არხანგელსკის რაიონიდან ვოლოგდაზე და შემდეგ მოსკოვზე ეწარმოებინათ თავდასხმა. ამერიკის მთავრობამ ზომები მიიღო, გაემაგრებინა და გაეძლიერებინა ადმირალ კოლჩაკის არმია და შეეჩერებინა წითელი არმიის წინსვლა ციმბირში.

ამ ლაშქრობის ორგანიზატორებმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენეს ავრეთვე უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა განაპირა მხარეები. კონტრრევოლუციური ძალებისათვის ფინანსური და მატერიალური დახმარების მიზნით ბალტიის ზღვისპირა მხარეებში შექმნილ იქნა ანტანტის ქვეყნების კომიტეტი.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის ამ მეორე ლაშქ-

რობის სულისჩამდგმელი — უინსტონ ჩერჩილი დაჯერებული იყო, რომ იგი ჩქარი გამარჯვებით დამთავრდებოდა.

„წითელი რუსეთის წინააღმდეგ, — დარწმუნებით ამბობდა იგი, — ახლა თრთხმეტი სახელმწიფო მოქმედებს და, მაშასადამე, უახლოეს ვადაში, ყოველ შემთხვევაში, ამ წლის ბოლოს, პეტროგრადისა და მოსკოვის დაცემა უზრუნველყოფილია“.

ამ გრანდიოზული გეგმის შესრულებაში, მთავარ როლს პირსებითად, ამერიკა ასრულებდა. იგი აფინანსებდა ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც დენიკინსა და მის მოკავშირეებს უშუალო დახმარებას უწევდნენ.

კონტრრევოლუციური არმიის მიერ დაკავებული ჩრდილო კავკასია და ამიერკავკასია სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ზურგს წარმოადგენდა.

ჩრდილო კავკასიასთან მოსაზღვრე საქართველო და აზერბაიჯანი საიმედო დასაყრდენად არ მიაჩნდა დენიკინს. მუსავატელებმა და მენშევიკებმა ხელისუფლების შენარჩუნება შეძლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ინგლისის ხიშტები ამაგრებდნენ, და მაინც 1919 წლის მაისში საყოველთაო გაფიცვამ ბაქოს თავზარი დასცა. ბაქოელები საბჭოთა რუსეთიდან ბლოკადის მოხსნას და ასტრახანთან კავშირის აღდგენას მოითხოვდნენ, რათა იქ ნავთის შეტანა დაეწყოთ. როდესაც საქართველოსა და აზერბაიჯანში დენიკინელთა ჯარების შემოსევის საშიშროება დაიბადა, ბაქოს მუშები დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის მოწოდებით გამოვიდნენ. ამ მოწოდებას საქართველოც გამოეხმაურა.

ჟორდანია-რამიშვილის მთავრობას სულ უფრო და უფრო ეცლებოდა ფეხქვეშ ნიადაგი. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და ჭიათურის მუშები გადაჭრით მოითხოვდნენ დენიკინის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის მთელი ამიერკავკასიის მუშების შეკავშირებას. მენშევიკურ პარტიაში განხეთქილება დაიწყო. ნებაყოფლობითი სამსახურის პრინციპი სახალხო გვარდიაშიც კი ძალდატანებითი გაწვევით შეიცვალა. ბოლშევიზმი მენშევიკების ამ საიმედო ჯარის ნაწილებშიც შეიპარა. აჯანყებას ყველა მომწიფებულად სთვლიდა. ნამდვილ კატასტროფამდე მისული ეკონომიური კრიზისი, კრიზისი პოლიტიკური. მენშევიკური ხელისუფლებისადმი მო-

სახლეობის ზიზღი, — ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებდა, რომ აჯანყება უთუოდ გამარჯვებით დამთავრდებოდა. იმათაც კი, რომლებიც მენშევიკებს ამ იმედით მიეკედლნენ, რომ მათი „ორიენტაცია დასავლეთზე“ პურს, საქონელს, სიმშვიდეს და ბედნიერებას მოუპოვებდა საქართველოს, ახლა მენშევიკებისაგან ჩამოშორება იწყეს. მენშევიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციამ ერთი წლის განმავლობაში თავისი წევრების ერთი მესამედი დაჰკარგა.

ბოლშევიკების საოლქო კონფერენციებმა ცხადჰყვეს, რომ ქალაქებში მუშათა აჯანყებას გლეხობა მხარს დაუჭერდა, არჩევანი მომხდარი იყო. სამხარეო კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო აჯანყება ოცდაოთხ ოქტომბერს დაეწყო.

მენშევიკური ხელისუფალნი ხედავდნენ, რომ მიმდინარე ამბებმა ისინი უფსკრულის პირას მიიყვანეს. ისტორიის ირონია ის იყო, რომ მათი გადარჩენა მხოლოდ დენიკინს თუ შეეძლო ახლა. დენიკინმა პოლიტიკური მოქნილობა გამოიჩინა, გადაწყვიტა, სრულიად რუსეთის ეროვნული კრების მოწვევამდე, საქართველოს საქმეებში არ ჩარეულიყო და ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის აუცილებლობა აღიარა. მოლაპარაკებისათვის თბილისში გაიგზავნა გენერალი ბარათოვი, რომელსაც ქართველი ოფიცრობა იცნობდა და აფასებდა.

8

პირველი საკავალერიო კორპუსის უფროსმა გენერალმა ბარათოვმა ომის დროს დიდი სახელი მოიხვეჭა. ბარათოვის კორპუსი იგზავნებოდა სპარსეთზე გავლით მესოპოტამიაში ინგლისის იმ არმიასთან შესაერთებლად, რომელიც ბაღდადის აღებას ცდილობდა.

საკავალერიო დიდი მასებით მეტად მძიმე პირობებში ჩატარებულმა სტრატეგიულმა ოპერაციამ, წარმატებითმა სამხედრო მოქმედებებმა თურქების წინააღმდეგ სახელი გაუთქვეს გენერალ ბარათოვს. გენერალი ახერხებდა სარდლის ნიჭთან ერთად აღმოსავლეთის დიპლომატის თვისებების გამოჩენასაც, რის გამო კარგ ურთიერთობას ამყარებდა, როგორც ინგლისის სარდლობის შედიდურ წარმომადგენლებთან, აგ-

რეთვე სპარსელ ხანებთან, რომელთაც მდიდარი საჩუქრებითა და ოქროებით ყიდულობდა. იგი სკობელევს ჰბაძავდა და ამიტომ მას „გენერალ-დემოკრატს“ უწოდებდნენ. ეს კი, დროებით მაინც, შველოდა მას ჯარისკაცთა მასებთან მეგობრული კავშირის დამყარებაში. მასთან ერთად თავი ისახელა აგრეთვე ქართველმა გენერალმა გაბაშვილმა, რომლის ბრიგადა ბარათოვის კორპუსში შედიოდა.

ომის დამთავრების მერმე, 1919 წლის გაზაფხულზე ბარათოვი ინდოეთსა და სტამბოლზე გავლით საქართველოში დაბრუნდა. მაგრამ ეს არ იყო ბათუმის მახლობლად ზღვისპირას მდებარე თავის წარმტაც მამულში დასასვენებლად უბრალო ჩამოსვლა. იგი ეკატერინოდარში გამოიძახეს და იქ საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობას შორის კონფლიქტის მოგვარება დაავალეს. ბარათოვის შუამავლობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ საქართველოს მთავრობამ ეკატერინოდარში მოსალაპარაკებლად საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი და გენერალი მაზნიაშვილი გაგზავნა.

პირველი თათბირი უშედეგოდ დამთავრდა, რადგან გენერალმა დენიკინმა, ალექსეევმა და მათმა დამჭაშებმა: მონარქისტმა შულგინმა და ვორობიოვმა საქართველოს მიმართ ყოვლად მიუღებელი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენეს. ბოლოს, ბარათოვის დაუღალავი მუშაობისა და შუამავლობის წყალობით, მენშევიკებსა და დენიკინს შორის შეთანხმება მოხდა.

ბარათოვის მისია არა მარტო საქართველოსთან, არამედ სომხეთთან და აზერბაიჯანთან მეგობრული კავშირის დადებით განისაზღვრებოდა. მისმა მისიამ შედეგი გამოიღო. საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა. საზღვრების საკითხიც მოწესრიგდა და სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობაც მოგვარდა. დენიკინმა სცნო პირობითად საქართველოს დამოუკიდებლობა, სამაგიეროდ მენშევიკებმა მოხალისეთა არმიის ზურგში მშვიდობიანობის დაცვის სრული გარანტია იკისრეს, მეტიც — ფრიად ენერგიული ზემოქმედება ჩრდილო კავკასიის ხალხებზე, რათა მათ არ გაელაშქრათ მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ.

გენერალი ბარათოვი აგურის ქუჩაზე, მთავრობის მიერ

მისთვის შერჩეულ სახლში ცხოვრობდა. დენიკინის ელჩს გაბერილი შტატი ჰყავდა, მრჩეველნი და დიპლომატიური მოხელენი.

ამ დილით ბარათოვი კაბინეტში იჯდა და თავის მდივანს — წვერგაპარსულ, მაღალსა და ბეჭებგანიერ მწითურ ვაჟკაცს პოლკოვნიკ კოვალევს მითითებას და დავალებას აძლევდა. ბრგე, ჩასუქებული, ორმოცდაათი წლის კაცი ბარათოვი დღეს კარგ გუნებაზე იყო.

კაბინეტში ადიუტანტი შევიდა და მოახსენა:

— გენერალი ოდიშელიძე მობრძანდა.

ბარათოვის სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაირბინა და ადიუტანტს უთხრა:

— სთხოვეთ.

მერმე პოლკოვნიკ კოვალევს მიუბრუნდა:

— ქართული ჯარების სარდალი გენერალი ოდიშელიძე ჩემი მეგობარია. მე და ოდიშელიძემ ერთად დავამთავრეთ სამხედრო აკადემია... მას ნუ ეხუმრებით. იგი ჭკვიანი ქართველია... ჩვენ ჯარში მან ცნობილი სტრატეგის და სამხედრო საქმის დიდად მცოდნე ოფიცრის სახელი მოიხვეჭა. ბოლო დროს იგი კავკასიის არმიის სარდალი იყო... უმისოდ საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობას შორის შეთანხმება გამიჭირდებოდა.

ტანმორჩილი, ესეც მსუქანი, ჭაღარაშერეული წვერულვაშიანი და ფერმკრთალი გენერალი ოდიშელიძე კაბინეტში შევიდა... ბარათოვი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ოდიშელიძეს მიეგება, ორთავე ხელით მისი მარჯვენა ხელი დაიჭირა და სიცილით უთხრა:

— სწორედ შენ გელოდებოდი, მეგობარო, დაბრძანდი... ჩემს მდივანს კოვალევს ხომ იცნობ?

— მაქვს პატივი ვიცნობდე, — მიუგო ოდიშელიძემ და კოვალევს მიესალმა. ბარათოვმა ისევ განაგრძო:

— დღეს ჩემთვის ზეიმის დღეა, რადგან მიზანს მივაღწიე: ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმება უკვე მოხდა.

— აგრეთვე ჩემთვისაც. ჩემი სურვილიც ხომ ეგ იყო?! მე დღეს შენს წასაყვანად მოვედი... ეგ სასიხარულო ამბავი უნდა აღვნიშნოთ...

— აქა ი ე ა ს ყ ო ე ბ თ. ა ხ ლ ა ჩ ვ ე ხ ძ ე თ ა ე ხ ე ბ ი ს ყ ვ
ნ ე ბ ზ ე უ ნ დ ა ვ ი მ უ შ ა ო თ.

ამის შემდეგ უმალვე დაიწყო ბარათოვმა წვრილ
გამო ოდიშელიძესთან საუბარი, რომელმაც თითქმის
საათამდე გასტანა.

საქართველოს ჯარების სარდალი ოდიშელიძე და
ველი სხვა გენერლები დიდად შეელოდნენ ბარათო
მისიის შესრულებაში.

დღის პირველ საათზე გენერალი ბარათოვი და
ლიძე პატარა სამხედრო მანქანაში — „ფორდში“ ჩასხდ
ვერის დალმართით, პლეხანოვის პროსპექტისაკენ გაე
დალმართიდან მტკვრის გალმა, მახათას მთამდე გაშე
ქალაქი გამოჩნდა. ბარათოვმა თვალი მოავლო მზიან
თველოს დედაქალაქს, მისი მშვენებით მოიხიბლა
ფიქრა: „ბაღდადის შემდეგ, ასეთი წარმტაცი ქალაქ
აღმოსავლეთში არ მოიძებნება. ნუთუ ოდიშელიძე ფ
რომ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას შევურიგ
და მას ხელიდან გავუშვებთ!“ ბარათოვმა ქართველ გე
შემოჰხედა და გაუღიმა, მაგრამ ოდიშელიძე, თითქო მი
უკეთურ ფიქრს: თვალი გაუსწორა და მანქანის სა
შეიშმუშნა.

იმ წამსვე აგურის სახლის მეორე სართულის ღი
რიდან ვიღაცამ მოულოდნელად ბომბი გადმოისრო
მანქანის ახლოს დაეცა და აფეთქდა... შოფერი და
ლიძე უვნებლად გადარჩნენ, ხოლო ბარათოვი დაიჭ
ფერი არ დაიბნა და მანქანა მიუშვა... აფეთქების
მილიციელები გაჩნდნენ, კედელს აძოეფარნენ და ღ
ჯარას შაშხანის ტყვიები დაუშინეს. მალე სახალხო
ელების მთელი რაზმიც მოვიდა და იმ სახლს, საიდან
ბი ისროლეს, და მთელ უბანსაც აღყა შემოარტყეს
ცელებმა მტკვრისაკენ გაქცეული, კოსტიუმში გამოწ
ქერა კაცი შენიშნეს და სროლა აუტეხეს. უცნობი
და სროლითვე უპასუხებდა. ივი ცირკის შენობისაკ
ცა, მოუხვია და მტკვრის მაღალ ნაპირზე აღმოჩნდა
ეზა ბორნისაკენ და ვერის ბაღისაკენ მიდიოდა. ორ
ციელი გაქცეულს არ ეშვებოდა. გვარდიელებმა თა
რეს, მთიდან დაეშვნენ და უცნობი კაცი დასჭრეს.

ბარბაცდა და პირქვე დაეცა. როდესაც ბოლიციელებმა წამოაყენეს და ეტლით მახლობელ საავადმყოფოში მიიყვანეს, იქ უმალვე განსაკუთრებული რაზმის უფროსი კედია მივიდა. დაკითხვის დროს დაჭრილმა უარი განაცხადა თავისი ვინაობის გამჟღავნებაზე.

— ბოლშევიკი ხარ? — დაიხარა და ჰკითხა კედიამ.

— არა. არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი.

— ვინ გშველოდა?

— არავინ.

— ვინ მოგცა ბომბი?

— ის ბომბი კი არა, ხელყუმბარა იყო. ფრონტიდან ჩამომყვა. საქართველო მადლობას მეტყვის, ის მტაცებელი თუ ჩავაძაღლე.

— თვითონ ხარ ძაღლი, — ჩასძახა კედიამ ჩახლეჩილი ხმით და თავის აგენტებს უბრძანა: — თვალყური ადევნეთ!

ქალაქში მასობრივი დაპატიმრება დაიწყო.

4

როდესაც ბომბის განსროლი საავადმყოფოში მიიყვანეს, ხალხი და მილიციელები დაიშალნენ. გალაქტიონ გელაშვილი ვერის ხიდზე გავიდა და სანაპირო ქუჩაზე კორნელი მხეიძის ბინას მიადგა. კავკავიდან დაბრუნების შემდეგ ის პირველად არ შედიოდა ამ ბინაში...

— გაიგე, რა დიდი ამბავი მოხდა, გალაქტიონ! ვინ ესროლა ბომბი დენიკინის გენერალ ბაართოვს?

— ჯერ არ იციან ვინ არის. — მიუგო გალაქტიონმა და რა დაინახა კორნელი ქალაქში წასასვლელად მოშზადებულიყო. უთხრა:

— კარგია, რომ შენ შეგხვდი. ჩემი ამხანაგის ბინა, სადაც მე ვცხოვრობ, დაკეტილი დამხვდა. — მერმე ხელი ჩაჰკიდა: — შენ თუ სადმე წასვლას აპირებ, გასაღები დამიტოვე. აგერ იმ ტახტზე დავიგდებ და დავიძინებ... ღამე არ მეძინია. შენ მოსვლამდე აქ ვიქნები... ქალაქში გასვლა ჩემთვის საშიშია. დაჭრები დაიწყეს.

— აგერ, გასაღები კარებშია. ეს ბალიში ამოიდე თავქვეშ. აი, ეს თხელი საბანიც წაიხურე. მე მალე მოვალ, —

შესთავაზა კორნელიმ, მაგრამ გალაქტიონმა უარი განაცხადა: — მუთაქის გარდა, არაფერი არ მინდაო. ტახტზე დაჯდა და ვეება ხელის თითებით ხალათის საყელოზე ღილები შეიხსნა. კორნელიმ უთხრა:

— მე მალე მოვალ და მერმე ერთად ვისადილოთ.

— გმადლობ... არ არის ეს საჭირო... თუ გინდა, დაღამებამდე ნუ მოხვალ... კარგი იქნება, დაღამებამდე თუ არ მოხვალ, — გაუმეორა გალაქტიონმა.

— რატომ? გინდა გამოიძინო? — ჰკითხა კორნელიმ.

— ჰო... არა, ასე სჯობია ახლა ჩემთვის, — მიუგო გალაქტიონმა და შავი ბრიალა თვალები შეანათა.

— იქნებ მერიდები! არ გრცხვენია, გალაქტიონ? ჩემი კუთხის კაცი ხარ... მეზობელი... ჩემთან ჯარში ნამსახური...

— არა, კი არ გერიდები, შე კაცო... საღამომდე ვიძინებ და მერე... — დაიბნა გალაქტიონი. იგი თვალებს აცეცებდა და რაღაცას მძაფრად ყურს უგდებდა.

— მერმე? ამხანაგის ბინა ისევ დაკეტილი თუ დაგიხვდა, იცოდე, უთუოდ აქ მოდი... ყაზარმაში არხეინად ვიძინებდით ერთად იმდენი ჯარისკაცი და, ამ ოთახში ორი კაცი ვერ დავეტევით?

— არა... საღამოს მე მიხა ფრუიძის დასთან — მაროსთან უნდა წავიდე...

— რამდენი ხანია მარო არ მინახავს! საღამოს მეც წამოვალ მაროსთან.

— წავიდეთ, — მიუგო გალაქტიონმა. მერმე წამოდგა, კორნელის წინ გაჩერდა, დოინჯი შემოიდგა, განიერი ბეჭები გაშალა, გამომცდელად შეხედა და გულითადი ხმით უთხრა, თითქოს აღთქმას ადებინებსო:

— კორნელი, თუ კაცი ხარ ქვეყანაზე და ძმობა გწამს, ნაცნობსა და ნურც ვინმეს ეტყვი, შენთან თუ ვარ ბინაში... გესმის?

კორნელი შეკრთა, წამიერ დადუმდა, კოპები შეიკრა, მერმე გალაქტიონს თვალი გაუსწორა და მიუგო:

— მესმის, ბავშვი ხომ არა ვარ... არც ენაჭარტალა დედაკაცი... რადგან არ არის საჭირო, მეც არავის არაფერს არ ვეტყვი. დამშვიდებული იყავი. დაწექ და კარგა გამოიძინე...

გარეთ გასვლა თუ დაგჭირდეს, სამზარეულო ხომ იცი, წად არის?

— ვიცი,

— მაშ, ნახვამდის, ძილი ნებისა... საღამოს მელოდე...

— ნახვამდის, — უთხრა გალაქტიონმა და ნიშანი ასწავლა, — როცა მობრუნდე, კარებზე სამჯერ კატასავით მოფხაჭნე.

გალაქტიონმა კარები დაკეტა. გასაღები გამოიღო და ჯიბეში ჩაიდო, ქუჩაში გაიხედა და დარაბები მიხურა. ტახტიდან ფარდაგი აიღო, იატაკზე დააფინა და ზედ წამოწვა. მერმე ნაგანი ბუდიდან ამოიღო, სასთუმალთან დაიდო და მომხდარი ამბის გამო ფიქრს მიეცა.

როდესაც გალაქტიონი კორნელის ესტუმრა, დღის სამი საათი იქნებოდა. ფიქრებს ისე გაეტაცნა, რომ ახლა ჩასასვლელად გადახრილი მზე სარკმლის დარაბებს მოსდგომოდა, ყველა ჭუჭრუტანაში მძაფრად იჭრებოდა და მისგან გამოსროლილი შუქის სვეტები ოთახის კედელს, კარებსა და ჭერს ეცემოდა. გალაქტიონმა თვალი მოავლო ოთახს, წიგნებით სავსე კარადას, კედელზე გაკრულ სურათებს. კარადაზე კაცის ქალა დაინახა. არ ესიამოვნა და მოიღუშა. ჩაბნელებული და სიჩუმით მოცული ოთახი აკლდამად ეჩვენა, რომელშიაც პატარა ჭუჭრუტანიდან დღის სინათლე შეჭრილიყო. ცუდ ფიქრებს გაჰყვა, რომლებმაც ომი, გვამები და ბოლოს მშობლიური სოფლის სარკოიას მუხაზე ჩამოხრჩობილი მამა გოჯასპირი მოაგონა. ტანში გააჟრჟოლა. იატაკიდან წამოიწია, ნაგანი ბუდეში ჩააგო, თითქო საბრძოლველად გარეთ გაჭრას აპირებსო, მაგრამ მალე გონს მოვიდა და კვლავ სმენად და ხედვად იქცა.

ისევ კარადაზე შედგმულ, კბილებდაკრეჭილ ქალას გაჰხედა. ზეზეურად გაშრა კაცი. წიგნებით სავსე მაგიდასთან ფეხაკრეფით მივიდა, მაგრამ, გოლიათი კაცის სიმძიმის ქვეშ, იატაკის ფიცარი გაიდრიკა და ჭრაჭუნი გაადინა. მოცელილივით დაეცა სკამზე... გაუნძრევლად იჯდა კარგა ხანს. მერმე მაგიდაზე წიგნები გადასინჯა. მის წინ ნაცნობი ჟურნალი იდო, რომელშიც კორნელის მოთხრობა იყო დაბეჭდილი. ფშალ აიღო ხელში, გადაფურცლა, მზის შუქს მიუშვირა და „გოჯასპირის“ მეათეჯერ კითხვა დაიწყო.

გალაქტიონს თვალზე ცრემლი მოადგა და გაიფიქრა: „ჩემო კორნელი, რა კარგად დაგიხატია უბედური მამაჩემის სახე, მისი ლაპარაკის კილოც და ხმაც რომ მესმის... საოცარია!“ ახლა გოჯასპირის ცხედრის წინაშე მუხლმოყრილი თავისი ცოლის — ასინას ტირილი წაიკითხა. ტანში გააჟრჟოლა და ცრემლით გაიგუდა. უმალვე წამოიჭრა, ნიკაპზე გაისვა ხელი და გაიფიქრა: „სად წამიხვალთ, მამის მკვლელებო?! სად წამიხვალ, ოტია მდივნის ცოლის ძმავ, დათა ყიფიანო?!“ იგი გალიაში დამწყვდეულ, გააფთრებულ ვეფხვსა ჰგავდა. ბოლოს ისევ დაცხრა და სკამზე დაეშვა. მოთხრობა ბოლომდე წაიკითხა, ხელები მაგიდაზე შემოსდო, ზედ უღონოდ მოწყვეტილი თავი დადო და იმოდენა ვაჟკაცი ბავშვივით აქვითინდა. როდესაც ტირილით გული იძღო, ჩაეძინა კიდეც, მაგრამ მალე უცნაური ხმაურობა შემოესმა, თითქოს კარებს კატა მოსდგომია და ბრჭყალებით ფხაჭნისო. გალაქტიონმა თავი ასწია. ფხაჭნის ხმა სამჯერ განმეორდა. ადგა და აწ წყვდიადით მოცულ ოთახის კარებს მიადგა. გარედან ნაცნობი ხმა შემოესმა:

— კორნელი ვარ, კორნელი.

გალაქტიონმა კარები გაუღო. კორნელი ოთახში შევიდა და უთხრა:

— უკვე დაღამდა, გალაქტიონ, მაროსთან წავიდეთ.

— შენ მარტო წადი, კორნელი, მე სხვა გზით მოვალ.

5

მთაწმინდაში მაროსთან კორნელი ღამის ათ საათზე მივიდა. ჩუმად ავიდა აივანზე და სარკმელში შეიხედა. ქალს ისე მშვიდად ეძინა, რომ კორნელის მისი გაღვიძება დაენანა. ოთახს მოავლო თვალი. საწოლთან, კედელზე ხალიჩა იყო გაკრული, ზედ მიხას დიდი სურათი ეკიდა, საწოლის წინ კი — პატარა ფარდაგი დაეფინა მაროს და ზედ ჭოშები და ტუფლები ეწყო. იქვე კოხტად მოწყობილი სატუალეტო მაგიდა და კედელთან უჯრებიანი და სარკიანი შკაფი იდგა, შუა ოთახში — თეთრი სუფრით დაფენილი სასადილო მაგიდა. მარცხნივ — ჩინური ნახატებით შემკული შირმა, რომლის იქით პატარა საშუშაო ოთახი მოეწყო მაროს. იქ, ტახტზე, მისი ძმა

ნიჩა იძინებდა. ყველაფერს სისუფთავე და წესრიგის მოყვარული ქალის ხელი ემჩნეოდა. ამ სისუფთავეს და წესრიგს კორნელის დედამ — ტერეზამ შეაჩვია მარო.

კორნელი ფანჯარას მოშორდა. მაროს ოთახის წინ, აივნის ხოჯირთან სკამზე დაჯდა, პატარა ეზოსა და ბაღს გადახედა. შუა ეზოში აწ უმოქმედო შადრევანი იყო გაშენებული. აივნის წინ ცაცხვები და აკაციები იდგა. ტოტები აივანს ელაჩუნებოდნენ და მათ ხელითაც კი მისწვდებოდა კაცი. მალე ოთახიდან საწოლის ჭრაჭუნი და ფეხის ხმა შემოესმა კორნელის. მარო ფანჯარასთან მივიდა. მერმე ქოშებში ფეხი შედგა, საჩქაროდ ჩაიცვა, თმა გაისწორა, აივანზე გამოვარდა, კორნელის მოეხვია და ჩაჰკოცნა:

— ასე როგორ დამეძინა, რომ შენი მოსვლა ვერ გავიგე?! დიდხანს ზიხარ აივანზე? ვერ გამაღვიძე, ბიჭო?

— ისე ტკბილად გეძინა, რომ დამენანა, — უთხრა კორნელიმ.

მის წინ პატარა, კოხტა და ჯანმრთელი, მოღიმარი ქალი იდგა. ძილისაგან შეწითლებულ ლოყებზე ღრმულები აჯდა, თეთრი კოფთა და კაბისტანი ეცვა. შიშველი პატარა ფეხები ქოშებში შეედგა.

— გაიგე, ბარათოვს რომ ბომბი ესროლეს? — ჰკითხა კორნელიმ.

— გავიგე. სამწუხაროა მხოლოდ, ბარათოვი რომ გადარჩა, არკადი ელბაქიძე კი დაიღუპა.

კორნელიმ პირველად გაიგო მაროსაგან, რომ ბარათოვს ბომბი მტშამ არკადი ელბაქიძემ ესროლა. გაუკვირდა, რომ იმ მორიდებულმა და მშვიდმა რაჭველმა კაცმა, მზარეულმა, ისეთი გაბედული და საშიში საქმე შეასრულა.

მარომ ოთახიდან სკამი გამოიტანა და აივანზე კორნელის პირისპირ დაჯდა. იგი დიდხანს ლაპარაკობდა მიმდინარე ამბებზე. ვარაუდობდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბარათოვზე თავდასხმას.

— არა, — თქვა ფიქრში წასულმა მარომ, — არაფერ კარგს არ უნდა მოველოდეთ. მენშევიკების მთავრობა მაშინაც კი არ შეიცვლებოდა, ბარათოვი რომ მოეკლათ. ერთს მოკლავ — მეორე გამოჩნდება და მის ადგილს დაიკავებს.

— შენ მართალი ხარ, — დაეთანხმა კორნელი, — ისტორია

ში ვერ ნახავ ისეთ შემთხვევებს, როდესაც თუნდ დიდი პიროვნებების უეცარი დაღუპვა გადამწყვეტ გავლენას ახდენდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენების მსვლელობაზე. ხალხთა ბედ-იღბალს ახლა გმირი კი არ სწყვეტს, არამედ თვითონ ხალხი... ხალხის მიერ არჩეული ორგანო — პარლამენტი, საბჭო.

— მაგრამ დასავლეთში ხალხს ყალბი არჩევნებით აღორებენ, მდიდართა ოქროების საშუალებით პარლამენტში ისეთი პრეზიდენტი და მინისტრები გაჰყავთ, რომლებიც მდიდრების, კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებიან, — შენიშნა მაროშ.

— ეს მართალია, — ისევ დაეთანხმა კორნელი და დასძინა, — მე სხვას გეუბნებოდი. ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ მოგახსენებდი, რომ ერთი კაცის, თუნდაც გმირის მოსპობა ისტორიულ მსვლელობაზე გადამჭრელ გავლენას ვერ მოახდენს-მეთქი.

— ამიტომ არის მიუღებელი ტერორი, — დაადგინა მაროშ და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: — საცოდავი არკადი!.. — სავალალო ის არის, რომ მისი ბომბი უთუოდ ხელს შეუშლის აჯანყების მომზადების საქმეს. ბარათოვზე თავდასხმის მოწყობის შემდეგ მთავრობა მთლად გაცოფდა. ასეთი მასობრივი დაჭერები დიდი ხანია რაც ჩვენში არ ყოფილა.

კორნელი მაროს დააცქერდა და შორეული, უშფოთველი ბავშვობა მოაგონდა, მოაგონდა ის დრო, როდესაც ათი წლის ბავშვი იულო დურგალს ეხვეწებოდა, ხის თოფი გამომითალეო. კორნელიმ ხის თოფზე შაშხანის ნამდვილი ხიშტი დაადგო. თოფი ისე ოსტატურად და კოხტად იყო გამოთლილი და გამოკოპიტებული იულოს მიერ, რომ შორიდან ნამდვილი შაშხანა ეგონებოდა კაცს. ათი წლის კორნელი, ჯარისკაცივით, თოფს მხარზე გაიდებდა, თავს აწონებდა ტოლებს და მათთან ერთად „ომობანას“ თამაშობდა. მაგრამ ხიშტიანი თოფით გატაცების გამო, სამწუხარო ამბავი შეემთხვა. სწორედ ეს შემთხვევა მოაგონა ახლა კორნელიმ მაროს. ტერეზას ყანაში მღვდლის — ერასტი მაჭავარიანის ძროხა შევიდა. კორნელი დაედევნა, ვერ მოზომა, ხიშტი გვერდში ჩასცა. ხიშტმა ბჭკი ადვილად გახია და იგი მუცლის ღრუში ბოლომდე შევიდა. ძროხა შინ მისვლისთანავე მოკვდა. ერასტიმ იჩივლა.

ძროხის მოკვლა მაროს დაბრალდა, მაგრამ მარომ სასამართლოში ხატზე დაიფიცა, ერასტი მაჭავარიანის ძროხა ჩვენს ყანაში არ მინახავს და არც მომიკლავსო. გაუგებრობას ის გარემოება იწვევდა, რომ სისხლის კვალი ტერეზას ყანის გარღვეული ღობიდან იწყებოდა. ყანა ნახირის მიერ გაოხრებული, მოთელილი და გავერანებული იყო. ერასტი მაჭავარიანმა არ იწამა მაროს ფიცი.

— ეს გოგო ტყუილს ამბობს, ხატი და ჯვარი არა სწამს, ეგ ადამიანის შვილი არასოდეს არ გამოვა. — ერასტიმ მოკლული ძროხის ანაზღაურება მოსთხოვა ტერეზას. ტერეზამ მრისხანედ უთხრა:

— თქვენი ძროხა, თუნდაც ჩემს ყანიდან რომ გადაგვედინა, ორლობეში სხვა ვინმე ვერ მოკლავდა, ჩემს გოგოს რომ ჩააცივდით?!

ძროხის მოკვლის საიდუმლოება დღემდე არ წამოცდენიათ კორნელის და მაროს. მხოლოდ შარშანწინ გაუმჟღავნა იგი კორნელიმ დედას. ტერეზა შეწუხდა და ერასტის დაეთანხმა: მარო ადამიანის შვილი არასოდეს არ გამოვა, რადგან ხატზე ტყუილი დაიფიცაო. ეს უთხრა ახლა კორნელიმ მაროს და ქალი შეწუხდა.

— დედის წინაშე რატომ შემარცხვინე? მე ხომ შენი გადარჩენის მიზნით დავიფიცე ხატზე!

ბავშვობის დროს ჩადენილი ათასი სხვა ოინბაზობა, ცელქობა და ეშმაკობა მოაგონდათ მაროს და კორნელის და ახლა გულიანად იცინოდნენ. მარო ოთახში შევიდა. ჩაი დააყენა, პატარა მაგიდა აივანზე გამოიტანა, ზედ სუფრა გადააფინა და კორნელის ჩაითა და მურაბით გაუმასპინძლდა. მურაბამ კორნელის ბავშვობა და სოფელი მოაგონა. ერთხელ კორნელიმ და მარომ დედას მურაბა მოპარეს. ქილა ნახევრამდე დაიყვანეს და შიგ წყალი ჩაასხეს. ეს ამბავი გამჟღავნდა. ქერდი ბავშვები დასაჯეს. საუბარში დრო შეუმჩნევლად გადიოდა. შუაღამე გადასულიყო და კორნელის უკვირდა, გალაქტიონი ამდენ ხანს რომ არ მოდიოდა.

— ბარათოვზე თავდასხმის შემდეგ ქალაქში პანიკაა. — ხელვებით თქვა მარომ, — ბრუნდსა და მართალს იტყვენ. მეშინია, ჩემი ძამია მიხა და გალაქტიონი არ დაიჭირონ.

— რა ხანია, მიხა არ მინახავს... — ჩაილაპარაკა კორნელიმ.

ამ დროს ჭუჩიდან შემოსასვლელ კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. მარო კიბის თავთან მივიდა, თოკი მოჰქაჩა და კარი გააღო. კიბეზე გალაქტიონ გელაშვილი ამოვიდა. იგი სხვანაირად იყო ჩაცმული: ლურჯი შარვალი და კავკასიური ჩექმები ეცვა. ტილოს ხალათზე ქართული ქამარი შემოერტყა, ხოლო თავზე — სვანური ქუდი დაეხურა. კორნელი ადგა და ხელი ჩამოართვა, თითქო კარგა ხანი გასულიყო, რაც არ ენახა.

მიმდინარე ამბებზე საუბრის შემდეგ კორნელი და გალაქტიონი მაროს გამოემშვიდობნენ და ჭუჩაში გავიდნენ. გალაქტიონმა კორნელის უთხრა: მაროსთვის რაღაც უნდა მეთქვა და დამავიწყდაო. ისევ აივანზე ავიდა. მარო ოთახში შეიყვანა და აცნობა:

— ამაღამ ჩვენები ბენოს ბინაზე იქნებიან. შეგიძლია ახლავე მშვიდად დაიძინო. არკადი ელბაქიძე, ალბათ გეცოდინება, მძიმედ დაჭრეს და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

— ვიცი, საცოდავი... — მიუგო მწუხარე ქალმა.

— მთავრობამ დიდი რეპრესიები დაიწყო. კორნელის ჩემს შესახებ არაფერი არ უთქვამს?

— არა.

— ყოჩაღ, ბიჭო. საიდუმლოების შენახვა სცოდნია, თუკი დასაც არ გაგიმჟღავნა.

— რა საიდუმლოება?

— მე კორნელის ბინაში დაღამებამდე ვიყავი. ვთხოვე: ჩემი იქ ყოფნა არავისთვის არ ეთქვა. კორნელის ბინიდან ბენოსაკენ გავსწიე, კორნელი კი — შენსკენ წამოვიდა... ვანო ამბობს: კორნელი ჩვენი კაციაო.

— მე ამაში მასთან დღევანდელმა საუბარმა დამარწმუნა.

— მშვიდობით იყავი, მარო. მიხასთან ხომ არაფერს დამაბარებ?

— ხვალ ან ზეგ ამოვიდეს ჩემთან. საქმე მაქვს. ცოტა დაიცადე...

მარომ პირსახოცი, ცხვირსახოცი და კბილის სახეხი ჯაგრისი გაზეთში გაახვია და გალაქტიონს გადასცა.

— ფრთხილად იყავით... — ერთხელ კიდევ გააფრთხილა ცოლი.

მიხა გვიან მივიდა დასთან, დაღლილი იყო, ტახტზე დაწვა და მაშინვე მკვდარსავით დაეძინა. მარო კი, ისევ მაგიდასთან იჯდა და აბრეშუმის კოფთის გულისპირს ჰქარგავდა. კატა ნაცარაც ისევ პატარა სკამზე გასულიყო და თვლემდა. ღამის სამი საათი როდ შესრულდა, ქუჩიდან შემოსასვლელი კარებიდან გასაღების წვალების ხმა შემოესმა მაროს. გაიტრუნა და გაიფიქრა: „ქუჩიდან შემოსასვლელი კარების გასაღები დიასახლისისა და ჩემს გარდა, სხვას არავის არა აქვს. დიასახლისი — ბებერი ეკა ქათამაძე. მართლაც ქათმებთან ერთად წვება და ღამის სამ საათზე ქალაქში რა უნდოდა“. ადგა, აივანზე ფეხაკრებით გავიდა, მეზობლის ნიკა ლაფერაშვილის ბინას ჩაუარა, და დიასახლისის ეკა ქათამაძის საძინებელ ოთახის კარებს მიადგა. მაშინვე. ბნელში დამალულმა, კედელს გაკრულმა ორმა კაცმა ნაგანები მკერდზე დაადვეს და გააფრთხილეს: ხმაკრინტი არ დაძრაო. შეიარაღებული რაზმელები ახლა წინა და უკანა კიბით აივანზე ერთდროულად შემოვიდნენ. მარო ხელიდან გაუსხლტა რაზმელს, თავის ოთახისაკენ გაიჭრა და ყვირილი მორთო!

— მიხა, მიხა! ბანდიტები დაგვესხნენ.. ბანდიტები!..

მარო დაიჭრეს. მიხამ ელექტრონის გაბმულობა გადასჭრა. კალატოზის ნიკა ლაფერაშვილის ბინაში შევარდა, მეზობლის სახლის ეზოსაკენ გაჭრილ ფანჯარას ეცა, მაგრამ ეზოდან შაშხანებმა დაიჭექეს და ფანჯრის მინები ჩაიმსხვრა. ხბლა ფანჯარას მოსწყდა მიხა და, რევოლვერით ხელში, ისევ თავის ოთახში შევარდა. ოთახში შესვლისთანავე რაზმელებმა კიბის ფარნები მიანათეს, ნაგანები მიუღერეს და შესძახეს:

— ხელები მაღლა... დააგდე იარაღი!..

მიხამ ბრაუნინგი იატაკზე დააგდო და ხელები ასწია.. რაზმელებმა უმალვე გაჩხრიკეს. დიასახლისს ლამპა მოატანინეს და მერმე მარო, ნიკა ლაფერაშვილი და მისი ცოლიც ოთახში შემოიყვანეს და კუთხეში გააჩერეს. ჩხრეკამ დიდხანს გასტანა, იქაურობა გადააბრუნეს, მაგრამ კ ვაფერი ხელსახები და მნიშვნელოვანი, გარდა მიხას ბრაუნ- სა და პი-

ლიტიკური ხასიათის წიგნებისა და ბროშურებისა, ვერ აღმოაჩინეს. მთელი სახლი ალყაშემორტყმული იყო. რაზმელები ქუჩაში, ეზოში და აივანზეც იდგნენ. მიხა საგანგებო რაზმის თანამშრომელთან დომენტი მელაძესთან მიიყვანეს. შავგვრემანი, ტანმორჩილი ჭაბუკი ოფიცერი მაგიდასთან დაჯდა და მაუზერი წინ დაიდო, ქუდი მოიხადა, ქოჩორა თმაზე ხელი გადაისვა და მიხას ჰკითხა:

— სად არიან მახათაძე, გოცირიძე, ჩიქვაიძე, გელაშვილი და სხვა შენი ძმაბიჭები?

— ჩასწერე, ახლავე გეტყვი მისამართებს, — მიუგო დამცინავად მიხამ.

— ნუ პამპულობ, თორემ ყბებს დაგილეწავ ამ მაუზერის კონდახით! — უყვირა მელაძემ, ბრაზისაგან გადმოკარკლული თვალები შეანათა და რაზმელებს უბრძანა:

— გათოკეთ!

სანამ რაზმელები მიხას ხელებს უთოკავდნენ, მელაძე დასცინოდა და ემუქრებოდა მას:

— ენას ამოგაცლი და ისე გათქმევინებ ყველაფერს. დარდი ნუ გაქვს.

მაროს გულზე ცეცხლი მოეკიდა. იგი იცნობდა დომენტი მელაძეს, როცა ის ჯერ კიდევ მოწაფე, სტუდენტი იყო, და შესძახა:

— არ გრცხვენია, დომენტი! შენს წინაშე მუშა დგას და არა ავაზაკი. ვინა ხარ შენ, მეფის ჟანდარმი, ოხრანკის ოფიცერი, თუ სტუდენტი?

— ენა დაიმოკლეთ, ქალბატონო, შენობით ნუ მომმართავთ და ლანძღვა-გინებას თავი გაანებე, თორემ ძმასთან ერთად, თქვენც ციხეში მიგაბრძანებთ, — დატუქსა მელაძემ მარო.

— მიმაბრძანეთ, სულ ერთია: მე ძმას არ მოვშორდები. გიცნობთ, რაც ვაჟბატონი ბრძანდებით. სისხლისმსმელებო, თქვენ ჟანდარმებზე უარესი ხართ! — უყვირა გაცეცხლებულმა და გაფთრებულმა ქალმა. მელაძემ ხმას დაუწია, თავი ისე გაიქნია, თითქო ვერაფერი ვერ გამიგია, რას ამბობენო და მაროს და მის ძმასაც აღშფოთებით ჰკითხა:

— რა გინდათ, რას გადაგვეკიდეთ, რას ჩაგვაცივდით, თქვე

ულმერთოებო!? ჰკუა სადა გაქვთ, რეგვენებო, რუს ბოლშევიკებს რომ აჰყოლიხართ და ჩვენ, სოციალისტებს და რევოლუციონერებს გვებრძვით? რა გინდათ, საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევა და გაუქმება?

— სანამდე უნდა ატყუოთ ხალხი, დემოკრატები, სოციალისტები ვართო?! არ გაგივათ ეს ტყუილი. ასე დენიკინსაც შეუძლია თავის თავს სოციალისტი უწოდოს... — მიუგო მიხა ფრუიძემ, მაგრამ მელაძემ არ აცალა და დაუყვირა:

— კმარა, შესწყვიტე ბილწი დემაგოგია! მე შენთან დისკუსიისათვის არ მოვსულვარ, — მერმე მაროს მიუბრუნდა და უთხრა: — შეუგროვეთ საპატიმროში წასაღებად ცოტა რამ ბარგი.

მარომ თეთრეული, კოსტიუმი, პალტო, კალოშები და ტუფლები კალათში ჩააწყო. ქვეშსაგებლის შეკვრაც დაიწყო. მელაძემ დასცინა:

— რასა შვრები, ქალო! საპატიმროში მიგვყავს თქვენი ძმა. განა კისლოვოდსკში სამკურნალოდ ვაგზავნით!

მარომ მაინც გაავსო და გასტენა დიდი კალათი, ჩაჰკეტა და გასაღები ძმას ჯიბეში ჩაუდო. ამის შემდეგ თვითონ დაიწყო ჩაცმა-დახურვა.

— თქვენ სად მიბრძანდებით? — ჰკითხა მელაძემ.

— ძმა უნდა გავაცილო ციხემდე, — მიუგო მარომ.

— გამცილებლები, ხომ ხედავთ, ცოტანი არა ვართ. თავს ნუ იწუხებთ... არ არის საჭირო, — ნაძალადევად გაუღიმა მელაძემ.

— არა, თქვენ ვერ განდიბთ ძმას.

— რატომ?

— თქვენ გზაში ჰკოცავთ პატიმრებს და მერე აცხადებთ: გაქცევა დააპირეს და გუშაგებმა ესროლესო, — მოუჭრა მაროს.

— ტყუილია... ეს თქვენი პროვოკაციაა. ამ შემთხვევაში მაინც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს ძმას, თუ ვი არ გაგიჟდა და მართლა გაქცევა არ დააპირა, არავინ არაფერს ავნებს... შინ ბრძანდებოდეთ. დებითა და ცოლ-შვილით პატიმრები ციხეში ჩვენ არ მიგვყავს, — უთხრა მელაძემ.

მიხა ქუჩაში გაიყვანეს. ალყა შემოარტყეს და მეტეხისაკენ გაასწიეს. უკან მარო ქაქანით მისდევდა, საგანგებო რაზმის აგენტები უყვიროდნენ, აგდებდნენ.

პროსპექტზე მელაძემ ეტლი დაიჭირა, შიგ ჩაჯდა და გვერდზე ხელებგათოკილი მიხა მოისვა, ეტლის წინა სკამზე ორი რაზმელი დაჯდა, ერთიც მეეტლესთან — კოფოზე. მარო მივარდა და ეტლის ფეხსადგამზე გაჩერდა.

— მოაშორეთ აქედან ეს ალქაჯი! — იყვირა მელაძემ.

რაზმელებმა მტირალი ქალი ეტლს უხეშად და გამეტებით მოჰგლიჯეს და დაიჭირეს.

ეტლი დაიძრა.

— რა ამბავია ეს? კაცები არა ხართ, ნადირებო! ქალს ზაინც რას ერჩით? — იყვირა მიხამ, როდესაც დის შემზარავი კივილი მოესმა და, რადგან ხელები გათოკილი ჰქონდა, თავი გაიქნია და მელაძეს დააჯახა. მელაძემ ნაგანი, ვაზნების ბუდით, ყურთან მიადო, გაისროლა და ყურის დაფის აპკი კინალამ არ გაუხეთქა.

თმააწეწილი მარო კივილ-წივილით გამოუდგა ეტლს.

შეორე დღეს, მიხას დაპატიმრების ამბავი გალაქტიონმა კორნელის შეატყობინა. კორნელიმ მაშინვე გაასწია მაროსაკენ. ორი კვირის თხოვნისა, ცდისა და წვალების მერმე, კორნელიმ სენატორს გიორგი დადვაძეს მიხა, თავდების ქვეშ, საპატიმროდან გამოაშვებინა.

— ბოლშევიკებს მიემხრო, მ-თ ეჭომაგება. პატრიოტიც ასეთი უნდა! — იძახდა კორნელის საქციელით აღშფოთებული ელტატე მაყაშვილი.

არივრგაარდულის ბრძოლა

გონებას და გემოვნებას ცვლილება მოსწონს. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება ეს ამბავი, მით უფრო დაინტერესებს იგი მათ, ვინც მას ყურს დაუგდებს.

არისტო

I

ნინო და ელო მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდნენ.

უკვირა დღე იყო, კორნელი ნინოსთან შესახვედრად ემზადებოდა. აბრეშუმის ხალათი ჩაიცვა და ზედ წითელწინწკლებიანი, ნაცრისფერი ჰალსტუკი გაიკეთა. კოსტიუმი და შაგრენის ტუფლები ჩაიცვა. მერმე დედა ელენეს საძინებელ ოთახში ტრიუმოსთან მივიდა და შიგ ჩაიხედა. ნაცრისფერი კოსტიუმი ჩინებულად გადაეკეთებინა მკერავს. კოხტად აღგა ტანზე და შვენოდა. გაპარსულმა ჭაბუკმა გაიღიმა. ოთახში გაისეირნა, პორტსიგარი გახსნა, პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. მერმე ნაცრისფერი ფეტრის შლიაპა დაიხურა და რუსთაველის პროსპექტისაკენ გასწია.

პროსპექტი გაიარა. სასახლესთან გაზეთები იყიდა და ისევ უკან გამობრუნდა. ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში ნინო, ელო და მიხა მაჭავარიანი შემოეყარნენ.

კორნელიმ შლიაპა მოიხადა. მივიდა და ქალებს ხელზე ეამბორა. მიხას მისი კოსტიუმი, ქცევა და თავდაჭერა შეშურდა. ახალ კოსტიუმში გამოწყობილი კორნელი ნინოს ისე მოეწონა, რომ თავს ძალას ატანდა. გულგრილი ყოფილიყო, მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებდა. ქალი გაფითრებულიყო, კორნელის წინაშე მორცხვობდა და რაღაც უშნოდ და ორაზროვნად იღიმებოდა. ელომ კორნელისთან საუბარი ცოტა ხანს იცალა და მერმე კი მკლავში ხელი გაუყარა და წაიყვანა.

მიხა და კორნელი მიჰყვნენ. ნინო შეშინებული შვლის თვალებით უკან იხედებოდა, უკვირდა, მხცოვანნი, პატივცემულნი და დარბაისელნი მოწიწებით თავს რომ უკრავდნენ კორნელის. მის წინაშე ქალმაც მოკრძალება იგრძნო. შეკრთა და შეშინდა: ვაითუ ჭეშხეთიდან ამაოდ ჩამოვედი და სათქმელი ველარ ეუთხრაო.

— რა მიარბენინებთ ჩვენს ქალებს? — ჰკითხა კორნელიმ მიხას.

— ჩავედი თუ არა ქვიშხეთში, — მიუგო მიხამ, — იმ დამესვე ნინომ ისეთი ისტერიკა გამართა, რომ მთელი სახლი ფეხზე დააყენა. ტიროდა და გული მისდიოდა, ქვიშხეთში მათი გამგზავრების შემდეგ, მარგარიტასთან და ქეთოსთან ჩვენ რომ ვივახშმეთ, ის გაუგია. ნინო და ელოც ნაწყენი არიან და ჩხუბს ვერ გიბედავენ. მე კი ტყავი გამაძვრეს.

— არავითარი ჩხუბი! — შენიშნა კორნელიმ, — ჩხუბი და კინკლაობა ბაზრის ქალების საქმეა.

თითქო ქალები მიხვდნენ რაზე საუბრობდნენ მამაკაცები და შეჩერდნენ. მათ თეთრი კაბისტანი, კოფთები, ტუფლები ეცვათ და თეთრივე ქუდები ეხურათ. აგარაკზე ნინო მზეს გაეტრუსა და ოდნავ მოკეთებული ჩანდა. კორნელი თამამად, უბოდიშოდ მივიდა ქალებთან და ჰკითხა:

— სად მიიჩქარით?

— მეგობართან მიგვეჩქარება, — მიუგო ელომ.

კორნელიმ მაჯის საათს დახედა და ქალებს უთხრა:

— ჯერ ადრეა. განა მე თქვენი მეგობარი არა ვარ? ნათქვამია: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“.

კორნელიმ ნინოს შეხედა. ქალი მასწავლებლის წინაშე მოწაფის მსგავსად იდგა. იგი ამ წუთას თავის თავთან შედარებით კორნელის უპირატესობას გრძნობდა, ეს გარემოება აბნევდა, საქციელს უკარგავდა და თანაც აბრაზებდა.

— მშვენიერი დღეა. ცოტა გავისეირნოთ და მერმე ბაღში ერთად ვისადილოთ, — შესთავაზა ქალებს კორნელიმ.

2

ამ დროს პლატონ მოგველაძემ და მისმა მეგობარმა პოეტებმა ჩაიარეს. კორნელის, დიდის ამბით, ქუდი მოუხადეს და შესძახეს: კორნელის ვახლავართო.

ქალებს შერცხვათ და გაწითლდნენ.

პლატონმა პოეტები მიატოვა. ელოს და ნინოს ხელზე ეამბორა და მერმე კორნელის და მიხას ხელი ჩამოართვა,

ვარდო და ესტატე მოიკითხა. კორნელის შეხედა, მისი კონტიუმი მოეწონა, გაუღიმა და უთხრა:

— თქვენ ნამდვილად ლორდის შვილსა ჰგავხართ, ღმერთს გეფიცებით.

კორნელი შეკრთა, მაგრამ უმალვე თავი დაიჭირა.

ახლა პლატონმა ქალებს ჰკითხა:

— თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ კორნელის მოთხრობები?

— არა, არ წაგვიკითხავს, — მიუგეს. ქალებმა და გაოცებით მიაშტერდნენ პლატონს.

— ეს ზაფხული, — განაგრძო პლატონმა, — ჰეშმარიტად კორნელის ლიტერატურული გამარჯვების დასაწყისია.

პოეტები შორიახლოს იდგნენ და პლატონს ელოდებოდნენ. კორნელი მხოლოდ პლატონს ერიდებოდა, სხვა პოეტებს კი თავსაც არ უყადრებდა. კორნელში ორი ადამიანი მოკალათებულიყო: ერთი — ზვიადი, პატივმოყვარე, მეორე კი — თავისთავისა და სხვათა მიმართაც კრიტიკულად განწყობილი, დამცინავი და სარკასტული. დაცინვის გამო, კორნელის ნაცნობები, მათ შორის პოეტებიც, გაურბოდნენ და ერიდებოდნენ. განსაკუთრებით მაშინ, შეზარხოშებული თუ იყო.

პლატონი ქალებს მოუბრუნდა და უთხრა:

— ალბათ, დღეს სიმფონიურ კონცერტს დაესწრებით!

— რა კონცერტია? — ჰკითხა ნინომ.

— პროგრამაში შუბერტი და ბეთჰოვენი გახლავთ.

— ვინ დირიჟორობს?

— სტოლერმანი.

— უთუოდ დავესწრებით, — ერთხმად უთხრეს ქალებმა.

ცოტა ხნის საუბრის მერმე, პლატონი ქალებს, კორნელის, მიხას დაემშვიდობა და მეგობარ პოეტებთან მივიდა. ცირკის მსახიობებივით უცხო და მყვირალა ფერის ტანისამოსში გამოწყობილი პოეტები ჯოგივით გაჰყვნენ პლატონს.

კორნელიმ ქალებს ჰკითხა:

— მიღებულია თუ არა ჩემი წინადადება?

— რა წინადადება? — გაუკვირდა ელოს.

— ერთად სადილობა რომ შემოგთავაზეთ, — მიუგო კორნელიმ.

— ჰო, მართლა, — დაიძახა მსუნაგმა მიხამ, მაგრამ ცოლმა ზიზღით შეხედა უღირს ქმარს და უმალვე ენა ჩააგდებინა.

— გვაგვიანდება, — უთხრა მან ნინოს.

— დავიდარაბა თუ გნებავთ, ეგ არის, — დაიძახა კორნელიმ. — ჯერ ერთად სადილობაზე შევთანხმდეთ.

— ნუ სწუხდებით, რესტორანში სადილობას ჩვეული არა ვართ, — ცივად მოუჭრა ელომ.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ ის რესტორანი კი არა, საოჯახო ბაღია. თქვენები ხომ შინ არ ბრძანდებიან! — მიუგო კორნელიმ. — სად უნდა ისადილოთ?

— განა ნათესავებთან ვერ ვისადილებთ!

— დღეს მე გპატიჟებთ.

— რა საჭიროა ამდენი ხვეწნა და იმერული ცერემონიები, — უკმეხად მიუგო ელომ.

— თუ ჩემი საზოგადოება თქვენ არ გაწყობთ, იყოს ნება თქვენი!

ნინო შეწუხდა და კორნელის უთხრა:

— ჩვენ საქმეზე მივდივართ. საღამოს კონცერტზე შევხვდეთ.

— ბატონი ბრძანდებით, — ცივად მიუგო კორნელიმ და ქალებს დაემშვიდობა.

— ნუ გეშინია, — უთხრა ელომ ნინოს, — რაც უფრო ცივად მოექცევი, მით უფრო დაიწვება. სამი ბილეთი ვიყიდოთ. კონცერტზე პლატონი ჩვენს შორის დავსვათ. კორნელის თავი მოარიდე, პლატონს კი განზრახ დაუყვავე. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ეს იმ შენს ფრანტზე და ახალგამომცხვარ მწერალზე!

კონცერტზე

ჭაბუკობის ჟამს ადამიანები განსაკუთრებული გატაცებით ეტანებიან ხოლმე ხელოვნებას, სწერენ ლექსებს და მსხვერპლად მიაქვთ ყველაფერი, რათა შეუერთდნენ იმ წმინდანებს, რომელშიაც ჰგონიათ განსახიერებული მშვენიერების იდეალი.

გ. სპენსერი

I

ქართული კლუბის ბაღში გამართულ კონცერტზე კორნელი და სანდრო ხოტივარი გვიან მივიდნენ.

საზაფხულო თეატრის დარბაზში ხალხი უკვე შესულიყო. კორნელი და სანდრო დარბაზის ბოლოს, ლოჟაში მოთავსდნენ, პარტერს გაჰხედეს, გის არ ნახავდით პარტერში! წინა რიგებში — კომერსანტები, საქმოსნები, სპეკულანტები იჭდნენ, რომელთაც, უმრავლეს შემთხვევაში, არაფერი გაეგებოდათ მუსიკისა, მაგრამ კონცერტებზე და თეატრში სიარული ესახელებოდათ. მათ უკან — სამხედრო პირები, მოხელეები და სტუდენტები მოთავსებულიყვნენ, მერმე — კონტრამარკებით შემოსული მოწაფეები იდგნენ, ბოლოს კი — უკონტრამარკოდ შემოპარული ყმაწვილები, ბილეთების გამსინჯველებს ჩირგვში მჯდარი კურდღლებივით რომ მუდამ შიშით გასცქერიან. „საცოდავები" იქნებ იმ მოწაფეთა და ყმაწვილთა შორის ყველაზე უფრო გამგებიანი მსმენელები და მომავალი მუსიკოსები მოიპოვებიან", — გაიფიქრა კორნელიმ და წინოს დაუწყო თვალით პარტერში ძებნა.

ბოლოს მიაგნო კიდეც. იგი პარტერის ზეხუთე რიგში აღმოჩნდა, წინოს და ელოს შორის, ფრაკში გამოწყობილი ბლატონი ჩამჯდარიყო. პლატონი ქალებს რადაცას უყვებოდა და აცინებდა. კორნელი გაბრაზდა. იგი სრულიადაც არ იყო ახლა განწყობილი სერიოზული მუსიკის მოსასმენად.

ხალხი სკაში შესული ფუტკარივით გუგუნებდა.

სცენაზე მემუსიკენი ინსტრუმენტებს მართავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ფრაკში გამოწყობილი მადალი, გაპარსული და ჯრძელდალალებიანი დირიჟორი სტოლერმანი სცენაზე გამოვიდა. ორკესტრის წინ ესტრადაზე გაჩერდა. დარბაზში ტაშის

ცემა გაისმა. სტოლერმანმა ხალხს თავი დაუკრა. მერმე ორკესტრისაკენ მიბრუნდა, სადირიჟორო პატარა ჯოხი აიღო და ნოტებგადაშლილ პიუპიტრზე დააკაკუნა. მემუსიკენი მოემზადნენ: კონტრაბასები და ვიოლონჩელები წინ დაიყენეს.. ფლეიტები, კლორნეტები, გობოები და სპილენძის ინსტრუმენტები აიღეს და შეჰმართეს. ვიოლინოები მხარსა და კისერს შორის, ლავიწის ძვალთან მიიბჯინეს. სცენაზე და დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორიც წვიმა-ავდრისა და ქუხილის წინ იცის ხოლმე.

დირიჟორმა ჰაერში შემართული ჯოხი ერთბაშად მოიქნია და უმალვე დარბაზი წარმტაცი მუსიკის ხმებით აღივსო.

სტოლერმანს დიდი ცოდნით, ოსტატობითა და შთაგონებით მიჰყავდა ორკესტრი. მაგრამ კორნელის გრძნობა და გონება სხვაგან რბოდა. ამიტომ მუსიკაზე გულისყური ვერ შეაჩერა. მუსიკა ვერ განიცადა და სმენითი შეგრძნების ნაცვლად, მარტო გარეგნული, ხედვითი შთაბეჭდილებით კმაყოფილდებოდა.

დირიჟორი ორკესტრს მიუშვებდა, მერმე ისევ დაიოკებდა. იგი მთელი ტანით ირხეოდა და როკავდა. ჰაერში ხელებით მერცხლის ნავარდის მაგვარ ნახაზებს ავლებდა, დალალები ეშლებოდა, ფრაკის კალთები უფრიალებდა. დაუსრულებელი მოძრაობითა და როკვით კაცი გასავათდა და ოფლში გაიღვარა. მაგრამ ფინალი, ფინიში და ლელო ჯერ კიდევ შორს იყო. ახლა დირიჟორმა მთელი ორკესტრი შეტევაზე გადაიყვანა, გეგონებოდათ დროშებგაშლილმა და ხმალამოწვდილმა მხედრებმა ჭენებით, ნავარდითა და ყიჟინით ბედაურები მიწას გააკრეს და გატყორცნილი ისარივით გაფრინდნენო. ორკესტრიდან ნაღარისა და საყვირის გამარჯვების ხმა, ბარაბნების გრგვინვა მოისმა, თითქო ცის გუმბათი ქუხილით ჩამოინგრაო.

ეს იყო ბეთჰოვენის „ეგმონტის“ უვერტიურის ფინალი, დარბაზში ტაშის გრიალი გაისმა, მაგრამ კორნელი ისევ ზღვა ხალხის იქით იცქირებოდა. იგი მხოლოდ ერთი ქალის თავსა და ტანს ამჩნევდა — ნინოს, რომელიც გამალებით უკრავდა ტაშს.

ხალხი დარბაზიდან ბაღში გავიდა და ხეივანში სეირნობა დაიწყო. კორნელი, სანდრო და მიხა ცაცხვის ქვეშ, ჩაბნელე-

ბულ ადგილას გაჩერებულიყვნენ და ელოს და ნინოს გაცვიფრებით უცქერდნენ. ელო პოეტს რაფაელ ახვლედიანს მოჰყავდა ხელმკლავით, ნინო კი პლატონს. ნინო იღიმებოდა, უჩვეულოდ აგზნებული, ხმამაღლა ტიკტიკებდა და პლატონს სახეში სასოებით შესცქეროდა. კორნელის გაუკვირდა და ასე მოეჩვენა, თითქოს ისინი ამ წუთას, მართლაც, ბედნიერნი იყვნენ. ნინომ კორნელის ცივად დაუკრა თავი, თითქოს აქ არაფერიაო, გვერდით ჩავლა დააპირა, მაგრამ პლატონმა მკლავში ხელი გაუყარა და კორნელისთან მიიყვანა. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს. მერმე, ცაცხვის ქვეშ ელო, რაფაელი და პლატონის სხვა მეგობარი პოეტები — ლეონარდო ტაბადაძე, ვარლამ შევარდნაძე და თეოფილ გოთუა მივიდნენ.

— რა ჩინებული მუსიკაა. „ეგმონტის“ ფინალი, მართლაც ჰიმნია გამარჯვებისა! — დაიწყო პლატონმა. — შედევრია, უთუოდ! საცნაურ არს მეტად: წარსულ საუკუნეთა მუსიკა და საერთოდ ხელოვნება მთელი თავით მაღლა დგას თანამედროვე მუსიკაზე და ხელოვნებაზე. წარსულს ხელოვნებაში ის უპირატესობაც ენიჭება, რომ კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების ყველაზე დიდი მწვერვალი არა მერმისშია, არა — წინ, არამედ ჩვენს უკან — წარსულში. ბერძენთა მშვენიერების იდეალი დღემდე მიუღწეველ მწვერვალს წარმოადგენს, უთუოდ! — იყვირა პლატონმა და გამარჯვებული კაცივით დააბრიალა თვალები, თითქოს ის ძველი ბუსიკა და წარსულ საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშები და შედევრები მისი შექმნილი ყოფილიყოს.

კორნელი შეედავა.

— ბერძენთა შემდეგ, უფრო ბრძნული, შინაარსიანი, ექსპრესიული, ღრმა და ფართო ხედვის ხელოვნება შეიქმნა.

— მაგალითად?

— მუსიკა და ფერწერა.

— ეგ შესაწყნარებელია, — დათმობაზე წავიდა პლატონი და დასძინა, — მაგრამ მიპასუხეთ, შეიძინა თუ არა ხელოვნებამ, წარსულთან შედარებით, მეტი სიტურფე, შვენება და სილამაზე? პერიკლეს და ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ადამიანები თავის მხატვრულ ნაწარმოებში, ყველა შემდეგი დროისა და რასის ხალხზე უფრო მიუახლოვდნენ სრულქმნილებას. სრულქმნილება იგი ყველა ჩვენთაგანის იდეალს

წარმოადგენს ამქვეყნადაც, უცილოდ! — დაასკვნა „ოქროპირმა“.

პლატონის განცხადებამ დავა გამოიწვია. კორნელიმ თავს ძალა დაატანა და თავის ცოდნის მარაგს მოეჭიდა. ნინო და ელო სულგანაბული უსმენდნენ პლატონისა და კორნელის ორთაბრძოლას. კორნელი პლატონს არ მოერიდა და შენიშნა:

— ჭაღარა წარსულის ნიჭიერისმაგვარ ნაწარმოების შექმნის სურვილსა და ცდაში, სამუდამოდ დაკარგული სიჭაბუკისადმი სიბერის მისწრაფება იმალება

კორნელის განცხადებამ გული ატკინა ორმოც წელს გადაცილებულ პლატონ მოგველაძეს, მაგრამ კორნელი თავდასხმას განაგრძობდა:

— ზოგიერთი ჩვენი პოეტი და მწერალი გვერდს უქცევს თავის ნაწარმოებებში არა მარტო თანამედროვე კულტურას, არამედ ფეოდალურ და ქრისტიანულ კულტურასაც. ისინი ეჭვიანი წარმართობას. მაგალითისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. მივმართოთ თუნდაც თქვენს ნაწარმოებებს. განა მათში არ იგრძნობა ჭაღარა წარსულის აღდგენის სურვილი? წარმართული კულტურით თქვენი გატაცება, თანამედროვე ცივილიზაციიდან თქვენს გაქცევაზე ღაღადებს, თქვენი არქაიზმები არსებითად, ეს არის ძველი ნიმუშებისა და ხერხებისადმი მიბაძვა. ამით თქვენ ზოგ-ზოგებს საბუთს აძლევთ ილაპარაკონ არა მარტო თქვენს დეკადანსზე. არამედ ქართული ლიტერატურისა და კულტურის დეკადანსზეც. მაგრამ საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

პლატონი ნაწყენი იყო არა როგორც დეკადენტი, რომელიც ფართოდ იყენებდა თავის ლექსებში, პოემებში, პიესებსა და რომანებში ძველ მითებს, არქაიზმებს. მისი სენი იყო წარმართული კულტურის ხოტბა-ქება წინააღმდეგ ქრისტიანულისა. კორნელის სიტყვა აშკარად პლატონის წინააღმდეგ იყო მიმართული.

— ჭაბუკო, — სიტყვა გააწყვეტინა პლატონმა კორნელის, — ჩვენ მეტად რთული საკითხების გამო ვდავობთ. საჭიროა ამ საკითხებში მეტი სინათლის შეტანა, თორემ „მზის ღაბნელებაზე“ უარესი ზმანება გამოგვივა. ამ საკითხების გამო ტომები დაიწერება. მე უკვე მზადა მაქვს ორი ტომი. მთელი ჩემი შრომა ორას ნაბეჭდ თაბახს დაიკავებს, ახლა კი ჩემს მოსაზრებებს მოკლედ, დებულებათა სახით მოვჭრი.

დებულება პირველი, ქრისტიანობა ქართველი ხალხის პუნებას არ შეჰხებია იმრიგად! ქართველი წარმართია, უთუოდ! იგი მიწის მუშა, ვაზის, პურ-ღვინის, ქეიფისა და „წუოისოფლის“ მოყვარულია ამჟამადაც. მას სააქაო სწამს და არა საიქიო. ჩვენში ქრისტიანულ რელიგიიდან გამომდინარე მწველებლობა და მოწამებრივი მარტვილობა არ ყოფილა ოდითგანვე. მარადისობის წინაშე განცვიფრება და მისტიკური ჰვრეტა ქართველ კაცს არ სჩვევია. იქნებ სააშაყო ამის გამო არაფერი გვქონდეს და იგი კაცის სულიერ სიღატაკეზე მეტყველებდეს კიდეც. მაგრამ იგი ხალხის სიჭაბუკის ჰაუწყებელია და არა სიბერისა, უთუოდ! ათინას და როჰს ქრისტეს სჯული მათი დაცემის ჟამს შეეპარა, უცილოდ! ჩვენში კი, პირიქით იყო. ეს პირველი საკითხის გამო მომიხსენებია! დებულება მეორე, საქართველო პატრიარქალურ, ფეოდალურ ყოფიდან ჯერაც არ გამოსულა. კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანას ჯერ არც კი შეჰხებია. ევოლუციები და რევოლუციები მიზნად ისახავენ მოახდინონ მეტწილად მატერიალურ დოვლათის გადანაწილება და არა ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და ხალხის თანდაყოლილ თვისებათა ძირული ტრანსფორმაცია. ცივილიზაცია ამ მხრივ — ფიქციაა! საცნაურს არს მეტად: თანამედროვე უმაგალითო ომმა და ხალხის ჟლეტამ, ნუთუ არ დაგარწმუნათ ცივილიზაციის უმწეობაში? თანამედროვე ტექნიკისა და ინდუსტრიის ჯოხეთი ევროპისათვის დაგვითმია! უარი ეთქვას ცივილიზაციას! ჩვენი ლოზუნგია: დაბრუნება მიწასთან! ეს მეორე საკითხის გამო მომიხსენებია. დებულება მესამე, გენიოსობის გადასარჩენად, პოეტი თანამედროვე სინამდვილეს უნდა გაურბოდეს, უთუოდ! იგი მარტო ფიზიკური რაობით უნდა იყოს თავისი დროის მოქალაქე, ხოლო ფანტაზიის გაქანებით კი — საკუთარი სულიერი სამყაროს შემოქმედი. იგი თავისი ხალხის ჭალარა წარსულს — მითოსს და ძველ ხელოვნებას უნდა დაეწაფოს. სჩანს, ამ საკითხების გამო ჩვენ ვერ შევიანხმებით, ჩვენი გზები განიყრებიან მრავალგზის! ეს მესამე და უკანასკნელი საკითხის გამო მომიხსენებია!

ჯველანი სულგანაბული უსმენდნენ „ოქროპირს“.

— მეგობრებო, — დაიძახა მელასაებრ ეშმაკი სახის მქონე ჯუჯა ჭაბუკმა თეოფილ გოთუამ, — ეს დღე ისტორიულ

დღედ უნდა ჩაითვალოს! ბატონი პლატონის მოსაზრებანი, ეს მთელი აღმოჩენაა. მე მწუხარებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ ბატონი პლატონის სიტყვის სტენოგრამა არ წარმოებს. საერთოდ, ბატონ პლატონს პირადი მდივანი უნდა დასდევდეს უკან, რომ ყოველ მის სიტყვას და მოსაზრებას იწერდეს.

— უთუოდ! — დაუდასტურეს პოეტებმა და პლატონი ცამდე აიყვანეს.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, დავა კორნელის დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ კორნელიმ პლატონს შედავება შეჰბედა:

— დაიცათ, დაიცათ, ნუ სწუხდებით, — უთხრა მან პოეტებს, — პლატონის აღმოჩენები ჩვენს შთამომავლობას არ დაეკარგება. ამ საკითხების გამო პლატონს უკვე ტომები დაუწერია, — გაიღიმა კორნელიმ და განაგრძო: — მაპატიეთ, პლატონ, ეს განცხადება, მაგრამ, ჩემის აზრით, ის, ვინც პროგრესს, რევოლუციას და ამასთან დაკავშირებით ხალხის სულიერ ზრდას უარყოფს, იგი რეაქციონერია, ისტორიის კანონების ცუდი მცოდნე, ვინაიდან კაცობრიობის მთელი ისტორია, დამთავრებული ჩვენი საუკუნით — ელექტრონის, რადიოს და ატომის დარგში მიღებული აღმოჩენების საუკუნით, მას სავსებით გამოპარვია მხედველობის არედან. მთავით აზვინულ თქვენს თეორიულ შრომას სავსებით დაუფარავს თქვენგან ცოცხალი ისტორია. ქრისტიანობა მონათმფლობელური წესწყობილების დაცემის შედეგად წარმოიშვა. ანტიკური სამყარო დაინგრა აჯანყებული მონების ბრძოლების მეშვეობით, რომის ბატონობის წინააღმდეგ ამდგარი ახალგაზრდა ხალხების შეტევის წყალობით, რომელთაც თან მოიტანეს ახალი წყობილება და ახალი კულტურა. ფეოდალური წყობილება, მისი იდეოლოგია, მწერლობა და ხელოვნება, უთუოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა იმ დროისათვის. ამ შემთხვევაში, საქართველოც, რომელმაც ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში, ადრიანი ფეოდალიზმის ხანაში მიიღო, არ წარმოადგენს გამონაკლისს. ჩვენი ისტორია სავსეა ამის დამადასტურებელი ფაქტებით. კერძოდ — ქართული ხელოვნების ისტორია. განა შოთა რუსთაველის გენია, მრავალრიცხოვანი მისი წინაპრების წარმტაცი შემოქმედება, საქართველოში ფეოდალიზმისა და ქრისტიანობის აყვავებით

არ იყო გამოწვეული? ყოფაცხოვრებისა და სულიერი ორგანიზაციის პრინციპული არაცვალებადობა შეიძლება არსებობდეს ცხოველთა შორის და არა ადამიანთა საზოგადოებაში. ხოლო რაც შეეხება ჭაღარა წარსულის წინაშე მუხლმოდრეკას, უნდა მოგახსენოთ, რომ ის, ვინც წარსულს ჩაჰკირკიტებს და ეტანება, იგი თავის ხალხის სიკვდილის განაჩენზე და თავისი პირადი პოეტური ფანტაზიის უსუსურობაზეც ხელს აწერს.

— როგორ? პოეტური ფანტაზიის უსუსურობა აქ რა შუაშია? — ჰკითხეს გაოცებულმა მგოსნებმა კორნელის.

— ვინც მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, — აუხსნა კორნელიმ, — მისთვის ყველაზე უფრო ადვილია, მიჰმართოს მზამზარეულ ნიმუშებს, შაბლონურ ფორმებს. მას შეუძლია გაჰყვეს მიბაძვას იქ, სადაც სიახლე უთუოდ მოითხოვდა მისგან მეცნიერების ცოდნას, თანამედროვე ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოვლენების რაობის ღრმა გაგებას. არქაული მიმართულების ლიტერატორები — ჭაღარა წარსულის თაყვანისმცემელნი — ამაოდ ცდილობენ მიჰბაძონ გარდასულ საუკუნეთა შთაგონებულ, ცოცხალი რწმენით აღსავსე ოსტატებს, რადგან იმ ოსტატების ბრმა მიმბაძველნი ახერხებენ განიმეორონ მათ მიერ შექმნილი ხელოვნების მხოლოდ მკვდარი ფორმა და არა მისი უკვდავი სული. ასეთ მიმბაძველთა ქმნილებებს არ გააჩნიათ ცხოველმყოფელი ძალა სიმართლისა და ექსპრესია. ისინი ყალბი არიან და მკვდარმობილ ბავშვებსა ჰგვანან, რაგინდ არ უნდა კაზმავდნენ და ალამაზებდნენ მათ მათი ავტორები.

ყველაზე უფრო გულისმომკვლელი პლატონისათვის ის გარემოება გახლდათ, როდესაც მის ნაწარმოებს ვინმე ყალბს უწოდებდა. მან თვითონაც კარგად იცოდა, რომ იგი პოეტად და მწერლად არ იყო ღაჩენილი. პოეტობა და მწერლობა ძალად დაიჩემა და მერმე, თავისი „ქმნილებების“ დასაცავად, ათასგვარ თეორიებსა და ნაკითხობას იშველიებდა. პლატონი გაბრაზდა, თვალები გადმოკარკლა და კორნელის შეუტია.

— განა წარსულის ბრმა მიბაძვაზე მოგახსენებდით? ეს თქვენ თვითონ მოიგონეთ, ან სადღაც ამოგიკითხავთ. სისხლნაკლულ ხელოვნებას გერავითარი გარეგნული მიმბაძველო-

ბა და ბრწყინვალება რომ ვერ დაუფარავს ცხოველმყოფელი ძალის უქონლობას, განა არ ვიცი?

— ჩემის აზრით, თქვენ წინააღმდეგობაში ვარდებით, — შენიშნა კორნელიმ.

— არავითარი წინააღმდეგობა! — იყვირა პლატონმა.

— წინააღმდეგობა ის არის, რომ „ჩვენს“ თეორიებსა და პრაქტიკას შორის დიდი ზღვარი ძევს; — მიუგო კორნელიმ და ყველა მიხვდა, როდესაც კორნელი „ჩვენს“ ამბობდა, „თქვენს“ ჰგულისხმობდა. ეს ჭაბუკი რას გადამეკიდაო, — გაიფიქრა პლატონმა და დანაღვლიანდა. უხერხულობის გასაფანტავად პოეტებმა თავისი ლიდერის, ჭურუმისა და მოგვის — პლატონ მოგველაძის ნაწარმოებთა ხოტბა დაიწყეს. პლატონს გენიოსი უწოდეს. მაგრამ ამ დროს ანტრაქტი გათავდა. მეორე ზარი დარეკეს და ხეივანში დარჩენილნიც დარბაზისაკენ გაეშურნენ.

2

კონცერტის მეორე განყოფილება შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონიით“ დაიწყო. კორნელი ბრაზით გასცქეროდა პლატონს, რომელსაც მუსიკისმცოდნე კაცის სახე მიეღო.

— ბევრი ყალბი, ძალად გაკეთებული ადამიანი და პოზიორი მინახავს, მაგრამ პლატონის მსგავსი ყალბი კაცი მე ჯერ არ შემხვედრია, — ღვარძლიანად უთხრა კორნელიმ სანდროს და მიხსა. — შეხედეთ, როგორ იბერება, თითქო მუსიკის რამე გაეგებოდეს. მუსიკალურ სმენას სრულიად მოკლებულია. მიუხედავად ამისა, მუსიკაზე და ხელოვნებაზე ყველაზე მეტს სწორედ ის ჭაჭანებს.

შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“ ბევრჯერ მოუსმენია კორნელის მაყაშვილთა სახლში, გრამაფონის ფირფიტაზე, კონცერტებზე და ზეპირად იცოდა. ისე კარგად ახსოვდა, რომ შეეძლო თავიდან ბოლომდე ემღერნა ან სტვენით გადმოეცა.

აი ახლაც, სიმფონიის მეორე მოტივის დაწყებისთანავე მოიხიბლა, თვალები დახუჭა და უმალვე ყველაფერი დაავიწყდა — ნინო, პლატონი, მთელი დარბაზი... იგი თითქო სადღაც, შორს, უხილავ მხარეში გადასახლდა. თვალებდახუჭულ

ჭაბუკს უცნაური, წარმტაცი და ფერადი სურათები ეხატებოდნენ.

შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონიის მეორე მოტივი“ ლოცვის, ვედრებისა და ღაღადის მსგავსი ჩუმი იდუმალი ჰანგებით დაიწყო. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოკლე და ბოხი ნოტები — ბანები ზღვის ტალღებივით განიბნენ. მუსიკაში ჩაქსოვილი ლეიტმოტივი, რომელზედაც არის გაშლილი და აგებული მთელი ნაწარმოები, სიმფონიის დაწყებისთანავე გამოიკვეთა. იგი თანდათან დაიკარგა და გაუჩინარდა დაძაბულ ხმებში და მერმე ისევ ნელა მოიჭრა და ამოცურდა ზღვათა სივრცეში უეცრად გამოჩენილი, წარმტაცი კუნძულების მსგავსად. თვალდახუჭულმა კორნელიმ, დაისის ჟამს ზღვაში გამოჩენილი, აყვავებული ბაღებით შემკული და ბურუსმიფენილი კუნძულები და ნახევარკუნძულები დაინახა. გაუკვირდა: ის კუნძულები და ნახევარკუნძულები ბათუმისა და სოხუმის ზღვისპირა მიდამოებს მოაგონებდნენ.

უმალვე ნაღარისა და საყვირთა ხმა შემოესმა, თითქო ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და ყალყზე დამდგარი, ფაფარაშლილი ტალღები ნაპირისაკენ გამოეშართნენო. მაგრამ აქ ქედმოუხრელი აღმაფრენის მაუწყებელ ხმებშიაც ისევ მწუხარე ლეიტმოტივის ლოცვა-ღაღადისი ჩაქსოვა. ზვიადი ხმების გაჭანებაში ჩაქსოვილი მწუხარე ჰანგი, ალბათ, ახალი ცვლილების მაუწყებელი იყო და, მართლაც, სიმფონიის ეს ნაწილი, ცისადმი ქედმოხრილი, პირვანდელი მწუხარე ჰანგით, ლეიტმოტივით დამთავრდა. კორნელის მტკვრის პირას ინდოელთა ბანაობა და მზის ჩასვლის ჟამს გაგონილი ლოცვა მოაგონდა — „ლოცვა მზისადმი“. მზე ჩაესვენა. დაღამდა და თითქო ღედამიწას, თანდათან, შავი ბეწვარი გადაეფინაო. თვალდახუჭული კორნელი ახლა ვერაფერს ვერ ჰვრეტდა. მის წინაშე შავი ფარდა ჩამოეშვა. მაგრამ ფარდა უმალ შეირხა, აცახცახდა და ზედ უცხო ფერებმა ლასლასით გადაირბინეს...

და, ისევ კათოლიკეთა ეკლესიის ორღანოს, მომღერალთა გუნდის შორეული ჰანგისა და გალობის უნაზესი და ღვთაებრივი ხმებით ამეტყველებული ლოცვა-ვედრება და ღაღადისი გაისმა, გენდელისა და ბახის ორატორიებისმაგვარი. უნაზეს ხმათა ზვირთების რბენას, დროდადრო, ისევ მწუხარე ლეიტ-

მოტივი დაერთო და ბოლოს, მხოლოდ ერთიღა მაღალი ნოტი — ხმა დარჩა. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივივით გამოსროლილი. ეს ძალაგამოლეული და მომაკვდავი ხმა, ჯერ-ლავი კაეშნით შეიჭრა კორნელის სულსა და გულში, თითქო დაისის ჟამს, ზღვის ზედაპირი დაწყნარდა და ცის დასავალზე ჩასვენებულ, გაფითრებულ და მომაკვდავ მზისაკენ ნაპირიდან მოწყვეტილი მარტო ერთიღა უკანასკნელი ტალღა გარბის და მიისწრაფვის.

მერმე ისევ კონტრასტული, მძლავრი და მაღალი ხმები გაისმა, მაგრამ პირველ ფორტისიმოსთან შედარებით უფრო ჩუმი. აღმაფრენას პირვანდელი ძალა გამოელია და კორნელის მოეჩვენა, თითქო ღაკოდილი არწივი ფრთებს ამძიმებდა. ახლა კორნელიმდე ცხადად აღწევდა იგივე მწუხარე ლეიტმოტივის ჰანგი, რომელიც თანდათან კვდებოდა ვედრებით სავსე ხმების ღაღადისში და ასე მოეჩვენა, თითქო ჯვარცმულის წინაშე მისული მავედრებელი მუხლის მოყრას და დაცემას აპირებსო. აი, დაეცა კიდეც და მაცხოვრის ფერხთ-ქვეშ აქვითინდა.

შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონიის მეორე მოტივი" დასრულდა.

დარბაზში ტაშის ცემა გაისმა. კორნელიმ თვალი გაახილა. იგი უცხო და უხილავ სამყაროდან მოსულსა ჰგავდა. მუსიკით განწმენდილს, არაფერი არ ჰქონდა ახლა საერთო ყოველდღიურ ცხოვრების ჭაობში ჩაფლულ ხალხთან, მელოტთავებიან ფილისტერებთან, ყალბი მსახიობივით სახედაძაბულ პლატონთან, „სულელ დედოფალას მსგავს" ნინოსთან, რომელიც ბრიყვულად იღიმებოდა, „დიდი ხელოვნისაკენ" იხრებოდა, რათა მისი აზრი მოესმინა.

— ქრისტე-ღმერთის, განგებისა და შეუმცნობის წინაშე ასეთი უნებისყოფო, ქედმოხრილი და სისხლნაკლული ადამიანების მუსიკის მოყვარული კაცი არა ვარ, — უჩურჩულა პლატონმა ნინოს.

კორნელის მოეჩვენა, თითქო პლატონმა ტუჩები ქალს ყურის ბიბილოზე შეახო, ნინოს ელიტინება და იმიტომ იღიჟებაო. ნინო ისევ თავს ძალას ატანდა, უცნაურად იხედებოდა, უცნაურად ეჭირა თავი, რაც, კორნელის აზრით, ქალს რაღაც

სულელურ და ბრიყვულ გამომეტყველებას ანიჭებდა. ქალმა ბედნიერი თვალები დარბაზში მყოფ ხალხს მოავლო, კორნელი დაინახა, სახე უმალვე მოარიდა და ისევ სასოებით შეხედა პლატონს.

„ფუი, ნინო მაყაშვილიც მსახიობობს, თვალთმაქცობს და თაღლითობს!“ — გაიფიქრა კორნელიმ და, მოულოდნელად, სანდროს და მიხას უთხრა:

— მეგობრებო, წავიდეთ ამ ყალბი ბაზრიდან.

— სად უნდა წავიდეთ? — გაუკვირდა სანდროს.

— ვახშამზე გპატიჟებთ, — მიუგო კორნელიმ.

მიხამ „ვახშამი“ რომ გაიგონა, შეწუხდა, ქალები შინ უნდა გავაცილო და სავახშმოდ რომ წავიდე, ელო მომკლავსო, — გაიფიქრა.

— ჯერ ათი საათია. კონცერტი, ალბათ, ღამის პირველ საათზე დამთავრდება და რა დროს ვახშამია, — უთხრა სანდრომ კორნელის.

— თუ ძმა-ხარ, წავიდეთ, თორემ მარტო წავალ, — შეეხვეწა კორნელი.

— მე ვერ წამოვალ, — უთხრა გულმოკლულმა მიხამ კორნელის.

— რატომ?

— ქალებს ვერ მივატოვებ. შინ უნდა გავაცილო.

— გამცილებლები უკვე იშოვეს მათ. თავს ნუ შეიწუხებ, — მიუგო კორნელიმ და წამოდგა.

8

კორნელი, სანდრო და მიხა ბაღიდან გავიდნენ, ქალაქის მოედანი გაიარეს და პუშკინის ბაღთან, ვინმე ავეტიკას რესტორანში — სარდაფში ჩავიდნენ. მწვადები შეაწვევინეს და ღვინის სმა დაიწყეს.

კორნელი აგზნებული იყო. ლოთების ყიჟინი, დაფა-ზურნის ბრახაბრუხი, ჭყვიტინი, მედოლის სიმღერა და გამყივანი ხმა კიდევ უფრო ათრობდა, თავბრუს ახვევდა.

შუალამისას ავეტიკას სამიკიტნო „მოდი მწახე“ სულ აირია, ისმოდა — დუდუკი, დოლი, გამყივანი ხმით თქმული ბა-

იათი... ვიღაც სალახანა, წვერიანი კაცი — გეო ბულბულივით უსტვენდა.

ოფიციანტები დარბოდნენ და ვერ ასწრებდნენ ცოცხალისა, ჩანახის, მწვადებისა და ღვინის მოტანას. სარდაფში ლოთების ყიჟინი და გაგიჟების საათი დადგა ნამდვილად.

კორნელიმ მოიწყინა. ჭიქა ასწია. ქარვისფერ ღვინოში ნინოს სახე მოეჩვენა და შეეცოდა. მიხვდა, მასში ეჭვის გალივივების გამო, ქალი რომ პლატონს აეკიდა, თაღლითობდა და როლს, როგორც შეეძლო, ისე თამაშობდა.

— მეგობრებო, — დაიწყო კორნელიმ, — მოდით, ელოს და ნინოს სადღეგრძელო შევსვათ.

— ყოჩაღ! მეგონა, შენ პლატონზე ეჭვიანობდი ნინოს, — შენიშნა სანდრომ.

— არ უწყის რას ჩადის, ღმერთმა აპატიოს.

— კორნელი, გინდა გითხრა, რისთვის აეკიდა პლატონს ნინო? — ჰკითხა მიხამ.

— ვიცი. არ ვძრახავ. — მიუგო კორნელიმ და დაიწყო: — მეცოდება ნინო პლატონის ხელში. იგი მას დაღუპავს. პლატონი ეგოისტი, თავისთავზე შეყვარებული, რწმენადაკარგული კაცია. სამშობლო მას იმდენად სწყამს, რამდენადაც მისი პიროვნების განდიდებას ხელს შეუწყობს. მის გულში სასოწარკვეთილების და უიმედობის შხამი ჰბუდობს. მან ერთხელ მითხრა: ისეთი ბეჩავი, ღატაკი, პატარა და ისტორიის მიერ განწირული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, თავის განწირვა, დამპალ ხეზე თავის ჩამოხრჩობას უდრისო.

— უსინდისო! — იყვირა სანდრომ.

— საუბედუროდ, მისი მეგობარი პოეტები მას ჰბაძავენ. მან მრავალი ახალგაზრდა სულიერად გახრწნა. აი, რისთვის არ მინდა, ის ქალი იმ ყალბ, ანგარებით სავსე ადამიანს ხელში რომ ჩაუვარდეს. ნინო აზიზი, კდემამოსილი და პატიოსანი ქალია. მშობლები და ნათესავები კი ნინოსათვის მდიდარ და სახელმოხვეჭილ საქმროს ეძებენ. იმას კი არ დაეძებენ, როგორი ადამიანი არის საქმრო და რა გზით მოიხვეჭა მან სახელი! დღეს კონცერტზე ნინოს რომ ვხედავდი და მის ქცევას ვაკვირდებოდი, ასე მეგონა, ქალი ბაზარში ძალით გამოუყვანიათ და ქალობით ვაჭრობას ასწავლიან-მეთქი.

კორნელიმ ჭიქა დასცალა და ნინოზე ექსპრომტი თქვა:

არ ვინდა მისი დავარღვიო სენის სიმყუდრო.
ბაგრამ ქვეყანა კვლავ მაბრაზებს — ყალბი ბაზარი,
მას სიმფონია ბეთჰოვენის ეკმის მეწვიდე,
მე კი დეჰონის ნაცნობი ხმა, ჰანგი საზარი.

მეგობრებმა კორნელის შეხედეს. მას ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, რომ გაოცდნენ. ასეთი კორნელი მეგობრებისათვის უცნობი იყო. ისინი იცნობდნენ კორნელის — მოვარჯიშეს, მოკრივეს, მებრძოლს, გონებამახვილს და ენამწარეს. ხოლო კორნელი თუ ღრმა განცდის კაცი და, თანაც, მწერალი და პოეტი გახდებოდა, ეს კი არ ეგონათ.

მიხა კონცერტზე გაიქცა.

4

კორნელი და სანდრო ღამის სამ საათზე ამოვიდნენ სარდაფიდან.

დილით კორნელის ადრე და რაღაც ერთბაშად გაელვიძა სანდროს ოთახში, თითქო ძილი სამუდამოდ გაუფრინდაო. იგი თვალახილული იყო და წუხელ, სარდაფში თქმულ ექსპრომტს ბუტბუტებდა. სანდროს მშვიდად ეძინა. კორნელი, საცვლების ამარა, მაგიდასთან მივიდა, დაჯდა. ქაღალდი აიღო და ლექსი დასწერა. მერმე, გაასწორა და გადათეთრება დაიწყო.

სანდროს გაელვიძა. კორნელი მაგიდასთან როდ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— რასა შვრები?

— არაფერს. რაღაც დავჯღაბნე, — მიუგო კორნელიმ და ქაღალდი გადააბრუნა.

სანდრო ფანჯარას მიადგა, ქალაქს გაჰხედა, დაამთქნარა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერმე ისევ საწოლზე დაჯდა, კორნელის მიაშტერდა და შეეხვეწა:

— წამიკითხე, რა დაწერე.

— წაგიკითხავ, თუ არავის არ გაუმჟღავნებ.

— დარწმუნებული იყავი.

კორნელიმ სუფთად გადაწერილ ლექსს დახედა და მწარე მღელვარე ხმით წაიკითხა:

კონცერტზე

ჭარვისფერ ღვინით მოკიაფე, აღსავსე თასში
მე დავინახე შენი სახე და მზის ვაღვარი,
პეპლის ფრთებივით დარხეული ხელების ტაში
და შავი წარბი, გაფრენილი მერცხლის მაგვარი.
გხიბლავს მანდ ჰანგი საამური, უთქმელი ენით.
მე კი სარდაფში დემონის ხმა მესმის საზარი.
მაინც არ მინდა დავარღვიო სიმშვიდე შენი,
თუმც გარს გარტყია თვალთმაქცობის უნდო ბაზარი.
ვხედავ; მარაომ შეარხია შენი დალალი
და სისხლიანი მაგონდება ისევ რომანი,
რადგან დაკარგულ სულთან ზიხარ ქალი ალალი,
პოეტის სატრფო, უნაზესი, ჰაეროვანი...

სანდროს თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. ეს ცრემლი ჯილდო იყო კორნელისათვის. და მართლაც, კორნელის მიერ ამ ლექსში გამოთქმულ ტანჯვას, რომელსაც იგი სხვას ვერ გაუმხელდა, სხვანაირი ჯილდო არც შეეფერებოდა.

ს ა ბ უ თ ი

ხშირად ქალი გმირულად ებრძვის ხოლმე მოზღვავებულ გრძნობას, მაგრამ იგი მას ისევ გრძნობას უპირისპირებს.

შ ი ლ ე რ ●

1

კორნელიმ პირი დაიბანა, ჩაიცვა და სტამბაში წავიდა. ლექსი: „კონცერტზე“ გულჯიბეში ჩაიდო და დამშვიდდა, თითქოს ამ ლექსით ნინოს წინაშე ჩადენილი დანაშაული მოინანია და გამოისყიდაო. იგი ოპერის წინ კაფეში შევიდა. მაგიდასთან დაჯდა. ჩაი მოითხოვა და ვიტრინაში გაიხედა: ვიტრინაში ოპერის ბაღი ჩანდა. მაღალი ჭადრების და ნეკერჩხლების კენწეროებში ლურჯი ცა იღანდებოდა. კორნელიმ ცას გაჰხედა და უმალვე უცხო და შორეულ მხარეში ფიქრებით გადასახლდა. მას კონცერტი და ნინო აგონდებოდა. ყურში ვიღაც ნაცნობ კილოს და სიტყვებს ჩასძახოდა:

ნეტავ ახლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა?

თითქოს ნინო სადღაც შორს და თბილისში არა ყოფილიყო!

ხელი უნებლიეთ მკერდზე მიიდო. „ვერავის, ნინოსაც კი ვერ გავუმჟღავნებ ამ ლექსში გამოთქმულ ჩემს ინტიმურ გრძნობას. ოდესმე ვაჩვენებ ნინოს ამ ლექსს. იქნებ დავბეჭდო კიდეც, მაშინ, როდესაც ჩვენ ერთმანეთს განვშორდებით“, — გაიფიქრა კორნელიმ და, რა წამს ეს გაიფიქრა, მაშინვე საშინლად დაღონდა. მერმე ისევ განაგრძო ფიქრი: „როდესაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდებით, მარადჟამ დაუვიწყარი ქალის სახე დამრჩება და მას რომანში ავსახავ“.

საყვარელ არსებასთან განშორების და მიჯნურობის დასასრულის ასეთი წინასწარი, არტისტული ხილვა, ნამდვილ მიჯნურობას რომ არ ეგუებოდა, კორნელის იმჟამად შეგნებული როდი ჰქონდა. ლტოლვა საყვარელ ქალისადმი იმის გამო, რომ კაცს დარჩეს მოსაგონრად დამსხვრეული და „სისხლიანი რომანი“, დარჩეს სახე მიჯნურისა, რომელიც მხატვრული ნაწარმოებისათვის გამოადგება, განა შესაწყნარებელია? რა წამს კაცი თავის მიჯნურს, ან მეგობარს დაკვირვების საგნად აქცევს, რათა მისი დადებითი და უარყოფითი თვისებანი გამოავლინოს და მხატვრულად ასახოს, — მიჯნურობა და მეგობრობაც იქვე თავდება. აი, სწორედ ეს იყო კორნელის მიჯნურობაში შეპარული არტისტიზმი და არაგულწრფელობა, რასაც ნინო, თავისი ქალური და ფაქიზი ბუნებით წვდებოდა და რაც მას ამრიგად აფრთხობდა. ბოლოს, როცა კორნელის და ნინოს შეხვედრა მოხდა და ისინი მაყაშვილთა ბინაში პირისპირ ისხდნენ, ქალმა ვაჟს უთხრა:

— თქვენ მაშინ გავონდებით მე, როდესაც თქვენს გვერდით ვარ. საკმარისია დროებით დავშორდეთ ერთმანეთს, მაშინვე მივიწყებთ...

— ჩემსა და თქვენს შორის მიხა რომ გაეჩხირა, მაშინ წახდა ჩვენი საქმე, — შენიშნა კორნელიმ და ხანგრძლივ მიაჩერდა ნინოს.

ნინო შეკრთა და კორნელის ჰკითხა:

— მიხა რა შუაშია?

— მიხა ისე გამოიბარა ქვიშხეთში, რომ არაფერი არ შე-

მატყობინა. ჭკვიანია: ქვიბეთში როძ ვყოფილიყავ, იგი იეძ-ზე ჰორების თქმას ვერ გაბედავდა.

— რას ერჩით მიხას? განა მისი ბრალია, წერილი რომ არ მომწერეთ?

— წერილს ვერ მოგწერდით.

— რა მიზეზის გამო?

— ისიც ქალბატონ ვარდოს, ელოს ან მიხას ჩაუვარდებოდა ხელში.

— თქვენ წინათაც მოგიწერიათ ჩემთვის წერილი, მაგრამ იგი არც დედას და არც სხვა ვინმეს უნახავს, — ეწყინა ნინოს. კორნელი არ მოერიდა და უთხრა:

— მაყაშვილთა ასულსაც ტყუილი სცოდნია.

„ნუთუ მიხა ორ ფრონტზე მუშაობსო“, — გაიფიქრა ნინომ და ერთბაშად გაწითლდა. კორნელის შეეცოდა:

— ნინო, ის წერილი, რომელიც რესტორნიდან მოგწერეთ, ვინმეს რომ უჩვენოთ, თავს მოვიკლავ.

— მე ის წერილი არავისთვის არ მიჩვენებია. კიდეც რომ ვაჩვენო, განა თავი უნდა მოიკლათ!

— ადამიანის ცხოვრებაში ხშირად დგება ისეთი ინტიმური წუთები და ისეთი შემთხვევები, რომლის საჯაროდ გამოტანა, თავმოყვარე კაცისთვის, სიკვდილს უდრის.

— მაგ შემთხვევაში თქვენ ჩემზე უფრო ხშირად ცოდავთ.

— როგორ?

— პლატონის არ იყოს, თქვენც უცნაური კაცი ხართ, — მიუგო ნინომ.

პლატონის ხსენებამ ნინოს უშველა, რადგან კორნელიმ საუბარი პლატონზე გადაიტანა.

— განა არ ვიცი, პლატონს რად არ შორდებოდით კონცერტზე?

— რად?

— ჩემი დაჩაგვრა გინდოდათ.

— აზრადაც არ მომსვლია.

— აკი წეღან გითხარით: მაყაშვილთა ასულს ტყუილი არ უხდება-მეთქი!

— კორნელი, თქვენ ძალიან ბევრ უფლებას აძლევთ თქვენს თავს.

— პოეტში.

— ბოდიში რა საჭიროა! კარგი ერთი: პლატონი თვითონ არ ნშორდება მე. მეორეც: თქვენი დაჩაგვრა არც ისე ადვილია. ნეტავი თქვენ თვითონ არ დაჩაგრავდეთ სხვას... — ისევ წყენით უთხრა ნინომ. ამრეზილ ბავშვივით აიბზუა მსუქანი ტუჩები, მერე ბრაზისაგან გაიგუდა და ლოყები გაებუშტა.

კორნელიმ გულითადი ხმით უთხრა:

— ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, რომ თქვენი დაჩაგვრა არასოდეს არ ნიფიქრია.

— თქვენ უკვე იკადრეთ ჩემი დაჩაგვრა.

— როგორ?

— თქვენ კარგად იცით, რომ ქვიშხეთიდან თქვენს სანახავად ჩამოვედი. ახლა თქვენს წინაშე თავს რომ ვიმცირებ. განა ეს დაჩაგვრა არ არის? მითხარით, თუ თქვენ პატიოსანი კაცი ბრძანდებით: რა საქმე გაქვთ იმ გერმანელ ქალთან?

— არავითარი. ქვიშხეთში თქვენ რომ წაბრძანდით, საშინელი კაეშანი შემომაწვა და, დარდის გასაქარვებლად, მე და მიხა ბაღში სავახშმოდ შევედით. იქ, მოულოდნელად, მარგარიტა და ქეთო მაღალაშვილი შეგვეყარნენ... ისევ მიხამ მოჭორა, არა?

— არა.

— ვიცი, მიხაა! რად ერევა ის ჩვენს ურთიერთობაში? რად გვიშხამავს ცხოვრებას? — დაიძახა კორნელიმ. წამოდგა და ოთახში სწრაფული დაიწყო. ნინოც წამოდგა, კორნელის წინ გაჩერდა და უთხრა:

— მიხა არაფერ შუაში არ არის. განა თქვენ უარყოფთ, რომ ხშირად სვდებით იმ ქალს?

— სულ სამჯერ.

— თქვით, რისა გრცხვენიათ? იქნებ თქვენ გიყვართ ის ქალი! მერე რა? არ იფიქროთ, თითქო ვეჭვობდე!.. მე ხომ თქვენზე დანიშნული ან ჯვარდაწერილი არა ვარ?! თქვენ თავისუფალი კაცი ბრძანდებით, ისევე როგორც მე. განა სხვაზე ვერ გაკთხოვდებით? მართალია, თქვენ კარგი ოჯახის შვილი, ნიჭიერი და წარმოსადეგი კაცი ბრძანდებით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არც მე ვარ უჭკუო და მახინჯი. დედაჩემს ისეთი იშვიათი, სახელმოხვეჭილი და განათლებული პირები

სთხოვენ ჩემს ხელს, როგორც პლატონი, გენადი ქადაგიშვილი, დათა კაჭკაჭიშვილი, გიორგაძე და სხვანი არიან.

კორნელი შეკრთა, მაგრამ მალე თავი დაიჭირა. ბრაზი დაიოკა და რაღაც უკეთურად გაიღიმა. მერმე ნინოს წინაშე გალაჯული ფეხებით, უზრდელად გაჩერდა, დოინჯი შემოიდგა, ცალი თვალი დამცინავად მოხუჭა და უთხრა:

— ყოჩაღ, ქალო! ქალიც ასეთი უნდა: რამდენი საქმრო ჰგდევნებიათ!

„მადლობა ღმერთს, „რამდენი კურო ჰგდევნებიათ“ რომ არ წამომცდაო“, — გაიფიქრა კორნელიმ. ნინოს სისხლი აუვარდა თავში და სახე სააღდგომო კვერცხივით შეუღება. კორნელიმ არც ახლა დაინდო და ენამწარედ განაგრძო:

— მომილოცნია. მართალი გითხრათ, ეს ამბავი ძალიან გამეხარდა. მაგრამ, რადგანაც მე თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი ვარ, უთუოდ უნდა გაგაფრთხილოთ: საქმროს არჩევაში არ მოტყუვდეთ. ათასნაირად აწონ-დაწონეთ და იანგარიშეთ.

— გმადლობთ. თქვენი დარიგება და გაფრთხილება მე არ მჭირდება. უმჯობესია თქვენი მეგობარი, გერმანელი ქალი დაარიგოთ ჭკუაზე, — შენიშნა ნინომ და თავბრუ დაესხა.

— რატომ? მე ხომ თქვენი კეთილმოსურნე ვარ, — დაიწყო ისევ კორნელიმ: — ქორწინების საკითხში მე ბევრი რამ გამეგება. მაგალითად, მე ვიცი, რომ ზოგიერთი ველური ტომის ქალი, სანამ ცოლობაზე თანხმობას განაცხადებდეს, მამაკაცს აიძულებს ჯერ წინიდან და მერმე ზურგიდან ეჩვენოს მას. ყოველმხრივ სინჯავს საქმროს, აკვირდება მის სიარულსა და მიხრა-მოხრას... ველური ქალები, დაქორწინების მხრივ, სრულიადაც არ იმყოფებიან ისეთ დამამცირებელ მდგომარეობაში, როგორც ჩვენ ხშირად წარმოგვიდგენია. მაგალითად, მათ იციან იმ მამაკაცის მოხიბვლა, რომელსაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ. ხოლო იმ მამაკაცს, რომელიც მათ არ მოსწონთ და ეზიზღებათ, უმალვე უარყოფენ და განაგდებენ, როგორც ქორწილამდე, ისე ქორწილის შემდეგაც. თუმცა რა საჭიროა ამდენი ლათაიები და გაფრთხილებანი. ველურები თუ საქმროს შერჩევაში ამდენ წინდახედულებას იჩენენ, თქვენისთანა უმანკო, პატიოსანი და განათლებული ქალი განა შეცდება?

— კმარა! — იყვირა ნინომ. დაბარბაცდა. უმალვე მიხვ-

და, რომ ქორწილზე და საქმროების სიაზე საუბარი კორნელისთან არ უნდა დაეწყო. კორნელის თვალი ვერ გაუსწორა. თავისივე სიტყვები ბაზარში სავაჭროდ გასული, მდაბიო ქალის განცხადებად მიიჩნია. სირცხვილით დაიწვა. სახეზე ხელი აიფარა. მერმე საწოლზე დავარდა, ბალიშებში თავი ჩარგო და აქვითინდა.

კორნელი იმდენად იყო შეურაცხყოფილი ნინოს მიერ თავისი საქმროების ჩამოთვლით, რომ ირონიით მოცელილი და შერცხვენილი ქალი არ შეიცოდა. იგი მხოლოდ შეშინდა და გაიფიქრა:

„ჰერიჰა! ისტერიკა არ გამართოს!“

ღია ფანჯარასთან მივიდა, ზედ ჩამოჯდა და ქუჩაში გაიხედა. მერმე ისევ ქალს დააცქერდა. მაყაშვილთა ბინაში სრული სიმშვიდე და სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ნინოს გულამოსკვნილი, ჩუმი ტირილი ისმოდა. ახლა კი შეებრალა ნინო კორნელის: „საცოდავი, როგორც შეუძლია, ისე ცდილობს თავისი ბედ-იღბლის მოგვარებას. რას ვერჩი?“ — გაიფიქრა. საწოლთან მივიდა, მუხლი მოიყარა და ნინოს მხარზე შეეხო. ქალი გველნაკბენივით შეკრთა და კედლისაკენ გადაბრუნდა. ღრმა სუნთქვის გამო, ასულის ბეჭები პატარა საბერველივით მოძრაობდნენ და მთელი სხეული თანაბრად ირხეოდა. კაბიდან გამოცურებული, მაღალქუსლებიანი თეთრი ტუფლებითა და აბრეშუმის თეთრივე წინდებით შემოსილი გრძელი და ლამაზი ფეხები წარმტაცად და რაღაც უღონოდ გაშოტილიყვნენ მეწამულ, ხასხასა და ალისფერ აბრეშუმით დაფენილ საწოლზე, თითქო მაყაშვილთა ასული ხანძარში გახვეულაო.

— ნინო, — დაიძახა კორნელიმ, — მაპატიეთ, — თქვენი შეურაცხყოფა არ მინდოდა... მე თქვენ მიყვარხართ... მე თქვენს გარდა სხვა ქალი არ მყვარებია... თქვენ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხართ...

ყოველი მისი სიტყვა ქალს გულში ღრმად წვდებოდა და შიგ დარჩენილ, წელანდელ შერცხვენას და სირცხვილს უქარწყლებდა. ქალმა თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინდა...

— უთქვენოდ სიცოცხლეს, სიკვდილი მიჯობს. საამისო საბუთიც მომირთმევია, — დაასრულა სიტყვა კორნელიმ.

საბუთიც მომირთმევიაო, რომ გაიგონა ნინომ, მაშინვე საწოლზე დაჯდა და კორნელის შეხედა. ქალმა თვალზე ცრემ-

ლი შეინიშნა. „არა, არ სტყუის, ეს გულწრფელია", — გაიფიქრა მან და ხელი მუდარით გაუწოდა. კორნელიმ ზედ აკოცა და უცნაური, რაღაც ტკბილი და მიუხვდომელი სურნელება იგრძნო. ქალს გვერდით მიუჯდა, ხელი მოჰხვია. ისინი გახურებული ლოყებით მიეკვრნენ ერთმანეთს და ნეტარ ჰუმანში გადასულნი შორეულ, ჰაეროვან და წარმტაც ქვეყნისაკენ გასცურეს, თითქოს ამ მოზღვავებული ბედნიერებით უნდა გამოესყიდათ წარსული ტანჯვა და მწუხარება!

კორნელიმ ორკაპ ნიკაპში ამოსდო ხელი და ქალს თავი აუწევინა. მის თვალთა გუგებში თავისი ორი პატარა სახე დაინახა. ამან რაღაც მიუწვდომელი, ნათელი გრძნობით და სიხარულით აღავსო მისი სული. ნამტირალევი თვალები ქალს კოცნით ამოუშრო და ცრემლის გემო ტუჩებზე შერჩა.

ნინომ მკერდზე მიადო თავი. შუაზე გაყოფილი, გიშრისფერი თმის დაგრაგნილი ნაწნავები მუხლებზე დაეცა. ქალმა ჩუმად ჰკითხა კორნელის:

— რა საბუთს მაძლევდით?

ასეთი სიტკბოებით სავსე წუთებში იმ „საბუთის" მოგონება კორნელიმ უხერხულად მიიჩნია და მიუგო:

— საბუთს წასვლის წინ დაგიტოვებთ. უჩემოდ წაიკითხეთ და საიდუმლოდ შეინახეთ.

— შევინახავ, — შეპირდა ნინო.

წასვლის წინ, კორნელიმ უბის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ნინოს გაუწოდა.

2

როდესაც ნინო ოთახში მარტო დარჩა, მაშინვე მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და კორნელის მიერ მიცემული საბუთი — ლექსი „კონცერტზე" წაიკითხა:

ვხედავ, მარაომ შეარხია შენი დალალი,
და სისხლიანი მაგონდება ისევ რომანი,
რადგან ვერაგის გვერდზე ზიხარ ქალი ალალი,
პოეტის სატრფო, უნაზესი, ჰაეროვანი.

დაამთავრა ლექსის კითხვა ნინომ. „სისხლიანი რომანი" გულზე ლახვარივით მოხვდა და შეშფოთდა.

როდესაც ნინო კორნელის გვერდით იჯდა, ლოყა კორნელის ლოყაზე ჰქონდა მიდებული და ჭაბუკი სამიჯნურო ტკბილ სიტყვებს ყურში უჩურჩულებდა, ის სრულიადაც არ ფიქრობდა მაშინ რაღაც უცნაურ, საშიშ და „სისხლიან რომანზე". სიმართლე თუ გნებავთ, ნინოს მშობლები და თვითონ ნინოც ფილისტერები უფრო იყვნენ, ვიდრე რომანტიკულად განწყობილი ადამიანები. ამიტომ კორნელის უნაპირო გრძნობა, თავისებური და უცნაური სიყვარული ნინოსათვის გაუგებარი დარჩა. „დემონის რა საზარ ხმაზე" და „სისხლიან რომანზე" ლაპარაკობსო კორნელი, — უკვირდა. იგი უშფოთველ, ტკბილ და უზრუნველ ოჯახურ ცხოვრებაზე ოცნებობდა. მას უხაროდა, კორნელი რომ სახელს იხვეჭდა, ნივთიერად უზრუნველყოფილი ხდებოდა, რადგან ცოლ-შვილს კარგად შეინახავდა და, მაშასადამე, ნინოს მშობლებისათვისაც სასურველი იქნებოდა.

ნინომ ღიმილით შეხედა საწერ მაგიდასთან კედელზე დაკიდებულ სურათს. ეს ნინოს საყვარელი სურათი იყო.

მდინარის ნაპირთან მეთევზეთა თუ მენავეთა მიერ აგებულ პატარა ბოგირზე, ბანაობის შემდეგ წყლიდან ამოსული, პირველყოფილი ურცხვობით ტანშიშველი, ხუთი თუ ექვსი წლის გოგონა იჯდა, სველი თმის კონა საჭოჭრე-კინკრიხზე ლენტით შეეკრა და თავზე ფუნჯივით დასდგომოდა. ფუნჩულა ფეხები მდინარეში ჩაეკიდნა. გვერდზე განუყრელი მისი მეგობარი — ძაღლი, პოინტერი მისჯდომოდა და კუდი მდინარეში ჩაეშვა. კუდი ანკარა ტალღებს სწვდებოდა, შიგ მისი ანარეკლი მოსჩანდა. ძაღლი გამართული იჯდა ბოგირზე და თავაღებული გასცქეროდა მდინარის შორეულ ნაპირს, რომელიც მუშტაიდის ბაღთან, ბტკვრის პირას გაშლილ ბაღებში ჩაფლულ დიდუბის გარეუბანს ჰგავდა. გოგონა თავის ერთგულ მეგობარს — პოინტერს შიშველი, ჩვილი და ვარდისფერი ტანით მჭიდროდ მიჰკვროდა, ყურში რაღაც საიდუმლოს უჩურჩულებდა. გულისამაჩვილებელ ამ სურათს ქვეშ აწერია: „მეგობრები".

ნინოს გულდამშვიდებით არ შეეძლო ეცქირნა ამ სურათისათვის. იგი ახლაც ნეტარი ღიმილით უცქერდა მას და ასეთ უშანკო, უმწიკვლო და უანგარო, ტკბილსა და თბილ მეგობრობაზე ოცნებობდა.

საბრალო ნინო! განა იგი დამნაშავე იყო მაშინ, როდესაც კორნელის ლექსში „სისხლიან რომანს“ წაიკითხავდა და გულზე შემოეყრებოდა! ასეთ დროს ნინო უიმედობას მიეცემოდა ხოლმე და ფიქრობდა: „რა უცნაური კაცია კორნელი! რა ძნელი ყოფილა მწერლის ცოლობა!“ — საუბედუროდ, რადგან ნინო მაყაშვილისმაგვარ და მის ასაკში მყოფ გოგონებს პოეტის და მწერლის ცოლობა მოსწონთ, ესახელებათ და ამ წარმტაც, მოჩვენებითი ილუზიის გამო ითვრებიან, ამიტომ ნინოც შეცდომაში ვარდებოდა და მისი კორნელისთან პაემანი, ყოველ დღე, საღამოს რვა საათიდან იწყებოდა და ნაშუაღამევის ორ, სამ საათამდე და ხანდახან რიჟრაჟამდეც კი გრძელდებოდა.

ღია ფანჯარასთან მთვარიან ღამით კორნელის გვერდით მჯდარი ნინო, მიჯნურისაგან უცნაურ სიტყვებს ისმენდა:

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!

ნინოს შეგნებული ჰქონდა, რომ ბარათაშვილის ამ სიტყვებით კორნელი განუხორციელებელ სიყვარულზე მეტყველებდა და თავის ობლობას, მარტოობას და უბედობას წინასწარ სჭვრეტდა, თითქო დაბადებისთანავე დაწყევლილი ყოფილიყოს. მაგრამ კორნელის ასეთი პესიმისტური განცხადება პოეზიითა და მწერლობით გატაცებული ჭაბუკის არტისტული პოზა უფრო იყო, ვიდრე მიჯნურის გულის სიღრმიდან გამომდინარე ჭეშმარიტი და ღრმა აღსარება. ნინო კი, ჭეშმარიტ და ეჭვმიუტანელ აღსარებად თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თვინიერ, ერთგულ და უშფოთველ მეგობარზე და საქმროზე ოცნებობდა, კორნელის უცნაურობა მანც მოსწონდა. მას ებრალებოდა მარტოსულივით მოწყენილი, ობოლი და კაეშნიანი ჭაბუკი და ამ შებრალების გამო, მიჯნურობის ბადეში ეხვეოდა.

ვარსკვლავები

ნეტავი თუ შეიძლება, იყოს რაიმე უფრო მშვენიერი და დიადი, ვიდრე მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა და ზღვა?

ეპიქთეტე

1

აგვისტოს ბოლოს ესტატე ქობულეთში ჩავიდა და იქ, ზღვისპირას, ცოლ-შვილისათვის აგარაკი დაიჭირა. მაყაშვილები ქობულეთში ხუთ სექტემბერს გაემგზავრნენ. მათ მიხა და კორნელიც წაჰყვნენ.

მატარებელი გავიდა.

კორნელი ფანჯარასთან იდგა და საღამო ჟამს, იისფერ ბურუსში გახვეულ შავნაბადას, მთაწმინდას, თრიალეთის ქედებსა და თბილისის მიდამოებს გასცქეროდა. ყოველთვის, როდესაც კორნელი თბილისიდან მიდიოდა, გამოუთქმელი რაღაც სევდა და ნაღველი შემოაწვებოდა ხოლმე, თითქო თბილისს სამუდამოდ სტოვებდა. აი, დიდუბე და დიდუბის ტაძარიც უკან ჩამოიტოვა მატარებელმა და კორნელიმ თამარ მეფეზე თქმული ლექსი წაიღიღინა:

დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ ტაძარი არის.

მერმე ისევ თბილისს გაჰხედა, მთაწმინდას კალთაზე მერცხლის ბუდის მსგავსად მიშენებული, წმინდა მამათა სავანე — მამადავითის საყდარი და სალოცავი ტაძარი თეთრად ელავდა და, ფიქრში წასული, მაღლიდან დასცქეროდა თბილისს, მტკვარს, სიონს, მეტეხსა და ნარიყალას, თითქო ქართლის გარდასულ დიდებას გლოვობსო:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა.

მოაგონდა კორნელის აკაკის დიდებული ლექსი და დარწმუნდა, თუ რა დიდი წარსულით და ანდამატური ძალით იყო დაკავშირებული საყვარელ დედაქალაქთან. ის სევდა, რომელიც თბილისიდან წასვლის ჟამს ეწვეოდა ხოლმე კორნელის

და ის შიში, თბილისი რომ სამუდამოდ არ დაეტოვებინა, აწმ გარემოებით თუ აიხსნებოდა! აქ ყოველი კუთხე და ალაგი ნაცნობი, საყვარელი და საქართველოს წარსულზე მღელვარებელი იყო მისთვის. აი, გამოჩნდა კლდოვან მთის თავზე ზებერი ფასკუნჯივით მარადჟამს მჯდარი ჯვრის მონასტერი — მთის მწვერვალის გაგრძელება და მისი ორგანული დაგვირგვინება. მერმე — მარადქალწულივით ასუდრული, შიშველი, ჟუმანკო, კდემამოსილი და მშვენებით სავსე სვეტიცხოველი — მითიური ჩუქურთმებით, ქვაზე ამოჭრილი ატოტებული ლოგინებითა და ზღაპრული ფრინველებით შემკული უცნობი ოსტატის მიერ. „საქართველოს ძველთაძველი ქალაქები — არმაზი და მცხეთა მოელიან, ჟამთა ვითარების გამო, მიწის წიაღში დამარხული და ჩატანილი ქართლის წარსული დიდების მაუწყებელ საუნჯეთა გახსნას და ახსნასაც", — ფიქრობდა კორნელი.

და მართლაც, ჯვრის მონასტერი, არმაზი, სამთავრო და სვეტიცხოველი ამ ხეობას ისეთ ძველისძველ და წარმტაც ქართულ იერსა ჰფენენ, რომ კაცის თვალი მათი ჭვრეტით ვერა ძღება.

ნინო კორნელისთან მივიდა. ფანჯარაში თავი გაჰყო და დაიძახა:

— ზედაზენი!

— თქვენ ზედაზენზე არა ყოფილხართ?

— არა.

— დიდად დაგიშავებიათ, — შენიშნა კორნელიმ და უამბო: — უკანასკნელად შარშან ვინახულე ცათამდე ამაღლებული ზედაზნის ეგ ძველი ციხე და ტაძარი. იგი მრავალ ნგრევას, აოხრებასა და ხანძარს შესწრებია და ახლა, თითქო ქვეყნის დაღუპვამდე ეჭ დარჩენა გადაუწყვეტია. ციხის კოშკის თავზე ავედი. იქიდან თბილისი, მტკვრის, არაგვისა და ქსნის ხეობაც ხელისგულივით ჩანს. გაშტერებული ვუცქერდი ბუნების ბუმბერაზ სურათს. საღამო ჟამი იყო. ცხრა მთას იქით — ქედების განაპირას მარადი თოვლით გადალესილი, გოლიათი მყინვარი აღმართულიყო. მზით შეღებილი მისი თეთრი მუზარადი ცაში უცნაურად ჰღვიოდა. უცბად, ყაზბეგის მხრიდან არწივები გამოემართნენ, ჩემს თავზე გადაიფრინეს, მერმე დაჰყივლეს, მაღლა ცისაკენ აიზიდნენ, გოლიათი ფრთე-

ბი დაარწიეს, ირაო გააქეთეს და ეზოლვე გაუჩინარდნენ. მთაში ისევ დუმილი ჩამოეშვა. ისევ გაშტერებით გავცქეროდი ერთურთზე მიჯრილ, ურიცხვ მთებსა და ქედებს და, უხსოვარ დროითგანვე დეევებივით ერთმანეთზე მიჯარულ ამ მთებსა და ჩაჟანგებულ ქედებს რომ ვჭვრეტდი, ასე მეგონა — ქვეყნის პირველად გაჩენა ვიხილე-მეთქი. არა, ზედაზენი თქვენ უთუოდ უნდა ნახოთ.

კორნელის ნაამბობით მოხიბლულმა ნინომ ისევ ფანჯარაში გაჰყო თავი და ზედაზენს გაჰხედა. მაგრამ ზედაზენი თვალს მიეფარა. მატარებელი მთაშორის, ხეობაში შევიდა. ჩამოღამდა, ლიანდაგის გუგუნი და ბორბლების გრიალი ატყდა. ქარმა დალალები წაართვა ნინოს და კორნელის ლოყაზე მიმოაბნია. კორნელის იამა და გაიღიმა. მაგრამ ნინომ თმა გაისწორა და დალალები ხელით დაიჭირა. კორნელი დაშვებული ფანჯრის რაფას, ნინოსაებრ, იდაყვებით დაეყრდნო. კორნელი და ნინო მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს და, როდესაც ნინომ მოიხედა, კორნელის სახე და თვალები ისე ახლოს დაინახა, რომ უნებლიეთ შეკრთა. თითქო მანამდე ასე ახლოს არ ენახოს. ნინომ ვაგონს გაჰხედა. ვაგონის ბოლოს, ფანჯარასთან ელო და მიხა იდგნენ. ელო ქმარს უჯავრდებოდა. „ეხ, გააჭირვეს საქმე", — გაიფიქრა ნინომ და ისევ ფანჯარაში გაჰყო თავი. მალე მატარებელი ხეობიდან ველზე გავიდა და, მოულოდნელად, დიდრონი და მოკაშკაშე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ტატნობი გამოჩნდა. კორნელიმ და ნინომ მაშინვე თავი ასწიეს და უცნაურად მოციმციმე, ურიცხვ ვარსკვლავებს აჰხედეს. მათ გულში შეუცნობის და მიუწვდომელ უსაზღვროების წინაშე განცვიფრება და ღრმადისი დაიბადა.

ნინო კუპეში შევიდა.

— განა ფანჯარასთან ფეხზე დგომით უნდა ჩამოწყდე! მალე გორი იქნება. აი, აგერ, ზედა საწოლზე გაგიშალე და დაწექი, — უთხრა ვარდომ.

— უი, არა, — მიუგო ნინომ, — სანავ ხაშერსა და გვირაბს არ გავივლით, მე არ დავწვები.

— ხელს ხომ არ გიშლით, ქალბატონო? — დაიძახა სენატორმა გიორგი დადვაძემ და წამოდგა.

— რასა ბრძანებთ. ჯერ რა დროს დაწოლაა! აკი ვთქვი:

ხაშურამდე არ დავწვები-მეთქი. დედა თუ აპირებს დაწოლას, არ ვიცი, — უთხრა ნინომ.

— არა, ბატონო გიორგი. მე ხაშურის შემდეგაც არ დავწვები. ხომ იცით, მატარებელში არ მეძინება. დაბრძანდით, ძალიან გთხოვთ, — შეეხვეწა ვარდო დადვაძეს.

ესტატემ დადვაძეს მკლავში ხელი წაატანა და ფანჯარასთან, პირისპირ ისევ თავის ადგილზე დასვა. ესტატეს პიჯაკი გაეხადა. ჯილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და ქალებს განუცხადა:

— რა მოგვივიდათ, ჯერ ათი საათიც არ არის. რა დროს ძილია!

სამხედრო სასამართლოს გამსვლელი სესია ბათუმში მიემგზავრებოდა. ვექილი ესტატე მაყაშვილი მისი თავმჯდომარე იყო. სასამართლოს გამსვლელი სესია ბათუმიდან ფოთშიც უნდა ჩასულიყო და იქ, გარნიზონის აჯანყებული ოფიცრები, ჯარისკაცები და მეზღვაურები გაესამართლებინა.

სენატორი გიორგი დადვაძე ქუთაისში მიემგზავრებოდა და საერთაშორისო ვაგონის მეზობელ კუპედან ესტატეს და მისი ცოლ-შვილის სანახავად შემოსულიყო.

— ახლა კი ჩემთვის აშკარა არის: ბოლშევიკები ყველაფერზე წავლენ, — განაგრძო გაწყვეტილი საუბარი ვექილმა ესტატე მაყაშვილმა, — უკეთესი გნებავთ: რუსეთის სრულუფლებიან ელჩს — გენერალ ბარათოვს ჩვენს დედაქალაქში ბომბს ესვრიან.

— ვიღაც არკადი ელბაქიძემ, — მიუგო დადვაძემ.

— უთუოდ ბოლშევიკი იქნება, — შენიშნა ვარდომ.

— ეჭვიც არ მეპარება, — მიუგო ესტატემ.

კორნელი კუპეს კარებში გაჩერდა და ვექილთა საუბარს ყური დაუგდო.

— საოცარი ხალხია ბოლშევიკები, — ღელავდა ესტატე — დენიკინის ლაშქარი მოსკოვს უახლოვდება, ბოლშევიკებმა დაჰკარგეს ხარკოვი, კიევი, საქართველოს კი ებღაუჭებიან და თავს არ ანებებენ.

— ნუ დაგავიწყდებათ, საქართველოში და ამიერკავკასიაში თუ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბოლშევიკები ზურგში ჩასცემენ ლახვარს მოსკოვზე მიმავალ დენიკინის არმიას, — განუმარტა დადვაძემ.

— ჩემის აზრით, — ჩაერია საუბარში კორნელი, — საქართველო მოიგებდა ბოლშევიკებთან ერთად დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით რომ გამოსულიყო, რადგან დენიკინმა რუსეთში თუ გაიმარჯვა, საქართველოსაც დაიპყრობს.

— ბოლშევიკებმა რომ გაიმარჯვონ, მაშინ, თქვენ როგორ გგონიათ, ისინი გუნდრუკის კმევას დაუწყებენ ჩვენს დამოუკიდებლობას! — შეუტია ესტატემ.

— ბოლშევიკებს ხალხთა თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობა პროგრამაში უწერიათ, — მიუგო კორნელიმ.

— უწერიათ მხოლოდ... ამდენ ხანს ვერ შეიგნეთ, რომ ისინი ფანატიკოსები არიან, — გაცხარდა ესტატე, — მათ პარტია და არა „პატრია“ სწამთ. არავითარი სამშობლო, არავითარი მამული მათთვის არ არსებობს...

— ნუ ცხარობ, კაცო, — დაამშვიდა ქმარი ვარდომ, — ცხადია, რუსეთში ან დენიკინელები, ან კიდევ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ. ბოლშევიკებს მაინც დენიკინელები სჯობიან!

— ჩვენთვის ისა სჯობია, რუსეთში რომ არც ერთი ძალა არ გაიმარჯვებდეს!.. რაც უფრო დიდხანს გასტანს რუსეთში სამოქალაქო ომი, ანარქია, არევ-დარევა და ბუნტი, მით უფრო დასუსტდება იგი, მით უფრო მალე დაიშრიტება მისი ექსპანსია და მოწოლა სამხრეთსა და აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკურ მოსკოვს საქართველოზე და არარუს სხვა ერებზე პრეტენზიის განცხადების თავი აღარ ექნება, — მიუგო ცოლს ესტატემ.

— მაპატიეთ, ესტატე, მაგრამ ეს სატანისებური პოლიტიკაა. დემოკრატიული რესპუბლიკა მასეთ პოლიტიკას ვერ გაიზიარებს, — შენიშნა დადვაძემ.

— პოლიტიკა, დიპლომატია სატანასთან უფრო ახლოა, ვიდრე ღმერთთან. რაც შეეხება დემოკრატიულ რესპუბლიკას და სახელმწიფოებრივი წყობილების სხვა ფორმებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი დაუსრულებლივ იცვლებიან და ისევ ძველს უბრუნდებიან. ერთი სიტყვით — პერპეტუუმ-მობილე. რაც უნდა იყოს, სახელმწიფოებრივი მშვიდობის საუკეთესო და ნაცადი ფორმა, უთუოდ მონარქიაა.

— მაპატიეთ, ჩემო კარგო, — სიტყვა გააწყვეტინა დადვაძემ, — მაგრამ ის, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, მაკიაველიზმზე უფრო უარესია. მაკიაველიც კი რესპუბლიკას უფრო იცავდა,

ვიდრე ძეფეს. იგი ამბობდა, რომ რესაუღლიკაში ცალკეული პირების საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ემსახურებაო. მეფე, ტირანი კი ყველას და ყველაფრის მიმართ მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობსო.

რადგან დადვაძე და მაყაშვილიც იურისტები იყვნენ და რომის ისტორიას და სამართალს იცნობდნენ, ამიტომ ძველი რომის მაგალითს, რომის მეფეებს და მოღვაწეებს უფრო ჩააცივდნენ. თუმცა არც ახალი დროის ისტორია, მეფეები და პოლიტიკური მოღვაწეები დავიწყნიათ.

ნინომ დაამთქნარა, დაცხა, თავბრუ დაესხა და, რადგანაც მას ასეთი ცხარე კამათი მამისაგან ხშირად სმენია, გასაგრილებლად ისევ ვაგონის ბაქანისაკენ გასწია. ვარდო კი იმდენად გაერთო მამაკაცთა კამათით, რომ ნინოს წასვლა ვერ შენიშნა. ნინოს კორნელიც გაჰყვა.

დადვაძე რუსეთზე ორიენტაციის კაცი იყო და საქართველოს ხალხის ცხოვრება რუსეთის ხალხთან კავშირის გარეშე ვერ წარმოედგინა. ვექილთა შორის ცხარე კამათი გაჩაღდა.

ვარდომ კუპეს კარებში თავი გაჰყო, გაჩირაღდნებული სადგური დაინახა და იყვირა:

— უი, ხაშურში მივსულვართ კიდეც. რა დიდი დრო გასულა!

დადვაძემ საათს დახედა, წამოიჭრა, მაყაშვილებს გამოეშვიდობა და თავის კუპესაკენ ბაჯბაჯით წავიდა.

2

ხაშურის შემდეგ ნინო კუპეში შევიდა. მამის პირისპირ ფანჯარასთან დაჯდა.

— როგორი მური შემოვიდა, — განაცხადა მან და ხელთათმანი გაიკეთა.

კონდუქტორმა ფანჯრები ასწია და ფარდები ჩამოუშვა. ელო კუპეს კარებს შოჩენებასავით მოადგა და ვარდოს უთხრა:

— გვირაბს ვუახლოვდებით. სანამ მას არ გავივლით, ვერ დავწვები. მეშინია...

— რისა გეშინია? — დასცინა ესტატემ და ახლოდ ახლა მიაქცია ყურადღება თავის ქალს.

ნინო გულხელდაკრეფილი იჯდა და ნაღვლიანი თვალებით მიშტერებოდა სანთელს. იგი ფერმკრთალი და დაღლილი ეჩვენა ესტატეს. შეეცოდა, თანაც მოეწონა. ცხვირი, ნიკაპი და შუბლი ჩემი აქვსო, — გაიფიქრა, მოეფერა და ხელი თავზე გადაუსვა.

— უქეიფოდ ხომ არა ხარ, შვილო? — მშობლიური მზრუნველობით ჰკითხა მას.

— არა, მამილო, — მიუგო ნინომ და გაუღიმა.

მაშა გვერდით მიუჯდა, შუბლზე აკოცა. მერმე ნინოს ლოყას ლოყით შეეხო და ვარდოს უთხრა:

— მგონი, სიცხე უნდა ჰქონდეს ამ ქალბატონს.

ვარდომ კოფთის გულისპირი გაუწია ნინოს, შიგ ხელი ჩააცურა და სიცხე გაუსინჯა. ნინო მოიკრუნჩხა, სიცილი წასცდა და დედას უთხრა:

— თავი გამანებე. რა სიცხე, საიდან მოიგონეთ!

ესტატე ისევ თავის ადგილზე დაჯდა. შვილს შეხედა და უთხრა:

— გვირაბის შემდეგ, ჰაიდა. აი, ამ საწოლზე შეგაგდებ!

მატარებელი გვირაბში გრიალით შევარდა. ერთბაშად მთლად ჩამოღამდა. ელო ვარდოს ჩაეხუტა. ვარდომ პირჯვარი გადაისახა.

ვაგონი ლიანდაგის გუგუნით, ბორბლების ხმაურითა და რკინების გრუხუნით აივსო. კორნელიმ კუპეში შეიხედა. ნინო ფანჯარასთან ფერმკრთალი იჯდა და სანთელს გაოცებით მიშტერებოდა.

კორნელი შუბლით ფანჯრის გრილ მინას მიებჯინა დერეფანში და გვირაბს გაჰხედა. მაგრამ არაფერი არ ჩანდა. მხოლოდ ხანდახან გაიელვებდნენ ციცინათელებივით ოდნავ მბჟუტავი ფარნები წყვდიადში და ბოლით გამურული გვირაბის კედლებს გამოაჩენდნენ. მერმე კი, ისევ წყვდიადი ჩამოეშვებოდა, თითქოს მატარებელი ღამის ურჩხულმა გადაყლაპაო. და მაშინ ლიანდაგის მეტი გუგუნი და ბორბლების მძაფრი ხმაური ისმოდა.

ზარის ხმა და რკინების უცნაური კაკუნი გაისმა. ნინოს მოეჩვენა, თითქოს გახურებულ ლიანდაგზე მავნე სულები

დამსხდარან და გრდემლზე დაგდებულ ვარვარა რკინას ჩაქუჩებს სცემენ და ჰკვერავენო.

— გვირაბის ნახევარი უკვე გავიარეთ! — დაიძახა ესტატემ და საათს დახედა.

— საიდან იცი? — ჰკითხა ვარდომ.

— ზარის ხმა იმას ნიშნავს, რომ გვირაბის ნახევარზე მეტი უკვე გავიარეთ. ამდენ ხანს მატარებელი ალმართზე მიდიოდა, ახლა დაღმართი დაიწყება, — მიუგო ესტატემ.

მართლაც, მალე ინათა. გვირაბში შუქი შემოიჭრა და მატარებელიც სამშვიდობოზე გავიდა. ჯოჯოხეთური ხმაური ერთბაშად გათავდა. კორნელიმ ფანჯარა აწია. ისევ ნათელი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გამოჩნდა. მან უხერხულად მიიჩნია მაყაშვილთა კუპეს წინ, ღია ფანჯარასთან ამდენ ხანს მარტო დგომა და ვაგონის თავში, ბაქანზე გავიდა. მერმე ვაგონის კარი გააღო, სახელურს ხელი ჩასჭიდა და კიბეზე გაჩერდა, ქარი მაგრა სცემდა სახეში და აგრილებდა. ზემო იმერეთის ამწვანებულ, მთაგორიან ხეობაში, აქაფებული მდინარის — ძირულას მხარდამხარ, ლიანდაგი მიიკლაკნებოდა და ზედ ორთქლმავალი, კოხტად შეკაზმული მერანივით მიჰქროდა. გაფანტული კვამლი გაშლილი ფაფარივით დასდგომოდა.

მწვერვალებით ცას მიბჯენილი, მაღალი მთების ხეობაში მიქროდა მატარებელი. ცა არ ჩანდა ახლა. მაგრამ აი, ერთი მოქნევა, გაქანება, მთის მობრუნება, უკან გაქცევა და, — მატარებელიც ხეობიდან მოშიშვლებულ ზეგანზე გაიჭრა. კორნელის წინაშე ისევ უამრავი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ტატნობი გადაიშალა. კორნელის მოეჩვენა, თითქოს ჰიუწვდომელ და უსაზღვრო სივრცეში მოციმციმე ეს ყრუ და მუნჯი ვარსკვლავები უცხო და უცნაური ენით უხმობენო.

იგი განცვიფრებული მიშტერებოდა მათ და მსოფლიო უსაზღვროების შესახებ ფიქრობდა. უცბად ვაგონის კარი ვიღაცამ გააღო. კორნელიმ ნინო დაინახა. ქალი ფერმკრთალი იყო. კორნელი ბაქანზე ამოვიდა და გულში ჩაიკრა...

კარგა ხანს იყვნენ ფანჯარასთან გარინდებულნი. მერე ვაგონში კარმა გაიჭრიალა და ნინო შეკრთა.

— მშვიდობით, დედას არ სძინავს, — უთხრა მან კორნელის და ფეხაკრეფით წავიდა.

კორნელი კიბეზე გაჩერდა, სახელურს ჩასჭიდა ხელი, და ისევ ცას აჰხედა. ყველაზე დიდი და შუქიანი ვარსკვლავი მოსძებნა და მას გაუღიმა, თითქო გულისნადებს და თავის ბედნიერებას ამცნობსო.

მიჯნურობითა და პოეზიით მთვრალი ჭაბუკი ასეთი ბედნიერი არასდროს არ ყოფილა.

როცა განთიადმა მოატანა, ცაში ნათელი ჩადგა, მნათობებს შუქი გამოელიათ და შეუმჩნეველ წერტილებად მიიწურნენ, კორნელი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს.

იგი ფეხაკრეფით შევიდა თავის კუპეში და მიხას პირისპირ, საწოლზე გაუხდელად გაიშხლართა.

ზღვასთან

ვდგევარ ზღვის პირას და ველი ამინდს,
ვუხმობ გემების •შვებულ •ფრებს.

ა. პუშკინი

1

კორნელის ადრე გამოელვიძა. სხეული დაბეგვილი ჰქონდა, თითქო მთელი ღამე მძიმე შრომაში გაეტარებინოს. თვალები უძილობის გამო დასწითლებოდა. მზე ამოსულიყო და კარებთან დაკიდებულ პალტოს აშუქებდა. კორნელი მხოლოდ ახლა გამოერკვა სამიჯნურო თავბრუსაგან და გაიფიქრა:

„სად მივდივარ? მაყაშვილებს აგარაკზე ჩემთვის აღგილი არ ექნებათ. სასტუმრო კი ქობულეთში არ არის. ბათუმში ჩავალ კუკური ზარანდიასთან. იქ ღამეს გავათევ, გამოკიძინებ და ისევ ქობულეთში გავჩნდები. ნინოს, ელოს და მიხას კარისმერეთში წავიყვან. იქ ერთი კვირა დავრჩებით. მერმე ჩემი შვებულებაც გათავდება. ამ თვის ბოლოს თბილისში უნდა ვიყო უთუოდ: შევარდენს გაფრენაზე უნდა გავყვე. გამომცემლობის დირექტორი გაგიჟდება: შვებულებაში რად მიდიოდა, თუ მეორე დღეს ისევ წასვლას აპირებდაო“.

მალე მიხასაც გამოელვიძა. მაყაშვილებმა საუზმეზე დაუძახეს. ნინო კორნელიზე უფრო მოქანცულიყო და თვალე-

ბიც უფრო დასწითლებოდა. ფერწასულ ნინოს და კორნელის ელო ღიმილით შეაცქერდა. საუზმის შემდეგ, როდესაც კორნელი კუპედან გავიდა, დედამ ნინოს უთხრა:

— საშინელი ფერი გაძევს. ასეა, დედას რომ არ დაუჯერებ, ფანჯარასთან დილამდე ფეხზე დგომა გაგონილა? ჩაიხედე სარკეში, რასა ჰგევხარ?! ქობულეთამდე დიდი დროა. დაწექ და დაიძინე!

— არც კორნელის დასდგომია კარგი დღე. საცოდავები... — შენიშნა ელომ.

— რაზე ლაპარაკობდით იმდენ ხანს? — ჰკითხა ვარდომ ნინოს.

— ვარსკვლავებზე, მთვარეზე, სიყვარულზე. მაშ კიდევ რაზე... — დასცინა ელომ.

ესტატემ გაიცინა. ნინო აიმრიზა. დაწვა, კედლისაკენ გადაბრუნდა და ბრაზმორეულმა მშობლებს ზურგი შეაქცია. ესტატემ ცოლს თვალი უყო და ჩუმად უთხრა:

— ფხიკიან იმერელსა ჰგავს.

მზიანი ამინდი შეიცვალა, მოიღრუბლა, აცივდა. გამდელმა ნინოს პალტო გადაჰხურა. ფანჯარასთან ფეხზე დგომით კორნელი დალეწილიყო. ვარსკვლავებით გატაცებულს, ლექსების დაუსრულებელი კითხვისა და მსოფლიოს უსაზღვროებაზე ფიქრის გამო, თავი ისე სტკიოდა, თითქო გახურებულ ლურსმნებს არჭობენო. ისიც დაწვა და მალე ჩაეძინა. ნატანების შემდეგ ევტიხის ქალანმა გამოაღვიძა. ახლა თავი აღარ სტკიოდა, სახსრებიც დაამებოდნენ და კუნთებში ძალა ჩაჰღვროდა. ქობულეთის სადგურზე ევტიხი და შურა მაყაშვილთა ბარგს მოეკიდნენ. მიხა და კორნელიც მიეშველნენ და ბარგი სადგურზე ჩაიტანეს.

ქობულეთშიც მოღრუბლული დღე იყო და ცივი ქარი უბერავდა.

— მე ბათუმში წავალ და ამაღამ იქ დავრჩები. ხვალ დილით ქობულეთში ჩამოვალ, დამიჯვრეთ: ასე აჯობებს, — უთხრა კორნელიმ ნინოს. ნინომ დაუჯერა.

ზარი დაჰკრეს. კორნელი ვარდოსთან და ესტატესთან მივიდა გამოსამშვიდობებლად.

— როგორ, სად მიდიხართ? — თითქო გაუკვირდა ვარდოს.

— ბათუმში საქმე მაქვს. ხვალ დილით ჩამოვალ ქობულეთში, — მიუგო კორნელიმ.

— ბათუმში რად უნდა წახვიდეთ? ხვალ ესტატეც მიდის ბათუმში და, თუ იქ საქმე გაქვთ, მას გაჰყევით...

მაინცდამაინც თავგამოდებით არ ჰპატრონებდა ვარდო კორნელის. ამ დროს მატარებელიც დაიძრა. კორნელი არ აჩქარებულა. უკანა ვაგონს განზრახ დაუცადა და მერე გაქანებულ მატარებელს სწრაფად და კოხტად შეახტა. კიბეზე გაჩერდა, სახელურს ხელი მოავლო, კეპი მოიხადა და მაყაშვილებს დაუქნია. ქარმა თმა მიმოუბნია, ჰალსტუხი მოსტაცა და ჰაერში აფრიალა. ევტიხიმ, შურამ და მიხამ ბარგს ხელი დასტაცეს და ბაქნიდან სადგურისაკენ გამოეშურნენ. მათ ესტატე, ვარდო, გამდელი და ელო მიჰყვნენ. ნინო კი — ისევ ბაქანზე იდგა და კორნელის ღიმილით გასცქეროდა. მატარებელი თვალს მიეფარა. კიბის სახელურს მარჯვენა ხელით ჩაჭიდებული კორნელი მთელი ტანით გადაიხარა, ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი ნინოს და კეპი დაუქნია. ნინომ გაუღიმა და ხელი აუწია.

— ერთი შეხედე, როგორ გაშტერებული გაჰყურებს მატარებელს! ჩვენი დარდიც კი არა აქვს, — წყენით უთხრა ვარდომ ელოს.

— სულ მთლად დაჰკარგა გონება, — დაუდასტურა ელომ.

მაყაშვილებმა ეტლები დაიჭირეს და აგარაკისაკენ გასწიეს. აგარაკი სადგურიდან ორი კილომეტრით იყო მოშორებული. სადგურის ახლოს, ბაზრის მოედანზე დოლზე უკრავდნენ და ჩაქურაში გამოწყობილი აჭარლები ხორუმს ცეკვავდნენ. მოცეკვავეთა შორის მობუცებიც იყვნენ. აჭარლების რაღაც დღესასწაული იყო.

— შურა, შეხედე, — უთხრა ევტიხიმ ქალს.

— ეშმაკუნები, რა კოხტად ცეკვავენ! — გაიცინა შურამ.

— მეც ვიცი ეს ცეკვა, — მოაწონა ქალს თავი ბარგზე მჯდარმა ევტიხიმ. ივი ბედნიერად გრძნობდა თავს: შურასთან საქმე გაჩარხული ჰქონდა. ქვიშხეთი და ქობულეთი — მისი „საქორწილო მოგზაურობა“ იყო.

ბუხრის ქუდი გაისწორა და კრიმანჭული წამოიწყო. გურულმა მეეტლემ გაიღიმა და ჩინებული მეორე უთხრა. შურამ კისკისი მორთო.

— ევტიხის და შურას შეხედეთ, რა დღეში არიან! — დაიძახა გამდელმა.

— ნეტავი ევტიხის! ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად, — მიუგო ვარდომ.

— ცოტა უნდა აფრენდეს, არ შეგიმჩნევია? — სერიოზულად ჰკითხა ესტატემ.

— შემიმჩნევია, მერმე რა?.. იგი ჩვენზე უფრო ბედნიერია! — მიუგო ვარდომ. — შურა შეირთო. ახლა ჩვენ მაგათი მაყრები ვართ.

ევტიხიმ ხელი ასწია, ფეხები ეტლიდან გადმოჰკიდა, გასჭიმა, გაასავსავა და დასჭყივლა:

— ეხ, დედისა მერიღისასა! — მერმე მეეტლეს გასძახა: — მიდი, გარეკე ცხენები, გენაცვალე სულში!

უცებ სახლები გათავდა. ეტლები ველზე გავიდნენ.

— ზღვა, ზღვა! — იყვირა ნინომ.

ზღვა ღელავდა და უცნაურ და კაეშნისმომგვრელ გმინვას გამოსცემდა. ყველანი დადუმდნენ და განცვიფრებით მიაშტერდნენ უნაპირო ზღვის სივრცეს, თითქო სასწაული იხილესო. მაგრამ ევტიხი ახლა უფრო ხმამაღლა ამბობდა თავის გურულ კრიმანჭულს, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მის ბედნიერებას — „საქორწილო მოგზაურობას“ ეს გოლიათი სტიქიონიც კი უნდა მისალმებოდა, ფიანდაზად გაშლოდა და მის ტალღებში შეცურებულ ნავში მჯდარი თავქარიანი ევტიხი და მისი დულცინეა ენანავებინა.

ბოლოს ეტლები აგარაკთან გაჩერდნენ. სახლის პატრონმა ჭიშკარი გააღო. მაყაშვილებს მისი ჯალაბი შეეგება. აგარაკს წინა აივანი გზისაკენ ჰქონდა, ხოლო უკანა კი — ზღვისაკენ.

— საკვირველია: ეს სახლი პირიქით უნდა გაეშენებინათ, წინა აივნით ზღვისაკენ, — განაცხადა უკანა აივანზე გაჩერებულმა და ზღვის სანახაობით მოჯადოებულმა ნინომ.

— საუბედუროდ, ქართველი მიწასთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე ზღვასთან. ქართველს არ შეუძლია სამშობლოდან შორს იცხოვროს. მისთვის ხმელეთის გზები უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ზღვისა. სავალალოა, რადგან ზღვა ავითარებს ადამიანში ნებისყოფას, სიმტკიცეს, გაბედულებას... — შენიშნა ღრმა ფიქრებში წასულმა ესტატემ, მაგრამ

მამის სიბრძნისათვის მის ქალს ახლა ყურადღება არ მიუქცევია.

ვარდო და გამდელი ბარგს ხსნიდნენ, ფუსფუსებდნენ და ბინას ისე ალაგებდნენ, გეგონებოდათ, ამ სახლში სამუდამოდ ცხოვრებას აპირებენო, ვარდომ და ესტატემ დიდი ოთახი დაიკავეს — გზის პირას. გამდელმა, ნინომ და ელომ ზღვისაკენ, ევტიხი და შურა სამზადის გვერდით პატარა საკუჭნაო ოთახში მოთავსდნენ, მიხა კი უკანა აივანზე.

დილით ესტატე ბათუმში გაემგზავრა სასამართლოს გამსვლელი სესიის სხდომაზე. საღამოს უკანვე მობრუნდა.

იმ ხანად ქობულეთში ისვენებდნენ ბარბალე მაჩაბელი, მისი ქალი მანანა და ჟურნალისტი გენადი ქადაგიშვილი. მაჩ ყაშვილთა ჩამოსვლა რომ გაიგო, გენადი მათ ეწვია.

2

ესტატე, ვარდო და გენადი ეზოში, სოჭის ჩრდილქვეშ ისხდნენ, ხოლო ელო, ნინო, მანანა და მიხა ზღვის პირას წამოწოლილიყვნენ. საღამოს ცა მოიწმინდა. მზით შეღებილი ღრუბლები დასავლეთისაკენ მიიჯარნენ. მაყაშვილები და გენადი ზღვისა და დასავლეთის ცის სანახაობით ტკბებოდნენ. ვარდოს გაუკვირდა: ნინო ელოს, მანანას და მიხას მოშორებოდა, ცალკე დამჯდარიყო და ბათუმისაკენ თვალმოუშორებლივ იცქირებოდა.

— კორნელი დღეს არ ჩამოვიდა, — უთხრა ვარდომ ესტატეს.

— ვინ კორნელი? — ჰკითხა გენადიმ.

— კორნელი მხეიძე, — მიუგო ვარდომ.

— კორნელი მხეიძე აღარ არსებობს, — შენიშნა გენადიმ.

— როგორ? — გაუკვირდა ესტატეს.

— არის გიორგი მახვილაძე და არა კორნელი მხეიძე.

— რას ამბობ? ვერ გამიგია.

— ბოლშევიკურ ჟურნალში დაბეჭდილი მისი მოთხრობა წაიკითხეთ და, მაშინ გაიგებთ, — მიუგო გენადიმ.

— რა მოთხრობა?

— „გოჯასპირ“. იგი ნიჭიერად არის დაწერილი, მაგრამ ჰიგ ჩვენი მთავრობა და ხელისუფლება იმგვარად არის გა-

მართალებული, რომ იმ მოთხრობის ავტორი უთუოდ ბოლშევიკი უნდა იყოს.

— მერმე კორნელი მხეიძე რა შუაშია?

— გიორგი მახვილაძე კორნელი მხეიძის ფსევდონიმი გახლავთ.

— არა, სხვა ვინმე იქნება, — შენიშნა ვარდომ.

— ნამდვილად ვიცი. კორნელი მხეიძე ყოფილა. თვითონაც არ უარყოფს.

— რას ეხება ის მოთხრობა? — ჰკითხა ესტატემ გენადის.

— გლეხთა აჯანყებას, — მიუგო გენადიმ და გაზეთებს შუა ჩადებული ჟურნალი ამოიღო და ესტატეს გადასცა. ცოტა ხნის შემდეგ გენადი წავიდა. ესტატემ კორნელის მოთხრობას „გოჯასპირის“ კითხვა დაიწყო. როდესაც მზე ჩავიდა, ესტატემ ცოლს უთხრა:

— ღმერთმა შეარცხვინოს! მიკვირს, რამ დააწერინა ასეთი უმსგავსოება! გახსოვს, ვაგონში რა განაცხადა?

— არ მაგონდება.

— საქართველო დენიკინის წინააღმდეგ, ბოლშევიკებთან ერთიანი ფრონტით რომ გამოსულიყო, აჯობებდაო.

— ახლა ჩემთვის ყველაფერი აშკარაა, — შენიშნა ვარდომ და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ქმარს უთხრა:

— ამდენ ხანს გიმალავდი და ახლა უნდა გაგიცხადო: ნინოს კორნელი უყვარს.

— რაო? ეგ შეუძლებელია! — გაცხარდა ესტატე.

— მაშ, — დაეთანხმა ვარდო, — მაგრამ რა ვუყოთ ნინოს? შენ როგორ გგონია: რისთვის გაიქცა ის ქვიშხეთიდან თბილისში? ან რისთვის გამოგვეკიდა კორნელი ქობულეთში?

თავზარდაცემული ესტატე დუმდა.

— ხვალ შენ ბათუმში გაემგზავრები, იქიდან ფოთში და მერმე კი ისევ თბილისში. მთელი უბედურება ჩემს თავზე გადაივლის, — დაიწყო ვარდომ.

— რა უბედურება?

— ჩვენები შეპირდნენ, სოფელში წამოვალთო და კორნელი ორ-სამ დღეში ნინოს, ელოს და ვიხას ქარისმერეთში წაიყვანს.

— არავითარი ქარისმერეთი! მე წინააღმდეგი ვარ. ასე მოახსენე ნინოს.

— როგორ მოვახსენო? არ იცი ნინოს ხასიათი?

— ვარდო! — შესძახა ცოლს ქმარმა, — შენ გაასულელე იგი და ახლა შენვე უპატრონე. მაგ საქმეში მე ნუ ჩამრევ, თორემ ცუდად დამთავრდება.

— ასეა ყოველთვის, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. რისთვის? განა ის შენი ქალი არ არის? კორნელის კარისმერეთში არ წაჰყვე, თავი გაანებე-მეთქი, ეს ვუთხრა? — ჰყვედრიდა ქმარს ვარდო.

— უნდა უთხრა.

— მე მაგას ვერ კეტყვი. გაგიჟდება.

— გაგიჟდეს. მე თავადი მაყაშვილი გახლავარ და უმსგავსო მოთხრობის მჯღაბნელ მწერალს ჩემს ქალს ვერ მივათხოვებ. ისიც — ბოლშევიკს?!

— ჩუმად, ნუ ყვირი, კაცო! ნინომ არ გაიგონოს, თორემ თავს მოიკლავს.

— უმჯობესია, თავი მოიკლას, შავ ზღვაში თავი დაიხრჩოს! — იყვირა ესტატემ.

ვარდოს ნერვები აეშალა. სკამიდან ველარ ადგა. სახეზე და ტანზე წითელი წინწკლები დაჰკდა, ერთბაშად გამოჰყარა, თითქო ჭინჭრით გალახეს და ქავილი დააწყებინა.

დედამ კარგად იცოდა თავისი ქალის ხასიათი და კარგადვე ჰქონდა წარმოდგენილი, რა ამბავსაც დაათევდა.

ვახშმის დროს ვარდომ დაიწყო:

— ხომ ხედავთ: დღეს კორნელი არ ჩამოვიდა. იგი არც ხვალ ჩამოვა. განა მას რამე დაეჯერება? იგი მკვეხარა და ცრუპენტელაა... — ვარდოს ეგონა, კორნელის დამცირებით შვილს მასზე გულს აუცრუებდა.

ნინო შეშფოთდა. მისი შეშფოთება და გაქვირვება კიდევ უფრო იზრდებოდა, როდესაც უცნაურად დადუმებულ მამას აცქერდებოდა. ვახშმის შემდეგ ნინოსთვის გაუგებარი ამბავი ისევ გრძელდებოდა: ვარდო ელოს, ხან მიხას გაიხმობდა, მათთან ზღვის პირას სეირნობდა და საიდუმლოდ ეთათბირებოდა. ნინო მაწინვე მიხვდა, მის წინააღმდეგ შეთქმულება რომ მზადდებოდა. მიხამ ცეცხლს ნავთი დაასხა და ვარდოს საიდუმლო გაუმჟღავნა:

— კორნელიმ თბილისიდან დედას წერილი მისწერა: სა-

ცოლე მომყავს, მისი დაი ელო, ელოს ქმარი — მიხა და აბა შენ იცი, როგორ მასპინძლობას გაგვიწევო.

— როგორ თუ საცოლე, — გაოცდა ვარდო. რადგან კორნელი ხვალ დილით უნდა ჩამოსულიყო, ამიტომ ვერ მოითმინა, ნინოც ზღვის პირას გაიხმო და ჰკითხა:

— შენ ცოლობაზე დასთანხმდი კორნელის?

— არა. რისთვის მეკითხები?

— მე და მამაშენმა რაღაც ცუდი გავიგეთ კორნელიზე.

— რა გაიგეთ?

— მამაშენს ჰკითხე.

ნინო მაშინვე მამისაკენ გაეშურა. მამა წინა აივანზე იჯდა, თამბაქოს ზედიზედ ეწეოდა. ნინო მივიდა, აივნის მოაჯირს გადაეყუდა, მწუხარე, ჩაფიქრებულ თვალებში ჩაჰხედა მამას და ჰკითხა:

— მამილო, რა გაიგეთ თქვენ კორნელიზე?

— უნდა მოგელაპარაკო, — მიუგო ესტატემ. ადგა და ნინო ოთახში შეიყვანა.

ესტატე ნინოს პირისპირ დაჯდა, წინ ჟურნალი დაიდო და შვილს უთხრა:

— აი, ეს ბოლშევიკური ჟურნალია. შიგ, სხვათა შორის, კორნელის მოთხრობა „გოჯასპირი“ არის დაბეჭდილი.. ახლა იკითხე, რასა სწერს... — დაიწყო ესტატემ და ქალს კორნელის მოთხრობა უამბო. თანაც გახაზული ადგილები წაუკითხა. — კორნელი ბოლშევიკი ყოფილა, ჩვენ კი პატრიოტი გვეგონა.. თუმცა, ჯარიდან მისი წასვლა, ჩვენი პოლიტიკური კამათები კარისმერეთში, მისი მეგობრობა ვანო მახათაძესთან და ზოგიერთი მისი სხვა საქციელი, წინათაც არ მომწონდა და მაოცებდა, — უთხრა მამამ შვილს.

— არა მამილო, მე არა მჯერა, კორნელი ბოლშევიკი იყოს! — ძლივს შეჰბედა ნინომ მამას და სახე რაღაც საშინელი ტანჯვით დაეღრიჯა.

— როგორ? — გაუკვირდა ესტატეს, — ამ მოთხრობის დამწერი, მაშ ვინ უნდა იყოს? ვთქვათ, ბოლშევიკი არ არის.. ყოველ შემთხვევაში, ის ხომ ბოლშევიკებს თანაუგრძნობს! რა განსხვავებაა? მერმე იცი, რა მოაქვთ ჩვენთვის ბოლშევიკებს?

ნინო სდუმდა.

— მაშ, მე გეტყვი: საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა, ჩვენი — თავადთა და აზნაურთა — განადგურება და გამათხოვრება. საქართველოდან ჩვენი აყრა, ციხე, ციმბირი და სახრჩობელა...

— ღმერთო დიდებულო! — სასოწარკვეთილის ხმით დაიძახა ნინომ.

— უბედურება ისაა, რომ ისინი ახერხებენ ჩვენ სახლებში შემოძვრომას! — იყვირა ესტატემ და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა: — შენ გიყვარს იგი?

ნინომ თვალი ვერ გაუსწორა და სახეზე ხელები აიფარა.

— თუნდაც გიყვარდეს, გულიდან უნდა ამოიღო მისი სიყვარული. მტერს მოყვრად ვერ გავიხდით. სამშობლოს მოღალატე ჩემს სახლში ფეხს ვერ დაადგამს! — უბრძანა მამამ.

მამის ყოველი სიტყვა გახურებული შანთივით დაღავდა ნინოს.

— მე მოველაპარაკები მას, — უთხრა ესტატემ.

ნინომ სახიდან უმალვე ჩამოიღო ხელი, მამას თვალები შეანათა და უყვირა:

— ეგ არ გაბედოთ, მამილო!

ესტატე გაშტერდა.

— როგორ? შენ მამას უყვირი!

— მე არ ვყვირი. მე ვამბობ, რომ არავის არ მივცემ უფლებას, ჩემსა და კორნელის ურთიერთობაში ჩაერიოს. მე თვითონ მოველაპარაკები მას! — ისე ჯიუტად და ისეთი ურყევი გადაწყვეტილებით მიუგო ნინომ, რომ ესტატე სახტად დარჩა. შვილი ვერ იცნო. ახლა მას ბავშვი კი არა, მოწიფული და თავდამტკიცებული ქალი ედავებოდა.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენ კარისმერეთში ვერ წაბრძანდებით, — უკვე თქვენობით მიმართა ქალს ესტატემ და მის ხმას პირვანდელი ძალა დაეკარგა. სამაგიეროდ, ახლა ნინომ აღიმაღლა ხმა.

— თქვენ ვერც ამას ამიკრძალავთ, მაგრამ დამშვიდდით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე თქვენზე ნაკლებ არ ვაფასებ ჩემს ღირსებას და თავმოყვარეობას. თავქარიანი გოგონა არ გეგონოთ...

ნინო ჩქარი ნაბიჯით წავიდა თავის ოთახში.

ესტატე ღელავდა. ნინოსთან საუბრის დროს მანამდე უც-

ობი და უცნაური ისეთი გრძნობა განიცადა, რომ ახლა იავბრუდახვეული ბორიალობდა ოთახში. ხანდახან ღია ფანჯარას მიადგებოდა, ზღვის ეცნაურ და კაეშნის მომგვრელ მინვას ყურს უგდებდა.

სარკესთან გაჩერდა ესტატე. თავის წამოწითლებულ და ბზნებულ თვალებს დააცქერდა. თმაზე ხელი გადაისვა და აფეთქლებთან მოჭარბებული ჭაღარა მხოლოდ ახლა შენიშნა. სახის ნაოჭებმა გააოცეს და უმალვე ის დრო წარმოუდგა, როდესაც ულონო, უმწეო და საწყალი ბერიკაცი გახდებოდა. თავისი თავი შეეცოდა და მზრუნველად, შემბრალედ და ერთადერთ ნუგეშად ნინო მიიჩნია. გულში თავისი ქალისადმი ერთგულის და სათნოების გრძნობა გაუსკეცდა. მთელი მისი არსება ნინოს ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბედ-იღბლიანობისადმი ზრუნვითა და დარდით აღივსო. ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ვარდო ფეხაკრეფით მივიდა ესტატესთან.

— მოელაპარაკე? — ჩუმად ჰკითხა ქმარს.

— მოველაპარაკე.

— მერმე?

ესტატემ არაფერი არ უპასუხა. ნაღვლიანი თვალებით შეხედა ცოლს და ნაზად აკოცა შუბლზე.

ვარდო გაოცდა.

8

ნინოს ძილი გაუკრთა. იგი ღია ფანჯარასთან იწვა, ზღვის გმინვას ყურს უგდებდა და ფიქრობდა:

„ნუთუ კორნელი პოლშევიკია? ნუთუ იგი აჯანყებულ გლეხობას, ბრბოსა და იმ ბნელ ძალას მიემხრო, რომელიც თავად-აზნაურების, კულტურული ხალხის და, მაშასადამე, ჩემი მშობლებისა და ჩემს მოსპობასაც ლამობს!“

ზღვა უფრო ღელავდა ახლა და ნინო შეშინებული ისმენდა მის ბობოქარ გრგვინვას.

— არა გძინავს? — გადმოსძახა საწოლიდან ელენემ.

— არა, არ მეძინება რატომღაც.

— ნურაფერზე ნუ იფიქრებ და დაგეძინება.

— შენ რა იცი, რომ ვფიქრობ?

— ღრუ ხოჭა აია ვარ, გახა შენი ისჯია აო ძეაძის? თვალები დახუჭე და დაიძინე.

— თვალებიც დავხუჭე, შევეცადე არაფერზე არ მეფიქრა, ათასამდეც დავთვალე, მაგრამ მაინც არ დამეძინა.

— წარმოიდგინე ზღვა, მისი ტალღების დაუსრულებელი მოძრაობა და უმალვე დაგეძინება, — ასწავლა ელომ.

— პირიქით, ზღვის ტალღების დაუსრულებელი ქშენა და გმინვა ნერვებს მიშლის.

— ამბობენ, ზღვა ნერვებს ამშვიდებსო. მაშ, რისთვის ჩამოვედით ქობულეთში?

— არ ვიცი. არ ვიცი, ვისზე როგორ მოქმედებს ზღვა. მე კი მალიზიანებს. აი, ყური დაუგდე: ისევ ზღვის გმინვა და შხუილი, დაუსრულებელი გუგუნი და გოდება მოისმის, თითქოს გიგანტური ქვაბი დუღს და შიშინებსო. ერთი წამით მაინც შედგეს გულის გამაწყალებელი ეს ხმაური... პირდაპირ ნერვებს მიშლის.

— მე ვიცი, რაც მოქმედებს შენზე. გაიხსენე თავი კორნელიაზე ფიქრს. ერთხელ და სამუდამოდ გაჩუყვიტე მასთან კავშირი და უმალვე შვებას იგრძნობ. ნუთუ არ მოგებეზრდა მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნა?

— შენ არასოდეს არავინ არ გყვარებია? — ჰკითხა ნინომ.

ნინოს შეკითხვამ გული ატკინა ელოს.

— გარწმუნებ, მამაკაცები ყველანი ერთი რჯულისანი არიან. ისინი არ არიან ჩვენი სიყვარულის ღირსნი. მათ მხოლოდ მდაბალი გრძნობა ამოძრავებთ, — უკმეხად მიუგო ელომ.

— მაგას, სიყვარულში ბედდამწვარი, უბედური, შინაბერა ქალები ამბობენ, — შენიშნა ნინომ.

ელო ავნთო და ნინო აღარ დაზოგა.

— შენ კი ბედნიერი ქალი ბრძანდები? მეცოდები, რადგან დარწმუნებული ხარ შენდამი კორნელის აიყვარულში.

— რაც გინდა, ისა თქვი, მაგრამ მას მაინც ვუყვარვარ, — დარწმუნებით მიუგო ნინომ.

— ცდები.

— ელო, მე დიდი ხანია მინდა საიდუმლო გაგიმხილო. ბევრჯერ დავაპირე მერვენებინა შენთვის საბეთი, იგი დაგარწმუნებს, რომ კორნელის გულწრფელად ვუყვარვარ. მაგრამ მეშინია, საიდუმლო რომ ვერ შეინახო.

— ენაჭარტალა არა ვარ.

— მაშ, ლამპა აანთე და ის ჩემი პატარა ჩემოდანი მომიტანე! — უბრძანა ნინომ.

გამდელს გამოეღვიძა, ნინოს გადახედა, მერმე მეორე გვერდზე გადაბრუნდა და მალე ხვრინვა ამოუშვა.

ელო ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ადგა, კაბა ჩაიცვა, ლამპა აანთო და ნინოს პატარა ჩემოდანი მიაწოდა. ნინომ გახსნა და ფრანგულ რომანში ჩაწყობილი კორნელის წერილები, ლექსი ამოიღო და ელოს ჩუმად წაუკითხა. მაღალი, გამხდარი, მკერდჩავარდნილი, ფერმკრთალი ქალი — ელო სახთუმალთან, სელის სკამზე იჯდა და გაოცებით მისჩერებოდა აგზნებულ დას. რაც უფრო ეგზნებოდა ნინო კორნელის წერილების კითხვით და სახეზე ალმური ედებოდა, მით უფრო ფითრდებოდა ელო და გულში შური ებადებოდა, რადგან ასეთი უნაპირო გრძნობებით სავსე სამიჯნურო წერილები არც ერთ მამაკაცს არასოდეს მისთვის არ მიუწერია. ბოლოს, როდესაც ნინომ მღელვარე ხმით კორნელის ლექსის კითხვა დაასრულა, ელოს მოთმინების ფიალა აღევსო და გესლიანად შენიშნა:

— პოეტის ჩვეულებრივი, ნაცნობი წერილები და ლექსია, სხვა არაფერი! ნუთუ ეს ყველაფერი გჯერა? საბრალო გოგონა! რა მიამიტი ყოფილხარ!

ნინოს არ შეუნიშნავს დის დაცინვა, რადგან იგი კორნელის წერილისა და ლექსის ჯადოსნური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

— მე გვიან მივხვდი ამ ლექსის მნიშვნელობას, თუ რატომ ამბობს კორნელი: „და სისხლიანი მაგონდება ისევ რომანი“, — უთხრა ნინომ ელოს. მეოცნებე თვალებით ფანჯარაში გაიხედა და ვარსკვლავებს მიაშტერდა. მერმე ისე ჩუმად თქვა, თითქო იდუმალ ფიქრს განაგრძობსო: — შენ არ იცი, რა ჭკვიანი, ნიჭიერი და უცნაური კაცია კორნელი. მას შეუძლია, ჩემი გულისათვის ხმალში გავიდეს, მეტოქე სიცოცხლეს გამოასალმოს ან თავი მოიკლას. მასთან თამაში არ შეიძლება. ახლა ხომ ხედავ, როგორი ადამიანი უნდა დავკარგო მე?

— თავი გავანებოთ „სისხლიან რომანებს“. მაშ, რისი პოეტი და მწერალი იქნებოდა, სამიჯნურო წერილებს და ლექ-

სებს თუ ვერ მოგწერდა? ეს თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი. პოეტები ყველაზე უფრო სცრუობენ, — შენიშნა ელომ.

აბრეშუმის პერანგში, ნახევრად შიშველი და თმააწეწილი ნინო გაიფოფრა. თვალები ბრაზიანი ვეფხვივით შეანათა ელოს და უყვირა:

— შენ საბუთი არა გაქვს ეგრე ილაპარაკო!

— ალბათ, მაქვს, — მიუგო ელომ. განზე გაიხედა და ნინოს ანიშნა: ნუ ყვირი, თორემ გამდელი გაიღვიძებსო.

— რა საბუთით ამბობ მაგას? — ახლა ჩუმად ჰკითხა ნინომ.

— გეტყოდი, მაგრამ მეც მეშინია: საიდუმლო რომ ვერ შეინახო.

— მამას გეფიცები, არავის არაფერს არ ვეტყვი.

— როდესაც ჩვენ ქვიშხეთში ვიყავით, იგი მარგარიტა ლეტცთან ცხოვრობდა.

— ტყუილია. არ, ამ წერილის შემდეგ. არა! — მიუგო ნინომ და ის წერილი ასწია, რომელიც მას კორნელიმ რესტორნიდან მოსწერა.

— მაშ იცოდე: როდესაც ჩვენ კორნელიმ ქვიშხეთში გაგვაცილა, მარგარიტასთან რესტორანში იქეიფა და მერმე თავის ოთახში წაიყვანა. ჰო, ჰო, კორნელი ცხოვრობს მასთან. — ჭორა თავი მოხსნა ელომ. მას ეშინოდა გამდელს არ გაღვიძებოდა და ამიტომ ჩუმად ლაპარაკობდა. მაგრამ ჩურჩულით თქმული სიტყვები მეტ გავლენას ახდენდნენ ნინოზე და უხილავი ძალით შხამავდნენ ქალის გულს.

— არა მჯერა. — შენიშნა ნინომ.

— იმიტომ, რომ შენ სიყვარულისაგან დაბრმავებული ხარ. ეს გასაგებია.

— მითხარი, ვინ გითხრა და დაგიჯერებ.

— შენ კორნელისთან ან სხვა ვინმესთან წამოგცდება.

— ნუ გეშინია, არ წამომცდება. მითხარი ვინ, ვინ გითხრა. — ემუდარებოდა ნინო.

— მიხამ.

ნინო წამოიჭრა, კაბა ჩაიცვა, საჩქაროდ აივანზე გავიდა, მზა გაალვიძა და სთხოვა:

— ჩაიცვით და ჩვენს ოთახში შემოდით ახლავე.

ნინო საწოლზე დაჯდა და ცივბაშეყრილივით ანთებული

თვალები ღია კარებს მიაშტერა. კარების ჩარჩოში ბნელი ღამე ჩანდა. მალე იმ ჩარჩოში უცნობი აჩრდილი გამოჩნდა. თმაგაბურძგნულ, მოხრილ მხატვარს პიჯაკი ჩაეცვა და საყელო აეწია. შეშინებული თვალები ანთებოდნენ. იგი ფეხის წვერებზე შემდგარიყო და ფეხაკრეფით, ქურდივით შემოვიდა ოთახში...

ნინომ დაკვითხა. მიხამ ცოლის თქმული დაადასტურა.

მერმე ყველანი ჩუმად დაიშალნენ.

„ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო ეს ოპერაცია", — გაიფიქრა ელომ და თავისი თავი დაარწმუნა, რომ კარგი საქმე გააკეთა.

მიხაც აივანზე გავიდა. საწოლზე დაჯდა. მერმე ქურდივით გაირინდა, ზღვას გაჰხედა და თვალები შიშისაგან გაუშტერდა.

ნინო კი ისევ ღია ფანჯარასთან იწვა. ცას მიშტერებოდა და ფიქრობდა: ჩემი ბედის ვარსკვლავი თუ სადმე ანათებდა, ალბათ, ამაღამ ჩაქრებოდაო.

უცბად, თვალთ დაუბნელდა, ყურებში ჟიჟინი აუტყდა და ხელფეხი გაუცივდა. მერმე ისეთი კანკალი დაეწყებინა, რომ კუნთები კინალამ არ დაასკდა.

ოთახში გამდელის მიერ გაღვიძებული ვარდო შემოვარდა. ნინოს საბნები დაჰხურეს, ფეხებში ცხელი აგურები შეუწყვეს, მაგრამ არაფერმა არ უშველა.

ესტატე და მიხა ექიმის მოსაყვანად გაიქცნენ. ელო შეშინდა: ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინეო?!

ნინო რიჟრაჟამდე ჰბორგავდა.

დილით ნერვიულმა პარაქსიზმმა გაუარა, მაგრამ ფიზიკურ და სულიერ დაღლილობას, საშინელ დეპრესიას გრძნობდა.

დილით, როდესაც ნინო დამშვიდდა, ესტატე ბათუმში წასასვლელად მოემზადა, ვარდო გაიხმო და უთხრა:

— ნინოს გაუფრთხილდი. საცოდავი, რასა ჰგავს? როგორ დაიტანჯა ბავშვი? კორნელი თვითონაც შეატყობს, ავად რომ არის. უთხარი, ქობულეთიდან ნინოს ვერსად ვერ გავუშვებ, სიტყვაც არ დასძრა „გოჯასპირის" შესახებ. ეცადე: ნინო და კორნელი მარტო არ დარჩნენ.. ღმერთო ჩემო! ეს რა უბედურება წაგვეკიდა!

ევტიხიმ ეტლი მოიყვანა და ესტატე სადგურისაკენ გაემგზავრა.

როდესაც ნინო თვალს მიეფარა და მატარებელი ჭობულეთის მიდამოებს დაშორდა, კორნელიმ კეპი დაიხურა და ზღვას გაჰხედა. ისე, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცის, აგრეთვე ზღვის ჭვრეტის დროსაც, კორნელი ყოველთვის გაოცებასა და მოწიწებას გრძნობდა. ეს გაოცება მერმე გამოუთქმელ სევდაში გადადიოდა. იგი გამოწვეული იყო სტიქიონის წინაშე თავისი სიპატარავისა და უსუსურობის შეგნებით. კორნელიმ თვალი ვერ მოსწყვიტა ზღვას და მისი ჭვრეტისას თავისი პირადი მისწრაფებანი, ვნებანი და ნინოსადმი სიყვარულიც კი დაავიწყდა. ზღვა უხილავი და ვეება ცხოვრებით სუნთქავდა თითქო. დაუსრულებლად და რიგ-რიგად მოაგორებდა ქაფიან ტალღას და კლდეზე გადამდგარ ციხისძირს უტლაშუნებდა. კორნელის ჭარიშხლის დროსაც უნახავს ამ ნაპირთან და კლდეებთან აბობოქრებული ზღვის ტალღების შებრძოლება, თითქო ზღვას ხმელეთის კარიბჭეების შენგრევა სწადიაო, მაგრამ ფარხმალდამსხვრეული ტალღების ჯარი უკანვე გარბოდა. მაშინ ზღვა გაორკეცებული მძვინვარებით უტევდა ხმელეთს, მაგრამ მისი ტალღები ნაპირსა და კლდეებზე ილეწებოდნენ, ათი ათას შხეფებად იქცეოდნენ და, ვით დამარცხებული და დარბეული ლაშქრის მეომრები, ისევ უკუიქცეოდნენ. „ასე მიმდინარეობდა უხსოვარ დროიდან და გაგრძელდება მომავალშიც ზღვისა და ხმელეთის დაუსრულებელი ბრძოლა“, — გაიფიქრა კორნელიმ, როდესაც ციხისძირთან ზღვის ტალღებისაგან შეჭრილ-შელეწილი კლდეები და კლდიდან მოხეთქილი და ზღვაში ჩაცვივნული ვეება ლოდები დაინახა. წყალში ჩაყრილი ლოდები ზღვასთან ბრძოლაში დაღუპულ ბუმბერაზებივით იწვნენ და დუმდნენ. კორნელიმ დიდხანს უცქირა ზღვის ტალღების დაუსრულებელ მიმოქცევას და მერმე გაიფიქრა: „რად არ წალეკავს ოკეანე დედამიწას? ვინ დააწესა ზღვათა მიმოქცევა? ვინ აღმართა ბჭე და უცნაური ჯებირი წყალსა და ხმელეთს შორის და ვინ დაუდო საზღვარი მედიდურ ტალღებს?“ რა წამს ეს გაიფიქრა, იგი ბუნების ძალთა მიმართ მოწიწებით და ღრმად განიმსჭვალა. ჭაბუკის ხალასი გრძნობა და დაუტვირთავი გონება უძლური იყო ამჟამად შეეცნო მსოფლიო. მსოფლიოს წარ-

სულზე, აწმყოსა და მომავალზე ნათელი და ზუსტი წარმოდგენა მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა. ამიტომ არ შეეძლო ბუნების კანონები აეხსნა და ისინი ადამიანის გონებისა და ნებასურვილისათვის დაემორჩილებინა. თუმცა კორნელი, ასაკის მიხედვით, ნაადრევად დამჯდარი გონებისა და დაოკებული გრძნობების კაცი იყო და, ბუნების შეუცნობ ძალთა მიმართ, მის ასაკში მყოფთა შორის, მე უფრო დიდი მოწიწებით და ღრმადით გამსჭვალული, ქედმოხრილი, უმწეო და მიამიტი ჰაბუკები მინახავს.

ზღვის ჭვრეტამ კორნელი იმრიგად გაიტაცა, რომ ჩაქცა და მახინჯაური შეუმჩნევლად გაიარა. როდესაც ზღვას თვალი მოსწყვიტა, ბათუმიც გამოჩნდა და მალე მატარებელი ქალაქის სადგურს მიადგა.

სადგურზე ინგლისელი ჯარისკაცები და ქართველი მილიციელები იდგნენ.

კორნელიმ პალტოს და პატარა ჩემოდანს ხელი დასტაცა და ვაგონიდან ჩამოვიდა.

გამოიდარა. ღრუბლები აჭარის მთების მწვერვალებისაკენ გაემართნენ. მზემ ულმობლად დააჭირა და ქალაქში უმალვე ტროპიკული სიცხე ჩამოდგა. კორნელი პალმებით ჩარაზულ, ზღვისაკენ მიმავალ ფართო ქუჩას გაჰყვა. მისი მასპინძელი — კუკური ზარანდია ბაღის ახლოს, სანაპირო ქუჩაზე ცხოვრობდა. კორნელიმ ხალხით გაჭედილი მარინის პროსპექტი გადაჭრა, სანაპირო ქუჩაზე გავიდა და მალე კუკურის მამის — მასწავლებლის გიზო ზარანდიას სახლს მიადგა. შინ გიზოს ცოლი — ფედოსი და მისი ქალი — მარიკა დაუხვდნენ. ქერა, ცისფერთვალება მარიკა ნინოსთან ერთად თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ფედოსის კუკურისაგან ჰქონდა გაგონილი: კორნელი ჩვენი კარგი მეგობარი არისო. უნახავადაც უყვარდა ფედოსის იგი. ამიტომ გაეხარდა და სტუმარს აივნიდან გადმოსძახა:

— მობრძანდით, ჩემო ბატონო...

ამ მეგრულ კილოზე დამღერებულ თქმაში კორნელიმ მაშინვე იგრძნო მასპინძელი ქალის გულწრფელი მიპატიჟება, თავაზიანობა, დარბაისლობა, სინაზე და ათასი სხვა რამ, რითაც სავსეა მეგრელთა მომჯადოებელი სტუმარმასპინძლობა და ადათებით შეკრული ყოფა-ცხოვრება... და მართლაც,

ამ წუთიდანვე კორნელი ზარანდიების მასპინძლობით მოხიბლა და სრულიად ახალ სამყაროში აღმოჩნდა.

კუკური ქალაქში წასულიყო. მაშინვე აფრინეს მასთან კაცი და კორნელის ჩამოსვლა შეატყობინეს.

კუკური და კორნელი ერთმანეთს ვაჟკაცურად გადაეხვივნენ. ჩაისა და საუზმის შემდეგ, მეგობრებმა ბაღში გაისეირნეს. ბაღი რუსეთიდან გამოქცეული თეთრგვარდიელებით და მათი ცოლ-შვილით იყო სავსე, რომელთაც ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი მფარველობდა. ბაღში ინგლისელ მეზღვაურთა ორკესტრი უკრავდა. კორნელიმ და კუკურიმ მალე ნავსადგურისკენ გასწიეს.

ისინი ნავსადგურში უცხოური დიდი გემების განტვირთვას უცქეროდნენ. კორნელის, რატომღაც, ბუნინის ლექსი — „პორტში“ მოაგონდა:

Огромный, красный, старый пароход
У мола стал, вернувшись из Сиднея.
Белеет мол и радостно синея,
Безоблачный сияет небосклон...

შორს, რეიდზე ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის სამხედრო გემები ტორტმანებდნენ.

პორტში მდგარი, სამმილიანი დიდი სამგზავრო გემი ზღვაში გასასვლელად ემზადებოდა. ხიდი აჰკეცეს. ღუზა რახრახით ამოსწიეს და გემის მკერდს გააკრეს. გრუზა და ჯმუხი კაპიტანი მაღლა ბაქანზე გაჩერდა და ბრძანება გასცა. უმალვე შესწყდა მეზღვაურთა ფუსფუსი. მანქანები ამუშავდნენ და გემმა დაიყვირა. მისი ხმა ცხრა მთას იქით გადავიდა და მთებმა ექო გამოსცა, თითქო ხარ-ირემი ყვირისო. გემი შეტორტმანდა, შეტრიალდა, ნელა გავიდა პორტიდან და გეზი დასავლეთისაკენ აიღო.

კორნელის გულზე დარდი შემოაწვა. მასაც უცხო და უცნობ ქვეყნებში მოგზაურობა მოუნდა. „რა ბედნიერები არიან ის კაპიტანი და მეზღვაურები, — ფიქრობდა იგი, — ვინ იცის, სად არ ყოფილა ეს გემი: კალკუტაში, სინგაპურში, შანხაიში, იაკოგამაში და მადაგასკარზე. გაუვლია გიბრალტარი, სუეცის არხი. მაინც არა აქვს ატლანტისა და წყნარი ოკეანის გზებზე დაცემის შიში. იმედის სიმბოლოდ მკერდზე ღუზა გაუკრავს!“

ბაქანზე მდგარი კუშტი და ჯმუხი კაპიტნის სახე სამუდამოდ დაიმახსოვრა კორნელიმ. მედიდურად გასცქეროდა იგი ზღვის სივრცეებს პირში გაჩრილი ჩიბუხით.

„საით მისცურავს ახლა ის ახალი დროის ოდისეოსი?! — ფიქრობდა კორნელი, — რა საოცნებო ქვეყნები და წარმტაცი კუნძულები არ უნახავს, კოლონიების სიმდიდრითა და უხვი მადნებით დახარბებულ, მტაცებელ ქვეყნის იმ პირატს! იქნებ მასაც, ოდისეოსის მსგავსად, ტურფა კალიპსოს მგალობელი სირენები შეეყაროს. იქნებ ბოლოს ეს უტეხი და ურყევი ნებისყოფით სავსე ვაჟკაცი მიჯნურობამ გასტეხოს და სამუდამოდ მოაჯადოვოს ნავზიკაიმ!“

კუკურიმ განცვიფრებით შეხედა ფიქრში წასულ და ცქერად ქცეულ მეგობარს. შეატყო, რომ იგი ზღვამ, ნავსადგურმა, გემებმა გაიტაცა და ამიტომ იტალიური დიდი სამგზავრო გემი დაათვალიერებინა. გემს კომფორტაბელური კაიუტები ჰქონდა. კორნელიმ და კუკურიმ რესტორანში ლუდი მირთვეს და ზედ მოხარშული კიბოები დააყოლეს. მერმე გემიდან ჩამოვიდნენ და შინისაკენ გასწიეს.

შინ ოჯახის თავი, გიმნაზიის მასწავლებელი, ქერა და ახოვანი კაცი, გიზო ზარანდია დაუხვდათ.

სადილობის დროს გიზომ და კორნელიმ ბევრი ისაუბრეს საქართველოს, გენერალ კუკ-კოლისის, ინგლისსა და რუსეთის წესახებ და მერმე კორნელი ქობულეთში წასასვლელად მოემზადა, მაგრამ გიზოს ეწყინა:

— ნუთუ მეგობრის სახლში ორი დღე მაინც არ უნდა დარჩეთ?

დიდი ხვეწნის შემდეგ, კორნელი დილამდე დარჩა.

ზარანდიებმა, კორნელის პატივსაცემად ვახშამი გამართეს, რომელზედაც გიზოსა და კუკურის მეგობრები — მასწავლებლები და სტუდენტები დაპატიჟეს. ვახშამმა რიჟრაჟამდე გასტანა. კორნელი დათვრა, მკვდარივით დაეძინა და დილის მატარებელზე დააგვიანდა. მეორე მატარებელი კი მხოლოდ დღის პირველ საათზე გადიოდა.

კორნელი მღელვარებით უახლოვდებოდა ქობულეთს. ქობულეთში ეტლი დაიჭირა და მაყაშვილების აგარაკისაკენ გასწია. მღელვარებამ უმატა, თითქო რაღაც უკეთურს წინასწარ გრძნობდა. არაფერ გარკვეულზე არ ფიქრობდა. ნაქეიფარი იყო, თავი სტკიოდა და ალბათ, ესეც უშლიდა ხელს, გულისყური მოეკრიბნა. არც ზღვას, არც აგარაკებს და არც მოაგარაკეებს მიუქცევია მისი ყურადღება. გონებადაბნეული მისჩერებოდა ეტლის კოფოზე მოქანავე მეეტლის ზურგს. მალე ეტლი გაჩერდა.

კორნელიმ მაყაშვილთა აგარაკს გაჰხედა. ეზოში და აივანზეც არავინ არ ჩანდა. დუმდა უკაცური სახლი და ირგვლივ უცნაური სიჩუმე დამკვიდრებულიყო. „ნაშუადღევს წვიმა მოვიდა. ამ მოღრუბლულ ამინდში ზღვაზე საბანაოდ არ წავიდოდნენო“, — გაიფიქრა კორნელიმ და მეეტლე გაისტუმრა. ამ დროს აგარაკიდან მიხა ეამოვიდა, აივნის კიბე ჩაირბინა და კორნელის შეეგება.

— ჩამოდი? — დაბნეულად ჰკითხა მიხამ და ნაძალადევად გაუღიმა.

— როგორც ხედავ. — მიუგო კორნელიმ და გაუკვირდა, მიხას გარდა რომ არავინ შემოეგება.

— კუკური ნახე? რა ა შვრება? — ისევ ჰკითხა მიხამ კორნელის, თვალი ვერ გაუსწორა და აგარაკისაკენ ქურდულად გაიხედა.

— დიდი პატივი მცეს. — მიუგო კორნელიმ და ეზოში შეჩერდა.

მიხამ თავი ჩაჰკიდა და ისიც შეჩერდა. ცოტა ხნის დუმილის მერმე კორნელიმ ჰკითხა:

— ქობულეთში რა ამბავია? როგორ მოეწყვეთ? სად არიან თქვენები?

— ჩვენები სადილს სჭამენ. წამოდი. — ცალყბად მიიპატიჟა მიხამ.

კორნელის არ მოეწონა მიხას საქციელი.

აივანზე ავიდნენ. მიხა ოთახში შევიდა და ცოტა ხნის მერმე კორნელის სკამი გამოუტანა. კორნელი დაჯდა და გაიფიქრა: „ეს რა ამბავია. ბოიკოტი ხომ არ გამომიცხადეს!“ —

ჭვედა ტუჩი მოიკვნიტა. მიხამ გულჯიბიდან ფანჭარი ამოიღო და აივნის ბოძზე ქალის ხატვა დაიწყო. იგი დიდხანს ხატავდა. კორნელი დუმდა. ბოლოს ოთახიდან ელო გამოვიდა, კორნელის მიესალმა და სადილზე მიიპატიჟა.

ოთახში სუფრასთან ვარდო და გამდელი ისხდნენ და მწყერების ჩახოხბილს მიირთმევდნენ. კორნელი ვარდოს ხელზე ეამბორა. ვარდო ცივად შეხვდა და უთხრა:

— აი პირსაბანი, ხელი დაიბანეთ და სადილი მიირთვით.

კორნელიმ მადლობა გადაუხადა, ხელი დაიბანა და მერმე ვარდოსა და გამდელის პირისპირ დაჯდა. კორნელის ხელმარჯვნით და მარცხნით — კი ელო და მიხა დასხდნენ. შემოვიდა შეჩრა, კორნელის დარცხვენით მიესალმა და წვნიანით სავსე თეფში მიართვა.

კორნელიმ ვერ მოითმინა და ვარდოს ჰკითხა:

— რა მოხდა? ყველანი რაღაც დამწუხრებული და შეშფოთებული მეჩვენებით!

ვარდო გასწორდა, სახეზე ხელი მოისვა და კორნელის მიუგო:

— დიახ, დამწუხრებული ვართ.

— ნინო სად არის?

— ნინო უქეიფოდ არის, — მიუგო ვარდომ. თვალი ვერ გაესწორა, განზე გაიხედა, თითქო რაღაცას ყურს უგდებსო.

— რა მოუვიდა?

ვარდომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან გამდელს ხველა აუტყდა. ნამცეცი გადასცდა, წყალი დაისხა და ზედიზედ მოსვა.

— რა მოგივიდა? — მიაძახა ვარდომ.

— ნერწყვი გადამცდა, — ძლივს მიუგო გამდელმა და ისევ ხველა აუტყდა.

ელო შეშინებული თვალებით მიაშტერდა წამოწითლებულ გამდელს და უთხრა:

— ნუ ჩქარობთ, გადია. კარგათ დაღეჭეთ და ისე გადაყლაპეთ.

— ეხ, კბილები სადა მაქვს, შვილო, კარგად რომ დავღეჭო, — მიუგო მოხუცმა ქალმა.

— რა ვიცი. ყველა კი საშინლად შეგვაშინეთ, — შენიშნა ელომ.

— ნუ გეშინია, არ დავიხრჩობი, — გაუღიმა გამდელმა.

კორნელიმ ისევ ჰკითხა ვარდოს:

— მაინც, რა მოუვიდა ნინოს?

— რა ვიცი. წუხელ ცუდად იყო. ზღვამ თუ აწყინა, — მიუგო ვარდომ. სახეზე წითელი ლაქები დააჩნდა, კორნელის თვალი მოარიდა და თავი ჩაჰკიდა.

— სიცხე აქვს? — დაინტერესდა კორნელი.

— წუხელ ჰქონდა.

— რამდენი?

— ცოტა, — ძალისძალად მიუგო ვარდომ.

— ეგ ცუდი ამბავია. ნუთუ ციებაა? — ეწყინა კორნელის.

ვარდომ არ უპასუხა. „სულ შენი ბრალია, ოხერო“, — გაიფიქრა მან და აიმღვრა.

— მესამე კერძი მოატანინე შურას, — უთხრა მან ელოს და ნინოსთან ოთახში შევიდა.

კორნელის ძალიან გაუკვირდა, ვარდომ სადილი რომ მიატოვა და ელოს და მიხას ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რაც ვარდომ მოგახსენათ, სხვა არაფერი, — ცივად მიუგო ელომ. დაიმანჭა, პურის გული აიღო, თითებით დაზილა და მაგიდაზე მისი დაგორგლება დაიწყო. მერმე მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო. გამხდარი მხრები აიჩეჩა და ზედ კოფტა, როგორც კაჭკას, ისე დაეკიდა.

დესერტის შემდეგ ელოც და გამდელიც ნინოს ოთახში შევიდნენ.

მაგიდასთან მარტო მიხა და კორნელი დარჩნენ.

შურამ მაგიდის ალაგება დაიწყო. კორნელის შეხედა და თანაგრძნობით გაუღიმა.

— მე ხომ არა ვარ დამნაშავე? — ჩუმად ჰკითხა კორნელიმ მიხას.

— შენ რა შუაში ხარ! — მიუგო მიხამ და თვალი მოარიდა.

— რა ვიცი, ვარდოს ამბავს შენ გაიგებ! — შენიშნა კორნელიმ და აივანზე წელმოწყვეტილი გავიდა.

— კორნელი, მე ვეტყვი ჩვენებს, ზღვაზე მივდივართ-თქო. თუ ჩვენი ნახვა მოისურვეს, ეცოდინებათ და დაგვიძახებენ, — უთხრა მიხამ კორნელის.

— როგორც გენებოს, — მიუგო კორნელიმ და აივნის ბოძს მარტოსულივით მიეყრდნო. აივნის მოაჯირზე შედგმულ თავის პატარა ჩემოდანს, სვეტზე ჩამოკიდებულ, დაჭმუჭნილ პალტოს მიაშტერდა და მოეჩვენა, თითქოს ისინი ეუბნებიან: მალე მოუსვი აქედანო.

ასე იდგა დიდხანს მიხას მოლოდინში და არ უწყოდა, რა ხდებოდა ამ დროს ოთახში. იქ კი ყველა ერთად ლაპარაკობდა, გეგმებს ადგენდნენ, თუ როგორ შეეშალათ ხელი საშიშ სტუმართან ნინოს შეხვედრისათვის.

ბოლოს ფეხის წვერებზე შემდგარი მიხა აივანზე გაუბედავად გამოვიდა. კორნელის თვალი უყო, თითქო ყველაფერი რიგზეაო, გაუღიმა და ზღვისაკენ წაიყვანა. ისინი ზღვის პირას დასხდნენ. მოღრუბლული დღე იყო, ზღვა ოდნავ ღელავდა, მაგრამ ქობულეთში მაინც ცხელოდა.

— რა ამბავია ბათუმში? კუკური რასა შვრება? — ჰკითხა მიხამ კორნელის. კორნელიმ მოკლედ უამბო:

— ბათუმში ძალი პატრონს ვერა სცნობს. პორტში უამრავი უცხოური გემები დგანან: ინგლისური, ამერიკული, ფრანგული, იტალიური. ინგლისელი და ამერიკელი მეზღვაურები რესტორნებში, ყავახანებში ლოთობენ, მუშტი-კრივს მართავენ, ჭუჭაში ბათუმელებს და ერთმანეთსაც ცხვირ-პირს ამტვრევენ, უსაქციელობენ. ყოველ ფეხის გადადგმაზე ყავახანები და საროსკიპოებია. გადამთვრალ, გონებადაკარგულ ინგლისელ და ამერიკელ მეზღვაურებს პატრულები ნავსადგურში მიათრევენ. ნავებში ისე ისვრიან მათ, როგორც მეთევზენი ტომრებს და მერმე რეიდზე მდგარ სამხედრო გემებისაკენ მიჰყავთ. სხვათა შორის, კუკურის სახლის გვერდზე ინგლისელთა კოლონიური ჯარის — სიპაების ყაზარმაა. მათ ძალიან უყვართ ზღვის პირას ბაღში სეირნობა და დასვენება. მე მივედი და მათთან საუბარი გავაბი. ჩვენ ორი სამხედრო ექიმი შემოგვიერთდა. ესენიც ინდოელები იყვნენ. მათ ინგლისური იცოდნენ და მეც ჩემი დანჯღრეული ინგლისურით ვუმტკიცებდი, რომ ისინი, როგორც ქართველები, დაჩაგრული ხალხის შვილები არიან და ჩვენ თავისუფლების მოსაპოვებლად, ერთად უნდა ვიბრძოდეთ დამმონებელთა წინააღმდეგ. მაგრამ ექიმები ინგლისის ერთგული მსახურები აღმოჩნდნენ. მათ ჩემთან მოსაუბრე სიპაები გარეკეს.

— კიდევ კაოგი, იხგლისელებძა რომ არ დაგაპატიცრეს, როგორც ბოლშევიკი აგიტატორი, — შენიშნა მიხამ.

— ინგლისელები, როგორც სახლში ისე გრძნობენ თავს საქართველოში, — დაიწყო კორნელიმ. — სანაპირო ქუჩაზე, ზღვის პირას, ერთი მშვენიერი სახლის ღია სარკმელში შევიხედე. გუშინ საშინლად ცხელოდა ბათუმში. თხელი და მკრთალი ჩსოვილებისაგან ბალდახინივით მორთულ საწოლებზე ინგლისელი ოფიცრები ტრუსების ამარა იწვნენ და არხეინად წიგნს კითხულობდნენ. სასთუმალთან დამუნჯებული ინდოელი ჯარისკაცები უსხდნენ და პალმის შტოებს მარაოსავით უქროლებდნენ, თეთრკანიანი მათი ბატონები მწერებს რომ არ შეეწუხებინათ და ამ ტროპიკულ სიცხეში გრილი ნიავის ქროლვა არ მოჰკლებოდათ, — უყვებოდა კორნელი მიხას. მაგრამ ზღვა, გემები, ინგლისელები, ინდოელები და პოლიტიკა იმდენად არ აინტერესებდა კორნელის „მეგობარს“, რამდენად რუსეთიდან თავისი ოჯახებით ბათუმში გამოქცეული წარჩინებული თავადები, აზნაურები და მათი ქალები, რომელთაც ინგლისელებმა მისცეს აქ თავშესაფარი.

— შენ და კუკური თუ გაეცანით რომელიმე თავადის, აზნაურის ქალს?

— ქალებისათვის ჩვენ არ გვცალა, — მოუჭრა კორნელიმ და ახლა ქობულეთის ამბები ეამოჰკითხა.

— მანანა მაჩაბელს ორი მშვენიერი მეგობარი ქალი დაჰყვება. ერთი უკვე ამოვიდე ნაშანში. ისეთ ლამაზი სახე და ტანი აქვს, რომ ჰა, — დაიძახა მიხამ, თითები პირჯვრისწერის დროს რომ იცან, იმე შეაკაშირა, ტუჩზე მიიდო და ზედ აკოცა — საერთოდ წელს ქობულეთში ქალებზე ნადიროზას კარგი პირი უჩანს, — დასძინა მან.

რადგან კორნელის ერთი ქალის გარდა, ამჟამად, სხვა არავინ აინტერესებდა, ამიტომ მიხას საუბრის მოსმენას მალე თავი გაანება და ზღვას ეაჰზედა.

მაყაშვილები უკანა ივანზე გამოსულიყვნენ, ოთახში მარტო დარჩენილი ნინო კი სარკმელიდან კორნელის მალულად უცქეროდა.

— როგორ იქნება საქმე, არ ვიცი! — უთხრა კორნელიმ მიხას, — ნინოს ციებამ თუ არ გაუარა, კარისმერეთში ისე

ვერ წამოვა. როდის გაუვლის ციება, ალაჰმა უწყის! მე კი შვებულება მალე გამითავდება.

— არა, — მიუგო მიხამ, — ნინოს ციებ-ცხელება ასე მალე არ გაუვლის. კარისმერეთში მას არ გამოუშვებენ. ისევ მე და შენ წავიდეთ.

— ელო ხომ წამოვა?

— ვარდო ელოსაც არ გამოუშვებს.

— ორ-სამ დღეს კიდევ დავიცდი. იქნებ ნინო, მართლაც, ზღვამ დასცადა, თუ მოიკეთა, მე ვფიქრობ, ვარდო გამოუშვებს! — იმედოვნებდა კორნელი.

— არა მგონია, — შენიშნა მიხამ.

საღამოს ესტატე ბათუმიდან ჩამოვიდა. ჩამოხტა თუ არა ეტლიდან, მაშინვე ნინოს ოთახში შევარდა და საჩუქრები გადასცა: შოკოლადით სავსე დიდი კოლოფი, ფრანგული სურნელი, აბრეშუმის წინდები და კიდევ რაღაც პაკეტები.

ჩაის შემდეგ, ყველანი ნინოს საწოლთან მოგროვდნენ. კორნელის მოთხრობაზე და მის ბოლშევიკობაზე ახლა არავის არაფერი არ უთქვამს.

კორნელიმ ღამე აივანზე გაათია. საწოლი მიხას გვერდით დაუდგეს. ესტატე დილით ადრე ისევ ბათუმში წავიდა სასამართლოს გამსვლელი სესიის მუშაობას ჩასატარებლად. შუადღეზე ნინო ადგა და ვარდომ და ელომ სადღაც წაიყვანეს. ვარდომ განაცხადა: ექიმთან მიმყავსო. კორნელი და მიხა ბაზარში წავიდნენ, პაპიროსები იყიდეს და მერმე ზღვის პირას იხეტიალეს. სადილობის დროს, უკან რომ ბრუნდებოდნენ, კორნელიმ მიხას უთხრა:

— ვგრძნობ, უჩემოდ აქ რაღაც მოხდა. ნინოს ვატყობ, მაკრამ ახლა მის განხილვაში არ შევდივარ. ნინო და ელო კარისმერეთში არ წამოვლენ, მე კი ქობულეთში, მაყაშვილების ხარჯზე, სანამ უნდა ვიცხოვრო? დღესვე მივდივარ კარისმერეთში.

— ბრძნული გადაწყვეტილებაა. მეც შენთან მოვდივარ, — შენიშნა მიხამ.

— ნეტავ ვიცოდე, საღამოს მატარებელი როდის გადის ქუთაისისაკენ? ღამე ქუთაისში ჩემს ძმასთან გავათიოთ და ხვალ კარისმერეთისაკენ გავსწიოთ.

კორნელი და მიხა უკანვე გაბრუნდნენ და სადგურში შე-

ვიდნენ. კორნელიმ თერთმეტი საათის მატარებელზე ორი ბილეთი იყიდა.

ვარდომ ნასადილევს ნინო ერთი საათით დაასვენა. მერმე ყველანი ზღვის პირას გავიდნენ.

— ძალიან მწყინს, რომ თქვენ კარისმერეთში ვერ მოდიხართ, — უთხრა კორნელიმ ნინოს.

— ხომ ხედავთ, ჩემი ბრალი არ არის, — მიუგო ნინომ უცნაურად და ნაღვლიანად გაუღიმა.

ამ დროს ნინოსთან ვარდო მივიდა, ჟაკეტი მიუტანა და უთხრა:

— უკვე აცივდა. ფერი არ გაძევს. ნუ ჯიუტობ, ჩაიცვი, თორემ საცაა მამაშენი ჩამოვა და შავ დღეს დაგვაყენებს.

ამის შემდეგ ვარდო ნინოს აღარ მოშორებია. კორნელი საბანაო ტრუსების მოსატანად შინ წავიდა. ევტიხიმ სამზარეულოდან დაუძახა და თავის ოთახში შეიყვანა. შურა კარში გამოაგდო, კარები ჩაკეტა და კორნელის უთხრა:

— კორნელი, საიდუმლოს გაგანდობ და ყელი არ გამომჭრა. არ გამაცხადო.

— ნუ გეშინია.

— გენადი ქადაგიშვილს დაექცა სახლ-კარი.

— რას ერჩი? — ჰკითხა კორნელიმ.

— გუშინ ჟურნალი მოიტანა. შიგ შენი მოთხრობა ყოფილა და ბატონს უჩვენა.

— აი, რაში ყოფილა საქმე! გმადლობ, ევტიხი!

— ჯაშუში ყოფილა, ის პატრონმკვდარი გენადი ქადაგიშვილი, — იყვირა ევტიხიმ, — მაგრამ, ნუ გეშინია, მაგის ოხტში კი ამოვალთ! ამბობენ, დენიკინს რუსეთში მალე დაამარცხებენო. მართალია?

— მართალია, — დაუდასტურა კორნელიმ.

ევტიხიმ სარკმელში გაიხედა და იყვირა:

— ვაი, ნენა, ელო მოდის! — ციბრუტივით დატრიალდა, უკანა კარები გააღო, კორნელი ეზოში გააცილა და მიაძახა: — ნუ გეშინია, კორნელი, გენაცვალე სულში!

განშორება

არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა, და ჭდინარე ვერ წარღვნას მას.

ქებათაქება.

1

ესტატე ბათუმიდან არ ჩამოსულა. სადამოს კორნელიმ და მიხამ პალტო და ჩემოდნები აიღეს. სადგურზე წასასვლელად მოემზადნენ. ვარდო, ელო და ნინო ქუჩაში, ჭიშკრის წინ ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ.

— ჯერ ადრე არ არის სადგურში წასვლა? — ჰკითხა ვარდომ კორნელის.

— სადგურამდე ორი კილომეტრია. ნელა ვიცლით, — მიუგო კორნელიმ.

დაღამდა. აივანზე ანთებულ ლამპის შუქზე ნინოს ფერმკრთალი სახე მოსჩანდა. კორნელის სურდა, წასვლის წინ, მისთვის ორიოდე სიტყვა მაინც ეთქვა და ახლა ფიქრობდა, მარტო დარჩენილიყო მასთან. იგი მდუმარე აჩრდილივით ატუზულიყო ქალის გვერდით. ვარდოს და ელოს არეულ პასუხს აძლევდა შეკითხვებზე. ნინომ გაოცებით შეხედა:

— შეიძლება ორი წუთით გთხოვოთ? — უჩურჩულა კორნელიმ.

ნინო გაჰყვა. ისინი ჭიშკარს მოშორდნენ და ქუჩის პირას შეჩერდნენ.

— თქვენი უქეიფობის მიზეზი მე ხომ არა ვარ? — ჰკითხა კორნელიმ.

— იქნებ თქვენცა ხართ, — მიუგო ნინომ.

— რა დავაშავე?

ნინო დუმდა.

— მითხარით, გევედრებით, — სთხოვდა კორნელი. ნინომ ერთბაშად შეხედა. აღელდა. ოდნავ კანკალი დააწყებინა. ქალის მღელვარება კორნელისაც გადაედო:

— მიპასუხეთ, რა დაგიშავეთ?

— გიორგი მახვილაძე ვინ არის? — ჩუმად ჰკითხა ნინომ და ჩრდილს მოეფარა.

— მე ვარ, ეგ ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმია, — მიუგო კორნელიმ.

— საოცარია.

— რატომ?

— „ასპინძისა“ და „ასკერის“ მერმე „გოჯასპირის“ ღაწერა საოცარია, — გაიმეორა ნინომ.

— ეგ არის მიზეზი თქვენი უქეიფობისა და ჩემდამი გულის აცრუებისა?

— ესეც და სხვაც.

— სხვა რა?

— ახლა ნუ შევუდგებით ამის გამოძიებას. მერმე გეტყვით თბილისში.

— იმ დრომდე როგორ ვიცადო? ახლა მითხარით.

— ახლა ვერ გეტყვით.

— ნინო, დაფიქრდით, რა დღეში მაგდებთ!

— თქვენ უარეს დღეში მაგდებთ, მაგრამ ღმერთმა მოგკითხოთ სამაგიერო. ღმერთი თუ არა, სხვა ვინმე — ქალი მოგიზღავთ სამაგიეროს. მე ეს მჯერა და ღრმადა მწამს.

— ნინო, რა მოგივიდათ? რას ამბობთ?

— ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. მაგრამ არა როგორც მტრები.

შესაძლოა ნინოს ვერ გაებედნა ამის თქმა, ღამე რომ არ ყოფილიყო ან კორნელის სახე და თვალები დაენახა.

— მე არ შემიძლია ვიყო თქვენი მეგობარი, თუ ჩვენი სიყვარული გათავდა, — მიუგო კორნელიმ ჩაწყვეტილი ხმით.

— მაშ, სიძულვილი? — ჰკითხა ნინომ და ხელები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაიწყო.

კორნელიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ამ დროს დედამ ნინოს დაუძახა:

— ნინო, ათი საათია, დააგვიანდებათ!

— სად უნდა მიმეჩქარებოდეს ახლა! — მწარე ღიმილით უთხრა კორნელიმ ნინოს. — ყარისმერეთი და თბილისი. რად მინდა, თუკი თქვენ ჩემთან არ იქნებით?!

— აბა ეგ რა სათქმელია! ყარისმერეთში დედათქვენი ცხოვრობს, ნურც თბილისს ჰგმობთ, რომელიც, თქვენივე თქმით, საკუთარ თავს გირჩევნიათ. თუმცა, არა მჯერა, კაცმა თავისი ქვეყნის და სინამდვილის ისეთი სურათი დახატოს,

როგორიც „გოჯასპირშია“ და მას სამშობლო თავის თავს ერჩიოს, — მიუგო ნინომ.

— რა ვუყო, ჩემი ქვეყნის ცხოვრება და სინამდვილე თუ ასეთია, — შენიშნა კორნელიმ.

— ეს ცილისწამებაა. მაპატიეთ, კორნელი, თქვენი გაკილვა, როგორც მწერლისა. იქნებ ეგ ჩემი საქმე არც იყოს. მე სულ სხვა რამ მაშინებს.

— რა გაშინებთ?

— ის, რომ ჩემდამი თქვენს გულწრფელობაში და სიყვარულში საბოლოოდ დავეჭვდი.

— რა საბუთით ამბობთ მაგას?

— ნინო! — ისევ დაუძახა თავის ქალს ვარდომ, — უკვე დააგვიანეს სადგურზე. დაემშვიდობეთ ერთმანეთს!

— მშვიდობით, — ნაღვლიანი ხმით უთხრა ნინომ კორნელის. მწარედ გაუღიმა და ხელი ჩამოართვა, მაგრამ მისი თვალები სულ სხვას ამბობდნენ და ხელი ვეღარ გაუშვა.

კორნელიმ იგრძნო ეს.

— დაე, დამაგვიანდეს. მე აქედან არ წავალ, სანამ არ გავიგებ: ჩემდამი თქვენი შეეჭვებისა და უნდობლობის მიზეზს, — დაჟინებით უთხრა კორნელიმ, მკლავში ხელი გაუყარა, რომ ჭიშკრიდან ცოტა შორს წაეყვანა. მაგრამ ქალმა არ გაიკარა და მკაცრად უთხრა:

— თქვენ მუდამ სარგებლობდით თქვენდამი ჩემი გრძნობით და, როგორც გსურდათ, ისე მათამაშებდით. კმარა, დავიღალე. ამიერიდან მე თქვენ არ მოგცემთ უფლებას ძალა დამატანოთ და დამცინოთ.

კორნელიმ ვედრებით სავსე ხმით მიუგო:

— კი არ დაგცინით, გაღმერთებთ. ძალას კი არ გატანთ, გევედრებით, გემუდარებით. არა, აქ გაუგებრობაა.

— არავითარი გაუგებრობა, — მოუჭრა ნინომ, — ახლა მე თქვენ არაფერს არ გეტყვით. თბილისში კი მოგახსენებთ. თუმცა, რა ბრალდებაც არ უნდა წამოგიყენოთ, განა არ ვიცი, თავს მაინც რომ გაიმართლებთ, განა თქვენ ლამაზი სიტყვები დაგელევათ! თქვენ უცნაური ადამიანი ხართ. თქვენ უცნაურად უყურებთ ცხოვრებას. ცხოვრება თქვენ ამქვეყნად გათამაშებული კომედია გგონიათ, სიყვარული კი — გასართობი რომანი, რომელიც მორიგ ეპიზოდად უნდა შევიდეს თქვენს

ბიოგრაფიაში. მაგრამ მე არ მცალია თამაშისათვის. ახლა მე მესმის თქვენი „სისხლიანი რომანი“. ჩვენი კავშირი, მართლაც, არასოდეს არ იქნება ბედნიერი. მაგრამ არსებობს კი ამქვეყნად ისეთი ქალი, რომელიც თქვენს ხელში ბედნიერი იქნება, თუ მას თავმოყვარეობა გააჩნია? იქნებ არსებობს კიდეც ქმრის მონად გაჩენილი რომელიმე ქალაქელი ფილისტერი ქალი. ან სოფლელი თავქარიანი გოგონა — ანგელინა ან ვენერა. აი, მას გისურვებდით ცოლად. ჩემი ცოლობის გამო კი დედათქვენს, იმ დარბაისელ, კეთილ და ჭკვიან ქალს ნურაფერს ნუ ეტყვით. ცოდვაა.

კორნელის თავზარი დაეცა და წამიერად თვალთ დაუბნელდა. მის თავზე ასეთი სახარების წაკითხვას ნინოსაგან არ მოელოდა. იგი ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა და არ იცოდა, რა ეპასუხნა ქალისათვის. გარღვეულ ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა და ნინომ კორნელის ფერმკრთალი, ტანჯვით მოცული და მდუმარე სახე რომ დაინახა, შეეცოდა და უთხრა:

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მტრებად უნდა დავრჩეთ. თქვენ ყოველთვის იპოვით ჩემში მეგობარს.

— გმადლობთ შებრალებისათვის. მე მოწყალების გამოთხოვნა როდი მჩვევია.

— თქვენ, როგორიც თავიდან იყავით, ისეთივე დარჩით. ჭეშმეტად ამაყი, ზვიადი და თავმოყვარე... არც ერთი ნასახი მონანიებისა...

— რა მოგივიდათ! — იყვირა ვარდომ და ნინოსკენ გაემარჯა. მას ელო და მისაც მიჰყვნენ.

— მშვიდობით, ნინო. — ძლივს ამოიღო ხმა კორნელიმ. — მშვიდობით. აი ეს ცა და ვარსკვლავები იყოს მოწმე, რომ მე თქვენს წინაშე დამნაშავე არა ვარ.

უკანასკნელი სიტყვები ვარდომ ცხადად გაიგონა და ტანში გაჟრჟოლა.

კორნელიმ ცივი ტუჩები შეახო ნინოს ხელს. მერმე ვარდოს და ელოს გამოეშვიდობა. მიწაზე დადგმული ჩემოდანი აიღო და გზას გაუდგა. მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ, იგი მთვრალივით ბარბაცებდა და ღობე-ყორეს ეხვეჭებოდა.

ასიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, გული შეუღონდა, სული ველარ მოითქვა და თვალთ დაუბნელდა. ძლივს მოასწრო, ქუჩის პირას, ვიღაც მოსახლის ეზოს ღობის მარგილისათვის წაევლო ხელი. მერმე მარგილი ხელიდან გაუსხლტა და ღობეზე იღლიით ჩამოეკიდა. „სიკვდილი მოვიდა“, — გაიფიქრა კორნელიმ და ის იყე მძლავრად ამოიგმინა, თითქო მთავარი სული აღმოხდაო.

მიხა შეშინდა: მივარდა, ხელი წაავლო და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ბიჭო?

— გულის შეტევა მომივიდა..: დაიცა, დაიცა, ნუ გეშინია, გამივლის! — ამშვიდებდა კორნელი. ისევ წაავლო მარგილს ხელი და თანდათან გასწორდა. კარგა ხანს იდგა ასე დედამიწას დაშტერებული. მერმე თავი ასწია, მიხას გაჟივით შეხედა და შესძახა:

— წავიდეთ, წავიდეთ მალე აქედან!

მიხა უკან მიჰყვებოდა და გაუბედავად ეკითხებოდა:

— რა მოხდა, რა გითხრა ნინომ ისეთი?

— ნუ მეკითხები. ყველაფერი გათავდა. ჩქარა მივიდეთ სადგურში, თორემ დავაგვიანებთ, — მიუგო კორნელიმ, თითქო სადგურში მისვლა, მატარებლით გამგზავრება და ქობულეთიდან გაქცევა უშველიდა. იგი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და მის თავში დაულაგებელი ფიქრები ტრიალებდნენ.

„სად უნდა წავიდე? დედასთან? როგორ უნდა მივიდე დედასთან მაყაშვილთაგან გაგდებული და შეურაცხყოფილი! რა სულელი, რა სულელი ვიყავი, სიყვარულით თავს რომ ვირთიბდი და ბედნიერებაში მნათობებს ვეჯიბრებოდი...“

კორნელი შედგა ცას აჰხედა. გაცრეცილი ღრუბლები გარღვეულიყვნენ და გაფანტულ ფარასაებრ მოედინებოდნენ. კორნელის მოეჩვენა — ღრუბლები კი არა, არამედ ღრუბელთა შორის მავალი ცთვარე მისცურავსო. თავბრუ დაეხვა და ისევ დედამიწას დააცქერდა. უცებ მაგრა ჩასჭიდა მკლავში ხელები მიხას და ჰკითხა:

— ვინ ეუბნება იმ ქალს ჩემს შესახებ ჭორებს? ვინ?

მიხამ გაოცებით შეხედა. კორნელიმ ისევ გაუმეორა შე-

კითხვა. მიხა დაიბნა. „ჩემი აღსასრულის დღე ძოვდაო", — გაიფიქრა და აბნეულად მიუგო:

— რა ვიცი! მეც მიკვირს.

— ოხ! — უყვირა კორნელიმ. — არ იცი! შენ არასოდეს არაფერი არ იცი! შენ სხვის ტანჯვას რას დაეძებ, ხიფათს ეძიებ, წყლიდან მუდამ მშრალი ამოდიხარ! თქვი: მოღალატე ხარ, თუ არა? თქვი, რას გაჩუმებულხარ, ენა ამოიღე, წყეულო! — შესძახა კორნელიმ და ორივე ხელით მკლავი ისე ლონივრად მოჰკაჭა, რომ კინაღამ არ მოსწყვიტა და ძვლის თავი ფოსოდან არ ამოუგდო. მიხა შეშინდა. სახე ტკივილით დაეჭმანჭა.

— მე რა ვიცი, ვინ გჭორავს და გღალატობს... მე არაფერი არ ვიცი... მე რა შუაში ვარ? — თავის მართლება დაიწყო მიხამ და ნაცემი ძაღლივით კორნელის უკან მიჰყვა.

„ალბათ, ძალიან ჰყვარებია ნინო, მის ჯარს ასე მწვავედ და ავადმყოფურად რომ განიცდისო". — გაიფიქრა მან და გაუკვირდა: „ნუთუ არსებობენ კიდევ ამქვეყნად ისეთი ბრიყვი და გულუბრყვილო ადამიანები, რომელთაც უზადო, რომანტიკული, რაღაც მაღალი სიყვარული სწამთ! რა უცნაური კაცი ყოფილა კორნელი! ასეთი შმაგი მიჯნურობა ახლა მართლაც სასაცილოა", — ფიქრობდა შეშინებული და ზნედაცემული მხატვარი.

ზღვა ღელავდა. ისევ ქაფშნის მომავალი მისი გმინვა ისმოდა და კორნელის მოეჩვენა, თითქო მიწა იძვრის და მის წიაღიდან დახშული გუგუნი მოისმისო.

უარყოფილი სიყვარულის გამო კორნელის გულ-ღვიძლსა და სულშიც ცეცხლი ტრიალებდა და მას ამ ზღვის წყალიც კი ვერ ჩააქრობდა.

ჯ

თერთმეტი საათის მატარებელი წასულიყო და რადგან გაშმაგებულ კორნელის ერთ ადგილზე გაჩერება და უმოძრაოდ ყოფნა არ შეეძლო, ბუფეტში შევიდა. მან და მიხამ ერთი ბოთლი არაყი დასცალეს. არაყმა უფრო გაახელა ისედაც აგზნებული ჭაბუკის გრძნობა და გონება.

კორნელი და მიხა ბაქანზე გავიდნენ და ვეება ვაკეზე

ტის ქვეშ გრძელ სკამზე დასხდნენ. სადგურის წინ, ნისლია-
ნი ღამის მდუმარებით მოცული ველი გაშლილიყო. ჭყანტო-
ბებში ბაყაყები თავისი დაღრენილი ლაშებით თითქო ციე-
ბის ცოდვა-მადლის განკითხვაზე ყიყინებდნენ. ქვენა ქარს-
ზღვის ქშენა, შხუილი, გმინვა, გუგუნი მოჰქონდა და უცნა-
ური ფიქრით მოცული კორნელი, ღამის წყვდიადს მოჯადო-
ებული გასცქეროდა. მიხა სკამზე წამოწოლილიყო და ხელებო
მკერდზე დაეწყო. ნაშუაღამევს ბაყაყების ყიყინი შეწყდა და
ზღვიდან უჩინმაჩინის ქუდით დახურული, უსახო ნისლი წა-
მოვიდა, ნესტიანი და წლით გაჟღენთილი, თითქო წვიმა თქო-
რავსო. ჩაძინებული პატარა სადგურის დანამული ლამპიონები
უსინათლოთა თვალებივით ბჟუტავდნენ ნისლიან ღამეში. დი-
დი სიჩუმე ჩამოწვა. სიჩუმეში ზღვის ქშენა და კაეშნის მომგვ-
რელი გმინვა უფრო მკაფიოდ ისმოდა. კორნელის მოეჩვენა,
თითქოს ამ გოლიათ სტიქიონსაც უსინათლო ღამის ეშინია
და თავის ობლობას უჩივისო. შორიდან ორთქლმავლის კი-
ვილი გაისმა.

კორნელი შეკრთა და მიხას დახედა. გულხელდაკრეფილ
მხატვარს მკვდარსავით ეძინა. კორნელიმ დიდხანს უცქირა და
რატომღაც შეეცოდა. ადგა და სკამზე გადაკიდებული პალტო
დაჰხურა. მერმე დაჯდა და ღამის წყვდიადს ისევ კაეშნით
გაჰხედა. საკვირველი იყო, რომ იგი ამ წუთას ნინოზე არ
ფიქრობდა...

ცოტა ხნის მერმე ორთქლმავლის კივილი უფრო ახლოს
გაისმა. მისმა ფარნის შუქმა წყვდიადში მკრთალად გამოაბ-
ჟუტა. ნელა და უღონოდ მიმავალი მატარებელი სადგურზე
ჩამოდგა. ბუფერებისა და რკინის ჯახანი და გულსაკლავი
ღრჭიალი ატყდა. სადგურის წინ ერთმანეთზე გადაბმული
უამრავი ცისტერნა ცხელ უდაბნოში მავალი აქლემების ქა-
რავანივით გაჩერდა.

დიდხანს იდგა ცისტერნების დადუმებული ქარავანი. მერ-
მე წელმოწყვეტილი დაიძრა, ისევ ღამის წყვდიადში შეერგო
თავი და გეზი ჭუთაისისაკენ აიღო. სადგურზე წამიერად ატე-
ხილი ხმაური და ფუსფუსი შეწყდა და ირგვლივ ისევ სიჩუმე
დამკვიდრდა.

შორს, ჭუთაისისაკენ მიმავალი ორთქლმავლის უნუგეშო
კივილი გაისმა და ჭობულეთის ველზე, ჯაგებში უხილავად

ჩასაფრებულმა და ყურებდაცქვეტილმა ტურებმა ისეთი შემზარავი ჩხავილი მორთეს, გეგონებოდათ, წყვდიადით მოცული მუნჯი ღამე ვერ აიტანეს, შეიცხადეს და ერთმანეთს უჩივიანო.

კორნელის ტანში გააჟრჟოლა და როდესაც ტურების კივილი შეწყდა და ისევ ზღვის გმინვა შემოესმა, საშინელი კაეშანი, ობლობა და მარტოობა იგრძნო, თითქო დაუსაბამო გზებზე უმიზნო ხეტიალით დაქანცული ჭაბუკი ამ პატარა სადგურზე, რკინიგზის პირას, ყველასაგან მიტოვებული დარჩაო. თვალწინ მაშინვე დედის სახე დაუდგა. კარისმეერთი, მშობლიური კერა, შუაცეცხლი, აგოია, ბავშვობა მოაგონდა და დედის ალერსი, მისი განუზომელი სიყვარული მოენატრა.

კორნელი ადგა, მიხასთან მივიდა და გააღვიძა:

— ადექ, საცაა ჩვენი მატარებელიც ჩამოდგება!

ნაწილი მესამე

ნანგრევი

აქ აღაშენა მეფემან ბაგრატ ყოვლად-წმიდისა ეკლესია მშვენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიის ქენჭით შინაგან ქმნული და, მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და, ჭრელითა და, სვეტებითა მისითავე და, ყოვლითა შემკობილებითა სრული და, ფრიად დიდი... შემუსრეს ოსმალთა და, წარიღეს სვეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს.

ვახუშტი

1

კორნელიმ და მიხამ ბნელ ვაგონში ზედა საწოლები დაიკავეს, თავქვეშ პატარა ჩემოდნები ამოიდეს და პალტოები წაიფარეს. მიხას მაშინვე დაეძინა, კორნელი კი ჭერს მიშტერებოდა. იგი ღია ფანჯარაში შემოჭრილი ქარის ხმაურსა და სტვენაზე გულში ჩახშულ აკვიატებულ მოტივს — გლუკის ოპერის „ორფეოსის“ არიას ჩუმად მღეროდა.

ის სიმღერა მოთქმით ტირილს უფრო ჰგავდა:

დამეკარგა ევრიდიკა,
ვერ ვეხვეწე მე მის თვალებს,
ნეტა თუ რამ შეედრება
ჩემს ჭირსა თუ სივალღულს!

ღამე შეუმჩნევლად ილეოდა. ცამ ღრუბელი გადაიყარა და ცისკრის ვარსკვლავმა ფანჯრის მინას ისე მიაშუქა, თითქო სხივის ალმასით სჭრისო. კორნელიმ ერთბაშად შესწყვიტა სიმღერა. სიცივე იგრძნო. ტანში გააჟრჟოლა და დარწმუნდა, რომ ნინოსთან ერთად სამუდამოდ ჰკარგავდა ყველაფერს, რაც წინათ მისთვის წმინდა და სათაყვანო იყო.

ბოლოს რიონის სადგურიც გამოჩნდა. კორნელი და მიხა ქუთაისისაკენ მიმავალ მატარებელში გადასხდნენ. ჯერ კიდევ ბნელოდა. მხოლოდ მთაზე გადმომდგარ მუხის ტყეში, მოახლოებული რიჟრაჟის გამო, ვარდისფერი ცა ილანდებოდა. მატარებელი რიონის ველზე გავიდა, მალე კორნელიმ ქუთაისიც დაინახა, თავისი მწვანე ბაღებით, ეზოებითა და შიგ ჩაღგმული პატარა, კოხტა სახლებით.

კორნელი და მიხა ქალაქში გავიდნენ, თეთრი ხიდი გაიარეს და მესხეთის ქუჩაზე სტეფანე მხეიძის ბინას მიადგნენ. ძმა შინ არ დაუხვდა კორნელის. იგი მეუღლითურთ კარისმერეთში წასულიყო დედასთან. რადგან დილიჟანსი კარისმერეთისაკენ დღის ორ საათამდე არ გადიოდა, კორნელიმ მიხას სახაშეში შესვლა შესთავაზა. ამდენ ხანს დადუმებულმა, მხრებაჩეჩილმა, თვალებდასისხლიანებულმა და ხმაჩახლეჩილმა მხატვარმა გაიღიმა, ცხენივით ვრძელი კბილები გამოაჩინა და ენა ამოიდგა:

— ნასვამი ვართ, ხაში მოვვიხდება.

2

სახაშედან გამოსული კორნელი და მიხა ჯაჭვის ხიდზე შეჩერდნენ და თვალლოდებიან კლდეებს შუა რიონის გრგვინვითა და ლაღი დინებით ვოიხიბლნენ. მერმე სოფლელებისავან ახალდაკრეფილი ლეღვი და ყურძენი იყიდეს, შეჭამეს და თეთრი ქვის კიბით ალმართს შეუდგნენ. კიბე ყათარიეთით ამ-

კობდა მთის კალთას. მთაზე რომ ავიდნენ, რიონის გალმა-ეა-მოღმა გაშენებული, ბაღებში ჩაფლული ქუთაისი გამოჩნდა. რიონის ველს იქით ზეკარისა და გურია-აჭარის მთებს ნისლი აეყარა. ლურჯი ცის ტატნობზე მძაფრად ახატულ ქედებს ამომავალი მზის სხივები მისდგომოდნენ. კორნელი სუფთა და მსუბუქმა ჰაერმა გამოაფხიზლა და, როდესაც ანკარა, ცივი წყაროს წყალი შესვა, შვება იგრძნო. მერმე ისა და მიხა შარაგზას დაადგნენ, ცაცხვებს ჩაუარეს და მალე ბაგრატის ცხისა და ტაძრის ნანგრევიც გამოჩნდა. კორნელიმ მიხას აუხსნა:

— აი, აქ იყო ოდესღაც დიდებული ციხე და ციხიდან რიონზე აგებული ხიდი. აქ იდგა მშვენიერი, დიდოსტატებს მიერ ნაშენი და რიონზე გადამდგარი მეფეთა სასახლე, ჭადრებით შემოფარგლული ფართო ასპარეზით. აი, ამ ტაძარში ადგამდა კათალიკოსი ქუთათელი გვირგვინს ბაგრატიონთა გვარის მეფეებს. ახლა იმ დიდებული ტაძრისა და ციხისაგან ნანგრევიღა დარჩენილა, ხოლო მეფეთა სასახლისა და პალატების ფუძეც კი წაშლილა და მათ ნაფუძვარზე ევროპოსის აი ეს სახლი და ყაზარმის მსგავსი რუსული სამინარია აუშენებიათ.

მხატვარი დუმდა და მისი გამოთაყვანებული გამომეტყველება აშკარად მოწმობდა, რომ იგი თავისი ქვეყნის წარსულს არ იცნობდა.

კორნელი და მიხა ბაგრატის ტაძრის გალავანს მიადგნენ. რკინის ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდათ. მალე გალავანში ცეცხლის ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი დარაჯი გამოჩნდა. უზარმაზარი გასაღებით ჭიშკარი გააღო და სტუმრები გალავანში შეუშვა.

კორნელიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დიდებული ტაძრის ნანგრევის წინაშე განცვიფრებული შეჩერდა. მას ბავშვობაში და მოწაფეობის დროსაც ჰქონდა ნანახი ეს ტაძარი, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად წარმოუდგა მისი მშვენება.

იგი გულმოკლული გასცქეროდა თურქების მიერ შემუსვრილ, გადაბუგულ, დანგრეულ, ნაპარტახარ და ჟამთა სიავისაგან განწირული ტაძრის ნანგრევებს.

უზარმაზარი ტაძრის ჩამოქცეულ გუმბათსა და მაღალ

კედლებზე ლეღვი, ბროწეული, თუთა და ბალახბულახი ამოსულიყო.

თავახდილი ტაძრის შიგნით ჩუქურთმიანი თვალწარმტაცი ლავგარდანები, ლოდები და სვეტისთავები ჰყრია. ავდარში წვიმა და თქეში ჩამოდის აქ, ქარბუქი და ქარიშხალი დაძრწის და ნადირივით ღმუის.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე მიწაზე წამოქცეული, ჟამისაგან დახრული, წვიმა-ავდრისაგან გამოქარული და მარადიული დუმილით მოცული ვეება სვეტები. ისინი განგმირული ბუმბერაზებივით წვანან მიწაზე, ხოლო წარმტაცი ჩუქურთმებით შემკული და იქვე დაყრილი მათი კოზმიდები და სვეტისთავები ომში დაცემულ გმირთა მუზარადებს მოგაგონებენ. ფეხზე დარჩენილი სვეტები კი თავის უსასრულო ტანჯვასა და წამებაზე მეტყველებენ. თუმც მათ არაფერი სიმძიმე აღარ აწვება — არც გუმბათი და არც კამარა, მაგრამ მაინც იდუმალი შრომით იტანჯებიან ისინი, თითქოს ოფლიც კი ჩამოსდით ტანზე. რა აწუხებთ და რა ტანჯავთ ამ გაუქმებულ და სიმძიმისაგან აწ სამუდამოდ გათავისუფლებულ სვეტებს? მათ აწვება გამოუთქმელი წუხილის სიმძიმე, ამიერიდან რომ ვერ ზიდავენ თავისი ძალოვანი მხრებით დიდებული ტაძრის მშვენიერებას. განა ამ ტანჯვას რაიმე შეედრება?! ცისკენ ატოტებული ხელებით დგანან გაუქმებული სვეტები, თითქოს ცას ევედრებიან: თავს დაგვატეხე ქარიშხალი, ელვა და მეხიო.

ასეთი აზრი ამოიკითხა კორნელიმ მათს გაქვავებულ დუმილში. მან ბაგრატ მესამის მიერ აგებულ შესანიშნავ ტაძარს სასოებით გარს შემოუარა, მსგავსად მლოცველისა. და როცა გელათის მხრიდან ამოსულმა მზემ ფიქრში წასულსა და ჟამთა სიავისაგან დანგრეულ, ყვითლად და სპილენძისფრად შეღებილ ბუმბერაზ შენობას პირველი სხივები მიაშუქა, ულდეში გამოჭრილი უზარმაზარი ლოდებითა და ჯავარიანი გათლილი ქვებით ნაგები და ჩუქურთმებით შემკული ძველი ტაძარი ისე წარმტაცად გამოჩნდა მთაზე, გეგონებოდა: იგი მშვენიერი ქუთაისის ნაზი აისისა და მზის ოქროსფერი სხივებისაგან არის შეთხზულიო.

კორნელი დადუმებული და განცვიფრებული იდგა დიდებული ტაძრის წინ და ნათლად წვდებოდა წინაპართა დიად

სულს, რომელიც მათს წარმტაც ქმნილებაში აღბეჭდილიყო.

უეცრად მას მოეჩვენა, თითქო წამოდგნენ ვეება სვეტები, თითქოს აღდგნენ მაღალი კედლები, კამარები და ბჭენი, აღდგა სოფიის კენჭებით შიგნით სრულიად მოოჭვილი, წითელი და ჭრელი მარმარილოს სპეტაკი ქვით შემკული ბუმბერაზი ტაძარი და მის სვეტებსა და კამარებს ცადაწვდილი, ვარვარა გუმბათი თავს დაედგაო.

მერმე საკმევლის სუნი ეცა კორნელის. ტაძარი კანდელებით და კელაპტრებით გაბრწყინდა, ჩუქურთმიანი ნიშები და სარკმლები აელვარდნენ.

დიდხანს არ იყო კორნელი გართული იმ წარმტაცი სურათის ჭვრეტით... მაშინვე ოსტატები დაინახა. ისინი ხარაჩოებზე ავიდნენ და თავისი ხელსაწყოებითა და დულაბით ბუმბერაზი ტაძრის ჩამონგრეული კედლის შეკეთებას შეუდგნენ.

ტაძარს ხის ჩრდილი მიადგა და ნანგრევი ისევ გულისმომკვლელ შთაბეჭდილებას ახდენდა... ბუმბერაზებივით მიწაზე განრთხმული და დადუმებული სვეტების გვერდით, ხის ქვეშ, მწვანე მოლზე კორნელიმ პალტო გააფინა და ზედ წამოწვა.

მკვდარი შენობის ნანგრევებმა თავისი დამსხვრეული სიყვარული მოაგონა. გუნება გაუცუდდა. ისევ საშინელი სიცარიელე, სიმარტოვე იგრძნო და მწარე ფიქრმა წარიტაცა: „ანგარებითა და უგულობით აღსავსე ხალხი. რას დაგიდევს ჰაღალ სიყვარულს და მიჯნურთა ბედნიერებას! უმაღლეს სილამაზემდე მისულ სიყვარულს ბოლომდე რომ ვერ შევინარჩუნებდი და იგი შურით, ბოროტებით, უგუნურობითა და უაზრო შემთხვევითობით აღსავსე ამქვეყნიურ სინამდვილის მიერ უოუოდ რომ დაიმსხვრეოდა, ადრე უნდა მცოდნოდა“. — მცდარად და ავად ფიქრობდა ახლა კორნელი და უმალვე მიხვდა, სატრფოს დაკარგვასთან ერთად, მის სულსა და გულში რომ ყველაფერი ინგრეოდა და სიხარულითა და შინაარსით აღსავსე მისი წინანდელი ცხოვრება თავდებოდა. და იწვა ახლა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, ყველასაგან მიტოვებული, დევნილი, სინდისის ქენჯნით შეძრწუნებული, ურწმუნო, უნდო და სულით ობოლი კაცი. დანგრეული ტაძრის კედელთან აღმართული ხარაჩოები ეშაფოტად ეჩვენა, რომელზედაც ის უნდა აეყვანათ და ჯალათს თავი მოეკვეთა.

მალე კორნელის მკვდარსავით ჩაეძინა. მიხა კი კიდევ დიდხანს დაეხეტებოდა ტაძრის ნანგრევთა შორის. იგი ლოდთან, სვეტთან, ხან სვეტისთავთან ძიდიოდა, სათვალეს ისწორებდა და გაოცებული აკვირდებოდა ქვაზე ნაოსტატევ, მშვენიერ და სახიერ ჩუქურთმებს: დედამიწის ნაყოფიერების გამომხატველ ყურძნის მტევნებს, ვასის დაწნულ-ჩახლართულ ლერწებს, ქვაზე ამოტვიფრულ ატოტებულ ლომებს, უცნაურ ფრინველებს, ქორბუდა ირმებს, ცხვარსა და კრავს...

3

კორნელის ერთბაშად გამოეღვიძა. მზე მაღლა იდგა და საშინლად აცხუნებდა. შუადღე იყო.

თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და სახიფათო წუთებში, კორნელი ხშირად მომავალი უბედურების მანიშნებელ და ამხსნელ სიზმარს ნახავდა ხოლმე, ან ისე ერთბაშად გაიღვიძებდა, თითქო ძილი დამფრთხალი ფრინველივით გაუფრინდა და ამას წინათ არც კი სძინებიაო. მაშინ მისი გონება და თვალი, რომელიც მანამდე ჩლუნგი და ბეცი იყო, ნათელი, ბასრი და შორსმჭვრეტელი ხდებოდა, გეგონებოდათ, მისმა მფარველმა ხელი შეახო და გამოაღვიძაო. ასეთ წუთებში იგი რთულ მოვლენებში ერკვეოდა, ყოველ წვრილმანსაც ამჩნევდა, საღად სწონიდა ყველაფერს და მტრის მიერ დაგებული ხაფანგისა და მომავალი უბედურებისაგან თავდასაღწევ საშუალებას აგნებდა, საჭირო გეზსა და გადაწყვეტილებას ღებულობდა.

ახლაც ერთბაშად გამოეღვიძა და იქვე მის გვერდით მძინარ მიხას გადახედა. ძილისგუდა მხატვარს ხელები მიეცვლებულივით მკერდზე დაეწყო და ხახა დაეღო. მზე მისდგომოდა და სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

„რა ჭირად მინდოდა, ნაგვით სავსე ეს ტომარა რომ ავიკიდე და კარისმერეთში მივათრევ? — ფიქრობდა კორნელი, — ვიცი, ეგ არის ჩემი გამცემი და მოღალატე. მეგობრობას კი მეფიცება! თუმცა მიხა რა შუაშია, მე თვითონ ვაი დამნაშავე ნინოს წინაშე. მაშასადამე, ჩემი მარცხი ჩემს გაბრაზულ ზნეობაში უნდა ვეძიო".

მიხასაც გამოეღვიძა. დაჯდა, თვალები ამოიფშვნიტა და კორნელის გაოცებით მიაშტერდა.

— იცი, მიხა, ნინომ უარი მითხრა ცოლობაზე, — მოულოდნელად უთხრა კორნელიმ.

— კააა-რგი ერთი... — გააბა მიხამ, — მარგარიტა ლეტკიზე ეჭვიანობს და იმიტომ...

— ნინო ისეთი ქალი როდი გახლავს, მხოლოდ მაგის გამო რომ უარი ეთქვა ცოლობაზე. არა, ეგ არ არის მთავარი მიზეზი.

— მაშ?

— ჩემი პოლიტიკური მრწამსი და ზნეობრივი ჩემი მერყეობა.

— ესეც არის.

— დაე, ასე იყოს. ჩემი რომანი დასრულდა. მე ახალ, ბრძოლით სავსე ცხოვრებას ვიწყებ. მე იმ ბრძოლაში ვებმები. რომელიც ესტატე მაყაშვილთა მსგავს ფილისტერულ ბუდეებს დაანგრევს... შეგიძლია გადასცე ყოველივე ეს მაყაშვილებს...

— რად-უნდა გადავცე? მაყაშვილები მეც მეზიზღება... — დაიწყო ლუღლუღი მიხამ და ცხვირზე ხათვალე წამოიგო.

მზით განათებული, დანგრეული ტაძარი კი კვლავ მდუმარედ იდგა. მხოლოდ ხანდახან გაისმოდა მის კედელთან ხარჩოებზე მდგარი კალატოზების ძახილი და ჩაქუჩის ცემა. ხანი ლოდებს შუა დარჩენილ ღრიჯოვან ადგილებსა და ბზარებში პალოსავით არჭობდნენ ქვებს, შიგ დუღაბს ასხამდნენ და ტაძრის კედლებს ამრთელებდნენ.

კორნელიმ საათს დახედა. საგოდებელი ადგილის დარჩა, შავით მოსილი თეთრწვერა ბერი მივიდა მასთან და ქვაზე ჩამოჯდა.

— გამოიძინე. ბატონო? — ჰკითხა მოხუცმა კორნელის.

— ტკბილად გვეძინა, — მიუგო კორნელიმ, დაამთქნარა, სახსრები გაამართა და თმა გაისწორა.

— ასე იცის კარგ ჰაერზე ცისქვეშ წოლამ, — ღიმილით შენიშნა მოხუცმა. კარგად გამოწყობილ, ჩემოდნიან სტუმრებს იგი მოწიწებით მისჩერებოდა და ვულში ფიქრობდა: ესენი თბილისიდან ჩამოსული ნასწავლი ხალხი ჩანან. ასე ადრე აქ რომ ამოვიდნენ, იქნებ საქართველოს სიძველეთა

მუზეუმის მომუშავენი არიანო, კორნელიმ თავისი და მიხას ვინაობა შეატყობინა და თან დასძინა:

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, თედორე, ამ დიდებულ ტაძარს ასე თავგამოდებით რომ დარაჯობ.

— ეჰ, რა დარაჯი ვარ, ბატონო, პურის ფულსაც არ მაძლევენ. რა ვქნა, როგორ გავანებო თავი ამ დიდებულ ტაძარს! ხალხი სულ მთლად ააოხრებს. ამ ციხისა და ტაძრის მახლობლად აშენებული სახლების ფუძესა და კედლებს ამ დიდებული ტაძრის ჯავარიანი და ჩუქურთმიანი ქვები აქვთ დატანებული. აქედან გაიტაცა ხალხმა.

კორნელის ტანში გააჟრჟოლა და შენიშნა:

— ჩვენ თვითონ ვღალატობთ, ვძარცვავთ, ვაპარტახებთ სამშობლოს და მტერი რა სიკეთეს დააყრის? აგაშენა ღმერთმა, დიდ საქმეს ასე უანგაროდ რომ ემსახურები!

— მეც ვიცი, დიდ საქმეს ვემსახურები... მაგრამ, ხომ მოგახსენეთ, ჯამაგირს არ მაძლევენ, — მიუგო ჯერ კიდევ ჯანიანმა, მსუქანმა და თეთრწვერა კაცმა. ცბიერად გაიღიმა და დასძინა: — თქვენისთანა ნასწავლი ხალხი ხანდახან აქ რომ არ ამოდიოდეს და ცოტა საჩუქარს არ მაძლევდეს, შიმშილით სული გამძვრებოდა... ვისღა ახსოვს ახლა ხატი და ჯვარი! ააშენა ღმერთმა ქუთაისის მუზეუმის დირექტორი, ამ ტაძრის შეკეთება დაიწყო, თორემ კედლები სულ მთლად დაინგრეოდა და ლოდებს ხალხი გაიტაცებდა. ღმერთმა აცხონოს გაბრიელ ეპისკოპოსის სული. სანამ იგი ცოცხალი იყო, ამ ეკლესიას და ციხეს თვალისჩინივთ უფრთხილდებოდა, ივი მეტად განათლებული, ჭეშმარიტად ღვთისმორწმუნე კაცი და ნამდვილი წმინდანი იყო. მე მისი ეპისკოპოსობის დროს ვსწავლობდი სემინარიაში.

თედორე მოჰყვა გაბრიელ ეპისკოპოსის მწიგნობრობაზე, კაცობაზე, სიქველეზე, ზნეობასა და წმინდანობაზე საუბარს და ბოლოს დასძინა:

— მეც ნამდვილი ადამიანი მინდოდა გამოვსულიყავი: კეთილი, მორწმუნე და ქრისტეს სჯულის მღაღადებელი. ჯერ იყო და, მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკვნად ვიყავი ქუთაისში. მერმე, ათონში ბერად აღვიკვეცე. მაგრამ ვინ გაცალა! ახალი თაობის ხალხმა ქვეყანა არია, ხატი და ჯვარი დაივიწყა, ეკლესია და მონასტრები გააუქმა და ახლა აგერ

ორი წელი იქნება, რაც ამ დიდებული ტაძრის უბრალო დარაჯად ვარ... მწამს, დიდხანს არ გაგრძელდება ასე. ისევ მოვა ხალხი ჭკუაზე, მამა-პაპის კვალს არ დაკარგავს, ისევ ძველ გზას დაადგება და ქრისტეს მცნებასა და ჯვარს დაუბრუნდება.

— არა, არ იქნების ესე, — საღვთო წერილის ენით მიუგო კორნელიმ. — ძველი ცხოვრება ვეღარ აღდგება, ისე, როგორც ეს დიდებული დანგრეული ტაძარი. მოკვდა ის ძველი დრო, ჩემო თედორე. ვეღარსად ნახავ ახლა ქრისტეს მცნებას ჭეშმარიტ მიმდევართ და მისი მოძღვრების მღაღადებელთ. იმათ ნაცვლად კარგა ხანია, რაც მატყუარნი, ხალხის მჭკვლეფელნი, ფარისეველნი, მანკიერნი და კაცთმოძულენი მოძრავლდნენ. ამ ტაძარმა წმინდად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. მას შემდეგ ქვეყანა გამოიცვალა და მოდის ახლა ძველი თაობის შემცვლელი, თავისუფლების მოყვარული ახალი თაობა. ივი შექმნის ჭეშმარიტი თავისუფლების ტაძარს. გამოიცვლება მალე ჩვენი საშობლო, ჩვენი ქალაქიც, რომელიც სოფელსა და დაბას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ქალაქს. იგი წალკოტად იქცევა, ბაღებით, ფართო ქუჩებით, სასახლეებითა და ქარხნებით დაშვენდება და წმინდად შეინახავს ამ დიდებული ტაძრის ხსოვნასაც...

თედორე ორჭოფად იღიმებოდა და, შეჭვების ნიშნად, თავს აკანტურებდა. მიუხედავად ამისა, როდესაც კორნელი და მახა წასასვლელად მოემზადნენ, იგი, საჩუქრის მოლოდინში, კორნელის ხელებში შესცქეროდა და თავის სიტიტვლეზე, შიმშილსა და გაჭირვებაზე წუწუნით თავს აცოდებდა. კორნელიმ გულის ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოიღო და ბერს მისცა, ბერმა კი არ გამოართვა, გამოსტაცა, კინაღამ ხელები დაუკოცნა. საეპისკოპოსო სახლამდე მიაცილა, ეზო დაულოცა და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა.

იხევ კარისმერეთში

ჩემი ფანტაზიის მეოხებით შექმნილი პირები არ მშობლდებიან და თან მდევენ. უფრო სწორად, მათში მე საკუთარ თავსაც ვხედავ.

— გ. ფლობერი

1

შალამბერიძის კანტორიდან დილიჟანსს დანიშნულ დროზე გასვლა ისევ აღარ ეღირსა. ბირჟაზე გალაწღანდარებული, გაწუწკებული და მთვრალი მედილიჟნე, დათიკო ჭაშაკაშვილი, რომელსაც ამ ერთი წლის განმავლობაში მეტი ღიპი დასდებოდა, ისევ სამიკიტნოში იდგა დახლთან, მსუნაგი ლაში ჩამოეგდო და მოქეიფე ხალხს შესცქეროდა, იქნებ ვინმემ დამპატიჟოს და ღვინო დამალევინოსო.

დიდი ვაი-ვაგლახის მერმე დილიჟანსი კარისმერეთისაკენ წავიდა.

როდესაც იგი კარისმერეთს მიუახლოვდა, მზე მთებისაკენ დაეშვა კიდეც.

კორნელი და მიხა გზის მცველის პატარა სახლთან დილიჟანსიდან ჩამოვიდნენ, შარაგზიდან გადაუხვიეს და გეზი კარისმერეთისაკენ აიღეს. გორაკზე ფართოაივნიანი მაღალი სახლი გამოჩნდა.

— ის ჩემი სახლია. აგერ, ძელქვებთან მდგარი ქოხი კი იონა ჩხეიძისა. ჯერ იონას ეზოში შევიდეთ, — უთხრა კორნელიმ მიხას.

მიხას ბევრი რამ ჰქონდა კორნელისაგან გაგონილი იონას ნაკითხობისა, მხატვრული გემოვნებისა, უცნაურობის შესახებ და მისი გაცნობა სწყუროდა. აქაფებულ, ჩქარ და ხევში მოგრიალე მთის მდინარეზე ბონდის ხიდით გავიდნენ. მეზობლებთან და ნაცნობებთან შეხვედრისა და საუბრის მერმე კორნელი და მიხა იონას ეზოს მიადგნენ და ღობეზე გადავიდნენ. როდესაც იონას ხეხილით სავსე „ღაბლა ეზო" გაიარეს, მზე ჩავიდა კიდეც. კორნელი არხზე გადებულ ბოგირზე შეჩერდა. ბოგირიდან ალმართი და „ბაღლა-ეზო" იწყებოდა, რომელშიაც ქოხისმაგვარი ფიცრული სახლი, ზედ მიდგმული სამზადი და ვენახი გაეშენებინა იონას.

ეზოში ქოლგასავით ოსტატურად გადაჭიმული და ტოტებდაშვებული უზარმაზარი თუთის ხე იდგა. ხეს კიბე ჰქონდა მიყუდებული. ზედ მოაჯირიანი სადგომი გაემართა იონას, რომელსაც ივი „სათვალთვალოს“, ხან კიდევ „სამზერს“ ეძახდა. ზაფხულის ცხელ ღამეებში აქ უყვარდა წოლა, ხოლო დილას და საღამოს — ჯდომა, ფიქრი და ბუნების ლაშაზი სურათის ცქერა. აქედან სვანეთის მთებისა და ზეკარის ხეობის მართლაც მშვენიერი ხედი იშლებოდა.

კორნელი და მიხა თუთის ხის ძირას რომ მივიდნენ, წინა ოთახში, ღია სარკმელთან ზურგშექცევით მჯდარი და გაზეთს კითხვით გართული კაცი შენიშნეს. ძაღლმა ყეფა ატეხა. სარკმელთან მჯდარი კაცი შემობრუნდა. ხის ქვეშ უცნობი პირები დაინახა. გაუკვირდა და გასძახა:

— რომელი ხარ მანდ! კორნელი! — იყვირა იონამ, მივიდა და ჭაბუკ მეგობარს გადაეხვია და გადაკოცნა.

— საიდან სადაო. წმიდა საბაო! ასე შეუმჩნევლად როგორ მომეპარე? — იძახდა ტილოს უბრალო ხალათსა და შარვალში გამოწყობილი იონა. კორნელიმ მიხა გააცნო და უთხრა:

— იცნობდე, მიხა მაჭავარიანი, ელო მაყაშვილის ქმარია.

— ქვისლები ყოფილხართ. აგაშენათ ღმერთმა, ამ მიკრუებულ სოფელში დარჩენილი ბერი კაცი რომ მინახულეთ, თუმცა, — მოუბრუნდა იონა კორნელის, — წელს ბედნიერი შემოდგომა დაგვიდგა: შენი ძმა სტეფანე და მისი ცოლი კატო, დეიდაშენი ელენე და მისი ქმარი დათა მიქელაძე, ბიძაშენი დიმიტრი და მისი ცოლი მაშო კარისმერეთში გვესტუმრნენ. მაგრამ, საბუხაროდ, ეკვენი არის ახლა ჩვენკან შორს — პარიზში. გუშინწინ ჩვენები ყველანი ბიძაშენთან — ოტიასთან ზედაზენში გაემგზავრნენ.

— დედაც ზედაზენში წავიდა? — ჰკითხა კორნელიმ.

— არა. ხომ იცი დედაშენის ამბავი, კარისმერეთის მიტოვება არ უყვარს. თანაც შემოდგომაა, რთველი კარზე მოგვადგა. ქალაქის ხალხის აყოლა სოფლელებს არ გვარგია, — გაიცინა იონამ და უმალვე აფუსფუსდა: — დაიცა, ეს ნაბგზავრი სტუმარი ეზოში რად გაგიჩერებია?! შინ შემობრძანდით, — მიიპატიჟა მან მიხა.

— არა, ჯერ დედა უნდა ვნახო, თორემ ეწყინება, — მიუგო კორნელიმ.

— ჰო, ეს მართალია. წავიდეთ თქვენსა, — დაეთანხმა იონა. — მადლობა ღმერთს, ქალები ზედაზენში არიან, თორემ შენს ჩამოსვლაზე წივილ-კივილს ასტეხდნენ. მეზარება ქალების ლაქლაქი, ფლიდობა და ფოლორცობა.

მიხა გაოცებით მისჩერებოდა ორმოცდაათ წელს მიღწეულ ჭაღარა წვერულვაშიან, ნახევრად მელოტ, წითურსა და ისისხლსავსე ჯანიან კაცს. მხატვარმა მაშინვე მიაქცია ყურადღება იონას მგზნებარე, შუქიან და დიდრონ თვალებს, კეხიან ცხვირსა და გაბერილ ნესტოებს, საფეთქლებზე დაჭიმულ ძარღვებს, მოკლედ გაკრეჭილ, სოლივით თეთრ წვერს, ტკიური კაცის მსგავსად გაბანჯგლულსა და შრომისაგან დაკოჟრებულ მის ხელებს.

იონამ ტანისამოსი გამოიცვალა, შავი შარვალი და ჩექმები ჩაიცვა, მხრებზე ჩაბალახსაყელოიანი მოსასხამი მოიგდო და თავზე შლიაპა დაიხურა. ასეთ ტანისამოსში იგი უფრო ახოვანი ჩანდა.

სახლის, სამზადის, ბოსელის კარი დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ყველანი ტერეზას ეზოსკენ გაეშურნენ.

2

იონამ მხატვარს ღობეზე გადასვლა არ აკადრა, რიკულიანი პატარა ჭიშკარი გაუღო და სტუმარი თავის მეზობლის — ტერეზას ეზოში შეუშვა. ძაღლმა მახარემ ყეფა ატეხა, გამოირქცა, კორნელის შეახტა, ფეხებში დაუტრიალდა, ხელი გაულოკა. პატრონმა თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერა.

ტერეზას მოჯამაგირე ბიჭმა აგოიამ შორიდანვე მოჰკრა თვალი კორნელის. „დედაია!“ — დაიძახა და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა, მაგრამ სათვალეებიანი უცნობი კაცი, შლიაპაში, მოსასხამსა და ჩექმებში საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული იონა რომ დაინახა, დაირცხვინა და გაჩერდა. იგი საგრძნობლად გაზრდილიყო. ახლა თითქმის მხარზე მოსწვდებოდა კორნელის. წუღები, შავი შარვალი და შავი უქამრო ხალათი ეცვა.

— გამარჯობა, აგოია! — უთხრა კორნელიმ, ხელი ჩაჰბოართვა და გადაკოცნა. მერე მიხას გააცნო:

— ეს ჩემი ძველი მეგობარია, აგოია ხვედელიძე, განჯ-

მუდი მეველე, ცხენოსანი, მეთევზე, მცურავი და ქრისტეს-ფეხისმჭამელი.

კორნელიმ ჯიუტ და ხეშეშ ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

— აგოიას ვეღარ იცნობ. ეს უკვე ჭკვაში ჩავარდნილი მუქაითი და მშრომელი ბიჭია, — უთხრა ღიმილით იონამ კორნელის.

აგოიამ თავი ჩაჰკიდა. კორნელიმ ნიკაპში ამოსდო ხელი, თავი ააწევინა და შავტუხა ბიჭს ჰკითხა:

— ვითომ, დავიჯერო ყოველივე ეს? — აგოიამ პასუხის ნაცვლად, ეშმაკურად გაუცინა.

— დედა სად არის? — ჰკითხა კორნელიმ.

— ბოსტანში, — მიუგო აგოიამ.

დღე და ღამე იყრებოდა. კორნელიმ ეზოში ჩქარი ნაბიჯით მომავალი დედა და მის უკან მაიკო დაინახა. დედა გაცისკროვნებული და მოღიმარი სახით მორბოდა შვილისაკენ, ბაგრამ უცნობი კაცი რომ დაინახა, შეჯდა, წინსაფარი, კაბა და თმა გაისწორა და მერმე ნელი ნაბიჯით წამოვიდა.

— ქვისლები მოვიდნენ, ტერეზა, ქვისლები! — გასძახა იონამ.

ტერეზა იღიმებოდა, რაღაც საალერსო სიტყვებს იძახდა, ბაგრამ აღელვებული შვილი მათ ვერ არჩევდა და გაოცებით მიშტერებოდა ერთი წლის განმავლობაში უკვე სავსებით გაჭაღარავებულ და გამხდარ დედას. დედამ გულში ჩაიკრა კორნელი. ახლა მაიკომ გადაკოცნა ქალიშვილის შვილი. კორნელიმ მიხა გააცნო მათ.

ყველანი მაღალ კიბეს მიადგნენ და ველიცირით — ცისვაზით გამწვანებულ და მორთულ აივანზე ავიდნენ. კორნელიმ და მიხამ პალტოები და ჩემოდნები ტახტზე დაალაგეს. იონაც მოიხადა ჩაბალახსაყელოიანი მოსასხამი და ყველანი მაგიდასთან დასხდნენ. ტერეზამ მაყაშვილები მოიკითხა და ნიხას უთხრა:

— ძალიან სასიამოვნოა, კარისმერეთში ჩამოსვლა რომ გადაგიწყვეტიათ, მაგრამ მიკვირს, ქალები რად არ ჩამოიყვანეთ?!

კორნელიმ იყუჩა, მიხამ კი მაშინვე მიუგო:

— საქმე ჰქონდათ... ვერ წამოვიდნენ...

— რაღა მაინცდამაინც ახლა წავიდნენ ჩვენები ზედაზენ-

ში! — სწუხდა იონა. — რა გაეწყობა, ნუ გეწინიათ: ჩვენ ხშ
უკეთეს დროს გავატარებთ. მართალი გითხრა, მე ცხოლოდ
სტეფანეზე და დათაზე მწყდება გული. დიმიტრის რას და-
ვეძებ, ბით უმეტეს ჭალებს. ელენეს, კატოს და მაშოს ფე-
ხებზე ჰკიდიათ შენი პოეზია და მხატვრობა. ოღონდ აჭამე
და ასვი, ჩააცვი და დაახურე და ბინა კარგად მოაწყობინე,
ეგ არის და ეგ... ხვალ ზედაზენში ახვალთ და თვითონვე დარ-
წმუნდებით.

— არა, ხვალ კორნელის და მის მეგობარს ზედაზენში არ
გავუშვებ. შენ გაართობ აქ პოეზიით და სიმღერებით, — გა-
ეხუმრა ტერეზა იონას და დასძინა: — ზეგ კი ყველანი ზე-
დაზენისაკენ გავწევთ. კვირას ოტიას ბავშვის — კაკილას ნათ-
ლობაა დანიშნული, ენაცვალოს მამიდა.

— ჩინებულია! მაშ დღეს აქ, ტერეზასთან, ვიქეიფოთ,
ხვალ — ჩემთან, ზეგ კი — ოტიასთან, ზედაზენში, — თქვა იო-
ნამ და მოულოდნელად საამო, ბოხი ხმით დაიწყო: «Наки-
ну плащ, с гитарой под полою».

სიმღერა დაასრულა, გადაიხარხარა, მერმე კორნელს ჰკი-
თხა:

— ლხინი და სიმღერა თუ იცის შენმა ქვისლმა?

— მიხას კონსერვატორია აქვს დამთავრებული. მხატვა-
რიც არის, ამის სურათები გამოფენაზე იყო. თანაც ოპერის
თეატრის დეკორატორია, — მიუგო კორნელიმ.

— ბიჭოს! რა ქვისლი გყოლია! სიმართლე გითხრა, შენი
მწერლობისა მეეჭვებოდა. მაგრამ „გოჯასპირი“ ძალიან მო-
მეწონა. ამ მოთხრობისათვის ტყუილად არ გიწოდებენ შენ
ბოლშევიკს. მოთხრობაში მეც რომ გამომჭიმე, მადლობას
გიძღვნი. ჩემი სახელი და გვარი თუმცა შეგიცვლია, მაგრამ
ყველამ, ვინც კი შენი „გოჯასპირი“ წაიკითხა, მაშინვე მიც-
ნო. ომში რომ ყოფილხარ და ასკერი მოგიკლავს, გავიგეთ.
კინოქრონიკაში არის აგრეთვე ნაჩვენები შევარდნებისა და
შენი ვარჯიშობა ვაკის სტადიონზე. ქუთაისში ყოფნის დროს
ვნახე. ნიჭიერი ხალხი ეზრდება, ტერეზა, ჩვენს ქვეყანას,
ნიჭიერი!

ტერეზას სულ სხვა რამ აწუხებდა:

— ეს ყოველივე კარგია. მაგრამ უნივერსიტეტში როგორ
არის შენი საქმე?

— მეორე კურსზე გადავედი. ვფიქრობ, სამ წელიწადში დავამთავრო, — მიუგო შვილმა.

— ყოჩაღ, — შეაქო იონამ და ახლა მიხას მიუბრუნდა: — მაშ, თქვენ მხატვარი ბრძანდებით? მე მიყვარს ფერწერა, მაგრამ პოეზიასა და მუსიკას უფრო მაღლა ვაყენებ.

— ლეონარდო და ვინჩი ამბობს: ფერწერა მუნჯი პოეზიაა, პოეზია კი ბრმა ფერწერაო, — შენიშნა მხატვარმა.

— რა კარგად და მოხდენილად უთქვამს. რა ღრმა აზრია! — აღტაცებით წამოიძახა იონამ და თვალები განაბა. მერმე ისევ რამდენჯერმე გაიმეორებინა მიხას ლეონარდო და ვინჩის აფორიზმი და დასძინა: — ეს უსათუოდ უბის წიგნაკში უნდა ჩავიწერო.

ამის შემდეგ საუბარი პოეზიაზე და ფერწერაზე ჩამოვარდა. ტერეზამ კარგად იცოდა, ხელოვნებაზე საუბარს იონა დიდხანს რომ არ დაასრულებდა. ამიტომ შინ და აივანზე ლამპები აანთო, მერმე მაიკო და აგოია წაიყვანა და ვახშმისათვის მზადებას შეუდგა.

ტერეზამ აგოიას ვარიები დააკვლევინა. ამ დროს აგოიას ჭამა, ყანაში მუშაობით დაღლილი გლეხი — დომენტი ხვედელიძეც მოვიდა. კორნელი გადაკოცნა და თბილისის ამბები გამოჰკითხა. მერმე ეზოში შეშა დააპო, კოკებით წყალი მოიმარაგა, მარანში ქვევრს თავი მოხადა და წითელი ღვინო „საფერავი“ ამოიღო. მაიკომ საქმეს ცეცხლი წაუკიდა და მალე შემწვარი ვარიები აქნა, ნიგვზით, ნივრითა და სურნელოვანი საკმაზით შეზავებულ ისრიმ-მაყვლის წვენში ჩააწყო. ხაჭაპურები და მჭადები დააცხო.

ვახშამმა ნაშუაღამევამდე გასტანა. ვახშმის ბოლოს მიხამ ისევ დიდის ამბით შესვა ტერეზას სადღეგრძელო. კარგ გუნებაზე დადგა, ღვინოს აქებდა, სულმოუთქმელად ყლაპავდა და იცინოდა. ტერეზამ უთხრა:

— მე ამას წინათ გკითხეთ, თქვენ კი არ მიპასუხეთ: რად არ ჩამოიყვანეთ თქვენ და კორნელიმ კარიბჭერეთში ელო და ნინო?

მიხამ ერთბაშად შესწყვიტა სიცილი. კორნელის მორიდებით შეხედა. შეეშინდა, თავი ჩაჰკიდა და დადუმდა. ტერეზამ ახლა შვილს ჰკითხა:

— რად არ ჩამოიყვანე ნინო?

კორნელი გაწითლდა და სიუგო:

— ნინო ავად არის. მგონი ციება შეეყარა ქობულეთ მერმე უხეშად დასძინა: — რა ვიცი, დედაჩემო, რა შ რა — ციება, თუ უქმური!

ტერეზას ეკალივით მოხვდა გულზე შვილის პასუხი დდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იონამ დაასწრო:

— ახირებული ქალი ხარ, ტერეზა. ესტატე და ვ მაყაშვილები კორნელის ანდობდნენ ქალს? ვერ ხედავ, ამოძუებული რომ ჩამობრძანდა კარისმერეთში? — ახლა ვარს მიუბრუნდა იონა და ჰკითხა: — მიხა, პანღური არ ჰკრეს და გამოაძევეს მაყაშვილებმა ქობულეთიდ ბიჭი?

— რასა ბრძანებთ, — ნაძალადევად გაუღიმა მხატ კორნელის დარდი შემოაწვა გულზე და მოიწყინა. ქობულეთი, ნინოსთან უკანასკნელი შეხვედრა, ქუთაის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები მოაგონდა.

— რად მოიწყინე? — ჰკითხა იონამ.

კორნელი დაიბნა და ცოტა ხნის მერმე მიუგო:

— დღეს დილით ქუთაისში ბაგრატის ტაძარი ვინა და ის მომაგონდა.

— ო, ბაგრატის ტაძარი დიდებული რამ არის, — შე იონამ.

— ახლა რაღაა! აბა, გონების თვალით წარმოიდგი ტაძარი, დაუნგრევლად რომ იდგეს მთაზე, რა ბუმბ და მართლაც დიდებული ნაგებობა იქნებოდა! — თქვა ნელიმ და ბაგრატის ტაძარზე, მის მცველ ბერზე და რიელ ეპისკოპოსზე ჩამოაგდო სიტყვა.

— გაბრიელ ეპისკოპოსი განათლებული და მორწმუ ცი იყო. მან დასწერა „ქადაგებანი“ და მეცნიერული „ფსიქოლოგია“ — დაიწყო იონამ. — მე მისი ნათესავი ქუთაისში სწავლის დროს მასთან ვცხოვრობდი. იგი მ და. გაბრიელი წინათ საერო კაცი იყო და უბედურებ ემთხვა. უეცრად ცოლ-შვილი გარდაეცვალა და ამის შ გლოვისაგან გულმოკლული ბერად აღიკვეცა, მერმე კოპოსად აკურთხეს. თქვენ უთუოდ ნახავდით ბაგრატის რის წინ საეპისკოპოსო სახლს. გაბრიელი იქ ცხოვრ

და სულით დაავადების ნიშნები დაეტყო. მისი ნათელი სახე თვალწინ მიდგას. ბაგრატის ციხის კედელთან, მთაზე დაჯდებოდა საღამო ჟამს, გელათის დიდებულ ტაძარს გასცქეროდა საათობით და რაზე ფიქრობდა ის ბრძენი და გონიერი კაცი, ვინ იცის? იქნებ, დაკარგულ ცოლ-შვილზე! იქნებ, საქართველოს წარსულ დიდებას მისტიროდა! არასოდეს არ დამავიწყდება მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთები. იგი კიდევ უფრო დასნეულდა და ბოლოს ლოგინად ჩავარდა. ხშირად მივდიოდი მის სანახავად. სიკვდილის ჟამსაც კი არ მოვშორებულვარ მის სასთუმალს, თუმცა ძალიან ძნელი იყო ნახევრად შეშლილი კაცის შექცევა, მით უფრო ყმაწვილი კაცისათვის. მეხუთე კლასის მოწაფე თუ ვიქნებოდი მაშინ. მისი აღსასრულის ჟამიც დადგა. ერთხელ ცნობადაკარგულმა მოხუცმა შემომხედა და ვერ მიცნო. საწოლზე წამოიწია და აღელვებით მკითხა: „მითხარი, სად არის ჩემი ცოლ-შვილი?“ ცოლ-შვილის დარდი სტანჯავდა და არ ასვენებდა უბედურს. არც კი დავფიქრებულვარ, ისე მივუგე: „სამოთხეში არის, ბატონო-მეთქი“. უნდა გენახათ, როგორ გაბრწყინდა მანამდე შეძრწუნებული მისი სახე. თვალები სიხარულის ცრემლით აევსო და მითხრა: იცოცხლე და გაიხარე, რა კეთილი და ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, შენგან ნამდვილი ადამიანი გამოვაო.

— რა საინტერესო ამბავია!.. ამ თემაზე შეიძლება შესანიშნავი ნაშრომი დაიწეროს, — აღტაცებით შენიშნა კორნელიმ და იონას ჰკითხა: — ნეტავ, ღმერთი, ქრისტეს აღდგომა, სამოთხე და უკვდავება თუ სწამდა გაბრიელს!

— შე კაცო, — იონას მაგივრად მიუგო ტერეზამ შვილს, — გაბრიელ ეპისკოპოსს ქრისტე ღმერთი, უკვდავება და სამოთხე რომ ეწამებოდა, ნუთუ გეეჭვება?

— არა, დედაჩემო, აქ მეტად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. გაბრიელი ხომ განათლებული, ფსიქოლოგიის დარგში მომუშავე კაცი იყო! შეუძლებელია, ღრმად არ ეფიქრა მას სიცოცხლისა და სიკვდილის, სიზმრების, ხორცისა და სულის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ამ საკითხებზე ფიქრმა მიიყვანა ამქვეყნად არსებული ყველა ხალხი ღმერთისა, იმქვეყნიური ცხოვრებისა და ადამიანის სულის უკვდავების იდეამდე. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვნენ რე-

ლეგენდები და მათ შორის ქრისტიანობაც. მაგრამ შეუძლებელია ისეთ მეცნიერ კაცს, როგორიც გაბრიელი იყო, სწამდა ის, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს: ადამიანის აღდგომა და სამარადჟამო ცხოვრება, სულის უკვდავება და სამოთხე. როგორც თვით ქრისტეს აღდგომა, აგრეთვე ქრისტეს მკვდართა აღდგინება ზღაპარია, რომელსაც საკაებით აბათილებს თანამედროვე მეცნიერება. ანატომიასა და ფიზიოლოგიას ვინც კი გასცნობია, მან კარგად იცის, რომ მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია, რომ ადამიანის სიკვდილთან ერთად კვდება არა მარტო ყველა ფიზიოლოგიური სასიცოცხლო ფუნქცია, არამედ ქრება სულიც. რადგან სული, რა გინდა მაღალი და საოცარი არ უნდა იყოს იგი, ადამიანის სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შედეგია, ცოცხალი სხეულის სასიცოცხლო პროცესების გამოვლენა, ტვინისმიერი ფუნქციების ჯამია და სხვა არაფერი. მაშ, როგორ შეეძლო გაბრიელს, მეცნიერების, ფსიქოლოგიის დარგში მომუშავე კაცს, სულის უკვდავება, მკვდართა აღდგომა და სამოთხეში მათი გადასახლება ერწმუნებია? აქ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაბრიელი, როგორც მეცნიერი, ჩამორჩენილი იყო, ან ორტოდოქსალურად ქრისტეს მორწმუნე, მეტაფიზიკოსი და მისტიკოსი, ან კიდევ — დიდი ტანჯვისა და მწუხარების გამო, ქრისტეს რელიგიაში ხსნის მაძიებელი. იმ ტანჯვამ და მწუხარებამ, უკვდავების ძიებამ და ეჭვმა დაასნეულა იგი. სიკვდილის წინ თქმული მისი სიტყვები დაეჭვებული კაცის ამოძახილია.

— მართალი გითხრა, — მიუგო იონამ, — მე ასე დაწვრილებით არ მიფიქრია ამ საკითხზე და ვერ გეტყვი, გაბრიელ ეპისკოპოსს მართლა სწამდა თუ არა ღმერთი, ადამიანის სულის უკვდავება და სამოთხე. შენი ცოლ-შვილი სამოთხეში არის-მეთქი, დასამშვიდებლად ვუთხარი მომაკვდავს. განა მართლა მწამდა! მე მაშინაც ზღაპრად მიმაჩნდა ქრისტეს აღდგომა, ადამიანის სულის უკვდავება და სამოთხე.

— მეც მანდა ვარ, — დაეთანხმა კორნელი, — რელიგია ილუზიაა! ღმერთი, საიქიო, სულის უკვდავება და სამოთხე სიკვდილის შიშით შეძრწუნებული ხალხის დასამშვიდებლად არის მოგონილი. გაბრიელ ეპისკოპოსს, ეტყობა, სწამდა და არცა სწამდა სულის უკვდავება. მას ეჭვი ღრღნიდა, იმი-

ტომ გკითხა სიკვდილის ჟამს: სად არის ჩემი ცოლ-შვილი და, შენ რომ უთხარი, სამოთხეშიო, ამით ის ეჭვი გაუფანტე და მისი სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილე: ეწამებინა სულის უკვდავება. შენ განუმტკიცე მას იმედი, რომ იგი კვლავ შეხვდებოდა სამოთხეში თავის საყვარელ და საყვარელ ცოლ-შვილს. რომელიც სიკვდილმა წაართვა. და რადგან ის იმედი განუმტკიცე, სწორედ ამიტომ გაიხარა, შვება და ნეტარება იგრძნო, დაგლოცა და ღვთისნერ, კეთილ ადამიანად გაცნო. იმედი, რომ იქ, სამარადჟამო ცხოვრებაში ისევ შევხვდებით ულმობელი ბედისწერის ბერ უღროდ მიტაცებულ ღვიძლსა და უძვირფასეს ადამიანებსა და მეგობრებს, საფუძვლად იქცა სულის უკვდავების რწმენისათვის. მაგრამ ეს რწმენა, როგორც უკვე ვთქვი, ილუზიაა, იგი ველარ აკმაყოფილებს თანამედროვე ეპოქის რეალისტურ მსოფლმხედველობაზე აღზრდილ ვინებას. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სრულიად აბათილებენ ადამიანის სულის უკვდავებაზე გავრცელებულ ზღაპარს.

ყველანი, განსაკუთრებით კი დედა, სულგანაბული უსმენდნენ კორნელის. ტერეზას უხაროდა ვინიერი შვილის ჯოლა. მაგრამ იგი მორწმუნე ქალი იყო და შვილის ათეისტური მსჯელობა აღონებდა.

— შენ ისე მოგეწონა და გაგიტაცა ჩემმა ნაამბობმა გაბრიელ ეპისკოპოსზე, რომ შეიძლება მოთხრობა დასწერო, — უთხრა იონამ კორნელის.

— გაბრიელის უკანასკნელი დღეები, და განსაკუთრებით კი ის შემთხვევა, რომელიც შენ მიამბე, მართლაც საინტერესო თემაა, მაგრამ იგი დიდად ნიჭიერ და ფართო გონების მქონე მწერალს მოითხოვს, — შენიშნა კორნელიმ.

დედამ კორნელის და მიხას სასტუმროში გაუშალა ლოგინი. დიდხანს არ დასძინებია. სწუხდა და ფიქრობდა, თუ რა მოხდა კორნელისა და ნინოს შორის.

3

დილით ადრე გამოეღვიძა კორნელის. მას სასთუმალთან სკაბზე ქარვისფერი კრახუნა ყურძნითა და ნაჭარბევით ტკბილი თეთრი ლეღვით სავსე ჯამი იდგა. ხილს ლეღვის ფოთ-

ლები ეფინა. ხილით სავსე ასეთივე ჯიხი მიხას სასთუმალთანაც იდგა. ეს აგოიას მოტანილი იქნებაო, გაიფიქრა კორნელიმ და ქარვისფერი, ცივი და დაცვარული მტევანი აიღო. მერმე ლელვის ფოთოლით ხელი გაიწმინდა, ფარდა გადასწია და ფანჯარაში გაიხედა. ყველაფერი მზით იყო განათებული. ეზოს და ეზოს იქით მიმდგარ მუხიან ტყეს, მწვანე, თვალწარმტაც მთების კალთებსა და შორეულ ქედებს მზის სხივები ეფრქვია და ისინი მკვეთრად ახატულიყვნენ ლურჯი ცის ტატნობზე.. ხეებს ქვეშ მწვანე მოლზე ფარდაგივით დაფენილიყო მუქი ჩრდილები. სინათლე და ჩრდილები მკვეთრად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. ცაცხვის ძირას ძროხა და ხბო ბალახს ხძოვდნენ და ბატები დაბაჯბაჯებდნენ. იქვე მამალი ინდაურები გამოსულიყვნენ, უხილავი ჯავრის გამო სისხლი თავში ავარდნოდათ, ხორთუმი და ბიბილო გალურჯებოდათ, ჩიჩახვი გაბეროდათ და აფხორილნი და გაფაფრულნი დაშვებულ ფრთებს მიწაზე ფარავით მიახახუნებდნენ, თითქო უხილავ მტერს ჩხუბში იწვევენო. კორნელიმ დიდხანს უცქირა მათ. მერმე ისევ მშვენიერ არემარეს მოავლო თვალი; „მხატვარი თუ ხარ, აიღე ფუნჯი, საღებავი და ეს მშვენიერი ბუნება დახატე", — გაიფიქრა მან. ფარდა დახურა და მიხას გადახედა, მხატვარი ღრმა ძილში იყო და უნებურად ხვრინავდა.

ცოტა ხნის შემდეგ კორნელი ადგა, ჩუსტებში ფეხები შეიკურა, ძველი შარვალი ჩაიცვა და პერანგის ამარა უკანა კიბით ეზოში ჩავიდა.

სახლის უკან, ვენება მსხლის ძირას, დაბალ და გრძელ სკამზე, ფიქრში წასული ტერეზა დამჯდარიყო და კრიალოსანს მარცვლავდა. ეს მსხალი განთქმული იყო ოდესღაც თავისი ტკბილი და წვნიანი ნაყოფით, ახლა კი უნაყოფო ხედ ქცეულიყო, სიბერე შეპაროდა, მუქთამჭამელი ფითრი მოსდებოდა, ჩრდილოეთის მხრიდან კი ტანზე ხავსი მოჰკიდებოდა და თეთრი სოკოები ხორცმეტივით გასჩენოდა. ამ ხის ღეროები დათვლილი იყო.

სამზადში მაიკო ფუსფუსებდა და საჭაპურებს აცხობდა, აგოიას კი ჭალაში გაერეკა საქონელი.

კორნელი დედასთან მივიდა, მის გვერდით დაჯდა. ფიქრში წასული და შავებში მორთული ტერეზა მგლოვიარე ჰი-

რისუფალივით იჯდა მსხლის ქვეშ ეზოში. დიდი ხანია, რაც კორნელის არ ენახა იგი ამ ძველებურ, გრძელ შავ კაბაში, შავ აბრეშუმის კოფთაში, რომლის გულისპირი და გრძელი სახელო შავივე მაქმანით იყო მორთული. ძვლის ჩხირებით გამაგრებულ მაღალ საყელოსაც შავი მაქმანი ჰქონდა შემოვლებული. ნიკაპს მიბჯენილი შავი კოფთის მაღალი საყელო მძაფრად აჩენდა გამხდარი, ჭაღარა ქალის პუდრშერფქვეულ, გაფითრებულ სახეს და მსახიობის ნიღაბს ამსგავსებდა. შეთხელებული ჭაღარა თმის ნახვევი სავარცხლით დაემაგრებია კეფაზე. ოქროს მანიკი, ძვირფასთვლიანი ბეჭდები და საყურე გაეკეთებია. იგი ძვირფასი ტანისამოსით, სამკაულით მორთულ-მოკაზმულიყო. ფეხებზე შავი ლაკის ტუფლები ჩაეცვა.

კორნელი გაშტერებით შესცქეროდა მდუმარე და ფიქრში წასულ დედას. მას სკივრიდან ამოღებული ნაფთალინმოფრქვეული, ძველებური ტანისამოსის სუნი ეცა და დედას უთხრა:

— დიდი ხანია ამგვარად ჩაცმული და მოკაზმული არ მინახავხარ, დედაჩემო. ალბათ, ვიღაც დიდ, წარჩინებულ და პატივსაცემ სტუმარს მოელი?!

— არავის არ მოველი, შვილო, მაგრამ დახეულ-დაგლეჯილი რისთვის უნდა ვეჩვენო მიხა მაჭავარიანს? იცოდეს, რა ოჯახის შვილი ხარ, — მიუგო დედამ.

— მიხა მაჭავარიანი ასეთი საზეიმო დახვედრის ღირსი არ არის.

— როგორ? იგი მალე შენი ქვისლი გახდება, თანაც მხატვარი და მომღერალი ყოფილა. მისი თვალი ყველაფერს შეამჩნევს... არ მინდა, მაყაშვილებს ჩემზე რამე ცუდი უთხრას.

— რაც სათქმელი იყო, უკვე უთხრა. ახლა გვიანღაა.

— როგორ?

— მას ენაზე არაფერი არ ამაგრდება. ეგ ერთი ბედოვლათი, უნებისყოფო, ლოთი, უზნეო და ავადმყოფი კაცია.

— რა სჭირს?

— ცუდი ზნე სჭირს: კლეპტომანია. მეშინია, არ გაიღვიძოს და სასტუმროში რაიმე არ აიცოცოს.

— საცოდავი, როგორი განათლებული, კულტურული და წესიერი კაცი ჩანს!

— ჩანს მხოლოდ. სხვას კი არა, მშობლებსაც ჰარავს ფულსა და ნივთებს. მიკვირს, რად დაჰყვა ასეთი ზნე! მამამისი ხაზინის მოხელე, წარჩინებული, წესიერი კაცი, დედა კი კეთილი, გულმართალი, ღვთისნიერი რუსი ქალი.

— რად მოათრევდი კარისმერეთში ქურდსა და უზნეო კაცს?

— რა ვუყო? ამეკიდა და არ მეშვება...

— მართალი გითხრა, ძალიან მიკვირს შენი ლაპარაკი. მან გუშინ ჩემზე ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი შენს გულითად მეგობრად ჩავთვალე. ძმადნაფიცი მეგონა. შენ კი რას ამბობ?

— საქმეც ეგ არის. განა უჭკუო და უნიჭოა! მას შეუძლია იყოს ვისიმე მეგობარი, უყვარდეს კიდეც იგი და ამავე დროს უღალატოს მას. მიხა შინაგანად დაცლილი, განწირული კაცია.

ტერეზამ კრიალოსნის მარცვლა მიატოვა, მობრუნდა, წარბი ასწია, შვილს ჭკვიანი და წყლიანი თვალები შეანათა და ჰკითხა:

— რა ბოროტება ჩაიდინა მან შენს წინაშე?

— ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. მოკლედ გეტყვი: იგი შურიანი კაცია, ცოლი დასცინის და მონასავით მბრძანებლობს.

— რა ცუდი ქალი ყოფილა ელო.

— ელო ისტერიით დაავადებული ქალია.

— მიკვირს.

— ხომ იცი, თავადთა შორის ბევრი გადაგვარებული შეგხვდება. ელო ხან გაეყრება და ხანაც შეურიგდება ქმარს. როდესაც მიხას უთანხმოება მოსდის ცოლთან და საქმე გაყრაზე მიდგება, მაშინ იგი ცდილობს ნინოსაც შეაძულოს ჩემი თავი და ჩემსა და ნინოს შორის უთანხმოება ჩამოაგდოს.

— რა ანგარიშია მისთვის?

— თუ მე არ ვიქნები მაყაშვილთა სიძე, დაე, ჩემი მეგობარიც ნუ იქნებაო, ფიქრობს. ასე უხდის იგი ელოსა და მაყაშვილებს სამაგიეროს შეურაცხყოფისათვის.

— რა უცნაური კაცი ყოფილა! ასეთ კაცთან მეგობრობას არ გირჩევ, — უთხრა ტერეზამ შვილს. ისევ კრიალოსანს

დაოცვლას ძეუძგა და ძკოძე დიხჯად და კაეცხით დაიწყო: — ყველაფერი რიგზე არ ყოფილა შენსა და ნინოს შორის. მე გუშინაც ვიგრძენი ეს. არ მომეწონა შენი ნაოქვამი: რა ვიცი, ნინოს ციება თუ უემური შეეყარაო. საყვარელ ქალზე ასე არ ამბობენ. იქნებ არც კი არის ავად და კარისმერეთში წამოსვლა არ ისურვა. რადგან შენით არის უკმაყოფილო. მითხარი, რა მოხდა?

— არაფერი ისეთი არ მომხდარა, — მიუგო კორნელიმ.

ამ დროს უკანა აივანზე მიხა გამოვიდა და ტერეზას დიდის ამბით, მორიდებით და მოწიწებით მიესალმა. ტერეზამ დილა მშვიდობისა უსურვა და შვილს ჩუმად უთხრა:

— წადი, სტუმარს მიხედე. თუ დაბატონე, მასპინძლობაც უნდა გაუწიო.

4

ტერეზამ აივანზე გაშალა სუფრა. მიხას და კორნელის ჩაით. მურაბით, რძითა და ხაჭაპურებით გაუმასპინძლდა.

იონას მზის ამოსვლამდე უყვარდა ადგომა და სამი, ოთხი საათის ნუშაობის მერმე წაძინება. ახლა სამუშაო ტანისამოსი გამოეცვალა და ისე როგორც გუშინ, სუფთად ჩაცმული ავიდა აივანზე და მიხასა და კორნელის მიესალმა. მას ძალიან სიამოვნებდა მწვრილისა და მხატვრის ჩამოსვლა და მათთან საუბარი.

ტერეზა დინჯად იჯდა სუფრის თავში, მიხას უმასპინძლდებოდა და დარბაისლურად ესაუბრებოდა. მან კარგი და უნაკლო რუსული იცოდა. მაგრამ იგი ისეთ წვრილმან ამბებზე საუბრობდა, რომ იონას სწყინდა. იონას საყვარელი თემა ხელოვნება, ფილოსოფია და პოლიტიკა იყო.

აივნიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. სამხრეთით — მთაშუბანი და ზეკარის უღელტეხილი ჩანდა, ჩრდილოეთით კი — რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები. მხატვარი აღტაცებული გასცქეროდა მარადი თოვლით დაფარული მწვერვალების თეთრულდისა და უშბას მწვერვალებს.

— აჰ, საცა არ გაიხედავ, ყველგან წარმტაცი სურათია, — განაცხადა მან. მერმე ლამაზად მოსევადებული ვერცხლის კოვზი აიღო, პენსნე გაისწორა და ხანგრძლივ დააცქერდა.

ტერეზამ გაიფიქრა: დედის ნამზითევი ეს იშვიათი კოვზები არ მომპაროს ამ შეჩვენებულმაო.

საუზმის ბოლოს ჭალიდან დაბრუნებულმა აგოიამ ყურძენი და ლეღვი მოიტანა. კორნელიმ უთხრა:

— აგოია, მოდი ბიჭო, სათევზაოდ წავიდეთ.

აღტაცებული ბიჭი მაშინვე დასთანხმდა.

— ბადე რა დღეშია?

— ჯერ კიდევ გვემსახურება.

— მაშ, წადი, გამართე.

ტერეზამ კორნელი გაიხმო და უთხრა:

— დღეს სტუმრები გვეყოლება და ნუ დაიგვიანებ, ადრე დაბრუნდი.

კორნელიმ ძველი შარვალი, ხალათი ჩაიცვა და მერმე ყველანი — იონა, მიხა, კორნელი, აგოია და ძაღლი მახარეც — მდინარისაკენ გაეშურნენ. ეზოში იულო დურგლის მიერ გაკეთებულ ორძელს რომ ჩაუარეს, კორნელიმ ვერ მოითმინა, ზედ შეხტა, გაქანდა და ყირა გააკეთა, შარვალდაკარწახებულმა აგოიამ სასროლი ბადე, კასრი მიწაზე დააგდო და ისიც ორძელზე აცოცდა, აიმართა, გაქანდა და მანაც ყირა გააკეთა, მაგრამ შიშველი ფეხები სასაცილოდ გაჩაჩხა. მისი უქამრო ხალათი დაეშვა, თავზე გადაეფარა და ყურძნითა და ლეღვით გაბერილი და მზეზე გატრუსული მუცელი გამოუჩნდა.

— შეხედე ამ ჭინკას. კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახიროო! — დაიძახა იონამ. აგოია კი უხეიროდ ჩამოხტა ორძელიდან და კორნელის შეხედა.

— ყოჩაღ, ბიჭო, — შეაქო კორნელიმ და თავში წაუტიალა.

მეთევზეებმა მინდორი გადაიარეს, მთიდან კლდეებს შორის ჩქარა და გრიალით მიმავალ მდინარეს მიადგნენ და ალმა ხეობისაკენ აჰყვნენ. მზე აჭერდა და თევზაობის დრო უკვე გადასულიყო, მაგრამ შორს, მთაში მოსული წვიმის გამო, კალმახთა სიმრავლით ცნობილი მდინარე ამღვრეული მოდიოდა.

კორნელიმ ტანისამოსი გაიხადა. ტრუსების ამარამ ცივ მდინარეში ფეხი შესდგა, წყალი თავსა და ტანზე გადაიცლო, მერმე ტყვიებასხმული ბადე აიღო, მხარზე მოიგდო და ჩქე-

ლებში შევიდა. ტალღა მაგრად სცემდა ფეხებში, აჭცევდა და წყალში სვლას უძნელებდა. შარვალდაკარწახებულმა აგოიამ ტირიფებს წნელები შეატეხა და კასრით ხელში მიჰყვა კორნელას. იონა და მიხა კი თევზაობის საცქერლად ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ.

კორნელი ხეებით დაჩრდილულ მორევს მიადგა. ბადე მოქაჩა და წყალში გადააგდო. ბადე გაიშალა, კარგად დაჰფარა წყლის ზედაპირი და ჩაიძირა. მერმე გადაბრუნებული ძაბრივით გაშლილი ბადე მეთევზემ ფრთხილად ამოზიდა, წყლიდან ამოიღო და ნაპირზე დააგდო. ბადეში ხუთი კალმახი ფართხალებდა. მიხა სიხარულისაგან შეხტა, ტაშისცემას, ხვიხვინს მოჰყვა და ყვირილი მორთო:

— ვა, რამდენი თევზი ამოჰყვა ბადეს! კალმახები, კალმახები!

მახარეს გაეკვირდა და შეუყვირა. იონამ ძაღლი დატუქსა. აგორა კი ჭორივით დაეცა თავზე აფართხალებულ თევზებს, დაიჭირა, ბადიდან ამოიღო, ლაყუჩებში ტირიფის წნელი გაუყარა და ზედ ჩამოაგო. მერმე წითლად დაწინწკლული, ბოლოკორძო-სადაფისფერი კალმახები წყლიან კასრში ჩაჰყარა. იგი ახლა არც კი იღიმებოდა, დინჯად მუშაობდა და საქმიანი კაცის სახით კორნელის ისევ ჩქერებისაკენ მიჰყვებოდა: თევზაობამ კორნელის თავიდანვე გაუმართლა. წყალში ბადე ისე არ გადაუგდია, კალმახი, მურწა ან ფიჩხული მაინც ან ამოჰყოლოდეს. შიგადაშიგ ბოლოწითელაც ამოჰყვა ბადეს. კასრი ითქმის აივსო. ბოლოს კორნელის მოსწყინდა თევზაობა. ტყვეებასხმული ბძიმე ბადის თრევითა და წყალში სიარულით დაიღალა კიდეც. იგი გასავათებული ამოვიდა მდინარიდან და ჩრდილში, ხავსიან ლოდზე ჩამოჯდა.

ბაღის სასროლ ადგილთა ძებნაში შეთევზენი შორს აჰყოლოდნენ მდინარეს. ამ სნის განმავლობაში იოხა და მიხა სავსებით დამეგობრებულიყვნენ. იონა მშობლიური კუთხის ლაშაზ ადგილთა დასახატავად კარისმერეთში იწვევდა მიხას. მიხა კი თბილისში ეპატიჟებოდა: ოპერის თეატრის დეკორატორი ვარ და პარტერში, რამდენიც გინდათ, იმდენ უფასო ბილეთს გიშოვნითო, პირდებოდა. კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ, სოფელში გამუდმებით მცხოვრებ ინტელიგენტს სიამოვნებდა მხატვრის მიერ თბილისში მიპატიჟება. ის კი

ხრ იცოდა, მხატვარი რომ ჯიბეგაცვეთილი იყო, სხვის ჯიბეს მისჩერებოდა, ნაცნობ-მეგობრებს ჩანგალზე აგებდა და სხვის ხარჯზე ცხოვრება უყვარდა.

მიხა ბანაობის გუნებაზე მოვიდა. მანაც გაიხადა ტანისამოსი, კარგი საცურაო ადგილი შეარჩია და კორნელისთან ერთად წყალში გადაეშვა. ორთავენი კარგად ცურავდნენ, შორს წასულ აგოიას კი ბადე მოეგდო მხარზე და ახლა ის განაგრძობდა თევზაობას, თუმცა ბადეს ძლივს ერეოდა და იჭაჭებოდა.

კორნელი და მიხა წყლიდან ამოვიდნენ, სილაში გაგორდნენ და ამოიგანგლნენ. ცოტა ხნის მერმე ისევ გადაეშვნენ მდინარეში, ითნა ღიმილით უცქეროდა მათ ცურვას, ყვინთვას, ერთმანეთთან გაჯიბრებას. მიხა ისე გათამამდა, რომ სილიან ნაპირზე წყლიდან ამოსულ კორნელის დაეტაკა და ჭიდაობაში გამოწვია. მიხა ღონიერი, მაღალი, ზორბა, ძვალმსხვილი, მხრებში ოდნავ მოხრილი იყო, კორნელი კი — წელში წვრილი, ბეჭებგანიერი და მკერდმაღალი. გავარჯიშებული და მაგარი კუნთები მკვეთრად შემოჰგრაგნოდნენ გამართულ ტანზე. მიხამ ხელი წაავლო კისერში და ძალუმად შეარყია. კორნელიმ მარჯვენა ხელი ჩასჭიდა მარცხენა ხელის მაჯაში, მარცხენა კი კავივით ამოსდო იღლიაში. სწრაფად მოზიდა, მიხა შეაბრუნა, ზურგში მოექცა, ასწია და მიწაზე დადო. მიხა წამოიჭრა, ბეცი, უსათვალო, ბრაზიანი თვალები დააცეცა და კორნელის ეცა. ახლა მარჯვენა ხელის მაჯაში ჩასჭიდა მარცხენა ხელი კორნელიმ, ზურგით შებრუნდა, დაჭერილ ხელს ტანის მთელი სიმძიმით დააწვა და მიწაზე დაეშვა. მიხა გადაჰყვა და კორნელიმ ქვეშ ამოიდო. ახლა უფრო გაცხარდა მიხა, მოულოდნელად შეუვარდა წელში კორნელის, მაგრამ კორნელიმ ფეხი გაიდგა, ხელისგულებით ნიკაპზე მიაწვა და წელზე შემოხვეული ხელების სალტე გააწყვეტინა. შებრუნდა, ზურგით მოექცა, კისერში წაავლო ხელები, წამოიკიდა, წამოიღო და ამოდენა კაცი უმოწყალოდ დააგდო სილაზე. ახლა კი დაცხრა მიხა.

აგოიას თევზაობა მიეტოვებინა და აღტაცებით შესცქეროდა ჭიდაობაში მიხას და კორნელის შერკინებას, ითნას შერცხვა, სტუმარს ასე გამეტებით რომ აგორავებდა კორნელი და შესძახა:

— რაყეზე ჭილაობა ვის გაუგონია, რამეს იტყვენთ!

— ვეგ ხერხით მჯობნის და არა ღონით, — უთხრა გაფითრებულმა და სველ სილაში ამოგანგლულმა მიხამ იონას. მერმე კორნელის მიუბრუნდა და ძალოსნობაში გამოიწვია:

— აბა, მოდი, ეს ლოდები ავწიოთ.

მიხამ დიდი ლოდი აიღო და თავისუფლად ასწია, კორნელის კი გაუჭირდა. ახლა ყველაზე დიდი ლოდი შეარჩია მიხამ, მკერდამდე მიიტანა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ასწია. მაგარი და მრწაზე ბოძებივით დაბჯენილი ფეხები აუძაგძაგდნენ. შიხა წელში გაიდრიკა. უხვად ჩასუნთქული ჰაერის გამო მკერდი და მოშვილდული ნეკნები ამოეზიდნენ. მოკლე ცხვირის გამოღადრული ნესტოები რაყეზე გამოგდებული თევზის ლაყუჩებივით უთრთოდნენ. სახე სისხლით დაებურა, კისრის ძარღვები დაეჭიმნენ და, ვეება ლოდის სიმძიმით გატანჯულს, შუბლზე ოფლმა გამოჟონა.

კორნელიმ მკერდამდეც ვერ მიიტანა ის ლოდი, იონამ მიხა შეაქო: ჰერკულესი ყოფილხარო, თანაც შეშურდა მისი ღონე და კორნელის ხერხი და სიმარდე.

კორნელიმ და მიხამ ჩაიცვეს და აგოიასკენ წავიდნენ. იონაც მათ გაჰყვა. კალმახებით სავსე კასრში ჩაიხედა. კმარა თევზაობაო, — დაიძახა.

ამ დროს აგოიამ ბადე მოიქნია და მორევში გადაავდო. იგი ვეება ლოდზე შედგა და ბადე იქოთკენ დაითრია. უცბად კორნელიმ ბადეში გაცვეული, მზის შუქზე სადაფისფრად მოელვარე, ერთი ადლის სიგრძე თევზი დაინახა. გაოცდა და აგოიას გასძახა: დაიცა, ბადე არ გაგლიჯოს და არ გაგიქცესო. დაჯდა და ფეხზე გახდა დაიწყო, მაგრამ აგოიამ თევზს თავში და ლაყუჩებში წაავლო ხელი და ლაჯებში ამოიდო. თევზი სწრაფად და მძლავრად იქნევდა ტანს, აგოიას შიშველ მუხლებზე ნიჩაბივით სცემდა ბოლოს და თავგანწირვით იბრძოდა. მერმე ძალა გამოელია. აგოიამ ხელი ძლიერ მოიქნია და ნაპირზე ისროლა... დიდხანს ხჭოდა და ებრძოდა სიკვდილს რაყის ქვებზე ნაცემ-ნაბეღვი და გასისხლიანებული ბოლოწითელა. კორნელიმ დაიჭირა, ტრიფის დიდი წნელი გაუყარა ლაყუჩებში, წყალში ამოავლო. სისხლი, ტალახი ჩამოერეცხა და მაღლა ასწია. გამოცოცხლებულმა თევზმა ერთხელ კიდევ მოიქნია მძლავრად ბოლო და მკრთე, ჭი-

რიფის წნელზე ლაყუჩებით ჩამოკიდებული, დაიკლაკნა და აცახცახდა. მიხა შეკრთა და განზე გახტა.

— რა სიმარდე, სილაღე, სიცოცხლის წყურვილი და ძალა არის შთანერგილი ამ პატარა არსებაში! — გაკვირვებით უთხრა კორნელიმ იონას და მიხას.

ქაქილას ნათლობაზე

საიდუმლო ორშაო,
თუ მესამე გაერია,
საიდუმლო იცრა.

ანდაზა

1

ნასადილევს, საღამო ჟამს ტერეზა, იონა, კორნელი და მიხა ზედაზენისკენ გაემგზავრნენ. ტერეზა კამეჩებშებმულ ურემზე იჯდა. ურემი ისევ დომენტი ხვედელიძეს მიჰყავდა. კორნელი და მიხა რიგრიგობით ჯდებოდნენ ტერეზას ცხენზე — ხაბარდულაზე. იონამ კი ქვეითად სიარული აირჩია. ორი აღმართი და მდინარე რომ გაიარეს, დაღამდა კიდეც. ბოლოს ბნელეთის აღმართი გალიეს და მთის კალთაზე გაშენებულ და მესერშემოვლებულ ვენახს — ოტია მდივნის მამულს — „ნამინდვრალს“ მიადგნენ.

„ნამინდვრალს“ დიდი ფართობი ეკავა. მსხმოიარე ვაზები, კრახუნა, ცოლიკაური, ციცქა და საფერავი რიგ-რიგობით მისდევდნენ ერთმანეთს. კორნელის გულმა ვერ გაუძლო, ღობეს სარები ამოჰგლიჯა და ის და მიხა ვენახში შევიდნენ. მთვარეს გალეული ღრუბლები ფარავდნენ, ამიტომ არემარე მაინც საკმაოდ იყო განათებული და მწიფე ყურძნის გამორჩევა კაცს არ გაუჭირდებოდა. კორნელიმ ვაზის ფოთლები გადასწია და შეკრულ, მკვრივსა და დაცვარულ მტევნებს ხელი შეავლო. სიამე იგრძნო, თითქო ნაყოფიერი დედანიწა, ვაზებზე მოსხმული მტევნების სახით, ტკბილსა და სანუკვარ თავის ძუძუებს სთავაზობსო. კორნელიმ და მიხამ ბაღ-დან

ბიჭები გამოიტანეს, ტერეზას, იონას მიაწოდეს. მერმე კორნელიმ სარები თავის ადგილას ჩაარჭო.

მგზავრები ოტია მდივნის ჭიშკარს მიადგნენ. ძაღლებმა ყეფა ატეხეს.

მაღლობზე წამომდგარი ორსართულიანი და ფართოაივნიანი აგურის სახლი გაჩირაღდნებული იყო. ოტიას მოურავი ბეგლარ სანიკიძე სათიბში ჩავიდა, მაღლობზე გადმოდგა და დაიძახა:

— რომელი ხარ?

— ყაჩაღები ვართ, ჭიშკარი გაგვიღე, მალე! — მიუგო იონამ.

ბაბომ ფანჯარაში გაჰყო თავი, სტუმრის ხმა იცნო და იყვირა:

— უიმე, ეს ნამდვილად შეჩვენებული იონა არის! — აივანზე გაიჭრა და მაღალი კიბით ეზოში ჩავიდა.

ბეგლარმა ჭიშკარი გააღო და სტუმრები ურმითა და ცხენით სათიბში შევიდნენ. ქალებმა — ბაბომ, ელენემ, კატომ და მაშომ წივილ-კივილი ატეხეს, სათიბში დაეშვნენ და ტერეზას და კორნელის მოეხვივნენ. მერმე მამაკაცები — დათა მიქელაძე, სტეფანე და ტერეზას მაზლი დიმიტრი მიესალმნენ სტუმრებს. ბაბო მუცს ეუბნებოდა:

— ტერეზა, გენაცვალე, ამ შუადამით რამ ამოგიყვანათ ზედაზენში? ადრე ვერ წამოდით კარისმერეთიდან?

— ხომ იცი იონას ამბავი! მწერალი და მხატვარი ხელთ იგდო და, სანამ ლაპარაკით გული არ იჯერა, კარისმერეთიდან ვერ გამოეტია და დაგვაგვიანა, — მიუგო ტერეზამ.

— ნინო სად არის, ბიჭო? — ჰკითხა ბაბომ კორნელის.

— ავად არის, ვერ წამოვიდა, — მიუგო მან.

— უი, საცოდავი! რა მოუვიდა? იმას ენაცვალოს ბიცოლა, — შეწუხებული ხმით წამოიძახა ბაბომ და ახლა მიხა მაჭავარიანს მიუბრუნდა: — ნინო რომ კარგად ყოფილიყო და წამოსვლა შესძლებოდა, ალბათ, თქვენი მეუღლე, ქალბატონი ელოც წამოჰყვებოდა! დიდად დამწყვიტა გული ნინოს და ელოს მოუსვლელობამ. მაგრამ თქვენ რომ გვიკადრეთ და მთაში მივარდნილ, ამ ყრუ სოფელში ჩამობრძანდით, ეგეც დიდი საჩუქარია ჩვენთვის, ჩემო ბატონო.

მიხას გაუკვირდა: ჩემი ცოლის სახელი საიდან იცის ბა-

ბიმ. ალბათ, კარგა ხანია, რაც კორნელის ნათესავები ნინოს თავის რძლად სთვლიანო. ახლა უფრო მიხვდა, რა უხერხულ მდგომარეობაში იყო მისი მეგობარი, ნინოსთან ჩხუბს რომ მალავდა ნათესავებში და ნინოს ჩამოუსვლელობას მის ავადმყოფობას აბრალებდა. მიხას მოეწონა ბაბო, მისი ვაჟკაცური აღნაგობა, ლამაზი სახე და დიდი ბრიალა თვალები, თუმცა შვილოსნობის მერმე ქალს სოფლური იერი დასდებოდა. იგი ახლა შედიოდა ნამდვილ მწიფობაში, სხეული სილხლითა და ხორცით ჭარბად ავსებოდა. მისი მეუღლე ოტია კი არსად ჩანდა.

ოტიას ფეხები დასივებოდა, ბეგლართან ერთად დათრობა მოესწრო. ძლივს წამოდგა სასადილო ოთახში გაშლილი სუფრიდან და აივანზე ყავარჯნით გამოვიდა. იგი ხაგრძნობლად დაბერებულიყო. სვანური ნაბდის ქუდი დაეხურა. შავი სატინის გრძელ ხალათზე ნაცრისფერი ჩოხა მოესხა, შარვალი წინდებში ჩაეტანებია და ყურებიანი წუღები ჩაეცვა. ჭაღარა თმა და წვერ-ულვაში სოფელში ცხენით მოხეტიალე მეწვრილმანე აბრამსავით გაუპარსავი და გაბურძგნილი ჰქონდა. მარცხენა მხარეს, უკბილობის გამო, ბაგე და ულვაშიც ჩავარდნოდა. სიბერეს თავისი გამანადგურებელი ხელწაობა დაეწყო და წინათ წარმოსადეგ და ახოვან კაცს სწრაფად ამახინჯებდა. ღვინის სმას მაინც არ ეშვებოდა ოტია. უზომოდ გაზრდილ ღიპზე ახალუხი და ჩოხა არ წვდებოდა, ვერ ჰგუობდა და ამიტომ ღილკილოებგახსნილი ეცვა. შეშუპებული ფეხები ვერც წყალტუბოს და ზეკარის აბანოებმა განუკურნა და ვერც სოფლის წამალმა — შავთარამ, ოშოშიამ, ყურწუმელას ნეშომ და მისმა ნახარშმა მოურჩინა. დიდი ხანია, რაც წუდა-მესტებს არ ატარებდა, შეშუპებულ ფეხებს გასაპნა და პუდრი ვერ შველოდა და ვიწრო მესტებში არ ჩაუდიოდა.

აივანზე ყავარჯნით გაბრუნულმა ოტიამ სათიბს გადახედა და ეზოში მდგარ მოსამსახურე ქალებს და ბიჭებს გადასძახა:

— რა ამბავია, ბოშო? არ მეტყვით, ვინ ჩამოვიდა?

— ქალბატონი ტერეზა, კორნელი და იონა. — მიუგო სალომემ.

— რომელი, ბოშო? ჩემი საყვარელი დაია და ჩემი საყვარელი დისწული?

— დიახ, ბატონო.

— უი, საყვარელო, — გაეღიმა ოტას და მოცინარი თვალები გულუბრყვილო ბავშვივით აეცრემლნენ. ზურგს უკან ბალღის ტირილი შემოესმა. გამდელს მისი ცხრა თვის შვილი — პატარა კაკილა ეტატებინა და საძინებელი ოთახიდან აივანზე გამოსულიყო. ოტია გაბრაზდა და უყვირა:

— გაგიქდი, ბოშო! რამ გამოგაბულებელა ამხელა ქალი? სად მოაპროწიალებ ამ ნამძინარევ თოთო ბავშვს?! ცა გამეხსნა, ღმერთმა მისმინა, შვილი მაღირსა და გინდა ახლა გამიცივო და დამლუპო? შეიყვანე ახლავე ოთახში! — მერმე ბავშვს დაუყვავა: — ალა, ალა, ნუ იტირებ, ჩემო სულო, ჩემო გულო, ჩემო ტკბილო კაკილა!

გამდელი — ოცდაათი წლის ლამაზი სოფლელი ქალი სონა — თოფნაკრავივით შეკარდა ოთახში.

2

კაკილა ქუთაისში, ოლდენბურგის ქუჩაზე, გუბერნატორის სასახლის კვერდით მდივნების მიერ ვაჭრებულ სახლში, ახალ წელს ღამით დაიბადა, რასაც ოტია და ბაბო დიდ მნიშვნელობას აწერდნენ.

საძინებელ ოთახში, ბებია-ქალის კვერდით მოფუსფუსე ტერეზა და ბაბოს მოლოგინებისათვის თბილისიდან ჩამოსული ელენე სასტუმროში გაიქრნენ და ნათესავებითა და მოკითხეებით გარსშემორტყმულ და ბავშვის დაბადების მოლოდინში დამწუხრებელ და შეშფოთებულ ძმას — ოტიას მივარდნენ, მოეხვივნენ, გადაკოცნეს და მიაძახეს: „ბიჭი შეგეძინა, ოტია, ბიჭი!“ გახარებული ოტია, მისი ძმა ელიზბარი, ბაბოს ძმა დათა ყიფიანი და ოტიას მოურავი ბეგლარ სანაძე აივანზე გავიდნენ და ზოგმა ნავანი და ზოგმაც „სმიტი“ იშიშვლა და დასცალა. ფეხის ხმას აყოლილმა, ოტიას შამის მონათლულმა მოხუცმა, ჩოხიანმა მზარეულმა — ირაკლი წულეისკირმაც თავისი იარაღი გამოიტანა, საწერლის გაწო ფრჩხილწაცლილი, ძვალმოკვნეტილი, თავკომბალა საჩვენებელი თითი სასხლეტს გამოსდო და ჟამინდელი დამბაჩა ზარბაზანივით დააქუხა. ირაკლი ობლობაში გაზრდილი კაცი იყო. დიღმის მსახუროებდა მდივნებთან მოჯამაგირედ და

ბერმე მზარეულად. ახლა კი თავისი საკუთარი სამკვიდრო ჰქონდა ქუთაისში. მზარეული საჭერლით მოკვნეტილ საჩვენებელ თითს ბავშვებს, მათ შორის კორნელისაც, თავში სცემდა კომბალივით. ბავშვებს უხაროდათ, რიგში დგებოდნენ, ერთობოდნენ და ჩოხაში გამოწყობილი, მოცისფრო თვალებიანი და მუდამ მხიარული მზარეულიც დიაცსავით წვრილი ხმით კისკისებდა. ირაკლი წულეისკირის სიცილს მდივნებო „ჭირჭილს“ ეძახდნენ. ირაკლი ქალების მოყვარული, არშიყი კაცი იყო. ოტიას და ტერეზას მოსამსახურე ქალებს, რათა შორის ოტიას შვილის კაკილას გამდელ ლამაზ ქალს — სინა ოდილავაძეს აი ეშვებოდა და აციებდებოდა. ბაბო უწყრებოდა, კაკილას გამდელს მოეშვი, თორემ მოგკლავო.

გარეთ თოვდა და ნისლიანი, ბნელი ღამე იდგა. ნაგანით „სმიტ-თა“ და დამბაჩით ატეხილმა სროლამ ქალაქის მყუდროება დაარღვია, ხალხი ააფორიაქა და შეაშფოთა, მაგრამ მალე მდივნების მეზობლებმა და მახლობელ უბანში მცხოვრებლებმა შეიტყვეს: ოტიას ვაჟი შეეძინა და მდივნებმა მისი დაბადება თოფის სროლით ქვეყანას ამცნესო.

ვაჟის შეძენით გახარებულ ოტიას საბაბი მიეცა: ვახშამი გამართა, უზომოდ ბევრი ღვინო შესვა და დათვრა. აწი თუ მოვკვდები ანასუნ ჩემს საქმესო, — იძახდა და მალე სკაჟზე ჩამოეძინა. იგი მოურავმა და მზარეულმა აიყვანეს და საწოლზე მკვდარივით დაასვენეს. ბეგლარმა წუღა-მესტი, პაჭიჭები, ჩოხა-ახალუხი გახადა და საბანი გადაახურა. მსუქანი, ვეება და ღვინის სმისაგან რუმბივით გასივებული ოტია ქშინავდა, ხვრინავდა, უსტვენდა და ოთახს აყრუებდა.

ბეგლარი უკანა აივანზე გავიდა, ბნელ კუთხეში დაჯდა და სვეტს ობლად მიეყრდნო. იგი მწარე ფიქრებმა წაიღეს. ბატონის ცოლის — ბაბოს მიერ შობილი კაკილა მისი შვილი იყო. წვრილი ცოლ-შვილით ჩაპარკული და შეშფოთებული მოურავი ახალშობილი ბალღის ბედსა და თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა. მას თავი მოსწონდა, ბატონის ლამაზ ცოლად მისგან რომ შეეძინა ვაჟი. ეს გარემოება პატივმოყვარეობის გრძნობას ნერგავდა მის გულში და აბარებდა. მხოლოდ ეს იყო: საიდუმლოების გამომჟღავნებისა ეშინოდა, წუხდა: ვაითუ ოტიას ნათესავებმა გაიგონ ბაბოსთან ჩემი კავშირი და შური იძიონო! მათს ყოველ სიტყვას და საქციელს აკვირდე-

ბოდა, სწორიდა. ამ ეჭვმა, შიშმა, განუწყვეტელმა დაკვირვებამ და ყურადღების დაძაბვამ დაჰქანცა. იგი ნადირის გებით ზვერავდა და აკვირდებოდა ოტიას ნათესავებს, განსაკუთრებით — ტერეზას შვილებს, ხოლო ყველაზე მეტად — კორნელის, ამ „ყოვლისმცოდნე ჭინკას“.

3

კვირას ოტია და ბაბო კაკილას მონათვლას აპირებდნენ და ამ დღისათვის დიდი მზადება ჰქონდათ. ბეგლარი წაბლარას ხევში კალმახის დასაჭერად წასულიყო. დიდედა დარეჯანს ყოფილი მოჯამაგირე, ცნობილი მზარეული, ოტიას ხნის კაცი, ირაკლი წულეისკირი ეხმოთ ქუთაისიდან. მოპატიჟებების ბარათები დაეგზავნათ იმერეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ნათესავებისათვის.

შაბათს და კვირას, კაკილას ნათლობაზე მოპატიჟებულმა სტუმრებმა დილიდანვე იწყეს ურმით, ცხენითა და ეტლით მოსვლა. ნათლობაზე ცოლ-შვილით ჩამოვიდა ოტიას ძმა ელიზბარი — ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივანი, ჭაღარაშერთული, გრძელწვერა კაცი, ოქროსფერი სამხრეებითა და ნიშნებით მორთული მუნდირით. ელიზბარს ჩამოჰყვნენ მისი ცოლის ძმები, საჩხერის თავადები — არჩილ და სვიმონ წერეთლები, ამათაც ჭაღარაშერთული წვერ-ულვაში ჰქონდათ, თეთრმასრებიანი შავი ჩოხები ეცვათ და ხმლები, სატევრები და რევოლვერები ეკიდათ. ეს ჩასუქებული და ახოვანი თავადები ქვეყნის, ლხინისა და არშიყობისათვის იყვნენ დაბადებული. ამ დღეს ჩამოვიდნენ აგრეთვე: ბაბოს ძმა — კარისმერეთის რაიონის და სოფელ სარკოიას გლეხობის ჯალათი — ოფიცერი დათა ყიფიანი, რომელსაც თან მოჰყვნენ მისი ძველი მეგობრები — სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე. ამათ გარდა, ოტიას და ბაბოს ესტუმრნენ: ნოდარ ყიფიანი, მერმე ბარათაშვილები, მდივნები, განთქმული მომღერალი ქაიხოსრო აბულაძე, ვექილი მაჭავარიანი, ექიმი ჯაფარიძე, აგრონომი საყვარელიძე და სხვანი.

კვირას, დილით, მასპინძლები და სტუმრები წმინდა გიორგის ეკლესიაში წავიდნენ და ოტიას და ბაბოს შვილი კაკილა ელენემ, დათა მიქელაძემ, სიმონ წერეთელმა და მისმა

მეუღლემ, ლამაზმა ქალმა ოლღამ მონათლეს. ოტიას მამისა და დედის — არჩილისა და დარეჯანის საფლავზე საკურთხი მოეტანათ. ცხვარი და ხბო დაეკლათ. ეკლესიიდან გამოსულმა, მდიდრულად ჩაცმულმა და ძვირფასი სამკაულებით მორთულმა ბაბომ კაკილა ხელში აიყვანა, ოტიასთან ერთად მამამთილის არჩილისა და დედამთილის დარეჯანის საფლავებთან მივიდა და ჩასძახა:

— გიხაროდეს თქვენ, ბატონო არჩილ და ტკბილო დედუა დარეჯან, რამეთუ ასრულდა ნატვრა თქვენი, უშვილოდ არ გარდასულიყო საფიცარი შვილი თქვენი ოტია... მოგვხედენ, სასუფეველსა შინა მყოფნო და დალოცეთ საყვარელი ძე ჩვენი და სანატრელი შვილიშვილი თქვენი — კაკილა.

ტერეზა, ელენე და ოტია აქვითინდნენ. ოტიას ძმას ელიზბარის ცოლმა, ოთხი შვილის დედამ, წერეთლის მზეთუნახავმა ქალმა მარიამმა გაიღიმა და ქმარს წასჩურჩულა:

— გესმის, ელიზბარ? ამ სინდისისაგან გარეცხილს, შუბლის ძარღვი ნამდვილად გაწყვეტილი აქვს, თითქოს არ ვიცოდეთ, რომ ეს საცოდავი კაკილა არა ოტიასი, არამედ ეისი მოურავის ბეგლარის შვილია.

— გაჩუმდი, რა დროს მაგის ლაპარაკია, — დატუქსა ქმარმა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ცოლის ნათქვამი ხომ არავის გაუგონიაო, მაგრამ ეს საიდუმლოება მარიამის წყალობით გამჟღავნდა. მან კარგა ხანია, რაც ქალთა წრე მოიარა და ახლა მამაკაცთა წრეშიც იწყებდა გაჟონვას. ნათქვამია: საიდუმლო ორშიაო, თუ მესამე გაერია, საიდუმლო აირიაო.

ასი კაცისათვის ნავარაუდევი სუფრა ეზოში, ვეება კაკლის ქვეშ იყო გაშლილი.

სადილის წინ, აივნიდან ბაბომ ბნელეთის აღმართზე ამომავალი ცხენოსნები და ორი ეტლი დაინახა, ეტლში საპატრო სტუმრები ისხდნენ: ერთში — ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი დათა ოტიას-ძე ნიჟარაძე და თავადი კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი, რომელსაც ყველგან კოწია ერისთავს ეძახდნენ. მეორეში — პოლკოვნიკი გიორგი ჭორჭაშვილი და ქერა, ახოვანი ლამაზი თავადი — რაფიელ შარაშიძე. მეეტლეების გვერდით კოფოზე მათი მცველები იხდნენ. დათა ნიჟარაძე და გიორგი ჭორჭაშვილი ტერეზას მეუღლის ექიმ გიორგი მხეიძის მეგობრები იყვნენ, ხოლო

კოწია ერისთავი და რაფიელ შარაშიძე — ტერეზას და თამარისა, რომელიც, ავადმყოფობის გამო, კაკილას ნათლობაზე გურიიდან ვერ ჩამოსულიყო.

ეტლებს კარისმერეთის მილიციის უფროსი აქვსენტი ლორთქიფანიძე მოუძღოდა. საბატიო სტუმრებს ჩოხებში გამოწყობილი მისი ცხენოსანი მილიციელები იცავდნენ. ეტლებში მსხდომნი, რაფიელ შარაშიძის გარდა, ყველანი ქუთაისის მაზრის იმ დეპუტაციის წევრები იყვნენ, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავზე თავადაზნაურობისათვის აღმოჩენილი წყალობის გამო, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე მადლობის გამოსაცხადებლად პეტერბურგს ჩავიდა. ამ დეპუტაციაში, ორდენებით მორთულ ჩოხებში გამოწყობილ დათა ნიჟარაძის (ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის), კოწია ერისთავისა და ექიმ პოლკოვნიკ ქორქაშვილის გარდა, შედიოდნენ აგრეთვე სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი, უნივერსიტეტის ნიშნითა და ორდენებით მორთული ექიმი სამსონ თოფურია (ქუთაისის ქალაქის თავი, საზოგადო მოღვაწე), თავადი სიმონ წერეთელი, ნიკო წერეთელი და სერგი ერისთავი.

ბნელეთის აღმართზე ოღოჩოღორო გზით სვლა ეტლებს გაუჭირდათ და შიგ მსხდომთათვის სახიფათო შეიქნა. ისინი ეტლებიდან ჩამოვიდნენ და ზედაზნისაკენ ქვეითად გაემართნენ. მდივნები სათიბის ჭიშკარში გაიქცნენ და გზაზე შეეგებნენ.

4

კაკილას ნათლობისათვის გამართულმა ნადიმმა ერთ კვირას გასტანა. ბევრი ხბო, გოჭი, ინდაური, ქათამი და კალმახი შეიჭამა და ბევრი ღვინო შეისვა. დიდი მხიარულებაც იყო, მაგრამ ახირებულმა და პირუთვნელმა იონა ჩხეიძემ სხვადასხვა კუთხიდან ნოწვეულ თავადებს ღხინი ჩაუნგრია. იონას კორნელი მიეშველა და უსიამოვნება მან დააბოლოვა. ჯერ იყო და, მხატვარ მიხა მაჭავარიანს აუხირდა კორნელი... ოტია მდივანი და მისი სტუმრები კი ღვინის სმის გუნებაზე იყვნენ და ქეიფით სახლს ჭერი ეჰხადეს.

უზომო ღვინის სმის გამო ოტიას ფეხები კიდევ უფრო

დაესივდა. მას ხაკისფერი ფრენჩი, ლურჯი შარვალი და ქე-
ჩის სრული ჩექმა ეცვა. ოტიას პირისპირ მოხუცი ქაიხოსრო
ობულაძე იჯდა, რომელსაც თეთრი ჩოხა ეცვა და მკერდზე
რუსეთ-თურქეთის ომში — „პახოდობაში“ მიღებული გიორგის
ჯვრები ეკიდა. ისინი სიმღერაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.
ორივეს სწორუპოვარი ხმა — პირველი ჰქონდათ და ძველ
ქართულ სიმღერებს რიგრიგობით ამბობდნენ. ბოლოს, შე-
ზარხოშებულმა ქაიხოსრომ ისეთი საამო და მაღალი ხმით
წამოიწყო ჯერ „ხასანბეგურა“ და მერმე „ხელხვავი“, რომ
ყველანი მოხიბლა. აღტაცებული გურული თავადი, ახოვანი
და ლამაზი კაცი რაფიელ შარაშიძე წამოდგა, ქაიხოსროსთან
მივიდა, გრძელწვერა გამხდარ მოხუცს თავი გადაუწია და
ტუჩზე დააკვდა. ოტიას ეწყინა. თავის მოურავს ბეგლარს,
ბეგლარის ძმას — ყოფილ ჯარისკაცს, ზედაზენში განთქმულ
მომღერალ სილოვანს მოუხმო: კოწია ჩხეიძე გვერდით მოის-
ვა და „პატარა საყვარელო“ და „ჩარირამა“ წამოიწყო. მო-
ქეიფენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ზოგნი ქაიხოსროს ანიჭებდ-
ნენ პირველობას სიმღერაში და ზოგნიც კიდევ — ოტიას.
მერმე, როცა ლხინი გაჩაღდა და მოქეიფენი ღვინის სმაში
შეიჭრნენ, სიმონ წერეთლის წარმტაცი და მზეთუნახავი ქა-
ლის, პირველი კურსის სტუდენტის თინას გვერდით მჯდომი
მხატვარი მაჭავარიანიც სიმღერის ეშხზე მოვიდა, კორნელის
და იონას დახმარებით „ზამთარია“, „გუშინ შვიდნი გურჯა-
ნელნი“ და „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ“ წამოიწყო. ტე-
რეზას იშვიათი სმენა ჰქონდა და ისიც აღტაცებით უსმენდა
ახალ სიმღერებს. ნელა და აუჩქარებლად იღვრებოდა მრა-
ვალფერი, წარმტაცი ჰანგი. ქართველთა ვაჟკაცობის, გმირო-
ბის, ლხინის, ნადიმობისა და ნადირობის, შრომისა და ძველი
ადათ-ჩვევების გამომხატველი. უხსოვარ დროიდან მომდი-
ნარე ის ახალი სიმღერები ყველას მოეწონა. მეტადრე „ზამ-
თარია“ და „ბრძანა სოლომონ მეფემან“. მსმენელთ ტანში
ჟრუანტელი უვლიდათ. ტერეზას ისე მოეწონა ახალი სიმ-
ღერები, იგი ისე იყო გახარებული შვილის ჩამოსვლით და
ქალაქის ნათლობით, რომ, როდესაც მიხამ, კორნელიმ და
იონამ „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოიწყეს, შვილს პირ-
ველი ხმა წაართვა და თავისი სუსტი, მაგრამ უაღრესად სა-
ამო, ტკბილი და გულში ჩამწვდომი ნაზი ხმით ყველანი, და

მათ შორის მიხაც, განაცვიფრა. ამაოდ კი არ იყო იგი განთქმული მომღერლის ოტია მდივნის და. ოტია გულუბრყვილო ბავშვივით შესცქეროდა მას, ნეტარებით იღიმებოდა და იძახდა:

— თქვენ გენაცვალეთ, ჩემო საყვარელო დაო და დისწულო! ეს თბილისელი მხატვარი მიხა მაჭავარიანი, კახური სიმღერების რა დიდებული მთქმელი ყოფილა, ბოშო, ხედავ?! გულზე მალამო წამაცხო და დამატკბო. მას ზედაზენიდან აღარ გავუშვებ. ბიჭო, — გასძახა მან კორნელის, — ასეთი კარგი ქვისლი თუ გყავდა, ამდენ ხანს რად არ მოიყვანე ჩვენსა?..

ტერეზას ნათლია, ოთხმოცი წლის მოხუცი ქაიხოსრო აბულაძე კი წამოიჭრა, თავის ნათლულთან მივიდა, ჩაჰკოცნა და გვერდზე მიუჯდა. მას შორეული წარსული მოაგონდა: ავადმყოფი ბავშვი — ტერეზა, ნაბადში რომ გაახვია და ზედაზენიდან ჭუთაისში ჩაიყვანა ცხენით ქარსა და ბუქში. ეხ, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ. ჭაბუკობა მოაგონდა და ატირდა. ცრემლმა ლოყა და თეთრი, სპეტაკი წვერი დაუსველა. უხვად ნაზარდი წარბები ჯერ კიდევ შავი ჰქონდა გამხდარ, გაუტეხელ და ძარღვიან მოხუცს, წვერი და ულვაში კი — თეთრი.

მიხა კახური სიმღერების მართლაც კარგი მთქმელი იყო. დამახასიათებლად და ბუნებრივად უქცევდა ხმასა და კილოს. ის ძალიან მოეწონა ოტიას, ქაიხოსროს, იონას, ტერეზასა და ყველას, მაგრამ განსაკუთრებით კი — ბაბოს. მხატვარიც კარგ გუნებაზე დადგა, ღვინოს აქებდა, სულმოუთქმელად ყლაპავდა და თამადას — რაფიელ შარაშიძეს ღვინის სმაში ეჯიბრებოდა.

როდესაც ჯერი მიხას სადღეგრძელოზე მიდგა, იონამ გიტარა მოატანინა ბაბოს და მხატვარს სთხოვა ემღერნა რამე. ცოლიკაურით სავსე ყანწმა მხატვარს „კეტი შემოჰკრა თავში“ და რეტი დაასხა. მხატვარმა გიტარა აიღო, სიმები აყრჭერა და იონას და კორნელის საყვარელი რომანსები — „ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია“ და „შენ გეტრფი მარად“ ჩინებულად იმღერა. ყველანი მოიხიბლნენ... ბაბომ კაკილა აიყვანა, მიხას მიუჯდა, მისი ქება დაიწყო, გაიკინა და უთხრა:

— რა ჩინებული მომღერალი ყოფილხართ! კიდევ უნდა გვიმღეროთ რომანსები და დაგვატკბოთ.

— კმარა, — მიუგო მხატვარმა და გიტარა გადაცა, — ახლა თქვენი ჯერია.

— არა, ბატონო მიხა, გათავდა, აღარ მოგეშვებით. ხედავთ, როგორი მუდარით მოგშტერებიათ თინიკო? თინიკოს რომ გთხოვოთ, არც მაშინ იმღერებთ? — ჰკითხა ეშმაკური ღიმილით ბაბომ.

— თინამ რომ მიბრძანოს, არათუ ვიმღერებ, ცეცხლშიც კი გადავეშვები, — მიუგო მიხამ. მერმე თინას მიუბრუნდა, ხელზე აკოცა, ხელი სკამზე გადასდო და მოჰხვია.

შავ კაბაში გამოწყობილმა, ლამაზმა, ახალგაზრდა ქალმა დარცხვენით დახარა გრძელი წამწამები და ნაზი, ვატიფი, ნუშისფერი ღაწვები წამოუწითლდნენ.

— ძალიან მოგწონთ ჩვენი თინიკო? — ისევ ღიმილით ჰკითხა მაშვლობის მოყვარულმა ბაბომ მიხას. მიხამ მიუგო:

— ღმერთსა და ჩემს მზეს ვფიცავ, ასეთი ლამაზი, ეშხიანი და წარმტაცი ქალი მე ჯერ არ მინახავს. მე დაბრმავებული ვარ ამ ქალის სილამაზით. რა მეშველება, არ ვიცი!

ბაბომ ომახიანი ხმით გაიცინა და შენიშნა:

— თქვენ ხომ ცოლიანი ბრძანდებით... როგორ თუ რა გეშველებათ?

— არა, მე დიდი ხანია, რაც უცოლო ვარ... ცოლიანიც რომ ვიყო, თინას ვერავის ვერ დავუთმობ, — აშკარად და მოურიდებლად განაცხადა მხატვარმა. იგი მთვრალი იყო.

— რასა ბრძანებთ! თუ ეს მართალია, დაგეხმარებით... რას მომცემთ სანაცვლოდ?

— რასაც ისურვებთ, ქალბატონო.

— მაშ, კარგი, — წასჩურჩულა ბაბომ, ადგა, ქაღალდი ხელში აიტაცა და თინას დედასთან, სიმონ წერეთლის მეუღლესთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და მაშვლობა დაიწყო.

კორნელის არ გამოპარვია ეს ამბავი. ამ ორი წლის წინათ, კორნელის ბიძის — ელიზბარის ცოლისძმას სიმონ წერეთელს და მის მეუღლეს ოლღას კორნელისათვის უბედურათ მიეთხოვებინათ ზღაპრული სილამაზის მქონე თავისი ქალი. თინას თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა კორნელი, ნიჭო ავონდებოდა და ახლა ამ ორი ქალის სილამაზეს ერთმანეთს

ადარებდა. თინა წერეთელი ნინო ბაქანელზე უფრო ლამაზად ჩასთვალა. „რად მინდა თავადის ქალი, თუნდაც მზეთუნახავი იყოს ის? მისსა და მისი მშობლების ცერემონიებს თავს ვერ გაართმევს კაცი", — ფიქრობდა იგი, მაგრამ მიხა რომ ხელზე ჰკოცნიდა თინას, ქათინაურებს ეუბნებოდა და ეალერსებოდა, ეს მანც შეაშფოთა. მიხამ „მოხევის ქალო თინათო, რა ღმერთმა გაგაჩინაო?" წამოიწყო.

5

უკვე დაღამდა. სუფრაზე და შინაც ლამპები აანთეს... ქერიფი ნაშუადამემდე გაგრძელდა. ბევრი საშინლად დათვრა, ზოგს მაგიდაზე ჩამოეძინა და ზოგიც მაგიდის ქვეშ გაგორდა. ისინი მდივნებმა შინ, ნათესავ-მეზობლებთან წაიყვანეს და წაიღეს ლამის გასათევად. სუფრას ბოლოდ თამადა რაფიელ შარაშიძე, ქაიხოსრო აბულაძე, არჩილ და სიმონ წერეთლები, ოტია და ორიოდე მოქეიფენი შემორჩნენ.

კორნელი გვიან ავიდა აივანზე. მას ტერეზა და ბაბო შეეყარნენ. ბაბომ კორნელი გაიხმო და ჩუმად ჰკითხა:

— კორნელი, გენაცვალე, მიხა მაჭავარიანი ცოლს მართლა გაეყარა?

— მიხასთან განა ქალი იცხოვრებს!

— რატომ?

— გარყვნილი, წყალწაღებული, არაკაცია და იმიტომ.

მიხა მაჭავარიანი ბაბოს „წყალწაღებულ კაცად" კი არა, ნამდვილ ვაჟკაცად და იშვიათ ადამიანად მიაჩნდა. კორნელის ბრიალა თვალები მიანათა, გაუღიმა და უთხრა:

— ჩუმად, არ გაიგონოს.

— მერმე რა, გაიგონოს, პირში ვეტყვი... სად არის? — მოურიდებლად მიუგო კორნელიმ.

ბაბომ ისევ ეშმაკურად გაუღიმა, გვერდზე გაიხედა და ჩუმად უთხრა:

— აგერ, თინას ეკერკურება და სიყვარულს უხსნის.

მიხა და თინა ვაზის ფოთლებით დაბურული და ჩაბნელებული აივნის ბოლოს, კუთხეში ისხდნენ. კორნელი პირდაპირ მათკენ წავიდა, მიხას თავზე დაადგა და აგდებულად ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, რეგვენო? რა ხელი გაქვს აშ უმანკო ქალთან?

— დაიცა, რა დროს ოხუნჯობაა, — მიუგო მიხამ.

— განა ვოხუნჯობ, მართალს გეუბნები. თინა, მოშორდით ამ კაცს! ეგ თქვენი ტოლი არ არის, — უთხრა კორნელიმ ქალს, ხელზე აკოცა და წამოაყენა.

— კორნელი, გეყოფა, — გაჯავრდა მიხა და წამოდგა.

— თავი გაანებე ამ უმანკო და გულმართალ ქალს, ქალაჩუნავ, გარყვნილო კაცო! — ბოროტად და მწარედ უთხრა კორნელიმ. მიხამ მრისხანედ შეხედა და თავისი სათქმელი მოურიდებლად უთხრა:

— დაე, იცოდეს ყველამ, რომ მაყაშვილებმა შენ პანღური ამოგკრეს და გამოგაგდეს. დაე, იცოდეს ყველამ, რომ ჩემზე უფრო გარყვნილი შენა ხარ. კახპა-ქალი — მარგარიტა ლეტცი შენი საყვარელი გახლავს. ვერ მოატყუებ ამიერიდან ნინო მაყაშვილს სატრფიალო წერილებითა და ლექსებით. განა დაგიჯერა, უშენობას სიკვდილი მიჯობსო, სარდაფიდან რომ სწერდი, — ყვიროდა მხატვარი და თვითონვე ადასტურებდა კორნელის ეჭვებს, რომ იგი მისი გამცემი და მოღალატე იყო. — მატყუარა, ქალაჩუნა და გარყვნილი შენ თვითონა ხარ... მაგრამ დარდი ნუ გაქვს. ამიერიდან ველარ მოატყუებ ჩემს ცოლისდას, რადგან მე ავუხილე მას თვალი... კოვზი ნაცარში ჩაგივარდა და ახლა ჩემზე იძიებ შურს?!

დედის, ნათესავებისა და სტუმრების წინაშე თავი მოეჭრა კორნელის. მთვრალმა მხატვარმა მისი საიდუმლო გაამჟღავნა და ეჭვები დაუდასტურა. ტვინში აუვარდა სისხლი კორნელის და მიხას უყვირა:

— კმარა, გაჩუმდი, ვირო! პატიოსანი ხალხის სახლში ხარ და არა ბოსელში!

— არა, აღარ გავჩუმდები... მეტის ატანა აღარ შემიძლია... მეყოფა შენგან დაუსრულებელი შეურაცხყოფა... ჩვენ უნდა გავსწორდეთ, — წამოიქოჩრა მიხა.

— როგორ, მემუქრები კიდეც?

— დიახ. ამდენ ხანს შენ მემუქრებოდი, ახლა კი მე. რას აბრიალებ მაგ თვალებს? შეგიშინდი, აი!..

— ღმერთს უმადლე, ვერანაგ, რომ ახლა მე შენი მასპინძელი ვარ, მაგრამ როდესაც ჩვენ აქედან წავალთ და შენ

ჩემი სტუმარი აღარ იქნები, დაიხსომე: სურვილს შეგისრულებ და გაგისწორდები. უკანასკნელი სიტყვა და ტყვიაც ძე მეკუთვნის, — მიუგო კორნელიმ, ჯიბიდან ბრაუნინგი ამოიღო და აუღელვებლად შეათვალიერა, თითქო მიხას ცდის და აშინებსო. თინამ იკივლა, ბაბომ ბანი მისცა. ქორივით ეცა კორნელის და ერთმანეთზე მიწეული ვაჟკაცები კიდევ უფრო გააგიჟა. აივანზე ბეგლარიც გამოჩნდა. კორნელის მივარდა და რევოლვერის წართმევა დაუპირა. შეიქნა მიწევ-მოწევა, წეწვა-გლეჯა, ხალხი აივანზე გამოეფინა.

— ნუ იჭერთ, გამოუშვით. ყბებს დავულეწავ მაგ სალახანას! — იძახოდა კორნელი.

ტერეზა შვილთან მიიჭრა და უთხრა:

— გაჩუმდი, არც კი გრცხვენია, სტუმარს შეურაცხყოფას აყენებ? მე შენ ვერა გცნობ. წადი აქედან. წადი ახლავე, თორემ თავს მოვიკლავ.

— თავს ნუ მოიკლავ, დედაჩემო... აჰა, მივდივარ, — მოეფიცა კორნელი დედას. კიბეზე უჩუდოდ დაეშვა, სათიბი გაირბინა, ღობეზე გადახტა და ბნელეთისაკენ მიმავალ დალმართს დაადგა.. მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს და გამოუდგნენ.

— მიშველე, ბაბო, სად უნდა იაროს მთვრალმა კაცმა ამ ღამით! მგლები დაგლეჯენ ტყეში, — შეძრწუნდა ტერეზა.

ბეგლარი გაიქცა, ისიც ღობეზე გადახტა და კორნელის გამოუდგა. დალმართზე დაეწია, ხელი წაავლო მკლავში და ჰკითხა:

— კორნელი, სად მიდიხარ ამ ღამეში?

— კარისმერეთში.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო! ამ უკუნ ღამით ტყეღრეში შენ გაიგნებ გზას კარისმერეთისაკენ? ხრამში გადაიჩეხები, მდინარეზე ვერ გახვალ, საცალფეხო ხიდზე ფეხი დაგიცურდება და წყალში დაიხრჩობი, — უთხრა ბეგლარმა და წელში ეცა. კორნელი გაბრაზდა, ხელი წაავლო ოტიას მოურავს, მოიქნია და ამოდენა კაცი ნაფოტივით ისროლა და ღობეს მიახეთქა. გაოცდა ბეგლარი: ეს რა ძალა ჰქონია ამ „ხრიკიტარას“ ხელებშიო, მაგრამ მაინც დაეწია. ისევ ეცა წელში და შესძახა:

— მომკალი, ბატონო, მაგრამ გაშვებით ვერ გაგიშვებ!

— მომშორდი, რად გინდა თავი შემომაკლა! — დატუქსა კორნელიმ. ისევ მოიქნია და თხრილში გადააგდო. ახლა კი შეშინდა ბეგლარი და შორიახლო გაჰყვა.

მაშინვე სათიბში მომავალი ფარნიანი კაცი დაინახა ბეგლარმა. ფარნიანმა ჭიშკარი გააღო და გზაზე სირბილით წამოვიდა. ბეგლარმა იცნო.

— კორნელი, დაიცადე, — იძახდა ბაბო, მაგრამ კორნელიმ უფრო აუჩქარა ნაბიჯს.

— რას დგახარ? დაეწიე, დააბრუნე! — უბრძანა ბაბომ ბეგლარს.

— მიდი, შენ დააბრუნე, თუ ვაჟკაცი ბრძანდები! რკინის ხელები ჰქონია. კინაღამ არ გამათავა.

— ხედავ, რა ბნელი ღამეა! გზა დაებნევა ტყეში. დ-ეწიე, დააბრუნე! — ჩააცივდა ბაბო.

ბეგლარი ისევ გამოუდგა კორნელის. მას ბაბოც მიჰყვა...

ჩქარი ნაბიჯით მიმავალ კორნელის ბეგლარი ისევ წელში ეცა. შეიქნა ჭიდაობა. კორნელიმ წამოაჩოქა, მაგრად დათელა, მაგრამ ბეგლარი აღარ მოეშვა. ამ დროს ბაბომ მოუსწრო. ფარანი მიწაზე დადგა, კორნელის მოეხვია და უთხრა:

— მე და ოტიამ რა დავაშავეთ, კორნელი, ასე რომ დაგვწიხლე და კარისმერეთში გარბიხარ?

— თქვენ რას გერჩით! მე იმ სალახანა და გარყვნილ ქხატვართან მაქვს ჩემი ანგარიშები. ვერ მოვიცდი. ღამეს ვერ გავათევ ერთ ჭერქვეშ მასთან. უთუოდ შემომაკვდება, — მიუგო კორნელიმ.

— ნეტავ არ ჩამოგეყვანა ის წყეული, გარყვნილი და ქალების მაცდური კაცი. მერე, რა? მას სულაც არ გაგაკარებთ. წამოდი, ბიძია ელიზბართან გაათიე ღამე. ალიონზე გაგისტუმრებთ კარისმერეთში. ახლა, ასეთ ღამეში შენ კი არა, ბეგლარიც ვერ გაიგნებს გზას კარისმერეთში.

— ბეგლარი რა ჩემზე დიდი ვაჟკაცი გგონია! აბა ნახე, თუ ვერ გავიგნებ! — ისევ გაიწია წასასვლელად კორნელი.

— უი, არა, შენ შემოგევლე, — მოეხვია და ჩაჰკოცნა კორნელი ბაბომ.

— თავი გამანებე, ბიცოლა!

— ვერა, თავს ვერ გაგანებებ. სულ ერთია, თუ წახვალ, მე არ მოგეშვები. მაწინ ერთად ვიაროთ კარისმერეთამდე.

— რას ამბობ?

— რას ვამბობ და, საქმეს. აბა, როგორ გგონია?! არა, შინ ვერ მივბრუნდები. რა ვუთხრა ტერეზას? რას ერჩი იმ ქვრივსა და დატანჯულ ქალს? კიბო მჭირს, ჩემი დღეები დათვლილიაო, დაუჩემებია, საცოდავს. ვინ იცის, იქნებ მართალია! ხომ ხედავ, როგორი გამხდარი და დასუსტებულია. — დაიწყო ბაბომ ტირილი.

კორნელი გაჩერდა. ბაბო მიხვდა, მისმა ხერხმა რომ გასჭრა და კორნელის ისევ მოეხვია, აქვითინდა და უთხრა:

— გულშემოყრილი და გულწასული დავტოვე უბედური ტერეზა. მეშინია, რამე არ მოუვიდეს!

ბოლოს, დედის ხსენებამ, ბაბოს ტირილმა და ბეგლარის ხვეწნა-მუდარამ გასჭრა. კორნელი დანებდა და ელიზბარისას გაჰყვა ბიცოლას.

ძმები — ოტია და ელიზბარი გაყოფილი იყვნენ, რადგან რძლები — ბაბო და ელიზბარის მეუღლე — მარიამი კინკლაობდნენ, ჩხუბობდნენ და ძმებიც ერთმანეთს მტრად გადაჰკიდებს.

8

მეორე დღეს კორნელის ადრე გამოელვიძა. წინალამით მიხასთან ჩხუბი და დავიდარაბა მოაგონდა. ისიც მოაგონდა, ჩხუბი თინას გამო რომ დაიწყო. „ახლა ქალების ჭორს და მითქმა-მოთქმას რა გაუძლებსო", — გაიფიქრა და შერცხვა. საბანი თავზე წაიფარა და გაირინდა. მაგრამ მალე დედა, დედა ელენე, ბიცოლა მარიამი და ბაბო მოვიდნენ, საწოლის წინ დასხდნენ და საყვედურებით აავსეს ჩვენს სტუმარს — მ-ხა მაჭავარიანს თინიკო წერეთლის გამო რას ერჩოდი? თინიკო შენი საცოლე ხომ არ არისო. ნინოს სახელი განზრახ არ უხსენებიათ. მადლობა ღმერთს, დათა ნიჟარაძე, კოწია ერისთავი, ქორქაშვილი და სხვა წარჩინებული სტუმრები დასაძინებლად წავიდნენ და სკანდალის მოწმენი მხოლოდ შინაურები ვიყავითო. რაც უფრო დაწვრილებით უამბობდნენ ქალები წუხანდელი ჩხუბისა და უსიამოვნების წვრილმანებს კორნელის, მ-თ უფრო სტანჯავდნენ მას. რა დაგიშავა ისეთი შინმა მეგობარმა, იმ მწვანილის კაცმა, მხატვარმა

და მომღერალმა, რევოლვერით რომ ემუქრებოდა და მოკვლას უპირებდაო, — ქაქანებდნენ ქალები. ისეთი დღე დაელენეს საცოდავს, კინაღამ თავი არ მოაკვლევინეს. ქალებმა ბევრიც დაარხიეს: კორნელი ნინოს გაშორებია და ახლა თინა წერეთლის შერთვას აპირებსო.

კორნელი სასწრაფოდ წამოდგა, ჩაიცვა, პერსახოცი მხარზე გადაიგდო და წყაროსთან ღარის წყლით პირი დაიბანა.

დედა შეეხვეწა, მიხას წინაშე ბოდიში მოიხადეო.

კორნელი დარცხვენით შეიპარა ოტიას ეზოში. მიხა აივანზე იჯდა და რიონის ველს და კავკასიონის ქედებს გასცქეროდა. მშვენიერი მზიანი დღე იდგა და მთის მწვერვალები უღრუბლო ცის ტატნობზე დახატულივით ჩანდნენ. მხატვარი გაბუტული დახვდა კორნელის და თვალი მოარიდა. კორნელიმ აბნეულად უთხრა:

— გუშინ მთვრალი ვიყავი, გაწყენინე თურმე, მაპატიეთ.

მიხასაც ეს უნდოდა. სათვალე გაიწორა, ბეცი თვალებით შეხედა კორნელის და ღიმილით უთხრა:

— მაწყენინე კი არა, შეურაცხყოფა მომაყენე. რა მოგივიდა, ბიჭო? ნინოს არ ჯერდები და ახლა თინაზეც პრეტენზიებს აცხადებ?

— თინა კი არა, ეშმაკი... გთხოვ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, — სთხოვა კორნელიმ.

— შაბაშ, ვათავდა, მოიტა ხელი, — დაიძახა მხატვარმა და ცხენივით ჩაიხვიხვინა.

სტუმრები გვიან ადგნენ, პირი დაიბანეს და მოთმინებით მოკაზმულნი კაკლის ხის ქვეშ გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. გუშინდელი სკანდალის გამო თინა დარცხვენილი იყო და კორნელის და მიხას დანახვისას წითლდებოდა და ელეთ-შელეთი მოსდიოდა.

ჩაისა და საუზმის შემდეგ დათა ნიკაბაძე, კოწია ერისთავი, ჭორქაშვილი, რაფიელ შარაშიძე და სხვანი კარტს და ნარდის თამაშით გაერთვნენ. ზოგიც დაბლა ვენახისკენ ეშურნენ.

ოტია თავისი ყავარჯნით სტუმრებს ვენახისკენ გაუძღვა. ამ მამულს მდივნები „ნამინდვრალს“ ეძახდნენ. ვაზით დაფენილი მთის კალთის ზევით, მამულის თავში, ჭიშკრის ახლოს

ვეება მუხა იდგა. მის ძირას მინდორი მაღალი ბალახით იყო მოფენილი და კოინდარს მთის ნაირ-ნაირი მცენარეული და ყვავილები — მაჩიტელა, ტყის ჩადუნა, ღიღილო, ოქროსღილა და ბაია აფერადებდნენ. ზაფხულის ცხელ დღეებში მდივნებს ამ მუხის ძირას უყვარდათ ჩრდილში წოლა. სხვაგან რომ პაპანაქება იყო და ფოთოლი არ ირხეოდა, აქ მუდამ ნიავი ქროდა და გრილოდა. რაგინდ მყუდრო ამინდი არ უნდა ყოფილიყო, მუხის კენწეროზე ფოთლები მაინც შრიალებდნენ, ხოლო ქარს ოდნავ რომ დაებერა. ვეება მუხის დაგრაგნილი ტოტები გრიალს იწყებდნენ. ძლიერი ქარის დროს კი აბობოქრებული ზღვის ხმოვანებას გამოსცემდნენ. კორნელისაც ბავშვობის დროიდანვე უყვარდა ამ მუხის ძირას გულაღმა წოლა და ოცნება. იგი საათობით უგდებდა ყურს უზარმაზარ მუხის შრიალს და ბედისწერის წინასწარ მაცნე დოდონის მუხები აგონდებოდა. აქედან ხელისგულივით ჩანდა რიონის ველი, მთის ძირში ქუთაისსაც დაინახავდა კაცი. მოწმენდილ ამინდში კი თვალნათლივ ჩანდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვანეთის მთებიც.

ყველანი ვენახში შევიდნენ და კრახუნისა და ცოლიკაურის ჯიშის მწიფე ყურძნის ჭამა დაიწყეს, მაგრამ მალე მოყარჯდათ. მაინც არ ეშვებოდნენ ვაზებს, აკიდოები გააკეთეს და მუხის ძირას, ბალახზე დაჰყარეს, თვითონ კი ნოხებზე წამოწვნენ. მამაკაცები ცალკე იყვნენ და პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე საუბრობდნენ, ქალები კი — მამაკაცების, განსაკუთრებით კორნელისა და მიხას ჩხუბის გამო ჭორაობდნენ. კორნელიმ იცოდა ეს და გული ეხუთებოდა. „გუშინ მიხამ კი სულ მთლად ჩამოიხსნა ნიღაბი, — ჯავრობდა იგი. — აი, ვინ შეფუშებდა საქმეს. აი, ვინ მაშავებდა ნინოს თვალში. მე კი ჩემს ეჭვებში სავსებით დარწმუნებული არ ვიყავი და მასთან მეგობრობას განვაგრძობდი. გათავდა. ახლა მიფრთხილდი!" — ბრაზი მოერია კორნელის. მას ვერ ეპატიებია თავისთავის, მ-ხა რომ კარისმერეთში და ზედაზენში წამოიყვანა. „საერთოდ, რა ჭირად ჩამოვედი აქ? რა საერთო მაქვს ამ ხალხთან?" მას ნინოსთან უკანასკნელი შეხვედრა და გუშინდელი სკანდალი მოაგონდა, გაქცევა დააპირა. „უნდა წავიდე, წავიდე აქედან მალე, უნდა გავიქცე ამ უცხო და უქმნილა ხალხისაგან", — იმეორებდა იგი სიტყვებს, რომლითაც

ცდილობდა ენუგეშებინა თავი ნინოსთან ქობულეთში კაენში-რის გაწყვეტის გამო.

მიხას ძახილმა ფიქრი შეაწყვეტინა:

— მოდი, კორნელი, შეხედე ხარაბუზებს, როგორ ჩხუ-ბობენ! რამდენი ხარაბუზაა!

კორნელიმ მუხის ქერქზე რქიანი, გრძელულვაშიანი და წაბლისფერი ხარაბუზები დაინახა. ისინი გამეტებით რქენდ-ნენ ერთმანეთს. მიხა იძახოდა:

— დედალი ხარაბუზის გამო იბრძვიან და ჩხუბობენ მე და შენსავით. ამათი თინიკო კი ხედავ, სად განაბულა? — ასე ერთობოდა მიხა ხარაბუზებით. მერმე მოულოდნელად უთხ-რა კორნელის: — თინას ვერავის ვერ დავუთმობ. ხელს ნუ შემიშლი და ცოტა ხანს დამტოვე თინასთან და აბა, ნახავ, თუ არ ამეკიდოს.

მიხამ შუბლზე დაცვენილი თმა აიწია და პეპლებს გამო-უდგა. იგი სადილობამდე პეპლებს დასდევდა. მათ უცხო და ფერადოვან ფრთებს ათვალიერებდა და თამბაქოს კოლოფში ალაგებდა. თანაც დაუსრულებლად გულისგამაწყალებლად ღიღინებდა: „მოხევის ქალო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო“. მერმე მუხის ქვეშ დაჯდა და განცვიფრებით მიაშტერდა ჭი-ლობზე ფეხმორთხმულ ოტიას, რომელიც დამცინავი ღიმი-ლით უგდებდა ყურს პოლიტიკურ თემაზე მოკამათე ნაბწავლ ხალხს: დათა მიქელაძეს, იონასა და სტეფანეს. იგი კარგ გუ-ნებაზე იყო, რადგან დათა ნიჟარაძე, კოწია ერისთავი, რა-ფიელ შარაშიძე, სიმონ წერეთელი და სხვა თავადები ეწვიე-ნენ. ძველი, სანატრელი დრო აგონდებოდა და ახლა უკვე აღარ ეშინოდა გლეხთა მოსალოდნელი აჯანყებისა. კამათით გატაცებულმა ოტიამ ვერ შენიშნა, რა გულმოდგინედ ხატავ-და მას მიხა მაჭავარიანი თავის ალბომში.

სურაბის გადაღება

კარგად დახატე, ოსტატო, უნიათო, მუქიახორა თავადების და აზნაურების კრება. ეს მათი უკანასკნელი და სამარცხვინო სურათია და სამახსოვროდ უნდა შევუნახოთ მომდევნო თაობებს.

ი ო ნ ა ჩ ხ ე ი ძ ე

1

სტუმრები სადილზე მიიპატიჟეს. წარჩინებული თავადები კვლავ საპატიო ადგილზე დასვეს. თამადად ისევ რაფიელ შარაშიძე აირჩიეს. მხატვარი მიხა მაჭავარიანი ისევ თინას გვერდით იჯდა.

როცა ქეიფი წამოვიდა, სოფელში ჭედიზედ გავარდა თოფი. თავადები შეშფოთდნენ. მალე გამოირკვა, რომ მილიციელები ნიშანში ესროდნენ, რისთვისაც ბოქაულის რისხვა დაატყდათ თავზე. შეშინებულმა ოტიამ კორნელის ძმას სტეფანეს ჰკითხა:

— ამბობენ, რუსეთში ბოლშევიკები იმარჯვებენო. მართალია, ბოშო, ეს ამბავი?

— მართალია, — მიუგო სტეფანემ.

— ჰოდა, დავღუპულვართ. თუნცა კორნელის და იონას რა უჭირთ, თავი ქუდში აქვთ. ბოლშევიკების მხარეს იქნერენ, რამ დაგაწერია, ბიჭო, მოთხრობა „გოჯასპირი?“ — ჰკითხა ოტიამ კორნელის.

— ადამიანისადმი და ხალხისადმი სიყვარულმა, — მიუგო კორნელიმ.

ოტიას დათა ნიჟარაძე გამოესარჩლა. მასაც წაკითხული ჰქონებოდა „გოჯასპირი“.

— ვერაფერი გამიგია, — ჩაერია ლაპარაკში დათა ნიჟარაძე, — კორნელი, თქვენ ხომ ჩვენი ღვიძლი სართ, ჩვენი ბუდიდან გამოსული! როგორ გეკადრებათ ბანდიტების, ჩვენი დამაქცევრების ქება! მიკვირს, ღმერთმანი!

— მართალია, მე თქვენი წრიდან გამოსული კაცი ვარ, მაგრამ ეს სრულიადაც არ მიშლის ხელს თეთრი შავისაგან გავარჩიო, დასაგმობი დავგმო და საქები ვაქო. თავისუფლების და ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის მებრძოლ

გლეხებს ყაჩაღებს და ბანდიტებს რომ ეძახით, საკვირველი ეს არის. ხალხის ხვრეტა და ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის გოჯასპირის ჩამოხრჩობა გახლავთ ყაჩაღობა და ბანდიტობა, — მიუგო კორნელიმ დათა ნიჟარაძეს.

— გოჯასპირის ჩამოხრჩობა არ შეგრჩებათ, — მიმართა იონამ რატომღაც ოტიას.

— ვერ გამიგია, მაგ ბრალდებას მე რად მიყენებ! გოჯასპირის ჩამოხრჩობა მე ხომ არ მიბრძანებია? — გაოცდა ოტია!

— შე კაცო, დათა ყიფიანი განა შენი ცოლისძმა არ არის? განა მან არ მოაკვლევინა გვარდიელებს თეოდე ტურიაშვილი და ჩამოახრჩობინა გოჯასპირი? — ჰკითხა იონამ.

— ჰოდა, დათა ყიფიანს და მთავრობას მოჰკითხონ, — მიუგო ოტიამ.

— დათა ყიფიანს და სხვებსაც ცუდ საქმეს წაჰკიდებენ გოჯასპირის შვილი გალაქტიონი და თეოდეს შვილიშვილი რაჟდენი. ისინი უთუოდ შურს იძიებენ, — ჩაილაპარაკა იონამ.

— ნუ სწუხდები, მშიშარა არა ვარ. — მედიდურად მიუგო დათა ყიფიანმა, — თუ საჭიროებამ მოიტანა, გალაქტიონს, რაჟდენს და სხვა ბანდიტებსაც გავუსწორდებით.

— გალაქტიონი და რაჟდენი ბანდიტები არ არიან, მათ უკან ხალხი დგას, — შეუტია იონამ.

ბაბომ ყური მოჰკრა იონას სიტყვებს, გაფითრდა და დაიწყო:

— ვინ იცის, იქნებ ახლაც, ჩემი კაკილას ნათლობაზეც თავს დაგვესხნენ გლეხები!.. ნუ გეშინია, ოტია, — დააიმედა მან ქმარი, — კარისმერეთის მილიციის უფროსი აქვსენტი ლორთქიფანიძე აგერ არ ზის! ჩვენ ეზო-გარემოს მისი მილიციელები დარაჯობენ. ესეც რომ არ იყოს, გაიხსენეთ, როგორ დამთავრდა გლეხების აჯანყება შარშან!

— თავი გაანებეთ მშრომელი გლეხობის ტანჯვას და საშიშიც არაფერი გექნებათ. ნუ ებღაუჭებით სამემკვიდრო მიწა-წყალს. სულ ერთია, ადრე თუ გვიან, ჩამოგართმევენ მას. ხელი გამოიღეთ, თვითონვე იმუშავეთ და ისე ირჩინეთ თავი, თორემ მუქთახორობა არ შეგრჩებათ და არამცთუ აქვსენტი ლორთქიფანიძის მილიცია, არამედ მთავრობის ჯარიც

ვერ გიშველით, — ყველას ცივი წყალი გადაავლო თავზე იონამ.

ატყდა ერთი დავიდარაბა. თავადები თავს დაესხნენ იონას და გათათხეს. იონას კორნელი მიეშველა, და ისეთი რამ თქვა, რომ თავადები გააოცა, შეურაცხჰყო და მთლად შეაშფოთა:

— თქვენ არა გესმით რა იმ დიდი ისტორიული ამბავისა, რომელიც რუსეთში მოხდა. რუსეთში ავარდნილი ქარიშხალი და დანთებული ხანძარი დასწვავს და ძირბუდიანად ამოაგდებს მონობაზე აგებულ ძველსა და დამყაყებულ ქვეყანას და მის ნანგრევებზე თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება აღმოცენდება. ამაოდ ფიქრობთ, რომ ის ქარიშხალი თითქოს უვნებლად თავს გადაგივლით და არ შეეხება თქვენს ბუდეებს. სასაცილოა ეს თქვენი ფიქრი. ყოველმა ჭკუათმყოფელმა კაცმა იცის ახლა, რომ ჩვენმა წოდებამ თავისი დრო მოსჭამა. ასე მგონია, თქვენ ბრმად და ყრუდ ცხოვრობთ დაობებულ თქვენს ბნელ ბინებში. თქვენ უკვე აღარ გესმით ამოვარდნილი ქარიშხლის გუგუნი. მე კი იმ ქარიშხლის გუგუნი მიტაცებს, რადგან საზოგადოების წინსვლას და პროგრესს ვეტრფი და არა რეგრესსა და რეაქციას.

— ეს ნამდვილი ჩვენი მტერი ყოფილა, ჩვენს ბუდეში და სახლში გამოზრდილი, — იყვირა სვიმონ წერეთელმა. მას სხვა თავადებმაც მისცეს ბანი. მხოლოდ ექიმმა ჭორჭაშვილმა განაცხადა:

— ლანძღვა-გინების ნაცვლად, ისა სჯობია, ამ კაცის სიტყვას ჩავუკვირდეთ, ჭკუა გამოვიჩინოთ, ხალხის ხმას და მოთხოვნილებას ანგარიში გავუწიოთ, თორემ ცხოვრებიდან გარიყული აღმოვჩნდებით და მაშინ ახალი თაობის რიხვა მართლაც ქარიშხალივით თავს დაგვატყდება.

ატყდა ერთი აღიაქოთი, რომელიც ბაბომ და ტერეზამ ჩააქრეს. თავადები იონასა და კორნელის შეარიგეს, მაგრამ შერიგება დროებითი აღმოჩნდა... დათა ნიჟარაძემ და კოწია ერისთავმა კორნელის მიერ მათ თავზე სახარების წაკითხვა ითაკილეს, იწყინეს და გაბრაზდნენ. მალე სუფრა მიატოვეს და ქუთაისისაკენ გაემგზავრნენ. ზედაზენში ამ ჯგუფიდან მხოლოდ ჭორჭაშვილი და რაფიელ შარაშიძე დარჩნენ. ოტია, ბაბო, ტერეზა და ელენე ტირილით უსაყვედურებდნენ იო-

ნას და კორნელის: ეს დიდებული და წარჩინებული ხალხი რისთვის გაგვიქციეთო. მაგრამ ღვინომ მაინც თავისი გააკეთა. მოქეიფენი იმავ გამხიარულდნენ, დათვრნენ და სკანდალი მალე დაავიწყდათ.

2

სადილის მერმე ფოტოგრაფი მოიწვიეს, ბაბომ და ოტიამ სტუმრებს თხოვეს, ეზოში ჩასულიყვნენ, მდივნების ოჯახურ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბის — კაკალას ნათლობის აღსანიშნავად სამახსოვრო სურათი გადაეღოთ.

ქალები აივნის წინ, ეზოში სკამებზე დასხეს. მათ უკან მამაკაცები და შინაურები დადგნენ. ყველაზე მაღლა, სახლის საძირკველზე შემდგარი, ჩოხაში გამოწყობილი მზარეული ირაკლი წულეისკირი ჩანდა. იგი კაკალას გამდელს, ლამაზ სონას ეარშიყებოდა, ცალი ხელი ბოძისათვის მოეკრა, ხოლო მეორე ხელის თავკომბალა საჩვენებელ თითს კი ელიზბარის შვილებს, მის წინ მდგარ გიმნაზიელებს — მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებს თავში სცემდა და აცინებდა.

ისიც მთვრალი იყო, მაგრამ ყველაზე მთვრალი და სახაცალონი ქალების წინ მოლზე მჯდარი და წამოწოლილი ჩოხოსანი თავადები და აზნაურები იყვნენ... შუაში ოტია მდგარა მოლზე რუმბივით დაგორებულიყო თავისი ხვანჯრიანი ლურჯი გალიფეთი. ქეჩის ჩექმებიანი ფეხი ფეხზე გადაედო. ხაკისფერი ფრენჩის ღილები გაეხსნა და მკკდარივით ჩასძინებოდა. მოწყვეტილი თავი ზვინივით ზორბა, შავჩოხიანი კაცის — ელიზბარის ცოლისძმის, არჩილ წერეთლის მუხლზე მიედო, ხოლო პატარა და მსუქანი ხელები გაღეღილ მკერდზე დაეწყო. ცალ ხელში სახეზე მიფარებული დიდი ყანწი შერჩენოდა და უმოწყალოდ ხვრინავდა. მისი ცოლი ბაბო კი ქალთა წრის შუა ამაყად ჩამჯდარიყო, ხელში წითელლოყებიანი, ჩასუქებული ბავშვი — კაკალა აეყვანა და მუხლებზე გაეჩერებინა. მარჯვნივ და მარცხნივ ტერეზა და ტერეზას ძმა, გრძელწვერა ელიზბარი ესხდნენ. ტერეზას გვერდით — ელენე, დათა, სტეფანე და კატო ჩამწკრივებულიყვნენ. ელიზბარს თავი მოეკრიცოდა. თვლემდა, მარცხენა თვალს ცალ-

ძალად ახელდა და წარბები სასაცილოდ აეძგიბა. იგი შავგვრემანი, ჯმუხი და გულჩათხრობილი კაცი იყო. მხოლოდ გრძელი და ჭაღარა წვერით ჰგავდა თავის ძმას — ოტიას. გვერდით აბრეშუმის კაბებში გამოწყობილი მისი მზეთუნახავი ცოლი და ცოლის ძმისშვილი თინა უსხდნენ. ქალებს თმა ახალ მოდაზე დაეკარცხნათ, დაეგორგლებინათ, მორგვი თხემზე ჯიღასავით აჯდათ და ოფოფებსა ჰგავდნენ. არჩილის გვერდით, როშლისთვისაც მიწაზე დაგორებულ და მძინარ ოტიას დაედო მუხლებზე თავი, მისი ძმა სვიმონ წერეთელი წამოწოლილიყო. ესეც ხორპა და ახოვანი კაცი იყო. იგი შავ ჩოხაში, მაღალი ბუხრის ქუდით, ოქროსფერი მოსევადებული ქამარ-ხანჯლით მორთულ-მოკაზმულიყო, თავი დის მუხლზე მიედო და მეფურად ჩასძინებოდა. გვერდზე კაფანდარა კაცი კოწია ჩხეიძე მისჯდომოდა და ძილისაგან მოწყვეტილი, ორშისმაგვარი, პატარა თავი მის გოლიათ მხარზე დაედო. კოწიას ერთი მხრით, ღრმა ძილში წასული, მოლზე გულაღმა გაშოტილი წულუკიძე მისწოლოდა, ხოლო მეორე მხრით — სამხედრო ნიშნებით მორთული, ჩოხაში გამოწყობილი ოფიცერი — ჯალაბი დათა ყიფიანი. ყიფიანი და ბოქაული აქვსენტი ლორთქიფანიძე ძილფხიზლობდნენ და მრისხანედ ჰკუსავდნენ დასისხლიანებულ თვალებს. არჩილ წერეთლის გვერდით თეთრჩოხიანი, გაორვის ჯვრებით მკერდდამშვენებული, თვალებჩაღაქებული და გამძვარი ქაიხოსრო აბულაძე იჯდა, ჯერ კიდევ გაუტეხელი და ჭკნე მომღერალი. იქვე იყო ოთხმოცი წლის ვოლიათი მოხუცი — ნესტორ ჯაიანი, შავ ჩოხაში და ბუხრის ქუდით. მას მოკლედ შეკრეჭილი თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში ჰქონდა. მიუხედავად მისი ასაკისა, იგი ჯერ კიდევ ღონიერი, შეუპოვარი, მოჩხუბარი და ღვინის შეუდარებელი მსმელი კაცი იყო. მას მრისხანე და ჯმუხი სახე ჰქონდა. ყანწი ეჭირა. ზედაზენის მთებს ამაყად და მშვიდად კასკვეროდა. მხატვარმა ნიჭმა შეხედა და გასძახა: „ვაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი ჩაიდგი მგლისაო“. ნესტორ ჯაიანის გვერდით, მის მიერ ღვინის სმაში გაწვრთნილი, ჩაქურაში გამოწყობილი თავადი რაფიელ შარაშიძე და სხვა ჩოხოსანი თავადები თვლემდნენ, ქალების უკან, ახალგაზრდათა შორის, მოურავი ბეგლარ სანიკიძე და მისი ძმა სილოვანი იდგნენ, ხაკის ფრენჩში და გალიფეში გამოწ-

ყობილნი. ბეგლარი ჯარიდან დაბრუნებულ ეფრეიტორს ჰგავდა. ახალგაზრდებს ატყუებდა, მეც ახალთაობის კაცი ვარო, მაგრამ კორნელიმ რომ შეხედა, შეკრთა და უმალვე თვალი მოარიდა. ყველაზე უკან, კორნელის გვერდით იონა ჩხეიძე იდგა, თავისი ჭაღარა წვერით და კეხიანი, ფართონესტოებიანი ცხვირით იგი მეფისტოფელსა ჰგავდა. დამცინავად იღიმებოდა, ზემოდან ქვევით დასცქეროდა მიწაზე დამსხდარ და წამოწოლილ გალეშილ თავადებს, მის გვერდით მდგარ კორნელის რაღაცას ეჩურჩულებოდა და ფოტოგრაფს გასძახოდა:

— კარგად გადაიღე, ოსტატო, უნიათო მუქთახორების კრება. ეს მათი უკანასკნელი და სამარცხვინო სურათი იქნება და სამახსოვროდ უნდა შევუნახოთ მომდევნო თაობებს!

ფხიზლებმა რისხვით მოჰხედეს იონას.

8

საღამოს წვიმა წამოვიდა და მდივნებმა აივანზე გაშალეს ვახშმისათვის სუფრა. ოტია და ბაბო დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყვნენ.

გამოძინებული ოტია ისევ ქეიფისა და ღვინის სმის ეშხზე მოვიდა. ბაბომ კი თავისი ცეკვით, სიმღერითა და გახურებული დაირით სტუმრები მოხიბლა. მამაკაცებს ღვინოს სმაში გაეჯიბრა, რაფიელ შარაშიძე ნიშანში ამოიღო, ეარშიყებოდა, რის გამოც ოტიას მოურავი ბეგლარ სანიკიძე ბრაზისაგან გულზე სივდებოდა. ბეგლარი ხშირად გამოიხმობდა ხოლმე ქალბატონს აივნიდან ოთახში და ტუქსავდა. ქალბატონი კი არაფრად არ აგდებდა მოურავის გაბრაზებას, ომახიანი ხმით ხარხარებდა, აივანზე გამორბოდა, თამადას ისევ ღვინის სმაში იწვევდა, შავ ბრიალა თვალებს შეანათებდა და გასძახოდა:

— სად გაეჩხირა, თამადა, თქვენი ყანწი? გვაღირსეთ სასმისი, თორემ ყელი გაგვიშრა!

მუსლებს არ მოსწონდათ მისი საქციელი. ტერეზა ცალ წარბს ასწევდა და თვალით ანიშნებდა, რა ამბავში ხარ, დაწყნარდი, სირცხვილი ხარისო! მაგრამ ბაბო ახლა არც თავის საყვარელ და მოსარიდებელ მუსს ეპუებოდა და უჯერებდა.

იგი მთვრალი და აგზნებული იყო. ჩაქურაში გამოწყობილ, ლამაზ, ახოვან, სისხლსავსე და წითურ თავადს რაფიელ შარაშიძეს არ ეშვებოდა... ახლა გიტარა აიღო ხელში ბაბომ. თავისი გრძელი, წვრილი, ჩამოსხმული თითებით სიმები აკაკუნა და ზედ რუსული ძველი რომანსი დაამღერა:

«Весна идет и сердце бьется».

ჯანსაღი, ჯიგრიანი და ახოვანი ქალი მუშტისოდენა ბრილიალა თვალებს ნაბავდა და ისეთი ძლიერი და ცივი ხმით გაჰკიოდა, რომ კორნელის ყურის დაფებს ჟღრიალი გაჰქონდა. ზედაზენში საქეიფოდ მისულ პროვინციელთ კი რუსულ ენაზე ბაბოს სიმღერა მოსწონდათ და შურით ამბობდნენ: ეს რა ნიჭიერი, განათლებული და ახალგაზრდა ქალი ჩაუგდია ხელში ამ ბებერ ოტია მდივანსო.

დაწოლის წინ ბაბო უკანა აივანთან, ბნელ დერეფანში ელოდებოდა თავად შარაშიძეს. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში სტუმარმა ყვირილი მორთო:

— რა ღმერთი გიწყრება, ქალო, ხელი გამიშვი, იონა ვარ ჩხეიძე, რაფიელ შარაშიძე არ გეგონო...

ბაბოს თავი მოეჭრა, მაგრამ ამის გამო ის მაინცდამაინც არ დაღონებულა. შუბლის ძარღვი მართლაც გაწყვეტილი ჰქონდა. თავს იმართლებდა:

— ისე ღმერთი უშველის ნეჩვენებულ იონას, როგორც მაგი მართალს ამბობდეს!

იმ ღამეს იონას, სტეფანეს, კორნელის და მიხას სასტუმროში გაუშალეს ლოგინი. ბუმბულით გატენილი ლეიბები დაუგეს და აბრეშუმის ახალი საბნები გადაახურეს.

კორნელის ადრე გამოელვიძა. ფიქრში წასულმა ვერ შეამჩნია, თუ როგორ გაიღო ნელა და ფრთხილად კარები და როგორ გამოჩნდა შიგ გრძელწვერა მოხუცის მელოტი თავი. ოტიამ ტახტებსა და იატაკზე მძინარ სტუმრებს მოავლო თვალი. მოცისფრო თვალები გულუბრყვილო ბავშვივით აუციმციმდნენ, გაღვიძებულ კორნელის გაუღიმა და ჩურჩულით ჰკითხა:

— გაიღვიძე, ჩემო საყვარელო დისწულო? სტეფანეს ხმა ნავს?

— არა, ბიძია ოტია. — უთხრა სტეფანემ. — რა დროს ძილია: შუადღემ მოატანა...

— შეჩვენებული იონა სად არის? — ჰკითხა ოტიამ.

— იონას ამ დრომდე შენ გააჩერებ ლოგინში! მამლის ყივილზე დგება. ალბათ, ეზოში დაბორიალობს სადმე, — მიუგო სტეფანემ.

შეშუპებულ, შიშველ და კოტრტა ფეხებზე ფაჩუჩები წამოეგო ოტიას. ხვანჯრიანი შარვალი და საკინძეგახსნილი პერანგი ჩაეცვა. ცალ ხელში არაყით სავსე ბოლის სურა ეჭირა, მეორეში კი ჩურჩხელა და დარჩეული თხილით სავსე თეფში. ღიმილით წამოადგა თავზე სტეფანეს, კორნელის და ალერსით სავსე, შემპარავი ხმით უთხრა:

— ნაქეიფარი ვართ და ამ დილით არაყი მოგვიხდება, გამოგვაკეთებს, ჩემო საყვარელო დისწულებო.

სკამი მოსწია, ზედ სურა, თეფში შემოსდგა, თვითონ კი სტეფანესა და კორნელის შორის ლეიბზე დაეშვა და დაგორდა.

— ამდენი ქეიფიც არ გამიგონია, — უთხრა სტეფანემ და შუბლი მოისრისა.

— ჩემი ღვინო არ გაწყენს. ნამდვილი ყურძნის წვენია, მამაჩემის სული ნუ წამიწყდება! ვიქეიფოთ, ჩემო დისწულო, აბა მეტი რა შეგვრჩება! ჩემს ნაშრომსა და ნაოფლარს ვჭამ და ვსვამ, სხვისას ხომ არა? ვინ იცის, ბოშო, იქნებ უკუღმართად წავიდეს საქმე და ისე, როგორც რუსეთში. ჩვენშიც ბოლშევიკებმა გაიმარჯვონ, ადგილ-მამული წაგვართვან და თითივით შიშველი დაგვტოვონ თავად-აზნაურები! ნუ გეშინია, კორნელი არ იდარდებს ჩვენს უბედურებას, — განაცხადა ფეხმორთხმულმა ოტიამ და აკანკალებული ხელით ჩააცხა სურიდან ჭიქაში არაყი.

საბრალო მხატვარს ისევ მკვდარივით ეძინა, თორემ არაყის დანახვაზე სიხარულით ცას ეწეოდა.

კორნელი გაოცებული უცქერდა ახლა ოტიას ვეება ღიპს, ჩასუქებულ და ბებერი ხარივით დანაოჭებულ წითელ კისერს, ღილგახსნილ პერანგში გამოჩენილ თეთრს, ფაფუკსა და დონდლო სხეულს, მუთაქისოდენა შეშუპებულ ფეხებს, შის დაავადებულ და აცრემლებულ უგონო თვალებს, მსუქან, თეთრსა და პატარა ხელებს, ორშიმოს ტუჩივით მოწ-

რუპულ ბაგეს, რომლითაც უზომო ღვინო შეუხვრეპია თავისი ცხოვრების გზაზე. გუშინდელი სკანდალი მას არ ახსოვდა და არც აღონებდა. კორნელის კი რცხვენოდა: „აი როგორ მოშლის, დასცემს და გამოალენჩებს ხოლმე დაუსრულებელი ღვინის სმა და ლოთობა ადამიანს. ამას ახლა არც ნებისყოფა, არც თავმოყვარეობა და არც კაცობა გააჩნია. ნამდვილი ინვალიდია. რა საამაყო და ჩინებული ნათესავი მყავს!“ — ფიქრობდა კორნელი.

გულითადი საუბარი

ძლიერ არ მომწონს, მაშინებს, რომ ხარ პოეტი...

ს. ე ს ე ნ ი ნ ი

ტერეზა, იონა, კორნელი და მიხა ღამით ჩამოვიდნენ კარისმერეთში, ხოლო ღათა, ელენე, სტეფანე და კატო ზედაზენში დარჩნენ.

დილით ადრე გაიღვიძა კორნელიმ, ფარდა ასწია და ფანჯარაში გაიხედა. როგორც მაშინ — აქ ჩამოსვლის მეორე დღეს, ახლაც მზით განათებულ მშვენიერ არემარეს გაჰხედა და მისი ჭვრეტით დატკბა; მერმე ფარდა დაუშვა, ჩაიცვა და პერანგის ამარა ეზოში გავიდა.

ბებერი მსხლის ქვეშ, კვლავ შავებით მორთული დედაბერი იჯდა და, ჩვეულებისამებრ, კრიალოსანს მარცვლავდა. კორნელი მის გვერდით გრძელ სკამზე დაჯდა. გამტანჯველი დუმილი რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. იგი ტერეზამ დაარღვია.

— ზედაზენში მომხდარი უსიამოვნების გამო ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენსა და მიხას შორის მომხდარი ჩხუბის მიზეზი ღვინო როდია. შენ და მიხა მოსიხსლე მტრები ყოფილხართ. მიამბე, რა განხეთქილება მოხდა შენსა და ნინოს შორის და რა როლი ითამაშა მიხამ?

კორნელი შეიშმუშნა და მიუგო:

— არაფერი ისეთი არ მომხდარა. აბა, რად გინდა, ყველაფერი იცოდე, დედაჩემო?

— როგორ თუ რად მინდა? მე დედა ვარ შენი. ჩემზე უკეთეს რჩევას ვერავინ მოგცემს... მითხარი, ნუ დამიმალავ.

კორნელიმ განზე გაიხედა და დარცხვენილმა დაბალი ხმით აიწყო:

— ნინო ეჭვიანობს ერთ გერმანელ ქალზე. შენ იცნობ იმ ლს.

— ვინ არის ის ქალი?

— მარგარიტა ლეტცი.

— მარგარიტა ლეტცი რა შენი საკადრისია! — უმალვე ამრიზა ტერეზა, — იმ უზნეო ქალთან შენ რა კავშირი გაქვს?!

— თვითონვე მიხვდები. მარგარიტამ, ჩემი თხოვნით, ჩე- სკოლის ამხანაგი ლეონ მერაბიანი საპატიმროდან გამო- ხვეზინა სამხედრო მინისტრს. ამიტომ, ლეონმა მარგარიტა ა მე მიგვიპატიჟა რამდენჯერმე შინ და რესტორანშიც.

— აი, ხომ ხედავ: ღვინო, ქალები და რესტორანი! ეს არის ემი უბედურება. მერმე რა მოხდა?

— მერმე, როდესაც მაყაშვილები ამ ზაფხულს ქვიშხეთ- ი გავაცილეთ, მე და მიხა სადგურიდან ქალაქში დავბრუნ- ით და ვერის ხიდთან ბაღში შევედით, იქ მარგარიტა და ხი მეგობარი ქალი — ქეთო მაღალაშვილი შეგვხვდნენ. მი- ემ რესტორანში დაპატიჟა ისინი და ერთად ვიკახშმეთ.

— ისევ ღვინო, ქალები და რესტორანი... მერმე?

— ვახშმის მერმე. ისინი ჩემს ოთახში წამოვიდნენ... თუმ- ა ნინო უარყოფს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველივე ა მიხამ ელოს უამბო, ელომ კი — ნინოს. და ატყდა ერთი ავიდარაბა, ჩხუბი და ისტერიკა...

— შე კაი კაცო, ნინო მრუშობას რომ არ გაპატიებდა, რ იცოდი? მით უმეტეს, ისეთი ამაყი ქალი, როგორიც ნინო ყაშვილია. ცუდად ყოფილა საქმე. სიყვარულის რა ჩინე- ული საბუთი მიგიცია ნინოსათვის! ყოჩაღ, ბიჭო! განა მწე- ალმა, მოწინავე ადამიანმა და წესიერმა კაცმა ასეთი რამ ნდა იკადროს? არ მოიწონს. მართალი გითხრა, შენი საქ- ელი, იგი ცუდად გახასიათებს...

— ის ამბავი წუთიერი გატაცების შედეგი იყო. ნინო- ვმი ჩემს სიყვარულს იგი არ შეჰხებია...

— ყოველთვის მეშინოდა: კორნელი ღვინომ და ქალებ- ა არ გაიტაცოს-მეთქი... გაფრთხილებდი, უამრავ წერილს წერდი, თავს გაბეზრებდი... და, აი, ხომ ხედავ, რისიც მე- ინოდა, სწორედ ის მოხდა. მე მჭონდა საამისო საბუთი, რომ

გამეფრთხილებინე. მამაშენის მაგალითი თვალწინ მედგა და ის არ მასვენებდა. ათასჯერ მითქვამს შენთვის, მამაშენს ჰგავხარ-მეთქი ხასიათით. მამაშენი ახირებული, უნებისყოფო, თავშეუკავებელი, აფექტური და აგზნებული კაცი იყო. ვაი, ჩემს უბედურ დღეს...

კორნელი მიხვდა, რაკი დედამ ხელთ იგდო იგი, მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ სათქმელს სრულიად არ ეტყოდა და ნოტაციების კითხვით გულს არ მოიჯერებდა. ეგ სენი სჭირდა ტერეზას. და აი, ისიც მოჰყვა დაუსრულებელ ნოტაციებს:

— ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა: „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი"... ან კიდევ: „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში"...

— ეხ დედაჩემო, ეს ყოველივე მართალია, მაგრამ ვის არ აკლია ჩვენს დროში ახლა მიჯნურთ ზნეობა? მე რომ მიკერძნებ, ერთი ნინოსაც გაუსინჯე კბილი. შენ რომ გგონია, არც ისეთი იდეალური ქალი გახლავს ნინო. იგი, თავისი დედის მსგავსად, სიმდიდრისა და ჭონების მოყვარული, ფილისტერი ქალია, ელოსაებრ ისტერიით დაავადებული... დავიღალე ამდენი ცერემონიებით. მართალი თუ გინდა, თავადების, და მათ შორის მაყაშვილების. დრო გაფრინდა, ისინი გადაგვარდნენ. ახლა სულ სხვა ხალხი მოდის და სულ სხვა ცხოვრება მკვიდრდება.

— ასე ნუ იტყვი... რად ჰკიცხავ? მსგავსი ქალი სწორედ არ ვახლავს ნინო. შენ ნინოზე გაბრაზებული ხარ, გინდა თავი გაიქართლო და ქალს კი უდანაშაულოდ ლანძღავ. არ ვარგა ასეთ მტკიცება, რაც თვითონვე არ გჯერა. რა ხალხზე და რა ცხოვრებაზე ლაპარაკობ? ვინ უნდა დაამყაროს ის იდეალური ცხოვრება? შენმა გელაშვილებმა და ტურიაშვილებმა ხომ არა? და ამ ამაო ოცნების გამო უფლებას აძლევ შენს თავს, შეურაცხყოფა მიაყენო წარჩინებულ და პატივცემულ ადამიანებს, რომლებიც სტუმრად მოდიან ჩვენსა და რომელთა ნაცნობობით ჩვენ ვამაყობთ. ნუთუ შენ მართლა გგონია, რომ გელაშვილები, ტურიაშვილები და ენდელაძეები დაამყარებენ სოციალიზმს? მაგრამ ეს ახლა არ მაინტერესებს. დრო დაგვანახვებს... შენ ნინოს წაჰხუბებიხარ... შენი უზნეობის გასამართლებლად ათას რამეს იმოწმებ და იგონებ. არ მოგწონს შენი უზნეობა, აგზნება და ნერვიულობა, — გატა-

ცებით განაგრძობდა ტერეზა. — გზნებასა და დაუოკებელ ვნებებს გრძნობა და ფანტაზია ხშირად გალიზიანებამდე და გამახვილებულ სიფაქიზემდე მიჰყავს. ადამიანს ნებისყოფა უდუნდება, იგი არა გონების კარნახით, არამედ აფექტებით ცხოვრებას იწყებს, რაც მას ხშირად უზნეო და ცუდ ნაბიჯს აღგმევინებს. ამით არის გამოწვეული შენი დაუდეგარი და მოუსვენარი ცხოვრებაც, სასოწარკვეთილება, ომში წასვლა და სიკვდილთან თამაში, ღვინითა და ქალებით — წყეული მარგარიტა ლეტცით გაცაცება. ასეთი იყო მამაშენიც. იგი ბუნებით მხატვარი იყო და სამედიცინო დარგი კი დაამთავრა. შენც მის კვალს მიჰყვები და გული მიკვდება... როგორ შეათანხმებ შენ ლექციებზე სიარულს, პროზექტურაში გვამებზე მუშაობას, ვარჯიშობას და მწერლობას?! ნეტავი შენ მწერლობა არ დაგეწყო და სხვა რაიმე ხელობისათვის მოგეკიდა ხელი. ხელოვნებაში უანგაროდ და უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, ისეთი, როგორიც იონა და შენა ხართ, ვერ ერკვევა ცხოვრების წვრილმან და პრაქტიკულ საკითხებში... ეს არის ჩემი უბედურება. შენ და იონა მეოცნებე, ფანტაზიორები და პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოუსადეგარი ადამიანები ხართ. იონამ დამღუპა. მან აგაცდინა სწორ გზას და ახლა ნარეკლით მოფენილ გზას ადგები. დაიხსომე: შენც იონასავით მათხოვარი იქნები, რადგან პოეტის, მწერლისა და მხატვრის ქონება და ფული არავის გაუგონია.

— ეგრე რად ამბობ, დედაჩემო! შენი სიტყვა წყევლას ჰგავს, — შეძრწუნდა კორნელი.

— წყევლისაგან ღმერთმა დამიფაროს. მე ჩემს სათქმელს ვამბობ, თუმცა, — დასძინა ტერეზამ, — სტეფანე თუ პედაგოგია და ევგენი ჭირურგი, რა ჯიღა დამადგეს მერე! სტეფანე ცოლის ნათესაებსა და მოყვრებს გადაჰყვა. ევგენი ცოლითურთ პარიზშია და ისევ სწავლას განაგრძობს. შენ კი, თვითონვე დახმარება და ხელისშეწყობა გჭირდება. მარტო მე, ქვრივმა და უმწეო ქალმა რა გავაწყო ამ არეულ დროში? შეხედე ამ სახლს, საძირკვლები ულპება. აივანი თუ არ შევაკეთეთ, საცაა სვეტები გაბოეცლება. სამზადი გადაიხარა, ბელელი და სასიმინდეც ცალგვერდზეა წამოწოლილი, განა ტყუილს ამბობს იულო დურგალი, „ნოვო ნადაო“ რომ იძახის! ჩვენი ვენახიც დაბერდა... ძლივსღა ისხამს ნაყოფს და

ახალი ვაზები უნდა ჩაიყაროს. ვინ იტვებს და ვინ უპატრონებს ყოველივე ამას? მე დავბერდი და დავსუსტდი. ხედავ, როგორ გავხდი? ვატყობ, რაღაც სენი შემომეპარა, შვილო.

კორნელიმ ფერმკრთალ დედას შეხედა და გული ეტკინა. იგი შარშანდელს აქეთ მართლაც საშინლად გამხდარიყო, თვალები ბუდეში ჩასცვენოდა და უპეები ჩაღამებოდა. გრძელ სახეზე გრძელივე და კეხიანი ცხვირი შესამჩნევად გამოერჩეოდა.

— აი, ხომ ხედავ, — უთხრა ტერეზამ შვილს, თავი დახარა, საგრძნობლად შეთხელებული თეთრი თმა გადაიწია და სიმსივნე უჩვენა, — ხომ გახსოვს, ეს სიმსივნე თხილის ოდენა იყო, ახლა კი კვერცხის ოდენა გახდა. მეშინია, კიბო არ იყოს.

კორნელიმ ხელი შეახო და თითებით მოსინჯა მოძრავი სიმსივნე.

— ეს ცხიმოვანი სიმსივნეა, ავთვისებიანი არ გეგონოს, დედაჩემო, — უთხრა კორნელიმ. მანც ეწყინა ეს ხორცმეტი დედის ჭაღარა თავზე. ფეხზე წამოდგა და ანუგეშა: — ნუ შიშობ, ერთ წუთში ამოაგდებს ექიმი.

— შენც არ მომიკვდე, შვილო, დანის ქვეშ მე არ დავწვები, რაც მომივა, მომივიდეს. საკმაოდ მოვჭამე წუთისოფელი. მხოლოდ ის მაღონებს, რომ შენს ცოლ-შვილს ვერ მოვესწარი. ამას რომ მომასწრებდე, დამშვიდებით მოვკვდები. აკაკაჩია, ბაკაკაჩია, გისვამს, გიჭამია, გზა გაგაჩნიაო, ხომ გაგეგონია ეს ანდაზა?

— ეხ, შენც ერთი, სიკვდილზე ლაპარაკისთვის მოგცლია!

— დავბერდი, შვილო, ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს. ეს სოკოსავით თავზე გაჩენილი სიმსივნე მაინც არ მომწონს. ვაითუ ამან მომიღოს ბოლო?! თუმცა ამ გამწარებულ დროში სიცოცხლე არც ღირს. ამიტომ არც მეშინია და არც მენაღვლება. ბოლოს, ხე როგორ ხეა, ისიც კი ბერდება და ხმება. შეხედე, ოდესღაც ტკბილი ნაყოფით მსხმოიარე ამ სანაქებო მსხალს. სულ მთლად სოკო მოედო და ფითრმა შეჭამა.

კორნელიმ ბებერ მსხალს ახედა... ხეს ხავსი მოსდებოდა ტანზე, თეთრი სოკოები ამოსკლოდა ხორცმეტივით და ხმობა შეპარვოდა. ტოტები კი მუქთამჭამელ ფითრს დაეფარა.

კორნელის ცუდად ენიშნა ყოველივე ეს.

ამ დროს ეზოში იონა შემოვიდა, მაგრამ ტერეზამ მაინც მოასწრო, ეკითხა შვილისათვის:

— მართალი მითხარი, შენსა და ნინოს შორის ჩხუბი როგორ დამთავრდა? საბოლოოდ დაშორდით ერთმანეთს?

— ჩვენ არაერთხელ გვიჩხუბნია, დედაჩემო, მაგრამ საქმე ისევ მორიგებით დამთავრებულა. ალბათ, ახლაც ისე მოხდება, — მიუგო კორნელიმ, თუმცა თავისი ნათქვამისა თვითონვე არა სჯეროდა.

ნაწილი მეოთხე

ტყეში

კაცს თუ გინდა, რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე გულში, ეგ ეყოფა სატანჯველადა.

ი. ჭავჭავაძე

1

კორნელის და მიხას ტერეზას „ხაბარდულა“ და მეზობლის ცხენი შეუკაზმა აგოიამ. ტერეზამ, იონამ და შინაურებმა ბონდის ხიდამდე მიაცილეს სადგურზე მიმავალნი. ტერეზა შვილს მოეხვია, აკოცა და ცრემლები გადმოღვარა. ის და იონა ობლად და ნაღვლიანად იდგნენ ხიდის თავში მანამდე, სანამ მხედრები თვალს არ მიეფარნენ. კორნელის გული დაწყდა და შეეცოდა ისინი.

მხედრები შარაგზაზე გამოვიდნენ და სადგურისაკენ გაეშურნენ. კორნელის გზაში ხმა არ გაუცია მიხასთვის, მხოლოდ ჭვეითად მიმავალ აგოიას ესაუბრებოდა. ამ საუბარმა გააოცა, ისე გათვითცნობიერებულიყო ბიჭი. აგოიას იონა აძლევდა თავის სამკითხველოდან წიგნებს და ცნობისმოყვარე ბიჭიც კითხულობდა მათ ზამთრის გრძელ ღამეებში. განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის, ყაზბეგისა და ნინოშვილის მოთხრობებს მოეხდინა მასზე დიდი შთაბეჭდილება. წიგნების

კითხვას სამშობლოსადმი და ღარიბი ხალხისადმი სიყვარული, ხოლო მდიდართა მიმართ ზიზღი ჩაენერგა აგოიას გულში, რასაც იგი არ ფარავდა და ყმაწვილური გატაცებით უამბობდა კორნელის. კორნელის სწყინდა, ასეთი ნიჭიერი ბიჭი სოფელში მოჯამაგირედ რომ იყო ამდენ ხანს. ახლა კი უხაროდა, რადგან მიუხედავად ტერეზას წინააღმდეგობისა, დეიდა ელენე დაითანხმა, თბილისში წაეყვანა აგოია. სკოლაში ან სადმე სახელოსნოში მოგაწყობ შეგირდადო, — ჰპირდებოდა კორნელი და ცოდნასა და ქალაქს დანატრებული ბიჭიც ცას წვდებოდა სიხარულით.

მგზავრები მდინარე ყვირილაზე გავიდნენ და მალე სადგურში მივიდნენ. ბათუმიდან და ფოთიდან დღისით თბილისში მიმავალი ყველა მატარებელი გასულიყო და შემდეგი კი მხოლოდ ღამის ათ საათზე იქნებოდა. სანამ კორნელი სადგურის მორიგესთან საუბრობდა, აგოია ორთქლმავალთან მისულიყო, მას ათვალიერებდა და მემანქანეს შეკითხვებით არ ასვენებდა. ბოლოს აგოიამ კორნელი გადაკოცნა, მიხას დაემშვიდობა, „ხაბარდულაზე“ შეჯდა, მეორე ცხენი მარქაფად გამოიბა და კარისმერეთისაკენ გასწია.

კორნელიმ მაჯის საათს დახედა. კარისმერეთიდან გამოსვლის მერმე პირველად დაელაპარაკა მიხას და უთხრა:

— სამი საათია. ამ სადგურზე სიცხეში შვიდ საათს გდებას მირჩევნია აქვე სოფელ სარბევში ნათესავთან მივიდე. იქ საქმე მაქვს. შენი მატარებელი სამი საათის მერმე გადის ქობულეთისაკენ. აქ დაუცადე, მშვიდობით!

კორნელიმ პალტო მკლავზე გადაიდო, ჩემოდანი აიღო, აღმართზე ბილიკს გაჰყვა, ტყეში შევიდა, მუხის ქვეშ პალტო დააფინა და ზედ წამოწვა. მხოლოდ ახლა მოაგონდა, მიხა მისი სტუმარი რომ აღარ იყო და შეეძლო გასწორებოდა მას, როგორც სიმთვრალეში უთხრა. შერცხვა და გაწითლდა.

სადგურის ბაქანზე სახტად დარჩენილი მიხა კი ფიქრობდა: „კორნელი ნამდვილად ეჭვიანობს, ამიტომ მექცევა ასე მკაცრად. ზედაზნიდანაც იმიტომ იჩქაროდა წამოსვლას: არ უნდოდა, მე რომ თინასთან დავრჩენილიყავ... ეხ“, — ამოიოხრა მიხამ და ისიც აღმართზე ბილიკს გაჰყვა. თანაც ღიღინებდა: „მოხევის ქალო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო“.

მთაზე ავიდა. შავ ზღვამდე გაშლილი რიონის წარმტაცი

ველი რომ დაინახა, მოჯადოებული გაჩერდა. მერმე ტყეში შევიდა და მუხის ქვეშ წამოწოლილ კორნელის წააწყდა. გაოცდა. ნაცემი ძაღლივით მივიდა მასთან და ისიც მუხის ქვეშ დაწვა. სრულიად არ ახსოვდა, რა შეურაცხყოფა მიაყენა სიმთვრალეში კორნელის.

კორნელი და მიხა უბრად წოლას განაგრძობდნენ. თვითეული მათგანი საკუთარ ფიქრს გაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიხა კორნელის არ შორდებოდა, მის გვერდით იწვა და თითქმის თავი თავზე მიედო, მათ შორის მაინც დიდი ზღვარი იდო. მიხას მალე ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

„რას გადამეკიდა ეს ოხერი?!" — კორნელი ადგა და მეორე ხის ჩრდილში დაწვა. მძინარ მიხას გაჰხედა და გაიფიქრა: „როგორ ვცდებოდი, ეს არაკაცი ჩემი ცხოვრების მესაიდუმლედ რომ გავიჩინე და არაფერს არ ვუმალავდი. მე მეგობარი მეგონა, ეს კი მეტოქე, მტერი ყოფილა. მაგრამ განა მარტო მიხაა ჩემი მტერი! მოთხრობა „გოჯასპირში" გამოთქმული სიმართლისათვის ესტატე მაყაშვილი ბოლშევიკს მიწოდებს და ქალს არ მატანს. ყველა მე გადამეკიდა და ჩემი მტერი შეიქნა — შინაური და გარეული, მაგრამ ყველაზე დიდი მტერი და გამცემი ეს ვაჟბატონი ბრძანდება", კორნელი ისევ მუხის ქვეშ მძინარ მიხას მიაშტერდა. გაუკვირდა: მის სულიერ სიმახინჯესთან ერთად, ფიზიკურ სიმახინჯესაც რომ ვერ ამჩნევდა ამდენ ხანს.

მხატვარს მზე აცხუნებდა. ფეხსაცმელი გაეძრო. საყელო შეეხსნა და მკერდგაღეღილს ხელები პატარა ღიპზე დაეწყო. ცალი ფეხი მოეღუნა, მეორე კი მოლზე გაეშხლართა. ოფლიან შუბლზე თმები დაწებებოდა. გაბუშტული ცხვირის ნესტოები ერხეოდა. უშნოდ ფშვინავდა. ქვედა ბაგე ცხენის ჩიჩვირივით დაჰკიდებოდა. გაღებულ ხახაში დიდი, მსუნაგი კბილები უჩანდნენ. სველ ლაშებზე ბუზები მისეოდნენ. ცხვირიდან ხახამდე დიდი კბილებით ამოზიდული, გაპარსული საულვაშე თითქმის სამი თითის დადება ექნებოდა. ამ გაჭყლეტილი და მოკლე ცხვირისა, დიდი კბილებით ამოზიდული და ფართო ზედა ბაგის გამო ორანგუტანს ემსგავსებოდა იგი. „ეგ შეჩვენებული მაიმუნი ყოფილა, მე კი კაცი მეგონა", — გაიფიქრა კორნელიმ.

მხატვარმა მაშინვე გაიღვიძა. უაზრო, უსაფუძვლო, ბეცი

და მარდი თვალებით შეხედა კორნელის და უშიშრად გაუღიმა, ახალ მთვარესავით გალეული მისი ზედა ბაგის ზოლი ჭიელი სახის გასწვრივ გაიჭიმა, მსუქანსა და ვეება ქვედა ბაგეს დაებჯინა, შიგ ჩაეფლო და გაუჩიწარდა. მისმა სახემ ნაშინვე იდიოტური გამომეტყველება მიიღო. ეს ვეება და ხორციელი ქვედა ბაგე — ჩიჩვირი, ბეცი, პატარა ცხოველური თვალები და სულელური ღიმილი შესზარდა კორნელის, ტანში გააჟრჟოლა და მიხას თვალი მოარიდა. ის ღიმილი, ერთი შეხედვით, ღვთისგლახას ამსგავსებდა მიხას, მაგრამ ამ ღვთისგლახის ღიმილში ცბიერება და დაცინვაც გამოსჭვიოდა, თვალებში კი — დამბეზღებლის გამოხედვა. თითქოს ის თვალები მუდამ ზვერავდნენ და სწონიდნენ კორნელის, იმ თვალების პატრონი კორნელის ყოველ საქციელს, სიტყვას და საქმეს, უბრალო ნაკლსა და უნებლიე შეცდომასაც კი აჩნევდა, იმახსოვრებდა იმისათვის, რომ ყოველივე ეს მაშინვე მაყაშვილებისათვის მოეხსენებინა, „მეგობარი“ დაებეზღებინა და გაეცა. „ოხ, შე ღვთისგლახავ, ჯაბანო, ჯაშუშო. — გაიფიქრა კორნელიმ და ჯიბეში ბრაუნინგის კონდახს ხელი მოუჭირა. — ღირსი ხარ, აქვე გაგათავო“.

მაშინვე, მიხას ფეხებთან ვეება გველი დაინახა. გველი აჩქარებით მიიკლაკნებოდა მახლობელ ბუჩქისაკენ. ჩუმად და უხმოდ მიცურავდა. თითქო მწვანე მოლზე ვერცხლის წყალი იღვრებაო. კორნელიმ ბრაუნინგი ამოიღო, თავში დაუმიზნა და სამჯერ ესროლა. მაგრამ ააცდინა. მაშინ ჯობს წაავლო ხელი, თავი გაუშეჭყა და მერმე ეკალზე დაჰკიდა. გველს ჭადრაკის დაფასავით მოხატული მუცელი ჰქონდა.

2

მიხა თოფნაკრავივით წამოიჭრა და, ეკალზე გადაკიდებული გველი რომ დაინახა, იყვირა:

— უი, გველი, გველი... ჭირი ჭირს გადაკიდებია, რამდენია. როგორი ჭრელია?!

— გველი გარედან არის ჭრელი, შენ კი შიგნიდან, — შენიშნა კორნელიმ და მიხას ზიზღით მიაშტერდა. კორნელის სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია მიხას და ჰკითხა:

— ვერ მოახვედრე?

— ვერა, — მიუგო კორნელიმ, — მრუდედ მიდიოდა, შენსკენ მოცურავდა. ალბათ, შენი წინდების სურნელებამ მიიზიდა.

გაფითრებული და შიშისაგან ზეზეულად გათავებული მხატვარი ეკალზე გადაკიდებულ გველს მიაშტერდა და ისევ იყვირა:

— ვაი-მე, რომ ეკბინა, ხომ დავიღუპებოდი!

— რა კაცი დაეღუპებოდა საქართველოს! — შენიშნა კორნელიმ.

— მაშ, შენ ეგა თქვი! ვაჰ, კორნელი, სიკვდილს გადამარჩინე. მოდი გაკოცო, — დაიძახა პალტოზე წინდების ამარა მდგარმა მიხამ, ადგილს მოსწყდა და საკოცნელად გაიწია, მ.გრამ კორნელიმ შეაჩერა და უთხრა:

— კოცნას თავი გაანებე. იმ გველს უმადლე, თორემ შენთვის უნდა დამეცა ტყვია.

— კორნელი, მეჯავრება ასეთი ლაპარაკი. რა უცნაურად მიცქერი? მეშინია, — წაილულღლუღა მიხამ და საჩქაროდ ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

— მშიშარა დედაკაცო, — ზიზღით შესძახა კორნელიმ მიხას. ხელი ჯიბეში ჩაიდო და უთხრა: — შენ ამ ტყიდან ცოცხალი ვერ გახვალ!

მიხა უმალვე გაშეშდა, კორნელის შეხედა და უთხრა:

— ვერ გამიგია, მართალს ამბობ თუ ოხუნჯობ? რაც შემუქრები, მე შენს წინაშე უდანაშაულო ვარ, გეფიცები...

— რას მეფიცები?

— კაცობას, ძმობას და სინდისს.

— შენ კაცობა და სინდისი არ გაგაჩნია. შენისთანა კაცი ცოცხალი არ უნდა დადიოდეს დედამიწაზე.

მიხა შეშინდა.

— შენ ზედაზენშიც მემუქრებოდი თინას გამო, უკანასკნელი ტყვია მე მეკუთვნისო.

— თინას გამო?

— მაშ?

— ქალაჩუნავ, თითქოს არ იცი, რის გამო? ფუი, — გადააფურთხა კორნელიმ და მერმე უბრძანა: — გასწორდი, ფეხი არ მოიცვალო. შეკითხვებზე სისწორით მიპასუხე! რადგან

უტყუარი ცნობები მაქვს, ტყუილის თქმა არ გაბედო, თორემ თავს წააგებ,— ისეთი გადაწყვეტილებით უთხრა ეს კორნელიმ, რომ მიხას კანკალი დააწყებინა, შიშისაგან გაფითრებულს თვალები აქეთ-იქით წაუვიდნენ, თითქო გასაქცევ გზას ეძებენო, მაგრამ მხატვარი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა, თითები პირში ჩაედო და ფრჩხილებს იკვნეტდა. მერმე განწირული და მტირალი ხმით დაიწყო:

— რასა შვრები კაცო, რასა შვრები?! ბრალი არაფერში არ მიმიძღვის, გეფიცები, გეფიცები.

— მიხა! — შესძახა კორნელიმ, ბრაუნინგი ამოიღო და ჰკითხა:

— მიპასუხე: რესტორანში ქალალდის ხელსახოცზე დაწერილი ჩემი ბარათი ნინომ წაუკითხა თუ არა რომელიმე თქვენგანს?

— ელოს და ვარდოს წაუკითხა. მე იმ ბარათის შინაარსი ელომ მიამბო, — მიუგო მიხამ.

— მარგარიტამ ჩვენთან რესტორანში რომ ივახშმა, ნინოს, ვარდოს ან ელოს უამბე?

— მე ელოს ვუამბე, ელომ კი — ნინოს და ვარდოს.

— მიხა, შენ მეგობრობა შემომფიცე თუ არა?

— შემოგფიცე.

— შემომფიცე თუ არა, რომ არასოდეს არ გამცემდი?

— შემოგფიცე.

— მაშ, რად გასტეხე ფიცი და მიღალატე?

— ეჭვისა და შურის გამო. ნინო მიყვარდა. ახლაც მიყვარს, — საიდუმლო გაუმხილა მიხამ. — ერთხელ ნინოს შევთავაზე: ელოს გავუშვებ და შენ შეგირთავ-მეთქი, მან მიპასუხა: ჩემი სიძეც რომ არ იყო, შენისთანა გარყვნილ კაცს ცოლად არ გავყვებიო და სახეშიც მომაფურთხა. გავბრაზდი და ვუთხარი: განა ყველა, და მათ შორის კორნელიც, გარყვნილი არ არის, ცოლად რომ მიყვები-მეთქი, და ყველაფერი ეუამბე შენს შესახებ...

კორნელი გაოცდა და ჰკითხა:

— როგორ? ცოლისდას ეარშიყებოდი. ცოლისდა გინდოდა ცოლად შეგერთო, შე ღორო, შენა?

— ჰო, — ურცხვად მიუგო მიხამ. — ცოლისდას კი არა,

დეიდაშვილსაც ვეარშიყებოდი, სისხლის ნათესავს. ცოლად სისხლის ნათესავი ხომ არ არის?!

— გარყვნილო, ცხოველო, ქურდო, მოღალატევ! — უყვირა კორნელიმ, — მიპასუხე: რისი ღირსი ხარ შენ? რა სასჯელი გეკუთვნის?

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა? მე ასეთი კაცი ვარ. ასეთი ვარ, ასეთი... — იმეორებდა მიხა. იგი ძალზე შეშინებული იყო. გონებადაბნეული იდგა და კანკალებდა. თვითონაც არ იცოდა, რას ბოდავდა და როშავდა. კორნელის საშინლად შეზარდა. სახეში მიაფურთხა. რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და უთხრა:

— შენზე ტყვიის დახარჯვა და ხელის გაწვრაც არა ღირს. შენ ღორივით უნდა დაგკლას კაცმა ამ საღორიას ტყეში. არა, შენ საკირეში უნდა ჩაგაგდონ და დაგწვან.

კორნელი გაოცებით უცქეროდა მუხასთან ატუზულ, დასახვრეტად გამეტებულ კაცს, რომელსაც ცალ ფეხზე ჩაცმა ვერ მოესწრო. მაჯის ქაათს დახედა და უთხრა:

— საცაა ქობულეთში მიმავალი მატარებელი ჩამოდგება. აიღე შენი ჩემოდანი, პალტო და გასწი.

მიხა მიხვდა, საშიშროებამ რომ განვლო და დამშვიდებით მიუგო:

— ქობულეთში ვერ წავალ!

— რატომ?

— ჩვენი წამოსვლის მერმე ქობულეთში დიდი ჩხუბი, ვაი-უბედურება მოხდებოდა. ალბათ, ვარდომ, ნინომ და ელიომ ერთმანეთი დაჰგლიჯეს შენს გამო. თავი გამანებე. ქობულეთში ამ ცხელ გულზე ქალებმა რომ ხელთ მიგდონ, ტყავს გამაძრობენ. რაღა შენ მოგიკლავარ და რაღა ქალებს, — მიუგო მიხამ.

— ჩემს გამო რატომ უნდა დაეგლიჯათ ქალებს ერთმანეთი?

— აღიარე, რომ შენ ნინო დაჩაგრე, დაასნეულე, ღამის ლოგინად ჩაუარდეს. მშობლები შეძრწუნებული არიან.

— ვინ ვის ჩაგრავს, ეს კიდევ საკითხავია.

— კარგი ერთი, კორნელი, ნინოსთან ჩხუბს სხვას რად აბრალებ? — უკვე უტიფრად ჰკითხა მიხამ და განაგრძო: — ან მე რა შუაში ვარ? შენი ვერაფერი გამიგია! ჯერ იყო

და, ქალი ცოლად მოგყვებოდა, შენ კი ვერ გადაგეწყვიტა: საბრალო სტუდენტმა და ცარიელ-ტარიელმა კაცმა ცოლი და ოჯახი როგორ ვარჩინოო! ახლა, როდესაც მწერალი გახდი და ჰონორარს იღებ, მაინც გაიძახი: ვაითუ ცოლ-შვილმა შემოქმედებითს მუშაობაში ხელი შემიშალოსო. ქალი კი ამდენი ცდით დაიტანჯა. ან შეირთე, ან გაეყარე, ან არადა, ხასად გაიხადე. მირჩი და გაათავე, კაცი არა ხარ?.

— ეგ შენი საქმე არ არის. შენ ქალთან შეყრა და გაყრა თამაში გგონია, სიყვარული კი — მარტო სიძვა. ისიც არ იცი, დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი რომ მოსდევს, — მიუგო კორნელიმ და ახლა თვითონვე ჰკითხა: — ერთი ეს მითხარი, ქობულეთში მაყაშვილებმა ჩემს გამო შენ ტყავი რად უნდა გაგაძრონ? ორ ფრონტზე მუშაობისათვის?

ეგ რა შუაშია? განა ისინი მაპატიებენ, იმ უსიამოვნების მერმე, რომელიც შენსა და ნინოს შორის მოხდა, შენ რომ კარისმერეთში წამოგყევი?

— დავაშავე, არ მეგონა, ჯაშუშობის მერმე თუ ამედევნებოდი.

მიხა დუმდა.

კორნელის ისევ შეზარდა და უთხრა:

— შენთან საუბარი აღარ მსურს. მხოლოდ კარგად დაიხსომე, უკანასკნელად რასაც გეტყვი. ჩვენი მეგობრობა ამ ტყეში გათავდა. ამიერიდან ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს. გადაეცი მაყაშვილებს, რომ მე სამუდამოდ ვტოვებ მათ. რაც მეზიზღებიან ისინი. მაყაშვილების და ზედაზენში მოქცევა, მუქთახორა თავადთა და აზნაურთა ღრო მოკვდა.

კორნელიმ ზურგი შეაქცია და სადგურისაკენ გასწია იქ გადაწყვეტილებით, რომ ზესტაფონამდე საბარგო მატარებელს გაჰყოლოდა, იქ კი სამგზავრო მატარებელში გადამჯდარიყო და არასოდეს აღარ შეხვედროდა მიხას.

ლტოლვილნი

ყოველი ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველი უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია.

ლ. ტოლსტოი

1

კორნელისთან შეხვედრის შიშით, მიხა ნელა დაეშვა მთიდან და სადგურში ქურდივით შევიდა. მაინც ქობულეთში წასვლა არჩია, მაგრამ ფული არ აღმოაჩნდა. დარბაზში შეკიდა, ჩემოდანი გახსნა, ალბომი და ფანქრები ამოიღო და მგზავრების ხატვა დაიწყო. სურათებში აღებული ფული ქობულეთში თუ ჩაიყვანდა.

საღამო ჟამი იყო, როცა მიხა მაყაშვილთა აგარაკს მიადგა. დიდხანს უტრიალა ეზოს გარშემო. მერმე ჭიშკარს აეტუზა და სმენად ქცეული იქიდან ზვერავდა სახლს. ბოლოს გაბედა ჭიშკარში შესვლა. ფრთხილად გაიარა ეზო, აივანზე ავიდა და, ფეხის წვერებზე შემდგარი, მაყაშვილთა ბინის კარებს გაუბედავად მიადგა. ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა. მაგიდასთან ვარდო და ესტატე ისხდნენ და ნამტირალევი თვალებით მიშტერებოდნენ ერთმანეთს, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფალნი, რომლებმაც რამდენიმე საათის წინათ შვილი მიწას მიაბარეს და ახლა დამწუხრებულნი და გლოვით გულმოკლულნი დამსხდარიყვნენ ცარიელ ბინაში. კარისმერეთში მიხას და კორნელის გამგზავრების მერმე ქობულეთში მართლაც დიდი ჩხუბი მომხდარიყო. „ქალებს ერთმანეთი დაეგლიჯათ“. ნინო მშობლებს დამდურებოდა და რამდენიმე დღის მერმე თბილისში წასულიყო, მას ელოც გაჰყოლოდა.

მიხამ კარი შეაღო და ვარდოსთან ხელის ჩამოსართმევად მიიჭრა, მაგრამ ვარდომ უკივლა:

— მე თქვენ ხელს არ ჩამოგართმევთ. თქვენ ზნედაცემული კაცი ხართ. სადა გაქვთ თავმოყვარეობა, ჩვენი ოჯახის შეურაცხმყოფელს კარისმერეთში რომ გაეკიდეთ?!

— რა ვუყო, ქალბატონო ვარდო, არ მომეშვა, ძალით წამათრია.

— სცრუობთ, განა, ელომ არ მითხრა! თქვენ თვითონ შეხვეწნიხართ!

— არა, გეფიცებით. ნინოს ჰკითხეთ.

— ნინო და ელო ორ საათზე მეტია, რაც თბილისში გაემგზავრნენ.

— რა მოხდა? — გაუკვირდა მხატვარს. — მაშ, როგორ დავამტკიცო ჩემი სიმართლე?

— თქვენ მართალი განა ოდესმე გითქვამთ! — შეარცხვინა ვარდომ.

— როგორ გაბედეთ თქვენ, ჩემი ქალისათვის წინადადება მიგეცათ, ცოლად გამოგყოლოდათ?! — ჰკითხა ესტატემ და ბრაზისაგან აცახცახდა. ვარდო შეშინდა: ქმარმა მიხას არ სცემოსო.

მიხას თავზარი დაეცა და ძლივს ამოთქვა:

— აბა, ეგ რა სათქმელია!

ვარდოს შერცხვა და სიტყვა ბანზე აუგდო:

— თქვენ ენატანია, ჭორიკანა, უსინდისო კაცი ხართ. კორნელისთან ჩვენ გვაბეზღებთ, გვაშავებთ და გვჭორავთ და ჩვენთან კი — მას. მე თქვენს გამო ერთადერთი შვილი დავკარგე, საყვარელი შვილი. ო, შენ, მართლაც, დაკარგულო სულო... საბიზღარო... გასწით, გამეცალეთ აქედან!.. — ვარდომ ცხვირსახოცი სახეზე მიიფარა და აქვითინდა. ესტატე მივიდა, ხელი მოჰხვია, დამშვიდება დაუწყო, მაგრამ თვითონვე ცრემლი მოერია.

მიხა ტყვიასავით გავარდა კარში. იგი სადგურისაკენ მიმავალ ქუჩას დაადგა. მეც თბილისში უნდა გავსწიოო, ფიქრობდა. კარგა დიდი მანძილის გავლის მერე მოაგონდა, რომ ჯიბეში გროშიც არა ჰქონდა. შეჩერდა და ისევ მაყაშვილთა აგარაკისაკენ გამოიქცა, თითქოს იქ რაღაც დარჩაო. ღობეზე გადაცოცდა, უკან ეზოში ჩახტა, გაირინდა, სამზადთან პატარა ოთახის კარს მიადგა და ჩუმად დააკაკუნა. ევტიხიმ კარი გაუღო, მიხა იცნო და უყვირა:

— აა... ეს შენა ბრძანდები, შე გათახსირებულო. შემოდი, შემოდი შინ, — მზარეულმა საყელოში წააცლო ხელი მხატვარს და შინ შეაძრია.

მიხამ ტუჩზე ხელი მიიფარა და შეევედრა, ნუ ყვირიო.

შურა გაოცებით მიშტერებოდა პალტოში ამოწყობილ და

გაფითრებულ მხატვარს, რომელსაც ევტიხი ცემას უპირებდა.

— ეს რა ჩაიდინე, შე ჯაშუშო? კორნელი და ნინო ერთმანეთს რად წაჰკიდე და დააშორე? — ჰკითხა მზარეულმა მიხას.

— მე არაფერ შუაში ვარ, — მიუგო მხატვარმა.

— აბა ვინ არის შუაში? მე?

— ელო.

— ნუთუ ელო? — გაუკვირდა შურას.

— სად არიან ელო და ნინო? — ჰკითხა მიხამ.

— თბილისში წავიდნენ.

მხატვარი დარწმუნდა, ვარდოს მართალი უთქვამსო, და ევტიხის უთხრა:

— მეც ახლავე თბილისში უნდა წავიდე. მაგრამ როგორ? გზაში ჯიბგირმა ფული ამომაცალა, კაპიკიც არა მაქვს... ევტიხი, თუ ძმა ხარ, მასესხე გზის ფული.

— მე შენ გაპესხებ ფულს, შე იუდა?

— იუდა რად ვარ?

— ორი მშვენიერი არსება შენ წააჩხუბე ერთმანეთს და დალუპე. იუდა, იუდა!

— შენ არ იცი, რა მოხდა? მასესხე ფული. მე თბილისში ჩავალ და, აბა ნახე, კორნელი და ნინო თუ არ შევარიგო.

— შენი წამხდარი საქმე შენვე გამოასწორე, თორემ სულს ამოგხდი! — უყვირა აპილპილებულმა მზარეულმა და ჭრილა, მოცისფრო თვალები შეანათა.

— როგორ გამოვასწორო, როცა გზის ფული არა მაქვს?!

— რას გადამეკიდე? რომელი მილიონერი ხარ! ესტატეს სთხოვე, ის გასესხებს.

— ესტატეს და ვარდოს ვერ დავენახვები... ახლავე უნდა გავიქცე აქედან. მიშველე, ევტიხი, მიშველე, შურა, გზის ფული მასესხეთ... თბილისში რომ ჩამოხვალთ, მაშინვე მოგართმევთ, — დაეღრიჯა მხატვარი ცოლ-ქმარს.

— რამდენი გინდათ? — შეეცოდა შურას.

— ორასი მანეთი.

შურამ კალათიდან ხის ყუთი ამოიღო, გახსნა და მიხას გზის ფული ასესხა.

მიხამ კიბე ჩაირბინა. ეზოდან ქუჩაში გადახტა და სადგურისაკენ მოჰკურცხლა. სჯობდა კი არ წასულიყო თბილისში, რადგან სასოწარკვეთილმა ნინომ ქობულეთში ელოს უთხრა: შენ ახალი შერთული ჰყავდი მიხას, როდესაც მან საყვარული გამიმჟღავნა და წინადადება მომცა, ელოს გაეყარები, თუ ოქვენ გამომყვებით ცოლადო. ადვილი წარმოსადგენია, ამის შემდეგ, რა გუნებაზე დადგებოდა ელო და რა დღესაც დააყრიდა ქმარს.

2

კორნელი დილით ჩავიდა თბილისში. მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა პერონზე იმავე მატარებლით ჩამოსული ნინო და ელო დაინახა. ბარგის მზიდავთა მოლოდინში, ისინი გაფითრებული იდგნენ ვაგონთან. შეწუხებული სახით მიშტერებოდნენ პაჭიჭებიან და ჩაბალახიან მგზავრებს, რომლებიც ხურჯინებით, კალათებით, ფუთებითა და ზურგზე მოკიდებული ტომრებით ქალაქში ვასასვლელისაკენ უწესრიგოდ გარბოდნენ. სოფლელები ბაზარში სურსათ-სანოვაგის გასაყიდად მიიჩქაროდნენ.

კორნელიმ ზღვა ხალხისაგან გაორიყულ და საცოდავად ცალკე მდგარ ნინოს და ელოს დინჯად გაუარა. თავი გვერდზე მიიბრუნა და თვალი მოარიდა. გაფითრებული და წამებული სახით მდგარი ნინო კორნელის ფართო ბეჭებს მანამდე უცქეროდა, სანამ იგი ღობეს არ მიეფარა. მერმე, როცა პერონი დაცარიელდა, ნინომ და ელომ მუშას ჩემოდნები აჰკიდეს, მოედანზე ეტლი დაიჭირეს და შინისაკენ გასწიეს. ეტლი ბორჯომის ქუჩაზე, ელოს ბინასთან გაჩერდა. ნინოც აქ ჩამოხტა, რადგან მშობლებთან დამდურებული იყო და შინ მისვლას არ აპირებდა.

ბნელ ოთახში ალხი ტრიალებდა და ელომ დარაბები და ფანჯარა გამოაღო. ოთახის კუთხეში ხალიჩა და ტახტზე ზეწარგადაფენილი ქვეშაგები ეწყო. მთელ ღამეს არ დასძინებიათ ქალებს ხალხით გაჭედილ მესამე კლასის ვაგონში. დაქანცულნი და დაუბანელნი იყვნენ. ელომ ტახტზე დაწყობილი ქვეშაგებიდან ლეიბი და ორი ბალიში გამოაძრო. კუთხეში, კარების ახლოს, იატაკზე დააგდო და ზედ დაჯდა.

— რასა შვრები? — ჰკითხა ნინომ.

— დავიღალე, აღარ შემიძლია. უნდა დავიძინო. — მიუგო უძილობით დასუსტებულმა ელომ განწირულის ხმით.

— რა დროს ძილია?!. ჯერ აბანოში წავიდეთ...

მაშინვე მეზობელი ქალი აივანზე გამოვიდა, ფანჯარაში თავი შემოჰყო, ელო იცნო, გაეხარდა და აქაქანდა:

— უი, ელო, დილა მშვიდობისა! უკვე ჩამოდით ქობულეთიდან?

— დიახ, ირინე, ჩამოვედით, — უსიამოდ გაუღიმა ელომ.

სხვა მეზობელი ქალებიც მივიდნენ და ელოს გული გაუწყალეს:

— ასე მალე რად დაბრუნდით თბილისში? ხედავთ, როგორ ცხელა? ჯერ კიდევ დილა არის და ოდნავ ჰმიტომ გრილა... ცოტა ხნის მერმე ნახეთ, როგორი ალხი დატრიალდეს. ქობულეთში რა ამბავია? ასე რად გამხდარხართ? ზღვამ ხომ არ დაგცადათ? ციება ხომ არ შეგეყარათ? ქობულეთი ციებიანი ადგილია. მიხა სად არის?..

ელოს მოთმინების ფიალა აევსო. აბანოში მივდივართო, უთხრა მეზობლებს, ფანჯარა და კარები დაკეტა და ზედ დარაბა მიახურა. ოთახი წყვდიადმა მოიცვა, მერმე ოდნავ გამოაღო დარაბა ელომ და ოთახში მზის შუქი შემოიჭრა. ელო ისევ წელმოწყვეტილი დაჯდა ლეიბზე. გვერდით ნინო მიუჯდა. გამხდარ მუხლებს ხელები შემოავლეს დებმა, ზედ ნიკაპით დაებჯინენ და დადუმდნენ, აივანზე და ეზოშიც სიჩუმე იყო. ამ დაულაგებელ, დამტვერილ და დადუმებულ ბნელ ოთახში ჩაკეტილი და უბრალო ჩითის კაბებში გამოწყობილი ელო და ნინო უპატრონო, ლტოლვილ ბავშვებს ჰგავდნენ, რომელთაც მშობლები და უფროსები დაუკარგავთ და არ იციან, სად წავიდნენ, რა გზას დაადგნენ და რა მოიმოქმედონ. კარგა ხანს იყვნენ ასე დამწუხრებულნი. თითოეული თავის საკუთარ ფიქრს გაჰყოლოდა. ნინო დარაბის ღია ჭვრიტში შემოჭრილ ლურჯ ბოლიფერ, გამჭვირვალე შუქზე მტვრის ფიორების ტრიალს მიშტერებოდა და მის თავშიც მტვრის იმ პატარა, წერტილების ოდენა ფიორებივით ტრიალებდნენ უსაგნო ფიქრები. იგი შინაგანად დაცლილი, სულით დაობლებული, ნებაწართმეული და სასომიხდილი იჯდა ლეიბზე.

— რა დომხალია! — აღმოხდა მას.

— სად? — ჰკითხა ელომ და ანგრეულ ოთახს მოავლო თვალი.

— ჩემს თავში, — მიუგო ნინომ.

— ისევ დაიწყე წუწუნი.

ნინო დადუმდა. მას კორნელისთან პერონზე შეხვედრა მოაგონდა. „როგორ ამარიდა თვალი, თითქოს არც კი ვიცნობდეთ ერთმანეთს“, — გაიფიქრა მან. ოთახში ისევ გულისდამაღონებელი სიჩუმე იდგა. ქალი საშინელ მარტოობას და კაეშანს გრძნობდა. ვერ აიტანა გულისმკვლელი ის სიჩუმე და ელოსთან საუბარი სცადა:

— ნუთუ ჩვენი ცხოვრება მართლა სიზმარია?

— თავი გაანებე სიბრძნისმეტყველებას!

— სანამდე უნდა ვეგდოთ ამ ბნელ ოთახში, იატაკზე?

— სად მიგეჩქარება? მოდი, დავიძინოთ.

— ნეტავი ისე დავიძინებდე, რომ არასოდეს არ გამომეღვიძოს.

— მოესწრები, ნუ ჩქარობ!

— მიზანს ვერა ვჭვრეტ.

— განა არ გახსოვს ჩვენი გადაწყვეტილება? ჩვენ ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ. მომწონს, სამედიცინო ინსტიტუტში რომ შედიხარ. მე მასწავლებლობას დავიწყებ. განა ეს არ არის მიზანი? კმარა: მიხას და კორნელის სამუდამოდ გავეყაროთ. დავივიწყოთ წარსული. მომავალში მიხაზე და კორნელიზე უკეთეს ადამიანებს შევხვდებით. ნამდვილ ცხოვრებას დავიწყებთ.

— მაინც ეგ არ იქნება ნამდვილი ცხოვრება. ნამდვილი ცხოვრება ჩვენ უკვე დავკარგეთ.

— მაშ, რა გნებავს? თავი ჩამოვიხრჩოთ?

— მე არაფერი აღარ ვიცი, არაფერიც არ მნებავს.

— როგორ მალე დაჰყარე ფარ-ხმალი! სად არის შენი სიამაყე და თავმოყვარეობა! კმარა ამაო ოცნება და რომანტიკული გატაცება! მე მხატვრობით გატაცებამ დამღუპა, შენ კი — მუსიკამ და პოეზიამ მოგხიბლა. ცხოვრების სინამდვილეს დავუბრუნდეთ და ჩვენს გზას ვეწიოთ, ისა სჯობს. ამიერიდან ჩვენ თავისუფალი ქალები ვართ, — ამხნევებდა ელო სასოწარკვეთილ ნინოს.

— ვინ იცის, რა ჯობს? აბა, უცქირე, როგორ საცოდა-

ვად და ობლად ვგდივართ ამ ბნელ ოთახში! ეგ არის თავისუფლება? — ჩუმად უთხრა ნინომ, თითქო თავის თავს ედავებაო.

ელოს ჩასძინებოდა.

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ნინო წამოიჭრა. კარი გააღო. მიხა დაინახა და უკანვე გამობრუნდა. ლეიბზე დაჯდა, გრძელი, გამხდარი მკლავები მუხლებზე შემოიწყო. შიშველ ფეხებზე დაიხედა. დადუმდა და ისევ უსაგნო ფიქრებს მიეცა. თმა ჩამოშლოდა და ბეჭებზე ნაბადივით დაჰფენოდა, თითქოს ოცნების უღრან ტყეში შესული, წმინდა და უშანკო ქმნილება თავის ბედს დასტირისო. ნინო ყურადღებას არ აქცევდა ახლა მიხას, არ ერიდებოდა და არც რცხვენოდა. კაეშნიან ოცნებას წარეტაცა წამებული ასული და ბნელ ოთახში გამეფებული ღამის წყვდიადი და სიჩუმე მთასაგით თავზე დასწოლოდა.

მხატვარი გაშტერებით მისჩერებოდა. მისი დახატვის სურვილი ჩასახოდა გულში. „კაეშნიანი ქალი“, — გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე მის ცოლს გაეღვიძა. ელო თვალებს არ უჯერებდა, უმალვე წამოჯდა საწოლზე და ქმარს უყვირა:

— გასწი, გამეცალე აქედან! მე შენი ცოლი არა ვარ. არა მსურს შენთან ცხოვრება. გასწი, გამეცალე! მეყოფა სხვათა კარდაკარ რბენა და ხეტიალი. ახლა შენ ირბინე. გამოგზავნე ვინმე და შენს ბარგსა და ბარხანას გამოვატან.

— ელო, — მუდარით შესძახა სასომიხდილმა ქმარმა.

— ხმა გაკმიდე. გასწი, გამეცალე, თორემ... — ხმაც არ ამოაღებინა ცოლმა, იატაკიდან წამოიჭრა. ქმარი შეშინდა. კარში გავარდა. შერცხვენილი, გაგდებული და ქეციანი ძალლივით ნაცემი მხატვარი ქალაქის განაპირას მცხოვრებ მშობლებისაკენ გაეშურა.

ბარათები

მშვიდობით ტრფობის ბარათებო! მან ასე ბრძანა...
ცეცხლს ვერ მივეცი, ვერ ვუყურებდი, არ მეყო ძალა,
რომ წამეშალა სიხარული, გრძნობა მარადი!
მგრამ დრო დადგა: სამიჯნურო დავწვა ბარათი,
მზად ვარ: აწ ჩემს სულს არ ახარებს ალარაფერი:
მშიერი ალი ჭამს შენს ბარათს, შავ დაფერილს...
აღსრულდა! შავად დაიგრავნა მისი ფურცელი...

ა. პუშკინი

1

ნინოსთან გაყრა დიდი ტანჯვით, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტა კორნელიმ. ერთი რამ მაინც არ ასვენებდა და სულს უშფოთებდა: ხელთ ეგდო ნინოსადმი გაგზავნილი თავისი ლექსი და ბარათები, განსაკუთრებით კი ის ბარათი, რომელიც სარდაფიდან მისწერა ნინოს. „როგორ გაბედა მან დედისა და ელოსათვის ეჩვენებინა ის ბარათი, როდესაც გავაფრთხილე, არავის უჩვენოთ და წააკითხოთ, თორემ თავს მოვიკლავ-მეთქი". იგი ამ ბარათში ქალს ეკედრებოდა: ნუ გამიმეტებთ, ნუ გამწირავთ და ნუ მიმატოვებთ. უთქვენობას სიკვდილი მიჯობსო. იგი თაკს იცცირებდა ნინოს წინაშე და ახლა, ალბათ, ვარდო, ელო და, ვინ იცის კიდევ ვინ, დასცინიან მას. კორნელის ეჩვენებოდა, თითქო ნინომ მისი ღირსება და თავმოყვარეობა გასთელა და ხალხის წინაშე გააშიშვლაო. სირცხვილით იწვოდა. გადასწყვიტა, ხელთ ეგდო თავისი ბარათები, აგრეთვე ლექსი „კონცერტზე", თვითონ კი ნინოს მიერ გამოგზავნილი ბარათები დაებრუნებინა და, რაც სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა ქალისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად ხერხის გამოძებნა და დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. თბილისში ჩასვლის მესამე დღეს, ადგილობრივი ფოსტით, ნინოს ბარათი მიიღო. ქალი მოკლედ სწერდა:

„გთხოვთ, ხვალ, საღამოს 9 საათზე, მობრძანდეთ. შინ მარტო ვიქნები. თან წამოიღეთ ესა და სხვა ჩემი წერილები და სურათიც. მე თქვენს ბარათებს და სურათს დაგიბრუნებთ.

ასე არის ახლა საჭირო, ალბათ, ამას თქვენცა გრძნობთ. ძალიან გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენსა. სხვა გზა ვერ მიპოვნია გელოდებით. ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა".

2

კორნელი დანიშნულ დროზე მივიდა. იგი ღელავდა და გაუბედავად დარეკა. კარი ნინომ გაუღო. დიდრონი თვალები შეანათა და ხელი გაუწოდა. კორნელიმ ხელი ჩამოართვა. ქუდი დერეფანში კაჩხაზე ჩამოჰკიდა. ნინომ თავის დაულაგებელ ოთახში მიიპატიჟა. ელექტრონის ლამპით განათებულ საწერ მაგიდასთან დაჯდა და კორნელის სკამი შესთავაზა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა წიგნები, რვეულები, ქაღალდები და ფანქრები. კორნელი დაჯდა და ნინოს შეხედა... ქალი ძალზე გამხდარიყო და სანთლისფერი დასდებოდა. მარტოღა თვალები დარჩენოდა. ნინოს უბრალოდ ეცვა, ლურჯი კაბა და მოკლესახელოებიანი თეთრი კოფთა. თმა დაუვარცხნელი ჰქონდა. ხელები და ფრჩხილები მოუვლელი. იგი გულგატეხილი იყო და ახლა ჩაცმა-დახურვის, მოკაზმვის, მით უმეტეს, კოსმეტიკისა და კოხტაობის თავი არა ჰქონდა. კორნელს ძალიან გაუკვირდა მისი აჩაჩული ჩაცმულობა. ნინოს დაჭმუჭვნილი კოფთის სახელოდან შავი ბუსუსებით დაფარული მკლავები ჭლექიანივით დაწვრილებოდა. ქალი დარდს დაჭნელებინა, იგი სკამზე გასწორდა, კორნელის მკაცრად შეხედა და უთხრა:

— თანა გაქვთ ჩემი ბარათები?

— დიახ, — მიუგო კორნელიმ. პიჯაკის გულჯიბეში ხელი ჩაიყო, ბარათების დასტა ამოიღო და მაგიდაზე დაულაგა. მერმე ნინოს სურათი მოსძებნა. დიდხანს დააცქერდა. გადაბრუნა. საყვარელი ქალისაგან მიძღვნილი სატრფიალო წარწერის კითხვა დაიწყო. ნინომ არ აცალა და წყენით უთხრა:

— მომეცით, ნუ კითხულობთ. რად გინდათ?

კორნელიმ შეხედა, მერმე ისევ სურათს დააცქერდა. ეჭყობოდა, დაბრუნება ენანებოდა... ნინომ ისევ უთხრა: მომეცითო. კორნელიმ ნელა გაუწოდა. ხელი აუკანკალდა, თითქო სურათთან ერთად გულსაც თან ატანსო. კორნელი ადგა, ღია სარკმელთან მივიდა, ნინოსაკენ ზურგშექცევით გაჩერდა და ბაღში გაიხედა. გრილი, ღრუბლიანი ღამე იყო. ფანჯა-

ოასთან გაჩერებული კორნელი და მაგიდასთან მჯდარი ნინო დიდხანს სდუმდნენ. იმ დროს კორნელი არაფერ გარკვეულზე არ ფიქრობდა. ბოლმა და ცრემლი ყელში ებჯინებოდა. თავს ძალას ატანდა, თვალთაგან ცრემლი არ დასდინებოდა და აკვიატებულ სიტყვებს უჩუმრად იმეორებდა: „ყოველივე გათავდა, გათავდა...“

მერმე ერთბაშად შემობრუნდა. ჩქარი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, დაჯდა, ნინოს მკაცრად შეხედა და უთხრა:

— ახლა ჩემი ბარათები და სურათიც მიბოძეთ.

ნინომ მაგიდის უჯრა გამოსწია, ბარათები და სურათი ამოიღო და კორნელის გაუწოდა. კორნელიმ სწრაფად და გაშმაგებით გადასინჯა მთელი დასტა. რესტორანში ქალალდის ხელსახოცზე დაწერილი ბარათი მოძებნა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. მერმე სხვა ბარათები და სურათიც დახია. ნაკუწები შეაგროვა, მაგიდიდან სუფთა ქალალდი აიღო, შიგ შეახვია და ჯიბეში ჩაიდო. ნინომ წყენით უთხრა:

— თქვენ შეგეძლოთ შინ დაგეხიათ ბარათები და არა აქ, ჩემს ცხვირწინ.

— მართალია, — დაეთანხმა კორნელი და უხერხულობა იგრძნო.

— რისთვის დახიეთ ბარათები? ისინი ისეთი ხელოვნებით, ისეთი ეშვმიუტანელი გულწრფელობით იყო დაწერილი, რომ, ალბათ, მომავალშიც გამოგადგებოდათ.

— მომწონს ეს თქვენი ირონია და რჩევა. მაგრამ გვიანღა არის. უკვე შემზარდნენ ეს ბარათები.

— რათა?

— ისინი ხელიდან ხელში გადადიოდნენ. ისინი სხვებმა მათ შორის ელომ და მიხამაც, წაიკითხეს.

— თუნდაც ასე იყოს, მერმე რა? — ოდნავ გაწითლდა და გაუბედავად ჰკითხა ნინომ. კორნელის გაუკვირდა ასეთი პასუხი, გაბრაზდა და მიუგო:

— ჩემს ბარათებში, თქვენდამი ჩემი ფარული ფიქრი და გრძნობა იყო გამოთქმული... ის ფიქრი და გრძნობა მხოლოდ თქვენ გაგიმჟღავნეთ საიდუმლოდ, რადგან მხოლოდ საყვარელ არსებას შეეძლო მათი სწორად გაგება. თქვენ კი ჩემი ბარათები ათას კაცს წააკითხეთ, რამაც დამარწმუნა, თუ რა

ზერელედ და უგულოდ ეპყრობოდით თქვენ თურმე ჩემს გრძნობას. ნეტავ ეგ არ მომხდარიყო.

ნინო გაბრაზდა. უეცრად შეხედა კორნელის, თვალი გაუსწორა და პირდაპირ ჰკითხა:

— როდესაც თქვენ გარყვნილ გერმანელ ქალს ჩემს თავს ალანძღვინებდით და მასთან მღალატობდით, განა ჩემს გრძნობას არ ბღალავდით?

კორნელი არ დაიბნა და მიუგო:

— განა მე ვალანძღვინებდი თქვენს თავს? გარდა ამისა, მე თქვენ ბევრჯერ მოგახსენეთ და ახლაც გიმეორებთ, რომ ის უნებლიე, წუთიერი ცოდვა თქვენდამი ჩემს წმინდა გრძნობას ვერ შეეხებია. მაგრამ რა საჭიროა ახლა ამაზე ლაპარაკი. თქვენ ახლაც მიხას უფრო უჯერებთ, ვიდრე მე. მაგრამ მიხასთან ანგარიში უკვე გავასწორე და, თუ ჭკუით არ იქნა, თავს წააგებს.

— თავი გაანებეთ მიხას, — მიუგო ნინომ და შეშინდა, რადგან მიხამ გუშინ ყოველივე უამბო მას და ისიც უთხრა, კორნელი ტყეში მოკვლას რომ უპირებდა... გაფითრებული ქალი განაგრძობდა: — გაანებეთ თავი მიხას. ელო სამუდამოდ გაეყარა მას და ამიერიდან ჩვენ — მაყაშვილები მას არ ვიცნობთ. მიხას თავისი უბედურება ეყოფა... ის გაოხრებული, გატიალებული, ბუდიდან ამოვარდნილი, ავადმყოფი და უბედური კაცია.

ამ პასუხმა კორნელის ბრაზი დაუცხრო. ნინომ სულ სხვა რამ ჰკითხა:

— ბარათების დახევა გასაგებია, მაგრამ თქვენს სურათს რას ერჩოდით?

— ის სურათიც და ზედ ჩემი წარწერაც თქვენ ყველას უჩვენეთ და წააკითხეთ.

ნინომ თავი ჩაჰკიდა, ღრმად ამოიოხრა. კორნელის წეეცოდა ძალზე გამხდარი და ნერვებმოშლილი ქალი. თავისი ბარათებისა და ლექსის დახევის მერმე, მან რაღაც დიდი სიცარიელე იგრძნო. ნინოსათვის საათქმელი უეცრად დაავიწყდა, მოეშვა და ისეთი უაზრო თვალებით მიაშტერდა ქალს, თითქო გამოლენჩდაო, მერმე მაგიდისაკენ მიიწია, სუფთა ქაღალდი აიღო და ნინოსაგან მალულად ზედ ფანქრით თაგვი

და კატა დახატა. ქალმა თვალი მოჰკრა. გაწითლდა და აღელვებით ჰკითხა:

— ისევ განაგრძობთ ჩემს დამცირებას?

— აბა, საიდან მოიტანეთ? თქვენი დამცირება არც მიფიქრია.

— თქვენის აზრით, მე თაგვი ვარ, თქვენ კი — კატა?

— ერი-ჰა! თქვენ ძალზე ეჭვიანი გამხდარხართ, დამშვიდდით, ნინო! — აბა, ეგრე იქნება, — გამოცდილი და დაბრძენებული კაცივით შენიშნა კორნელიმ, დახატული წაშალა და თან ღიმილით დაუმატა: — გამოდის, რომ თქვენთან ხუმრობა არ შეიძლება.

— ხუმრობისათვის ახლა მე არ მცალია, — მიუგო ნინომ, ნერვიულად აიჩეჩა მხრები, გამხდარი, გრძელი და სანთლისფერი თითებით კორნელისადმი გაგზავნილი თავისი ბარათებისა და სურათის ხევა დაიწყო ანგარიშმიუცემლად. მერმე მაგიდის ყუთი გამოსწია და ქაღალდის ნაკუწები შიგ ჩაჰყარა. გაბრაზებულ და გაწითლებულ ქალს კორნელიმ შენიშნა:

— აკი მისაყვედურეთ, ჩემს ცხვირწინ რად დახიეთ ბარათებიო! მე კი არ გისაყვედურებთ. თქვენ სწორად მოიქეცით. იმ ლაფის მერმე, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გადაგასხით, სხვანაირად მოქცევა არც შეიძლებოდა. სწორად მოიქეცით, ჩემი ბარათები რომ დახიეთ. ახლა ბარდაბარ ვართ!

— ჩვენ იმიტომ დავხიეთ ჩვენი ბარათები, რომ ჩვენს შორის არსებული სიყვარული სიძულვილით შეიცვალა, — შენიშნა ქალმა.

— თუმცა თქვენ არაგულწრფელს მიწოდებთ, მაგრამ მე უფრო გულწრფელად მიყვარდით თქვენ. თქვენდამი სიძულვილი ჩემში არასოდეს არ ყოფილა და, ვფიქრობ, არც დაიბადება.

— მე პირიქით მეგონა.

— მცდარად გიფიქრიათ.

— ნეტავ ეგ ასე იყოს, და თქვენი სიტყვების დაჯერება შემეძლოს, — გულდაწყვეტით უთხრა ნინომ.

— ეგ არის ჩემი უბედურება.

— მე მგონია, თქვენ არავინ და არაფერი არა გწამთ,

არავისი არა გჯერათ, საკუთარი თქვენი თავისაც კი. თქვენ ყველა გეჯავრებათ.

კორნელის გაუკვირდა, დამცინავად გაიღიმა, მერე გაიცინა და შესძახა:

— ღმერთო ჩემო, რა გამოუსწორებელ ნიჰილისტად მნათლავთ! რა ისეთი ურწმუნო თომა მნახეთ!

ნინო შეკრთა და ბრაზით შენიშნა:

— როგორ შეგიძლიათ თქვენ ასეთ წუთებში სიცილი! თქვენ რაღაც უცნაური კაცი ხართ. მე თქვენი მეშინია...

ისე როგორც მუშტაიდში შეხვედრის დროს, ნინოს შეაჟრჟოლა, თვალი მოარიდა და თავი ჩაჰკიდა.

— თქვენ ხანდახან რაღაც დამცინავი, საშინელი და ბოროტი გამოხედვა გაქვთ, — განაგრძო მან, — თქვენ არსებითად ავი და დაუნდობელი კაცი უნდა იყოთ. თქვენ ძალიან გამოიცვალეთ, ასეთი არ იყავით. ნუთუ ამას ვერ ამჩნევთ?

— მე მხოლოდ იმას ვამჩნევ და იმასა ვგრძნობ, რომ ჩემი ფიქრი, გრძნობა და საქციელი არ ეგუება იმ საზოგადოებას და იმ ხალხს, რომელთა შორის თქვენ ცხოვრობთ. თქვენ ჩემში სანტიმენტალურად განწყობილ იდეალისტს ხედავდით და მოგწონდათ ეს. მერმე კი ჩემში ცვლილება აღმოაჩინეთ და შეშინდით. თქვენ მართალს ბრძანებთ. ინსტინქტს არ უღალატნია თქვენთვის. მე ბევრ რამეზე აზრი გამომეცვალა. მაგრამ ყველას და ყველაფერს როდი დავცინი, არამედ მას, რაც დასაცინია.

— არა, თქვენ ყველაფერს და ყველას დასცინით: მე, ელოს, ჩემს მშობლებს, ინტელიგენციას. ხოლო ბოლშევიკებს კი აქებთ და ადიდებთ. მიკვირს!

— რად გიკვირთ? — მიუგო კორნელიმ. — მე იმ საზოგადოებისა და დამყაყებული წრის წინააღმდეგი ვარ, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. ალბათ, ამის გამო შემიძულეს თქვენმა მშობლებმა, თქვენც შეგაძულეს ჩემი თავი და ახლა სასიძოში და სავსებით შეცვლილი გეჩვენებით. დიახ, მე გამოვიცვალე. მე ბევრი რამ ვნახე, განვიცადე და საკვირველი იქნებოდა, საზოგადოებრივ მოვლენებზე და ადამიანებზე აზრი და შეხედულება რომ არ შემცვლოდა.

— მაინც რა ნახეთ და რა განიცადეთ ისეთი? — ეკითხებოდავად ჰკითხა ქალმა.

— ომი, ბრძოლაში გულითადი მეგობრების დაღუპვა, ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის გოჯასპირას ჩამოხრჩობა და ათასი სხვა უბედურება: კაცისკვლა, კაცთსიძულვილი, მდიდრის მიერ ღარიბის ჩაგვრა, უსამართლობა, ღალატი, ანგარება, სიცრუე, უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფა და საყვარელი ქალის დაკარგვაც კი... აბა, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

უკანასკნელ სიტყვებზე ნინომ თავი ასწია, კორნელის მიაშტერდა და ამოიოხრა. კორნელის ისევ შეეცოდა და უთხრა:

— ვხედავ, ჩვენს განშორებას თქვენ მწვავედ განიცდით. მე არ მინდა ვიყო მიზეზი თქვენი ტანჯვისა. თავს განებებთ, მხოლოდ ესტატემ, ვარდომ, ელომ და მიხამაც დაგანებონ თქვენ თავი. გაცალონ, საკუთარი გონებით და გრძნობით იხელმძღვანელოთ. წარსულს ნუღარ მოიგონებთ, ნუ გამიბრაზდებით. ჩემი სურვილია, თქვენ ბედნიერი და თავისუფალი ქალი იყოთ. ამიერიდან აღარ დაგტანჯავთ. მხოლოდ ქობულეთში, განშორების ჟამს რაც მითხარით, იმაზე უნდა გიპასუხოთ და მერმე გაგეცლებით. გასაგებია ახლა ჩემდამი თქვენი უნდობლობა, თქვენდამი ჩემს გულწრფელ სიყვარულში თქვენი შეეჭვება. მე თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ. ვიცი, ჩემი ბრალი რაც არის, — კორნელი შეჩერდა. ნინომ ჰკითხა:

— რა ბრალი?

— მე უნებლიე მარცხი მომივიდა.

— რა მარცხი?

— არ ვიცი, მარცხი თუ შეცდომა დავარქვა მარგარიტა ლეტცთან ჩემს ცდუნებას. ზნეობრივ დაცემას ვერ ვუწოდებ მას, რადგან ის უნებლიე ცოდვა, როგორც არაერთხელ მითქვამს, თქვენდამი ჩემს სიყვარულს არ შეჰხებია, მაგრამ იგი ცოდვა თქვენს წინაშე მაინც უნდა მეღიარებინა და მოშენანიებინა. ხოლო მის გამო ჩემი დასჯა თუ პატიება, ეს თქვენი საქმე იქნებოდა.

— ნუთუ პატიების იმედი გექნებოდათ?

— აკი გითხარით: ეს თქვენი საქმე იქნებოდა-მეთქი! ახლა ალსარებას გეუბნებით. ზნეობრივად თქვენ ჩემზე მაღლა მდგარი აღმოჩნდით. მუდამ მესმოდა თქვენი დარიგება: ქორწინების ჟამს მამაკაცი ზნეობრივად და ფიზიკურად ისეთივე

წმინდა და სპეტაკი უნდა იყოს, როგორც ქალიო. ბევრჯერ მიფიქრია ამის გამო და ის მადარდებდა... თუმცა ისიც ვიკი, რომ ჩემი ზნეობრივი წონასწორობის ერთგვარი სისუსტე ჩემს საჭაბუკესა და გადაჭარბებულ მგრძნობელობას უნდა მივაწეროს. დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე კიდევ იმ მხრივ, რომ თქვენდამი ჩემს სიყვარულს მშვენიერების სფეროს ვაკუთვნებდი, თქვენი სახე, თქვენთან შეხვედრები და აქედან გამოწვეული განცდები ესთეტიკურ სფეროში გადამქონდა და მას ათასნაირად ვსინჯავდი, ჩავკირკიტებდი და გონების თვალით ვწონიდი მაშინ, როდესაც ნამდვილი სიყვარულის დროს არტისტიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი — მწერლებისა და მხატვრების უბედურება ის არის, რომ ხშირად პატივმოყვარეობა და ინდივიდუალიზმი შეგვეპარება ხოლმე. მაგრამ ჩვენი გაყრის მთავარი მიზეზი ეს როდია.

— მაშ რა?

— ჩემი და თქვენი მშობლების განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი, რომლის გამო თქვენ ჩემი გეშინიათ და ბოლშევიკს მიწოდებთ.

— ესეც არის.

— ნუთუ თქვენ ვერ ამჩნევდით, ჩემი თანაგრძნობა ვინ მხარეზე იყო?

— ვამჩნევდი. თქვენი „გოჯასპირის“ წაკითხვის მერმე კი აშკარად დავრწმუნდი, რომ თქვენ ბოლშევიკების ბანაკში გადაბარგდით და ქართველი ხალხისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ ილაშქრებთ.

— თქვენ ბრმად იმეორებთ მამათქვენის სტყვებს. მე ჩემი ხალხის წინააღმდეგ არ მივდივარ. განა ილია ჭავჭავაძე თავადი არ იყო, თავადებს რომ თავს ესხმოდა და მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავდა? როგორ ფიქრობთ: ილია ჭავჭავაძე თავისი ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა? არა, ის ერკვეოდა საქმის ვითარებაში და მის გარშემო არსებულ მდგომარეობაში, ის მომავლისაკენ იხედებოდა, რაც მამათქვენს, სამწუხაროდ, არა სურს. მას და მის თანამოაზრეებს ახლანდელი ცხოვრება მოსწონთ. მამათქვენი და მისი მეგობრები წარსულს ეკუთვნიან, ისინი ჩაბორჩენილი ადამიანები არიან.

— მადლობას მოგახსენებთ ჩემი მშობლებისა და მათი მეგობრების ასეთი დახასიათებისათვის.

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ ვერ გამიგეთ. თქვენ შებოჭილი ხართ ნათესაური კავშირით. თქვენთან განშორება ჩემთვის სავალალოა. მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს თქვენს გარშემო არსებულ წრიდან თქვენი მოწყვეტა რომ შემეძლოს, მაგრამ თქვენ თქვენი მშობლების ნება-სურვილს ბრმად ემორჩილებით. მათი თანხმობის გარეშე თქვენ ჩემი ცოლი ვერ გახდებოდით, ხოლო მათ თანხმობას ვერასოდეს ვერ მივიღებდი, და არა მარგარიტა ლეტცთან ჩემი შეხვედრებისა, ცდუნების გამო. განა პლატონ მოგველაძე ათას ქალთან არ ცხოვრობს, მაგრამ თქვენზე ორჯერ უფრო ხნიერი ის კაცი თქვენს მშობლებს თქვენთვის სასურველ საქმროდ მიაჩნდათ. რატომ? იმიტომ, რომ მოგველაძე სახელიანი, შეძლებული კაცია და, რაც მთავარია, მამათქვენის თანამოაზრე. აი, მთავარი მიზეზი ჩვენი გაყრისა. დაე, ასე იყოს! ჩემი რომანი დასრულდა. მაგრამ იცოდეთ, თქვენთან განშორებით გამოწვეული ტანჯვა და ტკივილი ვერ გამტეხს და ფარ-ხმალს ვერ დამაყრევინებს. პირიქით, იგი თანამედროვე, დრომოჭმულ ფილისტერულ საზოგადოებასთან ბრძოლის სურვილს მიასკვეცებს.

— ასე მგონია. თქვენ ჩემი მშობლებისა და ჩემდამი შურისძიებისათვის ემზადებით, — შენიშნა ნინომ.

— უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად ვემზადები და არა თქვენდამი შურისძიებისათვის. თქვენ რას გერჩით?

კორნელიმ ნინოს შეხედა. ქალს ღაწვებზე ყაყაჩოსაებრ წითელი ლაქები აჩნდა. კორნელი მიხვდა, რა ტანჯვაც გამოევლო ნინოს და გულითადი ხმით უთხრა.

— არ იფიქროთ, მტრად მოგეკიდოთ. მე თქვენ მიყვარხართ და ვაღიარებ ჩემს შეცდომას თქვენს წინაშე. — კორნელიმ ნინოს ხელი შეიპყრო და უთხრა: — ჩვენ ახლა ვშორდებით ერთმანეთს. მაგრამ არა მგონია, თქვენ ადვილად შეგეძლოთ ჩემი დავიწყება. გავიდეს დრო და ისევ მოვალ თქვენთან. მე მოვალ მაშინ, როდესაც თქვენ სავსებით გამიგებთ, როდესაც თქვენდამი ჩემს უანგარო გრძნობაში დარწმუნდებით, ჩემი გზის სისწორეს ირწმუნებთ, როდესაც სიმართლე ჩემს მხარეზე და არა თქვენი და თქვენი მშობლების

მხარეზე იქნება. მაშინ შესაძლოა ისურვოთ ჩემი თანამგზავრობა. და თუ არ მოვედი, იცოდეთ, რომ მართალი საქმისათვის დავიღუპე, რომ ჩემი ცხოვრება უმიზნოდ არ გამიტარებია.

ნინო შეკრთა.

— ეგრე ნუ ლაპარაკობ... მეშინია. — ადგა, საწოლზე დაგდებული შალი აიღო და შიგ გაეხვია, თითქოს შესცივდაო.

— განა რა ვთქვი ისეთი? — ჰკითხა კორნელიმ.

— თქვენ სიკვდილზე ლაპარაკობთ.

— მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც ამ უკანასკნელ დროს განვიცადე.

— ღმერთო ჩემო, რა ბედისწერა მოიწია ჩემს თავზე, — ამოიოხრა ნინომ, თავი ასწია და ცრემლმორეული თვალი ღია სარკმელს მიაშტერა, სარკმელს წყვდიადი მოსწოლოდა.

კარებზე ვიღაცამ ჩუმად დააკაკუნა.

ბედი ჭლევარს

უბედურება ღმერთმა გარგუნა:
იგემე ხრისტს ნაღის გველი,
გველი მზაკვარი, რომ გუშაგობდა
მღვიმესა შიგან მის მზიურ მდელოს.

სოფოკლე

I

მაყაწვილების ბინიდან კორნელი აღგზნებული გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შინისაკენ. შინ სანდრო ხოტივარი დაუხვდა. სანდრო დეიდა ელენესთან საუბრობდა სასტუმროში. მას იუნკრის ტანისამოსი ეცვა, იგი თბილისის სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. მკერდზე ჯარისკაცის გეორგის ჯვარი ეკიდა, დეზებიანი იუნკრის ჩექმები ჩაეცვა, თმა გაეკრიჭა და მომავალ ოფიცერს ოთახში ყაზარმის სუნი დაეყენებინა. სანდრომ დიდი ამბით გადაკოცნა კორნელი. კორნელიმ თავის ოთახში შეიყვანა იგი.

დეიდა ელენეს ბინაში მობინადრეთა გადაჯგუფება მომხდარიყო. ელენემ კორნელის ოთახი რუსეთიდან ოქტომბრის

რევოლუციის მერმე გამოქცეულ მაიორ — დიმიტრი სარო-კინსა და მის ცოლს მიაჭირავა. დათა მიქელაძის **კაბინეტში** კი რუსეთიდან ჩამოსული დათას ნათესავი, სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი პეტრე მიქელაძე და მისი ცოლი, რუსი ქალი — სოფიო ჩასახლდნენ. დათამ თავისი კაბინეტი სასტუმროს ერთ კუთხეში მოაწყო. კორნელი საკუჭნაოსმაგვარ პატარა ოთახში გადაიყვანეს. ამ ოთახს ელენეს მთავარ ბინიდან დერეფანი ჰყოფდა და მისი ფანჯარა აივანზე, გიმნაზიის უკანა ეზოში — ბაღში გადიოდა. ეს გარემოება ძალზე სწყინდა კორნელის, რადგან იგი მიჩვეული იყო თავისი წინანდელი ოთახიდან სანაპირო ქუჩის, მტკვრისა და მტკვრის გაღმა ქალაქისა და მთების ცქერას. ახლანდელი ოთახიდან კი ფანჯრის ახლო, ბაღში მდგარი მხოლოდ ორი დიდი ნეკერჩხალი და გიმნაზიის კორპუსის უკანა კედელი ჩანდა.

სანდრო რკინის საწოლზე გაიშხლართა, ამოიხვნეშა და დაიწყო:

— გიგა ხუციშვილის, მიტო ჩიკვაიძის, პეტრე ცხომელიძისა და შენს გარდა, ყველანი სამხედრო სასწავლებელში შევიდნენ. ბევრმა მიატოვა უნივერსიტეტი.

— მიუქარავთ, — მოუჭრა საწერ მაგიდასთან მჯდარმა კორნელიმ.

— რატომ?

— ჩვენში ოფიცრები ისედაც ბევრია.

— რა ჭირად გინდა მერმე ისინი? მათში უმრავლესნი გაღაგვარებული და გარუსებული მონარქისტები არიან. საქართველო მათ ფეხებზე ჰკიდიათ. ისინი დენიკინთან საერთო ენას ადვილად გამოსძებნიან. ხომ ხედავ, ჩვენი არმიის უფროსი — ნიჟარაძე და ჭკვიანი გენერალი ოდიშელიძეც კი ჩინებულად მეგობრობს დენიკინის გენერალს ბარათოვს, და რაღა ითქმის ისეთ გარუსებულ გენერლებზე, როგორიც გაბაევი, სუმბათოვი და სხვანი არიან! ჩვენ სულ სხვა ტრადიციებზე აგებულ ქართულ სამხედრო სასწავლებელს ვქმნით, რომელმაც უნდა აღზარდოს პატრიოტ ოფიცერთა კადრი. სამხედრო სასწავლებლის უფროსმა პოლკოვნიკმა გიორგი ჩხეიძემ ნამდვილი პრუსიული, ცკაცრი დისციპლინა შემოიღო. კურსის ოფიცრებად და მასწავლებლად გამოჩენილი ქართველი სამხედრო პირები, პედაგოგები და პროფესორები მო-

ერწყია. მე საარტილერიო განყოფილების იუნკერი ვარ. არტილერისტებს მეტი დატვირთვა გვაქვს, როგორც მათემატიკის შესწავლის მხრივ, აგრეთვე ცხენების მოვლის მხრივაც, ერთი წუთი მოსვენება არა გვაქვს, ძალზე ვიქანცებით.

— რა გინდოდა, სამხედრო სასწავლებელში რომ შესულხარ? კონსერვატორია რად მიატოვე? შენ კარგი ხმა გაქვს, — უთხრა კორნელიმ.

— მეეჭვება, ოპერის მსახიობი გამოვსულიყავ და იქ კარიერა გამეკეთებინა. სამხედრო დარგში კი მე კარიერის გაკეთება შემიძლია, — შენიშნა სანდრომ.

— ვიცი, ჩემს მწერლობასაც შენ ეჭვის თვალით უყურებ. რა გაეწყობა: შენი ხმალი და ჩემი კალამი სულ სხვადასხვა საქმეს მოემსახურებიან.

— ადრევე ვგრძნობდი ამას, — მიუგო სანდრომ. წამოდგა, მოშვებული ქამარი შემოიჭირა, გიორგის ჯვარით დაბეჭდილი მკერდი ამოზიდა, ქარქაშში ჩაგებული ხიშტი გაისწორა, ქუდი დაიხურა, დეზებიანი ჩექმების ქუსლი ქუსლს მიარტყა, გასწორდა, კორნელის ხელი ჩამოართვა, კარში გავიდა და სამხედრო სასწავლებლისაკენ გაეშურა.

„კორნელის არც კი უთქვამს, კიდევ შემოიარეო. ცივად შემხვდა, ცივად დამემშვიდობა. უმადური კაცი ყოფილა. მე კი გულითადი მეგობარი მეგონა. მწერლობა რომ დაიწყო, ალბათ, იმიტომ მედიდურობს. ვნახოთ, ვინ უფრო დიდ კარიერას გაიკეთებს: ის მწერლობაში, თუ მე — სამხედრო დარგში?..“ — ფიქრობდა პატივმოყვარე, ამპარტავანი და კარიერის მაძიებელი ჭაბუკი.

2

სატანვარჯიშო საზოგადოებას საქართველოს ქალაქებში მწუხრთნელთა ჯგუფის „გაფრენა“ ოცდახუთი სექტემბრისათვის გადაედო და მისი თავმჯდომარის — გურგენის თხოვნით. კორნელი ყოველდღე, დილით და საღამოთი, სასპორტო დარბაზში დადიოდა, თუმცა ყოველდღე ვარჯიში საზიანო იყო მისთვის.

კორნელი გაჭირვებულად ცხოვრობდა. ცუდი კვების ჰა-

მო გახდა, დასუსტდა. თავს ძალას ატანდა და ვარჯიშს მაინც არ ეშვებოდა.

ერთხელ „შევარდენში“ ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე და ხარიხაზე ვარჯიშობის მერმე გაოფლიანებულმა სპორტსმენებმა დარბაზის აბაზანაში შხაპი მიიღეს, ჩანთებში სავარჯიშო ტანისამოსი ჩაალაგეს, ჩაიცვეს და ქალაქში გამოვიდნენ. ღამის ათი საათი იქნებოდა. პლეხანოვის პროსპექტზე გრგა ხუციშვილი შემოხვდათ. კუკური ზარანდიამ კორნელის და მიტო ჩიკვაიძეს წინადადება მისცა: მსახიობთა კლუბში წავიდეთ, იქ ვივახშმოთო. რადგან გიგას, კორნელის და მიტოს შიმშილით კუჭი ეწვოდათ, მაშინვე დასთანხმდნენ. მეგობრები მიხეილის საავადმყოფოს გასცდნენ და მსახიობთა კლუბში შევიდნენ. ჩანთები და ქუდები მეგარდირობეს ჩააბარეს.

სპორტსმენებმა ბუფეტის ახლოს დაიჭირეს მაგიდა და ოფიციანტს ვახშამი შეუკვეთეს. ირგვლივ კორნელის ნაცნობი და უცნობი ოფიცრები, მსახიობები და ქალები ისხდნენ. რესტორნის გვერდით კაზინო იყო. კაბინეტებში და ოთახებში კარტს და ლოტოს თამაშობდნენ. დაჟინებით და გულისგამწყალებლად ისმოდა მოხუცი პოლკოვნიკის ხმა: „ასი“, „თვრამეტი“, „სამი“... ამ ახალი, დამამცირებელი ხელობისაგან პოლკოვნიკს პურის ფულიც არ რჩებოდა. კაბინეტებში სპეკულანტები და შულერები ბანკოს თამაშობდნენ, მილიონებს აგებდნენ და იგებდნენ.

სპორტსმენების გვერდით ორმა კაცმა მაგიდა დაიჭირა. ერთი კორნელის მიესალმა. კორნელი იცნობდა მას. იგი კატაჯვარით ყბაგამოჭმული პროვიზორი ბესარიონ ბერეჟიანი იყო, ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, ქერა, მაღალი და გამხდარი, შუახნის კაცი.

ბერეჟიანმა დიდი პორტფელი გახსნა და თანამესუფრეს, ჩასუქებულ, შევგვრემან კაცს უთხრა:

— თუ მართლა მყიდველი ხარ, იაფად გაძლევ და იყიდე: ინგლისური მარკის ასეთ პრეპარატებს ვერსად ვერ იშოვნი.

ისინი დიდხანს ვერ მორიგდნენ ფასში და ხმამაღლა დაობდნენ.

— აფთიაქებში ამალი არ იშოვება, ხალხი უწამლოდ იხოცება და, აბა ეთი ამას უცქირე! აი, ამასა ჰქვიან მოუვიდებელი სპეკულაცია, — უთხრა მეგობრებს გიგა ხუციშვილმა.

სპეკულაციურმა ვაჭრობამ დამღუპველ მასშტაბს მიაღწია და იგი დღითი დღე უფრო არყევდა და შლიდა ქვეყნის ისედაც მოშლილ ეკონომიკურ მდგომარეობას.

კორნელიმ ბერეჟიანისაგან შეიტყო, რომ კაზინოში პოეტები ბანქოს თამაშობდნენ. მალე შულერებისაგან პირწმინდად ჯიბეგაწმენდილი პოეტები აღგზნებული გამოვიდნენ კაზინოდან. კორნელი დაინახეს, მივიდნენ და გადაკოცნეს. კორნელიმ მეგობრები გააცნო მათ და სუფრაზე მიიწვია ისინი, მაგრამ პოეტები უარზე დადგნენ. შავ კოსტიუმში გამოწყობილმა, შლიაპიანმა, ლამაზმა და ახოვანმა პოეტმა რაფაელ ახვლედიანმა კორნელის და მის მეგობრებს უთხრა:

— აქ დაგვიცადეთ, ნურსად წახვალთ. ჩვენ მალე დავბრუნდებით. კაზინოში მოთამაშე ხალხთან ანგარიშს გავასწორებთ, თვალის სეირს განახვებთ და მერმე ყველანი რესტორან „ქიმერიონში“ წავიდეთ საქეიფოდ.

იგი ტერორისტ მიხა კოლუაშვილის იმედით აპირებდა სპეკულანტებთან ანგარიშის გასწორებას...

ქონდრისკაცმა თეოფილ გოთუამ ზედიზედ აიღო მწვადის ჩაჩრები და, გამალებით შეჭამა, ზედ ღვინო დააყოლა, ხელსახოცით ხელი და ტუჩები გაიწმინდა. მერმე მანჟეტებიდან ერძელი ხელები გამოაძვრინა, სამი თითი პირჯვრისწერის დროს რომ იციან ისე წეაერთა, ხელის გულზე დაატრიალა და კორნელის უთხრა:

— კორნელი გიორგაძეჩ, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და ჩვენს შეხვედრას მარილის მოყრა მოუხდება.

აგურისფერ ჩინებულ კოსტიუმში გამოწყობილი ქონდრისკაცი უმალვე შეტრიალდა. რაფაელსა და ლეონარდოს ვამოუდგა და კარებისაკენ მელასაებრ წაცუნცულდა.

გიგა ხუციშვილმა გაიცინა და კორნელის უთხრა.

— ვახ, ერთი ამ კრუხის პალოს უყურე, რა დღეშია. ესეც ცოცხია? რა დასწერა მაგ პარიზელმა თეოფილ გოთუამ. „ამალი და კამეა“ თუ „პყემალი და კამა?“ სახელებიც რო-

გონი შეურჩევიათ: თეოფილ, რაფაელ და ლეონარდო, ვითომ რაო, იტალიელი გენიოსი მხატვრები ვართო?!

— ფეხის ხმას აყოლილი ხალხია, — მიუგო კორნელიმ.

3

ვიგა, კორნელი, მიტო და კუკური შუა პურის ჭამაშიც არ იყვნენ, როდესაც რესტორანში მხიარული კომპანია შევიდა: ჩინებულად ჩაცმული ორი ქალი და ფრენჩსა და გალიფეში გამოწყობილი ორი შეიარაღებული კაცი. ქალთაგან ერთი მარგარიტა ლეტცი და მეორე კი ქეთო მაღალაშვილი იყო. კორნელი შეკრთა, შეშფოთდა და თვალი მოარიდა მათ.

ხმიარულმა კომპანიამ სპეკულანტი პროვიზორის — ბესარიონ ბერეჟიანის გვერდით დაიჭირა მაგიდა. კორნელი კარგად იცნობდა მარგარიტას და მის მეგობარს ქეთოს, ხოლო მათ კავალრებს — კლიმენტი ჩხიკვაძეს და დათიკო ჯორბენაძეს კი არა. ეს მაღალი ვაჟკაცები, როგორც მერმე გაიგო კორნელიმ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლები იყვნენ. მარგარიტა და ქეთო კორნელის მიესალმნენ. „ნეტავი აქ არ მოვსულიყავ და მარგარიტას არ შევხვედროდი", — გაიელვა კორნელიმ.

— რა მიჰყიდე მაგ კაცს, სპეკულანტო? — გადაძახა მარგარიტას კავალერმა კლიმენტი ჩხიკვაძემ ბერეჟიანს.

— ქაფური და კონიაკი, — უშიშრად მიუგო ბერეჟიანმა.

— ინსულინი უნდა მიშოვო ერთი ჩემი ამხანაგისათვის, — წაეკეთა ჩხიკვაძემ.

— ინსულინს იმ კვირამდე ვერ გიშოვი, ძამია, — მიუგო ბერეჟიანმა.

— ორ დღეში მიშოვე, თორემ სულს ამოგაძრობ, იცოდე.

— ცოტა ხანს დამიცადე, ბიძია, და ნამდვილ საზღვარგარეთულ პრეპარატს გიშოვი.

მარგარიტა თვალს არ აშორებდა კორნელის, რაღაცას ანიშნებდა, უღიმოდა, რაც ძალზე სწყინდა ამჟამად მის მიერ მოხიბლულ კავალერს კლიმენტი ჩხიკვაძეს. კორნელი ისევ თვალს არიდებდა ქალს. მარგარიტა და მისი ამანამოსუფრენი ვახშამს შეექცნენ. მამაკაცები ზედიზედ სვამდნენ ღვინოს და ქალებსაც აძალებდნენ. შეზარხოშებული მარგარიტა უტიფ-

რად და მოურიდებლად ისე ხმამაღლა ხარხარებდა, რომ რესტორანში მყოფთა ყურადღებას იპყრობდა. დათიკო ჯორბენაძესთან ჯუჯა, გამხდარი კაცი მივიდა. სკამი მიიტანა. გვერდით მიუჯდა და წასჩურჩულა:

— აგერ, ის სტუდენტები, მე რომ გითხარი...

— ის ზორბა ვაჟკაცია, ბიჭო, მიტო ჩიკვაიძე? ხელმარჯვნივ რომ ჩასუქებული, თავმოტვლეპილი კაცია, ის გიგა ხუციშვილია? — ჰკითხა ჯორბენაძემ.

— ჰო, — განზე გაიხედა და ისე დაუდასტურა გამხდარმა კაცმა.

— კარგი... ცოტა ხანს მოიცადე და მერე წადი, — მოუჭრა ჯორბენაძემ. მიტომ მაშინვე იცნო ვაკეში მის მიერ შემჩნეული ჯაშუში.

— გველის წიწილა, — ანრეზით დაიძახა მან და მერმე მეგობრებს უთხრა: — იცით, ბიჭებო, ვინ არის ის პატარა, მახინჯი კაცი? საგანგებო რაზმის აგენტი, ჯაშუში, ცნობების შიმწოდებელი. ალბათ, ის ვაჟბატონები კედიას რაზმის თანამშრომლები არიან... ფრთხილად იყავით.

როცა ჯაშუში წავიდა, კლიმენტი ჩხიკვაძემ დათიკო ჯორბენაძეს ჰკითხა:

— რას გეუბნებოდა ის ჯოჯოხეთის მაშხალა?

— აგერ, ბუფეტთან მელოტი კაცი რომ ზის, მოწამლული ბოლშევიკია — გიგა ხუციშვილი. აი, ის ზორბა ვაჟკაცი შავ კოსტიუმში კი — მიტო ჩიკვაიძე. ისიც ცნობლი ბოლშევიკია. ჩიკვაიძეს და ხუციშვილს ამ ორ-სამ დღეში დავიჭერთ და გავძაგრავთ, მაგრამ ჩიკვაიძე ღონიერი და მოჩხუბარი ბიჭია და ხალხი ბლომად უნდა წავიყვანო. ჩიკვაიძე და ხუციშვილი ქარხანაში, ჯარის ნაწილებში დაძრწიან, აგიტაციას ეწევიან მუშებსა და ჯარისკაცებში.

დათიკო ჯორბენაძის უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა ქეთო მაღალაშვილმა. დათიკო განაგრძობდა:

— მაგათ დღეს თუ ხვალ დავიჭერ, მაგრამ რად გინდა მერე? ამას წინათ ერთი იატაქვეშ მომუშავე ცნობილი ბოლშევიკი, ჭიათურის ყოფილი მუშა ფრუიძე დაიჭირა დომენტი მელაძემ და იმ მწერალმა კორნელი მხეიძემ გამოაშვებინა. მიხა ფრუიძე მაგის ძმის გამდელის შვილი ყოფილა.

— გამოაშვებინებდა, თუ შეეძლო. ხომ იცი, გამდელი დეღაბე ტკბილია.

— მაგი რას გამოაშვებინებდა, მაგრამ დიდ ხალხთან აქვს საქმე, იცი ვისი ძმაა?

— არა.

— ცნობილი ქირურგის, პროფესორ ევგენი მხეიძის.

— მართლა? — ჰკითხა ჩხიკვაძემ.

— ჰო, — მიუგო ჯორბენაძემ.

საწამ კედიას განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელნი საუბრობდნენ, მარგარიტა და ქეთო წამოდგნენ, დარბაზი გაიარეს და საპირფარეშოში შევიდნენ. როდესაც უკან გამობრუნდნენ, მარგარიტა კორნელის და მისი მეგობრების სუფრასთან შეჩერდა, კორნელის თავზე დაადგა და უთხრა:

— როგორ არ გრცხვენიათ, განზრახ რომ თვალს მარიდებთ! თითქოს არც კი მიცნობდეთ. რა დაგიშავეთ?

— თქვენთან ყოველი შეხვედრის მერმე ჩემი საქმე შავად მიდის, — შენიშნა კორნელიმ. კუკური ზარანდია ფეხზე წამოდგა, მარგარიტას და ქეთოს სკამი შესთავაზა.

მარგარიტა მაშინვე კორნელის გვერდით დაჯდა და ქეთოს უთხრა:

— შენ წადი, ქეთო. მიდი, უთხარი ჩვენს მასპინძლებს, მევიზარი ნახა და მალე მოვა-თქო.

კორნელიმ ქალებს მეგობრები გააცნო. ქეთომ ბოდიში მოიხადა და მალე წავიდა.

კლიმენტი ჩხიკვაძე აენთო და ქეთოს უთხრა:

— მარგარიტა თუ იქ დარჩა, ცუღად წავა მისი და იმ ვაჟკაცების საქმე.

ქეთო შეშინდა და მარგარიტას ანიშნა, მოდიო. მაგრამ მარგარიტამ ამრეზით ჩაიქნია ხელი — მომწყდიო.

— წადით, მარგარიტა. თქვენი კავალერი ღელავს, — უთხრა კორნელიმ.

— ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი, — ისევ ჩაიქნია ხელი ნასვამმა ქალმა. მიტომ და კუკურიმ გაიცინეს.. სანამდე მისულა ეს ქალი, ვიღაც ჯიბგირებში ქეიფობსო, — გაიფიქრა კორნელიმ. მოთმინებიდან გამოსული და შეურაცხყოფილი კლიმენტი ჩხიკვაძე წამოდგა, მარგარიტასთან მივიდა, მკლავში ხელი ჩაჰკიდა და უთხრა:

— წამოდით, სხვის მაგიდაზე გადაჯდომა რა საკადრისია?

— ეს სხვისი მაგიდა არ გახლავთ. ეს ჩემი მეგობრის მაგიდაა, — მიუგო მარგარიტამ და კორნელი და მისი მეგობრები გააცნო. მთვრალმა კლიმენტიმ გასისხლიანებული თვალები მიანათა კორნელის, მის მეგობრებს და ოდნავ დაუკრა მათ თავი. მიტომ სკამი შესთავაზა.

— არა, ბიძია, — აგდებულად უთხრა კლიმენტიმ. — მე ჩემი სკამი და ჩემი მაგიდა მაქვს. მე შენი და ამ ქალის შუამავალი კი არა ვარ. მე დავპატიჟე ეს ქალი, ვაქეიფე, ფული დავხარჯე და ჩემთან უნდა იყოს. — მერმე ისევ მაგრა ჩაბღლო ხელი მკლავში მარგარიტას და უბრძანა: — აბა, მალე ადექი!

— რას ჩამაცივდით? მე აქ ყოფნა მირჩევნია.., დაჯექით ცოტა ხანს.

კლიმენტიმ უხეშად ჰკრა ხელი და სკამიანად კინაღამ წააქცია. მერმე მაუზერზე გაისვა ხელი, შეაშინა და უყვირა:

— როგორ თუ აქ გირჩევნია ყოფნა, შე უნამუსო! ადექი, თორემ...

კორნელიმ გააფრთხილა:

— ამხანაგო, ქალის შეურაცხყოფა ვაჟკაცს არ შეშვენის. მაუზერს მოეშვით, ცოტა ზრდილობიანად მოიქეცით და წესიერად ილაპარაკეთ.

— უტარო კოვზივით სხვის ქვაბში ნუ ვარდები. წყნარად დაჯექი, თორემ...

— თორემ რა? — დასცინა კორნელიმ.

— ენა დააყენე, თორემ ახლავე ციხეში მიგაბრძანებ. გაცნობთ, რა ვაჟბატონიც ბრძანდებით...

კორნელი წამოიჭრა და მშვიდად უთხრა:

— ნუ ყბედობ, შენ თვითონ მიბრძანდი აქედან!

— ვის უბედავ, მე შენი... — გაცეცხლდა კლიმენტი, დედა შეაგინა და, ის იყო, მუცელში უნდა ესროლა ტყვია კორნელისათვის, მაგრამ მიტომ დაასწრო, წამოხტა და მაუზერზე დაურტყა ხელი.

მაუზერმა დაიჭექა. კორნელიმ მაჯაში სტაცა ხელი კლიმენტის, მარწუხივით მოუჭირა და იარაღი გააგდებინა. მაუზერი კუკური ზარანდიამ აიღო.

ქალებმა წივილ-კივილი ასტეხეს. კლიმენტიმ და დაითკო

ჯარისკაცი გააღვა ძოასწრეს. ხალხი წამოიშალა და გაიქცა. კაზინოში ბანქოს მოთამაშენიც წამოიჭრნენ, ფულები შარვლისა და პიჯაკების ჯიბეებში ჩაიბღუჯეს და კარებს მისცვივდნენ.

როცა მაუზერი გავარდა, კორნელის მოეჩვენა, თითქო ფეხზე კეტი შემოჰკრესო. დაბუჟებულ ფეხზე დაიხედა. იატაკზე სისხლის ტბა დამდგარიყო.

კორნელი სკამზე დაჯდა. მასთან ოფიცერთა შორის მოქეიფე, ჩოხაში გამოწყობილი, ვიღაც ახოვანი კაცი მივიდა და ფეხზე დახედა. კორნელიმ მაშინვე იცნო მისი ბატარეის ყოფილი ზემდეგი სოსო ლაზრიშვილი.

კორნელის გალიფე, შავი ჰამაშები და ბოტინკები ეცვა. სოსო ლაზრიშვილმა ჰამაში გახადა, ფეხსაცმლის ზონარები ხანჯლის წვერით შეაჭრა, ფეხსაცმელი და წინდა გააძრო და ჭრილობაზე დახედა.

კორნელის მოხვედრილი ჰქონდა ტყვია ტერფის ზემოთ არეში, ქუსლის მიდამოს გავლით. ტყვიას ფეხსაცმლის ქუსლიც გაეგლიჯა და იატაკზე შერჩობილიყო. ომში ნამყოფმა და გამოცდილმა ზემდეგმა ლაზრიშვილმა პირველადი დახმარება აღმოუჩინა. სისხლის დენის შეჩერების მიზნით, ერთი ხელსახოცი მუხლის ზემოთ მოუშირა, ხოლო მეორეთი მაგრა შეუკრა ჭრილობა.

კორნელის ჭრილობა არ ტკიოდა. ის აშინებდა მხოლოდ, იატაკზე რომ სისხლის მთელი გუბე იდგა. თანაც რცხვენოდა, თავზე ოფიცრები და ამდენი გულშემატკივრები რომ დაჰყურებდნენ.

სოსო ლაზრიშვილმა კუკურის მაუზერი გამოართვა და ჰკითხა მიტოს უბრძანა — კორნელი საავადმყოფოში წაეყვანეთო.

4

მიტო და კუკური მხარში შეედგნენ კორნელის, კიბეზე ჩაყვანეს და ქუჩაში, ოფიციანტის მიერ უკვე მოყვანილ ეტლში ჩასვეს და იქვე მიხეილის საავადმყოფოსაკენ გააქანეს. გიგა გვერდით უჯდა, მიტო — წინ, კუკური კი ეტლის საფეხურზე იდგა.

კორნელიმ თავისი დაჭრილი ფეხი ორივე ხელით ასწია.

— რა გვიყო, რა გვიყო იმ ოხერმა! ნეტავ არ წამეყვანეთ კლუბში! ჩემი ბრალია, — სწუხდა კუკური.

ეტლი მიხეილის საავადმყოფოს ეზოში შევიდა.

მიხეილის საავადმყოფოში კორნელი მორიგე ექიმმა და მედმუშაკებმა საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს და ჭრილობა სპირტით მობანეს. ახლა კი იგრძნო ტკივილი კორნელიმ და მიტოს და კუკურის ხელები კინაღამ დაუმტვრია. ბოლოს ასეპტიკური ნახვევი დაადეს, მაგიდიდან ჩამოიყვანეს და იქვე, ტახტზე დააწვინეს.

მორიგე ექიმმა გიგა და მიტო კაბინეტში შეიყვანა და უთხრა:

— სახსართან ახლოს აქვს ჭრილობა და საშიშია. თუ გინდათ, აქ დატოვეთ ამაღამ და ხვალ დილით ქირურგი ნახავს. ნუ გეშინიათ, პროფესორ ევგენი მხეიძის ძმას ყურადღებას არ მივაკლებთ.

— არ ვიცი. როგორ აჯობებს! ნება მიბოძეთ, ტელეფონით ვისარგებლო და შინ დავრეკო, — სთხოვა ექიმს მიტომ.

— დარეკეთ, გეთაყვა, — მიუგო ექიმმა.

— დაიცა, — ყვირა გიგამ, — ღამის სამ საათზე მძინარეთ ეს ამბავი რომ შევატყობინოთ, ხომ გაგიჟდნენ!

— მაშ, რა ვუყოთ? ჩვენ თვითონ წავიდეთ? — ჰკითხა მიტომ.

— არა უშავს, დაურეკეთ, უთხარით, მსუბუქად არისთქო დაჭრილი, — ურჩია ექიმმა.

დიდხანს რეკავდა ტელეფონი. ბოლოს მიტომ გაბედა და დათა მიქელაძეს უთხრა:

— კორნელი მსუბუქად დასჭრეს ფეხში, მიხეილის საავადმყოფოში მივიყვანეთ... როგორ მოვიქცეთ, აქ დავტოვოთ თუ მობრძანდებით?

— კორნელი დასჭრეს! — წამოიძახა ნამძინარევმა დათამ.

ელენემ იკივლა და თავში მუშტები წაიშინა. როცა გონს მოვიდა, მან და დათამ საჩქაროდ ჩაიცვეს. თავქუდმოგლეჯილი გავარდნენ გარეთ და ვერის ხიდისაკენ გასწიეს. ქალაქს ეძინა. მხოლოდ ერთ გრძელწვერიან მეეტლეს ნელი ნაბიჯით მიჰყავდა დაღლილი და დაქანცული ცხენები. დათა მას ეცა, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს უბრძანა:

— ძიხვილს საავადმყოფოში წამოყვანე.

— შინ, დიდუბეში მივდივარ. უკან ველარ გავბრუნდები, — მიუგო მეეტლემ.

— ნათესავი დამიჭრეს. საავადმყოფოში მიმეჩქარება, — შეეხვეწა დათა.

ამ დროს ელენეც მივიდა და ისიც ეტლში ჩაჯდა.

— აბა, სად ჯდებით, ქალო! ვერა, საავადმყოფოში ვერ წავალ, — უხეშად დაიძახა მეეტლემ. დათა გაბრაზდა და მეეტლეს უყვირა:

— მოაბრუნე ეტლი, მე შენ გიბრძანებ!

— ბრძანების უფლება შენ არა გაქვს! — მოუჭრა მეეტლემ.

დათა წამოხტა, სადავეები გამოსტაცა ხელიდან და ცხენების მობრუნება სცადა.

— ხელი გაუშვი სადავეებს, — უყვირა მეეტლემ და მათრახი აღმართა... მაშინ გაოფთრებულმა დათამ თავისი ჯოხი მოიმარჯვა და მაგრა უთაქა ბეჭებში მეეტლეს.

ჩხუბის ადგილზე მორიგე მილიციელი მივიდა და დათას ჰკითხა:

— რასაა შვრებით. რას ერჩით ამ კაცს?

— ხალხს წესიერ და შეგნებულ მოქალაქეს ვუზრდი, — მიუგო დათამ, ჩხუბის მიზეზი და თავისი ვინაობა შეატყობინა. მაშინ მილიციელიც მეეტლეს დაემუქრა. მეეტლე შეშინდა, ეტლი მიაბრუნა. ელენეს ქმარის სიფიცხე და ვაჟკაცობა გაუკვირდა: ცხვარი ცხვარია, ვაცხარდება — ცხარიაო, — გაიფიქრა.

დათა და ელენე გიყვით შევარდნენ საავადმყოფოში. ექიმმა ელენეს უთხრა:

— პანიკას ნუ ასტეხთ. ავადმყოფს ნუ შეაშინებთ...

დათა და ელენე სამორიგეოში შევიდნენ.

კორნელი ტახტზე წამოწოლილიყო. სასთუმალთან კუკური ზარანდია უჯდა. ირგვლივ ექთანი ქალები ეხვივნენ. კორნელი კარგად გრძნობდა თავს. ქალებს ტკბილად ესაუბრებოდა და აცინებდა.

— რა მოგივიდა, დეიდა, სად დაგჭრეს? — ჰკითხა გაფითრებულმა ელენემ და შეხვეულ ფეხზე დააცქერდა.

— მსუბუქი ჭრილობაა, არაფერია... ნუ გეშინია, რწყილმა მიკბინა, — დაამშვიდა კორნელიმ.

დათამ შეატყო, მთვრალი რომ იყო, და ეწყინა.

კორნელი ეტლით მიიყვანეს შინ. მას ისევ მაღლა აეწია დაჭრილი ფეხი.

როდესაც გიგამ, მიტომ და კუკურიმ კორნელი ეტლში ჩასვეს, დეიდა ელენესთან და დათა მიქელაძესთან ერთად შინ გაისტუმრეს, მიხეილის საავადმყოფოს ალაყაფის კარებთან მარგარიტა და ქეთო შეეყარნენ. აღელვებულმა ქალებმა კორნელის ამბავი გამოჰკითხეს.

— ომს გადარჩა და აბა ერთი უცქირეთ, რა უყო იმ მხეცმა... — სწუხდა ქეთო. — აი, ამაზედ არის ნათქვამი: კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩო...

— მსუბუქი ჭრილობაა. მადლობა ღმერთს, სახსარში არ მოხვედრია ტყვია, — მიუგო მიტომ.

ქეთომ გაიხმო, ხის ქვეშ მიიყვანა და ჩუმად უთხრა:

— თქვენი და გიგას დაპატიმრება უნდათ, ამაღამ შინ ნუ გაათევთ ღამეს.

— საიდან გაიგეთ ეგ ამბავი?

— ყური მოვკარი საუბარს.

მიტომ მადლობა გადაუხადა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

5

ეტლი გიმნაზიის ეზოს ჭიშკართან გაჩერდა. კორნელი ეტლიდან დაუხმარებლად ჩამოვიდა. ჭიშკართან მდგარი მოხუცი მეეზოვე გაბრიელ დოლენკო და დათა მხარში შეუდგნენ და კიბეზე აიყვანეს.

კორნელიმ ფრენჩი გაიხადა და თავის ოთახში საწოლზე ჩამოჯდა. დაჭრილი ფეხი ლოგინზე დასდო. საწოლის ირგვლივ ელენე, დათა, ნამძინარევი მისი მდგმურები შეგროვდნენ. ყველა თავის რჩევა-დარიგებას იძლეოდა. პოლკოვნიკმა პეტრე მიქელაძემ ელენეს ასწავლა და ამანაც მაკრატლით გალიფეს მარცხენა ტოტის ნაკერი გაურღვია კორნელის და შარვალი გააძრო. კორნელი დაწვა, დაჭრილი ფეხი კედლისაკენ მისწია და თხელი საბანი წაიფარა. მაიორი სარკინი თავზე დასდგომოდა და განუწყვეტლივ იძახდა:

— ეჰ, ეჰ, რა უბედურებაა!

დიმიტრი საროკინი ოდნავ ღიპიანი, შუატანის, მწითური, კეთილი კაცი იყო. იგი ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. სამხრეებმოხსნილი, მიხაკისფერი ფრენჩი ეცვა. წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა. მისი ცოლი ორმოცდახუთი წლის, ქერა, დაბალი, ცისფერთვალებიანი, ჩასუქებული ქალი მარია ძალიან ჰგავდა მას სახით, და-ძმა გეგონებოდათ. მარია მუსიკალურ სმენას მოკლებული ქალი იყო. მიუხედავად ამისა, ეს უშვილო და უსაქმო ქალი კონსერვატორიაში დაიარებოდა და მერმე შინ დილიდან საღამომდე სიმღერაში გულმოდგინედ ვარჯიშობდა. იგი ნაირ-ნაირ ტანისამოსს იცვამდა, მდიდრულად იკაზმებოდა, თმას ოქროსფრად იღებავდა და სიბერეს, დეიდა ელენესაებრ, შეუფერელი კოხტაობით, კეკლუცობით და კოსმეტიკით ებრძოდა. საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ ცოლ-ქმარს ასტრახანიდან, კასპიის ზღვით, ბაქოში, მერმე თბილისში ჩამოსვლა მოეხერხებინათ და ძვირფასი ნივთებით გატენილი ჩემოდნები ჩამოეტანათ. მარიას თოფის სროლის ხმაც კი თავზარსა სცემდა. მისი ქმარიც — ის ზურგის ვირთაგვაც — მუდამ საინტენდანტო უწყებებში მსახურობდა. ახლა დიმიტრი საროკინი საკომისიო მაღაზიაში მოწყობილიყო. მისი ბინა, კორნელის ყოფილი ოთახი, ანტიკვარულ მაღაზიას დაემსგავსა. დეიდა ელენე ოქრო-ვერცხლის ნივთებს, ძვირფას ჭურჭელს და ქსოვილებს ათვალიერებდა და გულზე სივდებოდა, მათი ყიდვა რომ არ შეეძლო. ყოფილი მაიორი ახლა გადამკიდველი გაჰხდარიყო და ათასგვარ დამცირებას იტანდა, თავისი შეყვარებული „ლამაზი“, „ნიჭიერი“ ქალი რომ შეენახა და საშუალება მიეცა მისთვის კონსერვატორია დაემთავრებინა. რადგან დიმიტრის და მარიას შვილები არა ჰყავდათ, შვილისადმი გრძნობა და სიყვარული ერთმანეთზე გადაეტანათ. ისინი უერთმანეთოდ ვერცარა სძლებდნენ და ვერ სუნთქავდნენ. ჩახუტებულნი ერთ სკივრლზე წკებოდნენ. ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ, ეფერებოდნენ, უყვავებდნენ და ათასგვარ საალერსო და სასაცილო სახელებს არქმევდნენ. დიმიტრი ცოლს „солныш-ко“-ს, „сердечно“-ს, ხან „дитёс“-ს და ხანაც „старушка“-ს, ხოლო მარია ქმარს — დიმა-ს, „соколик“-ს და „золотко“-ს ეძახდა. მათი ცხოვრების დღეები ერთმანეთზე ზრუნვაში

გადიოდა. ქმარი ცოლს კარაქს, ხიზილალას, ნამცხვარს, შოკოლადს, ტკბილს აძალებდა, გოგლიმოგლს უკეთებდა. ალბომი სავსე იყო მათი სურათებით. ისინი მტრედებივით ღუღუნებდნენ, საალერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ოთახში ფაჩუჩებით დაბაჩუნობდნენ. მათი ბინის იქით რაც ხდებოდა, არ აინტერესებდა. ისინი თავის თავს გონებით, ნიჭით და ზნეობით სხვაზე მაღლა აყენებდნენ. ცოლს ქმარი სიკეთის განსახიერება, ბრძენი და გმირი ეგონა, ხოლო ქმარს ცოლი — შეუდარებელი მომღერალი, მზეთუნახავი და ანგელოზი. ასე შაბერდნენ ერთმანეთს ეს ჭეშმარიტად ფილისტერი ადამიანები. ბოლოს მათი ურთიერთობა და ქცევა უცნაური და ყველასათვის სასაცილო გახდა. დიმიტრი და მარია დიდხანს და ტკბილად ცხოვრობდნენ პროვინციულ ქალაქ ორენბურგში. ურალიდან ჩამოყვანილი ორი ციმბირული, გრძელბეწვიანი კატა შვილივით უყვარდათ, ლოგინში იწვენდნენ და ტუჩებში ჰკოცნიდნენ. კატების მოვლა, კვება და ალერსი მართლაც მთელ ცერემონიას წარმოადგენდა. სასაცილო იყო ამ პატარა ადამიანების — კაცუნების პატარა ეამყარო და მათი ცხოვრება. მათ კორნელის ყოფილი ოთახი ეჭირათ. ამ წაგრძელებულ პატარა ოთახს მაიორმა „კაიუტა“ უწოდა. მაგრამ „კაიუტის“ მსგავს ოთახში ხანგრძლივი და უდრტვინველი ცხოვრება უცნაურ მგზავრებს არ დასცალდათ. ერთი წლის მერმე, როდესაც რევოლუციის ტალღები რუსეთიდან აზერბაიჯანის და საქართველოს საზღვრებსაც მოაწყდა, დიმიტრიმ და მარიამ თავისი ჩემოდნები ჩააწყვეს და თბილისიდან ინგლისელებს მიერ ოკუპირებულ ბათუმისაკენ გაჰკურცხლეს. ბოლოს, როდესაც საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეები მოახლოვდა, ის პატარა ადამიანები ბათუმიდან ერთი უცხოური ჯების ნამდვილ კაიუტაში გადაბარგდნენ და სტამბოლისაკენ ვაეშურნენ. მის შემდეგ კი კორნელიმ არა იცოდა რა, სად გარიყა ეს პატარა ნაფოტები ცხოვრების ტალღამ.

პოლკოვნიკი პეტრე მიქელაძე და მისი ახალგაზრდა ცოლი სოფიო სულ სხვა ჯურის ადამიანები იყვნენ. პეტრეს ცოლი უჭკუო, უსაფუძვლოდ ამაყი, ჯიუტი, თავის თავზე შეყვარებული, ერთი ეშმარი ქალი იყო. მას თავისი თავი მზეთუნახავი ეგონა, ხელგაშლილი და მდიდრული ცხოვრება უყ-

ვარდა, ქმარს ცუდად ეპყრობოდა, არ იბრალებდა, სტანჯავდა, ბრძანებლობდა, ღალატობდა და კისრამდე ვალებში ჩააგდო... უსირცხვილო, უზნეო და ამარმა ქალმა ხელთ იგდო უნებისყოფო კაცი, დაჩაგრა, გასთელა, ჩვრად აქცია და მანამდე არ მოეშვა, სანამ წურბელასავით სისხლი ბოლომდე არ გამოსწოვა, გააღარიბა, დაასნეულა და სამხედრო სამსახურიდან არ მოახსნევინა. ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი ახლა ღრმად მოხუცებული და მიხრწნილი გეგონებოდათ. პეტრემ, ვაი-ვაგლახით, ბოლოს მაინც მოაღწია საქართველოს და ახლა მისი ერთადერთი სურვილი იყო — მშობელი მიწისათვის მიებარებინა ბებერი და ამდენი თრევით დაღლილი ძვლები. იგი ამ სურვილს ვერასოდეს ვერ შეისრულებდა, თუკი მისი ცოლი სოფიო, რევოლუციის შიშით, სამხრეთ რუსეთისაკენ არ გამოქცეულიყო.

მზარეული ქალი კატია სამოცი წლისა იქნებოდა. იგი დაბალი, ჯმუხი და წელში მოხრილი, ჩასუქებული ქალი იყო. შუბლზე და ცხვირის ნესტოზე დიდი მეჭეჭი აჯდა და, ხველების დროს, წყლისფერი თვალებით ხშირად გიჟივით იხედებოდა, რადგან ბრონქიალური ასტმა სჭირდა და ის სტანჯავდა. იგი, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ჯარიდან დაბრუნებულ, გალოთებულ და მუშტი-კრივზე გადასულ ქმარს გაბრიელ დოლენკოს გაექცა, ოდესაში ჩავიდა, იქ დაიწყო მუშაობა და ბოლოს მზარეულობა ისწავლა. ათი წლის ძებნის მერმე ქმარმა მიაგნო და კვლავ განაგრძო მისი წამება. მაგრამ კატია ოდესიდან ახლა თბილისში გამოეპარა. გაბრიელმა აქაც მოაკვლია, ცოდვები მოინანია, ლოთობა მიატოვა და გიმნაზიის მეეზოვედ დადგა. ახლა შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ მოხუცნი და მათი ურთიერთობა, მართლაც, გულთბილი და მომაჯადოებელი იყო. გაბრიელ დოლენკოს ქარები სტანჯავდა და ზამთარ-ზაფხულ ქეჩის ჩექმები ეცვა. ყოველ დილას და საღამოს ირტუზებოდა სამზადის კარებთან თავისი ჩაიდნით შეშვიდე. სათნო, მაღალი და ახოვანი კაცი. გრძელი, ჭაღარა თმა და წვერ-ულვაში ბერსავით მოეშვა, მორწმუნე გამხდარიყო და ზამთრის გრძელ ღამეებში ძველ საეკლესიო წიგნებს კითხულობდა. მას კორნელისთან კამათი უყვარდა. კორნელისაც სიამოვნებდა „მაძა გაბრიელთან“ და მის ცოლთან კატიასთან საუბარი. გაბ-

რიელს ძალიან უხაროდა, სიბერის ჟამს ცოლი რომ ეოდათა და მის ახლოს ცხოვრობდა. მას სრულიადაც არ აფიქრებდა და არ შურდა ის გარემოება, მისი ცოლი რომ დათა მიქელაძის მშვენიერ ბინაში ცხოვრობდა, ხოლო თვითონ კი — ძაღლების სადგომის და სანაგვე ყუთის ახლოს, პატარა ფიცრულ ოთახში, რომელსაც კატია ულაგებდა და უსუფთავებდა...

აი, ეს ხალხი ცხოვრობდა ახლა, გაბრიელის გამოკლებით, დათა მიქელაძის ბინაში.

6

მალე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

დეიდამ კორნელის აკოცა, გახურებულ შუბლზე ხელი გადაუსვა. ნახვევზე დახედა, სისხლი დაინახა და ცრემლი ვეღარ შეიკავა. მყისვე კარებზე ჩუმი კაკუნი შემოესმა. სტუმარი კუკური ზარანდია იყო. ელენემ კარი გაუღო და შინ შემოუშვა.

— თუ ნებას მომცემთ, აგერ ტახტზე დავწვები და ამ ღამით მივხედავ, — უთხრა კუკურიმ ელენეს. ელენე დათანხმდა და მერმე დასაძინებლად წავიდა.

ცოტა ხნის მერმე ეზოდან, ღია სარკმელში, კუკურის ძახილი შემოესმა. სარკმელთან მარგარიტა იდგა. ქალმა კუკურის ჰკითხა:

— როგორ არის? ნახვა მინდა. აბა ჰკითხეთ, შეიძლება შემოვიდე?

— რა უნდა ამ შუაღამით? რა ვუყო, — ტანჯვით წარმოთქვა კორნელიმ. კუკურიმ ჩუმად გააღო კარები და მარგარიტა შინ შემოუშვა. იგი საწოლთან მიიჩრა, მუხლი მოიყარა, კორნელის ხელზე აკოცა და ტირილით და ჩურჩულით უთხრა:

— ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება მოხდა?! ჩემი ბრალია, მაპატიეთ...

— ადექით, აბა, რასა შვრებით! რამ მოგიყვანათ ჩემთან ამ გვიან ღამით?

— დეიდათქვენს კიდეც რომ ეწყინოს, მე მაინც აქ უნდა დავრჩე ამაღამ.

— რა საჭიროა! შინ მიბრძანდით, მე არა მიშავს.

მარგარიტა არ დათანხმდა. კორნელიმ ჩასთვლიმა. როდესაც გამოელვიძა, მის ოთახში მხოლოდ მარგარიტა იყო. სასთუმალთან ეჯდა კორნელის და სახეში სასოებით მისჩერებოდა.

— კუკური რა იქნა? — ჰკითხა კორნელიმ.

— წავიდა.

— მერმე თქვენ დილამდე გაუხდელი აქ უნდა იჯდეთ?

— რა მიშავს, — მუდარით უთხრა მარგარიტამ.

ოთახში დეიდა ელენე შევიდა და კორნელის სასთუმალთან გერმანელი ქალი დაჩოქილი რომ დაინახა, გაოცდა:

— გამარჯობათ, მარგარიტა, საიდან სადაო?

მარგარიტა წამოდგა, ელენესთან მივიდა და აკოცა.

— მაპატიეთ ეს უდროო სტუმრობა, ძვირფასო ელენე. მეც რესტორანში ვიყავი. ყოველივე ჩემს თვალწინ მოხდა. ღმერთო ჩემო! მე ვარ დამნაშავე. ჩემი ბრალია... რა ვუყო, მითხარით? მე თავს მოვიკლავ. — მარგარიტამ თვალებზე აიფარა ხელი და აქვითინდა.

ელენეს შეეცოდა, ხელი მოხვია, დაამშვიდა და ტახტზე დასვა. იგი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. მარგარიტამ ცრემლი მოიწმინდა და რესტორანში მომხდარი ჩხუბი დაწვრილებით უამბო. ისინი ჩუმად საუბრობდნენ.

კორნელი ანთებული თვალებით მიშტერებოდა ჭერს. ფიზიკურ ტკივილს სულიერი წუხილიც მიემატა. რა სულელურად წავაგე თაში. ომში მაინც ბიმელო ჭრილობაო, — ჯავრობდა. თანაც რცხვენოდა, ღამეს რომ ათევინებდა დეიდას და მარგარიტას.

— წადით, დაწექით, — შეეხვეწა კორნელი ქალებს.

— ამ ღამით სად უნდა წახვიდეთ? წამობრძანდით, — უთხრა ელენემ მარგარიტას. ისინი უმალვე დამეგობრდნენ.

— არა, მე აქედან არ წავალ, ღამე უნდა ვუთით კორნელის, — მიუგო მარგარიტამ. კორნელის გვერდზე შემოეყარა.

ისევ ჩაეძინა. როდესაც რიჟრაჟმა მოატანა, ერთბაშად გაელვიძა. მარგარიტა მის სასთუმალთან იჯდა და სახეში მიშტერებოდა.

— რატომ არ დაწექით? — ჰკითხა კორნელიმ ქალს.

მარგარიტამ მოულოდნელად დაიჩოქა, ხელზე აკოცა და უთხრა:

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო ბიჭუნავ, მე შენ აღარ მოგეშორდები და სულ მალე ფეხზე დაგაყენებ. ამიერიდან აჩრდილივით უკან აგედევნები და ყოველი ხიფათისაგან დაგიხსნი. ჩემო კარგო, ჩემო შევარდენო! ნუღარ იდარდებ ნინოსთან განშორებას. თავი გაანებე თავქარიან გოგონებს. ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ, თუ რა გასულდგმულებს შენ. შენი მიზანი და შენი ოცნება ხელოვნება უნდა იყოს და არა ახალგაზრდა ქალისა და ოჯახისათვის ჭაპანწყვეტა. თავი გაანებე გამოუცდელ ნინოს. ის ვერასოდეს ვერ დაატკბობს შენს სულსა და ხორცს. ის თვითონვე მოითხოვს შენგან ზრუნვასა და თავგანწირვას. რა ანგარიშია შენთვის? მე კი შენი მსახური, მონა და ერთგული ვიქნები. თუ გარემოებამ მოითხოვა, თავსაც გავწირავ და მსხვერპლს გავიღებ შენთვის, — მუდარით უთხრა ქალმა და თვალზე ცრემლი მოადგა, სახე დაემანჭა. სიბერე შეპარვოდა... კორნელის შეზარდა. „ეტყობა, ეს ქალი მანამდე არ მომეშვება, სანამ ფეხში კი არა, გულში არ მომარტყამენ ტყვიას“, — გაიფიქრა მან და სახე შეიჭმუხნა:

— რისთვის შეჰყარე წარბები? გტკივა ჭრილობა, ჩემო კარგო, ჩემო დაჭრილო შევარდენო? — ჰკითხა მუდარით ქალმა.

— მგონი სისხლის დენა დამეწყო, — მიუგო კორნელიმ და საწოლზე წამოჯდა. მარგარიტამ თხელი საბანი გადახადა. სისხლს უხვად გაეჟონა და სახვევი ყაყაჩოსაებრ გასწითლებოდა. სისხლს ზეწარი და ლეიბიც დაესვარა. მარგარიტა ნახვევს დააშტერდა.

— აიღეთ აი, ის პირსახოცი და ლახტი დამადევით. მაგრად მომიჭირეთ... რა სუსტი ქალი ყოფილხართ! უფრო მაგრა. დაიცათ, — უთხრა კორნელიმ და პირსახოცი მაგრა შემოიჭირა აწეულ ფეხზე და განასკვა. სისხლის დენა შეუჩერდა. იგი ღონემიხდილი დაეშვა და ნელა დასდო ბალიშზე თავი. მარგარიტა კი ისევ დაჩოქილიყო მის დაჭრილ ფეხთან, უცნაურად დაშტერებოდა ნახვევს და ჩურჩულებდა:

— საყვარელო, ძვირფასო, საუცხოვო ჩემო ვაჟკაცო, ჩემო რაინდო. დღეიდან მე შენი მსახური და მონა ვარ.

მიბრძანე და ყველაფერს შეგისრულებ. მე მიყვარხარ შენ, მიყვარს ყოველი ნაკვთი შენი სხეულისა, შენი სისხლის ყოველი წვეთი... — ქალი გაინაბა, დაჭრილი ფეხისაკენ დაიხარა და რაღაც გიჟური გზნებით დაეწაფა გასისხლიანებულ ნახვევს.

კორნელი წამოჯდა, უყვირა და ხელი ჰკრა. მარგარიტამ თავი ასწია და გადამთვრალი ვაკხი-ქალის თვალები შეანათა. ტუჩზე სისხლი ეცხო, კორნელის შეზარდა.

— გასწი, გამშორდი, გარყვნილო ქალო! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებ! — შესძახა კორნელიმ.

— ნუ ყვირი, დამშვიდდი, — მუდარით უთხრა შეშინებულმა ქალმა.

— გასწი-მეთქი! — ისევ შესძახა კორნელიმ, ცალი ფეხით იატაკზე გაჩერდა, სკამს ხელი მოავლო და ესროლა. სკამი ქალს ასცდა და კედელს მიეხეთქა.

მთელი სახლი ფეხზე დადგა. მარგარიტა ჭუჩაში გავარდა.

მოციქული

მოციქული ყეენთან მივაო.

ანდაზა

1

მეორე დღეს, დეიდა ელნეს მოწვევით, ექიმი სიკო მოსეშვილი მოვიდა. ისიც კარისმერეთელი იყო და ევგენის დედასა და ნათესავებს კარგად იცნობდა და დიდ პატივსა სცემდა. მოსეშვილმა 1915 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. ორ წელს ფრონტზე ქირურგად მუშაობდა. დაუღალავი შრომისა, მუყაითობისა და ბეჯითობის გამო, ბალე ყურადღება მიიპყრო. ომის შემდეგ, კორნელის ძმამ პროფესორმა ევგენი მხეიძემ ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრასთან ასისტენტად დატოვა. მოსეშვილი შავგვრემანი, ზორბა და ჯმუხი კაცი იყო. კორნელის მკურნალობის ჟამს თაფლივით დატკბა და არ იცოდა, მხეიძეებისათვის როგორ ესიამოვნებინა.

სიკო მოსეშვილი ქაქანით შევიდა კორნელის ოთახში:

— რესტორანში ქეიფი და ჩხუბი დაიწყე, კაცო, ა? ნამდვილი კარისმერეთელი ხარ, ა? ვინ იყო ის ოხერი კლიმენჯი ჩხიკვაძე, რევოლვერი რომ გესროლა, კაცო, ა?

როდესაც მოსეშვილს გულკეთილობის, სინაზის გამოჩენა და ვისმეს მოფერება სურდა, იგი ყოველ სიტყვასა და წინადადებას „ა“-ს უმატებდა ხოლმე.

— მთელი ქალაქი დღეს წუხანდელ ჩხუბზე და შენს დაჭრაზე ლაპარაკობს. როგორ მოასწრეს ამ ამბის დასტამბვა? — უკვირდა ექიმს. — გაზეთი არ წაგიკითხავთ?

— გაზეთში სწერია? — გაოცდა ელენე.

— ჰო, მსახიობთა კლუბის რესტორანში მოქალაქე ჩხიკვაძემ მაუზერით დასჭრა სტუდენტი კორნელი მხეიძეო. კარგია, მწერალი გიორგი მახვილაძე რომ არ დასწერეს.

კორნელის თავზარი დაეცა. ექიმი ანუგეშებდა:

— ნუ გეშინია, იმ ყაჩაღ ჩხიკვაძეს კი მოვუგრეხთ კინჩხსა და კისერს.

— იგი საგანგებო რაზმის თანამშრომელია, — შენიშნა დეიდა ელენემ.

— მით უფრო აგებს პასუხს, უდანაშაულო კაცს რომ ესროლა და დასჭრა. დარდი ნუ გაქვთ... ვერსად წაგვცვა: ოთხში ამოვიღებთ. — ვაჟკაცობას იჩემებდა ახლა ექიმი, ეს ფრთხილი და წესიერი კაცი.

საწოლი საწერი მაგიდის პირისპირ დაედგათ ისე, რომ კორნელის მარცხენა დაჭრილი ფეხი კედლისაკენ კი არ ედო ახლა, არამედ პირიქით, და ავადმყოფის მკურნალობა ექიმისათვის მოსახერხებელი იყო.

ექიმი კორნელის დააცქერდა. უამრავი სისხლის დაკარგვისა, ქეიფისა, შფოთისა და უძილო ღამის გამო, კორნელი ძალზე ფერმკრთალი იყო, თვალები ბუდეში ღრმად ჩასცივნოდა და ჩალამებოდა. ექიმს არ მოეწონა ავადმყოფის ვარეგნული შეხედულება, მაგრამ მაინც ნაძალადევად გაუღიმა, მაჯა გაუსინჯა, სიცხე გაუზომა და მერმე, რამდენადაც შეეძლო, ხმა დაიწვრილა და უთხრა:

— აბა, ერთი შენი ფეხი მაჩვენე, ვაჟკაცო! სად მოგარტყა იმ არამზადამ ტყვია, ა?

სიტყვებს ჩქარ-ჩქარა ამბობდა იგი. გზადაგზა მაღლა უწევდა ხმას, განსაკუთრებით წინადადების ბოლოს, „ა“-ზე.

ექიმმა სისხლით გაჟღენთილი ნახვევის მოხსნა დაიწყო და თან ამბობდა:

— ვინ იყო ის უმეცარი, ასეთი ნახვევი რომ გაგიკეთა, კაცო, ა? ზონდირება არ იყო საჭირო. ზონდირების დროს მიკრობების შეტანა შეიძლება ჭრილობაში.

ექიმმა ჭრილობა წამლებით მობანა და ზედ მიწებებული მარლა აიღო და მოჰგლიჯა. კორნელიმ სახე შეიჭმუხნა და ამოიგმინა. ჭრილობიდან შავი და შედედებული სისხლი გადმოიღვარა.

— გეტკინა, კაცო, ა? არაფერია... უნდა მოითმინო. აი, გათავდა შენი წამება, — ანუგეშებდა ექიმი.

დეიდა ელენე კი წამისწამ გადიოდა დერეფანში, სულს იბრუნებდა, ჰაერი არა ჰყოფნიდა და გული მისდიოდა.

ქირურგმა ჭრილობა დაათვალიერა. მერმე სერიოზული სახე მიიღო და ისე დაიწყო, თითქოს დამსწრეთ ლექციას უკითხავსო.

— კორნელის მიღებული აქვს ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა აი აქ, ტერფის ზემო არეში, ჭუსლის გავლით...

ქირურგმა ჭრილობის მკურნალობა წარმართა იმჟამად არსებული საშუალებით, რაც იოდის ხსნარით და სხვა წამლებით ყოველდღიურად ნახვევის გაკეთებაში გამოიხატებოდა. ასეთი მანიპულაციები ავადმყოფის წამებას იწვევდა, რადგან იოდის ხსნარში გაჟღენთილი ბამბა, მაგრად მოჭერილი ნახვევის გამო, ჭრილობაში იწურებოდა და კორნელისათვის აუტანელი ტანჯვაც სწორედ მაშინ იწყებოდა: თითქო სორცს ცეცხლით სწვავდნენ და ტერფში გახურებულ შაშთს უყრიდნენ. კორნელი გმირულად იტანდა ტკივილს, მხოლოდ საწოლის რიკულებს ავლებდა ხელს, მიმოწევდა რკინას, ღუნავდა და გრეხდა. ჭერე ბაგეს მოკუმავდა და დაჭუმებულ სახეზე ცრემლი თავისთავად ეღვრებოდა.

2

მეორე დღეს დეიდა ელენე შევიდა კორნელის ოთახში და უთხრა:

— დომენტი მელაძე მოვიდა, სასტუმრო ოთახში იცდის. შენი ნახვა უნდა.

კორნელი იცნობდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ყოფილ სტუდენტს დომენტი მელაძეს. რომელმაც ამას წინათ მაროს ძმა — მიხა ფრუიძე დააპატიმრა. ცნობისმოყვარეობამ წაიღო და დათანხმდა, მელაძე შეეწვიყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელი დომენტი მელაძე ღიმილით შევიდა ოთახში, კორნელის მიესალმა, ხელი ჩამოართვა, ქუდი მოიხადა და ქოჩორა თმაზე ხელი გადაისვა. იგი სამოქალაქო ტანისამოსში იყო გამოწყობილი და ხელში პორტფელი ეჭირა. კორნელიმ სკამი შესთავაზა.

— დიდად ვწუხვარ, რომ ეს ამბავი მოხდა... როგორ გაქვს ფეხი? — ჰკითხა დომენტიმ.

— არა უშავს, — მიუგო კორნელიმ.

— კორნელი, მე კლიმენტი ჩხიკვაძემ გამომგზავნა შენთან. თვითონ უნდოდა მოსვლა და ბოდიშის მოხდა, ნაგრამ შეარცხვა.

— რა საჭიროა.

— ალბათ, მალე საქმის ძიება დაიწყება. ჩხიკვაძე გთხოვს დაადასტუროო, რომ შენ შემთხვევით მოგხვდა ტყვია. კლიმენტი ისე შეწუხდა, როდესაც გაიგო ვინ იყავი, რომ თავი კინაღამ არ მოიკლა. რა კაცი დავჭერიო, იძახდა. — დომენტიმ პორტფელი გაშალა: — აი, ამ ახალ რევოლვერს — ჯიბეს მაუზერს და ტყვიებს გიგზავნის საჩუქრად. მედიკამენტები, ნახვევი, წამლები გამომატანა, ქირურგიის გასამრჯელოსაც ის კისრულობს. იგი შენი მკურნალობისათვის გაწეულ ხარჯს ეკისრება. კუბოს ფიცრამდე შენი მსახური და ერთგული დარჩება, ოღონდ გამომძიებელს ნუ ეტყვი, რომ მან დაგჭრა, ნუ დაღუპავ იმ კაცს, მთვრალი იყო და აპატიე. ვინ არ ყოფილა მთვრალი და ვის არ შემთხვევია უბედურება? აკვიცველია და სასაცილო, რომ ქალის გამო მოსვლია მას შენთან ჩხუბი! მას თუ ქალი აკლია, მადლობა ღმერთს! — დომენტიმ ეშმაკურად გაიცინა და განაგრძო: — თუ ნებას მისცემ, ის თვითონ გეახლება, ბოდიშს მოიხდის და უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკება... რომ იცოდე, როგორ კარ-

ეი ვაჟკაცია: მოქეიფე, პურმარილიანი და მხარჯველი. მხარჯველი მხარჯველს გააჩნია. მას ფული და ქონება ფეხებზე ჰკიდია. ისეთი პურმარილიანი და მხარჯველი ბიჭია, ჭიათურის მაღაროები რომ ჩააბარო, თვენახევარში გამოუყვანს წირვას.

კორნელის უმალვე მოაგონდა გალოთებული სტუდენტი ვანიკო ღოღობერიძე, სკეპულანტი ანტუშა ნოროძე, რომელიც ვანიკოს დახასიათებას იმავე ჭიათურის სიმდიდრის გაფლანგვით განსაზღვრავდა და დომენტის უთხრა:

— ღმერთმა დაიფაროს, დომენტი, საქართველო მასეთი თავქარიანი, გახრწნილი, წყალწაღებული და მხარჯველი ბიჭებისაგან... გადაეცი კლიმენტი ჩხიკვაძეს, რომ ჩემი ბინის კარების შემოღებას ნუ შეეცდება. აიღე და უკანვე მიუტანე ეს რევოლვერი და მედიკამენტები. თავს ნუ იწუხებს: რევოლვერიც მაქვს, მედიკამენტებიც და მეგობარი ქირურგიც დაიარება ჩემს სამკურნალოდ.

დომენტი არ იძროდა და რაღაცაზე ფიქრობდა. კორნელიმ მკაცრად უთხრა:

— ვერ გაიგონე, რა გითხარი? ჩაალაგე პორტფელში რევოლვერი, ტყვიები და მედიკამენტები.

დომენტი შეკრთა. წუბელი შეიჭმუხნა. რაღაც ბიროტად იცლვა მისმა თვალებმა, მაგრამ თავი დაიჭირა. კორნელის ცალყბად გაულიმა. რევოლვერი, ტყვიები და მედიკამენტები პორტფელში ჩაალაგა და შეუხვეწა:

— ნუ დალუპავ იმ კაცს.

— მე როგორ უნდა დაველუპო?!

— რა დაგიშავებს, გამომძიებელს რომ უთხრა. თითქო შენ თვითონ გაგივარდა რევოლვერი და მოიხვედრე ტყვია ფეხში. — უტიფრად შესთავაზა დომენტიმ. ისევ ეშმაკურად გაიღიმა და დაასძინა: — პატივისცემას არ მოგაკლებს, იცოდე, მზეთუნახავ ქალებს გაგაცნობს. ქალები რა არის! ყველაზე ფულში ჩავსვამს.

კორნელი აენთო:

— ტყუილი ვერაპარაკო. საკუთარი თავი გავიმათრახო და ამაში ჩხიკვაძისაგან ჭრთაში ავიღო? მისი დაწესებულების რომელიმე თანამშრომელი ხომ არ ვგონივარ, სულითხორცამდე გახრწნილი, გათახსირებული და სისხლის მსმელი

ჯალათი, რომელსაც არაფერი წმინდა, გარდა ჯაშუშობისა, კაცის წამების, კაცის კვლისა და ბოროტებისა არ გააჩნია, ამ წუთისოფლად! მიკვირს, როგორ მიბედავს იგი მასეთ უმსგავსო წინადადების მოცემას! ან შენ რად იკისრე ჩხიკვაძის მოციქულობა?

„ო, რა ზიზღით ლაპარაკობს ჩხიკვაძესა და მისი მეგობრების შესახებ!“ — გაიფიქრა დომენტიმ. ისევ შეიშმუხნა შუბლი და კორნელის შეედავა:

— არ იფიქრო„ ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე, ჰიტა ფრუიძე, გიგა ხუციშვილი, მიტო ჩიკვაიძე და სხვა შენი მეგობრები სჯობდნენ ჩხიკვაძეს და მის მეგობრებს. რა ვუყოთ მერმე, ჩხიკვაძე საგანგებო რაზმის თანამშრომელი რომ არის!

კორნელის გაუკვირდა, დომენტიმ რომ შეუცდომლად ჩამოთვალა მისი ყველა ბოლშევიკი ამხანაგი და მიუგო:

— ისღა მაკლია, ის ნიჭიერი და წესიერი ადამიანები ვიღაც დაკარგულ, თავქარიან კლიმენტი ჩხიკვაძეს და მის მეგობრებს შევადარო.

— მალე დარწმუნდები, თუ ვინ არიან შენი მეგობრები. სწორედ ის წესიერი ადამიანები უწესოებისა და ანარქიისაკენ მიაქანებენ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩვენ გავწმენდთ ოსპუბლიკას იმ ვაჟბატონებისაგან, — შენიშნა დომენტიმ და ბრაზისაგან ქვედა ბაგის მალიმალ კვნეტა დაიწყო...

— ვინ ჩვენ? შენც ჩხიკვაძეს და მის ჯარს მისდევ? — ჰკითხა კორნელიმ, თითქოს არ იცოდა, დომენტი რომ საგანგებო რაზმის თანამშრომელი იყო.

დომენტიმ თავი ჩაჰკიდა და მიუგო:

— დასაძრახი მაგაში არაფერია. ერთი განახვა ნეტავი, რა ადამიანები ასაღებენ თავიანთ თავს ხალხისათვის მებრძოლებად. ყველა ისინი ბანდიტები და ავაზაკები არიან. მაინცდამაინც არ ველოლიავებით ჩვენ მათ.

— ღამით მატარებელს მინდორში ან ჩიხში აყენებთ. პატიმრებს ვაგონებიდან გადმოსვამთ, წინადადებას აძლევთ, გაიქეცითო და ზურგში ესვრით ტყვიას.

დომენტის თვალები უცნაურად გაუფართოვდნენ, თითქო რაღაც საშინელი რამ მოაგონდა, დაინახაო. გაფითრდა და კანკალი დაეწყებინა. მაგრამ მაინც ნაძალადევად გაიღიმა. მისი ღიმილი სადისტისა და მანიაკის ღიმილსა ჰგავდა. კორ-

ნელის შეზარდა. გათავებული კაცი ყოფილაო, — გაიფიქრა და უთხრა:

— არა გრცხვენია, დომენტი, სტუდენტი კაცი კედიას საგანგებო რაზმში, შავ პოლიციაში შესულხარ და რევოლუციონერების დახვრეტით იკვეხნი?!

დომენტი ერთბაშად მიხვდა, შორს რომ შესტოპა, კედიას რაზმის საიდუმლო და ბნელი საქმე რომ გაამჟღავნა და ნათქვამის დასაბუთება და მისი გამოსწორება სცადა:

— რევოლუციონერებს კი არა, კონტრრევოლუციონერებს და ბანდიტებს ვებრძვი. შენ რა იცი, რა ხალხია ბოლშევიკები! — დაიწყო დომენტიმ, — მთელი მათი მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ კანონიერი ჩვენი ხელისუფლება დაამხონ. მაგალითისათვის რუსეთზე მიგვითითებენ, სადაც ამჟამად ანარქიაა. მაგრამ იცოდე, ბოლშევიკების ყველა გეგმა ჩაიფუშება. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი პატარა ერების, მათ შორის ჩვენს, დამოუკიდებლობას იცავენ.

— „ჩვენს“ დამოუკიდებლობას კი არა, „თქვენს“...

— აბა, აბა... ფრთხილად ილაპარაკე! ერთი რამ მიკვირს, — შენიშნა დომენტიმ კორნელის და ერთბაშად დადუმდა.

— მაინც რა?

— როგორ მოახერხეს ბოლშევიკებმა ცნობილი ექიმის გიორგი მხეიძის შვილის გადაბირება! რა ხდება საქართველოში, ვერ გამიგია!

— ისინი, ვინც თქვენ არ გეთანხმებათ, ბოლშევიკები გვრონიათ, — შენიშნა კორნელიმ.

— ვანო მახათაძე და ნიკო გოცირიძე რომ გამოუსწორებელი ბოლშევიკები არიან, ამას არ სჭირია მტკიცება, ან კიდევ, გიგა ხუციშვილი, მიტო ჩიკვაიძე. მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ჩვენ კვალდაკვალ მივსდევთ მათ საქმიანობას, — უთხრა დომენტიმ.

კორნელიმ გააფრთხილა:

— თავი გაანებე მათ და ბოლშევიკებს! საქართველოში ცხოვრება არ გინდა მერმე? ადრე თუ გვიან, მათი დრო დადგება, ბევრს ინანებ მერმე, მაგრამ გვიანღა იქნება!

დომენტი გაფითრდა... გაუკვირდა, კორნელი ბოლშევიკების სახელით რომ ემუქრებოდა მას.

— რა უნდა ვიწანო? რაც შეეხება შენს მეგობრებს, მათი დევნა მათივე საქციელით განისაზღვრება. ამ თემაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია... ჩემი მოსვლის მიზანი ეგ როდი იყო. — დომენტიმ კორნელის ცივად შეხედა და უთხრა: — ცხადია, რომ შენ შემთხვევით მოგახვედრა ტყვია ჩხიკვაძემ და არა წინასწარი განზრახვით. უკანასკნელად გთხოვ, ეს მაინც უთხრა გამომძიებელს.

— მე არც არაფერს მივუმატებ და არც არაფერს გამოვაკლებ მომხდარ ფაქტს.

— მე შენი კეთილის მსურველი ვარ და ამიტომ არ გირჩევ ჩხიკვაძის წახდენას. თუმცა, მისი წახდენა არც ისე ადვილი საქმეა. ხომ იცი, კლიმენტი ჩხიკვაძე ნოე რამიშვილის ნათესავია! ჩხიკვაძე კაცია ქვეყანაზე და მისი მტრად მოკიდება არ გამოგადგება.

კორნელი აენთო და დომენტის აგდებულად უთხრა:

— ვინ ოხერი გდია ის კლიმენტი ჩხიკვაძე, ან ნოეს სახელით რად მაშინებ? უმჯობესია, გადასცე შენს მეგობარს, რომ მერიდოს და არსად შემხვდეს, თორემ შავ დღეს დავაყენებ. ღმერთს უმადლოდეს, რევოლვერი რომ თან არა მქონდა.

დომენტი წამოდგა.

— მაშასადამე, მტრებად ვშორდებით ერთმანეთს? რა გაეწყობა... მე მეგონა, საქმეს მეგობრულად დავამთავრებდით, — უთხრა დომენტიმ. ქუდსა და პორტფელს ხელი წაავლო და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა.

ᲗᲐᲠᲗᲝᲚᲐ

დედის სიყვარულის სხივების ქვეშ თვით ბუნება იღვიძებს.

ანდერსენი

I

ქირურგი სიკო მოსეშვილი ყოველდღე დაღიოდა ავადმყოფთან. მკურნალობის პროცესში ჭსოვილების არასაღი გრანულაცია, წვივ-ტერფის სახსართან ჭრილობის ახლო არსე-

პობა, კიდურების შეშუპება და ავადმყოფისათვის სიცხის მომატება ქირურგს საშიშრად მიაჩნდა და მის წინაშე რამდენჯერმე დაისვა საკითხი კიდურის ამპუტაციის შესახებ. ამავე დროს ქირურგს ეჭვი ჰქონდა მიტანილი სოლისებური ძვლის მოტეხილობაზე, თუმცა რენტგენოლოგიურად ეს დადასტურებული არ ყოფილა, ტერფის სურათი არ გადაუღიათ.

ოჯახურ ბჭობაზე, რომელსაც ელენე, დათა, ექიმი სიკო მოსეშვილი და ტერეზას შვილობილი მარო ფრუიძეც დაესწრო, კარისმერეთში დეპეშის გაგზავნა უარყოფილ იქნა იმ მიზეზით, რომ კორნელი ყველაზე უმცროსი, ყველაზე საყვარელი შვილი იყო ტერეზასი და ამიტომ მისი დაჭრის ამბავი დედას თავზარს დასცემდა. მოხუცი და ავადმყოფი ქალი თბილისში ცოცხალი ვერ მოაღწევდა. კარისმერეთში გამგზავრება და თბილისში ტერეზას ჩამოყვანა მარომ იკისრა.

ტერეზა და მარო სექტემბრის ბოლო რიცხვებში, დილით ადრე ჩამოვიდნენ თბილისში. ტერეზას მაროსგან გაეგო, მსუბუქად რომ დაეჭრა ვიღაც ჩხიკვაძეს კორნელი. დედამ მხნეობა გამოიჩინა. დინჯად და მშვიდად შევიდა ოთახში, შვილს გაუღიმა, ჩაჰკოცნა და საქმიანი საუბარი გაება მასთან.

კორნელი მაშინვე მიხვდა, დედა რომ თავს იჭერდა, მხნეობას იჩენდა და საყვედურს არ ეუბნებოდა. ამან უფრო აალელვა და თვალი მოარიდა. დედას ძალზე გამხდარი ეჩვენა კორნელი. ჩაცვლის დღიდანვე კარაქითა და კვერცხით კარგად ჰკვებავდა. მაროსაც ყურძენი ან სხვა რამ ხილი მოჰქონდა.

მეგობრები: მიტო ჩიკვაიძე, პეტრე ცხომელიძე, გიგო თავაძე და კუკური ზარანდია ყოველდღე დადიოდნენ კორნელისთან. მალე კორნელის სანახავად გურგენ ეგნატაშვილის და გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით შევარდნის მთელი მწყურთნელთა ჯგუფი მოვიდა. პოეტები — პლატონ მოგველაძე, რაფაელ ახვლედიანი, ლეონარდო ტაბაღუაძე და თეოფილ გოთუაც ესტუმრნენ. აგრეთვე — ბატარეის უფროსი ალექსიძე, პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილი და სხვანიც. დედა გაოცდა, რა ფართო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონია ჩემს შვილსო. მთელი ქალაქი კორნელის დაჭრაზე ლაპარაკობდა. ერთხელ ელოც ესტუმრა კორნელის, თაიგული მიუტანა და უთხრა:

— ნინო მოკითხვას გითვლით და წუხს, პირადად რომ ვერ ახერხებს თქვენს ნახვას. თქვენებისა რცხვენია, განსაკუთრებით კი დედათქვენისა.

— რისთვის რცხვენია დედაჩემისა? დედა კეთილი და სამართლიანი ქალია. გარდა ამისა, მაწ ჩვენ შესახებ არაფერიც არ იცის. გადაეცით ნინოს ჩემი მადლობა მოკითხვისათვის. ნუღარ დამწყევლის, რადგან ბედი ისედაც ულმობელია ჩემს მიმართ.

ელომ გულდაწყვეტით გაუღიმა და უთხრა:

— იგი ამიერიდან არც გწყევლით და არც ლოცულობს თქვენთვის.

— ლოცულობდა კი ოდესმე? — ღიმილითვე ჰკითხა კორნელიმ.

— დამიჯერეთ, ლოცულობდა, — მიუგო ელომ.

— რა ერთგული, სათნო და კეთილი სული დავკარგე. ის მაინც იყოს ბედნიერი... — დარდიანად განაცხადა კორნელიმ და თვითონვე მიხვდა, ეს რომ თეატრალური ფრაზა იყო, მაგრამ მან ელო ააღელვა:

— რისთვის დაჰკარგეთ მერმე? არაფერიც არ მოხდებოდა, ის წყეული ქალი რომ გაგეგდოთ. ხედავთ, მის გამო რა შეგემთხვათ?

— მის გამო?

ელომ შიშით და რიდით დახედა ნახვევზე, გაფითრდა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— წყეულიმც იყოს ის ქალი!

— ის ქალი ჩემთვის ბედი-მდევარი იყო. ახლა ყველაფერი გათავდა. ანგარიში გაეუსწორე.

ელო გაოცებით მიაშტერდა კორნელის. ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ოთახში ტერეზა შემოვიდა. ელო შეკრთა და წამოდგა. კორნელიმ დედა გააცნო. სტუმარმა ბოდიში მოიხადა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ამდენი ლაპარაკით, მგონი, ავადმყოფი დავტანჯე.

— უი, არა, შვილო! პირიქით: გაერთობა. მას დღედაღამ წიგნის კითხვა ქანცავს. შეხედეთ, როგორ გახდა!

ელომ სათნო ღიმილით გადახედა დედას და შვილს. ორივენი გამხდარი იყვნენ და ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს, ქან-

საკუთრებით შავი, შუქიანი ლამაზი თვალებით. ცოტა ხნის მერმე ელომ მაჯის საათს დახედა, საქმე მაქვსო, მოიმიზეზა, ტერეზას და კორნელის დაემშვიდობა და წავიდა.

— მაგას ავადმყოფობა და უცნაურობა სრულიად ვერ შევნიშნე. ალბათ, ოხერი ქმარი შეხვდა და ის ურევდა გზას და კვალს! სწორედ მშვენიერი ქალია: კოხტა, ტანადი, ლამაზი. ბევრ მამაკაცს ასეთი სუსტი, ტანწერწეტა ქალი მოსწონს.

— კაცია და გუნებაო, — მიუგო კორნელიმ და ამოიოხრა. დედა მაშინვე მიხვდა, ჭრილობის ტკივილის გამო რომ არ ოხრავდა ახლა შვილი. ალბათ, ნინო მოაგონდა და ის სტანჯავსო, გაიფიქრა. ტერეზა სასთუმალთან ეჯდა შვილს და განზრახ კარისმერეთის ამბებს უყვებოდა, მაგრამ შვილი არ უსმენდა. იგი ჭერს მიშტერებოდა, საკუთარ ფიქრებს გაჰყოლოდა და ზრდილობისათვის დედას დროდადრო თავს უქნევდა, თითქოს უსმენს და ეთანხმებაო.

მაგრამ ტერეზას მოტყუება ძნელი იყო.

— არა ღირს ფიქრი ისეთ ქალებზე, რომელთა წიყვარულს უბედურება მოაქვს.

— მე სულ სხვა რამ მაწუხებს, — იცრუა კორნელიმ.

— მაინც? — ჰკითხა დედამ.

— თუ ეს ჭრილობა მალე არ მომირჩა, პრაქტიკულ მეცადინეობებზე ვერ ვივლი და წელიწადი გამიცდება, — მიუგო შვილმა.

— უი, არა, შვილო, — შეწუხდა დედა. — ნუ ღელავ. ჭრილობა მალე შეგიხორცდება.

ცოტა ხნის მერმე ნაცნობებმა და მეგობრებმა სიარულს უკლეს, თითქო კორნელი ყველას დაავიწყდაო. მხოლოდ კუკური ზარნდია დადიოდა დღეგამოშვებით, სანდრო ხოტივარი კი — შაბათობით და კვირაობით.

2

ტერეზას ეცოდებოდა პატარა ბნელ ოთახში მარტოდ მიტოვებული, ლოგინად ჩავარდნილი ვაჟკაცი. ათასში ერთხელ თუ შევიდოდა ავადმყოფთან თავის საქმით, დარბაზობით, სტუმარ-მასპინძლობით გართული დეიდა ელენე და მი-

სი ქმარი — დირექტორი დათა მიქელაძე. დედა კი არ შორდებოდა. იქვე. ტახტზე მიეგდებოდა, როგორც ერთგული მისი მცველი და გუშაგი. იგი იყო ახლა კორნელის ნამდვილი მეგობარი და მესაიდუმლე. მან იცოდა შვილის ბედნიერებისა და უბედობის გაზიარება. უმალვე გაიგებდა მის გულისთქმას. სხვა ვინღა დარჩა კორნელის დედაზე უფრო საყვარელი და მახლობელი? სატრფო თავისი წრის მარწუხით შეკრული აღმოჩნდა. მისმა მშობლებმა კორნელი შეიძულეს, „ბოლშევიკად" მონათლეს და ნინოს განაშორეს. კორნელმაც შეიძულა თავადების, მდიდრებისა და ფილისტერების ბუდეები. ყველაზე ახლობელი და შეფიცული მეგობარი — გრიგოლ ცაგურიშვილი თურქებმა ომში მოუკლეს. მხატვარი მიხა მაჭვარიანი არაკაცი აღმოჩნდა და, ისე როგორც ავხორცი მარგარიტა, კორნელიმ ისიც მოიშორა. სანდრო ხოტივარი და კორნელი სხვადასხვა აზრისა იყვნენ და მათი გზები გაიყარნენ. თანამოაზრე მეგობრები — მიტო ჩიკვაიძე, გრიგა ხუციშვილი და პეტრე ცხომელიძე კი რამდენი ხანია არა ჩანდნენ. „წყეულმა დომენტი მელაძემ, ჩხიკვაძემ და ჯორბენაძემ თუ დააპატიმრეს!" — ფიქრობდა კორნელი. იგი მარტოობას გრძნობდა... მხოლოდ დედა იყო მისთვის ერთადერთი ნუგეში. მასთან უყვარდა შვილს საუბარი და მის წინაშე თავისი გეგმებისა და გულისნადების გამჟღავნება. დედა ტკივილს უმალებდა, ყველაფერში ეთანხმებოდა და არ ედავებოდა. ერთ რამეში უწევდა მხოლოდ მეტოქეობას და ისევ სიკერპეს იჩენდა. ეს მაშინ, როდესაც შვილი საკარმიდამო ფართობის გარეშე არსებული ზედმეტი მიწების ღარიბ გლეხებზე უსასყიდლოდ გადაცემას ურჩევდა. შვილის უზომო სიყვარულის გამო, ბოლოს დედამ ესეც დაუთმო: ქონებას საფლავში ხომ ვერ ჩავიტან! თუ ყველას ერთი ხვედრი ელის, დავ, მეც ეს მელოდეს, ოღონდ თქვენ იყავით. შვილებო, ჭკნმრთელი, სახელოვანი და ბედნიერიო. — ეტყოდა. კორნელის მხოლოდ ის აწუხებდა, დედა რომ ადრე მოტყდა. მოხუცდა. დასნეულდა და სიმსივნე კიდევ უფრო მომატებოდა. ჭირუტგმა სიკო მოსეშვილმა ოპერაცია შესთავაზა, მაგრამ ტერეზა არ დათანხმდა. არასოდეს კორნელის ესე მწვავედ არ უგრძვნია დედის დაკარგვის საშიშროება. როგორც ახლა, ავადმყოფობისა და მარტოობის დროს. მიუხედავად თავისი

სიბერისა და სისუსტისა, ტერეზა ისევ ჩინებულად უვლიდა შვილს. იგი ექიმის თანაშემწის როლს ასრულებდა. თავს დასტრიალებდა კორნელის. საჭირო რეჟიმს იცავდა, დილა-საღამოს სიცხეს უზომავდა, წამლებს ასმევდა, კარგად ჰკვებავდა. ბალღსავით ეფერებოდა, ართობდა, ტკივილს უმებდა და შავ ფიქრს უფანტავდა. მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო და ავადმყოფს მალე უკეთესობა დაეტყო. რა წამს კორნელიმ უკეთესობა იგრძნო, მაშინვე მეცადინეობას მიჰყო ხელი. დამშვიდებული დედა კარისმერეთს გაემგზავრა იმ აზრით, რომ იქ ჭირნახული მოეწია და მერმე კვლავ შვილთან ჩამოსულიყო.

ახლა სრულიად მარტო დარჩა კორნელი. მეგობრები ისევ არა ჩანდნენ. მხოლოდ კუკური ზარანდია შემოირბენდა დღეგამოშვებით. ლექციები, კონსპექტები და სახელმძღვანელოები მოჰქონდა. იგი მასთან ერთად ამზადებდა მედიცინის საგნებს და გვიან ღამით მიდიოდა შინ. „ახლა კუკურიმაც უკლო სიარულს. სტუდენტებმა, პროფესორის ხელმძღვანელობით, ანატომიურ მუზეუმში, პროზექტურაში გვამებზე მუშაობა დაიწყეს და კუკურიც დროს ვერ შოულობს. მე კი, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქნები ამ საწოლზე მიჯაჭვული და ალაჰმა უწყის, როდის შევძლებ ყავარჯნებით სიარულს და ქალაქში გასვლას!“ — ფიქრობდა კორნელი.

გულახდილი საუბარი

მე დიდი უპატრონობა ვამარცხე იმის გამო, რომ დავიბადე ისეთ ეპოქაში. როდესაც მსოფლიო მნიშვნელობის ცდილობდნენ მიმდინარეობდნენ.

გოეთე

I

შემოდგომის მოღრუბლული და ცივი დღე იდგა. გულისშემწყალებელი წვიმა შეუჩერებლად ცრიდა. გიმნაზიის სამკართულიანი შენობის უკანა კორპუსის სველ კედელსა და დათა მაქელაძის ბინას შორის გაშენებული ბაღის ფოთლებგაყვითლებულ ნეკერჩხლებზე და ცაცხვებზე ბედურები გულ-

საკლავად ჟიოდნენ, კორნელი გულაღმა იწვა ოთახში და ჭერს მიშტერებოდა. დილით ექიმმა ჭრილობა მობანა, იოდის ხსნარში გაჟღენთილი ბამბა დაადო და სახვევი მაგრად მოუჭირა. იოდის ხსნარი მოშუშებულ ჭრილობაში შედიოდა და ავადმყოფს ტერფზე ცეცხლი ეკიდებოდა.

შინ არავინ იყო. ზოგნი ქალაქში და ზოგნი ბაზარში წასულიყვნენ. თუნდაც შინ ყოფილიყვნენ, კორნელის ახლა არაფერი საერთო არა ჰქონდა ამ სახლის მობინადრეებთან. შინ მხოლოდ მაიორი საროკინის ცოლი დარჩენილიყო, ამ ქალის ამარა დაეტოვებინა კორნელი დეიდას; მაგრამ მაიორის ცოლი ისევ როიალს მისჯდომოდა სასტუმრო ოთახში, ერთფეროვან, მოსაწყენ გამებს გულისგამაწყალებლად უკრავდა, ხმას ავარჯიშებდა. კორნელის საშინლად შეზარდა მუსიკალურ სმენას მოკლებული მუქთამჭამელი ქალი და გადაწყვიტა, პირველ შეხვედრისთანავე ეთქვა მისთვის: სმენა და ხმა არა გაქვთ, დროს ამაოდ ჰკარგავთ და სხვებსაც სტანჯავთო. იგი აღრენილ გუნებაზე იყო. მის გულს მარტოობის ნაღველი ღრღნიდა. თავისი პატარა და ბნელი ოთახი მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილ აკლდამად ეჩვენებოდა. მას კი გონივრული მუშაობა, ბრძოლა და მოქმედება სწყუროდა.

სასთუმალთან სკამი ედგა და ზედ წიგნები და ჟურნალები ეწყო — ბიოლოგიის და მედიცინის დარგიდან. ამ დარგში მუშაობა კორნელის მხატვრულ გემოვნებას კი არ ზღუდავდა, არამედ ამახვილებდა, აფართოებდა მის წარმოდგენას ადამიანზე და ბუნებაზე. გზადაგზა მას მრავალი ჩანაფიქრი დაეთმა ებადებოდა. მაშინ იგი ანატომიური ატლასის ფართო წიგნს დაფასავით მკერდზე დაიყუდებდა, ზედ ჰიკარტით ქაღალდს მიამაგრებდა და თავის ნაფიქრსა და ნააზრევს ფანქრით წერდა. მუშაობაში მთელ ღამეს ათევდა. ექიმმა, დედან და მარომ ღამით მუშაობა აუკრძალეს. მაინც იძალა კორნელიმ და, ყველასაგან მალულად, რამდენიმე დღის განმავლობაში, პატარა მოთხრობა დაწერა.

კორნელი ტოლსტოის „აღსარების“ კითხვას ამთავრებდა. მას ამ წიგნში დიდი მწერლის მიერ თავისი მეობისა და შეუნიღბავი სულის გაშიშვლება, ადამიანის დანიშნულების, მიზნისა და ცხოვრების სიმართლის ტიტანური ძიება აოცებდა.

მის ბნელ ოთახში ტყავის შავ ქურთუკში და ჩექმებში გამოწყობილი მაღალი და გამხდარი ქერა კაცი შევიდა.

კორნელიმ ჯერ ვერ იცნო იგი. თავისი სკოლის მეგობარი ნიკიტსკი ეგონა, მერმე გაშლილი წიგნი სკამზე დააგდო და სტუმარს შესძახა:

— ვანო!

ვანო მივიდა, დაიხარა და კორნელის აკოცა. მერმე ქურთუკის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, მხრები აიჩეჩა და ნახევარზე დაბედა.

— საიდან სადაო? — დაიძახა გახარებულმა კორნელიმ. — შენი ვერაფერი გამიგია: მოულოდნელად გაქრები და ისევ მოულოდნელად გამოჩნდები!

ვანომ გაუღიმა და კორნელის პირისპირ, საწერ მაგიდასთან დაჯდა. წვიმით დასველებული კეპი მოიხადა, დაიქნია და მაგიდაზე დადო, ქალივით ნაზი და პატარა ხელი შუბლზე და კეფაზე გადაისვა. ქერა თმა წინ საგრძნობლად შეთხელებოდა, გასცვენოდა და, ამის გამო, მისი მაღალი და ფართო შუბლი უფრო დიდი ჩანდა. შუა ალაგას შერჩენილი თმის ბღუჯა კი მამლის ქოჩორივით დასდგომოდა. თავი გაიქნია. ქურთუკის საყელო უკერდა. იქიდან ამოწვდილი მაღალი და წვრილი ყელი წაიგრძელა, მერმე მარჯვენა ხელი მაგიდაზე შემოსდო, მარცხენით დოინჯი შემოიდგა, წინ გადიხარა და კორნელის უთხრა:

— მიტომ მიამბო, მაგრამ კარგად მაინც ვერ გავიგე, რა მოხდა? ამბობენ, ვიღაც ქალის გამოო. ძალიან ცუდია, რომ მიტო თქვენთან აღმოჩნდა.

კორნელიმ დაწვრილებით უამბო ყოველივე: მერმე მაროს ძმის — მიხა ფრუიძის დამკვერის — დომენტი მელაძის სტუმრობა და მასთან კამათი მოუყვა. ვანომ არ მოუწონა დომენტისთან გულახდილი საუბარი და კლიმენტი ჩხიკვაძისადმი მუქარა, ხოლო მისი წინადადება რომ არ მიეღო კორნელის, ეს კი გაეხარდა. მაგრამ ცოტა ხნის მერმე აზრი გამოიცვალა:

— სჯობდა, დომენტი მელაძესთან შეხვედრის დროს ლოიალურ კაცად გეჩვენებინა თავი. ასე აჯობებდა. ახლა კი შენი ბინაც ეჭვქვეშ არის დაყენებული. ვერც გალაქტიონ

გელაშვილი და ვერც სხვა ვინმე შეაფარებს თავს შენს ბინას. ეს კი საჭირო იყო. თუმცა, — ჩაიქნია ხელი ვანომ. — ჩხიკვაძე და მისი მეგობრები კიდევ შეეცდებიან შენთან წერილის გაგებას, შენს მოთაფლვას. ეტყობა, ჩხიკვაძე შიშობს, რომ მის წინააღმდეგ არ იქნეს აღძრული საქმე. იგი უთუოდ შეეცდება დანაშაულის გამოსყიდვას. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს მას ის გამოსყიდვა.

უკანასკნელი ფრაზის მნიშვნელობა კორნელიმ ვერ გაიგო. იგი სიხარულით მისჩერებოდა მაღალ, გამხდარ და ქერა კაცს, რომელმაც მისი მოთხრობა დღის სინათლეზე გამოიტანა და ჟურნალში დაბეჭდა, ამ მოთხრობის გამოქვეყნებამ სულ სხვაგვარად წარმართა კორნელის ცხოვრება.

ვანომ კორნელის საწოლთან სკამზე დალაგებული წიგნები დაათვალიერა, ხელნაწერს წააწყდა და ჰკითხა:

— კიდევ ხომ არ დაგიწერია რამე?

— ჰო, მაგრამ არ ვიცი, რა გამოვიდა, — მიუგო კორნელიმ.

კორნელის ახალი მოთხრობა ნახევარი ნაბეჭდი თაბახიც არ იქნებოდა. ვანო სათაურმაც კი დააინტერესა: „დაროო“, აიღო და მოთხრობა სულმოუთქმელად წაიკითხა. მოეწონა.

მოთხრობაში დენიკინის ელჩის გენერალ ბარათოვის ბომბით დაჭრა იყო აღწერილი. მოქმედი პირების სახელი და გვარი, გარდა გენერალი ბარათოვისა და გენერალი ოდიშელიძისა, შეცვლილი იყო. მოთხრობა რევოლუციური სულით იყო გაჟღენთილი. ავტორისა და დაროს — სახეცვლილი მარო ფრუიძის — შეხვედრა და საუბარი ცოცხლად და მომხიბლავად იყო აღწერილი. კორნელის დიდხანს არ ასვენებდა ელბაქიძის მიერ ბარათოვის დაჭრის ამბავი და, თვითვე დაჭრილმა და საწოლზე მიჯაჭვულმა, არსებული წყობილების წინააღმდეგ თავისი უმოქმედობა ამ მოთხრობით თითქოს ერთგვარად გამოისყიდაო. ავტორი გაბედულად ჰხდიდა ფარდას მენშევიკების კავშირს სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციასთან.

მხატვრულმა ლიტერატურამ ვანო ადრევე გაიტაცა. იგი მარქსისტულ პოზიციებზე იდგა. იმ დროს დიდ ავტორიტეტად იყო მიჩნეული მენშევიკი კრიტიკოსი ვინმე დ. ანძველ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში — „თანამედროვე აზ-

რის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები ილია ჭავჭავაძეზე, ეგნატე ნინოშვილზე, ყაზბეგზე, კლდიაშვილზე. ვანო გამოეხმაურა ამ წერილებს: „ნუთუ მარქსისტმა ილია ჭავჭავაძეზე სხვა ვერაფერი ვერ უნდა თქვას გარდა იმისა, რომ ილია თავისი დროის შვილი, იდეალისტი, ხალხოსანი, მესამოცე წლების განმანათლებლური პრინციპების მიმდევარი იყო, რომ ილიას პატრონყმობის მოსპობა კი არ სურდა, არამედ მისი შეკეთება, შელამაზება და, წოდებათა შორის შეურიგებელი ბრძოლის ნაცვლად, მათი შეთანხმება და შერიგება! რომ ილია კლასთა ბრძოლის პრინციპის ნაცვლად, მათ შეთანხმებას, ნაციონალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების შექმნას ემსახურებოდა, მეფეზე ოცნებობდა და რეაქციონერი იყო? ასეთი ყალბი შეფასება ჩირქსა ცხებს დიდებული მგოსნის და პუბლიცისტის ხსოვნას“, — წერდა ვანო. ვანო მახათაძის ამ პირველ ლიტერატურულ ნაშრომში უკვე აშკარად ჩანდა მომავალი რეალისტის, პრინციპული კომუნისტის სახე. ვანო მკაცრად ესხმოდა თავს დ. ა-ნს და ვულგარიზატორობაში და ფალსიფიკატორობაში სდებდა ბრალს. წერილი ნიჭიერად იყო დაწერილი, მაგრამ „თანამედროვე აზრის“ რედაქციამ იგი არ დაბეჭდა, „ცნობილ“ კრიტიკოსს დ. ა-ნს არ აწყენინეს. და აი, 1916 წელს „თანამედროვე აზრის“ ერთ-ერთ ნომერში იბეჭდება ასეთი შენიშვნა: „ვ. მ-ძეს. თქვენი წერილი ლიტერატურაზე საინტერესოა. ვერ ვბეჭდავთ მას ადგილის უქონლობის გამო“. მხატვრული ლიტერატურის დარგში მუშაობა ვანოსათვის ბუნებრივ ამბავს წარმოადგენდა. ვანო და კორნელი მოწაფეობის დროს ლიტერატურულ წრეში მუშაობდნენ. ვანო მაშინაც რეალიზმის მიმდევარი, მარქსისტი იყო და მეგობრებს, მათ შორის კორნელისაც, სიმბოლისტური ლიტერატურით გატაცებას უკიჟინებდა. ახლა მას ძალიან მოეწონა „დარო“ და ამ ნაწარმოებში მოცემული სინამდვილის რეალისტური ასახვა. მას რაღაც უცნაურად აღენთნენ თვალები. ბაგეზე ღიმილი უთამაშებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა. მალე მის ქვეყანაში ახალი, საბჭოთა მწერლობა შეიქმნებოდა და ამ დარგში კორ-

ნელი ერთ-ერთი პირველთაგანი გახდებოდა. მომავლით გატაცებულმა ვანომ ისე დაიწყო კორნელის წინაშე თავისი გეგმის გადაშლა, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება უკვე დამყარებულია და ვანო და კორნელი იმ გეგმის განხორციელებას დღესვე უნდა შეუდგნენო.

— აუცილებელია დიდტანიანი ჟურნალის გამოცემა, — ამბობდა ვანო. — მის გარშემო თავი უნდა მოვუყაროთ ახალგაზრდა ნიჭიერ მწერლებს. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თანამგზავრ მწერლებზე ზრუნვა. ამ საქმეში შენ უნდა დაგვეხმარო. ჩვენი მწერლობა უმთავრესად ეროვნული მოტივებით იკვებებოდა ამდენ ხანს, ამიერიდან კი იგი ახალ გზას უნდა დაადგეს, ახალი ხანა, მისი მაჯისცემა გაიგოს და მასთან ნაციონალური და ინტერნაციონალური მოტივების შერწყმა მოახდინოს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას აკლია ძლიერი და სოლიდური პროზა, ჩვენში უმთავრესად ლექსებსა სწერენ და პროზას კი გაურბიან. ჩემის აზრით, ეს ნაკლია. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. მხატვრული პროზა არა მარტო ცხოვრების და სინამდვილის უმაღლესი გამოხატულებაა და მისი სარკე, არამედ ლიტერატურული შემოქმედების უმაღლესი ფორმა.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა ვანომ საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებზე. მერე ერთბაშად დადუმდა და სკამის ზურგს მიაწვა.

2

— შენ იცნობდი არკადი ელბაქიძეს? — ჰკითხა ვანომ კორნელის დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— არა.

— მაშ, როგორ სწერდი მასზე?

— მარომ და მისმა ძმამ მიხამ, მიტომ და ვიგამ ბევრი რამ მიამბეს მის შესახებ.

— გენერალ ბარათოვსა და ოდიშელიძეს იცნობ?

— ოდიშელიძეს პირადად ვიცნობ. გარდა ამისა, როგორც ოდიშელიძის, აგრეთვე ბარათოვის შესახებ ესტატეს, მის ძმის პოლკოვნიკ ჯიბო მაყაშვილისა და სენატორ გიორგი დადვაძის ნაამბობი მომისმენია.

— კარგად მოქცეულხარ, მოყვარისა და მტრის აზრიც რომ მოგისმენია და აგიწონია.

— არ ვიცი, რა გამოვიდა!

— არა, კორნელი, ორივე შენი მოთხრობა — „გოჯასპირი“ და „დაროც“ — ნამდვილად მომწონს. ეს ის არის, რაც მკითხველს სარგებლობას მოუტანს. ძალიან მიხარია. პირდაპირ გეტყვი: რადგან შენ, როგორც მწერალი, შენის ნიჭით ხალხს ემსახურები, შენს წინაშე ფართო ასპარეზი იშლება.

კორნელი მღელვარების გამო გაფითრებულიყო. მან კარგად იცოდა, რომ მის წინაშე სკოლის მიამიტი და გულჩვილი, ძველი ამხანაგი კი არ იჯდა ახლა, არამედ მტკიცე მებრძოლი, მეცნიერებით და ხელოვნებით გატაცებული, განათლებული და ცხოვრების გარდაქმნისათვის დიადი გეგმებით აღჭურვილი ახალი ადამიანი — კომუნისტი.

კორნელიმ, ისე როგორც აღსარებაზე, განაცხადა:

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ნაწარმოებმა შენი დადებითი შეფასება დაიმსახურა. რასაც ვწერ, ყველაფერი ის გულიდან მოდის.

— დაიცა, დაიცა, — გააწყვეტინა ვანომ. ეს სერიოზული საკითხია. მოდი, შენს მოთხრობას დავუბრუნდეთ...

— კეთილი. მე ძალიან ვაფასებ შენს კრიტიკას.

— შენი მოთხრობა ალაგ-ალაგ შესწორებას და შალაშინს მოითხოვს, — უთხრა ვანომ და იქვე აშკარად და პირუთვნელად მიუთითა მხატვრული და იდეოლოგიური ხასიათის ხარვეზებზე. — ათი დღე ვფიქრობ, გეყოფა... — ათი დღის შემდეგ გამოგივლი. შენს მოთხრობას ჩვენს გაზეთში დავბეჭდავთ.

— ათი დღე მეყოფა, — მიუგო კორნელიმ.

— მაშ ასე, კორნელი ჩემო, — უთხრა ვანომ. — ათი დღის შემდეგ გამოგივლი.

ვანო წამოდგა, ქუდი დაიხურა და კორნელის გამოემშვიდობა.

სინდისზე შეგდებული კორნელი წინასწარ გრძნობდა, რა გაშმაგებითაც იმუშავებდა მოთხრობაზე. სიზმრად ჩაჰყვა არკადი ელბაქიძე. ხან მტკვრის პირას იწვა დაჭრილი მებრ-

ძოლი და ხან კიდევ საავადმყოფოში. თითქოს იმ გმირის სული და ხორცი ჩაიდგა და აისხაო... ბოლოს, თვითონვე დაჭრილი და ლოგინად ჩავარდნილი, ელბაქიძის მსგავსად აჰეტყველდა. მოთხრობა დაამთავრა და შვება იგრძნო, თითქო მხრებზე დაწოლილი მძიმე და ვეება ლოდი გადაიგდოო. მეათე დღეს, დაპირებისამებრ, ვანო მივიდა, კორნელის სასთუმალთან მიუჯდა და მოთხრობის კითხვა დაიწყო. ახლა უფრო მოეწონა მოთხრობა.

ნაწილი პირველი

მზადება

ჩვენი მშიერი დედების, ცოლებისა და ბავშვების კვნესა და გოდება გვაიძულებს ჩვენ — გაჭირვებითა და შიმშილით წამებულთ, ფიზიკური ძალის უქონლობის გამო, მივატოვოთ სამუშაო.

საგანგებო კომიტეტის
მოწოდებიდან

1

1919 წლის 2 მაისს არსენალის წინ მატარებლის გრძელი წვმადგენლობა ჩამოდგა. შიგ არსენალის ყაზარმებში დაბანაკებული ინგლისისა და ინდოეთის ნაწილების ჯარისკაცები მოთავსდნენ. ინგლისის სარდლობა თავის ჯარებს ბაქოში ბოლშევიკების მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ მუსაევატელების დასახმარებლად გზავნიდა. მატარებელში ჯარის დაბარგებამ დიდხანს გასტანა. ხალხი მახლობელი სახლებიდან გამოფენილიყო და ინგლისელ და ინდოელ ჯარისკაცებს გასცქეროდა. ყველაზე წინ ბავშვები და გოგო-ბიჭები იდგნენ. ბავშვები ვაგონის ბაქანზე ადიოდნენ და, ინგლისელი სერჟანტების შემოწყრომის შემდეგ, კიბეზე ჩარბოდნენ...

ტყავის ქურთუკში გამოწყობილი და მახუთში ამოთხვრილი ერთი გამხდარი და შავტუხა, ყანჩა-ბიჭი—რკინიგზელი ოსტატი, ყუთში ჩაწყობილი ხელსაწყოებით, ვაგონების ქვეშ იხედებოდა, ბორბლებსა და ღერს სინჯავდა და ჩაქუჩს სცემდა... მერმე ვაგონის სახურავზე ავიდა და, როცა მატარებელი ნავთლუღისაკენ დაიძრა და ალმართზე — სემაფორთან სვლა შეანელა, იმ ოსტატმა სახურავიდან ვაგონის სარკმელში პროკლამაციები ჩაჰყარა. ეს ისე სწრაფად და მო-

ხეირხებულად გააკეთა, რომ სანამ ინგლისელი სერჟანტები შეამჩნევდნენ და შეიტყობდნენ, თუ რას ჰგლეჯდნენ ერთმანეთს ხელიდან და რას კითხულობდნენ ასე გულდაგულ მათი ჯარისკაცები, ის რკინიგზელი ოსტატი მატარებლიდან ჩამოხტა, მთას მიაშურა და კუკიის სასაფლაოზე ამოჰყო თავი.

ინგლისელი ჯარისკაცებისათვის დაწერილი პროკლამაცია ვაგონში იმავე ჭაბუკმა ჩაჰყარა, რომელმაც ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის განკარგულების თანახმად ააწყო და დაბეჭდა იგი. ის-ჭაბუკი გარმონზე შეუდარებელი დამკვრელი, იატაკქვეშ მომუშავე კომკავშირელი, ასოთამწყობი კარო იარალოვი იყო, რომელსაც კამოს ფანტასტიკური პიროვნება არ ასვენებდა.

მეორე დღეს ინგლისელთა ჯარების სარდალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში — გენერალი კორი სასახლეში საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ეახლა, ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაცია მაგიდაზე დაუგდო და ბრიტანეთის ჯარში ავიტაციისა და პროპაგანდის გაწევის გამო, პროტესტი განუცხადა.

ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო მთავრობა, მაგრამ, მიუხედავად საგანგებო რაზმის აგენტების ცდისა, მათ ვერ აღმოაჩინეს სტამბა, სადაც აღნიშნული პროკლამაცია დაიბეჭდა და ვერც მისი ამწყობი და გამავრცელებელი.

2

მალე ამაზე უფრო სამარცხვინო საქმე მოხდა. მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბაში, რომელშიც მათი ქართული და რუსული გაზეთები „ერთობა“ და „ბორბა“ იბეჭდებოდა, კარლო იარალოვის კარგი ნაცნობი ერთი ძველი მუშა შაჭრო ხახუტაშვილი მუშაობდა. შაჭროს თავის ამხანაგებთან პურისჭამა უყვარდა. იგი მოჯადოებული იყო კაროს დაკვრით გარმონზე. კარო მართლაც სწორუპოვრად უკრავდა. მას შესანიშნავი სმენა ჰქონდა. რა გინდა, რომ ჯერ დაეკრა მას ორკესტრივით ამღერებულ თავის დიდ გარმონზე: აღმოსავლური, ქართული, რუსული თუ ევროპული მოტივები! ყველაფერს ჩინებულად უკრავდა იგი: ქუჩის უბრალო სიმღერებიდან მოყოლებული, ოპერულ მუსიკამდე.

ამიტომ არა მარტო სტამბის და ქარხნის მუშები, არამედ ქეიფისა და დროსტარების მოყვარული ძმა-ბიჭებიც ხშირად პატიჟობდნენ მას შინ, ოჯახში და რესტორანში, სადაც იგი „შემთხვევით“ ბევრ რამეს გებულობდა და საჭირო საქმესაც აკვარებდა.

ერთხელ მხარზე დაკიდებული თავისი განუყრელი დიდი გარმონით კარო ქუჩაში შაქრო ხახუტაშვილს შეეყარა და უთხრა:

— საჭიროა საჩქაროდ დაბეჭდო ერთი რამ.

ბოლშევიკების რედაქციები და სტამბები მაშინ დარბეული იყო. პარტიული ლიტერატურის ბეჭდვა არალეგალურად წარმოებდა. შავგვრემანმა და ჯმუხმა კაცმა — მეტრანსპაქმა შაქრო ხახუტაშვილმა შავ ულვაშებზე ჩამოისვა ხელი და კაროს ჩახლეჩილი ხმით მიუგო:

— ამ საქმეს ამჯერად ვერ გავაკეთებ. გიორგაძეს და ვადაჭკორიას ვთხოვოთ. ძნელია.

— რას ამბობ, შაქრო, — გაუკვირდა კაროს. — ისინი ხომ შენშევიკები არიან?

— მერმე რა, — მიუგო შაქრომ, — ვერა სედავ, ბიჭო, მუშები ჯგუფ-ჯგუფად რომ სტოვებენ მენშევიკებს და ჩვენთან მოდიან? ახლა ბევრს თვალი ახელია... მართალია, გიორგაძე და ვადაჭკორია წინათ მენშევიკებს ემხრობოდნენ, მაგრამ ახლა მენშევიკებზე გული აუცრუვდათ, მათი სოციალისტობა არა სჯერათ და სულ იმათ ლანძღვა-გინებაში არიან. მე მათ ვენდობი...

კაროს ჭკუაში დაუჯდა შაქროს ნათქვამი და გიორგაძესთან და ვადაჭკორიასთან შეხვედრა მოინდომა.

— შაქრო-ჯან, მოდი ერთი პატარა ქეიფი მოუწყვე მათ წინ ბინაზე. უთხარი, მეგარმონე იქნება-თქო... ფულს მე ვიშოვი. მოდის?

— მოდის!

3

შაქროს მიერ ნაძალადევში მოწყობილ ვახშამს თორმეტამდე მუშა დაესწრო. მათ შორის გიორგაძე და ვადაჭკორიაც.

მუშებს ეგონათ, კაროს გარმონის წყალობით გამხიარულდებოდნენ და გულის დარდს გაიქარვებდნენ, მაგრამ ქეიფი როგორღაც არ გამოდიოდა. შაქრომ მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე, მუშების აუტანელ მდგომარეობაზე და მათ ჭირ-ვარამზე ჩამოაგდო სიტყვა. ერთნი მენშევიკებს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი — ბოლშევიკებს. უკანასკნელნი უმრავლესობას შეადგენდნენ.

— გათავდა, ბიჭებო! ამიერიდან აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ მენშევიკები გვატყუებდნენ და ახლაც გვატყუებენ, — აღელვებით დაიწყო გიორგაძემ. ეს მელოტი და ულვაშებგაპარსული კაცი წინათ მენშევიკებს თანაუგრძნობდა, მაგრამ მათ მიერ მუშების დევნამ და გლეხობის აწიოკებამ თვალი აუხილა. გიორგაძემ მენშევიკებზე გული აიყარა. წინათ იგი მსუქანი კაცი იყო, მერმე, დუხჭირი ცხოვრების გამო, ქონი შემოდნობოდა და ახლა ნაჯაფ და მჭლე ხარივით კეც-კეცად აჯდა ქეჩოზე ტყავი. იგი აღშფოთებით განაგრძობდა: — როდესაც გლეხთა აჯანყება დაიწყო, ჟორდანია და რამიშვილი ჩაგვძახოდნენ: საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილი, ბნელი ძალა — რეაქცია რევოლუციის წინააღმდეგ ღალატობსო. გლეხებს სურთ, თქვენ, მუშებს, რევოლუციის ძიერ მოპოვებული თავისუფლება წაგართვან და ისევ ძველი წყობილება შემოიღონო. მაშინ მე და ბევრი ჩემისთანა ტყუვდებოდა, ზოგი გვარდიაშიც შედიოდა და აჯანყებულ გლეხებს ებრძოდა. მუშები გლეხებს გადაგვკიდეს. როცა ჩვენ იმ აჯანყებულ გლეხებს ვებრძოდით, თურმე ნუ იტყვით, რევოლუციის საქმეს ჩვენვე მახვილს ვცემდით, რადგან გლეხები ძველი წყობილების შემოღებას კი არა, მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას და ღარიბ გლეხებზე უსასყიდლოდ მათ გადაცემას მოითხოვდნენ... მენშევიკებს არ სურთ მიწები მემამულეებს ჩამოართვან და გლეხებს გადასცენ. ისინი არ ზრუნავენ მუშებისა და ღარიბი გლეხების აუტანელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ახლა არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მენშევიკები არა მუშებისა და გლეხების, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ.

— აბა, რას ამბობ, — შეედავა გიორგაძეს ერთი ჭორფლიანი მწითური მუშა სერგო ნამორაძე.

— როგორ თუ რას ვამბობ, — გაბრაზდა გიორგაძე,— ერთი შეგეხედე, რა დღეში ვართ მუშები? ლამის შიმშილით სული ამოგვძვრეს.

ლადო გიორგაძეს ჭერა, მაღალი და გამხდარი კაცი პარტიენ ვადაჭკორია მიეშველა. გამხდარ, პატარა და ცისფერთვალებიან კაცს მარჯვნისაკენ მიგრეხილი ცხვირის მილი დაჰხშოდა და სუნთქვა უჭირდა. ამიტომ პირი მუდამ ღია ჰქონდა, რაც მაინცდამაინც ბრძნულ გამომეტყველებას არ ანიჭებდა მის გრძელ სახეს.

— მუშები ჯოჯოხეთურ პირობებში ჩავცვივდით, — ამბობდა ვადაჭკორია. — არსებობს თუ არა რაიმე ორგანო მუშების ინტერესების დასაცავად? ყურს ვინ უგდებს წარმოებებში შრომის დაცვის კანონებს? ზედმეტი საათების მუშაობისათვის ვინ რას გვაძლევს? სად არის ურთიერთდამხმარე სალარო? ავადმყოფობის დროს ჩვენზე ვინ ზრუნავს? განა გვამარაგებენ პურით ან სხვა პროდუქტით? ვშიმშილობთ. ჭუჭყში და ნოტიოში ვმუშაობთ...

— ვინ უნდა მოგვამარაგოს. როდესაც ვაჭრობა სპეკულანტების ხელშია, — შენიშნა შაქრომ, — სადან გვექნება პური და სხვა პროდუქტი, როდესაც მენშევიკებს არა სურთ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობა. წინათ საქართველოს რუსეთში ვაჭრობდა თუთუნი. აბრეშუმი, ღვინო, ხილი. ამათ ნაცვლად კი რუსეთიდან პური და სამრეწველო საქონელი შემოდიოდა.

— ერთი მგლის კვნეს და ერთიც თხისკენო. — ნათქვამია,— ისევ დაიძახა მწიოურნა მუშამ სერგო ნამორაძემ. — საბჭოთა რუსეთთან რომელი სახელმწიფო ვაჭრობს. ჩვენს მთავრობას რომ უკრინებს?! სამაგიეროდ, ჩვენ ვცდილობთ ევროპასთან და სამხრეთ რუსეთთან გავაჩიდოთ აღებმიცემობა.

— სამხრეთ რუსეთი პურის ნაცვლად ჩვენგან ნავთსა და ბენზინს მოითხოვს, რომელიც ჩვენში დეფიციტურია, — შენიშნა შაქრომ. — ევროპას კი საქართველოში მხოლოდ ძველი და უვარგისი საქონელი შემოაქვს, უმთავრესად ფეიფუნების საგნები: სურნელოვანი წყლები, მაქმანი, ლენტები, ღილები — ათასგვარი ნაყარი წვრილმანი. რა თავში ვიხალო ყოველივე ეს? ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია ამჟამად, ევროპას რომ მივაწოდოთ და, ნაცვლად ამისა, იქიდან ფასოვანი რამ მივიღოთ.

— როგორ თუ არ გაგვაჩნია? მარტო ჭიათურა რად ღირს განა ჭიათურის შავი ქვა არ შეგვიძლია მივაწოდოთ ევრო პას? — დაცინვით ჰკითხა ნამორაძემ.

— არ შეგვიძლია, — მოუჭრა შაქრომ, — ჭიათურის მა ღაროებში შავი ქვის ამოღება და მისი დამუშავება, მუშახე ლის ნაკლებობის გამო, საზღაპროდ შემცირდა. მუშებს მრეწ ველებისაგან უმნიშვნელო ხელფასი, მართლაც მარტო „შავ ქვა და ნაცარი“ რჩებოდათ და სამუშაოს თავი გაანებეს. ა წაგიკითხავს გაზეთში, რომ ჭიათურის თითქმის ყველა მა ღარო დაიხურა? განა მარტო ჭიათურიდან გარბიან მუშები საქართველოს ყველა ქარხნიდან. უმუშევართა რიცხვი და სი ვირე საშინლად იზრდება. ჩვენც სულ მალე იძულებული გა ხდებით, თავი დავანებოთ სამუშაოს.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მუშებმა თავი ჩაჰკიდეს დ მწარე ფიქრს მიეცნენ.

— რა გვეშველება, — სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა ვ დაარღვია სიჩუმე ერთმა ჩია, გამხდარმა მუშამ, მბეჭდავ ერმილე ჭელიძემ, — ხელფასი, ამ გაუგონარ სიძვირის დრო ერთ კვირასაც არა მყოფნის. ცოლ-შვილი უთუოდ შიმშილი დამეხოცება. სოფელში წავიდოდი, თუმცა იქაც რა მაბადი ან რა მებადა?!

— ახლა ვერც ქალაქი და ვერც სოფელი გვიშველის. ყვე გან გაჭირვებაა. ყველას უჭირს. ახლა მხოლოდ მთავრობ ხალხი, უცხოური და ჩვენებური სპეკულანტები ცხოვრობ კარგად, — ხელი ჩაიქნია უიმედოდ დურგალმა ხეჩო ყაზ როვმა. იგი დაბალი, ჯმუხი და შავგვრემანი კაცი იყო. მას შაქროსავით ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. ხორხი არ ემორჩილ ბოდა, ასო „ხ“-ს გამოთქმა უჭირდა. ყელში ბგერა ისე ხრი ლებდა, თითქოს ფიცრის ხერხვის ხმა მოისმისო.

— მდგომარეობა, მართლაც აუტანელია... ამის შემდ მხოლოდ ფიზიკური გადაშენებაა მოსალოდნელი, — მწუხა სახით შენიშნა ხეჩო ყაზაროვს შაქრომ.

— გადავშენდებით კიდეც. ჩვენ სამ-ოთხ თვეობით არ ვღ ბულობთ ხელფასს, — დაუდასტურა ვადაჭკორიამ.

— რა ხელფასია? — დაცინვით დაიძახა ვიორგაძემ. — გინდ დიდი კვალიფიკაციის არ უნდა იყოს ახლა მუშა, ო ორას მანეთიდან მაქსიმუმ ექვსას მანეთამდე თუ მიიღებს თვ

ში. მერმე განსაჯე: რა გამოდის? რა არის ბონებით მიღებული შენი ექვსასი მანეთი, როდესაც მსყიდველობითი უნარი ახლანდელი ათი მანეთისა წინანდელ ერთ კაპიკსაც კი არ უდრის?!

— რაღა დაგიმალოთ, — თქვა ჩია და გამხდარმა მუშამ ერმილე ჭელიძემ, —ხშირად პურის ფულიც კი არა მაქვს. მთელი დღე ფეხზე მდგარი ასოებს რომ ვაწყობ, შიმშილით ლამის გული წამივიდეს.

— ეხ, ჩემო ძმაო, შენ ჯერ გული ნამდვილად არ წაგსულია,—დაიწყო ორთქმავლისა და ვაგონის შემკეთებელი ქარხნის ხარატმა სტეფანე დანგაძემ. იგი მაღალი, მხრებში მოხრილი, გამხდარი კაცი იყო. ჭაღარაშერეული შავი ულვაშები და უჩვეულოდ გრძელი ხელები ჰქონდა, რომლებიც დაზეპაზე მუშაობის და რკინასთან შეჭიდების გამო დაკოჟრებოდნენ. სახეზე ღრმა ნაოჭები ჩაშავებოდა, თითქო შიგ რკინის მტვერი ჩაჯდომოდა, დანგაძემ ბოხი ხმით განაგრძო:

— გუშინ ჩვენს ქარხანაში ერთ ამხანაგს გული შეუწუხდა და დაზგასთან ჩაიკეცა. მივვარდით, ოთახში შევიტანეთ, ტახტზე დავაწ-ინეთ და ქაფური შევუშხაპუნეთ. გონს რომ მოვიდა, უღონოდ მითხრა: მეოთხე დღეა, რაც არაფერი ვიჭამიაო. ასეთი შემთხვევა ერთი როდია...

სტეფანე დანგაძეს მისი ცოლისძმა — ზეინკალი, დეპოს მუშა დიმიტრი ჩაპლიგინი გამოეხმაურა. იგი ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, მაგრამ წაბლისფერ წვერ-ულვაშში ჯერ ერთი თეთრიც არ ერია. ყვრიმალის ძვალი ამოზიდული და მოკლე, გაბუშტული ცხვირი ჰქონდა. ბუხრის ჭუდი ეხურა, კავკასიური ჩექმები ეცვა და კაზაკსა ჰგავდა. ჩაპლიგინმა ამხანაგებს საშინელი რამ უამბო:

— საპნის ქარხნის ეზოში ხუთი დღე ეყარა თურმე გარდაცვლილთა გვამები. მერე სახელდახელოდ გათხრილ მიწაში უკუბოოდ, შიშველად ჩაჰყარეს საცოდავები...

კარომ გარმონი ერთბაშად დაკეცა და საკრავმა საზარელი ხმა გამოსცა, თითქო რკინაზე ბურღი მიუშვეს და რკინამ ღრჭიალი გაადინაო.

დიმიტრი ჩაპლიგინი მართალს ამბობდა. შიმშილისაგან დაუძლურებულ მუშებს იმჟამად ტიფმა, ხოლერამ და სხვა

სენმა დაჰკრია ხელი და მუსრს ავლებდა. შაქროს და მის სტუმრებს ჩაპლიგინის სიტყვებმა თავზარი დასცეს და ისევ დადუმდნენ. სასოწარკვეთილებიდან ამხანაგები დანგაძემ გამოიყვანა.

— შეუძლებელია ამის ატანა... თუ რამ არ ვიღონეთ და ხელი არ გამოვიღეთ, უარესსაც უნდა ველოდეთ! — დაიძახა მან.

— რა ხელი უნდა გამოვიღოთ, — დატუქსა დანგაძე სერგო ნამორაძემ, — განა მთავრობა არ ფიქრობს ჩვენი ასეთი საშინელი ყოფისა და აუტანელი ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებას? ვაცალოთ მას.

— როდემდის უნდა ვაცალოთ? — მიუგო დანგაძემ, — მიუხედავად ჩვენი მრავალჯერ მიმართვისა და თხოვნისა, პროფკავშირების საბჭოსაგან და შრომის სამინისტროსაგან დღემდე პასუხიც კი არ მიგვიღია. ამხანაგებო, — განაგრძო მან, — უკეთესი ცხოვრება თავისთავად, უბრძოლველად არ მოვა.

ჩაპლიგინი, შაქრო და კარო ცეცხლს უნთებდნენ მის სიტყვას.

ატყდა ცხარე კამათი. ბოლშევიკებმა და მათმა მომხრეებმა გიორგაძემ და ვადაჭკორიამ სერგო ნამორაძე გააშავეს და გაფიცვა მიზანშეწონილად სცნეს.

±

შაქროსთან სტუმრად მისულმა მუშებმა მეორე დღეს სამუშაოზე გაფიცვის სასარგებლოდ აგიტაცია დაიწყეს.

ქალაქში აქა-იქ მანამდეც იფეთქეს სტიქიურმა გაფიცვებმა. გიმნაზიის და სკოლებს მასწავლებლები, ქალაქის გამგეობის მოსამსახურენიც კი გაიფიცნენ. ბოლშევიკების საქალაქო კომიტეტი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის ემზადებოდა. კარომ წინადადება მისცა გიორგაძეს და ვადაჭკორიას, არალეგალური ფურცლები მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბაში დაებეჭდათ.

სტამბის გვერდით ბინა დაექირავა საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორმა ბორის ძნელაძემ და კონსპირაციულად აქცია იგი. ოთახის გასაღები თვითონ ბორისს, კაროს,

შაქროს და სტამბის დარაჯს გაბოს ჰქონდათ. კაროს მიერ მოტანილ ნასალას შაქრო მენშევიკების გაზეთ „ერთობაზე“ მუშაობის დროს ფარულად აწყობდა, გიორგაძე და ვადაჭკორია კი ბეჭდავდნენ. პროკლამაციებს ბორის ძნელაძის ოთახში ინახავდნენ. ადრე დილით პროკლამაციები გაბოს ან კაროს ამხანაგს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის სტეფანე ვართანიანის კონსპირაციულ ბინაში მიჰქონდათ. შაქრო ხახუტაშვილი, გიორგაძე და ვადაჭკორია ექვსი თვის განმავლობაში ბეჭდავდნენ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის სტამბაში კაროს მიერ გარმონით მიტანილ არალეგალურ ლიტერატურას.

ბოლოს მიაგნეს პროკლამაციების ბეჭდვის ადგილს და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი შეძრწუნდა: მოღალატენი თვით ჩვენს ოჯახში მოკალათებულანო. გიორგაძე და ვადაჭკორია სტამბიდან დაითხოვეს და თბილისიდან გაგდებახლეს.

ამის შემდეგ კარომ მენშევიკების სტამბას თავი გააბნება, ახალი სტამბის ძებნა დაწყო და მალე მიაგნო კიდეც. ახლა იგი თავისი გარმონით კალოუბნის ქუჩაზე ფედერალისტების სტამბას მიადგა. ამ სტამბის მუშის — ხომერიკის საშუალებით იგი დაუახლოვდა მბეჭდავ ვასო მარუაშვილს, სტამბის გამგეს თედო მერკვილაძეს და შავ მუშას ანტონ ხარებოვს. პროკლამაციებს აწყობდა თვით კარო თავის ბინაზე— დიდუბეში. აქედან მუშა ხარებოვს ანაწყობი სტამბაში მიჰქონდა და იქ ვასო მარუაშვილი ბეჭდავდა. ამ სტამბაში ბოლშევიკების ერთი ეროული პროკლამაციის დაბეჭდვის შენდეგ რამიშვილმა ბრალი დასდო ფედერალისტებს არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვაში. დამნაშავეებს მიაკვლიეს და პროკლამაციის ამწყობი მუშები სტამბიდან დაითხოვეს. შენშევიკებმა მკაცრი ზომები მიიღეს, სტამბებში კონტროლი დააწესეს და არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა გაძნელდა. მერმე არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა მოხერხდა ქაშვეთის ეკლესიის ეზოში მოთავსებულ ეროვნულ-დემოკრატების სტამბა „მამულში“, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და სხვაგანაც.

კარო იარალოვი აბერხებდა არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვას ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა და სან-

და ამხანაგებს მიაგნებდა. ასე, მაგალითად, კომკავშირის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით უნდა გამოსულიყო არალეგალური ჟურნალი. ეს საქმე ვანო მახათაძემ და ბორის ძნელაძემ კაროს მიანდეს. ამ მიზნით კარომ დაიხმარა ანთამწყობი რომან კრინიცკი და ვანო გოზალიშვილი. ისინი მატინიანცის სტამბაში ჩაიკეტნენ და ბალე ჟურნალი ააწყვეს. ბეჭდვა საღამოს რვა საათიდან უნდა დაეწყოთ. ისინი შვიდ საათზე უკვე სტამბაში იყვნენ და მბეჭდავ იოსებაშვილის მოსვლას ელოდნენ, მაგრამ იოსებაშვილთან ერთად სისხლის სამართლის მილიციის აგენტები მოვიდნენ. პირველად კარომ, რომან კრინიცკიმ და ვანო გოზალიშვილმა იფიქრეს, რომ ისინი გაცემული იყვნენ იოსებაშვილის მიერ. მაგრამ სულ სხვა რამ გამოირკვა. იოსებაშვილს ბრალსა სდებდნენ იმაში, თითქოს იგი მთავრობის სტამბიდან ახალ შრიფტს იპარავდა. კომკავშირის ჟურნალი იმ ნაქურდალი შრიფტით იყო აწყობილი კაროს, რომანის და ვანოს მიერ. საბედნიეროდ, სისხლის სამართლის მილიციის აგენტები არ დაინტერესებულან, თუ რა იყო აწყობილი იმ ახალი ნაქურდალი შრიფტით. შრიფტი დაშალეს და კონფისკაცია უყვეს... ამ გარემოებამ ხელი შეუშალა კომკავშირის ჟურნალის გამოცემას.

დიდუბეში

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული.

ევდოშვილი

1

საღამო იყო, როდესაც ვანო მახათაძემ დიდუბის ჭუჩიდან გადაუხვია და ვახტანგის ქუჩას მტკვრისაკენ გაჰყვა. ალაყაფის კარები შეაღო, პატარა ეზო გაირბინა და კიბით აივანზე აცოცდა.

ვანოს მამა ბათლომე, დედა სალომე და და ქეთო ვახშმობდნენ. შავ პურს, კარტოფილს და უგრეხელსა სჭამდნენ.

— ვანო! — დაიძახა გამხდარმა და დალეულმა ქალმა სა-

ლომემ და ისა და ქეთო ვანოს მოეხვივნენ. ბათლომემ შვილს გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

რადგან ვანო ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორჯერ იყო დაპატიმრებული და რუსეთში გასახლებული, ამიტომ სალომე და ქეთო უფრო ხშირად მას მეტეხში ნახულობდნენ. ახლა ვანო თავისი სკოლის ამხანაგის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის, სტეფანე ვართანიანის კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა. ხანაც შამქორის ბრძოლაში მოკლული თავისი მეგობრის პეტრო ნატოშვილის დედის — მარინეს ბინაში ათევდა ღამეს. ამიტომ მშობლებისათვის, განსაკუთრებით კი დედისა და დისათვის, ვანოს შინ მოსვლა დიდი სიხარული იყო. მამა ქალაქში ხვდებოდა ხანდახან.

ოთახის შუა ადგილას, მაგიდაზე, ნავთის ლამპა იდგა და ღარიბულად მორთულ პატარა ბინას ძლივს აშუქებდა. ოთახის მთელ მორთულობას სუფთად გაწყობილი ორი საწოლი და განჯინა შეადგენდა. ვანო მაგიდასთან დაჯდა. გამხდარი დედა თავზე დაადგა, ჩანჩხურა ხელი მხარზე დაადო, სახეში ჩაჰხედა, გაუღიმა და უთხრა:

— რა არის, ბიჭო, ასე იშვიათად რომ მოდიხარ შინ? მეტეხში უფრო ხშირად გნახულობდი.

— მაშ, შენთვის ისა სჯობია, დედაჩემო; ისევ მეტეხში ვიჯდე,— გაეხუმრა ვანო.

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო,—უპასუხა დედა.

თუმცა სალომე ნატანჯი და ხიფათს შეჩვეული ქალი იყო, მისი ქმარი ბათლომე 1905 წლიდან 1917 წლამდე ხუთჯერ იყო დაპატიმრებული და ერთხელ კიდევ ციმბირში გადასახლებული, მაინც ვაჟკაცურად იტანდა გაჭირვებას მარტოხელა ქალი და მრავალრიცხოვან ოჯახს უძღვებოდა. ბოლოს უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ვანოს დაპატიმრებისა და გადასახლების ჯავრსაც გაუძლო. მაგრამ წინანდელი მხნეობა, გამძლეობა, და ძალა დაჰკარგოდა. უღონოდ დაეშვა სკამზე. ვანომ შეხედა და შეეცოდა. გამხდარ და დალეულ ქალს შავი თავშლიდან გამოჩენილი თეთრი თმის ბღუჯა გადმოფენოდა დამჭკნარ ლოყაზე. სამი ქალის დაჭლექებას და სიკვდილს საბოლოოდ გაეტეხა სალომე. მწუხარებას და ცრემლებს ამოეწვათ გაუთავებელი გლოვით გაშტერებული მისი წყლისფერი თვალები. უცნაურად გაშავებული და დამ-

ჭკნარი მისი სახე თითქო სილატაკის, ტანჯვა-წამების, ჭირის და ზაფრის ცეცხლს გაუტრუსავსო.

ვანომ თავი ჩაჰკიდა. მას ჯავრი ღრღნიდა, ღარიბ მშობლებს რომ ვერ ეხმარებოდა. თუმცა ნასწავლი და განათლებული ქალი არ იყო სალომე, იგი მაინც გუმანით ხვდებოდა, მისი ქმარი და შვილიც მართალ საქმეს რომ ემსახურებოდნენ და ღარიბი ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდნენ. ამიტომ ჭირში მყოფ დედას საყვედური მაინც არ უთქვამს არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი შვილისათვის, რომელიც თავს არ არიდებდა ხიფათს და დედასაც არ იბარალებდა, თავისი ხიფათით და უბედურებით რომ არ დაეტანჯა იგი.

მამა დედაზე უფრო შენახული ჩანდა. იგი გამხდარი, მაღალი და ქერა კაცი იყო. მხოლოდ საფეთქლებთან და გრძელ ულვაშებში შეჰპარვოდა აქა-იქ ჭაღარა. დინჯად იჯდა შვილის პირდაპირ შავ, მოძველებულ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი. მიუხედავად სამი შვილის სიკვდილისა, თავისი პატრონობისა, ციმბირში გადასახლებისა, მანქანით ორი თითის მოწყვეტისა, შიმშილისა და სილატაკისა, იგი მაინც მხნედ იყო, სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას არ იშლიდა. იგი იატაკქვეშ მომუშავე და ჭირგამოვლილი ძველი და გამობრძმედილი, შეგნებული და მოწინავე მუშა იყო. თავი მოსწონდა ნასწავლი და მებრძოლი შვილით. იგი დიდი წარმოდგენის იყო ვანოზე და ამიტომ მოკრძალებით ეპყრობოდა შვილს, ასეთს მოკრძალებას და წარმოდგენას კიდევ ის გარემოება აძლიერებდა, რომ ვანო ოქტომბრის რევოლუციის დროს პეტროგრადის მებრძოლთა რიგებში აღმოჩნდა, ლენინი თავისი თვალით ენახა და მისი სიტყვები საკუთარი ყურით მოესმინა... ბათლომეს ძალიან უყვარდა პეტროგრადის ამბებზე შვილის საუბრის მოსმენა. ისიც ახარებდა. სამხრეთ რუსეთსა და კავკავში სერგეი კიროვთან რომ ემუშავნა მის შვილს.

კედიას საქანგებო რაზმის აგენტები მეძებარი ძაღლებივით რომ სდევნიდნენ და ზვერავდნენ ვანოს, აღონებდა. ჩაფიქრდა. თეფშს დააცქერდა. ჩანგალი აიღო და უგრეხელის შარცვლებს ჩხრეკა დაუწყო. თითქო ყუთში ჩაყრილ საჭი-

რო ასოებს სადგისით ეძებსო. მერმე ერთბაშად ასწია თავი, შვილს შეხედა და ამაყად უთხრა:

— კედიას ლეკვებს სურთ დაგვაფრთხონ და ბრძოლაზე ხელი აგვაღებინონ, მაგრამ ისინი ვერ მოესწრებიან ამას.

ამასვე ფიქრობდა ვანოზე შეყვარებული და მისი პირისწინებით მოხიბლული ქეთოც, რომელიც ანთებული თვალებით მიშტერებოდა ძმას. ბათლომეს შენიშვნის მერმე მამა-შვილს შორის საუბარი მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე ჩამოვარდა. საუბრის მთავარ საგანს მოსკოვზე დენიკინის გალაშქრება, მის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა წარმოადგენდა.

ვანო მონაწილე იყო ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური ბრძოლისა და სამოქალაქო ომისა, მაგრამ ამის გამო მას არც შინ და არც გარეთ ლაპარაკი არ უყვარდა.

ქეთო კი არ ეშვებოდა:

— ჩრდილო კავკასიაში ხომ კიროვი და ორჯონიკიძე ბოლშევიკობდნენ? გინახავს ისინი? იცნობ მათ?

ვანომ დის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. მოკლედ და ძუნწად უამბო მას ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე სამოქალაქო ომზე, ისე რომ თვითონ იგი და მისი როლი მის ნაამბობში თითქმის არ ჩანდა.

8

ვაწომ საათს დახედა და ღელვება დაეტყო.

— არად იგვიანებენ ჩვენი ბიჭები?— ჩაილაპარაკა მან. მალე კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა და ოთახში შაქრო ხახუტაშვილი და კარო იარალოვი შევიდნენ.

ვანოს მშობლები კარგად იცნობდნენ მათ.

ბათლომე, ვანო, შაქრო და კარო მერცხლის ბუდესავით აივანზე მიშენებულ პატარა ოთახში შევიდნენ. აივანზე ამ ოთახის მიშენების იდეა ვანოს ეკუთვნოდა. ოთახი ეზოში ჩარჭობილ ბოძებზე იდგა, შესავალ კარებს პატარა კიბე ჰქონდა აივნიდან. ბათლომემ ლამპა აანთო და ტახტზე დაჯდა. გვერდით შაქრო და კარო მოისვა. ვანო კი წრგნებით სავსე ბატარა მაგიდასთან მოთავსდა. ტახტისა, პატარა მაგიდისა და სკამის გარდა, სხვა არაფერი ეტეოდა იქ და ისეთი სივიწრო-

ვე იყო, რომ ოთხი კაცის მობრუნებაც კი ჭირდა. აქ გაატარა ვანომ თავისი მოწაფეობა. მერმე, როდესაც ჯარში გაიწვიეს, ეს ოთახი მემკვიდრეობით მის დას— ქეთოს დარჩა.

— მაპატიეთ, — დაიწყო ვანომ, — შენ უჩვენოდაც კარგად იცი, რომ ჩვენი არალეგალური პრესა, დევნის გამო, მეტად სავალალო მდგომარეობაშია. მართალია, შენ ნაბრძოლი და ნატანჯი, უკვე ხანშესული კაცი ხარ, მაგრამ ახლაც ხელი უნდა გამოიღო და არალეგალურ სტამბაში შენი ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება ახალგაზრდებს გაუზიარო და ერთი დიდი საქმის შესრულებაში მიეშველო, — უთხრა ვანომ მამას და გამხდარ ჭაბუკს კარო იარალოვს და შავულვაშიან ჯმუხ კაცს — შაქრო ხახუტაშვილს გადახედა. ბათლომემ გაიღიმა და შვილს ჰკითხა:

— შაქროც ახალგაზრდების რიცხვში ჩასთვალე?

— მე, კარო და შაქრო კომკავშირის ხელმძღვანელმა ბორის ძნელაძემ გამოგვგზავნა შენთან დელეგატებად, — მიუგო ვანომ.

ბათლომემ თუთუნი გააწყო და გააბოლა. დასახიჩრებული ხელი, თითქო მალავსო, მარჯვენა იღლიის ქვეშ ამოიდო, ხოლო მარჯვენა ხელის ცერით ჭაღარა ულვაშები გაისწორა. იგი მაშინვე მიხვდა, შვილი რომ რაღაც დავალებას აძლევდა. „ამიტომ მოიყვანა, ალბათ, ვანომ ღონიერი და უშიშარი კაცი შაქრო ხახუტაშვილი და იატაკქვეშ განთქმული მომუშავე კარო იარალოვიო“, — გაიფიქრა მან. ჩაახველა და თავი ჩაჰკიდა. შაქრო ხახუტაშვილი, კარო იარალოვი და სხვა ახალგაზრდა მუშები კარგად იცნობდნენ ძველ და განათლებულ მუშას ბათლომე მახათაძეს, რომელსაც არალეგალური მუშაობისა და თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მართლაც საამაყო გზა ჰქონდა განვლილი.

— ვატყობ, რაღაც საქმეში მაბამთ, ბიჭებო. ბერი კაცი თუ რამეში კიდევ გამოგადგებით, უკან არ დავიხევ, — მიმართა მან დამსწრეთ. კარომ გაიღიმა და შენიშნა:

— ნათქვამია: ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო.

— რა დროს შენი სიბერეა! — უთხრა შაქრომ და შესძახა: — გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი ჩაიდგი მგლისაო!

ბათლომემ გაიღიმა და შაქროს და კაროს უთხრა:

— ჩემს ქებას თავი გაანებეთ და იცით რითხარით: რა საქმე გაქვთ ჩემთან?

— მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა ჩვენი რედაქცია და სტამბა დაარბიეს, ფურცლებს, პროკლამაციებს და პარტიულ ლიტერატურას, როგორც იცი, სხვადასხვა სტამბაში ფარულად ვბეჭდავდით, — მიუგო შაქრომ. — ახლა ეგ საქმეც გაჭირდა, რადგან მენშევიკებმა კონტროლი დააწესეს და სტამბებში კედიას აგენტები დაძრწიან. ისეთი ხერხიანი ბიჭი, როგორიც კაროა, ესეც კი ვერაფერს გახდა...

— ჩვენი ლიტერატურის ბეჭდვის საქმე ბევრჯერ ჩავარდა და ახლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, თითქმის შეუძლებელია, — დაუდასტურა კარომ შაქროს.

— პარტიამ დაადგინა საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობა. ამ საქმის მოწყობა ახალგაზრდებმა ვიკისრეთ, — შეატყობინა ვანომ მამას.

— ცუდი როდია, ეგ საქმე ახალგაზრდებმა რომ იკისრეთ, — შენიშნა მამამ და ჰკითხა: — სად იშოვეთ მანქანას? სად და ვისთან აპირებთ სტამბის მოწყობას?

— სწორედ ამიტომ მოვედით შენთან. ნებართვა სოსო ალავიძისა და სერგო ქავთარაძისაგან მივიღეთ, თანხაც გვაქვს.... მანქანის შესახებ კარო გეტყვის, — მიუგო ვანომ.

— ძია ბათლომე, — დაიწყო კარომ, —მე უკვე თავი დავანებე სამუშაოს. როგორც ჭლექით დაავადებული, გამანთავისუფლეს. მუშაობისათვის ახლა უფრო მოცლილი ვარ.

ბათლომემ თავი ასწია და შავ ქურთუკში გამოწყობილ, თვალებანთებულ, გამხდარ და მხრებაჩეჩილ, შავგრემან ჭაბუკს შეხედა. ჭლექი მართლაც სჭირდა კაროს. მით უფრო საკვირველი იყო მისი ამტანობა, სიმხნე და სიმაცე, გამბედაობა და დაუდგრომლობა.

— მე მობილიზაცია გავუკეთე ჩემს ამხანაგებს, — განაგრძო კარომ. — მაგრამ შრიფტი სტამბისათვის კერძოდ ვერ ვიშოვეთ. ამიტომ სხვადასხვა სტამბიდან მოვიპარეთ. ამ საქმეში შაქრომაც დიდი დახმარება გაგვიწია.

— ო, თქვე ქურდებო, თქვენა! ვინ იცის, იქნებ ჩვენი სტამბიდანაც აცოცეთ? — ჰკითხა ბათლომემ.

— ავაცოცეთ, ძია ბათლომე, — მიუგო კარომ. — ჩვენ

უკვე დავაგროვეთ ექვსი ყუთი ქართული, რუსული და სომხური შრიფტი და აქ, დიდუბეში ერთი საიმედო მოხუცის ქალის ბინაზე შევინახეთ. ახლა მხოლოდ ბინა და მანქანა გვაკლია.

შაქრომ გაიღიმა და ბათლომეს უთხრა:

— ისე მოგვივიდა, როგორც ერთ გლეხს, რომელმაც ნალი იპოვა და დაიძახა: რა მაკლია და, ცხენიო!

— კარგი რამ გკლებიაო, — შენიშნა ბათლომემ.

— არც ისე უიმედოა ჩვენი საქმე, შაქრო რომ აბებიჭებს, — მიმართა კარომ ბათლომეს, — წინათ ჩვენს არალეგალურ სტამბაში ჟანდარმერიას ერთი პატარა მანქანა აღმოუჩენია და იგი მეფისნაცვლის სტამბისათვის გადაუცია. ახლა ის მანქანა მენშევიკების განკარგულებაშია. ჩვენ გადავწყვიტეთ იმ მანქანის გატაცება. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ „კავკასკოე სლოვოს“ სტამბიდან გავიტაცებთ.

— იქ ღამით მუშაობა არ წარმოებს. კარგია. — შენიშნა შაქრომ.

— მე და ჩემმა მეგობარმა, ზეინკალმა დიმიტრი ჩაბლიანმა, — განაგრძო ისევ კარომ, — ორივე სტამბის კარებიდან კლიტეს ზომა ავიღეთ და უკვე გასაღები თანა გვაქვს. ყველაფერი მზად არის, მაგრამ მანქანის გატაცება შევაჩერეთ, რადგან ბინა და ადგილი სტამბისათვის ჯერ კიდევ ვერ გამოვძებნეთ.

— მაშაჩემო, იქნებ შენ გეგულება სანდო პირი, ან იქნებ მოხერხებული და საიმედო ადგილი მიგვიჩინო სტამბის მოსაწყობად. — სთხოვა ვანომ მამას.

ბათლომე ჩაფიქრდა და დიდი ხნის დუმილის შემდეგ მიუგო:

— არის ერთი ჩემი ძველი მეგობარი, ასოთამწყობი ნიკოლოზ მაკაროვი. იგი მეტად საიმედო პიროვნებაა. ის დიდუბეში, მტკვრის პირას ცხოვრობს. ახლა სოფლის მეურნეობას ეწევა. თუ კოლია მაკაროვი დათანხმდა, სტამბა სახლის ქვეშ — სარდაფში უნდა მოეწყოს.

— ნიკოლოზ მაკაროვი, ნიკოლოზ მაკაროვი, — გაიმეორა კარომ, თითქოს იგი იცნობდა მაკაროვს და ახლა მის სახეს იგონებსო.

— არა, შენ ალბათ, არ იცნობ მას. იგი ჩვენი ხნის კაცია, ჩვენთან ერთად მუშაობდა არალეგალურ სტამბაში აქ და ბაქომიც, ლადო კეცხოველთან, — შენიშნა ბათლომემ.

— საიმედო კაცია? — ჰკითხა კარლომ.

— საიმედოა.

— ოჯახი? ცოლი და შვილი?

— ცოლიც საიმედოა. შვილი ომში მოუკლეს და ამჟამად პაპასთან და დიდედასთან შვილიშვილები — ბალღები ცხოვრობენ.

— დათანხმდება მაკაროვი თავის სახლში სტამბის მოწყობას?

— მე ვფიქრობ, დათანხმდება— მიუგო ბათლომემ კაროს.

— მოხერხებულ ადგილად მოგაჩნია მაკაროვის ბინა და სარდაფი სტამბისათვის? — ახლა შვილმა ჰკითხა მამას.

— მეტად მოხერხებულად. აკი გითხარი, კოლია მაკაროვი დიდუბეში ცალკე, მტკვრის პირას ცხოვრობს-მეთქი. მასთან მისვლა ნავითაც შეიძლება, ნავი პირდაპირ მის ეზოს ადგება, — მიუგო მამამ.

— ეს მეტად კარგი ამბავია, — განაცხადა ვანომ, — ხვალვე უნდა ინახულო, მამაჩემო, მაკაროვი. კარო წამოგყვება და თუ მაკაროვი დათანხმდა, კაროს თვალი ყველაფერს შეამჩნევს და აწონის.

— აი, გიდი, კარო! — მიუბრუნდა ბათლომე კაროს და უთხრა: — წინათ ჩემს თვალს, უნაკს და გამოცდილებას ისეთი დიდი რევოლუციონერი და იტაკქვეშ მომუშავე კაცი ენდობოდა, როგორიც ლადო კეცხოველი იყო. ახლა კი შვილი ჩემზე უფრო შენ გენდობა... ასე არის მოწყობილი ეს ცხოვრება: ძველ თაობას ახალი თაობა სცვლის, — უთხრა ბათლომემ კაროს.

— აბა, მე რა თქვენი შესადარი ვარ, — დარცხვენით ჩაილაპარაკა კარომ.

— განა შენ ჩვენთან არ იმუშავებ, — შენიშნა ხახუტაშვილმა ბათლომეს. — შენ, მე, ვანო იოსებაშვილი, მარტია ტერეშჩენკო, რომან კრიინიცკი, ლეონ ვარდოიანი და არამ ბეჟანიშვილი ასოთამწყობებად ვიქნებით. ჰბეჭდავებიც გვაქვს.

კარო, ვასო მარუაშვილი და იაშა მუხინი კი გარე-გარე ივლიან, სტამბასა და კომიტეტს შორის კავშირის დასაჭერად, აგრეთვე ქალალდის გადმოსაზიდად და დაბეჭდილი მასალის გასავრცელებლად.

დიდი აჯანყების წინ

1

1919 წლის შემოდგომის დასაწყისში შედგა ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმი მიმდინარეობდა ვარდისუბნის ჭუჩის ბოლოს, ორსართულიანი სახლის კონსპირაციულ ბინაში, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა. წინა ოთახი ჭუჩაში გადიოდა, უკანა კი — ეზოში და იგი სახლის მობინადრეთაგან იზოლირებული იყო. ოთახში ორი საწოლი, რამდენიმე სკამი და პატარა მაგიდა იდგა. ჭერზე ჩამოკიდებული ლამპა, ელდენის დაბალი ძაბვის გამო, ოთახს ძლივს აშუქებდა. კონსპირაციულ ბინას საგანგებოდ შერჩეული და გადაცმული პირები დარაჯობდნენ. პლენუმზე შეიარაღებული აჯანყების საკითხი ირჩეოდა. მოხსენება სერგო ქავთარაძემ, ვანო მახათაძემ და ბორის ძნელაძემ გააკეთეს.

პირველი სიტყვა სერგო ქავთარაძეს მიეცა. ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილმა, შავგვრემანმა და ლამაზმა კაცმა გულჯიბიდან საათი ამოიღო და წინ დაიდო. ქავთარაძე წუახნის კაცი იქნებოდა, წვერი გაპარსული ჰქონდა, შავი ულვაშები კი მოკლედ შეკრეჭილი. შავი, დიდრონი, ჭკვიანი და მგზნებარე თვალები მიმოავლო დამსწრეთ და მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა გააკეთა.

— არასოდეს ჩვენს მუშებს და გლეხებს ისეთი გაჭირვება და შიმშილი არ განუცდიათ, როგორც ახლა — მენშევიკების ბატონობის დროს. — დაიწყო სერგო ქავთარაძემ,— შრომის მძიმე პირობების გამო მუშები ფაბრიკა-ქარხნებს სტოვებენ. კონფლიქტები მუშებსა და მწარმოებელთა შორის გაფიცვებით თავდება. მენშევიკები ბრალს დებენ გაფიცულ

შეუნებს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. ისინი ამტკიცებენ, რომ გაფიცვები „დემოკრატიის“ რიგებში ანარქიას და არევ-დარევას იწვევენო. რასაკვირველია, ათასნაირად აბრუნებს სიტყვას — „დემოკრატია“ რათა მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო მუშების წინააღმდეგ მიმართული მკაცრი რეპრესიები გაამართლოს, მაგრამ საქართველოს მუშები მარტონი არ არიან თავიანთ ბრძოლაში, მათ მხარს უჭერს ამიერკავკასიის ყველა მშრომელი და, უპირველეს ყოვლისა, ბაქოს პროლეტარიატი. ეკონომიური გაფიცვები საქართველოში ახლა პოლიტიკურ ხასიათს ღებულობენ. საკმარისია აღვნიშნოთ, როგორი სისწრაფით მიმდინარეობს პროფკავშირების გადასვლა რევოლუციურ ლიანდაგზე. მუშებისა და გლეხების ძირითადი მასა ჩვენს მხარეზე გადმოდის. მენშევიკები შეშფოთებული არიან. ისინი ხედავენ, რომ მათი ხელისუფლების დღეები დათვლილია. განსაკუთრებით აშფოთებს მათ სხვები იმის შესახებ, რომ ინგლისელები ამიერკავკასიიდან თავიანთი ჯარების გაყვანას აპირებენო. ცნობილია, რომ პარიზში მყოფმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობების დელეგაციამ თხოვნით მიმართა ანტანტის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს — კლემანსოს, დატოვებულ იქნას კავკასიაში მოკავშირეთა ჯარები მანამდე, სანამ საკითხი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ დადებითად გადაწყდებოდეს. მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს თავისთვის სცემს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესაძლებლობა. ამით აიხსნება მათი აურზაური იმის შესახებ, რომ „დემოკრატიას“ საშიშროება მოელისო. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ისინი მზად არიან ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ყოველგვარი მოთხოვნილება მიიღონ.

დასასრულს ჭავთარაძემ განაცხადა:

— ასეთია ზოგადად საქართველოს სურათი და საგარეო მდგომარეობა. დენიკინის არმია კვლავ მოსკოვისაკენ მიიწევს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საბჭოთა სახელმწიფოს. მეორე მხრივ, არახელსაყრელი პირობები იქმნება დენიკინისათვისაც ბის ზურგში. ამიერკავკასიაში გამეფებულმა სიღატაკემ, შიმშილმა, მეურნეობის დაშლამ მუშებისა და

ყველა მშრომელის უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ საკითხი შეიარაღებული აჯანყების შესახებ დგას დღეს-დღეობით ჩვენს წინაშე, როგორც გადაუდებელი ამოცანა. ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ აჯანყება წარმატებით დამთავრდეს, მომზადებულია თვითონ ცხოვრებით, მიმდინარე ამბების მთელი მსვლელობით.

მახათაძემ ჯარში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა.

როგორც ქავთარაძემ, აგრეთვე მახათაძემაც შეიარაღებულ აჯანყებას დაუჭირა მხარი. ვანომ განაცხადა:

— თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაბანაკებული ჯარის, აგრეთვე მეზღვაურების ძირითადი მასა აჯანყებას ემხრობა. აჯანყება დროულია და მიზანშეწონილი.

კომკავშირის შესახებ მოხსენება ბორის ძნელაძემ გააკეთა.

— ბაქოში შედგა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები. პირველ ყრილობაზე არჩეულ იქნა კომკავშირის ამიერკავკასიის კომიტეტი და გამოტანილი იყო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ყველა კომკავშირული ორგანიზაციის რუსეთის კომკავშირთან გაერთიანების შესახებ.

— კომკავშირული ორგანიზაციები არსებობენ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. — ამბობდა ბორის ძნელაძე, — ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ჯარსა და ჩვენს ახალგაზრდობაში. კომკავშირის სამხარეო კომიტეტი მხარს უჭერს შეიარაღებულ აჯანყებას და მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც აჯანყების მოწყობაში, აგრეთვე თვით შეიარაღებულ ბრძოლაშიც.

2

მოხსენების მერმე კამათი გაიმართა. სიტყვა ჭალიაშვილმა, წვერულვაშიანმა კაცმა — ფილიპე მახარაძემ აიღო. იგი თავისი ხანდაზმულობისა და პარტიული სტაჟის გამო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კომუნისტებს შორის. აჯანყების საკითხის დაყენებას იგი იმთავითვე გაურბოდა. პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველ პლენუმზე მან აჯანყებას წი-

ნაალმდეგ გაილაშქრა. ახლა — მეორე პლენუმზე კი დიდ სიფრთხილეს იჩენდა:

— აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს, ვეჭვობ, საიდანმე აღმოუჩნდეს დამხმარე ძალა. საქართველოს რეგულარულ ჯარზე იმედის დამყარება საეჭვოა. წითელი ჯარი ამჟამად, დენიკინის ლაშქრის შეტევის გამო, მოსკოვისკენ იხევს და ჩვენს დახმარებას ვერ შესძლებს, მენშევიკებს კი უთუოდ აღმოუჩენენ დახმარებას როგორც დენიკინი, აგრეთვე იმპერიალისტური ქვეყნები.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას წინათ ინგლისის ჯარებმა დატოვეს როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორია, — შენიშნა სერგო ქავთარაძემ. — ინგლისი და საფრანგეთი ამჟამად მენშევიკებს დახმარებას ვერ აღმოუჩენს, გარდა ამისა, დენიკინის მთელი ყურადღება ახლა მოსკოვისაკენ არის მიპყრობილი.

— საქართველოში თუ აჯანყება დაიწყო, გაწა გამარჯვებულს და მოსკოვისაკენ მიმავალ დენიკინს გაუჭირდება, მენშევიკებს ერთი ან ორი დივიზია გამოუგზავნოს ან ინგლისი გაწა ბათუმში და ფოთში დესანტს ვერ გადმოსხამს? დენიკინისა და ინგლისის დახმარებით მენშევიკები ჩვენს აჯანყებას სისხლში ჩაახრჩობენ.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა მახარაძეს მაშუკა დალაქიშვილმა, — აჯანყების საკითხში დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

დალაქიშვილიც ხანში შესული, ბაღარაშერეული კაცი იყო. მის უბედურებას ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მან ჯერ კიდევ ემიგრაციაში — შვეიცარიაში ყოფნის დროს შეირთო ქართველი სტუდენტი ქალი გუგული ნიჟარაძე, რომელიც მერმე მენშევიკი გახდა და ბოლშევიკის მიერ მოწყობილ ოჯახში— ზეა ბუდეში თავის მენშევიკურ კვერცხებსა სდებდა. ამიტომ დალაქიშვილს არა მარტო პარტიულ სხდომებზე, არამედ შინ, ოჯახშიც დაუსრულებელი დისკუსია ჰქონდა გამართული. ნიკო გოცირიძე წინათაც უკმაყოფილო იყო მახარაძისა და დალაქიშვილის პოზიციით და მათ მოაგონა:

— თქვენ შარშან შამქორის სიხლიანი ამბებისა და ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტის შემდეგ აჯანყების წინააღმდეგ ილაშქრებდით. მაშინ მე და ვანო

მახათაძე გარწმუნებდით, რომ თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა საშუალებით ჩვენ სულ ადვილად გავრეკავდით მენშევიკებს და ხელთ ვიგდებდით ძალაუფლებას, მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ.

— მაშინ კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა საშუალებით აჯანყება რომ მოგვეხდინა, მენშევიკები პროკლამაციას და დემაგოგიას მიმართავდნენ: ბოლშევიკებმა გარედან, რუსი ჯარისკაცების საშუალებით მოახდინეს გადატრიალებაო, — შენიშნა დალაქიშვილმა.

— არა, — არ დაეთანხმა ნიკო, — ვანო და მე მუშათა რაზმების და თბილისის გარნიზონის ქართველი ჯარისკაცების საშუალებით ვფიქრობდით მენშევიკური ხელისუფლების დამხობას. განა დიდი ჯარი იყო მაშინ საჭირო? სულ ორი-სამი პოლკით გავრეკავდით მენშევიკებს.

მახარაძემ დამცინავად გაიღიმა და შენიშნა:

— ძალაუფლების ხელში ჩაგდება კი არ არის მთავარი, არამედ მისი შენარჩუნება. მარტოკა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცების საშუალებით მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნება შეუძლებელია.

— ჩვენ უთუოდ მხარს დაგვიჭერდნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, თელავის მუშები და გარნიზონები.

— საეჭვოა. სასურველსა და შესაძლებელს შორის არსებულ განსხვავებას თქვენ ყურადღებას არ აქცევდით. გაფრთხილებთ: სანამ აჯანყების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, საჭიროა წარსულის გამოცდილების გამოყენება და მდგომარეობის ზედმიწევნითი, მრავალმხრივი შესწავლა.

— ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, — სიტყვა გააწყვეტინა ბორის ძნელაძემ, — აჯანყებისათვის მზადების დროს ჩვენ კარგად გვახსოვს სამოქალაქო ომზე ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო ომის სკოლა ხალხისათვის არასოდეს უნაყოფოდ არ ჩაივლის, რომ იგი მჯიშებსა და გლეხებს ბევრ რამეს ასწავლის.

— ეს ყოველივე ასეა, ეს კარგია, — თქვა მახარაძემ, — მაგრამ კამათი სულ სხვა რამეზეა. რა თქმა უნდა, სამოქალაქო ომის სკოლა — სასარგებლო სკოლაა. მაგრამ იგი აუცილებელია ისეთი ხალხებისათვის, რომელთაც რევოლუციური

ბრძოლის საკმარისი გამოცდილება არ გააჩნიათ. ჩვენ კი ცხრაას ხუთი წლის ოქტომბრის რევოლუცია გამოვიარეთ. ნუ გავიწყდებათ შამქორის ტრაგედია და ათი თებერვლის სისხლიანი დღე. მე ვაცხადებ, არ უნდა ვიწყებდეთ ბრძოლას, თუ იგი ჯეროვნად არ არის მომზადებული.

— საკითხი ჩვენს მიერ ყოველ მხრივ შესწავლილია, გათვალისწინებულია ცხრაას ხუთი წელიც, — ჩაება კამათში ვანო მახათაძე, — ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ აჯანყება გამარჯვებით დამთავრდეს. მაგრამ, ამხანაგო ფილიპე, ჩემთვის ახლა აშკარაა, რომ თქვენ მაშინაც კი განაგრძობთ მერყეობას, გამარჯვება მწიფე ვაშლივით კალთაში რომ ჩაგივარდეთ.

— მეეჭვება, გამარჯვებისათვის ყველა წინაპირობა არსებობდეს, — შენიშნა მახარაძემ. — თქვენ, ძნელაძე და გოცირიძეც ისეთ ასაკში ხართ, რომ შეცდომები გეპატიებათ. თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ. ახალგაზრდებს კი აჩქარება, წინდაუხედაობა ეჩვევიათ და გავიწყდებათ ძველი ანდაზა: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია და ვინც რომ აჩქარებულა, მას მალე დაუნანიაო.

— მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ჩვენს შორის, — მიუგო ვანომ, — კერ კიდევ მოიპოვებიან გაუბედავი, უხერხემლო, ჩეხოვის ერთ-ერთი გმირის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს დაუსრულებლად სწონიან, რომელთაც ერთი გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანა არ ძალუძთ. ისინი მუდამ მერყეობენ, ხშირად მარჯვნივ მიდიან და ხელს გვიშლიან. როდესაც ჩვენ, ახალგაზრდები, საყვედურს გეუბნებით, თქვენ ბრაზდებით, გვტუქსავთ და პარტიული სტაჟით და ხანდაზმულობით იკვეხნით, ან კიდევ დაგვცინით და ძველ ანდაზებს გვიკითხავთ. ძველი ანდაზების მიმდევრებს გავიწყდებათ, რომ რევოლუციური ბრძოლის დროს ხშირად დგება ხოლმე ისეთი წუთი, როცა სწრაფი გადაწყვეტილების მიუღებლობა, დაყოვნება, მერყეობა და ლოდინი სიკვდილს მსგავსია. გავიწყდებათ ოქტომბრის რევოლუციის წინ თქმული ლენინის სიტყვები.

მახარაძე და დალაქიშვილი ღელავდნენ და ჰაღარაშერეულ წვერ-ულვაშზე მალმალ ისვამდნენ ხელს... მაგრამ უმრავლესობა ვანოს მიემხრო.

— აჯანყება უთუოდ უნდა მოხდეს, — განაცხადა სერგო ქავთარაძემ. — მე უკვე მოვიყვანე ამის დამანტკიცებელი საბუთები, ისინი ვერავინ ვერ დაარღვია. პლენუმმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ და მოითხოვოს სამხარეო კომიტეტის ყველა წევრისაგან, ყველა ბოლშევიკისაგან უყოყმანოდ მისი შესრულება.

პლენუმის უმრავლესობამ საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას დაუჭირა მხარი.

აჯანყების ხელმძღვანელობისათვის გამოიყო სამხედრო-რევოლუციური შტაბი. მასში შევიდნენ: ქავთარაძე, მახათაძე, ვარდოიანი, ჩაპლიგინი და კიდევ რამდენიმე პარტიული ხელმძღვანელი. ყველა რაიონსა და ქალაქში, წარმოებასა და ჯარის ნაწილში გაგზავნეს პარტიის წარმომადგენელნი. ამ მძიმხანე დღეებში თავგამოდებით მუშაობდნენ აგრეთვე კომკავშირელები ბორის ძნელაძის ხელძღვანელობით.

საგანგებო რაზმის უფროსს მოეპოვებოდა ცნობები აჯანყების მზადების შესახებ. მისმა აგენტებმა მოახერხეს აქა-იქ დაპატიმრება რიგითი კომკავშირლებისა, რომლებიც სამხედრო-რევოლუციური შტაბის დავალებას ასრულებდნენ, მაგრამ შტაბის ადგილსამყოფელს კი ვერ მიაკვლიეს. აჯანყება 6 ნოემბერს, ღამით, თბილისის მუშებსა და გარნიზონის ჯარისკაცებს უნდა დაეწყოთ. მათ დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინათ ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება: რადიო, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის სადგური, არსენალი, ყაზარმები...

მერმე აჯანყება მთელ საქართველოს უნდა მოსდებოდა.

ცუდი ამბები

ზანტად ხეებს დაეზრობს,
ფოთლები ჩამოსცვივა.

ლაიმღერო

1

კარისმერეთში დედის გაგზავრების მერმე კორნელი კიდევ უფრო დანაღვლიანდა, ხოლო არალეგალური ჟურნალის ჩავარდნამ, რომელშიაც მისი მოთხრობა „დარო“ უნდა დაბეჭდილიყო, დააწუხა. კორნელის კიდევ ორი გარემოება სტანჯავდა: დღისით — ნაიორის უნიჭო ცოლის სიმღერა და ღამით კი მეზობლის, მასწავლებელ სევერიანე ჭელბაქიანის ძუძუწოვარა ბავშვის განუწყვეტელი და გულამომჯდარი ტირილი.

ბოლოს გაიგო კორნელიმ, რა ატირებდა ასე გულსაკლავად მეზობლის ბალღს... მშიერ დედას — ანეტას ძუძუ გაწრობოდა...

ნოემბრის ათს, რთველის მერმე, კარისმერეთიდან თბილისში ტერეზა ჩამოვიდა. სანოვაგით და ხილით სავსე კალათები ჩამოიტანა.

ზამთარი ახლოვდებოდა და იგი დამჭკნარი თითებით შალის წინდას უქსოვდა შვილს, დაჭრილი ფეხი რომ თბილად ჰქონოდა, ხანდახან გადახედავდა ავადმყოფს თავისი მადლიანი, ჰკვიანი, მეტყველი და სიყვარულით სავსე თვალებით და ჯავრიან გულს დაეამებდა. კორნელის სოფელი, თავისი პავშვობა აგონდებოდა და შვილისადმი დედის სიყვარულზე იწყებდა ფიქრს: „შვილს სიყვარულის გამო ქალი ადვილად და უდრტვინველად ასრულებს დედის ყველა მოვალეობას, რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს იგი. დედისათვის არ არსებობს არავითარი ისეთი დაბრკოლება და ტანჯვა, რომელიც მან შვილის სიყვარულის გამო არ გადალახოს და არ აიტანოს. შვილისათვის ზრუნვა და თავგანწირვა დედას სამარის კარამდე თან გაჰყვება. აგერ დედაჩემი სიბერისა და უძლურობის ჟამსაც ჩემდამი ისეთ მზრუნველობას, გამძლეობასა და მხნეობას იჩენს, რაც ახალგაზრდა ქალსაც კი გაუჭირდე-

ბოდა". — ფიქრობდა კორნელი. მერმე გამბდარ მუხლზე შეაბო ხელი დედას და მის მეზობლად მცხოვრებ სევერიანე ქელბაქიანის ცოლის — ანეტასა და მისი ავადმყოფი ბალღის გამო უამბო:

— ნეტავ განახვა, რა ხალისით, სიყვარულით და სიფრთხილით დასტრიალებს დედა იმ ავადმყოფ ბალღს! რა დაუზარებლად იღვიძებს ის საცოდავი შუაღამით, იმისათვის, რომ შვილს ძუძუ აწოვოს და საჭმელი ან სასმელი რამ მისცეს!

— მაგაში საკვირველი არაფერია, — მიუგო დედამ. წინდისჩხირები და მორგვი კალთაში ჩაიდო, შვილს შეხედა და განაგრძო: — მას შემდეგ, რაც ქალი დედა გახდება, მის გულში ბავშვისადმი უსაზღვრო სიყვარული იღვიძებს. ის ბავშვი ანეტას პირველი შვილი როდია, მისი მოვლა რომ არ იცოდეს. თუმცა ეს ქალისათვის არაფერს არ ნიშნავს. თუნდაც ბავშვი სიყრმის შვილი — პირმშო იყოს და ქალი კი გამოუცდელი, სულ ერთია, დედა ისეთი მოხერხებული ქცევით და ზრუნვით ეპყრობა ჩვილს, თითქოს იგი ქცევა და ზრუნვა მთელი მისი სიცოცხლის და წინა თაობების გამოცდილების შედეგი იყოს.

— საოცარია დედის ეგ მშობლიური ინსტინქტი და შვილისადმი სიყვარული, — დასძინა კორნელიმ, — მტრის ვერავითარი ლაშქარი, თავსატეხი ქარიშხალი და საშიშროება ვერ დააფრთხობს დედას და აღებინებს ხელს შვილის დაცვასა და სიყვარულზეო, ამბობს ერთი მწერალი.

ასე ტკბილად საუბრობდნენ ტერეზა და კორნელი შვილისადმი დედის სიყვარულზე, და ორივენი კარგად გრძნობდნენ, დედასა და შვილზე თქმული მათაც რომ შეეხებოდა.

ოთახში დეიდა ელენე შევიდა და ღიმილით თქვა:

— ერთი შეხედეთ ამათ, რა ტკბილად ჰუკჰუკობენ. ნუ გეშინია, კორნელი, შენთან ჯდომა და საუბარი ტერეზას არ მოსწყინდება.

კორნელიმ დედას და ელენეს შეხედა და მათი მსგავსება მეტად გაუკვირდა.

მალე კორნელის უკეთესობა დაეტყო. გარდა ჭრილობის ადგილობრივი მკურნალობისა, საერთო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შედეგად ავადმყოფის მდგომარეობა ყოველდღი-

ურად უმჯობესდებოდა. კორნელი ხშირად ჯდებოდა საწოლ-ზე. ფეხებს იატაკზე ჩამოუშვებდა, ფეხზე დგომას ეჩვეო-და, მაგრამ კიდურისაკენ მოწოლილი სისხლის გამო დაჭრი-ლი ფეხი უმალვე უსივდებოდა და ულურჯდებოდა. ახლად ცოხრდილ, შეუჩვეველ კანში თითქოს ეკლები ერჭობოდნენ. ექიმმა აბაზანები დაუნიშნა და კორნელიც დილა-საღამოს დედის მოტანილი თბილი წყლით სავსე კასრში ჰყოფდა დაჭ-რილ ფეხს. მალე დაჭრილ ფეხზე შალის წინდა და ქეჩის მოკლეყელიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა და, ბოლოს, ოთახში ყა-ვარჯნებით სიარული დაიწყო, მალე შრომისუნარიანობაც და-უბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში კუკური ზარანდია არსად ჩანდა და კორნელიც მედიცინის ნაცვლად ფილოლოგიამ და ფილოსოფიამ გაიტაცა.

როდესაც მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა და სანა-პირო ქუჩაზე დათა მიქელაძის ბინის სარკმლებს მიაშუ-რებდა, კორნელი სასადილო ოთახში შედიოდა, სარკმელთან დაჯდებოდა და მზის ჩასვლამდე წიგნს კითხულობდა.

სასადილო ოთახის სარკმლები სანაპიროზე გადიოდნენ. სარკმლების წინ დიდი ჭადრები ჩარაზმულიყვნენ. ქუჩის იქით მყისვე მაღალი ნაპირი იწყებოდა და ქვეშ მტკვარი მიედინე-ბოდა. მტკვრის გაღმა ვერის ხიდიდან ვერის ბაღისაკენ მიმა-ვალი ქუჩა, გორაკი, გორაკის თავზე სასაფლაო, მაღალგუმ-ბათიანი ეკლესია და ყორღანოვის ქუჩაზე გაშენებული სახ-ლები ჩანდა, მერმე კი —ქალაქის განაპირას ერთბაშად აზ-ღუდული მთები, ფუნიკულიორი და სოფელ წყნეთის ტყე... საათობით შეეძლო კორნელის სასადილო ოთახის სარკმელ-თან ჯდომა და მტკვრის, ქალაქისა და მთების ცქერა. ყავარ-ჯნებს კუთხეში მიაყუდებდა, წინ სკამს დაიდგამდა, დაჭრი-ლი ფეხი რომ დროდადრო ზედ დაედო. სარკმლის ფართო რაფაზე წიგნებსა და რვეულებს დაალაგებდა და, შინ თუ არა-ვინ იყო, წიგნის კონსპექტის შედგენას, ან კიდევ ლექსებისა და მოთხრობების წერას შეუდგებოდა. სასადილო ოთახში აჩემებული სარკმელი და სარკმლის რაფა კორნელის საყვა-რელ ადგილად იქცა და დედა დაცინვით ეუბნებოდა: ბარემ ქვეშაგებიც მანდ მიიტანე და ზედ გაშალეო.

შვიდ ნოემბერს ქალაქში ხმა გავრცელდა ოზურგეთის, ახალსენაკის, თელავის, დუშეთის, გორის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში მომხდარ აჯანყებაზე. მეორე დღეს კორნელის სანახავად მარო მივიდა.

— უბედურება მოხდა, — უთხრა მან კორნელის და მოცელილივით დაჯდა სკამზე.

— რა მოხდა? — გაუკვირდა კორნელის.

— სერგო ქავთარაძე, ვანო, ნიკო და კიდევ ბევრი ჩვენი ამხანაგი დააპატიმრეს.

— რას ამბობ? ვანო ორი კვირის წინ იყო ჩემთან. დიდხანს იჯდა აქ, თითქო წინასწარ გრძნობდა, რომ მალე ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს.

— ახლა შეიძლება გაგიმხილო საიდუმლოება, რომლის შესახებ ლაპარაკი წინათ არ შეიძლებოდა. ამ დაპატიმრებამ ჩააგდო კარგად მომზადებული აჯანყება. საგანგებო რაზმის აგენტებმა შესძლეს არა მარტო სამხედრო-რევოლუციური შტაბის წევრების დაპატიმრება, ბევრი მუშა, გლეხი და ჯარისკაცი არის დაჭერილი.

— საკვირველია, ამის მერმე რატომ დაიწყო აჯანყება!

— სამხარეო კომიტეტმა დადგენილება მიიღო, გადაედო აჯანყება, მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე ვერ მიიღო ეს დადგენილება და მანამდე დანიშნულ დღეს გამოვიდა. დასაწყისში საქმე კარგად მიდიოდა: ხელისუფლება ზოგან აჯანყებულთა ხელში გადავიდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთმანეთისაგან მოწყვეტილი აჯანყების ჩასაქრობად სამხედრო გემებიდან გადმოსხმული დესანტის დახმარებას მიმართეს. დამსჯელი რაზმები ანადგურებდნენ აჯანყებულ სოფლებს. ციხეები სავსეა პატიმრებით. სამხარეო კომიტეტის წევრებიდან მხოლოდ ზოგიერთებმა შესძლეს გაქცეოდნენ დაპატიმრებას. ქალაქის განტვირთვის საბაბით ჯენშევიკები ახლა საქართველოდან ასახლებენ ყველას, ვისზედაც ეჭვია მიტანილი ბოლშევიზმისადმი თანაგრძნობაში... საქართველოში მიმდინარე აჯანყება მათზე არანაკლებ აშინებს დენიკინს. მიღებულია ცნობა, რომ მან თავისი ზურგის უზრუნველსაყოფად ნაწილი თავისი ჯარისა საქართველოს საზ-

ღერებზე გადმოისროლა. მაგრამ ვერაფითარი დენიკინის ჯარები და უცხოური დესანტები მათ ვერ უშველიან.

მაროს წასვლის მერმე კორნელი სასადილო ოთახის სარკმელთან დაჯდა და უკანასკნელი დღეების ამბებზე დაიწყო ფიქრი. არალეგალური ჟურნალის ჩავარდნა, ბჯანყების მონაწილეებისადმი შეუბრალებელი მოპყრობა, მეგობრების დაპატიმრება — ყოველივე ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კორნელიზე. გულზე ნაღველი შემოაწვა. იგი საშინელ სევდიან მარტოობას გრძნობდა და არა მარტო თავისი ოთახი, არამედ ქალაქი, მთელი საქართველოც საპყრობილედ ეჩვენებოდა. იგი სასოწარკვეთილებას მიეცა, რასაც შემოდგომის მოღრუბლული და უხალისო დღეები უორკეცებდნენ.

ზამთარი ახლოვდებოდა. ქუჩებში დამდგარი გუბეები ღამით თხელი ყინულით დაიფარა. კავკასიონის ქედებზე კუბრისფერი ღრუბლები დაეშვნენ და მთები გაუჩინარდნენ. ქალაქს სუსხიანი და აშარი ქარი ეკვეთა. ქარი მტკვრის ხეობას მოჰყვებოდა, სანაპირო ქუჩაზე გამწკრივებულ დამზრალ ალვის ხეებს, ჰადრებსა და ნეკერჩხლებს აწყდებოდა, მათ გაყვითლებულ ფოთლებს იტაცებდა და შორს მიაფრენდა. ქარი გრიგალად იქცა. სახლის სახურავს რკინის ფურცლებს ჰგლეჯდა, დარაბებს აწვალებდა, ბოძებზე გაჭიმულ მავთულებში ზუზუნებდა, კენესოდა და ღუმელების მილში ჰკიოდა, თითქო ქალაქს მაგნე სულები შეესივნენო. ის გუგუნი, ზუზუნი და კივილი ქვეყნის გამოტირების ჯოჯოხეთურ ჰანგებად მოესმოდა კორნელის.

ბოლოს გრიგალი ჩადგა.

დამსხვრეული ჯილდო

ჟორდანიამ უარი განაცხადა საბჭოთა რუსეთთან კავშირზე, უარი განაცხადა დენიკინთან ბრძოლაზე და ანტანტის მხარეზე აშკარად გადავიდა. ამის ჯილდოდ იმპერიალისტური ევროპის წარმომადგენელმა უორდროპმა საქართველოს „დამოუკიდებლობა“ მიართვა.

პროკლამაციიდან

1

დეკემბრის ბოლო იყო. სასადილო ოთახის სარკმელთან მჯდარი კორნელი ნაღვლიან-დ გასცქეროდა ყინულით დაფარულ მტკვრის ნაპირებს. ტალღები ყინულის ნამსხვრევებს მიაცურებდნენ და კორნელის თავშიც ყინულის იმ ნამსხვრევებივით მისცურავდნენ დაულაგებელი აზრისა და ფიქრის ნაწყვეტები. მეგობრების — ვანოსა და სხვათა დაპატიმრების მერმე იგი გარესამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. კორნელი რაღაც დიდ სიცარიელეს გრძნობდა. არაფერი ხელთ არ მოსდიოდა თავში და ვერაფერს ვერ წერდა. ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ უნიჭო იყო. მან მედიცინის დარგში მუშაობას თავი გაანება. იგი გიმნაზიიდან დათას მოსვლამდე სარკმელთან წიგნებში თავჩარგული იჯდა. დათას მოსვლის მერმე კი თავის ოთახში გადაბარგდებოდა. ახლა დეიდას ოჯახშიც ზედმეტად გრძნობდა თავს და ბინის გამოცვლას აპირებდა. იგი მიუკარებელი, მარტოობის მოყვარული, კუშტი და გულჩათხრობილი შეიქნა. ღამით უძილობაც დასჩემდა, რასაც მეზობლის ავადმყოფი ბავშვის დაუსრულებელი ტირილიც უწყობდა ხელს. კორნელი გახდა და დასუსტდა. ხშირად უტყდებოდა გულისწუხილი და დედა გულის გასამაგრებელ წამლებს ასმევდა. სასადილო ოთახში მწოლიარე ტერეზა ღამეში ათჯერ მაინც ადგებოდა, დერეფანს გაივლიდა, კორნელის ოთახის კარს ჩუმად შეაღებდა და შვილს დახედავდა. ოთახში ბუდან სინათლე ენთო და კორნელი ზამთრის გრძელ ღამეებში განთიადამდე წიგნს კითხულობდა. დედა დაუსრულებელ „ნოტაციების“ წაკითხვას თავს მოაბეზრებდა და გულშემოყრილი უკანვე გაბრუნდებოდა. გლოვით წელმოწყვეტილი ქალი დაწვებოდა და ახლა ისიც

ძილფხიზლობდა. ფართო, შეშინებული თვალებით მიაშტერდებოდა ჭერს და სნეული შვილის ჯანმრთელობაზე იწყებდა ფიქრსა და წუხილს. კორნელი უსისტემოდ კითხულობდა ახლა წიგნებსა და ჟურნალებს. ხან ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფია“ ან პლეხანოვის „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“, ხან კარუს შტერნეს „მსოფლიო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი“, ხან გეკელის „მსოფლიო ამოცანები“ გაიტაცებდა, ან კიდევ — ტოლსტოის და ბალზაკის რომანები და მოთხრობები, ვოლტერი, რუსოს „აღსარება“, ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიები. ყველაფერს კითხულობდა ახლა იგი, რაც კი ხელში მოჰყვებოდა. წიგნების კითხვით ცდილობდა გაქცეოდა მარტოობას და მოწყენას. საყვარელ ქალთან გაყრის, მეგობრების დაპატიმრების მერმე უკვე აღარაფერი აღარ ახარებდა. შუალამისას ქალაქში ჩამოვარდნილი დიდი სიჩუმე აშინებდა და ეჩვენებოდა, თითქოს სიხარულით სავსე წინანდელი მისი პირადი ცხოვრების დანგრევასთან ერთად მთელი ქვეყანა დაინგრა, დაცაიეულდა და წყვდიადმა მოიცვაო.

ღამის სიჩუმეში იგი ხშირად საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრობდა, ბაგრატის ტაძრისა და სხვა ციხესიმაგრეთა ნანგრევები აგონდებოდა და თავისი ქვეყნის დიადი წარსული წაშლა, სავალალო აწმყო და უიმედო მომავალი აშინებდა, მომავლის იმედი უცრუვდებოდა და მაშინ საშობლო, ისე როგორც ისტორიის ასპარეზიდან გადასული ძველი, გამქრალი ქვეყნები, მკვდარ სასაფლაოდ ეჩვენებოდა. ხანდახან, ნაშუალამევს, დაკარგული იმედის ნიშანივით თუ შეშოქსმოდა შორეული მატარებლის გულისდამაღონებელი კივილი.

ასეთ სასოწარკვეთილებას, დიდ სიცარიელეს და სევდას გრძნობდა კორნელი ეკონომიურად გაჩანაგებულ და მენშევიკების მიერ დაღუპვის კარამდე მიყვანილ საქართველოში და იმ დიდი სევდისა და სიცარიელისაგან გამოსავალს მოუთმენლად ელოდა.

მასში სიხარულს ჰბადებდა რუსეთიდან მოსული ცნობები. თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ კონტრრევოლუციურმა არმიამ იქ დამარცხება განიცადა. საბჭოთა ჯარების მიერ მიტანილი იერიშების გამო იგი სწრაფად იხევდა სამხრეთისაკენ. ყოველი ახალი ცნობა კორნელის გულში იმედს, სიმ-

ხნესა და მოქმედების წყურვილს ჰბადებდა. ბას ბტკიცედ სწამდა, რომ რევოლუციის გამარჯვება იქ, ჩრდილოეთში, დაჩაგრულ ერებს თავისუფლებას მიანიჭებდა და საქართველოს ბედსაც გადასწყვეტდა. მას ისიც სწამდა, რომ მისი ბედიც რევოლუციასთან იყო დაკავშირებული. „ვინ იცის, იქნებ თავისუფლებისა და შვების მომტანმა იმ ქარიშხალმა ჩემი და ნინოს გაწყვეტილი სიყვარულიც აღადგინოს?!“ — ფიქრობდა კორნელი.

1920 წლის 9 იანვარს ღამით სამოქალაქო ომის ფრონტზე დიდი გარდატეხა მოხდა. დონის-როსტოვი დაეცა.

დონის-როსტოვთან განადგურების მერვე დენიკინის არმია ორად გაიყო: ერთი დნეპრისაკენ, ხოლო მეორე ჩრდილო კავკასიისაკენ გაეშურა.

ეს ამბავი კორნელის კარო იარალოვმა შეატყობინა. იგი თავისი გარმონით ღამით ესტუმრა მას და თან ვანო მახათაძის ბარათი მიუტანა, ვანო კორნელის სწერდა:

„კორნელი ჩემო, წარმოიდგინე ჩემი სიხარული და აღტაცება, როდესაც ჩვენი რევოლუციური ჯარის მიერ დენიკინის ლაშქრის განადგურება და ცარიცინის და როსტოვის აღება გავიგე!

საბჭოთა რუსეთმა გაიმარჯვა. იქ უკვე სოციალიზმის დამყარება დაიწყეს. მთელი ქვეყნის ხალხები იმედებითა და შვებით გასცქერიან და თვალს ადევნებენ რუსეთს. არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ჩვენს დედამიწაზე ჩაღდება ახალი, დიდი გამათავისუფლებელი ბრძოლა. ახლა შენც კარგად გესმის, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვეთიშოთ იმ ბრძოლას. საკითხი ხომ ჩვენი ხალხის ბედნიერებასაც შეეხება! მართალია, ჩვენი აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ იგი მაინც სარგებლობას მოგვიტანს. მჯერა, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთთან ერთი გზით ივლის. კორნელი ჩემო, როგორ ცხოვრობ? ჩემამდე მოაღწია ხმებმა — მაროს გადმომცა, კორნელი მოწყენამ შეიპყროო. არაფრად არ ვარგა ეს ამბავი! შენ ხომ სწორ გზაზე გამოხველ, სწერდი კარგ მოთხრობებს... მაშ რისთვისღა უნდა დაეცე სულით? ფარ-ხმალი არ დაჰყარო. გახსოვდეს: ჩვენ გავიმარჯვებთ. მაგრამ გამარჯვება უბრძოლველად არ მოდის, საჭიროა სიმტკიცე, მამაცობა, მომავლისადმი რწმენა, საჭი-

რია, თუ გნებავს, ფანატიზმიც — შენ რომ ახლა გაშინებს. შენი ვანო".

ვანოს ბარათის წაკითხვის მერმე კორნელის გულს იმედი ჩაესახა და ფოთები გამოესხა. მან კაროს რჩევით, ბარათის ცეცხლი წაეკიდა და ღუმელში შეაგდო. ალი ერთბაშად მოედო ქაღალდს და შთანთქა... შავ ფერფლად ქცეულ ქაღალდს მხოლოდ ბოლოში დამჩნეოდა მკრთალი და ცოთეთრი ასოები, კორნელიმ გარკვევით ამოიკითხა ორი სიტყვა: „რწმენა" და „ფანატიზმი". ბოლოს ესეც წაიშალა, ფერფლი სულ მთლად ჩაიფუშა და ქაღალდი ნაცრად იქცა. კორნელის გული დაწყდა, რწმენით სავსე მეგობრის ბარათი რომ ცეცხლს მისცა, მაგრამ იმ ბარათის შინაარსი სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში.

კარომ მეტეხსა და იქ მოთავსებულ პატიმრებზე უამბო:

— იცი, ვანოსთან ვინა ზის?

— ვინ?

— კამო. იგი ამას წინათ მოუყვანიათ მეტეხში და მახარაძის, დალაქიშვილისა და ციბაძის კამერაში ჩაუსვამთ. როდესაც კამოს გაუგია, რომ ვანო, ნიკო, მიტო და სხვა ახალგაზრდები მეზობელ კამერაში არიანო, უმალვე ვანოსთან— ახალგაზრდებთან გადასვლა მოუთხოვია. მახარაძესთან, დალაქიშვილთან და ციბაძესთან ჯდომა არ მსურს. ესენი მცირნარე ინტელიგენტები, მეშჩანები და ბიუროკრატები არიანო. იგი ვანის კამერაში გადაუყვანიათ. მას ახალგაზრდები გარს შემორტყმიან და კამოს მათთვის უთქვამს: ციბაძესთან ერთ ჭერქვეშ ღამეს ვერ გავათევო. ციბაძემ კავკავში ბუაჩიძის, ვანოს და ჩემს მიერ დაპატიმრებული თეთრი გენერლები შეიბრალა, მათ ფიცსა და სიტყვას დაუჯერა, გაათავისუფლა და ის გენერლები ახლა ჩვენ გვებრძვიანო... მაგრე მახარაძის, დალაქიშვილის, ციბაძის და კამოს გათავისუფლების შესახებ ციხის უფროსს განკარგულება მიუღია. მახარაძე, დალაქიშვილი და ციბაძე საპატიმროდან გაუშვიათ. ხოლო კამოს უარი განუცხადებია და ჩვენი ბიჭებისათვის უთქვამს: მტარვალების სურვილით და მოწყალებით ჯერ ჩემს დღეში ციხიდან არ გავსულვარ და არც გავალო. მუდამ ხერხს მივმართავდი და ციხიდან ისე ვიპარებოდი და გავრბოდი. ახლაც ხერხისათვის მიუმართნია. განჯინა საკნის იმ კედელ-

თან მიუდგამს, რომელიც მტკვრის მაღალ კლდეზე არის აშ-
ართული. აგერ რამდენიმე დღეა თურმე, კამო ღამით კარებ-
თან დარაჯს დააყენებს, ვანჯინას გამოსწევს კოვზის ტოლთ,
ლურსმანითა და ჯიბის დანით კედელს ხერხავს, ქვიტკირს აჩ-
ღვევს, აგურებს იღებს და მტკვრისაკენ ხვრელს აკეთებს.
წერწე განთიადისას აგურებს ისევ თავის ადგილას შეაწყობს
და კედელს განჯინას მიადგამს. გაჯი და კირი კი მოხერხებუ-
ლად გააქვთ პატიმრებს ეზოში.

მართლაც, იატაკქვეშ ცნობილმა პროფესიულმა მოპა-
ვემ — მოუსვენარმა კამომ მალე კედელში მტკვრისაკენ ხვრე-
ლი გაიყვანა და ის, ვანო, ნიკო, მიტო, გრგა და სხვანი ღამით
ციხიდან გაიპარნენ.

იატაკქვეშ მუშაობის გარეშე ცხოვრება კამოს ვერ წარ-
მოედგინა. იატაკქვეშ მუშაობა, სიძნელეთა გადალახვა, ხა-
შიშროებასთან და სიკვდილთან თამაში მისთვის ერთგვარ ხე-
ლოვნებად და ბოლოს პროფესიადაც იქცა. მშვიდობიანი ცხოვ-
რება მას უკვე აღარ შეეძლო და იგი თვითვე ეძებდა ხიფათს
და ფათერაკს. მას საქართველოში, რუსეთში და საზღვარგა-
რეთაც ისეთი საშიში შემთხვევები, ფათერაკი და თავგადა-
სავალი ჰქონდა იატაკქვეშ მუშაობის დროს გამოვლილი, რომ
მეტეხის ციხიდან გაპარვა მისთვის უმნიშვნელო ამბავს წარ-
მოადგენდა.

კამოს თავგადასავალზე საუბარი კაროს არ მოსწყინე-
ბოდა.

2

ვანოს წერილის მერმე კორნელის უკეთესობა დაეტყო და
ქალაქში გასვლა გადაწყვიტა. მზიანი დილა იყო. კორნელიმ
პალტო ჩაიცვა, ყავარჯნები მოიმარჯვა და კიბეზე ფრთხი-
ლად ჩავიდა. იგი ძალზე დასუსტებული იყო. ეზოში და ქუ-
ჩაში გასულს სუფთა ჰაერმა თავბრუ დაახვია. კორნელი და-
ჭრილ ფეხს, რომელზედაც ქეჩის წაღა ეცვა, მიწას ვერ აკა-
რებდა. ვერის ალმართზე ასვლა უჭირდა. იგი ხშირად ჩერ-
დებოდა და ისვენებდა. ასეთი ტანჯვით აიარა ალმართი. რუს-
თაველის პროსპექტზე კი სიარული უფრო გაუადვილდა.

მზე ქუჩის მარცხენა მხარეს მისდგომოდა და ხალხიც მას

ეტანებოდა, როგორც შემოდგომის ბუზები მზისაგან განათებულ სარკმელს.

კორნელი პროსპექტის მარცხენა ნახარეს გაჰყვა. მას სტუდენტური პალტო ეცვა და ლურჯი ქუდი ეხურა. ოპერასა და დრამატულ თეატრს ჩაუარა, ალექსანდრეს ბაღში შევიდა და მზიან ადგილას გრძელ სკამზე დაჯდა. სიარულს გადაჩვეული და გასიებული დაჭრილი ფეხი მაშინვე სკამზე შემოსდო. კორნელი დიდი მანძილის გავლას დაეღალა, გაფითრებულიყო, ჩქარა და ღრმად სუნთქავდა. იგი ბაღში დასასვენებლად შემოსულ, მზეზე მთვლემარე მოხუცებს — ყოფილ სოვდაგრებს, მეფის ყოფილ მოსამსახურეებს, დედაბრებს და ხეივანში მოსეირნე ხალხს გასცქეროდა.

უეცრად კორნელიმ ხეივანში მიმავალი მხატვარი მიხა მაჭავარიანი დაინახა, თვალი მოარიდა, ჭაშვეთის ტაძარს გაჰხედა და მაშინვე მოაგონდა, დღეს 14 იანვარი — ნიხოობა იყო. შეკრთა, სკამის ზურგს მიაწვა, თვალები დახუჭა და ფიქრებს გაჰყვა.

ცოტა ხნის მერმე კორნელი ბაღიდან გამოვიდა. ჭიშკართან კუკური ზარანდია და ლევან ქორიძე შეეყარნენ. ამ დროს პროსპექტზე შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა მანქანით ჩაიქროლა. მინისტრი და ლევან ქორიძე ერთმანეთს მაესალმნენ. ქორიძე მენშევიკი იყო და მენშევიკურ ხელისუფალთა შორის ტრიალებდა.

დამფუძნებელ კრებაში ნოე ჯორდანიას გამოსვლას მოელოდნენ.

— მალე წავიდეთ, თორემ დავაგვიანებთ. — აჩქარებდა ქორიძე კუკურის. კუკურიმ მინისტრს თვალი გააყოლა და მკრმე ქორიძეს მიუბრუნდა:

— კორნელიც წავიყვანოთ.

— არა მგონია, ჩვენი დამფუძნებელი კრება კორნელისთვის საინტერესო იყოს! ეგ მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს და საბჭოთა რუსეთს ცნობს. — მიუგო ქორიძემ და დაცინავი ღიმილით კორნელის გადახედა. მას „გოჯასპირი“ და „დარო“ ჰქონდა წაკითხული. კორნელი ლევან ქორიძეს დიდი ხანია იცნობდა... ქორიძე სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და მოწაფეობის დროს იმ ლიტერატურულ წრეში შე-

დიოდა, რომელშიც კორნელი და ძისი თეგოთელი ეუთავსებ-
ნენ.

— მაშ ანტანტას უნდა ვცნობდე? — ჰკითხა კორნელიმ ლევანს.

— მაგ კითხვაზე პასუხს დამფუძნებელ კრებაში დღეს სწორედ ქორდანია იძლევა. თუ გაინტერესებს, წამოდი და მოუსმინე. უკეთეს პასუხს საქართველოში ვერც ჩემგან და, ვფიქრობ, ვერც სხვა ვინმესგან მოისმენ, — მიუგო გვარდიელების მაზარაში და ჩექმებში გამოწყობილმა, მაღალმა და გაძნდარმა ქერა კაცმა ლევან ქორიძემ. მას ეჩქარებოდა და კამათისათვის არ ეცალა. იგი გვარდიის მთავარი შტაბის წევრი იყო. გვარდიელთა შორის პოლიტსაგანმანათლებლო ბუშაობას ხელმძღვანელობდა და მენშევიკური იდეოლოგიის ნიადაგზე მდგარ პოეტებს და მწერლებს მეგობრობდა და ჯარში ამუშავებდა.

— დამფუძნებელ კრებაში ვინ შემიშვებს? — ჰკითხა კორნელიმ.

— საშვებს მე გიშოვნი, — მიუგო ქორიძემ.

ლევანი დამფუძნებელი კრების საკომენდანტოში შევიდა და ორი საშვი გამოიტანა. კუკური და კორნელი ჩრდილოეთის კარებიდან შევიდნენ სასახლეში და ფართო კიბით დარბაზის ქანდარაზე ავიდნენ. სხდომა თეთრ დარბაზში ნიშდინარეობდა. ქანდარიდან კორნელიმ დეპუტატებით სავსე პარტერს გადახედა. პარტერის წინ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრები ისხდნენ, მაგიდის უკან, სავარძელში — ნოე ჟორდანია, ჩხეიძე და წერეთელი. დარბაზის მარჯვნივ, ლოჟაში — ანაფორით, კუნკულაქუდით და ოქროს ჯვრით ეგზარქოსი ლეონიდე და ეპისკოპოსები მერმე — უცხოელი სტუმრები და გენერლები გამოჭიმულყვნენ. პირველ ლოჟაში შავ კოსტიუმში გამოწყობილი, წვერულვაშგაპარსული, ცისფერთვალებიანი, გამხდარი, ქერა კაცი — ინგლისის ელჩი ოლივერ უორდროპი და მისი მხლებელნი ისხდნენ, მეორეში — საფრანგეთისა, მესამეში — იტალიისა და ასე შემდეგ. პარტერი იმ ლოჟების სრულ კონტრასტს წარმოადგენდა. იგი სავსე იყო დამფუძნებელი კრების უხეიროდ ჩაცმული წევრებით.

დამფუძნებელი კრების წევრთა საერთო რიცხვი 135

კაცს უდრიდა, აქედან სოციალ-დემოკრატებს 110 კაცი ჰყავდათ, სოციალ-ფედერალისტებს — 9, ნაციონალ-დემოკრატებს — 8, სოციალ-რევოლუციონერებს — 5, დაშნაკებს — 2 და მუსავატელებს — 1. ასეთი პროცენტული თანაფარდობისა და შეუსაბამობის გამო მენშევიკები სხვა პარტიათა წარმომადგენლების აზრს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მარჯვენა და მარცხენა ფრთა ნაციონალ-დემოკრატების და ფედერალისტების დეპუტატებს ეჭვრათ და ამათ სხვებზე უკეთ ეცვათ.

ნაციონალ-დემოკრატების ჯგუფში კორნელიმ დეპუტატად ახლახან არჩეული ესტატე მაყაშვილი დაინახა. ესტატე თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა მთავრობის წევრთა შორის მჯდარ ჭაღარა კაცს — ნოე ჟორდანიას, რომლის ჩაცმულობა არ მოსწონდა და უკვირდა: პრეზიდენტი მარჯვენა მხარს ხანგამოშვებით რად აწვალებს და ათამაშებს, კონტუზია ხომ არ მოსვლია? ჟორდანია ღელავდა და დროდადრო უცხო ქვეყნების ელჩების ლოჟებისაკენ დარცხვენით იხედებოდა და ფიქრობდა: საპატივცემულო სტუმრები ჩვენს პარლამენტს ხომ არ დასცინიანო.

როდესაც კორნელი ქანდარაზე ავიდა, შინაგან საქმეთა მინისტრის რამიშვილის მოხსენების გარჩევა კვამთა უკვე დამთავრებული იყო. ახლა ტრიბუნაზე გამხდარი, ფერმკრთალი, წოწოლა ქალი იდგა და ტრაგიკული სახით და გაპრანჭული ხმით დაჟგენილებას კითხულობდა. იგი ძალზე ღელავდა, უცხოური ენისათვის ბუნებრივ და ჭარხლული ენისათვის უჩვეულო მახვილებს და ინტონაციას მიმართავდა.

— დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონი ნოე რამიშვილის მოხსენება, დაადგინა: პირველი... მეორე... მესამე...

ქალი დამფუძნებელი კრების დადგენილების ბუხლობრივ კითხვას განაგრძობდა და მისი აკანკალებული, გამყინავი ხმა და უცხო ინტონაცია დარბაზში სასაცილოდ გაისმოდა. იქნებ ევროპაში ნაცხოვრები, მკერდჩავარდნილი, მენშევიკი ქალის სურვილი იყო, ევროპელი ელჩების თვალში საქართველოს დამფუძნებელი კრება და ქართული ენაც ევროპული ქვეყნების პარლამენტებისათვის და ევროპული ენისათვის მიემსგავსებინა! ვინ იცის!

კორნელიმ დამცინავად გაიღიმა, ქანდარიდან პარტერს გადახედა და გაოცდა. ქალს თითქმის არავინ ყურს არ უგდებდა. წვერულვაშგაუპარსავი, შავი სატინის ხალათებში და დაჭმუჭნულ პიჯაკებში გამოწყობილი ნოქრების, მეწვრილმანეებისა და ბიჭებუჭების მსგავსი „დეპუტატები“ ერთმანეთისაკენ მიბრუნებულიყვნენ და ხელების ქნევით, ნაპირგადასული ჟესტ-მიმიკით ხმამაღლა და ჩქარა საუბრობდნენ. ზოგნი ცქმუტავდნენ, ერთმანეთისაკენ იხრებოდნენ, ერთმანეთს რაღაცას უჩურჩულებდნენ და ბრიყვულად იცინოდნენ. ზოგნიც ფეხგაშვერით სავარძლებში უზრდელად გაშხლართულიყვნენ. უცხოელ სტუმრებს გაოცებით, ხახადაღებული მისჩერებოდნენ, ან კიდევ ყოფილი მეფისნაცვლის თეატრი დარბაზის ჭერში დაკიდებულ ბროლის ვეება კანკელს განცვიფრებით მიშტერებოდნენ. პარტერში ისეთი დეპუტატებიც იყვნენ, რომლებიც თითს ცხვირში იჩრიდნენ და ცხვირს იჩიჩქნიდნენ. მათ შორის კორნელიმ თავისი რძლის კატოს მამიდაშვილი — სენატორი ვარლამ კუტალაძე, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე — მუდმივი სტუდენტი, ცნობილი დემაგოგი, თავქარიანი, ჭარაოცი, მექრთამე და ხელცივი, გამხდარი, პატარა კაცი — კაკო ჩაჩანიძე იცნო. მას ვეება შავი თვალები, შავი ულვაშები ჰქონდა. კაკოს ხან „ხარაბუხას“ და ხან კიდევ „კაკო-ჟუკს“ — ხოჭოს ეძახდნენ. იგი კარისმერეთელი იყო. კორნელის 1915 წელი, თავისი მოწაფეობის ხანა მოაგონდა, როდესაც ზაფხულის არდადეგებზე კარისმერეთის ბაღში კაკო ჩაჩანიძე ორატორული ხელოვნების დაუფლებისათვის ვარჯიშობდა. „კაკო-ჟუკი“ ღამით ცარიელი ბაღის პატარა ესტრადაზე ადიოდა და არარსებულ ხალხს ქალბი პათოსით მიმართავდა, ყვიროდა და იჭახჭებოდა:

„ამხანაგებო, მოკვესალმებით თქვენ ნახახულევის პროლეტარიატის სახელით! — ნახახულევში კი პატარა აგურხანა იყო, სადაც სულ შვიდი კაცი მუშაობდა და აყალო მიწისაგან აგურს და კრამიტს ამზადებდა. მისალმების მერმე „კაკო-ჟუკი“ განაგრძობდა. — დღეს, როდესაც მუშათა კლასი და ბურჟუაზია ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ, მაშინ, როდესაც... — როლში შედიოდა ორატორი და სწორედ მაშინ, კარისმერეთის ყოჩი, მოჩხუბარი და თავზეხელაღებული იასონ ჯანჯღაია ესტრადაზე შეუმჩნეველად ავიდოდა, კაკოს მიეპარებოდა, მას-

თახ ხუოგოექცევით დადგებოდა და ისე ძლიერად დაეჯახებოდა, რომ „ორატორს“ სიტყვა ჩაუწყდებოდა და ტრიბუნიდან თავდაყირა ვარდებოდა. იასონის მეგობრები — სტუდენტი ვანიკო ღოღობერიძე, სპეკულანტი ანტუშა ნიორაძე და სხვები კი „კაკო-ჟუკს“ სიცილს აყრიდნენ, ხელს ჰკრავდნენ, ერთმანეთს ესროდნენ, აბურთავებდნენ და აპამპულებდნენ. მიუხედავად ამისა, კარისმერეთში გაპამპულებული ის ჭარაოცი და თავქარიანი კაცი, ხალხში სასაცილოდ აგდებული, უნიჭო „ორატორი“ და უვიცი „პროპაგანდისტი“ ახლა ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იყო, დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე გამოდიოდა და მას აუდიტორია სერიოზულად უსმენდა. ის თავქარიანი, უვიცი, მეტიჩარა და ფილისტერი კაცი, „კაკო-ჟუკი“, კორნელის რატომღაც მენშევიზმის სინონიმად ჰყავდა წარმოდგენილი.

— რა საცოდავი უნდა იყოს ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი უსუსური პარლამენტი და პამპულა დეპუტატები ჰყავს! ვაი ჩვენს შავ დღეს, — უთხრა კორნელიმ კუკურის.

— შენ ყველაფერს და ყველას დასცინი და ქეზაფს ასხამ, არ ვარგა ასე... — მიუგო კუკურიმ, მაგრამ ამ დროს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა:

— მოქალაქენო, დღის წესრიგში მეტად სერიოზული საკითხი დგას. ამას წინათ საბჭოთა რუსეთმა ჩვენ სამხედრო კავშირი და დენიკინის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრება შემოგვთავაზა, საბჭოთა რუსეთის ნოტას ჩვენ უარით ვუპასუხეთ, ჩვენი უარი იმით დავასაბუთეთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისადმი ნეიტრალიტეტს იცავს... ჩვენი მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას უნდა მიეწეროს ის გარმოება, რომ გუშინწინ, 12 იანვარს, ანტანტის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს მთავრობა „დე-ფაქტო“-დ იცნო. ამ საკითხების გამო სიტყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეძლევა.

ნაცრისფერ კოსტიუმში ხალვათად გამოწყობილი ჟორდანია ადგა, ნელი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე, თავი ასწია, მხრები აიჩეჩა და დეპუტატებს და ლოჟებში მჯდარ უცხოელ ელჩებს თვალი მოავლო. მერმე შუბლი შეიჭმუხნა და დაიწყო:

— მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! თქვენ

უკვე იცით, საბჭოთა რუსეთმა რომ სამხედრო კა...კავშირი ვერ შეგვთავაზა, — ენა დაება პრეზიდენტს. — ჩვენ მას ამაზე გადაჭრით უარი შევუთვალეთ. თქვენ, ალბათ, იცნობთ ჩვენს პასუხს. რას ნიშნავს ეს კა...კავშირი? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კა...კავშირი უნდა გაგვეწყვიტა ევროპასთან, როგორც ეს ბოლშევიკებმა ჩაიდინეს და თვალი უნდა მიგვეპყრო აღმოსავლეთისათვის, სადაც ისინი ეძებენ თავის ახალ მო...კა...კავშირეებს. საქართველოსა და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ. — ჟორდანიამ მხრები აიჩეჩა და ელჩებისაკენ გაიარა. ევროპისა და რუსეთის ხსენებაზე ისინი შეიშმუშნენ და ყური თარჯიმნებს ათხოვეს.

ინგლისის ელჩმა ოლივერ უორდროპმა გაიღიმა და კმაყოფილებისა და დასტურის ნიშნად თავის ქნევა და კანტური დაწყო. ჟორდანიამ შენიშნა ეს და გაეხარდა. „ჩანს, ინგლისმა ჩვენი რესპუბლიკის „დე-იურე"-დ ცნობა გადასწყვიტა. იგი დახმარებას გაუწევს მას გარეშე მტრებთან და ბოლშევიკებთან ბრძოლაშიო", — წამიერად გაიფიქრა მან. ამას წინათ საუბარში ინგლისის ელჩი სწორედ ასეთ იმედს აძლევდა მას და თანაც ურჩევდა: „თუ თქვენ გსურთ ინგლისმა, ამერიკამ და საფრანგეთმა თქვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნოს, უნდა მტკიცედ დაარწმუნოთ ისინი იმაში, რომ თქვენ ჩვენთან მეგობრული კავშირის ნამდვილად მოწადინე ხართ, ამიტომ თქვენ საბჭოთა რუსეთს, ბოლშევიზმს საბოლოოდ უნდა გაეთიშოთ, მის წინააღმდეგ გაილაშქროთ და დენიკინს ხელსახები დახმარება აღმოუჩინოთ". რაზედაც უორდროპმა ჟორდანიას თანხმობა მიიღო. „ჩვენ, ბატონო ელჩო, — დაარწმუნა ჟორდანიამ უორდროპი, —უკვე გავეთიშეთ საბჭოთა რუსეთს და ვებრძვით ბოლშევიკებს ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. ამას მოწმობენ ბოლშევიკური აჯანყების ჩაქრობა საქართველოში გასული წლის ნოემბერში და ის რეპრესიები, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ ბოლშევიკების წინააღმდეგ. რაც შეეხება გენერალ დენიკინს, მასთან ჩვენ შეთანხმებას მივაღწიეთ. მას შეუძლია სრულიად დამშვიდებული იყოს თავისი ზურგის გამო და მოხსნას ყველა თავისი ჯარი ჩვენი საზღვრებიდან".

უორდროპი მეტად კმაყოფილი დარჩა ასეთი პასუხით და მაშინვე დაარწმუნა ჟორდანია, რომ ანტანტის სახელმწიფო-

ები უთუოდ სცნობენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას „დე-იურედ“.

და აი, საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისა და ევროპის წეწქების მერმე პრეზიდენტმა ხელი აღაპყრო, განცვიფრებული თვალებით სადღაც წორს გაიხედა, თითქო შთაგონების ქვეშ იყოფება, ჰეშმარიტებას მიაგნო და ქართველ ხალხს ისტორიულ გზას და გზას უჩვენებსო. ასეთი არტისტული პოზისათვის ჟორდანიას არასოდეს არ მიუმართავს. ალბათ, თავს აწონებდა მინისტერ ოლივერ უორდროპს და ევროპის ქვეყნების სხვა ელჩებს! ჟორდანიამ ხმას აუწია და რიხიანად განაცხადა:

— ჩვენი გზა ევროპისაკენ მიდის, რუსეთის გზა კი აზიისაკენ. ვიცი, ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ აქ უნდა განვაცხადო: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები ვირჩევნია.

დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა ტაში დასცხეს და ჟორდანიას ოვაცია მოეწყვეს. მერმე თავისი ლიდერის სიტყვა, როგორც „სიბრძნის ნიმუში“, „ისტორიული, დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი“ და „სანოქმედო პროგრამა“, ათასობით დაბეჭდეს და ხალხში გაავრცელეს.

3

დამფუძნებელი კრების სხდომის დამთავრების მერმე საღამოს ერთ-ერთ დარბაზში პოეტმა პლატონ მოგველაძემ და რაფიელ ახვლედიანმა ნოე რამიშვილთან და ევგენი გეგეჭკორთან მოსაუბრე ესტატე მაყაშვილი და ჟურნალისტები— გენადი ქადაგიშვილი და ერემო გოდებანიძე დაინახეს. ჟორდანიას სიტყვა უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა. ქალაქის მწიგნობარი მასა ამ სიტყვისათვის ჟორდანიას ჰკიცხავდა, ხოლო ნაციონალისტები კი აქებდნენ და ადიდებდნენ. პოეტები მინისტრებს, ესტატე მაყაშვილს, მეგობარ ჟურნალისტებს მიესალმნენ და თავიანთი აღტაცება მოახსენეს:

— დღევანდელი დღე ისტორიული დღეა, — განაცხადა პლატონ მოგველაძემ, — ჟორდანიამ სწორი პოლიტიკური კურსი აიღო. დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა იურიდიულად საძირკველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებელ სახელ-

მწიფოს. საქართველოში ყველა კლასი და წოდება, ყველა პარტია და ორგანიზაცია საერთო ნაციონალურ პლატფორმაზე უნდა შეკავშირდეს. ეს ჩინებული რამ არის, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, — მიმართა მან რამიშვილს და გეგეჭკორს: — ჩვენი პარლამენტის თავზე ეროვნული დროშა ნაცვლად წითელი დროშა რად ფრიალებს?!

ესტატე მაყაშვილმა მაშინვე ჩასჭიდა ხელი მოგველაძის განცხადებას და დაამატა:

— ეს წითელი დროშა მუშათა კლასის ბრძოლისა და რევოლუციის ემბლემაა და იგი სრულიადაც არ გამოხატავს ქართველი ხალხის ერთობლივ სულისკვეთებას. ჩვენს სახელმწიფოს, ქართველ ხალხს თავისი ეროვნული დროშა აქვს და საქართველოს პარლამენტის თავზე ის უნდა აღიმართოს.

— უთუოდ, — დაუდასტურა მოგველაძემ.

რამიშვილმა და გეგეჭკორმა თავი ჩაჰკიდეს. მცირე ხნის დუმილის მერმე მაღალმა, გამხდარმა და ფერმკრთალმა კაცმა ნოე რამიშვილმა გაიღიმა და ესტატე მაყაშვილს, პლატონ მოგველაძესა და რაფაელ ახვლედიანს უთხრა:

— ეს ჩვენთვის უხერხულია. ჩვენ რომ ეს ჩავიდინოთ, ბოლშევიკები დემაგოგიას მიმართავენ, რევოლუციის ღალატს დაგვწამებენ და მათ ყაყანს თავს ვერ გავართმევთ. ეს საქმე თქვენ, ნაციონალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს შევფერით და თქვენ უნდა იკისროთ...

მენშევიკურ მთავრობას უკვე გამოტანილი ჰქონდა დადგენილება წითელი დროშის ნაციონალური დროშით შეცვლის გამო და რამიშვილმა სხვისი ხელით გადაწყვიტა ამ საქმის მოგვარება.

ბკირე თათბირის მერმე ესტატე, პლატონი, რაფაელი, კვნაღი ქადაგიშვილი და ერემო გოდებანიძე თავიანთი კლუბებისაკენ გაეშურნენ. კლუბებში ფუსფუსი, განგაში და დიდი მზადება დაიწყო. ნაციონალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების ლიდერებმა ქალაქში სასწრაფოდ შიკრიკები დაგზავნეს და პარტიის წევრები იხმეს, მათ სახელდახელოდ ყველა ჯგრის: რუსული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული სისტემის უვარგისი, დაჟანგული თოფები დაურიგეს და მწკრივში დააყენეს. სახელდახელოდ შეგროვებული რაზმელები ოფიცერთა მეთაურობით საღამოს 5 საათზე დამფუძ-

ნებელი კრების შენობისაკენ გაეშურნენ. ფედერალისტების რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი გედევანიშვილი მეთაურობდა, განსაკუთრებით ჭრელი შემადგენლობისა იყო. რაზმში თავი მოეყარათ სხვადასხვა პროფესიის ხალხს — ოფიცრებს, ვექილებს, ექიმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურეებს, სტუდენტებს და სტამბისა და ტრამვაის ორიოდე მუშას. ნაციონალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების შეერთებული რაზმისათვის არავის არ გაუწევია წინააღმდეგობა და იგი თავისუფლად შევიდა დამფუძნებელი კრების შენობაში, რადგან სასახლის მცველი გვარდიელები მენშევიკების მიერ წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ.

უცებ დარბაზში გენადი ქადაგიშვილმა სამფეროვანი დროშა გაშალა. საგანგებოდ ჩოხაში გამოწყობილმა ესტატე მაყაშვილმა, პლატონ მოგველაძემ, ერემო გოდებანიძემ და სხვებმა ხელი დასტაცეს, სასახლის თავზე ავიდნენ, წითელი დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად დამფუძნებელი კრების შენობის თავზე სამფეროვანი დროშა აღმართეს. ამის შემდეგ ნაციონალ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა თავის რაზმელებთან ერთად სასახლის ბაღში მიტინგი მოაწყვეს. მიტინგზე ესტატე მაყაშვილი, პოლკოვნიკი გედევანიშვილი, ერემო გოდებანიძე, პლატონ მოგველაძე გამოვიდნენ. ორატორები ევროპას აქებდნენ, საბჭოთა რუსეთს კი აგინებდნენ, ბრაზდებოდნენ, იმუქრებოდნენ და, ასე გასინჯეთ, იმ გულუბრყვილო და მიამიტ ხოგ მენშევიკსაც არ ინდობდნენ, რომლებიც დამფუძნებელი კრების შენობის თავზე პროლეტარული დროშის ნაცვლად ეროვნული დროშის აღმართვას სამწუხარო ფაქტად თვლიდნენ და მთავრობისაგან განმარტებას მოითხოვდნენ.

მენშევიკების მიერ ჩადენილმა ამ აქტმა აღშფოთება გამოიწვია მუშათა რიგებში.

დიდი სამუშაო გაუჩნდათ იმ ღამით სტამბის მუშებს: ბაღომე მახათაძეს, შაქრო ხახუტაშვილს, კარო იარალოვს და სხვებს, რომლებიც დიდუბეში, ძველი მუშის ნიკოლოზ მაკაროვის სახლის სარდაფში მშრომელებისადმი მიმართულ ბოლშევიკური პარტიის მოწოდებას — პროკლამაციას ბეჭდავდნენ.

„საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხადა და თავისი გამცემლური სახე ეჩვენებინა“, — ასე იწყებოდა ის პროკლამაცია, რომლის ტექსტი სერგო ქავთარაძემ შეადგინა და დიდუბის სტამბაში კაროლარალოვმა თავისი გარმონით მიიტანა.

მიწისქვრა

მე მამხნევებდა ის მწუხარე. მაგრამ მაინც დიდზე დიდ ნუგეში, რომ ჩემთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმა იღებება, რომ ეს ქვეყნის დასასრულია.

პლინიუს უმცროსი

1

თებერვალი დადგა. ისეთი სიცივე დაიჭირა, მტკვარი სულ მთლად გაიყინა და სიპი ქვაც კი ტყდებოდა. ჩრდილოეთის სუსხიანმა ქარმა ტყვიისფერი ღრუბლები მოდენა. ბოლოს მოთოვა კიდეც. თბილისის გარშემო აზღუდულ, უტყეო და მოშიშვლებულ მთებს თეთრი სუდარა გადაეფინა.

ულრმესი სასოწარკვეთილებით გასცქეროდა კორნელი სანაპირო ქუჩაზე ჩარაზმულ, უფოთლო, დამხრალ ჭადრებს და თოვლით გასუდრულ, დამუხჯებულ მთებს.

მტკვრის გაღმა გორაკზე გაშენებული ტაძრის ჯვრიანი გუმბათები, დაისის ჟამს, ვარდისფერ ცას ებჯინებოდნენ. მზე ჩავიდა და დედამიწა მარადიული ზამთრით მოცულ მკვდარ პლანეტას დაემსგავსა, თითქო მასზე არსებული სულდგმული, მცენარე მოკვდა, დაჭკნა და სიცოცხლის ნიშანწყალი წაიშალაო, — ფიქრობდა კორნელი. მხოლოდ ტაძრის გვერდით გაშენებულ სასაფლაოზე იდგნენ მარად ზამთარს, სიცივეს, თოვლსა და ყინვას შეგუებული, მგლოვიარე ჭირისუფლებივით თავჩაქინდრული, მაღალი და მუნჯი კვიპაროსები. ნაძვები და ფიჭვები. „სიკვდილის სიმბოლოდ დგანან მათ“ თოვლითა და ყინულის ლოლუებით შობის ხის მსგავსად შეჭკული ნაძვები. ამაოდ ოცნებობენ ისინი თბილი და ცხელი ქვეყნების ფოთლოვან ხეებზე, პალმებზე, დაფნებზე და ნა-

რწყვებზე, მოკვდა, გაცივდა დედამიწა და მასზე მარადი ზამთარი და უსაზღვრო მდუმარება გამეფდა“, — დაამთავრა დარჩი კორნელიმ, ტანში გააჟრჟოლა და მის გულში ქვეყნის დალუპვის შიში და ენით გამოუთქმელი სევდა შეიჭრა. ის შიში და სევდა არა ჰგავდა ქვეყნის დალუპვის გამო ფილოსტერის სულში ჩეკრილ უნაპირო შიშსა და სევდას. ეს სევდა ხელს არ უშლიდა კორნელის შეგნებას, დაუფლებოდა ბუნების შემცნობ მეცნიერებას, ნელობდა ადამიანის გონებას, რომელიც დღითიდღე, ევოლუციის გზით, უფრო და უფრო აგნებს და გვიხსნის მსოფლიო საიდუმლოებას, მიუხედავად იმისა, დაიღუპება თუ არა ეს დედამიწა და ჩაქრება თუ არა მზე მილიონი წლების მერმე. ბაკრამ დღეს კორნელის გონება და გრძნობა ერთმანეთს არ ეთანხმებოდა.

კორნელი ისევ სარკმელთან იჯდა და ნის სულში, ისე როგორც გარე სამყაროში, რომელსაც ის აქედან სჭვრეტდა, იყავ ეცნაური და უჩვეულო რამ ხდებოდა.

როგორღაც ერთბაშად დაღამდა. გარეთ სულდგმულიც არა ჩანდა. მხოლოდ თოვლით და ყინულით დაფარულ მტკვრის პირას, ბოძთან ნაცრისფერ პატარა ძაღლს კუდი ამოეძუებინა, ქეჩოზე ბალანი ეყარა, მოკუნტულიყო, თავი ცისკენ საცოდავად აღებყრო და გულისდამღონებლად, საზარლად ყმუოდა და მოსთქვამდა. „მკვდარ, გაციებულ დედამიწაზე გამეფებულ უსაზღვრო სიჩუმეს და თავის მარტოობას თუ უჩივისო“, — გაიფიქრა კორნელიმ. მას ჯავახეთის სოფელი გარეგანი მოაგონდა, როდესაც გრიგოლ ცაგურიშვილის სიკვდილის ამბავი გაიგო და მდინარის პირას, ალვის ხის ქვეშ ძაღლმა ყმუილი მორთო. უმალვე მტკვარზე გადამდგარი ხის პატარა სახლის კარი გაიღო და მალალმა და გამხდარმა შუახნის კაცმა ბოძთან აყმუვლებულ ძაღლს თოფი ესროლა. ძაღლი უსულოდ დაეცა, მკვლელი კი შინ შეეარდა და ისე ჩქარა მიხურა კარი, რომ კორნელიმ გაიფიქრა: ალბათ, დედამიწაზე გამეფებულ მარად ზამთარს, მდუმარებას და სიკვდილს გაეცა და შინ ჩაიკეტაო. იმ კაცს კარგად იცნობდა კორნელი და ძალიან გაუკვირდა, მონადირე კაცმა ყმუილის გამო საკუთარი ძაღლი რომ მოჰკლა.

თოფის გასროლის ხმაზე ტერეზა, ელენე და მზარეული ქალი კატიაც სარკმელს მისცვივდნენ და გაიხედეს, მაგრამ

გარეთ ისე ციოდა, რომ ყინვამ უკვე მინების ჭარგვა დაიწყო და ქალებმა მოკლული ძაღლი ძლივს დაინახეს. შინ კი ღუმელში ცეცხლი ენთო და თბილოდა.

— საზარლად ყმუოდა ის დაწყევლილი და იმ კაცმა ვიცი, ტომ მოჰკლა, — განაცხადა კატიამ.

სარკმელს მოშორდნენ. კატიამ ელექტრონი აანთო და სარკმლებს დარაბები მიახურა. ახლა უფრო შეძრწუნდა კორნელი. ყავარჯენი აიღო და თავის ოთახში შევიდა.

კორნელი საწოლზე დაჯდა. კედელს უაზროდ მიაშტერდა. მას არაფრის გაკეთება არ სურდა — არც კითხვა, არც წერა. დილიდანვე უმიზეზოდ აფორიაქებული იყო. მოუსვენრობა დაეუფლა. უმედობა და გამოუცნობი მწუხარება და სევდა არ ასვენებდა. ეს არასოდეს არ დაჰმართნია. არაფერი აღარ აინტერესებდა. თითქო მის ირგვლივ ყველაფერს ფასი და მნიშვნელობა დაეკარგა. ქვეყანა საპყრობილედ ეჩვენებოდა, თეთრად შეღებილი პატარა ოთახი — საკნად, ხოლო თავისი თავი კი — სიკვდილის განაჩენის მომლოდინე პატიმრად. ეს რა უბედურება მომდისო,—შფოთავდა.

კორნელი მივიდა და სარკეში ჩაიხედა. იგი ძალზე ფერმკრთალი იყო, თვალები კი უცნაურად ანთებოდნენ. თბილ ღუმელს ზურგით მიაწვა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე აბნეულად ფიქრი დაიწყო. დედამ ჩაის დასალევად დაუძახა.

მაგიდაზე სამოვარი იდგა, დეიდა ელენე და დათა ჩაის სვამდნენ. ჩაის მერმე დათა სამეცადინოდ ოთახში გავიდა. კორნელი კი სასადილო ოთახის ღუმელს ისევ ზურგით მიაწვა და ისევ შავ ფიქრებს გაჰყვა. დეიდა დახტზე წამოწოლილიყო, ძველებურად რომანს კითხულობდა და დროდადრო იღიმებოდა. დედა ფეხებთან ეჯდა და დამჭკნარი თითებით წინდისჩხირებს ამოძრავებდა და შვილს შალის საზამთრო წინდას უქსოვდა. თანაც ნელა და უდარდელად ღიღინებდა. კორნელის საშინლად უკვირდა დეიდის ღიმილი, დედის ღიღინი და უშფოთველობა. „სიკვდილი ამ სახლის კედლებთან არის ატუზული. ყოველ წუთს შეუძლია მან კარი შემოაღოს და შინ შემოვიდეს, ამათ კი მისი დარღი არა აქვთ!“ — ფიქრობდა კორნელი.

ირგვლივ საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ კედ-

ლის დიდი, ძველისძველი საათის ჭანჭარა თანაბრად ირხეოდა. დროდადრო დასარეკად ხრიალებდა, ორასი წლის ყორანივით ჩხაოდა, თითქო ყოველი საათის გასვლას დასტიროდა. დედის დამჭკნარი თითები კი ისევ თანაბრად ამოძრაკებდნენ წინდის ჩხირებს. კორნელი ძაფის ყოველ ამოწევას, ახალი თვალის გაკეთებას ითვლიდა, ჭირისა და ლხინის მომსწრე მშობლის სახის ნაოჭებს აცქერდებოდა. დედა კვლავ არხეინად ღიღინებდა და აზრადაც არ მოსდიოდა ახლა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. მხოლოდ ხანდახან შემოხედავდა შვილს თავისი მადლიანი და მზრუნველი თვალებით. არ მოსწონდა ღუმელთან გაშეშებული და დადუმებული გამხდარი შვილის ფერ-ხორცი. დედის გამოხედვაში კორნელიმ დიდი სითბო ამოიკითხა. არასოდეს მას არ მონდომებია ასე ძლიერად დედასთან მისვლა, მიალერსება. რცხვენოდა ამოდენა კაცს, თორემ მივიდოდა კიდეც, გვერდზე მიუჯდებოდა, საყვარელ ღაბაბზე აკოცებდა და პატარა ბავშვივით კალთაში თავს ჩაუდებდა. დედა კი, მღელვარე ფიქრებით სავსე, თავზე გადაუსვამდა ხელს, ვიშრისფერ, აბრეშუმივით ნაზ თმაში თითებს შეუცურებდა და ცოლ-შვილზე საუბარს გაუბამდა. კაბის ქვეშ დაკიდებულ ვეება ჯიბიდაან ჩურჩხელას და თხილს ამოიღებდა და მიაწოდებდა. კორნელი თხილს გასტეხდა, შეჭამდა და მერმე დედის ყალთაში თავმიდებულს მშვიდად დაეძინებოდა. ძილში სანუკვარ და საამო სიზმარს ნახავდა: სოფელში სხვენზე ატანილ აკიდოებს, კომშს, შაქარბროწეულს, კაკალს მოიპარავდა...

საათმა თერთმეტი დარეკა. კორნელი შეკრთა და ისევ საშინელი შიში და მარტოობა იგრძნო. სული შეეხუთა და გული ისე შეუღონდა, რომ შეშინდა, იქვე ღუმელთან არ დაცემულიყო. ნელა შევიდა თავის ოთახში, გაიხადა და დაწვა.

ძილი არ ეკიდებოდა მის თვალებს. გამოუთქმელი, დიდი სიჩუმე იდგა. არც მეზობლის ბავშვი ტიროდა ახლა.

2

შუაღამე გადავიდა. შეშფოთებულმა მამლებმა ცივი ხმით იწყეს ყივილი მეზობლის ეზოში, მერმე ძაღლებმა ასტეხეს ყმუილი და სადღაც განწირულის ხმით დაიწყეს ბღავილი ძრო-

ხეშმა და ხმორებმა. კორნელის გული გაუჩერდა, კვლავ სული შეეხუთა და ხელ-ფეხი გაუცივდა. კიდევ ერთი წამი და, მან აშკარად იგრძნო სიკვდილის მოახლოება. თოფნაკრავივით წამოიჭრა საწოლზე. მერმე თეთრეულის ამარა, მთვარეულივით გაჰყვა კედელს. საძინებელ ოთახს ძლივს მიაღწია... ხელის ფათურით მოსძებნა დენის ჩამრთველი და სინათლე აანთო. დედას ტახტზე ეძინა. კორნელი თავზე დაადგა. ტერეზას მაშინვე გამოელვიძა, მის სასთუმალთან მოჩვენების მსგავსად გაშეშებულ შვილს შეხედა და თავზარი დაეცა. შვილი უღონოდ დაეშვა ტახტზე. სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა. შეშინებული და ფართოდ გახელილი თვალებით სადღაც შორს იხედებოდა, თითქოს უცნაურ ხმაურს ყურს უგდებსო და საოცარ სურათს ხედავსო. დედა მაშინვე წამოდგა, გვერდზე მიუჯდა, ხელი მოხვია და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, შვილო?

— ცუდად ვარ... მიშველე... — ძლივს მიუგო კორნელიმ.

წელმოწყვეტილმა ტერეზამ ელენე გააღვიძა. ვალერიანის წვეთები მოსძებნეს და კორნელის დაალევინეს. მერმე მხარში შეუდგნენ, ოთახში შეიყვანეს და დააწვინეს. კორნელის ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაუცივდა და ისეთი კანკალი დაეწყებინა, რომ საწოლიდან ერთი ადლის სიმაღლეზე ხტოდა. დაზიდული კუნთები კინაღამ არ გაუსკდნენ. ელენემ სამოსაბანი გადააფარა, ზედ მთელი ტანით დააწვა დისწულს, მაგრამ ვერც ამით უშველა. დედამ და მზარეულმა ქალმა კატიამ ალგურები მოსძებნეს, გაახურეს და ფეხებში შეუწყვეს. კორნელიმ კედლისაკენ გადააგდო თავი და ახლა აჩემებულ ერთ წერტილს მიაშტერდა. ხელი ამოიღო საბნიდან და კედელზე უცნაური ნახაზების ჩხაპნა დაიწყო და შეშლილივით ბუტბუტებდა: „ნუთუ ხანმოკლე ჩემი სიცოცხლის პოლო ეგ არის?.. მე სულ სხვას ვფიქრობ... ვხედავ და მესმის...“—მერმე ვერაფერი ვერ გაარკვია ტერეზამ. კორნელი თვალანთებული მიშტერებოდა ერთ წერტილს და ცქერად და სმენად ქცეულიყო. ტერეზა შეშინდა, სახეზე ხელი აიფარა და ელენეს წასჩურჩულა: „ნამდვილად ჭკუას ჰკარგავს. დავიღუპე...“

მაშინვე დედამიწის გულში თავზარდამცემი გუგუნი გაისმა და მიწა ძლიერად შეირყა და იძრა. ზედიზედ ცვლიდნენ ერთმანეთს მძლავრი ბიძგები, თითქო სახლი ზღვის ამობოქ-

...ულ ტ-ლ-ქ-ს-ყ ...ყ-ლ-ა-ო გ-ი ა...ი. ს...კ-ლ-ს დ-ა-ა გ-ი-ო და ა-ე-თ-ი-ე-თ გ-ა-ა-ნ-ა. ჭ-რ-ზ-ე ჩ-მ-ო-კ-დ-ბ-ლ-ი ლ-მ-ა ს-ქ-ა-ნ-ლ-ს-ა-ე-ბ-რ შ-ი-რ-ხ-ა. ს-რ-მ-ლ-ს მ-ნ-ბ-ი შ-ზ-ა-ნ-ზ-ა-რ-ა, დ-მ-ს-ვ-რ-ა. მ-გ-დ-ზ-ე ფ-ა-ლ-მ, ჭ-ქ-ბ-ნ-ა, წ-მ-ლ-ს შ-უ-ბ-მ, ბ-თ-ლ-ბ-მ ჟ-ა-რ-უ-ნ-ი, წ-რ-ი-ა-ლ-ი და რ-კ-ა დ-ი-წ-ყ-ს. კ-დ-ლ-ბ-ს ბ-ზ-ა-რ დ-ე-ტ-ყ-. შ-ა-ლ-რ-ი გ-ი-ხ-ლ-ი-ჩ-. ჭ-რ-ი-დ-ნ გ-ჯ-ი და კ-რ-ი ჩ-მ-ც-ვ-ვ-ა.

მ-წ-ი-ს-ვ-ა ა-რ ნ-ლ-ე-ბ-დ-. ე-ნ-ე დ-რ-ფ-ნ-ი გ-ი-ჭ-რ-. მ-ს თ-თ-რ-უ-ლ-ს ა-მ-რ-ა ა-დ-გ-ა-რ-ი დ-თ-ა შ-ვ-ფ-თ-ა და ო-რ-ვ-ნ-ი ე-რ-ში გ-ც-ვ-დ-ნ-. ე-ზ-ში მ-ს-წ-ვ-ლ-ბ-ლ-ი ჭ-ლ-ბ-ქ-ი-ნ-ი ბ-ლ-ა-ა: „ა-ე-ტ-, ა-ე-ტ-ა“. ჩ-ძ-ი-ე-ბ-ულ ც-ლ-ჭ-მ-რ-ს მ-წ-ი-ს-ვ-რ-ზ-ე ე ღ-ვ-ძ-ე-ბ-დ-თ. ც-ლ-ი გ-ე-ლ-ნ-ბ-ე-ნ-ვ-თ წ-მ-ფ-რ-ლ-ყ-ო ს-წ-ლ-დ-ნ. ძ-უ-ძ-უ-მ-წ-ვ-რ-ი მ-ძ-ნ-რ-ი, ბ-ვ-ვ-ს-თ-ვ-ს ხ-ლ-ი დ-ე-ტ-ც-ნ- და ფ-ნ-ჯ-რ-ნ- გ-დ-მ-მ-ტ-რ-ყ-. ფ-ხ-ი და ნ-დ-ე-ე-ბ-ი ე-ე-შ-ვ-ე-ბ-ნ-. ბ-ვ-ვ-ი კ- მ-ლ-ა ა-წ-ე-ლ-ი ხ-ლ-ე-ბ-თ გ-დ-ე-რ-ჩ-ნ-. თ-თ-რ-ე-ულ-ს ა-მ-რ-ა ჭ-ჩ-ა-ი გ-ჭ-რ-ლ- პ-ლ-კ-ვ-ნ-კ- მ-ქ-ლ-ძ- ვ-რ-ს ხ-დ-ზ- დ-ე-ჭ-რ-თ ბ-ე-ზ-ვ- გ-ბ-რ-ე-ლ- და მ-ზ-ბ-ლ-ბ-ს. ბ-ძ-ო-ლ-ს ა-პ-რ-ზ-, ზ-რ-ბ-ზ-ნ-ბ-ს ვ-რ-ალ-ი ნ-მ-ყ-ფ- მ-ხ-დ-რ-, ა-ლ- მ-წ-ი-ს-ვ-რ-ს შ-შ-ს-გ-ნ გ-ც-ე-ბ-ულ- ლ-ჩ-რ-დ ქ-ე-ულ-ყ-. მ-რ-ი ს-რ-კ-ნ- და ბ-ს- ც-ლ- დ-ღ-პ-ვ- წ-ნ ე-თ-ნ-თ-ს კ-დ-ე უ-რ- მ-გ-რ- ჩ-ჭ-ნ-ბ-დ-ნ-, თ-ვ-ზ- ს-ბ-ი-ნ- წ-ე-ხ-რ-თ. ე-თ-დ ს-კ-დ-ლ- გ-დ-ე-წ-ყ-ტ-თ და რ-დ-ვ-ნ ე-თ-დ კ-დ-ბ-დ-ნ-, ს-კ-დ-ლ- ნ-კ-ლ- ე-რ-თ-ხ-ბ-დ-თ.

ბ-ნ-ლ- დ-მ-თ ხ-ლ-ი ე-ზ-შ-, ჭ-ჩ-ა- გ-ბ-ო-ე-ნ-ლ-ყ- და ქ-თ-ქ-თ-ბ-დ-. ა-ე-თ- მ-დ-ვ-რ- წ-რ-ძ-ვ- ბ-ლ-დ ე-თ-ხ-ე უ-ი-ი-ლ- ს-ქ-რ-თ-ე-ლ-შ-. ი- დ-მ-თ გ-რ-ი ი-თ-ქ-ი- ყ-ე-ლ- ს-ხ-ლ- და ნ-გ-ე-ბ-ბ- დ-ი-ნ-რ- და დ-ქ-ც-. თ-ი-ლ-ი-ი მ-ხ-ვ-რ-ე-ლ-ბ-მ ნ-ი-ლ- დ-მ- ც-ლ ქ-ე- გ-თ-რ-ს. ს-ხ-ლ-ბ- ი-ე-თ- ძ-ლ-თ ი-ყ-ე-დ-ნ-. ი-ო- ე-ზ-ში და ქ-ჩ-ა- ყ-ფ-ა- ს-შ-ში შ-ი-ქ-ა, რ-თ- კ-ც- ვ-ნ-ბ- ნ-ნ-რ-ე-თ- ქ-ე- ა- მ-ქ-ე-ულ-ყ-. ა-ი-ტ-მ უ-ბ-ა- ხ-ლ-ი მ-ე-ნ-ბ-ს-ე- დ- ტ-ქ-რ-ს-ა-ე- შ-ე-შ-რ-ბ-დ-, ბ-ე-ი კ- ქ-ლ-ა-გ-რ-თ- გ-რ-ბ-დ-.

ყ-ე-ლ-ნ ქ-ლ-ბ- ი-თ-ქ-ა, ბ-ვ-შ-ე-ბ- ტ-რ-ი- და მ-მ-ა-ქ-თ- ყ-ი-ი- გ-ი-ბ-დ-. ე-რ-ნ- მ-შ-ბ-ლ-ბ-, მ-ო-ე-ნ- ბ-ვ-შ-ე-ბ-, მ-ს-მ-ნ- კ- ც-ლ-ბ- უ-მ-მ-ბ-ნ- და ც-ღ-ლ-ბ-ნ- ხ-ა-ზ- ე-ც-ნ-თ ე-თ-ა-ნ-თ-. ზ-გ- თ-ვ-ს გ-დ-რ-ჩ-ნ-ზ- ფ-ქ-რ-ბ-დ- და ზ-გ- კ-ე- მ-ს-ლ-ბ-ლ ა-ა-მ-ა-ნ-ზ- წ-ბ-დ- და ტ-რ-დ-.

ტერეზა და კატია ყველაზე გმირულად შეხვდნენ მიწისძვრას. ტერეზა კორნელის არ მოშორებია. როდესაც სინათლე ჩაქრა, კატიამ ნავთის ლამპა მოსძებნა და აანთო. მიწისძვრამ კარგა ხანს გასტანა. კორნელი სრულიად მშვიდად იჯდა ახლა საწოლზე და დედას ნაპირგასული, გამარჯვებული კაცის ღიმილით ეუბნებოდა:

— ორი რამ მაოცებს, დედაჩემო. ერთი ის, რომ მიწისძვრა წინასწარ ვიგრძენი და მეორე, დაიწყო თუ არა მიწისძვრა, გულის შეტევამ და სიკვდილის შიშმა გამიარა. მე მაშშვიდებდა ის გარემოება, რომ ჩემთან ერთად მთელი ქვეყანა იღუპებოდა. ამიერიდან შემიძლია გავიმეორო სიტყვები პლინიუს უმცროსისა, რომელიც ვეზუვიდან ლავის ამოსროლას, ჰერკულანუმისა და პომპეუსის დაღუპვას დაესწრო. იგი დიდ ისტორიკოსს ტაციტს სწერდა: „მე მამხნევებდა ის მწუხარე, მაგრამ მაინც დიდზე დიდი ნუგეში, რომ ჩემთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმა იღუპება, რომ ეს ქვეყნის ღასასრულია“.

მიწისძვრის შემდეგ

> მიწისძვრისა და ვულკანების სახით ჩვენ საქმე გვაქვს შედარებით ნაკლებ გავრცელებულ მოვლენასთან და მისგან მსოფლიოს რომ დაღუპვა ან რაიმე საშიშროება მოელოდეს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.
>
> ვილჰელმ ბელშე

1

20 თებერვალს ღამით მომხდარი დიდი მიწისძვრა, მცირე ბიძგების სახით, კარგა ხანს გრძელდებოდა. მეორე დღეს ქალაქ გორისა და მის მახლობლად მდებარე სოფლების დანგრევის ამბავი მთელმა თბილისმა შეიტყო. მიწისძვრამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დიდი ზარალიც მიაყენა ქართლს.

მთავრობის ზოგი წევრი, წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაკები და ჯარის ნაწილები სანიტარული მატარებლებით გორისაკენ გაეშურნენ.

პოლშევიკურმა პარტიამ და კომკავშირმა მფრინავი რაზმები შეადგინეს, რომელთაც მიწისძვრით დანგრეულ გორს, მის მახლობლად მდებარე სოფლებს და დაზარალებულთ დიდი დახმარება გაუწიეს. ერთ-ერთ მფრინავ რაზმში თბილისის მუშები — დანგაძე, ჩაპლიგინი, ხახუტაშვილი, მარუაშვილი და იარალოვიც შედიოდნენ.

საშინელი სურათი გადაეშალათ გორში თბილისიდან ჩასულთ. მატარებელი დანგრეულ სადგურს მიუახლოვდა. შორს, ქართლის ველზე ერთბაშად აზღუდული, ბევრი ჭირისა და ვარამის მომსწრე, ბებერი და ჟამთა სიავით დამეხილი გორის ციხე, აბობოქრებული ზღვის ტალღებისაგან გვერდებშელეწილი და სამარადჟამო განსასვენებლად ნავთსაყუდარში შეცურებული, უზარმაზარი ხომალდივით სდუმდა და თვლემდა. მის ქვეშ გაშლილი ქალაქის ყველა სახლი მთლიანად ან ნახევრად დანგრეულიყო. ზოგან სახლს კედელი მორღვეოდა და ქუჩიდან სასტუმრო, სასადილო, საძინებელი ოთახები, როგორც სცენაზე ისე ჩანდნენ. მათი მორთულობა, ავეჯი, ანულაგებელი სუფრა, გაშლილი ლოგინები და აკვნები ობლად და საცოდავად გამოიყურებოდნენ. გლოვით მოკლული და თვალცრემლიანი დედები ნანგრევებს შორის ეძებდნენ ბავშვებს.

დანგრეულიყო გორი. მხოლოდ უკვდავი ხელოსნის მიერ ქართლის შუაგულში, ლიახვისა და მტკვრის პირას ნაგები ციხე გადარჩენოდა მიწისძვრას, როგორც საქართველოს უკვდავების სიმბოლო.

მიწისქვეშა ბიძგები არ ნელდებოდნენ და შეშინებული მოსახლეობა, ნანგრევების ქვეშ მოყოლის შიშით, ქალაქგარეთ— მტკვრისა და ლიახვის პირას გაშლილ ველზე გასულიყო, საბელდახელოდ წამოღებული ხაბაკხუბაკით იქ დაბანაკებულიყო. მიწისძვრისაგან გადარჩენილნი მახლობლებს უხმობდნენ, დასახიჩრებულთ და დალუპულთ ეძებდნენ.

ზამთარი იყო. მტკვრისა და ლიახვის პირას სუსხიანი ქარი ჰქროდა. ლტოლვილებს საბანი, შალი, ქენჯა, მაზარა და ნაბადი წამოესხათ. შიშით და სასოწარკვეთილებით გასცქეროდნენ ისინი დანგრეულ ქალაქს, დადუმებულ. მთვლემარე გორის ციხეს და ირგვლივ აზღუდულ მთებს.

მიწისძვრას მახლობელი მთის ფერდობები გაეხლიჩა, ღარ-

ტაფები, ნაპრალები გაჩინა და მთის დახეთქილი ფენები, წყვრის მსგავსად, აღგილიდან დაეძრა, მორღვეული და უზარმაზარი მიწა და ლოდები წამოეკიდა, რომ მტკვრისა და ლიახვისაკენ წამოეღო, შიგ დაეხვავებია, მდინარე დაეგუბებია და ქალაქი და მახლობელი სოფლები წყლითა და მორევით წაელეკა... ზოგი სოფელი ირწმუნებოდა, რომ მთებს შორის, ღრმა ნაპრალების თავზე, ღამით იისფერი ალი ლაპლაპებს, ლვივის, ცეცხლოვანი, დაკლაკნილი გველებივით ცისაკენ მიფრინავენ და მიწის ქვეშ დახშული გუგუნი გაისმისო. ათას რამეს ამბობდნენ მიწისძვრით შეშინებული ცრუმორწმუნე ვლეხები.

თბილისიდან ჩამოსული დამხმარე რაზმები და ჯარისკაცები გორად დაყრილ აგურებს, გაჯსა და კირს წერაქვითა და ნიჩბით თხრიდნენ და ნანგრევებს შორის მოყოლილთ ეძებდნენ, გვამებს ცალკე აწყობდნენ, ხოლო დაჭრილნი და დასახჩრებულნი თბილისისაკენ მიმავალი სანიტარული მატარებლისაკენ მიჰყავდათ. ცის ქვეშ დარჩენილთ ბინებს უჩენდნენ. გორისა და მის მახლობლად მდებარე ქართლის სოფლების დანგრევას მთელი საქართველო გლოვობდა.

რამდენიმე დღის მუშაობის მერმე მფრინავი რაზმები თბილისში დაბრუნდნენ.

2

სწორედ 20 თებერვალს, ღამით მომხდარი დიდი მიწისძვრის დროს ისარგებლეს მეტეხის საპატიმროს ადმინისტრაციის და გუშაგების პანიკით და არევ-დარევით პატიმრებმა და სერგო ქავთარაძე, ვანო მახათაძე, ბორის ძნელაძე, ნიკო გოცირიძე, მიტო ჩიკვაიძე, გიგა ხუციშვილი და სხვანი, კამერ მიერ კედელში გაყვანილი ხვრელით, ციხიდან გავიდნენ; ისინი მტკვრის კლდოვან და მაღალ ნაპირზე დაეშვნენ, მტკვრს ტაძრის მახლობელ ეზოში გადაცოცდნენ და აქედან ვიწრო ჭუჩებით პატიმრებმა ავლაბარში ამოჰყვეს თავი.

ერთხელ კარომ ბორის ძნელაძის კონსპირაციულ ბინაზე პროკლამაციის კორექტურა მიიტანა გასასწორებლად. შინ რომ ბრუნდებოდა, ზემელის აფთიაქთან მდგარმა, შავ პალტოში გამოწყობილმა კაცმა მალულად შეათვალიერა. კაროს

არ მოეწონა იმ კაცის სახე. ვერის დაღმართზე დაეშვა, მაგრამ ზურგში იმ კაცის თვალების გამოხედვას გრძნობდა და მისი ნაბიჯების ხმაც ესმოდა. უკან მოხედვისა ეშინოდა და მხოლოდ მაშინ, როცა ალმართზე ამომავალმა მანქანამ ჩაუარა, მობრუნდა, თითქო მას უცქერისო, თანაც უცნობი კაცი მოლანდა. ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის კაცი მას უთვალთვალებდა და კვალდაკვალ მოსდევდა. გზაზე ვანოს და— სტუდენტი ქალი შეეფეთა, კარომ უთხრა:

— აგენტი მომდევს... ჩქარა გაიქეც ჩემსას. კედლის შპალერში შენახული მაქვს სერგო ქავთარაძის მიერ დაწერილი პროკლამაციის დედანი. უთხარი ჩემს ცოლს, დაუყოვნებლივ გააქროს. რევოლვერი გადამალოს.

ქეთო განშორდა და ზემელის აფთიაქისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. მერმე კაროს ვერის ხიდთან მიტო ჩიკვაიძე შემოხვდა. კარომ კოპები შეჰკრა და მიტოს თვალით ანიშნა, არ მისულიყო მასთან; მაგრამ მიტო ვერ მიხვდა, რას ანიშნებდა იგი და კაროზე ადევნებული აგენტიც ვერ შეამჩნია, ორივენი ვერის ხიდზე ავიდნენ. როდესაც სახალხო თეატრთან დიდიმთავრის ქუჩით გადაუხვევს, აგენტმა კარო და მიტო შეაჩერა და წინადადება მისცა მათ:

— გამომყევით!

— სად უნდა გამოგყვეთ? ქორწილი გაქვთ თუ ისე ქეიფობთ?

— ქორწილი მაქვს,— ღიმილით მიუგო უცნობმა და ქეპი თავზე ჩამოიფხატა. იგი მაღალი, მკვულვაშიანი, ფერმკრთალი კაცი იყო.

— ვერა, ძმაო, ვერ წამოვალ. თქვენზე ადრე ამ კაცმა დამიჭირა. აბა, ჰკითხეთ!—უთხრა კარომ.

— მართალს ამბობს, — დაუდასტურა მიტომ და ჯიბეში ბრაუნინგის კონდახს ხელი მოუჭირა.

— ნუ ლაყბობ, ახლავე გამომყევით! მე თქვენ კარგ სანქციფო ადგილზე მიგიყვანთ, — ბრაზით უთხრა აგენტმა მიტოს და კაროს.

— რად გვემუქრებით, რა დავაშავეთ? — ჰკითხა მიტომ.

— ადგილზე გაიგებთ, რაც დააშავეთ, — თვალები დაუბრიალა აგენტმა.

— ოქვენ ვინა ბრძანდებით? — ჰკითხა მიტომ.

— შესწყვიტეთ ლაპარაკი, წინ იარეთ! — უბრძანა აგენტმა და მიტოსა და კაროს უკან დადგა. მიტო სწრაფად შემობრუნდა, მოასწრო და ბრაუნინგი იშიშვლა.

— ხელები მაღლა!—უყვირა მან უცნობს.

აგენტმა ჯიბისაკენ გააქანა ხელი, მაგრამ მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევა რომ უაზრო იყო და დამორჩილდა. კაროს გაეხსნა და ჯიბიდან რევოლვერი ამოართვა. მიტომ უცნობს უბრძანა.

— ახლა მიბრუნდი, უკან არ მოიხედო და ისე იარე!

აგენტი შებრუნდა და დიდიმთავრის ქუჩას ვორონცოვის ხიდისაკენ გაჰყვა. უკან არ მოუხედია. როდესაც აგენტი თვალს მიეფარა, მიტო და კარო გაიქცნენ და გერმანელების საავადმყოფოს ეზოში შევიდნენ. აქედან გიმნაზიის ეზოში გადავიდნენ და დათა მიქელაძის ბინის სამზადს მიადგნენ. სამზადში მზარეულმა ქალმა კატიამ მიტო იცნო და გაოცებით მიაშტერდა მეგარმონეს. მერმე მიტოს გაუღიმა:

— კორნელისთან მოხველით? წინა კარებიდან რად არ შემოდით? ქალბატონისა მოგერიდათ? ალბათ, ქეიფს აპირებთ! — სიცილით ჰკითხა კატიამ და მიტო და კარო კორნელის ოთახისაკენ წაიყვანა.

სტუმრები ფეხის წვერებზე შედგნენ, ბნელი და გრძელ დერეფანი ჩუმად გაიარეს და კორნელის ოთახს მიადგნენ. ცხიდან გაპარვის მერმე მიტო ორჯერ ესტუმრა მეგობარს, მაგრამ კაროსთან ერთად დღევანდელმა მოსვლამ შუქფარიანი ლამპით განათებულ საწერ მაგიდასთან მჯდარი კორნელი გააოცა. იგი წამოიჭრა, სტუმრებს ხელი ჩამოართვა და აღტაცებით უთხრა:

— აგაშენათ ღმერთმა, რომ მოხვედით. დღეს სოფლიდან მეზობელმა დედას სანოვაგე და ღვინო ჩამოუტანა. დასხედით, დედას დავუძახებ და ყველაფერი ახლავე გაჩნდება. გარმონიც გავწელოთ. —

— ჩუმად, ბიჭო! ჩვენ ქეიფისა და გარმონის თავი არა გვაქვს. — შეაჩერა მიტომ. ყველაფერი მოკლედ უამბო და გააფრთხილა:

— წადი, კატიას უთხარი, არავისთან წამოცდეს ჩვენი აქ მოსლა. დედაშენი და თქვენები შინ არიან?

კორნელის არ შეშინებია ასეთი ხალხის სტუმრობისა, ბი-

რიჭით, სიხარული იგრძნო იმის გამო, რომ საშუალება ეძლეოდა გამოდგომოდა მათ. ყავარჯნები აიღო, წავიდა, დედა და შინაურები გააფრთხილა, არავინ შემოეშკათ და არც არავისთან წამოცდენოდათ, თუ ვინმე იყო მასთან. დედას ცოტა ღვინო და საჭმელი სთხოვა და კატიას თავის ოთახში შეატანინა. მერმე კატიას ქმარი მეეზოვე გაბრიელი იხმო, ერთი დიდი ჭიქა ღვინო დერეფანში გადააკვრევინა, საჭმელი მისცა და საიდუმლოდ უთხრა:

— გაბრიელ, ერთი რამე უნდა გთხოვო. თუ გინდა შენი მეგობარი ვიყო, ჭიშკარი ჩაკეტე, ამ ღამით ჩვენს ბინას უდარაჯე და ეზოში არავინ არ შემოუშვა, ვინც არ უნდა მიკითხოს, უთხარი, შინ არ არის-თქო. თუ ვინმე საეჭვოდ მოგეჩვენოს, მოდი და შენი ყავარჯნით ბაღიდან ჩემი ოთახის სარკმელზე დააკაკუნე...

— არის! — მიუგო ჯარისკაცივით გაჭიმულმა მოხუცმა.

— ფხიზლად გეჭიროს თვალი. მე არ ვიძინებ ამ ღამით. თუ დარაჯობის დროს შეგცივდეს, მოდი და ღვინოს ისევ დაგალევინებ...

მოხუცმა მეეზოვემ ულვაშებში ჩაიცინა. კორნელიმ მხრზე შემოჰკრა ხელი და უთხრა:

— მაშ, ასე, მამაო გაბრიელ, დაიხსომე, რაც გითხარი, ფხიზლად იყავ ამ ღამით, დილით კი ჩემგან საჩუქარი — შაქარი და ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი მიირთვი.

მოხუცმა ისევ ჩაიცინა, კეფა მოიფხანა და კორნელის მიუგო:

— მშვიდად იყავით, ბატონო. ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ ბრძანეთ...

ბერივით თმამოშვებული მეეზოვე საჩქაროდ შინ მივიდა, ქურქი მოისხა, ყავარჯენი აიღო, ჭიშკარი დაკეტა და ეზოში, სახლის ირგვლივ სიარული დაიწყო. როდესაც კორნელი, მიტო და კარო მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე საუბარს მორჩნენ, ვახშამს შეექცნენ და ზედ ცოტა ღვინოც დააყოლეს, მიტო ქეიფის ეშხზე მოვიდა:

— კორნელი, შენ კაროს დაკვრისათვის არ მოგისმენია. აფსუს, ახლა აქ გარმონზე დაკვრა რომ არ შეიძლება!

— შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, მე მაინც არ დავუკრავდი, მიტოჯან.

— რათა?

— რაც გორში უბედურება ვნახე, მას შემდეგ გარმონზე არ დამიკრავს, — მიუგო კაროლმა და გორის ამბავს მოჰყვა...

3

კორნელიმ მეგობრებს უამბო, თუ რა განიცადა მან მიწისძვრის წინ, მიწისძვრის დროს და მის შემდეგ. იგი მეგობრებთან საუბარს მონატრებული იყო:

— ჩემი ცხოვრების გზაზე, — დაიწყო მან, — ბუნების ორმა მოვლენამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და მსოფლიო საიდუმლოებათა გამო ღრმად ჩამაფიქრა. ერთხელ, ბავშვობის ჟამს, დედაჩემი, ჩემი ძმა სტეფანე, მე და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა ჩხეიძე სოფელ ზედაზნიდან კარისმერეთში ვბრუნდებოდით. გზაზე დაგვიღამდა. ცაზე ვარსკვლავები აღენთნენ. როდესაც მდინარეზე გავედით და იონას ვეება ძელქვებს მივუახლოვდით, უცებ ცაზე კუდიანი ვარსკვლავი დავინახეთ. კომეტას, დასავლეთის მხარეს, ცის ტატნობის ნახევარი დაეჭირა და ვერტიკალურად მაღლა აწვდილი თავისი ცეცხლოვანი კუდი ვეება მარაოსავით გაეშალა. ეს ამბავი პირველ მსოფლიო ომამდე მოხდა. სოფლად ათასგვარი ჭორი გავრცელდა. მითქმა-მოთქმა დაიწყო. ქალაქელები ხალხს აფრთხობდნენ: კომეტა მოხეტიალე სხეულია, იგი შეიძლება ჩვენს ორბიტში შემოიჭრას, ახლოს ჩაუაროს დედამიწას და მაშინ მისი ცეცხლოვანი კუდის მატერიაში შემავალი ქიმიური ნივთიერებანი მოწამლავენ ატმოსფეროს და იქ სუნთქვა შეუძლებელი გახდებაო. ისინი ივასაც ამბობდნენ, კომეტა, როგორც ზარბაზნის ვეება ყუმბარა, საოცარი სისწრაფით მოექანება დედამიწისაკენო... ცრუმორწმუნე სოფლელები კი გაიძახოდნენ: კუდიანი ვარსკვლავი ომის, შავი ჭირის, უბედურების, ქვეყნის დაქცევის მომასწავებელიაო. მართლაც, რამდენიმე წლის მერმე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო ხალხში ფესვგადგმული ცრუმორწმუნეობის კიდევ უფრო მეტ ზრდას. რა არის კომეტა? რას ნიშნავს იგი? საიდან წარმოიშვა მისი კუდი? სად მიექანება იგი და რა საშიშროება მოელის მისგან დედამიწას? აი კითხვები, რომლებიც ბავშვობიდანვე არ

მასვენებდნენ. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამჭრა ასტრონომიამ. ახლა, ამას წინათ მოვხვდარი მიწისძვრ ს მერმე კი გეოლოგიას და განსაკუთრებით ვულკანიზმის თეორიებს ჩავკირკიტებ.

კორნელიმ მიტოს და კაროს დედამიწის გავარვარებული გულის, მთის ქანების, „საფქველების“, პირის ნიადაგის ჯიშებზე წუწვრა და მკრმე ცალკეული, იზოლირებული და ერთმანეთთან დაკავშირებული რეზერვუარების შესახებ უამბო:

— ვულკანური მოვლენები ჯერ კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენენ. მაგრამ მეცნიერება თანდათან უახლოვდება მათ საბოლოო ამოხსნას. მეცნიერს თვალწინ უდგას ვულკანების თანამედროვე ზემოქმედების ზუსტი სურათი. ლავის ჭიმერამ შედგენილობამაც ბევრი რამ გაარკვია... ყველაზე გამანადგურებელი ამოსროლა ვეზუვისა მოხდა 79 წელს ახალი წელთაღრიცხვით, როდესაც ქალაქები ჰერკულანუმი და პომპეუსი დაიღუპნენ. ვეზუვთან მოძხდარი კატასტროფის ყველა საშინელება განმეორდა ანტალიის ერთ-ერთ კუნძულზე — მარტინიკზე 1902 წელს მონტე-პელეს ამოსროლის დროს, რომელმაც მთელი ქალაქი ს. პიერი გაანადგურა და 3000 კაცამდე იმსხვერპლა, მაგრამ ყველაზე დიდი ვულკანური ამოსროლა, როგორც ცნობილია, 1883 წელს ზონდის უბეში, სუმატრასა და იავას შორის. შუა ზღვაში მდებარე კუნძულზე მოხდა. ვულკანი კრაკატაუ იმ კუნძულზე იყო...

მიტო და კარო სულგანაბული უსმენდნენ კორნელის.

— ვულკანური ამოსროლები, — განაგრძო კორნელიმ.— დედამიწის ქერქის მთელ სისქესთან შედარებით, უმნიშვნელო მოვლენებს წარმოადგენენ, მაგრამ, ჩვენი ადამიანური მასშტაბების მიხედვით, მისი ეფექტი ზედპირული მოქმედება პირდაპირ კოლოსალურია.

მიწისძვრისა და ვულკანური ამოსროლის შესახებ ახლა კორნელი მშვიდად საუბრობდა, თანაც რცხვენოდა, მიწისძვრის წინ კოსმიურ-პესიმისტურ ჰვრეტას რომ ეძლეოდა. ხოლო მიწისძვრის დროს კი ისე ეგონა, თითქო ქვეყანა იქცეოდა და პლინიუსის მსგავსად ნუგეშს იმაში ჰპოვებდა, რომ მასთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმაც იღუპებოდა. კორნელიმ ესეც უამბო მიტოს და კაროს. კარეს შტეინეს შრომების წაკითხვის მერმე კონტინენტებზე, დედამიწის გაცივებაზე და ვულ-

კანურ ამოსწროლათა შესახებ მას ნათელი წარმოდგენა ჰქონდა და ისიც იცოდა, რომ ქვეყანას მათგან დაღუპვა არ მოელოდა.

ქვეყნის დაღუპვის შიში, სევდა და წუხილი, რომელიც ბავშვობიდანვე თან სდევდა მას, რომელიც მერმე მიწისძვრის წინ ბობოქრობდა მის სულში, თითქო ლავისებრ ერთბაშად ამოვარდა კორნელის არსებიდან და იგი უმალვე დამშვიდდა.

კორნელიმ ტახტზე გაუშალა ლოგინი მიტოს და კაროს. ღამე მშვიდად გაათიეს სტუმრებმა და რიჟრაჟზე კი გზას გაუდგნენ.

მიტოს და კაროს წასვლის მერმე კორნელიმ ისევ მარტოობა იგრძნო. ჯიბეში ხელები ჩაიწყო, მაგიდასთან მივიდა და დიდტანიან წიგნს დააშტერდა. წიგნის გარეკანზე ოქროს ასოებით ეწერა: „მეცნიერული ბიბლიოთეკა. ქვეყანა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი". მთელი წიგნის გასწვრივ ზევიდან დიდი დაკლაკნილი გველი ჩამოცურებულიყო, მთის ფენებიდან გამოჟონილ, აუზში ჩამდგარ ანკარა წყალს—სიბრძნის წყაროს დასწაფებოდა, თავის ნესტარი, ენა გამოეყო და წყალს ისე სვამდა. კორნელიმ წიგნი გადაშალა. წიგნის შიგნით პირველ ფურცელზე მთელი სურათი ეხატა: მარცხნივ ჭაბუკი იდგა. ცალი ხელით ჩირაღდანი მაღლა ეჭირა და მოღრუბლულ, ბნელ ცისათვის მიეშუქებია, ცალში კი მნათობთა საჭვრეტი დურბინდი დაეკავებია. მარჯვნივ მგლოვიარე ასული იდგა და ქვევით ღია საფლავს დასცქეროდა. საფლავიდან კაცის ჭალა და ზედ მჯდარი ჭოტი ჩანდა. ღია საფლავის პირას მწუხარე და ღრმა ფიქრებში წასული ჭაბუკები იხიბლნენ და მსოფლიო საიდუმლოებათა ამსახველ წიგნს კითხულობდნენ.

კორნელი ადამიანის ჭალას დააცქერდა, ტანში გააჟრჟოლა. წიგნი დახურა. დაჯდა და სარკმელში ნაღვლიანად გაიხედა. მიტოს და კაროს წასელა აღონებდა. სწუხდა; მათ მშვიდობისა და ბრძოლაში მონაწილეობას რომ ვერ ღებულობდა... „ის უბრალო, შავტუხა ბიჭი, ასთანწყობი კარო, თავისი ჯადოსნური გარმონით, რომლითაც მას არალეგალური ფურცლები გადააქვს და მსოფლიოს გარდაქმნის იდეებს ავრცელებს, ათასჯერ მეტ საქმეს აკეთებს კაცობრიობის პროგ-

რესისა და ბედნიერებისათვის, ვიდრე კოსმიური პესიმიზმით და მსოფლიო კატასტროფის შიშით გამსჭვალული იდეების მქადაგებელი ათასი ფილოსოფოსი“, — ფიქრობდა კორნელი.

ნაწილი მეოთხე

პროფესორი და პოეტი

ისინი (epikurეს მიმდევარნი) საზოგადოებრივ მოღვაწეობას გაურბიან და თავის მოწაფეებსაც აიძულებენ გაურბოდნენ მას.

პლუტარქე

I

ნაცრისფერ პიჯაკში და შარვალში გამოწყობილმა, შავულვაშიანმა და ხშირწარბებიანმა პატარა კაცმა, გიმნაზიის სახელოსნოს დურგალმა, პოლონელმა სტანისლავ გილევიჩმა შინდის ხისაგან კორნელის ჩინებული ყავარჯენი გაუკეთა. თავმოღუნულ ყავარჯენს წვერში რეზინის რგოლი მიაჭედა, ფილაქანზე რომ არ დაცურებულიყო. თებერვლის ბოლოს კორნელიმ იმ ყავარჯნით უნივერსიტეტში სიარული დაიწყო. იგი მედიცინის ფაკულტეტიდან ფილოლოგიურზე გადავიდა.

ყველაზე გულმოდგინედ კორნელი დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის, სასულიერო მწერლობის დიდი სპეციალისტის კორნელი კეკელიძისა და გარუსებული ქართველი მეცნიერის, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის ფილიმონ ერისთავის ლექციებს ესწრებოდა.

ფილიმონ ერისთავი ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში კითხულობდა ლექციებს. სამოც წელს მიღწეულ პროფესორს მსოფლიო მეცნიერის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეს სახელი მას ეგვიპტის პაპირუსებზე დაწერილი და ალექსანდრიის წიგნთსაცავში დაცული მენანდრეს კომედიების შებღალული და ჟამისაგან აქ-იქ წაშლილი ტექსტის გაშიფვრამ და დადგენამ მოუპოვა.

ეროსთავის ლექციების მეტად [illegible]
სორს საამო ხმა ჰქონდა. იგი ამღერებული და ლამაზი რუსულით კითხულობდა ლექციებს. პეტერბურგელი ძველი არისტოკრატივით უქცევდა ენას იმგვარად, როგორც ევროპაში, უფრო კი საფრანგეთში გაზრდილ დიდგვაროვანთ სჩვეოდათ ხოლმე. იგი რუსი არისტოკრატების იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ევროპის კულტურის წინაშე მუხლს იდრეკდნენ, ევროპაში, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს, ხოლო თავის სამშობლოში კი უცხოელებსა ჰგვანდნენ. მათ თავის მშობლიურ ხალხთან კავშირი გაეწყვიტათ და მისი სიდუხჭირისა და ჭირ-ვარამისა არა ესმოდათ რა.

ფილიმონ ერისთავი მაღალი, გამხდარი და ქერა კაცი იყო. სახის ნაკვთების წყობით ინგლისელსა ჰგავდა. მოგრძო სახე, მრგვალი და ფართო ნიკაპი ჰქონდა, მის სახეს გრძელი და ქერა ულვაში ამშვენებდა. მიუხედავად მისი ასაკისა, თმაში თეთრი არ ერია, ჭროღა, მოცისფრო შუქიანი თვალები და არწივის ნისკარტივით მოღუნული ცხვირი ბრძნულსა და თანაც მედიდურ გამომეტყველებას და იერს ჰფენდა მის სახეს. ფილიმონ ერისთავის მამა გარსევანი, რუსეთის მეფის ამალის გენერალი, რაჭველი თავადი იყო. ფილიმონს ძარღვებში რუსის და ინგლისელის სისხლი ედგა. დედა — რუსი, ხოლო დიდედა კი — ინგლისელი ჰყავდა. იგი რუსეთში დაიბადა, დავაჟკაცდა და ქალიც იქ შეირთო. რუსეთში ცოდნისა და მეცნიერული ხარისხის მიღების მერმე ინგლისში — კემბრიჯის უნივერსიტეტში გაემგზავრა. მალე იგი პეტერბურგის უნივერსიტეტმა მიიწვია. აქ მას კლასიკური ფილოლოგიისა და კულტურის დიდი მცოდნე, მხატვრული დიალოზონის და პოეტური ბუნების მქონე ადამიანი, ცნობილი მკვლევარი, თეთრწვერა პროფესორი, ფადეი ზელინსკი დაუხვდა, რომლის დიდი პიროვნება ერისთავს დიდხანს ჩრდილავდა. ბოლოს ქართველ პროფესორს ბედმა გაუღიმა. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის მერმე, ზელინსკი პოლონეთში გადაბახლდა. იგი ვარშავის უნივერსიტეტმა მიიწვია. მაგრამ მალე ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, ერისთავი რუსეთიდან გამოიქცა და საქართველოს შეაფარა თავი. ერისთავი ახლადაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში მიიწვიეს. მან ქართული არ იცოდა და ლექციებს რუსულად კითხულობდა.

ერისთავი ქრისტიანულ ეპამდე მე-8—5 საუკუნეებში ძველ ბერძნულზე დაწერილ ლიტერატურას ასწავლიდა სტუდენტებს. ძველ, ანტიკურ ფილოლოგიის ძეგლებზე და ეგვიპტურ პაპირუსებზე ხანგრძლივი მუშაობის გამო სახეზე ეტრატის ფერი მიჰფენოდა, ფერფლის ფერი დაჰჩენოდა და ჟამისგან გამომხმარ ეგვიპტურ მუმიას დამსგავსებოდა. მას არა ესმოდა რა ჩვენი საუკუნისა და ძველი ბერძნული ფილოსოფია, პოლიტიკა, ესთეტიკა, ხელოვნება და პოეზია სრულქმნილი და სწორუპოვარი ეგონა. საზოგადოებრივი წყობილების იდეალურ ფორმად მონარქია მიაჩნდა. ოქტომბრის რევოლუციის შერმე საქართველოში ჩამოსული მოხუცი თბილისის ქუჩებში მარტო, დამუნჯებული დადიოდა. მაინც ამაყად და მედიდურად ეჭირა თავი. მარტოობა უყვარდა. რადგან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა, დღენიადაგ იქ იჯდა და მეცადინეობდა. მას თავისი სამყარო ჰქონდა. პირველ ხანებში იგი გულჩათხრობელი და მიუკარებელი იყო. თითოოროლა პროფესორთან თუ მეგობრობდა. მერმე კი, როცა საბჭოთა ოუსეთში განცდილმა შიშმა გაუარა, უფრო გულღია გახდა, მეტი მეგობრები გაიჩინა და ფართო ნაცნობობაც გაიჩალა.

ერისთავის ლექციებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს როგორც სტუდენტობაში. აგრეთვე თბილისის მოწინავე საზოგადოებაშიც. ერისთავის ლექციებს არა მარტო სტუდენტები, არამედ პროფესორები, ლექტორები, მასწავლებლები, სხვადასხვა პროფესიის ხალხი და უფრო კი ქალები ესწრებოდნენ. მიეხვედავად ერისთავის სიბერისა და მის სახეზე უკვე გაჩენილი ბზარებისა და ნაოჭებისა, მაღალი წრის ქალები მას ულამაზეს მამაკაცად სთვლიდნენ.

პროფესორი უშვილო იყო. მის მეუღლეს—პატარა, ლამაზ, ცისფერთვალებიან, ჭკვიან ქალს ფილოსოფიური განათლება მიელო. ეს ნიჭიერი, მკვიანი და მეცნიერი რუსი თავადის ქალი თავის შრომებს ჟურნალ „ფილოსოფიისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხებში“ ბეჭდავდა. ცოლს დიდ პატივს სცემდა ერისთავი. ნიჭიერად აწყო, ბერძნული სრულქმნილი სილამაზის მოტრფიალე პროფესორი წინათ და ახლაც ლამაზი ახალგაზრდა ქალებით იხიბლებოდა და მათთან ამოკობდა, რაც ქმრისთვის არასოდეს დაუნაშაულად არ

ჩაუთვლია მის გონიერ და ეშხიან ცოლს — სოფიო დიმიტრის ასულ ტრუბეცკაიას. იგი ქმრის აშიკობაზე თვალებს ხუჭავდა და მეგობრებს კეთილი და მომაჯადოებელი ღიმილით ეტყოდა: ფილიმონს არ შეუძლია სილამაზეს არ ეტრფოდეს. სოფიო გულითადი, სულიერი მეგობარი იყო ფილიმონისა, ბერძნული და ევროპული ენები ზედმიწევნით იცოდა და დიდად შველოდა ქმარს მის მეცნიერულ მუშაობაში.

ახლა მოხუცი პროფესორი ქართველი თავადი ქალებით ბჭიბლებოდა. ესენიც ხარბად ჰპატიჟებდნენ შინ სასიქადულო და სასურველ სტუმარს. მეცნიერული მუშაობისაგან მოცლის დროს ერისთავი სიამოვნებით იღებდა მიპატიჟებას. თავადთა ოჯახებში მოწყობილ ნადიმებს ესწრებოდა და მათ სალონებში ბერძენ პოეტების და საკუთარ ლექსებსაც წარმტაცად კითხულობდა. ხშირმა ქეიფმა მეცადინეობაზე და დღენიადაგ წიგნთსაცავში ჯდომაზე ხელი ააღებინა, დალოცვილმა კახურმა ღვინომ ძარღვებში მოდუნებული სისხლი აუჩქროლა, სახე აუღაჟღაჟა, ქართველი კაცის უდარდელობა, უშრომლობა, დარდიმანდობა, ლხინი შეაყვარა და მშობლიური ენის შესწავლის სურვილიც გაუღვიძა. აბა, მოდი და ამის მერმე, ლუარსაბისა არ იყოს, ნუ შეაქებ კახურ ღვინოსა!

2

პროფესორი ფილიმონ ერისთავი სიბერის ჟამს ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მიმდევარი შეიქმნა. ერისთავმა ეპიკურეს მოძღვრებას ოქტომბრის რევოლუციის მერმე უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი. მისი გამოქცევა პეტროგრადიდან თბილისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან განდგომა, ცხოვრების მიზნად სიამოვნების დასახვა, მშვიდი, ნებიერი ჭვრეტის ქადაგება, ქართველ თავადთა სალონებში მანდილოსნებთან და ქალიშვილებთან ნებივრობა, მათ მოსახიბლავად ბერძენი პოეტებისა და საკუთარი ლექსების კითხვა— ყოველივე ეს რევოლუციისადმი მის რეაქციას და რევოლუციის მერმე შექმნილ, მისთვის მიუღებელ სინამდვილისაგან თავდაცვას წარმოადგენდა.

იმ დროს თბილისის წარჩინებულ პირთა ოჯახებში ძალიან

დიდ მოწონებაში იყვნენ ვერტინსკი და ერისთავი. ერთი შეხედვით, თითქმის საკვირველი რამ არის სანტიმენტალური რომანსების მომღერლის და კლასიკური ფილოლოგიის ცნობილ დოქტორს შორის რაიმე მსგავსების გამოძებნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ თავადებს, მათ ქალებს რევოლუცია, არჩეული სინამდვილე აშინებდათ და „ბედნიერი ცხოვრებით“ სავსე მახლობელი წარსულის მოგონება, ვერტინსკის რომანსები მისი გამოტირება და რომანტიკულ, ზღაპრულ ქვეყნებზე ოცნება სიამოვნებდათ. მეორე მხრივ, ერისთავის მიერ ძველი ბერძნული პოეტების ლექსების კითხვა არსებული სინამდვილით შეშფოთებულ ქართველ თავადებსა და მათ ქალებს შორეულ წარსულში, ძველი ქვეყნის საოცნებო სამყაროში ასახლებდა, ისტორიის მიერ განწირული წოდების წარმომადგენელთ სწორედ ეს ხიბლავდათ.

ერისთავი განსაკუთრებით ქალებს აჯადოებდა. მოჯადოებული იყო ერისთავით ნინო მაყაშვილიც. მისი მამა —ესტატე ხშირად ჰპატიჟებდა პროფესორს ვახშამზე და სადილზე. ნადიმობის დროს პოეტი პლატონ მოგველაძე, რომელსაც ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის ცოდნით თავი მოჰქონდა, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან მას პეტერბურგის უნივერსიტეტის ანტიკური ლიტერატურის დოქტორის, პროფესორ ფილიმონ ერისთავის სხივსანი პიროვნება ჩრდილავდა. მანამდე „ენამზე“, „მეცნიერი კაცი“, „ბრწყინვალე პოეტი და არტისტი“ ახლა მუნჯად იქცა. მოგველაძე მოწაფესავით შესცქეროდა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, არისტოკრატს და პოეტური ბუნების მქონე მოხუცს, რომელსაც ბერძენი ლირიკოსები რუსულად ეთარგმნა. ნინოს დღეგრძელობის დროს ერისთავი, თავისი თეთრი და გრძელთითებიანი ხელით, მაღალყელიან ბროლის ჭიქას კოხტად ასწევდა და ესტატე მაყაშვილის ლამაზ ასულს მოიკრძალებელი ღიმილით, არწივისებური ხედვითა და ნარნარი ხმით უკითხავდა პოეტი ქალის საფოს ლექსებს:

В эти дни ты плела для меня, для себя
Из фиалок и роз венки.
И гирляндой живых цветов
Обвивала свою шею нежную.

ნინო სიამოვნებისა და ნეტარებისაგან დნებოდა, ფიქრობდა: ნეტავი კორნელი ახლა აქ იყოს, რომ დაინახოს და მოისმინოს, თუ რა დიდი, ბუმბერაზი ადამიანი, მეცნიერი, პოეტი იხიბლება ჩემით და საფოსა და ალკოსის წარმტაც ლექსებს მიკითხავსო.

3

კორნელი უკვე ალარ დაიარებოდა ესტატე მაყაშვილის სახლში და ამიტომ ერისთავის ლექსების კითხვით ვერ დატკბებოდა. პლატონ მოგველაძე კი, თუმც ისე ხშირი სტუმარი იყო მაყაშვილებისა, პროფესორ ერისთავის წინაშე მაინც მორცხვობდა, რუსულად ლაპარაკს და მით უფრო, ლექსის კითხვას გაურბოდა. მან მხოლოდ ერთხელ გაბედა „ჭაეკითხა ქართულ ენაზე დაწერილი თავისი ლექსი „დიონისე“„ მაგრამ იმ ლექსს რუსი დეკადენტი პოეტის ვიაჩესლავ ივანოვის დიდი გავლენა ეტყობოდა და მან შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ერისთავზე. სამაგიეროდ, ესტატე მაყაშვილის ოჯახს ერთი ვიღაც უვარი, უცოდინარი, მეტიჩარა და თავხედი„ ჩია და ჰიაყელა ჭაბუკი პოეტი იორამ მინაშვილი ეკვიატკა„ როშელსაც შინაბერები, ნერვებაშლილი სტუდენტი ქალები„ ფილისტერი მანდილოსნები და მამაკაცები, უმეცარი პროვინციელები ოვაციებს უმართავდნენ. ის ჰიაყელა ბიჭი ისე გათამამდა, რომ მან ერისთავის წინაშე თავისი ლექსების ჭაკითხვა მოინდომა.

დეკლამაციის დროს იორამ მინაშვილი ერთთავად ისე იცვლებოდა, თითქო ბარტო გრძნობით შეპყრობილ კაცად იქცაო. მის განიერ საყელოდან ფანქარივით ამოწვდილ, გრძელ და ვიწრო კისერზე პატარა თავი მოთავსებულიყო. ლექსის კითხვის დროს იმ პატარა თავს პოეტი ოინბაზი, რომელიღაც ცელქი, სასაცილო, „ბაქცია“ ჩიტის მსგავსად, კისრის ნილებების ირგვლივ, მთელ 360 გრადუსზე ჯამბაზივით აბრუნებდა. ჭაბუკს ლექსში დალაგებული გაცვეთილი სახეები, თქმები და გარითმული სიტყვები იმორჩილებდნენ, იმონებდნენ, ბოჭავდნენ და თითქო მისთვის უხილავ მხარისაკენ მიაგორებდნენ. იგი თანდათან ეგზნებოდა, ხელებს შეშლილივით აქეთ-იქით იქნევდა, მთელის ტანით ირხეოდა, სასაცილოდ იჭა-

ჭეშმარიტად, იხეირა და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილა. საკვირველი იყო იმ პოეტის ასეთი აგზნება და ალელვება, რომელსაც, სხვათა შორის, ხალხის მოსატყუებლად ივონებდა, რადგან მის ლექსებში გაბნეული სახეები, თქმები და რითმები იმჟამად ცნობილი პოეტების ლექსებიდან და ხალხური პოეზიიდან იყვნენ აკრეფილი და მოპარული.

მინაშვილი სხვათა გავლენის ქვეშ ექცეოდა, მონურად მიჰყვებოდა მათ. იგი პირწავარდნილი იმიტატორი იყო. პოეტი რაფაელ ანხელდიანი მინაშვილს „ჭურდ-ეშმაკუნას, გაიძვერას და ჯიბიდან გავარდნილს“ ეძახდა. შესაძლოა იმიტომ, რომ მისი თავისებური დეკლამაციური ნიჭი და ამის გამო ხალხში მისი წარმატება შურდა. მინაშვილს მართლაც თავისებური დეკლამაციის ნიჭი ჰქონდა. ლექსის კითხვის დროს მშესაბრალისი შესახედავი ის ჭაბუკი, ხალხს ეცოდებოდა და ამიტომაც მოსწონდა. პლატონ მოგველაძემ ერისთავს მინაშვილის ლექსები გადაუთარგმნა. მოგველაძეს გაუკვირდა, ჭკვიანსა და დიდად განათლებულ პროფესორს რომ მოეწონა უცოდინარი და უვიცი ჭაბუკის ლექსები, რომლებშიც არავითარი აზრი და პოეზიის ნატამალიც არ მოიპოვებოდა. „მინაშვილი, — ფიქრობდა მოგველაძე, — თავისი პოეტური სახეებით, ეპითეტებით და რითმების ჭრელვით ბრჭყვიალა სათამაშოებით მოხიბლულ ბავშვსა ჰგავს. იგი იმ პირველყოფილ, ველურ ადამიანს ემსგავსება, რომელიც მზა და ნაპოვნი სამკაულებით — ძვლით, ლითონით, ფერად-ფერადი ქვიშებით, მინის ნამსხვრევებითა და უცხო ფრინველთა ფრთებით ირთვება და თავს ილამაზებს, ხოლო ტანი და საბე კი შეღებილი, მოხატული, ტატუირებული აქვს“.

იყო ერთი გარემოება, რის გამოც მინაშვილის ლექსები მოეწონა ერისთავს.

ამ ბოლო დროს მოხუცი პროფესორი ყველას აქებდა, აქეზებდა, უღიმოდა და ეფერებოდა. ბოლოს მოგველაძეს ეჭვი შეეპარა მის მხატვრულ გემოვნებაში და გულწრფელობაში. მაგრამ მოგველაძე ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ ერისთავმა ბევრი იცოდა, მას ბევრი ენახა, განეცადა და ბოლოს დაღლილიყო. საქართველო მისთვის პროვინციას წარმოადგენდა. იგი ახლა აქ თავს იქცევდა და ერთობოდა. იყო რაღაც დონკიხოტური და სანაცილო ამ თვალთეთ-

ბულ, მაღალ, გამხდარ, ქალივით განაზებულ, კოსტაობის მოყვარულ, გარუსებულ მოხუც პროფესორში, რომელსაც სიბერის ჟამს თვითონვე ლექსების წერა დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდად განათლებული, ცნობილი ფილოლოგი და მეცნიერი კაცი იყო, მასაც პოეტობის ჭია შეჩენოდა. განა მარტო მას? ის ჭია ფილოსოფოსებს, გამოჩენილ მეცნიერებსაც კი ხშირად შეეპარებათ ხოლმე, იმ განსხვავებით, რომ ფილოსოფოსნი და მეცნიერნი შაირობას სიბრძნის ერთერთ დარგად თვლიან და, მსგავსად ლუკრეციუსისა, გოეთესა და სხვათა ღრმა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე — აზრის პოეზიას ეტანებიან, ფილოსოფიური კონცეფციის შემცველ ლექსებსა წერენ და ეტრფიან. ერისთავი კი იმჟამად საყოფაცხოვრებო, წარმავალ განწყობილებათა და გრძნობათა გამომხატველ, მსუბუქ ჟანრის პოეზიას ეტანებოდა. ამიტომ მოეწონა მას უცოდინარი, უვიცი პოეტის იორამ მრევლიშვილის სანადიმოდ, სააშიკოდ და სალაღობოდ დაწერილი ლექსები, რომელშიც არა სიბრძნე, მაღალი ზნეობა და მიჯნურობა, არამედ წარმავალი განცდები და გრძნობები, უგუნებო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშამტლუში და სიმრუშე იყო აღწერილი.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე სინამდვილეზე აღრენილი და წარსულში გადავარდნილი მოხუცი პროფესორი ახლა პოეტების შეფერადებული, ბრჭყვიალა, უსაგნო სახეების თამაშით და მოჩვენებითი რაღაც ილუზიების საშუალებით ცდილობდა გაქცეოდა სასტიკ სინამდვილეს. მან კარგად იცოდა, რომ პოეტები ლექსთწყობათა და სახეების თანაშეთხერხებენ დუხჭირ სინამდვილედან გაქცევას და ერისთავიც მზად იყო პოეტების „ნეტარ უმეცრებას“ და „ნირვანას“ დაბრუნებოდა, ოღონდაც მისი საშუალებით მისთვის საზარელ „თანამედროვე სასტიკ სინამდვილეს“ განშორებოდა. იგი ცხოვრებით დაღლილი და გზააბნეული კაცი იყო. იგი ხელოვნებას და პოეზიას სინამდვილეზე გაცილებით მაღლა აყენებდა. ერისთავი მტკივნეულად გრძნობდა თანამედროვე ცივილიზაციის და ძველი სამყაროს ნგრევის მოახლოებას. მან რუსეთში თავისი თვალით ნახა იმ სამყაროს ნგრევა და იმ წოდების კატასტროფა, რომელსაც ის ეკუთვნოდა. მას ეს გარემოება აშინებდა და გამოსავალს ესპერანტიზმში, ანარქე-

ონულ პოეზიაში და მინაშვილის მსგავს პოეტების შემოქმე-
„დებაშიც კი ეძებდა. ოღონდაც გაქცეოდა სასტიკ სინამდ-
ვილეს! ამიტომ მოეწონა ერისთავს იორამ მინაშვილის პო-
ეზია. ან იქნებ გემოვნება ღალატობდა პროფესორს! განა მეც-
ნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის იშვიათია ასეთი
შემთხვევა?! ამიტომ ხომ არ გახდა ის მთავრობის წევრე-
ბის, მათი ოჯახების ხშირი სტუმარი?! არა. ამის მიზეზი სხვა
რამ იყო. მინაშვილი თავის ლექსებში ჟორდანიას და მათ მი-
ერ შექმნილ „დემოკრატიულ სამოთხეს“ აქებდა, ხოტბას ას-
ხამდა. ამიტომ იგი მენშევიკურ მთავრობას მოსწონდა და ხალ-
ხი „კარის მგოსანს“ უწოდებდა.

4

ნინო მაყაშვილი მედიცინის ფაკულტეტზე შესულიყო. მიუხედავად ამისა, ის და ელოც ფილიმონ ერისთავის ლექციებს არ აკლდებოდნენ. ეს გარემოება სწყინდა კორნელის, რადგან ნინოსთან შეხვედრას გაურბოდა და თანაც ერისთავის ლექციებისათვის თავის განებება ენანებოდა. კორნელი პოლონელი დურგლის — სტანისლავ ვილევიჩის მიერ გამოკოპტებული ყავარჯნით ყველაზე ადრე შევიდოდა უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში, წიგნს გადაშლიდა და შიგ ჩარგულ თავს მანამდე არ აიღებდა, სანამ პროფესორი ლექციის კითხვას არ დაიწყებდა.

ერისთავი ღიმილით გაეხვედავდა აუდიტორიას. მას არასოდეს არ ენახა ამდენი ახალგაზრდა, ლამაზი ქალის კრებული. ამიტომ თბილისში ეანსაკუთრებული სალისით კითხულობდა იგი ლექციებს. თუმცა, ბერძნულ ლიტერატურაში და განსაკუთრებით კი დრამაში მანამდე ნამუშევარმა კორნელიმ მაშინვე შენიშნა, რომ ერისთავი ანგარიშს უწევდა მსმენელების მომზადებისა და რუსული ენის ცოდნის დონეს და, ამასთან შეფარდებით, იგი თბილისში კითხულობდა არა პეტროგრადის მსმენელთათვის გამიზნულ ვრცელ კურსს, არამედ შეკვეცილს, გასაგებსა და ელემენტარულს.

ბერძნული ლირიკა პირველ სემესტრში წაეკითხა ერისთავს და ახლა დრამაზე გადასულიყო. პროფესორი წარმტაცად უამბობდა მსმენელებს ესქილეს ბიოგრაფიას. ნელი,

ნარნარი, ლამაზი რუსულით ლაპარაკობდა იგი ბერძენი პოეტის, მოგვისა და მაბაცი მხედრის — ესქილეს შესახებ, რომელმაც არა მარტო თავისი სწორუპოვარი „პრომეთე“-თი და სხვა ტრაგედიებით ისახელა თავი, არამედ თავისი მამხულის მტრებთან — ღრძელდალალებიან მიდიელებთან შეუპოვარი ბრძოლითაც.

კორნელი აუჩქარებლად ასწრებდა ეროსთავის ლექციების ჩაწერას, მაგრამ ხშირად პროფესორის მშვენიერი თხრობა ისე იტაცებდა, ხიბლავდა, რომ წერას თავს ანებებდა და ლექტორს ანთებული თვალებით მიაშტერდებოდა. პროფესორიც მხოლოდ კორნელის აიჩემებდა მაშინ აუდიტორიაში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეროსთავი მხოლოდ მას ესაუბრებაო.

მსმენელები აბჩნევდნენ ამას და ყველანი გაოცებით და შურით ცყურებდნენ კორნელის. ეს თითქმის ყველა ლექციაზე ასე ეცოდებოდა და ეროსთავსა და კორნელის შორის ურთიერთმოწონების, მიმზიდველობის ხხილავი ძაფები იბმებოდა.

ლექციის მერმე კორნელი ისევ წიგნში ჩაირგავდა თავს. ჩანაწერს შეასწორებდა და აუდიტორიიდან მანამდე არ გავიდოდა, სანამ ნინო მაყაშვილი იქ იყო... ნინო მიხვდა, კორნელი რომ გაურბოდა.

ერთხელ კორნელი ნინოს, ელოს და თამარ ქარელიძეს დერეფანში შეეფეთა. მან თავის მეგობარს ბიძინა შარაბიძეს ბკლავში ხელი გაჰყარა და ქალებს ყავარჯნით წინ ჩაუარა. ელო მიესალმა და შორიდან ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო. კორნელი შეჩერდა, მადლობა გადაუხადა და თვითონაც ნოეკითხა. გაბრწყინებული და გაფითრებული ნინო, ფრთოდ განელილი განცვიფრებული თვალებით მიშტერებოდა მას. კორნელი ყავარჯნს დაებჯინა, წელმოწყვეტილი გაუდგა ფართო და გრძელ დერეფანს. ნინო თვალს არ აშორებდა. იგი შეურაცხყოფას გრძნობდა, კორნელი რომ თვალს არიდებდა და თავს ისე იჭერდა, თითქო მას ვერც კი ამჩნევსო.

მეორე დღეს ნინო შეუმჩნევლად კორნელისთან ახლოს დადგა. კორნელიმ ცალი თვალით მოლანდა, შეკრთა და აუ-

დიტორიისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ცოლი მიესალმა და ჩუმად უთხრა:

— საც გაიბიხართ? ნუ გეშინიათ—კაცჭამია არა ვარ.— ნინოს წვრილ ეს მთელ გმიროობას უდრიდა.

— კი არ მეშინია, გერიდებით,— მიუგო კორნელიმ, გაოცებით შეხედა და დერეფანს გაჰყვა. გულდამწვარმა ქალმა რალაც ორჭოფული ღიმილით გააყოლა თვალი. მას ძალიან უნდოდა ეთქვა კორნელისათვის, ერისთავი მისი მამის ხშირი სტუმარი რომ იყო. ამ დროს ნინოსთან სწორედ პროფესორი ერისთავი მივიდა, მკლავში ხელი გაუყარა, აუდიტორიისაკენ წაიყვანა და ჰკითხა:

— ვინ არის ის ჭაბუკი?

— კორნელი მხეიძე, მწერალი,— მიუგო ნინომ.

— აა! არ შევმცდარვარ ანგარიშში, მაშინვე მივხვდი, იგი რომ ხელოვნების მსახური იქნებოდა. მისი სახე პირველი ლექციებისთანავე დამამახსოვრდა. მომწონს. საოცარია, ამდენი მწერალი და პოეტი რომ ჰყავს ამ პატარა საქართველოს!

— დიახ. ჩვენში მართლაც ბევრი პოეტია, — ალტაცებით მიუგო ნინომ ეშმაკურად მოღიმარ პროფესორს.

ლექციის დაწყებისას პროფესორმა თავი ასწია. უკან სკამზე მჯდარ კორნელის გადახედა და ლექციის კითხვა დაიწყო. წინა სკამზე მჯდარი ნინო ხშირად შებრუნდებოდა და კორნელის გადახედავდა... კორნელიმ უხერხულობა იგრძნო და გადაწყვიტა, ერისთავის ლექციებზე სავსულათვის დროებით თავი გაენებებია.

ლექციის დამთავრების მერმე ერისთავმა გამოაცხადა:

— ხვალ ლექტორი ათანასე ჯვარწვიშვილი იწყებს ბერძნულ ენაში ლექციების კითხვას. ვისაც ჩვენი საგნის საფუძვლიანი შესწავლა სურს, ვურჩევ იმ ლექციებზე დასწრებას. მითხარით, რომელმა იცით ბერძნული ენა, მე ვგულისხმობ ბერძნულ ენაზე წერა-კითხვას და ლექსიკონის დახმარებით ბერძნული ტექსტის თარგმნას.

მხოლოდ ოთხმა ყოფილმა მღვდელმა, სამმა მასწავლებელმა და კორნელიმ ასწიეს ხელი. პროფესორს გაეხარდა, კორნელიმ რომ ხელი ასწია, და გაუღიმა.

მსმენელები აუდიტორიიდან გავიდნენ. ბოლოს კორნელი და ბიძინა წამოდგნენ. დერეფანში ერისთავი ნინო მაყაშვილს და პოეტ იორამ მინაშვილს ესაუბრებოდა. ირგვლივ მსმენელნი შემოხვეოდნენ. კორნელიმ ისარგებლა ამ შემთხვევით და ნინოს გვერდზე ჩაუარა. პროფესორმა თვალი მოჰკრა, თავი ასწია, კორნელის შეხედა და დაუძახა. კორნელი გაწითლდა და პროფესორთან მივიდა. ერისთავმა გაიფიქრა, რა ნორჩხვი ყოფილაო და ღიმილით მიმართა:

— თქვენ, თურმე, მწერალი ყოფილხართ. სასიამოვნოა... სად შეისწავლეთ ბერძნული ენა?

— გიმნაზიაში, — მიუგო კორნელიმ.

— ვინ გასწავლიდათ?

— კოტოვიჩი.

— ოტო ვალენტინეს-ძე ხომ არა?

— სწორედ ის. მაღალი, შავგვრემანი და შავულვაშიანი კაცი.

— რას ამბობთ! — სიხარულით წამოიძახა ერისთავმა,— მე და კოტოვიჩი იურევის უნივერსიტეტში ვსწავლობდით ოდესლაც. ნიჭიერი სტუდენტი და ჩინებული ადამიანი იყო, ნეტავ თბილისშია ახლა?

— არა, იგი პოლონეთში წავიდა. მგონი, ვარშავის უნივერსიტეტმა მიიწვია.

— გასაგებია, იგი იურევის უნივერსიტეტში ყოვნის დროსაც ნაციონალისტი იყო. პოლონელები ყველანი ნაციონალისტები არიან, — ამრეზით განაცხადა ერისთავმა. ასე ერთბაშად მოჭრა მან საკითხი მთელი ხალხის მისამართით.

კორნელიმ იცოდა, ერისთავი თვითონ რომ რუსი შოვინისტი იყო, მაგრამ მხცოვან პროფესორთან კამათს ირიდა. ერისთავმა მთელი რიგი შეკითხვები მისცა... მერმე ევრიპიდეს ტრაგედიებზე ჩამოაგდო საუბარი. კორნელის გულდასმით წაეკითხა ინოკენტი ანენსკის წიგნი „ევრიპიდეს თეატრი". მისმა სწორმა რუსულმა, მახვილმა გონებამ და ფაქიზმა გემოვნებამ განაცვიფრა პროფესორი და ამ დღიდან ერისთავი და მისი მსმენელი კორნელი მხეიძე მეგობრები გახდნენ. პოეტი იორამ მინაშვილი კი თვალებს აცეც-

ცებდა, კისერი წაეგრძელებინა და არაფერი ესმოდა მათი საუბრისა. ის მხოლოდ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ხალხურ შემოქმედებას იცნობდა, ისიც ქრესტომათიული კურსის ფარგლებში. იგი ნამდვილი უმეცარი იყო რუსული, ევროპული, ანტიკური ლიტერატურის დარგში, არ იცოდა მათი ისტორია, საუკეთესო ნიმუშები. მიუხედავად ამისა, მაინც დამცინავად იღიმებოდა და ფიქრობდა: „რა ჭირად მინდა ვიცოდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული პოეტები და მათი ნაწარმოებები? მე მეოცე საუკუნის შვილი ვარ. მეოცე საუკუნე კი ყველა ეპოქაზე უფრო მოწინავე ეპოქაა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა პოეტზე უფრო ცნობილი მე ვარ. იქნებ ჩვენს თანამედროვე პოეტებს არა სჯერათ, მე რომ მათზე ნიჭიერი ვარ! მაშინ, თუ ბიჭები არიან, გამოვიდნენ და რომელ აუდიტორიაშიც სურთ, იქ გამეჯიბრონ!“

თავის გენიალობაში დარწმუნებული უვიცი პოეტი ისევ დამცინავი ღიმილით შესცქეროდა პროფესორს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაზე ბერძენი პოეტებისა და დრამატურგების გავლენაზე საუბრობდა.

— მოდით ხვალ ჩემთან ბიბლიოთეკაში. მე თქვენ კარგ სახელმძღვანელოს შეგირჩევთ ბერძნულ ენაში. ავრეთვე იონიურ და დორიულ კილოკავებში სამუშაო წიგნსაც გიპოვით, — უთხრა პროფესორმა კორნელის. კორნელიმ მადლობა გადაუხადა, თავი დაუკრა ყველას და კარისაკენ გაეშურა.

პირველი მაისი

გაზაფხულით ნაბანი
ქუჩა ხარობს, ელავს,
მოვაბიჯებთ მრავალნი —
ჩვენ, შენ, მე და—ყველა!

ვ ლ. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი

1

1920 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებიდან მოკიდებული დენიკინის ლაშქრის დამარცხება და წითელი არმიის წინსვლა ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. 29 თებერვალს აღებულ იქნა სტავროპოლი, 30 თებერვალს — კავკავი და პეტროვსკი.

28 აპრილს, ღამით, აზერბაიჯანის დედაქალაქში — ბაქოში წითელი ჯავშნიანი მატარებელი შევიდა.

ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მენშევიკები დიდ საგონებელში ჩააგდო. მაგრამ აპრილის ბოლოს, რატომღაც, იმედის ფრთები შეისხეს და პირველი მაისის დემონსტრაციისათვის დიდ მზადებას შეუდგნენ.

ბოლშევიკების გამოსვლა და აჯანყება მათ უკვე აღარ აშინებდათ, რადგან ბოლშევიკების ორგანიზაციები ყველგან დარბეული, ხოლო პარტიის მეთაურები, რიგითი წევრები, ათასობით მუშა და ჯარისკაცი დაპატიმრებული ან რუსეთში იყო გადასახლებული. დემონსტრაციაზე ბოლშევიკები ახლა ოც კაცსაც ვერ გამოიყვანენო, — იმედოვნებდნენ მენშევიკები. იყო კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ისინი იმედს არ ჰკარგავდნენ. საქმე ის იყო, რომ საქართველოს საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოების გამო, მთავრობის წევრთა შორის პანიკა დაიწყო და მათ აპრილის შუა რიცხვებში, სრულიად საიდუმლოდ, მოსკოვს დელეგაცია გაგზავნეს. აპრილის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა მოსკოვიდან ცნობა მიიღო, რომ საბჭოთა რუსეთი მზად არის საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწეროსო. ამიტომ მენშევი-

კები იქნებნიდნენ, მოსკოვში ჩვენი დელეგაციის გაგზავნის მერმე ბოლშევიკების გამოსვლას და აჯანყებას საქართველოში ნიადაგი გამოეცალათ.

მაგრამ ისინი ტყუვდებოდნენ, ამბები სულ სხვაგვარად წარიმართნენ.

მასების სულისკვეთების გამოსარკვევად და ბოლშევიკური ძალების დათვალიერების მიზნით, ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ პირველი მაისისათვის თბილისში დამოუკიდებელი დემონსტრაციის მოწყობა გადასწყვიტა.

პირველ მაისს ბოლშევიკების დემონსტრაცია რომ ეწყობოდა, კორნელის მიტო ჩიკვაიძემ შეატყობინა და თანაც გააფრთხილა: დილით ადრე გამოგივლი, დემონსტრაციაზე ერთად წავიდეთო.

კორნელი მოუთმენლად ელოდა პირველი მაისის გათენებას.

პირველი მაისის დილაც გათენდა. კორნელის რიყრაჟზე გამოეღვიძა და ღია სარკმელში გაიხედა. მოღრუბლული დილა იყო. ქალაქს თავზე საწვიმრად გამზადებული ღრუბლები დასდგომოდნენ. მხოლოდ შავნაბადას ქედისაკენ ჩანდა ცის მოწმენდილი კიდური. ცხა და მიწას უცნაური რაღაც სიჩუმე და მყუდროება მოჰფენოდა. ღრმად ჩასძინებოდა ქალაქს.

უკვე დილის რვა საათი შესრულებულიყო და ქუჩებში ჯერ კიდევ არ ჩანდნენ ოძის, მაწვნის, კვერცხის, ნავთისა და ხვავილების ნიჭის გამყიდველი, ძველი ტანისამოსის მყიდველი მაძახურები. არც დადუმებული სახლების სარკმლებიდან იხედებოდა ვინმე.

კორნელი ღია სარკმელთან მივიდა და მტკვრის გაღმა მთის კალთებზე შუფენილ ჩაძინებულ ქალაქს გაჰხედა. ქალაქის თავზე კვლავ საწვიმარი ღრუბლები დაცურავდნენ. ბევრი დაეძინებულიყო. ნავარდის და ყვავილის მოყვარული, სწრაფი და მკვირცხლი მერცხლები ახლა ჩუმად და ზანტად დაფრინავდნენ გაშურული სახურავების თავზე, ნელა ეშვებოდნენ დედამიწაზე, ნელა იქნევდნენ ფრთებს, ქუჩებში რიალებდნენ, უხეირო დავლურს უვლიდნენ და მერმე მტკვრის პირას გაკრულნი, ისარივით კი არ მიჰქროდნენ, ისამედ ისე

ნელა მიცურავდნენ, თითქო დამძიმებული ჰაერის გაპობა ეჭირთო.

კორნელიმ ცას აჰხედა და ეწყინა, საავდროდ გამზადებული, მოღრუბლული დღე რომ გათენდა..

ღრუბლები მთაწმინდის იქით მთებში ჩაეშვნენ და ჩაიკუპრნენ.

სადღაც იელვა და მალე შორეული გრგვინვაც გაისმა. დადუმებულმა ქალაქმა ექო გამოსცა.

შხაპუნა წვიმა წამოვიდა. სახლების რკინის სახურავები, ქუჩები და ხეები დაასველა. „ეს წვიმა, ეტყობა, კარგა-ხანს გასტანს“, — გაიფიქრა კორნელიმ და მოწყენით მიაშტერდა ქუჩის გალმა სახურავის მილიდან წყლის ნიაღვარივით დენას. ისევ იელვა, იქუხა და წვიმამ გულმოდგინედ დაუშვა.

კორნელის წინასწარმეტყველება არ ასრულდა. სულ რაღაც ერთ საათს იწვიმა და მერმე ერთბაშად გადაიღო. ცის კიდური მოიწმინდა, ღრუბლები ქედებს იქით გაიფანტნენ და მზეც გამოჩნდა.

ქალაქს ნათელი დაადგა და ყველაფერი საზეიმოდ მოიგაზმა. პირთამდე სავსე მტკვრის გალმა, მთის კალთებზე გაშენებული ქალაქი, თუნუქით გადაჭედილი სახლების სახურავები მზეზე კრიალებდნენ. ქუჩის პირას ჩარაზმული ალგის ხეების, ჭადრებისა და ცაცხვების ნორჩი ფოთლები უფრო გამწვანებულიყვნენ, ზედ ცვარ-ცვარად დამჯდარი წვიმის წვეთები თვალისმომჭრელი ფერებით ბრწყინავდნენ... მთებიც უფრო გამწვანებულიყვნენ, მათ თავზე მოწმენდილი, მოსარკული ცაც უფრო ლურჯად ელავდა... ბუნებას თითქოს პირი დაებანა, მორთულ-მოკაზმულიყო და პირველ მაისს ღიმილით ეგებებოდა. ქალაქში გრილი, სუფთა ჰაერი ჩამდგარიყო. ღია ფანჯარასთან მდგარ კორნელის სველი დედამიწის და დოყა მწვანილის სუნი ეცა.

„გაზაფხულია. პირველი მაისი!“ — გაიფიქრა კორნელიმ და ქალაქში წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მიტო ჩიკვაძე ქვლავ არსად ჩანდა.

მიტო მხოლოდ ცხრა საათზე გამოცხადდა, მას მიხაისფერი ფრენჩი, გალიფე, ყვითელი ბოტინკები და ბოტფორდები ეცვა, თავზე ქეპი ეხურა. კორნელი კი სტუდენტურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. იგი უყავარჯნოდ გამოვიდა ახლა სახლიდან და მიტოსთან ერთად ვერის ხიდისკენ გაეშურა. ვერის აღმართზე კორნელის და მიტოს დემონსტრაციაზე წითელი დროშებით გამოსული მუშებისა და მოსამსახურეების კოლონები წამოეწივნენ. მიტომ კორნელის უთხრა:

— დენიკინის ლაშქრის დარბევისა და, განსაკუთრებით კი, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე მენშევიკებს ისე შეშინებიათ, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად მოსკოვში დელეგაცია გაუგზავნიათ.

— როგორ ფიქრობ, საბჭოთა რუსეთი ხელს მოაწერს იმ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე? — ჰკითხა კორნელიმ მიტოს.

— ვინ იცის? მაშინ ჟორდანიამ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს თავი უნდა გაანებოს და „აღმოსავლეთის ფანატიკოსებისაკენ“ იბრუნოს პირი, — მიუგო მიტომ.

მიტომ და კორნელიმ მოუხვიეს, რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ და სასტუმრო „მაჟესიკისაკენ“ — ახლანდელ „თბილისისაკენ“ გასწიეს, რომელიც მაშინ პროფესიული კავშირების გამგეობას და მათ საბჭოს ეკავა. რევოლუციის მერმე ამ შენობას „შრომის სასახლე“ შეარქვეს.

მალე აქეთკენ ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა იწყეს მოსვლა. რამდენიმე წუთის მერმე „შრომის სასახლის“ და ალექსანდრეს ბაღს შორის, ბარიატინსკის ქუჩაზე ცოცხალი ყვავილების წნულით მორთული ორი საბარგო მანქანა მივარდა და რუსთაველის პროსპექტს ახლოს გაჩერდა.

— მელითონენი მოვიდნენ, — უთხრა მიტომ კორნელის.

საბარგო მანქანებზე მდგარ მუშებში მიტომ თავისი მამა ელიზბარი და მისი ამხანაგები: ხარატი სტეფანე დანგაძე, ზეინკალი დიმიტრი ჩაპლიგინი და სხვა მუშები იცნო. მიტოს მამა მთავარი სახელოსნოების ზეინკალი იყო. კორნელი იც-

ნობდა სტეფანე დანგაძეს და დიმიტრი ჩაპლიგინსაც. ესენი მიტოს მამის სახლში გაიცნო მან.

საბარგო მანქანების იარგვლივ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მენშევიკებს არ მოეწონათ ეს ამბავი, რადგან მათი მეთაურობით გამოსული კოლონები საგრძნობლად შეთხელებულიყო, საბარგო მანქანები რალაც უხილავი ძალით იზიდავდა ხალხს და მიტო და კორნელიც იქითკენ გაეშურნენ.

კორნელიმ საუბარი გააბა მიტოს მამასთან—ელიზბართან. ჯუშები მეგობრული ღიმილით შესცქეროდნენ სტუდენტურ ტანისამოსში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, ბევრ მათგანს წაკითხული ჰქონდა მისი „გოჯასპირი", „დარო" და მაგრად ართმევდნენ ხელს. კარო იარალოვი და ვასო მარუაშვილიც მოვიდნენ. მათ აგზნებული და გაბრწყინებული თვალები ჰქონდათ. მიტომ გააფრთხილა:

— ფრთხილად იყავით, ბიჭებო! უნამუსოდ გვსვერაკენ.

— ვიცი, — მიუგო კარომ, — განა ვერ ვხედავ. აგერ, შავკეპიანი, აგერ, ის ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი....

კორნელიმ მაშინვე იცნო საგანგებო რაზმის აგენტი დომენტი მელაძე. დომენტი გაფითრდა და თვალი ჭურდულად მოარიდა.

სულ ახალი და ახალი კოლონები მოდიოდნენ. რუსთაველის პროსპექტი, ოპერის თეატრიდან დამფუძნებელი კრების შენობამდე, ხალხით იყო გაჭედილი.

საპირველმაისო დემონსტრაციის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები წესრიგს იცავდნენ, მკლავზე გაკეთებული წითელი ლენტებით და მკერდზე მიკრული ბანტებით მიუძღოდნენ მუშათა კოლონებს. კოლონები სამხედრო ტაძრის წინ, სასახლის ჭიშკარზე გავლით, თავისუფლების მოედნისაკენ მიდიოდნენ. სასახლის აივანზე მთავრობის წევრები იდგნენ და დემონსტრანტებს ესალმებოდნენ.

უცბად პროსპექტზე რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან და დეპოდან მომავალი რამდენიმე ათასი მუშა გამოჩნდა. მუშათა კოლონებმა წითელი დროშებით, სასულე ორკესტრითა და რევოლუციური სიმღერებით პროსპექტი აავსეს.

როდესაც რკინიგზელები შრომის სასახლეს მიუახლოვდნენ, მელითონელების საბარგო მანქანების იარველივ შეგრო-

ვილჰა დემონსტრანტებმა იმწინწევე გაწვალეს დროშები და პლაკატები წაარწერით:

„მოითხოვეთ პატიმარ ბოლშევიკების განთავისუფლება!“ „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

ნიკომის სასახლესთან თავშეყრილი ხალხი ერთ კოლონად იქცა. მის თავზე მარქსისა და ენგელსის პორტრეტები ბრიწართა. რკინიგზელმა მუშებმა ტრანსპარანტები გაშალეს, თითქო მელითონებს ეხმიანებიანო: „ეშზადეთ საბჭოების მუშათა და გლეხთა დეპუტატების არჩევნებისათვის!“ „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ეს იყო თბილისის ფაბრიკისა და ქარხნის მუშების ურთიერთგამოძახებისა და ერთიანლოკნების დემონსტრაცია. მენშევიკების ხელმძღვანელობით კოლონიებში მიმავალმა მუშების დიდმა ნაწილმა თავი მიანება მათ და საბაირგო მანქანებს ადევნებულ ამხანაგებს შეუერთდა.

მაშინვე ვასო ვარუაშვილმა, კარო იარალოვმა და ბევრმა სხვა მათმა ამხანაგმა ხალხში დიდების არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ბოლშევიკური ფურცლები მიმოაბნიეს და გაავრცელეს. პრობლემაცია დემონსტრაციაზე მისულ თითქმის ყველა მოქალაქეს ეჭირა ხელში.

ვანქანებზე მიტინგი გაიმართა. მუშებმა საბაირგო მანქანები ტრიბუნებად გამოიყენეს. ზედ ასული ორატორები ხალხს სიტყვით მიმართავდნენ და ლოზუნგებს ისროდნენ: „გაუმარჯოს საბჭოების ძალაუფლებას!“

მენშევიკების სახეზე გაოცება და ბრაზი იხატებოდა: კომუნისტური ორგანიზაციები არამცთუ არსებობდნენ, არამედ თბილისელთა უმრავლესობა მათ ნამდვილად თანაუგრძნობდა.

პრაზისაგან გაფითრებული შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი სასახლის აივნიდან დარბაზში შევიდა და საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ჰკითხა:

— როგორ ფიქრობს, ეკგენდ, ბოლშევიკების საქციელზე?

— ვერაფერი ვერ გამიგია ჩვენი ბოლშევიკებისა, — მხრები აიწურა გეგეჭკორმა, — მათ უთუოდ იციან, რომ მოსკოვი თანახმაა დაგვიდგას ჩვენ ხელშეკრულება. მაშ რისთვის განაგრძობენ ისინი თავის ავანტიურას?

— ნეტავი შენ, ევგენი, ბოლშევიკებისა თუ რამე გჯერა...

რამიშვილს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ჭუჩაში აურზაური ატყდა. მინისტრებს ხალხის ჭოთჭოთი და წითელი დროშებით მოსული მუშების ძახილი შემოესმათ: „ძირს მენშევიკური მთავრობა!“

— შენ რაც გინდა, ისა თქვი, — მიუბრუნდა რამიშვილი გეგეჭკორს, — მე ახლავე გავრეკავ იმ ხულიგნებს, თუნდაც იარაღის ხმარება დაგვჭირდეს...

— იარაღს მოვერიდოთ. — ურჩია გეგეჭკორმა, მაგრამ როცა ნოეს მრისხანე და გაფითრებული სახე დაინახა, მაშინვე მიხვდა, მასთან კამათი რომ ზედმეტი იყო.

რამიშვილი ტელეფონს ეცა, საგანგებო რაზმის უფროსი კედია გამოიძახა და დემონსტრანციის დაუყოვნებლივ გარეკვა უბრძანა. ევგენი გეგეჭკორი კარგად იცნობდა კედიას თავზეხელაღებულ ბიჭებს. ეწყინა და კედიაზე გაიფიქრა: „საქმეს წაახდენს რეგვენი, ევგენის დააბრალებსა“: ეშინოდა, ბოლშევიკებისადმი მიღებულ მკაცრ ზომებს და რეპრესიებს საბჭოთა რუსეთთან გამართულ მოლაპარაკებაზე ცუდი გავლენა არ მოეხდინა. მიუხედავად ამისა, რამიშვილმა ბოლშევიკი მუშების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტა. მან ჯარის გამოყვანა ვერ გაბედა, რადგან არ ენდობოდა მას და ახლა საგანგებო რაზმს და მილიციას უბრძანა, გაერეკა რევოლუციური დემონსტრაცია და, თუ საჭირო იქნებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, იარაღისათვის მიეშართათ.

ალექსანდრეს ბაღთან მცირე მიტინგის მერმე მანჭანები რუსთაველის პროსპექტით მოუდნისაკენ გაემართნენ. უკან მუშათა კოლონები მიჰყვნენ. მათ შორის მიტო და კორნელიც იყვნენ.

სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული საგანგებო რაზმის თანამშრომელნი საბარგო მანჭანებს წინ გადაუდგნენ. მუშებს წინადადება მისცეს, უკანვე გაბრუნებულიყვნენ. დემონსტრანტებმა უარი განაცხადეს და მანჭანები „დიდების ტაძრის“ წინ დააყენეს!... პროსპექტი ზღვა ხალხით გაიჭედა და მთავრობის საპირველმაისო დემონსტრაცია შეჩერდა და

ჩაიშალა. საგანგებო რაზმის აგენტები მანქანებს გარს შემოერტყნენ, შოფრებს მისცვივდნენ, დაეძუქრნენ და უყვირეს:

— გაბრუნდით უკან! ხელს ნუ უშლით კოლონების მსვლელობას, თორემ ჩაგაძაღლებთ.

მუშები არ გაბრუნდნენ და შესძახეს:

— ნუ ყვირით, ნუ იმუქრებით. დღეს ჩვენი დღესასწაულია, დაიკარგეთ აქედან, კედიას დამჭაშებო!

აგენტებმა ამის საპასუხოდ მუშტი-კრივს მიმართეს, შეიქმნა ხელჩართული ჩხუბი.

მიტო და კორნელი მეორე საბარგო მანქანის უკან იდგნენ. მათ თვალი მოჰკრეს, აგენტებმა რევოლვერები რომ იშიშვლეს, პირველი მანქანიდან შოფერი ჩამოსვეს, ზედ აცვივდნენ და იქიდან მუშები გადმოჰყარეს. ასევე მოექცნენ ისინი მეორე მანქანაზე მდგართაც. აგენტებმა მუშებს დროშებისა და პლაკატების წართმევა მოუნდომეს. მუშებმა არ დაანებეს და შეიქნა ჭიდილი, ჯახი და მიწევ-მოწევა. ახლა კი აღშფოთდნენ მუშები. აგენტებს დაეჯახნენ და მანქანიდან ჩამოჰყარეს.

მაგრამ ჩამოყრილთ ახალი რაზმელები და გვარდიელები მიეშველნენ, მუშებს რევოლვერების კონდახები დაცხეს, ისევ დროშებსა და პლაკატებს სტაცეს ხელი...

ახლა ორივე მანქანა ჩაიგდეს ხელში აგენტებმა და გვარდიელებმა და ბევრიც დააპატიმრეს. დემონსტრანტების მაგივრად მანქანაზე ისინი ავიდნენ, თავისი დროშები, პლაკატები გაშალეს, მანქანასთან ახლოს მისულთ იარაღით დაემუქრნენ და მათი დაპატიმრება დაიწყეს. კორნელიმ შენიშნა, როგორ თავგამოდებით იბრძოდა და მუშაობდა დომენტი მელაძე.

3

მთავრობა ერიდებოდა იარაღის ხმარებას, რადგან იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ბოლშევიკურ ორგანიზაციას გაფრთხილებული ჰყავდა მუშები, მენშევიკების პროვოკაციის ანკესზე არ წამოგებულიყვნენ, მათთან შეხლას, ჩხუბს მორიდებოდნენ და იარაღი-

სათვის ყარაულის შემთხვევაში მიემართათ. უნდა ითქვას, რომ შამქორის სისხლიანი ამბების, ალექსანდრეს ბაღში პოლშევიკური მიტინგის დახვრეტისა და ამ ბნელ საქმეში მენშევიკების უშუალო ხელმძღვანელობის გამჟღავნების მერმე ჟორდანია რამიშვილის რიცხვას აოკებდა. საგანგებო რაზმის თანამშრომელნი, გვარდიელნი და მილიციელნი გაფრთხილებულნი იყვნენ, არ მიემართათ იარაღისათვის და მორიდებოდნენ სისხლისღვრას, მაგრამ მუშტი-კრივნა, რევოლვერებისა და თოფების კონდახებით ცემამ მაინც ბევრი მუშა და მოქალაქე დაასახიჩრა და სიკვდილის პირზე მიაყენა.

— რა ვქნათ, — უთხრა კორნელიმ მიტოს, — ნუთუ შენ და მე მუშტი-კრივში ეს მაიმუნები გვაჯობებენ?

— წადი აქედან, კორნელი, — ურჩია მიტომ, — რაც უნდა იყოს, შენ მწერალი ხარ... წადი, მოწორდი აქაურობას! დაჭრილი ხარ, ფეხს გატკენენ.

— არსადაც არ წავალ. ერთად მოვედით და ერთად უნდა ვიყოთ, — მიუგო კორნელიმ.

მიტომ მაგრად მოუჭირა ხელი მკლავზე და რაღაც უნდოდა ეთქვა მისთვის, მაგრამ ამ დროს ქუჩაში მუშებსა და მომხდურებს შორის ისეთი ხელჩართული ჩხუბი გაჩაღდა, ისეთი ორომტრიალი დადგა, რომ მიტო კორნელის მოსწყდა. ხალხმა პროსპექტის მეორე მხარისაკენ გარიყა იგი. კორნელის მხედველობის არედან დაეკარგა მეგობარი.

ძალზე შეთხელებული დემონსტრანტების კოლონები, რომელთაც მენშევიკები მიუძღოდნენ, დამფუძნებელი კრების შენობის წინ, პროსპექტზე აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ და გარბოდნენ. საგანგებო რაზმის თანამშრომლები, გვარდიელები და მილიციელები რევოლუციური დემონსტრაციის მონაწილეებს პროსპექტიდან გადასახვევ ქუჩებისაკენ მიერეკებოდნენ. იდგა ჰედვა, შეხლა, თოფებისა და რევოლვერების ტრიალი. ბევრისათვის თავი კონდახით გაეხეთქათ, ბევრს სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა.

უცებ სამხედრო ტაძრის რკინის მაღალი, რიკულიანი ღობის წინ, ტროტუარზე, კორნელიმ მიტო დაინახა. მას ხუთი კაცი დახვეოდა. კორნელიმ მაშინვე იცნო ღაჟღაჟალოყებიანი, ზორბა კაცი, გვარდიელი ამბაკო კილაძე. ეს ის კაცი იყო, რომელიც საარტილერიო ბრიგადის პარკთან კორნელის

გუშაგობის დროს პოლიციურად გაწყობილი ჯარისკაცების გასაიარაღებლად სხვა გვარდიელებთან ერთად მივიდა...

კორნელი ხელებით და იდაყვებით ამუშავდა. მხარით მიაწვა ხალხს, პოსპექტი გადასჭრა, მეორე მხარეს გავიდა. მას ვასო მარუაშვილიც მიჰყვა, განთქმული მოჩხუბარი, დაბალი, ჩასკვნილი, პრიალათვალებიანი, ქერა და მეჩხერკბილებიანი ჭაბუკი. ვასოს ჯარისკაცის ნიშნებაყრილი ტანისამოსი ეცვა.

ხუთ კაცთან ჩხუბით დაღლილი, სახედაშავებული და გასისხლიანებული მიტო, ზურგიდან რომ არავინ მიჰპარვოდა, სამხედრო ტაძრის ღობეს მისწოლოდა. წინიდან კი ვერაფერს აკლებდნენ.

კორნელი მივიდა და მიტოსთან მხარდამხარ დადგა. მეგობრები მუშტით იგერიებდნენ მომხდურთ.

ამბაკო კილაძეს სახეში დააჯახა მუშტი მიტომ. გვარდიელი უკუიქცა, თავი ვერ შეიმაგრა, პირალმა დაეცა და დაჭრილი დათვივით მორთო ღრიალი:

— არ გაუწვეთ, მოკალით!

გვარდიელებმა იღლიაში ამოსდეს ხელი, წამოაყენეს და ანუგეშეს:

— რას იზამ, ტყვია არ ესროლოთო, გვიბრძანეს.

გვარდიელებს საგანგებო რაზმის აგენტები მიეშველნენ. მათ შორის კორნელიმ ერთი მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი კაცი იცნო და აცახცახდა. იგი კლიმენტი ჩხიკვაძე იყო, რომელმაც კლუბში მაუზერით დასჭრა.

აგენტები შეტევაზე გადავიდნენ. მათ ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ვასო მარუაშვილი მიენხრო და შესძახა:

— მისცხეთ მაგ არამზადებს!

მარუაშვილი ფეხებში ებლანდებოდა და ეჯახებოდა აგენტებს, მათ მოძრაობას აფერხებდა, ისე ყალთაბანდობდა და შორხრიბულად შველოდა მიტოს და კორნელის, რომ ეჭვიც არავის აუღია, გვარდიელი ეგონათ.

კლიმენტი ჩხიკვაძემ მაუზერი ამოიღო. კორნელის თვალი შეარდა და მიტოს შესძახა:

— დაგვნებდი, თორემ გაგათავებ!

კორნელიმ უცბად სტაცა მაჯაში ხელი, მარწუხივით მოუჭირა, მკლავი გადაუგრიხა, მაუზერი გამოსტაცა, მოიქნია და სამხედრო ტაძრის ეზოში გადააგდო.

— რასა შვრები! — უყვირა ჩხიკვაძემ და წიხლი ჩაყოლა, მაგრამ კორნელიმ შებრუნება მოასწრო და ფეხის ქუსლი ბარძაყში მოხვდა...

— აქაც არ მეშვები? — შესძახა კორნელიმ.

ჩხიკვაძე წამით შესდგა, გაოცებით შეხედა.

— გათოკეთ ეს ძაღლიშვილი! — უბრძანა ჩხიკვაძემ თავის ბიჭებს და ბრაუნინგზე გაისვა ხელი. მაგრამ კორნელიმ მოასწრო, საშინელი ძალით გააქანა მუშტი, ჩხიკვაძეს ნიკაპის ბოლოს, კუთხეში დააჯახა, ყბა ბუდიდან ამოუგდო და გულწასული კაცი მიწაზე გაიშხლართა...

— თავს უშველეთ! — დაიძახა ხალხში ვიღაცამ. მიტომ და კორნელიმ მოიხედეს, ტაძრის ეზოში, ზურგს უკან ხიშტიანი შაშხანებით მდგარი გვარდიელები დაინახეს და მაშინვე ღობეს მოსწყდნენ. ისინი პირველი გიმნაზიისაკენ გაიქცნენ. მათ ვასო მარუაშვილიც მიჰყვა. აგენტებმა ხალხში იარაღის გასროლა ვერ გაბედეს და ფეხდაფეხ გამოუდგნენ.

აგენტებმა წინიდანაც მოუჭრეს მათ გზა. მიტომ დაინახა, კორნელი დაჭრილ ფეხს მიწას რომ ვერ აკარებდა და მარჯვენა ფეხით, კალიის მსგავსად, სასაცილოდ, ხტომა-ხტომით გარბოდა. შეეცოდა, დაუცადა და უთხრა:

— გაჩერდი, ვერსად წაუვალთ ამ ოხრებს, გადაეცი იარაღი ვასოს...

ვასო მარუაშვილი წელში ეცა კორნელის, თითქოს ისევ აგენტებს შველის და გაქცეულს იჭერსო. ჯიბიდან ბრაუნინგი შეუმჩნევლად ამოაცალა და გაუჩინარდა.

აგენტებმა მიტოს და კორნელის ალყა შემოარტყეს, რევოლვერები დააღირეს და შესძახეს:

— ხელები მაღლა!

მიტომ და კორნელიმ ხელები მაღლა ასწიეს. აგენტებმა გაჩხრიკეს, მაგრამ იარაღი ვერ უპოვეს და მერმე ალყაშემორტყმულნი ქრმოლოვის ქუჩაზე აიყვანეს და საბარგო მანქანაში ჩასვეს. აქ მიტოს და კორნელის ოციოდე სხვა პატიმარი დაუხვდა. ყველა ნაცემ-ნაბეგვი და დასახიჩრებული იყო.

აგენტებმა პატიმრებს მანქანის იატაკზე დაჯდომა უბრძანეს.

შოფერმა ერთბაშად ნოსწყვიტა მანქანა, აღმართზე გა-

უკვე და ერმოლოვის ქუჩიდან მარცხნივ პეტრე დიდის ქუჩაზე გადაუხვია.

საოცარი სიჩქარით წაიყვანა შოფერმა მანქანა. პატიმრებს იქიდან გადახტომა და გაქცევა აზრადაც არ მოსვლიათ: ეს თვითმკვლელობა იქნებოდა.

შოფერმა მანქანა გიჟივით გააქროლა ლერმონტოვის ქუჩაზე... ხიდზე გავიდა, ავლაბრის აღმართს შეუდგა, მერმე მარჯვნივ მოუხვია და მეტეხის ციხის რკინის ჭიშკარს მიადგა.

დარაჯმა ჭიშკარი გააღო და მანქანა ციხის ეზოში შეუშვა.

ბრძობა

ჩემთან მოდიან უგონონი და გონიერნი, ნათელნი და შეზღუდული გონების მქონენი, ბავშვები, ჯაბუკები, მოწიფული და ხანდაზმულნი. ყველა ესენი მიამბობენ იმას, რაც მათ სულსა და გულში მოეპოვებათ; მიამბობენ, რას ფიქრობენ, როგორ ცხოვრობენ, მოქმედებენ, მიამბობენ ყველაფერ იმას, რაც გამოცდილებით შეუძენიათ. მე კი ვალდებული ვარ ყოველივე ეს მივიღო და ის მოვიმკა, რაც სხვებმა დათესეს ჩემთვის.

გოეთე

1

კორნელის დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. იგი მეხივით დაატყდა თავზე კორნელის ყველა ნათესავსა და მეგობარს. ყველა თავისებურად განიცდიდა და აფასებდა კორნელის დაპატიმრებას და საპირველმაისო დემონსტრაციაში მისი მონაწილეობის მიღებას. მწერალთა ჟურნალის რედაქციაში პოეტი რაფაელ ახვლედიანი ამბობდა:

— მდიდარი ბიოგრაფია აქვს კორნელი მხეიძეს: რომანტიკული მიჯნურობა, სპორტი, ფრონტი, კლუბში დაჭრა, პოლიტიკური ბრძოლა და ბოლოს დაპატიმრება და ციხე.

— მართლაც, — დაუდასტურა გოთუამ.

— არ დახვრიტონ ან არ ჩამოახრჩონ ის უბედური, —

შეეცოდა კორნელი მოგველაძეს, — უთუოდ დიდი ტალანტის მქონე ჭაბუკია.

— ჩამოხრჩობის წინ, ვაითუ ფრანგი პოეტის ფრანსუა ვიონის მსგავსად ცინიკურად წააწეროს-მან ციხის კედელს.: „და ეგ საჯდომი რასაც იწონის, ხვალე გაიგებს ჩემი კისერი", — ღიმილით შენიშნა თეოფილ გოთუამ. ლეონარდო ტაბაძეს კორნელისთვის ციხეც კი შეშურდა და მეგობრებს უთხრა:

— უცნაური ხალხი ხართ თქვენ: რა შუაშია ფრანგი პოეტი ფრანსუა ვიონი და ვიღაც კორნელი მხეიძე?!

— რატომ? — შეედავა რაფაელი. ამან ლეონარდო ტაბაძეს უფრო გააბრაზა:

— ვერ გამიგია, მართლა ამბობ, თუ ხუმრობ? — ჰკითხა ლეონარდომ.

— მართალს მოგახსენებ, — მიუგო რაფაელმა. თეოფილ გოთუა ამან წააქეზა და ლეონარდოს უთხრა:

— მაგ ბიჭის ცხოვრება რაღაცით წააგავს ფრანსუა ვიონისა და არტურ რემბოს ცხოვრებას.

— არაფერიც არ გცოდნია, უვიცი და პროვინციელი ყოფილხარ. რა საერთო აქვს ხალხოსანი ჩვენი მწერლების მრბაძვით გლეხებისა და მუშების გაჭირვებაზე და მათ ბრძოლაჭიდილზე მჯღაბნელ, შინგამოზრდილ ქართველ ახალგაზრდა ბელეტრისტს, ვიღაც კორნელი მხეიძეს, რომელიც საქართველოს არ გაშორებია, უცნაურ, მოხეტიალე, დაუდგრომელ და გენიალურ ფრანგ ჭაბუკთან არტურ რემბოსთან? რემბომ მთელი ქვეყანა მოიარა, იგი ჰოლანდიის არმიის ჯარისკაცი, სტოკჰოლმის ცირკის კონტროლიორი, კუნძულ კვიპროსზე ანტრეპრენერი, ხარაში ვაჭარი, აფრიკაში ტყავეულის გამყიდველი, მუდამ მოუსვენარი, დამცინავი, სილამაზის უარმყოფელი და ხრწნის მოტრფიალე იყო. მან „მთვრალ ხომალდში" მთელი ქვეყანა, მათ შორის ევროპის ცივილიზაცია გამოიტირა... ისღა გვაკლია, კორნელი მხეიძე არტურ რემბოს, ანდა არაჩვეულებრივ, დემონურ, დიდ და გიჟურ გენიის მქონე ჭაბუკს ისიდორ დიუკასს — თავად ლოტრეამონს შეეადაროთ, რომელმაც თავისი მალდაროროის და გომბეშოს სახით მთელ სამყაროს და ადამიანის მოდგმას რექვიემი უმღერა?!

ლეონარდო ტაბადაძის ასეთი თავდასხმის მერმე თეოფილ გოთუა სახტად დარჩა და დაბნეულად წაილუღლუღა:

— ნეტავ ენა მომტეხოდა და ფრანგუა ვიონი არ მეხსენებია. მე ის ფრანგი პოეტი იმიტომ მომაგონდა, რომ ჩვენი მწერალიც მასავით ციხეში ჩააგდეს... შენ კი მთელი წირვა-ლოცვა გამოიყვანე.

მაყაშვილთა ოჯახში ყველამ ერთხმად ჩაჰკრა კორნელი. ასე მოუხდებაო, — ამბობდნენ, წინ წყალი, უკან მეწყარი უსურვეს მას. მხოლოდ ნინო არ იზიარებდა საერთო აზრს. შიშობდა, კორნელი სასტიკად არ დასჯონო და მზად იყო მსხვერპლი გაეღო, ოღონდაც გამოეხსნა იგი.

კორნელის დაპატიმრების ამბავი დეიდა ელენემ ყველაზე გვიან შეიტყო. ეს ამბავი ელენეს ესტატე მაყაშვილის მეუღლემ ვარდომ ტელეფონით ახარა. ახლა კი მიხვდა ელენე, თუ რად იჯდა მუნჯად სადილობისას მისი გულმოკლული მეუღლე. ქმარს სადილისათვის ხელიც არ უხლია. ის და მისი მოადგილე ინსპექტორი დიმიტრი ჯანელიძეც, თავისა მოწაფეებით, დემონსტრაციაზე იყვნენ და კორნელის დაპატიმრება იქვე შეიტყვეს, მაგრამ დათა ვერ პედავდა ცოლისთვის გაეცხადებინა ეს ამბავი.

ელენემ იკივლა და მერმე მოთქმით ტირილი გაბა. როდესაც ტირილსა და ჟივილს მორჩა, გამხდარმა და ჩია ქმარმა დახშული ხმით ჩაილაპარაკა:

— თავი დაიღუპა იმ ბიჭმა და ჩვენც დაგვღუპა.

— ჩვენ რა შუაში ვართ? — გაოცებით ჰკითხა ნამტირალევმა ცოლმა.

— როგორ თუ რა შუაში ვართ! კორნელი ხომ ჩვენი ნათესავია და ჩვენთან ცხოვრობს!

— მერე რა?

— რამიშვილს გაუგია, კორნელს და მიტოს რომ მიუპეგვიათ სავანგებო რაზმის აგენტები, გვარდიელები და თვითონაც დასახიჩრებულან და თავი კინაღამ არ წაუგიათ,— უთხრა ცოლს ქმარმა და დასძინა: — რამიშვილს უთქვამს, რატომ აგენტებმა იქვე, ქუჩაში არ ჩააძაღლეს ის არამზადებიო?

— თვითონ უნდა ჩაძაღლონ ის ოხერი. საკვირველია! —აენთო ელენე.

— რას ამბობ, ქალო? — გაოცდა დათა.

— ნამდვილს მოგახსენებ. შენ თვითონ არ უწოდე ანას წინათ რამიშვილს ჯალათი და მტარვალი? — მიუგო ცოლმა.

— აბა, ეს საიდან მოიგონე? შარზე ხომ არა ხარ? გინდა დამლუპო?! — შეშინდა დათა, მოკლე და დაკვარკნილი შავი წვერის გრეხა, წიწკნა და გლეჯა დაიწყო.

მოდი და ნუ შეშინდებოდი! რამიშვილი მრისხანე და დაუნდობელი კაცი იყო. მას საფრთხობელას უწოდებდნენ. იგი შიშის ზარს სცემდა და სასტიკად უმასპინძლდებოდა ყველას, ვინც კი მთავრობის უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. განსაკუთრებით მელითონეები და მასწავლებლები აითვალისწუნა მან. სკოლების გაფიცვის დროს დათა მიქელაძის გიმნაზიის მასწავლებლები მოწინავეთა რიგებში იყვნენ და დირექტორს ეშინოდა, რამიშვილმა არ მონახნასო. მაგრამ ელენეს ახლა ქმრის დარდი არა ჰქონდა:

— განა შენ არ მითხარი ამას წინათ, ამ საშინელი სიძვირისა და შიმშილის დროს რამიშვილი მასწავლებლებს თეორიით არ გვირიგებს ჯამაგირს, ხელფასის მომატების ნაცვლად გაფიცულ მასწავლებლებს სამსახურიდან დათხოვნით და დაპატიმრებით გვემუქრებაო?! — ჭაჭანებდა ელენე.

— მე ბევრი რამ მითქვამს შენთვის, — მიუგო ქმარმა,— მაგრამ, შე დალოცვილო, შენ რასაც გეტყვი, ის ხალხში კი არ უნდა გაიტანო.

— რამიშვილის და მენშევიკების ძვირს ყველგან ვიტყვი და ვიყვირებ, — არ ცხრებოდა ცოლი, — ხედავ, სანამდე ვიყვანეს ქვეყანა?! მაღე შიმშილით ამოვწყდებით, ყველა ჯათხოვრებს დავემსგავსებით და შიშველ-ტიტველი ვიქნებით. ასე უნდა დავიარებოდე მე, ელენე მდივნის ქალი? შეხედე,— დაიძახა გაანჩხლებულმა და წონასწორობადაკარგულმა ქალმა და კაბა კინაღამ არ წამოიხადა.

— რამ გაგაგიჟა? — დაუყვირა დათამ, — დაწყნარდი. შეწყვიტე რამიშვილისა და ჩვენი მთავრობის ლანძღვა-გინება! დააყენე მდივნების ეგ მოწამლული ენა!

— არა, არ დავაყენებ... როგორ არ ვაგინო რამიშვილი, კორნელის ჩაძაღლებას თუ აპირებს?! გავლნძლავ კი რა, დღესვე მივუვარდები და თვალებს ამოვკუჭავ, — გაბრაზდა ელენე და მოცისფრო თვალები ძუ ვეფხვივით დაუბრიალა ქმარს.

მშიშარა ქმარი ცოლს მიაშტერდა და გაილურსა. მან იცოდა, ასეთ დროს გარინდება და დათმობაზე წასვლა ოომ სჯობდა.

— ჩააძალებს კი არა, ის არ გინდა!.. ეს გაბრაზების დროს წამოსცდა რამიშვილს. არაფერსაც არ უზამს კორნელის, აი ნახავ.

— დღესვე გამოუშვას კორნელი იმ შენმა რამიშვილმა, თორემ შავ დღეს დავაყენებ — ისე უყვირა ცოლმა, თითქო რამიშვილის მიერ კორნელის განთავისუფლება დათაზე იყო დამოკიდებული. დათა ისევ შეშინდა და წაილუღლუღა:

— მიკვირს შენი ამბავი. მთავრობის ხალხის ცემისათვის კორნელის და მიტოს თავზე ხელს რომ არ გადაუსობდნენ არ იცოდი? თავის თავს დააბრალონ.

დათა დადუმდა. ცოტა ხნის მერმე მოულოდნელად გაანაცხადა:

— ამბობენ, ინგლისელები ბათუმიდან მიდიან, ბათუმის ოლქში ჩვენი ჯარები შევლენო.

ელენე გაოცდა და ჰკითხა:

— რა კავშირი აქვს ამას კორნელის დაპატიმრებასთან?

— როგორ თუ რა კავშირი აქვს? — განუმარტა ქმარმა,— რამიშვილი მანამდე კარგად მეპყრობოდა. მან ჩემი კანდიდატურა წამოაყენა ბათუმის ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე, რათა იქ განათლების სისტემაში თურქული გავლენა აღმომეფხვრა. მენშევიკებმა ჩვენთან — ფედერალისტებთან — უკვე კავშირი შეჰკრეს, ისინი ჩვენ გვენდობიან და საპასუხისმგებლო ადგილებზეც გვნიშნავენ. მაგრამ რად გინდა მერმე შენ? მეშინია, კორნელის გამო ყველაფერი არ ჩაიშალოს!

— არ მესმის, რას ამბობ?

— რამიშვილმა თუ გაიგო, კორნელი რომ ჩემი ნათესავია და ამასთან ჩემთან ცხოვრობს, აჭარაში განათლების განყოფილების გამგედ კი არა, სკოლის ებრალო მასწავლებლად, დარაჯადაც არ დამაყენებს, და კორნელასთან ერთად საქართველოდან რუსეთში გადამასახლებს... აი, რა გვიყო შენმა კორნელიმ!

— აი, როგორი კაცი ყოფილხარ შენ! აი, რა მუცლის გვრემა ქჩონია! შენ კარიერას მისდევდი თურმე და არა კორნელის

უბედურებას. ფუი! — გადააფურთხა გაბრაზებულმა ცოლმა. დათა განაღგურებული იჯდა.

ელენემ წებედა, თვალზე ცრემლი შეიშრა და შეეცოდა.

იგი ორ ცეცხლს შუა იწვოდა: დისწულისა და ქმრის სიყვარული უნდა დაედო სასწორზე. ბოლოს კორნელის სიყვარულმა გადასწონა და ქმარს ჰკითხა:

— ვის მივმართოთ კორნელის გათავისუფლებისათვის? უპროტექციოდ და უქრთამოდ აქ ვერაფერს გააწყობ.

— ისევ პროტექცია, ისევ ქრთამი, — ჩაიქნია ხელი დათამ. — რა ვიცი, ვის მივმართოთ?

— შენ არასოდეს არაფერი არ იცი, შენ განა კაცს საქმეში გამოადგები! — ისევ გაბრაზდა ელენე. — ტვინის განძრევისა გეშინია. ვარდოს ხომ არ მივმართოთ? ესტატე გეგეჭკორის მეგობარია.

— შეიშალე? — იყვირა ქმარმა, — განა ესტატე სოხოეს გეგეჭკორს, ბოლშევიკი გაათავისუფლებ? სხვა არა იყოს რა, ესტატეს კორნელისგან თავისი ნინოს შეურაცხყოფა ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია.

ქმრის მოსაზრება ჰკუაში დაუჯდა ელენეს და თავი ჩაჰკიდა. უცებ, ფიქრში წასულ ქალს ბედნიერი აზრი დაებადა:

— ჩვენი ინსპექტორი — დიმიტრი ჯანელიძე კედიას ცოლისძმაა. დიმიტრი უნდა ავამუშაოთ.

— კედია კიდევაც რომ ეცადოს, რამიშვილი ბოლშევიკების განთავისუფლების ბრძანებაზე არასოდეს ხელს არ მოაწერს.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო კორნელი მართლაც ბოლშევიკი იყოს!

— მაშ, ვინ არის?

— მენშევიკების კრიტიკა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბოლშევიკობას.

— მე არ ვიცი, პარტიის წევრი არის თუ არა კორნელი, მაგრამ მისი მოთხრობების და მისი მოქმედების მიხედვით — ეს ასეა. იგი უთუოდ ბოლშევიკია.

რაც უფრო უხშობდა დათა კორნელის გათავისუფლებისათვის მისაგნებ გზას, მით უფრო საზრიანი და ხერხიანი ხდებოდა ელენე.

— ქალი არ ვიყო, ტერეზას ჩამოსკლამდე კორნელი თუ არ გამოვაშვებინო ციხიდან, — იკვეხნიდა იგი.

— აღდგომა და ხვალეო, — მოუკო დათამ და შენიშნა:— თუმცა, ვინ იცის! მდივნები, განსაკუთრებით ქალები: ტერეზა, შენ, თამარი ხერხიანი, ფხიანი, ჟინიანი და პრაქტიკული გონების მქონე ადამიანები ხართ. თქვენი ძამია ოტიასი კი რა მოგახსენო!

— კარგი რომ მიქნელაძეებს არ ვგავართ მდივნები. სწორედ იმიტომ რომ ფხიანი ვართ, ჩვენ კიდევ ვიღწვით და ჯერ კიდევ არ დაგვბოცლვართ შიმშილით. შენს ჯამაგირზე ჩვენ ერთ კვირაზე მეტს ვერ გავძლებდით. სწორედ ჩემი ფხიანობისა და პრაქტიკული უნარის გამო ვაღწევთ თავს, ასე თუ ისე, ამ დუჭჭირ ცხოვრებას.

დათამ კამათი აღარ დაუწყო.

2

3 მაისს, ნასადილევს, ელენეს მარო ფრუიძე და კორნელის მეგობრები — სანდრო ხოტივარი და კუკური ზარანდია ესტუმრნენ.

სანდროს არა სჯეროდა, კორნელი დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის რომ დააპატიმრეს.

— მიკვირს, რა საერთო აქვს კორნელის ბოლშევიკებთან?

კუკური ზარანდიამ აუხსნა:

— კორნელი ფიქრობს და მეც იმ აზრისა ვარ, რომ დენიკინის ლაშქრის დამარცხება, რომელსაც ევროპის დიდი ხახვლწიფოები ასე შველოდნენ, ანტანტის სისუსტეს მოასწავებს და საბჭოთა რუსეთის ძლიერებაზე ლაღადებს. მომავალი საბჭოთა რუსეთს ეკუთვნის!

— ამას შენ და კორნელი კი არა, შეშინებული ფილისტერი მეტყველებს თქვენის ბაგით, — შენიშნა სანდრომ.

— მაგას ნუ იტყვი, — დაიცვა კორნელი კუკურიმ,— კორნელი ჩემზე და შენზე უფრო განათლებული, უშიშარი და მამაცია.

— მაშინ მას ცუდად უანგარიშებია. მე თავს ვანებებ რევოლუციურ პრობლემებზე კამათს, თავს არ ვიტყუილებ სოციალიზმის ილუზიით, მაგრამ ერთ რამეში მტკიცედ ვარ

დარწმუნებული: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ დამყარდება.

— რატომ ხართ მაგაში დარწმუნებული? — ჰკითხა მარკომ.

— იმიტომ, რომ მოკავშირენი ისე სუსტნი არ არიან, რომ ბაქო და ბათუმი საბჭოთა რუსეთს დაუთმონ!

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ელენეს თავისი ღარდი აწუხებდა და წყენით განაცხადა:

— რა უბედურებაა: შეიყრებით თუ არა ახალგაზრდები, მაშინვე პოლიტიკაზე იწყებთ დავას. ახლა ისა სჯობია, დამეხმაროთ და მასწავლოთ, რა საშუალება გამოვძებნო იმისათვის, რომ კორნელი ციხიდან გამოვიხსნა.

სანდროს და კუკურის გაუკვირდათ, გიმნაზიის დირექტორის ცოლი კორნელის საშველად მათ რომ მიმართავდა. ვერაფერი ვერ ურჩიეს. ელენე ამაოდ მოელოდა მათ პასუხს.

— ასეა ყოველთვის, — ნაღვლიანად განაცხადა ელენემ, — საცოდავი კორნელი მზად იყო ყველასათვის ეშველნა, მას კი არავინ... მარო, განა მან არ გამოიხსნა ციხიდან შენი ძმა? განა მან არ გაათავისუფლა თავისი სკოლის ამხანაგი მერაბიანი?!

მარო გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა.

სამხედრო სასწავლებელში

3 მაისს, საღამოს, სახალხო სახლში თავს იყრის მენშევიკური მთავრობის მთელი შემადგენლობა, რომლის დაპატიმრება ადვილი მოსახერხებელია ჯარის საიმედო პაწიელების საშუალებით

სამხედრო კომიტეტის მოხსენებიდან

1

თბილისის სამხედრო სასწავლებელს თითქმის ხთელი კვარტალი ეჭირა. სამსართულიანი შენობის მთავარი კორპუსი ფასადით პლეხანოვის პროსპექტზე გადიოდა. მარჯვნივ და მარცხნივ შენობას ქალაქის სახლების დახურული, უფანჯრო კედლები ეკვროდნენ. შიდა დიდ ეზოს კი აგურის მა-

ღალი ღობე ეკეთა და უკან ბეკვარი ჩაუდიოდა. პლესახოვის პროსპექტის მხრიდან ეზოში რკინის დიდი ჭიშკრით შეიძლებოდა შესვლა. რკინის ჭიშკარი ჰქონდა აგრეთვე ეზოს მარცხენა მხრიდანაც, რომელსაც დიდმთავრის ქუჩა ებჯინებოდა. უკანა ჭიშკრიდან, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, დიდმთავრის ქუჩაზე პასტერის სახელობის ინსტიტუტის ერთსართულიანი შენობა იწყებოდა. ამ შენობის კუთხიდან, პასტერის ქუჩა მტკვრის მაღალ ნაპირისაკენ მიდიოდა. აქედან კი ბორანისაკენ კიბე ეშვებოდა.

სამხედრო სასწავლებლის შენობას და ეზოს ფხიზელი დარაჯები ედგნენ და უცხო კაცისათვის შიგ შესვლა ადვილი საქმე არ იყო.

სამხედრო სასწავლებლის უფროსი, შავწვერა, გამხდარი და უშნო კაცი პოლკოვნიკი გიორგი ჩხეიძე გონიერი და მამაცი ოფიცერი იყო. მან მსოფლიო ომში თავი ისახელა და გიორგის ჯვარი მიიღო. იგი ომის დროს ფრონტზე გენერალ კვინიტაძის კორპუსის ერთ-ერთ დივიზიას მეთაურობდა. ამიტომ, როდესაც კვინიტაძე ქართული ჯარების სარდლის ოდიშელიძის მოადგილედ დაინიშნა, მან რევოლუციის მერმე უადგილოდ დარჩენილი და საქართველოში ჩამოსული თავისი ფრონტელი მეგობარი სამხედრო სასწავლებლის უფროსად მოიწვია. გენერალი კვინიტაძე და პოლკოვნიკი ჩხეიძეც სამხედრო სასწავლებლის შენობაში მეზობლად ცხოვრობდნენ.

სამხედრო სასწავლებლის ოფიცრები მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდნენ და იუნკრებსაც იმ არმიის ტრადიციებზე ზრდიდნენ, დღედაღამ ამეცადინებდნენ და უბრალო დახშაულისათვისაც კი სასტიკად სჯიდნენ.

იუნკრებს დილის ექვს საათზე აყენებდნენ. ალაგებისა, მოწყობისა და საუზმის მერმე ისინი კლასებში მეცადინეობდნენ. თეორიულ მეცადინეობას სამწყობრო მეცადინეობა, პრაქტიკული სროლა, შაშხანის, ტყვიამფრქვევისა და ზარბაზნის მატერიალური ნაწილის შესწავლა მოჰყვებოდა. ტაქტიკური სწავლისათვის ხშირად მინდორში გადიოდნენ.

საარტილერიო განყოფილების იუნკრებს ნეტი ჯაფა ადგათ, რადგან სხვებთან შედარებით ისინი მათემატიკურ საგნებს უფრო ვრცლად გადიოდნენ. ბევრ დროს ართმევდა მათ

ზარბაზნის მატერიალური ნაწილისა და ცხენის მოვლა. მთელი დღე შეუსვენებელი მეცადინეობისა და შრომის გამო არაქათგამოცლილი იუნკრები, საღამოს ვახშმისა და ამოკითხვის მერმე თავიანთ საძინებელ ოთახებისაკენ ისწრაფოდნენ, საჩქაროდ იხდიდნენ ტანისამოსს, წვებოდნენ და მკვდარივით იძინებდნენ.

2

ბნელი ღამე იყო. სასწავლებელში სიჩუმე სუფევდა. მორიგე ოფიცრის მიერ ღამის დარაჯების შემოწმების მერმე სასწავლებლის წინ ორმა ოფიცერმა — მაიორმა და კაპიტანმა გაიარეს. ჭიშკართან ხმლითა და ნაგანით მდგარი გუშაგი — ახოვანი და ლამაზი იუნკერი ნოდარ ახვლედიანი გასწორდა, ოფიცრებს გაეჭიმა და ეფრეიტორივით ხმლით სალამი მისცა. ულვაშიანი, მაღალი, ქერა კაცი — მაიორი შეჩერდა და გუშაგს ჰკითხა:

— სარდლის მოადგილის ბინაში შესასვლელი კარები როგორ მგლია?

გუშაგმა იქვე პატარა კარებზე მიუთითა. მაიორი და კაპიტანი იმ კარებს მიადგნენ. მაიორმა ზარის ღილს თითი მიაჭირა, ცოტა ხნის მერმე ოფიცრები ისევ გუშაგთან მივიდნენ. მაიორმა ჰკითხა:

— ზარი მოშლილია. გენერალთან შესვლა მგონი სამორიგეო ოთახიდანაც შეიძლება. ვინ არის დღეს სასწავლებელში მორიგედ?

— პორუჩიკი ჭყონია,—მიუგო გუშაგმა.

— აა, ჩვენი ჭყონია? — გაიღიმა მაიორმა და მერწმე შავგვრემან და ჯმუხ კაპიტანს უთხრა: — მოდი, მასთან შევიდეთ.

მაშინვე მაიორთან სამი ნიშანაყრილი, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი მივიდა. უცნობებმა რაღაც უთხრეს მას. მაიორი იუნკერს მიუბრუნდა:

— ესენი აქ დაგვიცდიან.

— არის, — მიუგო გუშაგმა და სამი უცნობი კაცი უნდობლად შეათვალიერა. ერთს პატარა ჩემოდანი ეჭირა.

მაიორი და კაპიტანი ჭიშკრის მახლობლად მოთავსებულ

პატარა კარებში შევიდნენ. დერეფანი გაიარეს, მისაღებ ოთახისაკენ წავიდნენ და მის გვერდით, სასწავლებელში მორიგეს ოთახს მიადგნენ. მაიორმა კარი შეაღო. მორიგე — პორუჩიკი ჰყონია მაგიდასთან იჯდა. მას ახლახან გაესინჯა ღამის დარაჯები და ახლა გაზეთს კითხულობდა. მაგრამ გვიან ღამით უცნობთა ვიზიტი გაუკვირდა. იგი წამოდგა და ოფიცრებს მიესალმა. მაიორი მივიდა და ხელი ჩამოართვა, მაგრამ ხელის ჩამორთმევა მაგარი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ბოლოს კაპიტანმა მორიგეს შუბლზე ნაგანი მიუღირა. ჰყონია შეკრთა, გაფითრდა და ხელის გათავისუფლება სცადა, მაგრამ მაიორი გოლიათი ძალის პატრონი აღმოჩნდა და მშვიდად უთხრა:

— პორუჩიკო ჰყონია, წინააღმდეგობის გაწევას ნუ ეცდებით, თავს წააგებთ, სხვა არაფერი.

მაიორმა მარცხენა ხელით ბუდიდან ნაგანი ამოუღო ჰყონიას და სმალიც ახსნა.

— დაჯექით! — უბრძანა მან იარაღაყრილ მორიგეს და მერმე კაპიტანს მიუბრუნდა: — შემოიყვანე გუშაგი. უთხარი, მორიგე გეძახის_თქო.

კაპიტანი წავიდა. კარები გააღო, ჭუჩაში თავი გაჰყო და ჩიშკართან მდგარ გუშაგს გასძახა:

— იუნკერო, მოდით აქ. მორიგე ოფიცერი გეძახით.

— როგორ? მე ხომ სავუშაოზე ვდგავარ! — დაიბნა გუშაგი.

— აბა უშავს, მოდით, — გაულიმა კაპიტანმა.

გუშაგი დერეფანში შევიდა. უკან ის სამი კაცი გამოჰყვა. ჩყისვე კაპიტანი გადაუდგა და ოთხმა კაცმა ნაგანები მიაღირეს, იარაღი აჰყარეს და სამორიგეოში შეიყვანეს.

მაიორმა პორუჩიკ ჰყონიას გვერდით დაჯდომა უბრძანა გუშაგს და ორთავეს დინჯად და ჩუმად გაძოუცხადა:

— ჩვენ სამხედრო რევოლუციური შტაბის სახელით ვმოქმედებთ. თბილისის გარნიზონის ჯარები ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს სამხედრო სასწავლებლის დაკავება. წინააღმდეგობა უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევს. სასწავლებელი ალყაშემორტყმულია. მთავრობა დაპატიმრებულია. — მაიორმა ჰყონიას უბრძანა: — მოიტათ საშორიგო ოთახის გასაღები.

თავზარდაცემულმა ჭყონიამ მაგიდის ყუთი გამოსწია და გასაღები „კაპიტანს“ გადასცა. ახლა მაიორმა ერთ-ერთ თავის კაცს უბრძანა:

— წადი, უთხარი ჩვენებს: შეიძლება დაიწყონ.

დაბალი კაცი მაშინვე ქუჩაში გავარდა. მერმე „მაიორმა“ ჭყონიას და იუნკერს მიმართა:

— სიფრთხილისათვის, იძულებული ვარ ხელები გაგითოკოთ.

მაიორის ერთმა თანამგზავრმა პატარა ჩემოდანი გახსნა და თოკი ამოიღო.

„მაიორმა“ და „კაპიტანმა“ მორიგე ოფიცერს და გუშაგს ხელები გაუთოკეს. განიარაღებულთა ნაგანები წაიღეს და წავიდნენ.

ნიშნებაყრილი, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ორი კაცი სამორიგეოში დარჩა. ერთმა ოთახი შიგნიდან ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და პატიმრები გააფრთხილა, წინააღმდეგობის გაწევა არ გაებედნათ.

პორუჩიკი მოსე ჭყონია გულმშემოყრილი იჯდა მაგიდასთან და თავზარდაცემულ და გაოგნებულ გუშაგს, იუნკერს ნოდარ ახვლედიანს ჩურჩულით ეუბნებოდა:

— ეს რა ჩაიდინე?! დავიღუპეთ! ქუჩაში გამვლელს, თუნდაც ოფიცერი, გენერალი იყოს იგი, განა გუშაგი საუბარს გაუმართავს, ან ახლოს მოუშვებს და სადარაჯოდან მოიხსნება? უცნობი პირები სასწავლებელში რად შემოუშვი? საბუთები რად არ გაუსინჯე? იცი თუ არა, რა ჩაიდინე შენ? თავი დაიღუპე და მეც დამღუპე.

— ვიცი, ბატონო პორუჩიკო, დასახვრეტი საქმე ჩავიდინე. წავხდი და თქვენც წაგახდინეთ. ოხ, — ამოიგმინა ახვლედიანმა. — როგორ გამაცურეს, როგორ მოვტყუვდი?!

პატიმრები დატუქსეს და ლაპარაკი აუკრძალეს.

ირგვლივ გულისდამაღონებელი სიჩუმე იდგა.

3

თბილისის ბოლშევიკები დიდი ხანია რაც შეიარაღებულ აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

სამ მაისს, ღამით, ყველა კომუნისტი და კომკავშირელი

საბრძოლველად იყო გამზადებული და წინასწარ მითითებულ რაიონებში იდგა. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის გამოიყო სამხედრო-რევოლუციური შტაბი სერგო ქავთარაძის მეთაურობით.

რატომ მაინცდამაინც სამი მაისი აირჩიეს აჯანყების მოსაწყობად? სამხარეო კომიტეტს მიღებული ჰქონდა ცნობა, რომ 3 მაისს საღამოს, სახალხო სახლში ტარდებოდა მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი, რომელზედაც საბჭოთა რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი იდგა. თათბირს მთავრობის მთელი შემადგენლობა უნდა დასწრებოდა.

სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ამოცანა დაისახა: თბილისის გარნიზონის ნაწილების დახმარებით ალყა შემოერტყა სახალხო სახლისათვის და მთავრობა დაეპატიმრებია.

ამ მიზნით გამოყოფილი იყვნენ მეხუთე ქვეითი ლეგიონისა და საყარაულო ბატალიონის ჯარისკაცები. ოპერაციის ჩატარება ვანო მახათაძეს დაეკისრა. მეხუთე ქვეითი ლეგიონის ასეული სახალხო სახლის უკან, მეორე ვაჟთა გიმნაზიის ეზოში ფარულად შევიდა და იქ დაბანაკდა, ხოლო საყარაულო ბატალიონის ასეული ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის უკან გაშენებულ ბაღში — ვერის ხიდთან. ბოლშევიკურად განწყობილი ყოფილი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან შემდგარი ერთი რაზმი, ალექსანდრე მაჭარაძის მეთაურობით, პასტერის სახელობის ინსტიტუტის შენობაში და მის მახლობლად, მტკვრის პირას განლაგდა.

მუშათა შეიარაღებულ რაზმებს ქალაქის სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებანი უნდა დაეკავებინათ და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინათ.

ყველაფერი მზად იყო. აჯანყების ნიშანს ელოდნენ: საარტილერიო ბრივადის მოედანზე ზარბაზნის გასროლას. მაგრამ დანიშნულ დროზე ზარბაზნის გასროლას ავვიანდებოდა.

საგანგებო რაზმის აგენტები შეშფოთდნენ. მეორე ვაჟთა გიმნაზიის ეზოში და ვერის ხიდთან ბაღში ჯარების დაბანაკების მიზეზის გამოძიება დაიწყეს. ასეულების მეთაურებმა კედიას უპასუხეს: სახალხო სახლის სადარაჯოდ მოვედით. კედიამ ტელეფონით თბილისის გარნიზონის უფროსი გენე-

რალი კვინიტაძე გამოიძახა. გარნიზონის უფროსმა განუცხადა: ასეთი განკარგულება არ გამიციაო და უფროსებს უბრძანა თავიანთი ნაწილები ყაზარმაში წაეყვანათ. სამხედრო სასწავლებლისთვის ალყისშემოსარტყმელად მოსული რაზმის შესახებ კი არავინ არაფერი არ იცოდა. ცნობამ ახალი აჯანყების დაწყებაზე მთავრობის წევრთა შორის შიშიანობა გამოიწვია. ატყდა ერთი განგაში. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ვალიკო ჯუღელის განკარგულებით, სახალხო სახლის წინ და მის მახლობლად მდებარე ქუჩებში ჯავშნიანი მანქანები ჩადგნენ და გვარდიის ჯარის ნაწილიც მოვიდა.

ამრიგად, კარგად მომზადებული და ხელსაყრელ პირობებში ადვილად შესასრულებელი აჯანყების გეგმა ვერ განხორციელდა და მენშევიკური მთავრობა დაპატიმრებას გადარჩა. მაგრამ ბოლშევიკებმა „მაიორმა“ ნიკო გოცირიძემ, „კაპიტანმა“ ზაუტაშვილმა და სხვებმა, ალექსანდრე მახარაძის მითითებით, სახალხო სახლის დასაცავად ჯავშნიანი მანქანებისა და გვარდიელების მისვლაზე ერთი საათით ადრე მოახდინეს სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა.

4

ნიკო გოცირიძის მიერ გაგზავნილმა კაცმა ალექსანდრე მახარაძესთან მიირბინა და შეატყობინა:

— შეიძლება დაწყება.

ალექსანდე მახარაძეს თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მის ეზო-გარემოს, შენობებს და შენობებში ოთახების განლაგებას კარგად იცნობდა. მან სამხედრო სასწვლებელი 1915 წელს დაამთავრა და ფრონტზე იმავე წელს გაემგზავრა. ოქტომბრის რევოლუციის მერმე სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოში 1918 წლის აჯანყების დამარცხების მერმე, პარტიზანულ რაზმთან ერთად ჩრდილო-კავკასიაში გადავიდა, იქ დენიკინის და ბიჩერახოვის ბანდებთან ბრძოლაში სახელი გაითქვა. ამ ფიცხ მებრძოლს მეგობრები „მაჭახელას“ ეძახდნენ. იგი შავგვრემანი, მეტად ლამაზი, პატარა, მაგრამ კოხტა ტანის კაცი იყო. იმჟამად ოცდაექვსი წლისა თუ იქნებოდა.

საბჭოთა სასწავლებლის ეზოში, მტკვარზე გადაშლილი ერთი შენობის კორპუსში უნტერ-ოფიცერთა ათასეული იყო მოთავსებული. ამ ათასეულის ჯარისკაცები — შაქრო ვერელი და ვანო ბურდული ვანო მახარაძესთან, ნიკო გოცირიძესთან და მიტო ჩიკვაიძესთან თედო მეტონიძემ დააკავშირა.

ალექსანდრე მახარაძემ რაზმელები დიდთავრის ქუჩაში დააყენა, თვითონ ჭიშკართან მდგარ გუშაგთან მივიდა და პაროლი უთხრა:

— შანდალი.

— ავანთოთ, — მიუგო გუშაგმა ვანო ბურდულმა.

როდესაც ნიკო გოცირიძე საბჭოთა სასწავლებლის მორიგე ოფიცერს ჭყონიას და პლეხანოვის პროსპექტზე ალაყაფის კარებთან მდგარ გუშაგს ახვლედიანს აპატიმრებდა, შაქრო ვერელი, თედო მეტონიძე და მათი ბიჭები სასწავლებლის ეზოში მუშაობდნენ: ეზოში დაყენებულ დარაჯებს ხსნიდნენ. ისინი სასწავლებლის გუშაგთა ოთახში შეიჭრნენ და როგორც გუშაგები, აგრეთვე მათი უფროსი, გამორიგებელი დააპატიმრეს და ყველგან თავისი კაცები დააყენეს, მათ შორის დიდიმთავრის ქუჩიდან ეზოში შესასვლელ ჭიშკართანაც. ის გუშაგი სწორედ ვანო ბურდული იყო.

ვანო ბურდულმა სათითაოდ შეუშვა ალექსანდრე მახარაძის რაზმელები ეზოში. ჯარისკაცის ტანისამოსში გადაცმული ნაწილი რაზმელებისა განიბნა და საწყობის, ქსენონისა და თაღლის კედლის გასწვრივ ჩასაფრდა.

ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი თექვსმეტი კაცი კი მახარაძემ ოთხ ჯგუფად დაჰყო და სასწავლებლისაკენ წაიყვანა, თვითონ მას სამი ოფიცერი: ლადო ზარდიაშვილი, დათა თოთიბაძე და რუბენ კაკალოვი ახლდა. ოფიცრები ჩუმად ავიდნენ კიბეზე, სასწავლებლის დერეფანში შეჩერდნენ და მერმე პირველ, მეორე, მესამე ასეულის და საარტილერიო განყოფილების იუნკრების საძინებელი ოთახებისაკენ გაეშურნენ.

მახარაძე თავისი ჯგუფით მეორე სართულზე ავიდა. ელექტრონის მბჟუტავი ლამპით ოდნავ განათებული, გრძელი დერეფნის ბოლოს, ფანჯარასთან პატარა მაგიდა იდგა. მაგიდასთან მორიგე იჯდა. წინ პირველი ასეულის პირადი შემადგენლობის სია, ჟურნალი და სახელმძღვანელოები ედო.

წიგნი გაეშალა და ტოპოგრაფიას და ფორტიფიკაციას ამზადებდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ყველას ეძინა. მხოლოდ საძინებელი ოთახის ღია კარებთან ხვრინვა და მძინარეთა გაურკვეველი ლაპარაკი მოისმოდა.

მახარაძემ კაკალოვი კიბისა და დერეფნის სადარაჯოდ დატოვა და ორი ოფიცრის თანხლებით მორიგესთან მივიდა. მორიგემ სამი ოფიცერი რომ დაინახა, წამოდგა და მხედრული სალამი მისცა მათ.

— რა გვარი ხარ?

— ნაკაშიძე.

— გურული ხარ, ბიჭო? — ჰკითხა მახარაძემ.

— დიახ, — მიუგო მორიგემ და, ცოტა ხნის დაყოვნების შერმე დასძინა: — მე თქვენ გიცნობთ.

— საიდან? — ჰკითხა მახარაძემ და მაინცდამაინც არ მოეწონა ეს გარემოება.

— ოზურგეთიდან, — მიუგო იუნკერმა.

— ჰოო... — გააბა ჩუმად მახარაძემ და ღიმილით უთხრა: — მეც ამ სასწავლებელში ვსწავლობდი... მეც შენსავით ვმორიგეობდი აქ ოდესღაც, წელზე ნაგანი მეკიდა შენსავით და თავი ნამდვილი გმირი მეგონა. — მახარაძემ ისევ გაუღიმა გუშაგს და ჰკითხა: — რომელი წლის გამოშვებაა შენი ნაგანი?

კაპიტნის გულისხმიერებით და თავაზიანობით მოჯადოებული იუნკერი დაიბნა და მიუგო:

— კარგად არ მახსოვს, ბატონო კაპიტანო... მგონი ას სამოცდაათი ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი, ათას ცხრაას ექვსი წელი.

— არა გრცხვენია, ბიჭო, შენი იარაღის გამოშვების წელი და მისი ნომერი რომ არ იცი?! აბა გასინჯე!

მორიგემ ბუდიდან ამოიღო ნაგანი და მისი დათვალიერება დაიწყო. მახარაძემ გამოართვა, მაგრამ არ დაუბრუნა და უთხრა:

— წავიდეთ საძინებელ ოთახში.

იუნკერი შეცბუნდა, კაპიტანმა იარაღი რომ არ დაუბრუნა, მაგრამ მაინც მორჩილად გაჰყვა უკან.

როცა მახარაძემ მორიგეს იარაღი ჩამოართვა, ზარდიშვილი და თოთიბაძე საძინებელ ოთახში შევიდნენ და ჯინა

ყველის გასწვრივ სარაჩოში ჯოჯგინად დადგმულ შაშხანებთან გაჩერდნენ.

ფართო ოთახში რკინის საწოლზე იუნკრებს ეძინათ. სასთუმალთან პატარა თეთრი კარადები და ტაბურეტები ედგათ. ჭაბუკების გადახოტრიალი თავები ისე ეყარა ბალიშებზე, როგორც გოგრები ბაღჩაში. ოთახში სანატორიული სისუფთავე სუფევდა. წინა კედლის გასწვრივ, სარაჩოში ჯოჯგინად დადგმულ, ჩამწკრივებულ, და კარგად მოვლილ, გაკრიალებულ შაშხანებსა და საწოლებს შორის მანძილი ათი ხაბიჯი იქნებოდა.

მახარაძის, ზარდიაშვილისა და თოთიბაძის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოღვიძებულ იუნკრებს ეს მანძილი არ გადმოელახათ და შაშხანები ხელთ არ ეგდოთ.

მახარაძე და მისი ამხანაგები სიკვდილს ეთამაშებოდნენ.

მორიგე იუნკერმა ნაგანებიანი ოფიცრები შაშხანებთან რომ დაინახა, გაშტერდა, მაწინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ყვირილი დააპირა. მახარაძემ უთხრა:

— ჩუმად, მიდი კედელთან და ხმა არ ამოიღო, თორემ გაგათავებ.

ოთახში ორმოცი საწოლი იდგა. ორი მწკრივი მარჯვნივ და ორიც მარცხნივ. შუაში გასასვლელი იყო. მორიგემ ის გასასვლელი ჩუმად, ფეხაკრეფით გაიარა და ოთახის უკანა კედელთან განწირული სახით დადგა. ჯერ არც ერთ კაცს არ გაღვიძებოდა. მაგრამ მალე წინა საწოლზე ერთმა ქერა და მწითურმა იუნკერმა ბორგვა დაიწყო. ყელში ხროტინმა მოუსწრო, თითქოს უჟმურიან სიზმარს ხედავდა, მკერდზე მაჯლაჯუნა აწვებოდა და ახრჩობდა. ამოიგმინა და მერმე თოფნურკავივით წამოიჭრა საწოლზე. შაშხანებთან ამოღებული ნაგანებით ოფიცრები დაინახა და გიჟივით მიაშტერდა მათ. ვერ გაეგო, ვინ იყვნენ ისინი, სად იყო თვითონ, რა ხდებოდა მის ირგვლივ. თვალები თუმცა გახელილი ჰქონდა, სიზმარი თითქო გრძელდებოდა. მერმე გონს მოვიდა, საწოლზე დაჯდა, ნელა დაუშვა შიშველი ფეხები იატაკზე და ოფიცრებს ჰკითხა:

— ვინ ბრძანდებით? რა ამბავია?

— მშვიდობა, — მიუგო მახარაძემ.

— ოთარ, ვახტანგ, — გასძახა მწითურნა იუნკერმა შძინარ ამხანაგებს.

— ჩუმად, — გააფრთხილა მახარაძემ და ნაგანით დაემუქრა.

უმალ წამოჰყვეს თავები იუნკრებმა. ზოგმა ჩაცმა დაიწყო, ზოგმა ოფიცრებისაკენ წამოსვლა დააპირა.

— შესდექ! — შესძახა მახარაძემ, — ნაბიჯი არ გადმოდგათ... აი, იმ უკანა კედელთან მიდით!

მახარაძემ, ზარდიაშვილმა და თოთიბაძემ სპცვლების ამარა წამოჭრილ იუნკრებს ნაგანები დაუღერეს. იუნკრები უკანა კედელთან მივიდნენ და იქ შეჭუჩდნენ.

მახარაძემ დერეფანში გაიხედა და კაკალოვს ხელი დაუქნია. უმალვე მოირბინა კიბესთან მდგარმა კაკალოვმა. მახარაძემ უთხრა:

— უთხარი ბიჭებს, მოვიდნენ და შაშხანები ჩაიბარონ!

კაკალოვი დერეფანში გავიდა.

ამავე წესით უნდა ჩაეკეტათ მახარაძის სხვა რაზმელებს საძინებელ ოთახებში მეორე, მესამე საარტილერიო ასეულის იუნკრები და ჩამოერთვათ მათთვის იარაღი.

5

როდესაც მეორე ჯგუფის რაზმელები — პორუჩიკი ზაუტაშვილი, აროშიძე და ბეგიშვილი საარტილერიო ასეულის იუნკრების საძინებელ ოთახში შევიდნენ, მორიგე განაარაღეს, შაშხანებს დაეპატრონენ და საცვლების ამარა წამოჭრილი იუნკრები უკანა კედელთან მირეკეს, სანდრო ხოტივარმა ჯავახეთში ასპინძის ბრძოლის მონაწილე ქვეითი ჯარის ოფიცერი, პორუჩიკი ზაუტაშვილი იცნო და ლადო მეტრეველს წასჩურჩულა:

— ვერ იცანი, ასპინძაში ჩვენი ბატარეის მფარავი რაზმის უფროსი პორუჩიკი ზაუტაშვილი?

მეტრეველმა იცნო იგი, ვერ მოითმინა და შესძახა:

— ბატონო პორუჩიკო, მე თქვენ ასპინძის ბრძოლაში მინახიხართ. ვერა მცნობთ? ჩვენ ხომ იქ დავმეგობრდით?

ზაუტაშვილმა კედელთან საცვლების ამარა მდგარ შეცბუნა და თავგადახოტრილ მეტრეველს შეხედა, იცნო და მიუკო:

— გიცან, მაგრამ ახლა გაჩუმდი.

მეტრეველი აენთო.

— რად უნდა გავჩუმდე, რაშია საქმე?

იუნკრებმა მხარი აუბეს ლადო მეტრეველს. ყველამ ერთბაშად იწყო ყაყანი... ზოგნი წინ იწევდნენ.

— უკან! — უყვირა მათ ზაუტაშვილის ამხანაგმა, დაბალმა, ცხენოსანივით ფეხმოღუნულმა „ოფიცერმა“ ლადო ქილარჯიშვილმა და ნაგანი მიაღერა.

— ნაგანი დააყენე... გადი აქედან, — შესძახეს მას იუნკრებმა. ერთმა მათგანმა, ზურაბ ნაჩაჩელმა ტაბურეტს მოავლო ხელი, მთელი ძალით მოიქნია და ქილარჯიშვილს ესროლა. ქილარჯიშვილმა ხელი ასწია, ტაბურეტს შეაშველა და თავი დაიფარა, მაგრამ ჩახმახზე შეყენებული ნაგანის სასხლეტს უცაბედად თითი გამოჰკრა. გასროლა ზარბაზნის გასროლის ხმად შემოესმა ალექსანდრე მახარაძეს სამხედრო სასწავლებლის ტერიტორიაზე შუაღამით გამეფებულ სიჩუმეში და ავად ენიშნა იგი.

6

თავის ცოლთან და ცოლისძმასთან ერთად სასადილო ოთახში ვახშმად მკდარი სამხედრო სასწავლებლის უფროსი — პოლკოვნიკი გიორგი ჩხეიძე შეკრთა.

სასწავლებლის სარდაფში დამალული ენტერ-ოფიცერი ვარლამ იოსავა ოთახში შევარდა და ჩხეიძეს ალელვებით მოახსენა:

— ბატონო პოლკოვნიკო, სასწავლებელს თავს დაესხნენ ბოლშევიკები...

— როგორ? სად იყო მორიგე ოფიცერი? სად იყვნენ გუშაგები? სად იყავით თქვენ? — უყვირა იოსავას განრისხებულმა პოლკოვნიკმა და წამოიჭრა.

კიდევ გავარდა ნაგანი სასწავლებლის შენობაში. პოლკოვნიკი ჩხეიძე კაბინეტში შევიდა. კედლიდან იაპონური მოკლე კარაბინა ჩამოხსნა და ჯიბეში ვაზნები ჩაიდაგა. მისმა ცოლმა, ლამაზმა, მაღალმა და ქერა პოლონელმა ქალმა, ალელვებით შესძახა:

— სად მიდიხარ, გიორგი! არ წახვიდე. გეუდრები.

— იყუჩე, — გაუჯავრდა შავწვერა, გამხდარი კაცი. მაშინვე გენერალი კვინიტაძის ბინიდან ბავშვის ტირილი შემოესმა. გენერალი შინ არ იყო.

— აიღეთ ის შაშხანები და მიდით, სარდლის ბინა დაიცავით, — უბრძანა პოლკოვნიკმა უნტერ-ოფიცერს იოსავას და ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ თავის ცოლისძმას, ყოფილ ოფიცერს, ახოვან, გაპარსულ და ქერა კაცს. ჩხეიძე გვერდით ოთახში გავიდა და ნელა და ფრთხილად გააღო კარები. ნისი ბინა სასწავლებლის კორპუსს ეკვროდა და მის გაგრძელებას წარმოადგენდა. ოთახის კარები პირდაპირ სასწავლებლის ერთ-ერთ დერეფანში გადიოდა. პოლკოვნიკმა იმ დერეფანს გახედა.

არავინ ჩანდა, მაშინ მან თავის მოკლე კარაბინს კონდახში ჩასჭიდა ხელი და ლულა დაბლა დაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკი დაბალი კაცი იყო, კარაბინი იატაკს მაინც არ სწვდებოდა. თოფი მოკლე იყო. ჩხეიძემ ზურგს უკან დამალა იგი და დერეფანს ფეხაკრეფით, კედელ-კედელ გაჰყვა. მაშინვე სააღტილერიო ასეულის იუნკრების საძინებელ ოთახიდან ჭოთქოთი და ყვირილი შემოესმა. ჩხეიძე კედელს გაეკრა.

როდესაც ქილარჯიშვილმა მეტრეველის მიერ გამოსიოლილ ტაბურეტს ხელი შეაშველა და ჩახმახზე შეყენებული ნაგანი უნებურად გაისროლა, იუნკრებმა მომხდურთა არევდარევით ისარგებლეს, ტაბურეტებს, ჯაგრისებს, ჩექმებს, ქველაფერს, რასაც კი მისწვდნენ, ხელი მოავლეს და ზაუჯაშვილს, ქილარჯიშვილსა და ბეგიშვილს დაუშინეს.

ქილარჯიშვილმა ნაგანი შესაშინებლად ჰაერში გაისიოლა, მაგრამ იუნკრები ვერ შეაჩერა და ისინი ოფიცრებისაკენ გაეშურნენ. ბეგიშვილმა პირდაპირ იუნკრებს ესროლა ახლა და ზურაბ მაჩაბელი დაჭრა. მაჩაბელმა გვერდზე იტაცა ხელი და საწოლთან ჩაიკეცა. მაშინ იუნკრები აღშფოთდნენ, ბალიშები, ლეიბები, საწოლებიც კი აიღეს, მომხდურთ ესროლეს და ყველანი ერთად ეკვეთნენ ოფიცრებს.

ქილარჯიშვილი დერეფანში გავარდა, მას ბეგიშვილი და ზაუტაშვილიც მიჰყვნენ. მაგრამ კიბემდე მირბენაც ვერ მოასწრეს. დერეფანში კედელს გაკრული ჩხეიძე შენიშნეს.

— ხელები მაღლა! — უბრძანა ქილარჯიშვილმა.

ჩხეიძემ ხელები მაღლა ასწია. ჭერისაკენ ლულამიშვერილი კარაბინა კონდახით ხელში ეჭირა.

— თოფი დააგდე! — უყვირა ქილარჯიშვილმა.

ჩხეიძემ მარჯვენა ხელის მტევანი ერთბაშად მოსწყვიტა, კარაბინი მოიმარჯვა და მაშინვე მუცელში დაახალა ტყვია ქილარჯიშვილს. იგი კიბის ჩასასვლელთან დაეცა. ბეგიშვილმა ჩხეიძეს ნაგანი ესროლა, მაგრამ ააცდინა. მოცდის დრო აღარ იყო.

ჩხეიძემ გაისროლა, ბეგიშვილი მკლავში დასჭრა და ნაგანი დააგდებინა.

იუნკრები გაქცეულ ოფიცრებს დაედევნენ, ისინი შაშხანებით ხელში, საცვლების ამარა კიბეზე დაეშვნენ, ეზოში გაიფანტნენ, მიწაზე დაწვნენ და უწესრიგო სროლა ასტეხეს. ალაჰმა უწყის, ვინ საით ისროდა ამ ბნელ ღამეში! მახარაძე და მისი რაზმელები სროლით იხევდნენ უკან.

თბილისის გარნიზონის უფროსმა ცნობა მიიღო განზრახული აჯანყებისა და სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმის შესახებ. და სამხედრო ნაწილებს ქალაქში გასვლა უბრძანა.

ახლა მთელ ქალაქში ატყდა სროლა: სამხედრო სასწავლებლის რაიონში, დიდუბეში, ვაკეში, საბურთალოში, ავლაბარში, ქალაქის შუაგულში, გარეუბნებში. ასე იფიქრებდით, ქუჩებში იბრძვიანო.

ხოშკაკალივით სცვიოდნენ სახლების რკინის სახურავებზე ტყვიები. სტვენით, ზუზუნით და წივილით მიფრინავდნენ ისინი ჰაერში.

დათა მიქელაძე, ელენე, ყოფილი მაიორი საროკინი და მისი მეუღლე, გიმნაზიის მასწავლებელი ქელბაქიანი, მისი ცოლ-შვილი, მზარეული ქალი კატია, ყველანი იატაკზე იწვნენ და შიშისაგან კანკალებდნენ. მხოლოდ კატიას ქმარი, მოხუცი მეეზოვე გაბრიელ დოლენკო დადიოდა ეზოში და ტყვიების ზუზუნში თავის მეგობარ ძაღლს ესაუბრებოდა:

— გესმის, როგორ სტვენენ ტყვიები?! — ეკითხებოდა მოხუცი. — აი, ისევ! აი, ისევ! ნამდვილად გაგიჟდნენ. საკვირველია, როგორ არ მოსწყინდა ხალხს ომი, სისხლისღვრა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა! რას წკმუტუნებ? ჩვენ კი

არავის არ ვახსოვართ, ჩემო მურია... წამო, ჭიშკარი დავკეტოთ, კორნელი აღარ მოვა. ციხეში ზის საცოდავი. ღმერთმა უშველოს... — ბუზღუნებდა ყველასაგან მიტოვებული ბერიკაცი.

7

სამხედრო სკოლაზე თავდასხმის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. მეორე დღეს, დილით, სამხედრო სასწავლებელში ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი და გიორგაძე მივიდნენ. მათ გენერლები — ოდიშელიძე, კვინიტაძე და სამხედრო სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი ჩხეიძე მიეგებნენ.

პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ და მინისტრებმა გუშინდელი შეტაკების ადგილი — სასწავლებლის ეზო, მახლობელი ქუჩები და მტკვრის ნაპირი დაათვალიერეს. მერმე სასწავლებლის ქსენონში გაეშურნენ, სადაც შეტაკების დროს დაღუპული იუნკრის ზურაბ მაჩაბლის ცხედარი იყო დასვენებული. ახოვანი, ეშხიანი, შავგვრემანი ჭაბუკი საყინულე ყუთში მოეთავსებინათ.

გაფითრებული მოხუცი ნოე ჟორდანია ჭაბუკს დაშჭერებოდა და მალიმალ ამოძრავებდა მაღლა აჩეჩილ მხრებს.

ქსენონის სარკმლებზე მოზღვავებული იუნკრები შენიშნა. ისინი ხან თავის მეგობრის ზურაბ მაჩაბლის გვამს უცქერდნენ და ხან კიდევ პრეზიდენტს. ჟორდანიამ გლოვისგან დადუმებული იუნკრების აგზნებულ და მრისხანე სახეებს შეხედა და მაშინვე მიხვდა, მისი ხელისუფლების ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენ ძალას ისინი რომ წარმოადგენდნენ. იგი ნაწყენი და სასოწარკვეთილი იყო იმ გარემოებით, რომ სახალხო გვარდიამ არ გაამართლა მისი იმედები. ზოგიერთნი უკვე აღარ იცდიდნენ გვარდიაში და იქ ბოლშევიკური გავლენა დღითიდღე უფრო იკიდებდა ფეხს. რეგულარული ჯარი, რომელიც უმთავრესად გლეხებისაგან შედგებოდა, სრულიად არასაიმედო იყო. სწორედ რეგულარული ჯარის ორმა ასეულმა 3 მაისის ღამით ჟორდანია და მისი მინისტრები სახალხო სახლში კინაღამ არ დაატყვევა. იუნკრები კი ყველაზე ერთგული აღმოჩნდნენ. ჟორდანიას ახარებდა ეს

გარემოება და მათდამი მადლობის გრძნობა ებადებოდა. ყველი ერთბაშად შებრუნდა და პოლკოვნიკ ჩხეიძეს უთხრა:

— შეკრიბეთ მოედანზე იუნკრები. მინდა ვესაუბრო ჩათ.

პოლკოვნიკმა ბრძანა, სასწავლებლის პირადი შემადგენლობა და უნტერ-ოფიცერთა ასეულის ჯარისკაცები ეზოში დაეყენებინათ. ქვეგანაყოფები ოთხკუთხედად დადგნენ. მთავრობის წევრები და გენერლები შუა ალაგას შეგროვდნენ. პოლკოვნიკი ჩხეიძე კი — ბარჯვენა ფლანგზე, მწყობრის წინ დადგა.

— იუნკრებო და უნტერ-ოფიცრებო, — დაიწყო ჟორდანიამ. იგი აღელვებული იყო და ყოველ სიტყვაზე ენა ებმებოდა: — უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუცხადებ მამაც ოფიცერს, თქვენი სასწავლებლის უფროსს, პოლკოვნიკ ჩხეიძეს, რომელიც მოულოდნელი თავდასხმის დროს არ დაიბნა, მარტო შეებრძოლა მომხდურთ და მოჰკლა ერთი ბოლშევიკი ყაჩაღთაგანი, მეორე კი დასჭრა. მადლობას გიცხადებთ თქვენ, ვინც შეებრძოლეთ ყაჩაღებს, გააქციეთ ისინი საძინებელი ოთახებიდან და მერწე იარაღით ხელში მისდიეთ მათ. სირცხვილი მხდალებს, მო... მორიგე ოფიცერს, გუშაგთა გამრიგებელს, დაარჯებს, რომლებიც დანებდნენ მომხდურთ. მათ იარაღი ჩააბარეს და თავი არ შეაკლეს ყა... ყა... ყაჩაღებს. ყველა ისინი დაპატიმრებული და პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. მადლობას გიცხადებთ თქვენ რესპუბლიკის წინაშე ერთგულებისათვის... ჩვენ ფიცსა ვდებთ ბოლშევიკ ყაჩაღებთან ბრძოლაში დაღუპული მამაცი ვაჟკაცის ზურაბ მაჩაბლის ცხედრის წინაშე, რომ ამიერიდან არ დავინდობთ რესპუბლიკის მტრებს...

კიდევ დიდხანს ილაპარაკა ჟორდანიამ და რაც მას ბოლშევიკების მისამართით ვინება, წყევლა და კრულვა უთქმელი დარჩა — შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა შეავსო.

ᲛᲔᲢᲔᲮᲨᲘ

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა.

რუსთაველ

1

როდესაც საბარგო მანქანა მეტეხის ციხის ეზოში შევიდა, კოჭლმა, კუზიანმა და მახინჯმა დარაჯმა რკინის ჭიშკარი მიხურა, ზედ ვეება ჯაჭვით ბოქლომი ჩამოჰკიდა, დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო, — კორნელის ისე მოეჩვენა, თითქო მთელ ქვეყანას მოსწყვიტეს და მისკენ გასასვლელი კარები სამუდამოდ დაუხშესო.

ეზო საბარგო მანქანებით და უამრავი პატიმრებით იყო სავსე. მიტომ ბევრი ნაცნობი მუშა დაინახა: ხარატი სტეფანე დანგაძე, ზეინკალი დიმიტრი ჩაპლიგინი, სტამბის ჰუშა შაქრო ხახუტაშვილი. მათ შორის მისი მამა არა ჩანდა. მიტოს გაეხარდა, მოხუცი მამამისი დაპატიმრებას რომ გადარჩენოდა. უცებ გიგა ხუციშვილს მოჰკრა თვალი კორნელიმ. გიგას სახე სისხლივით გასწითლებოდა და თვალები რისხვით ანთებოდნენ. იგი აგზნებით ელაპარაკებოდა პატიმრებს და, როცა საბარგო მანქანაზე მდგარი კორნელი და მიტო დაინახა, უმალვე მათკენ გაიჭრა, მაგრამ გვარდიელმა გზა თოფით გადაუღობა.

— კორნელი, მიტო! — დაუძახა გიგამ ამხანაგებს და ცლდა ეცა, რადგან ცემისაგან სახეზე მათ მუქი ლურჯი დაღი დაუნახა.

კორნელი კოჭლობდა და მანქანიდან ამხანაგების დაიმარებით ჩამოვიდა. მარცხენა ფეხს მიწას ვეღარ აკარებდა.

მტკვრის მაღალ ნაპირზე, ცარიელი კლდის ტაფობზე მეტეხის ძველი ტაძარი, ციხე და მეფის რუსეთის დროს პატიმართათვის გაშენებული ყაზარმისმაგვარი ნაგებობები იდგა. მეტეხის ეზოს კუთხეში ვეება კლდის ლოდები მიწიდან აქა-იქ ტაბლასავით ამოზიდულიყო. კორნელი მარჯვენა ფეხზე ხტომა-ხტომით წავიდა, გაგლინულ ლოდზე ჩამოჯდა. სახალხო გვარდიელმა გადაიხარხარა და რკინის ჭიშკართან მდგარ ჯუჯა, კოჭლსა და კუზიან დარაჯს გასძახა:

— შეტოქე გამოგიჩნდა, კალია!

მეკარემ ყველის ვაჭარივით გაიცინა და გაპარსული, უშნო და ლაშებდაღრენილი ვეება სახე დაეღრიჯა. მას მიხაკისფერი ხალათი და შარვალი ეცვა, თავზე ასეთივე რუსული ქუდი ეხურა და ტყავის ფართო ქამარზე ბუდეში ჩაგებული ნაგანი ეკიდა. გამხდარ და მეტად წვრილ წვივებზე ჰამაში ჰქონდა დახვეული და ფეხზე უყელო, ვეება ფეხსაცმელი ეცვა. მარჯვენასთან შედარებით ძლიერ მოკლე მარცხენა ფეხის ტერფი შებრუნებული ჰქონდა. მიწას თითებით აბჯენდა და ცხენის უზარმაზარ ფლოქვივით ეკიდა. მიუხედავად ამისა, ხტომა-ხტომით გაქცეულ ამ მახინჯ და კოჭლ გვარდიელს, რომელსაც „სკაჩიას“, ხან კიდევ „კალიას“ ეძახდნენ, კარგი მარბენალიც ვერ დაეწეოდა.

გვარდიელის ხარხარზე და რკინის ჭიშკართან მდგარ დარაჯის ღრეჭაზე კორნელის ტანში გააჟრჟოლა.

დაჭრილი ფეხი, ჩხუბისა და რბენის გამო, საშინლად სტკიოდა. ზონარები გაიხსნა და მოჭირებული ფეხსაცმელი გაიძრო. ფეხის კიდურები, ტერფი და სახსარი გასივებოდა. გვერდით მიტო მიუჯდა. მას ლოყაში ჰქონდა დარტყმული მაუზერის კონდახი, ყვრიმალის ძვალი სტკიოდა და გახსნილი ჭრილობა ეწვოდა. დიდხანს არ დუსცალდათ მეგობრებს ჯდომა და საუბარი. კორნელის მიერ განიარაღებული, ყბაშელეწილი კლიმენტი ჩხიკვაძე თავის ამჭრებით ეზოში შემოვიდა და პატიმრების დათვალიერება დაიწყო. მან ლოდზე მჯდომი პატიმრები იცნო, თავზე დაადგა და უყვირა:

— ხომ ჩაგვივარდით ხელში, ძაღლის შვილებო! აეთრიეთ. მე თქვენ გიჩვენებთ, მუშტი-კრივი როგორ უნდა. — მერმე კორნელის მიუბრუნდა და მეგობრების წინაშე შერცხვენილმა თავის მართლება დაიწყო: — მოულოდნელად, მოპარვით და ქურდულად შემომკრა კასტეტი — თითებზე ჩამოსაცობი რკინის რგოლები, თორემ ისე რას დამაკლებდა. ოთხში ამოვიღებ... ახლა გამოდი, თუ ბიჭი ხარ!.. ადექი! — უყვირა მან კორნელის, —აქ საავადმყოფო არ გახლავს.

— ახლა ეს კაცი პატიმარია... დაჭრილი ფეხი გაუბიზებდა. ხომ ხედავ, როგორ გაუსივდა, — შენიშნა ვიგამ.

— მერე რა, პატიმარი რომ არის?! ახლავე გამოვიდეს,— გაიწია კორნელისაკენ ჩხიკვაძე.

— უიარაღოს და წაქცეულის ცემა რა ბიგზობაა, — ისევ უთხრა გიგამ ჩხიკვაძეს და მასა და კორნელის შორის ჩადგა. კორნელი დუმდა და არ იძროდა, ბრაზისაგან ხელ-ფეხი გაუცივდა, გაფითრდა და ცახცახი დააწყებინა.

— მაგასთან იარაღი რად მინდა, — იკვნესოდა ჩხიკვაძე, ცოცხლად გადავყლაპავ მაგ ხრიკიტარას.

— შენ ცრუობ, არავითარი კაპეტი არა მქონია. — მოუგო კორნელიმ და წამოდგა.

— ხედავ, რას მიბედავს! მაგ გოგრას გაგიხეთქავ, შე არაბეზადა! — შეაგინა ჩხიკვაძემ და ისევ კორნელისაკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს ერთი ლამაზი, სახიერი მოხუცი ქალი პატიმრებს გამოეყო: იგი ნიკო გოცირიძის დედა, ძველი კომუნისტი იყო, რომელმაც თავისი ცხოვრება პარტიულ და რევოლუციურ ბრძოლას შესწირა. იგი ჩხიკვაძეს მივარდა და შესძახა:

— არ გაბედო! ვის უბედავ ცემას? ეს მწერალია და არა შენსავით არამზადა და ყაჩაღი...

— ვიცი, რა მწერალიც ბრძანდება, — მიუგო ჩხიკვაძემ და უხეშად ჰკრა ხელი.

ამ დროს ციხის უფროსი გამოვიდა და ბრძანება გასცა, პატიმრები დაეყენებინათ.

კორნელიმ ფეხსაცმელი აიღო, ხტომით გასწია და პატიმართა მწკრივში ჩადგა.

— დაიცა, იმ მეორე ფეხსაც მიგამტვრევ და მაშინ იხტუნე კალიასავით. — მიაძახა ჩხიკვაძემ.

იმ გვარდიელმა, რომელიც მეკარეს დასცინოდა, ისევ გადაიხარხარა.

2

მიტო ჩიკვაიძე იმავე ღამეს გაიძახეს დაკითხვაზე. გამომძიებლის ოთახში ექვსი კაცი იყო, მათ შორის კლიენტი ჩხიკვაძეც. ეს გარემოება ცუდად ენიშნა მიტოს. საწერ მაგიდასთან ჯუჯა კაცი — გამომძიებელი ძუკუ ლოლუა იჯდა. კაუჭა მსუქანი ცხვირი ქალალდებში ჩაეყო. მიტო ნის წი-

ნაშე დააყენეს. გამომძიებელმა ჭიღარით მოსილი ვეება თავი ასწია და გაიფრთხილა, სწორი პასუხი გაეცა შეკითხვებზე და არაფერი არ დაემალა.

— სად იმალებიან ამჟამად სერგო ჭავთარაძე, ვანო ნახაძე და ნიკო გოცირიძე? — ჰკითხა ლოლუამ.

— არ ვიცი. — მიუგო მიტომ.

ლოლუამ, სიბრაზისაგან ზღარბივით აბურძგნილმა კაცმა, ფუნჯა წარბები შეათამაშა.

— არც ის იცი, სად იმალებოდნენ მანამდე?

— არ ვიცი!

გამომძიებელმა მაგიდაზე ფანქარი მალიმალ, ნერვიულად დააკაკუნა, ჩიყვიანსავით დიდრონი, ბუდიდან ამოყრილი თვალები გადმოკარკლა და მიტოს უთხრა:

— გაფრთხილებთ: თუ არ გინდათ გცემოთ, გაწამოთ და ისე გათქმევინოთ ყველაფერი, სწორად მიპასუხეთ და ნუ-რაფერს დაფარავთ... გაიგე? მორჩა! — მოკლედ მოსჭრა მოკლეკისერიანმა ლოლუამ და ჭიღარა ულვაშის წვალება დაიწყო.

— გავიგე. — მიუგო მიტომ.

— სად მდებარეობს თქვენი არალეგალური სტამბა?

— წარმოდგენა არა მაქვს.

გამომძიებელი გულზე გასივდა, ვეება თავი ჩაჰყო ვიწრო მხრებში, მისი ნიკაპი და უშველებელი მსუქანი ყბები მკერდს დაებჯინენ, ვაუგანიერდნენ, თითქოს წყალში მცურავ უცნაურ ქმნილებას ღაყუჩები ბუშტებივით გაებერნენ.

— ასე გამოდის, რომ შენ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი ხარ და ამა ქვეყნისა არა იცი რა. ისევ გაფრთხილებ, კეთილობას თავი გაანებო. შენ ვერც კი წარმოიდგენ, თუ რა წაბება გელის! გაიგე? მორჩა! — უყვირა გამომძიებელმა მიტოს. ბაგეები გახსნა, გვერდებზე მგელსავით გრძელი რკინის კბილები — ეშვები გამოუჩნდა, სისხლისმსმელ ნადირს დაემსგავსა.

— აკი მოგახსენეთ, ბატონო გამომძიებელო, რომ ეს ვაჟბატონი და მისი მეგობარი კორნელი მხეიძე დასახკრეტი არიან-მეთქი. — შენიშნა იქვე ნდგარმა კლიმენტი ჩხიკვაძემ. ლოლუამ თხუნელის თათისმაგვარი მოკლეთითებიანი

ხელი ასწია და ანიშნა გაჩუმებულიყო. თუმცა ჩხიკვაძის შენიშვნამ მასალა მისცა და მან ისევ მიტოს დაკითხვა განაგრძო:

— რა კავშირი აქვს კორნელი მხეიძეს შენთან?

— ის ჩემი სკოლის ამხანაგია.

— პარტიის წევრია?

— არ ვიცი...

და ასე ბოლომდე უარს ამბობდა ლოლუას შეკითხვაზე მიტო.

— გათოკეთ! — გიჟივით იყვირა გამომძიებელმა.

საგანგებო რაზმის თანამშრომლებმა მიტოს ხელ-ფეხი გაუთოკეს, იატაკზე დასცეს, მაუზერის კონდახით თავ-პირი დაუმტვრიეს და ნეკნები შეულეწეს, მაგრამ გამომძიებელმა მაინც ვერაფერი ვერ ათქმევინა პატიმარს.

მიტო საკანში საკაცით შეიტანეს. სახეზე სახვევი გაეკეთებინათ და მხოლოდ სისხლჩაქცეული მარჯვენა თვალი უჩანდა.

მას მახარაძე, ალავიძე, გურგენიძე და სხვა პატიმრები დაეხვივნენ. ყველანი ცდილობდნენ დახმარებოდნენ მიტოს, როგორმე შეემსუბუქებინათ მისი ტანჯვა. ისინი გამომძიებლის, საპატიმროს ჯალათებისა და ჩხიკვაძის საქციელით აღშფოთებულნი იყვნენ, გული ეწვოდათ და შურისძიების წყურვილით ივსებოდნენ.

მეორე დღეს კორნელიც დაკითხვაზე გაიყვანეს. ჩვენების მიცემაზე მანაც უარი განაცხადა და ისიც სასტიკად აწამეს.

დაჭრილი ფეხი კიდევ უფრო გაუსივდა და გაულურჯდა. ოდნავი შერხევაც კი საშინელ ტკივილსა ჰგვრიდა. ფიზიკურ ტანჯვაზე გაცილებით უფრო მძიმე იყო მისი სულიერი ტანჯვა: საგანგებო რაზმელების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა, კაცობის შეგინება, ადამიანური ღირსების დამამცირებელი უხეში ოხუნჯობა და დაცინვა. გრძნობა პირადულისა მისთვის ახლა სულ უფრო აშკარად გადადიოდა უკანა პლანზე და საზოგადოებრივ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებდა. იგი ახლა, ისე როგორც საპირველმაისო დემონსტრაციაზე, ისევ დიდი და უძლეველი კოლექტივის წევრად გრძნობდა თავს და ეს გრძნობა ჰბადებდა მასში სიმამაცეს,

ძალას, გამბედაობას და იმ ბრძოლის ბოლომდე მიყვანას, რომელშიაც იგი ჩაება და უკან დახევას არ აპირებდა. კორნელი სიყვარულით შესცქეროდა ახლა მიტოს, საკანში მასთან ერთად მჯდარ ყველა პატიმარს და ისინი ნამდვილ თავის ძმებად და მეგობრებად მიაჩნდა.

სამ მაისს, როცა შუაღამემ მოატანა, პატიმრებს ქალაქიდან კანტიკუნტად ატეხილი თოფის ხმა შემოესმათ. ალავიძე, გურგენიძე და სხვანი ფანჯარასთან მივიდნენ, ისინი ვერის ხიდისაკენ იცქირებოდნენ და ქალაქში ატეხილ სროლას გაფაციცებით ყურს უგდებდნენ, მათ კარგად იცოდნენ, იმ ღამით შეიარაღებული აჯანყება რომ უნდა მომხდარიყო. სროლა ძლიერდებოდა. კორნელი წამოდგა, კედელს გაჰყვა და ისიც ფანჯარასთან მივიდა.

— მოშორდით ფანჯარას, ტყვიას ფანჯარაშიც შეუძლია შემოიჭრეს. — გააფრთხილა ამხანაგები მიტომ.

კორნელი წელმოწყვეტილი მოშორდა ფანჯარას, ძლივს მიაღწია ტახტს და მიტოს მიუჯდა.

— ჩემი ბრაუნინგი ვასო მარუაშვილმა წაიღო, ნეტავ გამოადგება?

— ამაღამ ჩვენებს ხელის განოლება დასჭირდებათ, — მიუგო ფიქრში წასულმა მიტომ. სროლა ისევ ძლიერდებოდა. მიტომ ყრუდ ჩაახველა. ბაგე სიძხლმა შეუღება. ხველება არაადამიანურ ტკივილს ჰგვრიდა ნეკნებშელეწილ ვაჟკაცს. იგი მაინც გმირულად იტანდა წამებას.

კამერაში მჯდარ ყველა პატიმარს მხოლოდ ერთი ფიქრი აღელვებდა: „ნეტავ რა ამბავია ქალაქში? დააპატიმრეს თუ არა ჩვენებმა სახლში შეკრებილი მთავრობა?!“

ამასვე ფიქრობდა მუშტაიდის ბაღთან, მტკვრის პირას ღამით ჩასაფრებული ალექსანდრე მახარაძე. იგი გულმოკლული იყო სამხედრო სასწავლებელზე მოწყობილი თავდასხმის ჩავარდნით. საბურთალოს მაღლობზე გაშენებულ საარტილერიო ყაზარმებს ტანჯვით ვახცქეროდა და ფიქრობდა: „რად არ გაისროლეს ზარბაზანი? დააგვიანეს? თუ იქაც ჩავარდნაა?!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ბრ ვეთვრდების ყორანი,
რაც უნდა ხახო ქვიშითა.

ანდანა

1

მიტო და კორნელი საპატიმროს საავადმყოფოში გადაყვანეთ. ეს ექიმს სიკო მოსეშვილს მოეხერხებინა.

ელენეს, დათას, მაროს და კუკური ზარანდიას ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და კორნელი და მიტო მხოლოდ პირველ ივნისს გაათავისუფლეს. ეს იძულებითი ამნისტია იყო.

დენიკინის არმიის დამარცხებისა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე ჟორდანიას მთავრობა დღითი დღე უფრო მძაფრად და აშკარად გრძნობდა ხელისუფლების მერყეობას და ხალხის უკმაყოფილებას ზრდის წინაშე შიშს განიცდიდა.

აპრილის შუა რიცხვებში საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში საიდუმლოდ გაიგზავნა დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრის გრიგოლ ურატაძის ხელმძღვანელობით.

ლენინი გულწრფელად მიესალმა ამ გადაწყვეტილებას. მშვიდობიან საგარეო პოლიტიკის ერთგულმა ორგანომ— რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წლის 7 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასთან საჭშვიდობო ხელშეკრულებას.

საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების ვალდებულებათა შედეგად აუცილებელი გახდა კიზლებიდან კომუნისტ პატიმრების განთავისუფლება.

საპატიმროს საავადმყოფოდან გამოსულ, ფერმკრთალ და გაღიმებულ კორნელის წინ ახალი მდგომარეობა დაუბნდა: ზოგა, მაღალი და ღიპიანი აზერბაიჯანელი მრეწველი ნაგიბოვი და გამხდარი და ბაიასავით გაყვითლებული ოფიცერი ლობაჩევსკი.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე ბათუმში გაქცეული საროკინის და მისი ცოლის ოთახში ელე-

ნეს ლობაჩევსკი ჩაესახლებინა, ხოლო ნაგიბოვი ოჯახითურთ — სასტუმროში.

1916 წლიდან 1918 წლის იანვრამდე დათა მიქელაძე ბაქოს გომნაზიის ინსპექტორად მსახურობდა. ის და მისი მეუღლე ელენე ბაქოში როგორც რუს, აგრეთვე აზერბაიჯანელ მდიდარი და წარჩინებული ოჯახების სასურველი სტუმრები იყვნენ. ეშხიანმა, ხორცსავსე, კარგი პატივით ჩასუქებულმა და „კულტურულ ხალხში" ტრიალმა და აზიკობის მოყვარულმა ელენემ მაშინვე მიიპყრო ნავთის მრეწველთა ნაგიბოვისა და ვიზიროვის ყურადღება. ელენე ეშმაკურად მიელულავდა და მერნე ერთბაშად მიანათებდა მოციმციმო, შუქიან თვალებს ზორბა და ღიპიან ნაგიბოვს და ამასაც, ისედაც ღაჟღაჟა ლოყებზე, ალმური ედებოდა. დაშაქრულ თვალებს ნაბავდა, მოოქროვილ კბილების რკალს აჩენდა და მსუქან და მსუნაგ ბაგეებს ილოკავდა, თითქო ხვადი კატა მსუყე ძეხვის ჭვრეტით ღიზიანდებაო. ასე იხიბლებოდა ნაგიბოვი ელენეს ეშხით, კეკლუცობითა და ლაზათით. იგი მას და მის მეუღლეს დათას თეატრში, კონცერტებზე, რესტორანში და შინ პატიჟებდა, მდიდრულად უმასპინძლებოდა და ელენეს „იახში ხანუმა" (ყარგ ქალს) ეძახდა. ელენე ნაგიბოვის ცოლს, უხეშ და მოღალატე ქმრის ხელში გაღეულ ერთ გამხდარ ქალს — ფატმანს დაუმეგობრდა. ელენეს მეტად შურდა ნაგიბოვის, ვიზიროვისა და სხვა მრეწველთა მდიდრული, ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ იმ მდიდარ მრეწველთა ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ნაგიბოვი, ვიზიროვი და სხვანი თავზარდამცემი ამბებს მოწმენი შეიქმნენ.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარების მერმე, ნაგიბოვი და ვიზიროვი განჯაში ჩავიდნენ, მაგრამ მალე განჯაშიაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და მათ ახლა თბილისს მიაშურეს და თბილისი ქართველი მეგობრები — ბაქოს გომნაზიის ყოფილი ინსპექტორი დათა მიქელაძე და მისი ცოლი ელენე მოძებნეს. რადგან ბაქოში ყოფნის დროს დათა და ელენე ნაგიბოვისაგან და ვიზიროვისაგან პატივნაცემნი იყვნენ, ამიტომ ქართული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და ბაქოელ ლტოლვილებს თავისი სასტუმრო ოთახი დაუთმეს. ბაქოელი მრეწველები ცოლ-შვილით ჩამოსე-

ლიყვნენ. ნაგიბოვი თავისი ცოლით ფატმანით და პატარა ქალ-ვაჟით დათა მიქელაძესთან დაბინავდა, ხოლო ვიზიროვი ნაგიბოვმა თბილისში მცხოვრებ ერთი თავისი მეგობრის, ირანელი ვაჭრის რახმანოვის ბინაზე მოაწყო.

ვიზიროვი ნაგიბოვზე უფრო მოუხერხებელი და უფხო იყო. იგი ხშირად დაიარებოდა ნაგიბოვთან რჩევა-დარიგებისათვის. ვიზიროვი მარტო როდი მოდიოდა. მას თბილისში მცხოვრები მუსულმანი მეგობრები, ნაცნობები მოჰყავდა და დათა მიქელაძის სასტუმროში ისეთი უცხო, ხმამაღალი ლაპარაკი და ყაყანი ისმოდა, გეგონებოდათ, შეითანბაზარი, მისი ყაფანი და ჩაიხანა აქ გადმოუტანიათო. ელენეს მზარეულ ქალს კატიას დილიდან საღამომდე მზად ჰქონდა მათთვის ადუღებული წყალი, ჩაი და თურქული ყავა. როდესაც სუსტი და დალეული ქალი ფატმანი თავის ბავშვებით ქალაქში, ხოლო ჰიგოსავით გამხდარი, ხრიკიტარა დათა მიქელაძე საუზმის მერმე გიმნაზიაში წავიდოდნენ, მაღალი, ზორბა და ღიპიანი ნაგიბოვი დროს იხელთებდა და მოულოდნელად მოვიდოდა შინ. კორსეტში არტახებივით გაკრულ, მკერდაფუებულ და კოხტაობის მოყვარულ ელენეს საჩუქრებს მოუტანდა და ოთახიდან ოთახში, დერეფანში და სამზადშიაც კი აჩრდილივით უკან დასდევდა.

ერთხელ დეიდის საძინებელ ოთახიდან კორნელის კივილი და სკამის დაცემის ხმა შემოესმა. იგი ჩქარი ნაბიჯით გაიჭრა დერეფანში, სააბაზანოში შევიდა, მოულოდნელად წაეღო საძინებელი ოთახის კარი და თავზარი დაეცა.

— არა გრცხვენიათ?! როგორ ბედავთ?! — თავშეკავებული აღშფოთებით ჰკრა ხელი წინდაუხედავ და გათამამებულ მოაშიკე ბაქოელ მრეწველს ელენემ. — ახლავე წადით აქედან! — ნაგიბოვი გასწორდა. იგი გაფითრებულიყო, ძლივს სუნთქავდა, ჩიჩვირი ცხენივით დაჰკრებოდა, მსუქან სახეზე ოფლი ცვარ-ცვარად ჩამოსდიოდა. ნაგიბოვმა შავი და ხშირი წარბები აძგიბა. მუშტისოდენა თვალები კორნელის მიაშტერა და მერმე ოთახიდან გაიქცა. კორნელი ისევ თავზარდაცემული იდგა კარებში და თვალს არ უჯერებდა.

— გაგიჟდა ეს ობერი, სულელი, სულელი! — იძახდა საქციელწამხდარი ელენე და კაბას და თმას ისწორებდა.

— რად არ გააწან ხილა? — ჰკითხა დისწულმა.

— აბა, რას ამბობ! ჭკუა დაკარგა. დაიცა, მე მას წავუკითხავ საიმისო ნოტაციებს... სულელი, სულელი, — ისევ დაბნეულად იძახდა ელენე, თითქო დისწულის წინაშე თავს იმართლებსო.

— მგლის თავზე სახარებას ამაოდ წაიკითხავ, —შენიშნა კორნელიმ.

— მაშ რა ვუყო?

— თუ შენ უძლური ხარ, შეურაცხყოფისათვის პასუხი აგებინო იმ ღიპიან ყასაბს, მაშინ მე მომეცი უფლება...

— რა მოგივიდა, კორნელი? დამშვიდდი... სკანდალი რა საკადრისია, გინდა თავი მომჭრა! კაცი ჭკუაზე გადაცდა და სისულელე ჩაიდინა, რა მოხდა მერე?

— როგორ თუ რა მოხდა, დეიდა? — გაშტერდა კორნელი, — დღესვე გადავიდეს აქედან ის არამზადა, თორემ ჩავაძალლებ.

— როგორ თუ ჩააძალლებ! რას ამბობ, შეიშალე? მიუხედავად იმისა, რომ შენ მწერალი და ნაკითხი კაცი ხარ, მაინც ველური კაცივით მსჯელობ და ირჯები. შენ კულტურულ, ინტელიგენტურ საზოგადოებაში, გეტყობა, არ გიცხოვრია. იქ შენსავით როდი იქცევიან. მუდამ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: კულტურულ, ინტელიგენტ და არისტოკრატ კაცთან წაშენილი გერჩიოს უკულტურო და პროვინციელ კაცთან ცხოვრებას და ოქროში ჯდომას. რა ჭირად მინდა ვიღაც ბაქოელი მრეწველი!

ელენე მუდამ კულტურული, არისტოკრტი და ინტელიგენტი ადამიანებით და მათ წრეში ტრიალით იკვეხნიდა, თვითონ კი ნამდვილი კულტუროსნობისა და არისტოკრატობის ნიშანწყალიც არ ეცხო. კორნელიმ ტუალეტზე სახურავახდილ დიდ კოლოფში ჩადებული ოქროს საპაჯური დაინახა და დეიდას გესლიანად ჰკითხა:

— კულტურულ საზოგადოებაში, ქმრის ზურგს უკან, ქალები მამაკაცებისაგან საჩუქარს იღებენ და მერმე იმ საჩუქრის საფასურში ნაგიბოვისა და მისი მსგავსი ღორების მიმართ ლმობიერი ხდებიან?!

— კორნელი, კმარა! შენ ფიქრობ, რას ლაპარაკობ? — შესძახა ელენემ და სახეზე ცეცხლი წაეკიდა. — რა ჩემი

ბრალია, კაცს თუ მოვეწონე და საჩუქარი მომიტანა? რა უნდა ვქნა შენის აზრით?

— რა? — ჰკითხა მოთმინებიდან გამოსულმა დისწულმა. — აიღე ეს სამაჯური, დინგში მიახეთქე იმ ღორს, სანაძღარ ცხოველს და ბინიდან გააგდე.

— მე არ შემიძლია ეს გავაკეთო. კულტურულ ხალხში ასეთი რამ მიუღებელია. მაპატიე, მაგრამ ვერაფერს ცუდს ჩემდამი მის ყურადღებაში მე ვერ ვხედავ.

— დაბრმავებულხარ. მაშ მიიღე ეს საჩუქარი და უფლება მიეცი იმ ცხოველს გეარშიყოს!

— გაჩუმდი! — ისევ შესძახა დეიდამ კორნელის და ისევ ალმური წაეკიდა სახეზე. — არაფერიც არ ყოფილა... ფლირტი კულტურულ საზოგადოებაში მიღებულია.

— არ გავჩუმდები, — ურჩობდა დისწული,—არ გრცხვენია, დეიდა? რომელ კულტურულ საზოგადოებაზე ლაპარაკობ! რა დროს შენი ფლირტი, აშიკობა და კოხტაობაა? ორმოცდაათ წელს მიღწეული ქალი ხარ.

ელენეს საშინლად ეწყინა დისწულის სიტყვები. მწუხარებისაგან სახე ერთთავად დაეღრიჯა. ღაბაბი მეტად ჩამოეკიდა. იგი როგორღაც მოეშვა, თითქოს უეცრად დაბერდა კიდეცო. წელმოწყვეტილი და განადგურებული ქალი ნელა დაეშვა სკამზე, სარკის წინ. შიგ ჩაიხედა და მერმე კორნელის ცრემლმორეული ხმით მიუგო:

— ჯერ ერთი, მუსულმანი, სოფლელი ქალი ხომ არა ვარ, მამაკაცის დანახვაზე სახეზე ჩადრი რომ ავიფარო, ოთახში გავიქცე და იქ ჩავიკეტო... მეორეც, შენ ძალიან ცდები. მე ჯერ ორმოცდახუთი წლისაც არა ვარ...

ელენემ ამაყად ასწია თავი. თმები შეისწორა, წელში გაიმართა, მკერდი ამოზიდა და მისი ასაკისათვის შეუფერებელი გამომეტყველებით შეხედა დისწულს.

კორნელის შერცხვა, თვალი ვერ გაუსწორა, თავი ჩაჰკიდა და სასოწარკვეთილი ხმით შენიშნა:

— შენ ისე იქცევი და ლაპარაკობ, რომ ლამის ქალთა მთელი მოდგმა შევიძულო. გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს, დეიდა.

როგორც დედა, აგრეთვე დეიდაც ზნეობის, სიწმინდის და სათნოების განსახიერებად მიაჩნდა კორნელის და ახლა ეს

რწმენა უცრუვდებოდა. იგი შებრუნდა, სწრაფად წავიდა და სასტუმრო ოთახის კარებზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. მაშინ მან კარები შეაღო და შევიდა.

დარაიის კოსტიუმში გამოწყობილი ზვინისოდენა კაცი მოშვებულ ტომარასავით ეგდო სავარძელში და ლოყებგაბეშტულ, გატრუსულ ვეება სახეს ბაღდადით იწმენდდა. ფეხები, რომლებზედაც გალაქულ-გაპრიალებული ტუფლები ეცვა, წინ გაეშვირა და ღიპი, მძიმე სუნთქვის გამო, საბალნის ოდენა ტიკივით ერხეოდა.

ნაგიბოვი წამოდგა, პიჯაკი გაისწორა. ნახშირივით შავი, ხშირი და გეზად გაწოლილი, შეერთებული წარბები ვიწრო შუბლზე ისევ აძგიბა, შავი, უზარმაზარი, შეშინებული თვალებით შეხედა კორნელის, ნაძალადევად გაუღიმა და სავარძელში დაჯდომა შესთავაზა. კორნელიმ შუბლი შეიჭმუხნა და მკაცრად ჰკითხა:

— მოქალაქე ნაგიბოვო, სად გგონიათ თქვენი თავი: წესიერ ოჯახში თუ ჰარამხანაში?

— აჯან, — ჰკითხა მრეწველმა, თითქო კორნელის სიტყვები ვერ გაიგონა, თავი შეაბრუნა და ბანჯგვლიანი, ვეება ყური კორნელის მიუშვირა.

— აჯან, ქაჯან მე არ ვიცი, — მიუგო კორნელიმ, — გეკითხებით: სად ცხოვრობთ თქვენ, ჰარამხანაში თუ წესიერ სახლში?

ნაგიბოვი გაფითრდა და თავი ჩაჰკიდა. კორნელი ხიზღით უცქერდა სხვათა შრომით და ოფლით გამდიდრებულ, კარგი პატივით ჩასუქებულ და ქონით გაფუებულ მრეწველს, რომელიც ფულით აპირებდა ადამიანის ღირსების, ნამუსისა და სიყვარულის ყიდვას.

— ახლავე მოიხადეთ ბოდიში დეიდის და ჩემს წინაშეც. — გადაჭრით მოითხოვა კორნელიმ. — თორემ ბაქოდან თბილისში უვნებლად ჩამოტანილ თავს გამოეთხოვები.— თვალები დაუბრიალა კორნელიმ. თავისი სიტყვებისათვის ზეტი ძალა რომ მიენიჭებინა, ხელი ყელში გამოისვა, თავს გააგდებინებო, ანიშნა.

ნაგიბოვს კანკალი დაეწყებინა. კორნელიმ საცალფეხა ოთახში შეახვედრა ნაგიბოვი დეიდას. მრეწველმა ბოდიში მოიხადა. კორნელი დაშვიდდა, თითქო ნაგიბოვის ბოდიშს უშ-

ველიდა დეიდის შერცხვენას და წამხდარი რეპუტაციის აღდგენას.

ნაგიბოვი დათა მიქელაძის ბინიდან იმ დღესვე გადავიდა, რაც სრულიად არღვევდა ელენეს გეგმას. ფლირტის, კოხტაობისა და აშიკობის საშუალებით ელენე მრეწველის ხელში ჩაგდებას და მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებლობისა და საჩუქრების მიღებას აპირებდა. ეს გეგმა „გულუბრყვილო“, „მიამიტმა“ კორნელიმ ჩაუფუშა მას და სასურველი, სარფიანი მდგომარეობა გაუქცია.

კორნელიმ დეიდას მეორე მდგმური, ყოფილი ოფიცერი, ალექსანდრე ლობაჩევსკიც დაუფრთხო.

2

ალექსანდრე ლობაჩევსკი დონის-როსტოვის მდიდარი მრეწველის ივანე ლობაჩევსკის შვილი იყო. მეფის რუსეთში საეჭვოა ყოფილიყო ისეთი ქალაქი, სადაც არ სცოდნოდათ ივანეს ცნობილი წისქვილების მიერ გამოშვებული განთქმული მაღალხარისხოვანი „სამეფო“ და „სააღდგომო“ ფქვილი, რომელსაც ემბლემად „ხუთი ნოლი“ ეკრა. ივანემ თავის შვილს ალექსანდრეს ბელგიაში დაამთავრებინა ინსტიტუტი. ალექსანდრე ქიმიკოსი იყო. იგი მამის წარმოებაში მუშაობდა, მაგრამ 1915 წელს ჯარში გაიწვიეს. მან სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და პორუჩიკის წოდებას მიაღწია. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე იგი დენიკინის მოხალისეთა არმიაში შევიდა. წითელი არმიის მიერ დონის-როსტოვის აღებისა და მოხალისეთა ლაშქრის დარბევის მერმე ალექსანდრე თეთრი არმიის ნაწილებთან ერთად სამხრეთ რუსეთისაკენ იხევდა. გზაზე პატახტიანი ტიფი შეეყარა. ახალმორჩენილი თეთრგვარდიელი ოფიცერი სამხედრო პირთა იმ დიდ ჯგუფში შედიოდა, რომელიც ნოლოროსიისკიდან ფოთში გემებით ჩამოვიდა: ეს ჯგუფი რვა ათასი კაცისაგან შედგებოდა.

ალექსანდრე ლობაჩევსკი გამხდარი, ტანადი და შავგვრემანი კაცი იყო. მას გიშერივით შავი თმა, თვალები, ძლივს შესამჩნევი, ბოლოებში უფრო მოზრდილი და დაშვებული, პატარა ულვაშები, ამოზიდული ყვრიმალის ძვალი და სახე-

ზე მიჭყლეტილი, გაბუშტული ცხვირი ჰქონდა. იგი მონგოლს ჰგავდა. მძიმე ავადმყოფობის მერმე ძალზე გამხდარიყო, ნაღველი ჩაქცეოდა, სიყვითლე მთელ ტანზე მოსდებოდა, სახე და თვალის გუგებიც ბაიასავით გაჰყვითლებოდა. ლობაჩევსკი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. გამხდარ და ტანკენარ ოფიცერს თმა გადაეპარსნა, კარგი ტანისამოსი, შავი კოსტიუმი, ტუფლები ეცვა და რუსული შავივე ქუდი ეხურა. გარეგნულად მაინც ვაჭრის შვილსა ჰგავდა. კომერსანტი უფრო გეგონებოდათ, ვიდრე ინჟინერი ან ოფიცერი. იგი თბილისში ღვიძლსა და ნაღველს აქიმობდა და ვინ იცის, კიდევ რას აკეთებდა!

ლობაჩევსკი პირველად ყველას უფრთხოდა, ეჭვის თვალით უცქერდა და საუბარს გაურბოდა... იგი რატომღაც მხოლოდ კორნელის უღიმოდა, თავაზიანად ეპყრობოდა და ესაუბრებოდა. ერთხელ ოთახშიც ესტუმრა კიდეც. მაგიდასთან დაჯდა, შაშხანა, ხმალი და ყუმბარის ცარიელი ვაზნა შეათვალიერა. მან იცოდა, კორნელი რომ ყოფილი ჯარისკაცი და ამჟამად სტუდენტი იყო.

— ბედნიერი კაცი ხართ თქვენ, — უეცრად მიმართა ლობაჩევსკიმ კორნელის.

— რათა? — გაოცებით ჰკითხა კორნელიმ.

— თქვენს ქვეყანაში სიმშვიდეა. შეგიძლიათ იმეცადინოთ, იმუშაოთ. არავინ იფრთხობს თქვენს ძილს.

— ვითომ სიმშვიდეა?

— მაშ? თქვენ არ იცით, რა არის სამოქალაქო ომი, არაგითარი ბოლშევიკები თქვენ არ გაწუხებენ.

— განა ბოლშევიკები ასეთი საშიში ხალხია?

ლობაჩევსკიმ ენა მოიკვნიტა, უნდობლად შეხედა მასპინძელს და შორიდან დაიწყო:

— მე ძალიან მომეწონა საქართველო, მისი ბუნება მშვენიერია. ქართველებიც კარგები ხართ, სტუმართმოყვარე, მამაცნი, სწავლა-განათლების მოყვარულნი... და ახლა ვფიქრობ და გული მწყდება, რა მოუვიდოდა თქვენს ქვეყანას, აქ თუ ბოლშევიკები გაიმარჯვებდნენ, თუ აქაც — საქართველოში — ეგრეთ წოდებული პროლეტარული რევოლუცია მოხდებოდა? თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა ამბავი დატრიალდებოდა მაშინ!

— შესაძლოა სავსებით წარმოდგენილი არა მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ახლა არის,—ცივად მიუგო კორნელიმ.

— თქვენი ქვეყანა ხომ თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკა არის? — ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა არის, ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მესვეურთა — მენშევიკების სიტყვით, საქმით კი — იმპერიალისტური ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის უღლის ქვეშ მყოფი დამონებული ქვეყანა, — მიუგო კორნელიმ.

— საბჭოთა საქართველო ხომ არ გნებავთ? — დამცინავად ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— იქნებ ის მნებავს, — მოუჭრა კორნელიმ და მრისხანედ შეხედა. ლობაჩევსკის გუგაგაყვითლებულმა თვალებმაც რაღაც ბოროტად გაიელვეს. მერმე სტუმარმა თავი დაიქნია და მასპინძელს ღიმილით უთხრა:

— თქვენ, ალბათ, მცდით, მეგობარო! ილოცეთ, ჩემო კარგო, იმისათვის, რომ საქართველოს ღმერთმა აშოროს ისეთი რევოლუცია, როგორიც რუსეთში მოხდა, ხელთ არ იგდონ ძალაუფლება ბოლშევიკებმა. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ იმაზე, თუ რანი არიან ბოლშევიკები!

— როგორი ზიზღით ლაპარაკობთ ბოლშევიკებზე! ჩანს, რაღაც დიდი ჭრილობა და ზიანი უნდა მოეყენებინათ მათ თქვენთვის! — შენიშნა კორნელიმ.

— ბოლშევიკები მე გულ-ღვიძლში წურბელებივით ცხიზიან, სისხლსა მწოვენ...

ლობაჩევსკის რუსეთი მოაგონდა, ორთქლის წისქვილები, თვალუწვდენი მამულები, სასახლე როსტოვში. მერმე — წითელ არმიასთან ბრძოლა, დენიკინის ლაშქრის დარბევა, უკან დახევა, პარტახტიანი ტიფი, წამება... იგი ბრაზისაგან გაიგუდა და გაფითრდა. მის სახეს და თვალებს მეტი სიცივილე დაეტყო.

ლობაჩევსკიმ რაც ამოსანთხევი იყო, ამოანთხია და მერმე ჩამქრალ ვულკანივით იყუჩა.

„აი, პირწავარდნილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, ჭეშმარიტი თავისი სახით", — გაიფიქრა კორნელიმ.

— დამშვიდდით, ალექსანდრე ივანეს ძევ, — უთხრა კორ-

ნელიმ, — ასეთი აღელვება გავნებთ. ნერვები სულ მთლად მოგშლიათ. თქვენ ისეთი გაუთავებელი ბოლმა და ნაღველი გახრჩობთ, რომ ნაღველის ჩაქცევა გასაკვირი არ არის. თქვენ ამ პოლო დროს უფრო გახდით და სიყვითლეც უფრო მოგემატათ. ფრთხილად: ბოლშევიკებისადმი ზიზღი თქვენ საფლავში ჩაგიყვანთ.

კორნელიმ და ლობაჩევსკიმ თვალი გაუსწორეს ერთმანეთს და ორთავემ შიგ ერთმანეთისადმი ზიზღი ამოიკითხეს. ამ ლა სტუმარმაც სცადა დაეგესლა მასპინძელი:

— არც თქვენ ჰგავხართ, მეგობარო, ავარაკიდან ჩამოსულს. კაცი იფიქრებს, ჭლექიანიაო.

— მე ეს-ეს არის საპატიმროდან გამოვედი და გასაგებია, — აუხსნა კორნელიმ.

— რა დანაშაულისათვის დაგაპატიმრეს?

— რევოლუციურ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

— თქვენ ბოლშევიკი ხართ? არ მეგონა... მაპატიეთ... ო, საჭიროდ ამტკივდა ღვიძლი. წავალ ჩემს ოთახში და საწოლზე მივეგდები. ღვიძლზე ცხელი წყლით სავსე რეზინის ბალიშს დავიდებ. იქნებ ტკივილი დამიცხრეს... — ლობაჩევსკი წამოდგა, კორიდორში კარი გაიღო და კატიას ვასძახა:— სათბური მომიმზადე!

— სათბური ვერ გაშველით. თქვენ აღუღებული ტყვია უნდა ჩაგასხას კაცმა ღვიძლში, — უთხრა კორნელიმ და ზიზღით შეხედა.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ... — შეშინდა და აბუზღუნდა შავი, გამხდარი და ერთთავად გაყვითლებული კაცი. იგი გველივით დაკლაკნა, ღვიძლზე წაივლო ხელი, გარეთ გავარდა, ოთახში შევიდა და საწოლზე ნაცემი ძაღლივით მიეგდო.

მეორე დღეს დედა ელენეს ბინიდან მეორე მდგმურიც გააქცა.

— უგუნებელი კაცი ხარ. ხელსაყრელი მდგმურები გამიქცე. — ყოველ დღე უკერინებდა დედა დისშვილს.

— მე იმ მახინჯი და ნაღველის ჩაქცევის გამო გაყვითლებული შავრაზმელი ოფიცრის გაჭყლეტილ, მოკლე და

მაღლა აწეული ცხვირის გამოღადრულ ნესტოებში რომ კარგად ჩამეხედა, შოვინიზმით დამპალ მის ტვინს უთუოდ დავინახავდი, — უთხრა კორნელიმ დეიდას.

— რა უცნაური კაცი ხარ, რა უცნაური ლაპარაკი იცი,— გაოცდა ელენე.

ნაწილი მესამე

ავადმყოფობა

ცრუობს, ვინც ამტკიცებს, სიკვდილისა არ მეშინიაო.

ჟ. ჟ. რუსო

1

ელენე და მარო სასადილო ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. მარო კორნელის სანახავად მოსულიყო, მაგრამ ნასადილევს დაძინებული კორნელი, თუმც საღამო ჟამი მოწეულიყო, გაღვიძებას მაინც არ აპირებდა.

— რა დაემართა იმ ბიჭს, ვერ გამიგია, — უთხრა ელენემ მაროს, — ძილს თავს ვერ ართმევს, თუ ბრ გააღვიძე, დილამდე ასე იძინებს. დასუსტდა და სულ მთლად დაცლია კაცი. თანაც საეჭვოდ ახველებს. ყველაფერი ციხის ბრალია.

მარო კორნელის ოთახში შევიდა. საღამო ჟამს ჩაბნელებულ პატარა ოთახში კორნელი ტახტზე გაუხდელად დაწოლილიყო, დაძინებულ, გამხდარ და ფერმკრთალ ჭაბუკს მკერდზე დაეწყო ხელები და მიცვალებულსა ჰგავდა. მარო შეკრთა. ოთახში ელენეც შევიდა და ისევ წუწუნს მოჰყვა:

— რა მოუვიდა, არ ვიცი, ჯანი გაუტყდა, დასუსტდა და ნერვები სულ მთლად მოეშალა. ბრაზობს, ყველას დასცინის და ეჩხუბება. ორი მდგმური გამიქცია. ახლა ამას საგანგებო ძვება ეჭირვება. მაგრამ რა ქნას მარტოკა დათამ? ახლანდელი ჯამაგირი ვის ეყოფა?

მართლაც, სიფიცხე, სისუსტე, თავბრუდახვევა და უცნაური

და გაუთავებელი ძილი დასჩემდა კორნელის. მისი ძილი არ იყო ჯანსაღი. კორნელის ნახევრად ეძინა, ცნობიერება მუშაობას განაგრძობდა. ამიტომ ძილში იგი ნახევრად გრძნობდა ყველაფერს, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა. აი, ახლაც ოთახში ელენეს და მაროს შემოსვლა გაიგო, მათი საუბარი გაიგონა და ადგომა სცადა, მაგრამ მკერდზე თითქო მაჯლაჯუნა აწვებოდა, ვეღარ დგებოდა. ეს ხშირად ემართებოდა მას. მკერდზე დაწყობილი ხელები ისე დამძიმებოდა, რომ ადგილიდან ვერ ძრავდა. თვალცრემლიანი მარო გაშტერებით დასცქეროდა გამხდარ და ფერმკრთალ, გულხელდაკრეფილ თავის ძმას — კორნელის. ნელა შეახო ხელი და შუბლზე გამოჟონილი ცივი ოფლი მოსწმინდა. კორნელიმ თვალი გაახილა, უღონოდ გაუღიმა და საწოლზე დაჯდა. გვერდით მარო მიუჯდა. ექიმს ეჩვენეო, ურჩია. ექიმთან მისვლა ჭირის დღესავით ეჯავრებოდა კორნელის.

მეორე დღეს კორნელი გვიან ადგა, სააბაზანო ოთახში შევიდა, პირი დაიბანა, კბილები გამოიხეხა, ჩაახველა და ბაკანში ჩააფურთხა, ნახველში სისხლი შენიშნა. შეშინდა. იქნებ ღრძილიდან, ცხვირის ან ხახის ღრუდან წამომდინარეა სისხლიო, გაიფიქრა, მაგრამ მეორეჯერ, მესამეჯერ და მეათეჯერ დაინახა ნახველში ობობას ქსელივით წითლად გაბნეული სისხლის ძაფი და თავზარი დაეცა. ნელა შევიდა ოთახში ტახტზე წამოწვა, თავქვეშ ხელები შემოიწყო და ჭერს მიაშტერდა. „საიდან გაჩნდა ნახველში სისხლი? ნუთუ ჭლექი შემეყარა?“ — გაიფიქრა კორნელიმ და ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით გაინაბა. როდესაც შიშის ზარმა ოდნავ გაუარა, მან უფრო დალაგებულად განაგრძო ფიქრი: —„ჭლექი რომ აღმომაჩნდეს, ამას ხომ აგარაკი, კარგი კვება და მკაცრი რეჟიმი დასჭირდება, ჩემისთანა ღარიბ კაცს ჭლექი რომ შეეყრება, მისი საშველი განა იქნება?! მაგრამ ჭლექს ჩემთან რა უნდა? მე ხომ სპორტსმენი ვარ. მერე რა? განა სახელგანთქმულ ვაჟკაცს, სპორტსმენსა და მძლეოსანს ირაკლი ვაჩნაძეს ჭლექი არ შეეყარა!“ — ხან იმედის ნაპერწკალი ეხლებოდა კორნელის გულში და ხან კიდევ სასოწარკვეთილება იმარჯვებდა. იქნებ, დაჭრის დროს ბევრი სისხლის დაკარგვის ან საპატიმროში ყოფნის შედეგია ეს. ან იქნებ, მემკვიდრეობით მომდევს ჭლექი, — გაიფიქრა კორნელიმ და მა-

შინვე თავისი ძმა, სტუდენტი შალვა მოაგონდა, რომელიც 1906 წელს ჭლექით გარდაიცვალა, — მაგრამ მემკვიდრეობა აქ რა შუაშია! შალვა 1905 წელს კაზაკებთან ბრძოლის დროს გაცივდა, ანთება დაემართა და ჭლექიც იმიტომ შეეყარა..." ნათლად მოაგონდა, კარისწერეთში ბავშვებთან ერთად ისიც ეზოში რომ თამაშობდა. მაშინ კორნელი შვიდი წლისა თუ იქნებოდა. გარეთ ციოდა და დედა, შინ შემოდიო, ეძახდა, იგი კი კვლავ განაგრძობდა ტოლ-მეგობრებთან ეზოში ბურთის თამაშს. უცებ ორღობეში თვალი მოჰკრა ძმას, რომელიც დიდი ხანია რაც არ ენახა. მაღალი და გამხდარი ჭაბუკი ნელა და მდუმარედ უახლოვდებოდა ჭიშკარს. კორნელი სიხარულმა აიტანა და დედას გასძახა, შალვა ჩამოვიდაო. შალვას ეწყინა კორნელის ყვირილი და დატუქსა, რადგან 1905 წელს კაზაკებთან ნაომარი, ბრძოლაგადახდილი, გალახული და დაჭლექებული ჭაბუკი საზეიმო შეხვედრისათვის კი არ ბრუნდებოდა შინ, არამედ სამუდამო განსასვენებლად. ეზოში დედა შეეგება და მოეხვია, მაგრამ დადუმებულ და ზეზეულად გათავებულ ჭაბუკის სახეს ღიმილი არ გაჰკარებია. იგი ისე მდუმარედ, გლოვით და ნელი ნაბიჯით ავიდა კიბეზე, თითქო გამხდარ მხრებზე მძიმე ტვირთი აწვებოდა. ძლივს მიაღწია საწოლს, დაწვა და მერმე საწოლიდან აღარ ამდგარა. კორნელის და მის დედასაც წარმოდგენა არ ჰქონდათ მაშინ, თუ რისთვის დაბრუნდა შინ ასე მდუმარე და გულმოკლული შალვა, რა ბრძოლა გადაეტანა, რა ხიფათი და სენი შეჰყროდა და რა უბედურება ღრღნიდა მის გულს: რევოლუცია დამარცხებულიყო და ქვეყნად შავი რეაქცია გამეფებულიყო. კორნელის კარგად ახსოვს 1905 წელი, როდესაც მისი ძმები, სტუდენტები — ევგენი, სტეფანე, შალვა და ამათი მეგობრები და ამხანაგები კარისმერეთში ტერეზას ბინაზე იკრიბებოდნენ, კრებებს მართავდნენ და დიდი აღტაცებით მღეროდნენ „მარსელიოზას", „ვარშავიანკას". შალვას ისეთი სწორუპოვარი სმენა, მომხიბლავი, საამო და ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა, გეგონებოდათ ოპერის თეატრის სახელგანთქმული მსახიობი მღერისო. დიდი რევოლუციონერის წულუკიძის ქუთაისიდან ხონში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის დროს, რომელსაც ათი ათასამდე კაცი დაესწრო, მომღერალთა გუნდში სწორედ შალ-

ვას საამო და ძლიერი ხმა გამოირჩეოდა. შალვა ნამდვილი რევოლუციონერი იყო. კორნელის კარგად ახსოვდა ვაზნებით სავსე ფალასკებით შემორტყმული მისი მკერდი, მოკლე კარაბინი, ხელყუმბარები და ხალათის შიგნით შემოხვეული წითელი დროშა, რომლითაც იგი დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებში გამართულ მიტინგებზე დაიარებოდა. მაშინ მას ღონე ერჩოდა, სამი ვაჟკაცი ვერაფერს დააკლებდა. 1905 წელს შალვას თავისი შეიარაღებული წითელი რაზმი ჰყავდა. იგი თავგამოდებით ებრძოდა აჯანყების ჩასაქრობად დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ გენერალ ალიხანოვის კაზაკებს. კარგად ახსოვდა კორნელის ტერორისტების მიერ მრეწველის, ბოქაულის მოკვლა კარის-მერეთში და საეგზეკუციოდ ჩამოსული კაზაკები — პლასტუნები, რომლებიც ტერეზას მეზობლის ეზოში დაბანაკდნენ. დიდი სამუშაო გაუჩნდათ იმ ღამით იულო დურგალს, შალვას, სტეფანეს და მის მეგობრებს. ისინი სარდაფში დაფლულ შვეიცარული კარაბინებით სავსე ყუთებს იღებდნენ, შალვამ ის ყუთები იმავე ღამეს სოფელ ქონგურაში აატანინა გლეხებს ურმით. მეორე დღეს ტერეზას ეზოს ჭიშკარს კაზაკები მოადგნენ. ყველანი შეშინდნენ: ალბათ, ვილაცამ გაგვცა და დაგვაბეზღაო. შალვა მამას შეეხვეწა: „ჩაიცვი, მამაჩემო, მუნდირი, გაიკეთე შენი ჩინ-მედლები და ისე შეხვდი კაზაკებს". მამამ შვილებს მიუგო: „რევოლუციონერები და ვაჟკაცები ვართო, რომ იძახით შენ და შენი მეგობრები, ჭიდით ახლა და თქვენ გაეცით პასუხი". ექიმმა გიორგი მხეიძემ მაინც ჩაიცვა მუნდირი. ორდენებ-მედლებიანი, რუსულად კარგად მოლაპარაკე მოხუცი რომ დაინახეს, კაზაკებმა ბოდიში მოიხადეს, ჩხრეკას და დაკითხვას თავი ბიანებეს და უკანვე გაბრუნდნენ. კორნელიმ შეიტყო, რომ ამ ამბის მერმე შალვა თავისი რაზმით ისევ ებრძოდა კაზაკებს. ივი გურიაში დააპატიმრეს და შემოდგომის ბოლოს ქუთაისში ჩამოიყვანეს. სადგურიდან საპატიმროში გადაყვანის დროს შალვა კაზაკებს სადგურთან გაექცა. დილმართი ჩაირბინა და ბალახვნის ქუჩაზე გავიდა. უკან მდევრები გამოუდგნენ და თოფის სროლა აუტეხეს. შალვამ ქუჩის ნაპირას თხრილზე ღაფენილ ტროტუარს ფრთაქანი აჰხადა, თხრილში შეძვრა, მუცელზე ხოხვით კარგა დიდი მანძილი გაიარა და დაობე-

ბულ და ბაყაყების სამყოფელ გაყინულ წყალში რამდენიმე საათს დაჰყო. ნაშუაღამევს თხრილიდან ამოვიდა და მეგობრებისაკენ გაეშურა. მეგობარმა თავის ბინაზე საიდუმლოდ შეინახა. სუსხიანი ღამით თხრილის წყალში წოლის გამო შალვა გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და მალე ჭლექი შეეყარა. მეგობრის ბინაზე სამი კვირის წოლის მერმე. მან ძალა მოიკრიბა, წამოდგა და ძლივს ჩავიდა კარისმერეთში. ფიზიკურ სენს აორკეცებდა. იმის შეგნება, რომ საქმემ, რომელსაც მან ასე თავდავიწყებით შესწირა სიცოცხლე, დაშარცხება განიცადა. შალვა მალე გარდაიცვალა...

ეს მოაგონდა შეძრწუნებულ კორნელის.

ელენემ ცნობილი ექიმი — მედიცინის დოქტორი ჩუდნოვსკი მოიწვია. პატარა ტანის, მოკლე და ჭაღარაულვაშიანი მოხუცი წინათ სამხედრო ექიმი იყო და პოლკოვნიკის ჩარისხს მიაღწია. ახლა სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა. იგი ქეთილი და გულისხმიერი კაცი იყო. ელენე კარგად იცნობდა მას. იგი იმ გიმნაზიაში ასწავლიდა ჰიგიენას, რომლის დირექტორი ელენეს ქმარი იყო.

ჩუდნოვსკი დიდხანს და ყურადღებით სინჯავდა კორნელის. შერმე ელენემ ხელი დააბანინა. ექიმი კორნელის პატარა მაგიდას მიუჯდა და რეცეპტების წერა დაიწყო: კორნელის მოეჩვენა, თითქოს ექიმი სასიკვდილო განაჩენს უწერდა. „დეიდა სასტუმროში შეიყვანს ექიმს. ექიმი ყველაფერს ეტყვის მას, მე კი სიმართლეს დამიმალავენ“,—გაიფიქრა ეჭვით სავსე კორნელიმ და ჩუდნოვსკის აღელვებულ, ყრუ და დახშული ხმით ჰკითხა:

— ექიმო, მითხარით რა მჭირს?

ექიმმა სიტყვის დამთავრება არ აცალა, სწრაფად შემოჯრუნდა, გაუღიმა და უთხრა:

— ბრონქიტი და მძაფრი სისხლნაკლულობა. საჭიროა კარგი კვება, ჭაბუკო. თუთუნის წევას და „შევარდენს“ უთქოდ თავი უნდა გაანებოთ.

ივნისის დამლევს კორნელი კარისმერეთში ჩავიდა. დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და კარგადაც ჰკვებავდა, მაგრამ მწარალმა ხველებამ კორნელის არ გაუარა და საღამოობით სიცხე ოცდაჩვიდმეტ გრადუსსა და სამ ხაზამდე ადიოდა. ტერეზამ შვილი მამის კაბინეტში მოაწყო და

არავის აძლევდა უფლებას, მისი სიმშვიდე დაერღვია. დღისით კორნელი ხანდახან ეზოში გადიოდა და იულო დურგლის მიერ გაკეთებულ და ლურჯად შეღებილ, ზურგიან გრძელ სკამზე წვებოდა. ერთადერთი მისი გასართობი ის იყო, რომ იულოს ვაჟს, რუსულში გამოცდაგამოყოლებულ ბუჭას და ტერეზას მოჯამაგირეს აგოიას ამეცადინებდა. თანაც იონას და მეზობლის ლუკა მენჯავიძის ლამაზ გოგოს ქეთუას ესაუბრებოდა. ასე გავიდა ორი კვირა. კორნელის უკეთესობა მაინც არ დაეტყო და როცა საღამო ჟამს სიცხე აუწევდა და ყრუ და გაუთავებელ ხველებას მოჰყვებოდა, დედას და იონას გული უკვდებოდათ.

— ადექი, კაცო, სულ ასე უმოძრაოდ წოლა მთლად დაგასუსტებს და ავადმყოფობა მოგერევა. წამოდი, მდინარის პირას გავისეირნოთ. მერმე მთაშუბანზე ავიდეთ, ზეკარის ჰაერი ჩაყლაპე და, აბა, ნახე, თუ არ მოიკეთო, — ურჩევდა იონა.

მაგრამ შავი ფიქრებით გატანჯული კორნელი უარზე იდგა და შინ წოლას და მარტო ყოფნას ანაგრძობდა. იგი შეშინებული, გაოგნებული, ნებაწართმეული იყო და არც კითხვისა და არც წერის თავი არ ჰქონდა. ბოლოს ტერეზას შვილობილი მარო ჩამოვიდა თბილისიდან. მან, ტერეზამ და იონამ თათბირი გამართეს და ადგილობრივი ექიმი პოლიკარპე ვაწაძე მოიწვიეს... ექიმმა ჰაერის გამოცვლა, აბასთუმანში წასვლა ურჩია კორნელის. მალე სტეფანეც ჩამოვიდა კარისმერეთში. მას თავისი ცოლი კატო, ცოლისძმა და ცოლისდა აბასთუმანში გაესტუმრებინა.

— შე კაცო, ღვიძლი ძმა ამ დღეშია და ჯანმრთელ ცოლისძმას აგზავნი აბასთუმანში? — უსაყვედურა იონამ.

— კორნელის ავადმყოფობა არ ვიცოდი... — დარცხვენით მიუგო სტეფანემ.

ბოლოს მან აბასთუმანში კორნელის გამგზავრებისათვის საჭირო თანხა გადასცა დედას, მაგრამ კორნელი ისე იყო დასუსტებული, რომ აბასთუმნამდე მარტო ვერ იმგზავრებდა.

მარო და კორნელი დომენტი ხვედელიძემ ჩაიყვანა ურმით სადგურში. ურმით მგზავრობას ისე დაეჩვენა კორნელი, რომ ფეხზე დგომა უჭირდა და ბაჭანზე კედელთან დალაგებულ ბარგზე დაჯდა. მარო ბილეთის საყიდლად წავიდა.

ხაშურში ბორჯომისაკენ მიმავალ მატარებელში გადასხდნენ.

მატარებელი დილით ადრე ჩავიდა ბორჯომში. მაროო ქალაქში ეტლის დასაქერად წავიდა. კორნელი კი ბარგზე დაჯდა. მტკვარს, ნაძვითა და ფიჭვით დაფარულ მთებს გაჰხედა. მზიანი და გრილი დილა იდგა. ნაცნობი ადგილების ნახვა კორნელის ძალიან სიამოვნებდა. მაგრამ მგზავრობით დაღლილს და მთელი ღამის უძილოს გული მისდიოდა და თავბრუ ეხვეოდა. კარგა ხანი გავიდა. მერმე მაროო ეტლით მოვიდა სადგურში. ეტლში ზარებითა და ეჟვნებით მორთული ოთხი ცხენი იყო შებმული. მეეტლე შავულვაშიანი, შავგვრემანი და გრუზა ვაჟკაცი იყო. მაროს გარდა ეტლში ერთი პატარა, ცისფერთვალება, ქერა და კოხტა რუსი ქალი და მისი შვილი — გამხდარი და ფერმკრთალი სტუდენტი ისხდნენ. მეეტლემ კორნელის ჩემოდანი და ბარგი ეტლს უკან მიაკრა.

ქალებმა რბილი სკამი დაუთმეს ავადმყოფებს, თვითონ კი წინ მაგარ სკამზე დასხდნენ. მეეტლემ დასტვინა, კუდგამოსკვნილი, გავაჩასუქებული, ახალციხური იორღები დასძრა და მტკვრის პირას მიმავალ გზას დაადგა. მერმე ბორჯომბაღი, ლიკანის სასახლე გაიარა და ერთმანეთზე მიჯრილ ტყიან ბორცვებს შუა შევიდა. კორნელის სანდრო ხოტივართან ერთად ბატარეის ცხენებით აქ გასეირნება, ძმასთან ევგენისთან შეხვედრა, დაუვიწყარი მეგობრის გრიგოლ ცაგურიშვილის ჯავახეთიდან ბორჯომში ჩამოყვანა მოაგონდა და მოიწყინა... კაეშნიანი თვალებით შეხედა მის წინ მჯდომ ჯანმრთელ, ლოყაწითელა, ხალისით სავსე და მოტიკტიკე მაროს, რომელსაც ჭლექიანი სტუდენტის დედასთან, კეთილ და გულისხმიერ ქალთან დამეგობრება მოესწრო. კორნელი სევდიანი თვალებით აკვირდებოდა ბორჯომის ლამაზი ხეობით და დილის გრილი და საამო ჰაერით გამოცოცხლებულ მაროს. მის გამოხედვაში დამ საყვედური ამოიკითხა. მაშინვე შესწყვიტა სიცილი, პალტოს კალთები ამოუკეცა მუხლებზე კორნელის, საყელო აუწია, ცივი ქარი ქრის და არ გაცივდეო, უთხრა.

სოფელი უკან დაიხია. ეტლი ი-ი-ა-ა-ა ძვრება. ათიოდე ახალგზრდები. კლდეები საყდარივით აყუდებულიყვნენ. ბოლოს ეტლი ერთბაშად გავიდა ხეობიდან ტაფობზე.

კორნელიმ ხალვათობა იგრძნო. ცხენები ქმუხნით შეუდგნენ ალმართს და ახლა დაღლილთ აბეზარი ზარებისა და ეჟვნების ჟღრიალიც აღარ ამხნევებდა. მალე აწყურიც გამოჩნდა. მგზავრები დუქნების წინ ეტლიდან ჩამოვიდნენ.

კორნელი განცვიფრებით გასცქეროდა მტკვრის პირას კლდეზე აგებულ ციხეს. ციხეს მზე მისდგომოდა და ბრძოლაგადახდილ ქართლის გუშაგს ჟამთასიავისაგან და ჟანგფერი ხავსისაგან სისხლისფერი დასჩენოდა. კორნელი აწყურის ციხის მშვენებამ წარიტაცა. დალმართი ჩაიარა და ახლოს მივიდა საჭვრეტად. უკან რომ დაბრუნდა, მოშივდა კიდეც, მაროს გაუღიმა, პატარა რესტორანში შევიდა, მწვადები შეუკვეთა და რუსის ქალი და მისი შვილიც მიიპატიჟა. მადიანად შეჭამა მწვადები ზედ ცოტა ღვინოც დააყოლა. იგი კარგ გუნებაზე დადგა და უკეთესობაც დაეტყო. გარეთ რომ გამოვიდა, დუქანთან თავშეყრილ ადგილობრივ მცხოვრებთ გაესაუბრა.

— რა გვარი ბრძანდებით? — ჰკითხა ერთ შავგვრემანს, ლამაზ და ბრგე მოხუცს.

— ფორაქიშვილი, — დინჯად მიუგო მოხუცმა.

— ქართველი ყოფილხართ, — გაუღიმა კორნელიმ.

— არა, თათარი ალი ფორაქიშვილი, — შებღალ შეჭმუხნა და ისე მიუგო მოხუცმა. კორნელის გულზე შემოეყარა:

— თქვენ თათარი ხართ რჯულით და არა წარმოშობით, ენით.

— ციცი, მავრამ მე მაინც თათარი ვარ... ჰოდ, ჰოდ, — თუთიყუშივით გაიძახოდა მოხუცი.

ახალციხეში მეეტლემ ცხენები დაარწყულა, ქერი მისცა და დიდხანს დაასვენა, რომ აპასთუმნისაკენ მიმავალ ალმართზე ძდვილად ამსულიყვნენ. კორნელი და მარო ნელი ნაბიჯით წავიდნენ ციხისაკენ.

ახალციხემაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კორნელიზე. აქაც ციხე მაღალ კლდეზე იყო გაშენებული. ძველ ქალაქს გარს უვლიდა ქვიტკირის სამი ზღუდე... ახალციხის

გარშემო წალკოტი, ბაღები, ბოსტნები და ვენახები გადაშლილიყო.

— ოდესღაც აქ იჯდა მთავარი, რომელსაც ქართველები ათაბაგს უწოდებდნენ, — უხსნიდა კორნელი მაროს.

ციხის ქვეშ კლდეებს მდინარე ფოცხოვი და მტკვარი აწყდებოდა. მათი ტალღების ლაღი დინება „სისხლის წვიმების დღეებს“, განვლილ ბრძოლებს აგონებდა კორნელის.

ქალაქის ქუჩებში სამხედრო პირებისა და ჯარისკაცების სიმრავლემ განაცვიფრა კორნელი. მან ერთ ნაცნობ ოფიცრისაგან — კიკნაძისაგან შეიტყო, რომ ახალციხის გარნიზონის უფროსად პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილი დაენიშნათ.

— ალექსიძის ბატარეაც აქ არის, — უთხრა კიკნაძემ კორნელის, — იგი გუშინ ადიგენის რაიონის აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ გაგზავნეს.

მეეტლე აბასთუმანში წასვლას აგვიანებდა. ქალაქში ხეტიალით დაღლილი კორნელი ერთსართულიანი, პატარა სახლის წინ გრძელ სკამზე დაჯდა. მაროც თავზე დაადგა, გაუღიმა და უთხრა:

— კორნელი, იცი, შენ ფერი მოგივიდა... გაცილებით უკეთ გამოიყურები, ვიდრე ხაშურსა და ბორჯომში.

მზე ჩასასვლელად გადახრილიყო, როცა მგზავრები ეტლში ჩასხდნენ. მეეტლემ სამხედრო ფურგონებით სავსე ხიდზე გაიყვანა ეტლი. ციხეს და კლდეებს ჩაუარა. მალე, ზარების, ზანზალაკებისა და ეჟვნების შეთანხმებული ჟღარუნით ეტლი ახალციხის ჭალაზე გავიდა. ირგვლივ ბაღები, ბოსტნები, ყანები და წწვანე მთის კალთებზე სოფლები გამოჩნდნენ... მგზავრებმა კიდევ ერთი აღმართი აიარეს და, როცა სოფელი ვარხანი უკან ჩამოიტოვეს, თითქო სასწაული მოხდაო, კორნელიმ ზედიზედ მაგრა დაახველა და ნახველი ისე უხვად ამოიღო, რომ შვება იგრძნო. რუსი ქალი, მისი შვილი და მაროც გაოცებით მისჩერებოდნენ მას. კორნელიმ მაროს გაუღიმა და მიახარა:

— თითქო ფილტვები გამეწმინდა. თავისუფლად ვსუნთქავ.

ახალციხელი მეეტლე იოსებ ქასიტაშვილი შემობრუნდა და კორნელის უთხრა:

— ასე იცის აბასთუმნის ჰავამ. კიდევ ორი-სამი დღე და

მორჩა თქვენი ავლმყოფობა. — შერმე მათრახი წინ გაიშვირა და დასძინა: — აგერ ერთი ალმართი და, მივედით კიდეც.

მგზავრებმა წინ გაიხედეს და წიწვიანი ტყით დაფარული შავნაბადა მთები — აბასთუმნის ხეობა დაინახეს, ამ დროს მზე ჩავიდა კიდეც.

ეტლი აბასთუმნის ხეობაში შევიდა.

აბასთუმნის პატარა მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ, ქუჩის პირას პატარა ეზოიანი კოხტა სახლები ჩამწკრივებულიყვნენ. აივნებიდან და სარკმელებიდან ნავთის ლამპები ბჟუტავდნენ, ქუჩაში ბნელოდა, სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. მხოლოდ პატარა, ჩქარი მდინარე ავსებდა ხეობას თავისი ხმაურით და ახალციხიდან მომავალ ეტლში შებმული ცხენების ზარებისა და ეჟვნების ჟღარუნით. აბანოებისაკენ მიმავალ ხიდთან რამდენიმე კაცი იდგა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. მეეტლეს ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ახლა ცხენები. აღარ თავდებოდა ხეობაში, პატარა მდინარის გასწვრივ გაჭიმული დაბა. ხიდთან მდგარ ჯგუფს კარგად ჩასკვნილი ახალგაზრდა ოფიცერი გამოეყო, მეეტლე გააჩერა და ეტლში შეიხედა. მარო მოეწონა, გაუღიმა და უთხრა:

— კეთილი იყოს, ქალბატონო, თქვენი მობრძანება აბასთუმანში. — იგი ნასვამი იყო. კორნელიმ მაშინვე იცნო კარაბულმერეთელი მეფურნის, ახოვანი, მსუქანი და ელამი ჩოხოსანი კაცის პართენ მენჯავიძის შვილი — დავითი, დათიკო, როგორც ეძახდნენ ბავშვობაში.

— გამარჯობა, დათიკო, საიდან სადაო?

— კორნელი! — შესძახა შეზარხოშებულმა ოფიცერმა.

— იცნობდე, ეს ჩემი დაა, — გააცნო კორნელიმ მარო. დათიკომ დიდის ამბით, თავაზითა და პორიდებით ჩამოართვა ხელი მაროს.

— შენ დიდი ხანია აქა ხარ? — ჰკითხა კორნელიმ.

— ორი თვე იქნება, — მიუგო დათიკომ.

— აქ რა გინდა?

— აქ ჩვენი რაზმი დგას.

— შემთხვევით ჩემი რძალი — კატო ხომ არ შეგხვედრია? სად ცხოვრობს თუ იცი?

— როგორ არ ვიცი, სულ ერთად ვართ! — ძიუგო დათქოძ. მეგობრებს დაემშვიდობა, ეტლის საფეხურზე დადგა და მეეტლეს შესძახა: — მიდი, პირდაპირ იარე!

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ

არსად ისე არ უახლოვდებიან ადამიანები ერთმანეთს, როგორც ავარაჯზე.

მოარული სენტენცია

1

კორნელისა და მაროს ჩასვლა კატოს მაინცდამაინც არ გახარებია. კატო მეტად ძუნწი და ხელჩოკრილი ვაჭრის შვილი იყო, ერთი დაბალი, ჩაკურატებული, ფართოსახიანი, თითქმის უწვრილესი ქალი. რად შეირთო იგი ლამაზმა ნიჭიერმა და განათლებულმა სტუდენტმა სტეფანე მხეიძემ, ყველას უკვირდა. საქმე ის არის, რომ ექიმს გიორგი მხეიძეს ორი სტუდენტი შვილის შენახვა რუსეთში გაუჭირდა და აი, ერთ ზაფხულს რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულმა სტეფანემ მაჭანკლებს დაუჯერა. ხელმოკლე სტუდენტი მზითევმა შეაცდინა. მან მდიდრული ცხოვრება არჩია და კატო შეირთო. მაგრამ მზითევში აღებული ფული ქეიფისა და ლხინის მოყვარულ ჭაბუკს მალე გაუდნა და ხელში შერჩა ის ულამაზო და უწვრილესი ქალი. მართალია, კატო კარგად გრძნობდა, სტეფანეს სახით ცა რომ გაეხსნა და დიდ ბედს ეწერა. ამიტომ განუზომლად უყვარდა და პატივს სცემდა ქმარს, სურდა მისი ღირსი გამხდარიყო, რეპეტიტორები აიყვანა რუსეთში და მეცადინეობდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ჩით უფრო კლინდებოდა მასში ვაჭარი მამისაგან მემკვიდრეობით გადმოსული წვრილმანობა, სიძუნწე, ჯიუტობა და უხეირობა. კატომ თავისი უმცროსი ძმები და დები ქმარს დაასია და ღაზრდევინა. ახლაც თან წამოეყვანა მოსკოვში კურსდამთავრებული და უნიათო ძმა იღიკო და გუთხოვარი შინაბერა და ვენერა. აბასთუმანში კორნელის ჩასვლა მას არ აწყობდა, მაგრამ ტერეზას ცრემლიანი და განსაკუთრებით კი სტეფანეს შეშფოთებული წერილი რომ წაიკითხა, ქმრის ავადმყოფ

ძმას ყურადღებით მოეპყრა. კატოს და მის მამიდაშვილს— სენატორ ვარლამ კუტალაძეს ეკლესიის წინ დაეჭირათ აგარაკი. ცოლშვილიან კუტალაძეს ორი ოთახი დაეკავებია, ხოლო ერთიც — კატოს. მათ გვერდით ცნობილი ვექილები — სენატორები გიორგი ხელთუფლიშვილი და მუხრან ხოჭოლავა ცხოვრობდნენ. ამ აგარაკში მეტი ოთახი არ იყო. იმის შიშით, რომ „ჭლექიანი“ კორნელი კატოს ოთახში არ ჩასახლებულიყო, როგორც კატო, აგრეთვე მისი უნიათო ძმა და ზანაბერა დაც დატრიალდნენ და კორნელისათვის მეზობლის აგარაკში, მთისაკენ სარკმელგაჭრილი პატარა და ბნელი ოთახი აღმოაჩინეს.

კორნელიმ და მარომ იქ გაათიეს ღამე.

ჰკორე დღეს კატოსა და მაროს თანხლებით კორნელი აბასთუმნის ცნობილ ექიმთან პოლკოვნიკ კობაძესთან მივიდა. მოხუცი ექიმი ზამთარ-ზაფხულ აბასთუმანში ცხოვრობდა. იგი ჭლექით სნეულთა სახელგანთქმულ მკურნალად ითვლებოდა. თავის დროზე დიდმთავარს გიორგი რომანოვს მკურნალობდა, რომელმაც აბასთუმანში თავისი სასახლე ააშენა. დაბალი, თეთრწვერა და ლაბაზი მოხუცი ღიმილით შეეგება ცნობილი ჭირურგის ევგენი მხეიძის ძმას კორნელის, დასვა და დიდხანს ესაუბრა. გულისყურით გასინჯა, წამლები გამოუწერა და მკაცრი რეჟიმის დაცვა მოითხოვა.

რამდენიმე დღის შემდეგ მარო თბილისში წავიდა.

კორნელი ზუსტად ასრულებდა ექიმის დარიგებას, თავის დროზე სვამდა წამლებს, იზომავდა სიცხეს და კარგად იკვებებოდა. უმთავრესად კარაქსა და კვერცხს ეძალებოდა. ოთხი თუ ხუთი დღის განმავლობაში ხველა შეუწყდა. მერმე სიცხეც ნორმალურზე დაუვიდა. კორნელი დღედღეზე შესამჩნევად ჯანსაღდებოდა. ორი კვირის განმავლობაში რვა ცალი მოიმატა და ბოლოს, როდესაც ექიმმა კობაძემ გასინჯა, ბეჭებზე შემოჰკრა ხელი და უთხრა:

— ყოჩაღ. ჩაიცვით, საქმე კარგად მიდის, მაგრამ თავს მაინც უნდა გაუფრთხილდეთ და გახსოვდეთ, რომ ადამიანის, მით უმეტეს სპორტსმენის, ყველაზე დიდი მტერი გახლავთ ნიკოტინი, ბახუსი და ვენერა... მაშ ასე, ჩემო კარგო, გახსოვდეთ ეს რეჟიმი. კარგად იყავით!

კორნელი გახარებული გამოვიდა კოპაძის კაბინეტიდან. სახეზე ღიმილი არ შორდებოდა. მას თბილისში ჩასვლა, მუშაობა და მეცადინეობა სწყუროდა.

2

კორნელი წერილებს ჩაუჯდა და დედას, იონას, მაროსა და მიტოს ბარათები დაუგზავნა. მერმე პალტო ჩაიცვა და ფოსტისაკენ გაეშურა. ნაძვით და ფიჭვით დაბურულ მთებს შორის მარბენალ პატარა მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირს მაღალი ალვის ხის ხეივანი და ჭუჩა მიჰყვებოდა. ალვის ხის ფოთლებს სიყვითლე შეჰპარვოდა. მთები ნისლში გახვეულიყვნენ. ჟინჟღლავდა. წელს ადრე აცივდა. აგვისტოს ოცს ზეკარზე, ცხრაწყაროზე და სხვა უღელტეხილზე ჩამოთოვა კიდეც და ცხვარი იალაღებიდან ბარისაკენ დაიძრა. მოაგარაკეებმაც ბარგი შეჰკრეს და ნელ-ნელა იწყეს წასვლა. აბასთუმანი დაცარიელდა.

ფოსტა ქვის პატარა სახლში იყო მოთავსებული. ფოსტა და აფთიაქი ერთადერთ გასართობ ადგილად ითვლებოდა ბაშინ აბასთუმანში, სადაც წვიმიან ამინდში მოაგარაკეებს და ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლოთ შეხვედრა და ახალი ამბების გაგება. ფოსტის შენობა ამავე დროს სამკითხველოც იყო. აქ გადახურულ აივანზე ახალმიღებულ გაზეთებსა და ჟურნალებს ათვალიერებდნენ და საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობდნენ. სულ სხვა საკითხებზე ბაასობდნენ აფთიაქში წამლის შესაკვეთად და მისაღებად მოსულნი, ჭლექიანების პატრონები, ავადმყოფები. მათ აინტერესებდათ, თუ რომელი ჭლექიანი გარდაიცვალა გუშინ და დღეს, რომელი ექიმი სჯობდა ყველას... ურწმუნონი, ყველას და ყველაფრის გამკილავნიც კი ვერ ბედავდნენ მოხუცი ექიმის კოპაძის ძაგებას.

კორნელი ხშირად ხვდებოდა აბასთუმანში თავის სკოლის ამხანაგს — ლევან ქორიძეს.

რევოლუციის მერმე ქორიძე მენშევიკურ პარტიაში შევიდა. იგი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ერთ-ერთი წევრი იყო და იქ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. მან გვარდიაში სამუშაოდ იმდროინდელი ბევრი პო-

ეტი და მწერალი მიიწვია, მათ შორის პოეტი იორამ მინაშვილიც. მაგრამ ლევანს ამ საქმეში კორნელი მხეიძე არ გამოადგა და ამიტომ ყოველ შეხვედრისას ეკამათებოდა, ჰკილავდა და „ბოლშევიკს“ უწოდებდა. იგი გამხდარი, აგზნებული, დემოკრატიული იდეებით გატაცებული, გულუბრყვილო და მენშევიკების ლიდერების მიერ მოჯადოებული სტუდენტი იყო, თუმცა მენშევიკების ლიდერებით მოჯადოება თანდათან ნელდებოდა მასში, და ბოლოს მხოლოდ ნოე ჟორდანია შერჩა ხელში.

ჟორდანიას ამას წინათ ერთადერთი შვილი — თორმეტი წლის ვაჟი გარდაეცვალა და დიდად დამწუხრებული იყო. იგი ერთბაშად მოხუცდა, დასუსტდა და ექიმების რჩევით დასასვენებლად აბასთუმანში ჩავიდა. ის დიდმთავრის გიორგი რომანოვის ყოფილ სასახლეში ცხოვრობდა. ამავე სასახლეში ცხოვრობდნენ აგრეთვე რამიშვილი და მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებიც. ჟორდანიას თავისი მზარეული და პირადი მცველი — ერთი ახოვანი და ძალოსანი ქერა ჭაბუკი, ყოფილი პარიკმახერი — ჟორა სიტკინი ჩამოეყვანა.

როდესაც კორნელი ფოსტის ეზოში შევიდა, ხალხით სავსე აივანზე უქანრო ნაზარაში გამოწყობილ, კეპიან და გრძელწვერიან შუახნის მაღალ კაცთან მოსაუბრე ლევან ქორიძეს მოჰკრა თვალი. ლევანს სახალხო გვარდიელის მაზარა „ბუშლატი“ ეცვა და რუსული ქუდი ეხურა. კორნელი ნელა ავიდა კიბეზე. ლევანმა გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და წვერიანი კაცი გააცნო:

— იცნობდე, ივანე ალექსანდრეს ძე ვერბიცკი.

კორნელიმ ახოვანი, ფერმკრთალი კაცი შეათვალიერა, რომელიც ტიპიურ რუს რევოლუციონერ-ხალხოსანს ჰგავდა. ლევანმა ქართულად უთხრა:

— ეს ცნობილი სოციალ-დემოკრატია. მეტად მცოდნე, განათლებული და საინტერესო პიროვნება. ჟორდანიას მოსწონს. ისინი თითქმის ყოველდღე ერთად არიან. საექიმოდ ჩამოვიდა აბასთუმანში...

კორნელის ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რომ ეს ახოვანი და შესახედავად ჯანსაღი კაცი ჭლექიანების კურორტზე ჩამოსულიყო.

ვერბიცკიმ გაზეთების დასტა დაკეცა, მაზარის ჯიბეში ჩაიდო და ბოხი და გულითადი ხმით მიმართა კორნელის:

— გავიგე, მწერალი ყოფილხართ. მით უფრო სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— ჩემთვისაც, — მიუგო კორნელიმ და კიდევ ერთხელ შეათვალიერა ვერბიცკი. მისი ხშირი წარბების ქვემოდან მომღიმარი, ცოცხალი, წაბლისფერი ჭკვიანი თვალები იხედებოდნენ, რომელნიც კაცს თითქოს სულსა და გულში სწვდებოდნენ.

ლევანის ახსნა-განმარტების გარეშეც შეეძლო კორნელის ახალ ნაცნობში მართლაცდა არაჩვეულებრივი პიროვნება დაენახა.

— მწერლები საჭირო და სასარგებლო ადამიანები არიან. ხალხს უყვართ ისინი, — უთხრა ვერბიცკიმ კორნელის.

— ეს მართალია, — დაეთანხმა ჭორიძე და იქვე დაუმატა: — მაგრამ ჩვენი მწერალი დღეს თუ ხვალ ბოლშევიკი გახდება.

— ეგრეა საქმე? იცით, პოეტი ვალერი ბრიუსოვიც ბოლშევიკია, — შენიშნა ვერბიცკიმ.

ჭორიძემ შუბლი შეიჭმუხნა და კორნელის გაჭირდვა გაანაწყრძო:

— ვანო მახათაძე ცდილობს გადაახვევინოს მას სწორი გზიდან.

— ვინ არის ის კაცი, რომელიც უშლის მწერალს სწორი გზით იაროს? — ჰკითხა ვერბიცკიმ.

— ჩემი და კორნელის სკოლის ამხანაგი, ბოლშევიკი, ფანატიკოსი და მეტად უცნაური კაცი.

— ფანატიზმი, — ღიმილით მიუგო ვერბიცკიმ, — ხშირად აუცილებელია რევოლუციონერისათვის. მაგრამ...

ჭორიძემ არ აცალა სიტყვის დამთავრება:

— მაგარი სწორედ ეს „მაგრამ“ გახლავთ, ივანე ალექსანდრეს ძევ! მახათაძეს ჩვენ ყველა კონტრრევოლუციონერებად მივაჩნევართ, რომელთა დახვრეტა, მისი აზრით, აუცილებელია. არაფერი მას ჩვენს ქვეყანაში არ მოსწონს, თითქო ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა კი არა გვაქვს..

— თქვენი რესპუბლიკა დემოკრატიულია დეკრეტით, სეკ-

რეტით კი, ალაჰმა უწყის, როგორია! — გაწყრა კონდელიმ.

— შენ როგორი გგონია? პროლეტარული, საბჭოური? — ჰკითხა ქორიძემ.

— ისა სჯობია!

— აი, უკულმართი სწავლა-განათლების ნაყოფი, შენი მახათაძის მუშაობისა, — მიუბრუნდა ქორიძე ვერბიცკის. უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ისე ჰკითხა სკოლის ამხანაგს: — თუ ასეა, რატომ საბჭოთა რუსეთში არ მიბრძანდები? საინტერესოა, რა გუნებაზე დადგებოდი შენ იქ, როცა სილატაკეს, შიმშილსა და პარტახტიან ტიფს ნახავდი?

— რუსეთში ახლა მართლაც მძიმე მდგომარეობაა, — დაეთანხმა ვერბიცკი. — მაგრამ საბჭოთა რუსეთმა გადალახა უკვე ყველაზე სახიფათო უღელტეხილი. ხოლო რას უქადის მომავალი საქართველოს — გაურკვეველია. ამიტომ კი არ შემოუჩივლია ჩემთან ბაასის დროს ნოე ნიკოლოზის ძეს ეკონომიური რღვევის შესახებ, რომელიც საქართველოს დალუპვით ემუქრება. რაც შეეხება პარტახტიან ტიფს, თქვენში ჯერ სამოქალაქო ომი ხომ არ არის! თუმცა, რადგან სიტყვამ მოიტანა, პურიც არ არის...

— თქვენ გეშლებათ, — შენიშნა ქორიძემ, — ის, რაც ჩვენ გავნიცადეთ და გადავიარეთ: ომი, გლეხთა აჯანყებანი — სამოქალაქო ომს დიდად არ ჩამოუვარდება... თქვენ ეს ჩვენზე უკეთ იცით...

— ვიცი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თქვენც ხომ შეგეძლოთ ის უღელტეხილი გადაგელახათ...

— ნუ გამოვიტანთ აჩქარებულ დასკვნებს, ეს ისტორიის მსჯავრს მივაწდოთ.

— მე მგონია, ისტორიამ უკვე თქვა თავისი სიტყვა.

ქორიძემ ქუდი მოიხადა, შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ვერბიცკის გაოცებით შეხედა...

ჰერისპერ

...დადგა მომენტი, როდესაც უნდა გადაიჭრას მთავარი საკითხი.

ა. ტოლსტოი

1

იმ დღეებში, როდესაც ჟორდანია და მთავრობის ზოგიერთი წევრი აბასთუმანში ისვენებდნენ, წითელმა არმიამ უკრაინაში შემოჭრილი პილსუდსკის პოლონეთის ჯარების შემოტევა მოიგერია, მათ დაედევნა და მალე ვარშავისა და ლვოვის მისადგომებთან აღმოჩნდა. კატასტროფიდან პოლონეთის გადარჩენის მიზნით, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა საბჭოთა რუსეთს ანტანტის სახელით წინწადადება მისცა, პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. კერზონის წინადადებამ და საბჭოთა ქვეყნის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის პასუხმა საქართველოს მთავრობაზე მოულოდნელი, პირდაპირ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. ჟორდანიამ ვერ დამალა ეს და საგარეო საქმეთა მინისტრთან გეგეჭკორთან საუბარში გამჟღავნა:

— ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთის ძალების შეუფასებლობას ვიჩენთ, — ამბობდა იგი, — შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რუსეთმა გაანადგურა პოლონეთის ჯარები და მას ახლა ანგარიშს უწევს თვითონ ინგლისიც კი... — ამ დროს კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი შემოვიდა და ჟორდანიამ ახლა ორივე თავის მინისტრს ჰკითხა: — რა გზას დავადგეთ პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების გამარჯვების შემდეგ? საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანში. ინგლისელები ბათუმიდან წასვლას აპირებენ... საქართველო მოკავშირეებისაგან მიტოვებული რჩება. ასეთ ვითარებაში აჯანყებამ თუ იფეთქა, ჩვენ მას, რა თქმა უნდა, ვერ გავუმკლავდებით.

— საქმე ბრცთუ ისე ცუდად არის, — შეედავა რამიშვილი, — ნუ გავიწყდებათ, რომ ვრანგელის არმიას ყირიმი უკავია. იგი წითელი არმიის ზურგში იმყოფება, მას ინგლისი

საფრანგეთის ფლოტი შველის და ბოლშევიკურ რუსეთს მოულოდნელ საფრთხეს უქადის. არა მგონია, საბჭოების მდგომარეობა მყარი იყოს.

მართლაც, ვრანგელი ყირიმში მოკალათდა, გამუდმებით ემუქრებოდა იქიდან საბჭოთა ჯარებს, რომლებიც დასავლეთისაკენ წავიდნენ, ემუქრებოდა დონბასს და უკრაინას. დარწმუნებული იმაში, რომ სამხედრო ბედი შესაძლოა კონტრრევოლუციისაკენ გადახრილიყო, რამიშვილმა ვრანგელთან ხელშეკრულების დადება მოითხოვა. მაგრამ ჟორდანიამ მაინც აუცილებლად სცნო კიროვთან ახლავე შეხვედრა და რამდენიმე დღით აბასთუმნიდან თბილისში ჩავიდა.

კიროვი თავისი მდივნის იარცევის თანხლებით ეახლა ჟორდანიას.

პრეზიდენტის კაბინეტში რამიშვილი და გეგეჭკორიც იყვნენ.

ჟორდანია ჩამომხმარი და მოღუშული ჩანდა. კიროვმა, მისი შვილის გარდაცვალების გამო, სამძიმარი მოახსენა. ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა, მრგვალ მაგიდასთან სავარძელი შესთავაზა და მწარედ გაიღიმა:

— უკანასკნელ ჟამს ბედი არ მწყალობს. არ მწყალობს არც მე და არც იმ ქვეყანას, რომლის სათავეში ხალხმა დამაყენა.

მინისტრებმა ნაღვლიანად ჩაჰკიდეს თავი.

— ყველა ჩვენ გადაგვეკიდა, ყველა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებს, — განაგრძო ჟორდანიამ, — მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ასე ბევრს ლაპარაკობენ ერების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი არსებობის უფლებაზე, ჩვენ, იმ ლამაზი სიტყვების გამო, ვერავითარი სარგებელი ვერა ვნახეთ. რატომღაც ყველა გვემუქრება. თითქო ჩვენ აქ მონარქია, ტირანია გვქონდეს...

ჟორდანია უღონოდ მიაწვა სავარძლის ზურგს.

— დასავლეთის გარდა, ბატონო პრეზიდენტო, არსებობს ჩრდილოეთიც, — მშვიდად მიუგო კიროვმა, რადგან მიხვდა, ვის ბოსტანშიც ისროდა ჟორდანია ქვებს. — იქ თქვენ და ქართველი ხალხი გაცილებით უფრო მეტ მეგობრებს იპოვით, ვიდრე დასავლეთში, ისინი არა სიტყვით, არამედ საქმითაც ნამდვილი თქვენი მეგობრები იქნებიან.

კიროვმა თვალი მოავლო მის წინ მსხდომ გენერალიტეტის წევრებს და მინისტრებს. მას თავიდანვე აშკარა ჰყავდა ეს ბენედევიკი პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისა და ხალხის ბელადების როლში გამოსულიყვნენ.

— ბატონო ელჩო, — ამეტყველდა ჟორდანია, — ანაბ წინათ თქვენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვით იმისათვის, რომ თქვენთვის და ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხი გაგვერკვია. ჩვენ ვაკმაყოფილებთ თქვენ სურვილს, მე და ჩემი მინისტრები მზადა ვართ დავამყაროთ თქვენთან მთელის გულწრფელობით საქმიანი კონტაქტი. ჩვენ იმედი გვაქვს აგრეთვე მოკავშირეებს შორის წამოჭრილი ყოველგვარი გაუგებრობა, გამოვძებნოთ საერთო ენა და ამიერიდან შეთანხმებულად ვიმუშაოთ.

— მე მივესალმები ყოველივე ამას. — მიუგო კიროვმა — დავიწყოთ ხელშეკრულების განსაკუთრებული დანართიდან, რომელიც ჩვენს მთავრობებს შორის დაიდო და რომელიც საქართველოში კომუნისტური პარტიის ლეგალურ არსებობას ითვალისწინებს. ხელშეკრულების ეს ნაწილი უკვე დიდი ხანია, რაც თქვენს მიერ გაუქმებულია. კომუნისტური პარტიის მიმართ რეპრესიები დღითი დღე ძლიერდება. თქვენი ხელისუფალნი აპატიმრებენ კომუნისტებს, ათავსებენ მათ ციხეში სასამართლოს და ძიების გარეშე.

— ყველა ისინი დაპატიმრებულნი არიან შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული აგიტაციისათვის. — განუმარტა რამიშვილმა. — ვითარება ისეთია, რომ ჩვენ დრო არ გვრჩება ბრალდებულთა საქმეების გარჩევისა და სასამართლო პროცესებისათვის.

— თქვენი მთავრობის მოქმედებებიდან, პირადად თქვენთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართული საუბრებიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ თქვენ საერთოდ არა გწერთ თქვენ ქვეყანაში კომუნისტური პარტიის არსებობა, დაუშვათ. ფაქტიურად თქვენ მისი ლიკვიდაცია უკვე მოახდინეთ.

— რატომ? — დაიწყო თავის მართლება რამიშვილმა. — ჩვენ არ მოვითხოვეთ კომუნისტური პარტიის გაუქმებას. ჩვენ

ხელს აგრძელებდით რეპრესიებზე იმ შემთხვევაში, თუ ლეგალურ მოღვაწეობასთან ერთად კომუნისტური პარტია არ გასწევდა სახელმწიფოსათვის გამანადგურებელ მუშაობას, რომელიც ჩვენში არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დანგრევისაკენ არის მიმართული.

— დავუშვათ, რომ ეს ასე არის, მაგრამ რა შუაშია აქ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა? — ჰკითხა კიროვმა ბინისტრებს. — არავითარი საბაბი მე არ მომიცია იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობა აგრესიულად გვეპყრობოდეს. მიუხედავად ამისა, თქვენ განაგრძობთ საელჩოსადმი რაც ავადმყოფურ შეეჯვებას. თითოეულ საბჭოთა დიპლომატიურ კურიერში თქვენი ხელისუფალნი მზად არიან აჯანყებს მომწყობი დაინახონ. ისინი აპატრძრებენ ყველას, ვინც კი საბჭოთა საელჩოს შენობიდან ან სავაგრო წარმომადგენლობიდან გამოდის. მითხარით, როგორ შევეფასოთ ჩვენ ამგვარი გაუმართლებელი მოქმედებანი?

— თქვენ გავიწყდებათ ახერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში თქვენი გაზეთებს მიერ ჩვენს წინააღმდეგ აღებული ბრძოლის ტონი. წაიკითხეთ ის გაზეთები. ისინი ჩვენ საშხედრო თავდასხმით გვემუქრებიან... ჩვენ გარშემორტყმული ვართ ყოველის მხრიდან. წითელი არმია დგას აზერბაიჯანში და ჩრდილო კავკასიაში. — ღელავდა რამიშვილი.

— მაგრამ თქვენ ამჟამად ხომ არავინ თავს არ გესხმით. გაზეთებმა კი დიდი ხანია უკვე რაც ტონი შეიცვალა.

— არ გვესხმიან, მაგრამ რაწამს აჯანყება დაიწყება, მაშინვე დაგვესხმიან... მოხდება ის, რაც ჩრდილო კავკასიაში და აზერბაიჯანში მოხდა.

— იმიტომ ხომ არ ეძებთ თქვენ მოკავშირეებს, მგონი გამოძებნეთ კიდეც და უკვე გადაწყვიტეთ, ხელი გაუწოდოთ ვრანგელს? — პირდაპირ ჰკითხა კიროვმა. — ჩვენ გაიგეთ, რომ ვრანგელსა და საქართველოს მთავრობას შორის, ინგლისელების უშუალო მონაწილეობით, უკვე დადებულია ხელშეკრულება. ამას გარდა, რამდენადაც მე ვიცი, ინგლისელები და ფრანგები ბათუმიდან მიდიან. ამიტომ გასაგებია თქვენი წინა, თქვენი ზედმეტი ნერვიულობა. ეს კიდევ არაფერი, თქვენ ებმარებით ვრანგელს და უარს აცხადებთ დაგ-

ვიბრუნოთ სამხედრო ჭონება, რომელიც კანონისა და უფლების მიხედვით საბჭოთა სახელმწიფოს ეკუთვნის.

— თუკი ჩვენ საბჭოთა ჯარების შემოჭრის საშიშროებას წინაშე არსაიდან დახმარებას არ მოველით, ნუთუ ჩვენი შიში გასაგები არ უნდა იყოს თქვენთვის? მაგრამ ამიტომ არ ვაცხადებთ ჩვენ უარს დაგიბრუნოთ სამხედრო ჭონება, რომელიც, თქვენის აზრით, საბჭოთა სახელმწიფოს ეკუთვნის. ამისათვის სხვა მოტივებიც არსებობენ... იმ მოტივებზე და ვრანგელთან არარსებულ ჩვენს ხელშეკრულებაზე ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი მოგახსენებთ, — მიუგო ჟორდანიამ.

— სრული პასუხისმგებლობით უნდა გაგიცხადოთ, — უთხრა კიროვს გეგეჭკორმა, — რომ ჩვენს მთავრობასა და ვრანგელს შორის არავითარი ხელშეკრულება და შეთანხმება არ არსებობს. რაც შეეხება საბჭოთა სახელმწიფოს კუთვნილი სამხედრო ჭონების დაკავებას, იგი შედეგია იმისა, რომ თქვენი მთავრობა არ ასრულებს ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პუნქტებს. ასე მაგალითად, მან შეწყვიტა ჩვენთვის ნავთისა და ბენზინის მოწოდება, არ გვაძლევს პურს და სხვა სურსათს...

— ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა ჭვეყნიდან საქართველოში გამოგზავნილი საწვავი მასალა და სურსათი ჩვენი მტრების ხელში არ აღმოჩნდება,—განუმარტა კიროვმა.

— ერთმანეთისადმი ნდობის გარეშე სახელმწიფოთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა შეუძლებელია, — შენიშნა ჟორდანიამ.

— ბატონო პრეზიდენტო, რა ნდობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუკი სულ ახლა საქართველოდან ყირიმში, თქვენი მთავრობის თანხმობით, გაგზავნილი იყვნენ საერთაშორისო უფლების საფუძველზე ინტერნირებული დენიკინის ჯარების ოფიცრები: თქვენ ლაპარაკობთ ნავთზე, ბენზინზე, გვარწმუნებთ, რომ საწვავის მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდით, ჩვენ ეს გვჯერა, მაგრამ რატომ ხდება ისე, რომ ყოველივე ეს, ისიც მეტად მისადგომ ფასებში, იმავე ვრანგელის ხელში ექცევა? ჩვენ შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, თქვენი მთავრობა ხომ კისრუ-

ლობდა არ გაეწია არავითარი დახმარება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი კონტრრევოლუციური არმიებისათვის?

2

ჟორდანია და მინისტრები რამდენიმე ხანს დუმდნენ. მენშევიკების პოლიტიკის მამხილებელ საბუთებს შორის კიროვი იცნობდა ყირიმის ფრონტიდან ლენინისადმი გაგზავნილ სტალინის დეპეშას: „საწვავს, — ნათქვამი იყო მასში, — ვრანგელი ბათუმიდან ღებულობს (მაშასადამე, ბაქომ არ უნდა გაუგზავნოს საწვავი თბილისს, რომელსაც შეუძლია მიჰყიდოს იგი ბათუმს); საქართველოს მიერ ინტერნირებული გენერალი ერდელი, რომელიც ჩვენთვის უნდა გადმოეცათ, მაისში უკვე ყირიმში იყო (მაშასადამე, საქართველო თაღლითობს და გვატყუებს)".

მინისტრებს დაბნეულობამ მალე გაუარა და მერმე ყველამ ერთად დაიწყო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტების უარყოფა.

— რაც შეეხება რუს ოფიცრებს, — ისევ სცადა მთავრობის მოქმედებათა გამართლება გეგეჭკორმა, — ჩვენ ანტანტასა და საბჭოთა რუსეთს შორის ბრძოლაში უმკაცრეს ნეიტრალიტეტს ვიცავთ და საქართველოს უბრალოდ არა აქვს უფლება მოათავსოს ისინი კონცენტრაციულ ბანაკებში ან დააკაოს ისინი თავის ტერიტორიაზე.

პრეზიდენტი ცდილობდა დაერწმუნებინა კიროვი, რომ მის მთავრობას მხოლოდ ერთი რამ სურს — დაამყაროს საბჭოთა რუსეთთან სრული ურთიერთგაგება და ახლო მეგობრობა. კიროვმა უთხრა, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების განუხრელი შესრულება უზრუნველჰყოფს ურთიერთგაგებას, მეგობრობას და ეს საშუალებას მისცემს საქართველოს თავი დააღწიოს კრიზისს და სამეურნეო გაჩანაგებას.

— სიძვირე თქვენში დღითი დღე იზრდება, — განაგრძობდა კიროვი, — ამას წინათ თქვენ იძულებული გახდით გაგედიდებინათ ხელფასი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, მაგრამ ამას მაშინვე მოჰყვა საქონელზე და სანოვაგეზე

ფასების ახალი, ბძაფრი ზრდა. ყოველწველობა თქვენი თითქოსა არა გაქვთ. არა გაქვთ ვალიუტაც, რომელიც ჩვენ შეგვეძლო მოგვცეა თქვენთვის გარკვეული პირობების გათვალისწინებით... საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონლის ნაცვლად, თქვენ შეგიძლიათ მიაწოდოთ მხოლოდ მარგანეცი, ისიც განსაზღვრული რაოდენობით, რადგან მაღაროებში მუშაობა თითქმის ძალარ წარმოებს. საწვავის მხრივ თქვენ დიდ გაჭირვებას განიცდით. თქვენ უკვე ხარჯავთ ნავთის და შავი ქვის უკანასკნელ მარაგს. დღეს-ხვალ მატარებლები გაჩერდებიან. ბოლოს, თქვენ არ გყოფნით პური...

მერმე კიროვმა ილაპარაკა ლენინის სურვილზე, დაამყაროს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის უმჭიდროესი კავშირი. ჟორდანიამ მიუგო, რომ ჩემი პირადი და ჩემი მთავრობის სურვილიც ეგ არისო.

ბოლოს კიროვი საქართველოს საშინაო პოლიტიკას შეეხო და განაცხადა, რომ პარტიათა შორის ბრძოლა მის შინაურ საქმეს წარმოადგენსო. ჟორდანიამ მიუგო, რომ ქართველ კომუნისტებს საბჭოთა მთავრობის დახმარების იმედი აქვთ და აჯანყებისათვის ემზადებიანო.

— საბჭოთა მთავრობა ცნობს და პატივსა სცემს საქართველოს სუვერენიტეტს და არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა მის შინაურ საქმეებში, — არწმუნებდა კიროვი პრეზიდენტს.

ჟორდანიასთან, რამიშვილთან და გეგეჭკორთან ბაასის რამდენიმე დღის მერე კიროვი ლენინს სწერდა:

„საქართველოს მთავრობა ისევ შეეჭვებული დგას, მერყეობს და ვერ გადაუწყვეტია, ვისკენ გადადგას სრულიად გარკვეული და საბოლოო ნაბიჯი — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ. საქართველოს სამეურნეო ცხოვრება კი დღითი დღე სულ უფრო და უფრო გარკვეულად ირყევა და უკვე შორს არ არის ის წუთი, როდესაც ნოე ჟორდანია, საქართველოს ეგზარქოსთან ერთად, იძულებული გახდება იმღეროს: „ბაბილონის მდინარეებზე".

სექტემბრის პირველ ნახევარს კიროვი რიგაში პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა, ჟორდანია კი აბასთუმანში გაბრუნდა.

ისევ აბასთუმანში

კოკას შინა რაცა დგას, იგივე წარმოდგება.

ანდაზა

1

გამოიდარა, მხიარული, მშვიდი, მყუდრო და თაფლივით დამტკბარი შემოდგომის დღეები დადგა. ტყეში ნაძვისა და ფიჭვის ხეებმა ბეხრეკა ტანზე, მეტის ლხენისაგან, წებოვანი ცრემლები გადმოღვარეს. აბასთუმნის ხეობა საკმეველის საამო სურნელებით აღივსო. ასეთი დღეები ყველაზე უფრო მოსახდენია ავადმყოფთათვის და სტეფანეც, კორნელის საბოლოო გამოჯანსაღების მიზნით, თხუთმეტ სექტემბრამდე აბასთუმანში დარჩენას ურჩევდა კატოს. მან არ იცოდა, კორნელი საკვებით გამოჯანსაღებული რომ იყო და მას აბასთუმანში მოაგარაკეთა შორის მოსაწყენი ცხოვრება მობეზრდა, ერთფეროვანი დღეები გულს უღონებდა და თბილისში ჩასვლა, მეცადინეობა, შრომა და მოქმედება სწყუროდა.

კორნელი გასუქდა. ტანისამოსში ველარ ჩაეტია, ულვაშები მოუშვა და ოცდაათი წლის ვაჟკაცს დაემგვანა. ტანში იმდენ ძალას გრძნობდა, რომ არ იცოდა რაში დაეხარჯა ეგ. მტკივანი ფეხ ს განო მთაში სიარული, ვარჯიშობა, რბენა და ხტომა არ შეეძლო და ამიტომ სენატორ დადვაძისა და ვერბიცკის წიგნებს დაეძალა, რომლებსაც ტყეში კითხულობდა.

კატო, მისი შინაბერა და ვენერა, კატოს მამიდაშვილის— ვარლამის მეუღლე — წოწოლიკა, გამხდარი ნელი და სხვა ქალები კი თაფლივით საამო შემოდგომის დღეებით სტკბებოდნენ და აბასთუმნიდან თბილისში წასვლას არ ჩქარობდნენ. არც აგარაკზე გაზარმაცებულ მამაკაცებს ეჩქარებოდათ თბილისში წასვლა.

უსაქმო სენატორები შუადღისას და საღამოჟამს ხეივნისაკენ ეშურებოდნენ. ხეივანში რესტორანი, როტონდო, კიოსკები და ყველაფერი დახურული იყო. მდინარის პირას გაშენებულ ესტრადის ცარიელ ნიჟარაში ორკესტრის ხმების ნაცვლად დუმილი სუფევდა. ახალ, ჩინებულ კოსტიუმში გაშოწყობილი, მარტოობის მოყვარული, მალალი და გამხდარი

კაცი სენატორი გიორგი ხელთუფლიშვილი ხელზე გადაკიდებული კოვერკოტის პალტოთი, ტროსტით, საჭაფხულო ხელთათმანითა და შლიაპით უკაცრიელ ხეივანში დინჯად დასეირნობდა, ნაძვის ქვეშ გრძელ სკამზე ჯდებოდა, ვოლტერის წიგნს „ფანატიზმსა და მართლმსაჯულებას“ კითხულობდა, ხოლო სხვანი — მუხრან ხოჭოლავა, გიორგი დადვაძე და ვარლამ კუტალაძე კი გზას განაგრძობდნენ, პირველ და მეორე ხეივნის გავლის მერმე ზეკარისაკენ მიმავალ გზას გაჰყვებოდნენ და დიდიმთავრის — გიორგი რომანოვის ყოფილ სასახლეს ეზოს მიადგებოდნენ, შიგ იჭვრიტებოდნენ და გალურსული შესძუძგურებდნენ. თავის ბელადს — ჟორდანიას თვალს თუ მოჰკრავდნენ ან ორიოდე წუთით მას გაესაუბრებოდნენ, ბედშეყრილნი სიხარულით ცას წვდებოდნენ, შინაურთ და გარეულთ ტვინს უბურღავდნენ და იკვეხნიდნენ: პრეზიდენტი ყოველ დღე საქვეყნო საკითხებზე გვეთათბირებაო.

სენატორების ცოლები და მათი მეგობრებიც არ ისხდნენ უსაქმოდ. ქალებს სახალხო გვარდიის ოფიცერი, კარისმერეთის ელამი მეფურნის შვილი დათიკო მენჯავიძე ართობდა. უსაქმო და მოცლილი მოაგარაკენი გამუდმებით ქალალდს თამაშობდნენ, წაგებულთ ნახშირით შუბლზე შავ ლაქას უსვამდნენ და ხარხარებდნენ. სურსათ-სანოვაგე საქართველოს დაბა-ქალაქებში, მათ შორის აბასთუმანშიც არ იშოვებოდა და რადგან დათიკო პურითა და შაქრით ამარაგებდა ქალებს, ესენიც ელამ მეფურნის ხეპრე და უმეცარ შვილს ფეხქვეშ ეგებოდნენ, ეფერებოდნენ, აქებდნენ და ცამდე აჰყავდათ, ულამაზეს კაცად, გმირად და ქალების გულისდამწველ რაინდად აცხადებდნენ.

კატო, ნელი, ვენერა, ალისა, დათიკო და დათიკოს მეგობარი ოფიცრები — ახმახი და მხრებაწეული შალვა ხმალაძე, ლამაზი, შავგვრემანი და კოხტა აპოლონ ნოზაძე, ქართველი კათოლიკე ექიმი იუზა კოკოჩაშვილი, რომლის დაც უნივერსიტეტდამთავრებულ ლამაზ ქალს ალისას კატოს ბედოვლათი ძმა ილიკო ეარშიყებოდა, ახალგაზრდა ექიმი მიქელ დავითაშვილი და სხვანი ხშირად ექსკურსიას აწყობდნენ. ხან „არაზინდოზე“, „გიორგის მოედანზე“ და „თამარის ცხენზე“ ადიოდნენ და ხანაც კლდეების ქარაფებიდან — „მოჯადოების კარებიდან“ მარბენალ, კალმახით სავსე, პატარა

მდინარეს მოინახულებდნენ. „მოჯადოებულ კარებთან“ უყვარდათ პურ-ღვინით მისვლა ექსკურსანტებს. თამადად მუდამ აპოლონ ნოზაძე ინიშნებოდა, რომელიც შინაბერა ქალს ვენერას მოსწონდა. აპოლონი მას განზრახ ეარშიყებოდა, ღვინოს აძალებდა. ერთხელ ქალს გული შეუწუხდა, წაიქცა, კრიჭა შეეკრა და ყველა საშინლად შეაშინა, მაგრამ ექიმმა მიქელ დავითაშვილმა ხელები ხელებში ჩასჭიდა, მისწი-მოსწია. ხელოვნური სუნთქვის, ყურებისა და მკერდის დასრესის მერმე ქალმა თვალები გაახილა და მიქელს დარცხვენით გაუღიმა. ექიმმა იუზას, კორნელის, დათიკოს და შალვას უჩურჩულა, ვენერას აპოლონის სიყვარული სტანჯავსო.

ჟორდანიას ქებით ყველაზე უფრო სენატორი ვარლამ კუტალაძე იჭაჭებოდა, მუხრან ხოჭოლავა კი თავს იკავებდა. ვარლამის მამა ლუკა კარისმერეთში მატყლით, ხალიჩით, ტარანით და მარილით მოვაჭრე, ერთი უწიგნო, ძუნწი, ღიპიანი და ჩაკურატებული კაცი იყო. რადგან ლუკა კუტალაძე მარილით ვაჭრობდა, მას კარისმერეთში „ლუკაია მემარილეს“ ეძახდნენ, ვარლამს კი — „მემარილეს შვილს“. ვარლამ კუტალაძე მამასავით ჩასუქებული, დაბალი, მოკლეკისრიანი და ბეერთივით მრგვალი კაცი იყო. მას პატარა, ლამაზი, შავგვრემანი სახე, პატარა ცხვირი, წითელი ბაგეები, ციცქნა ნიკაპი, შავი და ეშმაკი თვალები ჰქონდა, თავის ქალა კი — დიდი, რომელზედაც შავი კრაველივით დაკვარკნილი თმა წარბებამდე გაზრდოდა და ისედაც დაბალი შუბლი თითქმის მთლიანად დაეფარა. მას თავი ზღარბს უგავდა. ვარლამ კუტალაძე გიმნაზიის დამთავრების მერმე ცოტა ხანს შვეიცარიაში ცხოვრობდა. ბოლოს რუსეთში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, ქუთაისში დაიწყო ვექილობა და კარგი პრაქტიკა ჰქონდა. იგი ტკბილი და უშფოთველი ცხოვრების მოყვარული, ტიპიური ფილისტერი იყო, რომელსაც ფულის შოვნა და ქონების შეძენა ასულდგმულებდა. მხდალი, პანიკორი, მლიქვნელი, დილეტანტი კაცი, ცრუ ტრიბუნი და ნაცარქექია რევოლუციონერი, რევოლუციის მერმე მენშევიკებს მიემხრო. მან „დემოკრატიულ რესპუბლიკაზე“, „სოციალიზმზე“ და „შვეიცარიაზე“ პათეტიკური ლაპარაკით მენშევიკების ლიდერების გული მოიგო, მათი ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. მენშევიკებმა ის სენატორად გა-

ზადეს და ცნობილი იურისტების ხელთუფლიშვილის, ჯაფარიძის, მესხიშვილის, დადვაძისა და ხოჭოლავას გვერდით დასვეს.

უკანასკნელ ხანს კუტალაძე შემფოთებული იყო სხვადასხვა რაიონებში გახშირებული აჯანყების გამო. ამაზე ფიქრიც კი თავზარსა სცემდა: მთავრობა შესაძლოა დაამხონ და იგი მაშინ დაჰკარგავს არა მარტო თბილ ადგილს, არამედ უმსგავსო საქმეებისათვის პასუხისგებაშიც იქნება მიცემული. პოლიტიკური კამათის მერმე კუტალაძეს ღამით არ ეძინა, გულის შეტევები და ფრიალი სტანჯავდა. ბოლოს, ცხოველური შიში დაეუფლა. გამხდარი, წოწოლიკა ცოლი გულის გასაბრაგებელ წამალს ასმევდა.

საკვირველი ის იყო, რომ გულის ფრიალი დასჩემდა აგრეთვე ზორბა, სისხლსავსე ვაჟკაცს დათიკო მენჯავიძესაც. იგი განსაკუთრებით ღამით გრძნობდა თავს ცუდად, როდესაც შინ მარტო დარჩებოდა ხოლმე. ხშირად ვალერიანის წვეთებს სვამდა. ქალები სწუხდნენ, ებრალებოდათ გულით სნეული ოფიცერი და ყველანი თავს დასტრიალებდნენ. ბოლოს დათიკო ისე შეეჩვია ვალერიანის წვეთებს, რომ ნახევარი შუშაც აღარ მოქმედებდა მასზე. ყველას ეგონა, გულის ფრიალი დათიკოს ღვინის უზომო სმისაგან მოსდიოდა. დათიკო კი ამბობდა, აბასთუმანი ჩემთვის მაღალი ადგილიაო. ბოლოს კორნელიმ ექიმ იუზა კოკოჩაშვილისაგან შეიტყო, თუ რად უტყდებოდა ისე ხშირად გულის წუხილი იმ ზორბა და ჯანსაღ კაცს. ახალციხის ფრონტის უფროსის ბრძანებით, დათიკოს დაევალა დახვრეტა იმ ჯარისკაცებისა, რომლებმაც ადიგენის რაიონის აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ ომში წასვლაზე უარი განაცხადეს. ოცდაექვსი ჯარისკაცის დახვრეტას თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოეხდინა დათიკოზე და იგი იმ საზარელ სურათს ვერ ივიწყებდა, ნერვები ერთბაშად მოშლოდა. როდესაც ღამით თავის ოთახში მარტო დარჩენილს ჯარისკაცების დახვრეტა მოაგონდებოდა, მაშინვე გულის ფრიალი აუტყდებოდა, პირში სისხლის გემოს იგრძნობდა, ლოგინიდან წამოიჭრებოდა, ჩაიცვამდა, ქუჩაში შეშლილივით დაეხეტებოდა და განუწყვეტლივ იფურთხებოდა.

როდესაც კორნელიმ ჯარისკაცების სასტიკ დასჯაში მენ-

ჯავიძის მონაწილეობა გაიგო, მან უმალვე თავი გაანება მას. ახლა იგი დროს ვერბიცკისთან პოლიტიკაზე და მწერლობაზე საუბარში ატარებდა.

8

აბასთუმანი ერთბაშად დაცარიელდა. ორიოდე მოაგარაკეს თუ შეხვდებოდით ახლა ცარიელ ხეივანში. აცივდა. მდინარის ნაპირას ჩამწკრივებულ ალვის ხეებს კენწეროები გაუყვითლდა. კორნელი დიდ მოწყენას გრძნობდა. საღამო ჟამს, ეკლესიის ზარის მწუხარე ხმაზე იგი მარტო მიჰყვებოდა ხეივნებს და ხეების გაყვითლებულ კენწეროებს კაეშნით გასცქეროდა. თანაც ვიწრო ხეობის თავზე გადმომდგარ ლილისფერ ცის ტატნობზე თეთრი ღრუბლების ცურვა, მთის იქით მათი ჩაშვება, შექუჩება, მარაოსავით გაშლა და მზის სხივებისაგან ათასფრად ელვარება და ფერების თამაში ხიბლავდა.

ერთხელ, ალვის ხეების ხეივანი რომ გაიარა და ხიდთან შეუხვია, თამარის ციხე და შორს, მთის თხემზე დასული მზის უზარმაზარი, წითელი ბორბალი დაინახა, თითქო მზეს სისხლის ღვარი სდისო. შემოდგომის გრილმა ნიავმა დაუბერა. ალვის ხეები შეირხნენ და ჭარვისფერი ფოთლები დაკოდილი მალალფრებივით დაფრენდნენ ცარიელ გზაზე. მზე ერთბაშად ჩაეწვა ქედების იქით. აცივდა. ისევ მოვარდა ნიავი, ახლა ნაძვი და ფიჭვი შეირხა, აშრიალდა და მათი კენწეროებიდან გარდაგარდმო გაშვერილი, ბანჯგვლიანი თათებიდან კოკოლები ჩამოცვივდნენ. ნაძვისა და ფიჭვის შრიალმა ზღვის ტალღების ხმოვანება, ზღვის პირი, ქობულეთი მოაგონა კორნელის. მყისვე ბავშვის შორეული ტირილი, ძაღლის ყმუილი შეშოესმა და ტანში გააჟრჟოლა.

დამუნჯებულ და უკაცრიელ ხეივანში, საღამო ჟამს, მხოლოდ ნაღვლიანი ქალი და მამაკაცი მიდიოდნენ, უფრო სწორად — მისცურავდნენ აჩრდილივით.

კორნელიმ თვალი გააყოლა მათ და უმალვე პოლ ვერლენის ლექსი მოაგონდა:

ცარიელ ბაღის ყრუ ხეივანში
წარსულზე დარდით ვლიდნენ აჩრდილნი...

კორნელის ვიწრო ხეობიდან გაქცევა, ზეკარის უღელტეხილზე გადასვლა, ველად გაჭრა, ფართო ჰორიზონტების ხილვა, ქალაქში ჩასვლა, მეგობრებთან შეხვედრა, ცხოვრების ორომტრიალში გადაშვება, ბრძოლა და ჭიდილი მოუნდა...

3

ჭორიძე და ვერბიცკი ისევ ფოსტის ხშირი სტუმრები იყვნენ. რადგან ფოსტა კატოს აგარაკის მახლობლად იყო, ამიტომ კორნელიც ხშირად ხვდებოდა მათ.

ერთხელ კორნელიმ, ვერბიცკიმ და ჭორიძემ ზეკარის უღელტეხილისაკენ შორეული ექსკურსია მოაწყვეს. საუბარში გართულნი ისე შორს წავიდნენ, რომ ალპურ ზონასაც კი მიაღწიეს. აბასთუმანში საღამო ჟამს დაბრუნდნენ. სასახლის ბაღში შესასვლელ რკინის ფართო ჭიშკართან, ზამთრის პალტოებით, მთავრობის წევრები იდგნენ. კორნელი გაოცდა, როცა მათ შორის ესტატე მაყაშვილი დაინახა. მაყაშვილს ახალციხეში ჯიბოსთან ყოფნის დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ თავისი დანიშვნა შეეტყო და პრეზიდენტთან მადლობის მოსახსენებლად აბასთუმანში ჩამოსულიყო.

ჟორდანია და მისი მინისტრები სენატორებთან— დადეანთან, ხოჭოლავასთან, კუტალაძესთან და კორნელისათვის უცნობ პირებთან იდგნენ.

ვერბიცკიმ ბაღს ჩაუარა და ჟორდანიას მიესალმა.

— საიდან მოდიხართ, ივანე ალექსანდრეს ძევ? — ჰკითხა ჟორდანიამ.

ზეკარის უღელტეხილზე ვიყავი, ნოე ნიკოლოზის ძევ, — შეჩერდა და ისე მიუგო ვერბიცკიმ.

— ო, რა შორს წასულხართ! — მაშასადამე, ავადმყოფობისათვის გიჯობნიათ. აბასთუმნის ჰაერი მართლაც სასწაულს ახდენს, — თქვა ჟორდანიამ, თავი ასწია და ფიქვითა და ნაძვით დაფარული შავნაბადა მთები შეათვალიერა.

— დიახ, აბასთუმანს ვერც ერთი აგარაკი ვერ შეედრება, — გაიზიარა ვერბიცკიმ ჟორდანიას აღტაცება და ხელი ჩამოართვა. მერმე მინისტრებს, სენატორებს მიესალმა და ესტატე მაყაშვილი გააცნო.

— აბასთუმანი, ჰეშმარიტად ჩინებული კურორტია, —

გატაცებით განაგრძობდა ჟორდანია. — მაგრამ, ივანე ალექსანდრეს ძევ, საქართველოში სადაც არ გაიხედავ, განა ყველგან აგარაკი არაა! აიღეთ ბორჯომის თვალწარმტაცი ხეობა, ქვიშხეთიდან ბაკურიანამდე! ახლა ჩვენი შავი ზღვის სანაპირო საზღაპრო ნაპირები! მინერალური ჩვენი უამრავი წყლები, წყალტუბო, მაგალითად! მითხარით, სად არის ქვეყნად ასეთი რამ? სად ნახავ საქართველოზე მდიდარ და ლამაზ ქვეყანას? შეიძლება ქვეყნის რომელიღაც კუთხეში, რომელიმე ტროპიკულ ქვეყანაში უფრო ზღაპრული ბუნება იყოს, მაგრამ საქართველოში არსებული მრავალფეროვნება არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია. ჩვენში სუბტროპიკული, ზომიერი, ბაღველების, ტყისა და მთის, ალპიური და ზეალპიური ზონები არის და მარადი თოვლითა და ყინულით დაფარული ბემბერაზი ქედების ზონაც. საქართველო მთისა და ზღვის აგარაკების ქვეყანაა. მართალია ჯერჯერობით ჩვენი აგარაკების კეთილმოწყობით ვერ დავიკვეხნით. აუცილებელია ისინი თვალსაჩინო სიმაღლემდე ავიყვანოთ. მაგრამ გვაცალეთ, მოგვაშორეთ სამხედრო თავდასხმის საშიშროება და ხუთი ან ათი წლის მერმე საქართველო აგარაკების, ვენახების, ჩაის პლანტაციების, ხეხილის სანიმუშო ქვეყნად იქცევა. დიდი ინდუსტრია, მართალი გითხრათ, ჩვენ არ გვჭირდება, მანქანებს და ყოველგვარ ტექნიკურ მოწყობილობას ევროპიდან შემოვიტანთ და გულისყურს სანატორიუმების, სასტუმროების, მთამსვლელთათვის სადგურების მშენებლობებისაკენ მივმართავთ. ჩვენ ხელს შევუწყობთ მთამსვლელობას. მთაში გვირაბებს გავიყვანთ. კიდულ რკინიგზებს გავაშენებთ... საერთოდ, ჩვენი მიზანია — საქართველო მეორე შვეიცარიად ვაქციოთ.

ჟორდანია მის მიერ აკვიატებულ, საყვარელ საგანზე დიდხანს შეჩერდა. მას სჭირდა ეგ სენი. შვეიცარიის სახელმწიფოებრივი წყობილება, მისი ცხოვრება და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ჟორდანიას სანიმუშოდ მიაჩნდა იმ „დემოკრატიული სამოთხისათვის“, რომლის შექმნასაც ის საქართველოში აპირებდა. ის ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა სააგარაკო საქმის განვითარების პერსპექტივებზე, თითქო სხვა ყველა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური პრობლემა გა-

დაწყვეტილი იყო და ქართველ ხალხს ახლა მხოლოდ აგარაკები ეჭირვებოდა.

პირმოთნე მინისტრები და სენატორები სულგანაბული უყურებდნენ მეოცნებე პრეზიდენტს და ყოველ მის სიტყვას კვერსა სცემდნენ, განსაკუთრებით — კუტალაძე.

ქორიძემ მოსაუბრეებთან მისვლა გადაწყვიტა და კორნელის ცალყბად შესთავაზა:

— ნოე რაღაც საინტერესოს ლაპარაკობს, წავიდეთ, მოვუსმინოთ.

კორნელი რამიშვილთან და ესტატე მაყაშვილთან შეხვედრას გაურბოდა, დაღლილობა მოიმიზეზა და შინ წავიდა.

ქორიძე მოსაუბრეთა ზურგს უკან აიტუზა. პრეზიდენტისათვის რომ უკეთ მოესმინა, კისერი წაიგრძელა და ყურზე ხელი მიიფარა, ხახა გაღებული დარჩენოდა, რაც გამოლენჩებული კაცის გამომეტყველებას ანიჭებდა მის სახეს.

— მე დიდხანს ვცხოვრობდი შვეიცარიაში, — განაგრძობდა ჟორდანია, რომელიც, ყოველი მოხერხებული შემთხვევის დროს, უცხოეთში ყოფნით იკვეხნიდა. — შვეიცარია მშვენიერი ქვეყანაა! მაგრამ საქართველოსთან ისიც ვერ მოვა... რა სიმდიდრე არ მოიპოვება ჩვენში?! ამიტომ ილაშქრებდნენ გამუდმებით მეზობელი სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

— მაგრამ მაშინ, — გააწყვეტინა სიტყვა პრეზიდენტს რამიშვილმა, — ჩვენ ევროპა თითქმის არ გვიცნობდა, ახლა კი ყველა გვიცნობს. ახლა ევროპის ყველა სახელმწიფო ჩვენს მხარეზეა, ჩვენ მხარს გვიჭერს მეორე ინტერნაციონალი.

— დიახ, — დაეთანხმა რამიშვილს ჟორდანია და ვერბიცკის მიუბრუნდა: — თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომ ახლო ხანში, ჩვენი ქვეყნის გასაცნობად საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ჩამოდის.

— ვინ შედის იმ დელეგაციაში? — დაინტერესდა ვერბიცკი.

— მაკდონალდი, გენდერსონი, სნოუდენი, ტომას შოუ, ვანდერველდე, დე-ბრიუკერი, რენოდელი, ინგლისი... — ზუსტად ჩამოთვალა ჟორდანიამ და მოწრწებით დასძინა: — ეს ჯიდევ არაფერი. მალე კარლ კაუტსკიც გვეწვევა.

— კაუტსკის ჩამოსვლა უთუოდ ასწევს ჩვენი რესპუბ-

ლიკის პრესტიჟს და განაცხადებს მის საერთაშორისო მდგომარეობას, — შენიშნა რამიშვილმა.

— ეს დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის! საბჭოთა რუსეთი თუ თავს დაგვესხა, მაშინ ჩვენ მეორე ინტერნაციონალი აღმოგვიჩენს დახმარებას! — აღტაცებით დაიძახა კუტალაძემ. მაგრამ ესტატე მაყაშვილმა ოდნავ დააცხრო მისი აღტკინება:

— არ უნდა გვაგრძნობდეს, რომ მეორე ინტერნაციონალს არ მოეპოვება შეიარაღებული ძალები და საბჭოთა რუსეთთან ომის შემთხვევაში მის მხრივ რეალური დახმარების იმედი ნუ გექნება.

— თქვენ ცდებით, — გაუკვირდა რამიშვილი, — მეორე ინტერნაციონალისაგან ბევრი რამ არის აშკარად დამოკიდებული ევროპის პოლიტიკაში. მეორე ინტერნაციონალის ბელადები, აშკარად, განა ევროპის ბევრ სახელმწიფოთა მესვეურები არ არიან! მეორე ინტერნაციონალის დახმარებით ანტანტამ საბჭოთა რუსეთი კინაღამ დააძარცხა.

— ვფიქრობ, არც ერთი თქვენთაგანი ამას არ მოისურვებდა, — შენიშნა ვერბიცკიმ. — საბჭოთა რუსეთის დამარცხება უთუოდ მონარქიის რესტავრაციას გამოიწვევდა.

— ბოლშევიკები მოესწრებიან რესტავრაციას და ეს გარემოება თავის თავს დაიბრალონ, აიჩემეს სოციალიზმის მშენებლობა აგრარულ, ჩამორჩენილ ქვეყანაში, — განაცხადა ჟორდანიამ. მხრები ნერვიულად აიჩეჩა და შეათამაშა.

— რუსეთში დამყარებული ახალი წყობილებით დიდად არიან დაინტერესებული მთელი ქვეყნის პროგრესული ადამიანები, — შეედავა ვერბიცკი. — ოქტომბრის რევოლუციაში ისინი ხედავენ მარქსისა და ენგელსის მიერ რუსეთზე თქმული სიტყვების განხორციელებას, რომ რუსეთი ევროპაში რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს წარმოადგენს, ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ ბიძგი რუსეთიდან მოვა და ეს იქნება უახლოესი მობრუნების არე მთელს მსოფლიო ისტორიაშიო.

ჟორდანია და რამიშვილი წამიერ დაიბნენ და უმალ ვერ უპასუხეს ვერბიცკის. ბერძე ჟორდანია შეტოკდა და მიუგო:

— სიტყვები: „ბიძგი რუსეთიდან მოვა“ — ნაშნავს, რომ რევოლუცია, მაშასადამე, არა რუსეთში, არამედ მაინც ევ-

რობაში მოხდება, კაპიტალიზმის კლასიკურ ერთ-ერთ ქვეყანაში. გარდა ამისა, მარქსს და ენგელსს არ უთქვამთ, რომ ის რევოლუცია პროლეტარული იქნებაო...—ჟორდანია უკანასკნელ საბუთს მოეკიდა: — დასავლეთის, მისი მეცნიერებისა და ტექნიკის მხარდაჭერის გარეშე რუსეთი ვერ შესძლებს ცივილიზებული ქვეყნების ავანგარდში ყოფნასა და წინმსვლელობას.

— ჰო, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის მერმე კარლ კაუტსკიც ხაზს უსვამდა ევროპაში რუსეთის განსაკუთრებულ რევოლუციურ როლს.

— რაც გინდა იყოს, ჩვენ არ შეგვიძლია ამჟამად ანგარიში არ გავუწიოთ საბჭოთა რუსეთის რეალურ ძალას, — ჩაერია კამათში სენატორი გიორგი დადვაძე. — მას შემდეგ, რაც მასთან ბრძოლაში ანტანტამ დამარცხება განიცადა, ცივილიზებული ევროპაც კი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ახალ საბჭოთა სახელმწიფოს.

— ეს უდავოა, მაგრამ ანტანტასა და საბჭოთა რუსეთს შორის ბრძოლაში ჩვენ ხომ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, —შეკრთა ჟორდანია და იძულებული გახდა იქვე ეღიარებინა: — მთელი უბედურება ის არის, რომ საქართველო ახლა მწვავე კრიზისს განიცდის. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულია. აქ კიდევ აღარ გვასვენებს ბოლშევიკური აგიტაცია, რომელიც უთუოდ გვაიძულებს ანტანტაზე ორიენტაცია მოვახდინოთ. რუსეთში ბოლშევიკებმა შესძლეს დაერწმუნებინათ თავისი მუშები და გლეხები, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელია ყველა გაჭირვების გადატანა. ჩვენ მუშებს კი არავითარი გაჭირვების გადატანა არა სურთ, — დაამთავრა მან გაჯავრებით.

— მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მუშები უფრო ნაკლებ გაჭირვებას არ განიცდიან, ვიდრე რუსეთში, — გაუბედავად შენიშნა ქორიძემ. — მუშები ნამდვილად შიმშილობენ... სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი პარტიული ამხანაგი ამას ვერ ხედავს ან კიდევ სრული გულგრილობით ეკიდება.

ყოველივე ეს ქორიძეს პარტიული ამხანაგების ვიწრო წრეში რომ ეთქვა, მაშინ ჟორდანიას და რამიშვილს, შესაძლოა, არ მიექციათ მისი სიტყვებისათვის რაიმე ყურადღება, მაგ-

რამ მან აშკარად გამოთქვა თავისი ანტიპარტიული აზრი უცხო პირების — ვერბიცკის, მაყაშვილისა და დადვაძის თანდასწრებით.

— სამწუხაროა ის არის, — მოუჭრა მას რამიშვილმა, — რომ ჩვენს შორის არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის გარედაც შექმნილ რთულ ვითარებას და თავიანთი ლაყბობისა და პოლიტიკური უმეცრების გამო ჩვენს საქმეს მხოლოდ ზიანს აყენებენ.

— დღეს, — დაიწყო ჟორდანიამ, — ჩვენი ამხანაგები სხვადასხვაგვარად ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე, ცალ-ცალკე მოქმედებენ და ამით ჩვენ შინაურ ოჯახში უთანხმოება შეაქვთ. პარტიაში უკვე აღარ არის ერთი აზრი და ერთიანობა.

ჟორდანიას ამ აღიარებამ მისი მინისტრები შეაშფოთა, მაგრამ პრეზიდენტი სინამდვილის უფრო სავალალო სურათის ხატვას განაგრძობდა:

— შეგნებული დემოკრატია, — ამბობდა ჟორდანია, —იდეისათვის ყველაფერს იტანს, ოღონდაც უკეთესი მომავალი დამკვიდრდეს. ამ მხრივ, ვიმეორებ, ბოლშევიკებმა რუსეთში ხელსახებ შედეგებს მიაღწიეს. ბოლშევიკები შთააგონებენ მუშებსა და გლეხებს იმ აზრს, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის, იდეის სიყვარულისათვის საჭიროა ყოველგვარი გაჭირვების გადატანა. და, ისინი — მუშები ასეთ გაჭირვებას იტანენ, ოღონდაც იდეამ გაიმარჯვოს. ჩვენი მუშები კი სხვანაირად მსჯელობენ: თუკი სახელმწიფო სოციალისტების ხელშია, მაშინ ჩვენ კარგად უნდა ვიცხოვროთ, რატომ უნდა ვიტანდეთ ჩვენ გაჭირვებასო? ჩვენივე პარტიული ამხანაგები გაფიცვებს გვიწყობენ, ჩვენს წინააღმდეგ, თავისი მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ!

— მე ყოველთვის ვშიშობდი, — სწუხდა რამიშვილი, — რომ მუშების მაქსიმალური მოთხოვნილებანი უთუოდ დაღუპვამდე მიგვიყვანდა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ საჭიროა მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება, მაგრამ თქვენ ელოლიავებით და თავზე ხელს უსვამთ მუშებს.

— რამიშვილი და ჟორდანია აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ მუშებით. მაგრამ ჭორიძემ ისევ გაუბედავად შენიშნა:

— ჩვენი მუშები ყოველთვის რევოლუციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ და მათთან ერთად მიდიოდნენ. უკეთესი მომავლისათვის ისინი უყოყმანოდ სწირავდნენ ყველაფერს. საკითხავია: რატომ არიან ისინი ახლა ჩვენი — სოციალისტების პოლიტიკით უკმაყოფილონი? ნუთუ ეს არ უნდა გვაინტერესებდეს? ნუთუ არ უნდა ვკითხოთ მუშებს, რა სურთ მათ?

— მათ რუსული პური უნდათ, — დაცინვით შენიშნა რამიშვილმა. — საერთოდ მათ, როგორც შენ, რუსებთან მეგობრობა მოსწონთ, თუნდაც უკანასკნელი ბოლშევიკები იყვნენ.

— მერმე რა? ეს მეტად გასაგები რამ არის, როცა ხალხს ხალხთან მეგობრული ცხოვრება სურს. მით უფრო გასაგებია ეს, როცა საკითხი რუს და ქართველ მუშებს ეხება, — შეშვიდად მიუგო ვერბიცკიმ.

— ჰო, მაგრამ ჩვენ — სახელმწიფო მოღვაწეები ვალდებული ვართ გრძნობა გონებას დავუმორჩილოთ. ხშირად პოლიტიკაში ჩვენ სხვა მოსაზრებებით ვხელმძღვანელობთ, ვიდრე მუშები.

— ეხმიანებიან მერმე ეგ მოსაზრებები მუშების ინტერესებს? — ჰკითხა ჭორიძემ.

— ჩვენ მათ არ ვკითხავთ ამას. ისინი წავლენ იმ გზით, რომელსაც ჩვენ ავირჩევთ, — მოუჭრა აბეზარ მოკამათეს რამიშვილმა. — პირდაპირ ვიტყვი, მე დავრწმუნდი იმაში, რომ მუშათა კლასი ეროვნულ ინტერესებს უგულველჰყოფს... ეს ბრბოა, რომლის გამოყენება უნდა იცოდე არჩევნებში ხმის მიცემის დროს...

— რას ამბობთ, რას ამბობთ. — გაოცებით დაიძახა ვერბიცკიმ, მაგრამ უმალვე თავი დაიჭირა და კამათი აღარ დაიწყო.

ჟორდანია შეეცადა რამიშვილის სიტყვებით შექმნილი უხერხული შთაბეჭდილება გაეფანტა. მან დაიწყო საუბარი საზოგადოებრივი კლასების თანამშრომლობაზე, მთავრობის პოლიტიკაზე, რომელიც ერის საერთო ინტერესებს თითქო ყველაზე მაღლა აყენებს. პრეზიდენტი უკმაყოფილებას გა-

მოთქვამდა, რომ მუშები უარს ამბობდნენ გაეგოთ ის საერთო ნაციონალური ინტერესები, მაგრამ ვერავითარი ლამაზი ფრაზები ვერ გაამართლებდა რამიშვილის სიტყვების აზრს.

ვერბიცკი, ქორიძე და დადვაძე დუმდნენ, მაყაშვილი და კუტალაძე კი, პირიქით, აღტაცებაში მოვიდნენ რამიშვილის ტირადით, რომელშიც მან მუშათა კლასს „ბრბო“ უწოდა. კუტალაძემ იმ ტირადას ისტორიული მნიშვნელობის ფორმულა უწოდა. საერთოდ მენშევიკების ლიდერები ხშირად მლიქვნელურად უწოდებდნენ ერთმანეთის უნიჭო, ტრაფარეტულ და გაცვეთილ სიტყვებს „ისტორიული მნიშვნელობის სიტყვებსა და გამოსვლებს“. ანას აღბათ კარიერის გაკეთების, ნდობის დამსახურების და ათასგვარი სხვა ქვენა ზრახვების გამო სჩადიოდნენ. მაგრამ კუტალაძე მწვრალზე დარჩა. მეორე დღეს პრეზიდენტმა მეტისმეტად მგზნებარე სენატორი კუტალაძე გამოიძახა და უბრძანა, რამიშვილის „ისტორიული“ ფორმულის შემდეგი კომენტარებისაგან თავი შეეკავებინა. რამდენიმე წლის მერმე, ემიგრაციაში ყოფნის დროს, მენშევიკების ლიდერებმა უფრო გაბედული ფორმით გაიმეორეს აბასთუმანში საუბრის დროს რამიშვილის მიერ წამოსროლილი სიტყვები მუშების როლის გამო.

ვერბიცკი

> მისი გმირობა — ეს რუსეთში არაიშვიათი მოკრძალებული, ასკეტური მოღვაწეობაა პატიოსანი რუსი ინტელიგენტი-რევოლუციონერისა, რომელიც ურყევად არის დარწმუნებული, რომ სოციალური სამართლიანობის დამყარება დედამიწაზე შესაძლებელია.
>
> მ. გორკი

I

ვერბიცკის ძილი გაუკრთა. ადგა, ტანთ ჩაიცვა, ჭუჩაში გავიდა და ხეივანში გაისეირნა. მოჭარბებული ფიქრებისაგან თავი სტკიოდა. ქარმა დაუბერა. შესცივდა. ბაზარის ღილები შეიკრა და ალვის ხეს მხარით მიეყრდნო. აგარაკებში სინათლე ჩაექრათ და ჭუჩაში ბნელოდა. მხოლოდ აქა-იქ

ცნობილებდნენ დიდი ჭარსკვლავები ერთმანეთზე მიჯრილ, მაღალ მთებს შორის გამოჩენილ ცაზე. ვიწრო ხეობას პატარა მდინარის ხმაურობა ავსებდა.

„საიდან სად მომიყვანა ბედნა, საქართველოს განაპირა კუთხეში, აბასთუმანში, თურქეთის საზღვართან, — ფიქრობდა ვერბიცკი. — ნუთუ ჟორდანიას მართლა ჰგონია, რომ იგი მეორე შვეიცარიას ქმნის? ნუთუ ის ვერ ხედავს, როგორ იღუპებიან სიღატაკისა და შიმშილის გამო მუშები? ჟორდანია და რამიშვილი უკმაყოფილონი არიან მუშებით და გლეხებით, რადგან ისინი მათი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან. სწორედ ამიტომ ლანძღავს და აშავებს რამიშვილი მთელ მუშათა კლასს. იგი მუშათა კლასს ერის მოღალატედ სახავს. აი, ნამდვილი სახე მეორე ინტერნაციონალის მენშევიკ-სოციალისტებისა! მოდი და ამის მერმე საერთო ენა გამოძებნე მათთან!“ — აღშფოთებას გამოსთქვამდა ვერბიცკი... მას გული წყდებოდა იმაზე, რომ მისი ამოცანა: გამოენახა საერთო ენა ჟორდანიასთან და გაეთავისუფლებინა იგი მენშევიკ დიქტატორის — რამიშვილის გავლენისაგან. იფუშებოდა. ამ ამოცანას ამდენ ხანს ვერბიცკი, ასე თუ ისე, წარმატებით ასრულებდა. მას შველოდა საქართველოში შექმნილი სულ უფრო და უფრო გართულებული და გამწვავებული პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, დენიკინის არმიის განადგურება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აზერბაიჯანში და პილსუდსკის პოლონეთთან ომში წითელი არმიის გამარჯვება.

იგი კმაყოფილი იყო, რომ ამას წინათ შესძლო საჭირო ცნობების მიღება. ჟორდანიამ უარჰყო სარდლობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების საგრძნობ შევსებას, საბჭოთა აზერბაიჯანთან საზღვრებზე, თბილისის მისასვლელებზე ცხენოსნების ათვებას.

„იქნებ, — ანგარიშობდა ვერბიცკი, — ჟორდანიას უარი გამოწვეულია დიდი ხარჯების გაწევის შეუძლებლობით და რეგულარული ჯარის და მისი ოფიცრების წინაშე შიშით... იქნებ ეს ჟორდანიას მერყეობის ახალი ნიმუშია. ან იქნებ აქაც რამიშვილის ხელი მუშაობს; ის აშკარა არჩევანს ახ-

დენს ანტანტის დახმარებაზე, სურს მოკავშირეთა ჯარები საქართველოში შემოუშვას, და მაშინ საქართველო მიიღებს მისთვის ასე საჭირო სესხს, პურს, იარაღსა და საქონელს...“

2

ვერბიცკი ნელა გაჰყვა ხეივანს. მალე მან გრძელ სკამზე მჯდარი კაცი შენიშნა. სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ იყო იგი და წინ ჩაუარა. ცოტა ხნის მერმე მოიხედა. უცნობი ამდგარიყო და ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა უკან. ვერბიცკი შეჩერდა.

— რა არის, ივანე ალექსანდრეს ძევ, შუაღამით რომ დასეირნობთ ხეივანში?! — ჰკითხა უცნობმა.

— კორნელი, თქვენა? — დამშვიდდა და ისე მიუგო ვერბიცკიმ.

— არ დამეძინა და ჰაერზე გამოვედი. თქვენ კი რატომ მოსულხართ აქ? მგუზას დაეძებთ?

— დავეძებ, მხოლოდ არა მგუზას.

— მაშ რას?

— გამოსავალს ამ მდუმარების და საშუდამო სევდის ხეობიდან.

— მეც მომწყინდა აბასთუმანში. შინ წასვლა მომინდა... კორნელი და ვერბიცკი ხეივანს გაჰყვნენ.

— რისთვის გამოიქეცით და არ ინებეთ თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებთან მისვლა და მათი საუბრის მოსმენა? — მოულოდნელად ჰკითხა ვერბიცკიმ.

— ისინი, რომლებიც ჩემი ქვეყნის ჭეშმარიტი ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყვნენ, ჟორდანიამ და რამიშვილმა დააპატიმრეს, ციხეში ჩაჰყარეს და გადაასახლეს. მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ მათ სასახლეებიდან საპატიმროებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, — მიუგო კორნელიმ.

— რისთვის მეუბნებით ყოველივე ამას. — შეკრთა და ისე ჰკითხა ვერბიცკიმ. — თქვენ მე ხომ არ მიცნობთ!

— მე თქვენ გიცნობთ იმდენად, რომ ვფიქრობ არ გამცემთ, — მიუგო კორნელიმ.

— მე მართლაც არასოდეს არ გაგცემთ. მაგრამ თქვენ პოლიტიკურ შეხედულებას ყველას აშკარად თუ მოახსენებთ

და მენშევიკების ლიდერების ძაგებას დაიწყებთ, ცოტა არ აცდებათ. — ასწავლიდა ვერბიცკი ზომაზე მეტად მგზნებარე და გულმართალ ჭაბუკს.

— მე ისედაც პატიმრად ვგრძნობ თავს ჩემს სამშობლოში.

ვერბიცკი და კორნელი გრძელ სკამზე დასხდნენ. ისევ ბრწყინავდნენ და კაშკაშებდნენ დიდრონი ვარსკვლავები. ღამის მძაფრ სიჩუმეს და მყუდროებას მხოლოდ მთის პატარა მდინარის ხმაური არღვევდა.

— მითხარით, ივანე ალექსანდრეს ძევ, — დაიწყო ცოტა ხნის დუმილის მერმე კორნელიმ. — თქვენ არ გაოცებთ, რომ ჩვენ ღამით, სადღაც, ამ მიყრუებულ ხეობაში მარტონი ვზივართ? თანაც კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს და მაინც უხილავი ძალა გვეზიდება ერთმანეთისაკენ... ნუ დამიმალავთ, მითხარით, რამ ჩამოგიყვანათ თქვენ აბასთუმანში? ნუთუ მარტოკა სენმა?

— მაშ კიდევ რამ? — გაუკვირდა ვერბიცკის.

— თქვენ საკვირველი ქალის შეხედულება გაქვთ.

— ჭლექიანებს ხშირად გარეგნულად ვერაფერს შეატყობ.

— მეც მეგონა, ჭლექი ბჭირდა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დაბრუნდა... ალბათ ციხემ გამლახა...

— რისთვის იყავით ციხეში?

— ისე, შემთხვევამ მოიტანა...

— მაინც რისთვის? მე მგონია, რომ თქვენ სიმართლის თქმისა გეშინიათ, მაგრამ მე მომწონს თქვენი სიფრთხილე.

— რა სიფრთხილე!.. სიმართლე თუ გინდათ გითხრათ, თქვენც, ძია ვანო, მუდამ რაღაც სიფრთხილეს იჩენთ. არ კი გეწყინოთ, „ძია ვანოს“ რომ გეძახით. ეს ისე, მომაგონდა სამხატვრო თეატრის მიერ თბილისში შარშან გამართული გასტროლები... კაჩალოვი შესანიშნავად თამაშობდა ჩეხოვის „Дядя Ваня“-ს და მასაც ასეთივე გრძელი წვერი ჰქონდა, როგორც თქვენ.

— ცხონებულ მამაჩემსაც სწორედ ასეთი წვერი ჰქონდა.

— თქვენი მამა, ალბათ, ძველი ყაიდის და ადათის კაცი იყო. მაშ დროს მასეთ წვერებს ატარებდნენ, თქვენ კი წვერი სრულიად არ გიხდებათ. თითქო მიგიწებებიათო...

— უცნაურად ლაპარაკობთ, კორნელი გიორგის ძეო! რას დაეძებთ ჩემს წვერს — ოდნავ შეკრთა და ისე მიუგო ვერბიცკიმ. — უკვე აცივდა და გვიანაც არის. შინ წავიდეთ! — ამ წამოდგა, კორნელის მკლავში ხელი გაუყარა და ხიდისაკენ წაიყვანა. კორნელიმ იგრძნო მკლავში მაგრად მოჭერილი მისი ხელის ძალა.

ვერბიცკი ხიდზე გამოემშვიდობა. მერმე ვერბიცკი აბასთუმანში კორნელის დიდხანს აღარ უნახავს.

8

რამდენიმე დღის მერმე ვერბიცკი თბილისიდან დაბრუნდა და უმალვე შეცვალა კორნელისადმი თავისი დამოკიდებულება. მათ შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა და ისინი ხალე წამდვილად დამეგობრდნენ. მათ ახლა ყოველდღე ერთად ხედავდნენ — ქუჩაში, ხეივნებში, ტყეში, ფოსტაში, აბასთუმნის მიდამოებში და მის გარეთაც.

ვერბიცკის წიგნების აღმოჩენის საოცარი ნიჭი ჰქონდა, ყველგან, სადაც კი ყოფნა მოუხდებოდა. ასე მოხდა აბასთუმანშიც. ყველაზე მეტად ისინი ჩეხოვსა და გორკის კითხულობდნენ.

ვერბიცკი კორნელის ეუბნებოდა, რომ ლენინმა, გორკისთან საუბარში, მის „დედას“ საჭირო და მეტად თანამედროვე წიგნი უწოდა და რწმენა გამოთქვა, რომ ბევრი მუშა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად მონაწილეობდა, და ახლა ისინი თავისთვის დიდი სარგებლობით წაიკითხავენო „დედას“.

ვერბიცკი კორნელისათვის მთელი აღმოჩენა იყო. ამ ტიპიურ რუს ინტელიგენტში, რევოლუციონერში, კორნელის ანცვიფრებდა სიკეთე, მოკრძალება, გულისხმიერება და პატიოსნება, მისი წყურვილი ყველაფრის გაგებისა, ფართო ცოდნა, ნათელი მსოფლმხედველობა და კაცობრიობის დიადი მომავლისადმი ურყევი რწმენა. ვანო მახათაძის მერმე ეს მეორე კაცი იყო, რომელმაც დიდი გავლენა იქონია კორნელიზე.

იგი ხშირად უყვებოდა კორნელის საინტერესო ეპიზოდებს თავისი ცხოვრებიდან. ვერბიცკი კი ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში. იგი ტექნო-

ლოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

ვერბიცკიმ კორნელის შესთავაზა „გოჯასპირისა“ და „დარო“-ს საერთო ძალით გადათარგმნა რუსულ ენაზე.

კორნელი, ისე როგორც აბასთუმნის ყველა მოაგარაკე, დაჯერებული იყო, რომ ვერბიცკი გამოჩენილი მემარცხენე სოციალ-დემოკრატია, რომ იგი ჩამოვიდა რუსეთიდან აბასთუმანში ჭლექის სამკურნალოდ და, ისარგებლა რა თავისი ჩამოსვლით საქართველოში, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მჭიდრო და მეგობრული კავშირის ქომაგად გამოვიდა. ვერბიცკი დაჟინებით და დამაჯერებლად ამტკიცებდა ჟორდანიასთან საუბარში, რომ საქართველო მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირში მოიპოვებდა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ხოლო ანტანტასთან კავშირი კი მას კოლონიად აქცევდა. ეს მისი ღრმა რწმენა იყო. მან საქართველოს ისტორიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, ისეთი უანგარო სიყვარული გამოიჩინა ქართველებისადმი, ისეთი უდავო საბუთები მოჰყავდა თავისი დებულებების დასაცავად, რომ მენშევიკებს შორისაც კი თითქმის ვერავინ შეედავებოდა. იგი მეტად პოპულარული კაცი გახდა საქართველოში და საყოველთაო სიყვარული და თბილისელების პატივისცემა დაიმსახურა.

თბილისიდან ჩამოსვლის მერმე ვერბიცკის იმედი ჩაესახა, რომ საქართველოში აჯანყების მოხდენისა და მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში, ჟორდანია და მისი ჯგუფი, გარკვეული პირობების დაცვისას, შესაძლოა კომუნისტებთან შეთანხმებაზე წასულიყვნენ.

4

ჟორდანია, მინისტრები და სენატორები თითქმის ყველაზე გვიან წავიდნენ აბასთუმნიდან. მათ თანამდებობის პირნი და თითო-ოროლა დარჩენილი მოაგარაკენიც მიჰყვნენ. მალე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. აბასთუმანი დაცარიელდა. ერთადერთი მოაგარაკენი მგონი კორნელი, კატო, მისი ძმა ილიკო და ვენერა იყვნენ. ეტლები ბორჯომიდან და ახალციხიდან აბასთუმანში აღარ ჩამოდიოდნენ, აბასთუმანში კი ეტ-

ლი, ფურგონი და ორთკალა არ იშოვებოდა. სტეფანე ბათუმის გიმნაზიის დირექტორად დაენიშნათ და. მეკირებისამებრ, აბასთუმანში ვერ ჩავიდა. კორნელი, ილიკო და კატო კი მგზავრობის საკითხში მოურხერხებელი აღმოჩნდნენ. კატომ აღარ იცოდა ბორჯომში როგორ ჩასულიყო. იგი შეშინდა და თავგზა დაებნა. კორნელიც უმწეო აღმოჩნდა და ეკალზე იჯდა. ეტლის ცდაში კი დრო დუნედ, გულისდამაღონებლად გადიოდა და მოაგარაკენი ღელავდნენ.

სექტემბერი ილეოდა. საგრძნობლად აცივდა. ღამით სახურავები და ხეები თრთვილითა და ჭირხლით იფარებოდნენ და გუბეების ზედაპირი იყინებოდა, ვიწრო ხეობაში, მდინარის პირას ჩარაზმული ალვის ხეები წარმტაც სანახაობას წარმოადგენდნენ. ალვის ხეებს არა მარტო კენწეროებზე, არამედ ტოტებზეც გაუყვითლდნენ ფოთლები, თითქო ქარვისფერი საბურავი წამოისხეს და მზიან ამინდში გაშუქებულნი ერთბაშად აბრიალებულ ჩირაღდნებსა ჰგვანანო. ნაძვსა და ფიჭვში აქა-იქ გარეული წიფლის, კვრინჩხის, პანტის, ღვიის, შინდის, კუნელის, უსურვაზისა და თრიმლის ყვითელი და წითელი ფოთლები ქარვისფრად, სისხლისფრად ქათქათებდნენ, ხასხასებდნენ და მთის კალთებს უცხო ხალიჩასავით ამკობდნენ. კორნელი მათი ცქერით ვერ ძღებოდა. მგზავრობამ მალე ამინდი შეიცვალა, კიდევ უფრო აცივდა, მთები ნისლით დაიბურა და წარმტაცი სურათიც წაიშალა.

კატო დარბოდა და თავის თავს უწყრებოდა, თაფლივით დამტკბარ შემოდგომის დღეებს რომ დაეხარბა და მამიდაშვილთან — ვარლამ კუტალაძესთან ერთად არ წავიდა აბასთუმნიდან. მაწლს საყვედურს ეუბნებოდა: შენს გამო ჩავრჩი აბასთუმანშიო. კორნელი გაბრაზდა და ზეკარის უღელტეხილით ბაღდათში მიმავალ ჩალვადრებს კინაღამ არ გაჰყვა. ბოლოს ოფიცერმა აპოლონ ნოზაძემ ფურგონი გამოითხოვა ახალციხიდან.

მოაგარაკენი აბასთუმნიდან დილით გავიდნენ. კორნელი კოფოზე დაჯდა, სადავეები აიღო და მაღალი, თეთრი ცხენები გარეკა. გვერდით აპოლონ ნოზაძე ეჯდა. კატო, ვენერა და ილიკო კი ფურგონში ბარგზე ისხდნენ.

კორნელიმ აბასთუმანი უკან დატოვა და ახალციხისკენ მიმავალ დალმართს დაადგა. მარჯვნივ და მარცხნივ ნაძვითა

და ფიჭვით დაბურული, მაღალი მთები ამართულიყვნენ. შემოდგომას უცნაურად და წარმტაცად შეემკო მათი კალთები. კორნელი ისევ აღტაცებით მისჩერებოდა მთებს. ცხენები კი გზის მარცხენა და ხან მარჯვენა ნაპირისაკენ იწევდნენ, მეეტლეს სადავეებს აბოძებდნენ, დაღმართზე ჩენებით მიდიოდნენ, ქალებს შიშისაგან სული მისდიოდათ და აპოლონს ეხვეწებოდნენ, სადავეები გამოერთმია კორნელისათვის. ბოლოს გათავდა უცხო და წარმტაცი ფერებით შეკუღლი მთები...

ფურგონი ვაკეზე გავიდა. სოფელი ვარხანი გამოჩნდა. მგზავრებმა ხეხილით სავსე ბაღებს ჩაუარეს. გლეხები ჭირნახულს იწევდნენ. ბაღში კაწლისა და მსხლის ხეებს ჯხვი ნაყოფის ხვავისაგან ტოტები დაზნექოდათ. გოგო-ბიჭებს კიბეები მიეყუდებინათ ხეებისათვის, ზედ გასულიყვნენ, ჭწიფე ნაყოფს ჰკრეფავდნენ და კალათებსა და გიდელებში ალაგებდნენ. ეზოებში მსხლისა და ვაშლის მთელი გორები იდგა. მგზავრებს უკვირდათ უხვი მოსავლის ხილვა, ხოლო უხვი მოსავლის პატრონები კი სწუხდნენ, რადგან ცხენები და ხარები არ ჰყავდათ და საშუალება არა ჰქონდათ ხილი ახალციხეში, ბორჯომსა და თბილისში ჩაეტანათ გასაყიდად. ადგილობრივი ხელისუფლება კი გლეხობის მიერ მოწეულ ჭირნახულის შეძენაზე, ქალაქებისათვის მის მიწოდებაზე არა ფიქრობდა და თავიც არა ჰქონდა.

კორნელიმ ცხენები დააყენა. ის და აპოლონი ბაღში შევიდნენ, ხილი იყიდეს და ქალებს მსხლითა და ვაშლით სავსე კალათები მიუტანეს. ყველანი ახალდაკრეფილ, მწიფე და ყვითელ ვაშლსა და თაფლივით ტკბილსა და წვნიან მსხალს— გულაბს დაეხარბნენ.

მგზავრები ვარხანიდან გავიდნენ და ისევ ახალციხის გზას დაადგნენ.

ახალციხეში კატომ, ვენერამ, ილიკომ და კორნელიმ ეტლი დაიქირეს, აპოლონ ნოზაძეს დაემშვიდობნენ და ბორჯომისაკენ გასწიეს. გამხდარმა, გულდამწვარმა შინაბერა ქალმა ვენერამ თან წაიღო ჭაბუკი ოფიცრის — აპოლონ ნოზაძისადმი სიყვარული და მიუღწეველი ტრფიალის ზაფრა, რის გამო გზაში ანჩხლობდა, კაპასობდა და კატოს, ილიკოს და კორნელის გული გაუწყალა. ხელით სათრევი ილიკოც სა-

ცოლშვილო კაცი იყო. მაგრამ ვერც ის ახერხებდა ცოლის შერთვას. აბასთუმანში ვარლამ კუტალაძის მეგობარი, ექიმი იუზა კოკოჩაშვილი და მისი და, უნივერსიტეტდამთავრებული, ლამაზი ქალი ალისა ისვენებდნენ. კატო ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ ალისა და ილიკო დაეახლოვებინა, მაგრამ ბედოვლათი ილიკო ქალს თვალში არ მოსდიოდა.

მატარებელი ბორჯომიდან გვიან ღამით ჩავიდა ხაშურში, კატო, ვენერა და ილიკო ბათუმისაკენ გაჰყვნენ მატარებელს, კორნელი კი — თბილისისაკენ.

კატოს მაინცდამაინც არ ახარებდა გიმნაზიის დირექტორად ბათუმში სტეფანეს დანიშვნა. იგი შეჩვეული იყო ქუთაისს და ბუდის აყრა და ბათუმში გადაბარგება არ სიამოვნებდა. კუპეში თავჩალუნული და მუნჯად მჯდარი შინაბერა ვენერა, ბედოვლათი და ბეც თვალებზე პენსნეგაკეთებული ილიკოც ბათუმში უნდა წაეყვანა. სად არ ათრევდა გასათხოვარ დასა და საცოლშვილო ძმას კატო!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გამარჯობა. ახალო ცხოვრებავ!

ა. პ. ჩ ე ხ ო ვ ი

1

კორნელი დილის ათ საათზე ჩავიდა თბილისში. აბასთუმნის მერმე აქ ჯერ კიდევ ზაფხულის სიცხე იგრძნობოდა. კვირა დღე იყო. კორნელის მეეზოვე გაბრიელა დოლენკო შეეგება. მოხუცს სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა. იგი ძუნძულით გაიქცა ჰიშკრისაკენ, რომელთანაც ეტლი გაჩერდა.

— როგორ არის საქმე, მამაო გაბრიელ? — ჰკითხა კორნელიმ და ხელი ჩამოართვა.

— საქმეს რა უშავს. გაკეთდება, თუკი გვემახსოვრება: საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსა. — მიუგო მოხუცმა და ეშმაკურად გაუღიმა. მას ყურებიანი ქუდი, ქურჩი და ჩეჩის ჩექმა სულ მთლად დახეოდა და ძალზე გამხდა-

რიყო. სახეც უფრო დანაოჭებოდა და ცალი თვალი ეცრემლებოდა. მიუხედავად სიღატაკისა და შიმშილისა, მოხუცი მაინც ოხუნჯობის გუნებაზე იყო და იხტიბარს არ იტეხდა. ზას ქარაგმიანი, გადაკრული ლაპარაკი უყვარდა. კორნელიმ ისევ ჰკითხა:

— Как живем?

— Живем, хлеб жуем. მაგრამ პურმა თქვა: მე პირს არ მოვძებნი, თუ თვითონ არ მეძებსო, მეც დავეძებ, თუმცა ქალაქში აღარ იშოვება.

გაბრიელმა ეტლიდან ბარგი გადმოიღო და შინ შეიტანა. დერეფანში მისი ცოლი, მზარეული ქალი კატია შეეფეთა კორნელის.

— ღმერთო, დიდებულო, როგორ გასუქებულხართ! — შეჰყვირა კატიამ. — რა საწყენია, ჩვენები რომ შინ არ არიან!

როდესაც კორნელი ტანისამოსს იცვლიდა, მეზობელ ოთახიდან ხმაურობა და რომელიღაც საგნის დაცემის ხმა და ყვირილი შემოესმა. იგი უმალვე დერეფანში გაიჭრა.

— უშველეთ, მოჰკლავენ ერთმანეთს, — იძახდა სამზადიდან გამოვარდნილი კატია.

კორნელი დათას კაბინეტისაკენ გაიქცა. კარები შეაღო და უცნაური სურათი დაინახა. მაღალ, აკანჭულ, გამხდარ ბიჭს ხელში დანა ეჭირა და ქერა მოწაფისაკენ იწევდა. ქერა მოწაფეს სკამისათვის ხელი დაევლო და თავს იცავდა. მესამე— შავგვრემანი, მსუქანი და ბუთხუზა ბიჭი კუთხეში ატუზულიყო და შიშისაგან კანკალებდა.

— დააგდე დანა! — შესძახა კორნელიმ კანჭა-ბიჭს, მაგრამ მან გეზადშეყრილი წარბები შეათამაშა, ნადირის ლეკვივით თვალები კორნელის შეანათა და ისევ გაიწია. კორნელიმ მაჯაში სტაცა ხელი და დანა წაართვა. მოჩხუბარმა შეიგინა და კარებს ეცა. კორნელი წინ გადაეღობა, არ გაუშვა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— მითხარი, რა მოხდა? სად იშოვე დანა?

ბიჭმა ავად შეხედა და მხრიდან ხელი ჩამოაღებინა.

— დანა სამზადში წამართვა, — მიუგო კატიამ, თეთრი თმა გაისწორა, გადავარდნილი თავშალი საჩქაროდ დაიხურა და მოჩხუბარს შესძახა: — ო, ნატანა!

— რისთვის ჰკლავდი ამხანაგს? — ჰკითხა კორნელიმ მამლაყინწასავით აქოჩრილ ბიჭს.

ბიჭი ხმას არ იღებდა. მაშინ ქერა მოწაფემ აღელვებით უთხრა კორნელის:

— ჭიდაობაში გამომიწვია. სამჯერ წავაქციე, მაგრამ არ იყაბულა, გაბრაზდა, ჩხუბზე გადავიდა, და დანით შემომიტია...

— არა გრცხვენიათ, ბიჭებო,—მიმართა კორნელიმ სამივე მოწაფეს. — როდესაც მე გიმნაზიელი ვიყავი, ჩვენც ვჭიდაობდით, მუშტი-კრივს ვმართავდით, მაგრამ წესად გვქონდა შერიგება. გამლახველი და გალახულიც ერთმანეთს ხელს ვართმევდით და ისევ მეგობრებად ვრჩებოდით, რადგან კარგად ვიცოდით, რომ მჯობნის-მჯობნი ამქვეყნად არ დაილეოდა. — კორნელი დაჯდა. ქერა გიმნაზიელი, მის მიერ წაქცეული მოწაფე და კუთხეში ატუზული მსუქანი ბიჭიც დასხდნენ. კორნელიმ უმალვე წესრიგი, სიმშვიდე დაამყარა და მერმე დეიდა ელენეს ნორჩი მდგმურების ვინაობა გამოიკითხა.

მკვრივი და ჩაფსკვნილი ქერა ბიჭი, მეხუთე კლასის მოწაფე კოტე გოგიტიძე თხუთმეტი წლისა იქნებოდა. იგი კეთილად იღიმებოდა და ცისფერი თვალებით მიშტერებოდა კორნელის. მის მიერ წაქცეული ბიჭი — მეხუთე კლასის მოწაფე მამედ ჯაფაროვი თავჩაკიდული იჯდა და კორნელის ნაამბობს უსმენდა. ხოლო ირანელი ხანის ქიარიმ-რიზა-ხან-ნაგიევის შვილი, რეალური სასწავლებლის მოწაფე გულიმჯანი წინდების ამარა საწოლზე ფეხმორთხმული დამჯდარიყო. გულიმჯანს დუთმასავით წაგრძელებული თავი, თხემზე დატოვებული ქოჩორი, ცხვირის საძირკვლის ზევით შეერთებული, შავი და აძგიბული წარბები, გაბუშტული ლოყები და კრაზანას ნაკბენივით შესივებული, აბზეკილი ზედა ბაგე ჰქონდა, რომელზედაც ულვაშის ბუსუსები ძლივს ემჩნეოდა. იგი შავი, მიბნედილი, დამტკბარი და უვნები თვალებით უსმენდა კორნელის. გულიმჯანს საწოლთან მთელი ლაბორატორია გაემართა. კედელზე თუნუქის პატარა ლამპა და ამის ზემოთ რკინის რგოლი მიეჭედნა და ზედ პატარა ჩაიდანი დაედგა. ირანელი ბიჭი უჩაიოდ და უყავოდ ვერა სძლებდა, კედელზე მიჭედებული და ჩაწეული ლამპის თავზე მუდამ

შობინებდა ჩაიდანი. როდესაც ელენემ კაბინეტში გულიმჯანის მიერ მოწყობილი ლაბორატორია პირველად დაინახა, თავზარი დაეცა. კედლის და ძვირფასი შპალერის გაფუჭებასა ვინ ჩივის, ხანძარს გააჩენს ეს ბიჭი, იყვირა, მაგრამ გულიმჯანი წელზე მოეხვია, თავი ბავშვივით მიადო მკერდზე, მოეფერა და შეეევედრა, მისი ნაოსტატები არ დაენგრია. მდიდარი ირანელი რახმანოვის მაღაზიიდან გულიმჯანს უამრავი ხელი ხილი, ლელვის ჩირი, ნუში, ჩურჩხელა, მურაბა, ხალვა, ლახათ-ლუხუმი და ნაირ-ნაირი ტკბილეული გამოჰქონდა ნისიად, რითაც დეიდა ელენეს და მის მდგმურ მოწაფეებს — მამედ ჯაფაროვს და კოტე გოგიტიძეს ალაღებდა. მის სასთუმალთან, სკამზე მუდამ საჩაიე ჭიქები, შაქარი, ტკბილეულით სავსე თეფშები იდგა, ყურანი, ირანული ზღაპრების, მოთხრობების, იგავებისა და ლექსების წიგნები ელაგა. საწოლზე ფეხმოკეცილი გულიმჯანი საღამოხ და განთიადის ჟამს ჩუმად, გამღერებით და უკუღმა კითხულობდა არაბულ ენაზე დაწერილ ყურანს, რაც ძალზე უკვირდა კოტე გოგიტიძეს. ყურანის და ირანული წიგნების კითხვა გულიმჯანს მამამ ასწავლა. გულიმჯანის მამა ქურთებით დასახლებულ ირანის ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორი იყო, რომელმაც ომს, არეულობას და მოსისხლე მტრებს განარიდა თავისი ერთადერთი შვილი. პირველი მსოფლიო ომის დროს მამამ გულიმჯანი ბაქოში ჩაიყვანა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციისა და ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე კი განჯაში... როდესაც განჯაც „გაწითლდა“, მამამ გულიმჯანი ირანში არ წაიყვანა, რადგან იქ სისხლი მართებდა, შვილის მოკვლისა ეშინოდა და ამიტომ თბილისში გახიზნა. აქ მდიდარი ვაჭრის რახმანოვის რჩევით, აგვისტოს ბოლოს, მან გულიმჯანი დათა მიქელაძესთან დააბინავა და კარგ ფასსაც იხდიდა. შვილთან ხანი რახმანოვის საშუალებით იჭერდა კავშირს. გულიმჯანს მდიდრულად ეცვა, ფულს უხვად ფლანგავდა და თხუთმეტი წლის ბიჭს, რომელსაც ულვაშები ახლახან ამოწვეროდა, თავი დაკაცებული ეგონა, ფახიფუხობდა, ღვინოს სვამდა და თვალი გოგოებისაკენ ეჭირა. კორნელი მერმე მას დაცინვით „გულიმჯან ეფენდის“ ეძახდა. ირანელი ხანების ცბიერება, მლიქვნელობა, პირფეროზა და ვერაგობა გულიმჯანს ძვალსა და

რბილში ჰქონდა გაჭედარი. იგი ჭირვეული და, თავისი ყოფაცხოვრების მიხედვით, ძნელად ასატანი იყო. კოტე გოგიტაძეს და მამედ ჯაფაროვს ხშირად თავს აბეზრებდა და ესენიც საცემად იწევდნენ, მაგრამ გულიმჯანი ფულითა და რახმანოვის მაღაზიიდან გამოტანილი ტკბილეულობით, ლახალუხუმით თაფლავდა მათ. მამედ ჯაფაროვი მდიდარი ბეგის შვილი იყო. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე თავისი შვილი ბეგმაც თბილისში ჩამოიყვანა, ცათა მიქელაძის ბინაში და გიმნაზიაში მოაწყო. კოტე გოგიტაძე კი ელენეს დის, ოზურგეთში ცხოვრობილი ქალის თამარის მეგობრის შვილი იყო, მკვირცხლი, ნარდი, ძალოსანი, გულკეთილი და გულმართალი ბიჭი. აი სწორედ ესენი — გულიმ-რიზა-ხან ნაგიევი, მამედ-ბეგ ჯაფაროვი და კოტე გოგიტაძე იყვნენ ახლა ელენეს მდგმურები.

როდესაც ელენე ქალაქიდან დაბრუნდა, კორნელი გადაკოცნა და აბასთუმნის ამბები გამოჰკითხა. დისწულმა ღიმილით უთხრა:

— დეიდაჩემო, შენ მოწაფეთა მთელი პანსიონი გაგიხსნია.

— შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა გაჭირვებაში ჩავცვივდით თბილისელები, — დაიწყო ჩვეულებრივი წუწუნი ელენემ, — ამაზე მეტი შიმშილი და წყურვილი წარმოუდგენელია. მოდი და პანსიონს ნუ გახსნი!

— ბევრ ფულს იხდიან შენი პანსიონერები? — ჰკითხა კორნელიმ.

— ფული რა თავში ვიხალო! მენშევიკების ფული რა ჭირად მინდა?! ფულით ახლა თბილისში ვერაფერს ვერ იყიდი, — მიუგო ელენემ. — ვისაც სოფელში ადგილ-მამული შერჩა და იქ კაცი დატოვა, რომელიც თბილისში თავის ბატონს სურსათ-სანოვაგეს უგზავნის, იმას რა უშავს. სხვების საქმე კი წასულია. დათას ხელფასი ერთ კვირასაც კი არ გვყოფნის. ისევ მე ვიმარჯვე, ცხოვრებას ალღო ავუღე. პანსიონი რომ არ გამეხსნა, ჩემო კორნელი, შიმშილით ამოვწყდებოდით. ჩემი პანსიონერები მდიდრების შვილები არიან, მათი მშობლები ძღვენს მიგზავნიან და ახლა იმით ვირჩენთ თავს.

მართლაც, გულიმჯანის აპეკუნი რახმანოვი ელენეს კარგ ძღვენს უგზავნიდა. მამედის მამა — აზერბაიჯანელი ბეგი ჯა-

ფაროვი, რომელსაც თავისი შეიარაღებული რაზმი ჰყავდა და აჯანყებული გლეხებისაგან იცავდა ქონებას, ფარას, მამულს, ცოლ-შვილსა და თავის საკუთარ თავსაც, პირდაპირ საწველ ფურად აქცია ელენემ. ჯაფაროვი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში გატენილი ხურჯინებით, რომლებშიც ფქვილი, ლობიო, ყველი, კარაქი, ნაზუქი, თაფლში მოზელილი პურები, დაკლული ინდაურები და სხვა პროდუქტები ეწყო. თაფლში მოზელილი პურები დიდხანს სძლებდა და დიდ საშუალებას აძლევდა ელენეს.

2

კორნელიმ უნივერსიტეტში სიარული დაიწყო. როდესაც უნივერსიტეტის დერეფანში პირველად შევიდა, ამხანაგები — გოგო თავაძე, ბიძინა შარაბიძე და სხვანი გარს შემოერტყნენ და გაოცებით უთხრეს: ეგრე რამ გაგაბუქაო!

ერთხელ მიტო ჩიქვაიძემ ინახულა კორნელი და უთხრა:

— ხვალ, დილის ათ საათზე მარო ფრუიძესთან მოდიანო მახათაძეს უნდა შენი ნახვა.

— ნეტავ, რა საქმე აქვს ჩემთან? — ჰკითხა კორნელიმ.

— არ ვიცი. მგონი ჟურნალზე უნდა მოგელაპარაკოს, — მიუგო მიტომ.

კორნელი დანიშნულ დროზე მივიდა მაროსთან, გადაკოცნა და ოთახში შევიდა.

მაგიდასთან ვანო იჯდა, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ, ვიღაც გაპარსულ, საამო შეხედულების კაცს ესაუბრებოდა.

ვანო და კორნელი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ო, ერთი ამას დამიხედეთ, რას დამსგავსებია! ნამღვილი ბაყბაყდევია! — გაოცდა ვანო. — შეგეშინდა განა ჭლექისა? — ძლივს შესამჩნევი, ალერსიანი ღიმილით ჰკითხა მან კორნელის.

— კი არ შემეშინდა, დამენანა, — მიუგო კორნელიმ და ეწყინა, ვანო კიდევ უფრო გამხდარიყო. — შენ კი სრულიად არ აქცევ შენს თავს ყურადღებას. არ შეიძლება ასე!

— ეგ არაფერია... აგარაკზე წასვლას და გაბუქებას მერ-

მეც მოვესწრებით, ახლა კი იცნობდე ამ კაცს, ნიკიტინი გახლავს.

ნიკიტინმა ღიმილით ჩამოართვა ხელი კორნელის.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ.

— აგარაკი შეგრგებია... მახსოვს, ციხის შემდეგ შენ ძალიან ცუდად გამოიყურებოდი,—უთხრა ვანომ.

— პატიმრობა ვერ გამტეხდა, — მიუგო კორნელიმ, — ციხის საკანზე უარესი იყო იმის შეგნება, რომ სამაგიერო ვერ მივუზღეთ ჩვენს მწამებლებს. სულიერი ტრავმა ფიზიკურზე უარესია.

ვანომ კორნელის თქმული ნიკიტინს გადაუთარგმნა.

— იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, პირად შეურაცხყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. — ღიმილით უთხრა ნიკიტინმა კორნელის. — ყოველთვის და ყოველ დროს ადამიანები იტანდნენ ყველაფერს იდეისათვის — დევნას, შეურაცხყოფას, ციხეს, კატორღას. ეს მხოლოდ აკაჟებდა მათ ნებისყოფას.

კორნელი შეკრთა: ნიკიტინის ხმა მეტად ნაცნობი მოეჩვენა და გაიფიქრა: „სად მინახავს ნეტავ ეს კაცი?..“

ამ დროს ვანო თავჩაქინდრული იჯდა და თავის გამხდარ და ფერმკრთალ თითებს ათვალიერებდა.

— რაც იყო, ის მორჩა. — განაცხადა მან და კორნელის შეხედა. — წარსულს ნუღარ მოვიგონებთ. ახალ ცხოვრებას უნდა მივყვეთ. ჩვენ ველოდით შენს ჩამოსვლას, კორნელი ჩემო.

— მეც მომწყინდა უსაქმოდ ჯდომა.

— ჰოდა, კორნელი ჩემო, საქმეს მოჰკიდე ხელი.

კორნელი გაირინდა: „ალბათ ახლა ლაპარაკი იმ საკითხზე ჩამოვარდება, რომლის გამოც ვანომ გამომიძახა“, — გაიფიქრა მან.

— გახსოვს, კორნელი, — განაგრძო ვანომ, — ერთხელ, შენი დაჭრის შემდეგ რომ გინახულე და მწერლობაზე, ჟურნალზე-ვისაუბრეთ.

— მახსოვს.

— ჰოდა, ასეთი ჟურნალი გამოვიდა, ჩვენ გთავაზობთ შენ იმ ჟურნალში თანამშრომლობას. რას იტყვი ამაზე?

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ. ეს ჩემთვის საამაყოა.

— კეთილი. შენ ალბათ ახლა მუშაობის სურვილით ხარ გაჯერებული. სენისაგანაც განიკურნე და თანაც საკმაოდ დაისვენე აბასთუმანში.

— აბასთუმანში ნამდვილად ორი მომეკიდებოდა, იქ რომ ერთი მეტად საინტერესო კაცი არ გამეცნო.

— ვინ?

— ერთი რუსი... ჰლექის შამკურნალოდ ჩამოსული.

— მერე, განიკურნა?

— არ ვიცი. ძალიან მოუსვენარი ვინმე იყო. მთები სულ მოიარა. ზეკარის უღელტეხილამდეც კი მიაღწია. იშვიათად თუ შეხვდები ისეთ ჭკვიან და ნაკითხ მობაასეს. ჩვენ დავმეგობრდით და გულახდილად ვსაუბრობდით პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე.

— როგორ ბედავდა პოლიტიკურ საკითხებზე შენთან გულახდილ საუბარს, თუკი კარგად არ გიცნობდა?

— მეც მიკვირს...

— არა, ჩემო კარგო, — გააწყვეტინა კორნელის სიტყვა ამდენხანს გაჩუმებულმა ნიკიტინმა. — ის თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად გიცნობდათ, თქვენ კი, შესაძლოა მას არ იცნობდით.

— მომითმინეთ! — წამოიძახა კორნელიმ და ნიკიტინს განცვიფრებით მიაშტერდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა გაღიმებულმა ვანომ.

კორნელი ისევ გაოცებით მიშტერებოდა ნიკიტინს. ბერმუ შეძახა:

— ივანე ალექსანდრეს ძევ!.. ვერბიცკი! ეს თქვენა ხართ? ჰო, ჰო, ნამდვილად, თქვენი თვალებია, თქვენი ხმა! რა უყავით წვერი? გახსოვთ, როგორ ჩაგაცივდით აბასთუმანში წვერის გამო?

— მახსოვს. იწ კი არადა, დამაშინეთ კიდეც, — გაუღიმა ნიკიტინმა — ვერბიცკიმ.

3

ოთახში კიდევ ხუთი კაცი შემოვიდა — ნიკო გოცირიძე, შიტო ჩიკვაიძე, გიგა ხუციშვილი და მწერლები — პოლიხრონ ხარაბაძე და კალისტრატე გვრიტიშვილი.

გვრიტიშვილი დიდი ხანია უკვე იცნობდა კორნელის, იგი კორნელის მოთხრობებს, ისე როგორც ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებებს, რუსთაველისა და ბარათაშვილის გამოკლებით, ჰკილავდა. თავისი პიესები კი გენიალურ ნაწარმოებებად მიაჩნდა და ამიტომ კორნელის ზემოდან დასცქეროდა. კორნელი თავს მხრივ გვრიტიშვილს თავის თავში შეყვარებულ, განდიდების მანიით შეპყრობილ, ქარაფიც და ახირებულ ადამიანად თვლიდა და მისგან არაფერი არ სწყინდა. ჩია, კაფანდარა კაცი გვრიტიშვილი ოდნავ ელამიც იყო. ეგ ელამი თვალი, უზარმაზარი კეხიანი ცხვირი, ღიმილი, რომელიც გარდაგარდნო ჰქონდა მის ბაგეებს და ნამგალა ახალ მთვარეს ამსგავსებდა მათ, უწინო გაშრიტყველებას ანიჭებდა გვრიტიშვილის სახეს, რასაც ნოღლოდნელი შეძახილების მაგვარი, როყორ და საოცარი სიცილი აძლიერებდა. მაგრამ გვრიტიშვილს ამ უსიამო გარეგნობის იქით ხელსახები ტალანტი და გონება იმალებოდა.

პოლიხრონ ხარაბაძე გვრიტიშვილზე გაცილებით უფრო ნაკლებ ნიჭიერი და გონიერი კაცი იყო. ხარაბაძეს პროლეტარულ პოეტს ეძახდნენ და ეს ჩასუქებული, მოკლეკისრიანი, ყვავილით დაკენკილი, ჩოფურა კაცი თავისი პატარა სანეჭვო ტალანტით ამაყობდა. მან თავისი ნიჭი ვოკალურ ხელოვნებაშიც სცადა. მაგრამ სმენის უქონლობისა და ცუდი ხმის გამო მასწავლებელმა აიძულა კონსერვატორია მიეტოვებინა. პოლიხრონი იბერებოდა, არტისტულ პოზებს მიმართავდა, რაც მას სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა.

პოლიხრონ ხარაბაძეს კორნელიმ „მრავალჟამიერ“ შეარქვა, რადგან ბერძნული სიტყვა „ჰოლი“ — მრავალს ნიშნავს, ხოლო „ხრონოს“ — დროს, ჟამს, ამის მერმე ხარაბაძეს ყველა „მრავალჟამიერ ხარაბაძეს“ უწოდებდა. ამიტომ ხარაბაძე კორნელის ებუტებოდა.

ვანო მახათაძე წამოდგა, ფარდაგგადაფენილ ტახტზე დაჯდა და სარკმელთან გაჩერებულ მწერლებს უთხრა:

— ამხანაგებო, მოიწიეთ აქეთ, ახლო მოდით!

— სიტყვა „ამხანაგებო“ ისეთი გულითადი ხმით წარმოთქვა მან, რომ ყველამ შინ იგრძნო თავი. დიასახლისმა მაროო გაიღიმა და ტახტის წინ სკამები დადგა.

— აქ მოდით, — განაგრძობდა ბახათაძე მწერლების მი-

პატიჟებას, — აი აქ დავჯდეთ, კუთხეში, მეგობრულად, შინაურულად.

ნიკიტინი და გოცირიძე გვერდზე მოისვა. სხვები ტახტის წინ ნახევარწრედ სკამზე დასხდნენ.

— ამხანაგებო, — დაიწყო მახათაძემ, — ჩვენს თათბირს, რომელზედაც მომავალი ჟურნალის ორგანიზაციისა და ხასიათის საკითხი დგას, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და გამოჩენილი ჟურნალისტი, ჩვენი ძვირფასი სტუმარი, მიხეილ მაქსიმეს ძე ნიკიტინი ესწრება.

„აი, ვინ იყო თურმე ივანე ალექსანდრეს ძე ვერბიცკის ნილაბქვეშ აბასთუმანში“, — ფიქრობდა მოულოდნელი შეხვედრით გაოგნებული კორნელი.

მეგობრული ბაასი გაიბა.

მახათაძე ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლას შეუდგა. ნიკიტინს დიდი გამოცდილება ჰქონდა სარედაქციო და საგამომცემლო საქმის დარგში და ამიტომ ახალგაზრდა მწერლებს ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა. მერმე საუბარი მხატვრული ლიტერატურის ამოცანებზე ჩამოვარდა. როდესაც ახალი ჟურნალის ხასიათის გამორკვევა მოითავეს, მახათაძემ ხარაბაძეს ჰკითხა:

— აი, თქვენ, ამხანაგო პოლიხრონ, რას აპირებთ ჟურნალს მიაწოდოთ?

ხარაბაძე მამალი ინდაურივით გაიბერა, თვალები გადმოკარკლა, და ცოტა ხნის დუმილის მერმე არაბუნებრივი, განზრახ დაბოხებული ხმით მიუგო:

— მე მოგაწოდებთ პოემას „მარსზე“. იგი მარსზე რევოლუციის მოხდენას შეეხება...

„ეჰე, რა შორს წასულა“, — გაიფიქრა ნიკიტინმა, სიცილი ძლივს შეიკავა. ღიმილით შეხედა ხარაბაძეს, რომელიც ისე ამაყად და მედიდურად იჯდა, თითქო თავისი პოემით მთელი კაცობრიობა გააბედნიერაო.

ვანოს შერცხვა. ხარაბაძემ მის ენთუზიაზმს თითქო ცივი წყალი გადაასხაო და გვრიტიშვილს მიუბრუნდა:

— თქვენ რას მოგვაწვდით?

— პიესას „გატეხილი ჭნარი“.

— რას შეეხება თქვენი პიესა? — მორიდებით ჰკითხა პოლიხრონის პასუხით გაწბილებულმა მახათაძემ.

გვრიტიშვილმა თავი ასწია, ნეტარებაში შესული კაცის კმაყოფილებით სავსე ღიმილი მოეფინა სახეზე, ელამი თვალი მახათაძეს შეანათა და თავისი პიესის შინაარსის თხრობა დაიწყო:

— ჩემი პიესის გმირი — მზეთუნახავი ნაზი ასული დღისით ბროლის ციხეში ქნარზე უკრავს და თავის ტკბილი, წარმტაცი ხმით ქვეყანას ატკბობს. იგი მზესა და თავისუფლებას უმღერის ჰიმნს. ღამით მზეთუნახავი ასული ქნარს კუთხეში მიაყუდებს და იძინებს იმ იმედით, რომ დილით იგივე ჰიმნი უმღეროს ამომავალ მზეს. მაგრამ ბროლის ციხეში შავი დემონი შეიპარება და ქნარს სიმებს დააწყვეტს... ასეთ ბრძოლაში ვლიან დღეები. ბოლოს ასული იმარჯვებს: მისი ქნარის წარმტაცი ხმებით გაღვიძებული ხალხი მზისაკენ, სინათლისაკენ, თავისუფლებისაკენ მიისწრაფის და დემონს ამარცხებს.

ამ ზღაპრულ პიესაში არაფერი არ იყო მისაღები, გარდა სინამდვილეს მოწყვეტილი სიტყვისა — „თავისუფლება“. გვრიტიშვილი ქვეშ-ქვეშა ჭაბუკი იყო და ანგარიშობდა: „თავისუფლება“ რევოლუციით გატაცებულ ხალხს მოეწონებაო.

მაგრამ ნიკიტინმა ცოტა ხნის დუმილის მერმე ხარაბაძეს და გვრიტიშვილს უთხრა:

— მე მაინც ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ უმჯობესი იქნებოდა თანამედროვე ჩვენს სინამდვილეზე გვეწერა, ჩვენი ცხოვრების ამბებზე, რეალურად არსებულ, ცოცხალ ადამიანებზე... ნუ გამიწყრებით ჩემი აშკარა და გულღია საუბრისათვის.

— ჩვენ სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ აქ, — შენიშნა მახათაძემ.

— მე თქვენი სტუმართმოყვარეობის იმედი მაქვს. თქვენი ქვეყანა ხომ მეტად სტუმართმოყვარეა. თქვენი ხალხი, ადამიანებიც ჩინებულნი არიან... სწერეთ, მათზე სწერეთ... რატომ უნდა ჩავიძიროთ ნისლიან, გაუგებარ ალეგორიების სამყაროში. გადავსახლდეთ ბროლის ციხეში ან გავეშუროთ შორეულ მარსზე?

ვანო მახათაძეს ხარაბაძისა და ტერელაძის მაგივრად შერ-

ცხვა და ისევ უხერხულობა იგრძნო. გამოძაცდელად შეხედა კორნელის: ვაითუ ამანაც ჩაგვაფლავოსო და ჰკითხა:

— თქვენ რას აძლევთ ჟურნალს?

— მე ვმუშაობ მოთხრობა „შამქორზე“, — აღელვების გამო ყრუ ხმით მიუგო კორნელიმ და იგრძნო, როგორ ასხა სისხლმა სახეზე და გაწითლდა.

— ეს კარგია, — შენიშნა ნიკიტინმა. — მახათაძე, გოცირიძე, კარპოვი, მუხინი შაქორის ამბების მონაწილენი არიან. ესაუბრეთ მათ, ისინი ბევრ საინტერესო რამეს გვიამბობენ, დაგვეხმარებიან საჭირო მასალის აღმოჩენაში და შეკრებაში.

კორნელიმ მოკლედ უამბო დამსწრეთ თავისი მოთხრობის გეგმა, მისი შინაარსი, ჩამოთვალა მის მიერ უკვე შეგროვებული უამრავი მასალა.

— წაიკითხეთ აუცილებლად, — ურჩია ნიკიტინმა, — ამხანაგ სტალინის წერილი „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბში“. ივი მოგცემთ სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას.

მახათაძე გატაცებით ლაპარაკობდა ახალ სოციალისტურ ეპოქაზე, საბჭოთა სახელმწიფოში მწერლის როლზე.

— ოქტომბრის რევოლუციამ, — ამბობდა იგი, — სრულიად ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობა დაამყარა. თქვენ, მწერლებმა, ყველაზე ადრე უნდა გაიგოთ და ასახოთ თქვენს ნაწარმოებებში ეს ახალი ურთიერთობა, ასახოთ მართლად და დამაჯერებლად, როგორც ამას, თავის დროზე, კლასიკოსები აკეთებდნენ. მწერლები — „ნოვატორები“ კაცობრიობის წარსულ კულტურას უარყოფენ, უარყოფენ კლასიკურ მემკვიდრეობას და მემარცხენული ლოზუნგებით შენიღბული თანამედროვე სინამდვილეს გაურბიან, ზოგნი მარსზე რევოლუციის მოხდენით არიან გატაცებულნი. მათ უკუღმართად ესმით კლასიკური მემკვიდრეობა, „ნოვატორობა“. მართალია, ჩვენ ვქმნით ახალ საბჭოთა ხელოვნებას, ახალ საბჭოთა ლიტერატურას, მაგრამ, ვქმნით რა მას, შეგნებულად ვიხედებით ჯანსაღ კლასიკოსებისაკენ და გვესმის, რომ ეს წარსულისაკენ დაბრუნება კი არ არის, არამედ შემოქმედებითი გამდიდრების მეთოდი, რომელიც აუცილებელია წინსვლისა და მოძრაო-

ბისათვის. კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლის აზრი სწორედ ეგ არის. კლასიკოსების მაგალითის მიხედვით, ჩვენ უნდა ვწეროთ მართლად და სიყვარულით უბრალო ადამიანებზე, მათ ცხოვრებაზე, შრომაზე, ბრძოლაზე, მაშინ მთავარი— საკაცობრიო ბოტრივი თავისთავად იქნება მიღწეული და თქვენ გაიგებდით — ქართველიც, სომეხიც და რუსიც... აღზარდეთ მუშები და გლეხები ისე, რომ ისინი მიისწრაფოდნენ განათლებისა და კულტურისაკენ, რომ ისინი გატაცებით და იმედით უცქერდნენ მომავალს. მაგრამ სხვას რომ ასწავლო, თვითონ უნდა სწაელული იყო და ბევრი იმეცადინო.

მახათაძის შემდეგ სიტყვა ნიკიტინმა აიღო.

— აი, თქვენ, ახალგაზრდა ადამიანებმა, — მიმართა მან დამსწრეთ, — რევოლუციურ ბრძოლაში და იატაკქვეშ მუშაობაში ჩაბნეულებმა უნდა დაიხსომოთ, რომ იატაკქვეშ მუშაობა — საუკეთესო სკოლაა რევოლუციონერისათვის. ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანები, ახლაც ფართოდ ვიყენებთ ჩვენს საქმიანობაში იმ ცოდნის მარაგს, რომელიც იატაკქვეშ მუშაობის დროს მივიღეთ. არა მარტო წიგნები. არამედ ციხეში გატარებული ყოველი ზედმეტი წელი გვმატებდა ბევრ რამეს — იქ იფიქრებ, იწყებ ბრძნობას, ყველაფერს ოცჯერ განსჯი და, როდესაც იღებ რაიმე პარტიულ დავალებას, ზუსტად გაქვს აწონილი და წარმოდგენილი, რას მოითხოვს იგი შენგან, — ალელვებით ლაპარაკობდა ნიკიტინი და ის აღელვება მსმენელებსაც ედებოდა. იგი მთლიანად ნებისყოფის, სწრაფვის, ურყევი რწმენის განსახიერებას წარმოადგენდა... — ჩვენ, კომუნისტები. — განაგრძობდა ნიკიტინი,— მაშასადამე, დაჟინებით ვებრძოდით ვერაგ და ძლიერ მტერს, რომელიც არ გვნებდებოდა და დასახმარებლად მთელი მსოფლიოს კონტრრევოლუციურ ძალებს უხმობდა. ჩვენ, კომუნისტები, ახალ, სოციალისტურ ქვეყანას ვაშენებთ. ჩვენი მიზანია — მივცეთ სალხს ცხოვრების ყველა სიკეთე. ჩვენი სურვილია, რომ ქალაქებსა და სოფლებში ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ, არ განიცდიდნენ გაჭირვებას, ყოველ სახლიდან, რომელშიც მუშა და გლეხი ცხოვრობს, როიალისა და რადიოს ხმა მოისმოდეს. ამასვე ვუსურვებთ სხვა მშრომელებს და, მათ შორის, ჭაროელ მშრომელებსაც, რომლებიც ახლა იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ. მე ვანოსთან ერთად მო-

გიწოდებთ თქვენ: სწერეთ სიმართლე თქვენი მუშებისა და გლეხების მწარე ცხოვრებაზე, მათ შრომაზე და ბრძოლაზე. თქვენი ამოცანაა — გაუღვიძოთ მათ შეგნებული სურვილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ბრძოლისათვის... ერთხელ, სამოქალაქო ომის დროს, — მოაგონდა ნიკიტინს, — ბაქოდან ჩრდილო კავკასიაში გადავფრინდი. თვითმფრინავი ახალგაზრდა პილოტს, ყოფილ მუშას მიჰყავდა. იგი არა მარტო შესანიშნავი მფრინავი აღმოჩნდა, არამედ განათლებული ადამიანიც. როდესაც მას ვესაუბრებოდი, გული ხარობდა, რომ აი ასეთმა ჭკვიანმა და კულტურულმა ადამიანებმა ხელი ჩასჭიდეს და წინ მიაქვთ სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა...

კორნელი დარწმუნდა, რომ მიხეილ მაქსიმეს ძე ნიკიტინი გამოჩენილი რევოლუციონერი იყო. ნიკიტინი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ახალგაზრდობას. საქართველოში ის მეგობრობდა ვანო მახათაძეს, ნიკო გოცირიძეს და ბორის ძნელაძეს. მას კარგად იცნობდნენ ქართველი კომკავშირელები. ნიკიტინი აჯადოებდა და ხიბლავდა ყველას თავისი უსაზღვრო ენთუზიაზმით, რევოლუციური გაბედულებით და ჯანსაღი, დაუცხრომელი ოპტიმიზმით.

მალე ვანომ კორნელი ბოლშევიკური კომიტეტის სხდომაზე წაიყვანა. სხდომის გახსნის მერმე კორნელის უთხრა:

— მე და ჩემი ამხანაგები შენ გიცნობთ. შენ უკვე ჩვენს პოზიციებზე დგახარ, იზიარებ ჩვენს იდეოლოგიას და კარგად მუშაობ. მე და ჩემი ამხანაგები შენ ჩვენ კაცად, ბოლშევიკად გთვლით. რაღას აყოვნებ? დრო არის უკვე პარტიაში შემოხვიდე. შემოიტანე განცხადება!

ს ა შ ბ ა რ ი

გუშინ მენშევიკების პარტიული ყრილობა შესდგა, რომელზედაც გამოტანილი იყო რეზოლუცია, ებრძოლონ ბოლშევიკებს ყველა ხერხითა და საშუალებით.

გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ.

1

ერთხელ მთაწმინდიდან კორნელი, ვანო მახათაძე და პოლიბრონ ხარაბაძე რტიშევის ქუჩაზე ჩამოვიდნენ. ისინი საბჭოთა საელჩოს შენობას მიუახლოვდნენ. შესასვლელ კარებთან შავი ზღვის ფლოტის ქერა მეზღვაური იდგა. ნაგანი თასმით კოჭებამდე ეკიდა, უწინაფრო ქუდის ლენტებს და შარვლის განიერ ტოტებს ნოემბრის ცივი ქარი სტაცებდა, უწევლავდა და ბერავდა, თითქო წაქცევას უპირებდა, მაგრამ ჯანიან ვაჟკაცს ადგილიდან ვერა სძრავდა. „აი, ასეთმა ადამიანებმა მკერდით დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება, მათ დაამარცხეს თეთრი არმიები და ინტერვენტების რაზმები“,— გაიფიქრა კორნელიმ. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ფიქრი, რადგან უმალვე შენიშნა, რომ ქუჩაში და საელჩოს შენობის წინ სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული აგენტები დაძრწოდნენ. მათ საელჩოში შესულნი და გამოსულნი აღრიცხვაზე აჰყავდათ. მეზღვაურმა ძირამდე დაყვანილ, დაგორგლებულ პაპიროსის ნამწვს წკიპურტი ჰკრა და ოსტატურად ისე შორს გააფრინა, რომ ქუჩის მეორე ნაპირას მდგარ აგენტს ცხვირში კინაღამ არ მოახვედრა.

მახათაძე კორნელის დაემშვიდობა. თვითონ კი კეპი ჩამოიფხატა, თავი ჩაჰკიდა და საელჩოს კარებში შევიდა. ხარაბაძე უკან მიჰყვა. მეზღვაურმა თვალი გააყოლა.

ვესტიბიულში პატარა მაგიდასთან მჯდარ მორიგის წინ საშვების მისაღებად რამდენიმე კაცი იდგა. მახათაძე და ხარაბაძე რიგში ჩადგნენ. ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა კაცმა ხარაბაძეს გვარი და სახელი ჰკითხა, პირადობის მოწმობა მოსთხოვა, სიაში ჩაიხედა, საშვები გამოუწერა და მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან მდგარ დარაჯს გასძახა:

— გაატარე ამხანაგი მწერალი! — მწითურმა, ჯანსაღმა

და ბრგე ვაჟკაცმა ისეთი ვულითადი ხმით თქვა ეს და ისე კეთილად გაუღიმა ხარაბაძეს, რომ უკანასკნელმა დიდი სიხარბო იგრძნო. თვითონაც გაუღიმა მორიგეს და თამამად აჰყვა ვარდისფერ მარმარილოს სვეტებით შემკულ კიბეს.

მისაღებ ოთახში მახათაძემ გრომოვი — კიროვის მრჩეველი დაინახა. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს, ფანჯარასთან დასხდნენ და რაღაც საკითხზე ცხარე კამათი დაიწყეს, მაგრამ ამ დროს ოთახში კიროვის მდივანი იარცევი შემოვიდა და გრომოვს უთხრა:

— სერგეი მირონის ძე გთხოვთ!

იარცევმა გრომოვი კიროვის კაბინეტში გააცილა.

2

კიროვი საწერ მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ათვალიერებდა. მას ფრენჩი, გალიფე და ჩექმები ეცვა. წვერულვაში ახალი გაპარსული ჰქონდა. მუქი თმის ბღუჯა შუბლზე გადმოჰფენოდა. როგორც კი გაიღო კარი, კიროვი წამოდგა, თავი ასწია, გრომოვს შეხედა და გაუღიმა. მან განსაკუთრებული რაღაც ღიმილი და სიცილი იცოდა. სიცილის დროს სახის თვითეული ნაკვთიც კი იცინოდა. თვალები ეხუჭებოდა და ლოყებზე ფოსოები უჩნდებოდა. მისი ღიმილი ისეთი კეთილი და გადამდები იყო, რომ გრომოვმაც უნებურად გაიღიმა.

— როდის ჩამოდით? — ჰკითხა კიროვმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— მატარებლიდან პირდაპირ თქვენთან მოვედი.

— დაჯექით, მიამბეთ რა ამბავია ბაქოში?

გრომოვი დაჯდა და ბაქოს ამბების მოყოლა დაიწყო.

კიროვი რიგიდან ახალი ჩამოსული იყო იმ დელეგაციასთან ერთად, რომელმაც სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო პოლონეთთან. იგი ჩქარა დაწინაურდა და მალე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განოჩენილი მოღვაწე გახდა. გრომოვი მოხიბლული იყო კიროვით. მისთვის საამო იყო მასთან მეგობრობა და მუშაობა.

— აქ რა ამბავია? — ჰკითხა მან კიროვს, — მე გვი-

გე, რომ ჟორდანიას, რამიშვილს და გეგეჭკორს თქვენთან მოლაპარაკება ჰქონიათ. რას ამბობენ ისინი?

— სამწუხაროდ, არაფერ ახალს და საიმედოს, — მიუგო კაროვმა. — ჟორდანია ისევ განაგრძობს მერყეობას საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის ორიენტაციის არჩევაში. რამიშვილს ისევ თავისი გავლენის ქვეშ ჰყავს იგი მოქცეული და ყოველ მის ნაბიჯს სინჯავს და ამოწმებს.

— სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ ქართველი კომუნისტების წინააღმდეგ ამ უკანასკნელ ხანს გაძლიერებული რეპრესიები, — შენიშნა გრომოვმა, ხშირი წარბები შეათამაშა, შუბლი შეიჭმუხნა და დასძინა: — საერთოდ, შეიძლება თუ არა დავუჯეროთ ჟორდანიას მერყეობას მას შემდეგ, რაც მან განაცხადა: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო?!

— როგორ გითხრა, ყველაფერი პოლიტიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული, — განუმარტა კაროვმა, — ბათუმიდან ინგლისელების და ფრანგების წასვლის მერმე მენშევიკები მარტონი რჩებიან. ვრანგელი მათ უკვე ველარ უშველის. მისი დღეები დათვლილია. კონტრრევოლუციის ამ უკანასკნელი ბუდის დანგრევა უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ჰგონიათ. აქედან გასაგებია მენშევიკების შიში და საოცარი ნერვიულობა.

— მათ, როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ კომუნისტების აჯანყებისა, — შენიშნა გრომოვმა.

— ეს მართალია, — დაეთანხმა კაროვი. — ჟორდანიასთან, რამიშვილთან და გეგეჭკორთან ამას წინათ გაბართული საუბრიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ უნდა იაროს და იმუშაოს საქართველოში კომუნისტურმა პარტიამ, რომლის მარტო ოფიციალური არსებობაც კი უდიდეს საფრთხეს ქმნის მათი სახელმწიფოსათვის. ისინი არ ენდობიან საბჭოთა სელჩის. ისინი უკვე განურჩევლად აპატიმრებენ ჩვენს თანამშრომლებს. მათ ისევ ეჩვენებათ, რომ ჩვენი მისიის სახით აქ „საქართველოს რევკომი“ ჩამოვიდა.

— ასეთივე აზრის არის ყველა აქაური უცხოური მისია, გარდა ჩეხისა და იტალიისა, მარკონტელის მეთაურობით, — შენიშნა გრომოვმა.

— მართალია, არის ერთი ახალი ამბავი. თბილისში გამოჩნდა ჩვენთვის საშიში კაცი, — დაიწყო კიროვმა თავისი მრჩევლის იმფორმირება.

— ვინ?

— პოლკოვნიკი ჰასკელი. იგი ამიერკავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გამტარს წარმოადგენს.

გრომოვმა ფართო შუბლზე ხელი გადაისვა, სავარძლის სახელურს დაეყრდნო, წინ გადაიხარა და სმენად იქცა.

— თქვენ იცით, — ამბობს კიროვი, — რომ შარშან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე პრეზიდენტი ვილსონი გამოვიდა პროგრამით, რომელშიც „ხალხთა თვითგამორკვევას“ მოითხოვდა. ეს დიპლომატიური ფანდი, რა თქმა უნდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ მას მიეჩქმალა ანტანტის ნამდვილი ზრახვა: შეექმნას ჯებირი საბჭოთა გავლენის წინააღმდეგ, რომელიც აზიაში და აღმოსავლეთში ინგლისისა და ამერიკის ინტერესებს ემუქრება. ინგლისი და ამერიკა ვითომდა იცავს ხალხთა უფლებას თვითგამორკვევაზე, ნამდვილად კი ცდილობს საბჭოთა რუსეთის დაქუცმაცებას, ბურჟუაზიულ განაპირა სახელმწიფოების შექმნას და მათ გადაქცევას პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის. ამიერკავკასიაში ისინი მხარს უჭერენ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების სეპარატიულ ზრახვებს იმისათვის, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ. აზერბაიჯანის დაკარგვით ინგლისი და ამერიკა ბაქოს ნავთს გამოეთხოვებიან.

— ოხ, ეს ნავთი, იგი მოსვენებას არ აძლევს მათ! — წამოიძახა გრომოვმა. — საქართველოზე ბაქოს ნავთსადენი გადის. საქართველო გასაღებს წარმოადგენს კავკასიის, აგრეთვე თურქეთის, ირანისა და ინდოეთის მიმართ.

— გარდა ამისა, — შენიშნა კიროვმა. — ირანის ნავთის საბადოებსა და მის გარეთ მდებარე ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო ხელსაყრელ გზად ბაქო-ბათუმ-დარდანელის გზა ითვლება. აი, რატომ ეჭიდება ინგლისი და ამერიკა აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს, მათ აქ ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრე იზიდავს. ისინი იმედს არ ჰკარგავენ, რომ ბაქოს ნავთი საბოლოოდ მათ დარჩებათ. ვილსონის

პროგრამა, როგორც უკვე ვთქვი, რუსეთის დაქუცმაცებას ჰგულისხმობს, ამასთანავე სომხეთზე მანდატის „დამატებად“ ამერიკა ითხოვს მანდატებს საქართველოზე და აზერბაიჯანზეც. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამასთან დაკავშირებით გამოცხადდა ამიერკავკასიაში პოლკოვნიკ ჰასკელის მისია.

— საეჭვოა, ჰასკელმა ამ საქმეში გამარჯვებას მიაღწიოს, — შენიშნა გრომოვმა. — იმპერიალისტები წინათაც მარცხს განიცდიდნენ ამიერკავკასიაში, ახლა კი მით უფრო არაფერი არ გამოუვათ. ამიერკავკასიის ხალხებმა ძალიან კარგად იციან, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირში და მისი დახმარებით შეძლებენ ისინი, მოიპოვონ თავისუფლება და მოაწესრიგონ ნორმალური ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება.

— სამწუხაროდ, — ჩაიქნია ხელი კიროვმა, — არც მენშევიკებს და არც დაშნაკებს არა სურთ ამ ჭეშმარიტების გაგება. მართალია, ქართველი მენშევიკების საკითხი ახლა ცოტა სხვაგვარად დგას. მენშევიკურ პარტიაში სერიოზული განხეთქილება ისახება. ეს ქმნის შესაძლებლობას ჟორდანიასთან და მის ჯგუფთან, რომელსაც, ასე ვთქვათ, ცენტრის პოზიცია უკავია, საერთო ენა გამოვძებნოთ, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენმა ცდამ ამ მიმართულებით უნაყოფოდ ჩაიარა. ჟორდანიასთან საერთო ენის გამოძებნა არ ხერხდება, თუმცა ამ მიზნით საქართველოში გამოგზავნილი ნიკიტინი გვაიმედებს.

— მე ვფიქრობ, ქართველი კომუნისტები არ ცდებიან, როდესაც ამტკიცებენ, რომ ამას მიღწევა მხოლოდ აჯანყების გზით შეიძლებაო.

— სწორია. ჩანს საქართველო აჯანყებას თავს ვერ დააღწევს, — შენიშნა კიროვმა.

მერმე მან რამიშვილის ნოტაზე დაიწყო ლაპარაკი. რამიშვილი მოითხოვდა თბილისიდან და ბათუმიდან სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლების გაძახებას, თითქოსდა საერთაშორისო ნორმების დარღვევის გამო. კიროვმა გრომოვს ნოტა გადასცა და უთხრა:

— უპასუხეთ მთელი დიპლომატიური თავშეკავებით და ტაქტით, მისწერეთ, რომ ჩვენ ვცლით ბატონ რამიშვილი-

საგან მის მიერ წამოყენებული ბრალდებების დამადასტურებელ საბუთებს. თუ ისინი ნამდვილად დადასტურდნენ, საქართველოს მთავრობის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება.

კიროვი და გრომოვი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ამ საუბრის მერმე ორი კვირა გავიდა, მაგრამ კიროვს ჯერ კიდევ არ მიეღო რამიშვილისაგან პასუხი თავის ნოტაზე. ბრალდებათა დამადასტურებელი საბუთები რამიშვილს არ აღმოაჩნდა.

— სტუმრად მოდაფესთან

საქართველო განუხრელად მიეჭანება ბოლშევიზმისაკენ.

კ. კაუცკი

1

კორნელი გატაცებით მუშაობდა მოთხრობა „შამქორზე", დამატებითი მასალები მას მიაწოდეს მახათაძემ, კარპოვმა, კრუგლოვმა, მემანქანე მენჯავიძემ და შამქორის ამბების სხვა მონაწილეებმა. მაგრამ ის ამბები, რომლებიც მაშინ საქართველოში და მის გარეთაც ხდებოდა, საშუალებას არ აძლევდნენ კორნელის მუშაობაზე მთელი თავისი გულისყური გადაეტანა. წითელმა არმიამ პერეკოპის გამაგრებული პოზიციები აიღო, ყირიმში შეიჭრა და ვრანგელის ჯარები დაარბია. სომეხმა ხალხმა ბოლო მოუღო დაშნაკების ბატონობას. ერევანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. შიშითა და შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს საქართველოს ხელისუფალნი, რა ზეიმით ეგებებოდა ხალხი წითელი არმიის ყოველ გამარჯვებას, როგორ იზრდებოდა ხალხის სიმპათიები საბჭოთა რუსეთისადმი. ჟორდანიას მთავრობამ ევროპაში საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი აფრინა. სანამ გეგეჭკორი სამხედრო და ეკონომიური დახმარების მიღებისათვის ვილსონთან, ბრიანთან და ლოიდ-ჯორჯთან აუდიენციას ელირსებოდა, საქართველოს საშეურნეო ცხოვრება მთლად მოიშალა. მხოლოდ ინგლისის ერთმა უმნიშვნელო ფირმამ მის-

ცა საქართველოს სასიკეთოდ [illegible] ერთი წვეთი იყო გაჭირვების ზღვაში. ჟორდანია იძულებული გახდა ეკონომიურ თათბირზე განეცხადებინა: ჩვენ უკვე მივედით ნამდვილ ეკონომიურ კატასტროფამდეო. არანაკლები სავალალო მდგომარეობა ჰქონდათ მენშევიკებს სანხედრო ძალების დარგშიც. საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარმა შეტაკებებმა მენშევიკები აშკარად დააყენეს იმაში, რომ ქართველი ჯარისკაცი საბჭოთა რუსეთის ჯარისკაცის წინააღმდეგ არ იბრძოლებდა. მენშევიკების საიმედო სახალხო გვარდიაშიც კი ფეხი მოიკიდა ბოლშევიკურმა გავლენამ და ახლა გვარდიელები ჯგუფ-ჯგუფად სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს. არასოდეს ამ სამი წლის განმავლობაში ისეთი ხელსაყრელი პირობები არ ყოფილა მენშევიკური ხელისუფლების დამხობისათვის, როგორც ახლა.

როდესაც ანტანტის სახელმწიფოებისაგან სამხედრო და ეკონომიური დახმარების იმედი ამაო აღმოჩნდა, ჟორდანიარამიშვილის მთავრობა მეორე ინტერნაციონალის და მისი მამამთავრის — კაუტსკის კალთებს მოეჭიდა.

თბილისში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრებს მოელოდნენ.

ჟორდანიას მთავრობა ზარ-ზეიმით მიეგება მათ და საპატივცემულო სტუმრებს საოპერო თეატრში საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ჟორდანიამ, ჩხეიძემ, წერეთელმა, მოკვეველაძემ და სხვებმა უზომო ბოტაბა შეასხეს მაკდონალდს, სნოუდენს, ვანდერველდეს, ტომას შოუს, დე-ბრიუკერს, ინგელსსა და სხვებს. უცხოელ სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ პლატონ მოკვეველაძის მიერ გერმანულად წარმოთქმული სიტყვა, რომელიც სავსე იყო საქართველოს წარსულის, ევროპული კულტურის ქებით, ხოლო კომუნისტებისა და საბჭოთა რუსეთისადმი მტრული გამოხდომებით. შავ ფრაკში გამოწყობილი, ჩასუქებული, ბულანჟეროშვებული, სათვალიანი, ზორბა კაცი ემილ ვანდერველდე სავარძლიდან წამოიჭრა და აღტაცებით დასცხო ტაში. ეს ქეჩოჩასუქებული ვაჭრის შვილი, ვექილი, მერმე ბელგიის იუსტიციის მინისტრი და მეფე ალბერტის მეგობარი, ცნობილი იყო რევოლუციის ძაგებით, იაფფასიანი ოქროპირობით, ცრუ პათოსით და არტისტული პოზებით. ალბათ, ამიტომ მისცა წაწ

დიდი შეფასება მოგველაძეს, მის განათლებას და ორატორულ ნიჭს, რამაც მოგველაძის აქციები ქართულ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაზარდა.

ხალხი გარს ეხვეოდა მოგველაძეს და გამარჯვებას ულოცავდა.

2

აღტაცებულმა ესტატე მაყაშვილმა გადაწყვიტა პლატონისათვის ვახშამი გაემართა და ნადიმზე მეგობარი ვექილები მიეპატიჟნა.

— ამ უფულობისა და გაჭირვების დროს ნადიმების გადახდა ვის გაუგონია! — წინააღმდეგობა გაუწია ვარდომ.

— აი, ბატონო, ფული. წაიღე. — შესთავაზა ქმარმა, და ყურადღება არ მიაქცია მის წუწუნს.

— ფული რა ჭირად მინდა? სულ ერთია, ბაზარში არაფერი არ იშოვება. — ჯიუტობდა ვარდო.

— შენი ვერაფერი გამიგია, — მიუგო ქმარმა, — აკ წუწუნით გული გამიწყალე, პლატონ მოგველაძემ და ფილიმონ ერისთავმა ჩვენსას სიარული შესწყვიტეს, ერთობ მომენატრნენ და ვახშამზე მოვიპატიჟოთო! ახლა პლატონმა მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წინაშე წარმოთქმული სიტყვით საქვეყნოდ გვასახელა და ნუთუ პატივი არ უნდა ვცეთ იმ კაცს?

— პლატონზე და ფილიმონ ერისთავზე არ მოგახსენებდე, შე კაცო. პლატონი იქნებ ნინოს ბედი შეიქნეს, მაგრამ რა ბედი? პლატონი და ნინო დუმილს განაგრძობენ, ჩვენც პირში წყალი დაგვიგუბებია, და განა საქმე ასე მოგვარდება? დანამდვილებით ვიცი, რომ ნინოს ჯერ კიდევ არ ამოუღია გულიდან კორნელისადმი სიყვარული.

— თუ ასეა, ჩვენი ქალი უთუოდ გაგიჟებულა.

— სწორედ ამიტომ უნდა დავაჩქაროთ საქმე...

ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა შემოესმათ. ესტატემ ტუჩზე ხელი მიიფარა. ოთახში ლურჯ პიჯაკში გამოწყობილი ნინო შემოვიდა, მამას გაუღიმა და ჰკითხა:

— მამილო, შეიძლება ჩემი ამხანაგები მოვიწვიო ვახშამზე?

— ვინ ამხანაგები?

— თამარ ქარელიძე, მაყვალა ყანჩაველი, მიტო ამირეჯიბი, ზურაბ ზაალიშვილი, კუკური ზარანდია და მისი და მარიკა.

ვარდოს ცეცხლი შემოენთო:

— გაგიჟდი! ისღა გვაკლია, მიტო ჩიქვაიძესაც დავუძახოთ... — ვარდოს კორნელის დასახელებაც უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა და აუხსნა: — არა, შვილო, დღეს მეტად პატივცემული პირები, მხოლოდ მამაშენის მეგობრები მოვლენ ჩვენსა...

— ასეა ყოველთვის... არც ერთი ამხანაგი ჩვენსას არ ყოფილა, რატომ არ გინდათ, ისინი დღეს რომ მოვიდნენ?

— როგორ არ გესმის, შვილო! მამაშენი ახლა მინისტრია და ყველას არა აქვს უფლება ჩვენს ბინაში მოსვლისა და ჩვენს სუფრაზე ჯდომისა.

— ჯერ ერთი, მამაჩემი მინისტრი კი არა, მინისტრის მოადგილეა, და მეორეც, სად გაგონილა, ღბრალო მოკვდავებს აკრძალული ჰქონდეთ მინისტრების ბინაში მისვლა?

— შენ მართალი ხარ... — ჩაერია ლაპარაკში ოდნავ დარცხვენილი ესტატე, — არავის არა აქვს აკრძალული მინისტრების ბინაში მისვლა... მინისტრის მოადგილესთანაც, მაგრამ სასურველია, მათ ოჯახებში ისეთი პირები დაიარებოდნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ შემოწმებული და პოლიტიკურად საიმედონი არიან. განა შეცდომა არ დაგუშვით ჩვენ, როდესაც კორნელი ჩაგისახლეთ? მასთან მიტო ჩიქვაიძე და სხვა არასაიმედონიც დაიარებოდნენ. შენ მეგობრობდი კიდეც კორნელისთან. შენ გგონია, ყოველივე ამან ჩვენს ოჯახს ჩრდილი არ მიაყენა? — მიუგო მამამ და ისე გაიბღინძა, თითქო ვანდერველდე ყოფილიყოს. დედამაც ამაყო, ზვიადი გამომეტყველება მიიღო და შვილს უთხრა:

— აღარც შენ შეგფერის ბიჭპუჭებთან და სტუდენტებთან ხეტიალი. შენც შენი შესაფერი წარჩინებული ადამიანები უნდა ეძიო.

— არა, მე სტუდენტი ვარ და სტუდენტებთან უნდა ვიმეგობრო. მინისტრები და სენატორები სრულიად არ მაინტერესებენ... არც თქვენი ვანდერველდე!

ვანდერველდე ახლა ყველას პირზე ეკერა. ვარდო ქმრის მაგივრად გაბრაზდა:

— აი, ხომ ხედავ, თანამედროვე ჩვენი სტუდენტობის გამოძახილს! ბოლშევიკური აგიტაცია ყველგან იჭრება. ეგი მალე ჩვენს სახლშიაც შემოდგამს ფეხს... არა გრცხვენია, — ჩაჰქოლა შვილი დედამ, — მამას რომ ასე აგდებულად ელაპარაკები?

მერმე ქმარს ამაყად უთხრა:

— მოდი, ესტატე, ვანდერველდეც მოვიპატიჟოთ.

— ეს უკვე მეტისმეტია.

ესტატეს წერცხვა და თავი ჩაჰკიდა.

3

ესტატე მაყაშვილის მიერ გამართულ წვეულებაზე ყველაზე ადრე პლატონ მოგველაძე და მისი დამშეული მეგობრები — პოეტი რაფაელ ახვლედიანი, ლეონარდო ტაბადაძე და თეოფილ გოთუა გამოცხადდნენ. მერმე სენატორები—დადვაძე, ხოჭოლავა, გენერალი ჩიჯავაძე, ჯიბო მაყაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქარცივაძე, ჟურნალისტები — გოდებაწიძე, ქადაგიშვილი, მსახიობი ვანო სარაჯიშვილი, პროფესორი ერისთავი ცოლითურთ.

ყურადღების ცენტრში კვლავ პლატონ მოგველაძე იყო, სტუმრებით გარშემორტყმული შუა დარბაზში იდგა. სტუმრები აქებდნენ მოგველაძეს, მის სიტყვას, რომელმაც კანდერველდეც კი აღტაცებაში მოიყვანა. მოგველაძემ ქება შეიფერა და ურცხვად განაცხადა:

— ჩემი სიტყვა სონეტივით ჟღერდა!

— ჩვენს სოციალისტებს არა სჯერათ, პოეტები რომ ბოძენი ხალხია, პოლიტიკაში კარგად ერკვევიან და სახელმწიფოს მართვაც შეუძლიათ, — დაიკვეხა რაფაელ ახვლედიანმა.

— რა დალაგებული სახელმწიფო იქნებოდა, — დაჰკვნესა თეოფილ გოთუამ. მოგველაძემ მრისხანედ გადახედა მას, რაფაელმა გოთუას უჩურჩულა:

— ის არა კმარა, დაუპატიჟებლად რომ შემოძვერი მაყა-

შვილის სალონში და ხალხში გაერია? ძნელა აქაც ბალაგანის გამართვას აპირებ?!

— მიმიფურთხებია სალონებისათვის, — მიუგო მოუსვენარმა ქონდრის კაცმა გოთუამ.

— გაჩუმდი, თორემ ფანჯრიდან გადაგისვრი, — დატუქსა ახვლედიანმა.

— აბა, სინჯე!..

პოეტები ყვინჩილებივით აიჭოჭრნენ, მაგრამ ამ დროს სტუმრების ყურადღება დარბაზში შემოსულმა ესტატემ მიიპყრო.

— დაინახეთ, — მიმართა მან პლატონს, — როგორ წამოიჭრა ვანდერველდე და რა აღტაცებით გიკრავდათ ტაშს?!

— სხვა რა გზა ჰქონდა? მთელი დარბაზი ხელში დავიჭირე, — მიუგო პლატონმა. გაშლილი ხელი ჰაერში გაიქნია და მერმე თითები შეკუმშა, თითქო საოპერო თეატრის დარბაზი მართლაც ხელში დაიჭირაო. ოჭროპირობაში პლატონს მეტოქე, შავწვერა და შავსათვალიანი კაცი ერემო გოდებაძე შურით გაფითრდა, განზე მიდგა, ხულები უკან დაიღაგა, თავი მაღლა ასწია, დარბაზის გაჩირაღდნებულ ჭაღს მიაშტერდა, თითქო ჭაღის გარდა ვერაფერს ხედავს, არაფერი აინტერესებს და არაფერი ესმისო. დადუმებული, ფერწასული და გამხდარი კაცი ადამიანის ჩონჩხს ჰგავდა.

— ვანდერველდე, ვანდერველდე, — კმაყოფილი ღიმილით იმეორებდა ქარცივაძე, — ხუმრობა საქმე ხომ არ არის მეორე ინტერნაციონალის ბელადების ჩამოსვლა საქართველოში! ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მალე შეიცვლება.

— ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია, — დაეთანხმა მას ქადაგიშვილი. — ამბობენ, მალე კაუტსკიც ჩამოვაო. ჟორდანიამ მოულოდნელი სვლა გააკეთა. ჩვენი ბოლშევიკები გაოგნებული არიან.

— ნისი ჩამოსვლა უთუოდ ჩვენს სასარგებლოდ მომართავს ევროპის საზოგადოებრივ აზრს. — განაცხადა პლატონმა.

— მარტოკა საზოგადოებრივი აზრის მობილიზება სარგებლობას ვერ მოგვიტანს, თუკი მას სანდო და ფინანსური დახმარება არ მოჰყვა. — შენიშნა ესტატემ. — რაგო-

რი მდგომარეობაა დღეს? წითელმა არმიამ გაანადგურა პილსუდსკის ჯარები, ვრანგელი ზღვაში გადააგდო, აზერბაიჯანი და სომხეთი გააწითლა. ახლა ჯერი საქართველოზე მიდგა. მდგომარეობა მეტად სახიფათოა.

— მეორე ინტერნაციონალი უთუოდ აიძულებს ევროპას რეალური დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს, —იმედოვნებდა ქარცივაძე.

— ვეჭვობ, — მოუჭრა ესტატემ.

— რათა? — ჰკითხა ქარცივაძემ.

— მეორე ინტერნაციონალის და ერთა ლიგის იმედი ნუ გაქვთ, — დაიწყო ესტატემ, — აკი ჟენევაში ამას წინათ ერთა ლიგის სხდომაზე, რომელსაც ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ერების წარმომადგენლები დაესწრნენ, დაადგინეს, რომ, თუ გარედან საქართველოს ვინმე თავს დაესხა, ერთა ლიგის დროშით მომჭმედი ვერც ერთი სახელმწიფო მას ვერ დაიცავსო.

— რათა? — გაკვირვებით ჰკითხა მოგველაძემ.

— იმიტომ, რომ საქართველო ჯერ არ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — დე-იურედ ცნობილი. მანამდე კი, ვეჭვობ, რომელიმე სახელმწიფომ სამხედრო ან ფინანსური დახმარება გაგვიწიოს.

— ვრად აგვიანებენ ჩვენს ცნობას? — ღელავდა პლატონი.

— ისე არ გამოვიდეს, როგორც ანდაზაშია, — განაცხადა გოთუამ,— სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო.

პლატონმა ზიზღით შეხედა და უთხრა:

— ღვარძლიანო, უხამსო, სალახანა!

— ჩვენ მუდამ გარეშე მტრების უფრო გვეშინოდა, ვიდრე შინაურისა, — ჩაერია ლაპარაკში სენატორი ხოჭოლავა მენშევიკურ პარტიაში შექმნილი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. — წინათ ჩვენი მდგომარეობა უფრო მყარი და საიმედო იყო, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, საშიშროება მოგველის არა იმდენად გარეშე მტრებისაგან, რამდენადაც შიგნით. ეკონომიური კრიზისი და შინაპოლიტიკური ბრძოლა ბოლოს მოგვიღებს.

— მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია. — დაე-

თანხმა დადვაძე ხოჭოლავას. — ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს ჩვენში კიდევ ერთი კრიზისი მიემატა — მორალური. ახლა ჩვენში არგაგონილი მექრთამეობა, მახინაციები, ქურდობა და ყაჩაღობა მძვინვარებს. კაცი ქუჩაში ვერ გამოსულა იმის შიშით, რომ არ გაქურდონ, დანით არ დაჰკლან. სახელმწიფო ერთთავად ირღვევა, მთავრობა განაგრძობს მთელ რიგ შეცდომების დაშვებას, რომელთა გამოსწორება ახლა მეტად ძნელია.

— სრულიად დაუსაბუთებელი პესიმიზმია, — გააწყვეტინა სენატორს სიტყვა ქარცივაძემ.

— მე ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ფეოდალურ არისტოკრატიასთან, ბურჟუაზიასთან და სპეკულანტებთან მენშევიკების კოალიციის გამო, რევოლუციის მონაპოვრისაგან მხოლოდ მყვირალა ფრაზები დარჩა, — მიუგო დადვაძემ.

ფეოდალური არისტოკრატიის გვერდით სპეკულანტებიც მოტანა არ მოეწონა ესტატეს. ატყდა დიდი დავა. მაგრამ ქარცივაძისა და გოდებანიძის გამოკლებით, ყველანი აღიარებდნენ, რომ ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ საქართველო დაღუპვის კარამდე მიიყვანა და ამიტომ უნდა გადადგესო. მიუხედავად ამგვარი ლაპარაკისა და დამფუძნებელ კრებაში ასეთივე განცხადებისა, მთავრობა მაინც განაგრძობდა ურჩობას.

— ევროპამ თუ არ გვიშველა, საქმე დაღუპულია. — განაცხადა გენერალმა ჩიჯავაძემ. სამხედრო სპეციალისტის განცხადებამ ყველას ცივი წყალი გადაასხა.

— ამჟამად, — დაიწყო გენერალმა, — ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის მთავრობისადმი მტრული განწყობილება სუფევს. ჯარისკაცებში თქვენ ვერ შეინიშნავთ არათუ ენთუზიაზმს, არამედ ქვეყნის დაცვის უბრალო სურვილსაც კი. ჭარბობს პასიური სენად იქცა დეზერტირობა. ამას ხელს უწყობს ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გამძვინვარებული კომუნისტური პროპაგანდა.

— სავსებით სწორია. — დაუდასტურა ჯიბომ, — ჯარში დაწყებულ მღელვარებას ჩვენ მანამდე ვერ მოვუღეთ ბოლო, სანამ ჯარისკაცების ამბოხების მეთაურები არ დავხვრიტეთ.

— ზაქათალის დაკავების დროს, — განაგრძობდა გენერალი, — მეექვსე ლეგიონის ჯარისკაცებმა არ შეასრულეს შეტევის შესახებ ბრძანება, მოაწყვეს მიტინგი, რომელზედაც საბჭოთა ჯარისკაცებს თავიანთ ძმებს უწოდებდნენ. ამ საქმის მოთავე თერთმეტი კაცი დახვრეტილი იქნა. მეშვიდე ლეგიონშიც ცუდი მდგომარეობა შეიქნა. ამ ლეგიონის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ბრძოლაზე. სარდლობა იძულებული გახდა თბილისში ჩამოეყვანა იგი და დაეშალა... საქართველოს არაფერი არ ეშველება მანამდე, სანამ სამხედრო დიქტატურას არ გამოვაცხადებთ...

ესტატე და მისი სტუმრები დუმდნენ, მოწყენილი და დალვრემილი უსხდნენ მდიდრულ სუფრას, სასმელ-საჭმელს კი აცქეროდნენ, მაგრამ არავინ მას ხელს არ ახლებდა. ისინი ასეთი მდგომარეობიდან პლატონმა გამოიყვანა:

— მეგობრებო, დრო არის თავი გავანებოთ იერემიადას. კმარა ქართლის ბედის გამო ამდენი გლოვა და ქვითინი! ასეთი ცხოვრება ჯოჯოხეთია, ხოლო მუდამ ჯოჯოხეთში ცხოვრება — აუტანელი.

— მე არ ვფიქრობ, ევროპამ მიგვატოვოს. — განაცხადა ესტატემ და თამადობა პლატონს მიულოცა.

პლატონმა ბიძგი მისცა სუფრას მხიარულებისაკენ. პროფესორმა ფილიმონ ერისთავმა საუცხოო, ნარნარი რუსულით სიტყვა წარმოთქვა, მან ბრძენი ლირიკოსის ალკეოსის სატრფიალო ლექსი წაიკითხა და თანამესუფრენი შხამიან ხრწამდვილიდან შორეულ, ეფემერულ და ტკბილ სამყაროში გადაასახლა. პოეტებმა ლექსები წაიკითხეს; სარაჯიშვილმა, ნინოს აკომპანიმენტზე, რამდენიმე ნეაპოლიტანური სიმღერა შეასრულა. ყველა გამხიარულდა.

4

ჟორდანიამ და მისმა მინისტრებმა მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრებს მთელი საქართველო მოატარეს. მისი ზღაპრული ბუნება უჩვენეს, მამაპაპურად გაუმასპინძლდნენ, მდიდრული ნადიმები მოუწყვეს, ქართული ღხინით და ლაზათით. სიმღერებითა და ლამაზი გოგო-ბი-

ჭების ცეკვა-თამაშით მოხიბლეს, დაათვრეს, შეაქეს და თვალში ნაცარი შეაყარეს... დელეგაციის წევრები მენშევიკების პირფერული სიტყვებით უფრო ითვრებოდნენ, ვიდრე კახური განთქმული ღვინით — „წინანდლითა“ და „ნაფარეულითა“. მაგრამ მთავრობამ ვერ შესძლო ეჩვენებინა ევროპიდან ჩამოსული სტუმრებისათვის ვერც ერთი ფაბრიკა, ქარხანა, სოფლის მეურნეობა, არც უპატრონოდ მიტოვებული ჭიათურის მაღაროები. სამაგიეროდ ისინი მათ ხალისით უჩვენებდნენ მეფის გვარეულობის წევრთა ყოფილ სასახლეებს, ღვინის სარდაფებს, ბაღებს, თავადთა მანულებს წინანდალსა და მუხრანში. დელეგაციის წევრებს შავი ზღვის ავარაკებიც უჩვენეს. საქართველოში ნახულით მოხიბლული სტუმრები, ბოლოს ყანწებით და ხანჯლებით დაასაჩუქრეს, ბათუმში ჩაიყვანეს, გემში ჩასვეს და ხვევნა-კოცნით, ცრემლების ღვრით, ეკონომიური და სამხედრო დახმარებს თხოვნითა და მუდარით ევროპაში გაისტუმრეს.

მალე მეორე ინტერნაციონალის პატრიარქი კარლ კაუტსკი ჩამობრძანდა ცოლითურთ, ლუიზათი, გერმანიიდან საქართველოში. მისი ერთგული და ღორსეული მოწაფის ჟორდანიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. კორნელის არა ერთხელ უნახავს სამოცდაათ წელს მიღწეული, სავსებით გათეთრებული წვერ-ულვაშით მოსილი, ტანმორჩილი და სათვალიანი მოხუცი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე პრუსიელი ჯარისკაცივით გამართული, მხნე, ჩქარი ნაბიჯით დადიოდა, ან კიდევ ჯიშიანი ცხენებით შებმულ ლანდოში ჟორდანიას გვერდით იჯდა. თეთრ ბუსავით გაბურძგნილი მოხუცი გაფაფრული წარბების ქვეშ გაშტერებული თვალებით უცქეროდა საქართველოს გაპარტახებულ დედაქალაქს, უვარგის ქარხნებს, ოღროჩოღრო გზებს, ღარიბ და ღატაკ სოფლებს. გერმანიიდან ჩამოსული მოხუცის თვალი ბევრ ნაკლს ამჩნევდა. მაგრამ დუმდა. რადგან საქართველოში განსაკუთრებული მიზნით მოგზაურობდა. მას საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა უნდა განემტკიცებინა.

გერმანიაში ჩასვლის მერმე კაუტსკიმ დაწერა წერილი — „ერთ სოციალ-დემოკრატიულ გლეხურ რესპუბლიკაზე“, რომელშიც ხოტბა შეასხა შენშევიკურ საქართველოს. მაგრამ

ბოლოს იძულებული იყო განეცხადებინა: „სამწუხაროდ, საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენ“. ამას იგი იმიტომ წერდა, რომ დასავლეთ ევროპას საქართველოსათვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ მენშევიკების მიერ შექმნილ სახელმწიფოს უკვე აღარაფერი აღარ უშველიდა.

ეს ესმოდა ახლა არა მარტო საქართველოში არსებულ ყველა ოპოზიციურ პარტიას, არამედ მენშევიკების იმ ნაწილსაც, რომელმაც პარტიის შიგნით ოპოზიციური ფრაქცია — „სხივი“ შექმნა. თვითონ ჟორდანიას და მის ჯგუფს არა ჰქონდათ მტკიცე აზრი იმაზე, თუ რა გეზი აეღოთ. სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ეჭვი და მერყეობა, მაგრამ მას ფხიზლად უთვალთვალებდა ნოე რამიშვილი. რამიშვილს იგი თავისი გავლენის ქვეშ ჰყავდა მომწყვდეული, ერეოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში და მის კურსს „ასწორებდა“. ამ კაცმა თავიდან ამოიღო მარქსისტული იდეების უკანასკნელი ნარჩენები და თანდათან იქცეოდა საქართველოს ნამდვილ მმართველად, დიქტატორად.

— კარლ კაუტსკი და მეორე ინტერნაციონალი შეძლებენ შექმნან ევროპაში საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სასარგებლოდ, მიაღწიონ ჩვენთვის ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას, — იმეორებდა ჟორდანია და უკვე თვითონვე აღარ სჯეროდა თავის ნათქვანისა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრები სამშობლოში ჩასვლისთანავე მთელი არსებით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ყველა, თითქო საქართველოში „წმინდა დემოკრატია ჰყვავის“, მენშევიკები დღითი დღე ჰკარგავდნენ ხალხში ნდობის უკანასკნელ ნასახს.

ახლა უკვე ყველა აშკარად ხედავდა მენშევიკური საქართველოს პოლიტიკის სრულ გაკოტრებას და მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. ამასვე მოითხოვდნენ დამფუძნებელ კრებაში ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატებისა და სხვა პარტიების დეპუტატები.

— ის მთავრობა, რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა, უნდა გადადგეს, — განაცხადა დამფუძნებელ კრებაში სენატორმა გიორგი დადვაძემ.

— ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი? — დაცინვით ჰკითხა რამიშვილმა.

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, — მიუგო დადვაძემ და განაგრძო, — მაგრამ თუ თქვენ ჩვენი აზრის გაგება გსურთ, ინებეთ: მთავრობა შედგენილი უნდა იქნეს გონიერი და წესიერი პირებისაგან, საქართველოს ხალხისადმი გულშემატკივარი ნამდვილი სოციალისტებისაგან, და არა ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილი კოსმოპოლიტიკოსებისაგან.

დადვაძე იმავე ღამით დააპატიმრეს.

ხალხი ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობდა. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას საშუალება არა ჰქონდა შიმშილისა, ჭუჭყისა და უსინათლობისათვის დაეღწია თავი. ყველგან სპეკულაციური ვაჭრობა, მექრთამეობა, უზნეობა, ქურდობა, ბოროტმოქმედება, ყაჩაღობა სუფევდა. სახელმწიფო დაირღვა და დემოკრატიული პრინციპების ნიშანწყალიც კი წაიშალა. პიროვნების თავისუფლება ფიქციად იქცა, თავისუფალი სიტყვის გამო მოქალაქეს ციხეში აგდებდნენ ან ასახლებდნენ... მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, არსებული წყობილებით უკმაყოფილება და კომუნისტების გავლენა მშრომელ მასებზე უფრო გაძლიერდა. პროფესიული კავშირების გამგეობაში არჩევნებზე კომუნისტებმა ხმის უმრავლესობა შეჰკრიბეს. მაშინ მენშევიკებმა სოციალისტ-ფედერალისტებთან, ნაციონალ-დემოკრატებთან და სხვა პარტიებთან შეჰკრეს ბლოკი და ახალი არჩევნები ჩაატარეს. ასევე მოხდა მბეჭდავთა კავშირის გამგეობის არჩევნებზეც, რომელიც მენშევიკებს თავისად მიაჩნდათ.

შენობა, რომელშიაც კრება ტარდებოდა, საგანგებო რაზმის თანამშრომლებით იყო გარშემორტყმული. ისინი მრავლად ესწრებოდნენ კრებასაც. მენშევიკების ორატორები ყოველთვის დემაგოგიას მიმართავდნენ საბჭოთა რუსეთის და ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი არც ერთ ბოლშევიკ ორატორს არ აძლევდნენ სიტყვას, მიუხედავად ამისა, მენშევიკების მიერ სხვა პარტიებთან შეკრულმა ბლოკმა მხოლოდ ერთი ხმით მეტი მიიღო, ვიდრე კომუნისტებმა.

არჩევნების დროს მოხუცმა მუშამ კოტე ჩიხლაძემ, მენშევიკური პარტიის ძველმა წევრმა, ხმა კომუნისტებს მისცა.

როდესაც გაოცებულმა ამხანაგებმა ჰკითხეს, ეს_რა ჩაიდინეო, მოხუცმა დაკონკილი ქურთუკის ღილები შეიხსნა, კალთები გადასწია, შიშველი ტანი უჩვენა მათ და მიუგო:

— აი, თქვენი მენშევიკური პროგრამა: უხალათოდ, შიშველი და მშიერი დავიარებით..

ნაწილი მეოთხე

ალლაჰზე

თბილისში საფრანგეთის უზენაესი კომისრის, შევალიესა და ბათუმში ადმირალ დიუმენილის ჩამოსვლის მერმე საბჭოთა რესპუბლიკების (აზერბაიჯანის, სომხეთის) წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობის აგრესიული მოქმედებანი და ქვეყნის შიგნით ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიები გაძლიერდა.

1920 წლის მასალებიდან

I

თორმეტ დეკემბერს, „სახალხო გვარდიის დღეს“, თბილისის გარნიზონის ჯარების აღლუმი იყო დანიშნული. ცხენოსანი და საარტილერიო ჯარის ნაწილები დილაადრიან გაეშურნენ აღლუმისათვის მიჩნეულ ადგილისაკენ და რუსთაველის პროსპექტისა და ოლღას ქუჩის ორივე მხარეს იწყეს განლაგება. ჯარის თავი, რომელიც სამხედრო სკოლისა და უნტერ-ოფიცერთა ათასეულისაგან შედგებოდა, დამფუძნებელი კრების—ყიფილი სასახლის შენობას ებჯინებოდა,—ბოლო კი თამბაქოს ფაბრიკასთან თავდებოდა, — მდინარე ვერის ხიდთან, საიდანაც გზა საბურთალოსაკენ მიდიოდა. აქ ჯავშნიანი მანქანების ასეული იდგა.

მოღრუბლული და ცივი დილა გათენდა. კორნელიმ პალტო ჩაიცვა და აღლუმის სანახავად ქალაქში გავიდა. ზემელ-ს აფთიაქის წინ, პატარა ბაღის კარებს რომ მიაღწია, ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილი, მაღალი, გამხდარი და შავგვრემანი ჭაბუკი შეეყარა. კორნელიმ მაშინვე იცნო ასოთამწყო-

ბი კარო იარალოვი, რომელსაც თავისი განუყრელი დიდი გარმონი მხარზე გადაეკიდა, კარომ კორნელი ბალში შეიყვანა, გუნდის ხეს მოეფარა, შავი, დიდი, ლამაზი თვალები შეჭმუხნა და ჰკითხა:

— საით გაგიწევია?

— აღლუმი მინდა ვნახო, — მიუგო კორნელიმ.

— ხომ არ იკისრებ ამასთან ერთად სასარგებლო საქმეც გააკეთო?

— რა საქმე?

— აქ ახლოს საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცები დგანან, გაიარე მათ შორის, ალბათ ნაცნობებს ნახავ, დაურიგე ფურცლები... იქ ჩემი მისვლა არ შეიძლება.

კაროს მიერ მიცემულმა მოულოდნელმა დავალებამ კორნელი საგონებელში ჩააგდო. იგი გაფითრდა, მოკრძალებით მიაპყრო თვალი გარმონს, რომლის ჯადოსნურ ყუთში კარო ფურცლებს ინახავდა და უარის სათქმელად მიზეზის გამოძებნა სცადა.

— ის საქმე, რომელსაც შენ მავალებ, როგორღაც უცხო და უცნობია ჩემთვის...

— ის საქმე, რომელსაც მე შენ გავალებ, სრულებითაც არ არის ძნელი. წაიღე ფურცლები და ჯარისკაცებს ფრთხილად დაურიგე.

კარომ შეატყო, კორნელი რომ მერყეობდა, და სახე ისე დაძაბუნა, თითქო შეგინებას აპირებსო:

— გრცხვენოდეს. სტუდენტო, მწერალო. ნუთუ შენ ფიქრობ, მოთხრობა თუ დასწერე ან რევოლუციაზე იმსჯელე, შენგან ალარაფერი არ მოითხოვებაო!

კორნელიმ კაროს შეხედა და მოაგონდა. საგანგებო რაზმის აგენტს შარშან ძიტო და კარო რომ გაექცნენ და ძასთან მივიდნენ. მაშინ კორნელი კარო იარალოვს შეჰნატროდა და ფიქრობდა, რომ ზოგ უბრალო, არაფერალა, იატაკქვეშე მომუშავეს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს. ვიდრე ბევრ მოცლილ ფილოსოფოსს და პოეტს, და ახლა, როდესაც კორნელის საშუალება ეძლეოდა ნამდვილად მოეტანა სარგებლობა რევოლუციისათვის, იგი მერყეობდა და შიშობდა.

— თქვი, მოჰკიდებ თუ არა ხელს ამ საქმეს? — პასუხს

არ დაელოდა და ისე ჰკითხა კაროლ. — მე ჩემი საქმე გავაკეთე. შემნიშნეს. უნდა მოვუსვა...

გულმა ძალუმად დაუწყო ძგერა კორნელის, იგი დაიბნა. კაროლ გარმონის საიდუმლო ყუთი გახსნა, იქიდან ფურცლების დასტა ამოიღო და პალტოს უბეში ჩაუდო კოინულის. მერმე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და მაშინვე გაუჩინარდა, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო.

კორნელი ბაღიდან გამოვიდა და ვერის ბაზრისაკენ ჯაუბედავი ნაბიჯით გაეშურა. ასე ეგონა, თითქოს არა მარტო მას მიშტერებოდნენ ყველანი, არამედ მისი პალტოს გულისჯიბესაც, რომელშიც კაროს მიერ მიცემული პროკლამაციები ედო, და ფითრდებოდა. ის ფურცლები თითქოს მკერდს უდაღავდნენ. მაგრამ მალე შენიშნა, რომ მოქალაქენი სრულიადაც არ აქცევდნენ მას ყურადღებას, არამედ ქუჩაში ჩამწკრივებული ჯარით იყვნენ გართულნი. ამან გაამხნევა, გული მოეცა. ასე მიაღწია ვერის ბაზარს. უცებ ჯარისკაცთა შორის ნაცნობები დაინახა — კაპლო ვარდიაშვილი და ყოფილი მეფურგონე კოკო ხელაძე, რომელსაც საბურთალოში ეჩხუბა. მაშინვე მიხვდა, რომ აქ კაპიტან ალექსიძის სამთო ბატარეა უნდა მდგარიყო. მართლაც, მალე სალუდე დუქნის წინ შექუჩებულ ჯარისკაცთა ჯგუფს წააწყდა, რომელშიც მისი ნაცნობები, ფრონტელი მეგობრები იყვნენ — კომპოზიტორი მჭედლიშვილი, მხატვარი ჩიგოგიძე და საფრანგეთიდან ამას წინათ ჩამოსული ჟურნალისტი დათა კაჭკაჭიშვილი. დათამ მაშინვე უსაყვედურა: საქართველოსათვის ასეთ მძიმე დროს ჯარი რად მიატოვეო. მის საყვედურს კორნელიმ ყურადღება არ მიაქცია, გიგა ხუციშვილი და მის გვერდით მდგარი ჯარისკაცი მუშა-მელითონე ლადო პარკაძე გვერდზე გაიყვანა, ფურცლები გადასცა და აჩაქრებით უთხრა:

— დაურიგეთ ჯარისკაცებს!

რამდენიმე ათეული ცალი ფურცელი კორნელიმ ვერის ბაზარში მოხეტიალე ჯარისკაცებს თვითონვე დაურიგა.

კორნელი ოლღას ქუჩაზე გამოვიდა და თამბაქოს ფაბრიკისაკენ გაეშურა. როდესაც უკან გამობრუნდა, ქუჩაში ჯერუფჯგუფად მდგარი ჯარისკაცები პროკლამაციებს კითხულობდ-

ნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს და დაარბიეს კარგად მოწყობილი არალეგალური სტამბა, კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესძლო დიდი რაოდენობით პროკლამაციების დაბეჭდვა და გავრცელება. პროკლამაციებს გათლომე მახათაძე და ვანო ხახუტაშვილი ბეჭდავდნენ დიდუბის არალეგალურ სტამბაში, რომელსაც ვერასგზით ვერ მიაკვლიეს. ფურცლების გავრცელება მინდობილი ჰქონდა ახალგაზრდა მუშებს — კარო იარალოვს, ვასო მარუაშვილს და ვანია ტოშილინს. კორნელი ჯარისკაცთა ერთ წრეს მიუახლოვდა. მისი ყურადღება მიიპყრო მწვრთურმა ჯარისკაცმა. იგი წინ წახრილიყო და ხელს ყურზე იფარებდა. ჯარისკაცმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ვერ გავიგონე, არაფერი არ ისმის!

კორნელი მასთან მივიდა და ფურცელი ხელში ჩაუდო:

— წაიღე, თვითონ წაიკითხე, ამ ფურცელში სწერია ის, რაც ახლა ყველას აინტერესებს. — მერმე გარშემორტყმულ ჯარისკაცებს დარჩენილი პროკლამაციები დაურიგა და წავიდა. ანასტასევის ქუჩისაკენ გადასახვევთან ნაცნობები დაინახა, მათ შორის გენადი ქადაგიშვილი, რომელიც ოფიცრებს აღელვებით ელაპარაკებოდა. კორნელი მივიდა და მიესალმა მათ.

— ბოლშევიკებს თქვენი ჯარისკაცებისათვის ღია ცის ქვეშ სამკითხველო მოუწყვიათ, თქვენ კი არავითარ ზომებს არ ღებულობთ, — განაგრძობდა აღელვებით ქადაგიშვილი.

— რა ზომები უნდა მივიღოთ?! — მიუგო შავგვრემანმა, ზორბა და ახოვანმა კაცმა პოლკოვნიკმა იოსელიანმა. — მიბრძანდით, თქვენ აუკრძალეთ კითხვა! მხოლოდ გაფრთხილებთ: ხიშტზე არ წამოგაგონ!

— ჩვენი ორგანოებიც მუშაობენ, რაღა! — გაჯავრდა შავშლიაპიანი პატარა კაცი, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები ფურნის შავ ჭიასავით აჯდა ზედა ბაგეზე.

კორნელიმ იცნო კარისმერეთელი ვაჭრის შვილი პავლე ყუპრაძე, მომარაგების მინისტრის მოადგილე, რომელსაც „ტარაკანი“ — ფურნის ჭია შეარქვა. „ტარაკანმა“ კორნელი ეჭვის თვალით შეათვალიერა.

იქვე ლამაზი, წარმოსადეგი კაცი, ნაციონალ-დემოკრა-

ტი, ვექილი ირაკლი მიქელაძე იდგა. მას შავი პალტო ეცვა და შავივე კრაველის, დაბალი ბეხრის ქუდი ეხურა. თავი არისტოკრატად მოჰქონდა, გრძელ ფრჩხილებს ატარებდა და ზედ მანიკურს იკეთებდა. ვექილი შეყვარებული იყო თავის თავზე და თავის მჭევრმეტყველებაზე. მისი მჭევრმეტყველება მანამდე მარტო სასამართლოს დარბაზით იფარგლებოდა და ახლა, ქუჩაში რომ კამათობდა, კორნელის გაუკვირდა. იგი ხელით კუმშავდა პროკლამაციას და გაიძახოდა:

— ეს აჯანყებისაკენ მოწოდებაა! მსოფლიოში და საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია დღეს ისეთია, რომ საჭიროა ბოლშევიკების წინააღმდეგ ექსტრავაგანტური ზომების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკას კატასტროფა მოელის. ეს ალფა და ომეგა გახლავთ დღევანდელი პოლიტიკისა. იდენტური მოვლენა იყო ბაქოშიც...

„პლატონ მოგველაძის ღირსეული მოწაფეა“, — გაიფიქრა კორნელიმ და, რადგან კარგად იცოდა, რომ თავის მჭევრმეტყველებაში შეყვარებული „ოქროპირი“ დიდხანს არ დაამთავრებდა უცხოური სიტყვებითა და ფერ-უმარილით შეთხუპნულ ტირადას, შეუმჩნევლად გაიპარა და მალე რუსთაველის პროსპექტზე ამოჰყო თავი. იგი მეტად კმაყოფილი იყო თავისი დღევანდელი მუშაობით...

მიუხედავად მიქელაძის, ქადაგიშვილისა და „ტარაკანის“ აღშფოთებისა, ჯარისკაცები პროკლამაციების კითხვას განაგრძობდნენ მანამდე, სანამ ეს არ გაიგო საგანგებო რაზმის უფროსმა, რომელმაც სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დროს გაისმა ბრძანება — „დადექ!“ ჯარისკაცებმა ფურცლები მაზარის ჯიბეებში ჩაილაგეს და მწყობრში ჩადგნენ.

3

აღლუმი ნაშუადღევს დაიწყო. მისი ასეთი დაგვიანება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ „სახალხო გვარდიის“ არსებობის სამი წლისთავზე მენშევიკებმა გადაწყვიტეს მოეწყვიათ დამფუძნებელი კრების სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საფრანგეთის უზენაესი კომისარი შევალიე, ადმირალი

დიუფეილი, იგზავნება ელჩი უოშინგტონში, პოლკოვნიკი ჰა-
სის უფროსი პოლკოვნიკი ჰასკელი, იტალიისა და თურქე-
თის ელჩები.

შევალიე და დიუმენილი, დეკემბრის დამდეგს სამხედრო
გემების თანხლებით, დრედნოუტით „კალდეკ რუსსო"-ით
ჩამოკიდნენ ბათუმში. ბათუმის ნავსადგურში იდგნენ აგრეთვე
იტალიის კრეისერი „აკორდატი" და ორი ამერიკული ნაღმო-
სანი. აი, ასეთი ძალების იმედით მოითხოვდა ბატონი შეკა-
ლიე მენშევიკურ მთავრობისაგან საბჭოთა აზერბაიჯანისა და
ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ ბრძოლას. როდესაც მენ-
შევიკურმა მთავრობამ შიში გამოთქვა იმის გამო, რომ სა-
ქართველოში შეიძლება დაიწყოს მუშებისა და გლეხების აჯ-
ანყება, რასაც ჩვენი ძალები ვერ გაუმკლავდებიანო, მაშინ
საფრანგეთის კომისარმა, ანტანტის სახელით, დამატებითი
შეიარაღებული დახმარება აღუთქვა მას. ამასვე პირდებოდა
ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი.

აღლუმი მაშინ უცნაურად ტარდებოდა. გარნიზონის უფ-
როსს — კვინიტაძის პატაკის მირთმევის მერმე, საერდაღი
ოდიშელიძე ჯარების დათვალიერებას არ შესდგომია, მთავ-
რობის წევრების მიერ დაკავებულ ტრიბუნაზე არ ასულა და
ჯარის ნაწილები ტრიბუნის წინაშე ცერემონიული მარშით
არ გაუტარებია. ის თან ახლდა ჟორდანიას, რომელიც რა-
შიშვილთან, სამხედრო საქმეთა მინისტრთან, სახალხო გვარ-
დიის მთავარი შტაბის თავმჯდომარესთან, გარნიზონის უფ-
როსთან და სხვა გენერლებთან ერთად რუსთაველის პრო-
სპექტზე ორივე მხარეს ჩამწკრივებული ჯარების დათვალიე-
ებას შეუდგა.

პრეზიდენტი ჯარისკაცებს ესალმებოდა, დღესასწაულს
ულოცავდა და „დემოკრატიული რესპუბლიკის" მისამართით
„ვაშას" იძახდა. მაგრამ მისალმებაზე ერთხულოვნად მხო-
ლოდ იუნკრები უპასუხებდნენ, სახალხო გვარდიელები — ეწ-
თუზიაზმის გარეშე, რეგულარულ ნაწილებში კი მეჩხერი,
ილაჯგაწყვეტილი „ვაშა" ისმოდა. ამან ძლიერ დააჯავრიანა
ჟორდანია, რომელიც, განსაკუთრებით კი — გვარდიის
მთავარი შტაბის თავმჯდომარე ჯუღელი. მას ღილებშეხსნი-
ლი, უქამრო მაზარა ეცვა და შავი ტყავისაგან შეკერილი რუ-

სული ქუდი — კარტუზი ეხურა. ადრე გაჭაღარავებულ ამ ყოფილ სტუდენტს, ზერელედ ნასწავლ და ეგზალტირებულ კაცს დიდი პრეტენზიები ჰქონდა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი და მწერალი გამხდარიყო. იგი ახლახან იყო შესული მენშევიკურ პარტიაში და ყოველ ღონეს და ხერხს მიმართავდა, რომ იმ პარტიის ბელადის ყურადღება მიეპყრო, მისი ნდობა და სიყვარული დაემსახურებინა.

რაც უფრო წინ მიიწევდა პრეზიდენტი, მით უფრო მოშვებული და მეჩხერი ხდებოდა „ვაშა“. ჯუღელი ბრაზისაგან გაიგუდა, ქუდი მოიხადა, ხელი ასწია და ჯარისკაცებს ანიშნა, რომ პრეზიდენტისათვის ერთსულოვნად, მხნედ და ხმამაღლა ეპასუხნათ. ასეთივე ნიშანს აძლევდა ჯარისკაცებს საჯდალი ოდიშელიძეც, მაგრამ ამ ნიშნებზე ჯარისკაცები დამცინავად იღიმებოდნენ, ან კიდევ მრისხანედ შესცქეროდნენ სახეში ჟორდანიას და მისი ამალის წევრებს.

— აბა, სინჯეთ და, გაგზავნეთ ესენი წითლების წინააღმდეგ. — უჩურჩულა ჯუღელმა რამიშვილს.

ჯუღელმა იცოდა, რასაც ამბობდა. ამას წინათ აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი შეტაკებების დროს ქართველმა ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ბრძანების შესრულებაზე, მიტინგები გამართეს, წითელარმიელებთან დაძმობილება დაიწყეს, მთელი ბატალიონებით და პოლკებითაც კი დატოვეს ფრონტი. ოფიცრებმა მათი შეკავება სცადეს, ჯარისკაცები იარაღით დაემუქრნენ.

— საჭიროა საგანგებო ზომების მიღება, ახალი წმენდის ჩატარება ჯარში, მეტიც: არ უნდა მოვერიდოთ დახვრეტებსაც კი... — მიუგო რამიშვილმა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარეს.

— დახვრეტების მერმე, — შეედავა ჯუღელი, — დეზერტირობის შემთხვევები გახშირდა.

როდესაც ჟორდანია და მის ამალაში მყოფი მინისტრები და გენერლები ოპერის თეატრს მიუახლოვდნენ, ორკესტრის უცნაური ხმები შემოესმათ. რაღაც უჩვეულო [illegible] ისმოდა ნაღარების და სალამურების ხმა, უამრავი დოლების გრგვინვა-გრიალი. მალე პროსპექტზე ინგლისის კოლონიური ჯარების პოლკიც გამოჩნდა. პრეზიდენტისა და მთავრობის ზო-

გიერთი წევრის გარდა, ყველას უკვირდა, საიდან გაჩნდა საქართველოში ასე მოულოდნელად ინგლისის ჯარი. მას, ვისაც მენშევიკების დიპლომატიური ნიჭის სჯეროდა, თბილისში ინგლისის ჯარის გამოჩენა, საფრანგეთის უზენაესი კომისრის შევალიეს და ადმირალ დიუმენილის საქართველოში ჩამოსვლა სამხედრო დახმარების დასაწყისად მიაჩნდა. „აბა გაბედონ ახლა კომუნისტებმა აჯანყების მოწყობა“, — ამბობდნენ სულმობრუნებული, შინგამოზრდილი პოლიტიკოსები.

მაგრამ არც ჟორდანია, არც რამიშვილი და არც ისინი, რომლებიც ჩახედული იყვნენ საქმის ვითარებაში, არ იზიარებდნენ მათ აღტაცებას. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ თბილისში მოულოდნელად გამოჩენილ ინგლისის ჯარისკაცებს არაფერი საერთო არა ჰქონდათ სამხედრო დახმარებასთან. მთავრობამ ისიც იცოდა, რომ რამდენიმე დღის მერმე ეს ერთადერთი ინგლისური პოლკი ტრანსპორტზე ბათუმში დაიტვირთებოდა და სტამბოლში გასწევდა.

ამ პოლკის ისტორია ასეთი იყო.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ინგლისის მთავრობამ სიპაებით ირანის ავსება დაიწყო. ის იმედოვნებდა, რომ დაშნაკური სომხეთის და მენშევიკური საქართველოს დახმარებით მოახერხებდა სამხედრო ძალის შექმნას, რომელიც მოსპობდა საბჭოთა ხელისუფლებას აზერბაიჯანში, ხელთ იგდებდა ბაქოს ნავთს და მთელ კავკასიას. ანტანტა ინტრიგების ქსელს ადამდა კავკასიაში. მენშევიკური მთავრობა ამ საქმეში აშკარა დახმარებას უწევდა მას. საქართველოს მიწა-წყალზე ისევ პოვებდნენ თავშესაფარს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და აზერბაიჯანის ყოფილი მთავრობები. მათი კომიტეტები თავისუფლად ადგენდნენ ჯარის ნაწილებს, რომლებსაც მენშევიკები იარაღს აწოდებდნენ და მერმე ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების მოსაწყობად გზავნიდნენ. მენშევიკურ საქართველოს საგანგებო რაზმსა და ინგლის-საფრანგეთის კონტრდაზვერვას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. საქართველო გადაქცეული იყო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ამფეთქებელ ბლაცდარმად. მაგრამ მოულოდნელად სომხეთში აჯანყება დაიწყო. დაშნაკური მთავრობის თხოვნით, ინგლისელებმა

თავრიზიდან ერევანში სიპაების პოლკი შეიყვანეს. სიპაები უნდა დახმარებოდნენ დაშნაკურ ჯარებს აჯანყების ჩაქრობაში. მაშინ საბჭოთა ჯარის ნაწილი, რომელიც აზერბაიჯანში იდგა, სომხეთისაკენ დაიძრა, დაშნაკთა ცალკეული რაზმების სუსტი წინააღმდეგობა გადალახა და 1920 წლის 2 დეკემბერს ერევანში შევიდა, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. სიპაების პოლკი მოსწყდა ირანისაკენ დასახევ გზას და საქართველოს საზღვრებისაკენ გამოიქცა. პოლკის უფროსმა თხოვნით მიმართა ჟორდანიას მთავრობას ნება დაერთო მისი პოლკისათვის, რათა თბილისსა და ბათუმზე გავლით თურქეთში წასულიყო.

აი, ინგლისის ჯარის ეს პოლკი მოდიოდა ახლა ორკესტრით რუსთაველის პროსპექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ სიპაების პოლკი საკმაოდ გალახული იყო საბჭოთა ჯარების მიერ და პანიკით შეპყრობილი გამოიქცა სომხეთიდან საქართველოში, ინგლისელ ოფიცრებს მაინც მედიდური და თავხედური გამომეტყველებით მოჰყავდათ იგი ქართული ჯარების მწკრივებს შორის და ყარადღებას არ აქცევდნენ აღლუმს და ყველაფერ მას, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ინგლისის კოლონიური პოლკი შედგებოდა სიპაებისაგან — გამხდარ, გალახულ, შავ და ჯუჯა ჯარისკაცებისაგან. სიპაებს ინგლისური ფრენჩები, გალიფე, ჰამაშები, ფესხს ცმელები ეცვათ და მათი ჩია ტანისათვის შეუფერებელი, დიდი ქარაბინები ეკიდათ თასმებით მხარზე. ისინი მონდომებით მოდიოდნენ და ნალებდარტყმულ, დალურსმულ ფეხს ცხველებს აბრახუნებდნენ პროსპექტზე. ამ მონდომებულ სვლაში აშკარად ჩანდა ინგლისელ ოფიცერთა მიერ მათი ხანგრძლივი და მკაცრი წვრთნა. პოლკს წინ მიუძღოდა შოტლანდიური ბატალიონიდან ნათხოვარი ორკესტრი. იგი შედგებოდა ძველი შოტლანდიური ინსტრუმენტებისაგან. აქ იყო პატრა და ვეება დოლები. დამკვრელები გაშმაგებით სცემდნენ დოლებს თავკომბალა ჯოხებს, რომლებსაც ჰაერში ისროდნენ და ჟონგლიორივით ათამაშებდნენ. აქ იყო კლარნეტები, ფლეიტები, სალამურები, დუდუკები, ბუკები, ნაღარები, იღლიაში ამოჩრილ, გაბერილ ტიკჭორებზე მიმაგრებული სტვიებზი... ბუკებისა და ნაღარების ძახილი, სალამურებისა და ღუ-

დუკების სტვენა და დოლებზე გაშმაგებული ბრახუნი ჰაერს აყრუებდა.

სიბაების პოლკი გაცდა ფოსტის შენობას, ოპერის თეატრისაკენ გაემართა და არ ფიქრობდა პროსპექტიდან გადახვევას და პარალელურ ქუჩაზე გასვლას, სადაც მისთვის შესანგრევთა ჯარების ყაზარმები იყო გამოყოფილი.

პრეზიდენტი, მისი ამალა, გენერლები იძულებულნი გახდნენ შეჩერებულიყვნენ და შეეწყვიტათ ჯარების დათვალიერება. მაშინ თბილისის გარნიზონის უფროსმა, გამხდარმა, ქაფანდარა კაცმა, გენერალმა კვინიტაძემ, ინგლისის კოლონიური პოლკის უფროსს თავისი ადიუტანტი გაუგზავნა. კორნელმა დაინახა, როგორ გაიქცა თავქუდმოგლეჯილი ადიუტანტი და ცხენივით დიდთავა, ვეება ნიკაპიან მაღალ და მწოთურ კაცს, ინგლისის პოლკის უფროსს — მაიორს გაეჭიმა და გადასცა გარნიზონის უფროსის თხოვნა, გათავისუფლებინა პროსპექტი. მაიორმა მრისხანედ შეხედა და სახის მედდური გამომეტყველებით განაგრძო ქართველ ჯარისკაცთა შეღონგებს შორის სვლა. ადიუტანტმა ისევ მიიობინა მასთან და გვერდზე მიყოლით გაუმეორა:

— ბატონო მაიორო, გარნიზონის უფროსი გთხოვთ გაათავისუფლოთ პროსპექტი, გადაუხვიოთ აი ამ ოპერის თეატრის შენობასთან, ხელი არ შეუშალოთ აღლუმს და ჯარების დათვალიერებას, რომელსაც თვითონ პრეზიდენტი აწარმოებს.

მაიორი არ შეჩერებულა, არც შეუხედავს ადიუტანტისათვის, ისე გაფრინა ხელქვეით თავის ოფიცრებს, ცხენისავით დიდი კბილები გამოაჩინა და ირონიულად გაცრა მათში: „პრეზიდენტ!“ მერმე ისევ მრისხანე გამომეტყველება მიიღო. ადიუტანტს მოთმინება დაეკარგა და გაბრაზდა...

გენერალი კვინიტაძე შორიდან ხედავდა ყოველივე ამას. ჯარების სარდალთან ოდიშელიძესთან მივიდა და უთხრა:

— ის ინგლისელი დაგვცინის, დარწმუნებული ვარ მაგი ორკესტრიც განზრახ ხმაურობს ასე, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს აღლუმს.

— ეს უზრდელობა და უმსგავსობაა, — დაეთანხმა გენერალი ოდიშელიძე.

— განა ის თავხედი ოფიცრები ღირსნი არ არიან, პროს-

პექტიდან რომ გავრეკოთ! — მიუბრუნდა სარდალს გენერალი მაზნიაშვილი, შავგვრემანი, ჯმუხი კაცი, რომელსაც დასავლეთის ფრონტზე დასახიჩრებული, შემხმარი მკლავი მაზარის სახელოში უმწეოდ ეკიდა.

ჟორდანიამ ყური მოჰკრა გენერლების ლაპარაკს, შეშინებული თვალები გადმოკარკლა და უთხრა:

— რას ბრძანებთ?! ამ ოფიცრების გამო ხომ არ გავართულებთ ჩვენს ურთიერთობას დიდ ბრიტანეთთან? ვაცალოთ მათ ჯარს პროსპექტზე გავლა. დაუძახეთ ადიუტანტს. — მიმართა ჟორდანიამ გარნიზონის უფროსს, — რას ჩასცივებია ინგლისელ ოფიცერს! აბა, შეხედეთ, რასა შვრება? რად არ ეშვება? ჩხუბს ხომ არ აპირებს მასთან? დაუძახეთ, დაუძახეთ, გეთაყვა!

„ესეც შენი პრეზიდენტი!“ — გაიფიქრა გენერალმა მაზნიაშვილმა და ბრაზისაგან აცახცახდა. პრეზიდენტმა კი ინგლისელი ოფიცრების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა გადაყლაპა, გვერდზე მიდგა, გზა მისცა მათ და თავის ჯარისკაცებში შეერია. მაგრამ ქართველი ჯარისკაცები მწყობრიდან გამოვიდნენ, თოფები გადმოიღეს, ხიშტებით აჯაგრული ფოლადის კედელი შეჰკრეს და ინგლისელ ოფიცრებს გზა გადაუღობეს. ოფიცრებმა ჯარისკაცების აღშფოთება, შეტაკებისათვის მზადყოფნა და ძალა რომ დაინახეს, შეშინდნენ, უკან დაიხიეს და ჯარისკაცებში აირივნენ. მაიორმა ბრძანება გასცა და მისი პოლკი პროსპექტიდან ბარიატინსკის ქუჩაზე შეშინებული ცხვრის ფარასავით უწესრიგოდ და საჩქაროდ დაეშვა.

დიდი ვაი-ვაგლახის მერმე ქართველმა ოფიცრებმა ძლივს მოახერხეს აღშფოთებული ჯარისკაცების დამშვიდება და შეკრივში მათი ჩაყენება.

თავზარდაცემული ჟორდანია მომხდარი შემთხვევის გამო დიპლომატიურ შედეგებზე ფიქრობდა, მხრებს ნერვიულად იჩეჩდა და ერთსა და იმავეს დაბნეულად გაიძახოდა:

— სკანდალია, სკანდალია!

სავალალო ინციდენტის გამო ხალხში შექმნილი მძიმე მოაბეჭდილების გასაქარვებლად ჟორდანიამ ჯარების დათვალიერება განაგრძო. ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობას

რომ მიუახლოვდა, თბილისის გარნიზონის სადარაჯო ბატალიონის ჯარისკაცებს მიესალმა და რიხიანად გასძახა:

— გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ვაშა!

ბატალიონმა დუმილით უპასუხა და „ვაშას“ ნაცვლად, რომელიღაც ჯარისკაცმა მწყობრიდან ხმამაღლა და გარკვევით დაიძახა:

— გაუმარჯოს თავისუფალ, საბჭოთა საქართველოს!

ეს იყო ფრონტელი ჯარისკაცი, ყოფილი მწყემსი და განთქმული მონადირე, ჩასკვნილი, შავგვრემანი, ხელმარჯვე გლეხი შაქრო როსტიაშვილი. იგი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იქნებოდა.

ჟორდანია წამოწითლდა და ჯარების მისალმება შეწყვიტა. ამ საქმეს რამიშვილმა და ჯულელმა მოჰკიდეს ხელი.

როდესაც ფრონტელმა ჯარისკაცმა ბოლშევიკური ლოზუნგი წამოიძახა, რამიშვილმა ისე შეხედა მას თავისი ავი და შემაზრზენი თვალებით, თითქო გაპობას უპირებსო. ჯარისკაცი შეკრთა და თავი ჩაჰკიდა. რამიშვილი შებრუნდა და გარნიზონის უფროსს წასჩურჩულა:

— უბრძანეთ, გენერალო, დოყლაპია პოლკოვნიკს ჯიბო მაყაშვილს, თავისი უვარგისი და გახრწნილი ბატალიონი აღლუმიდან გაიყვანოს, ჯარისკაცი კი, მე მგონია, თქვენ შენიშნეთ იგი, უნდა დაპატიმრებულ იქნას და ხვალ დილითვე დაიხვრიტოს მწყობრის წინ...

საალღუმოდ გამოყვანილი ჯარის ნაწილების დათვალიერების პროცესში რამიშვილი დარწმუნდა, რომ მისი ბრძანების შესრულება ძნელი საქმე იყო. ტრიბუნის წინაშე ცერემონიული მარშით სვლაში არა მარტო სადარაჯო ბატალიონს, არამედ ჯარის სხვა ნაწილებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა და ისინიც აღლუმიდან გაიყვანეს. აღლუმში მონაწილეობის მისაღებად დარჩა სამხედრო სკოლა, უნტეროფიცერთა ბატალიონი, ქვეითი ჯარის და არტილერიის ზოგი ნაწილი და ჯავშნიანი მანქანების ასეული.

ასეთივე დაცხრილვა განიცადეს აგრეთვე ქარხნის მუშების კოლონებმაც. 1920 წლის 12 დეკემბრის დღე ცუდ სახელიმო ვითარებაში ჩატარდა.

როდესაც სადარაჯო ბატალიონი თბილისის ქვეითი პოლკის ყოფილ ყაზარმებში ავლაბარს დაბრუნდა, პოლკოვნიკმა ჯიბო მაყაშვილმა მორიგე ოფიცერს — ეშხიან, ტანად ჭაბუკს — პორუჩიკს სიკო დევდარიანს შაქრო როსტიაშვილის დაპატიმრება უბრძანა და მერმე ქალაქში შეშფოთებული გაეშურა.

შტაბის მწერალმა, ყოფილმა სტუდენტმა კაპიტონ როგავამ ყური მოჰკრა პოლკოვნიკის ლაპარაკს მორიგე ოფიცერთან. ძალე ყაზარმებში ხმა გავარდა, ბატალიონისათვის საყვარელი როსტიაშვილი დაეპატიმრესო. მორიგე ოფიცერთან ჯარისკაცთა ჯგუფი გამოცხადდა და პატიმრის განთავისუფლება მოითხოვა. ოფიცერი უარზე დადგა. მაშინ აღელვებულმა ჯარისკაცებმა ყაზარმის საპატიმროსთან მდგარ გუშაგს იარაღი აჰყარეს და როსტიაშვილი გაათავისუფლეს.

საპატიმროდან გამოსულმა ჯარისკაცმა თოფი, ვაზნებით წაილო და ყაზარმიდან გაიქცა. მასთან ერთად გაიქცნენ აგრეთვე მისი მეშველი ჯარისკაცები.

მორიგე ოფიცერი ისე შეშინდა, რომ კინაღამ ჭკუა არ დაჰკარგა: მან იცოდა სამხედრო სასამართლო და დახვრეტა რომ არ აცდებოდა. ოფიცერმა ყაზარმიდან გასასვლელ ჯიხურთან მდგარი გუშაგის დაპატიმრება ბრძანა, მაგრამ ვერმე რა გზას დადგომოდა, ვერ მოისაზრა. მას შავტუხა, ბანჯგვლიანი და ვეება კაცი ზემდეგი მიხა გაგნიძე მიეშველა:

— ბატონო პორუჩიკო, მე ვიცი, სად გაიქცა პატიმარი.

პორუჩიკს იმედის ნაპერწკალმა გაუელვა თავში და ჰკითხა:

— სად?

— მან რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრა და სახაფლახანაკენ გაეშურა. იქიდან, ალბათ, სამგორს გადაივლის და კახეთში ჩავა.

— მისი დამჭაშები?

— მე ვფიქრობ, ისინი ქალაქიდან არ გასულან, ალბათ ავლაბარში მიიმალნენ, — შეატყობინა პორუჩიკს „ყოველის-მცოდნე“ ზემდეგმა, ოფიცრების ერთგულმა ძაღლმა, ყოფილმა მეცხვარემ, მეღვინემ და მევახშემ მიხა გაგნი-

ძვე, რომელსაც როსტიაშვილისაგან დაკრული სატევრის ნაკვალევი კეფაზე აჩნდა.

— კარგია, პატივცემული როსტიაშვილო, რომ მარტო გაქცეულა. საიდან იცი ყოველივე ეს? — გაუკვირდა პორუჩიკს. გაგნძემ უთხრა:

— როსტიაშვილს კარგად ვიცნობ. ის ჩვენებურია. ომამდე მამაჩემის მოჯამაგირე, მწყემსი იყო. ომიდან რომ დაბრუნდა, გლეხები აჯანყა, თავს დაგვესხა, აგვწიოკა. ცოტა თუ ბევრად შეძლებულნი, იძულებულნი გავხდით სოფელი მიგვტოვებინა. ახლა აქაც მოგვაგნო, დაგვედევნა და არ გვასვენებს. ჩვენს ბატალიონში ნახევარზე მეტი ბოლშევიკები არიან და მათი მეთაური შაქრო როსტიაშვილია. ის აჯანყებს ჯარისკაცებს. ბატონო პორუჩიკო, უთუოდ უნდა დავაკავოთ იგი, თორემ ცუდად წავა ჩვენი საქმე.

პორუჩიკი დევდარიანი შიშობდა, დრო არ დაეკარგა და ამიტომ ზემდეგის და სამი ჯარისკაცის თანხლებით გაქცეულს დაედევნა.

გაგნიძე მართალი აღმოჩნდა, სასაფლაოს დარაჯს ენახა სამგორისაკენ მიმავალი შეიარაღებული ჯარისკაცი.

პორუჩიკმა და ჯარისკაცებმა მახათა რომ გადაიარეს, მთებს შორის მოწყვდეული უზარმაზარი ქვაბურა, ტაფობი დაინახეს, სადაც გვალვისა და ალხიანი ქარისაგან თითქმის დაშრალი პატარა, მლაშე ტბები მდებარეობდნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა და სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ დეკემბრის ცივი ნიავი წყლის ზედაპირს აცრცრიშებდა და თევზის ქერეების მაგვარი. სადეფილეფერი, პატარა ცისფერა ტალღები ნაპირისაკენ გამორბოდნენ.

იმედგაცრუებული პორუჩიკი და მისი მხლებლები მთიდან დაეშვნენ, ქვაბურა გაიარეს და მოუხვიეს თუ არა, უცბად როსტიაშვილი დაინახეს, რომელიც ბილიკით მთაზე ადიოდა. გაგნიძემ უკან დაიხია და კლდის ქრმს ამოეფარა. ხოლო ჩქარი სიარულისა და სირბილის გამო გაოფლიანებული პორუჩიკი გაჩერდა და გაქცეულს გასძახა:

— როსტიაშვილო, გაჩერდი!

გაქცეული ისე შეკრთა, თითქო ხურგში ტყვია მიარჭესო. შემობრუნდა პორუჩიკი და შეიარაღებული ჯარისკაცები რომ დაინახა, შედგა და გაშეშდა. მაგრამ გაშეშებამ და გალენჩე-

ბამ მალე გაუარა. მაშინვე მთაზე დაგდებულ ვეება ლოდს იქით საფარში ჩაწვა და გაუჩინარდა.

ჯარისკაცებიც საფარში ჩაწვნენ. პორუჩიკს წაგანი ბუდიდან არ ამოუღია. უიარაღოდ გაეშურა როსტიაშვილისაკენ.

— შესდექ! — გააფრთხილა გაქცეულმა.

პორუჩიკმა ნაბიჯი შეანელა და გასძახა:

— როსტიაშვილო, ყური მიგდე! ბრძანება გაუქმებულია! დანაშაული გაპატიეს! ყაზარმაში წამოდი!

ისინი დიდი მანძილით იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი და ამიტომ ხმამაღლა იძახდნენ. გაქცეულმა პორუჩიკს ჰკითხა:

— ბრძანება თუ გაუქმებულია, ჯარისკაცებით რად დამედევნე?

— ეს იმიტომ, რომ თავი არ წააგო და მეც არ დამღუპო! შენ დეზერტირად გამოგაცხადებენ, მე კი სასამართლოში მიმცემენ. რად გიღირს ეს? გეუბნები, ბრძანება გაუქმებულია! წამოდი ყაზარმაში!

როსტიაშვილმა საფარიდან გადმოიხედა, ქვევით მიწაზე გაწოლილი ჯარისკაცები და მათ შორის გაგნიძე რომ დაინახა, ცუდად ენიშნა. ახლა ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, დევდარიანი რომ ხაფანგს უგებდა. პორუჩიკი ისევ შეეცადა წინ წაწევას.

— შესდექ! — ნაბიჯიც არ გადმოდგა! — გაშმაგებით უყვირა როსტიაშვილმა.

დევდარიანი მაინც წინ მიდიოდა.

— რა მოგივიდა, გონს მოდი, როსტიაშვილო, არ გესროლო! ხედავ, უიარაღოდ მოვდივარ: მე შენი დაღუპვა არ მინდა, ბიჭო, დამიჯერე; მერწმუნე! — ემუდარებოდა იგი ჯარისკაცს.

— შესდექ! მე შენი არ მჯერა! შენ ჩემი მოსისხლე მტერი, მგელკაცა მიხა გაგნიძე აგდევნებია! შესდექ!

რაც უფრო უახლოვდებოდა დევდარიანი როსტიაშვილს, მისი ხმა მით უფრო ხვეწნისა და მუდარის კილოს ღებულობდა, უილაჯო, სუსტი და შესაბრალისი ხდებოდა, როგორც ხმა სასიკვდილოდ განწირულისა. როსტიაშვილის ხმა კი, პირიქით, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ბრძანე-

ბის კილოს ღებულობდა, ურყევი გადაწყვეტილებით ივსებოდა, დაძაბულობის უკიდურეს წერტილს აღწევდა.

უცებ როსტიაშვილმა თავზარდამცემი ხმით დაიძახა, თითქო ქუხილი გაისმაო:

— შესდექ, შესდექ, შესდექ! გესვრი, გესროლე!

გაგნიძე დარწმუნდა იმაში, რომ როსტიაშვილი ახლავე გაისროდა და ამიტომ მეთაურს შესძახა:

— ბატონო პორუჩიკო, გამობრუნდით! დაწექით!

მაგრამ გონებაწართმეული პორუჩიკი ისევ წინ მიიწევდა, თითქოს უხილავი ძალა სიკვდილისაკენ ეზიდებაო. ის მიდიოდა სიკვდილისაკენ სასამართლოს წინაშე შიშისა და თავისივე სილაჩრის გამო. მის ხმაში ახლა მხოლოდ მუდარა გაისმოდა:

— გონს მოდი, როსტიაშვილო, მისმინე... როსტიაშვილო, როსტიაშვილო...

მაგრამ როსტიაშვილმა თოფი გამართა და ორი ვაზროლით დააწვინა მიწაზე პორუჩიკი სიკო დევდარიანი.

ჯარისკაცები მიწაზე წოლას განაგრძობდნენ. თოფს გასროლის მერმე მთაში მეტი სიჩუმე ჩამოწვა. როსტიაშვილმა ვერ აიტანა ეს გამყინავი მდუმარება. თავი ასწია, მთის კალთაზე ხოხვით ამომავალი გაგნიძე დაინახა. დაუმიზნა, მაგრამ გასროლა არ დასცალდა. სამმა თოფმა ქვევიდან დაიჭექა და მუხლზე წამოჩოქილი ზემდეგი მიწაზე უსულოდ დაეცა.

გაოცდა როსტიაშვილი და საფარიდან გაფაციცებით გადაიხედა. სამი ჯარისკაცი მთის კალთაზე ჩარბოდა. ისინი არა ქალაქისაკენ, არამედ მახლობელი სოფლისაკენ — დიდ ლილოსაკენ წავიდნენ. და მიხვდა როსტიაშვილი, რომ იმ ჯარისკაცებმა ჯარი მიატოვეს. შვება იგრძნო. საფარიდან ახლა უშიშრად წამოდგა და მიდამოს გადახედა. მისკენ ორმოცი ნაბიჯის მოშორებით, მთის კალთაზე, პორუჩიკი სიკო დევდარიანი ხელგაშლილი იწვა. თითქო ვიღაცამ წასჩურჩულა: „სიკვდილი უდარაჯებდა მას აქ, მლაშე ტბის პირას“. მოშვებული ტომარივით იქვე ზემდეგის — მიხა გაგნიძის გვამი ეგდო. მთაში ისევ სიჩუმე იდგა. დეკემბრის ცივი ნიავი ისევ აციმციმებდა პატარა ტბებს. თევზის სადაფისფერი ქერეჩის მსგავსი ციცქნა ტალღები ზღვის ზვირთებს ჰბაძავდნენ და ყვინჩილებივით წამოჭოჭრილნი ნაპირისაკენ გამორბოდნენ.

დღე და ღამე იყრებოდა. შორს, მთის თხემის იქით ქალაქის გარეუბანი ჩანდა. უცებ ქალაქში შუქმიმქრალი და მიწისქუტული ლამპიონები აღენთნენ. როსტიაშვილმა თოფი მხარზე გადაიკიდა, მთიდან ჩაირბინა და კახეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ღამით

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.

ანდაზა

I

აღლუმის მერმე, კორნელი წინისაკენ გაეშურა. ვერის ალმართზე, ცირკის წინ, მიტო ჩიკვაიძე დაეწია, გაუღიმა და ჩემად უთხრა:

— ყოჩაღ, კორნელი, დღეს კარგად იმუშავე. ახლა ადარ დაიწყებ ჩივილს, უსაქმოდ დავიარებიო. როგორ გაეხარდა ეგ ამბავი ვანოს!

კორნელი დაიბნა, მორიდებით შეხედა მიტოს, რომელსაც მაზარა ეცვა და ბუხრის ქუდი ეხურა.

— რა ხანია ვანო არ მინახავს!

— ვანოს ახლა უამრავი საქმე აქვს, შემიძლია ზოგი რამ საინტერესო გიამბო. აქეთ გადავუხვიოთ.

მიტომ სანაპირო ქუჩაზე გაიყვანა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და გააფრთხილა:

— რასაც ახლა გეტყვი, საიდუმლოდ შეინახე! დღეს, ღამით, ჩვენი გამოსვლაა დანიშნული. მუშათა და ჯარისკაცთა რაზმებმა ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტები და დაწესებულებები უნდა დაიკავონ. მე დანიშნული ვარ იმ რაზმის უფროსად, რომელმაც არსენალი უნდა აიღოს. რადგანაც დაიწყე ჩვენი გზით სიარული, ბოლომდე მიჰყე მას. ჩემს რაზმში ჩაეწერე. მიიღე, როგორც იტყვიან, რევოლუციური ნათლობა.

— მზადა ვარ! — უყოყმანოდ მიუგო კორნელიმ.

— კეთილი! — გაუხარდა მიტოს და განაგრძო: — მაშ

ყური მიგდე! ჩვენი სკოლის ამხანაგი ლეო იოსებაშვილის მისამართს მოგცემ. ხომ იცი, სად ცხოვრობს ლეო?

— იგი ხუდადოვის ტყის მახლობლად, იორის ქუჩაზე ცხოვრობს.

— ჰო, რვა საათზე გამოცხადდები მასთან! იქ არის შეკრების პუნქტი.

კორნელი დანიშნულ საათზე გამოცხადდა ლეო იოსებაშვილთან. ლეოს ბინაზე მუშები, ჯარისკაცები დაუხვდნენ. მათ შორის — ფრონტელი მეგობრებიც. კორნელი მათთან ერთად რკინიგზის სახელოსნოს ხარატის, ძველი მუშის — სტეფანე დანგაძის სახლისაკენ გაეშურა. დანგაძე არსენალის მახლობლად, ბაღში ჩამდგარ პატარა სახლში ცხოვრობდა. იქ ელოდებოდა თავის რაზმელებს მიტო ჩრკვაიძე. გასინჯვისა და შემოწმების მერმე რაზმელები დანგაძის სახლის სარდაფში ჩაიყვანეს და იქ თოფები, ვაზნები და ხელყუმბარები დაურიგეს...

ბნელი ღამე იყო. რაზმელები არსენალისაკენ მიმავალი ბილიკებით სათითაოდ გაემართნენ და ძველი სანგრები დაიკავეს. აჯანყებულნი ქალაქის სხვა მხრიდანაც შემოეწყვნენ არსენალს.

2

საღამოს ესტატე მაყაშვილის ბინაზე მრავალი ძმა—პოლკოვნიკი ჯიბო მივიდა. ესტატე, ვარდო და ნინო სასადილო ოთახში ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. პოლკოვნიკმა უამბო მათ ავლაბრის ყაზარმიდან გაქცევა როსტიაშვილისა და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცისა, რომელთაც მოჰკლეს პორუჩიკი დევდარიანი და ზემდეგი გაგნიძე. პოლკოვნიკი მეტად აღელვებული იყო და ეშინოდა, ამ საქმისათვის სამხედრო სასამართლოში არ მიეცათ.

— ჯარისკაცთა გაქცევაში შენ ბრალი არ გედევს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ჯარისკაცები ბოლშევიკებს მიჰყვებიან, ოფიცრები უძლურნი არიან ამის წინააღმდეგ რამე მოიშოქმედონ, — განუმარტა ძმას ესტატემ და განაგრძო: —რა მოშვილს უფლება აქვს, რაც უნდა ის ილაპარაკოს, პასუხის-

გებაში მისცეს ოფიცრები, მაგრამ საქმეს ამით არაფერი უშველება.

— არა, მე ვიცი: ბოლშევიკები ამიერიდან აღარ მოგვასვენებენ. ისინი ბოლოს მოგვიღებენ. არავითარი ევროპის იქედი მე უკვე არა მაქვს, — ჯავროზდა ვარდო და ვერ მიმხვდარიყო, ვისი დახმარების იმედი დაეჭირა.

— ანტანტის დახმარების იმედი ნუ გექნებათ! — განაგრძო ესტატემ, თითქო მიხვდა ცოლის აზრს. — რა დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა იმავე ანტანტას საქართველოდან ჯარის უკანასკნელი ნაწილი გაჰყავს.

— რა გვეშველება, რა გვეშველება? — სასოწარკვეთილის ხმით ჰკითხა ვარდომ.

— რა უნდა გვეშველოს, როდესაც მუშა, გლეხი, ინტელიგენტი — ყველა ბოლშევიკებს თანაუგრძნობს! — ჩაიქნია ხელი ესტატემ და განაგრძო: — დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის დღეს კორნელიც კი ბოლშევიკურ პროკლამაციებს ავრცელებდა თურმე ჯარისკაცებში.

— ეგ არა მჯერა! — წამოცდა ნინოს და გაოცებით შეხედა მამას. სჯობდა კი არ წამოსცდენოდა.

— როგორ არა გჯერა? — აღშფოთდა მამა. — ამას ამბობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გული ტკივათ მისი უმგვანო საქციელის გაგონებაზე. ეს ამბავი თავის თვალით ვნახავთ დათა კაჭკაჭიშვილს, გენადი ქადაგიშვილსა და ირაკლი მიქელაძეს. მოდი და ნუ დაიჯერებ!

ვარდო აენთო და ნინო დატუქსა:

— თავი გაანებე იმ გაიძვერა და ბოროტი კაცის გაწოსარჩლებას! შენ მანამდე არაფერს არ დაიჯერებ, სანამ იმ ცაჟბატონი ჩვენს სახლს ცეცხლს არ წაუკიდებს და არ აქვაფეთქებს! იგი არც მალავს ამას.

ჯიბო ნინოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ნუთუ გეეჭვება, კორნელი რომ ბოლშევიკია?

— არა სჯერა, სრულიადაც არა სჯერა ქალბატონს! — ღვსლიანად დაამატა ვარდომ.

— კორნელის დარდი არა მაქვს. მე სულ სხვა რამ მაწუხებს! თქვენ არც კი იცით, რა უბედურება გველის ამაღამ,— მოულოდნელად განაცხადა ჯიბომ.

— რა უბედურება? — ჰკითხეს ესტატემ და ვარდომ.

— რაღა დაგიმალოთ: ამაღამ ბოლშევიკურ აჯანყებას მოელიან! — ძოკლედ მოსჭრა ჯიბომ.

ყველანი შეშფოთდნენ.

— სწორედ ამიტომ მოვირბინე თქვენთან, ყაზარმაში წასვლის წინ, — განაგრძო ჯიბომ. — ბრძანება მივიღე და... — პოლკოვნიკმა წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, მაშინვე ქალაქში სროლა ატყდა და იგი თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქუჩაში, იქ მდგარი თავისი ბატალიონის ეტლში ჩახტა და ავლაბრის ყაზარმებისაკენ მოჰკურცხლა, მაგრამ მალე იძულებული გახდა, უკანვე დაბრუნებულიყო, რადგან ავლაბრის ხიდზე ოფიცერმა აცნობა, საყარაულო ბატალიონის ყაზარმები აჯანყებულმა ჯარისკაცებმა დაიკავესო.

ქალაქში სროლა ძლიერდებოდა. გეგონებოდათ, ბრძოლა ახლა ყველა ქუჩაზე და ყოველ სახლშიც კი გაჩაღდაო. ხალხი პანიკამ შეიპყრო.

მესანგრეთა ყაზარმებში დაბანაკებული ინგლისური ბატალიონი ბრძოლისთვის განემზადა. ოფიცრებმა თავის ჯარისკაცებს სასტუმროს შენობის ყველა შესასვლელის და გასასვლელის დაკავება და სარკმლებში ტყვიამფრქვევების დაყენება უბრძანეს. ბატალიონის უფროსი, შიშისგან გაფითრებული, აყლაყუდა მაიორი, რომელსაც ვეება მძიმე ნიკაპი უკანკალებდა, დილამდე ურეკავდა ტელეფონით სასახლეს, არმიის შტაბს და ყველას ეკითხებოდა, თუ რას ნიშნავდა ეს გაშმაგებული სროლა ქალაქში. ბოლოს მას უპასუხეს: ქალაქში ბოლშევიკური აჯანყება დაწყოო.

3

1918 წელს ეკრეთ წოდებულ „წითელ გორაკზე“ გაიხრილ სანგრებში მიტო ჩიკვაიძის რაზმელები ჩასაფრებულიყვნენ. არსენალის დამცველებსა და რაზმელებს შორის საბრძოლო სროლა გაჩაღდა. კორნელი თოფში ახალ ვაზნებს ალაგებდა, როდესაც ორთქლმავლის საყვირის ხმა შემოესმა. მალე მის წინ ჯავშნიანმა მატარებელმა გრიალით ჩაიარა. მერმე სვლა შეანელა და არსენალის წინ გაჩერდა. ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლის გახსნის მერმე არსენალის დამცველები იერიშზე გადავიდნენ.

აჯანყებულებმა ბრძანება მიიღეს უკან დაეხიათ. მიტო და მისი რაზმელები მთიდან ხევ-ხევ დაეშვნენ, ქალაქს უვნებლად მიაღწიეს და დანგაძის-სახლისკენ ვიწრო ქუჩებით გაეშურნენ.

— საიდან გაჩნდა ჯავშნიანი მატარებელი? დალახვროს ღმერთმა, როგორ ვერ ვიანგარიშეთ! — გულის ტკივილით ამბობდა ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილი დანგაძე.

— უთუოდ ვერ ვიანგარიშეთ, — დაუდასტურა მისმა მეგობარმა და ქვისლმა ზეინკალმა ჩაპლიგინმა.

— საქმეც ეგ არის, დავაგვიანეთ! მენშევიკებმა გაიგეს ჩვენი მზადება, — ჯავრობდა დანგაძე.

მართლაც, მთავრობამ იყნოსა აჯანყებისათვის ბოლშევიკების მზადება და სათანადო ზომების მიღება მოასწრო. გარნიზონის უფროსმა ქალაქი საბრძოლო უბნებად დაჰყო, შიგ სამხედრო სკოლა, უნტერ-ოფიცერთა ბატალიონი და ჯარის საიმედო ნაწილები ჩააყენა. ღამით ქუჩებში ჯავშნიანი ნანქანები გამოჩნდნენ. სადგურ „თბილისიდან" „ნავთლუღამდე" ჯავშნიანი მატარებელი მიდი-მოდიოდა. პროჟექტორთა შუქის აჯარული შუბები ცას ებჯინებოდნენ, მერმე ძირს დაშვებულნი და ქალაქის თავზე გადახროლილნი მთის კალთებს სწვდებოდნენ და ზვერავდნენ.

აჯანყებულთა რაზმებმა ტელეგრაფის და ქალაქის მმართველობის შენობა, ავლაბრისა და საბურთალოს ყაზარმები დაიკავეს. მაგრამ მთავრობის ჯარებმა ქალაქის დანარჩენი პუნქტებისა და მათ შორის არსენალის შენარჩუნება მოახერხეს.

მალე აჯანყებულები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული შენობები.

სტეფანე დანგაძემ ეზოში შემოსული მუშებისაგან იარაღი მიიღო და სარდაფის ორმოში შეინახა. ფიცრები დააფარა, მიწა დააყარა და ზედ ყოველგვარი ხარახურა დააწყო. მერმე სარდაფის კარებზე ბოქლომი ჩამოჰკიდა და გასაღებით დაკეტა.

— ახლა დაიშალეთ, ამხანაგებო! შინისაკენ გასწით! ყველანი ერთად ნუ წახვალთ! საითითაოდ და ფრთხილად იარეთ,— ჩუმად უთხრა დანგაძემ რაზმელებს.

ეზო დაცარიელდა. უცბად ხათლულიკაცი ძიძავალი ჯავშნიანი მატარებლის გრიალი გაისმა. მახათას მთაზე ისევ პროჟექტორების შუქი დაეცა. შუქის შუბები მთის კალთებზე გადატყდნენ და მერმე ისევ ცისაკენ აიტყორცნენ.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ისტორიის ხახუნელა კარგად თხრის...

კ. მარქსი

1

მოახლოებული კატასტროფის წინაშე შიშით შეპყრობილი მთავრობა დღითი დღე აძლიერებდა კომუნისტებისა და ყველა იმათ დევნას, ვინც მისი პოლიტიკის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

დეკემბრის მეორე ნახევარში დახურული იყო ყველა კომუნისტური გაზეთი, კომუნისტური ორგანიზაციების შენობები კი — დალუქული. მიმდინარეობდა საყოველთაო დაჭერები. დაპატიმრებულთა უმრავლესობა ქუთაისის ციხეში იგზავნებოდა. საოლქო და სამაზრო ციხეები პირთამდე აღსავსენ.

1921 წლის იანვარში დიდმა სახელმწიფოებმა იურიდიულად ცნეს საქართველოს რესპუბლიკა. დიდხანს ნანატრი ეს ამბავი ზარ-ზეიმით გადაიხადეს. მაგრამ დაღუპვისაგან მენშევიკების ხელისუფლების გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

მეორე დღეს ქალაქს მეგობართა ვიწრო წრეში თქმული ჯუღელის სიტყვები მოედო:

„ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს იმ დროს, როდესაც პარტია ინგრევა... და რაც უფრო ინგრევა პარტია, მით უფრო ინგრევა სახელმწიფო“.

საფრანგეთის უზენაესი კომისარი შევალიე კი სხვანაირად ანგარიშობდა:

„საქართველო — განაცხადა მან, — სჭირდება ევროპას. როგორც ბუნებრივი გზა აღმოსავლეთისაკენ“.

მთავრობა ცდილობდა საქართველოს მიმართ დიდი სახელმწიფოების მზრუნველობა გაემართლებინა. მან ყველა

დაადო საქართველოში დარჩენილ საბჭოთა რუსეთის ჭრილობას. საქართველოს ნავსადგურებში ძველი და ახალი რუსული დროშით მდგარი და საბჭოთა სახელმწიფოს კუთვნილებად იურიდიულად აღიარებული გემები, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის პროტესტების მიუხედავად, მენშევიკებმა ანტანტის ქვეყნებს გადასცეს. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის კარნახით საქართველოს მთავრობამ გააძლიერა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების დამხობილ მთავრობებისადმი დახმარება. ბოლოს, იგი აკავებდა და არ უშვებდა საბჭოთა რუსეთის მიერ სომხეთში გაგზავნილ პურით დატვირთულ მატარებლებს...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა დაეწყო აჯანყება თერთმეტ თებერვალს, ღამით. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პარტიისათვის მეტად მძიმე პირობებში: ათასობით კომუნისტი და ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი ციხეში იმყოფებოდა. თვითონ ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო თბილისის გარეთ ემოქმედა. მაგრამ მთელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა იმაზე მეტყველებდა, რომ აჯანყება ამჯერად გამარჯვებით დამთავრდებოდა.

2

თერთმეტ თებერვალს დილით კორნელისთან მიტომ მიიბრძანა.

— კორნელი, — იძახდა იგი ჯერ კიდევ კარებში მდგარი, — ყველგან, ყველგან, თბილისისა და გორის მაზრებში, ბორჩალოში, შულავერში, თიანეთში, დუშეთში, ცხინვალში აჯანყება დაიწყო! უკვე შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. ჯარები ჩვენს მხარეზე გადმოდიან. ჯარისკაცებს არა სურთ გამოვიდნენ ხალხის წინააღმდეგ. აჯანყებულთა რაზმები თბილისისაკენ მოემართებიან...

ქალაქი ჭიანჭველის დაშლილ ბუდეს დაემგვანა. დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი მატარებლები გატენილი იყო ხიზნებით, რომელთაც ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ თავის სახლები, აგარაკები, მდიდრულად მორთული ბინები, მაღაზიები, კანტორები...

დათა მიქელაძის ბინაც დაცარიელდა. ამ რამდენიმე დღის

წინათ კარისმერეთში გაემგზავრა ელენეც, მასთან სტუმრად მოსულ იონასთან და მეეზოვე გაბრიელის ცოლთან—კატიასთან ერთად. ამათზე ადრე დაითესნენ ელენეს მდგმურები—მამედ ჯაფაროვი, გულიმ ნაგიევი და კოტე გოგიტიძე.

ელენე დიდხანს ამბობდა უარს გამგზავრებაზე. მერე კი, როცა ინსპექტორმა ჯანელიძემ ცოლ-შვილი ქუთაისში გახიზნა, მან დათას დაუჯერა, თბილისიდან წასულიყო.

ევაკუაცია ძნელი საქმე აღმოჩნდა. ელენეს უნდოდა ნაზევარი ბინა თან წაეღო. აუცილებელი გახდა ცალკე საბარგო ვაგონის მიღება: იგი გზათა მინისტრმა მოუხერხა დათა მიქელაძეს.

სადგურის სააგარაკო პავილიონის მახლობლად ჩისში მდგარი ვაგონის დატვირთვა დილიდანვე დაიწყეს. იმ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებმა, რომლის დირექტორი დათა მიქელაძე იყო, მეეზოვე გაბრიელის დახმარებით, ვაგონი პირთამდე აავსეს ავეჯით, საბნებით, ლეიბებით, ბალიშებით, უამრავი კალათებით, ყუთებით, ჩემოდნებით... ელენე დღის სამი საათისათვის უკვე მოეწყო ვაგონში. ახლა ღამის რვა საათი იყო და მატარებლის გასვლას მაინც არაფერი ეშველა. უკვე დაღამდა. პერონზე ლამპიონები აინთო. სადგურის შენობებს სარკმლებმა გამოაშუქეს, მაგრამ მატარებელი ისევ დგომას განაგრძობდა. დათა ღელავდა, აღშფოთებას გამოთქვამდა რკინიგზელთა უდისციპლინობის, მუშაობაში უილაჯობის, უმეცრების გამო. იგი ხან სადგურის უფროსთან, ხან მის მოადგილესთან, ხან კიდევ მორიგესთან გარბოდა, რკინიგზის მოძრაობის უფროსთან მინისტრთან ჩივილით ემუქრებოდა მათ, მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა.

ელენე გულხელდაკრეფილი იჯდა ნახევრად ბნელ ვაგონში და დიდ ყუთზე შედგმულ სანთელს მწუხარე სახით მისჩერებოდა, თითქოს ის ყუთი კუბო ყოფილიყოს და შიგ მისი საყვარელი არსება წოლილიყო. კატია გაუთავებელ ხვეწნებას მოჰყვებოდა და მერმე, რა წამს სულს მოიბრუნებდა, ისევ განაგრძობდა ვაგონის კუთხეში ფუსფუსს, ჩემოდნებისა და ყუთების ათასჯერ თვლასა და გადალაგებას. გაბრიელი მდუმარედ იდგა ვაგონის ღია კარების წინ და ცოლთან განშორებას გლოვობდა. დათას და იონას სადგურის უფროსი ენახათ და ელენეს მიახარეს: მატარებელი მალე გავაო.

მატარებლის გასვლის წინ კორხელი და მარო ძოვიდნენ. დღის განმავლობაში ისინი ხშირად მოდიოდნენ სადგურში, მაგრამ როცა მატარებლის გასვლის დაგვიანებას გაიგებდნენ, ისევ უკანვე ბრუნდებოდნენ.

ვაგონიდან ისევ მოისმა საცოდავი კატიას გამტანჯველი ხველება.

— წარმოვიდგენია, რა დროს გავატარებთ გზაში... რას მოათრევ ავადმყოფ ქალს კარისმერეთში? — უთხრა იონამ ელენეს.

— რას ამბობ, იონა, ცოდვაა უბედური.

— შენი ქმარი და დისწული არ არიან ცოდვა?

— დათოს და კორნელის მაროს იმედით ვტოვებ. ის ჭიპს ხედავს მათ.

— შენც ერთი, კარგი დიასახლისი გამოგიძებნია დათოსათვის. მეტი საქმე არა აქვს მაროს. — მიუგო იონამ.

— დიდხანს არ დამჭირდება დიასახლისობა,—გაიღიმა მარომ, — ორი-სამი დღის მერმე ალბათ დათაც კარისმერეთში გასწევს.

იონამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ორთქმავლის კვილი გაისმა.

რკინიგზელები აფუსფუსდნენ. ელენემ დათა, კორნელი და მარო გადაკოცნა, გიმნაზიელებს, გაბრიელს ხელი ჩამოართვა. იონაც ვაგონში ავიდა, გაბრიელი ფეხის წვერებზე დადგა და კატიას მოეხვია.

მატარებელი დაიძრა. თანდათან უჩქარა სვლას და უკანასკნელი ვაგონის ფარნის შუქიც მალე მიიწურა.

დათა, კორნელი, მარო და გაბრიელი სადგურის უკან მოედანზე გამოვიდნენ.

— მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩი. ასე მგონია, ელენეს წასვლის მერმე ასი ფუთი ჩამონშორდა მხრებიდან. — უთხრა დათამ კორნელის და საათს დახედა. — ო, მეათე საათია... წავიდეთ, ბიჭებო, თორემ დავაგვიანებთ. — მიუბრუნდა შეწუხებული დირექტორი გიმნაზიელებს, რომლებიც მას ცოლის-გამგზავრებაში შველოდნენ.

— სად მიგეჩქარებათ? — გაოცებით ჰკითხა კორნელიმ.

— როგორ თუ სად?! პოლკში. ჩვენს ნაწილში. ამალამ ფრონტზე მივდივარ, — ამაყად მიუგო დათამ.

რაც ახლა კორნელიმ გაიგონა, მისი შესრულება რამდენიმე დღის წინათ გადაწყვიტა დათამ. აჯანყება საქართველოს დაღუპვად მიაჩნდა. პატრიოტული მოვალეობის შესრულების მიზნით ფრონტზე მოხალისედ წასვლა ისურვა. მის მაგალითს მიჰბაძეს უფროსი კლასების გიმნაზიელებმა, რომლებიც მათი დირექტორითურთ ერთ-ერთ პოლკში ჩარიცხეს.

თავისი გადაწყვეტილება დათას არავისთვის არ გაუმჟღავნებია მოხალისეთა შორის ჩარიცხვისა და ომში წასვლის შესახებ განცხადება მან მას შემდეგ შეიტანა, რაც ელენე კარისწერეთში გამგზავრებაზე დასთანხმდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლი შავ დღეს დააყენებდა.

— ფრონტზე წასვლას არ გირჩევთ. რა საჭიროა?—უთხრა კორნელიმ დათას.

— მაგას ნუ გამაგონებ, — გაუწყრა დათა, — სამშობლოს დაღუპვას შენსავით გულხელდაკრეფილი მივეგებო?

— განა სამშობლო იღუპება?!

— ახლა შენთან და მაროსთან დავისა და კამათის თავი არა მაქვს. მშვიდობით. ბინას უპატრონეთ!

გიმნაზიელებმა მრისხანედ შეათვალიერეს კორნელი, მარო და დირექტორს დაედევნენ.

საქართველოს ქალაქებიდან და მაზრებიდან მთავრობისათვის არასაიმედო ცნობები მოდიოდა. აჯანყება სულ ახალ და ახალ რაიონებს ეძებოდა. ჯარები აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდნენ.

თვრამეტ თებერვალს რამიშვილმა საიდუმლო ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ სადახლოს რაიონში, ბორჩალოს მხრიდან შეტევაზე გადასული ორი პოლკი აჯანყებულთა რაზმებს შეუერთდა. ეზა თბილისზე გახსნილი იყო. აჯანყებულები სხვა მიმართულებითაც უახლოვდებოდნენ დედაქალაქს. აჯანყებულებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ არა მარტო რეგულარული ნაწილები, არამედ სახალხო გვარდიის ნაწილებიც კი.

მთავრობამ ვერ შეძლო ომში ჩაება კახეთი: იქ ჩაეარებული მობილიზაცია ჩაიშალა. ჯარში გაწვევას თითქმის ყველა თავს არიდებდა. დამნაშავეთა აღრიცხვა და სასამართლოში მათი მიცემა გვიანღა იყო.

აჯანყების ზრდის ხმებით შეშფოთებული თბილისი თითქო ვულკანზე იდგა.

თბილისში რევოლუციური კომიტეტის მოწოდება გავრცელდა:

„ჩვენი გათავისუფლების საათმა დაჰკრა. აჯანყებულები, რომელთაც ერთიმეორეზე ნებდებიან მენშევიკური მთავრობის პოლკები, წინ იწევენ მენშევიკური კონტრრევოლუციის დედაქალაქისაკენ — თბილისისაკენ. აჯანყება ფართოვდება და სულ ახალ და ახალ რაიონებს ედება.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, იღებს რა თავის ხელში ხელისუფლებას, ქართველი მენშევიკების მთავრობას დამხობილად აცხადებს. საქართველო ამიერიდან — სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაა...

ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო!

წინ, საბჭოების ხელისუფლებისათვის!“

კორნელიმ და მარომ ვერის ხიდი გაიარეს, რუსთაველს პროსპექტი გადასჭრეს და თოვლით დაფარულ და გასიპულ ტროტუარზე ცურვით სასამართლოს ჭუჩაზე ავიდნენ.

აქ ერთ-ერთ ძველ სახლში მიტო ჩიკვაიძის კონსპირაციული ბინა იყო. სასამართლო პალატის შენობის წინ სენატორი ვარლამ კუტალაძე შეეყარათ. სენატორი შეჩერდა. კორნელის ხელი ჩამოართვა და იქვე გაიხმო.

— თავი გაანებე მარო ფრუიძეს.

— მარო დედაჩემის შვილობილია, ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით... იგი ხომ ჩემი დაა!

— მერე რა! ახლა ცნობილი ბოლშევიკი ქალია. თავი გაანებე მაგასთან და სხვა ბოლშევიკებთან სიარულს, თორემ იმათთან ერთად შენც დაგაპატიმრებენ. ხედავ რა გვიყვეს ბოლშევიკებმა: თბილისი განსაცდელშია. საცოდავი საქართველო! რა მოელის მას? როდის მიდიხარ?

— სად? რატომ?

— ნუთუ შენ თბილისში დარჩები! არ გეშინია? ნუთუ შენც ბოლშევიკი ხარ? რა ემართებათ ქართველებს, ვერ გამიგია! გავგიჟდები!

ამ დროს საიდანღაც ზარბაზნების შორეული გრგვინვა გაისმა. კუტალაძე შეკრთა, კორნელის და იქვე მდგარ მაროს ზიზღით შეხედა და გაპარული ხმით უთხრა:

— მშვიდობით. ქვეყანა გაგიჟდა. ქვეყანა ინგრევა! — მერ-

მე პანიკით შეპყრობილმა სენატორმა ხელი ჩაიქნია, ნაბიჯს აუჩქარა და გაიქცა.

კორნელიმ თვალი გააყოლა და ღიმილით მიაძახა:

— მოუსვი, ნაცარქექია!

3

მიტოს ბინაზე კორნელის და მაროს ბორის ძნელაძე, ნიკო გოცირიძე, არამ ვართანიანი, გრგა ხუციშვილი, ლეო იოსებაშვილი და კარო იარალოვი დაუხვდათ.

კორნელიმ გოცირიძისაგან შეიტყო, რომ აჯანყება აფხაზეთს, აჭარას, სამხრეთ ოსეთს და დასავლეთ საქართველოსაც მოსდებოდა.

— გუშინ, — აცნობებდა ამხანაგებს გოცირიძე, — მენშევიკებმა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ მეექვსე ქვეითი პოლკი თიანეთში გადაისროლეს, მაგრამ ჯარისკაცები იქ ჩასვლისთანავე აჯანყებულებს შეუერთდნენ, ხოლო ოფიცრები, რომელთაც უარი განაცხადეს ხალხის მხარეზე გადასულიყვნენ, განაიარაღეს და რევოლუციურ კომიტეტს გადასცეს. აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი ძალები თბილისს უახლოვდებიან. მენშევიკების ხელისუფლება რამდენიმე დღეს თუ გასძლებს. არ არის გამორიცხული, რომ მას დახმარებას გაუწევენ ანტანტის სახელმწიფოები. მაშინ ჩვენ დახმარებისათვის მივმართავთ საბჭოთა რუსეთს, წითელ არმიას.

კორნელი და მარო ნაშუადამევს დაბრუნდნენ შინ. ქალაქში თოვდა, სიჩუმე და წყნარიადი იყო გამეფებული. ალაყაფის კარები, როგორც ყოველთვის, გაბრიელს დაეკეტა. ამ მაღალ რკინის ჭიშკარზე კორნელი სწრაფად ადიოდა და ადვილად გადადიოდა ეზოში, მაგრამ ახლა ფეხი სტკიოდა. ქალიც თან ახლდა, ამიტომ ბინის გასაღები ამოიღო და ჭიშკარს დასცხო. ძაღლმა ყეფა ასტეხა, მერმე კორნელი იცნო და უმალვე გაყუჩდა. პატარა, დაბალი ხის სახლის სარკმელში მბჟუტავი ლამპის შუქი კაცის ჩრდილმა დაჰფარა. ოთახში მოხუცის ხველა გაისმა და მერმე კარიც გაიღო. მოხუცმა თავი გამოჰყო და დაიძახა: რომელი ხარ მანდო? კორნელიმ ხმა გასცა. ტყავის ჭურჭში გამოხვეული, წელში მოხრილი, სიცივისაგან აბუზული მეეზოვე სნეული კაცის უძლუ-

რი ნაბიჯით მიდიოდა ჰიშკრისაკენ, კვნესოდა, გასაღებს ხოცლომს ვერ ახვედრებდა. კორნელიმ ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხარ, ეგრე რომ კრუსუნებ?

— ჰო, რაღაც ვერა ვარ კარგად. სახსრები მტეხს. ძვლებს ეშმაკი მიღრღნის... ეჰ, — ჩაიქნია ხელი გაბრიელმა, — კმარა, რაც ვიცხოვრე.

— ასეთი ლაპარაკი შენ არ გიყვარდა, — უთხრა კორნელიმ.

— ალბათ, კატიას წასვლას ვკვდები, — შენიშნა მარომ თანაგრძნობით.

— ეგეც არის, ძნელია ჩვენთვის ცალ-ცალკე ყოფნა. რაც უნდა იყოს, ერთმანეთს შევეჩვიეთ.

— განა თბილისში არ ჩამოვა? — უთხრა მარომ.

— ჩამოვა, მაგრამ... როდის? მეშინია, ველარ ვნახოს წროს. — გაბრიელს გული აუჩვილდა, ჯავრს ერთბაშად ჰოეტეხა იგი.

— დამშვიდდი, — შეეცოდა კორნელის, — დაკეტე შენი ოთახი და წამო ჩვენსა, ახლა დარბაზი ცარიელია, სადაც გენებოს, დაწექ და დაიძინე. კატიამ ამ დილით ისევ შეანთო ცეცხლი ღუმელებში... ხედავ, თოვს! ჩვენსა კი თბილა, არ იქნება მარტო შენი დატოვება, ცუდი აზრები მოგდის თავში...

გაბრიელმა ტყავის ქურქის სახელო მოისვა თვალზე და ცრემლი მოიწმინდა.

მოხუცმა თავისი ოთახი დაკეტა და კორნელისთან ჰივიდა. მაროს წყალი აედუღებინა და სასადილო ოთახში ჩაით გაუმასპინძლდა კორნელის და გაბრიელს. ცხელმა ჩაიმ მოხუცი შეახურა და უფრო კარგ გუნებაზე დააყენა. ძილის წინ, სტუმრის გასართობად კორნელიმ ჩეხოვის მოთხრობა „ვერხვი“ წაიკითხა. ავტორი მოგვითხრობდა ბებერ ვერხვზე რომელსაც მასავით ბებერი წისქვილი ეყრდნობოდა, მოხუც მეთევზე არქიპოზე, სამცხენა საფოსტო ფორანის მეეტლეზე, რომელმაც ფოსტალიონი მოჰკლა ცულით და სავსე ხანთა ძველი ვერხვის ფუღუროში დამალა; იმაზე, თუ როგორ წავიდა მერმე მეეტლე ქალაქში ხელისუფალთა წინაშე ჭორიანანიებლად და, რადგან ცოდვის გამოსყიდვა ვერ მოახერხა, თავი დაიხრჩო.

მოთბრობა ძალიან მოეწონა გაბრიელს, აღელვებულმა მოხუცმა დიდხანს ვერ შესძლო დაჭშვიდება.

— აი, ის ეშმაკის კერძი — ოქრო და ფული! რას არ ჩაადენინებს იგი კაცს?!—ჩურჩულით და თავის კანტურით ამბობდა გაბრიელი.

ზარბაზნების გრიალი

ფრანგული ესკადრა... სეირობად დახმარებას გვიწევს.

ცნობებიდან

I

თვრამეტ თებერვალს ღამით თბილისზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მისასვლელებიდან ზარბაზნების გრიალი გაისმა. იგი თანდათან გაძლიერდა. ღამის სამ საათზე მიყუჩებული დაშენა განთიადისას ისეთი ძალით გაიხლდა, რომ სარკმლის მინებმა ზანზარი იწყეს. მალე ზარბაზნების გრიალს ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების დაშენაც შეერია, ხალხი ქუჩებში გამოეფინა.

მთავრობამ და მისი ჯარების მთავარმა შტაბმა თითქმის არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა თბილისის მიდამოებშიც კი, რადგან კომკავშირელთა მფრინავმა რაზმებმა ტელეფონის გაბმულობა გადაჭრეს და ქალაქი ფრონტს მოსწყვიტეს. დედაქალაქის დამცველი გენერლები დაიბნენ.

აჯანყებულთა რაზმები და წითელი ჯარის მეთერთმეტე არმიის ნაწილები ფეხდაფეხ მოსდევდნენ მთავრობის ჯარებს, თბილისის მისადგომებს მოაღწიეს და ქალაქს გარსშემოეწყვნენ. მთავრობამ თავისი უნიათობა და შეცდომები სარდლობას გადააბრალა და კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა: მთავარსარდალი გენერალი ოდიშელიძე გადააყენა და მის ნაცვლად გენერალი კვინიტაძე დანიშნა. სამხედრო ცოდნის, ნიჭისა და სტაჟის მხრივ კვინიტაძე დიდად ჩამორჩებოდა ოდიშელიძეს. ოდიშელიძე ერთ დროს კავკასიის არმიის უფროსიც კი იყო.

კვინიტაძე თბილისის დაცვისათვის მზადებას. შეუდგა, მაგრამ საყოველთაო მობილიზაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო: სათადარიგო ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ჯარში წასვლაზე და მთავარსარდალს თბილისის დასაცავად ხელში შერჩა მხოლოდ სამხედრო სასწავლებელი, უნტერ-ოფიცერთა სკოლა, სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის რამდენიმე ათასეული. აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები კი თბილისს სულ ახლოს მიადგნენ.

თვრამეტ თებერვალს ღამით მთავრობა და არმიის შტაბი, ერთმანეთისაგან საიდუმლოდ, გასაქცევად ემზადებოდნენ.

მაგრამ დილით გამოირკვა, რომ მთავრობის ჯარებმა მოახერხეს აჯანყებულთა რაზმების შეჩერება, შეტევის შედეგად მათი უკუქცევა და იალღუჯის მაღლობების ისევ დაკავება. ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ მინისტრები ქალაქში დარჩნენ, ზარ-ზეიმი მოაწყვეს და ქვეყანას ამცნეს, თბილისთან დიდი გამარჯვება მოვიპოვეთო...

იმავე დღეს სამღვდელოებით გარშემორტყმულმა საქართველოს ეგზარქოსმა სამხედრო ტაძარში გამარჯვების გამო სამადლობელი წირვა, პარაკლისი და ომში დაღუპულთათვის პანაშვიდი გადაიხადა.

კიდევ უფრო დაბეჯითებით გავრცელდა ხმა შავი ზღვის ნავსადგურებში ანტანტის საექსპედიციო ჯარების ჩამოსვლისა და დესანტის გადმოსხმის შესახებ...

ეს ხმა არ იყო საფუძველს მოკლებული. ანტანტის დიდი სახელმწიფოები ვერ უყურებდნენ იმ აზრს, რომ კავკასია, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სტრატეგიული გზებით, რომლებიც თურქეთში, ირანში, ინდოეთში მიიმართებიან, საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიად ქცეულიყო.

ნაშუადღევს რუსთაველის პროსპექტზე ტაბახმელა-კოჯრის ფრონტის დასაკავებლად მიმავალმა ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ მაზარებში გამოწყობილმა ჯარის ნაწილებმა ჩაიარეს. პროსპექტზე გამოფენილმა მიამიტმა ხალხმა მაშინვე ხმა დაარხია:

— უცხოეთის ჯარები ჩამოვიდნენ. ფრონტზე მიდიან!

საფრანგეთის უზენაესმა კომისარმა შევალიემ თითქოს ამ

ხმების დასადასტურებლად განაცხადა: ანტანტის სახელმწიფოები შეიარაღებულ დახმარებას აღმოუჩენენო საქართველოს.

მეორე დღეს დილით კორნელისთან მიტომ შეირბინა. მან კორნელის და მაროს ვერის რაიონის რაზმის შტაბში წასვლა შესთავაზა.

პასტერის ქუჩა გაიარეს, კიბით ბორანისაკენ ჩავიდნენ, მტკვარზე გადავიდნენ, ვერის ბაღს მიადგნენ, გორაკთან მოუხვიეს და ოლღას ქუჩისაკენ მიმავალ ალმართს დაადგნენ. უცბად, ისინი იქვე მოსახვევში ჩასაფრებულმა სახალხო გვარდიელების პატრულმა გააჩერა. მოულოდნელობის გამო ვერც მიტომ და ვერც კორნელიმ წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხეს. სახალხო გვარდიელებმა გაჩხრიკეს ისინი და იარაღი ჩამოართვეს. ჩხრეკის დროს შავ პალტოში გამოწყობილი, კეპიანი კაცი ბუჩქებიდან გამოვიდა და ურცხვი ღიმილით მიჰმართა:

— დილა მშვიდობისა, ამხანაგებო! გაებით, ჩიტებო, მახეში? ახლა უკვე ვეღარ გაგეყრებით.

კორნელიმ და მარომ მაშინვე იცნეს დომენტი მელაძე.

— ვნახოთ, ვინ გაებმება ბოლოს მახეში, — ჩაილაპარაკა მიტომ.

— ჩუმად! — უყვირა მელაძემ და მაუზერი ასწია. — მე თქვენ კარგ სადისკუსიო ალაგას მიგიყვანთ... გამომყევით.

2

ზარბაზნები განუწყვეტლივ გრიალებდნენ იმ დილით. მთავრობის ჯარებს კარგი არტილერია ჰქონდა: ბადლობა ძველ არმიაში ოქტომბრის რევოლუციამდე ნამსახურ ოფიცრებისათვის უნდა ეთქვათ. თუ არა არტილერია, თბილისი რამდენიმე დღით ადრე იქნებოდა აღებული.

მთავრობა არ მალავდა, რომ აჯანყების ჩაქრობაში მას ევროპის დიდი სახელმწიფოები ეხმარებოდნენ.

— ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა, — განაცხადა დამფუძნებელ კრებაში რამიშვილმა. — საფრანგეთის ესკადრა გაგრას მოადგა და ჩვენს ჯარებთან ერთად იბრძოდა. მტერი დამარცხებულია.

გენერალური შტაბის ცნობებში უფრო და უფრო ხშირად იხსენიებდნენ ამ დახმარებას:

„ჩვენი მიწა-წყლის დაცვის საქმეში საფრანგეთის ესკადრა სერიოზულ დახმარებას გვიწევს...“

„გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრამ ისევ დაუშინა ბოლშევიკებს“.

ბათუმში მართლაც ჩამოვიდნენ სადესანტო ჯარებით დატვირთული ახალი გემები. სომხეთის საზღვრებზე ირანში მოკალათებული ინგლისის შეიარაღებული ძალები გროვდებოდნენ. საქართველო სამხედრო ინტერვენციის საშიშროების წინაშე დადგა. აჯანყებულ საქართველოსათვის ამ საშიშ და მძიმე დღეებში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ ლენინისადმი მიმართული სიტყვები გაისმა:

— ...საქართველოს მთავრობის დასახმარებლად მოისწრაფვიან ევროპის რეაქციის ძალები... გაერთიანებული შავი ჯარების შემოტევის წინააღმდეგ დგომა შეუძლია მხოლოდ შეერთებულ წითელ, სოციალისტურ ჯარებს. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ გვჯერა, რომ ქვეყანა არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობისაც, არ დაგვტოვებს ჩვენ უთანაბრო ბრძოლაში და საქართველოს ახალშობილ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას დახმარებას აღმოუჩენს“.

იმავე დღეს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაადგინა: გაიცეს ბრძანება, რათა XI არმიის ჯარები აჯანყებული ქართველი ხალხის დასახმარებლად გაეშუროს.

აჯანყებულთა რაზმები, რომელთაც მხარი დაუჭირა წითელმა არმიამ, დიდი სიჩქარით მიიწევდნენ თბილისისაკენ. მთავრობის ჯარები კი უკან დახევას განაგრძობდნენ. კახეთის დაკავების მერმე ოცდაორ თებერვალს, აჯანყებული ხალხისა და საბჭოთა ჯარების მიერ თბილისის გარშემო დახლებული თითქმის ყველა პუნქტი იყო აღებული. კუს ტბას, ლილოს, ვაზიანს, სოღანლუღს, ორხევს, შავნაბადას, ტაბახმელას, კოჯორს, კიკეთს მიაღწიეს და თბილისს გარსშემოერტყნენ. მთავრობას და მის ჯარს უკან დასახევად მხოლოდ ორი გზა რჩებოდა: ჩრდილოეთით — საქართველოს საზღვრო გზა, დასავლეთით კი—სურამისა. მაგრამ აჯანყებულმა მთიელებმა ყაზბეგის, ფასანაურისა და დუშეთის რა-

იონები დაიკავეს და მცხეთისაკენ მოიწყვდნენ. ხოლო ბათუ-ხანისაკენ მინავალ რკინიგზას სამხრეთ ოსეთის, ზესტაფონისა და შორაპნის რაიონების აჯანყებული მოსახლეობა ემუქრებოდა.

აჯანყებულებს და წითელი არმიის ნაწილებს თბილისის გარემოცვა დღეს თუ ხვალ უნდა დაეშთავრებინათ. მაშინ ალყაშემორტყმულ ქალაქში მთავრობა და მისი ჯარიც ტყვედ ჩავარდებოდნენ. ომი, ყველა ნიშნის მიხედვით, წაგებული იყო. მაგრამ რამიშვილი, რომელსაც უკვე საქართველოს დიქტატორს აშკარად უწოდებდნენ, ყველას არწმუნებდა, რომ საშინაო მდგომარეობა უთუოდ გადატყდება, რომ ვარშავასთანაც ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, როდესაც ქალაქთან თხუთმეტი კილომეტრის მანძილით მისული წითელი არმია იძულებული შეიქნა, ფრანგი გენერლის ვეიგანის სამხედრო ხელოვნების შედეგად, უკან დაეხია. ჟორდანიამაც ტრაგიკული ხმით გაიმეორა დამფუძნებელ კრებაში სხვისი სიტყვები:

— თბილისი საქართველოს ვერდენად უნდა იქცეს!

ოცდასამ თებერვლამდე წარმოებული საარტილერიო დაშენა დაკანონდა მოულოდნელად შეწყდა. ქალაქში და მის გარშემო ავის მომასწავებელი სიჩუმე დამკვდრდა. ასე იყო მთელი დღე. მთები ნისლით დაიბურა. ღამით კი ისევ თოვლი წაშოვიდა.

მეორე დღეს ჟორდანიამ ნაბიჯი წამოიხსნა, დაბალი ბუხრის ქუდი დაიხურა, ყელზე გურული გულხვით ჩაბალახი შემოიხვია, მანქანაში ჩაჯდა და რაბიშვილსა და ჯარების უფროსის გენერალ კვინიტაძის თანხლებით თბილისის მიდამოების დასათვალიერებლად და ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად კოჯრისაკენ გაემართა. ყოველივე მან, რაც პრეზიდენტმა გზაში და ფრონტზე იხილა — პანიკა, ჯარების უწესრიგოდ უკან დახევა, დეზორგანიზაცია, ძარცვა-გლეჯა, მოუწყობლობა და სხვა — ნათლად დაარწმუნა იგი, რომ დედაქალაქის დაცვა სრულიად ფიქრედო საქმე იყო. თავზარდაცემული, თავგზააბნეული პრეზიდენტი თბილისში დაბრუნდა, რომ სარდლობის წარმომადგენლებთან ერთად მთავრობის საგანგებო სხდომა დაუყოვნებლივ მოეწვია და თბილისის ბედი გადაეწყვიტა.

სასახლეში შესასვლელთან ჟორდანიას ფრონტის ამბების გაგების მოსურნე უამრავი ხალხი შემოხვდა. ჭალარა, ბიბლიურ წვერიანი ვიღაც ნაბადმოსხმული მოხუცი მანქანასთან მიიჭრა, თუშური ქუდი მოიხადა და გამყინავი ხმით ჟორდანიას ისტერიკულად შესძახა:

— გვითხარით, პატრონო ნოე, რატომ სდუმს მთავრობა? რატომ არაფერს ეუბნებით ხალხს? რატომ გვიმალავთ, რა ხდება ფრონტზე, იღუპება თუ არა საქართველო? გვითხარით სიმართლე, რომ ვიცოდეთ, რა გზას დავადგეთ?! თუ საჭიროა, დიდი და პატარა ომში წავალთ! ქუდზე კაცი გამოვალთ!

მოხუცს სხვებიც მიჰყვნენ. გაფითრებული პრეზიდენტი მანქანაში წამოდგა, აღელვებულ მოხუცს და ხალხს მიმართა:

— დამშვიდდით, გთხოვთ, ხელს ნუ შეგვიშლით მუშაობაში! ყველა საჭირო ზომა იქნება მიღებული იმისათვის, რომ საფრთხეს თავი დავაღწიოთ! ჩვენ ევროპა გვე... გვეხმარება! ნუ გეშინიათ: ბოლშევიკები თბილისს ვერ აიღებენ!..

რამიშვილმა ბწარედ გაიღიმა და გაიფიქრა: „ეს ხალხი, სიცრუისათვის რომ ჩაგვჭოლავდეს, ახია. ქუდზე კაცი გამოვაო, იძახის ნაბდიანი მოხუცი, მაგრამ ქუდზე კაცი საქართველოში არ გამოვა არამცთუ რუსეთის წითელი არმიის, არამედ თურქეთის ურდოების წინააღმდეგაც კი, რადგან ჟორდანია და ჩვენ ოცი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების, მისი თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ვილაშქრებდით. ახლა ჩვენ ვმკით იმ ჩვენი პოლიტიკის ნაყოფს. ხალხს უკვე არა სჯერა არც ჩვენი და არც საკუთარი თავისა. რა გადაარჩენს ახლა ჩვენს ქვეყანას ხიფათისაგან, არ ვიცი! მობილიზაციამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ხალხს ომი არა სურს... ევროპა თუ ვინ შველის?! გვიშველის კი?!“.

ასე ფიქრობდა რამიშვილი, ჟორდანია კი ხალხის მოტყუებას განაგრძობდა და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— ბოლშევიკები ვერ იხილავენ თბილისს! თბილისი საქართველოს ვერდენად უნდა გადაიქცეს.

ჟორდანიას გვერდით მჯდარი გენერალი კვინიტიძე შებრუნდა და სირცხვილის გამო თვალებზე ხელი აიფარა. იგი, ისე როგორც რამდენიმე სხვა ქართველი გენერალი, ძმკრად

დარწმუნდა, რომ მათი არმიის დასასრული თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა კოლჩაკის, დენიკინისა და ვრანგელის არმიის სამარცხვინო დასასრულისაგან.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲔᲡᲐᲛᲔ

სოფელი შენდებოდეს — შეასწარი, იქცეოდეს — გაასწარი.

ანდაზა

1

როდესაც პლატონ მოგველაძემ ნაცნობ ოფიცრებისაგან ფრონტზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობა შეიტყო, სად გაქცეულიყო და რა მოემოქმედა, არ იცოდა. პლატონს თავზარს სცემდა იმაზე ფიქრი, თუ რა მოელოდა მას, როდესაც აჯანყებულები თბილისს დაიკავებდნენ. სამი დღის წინათ იგი რაფაელ ახვლედიანისას ჩასახლდა. რაფაელი საზღვარგარეთ გაქცეული მრეწველის — ჯაყელის ჩინებულ ბინაში ცხოვრობდა. პლატონს და რაფაელს სასტუმროში ეძინათ.

შუაღამე გადავიდა. ზარბაზნების გრიალი შეწყდა. მოსალოდნელი იყო, რომ პოეტების მშვიდ ძილს უკვე არაფერი აღარ დაარღვევდა. მაგრამ უეცრად ბორბლების გრიალის ხმა გაისმა. გრიალი ვერის ხიდიდან და კირკის ქუჩიდან მოისმოდა. იგი განუწყვეტლივ მატულობდა. გაღვიძებულმა პლატონმა ყური დაუგდო ავისმანიშნებელ, განუწყვეტელ გრიალს და გაიფიქრა: „ალბათ, არტილერია და ქვეითი ჯარი მიდის ფრონტისაკენ. საქართველო უთუოდ გადარჩება, ამდენი ჯარი თუ მიედინება ფრონტზე“. პლატონი დამშვიდდა და ისევ ძილი დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან ახვლედიანი ნასვამი იყო და გულდაგულ ხვრინავდა... „რა საშინელი ნაკლი აქვს ამ კაცს. მესამე ღამეა არ დამიძინია“, —გაიფიქრა პლატონმა და ბრაზით გადახედა მეგობარს, რომელსაც ხახა გაეღო, ისევ უმოწყალოდ ხვრინავდა და ცხვირის შილებში უსტვენდა. უცებ კარებზე ვიღაცამ გაშმაგებით იწყო კაკუნი. პლატონი შეშინდა, თავზე საბანი გადაიფარა. რაფაელი კი წამოიჭრა და კარებს მივარდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მან უცნობს.

— რაფაელ, გააღე კარი!

მასპინძელმა ხმაზე იცნო სტუმარი და კარები გაუღო. ლეონარდო ტაბადაძე, თეოფილ გოთუა, ვარლამ შევარდნაძე, არსენ ლალიაშვილი და ახალგაზრდა პოეტი ბეჟან ერაძე გიჟივით შევარდნენ ოთახში.

ლამაზი ჭაბუკი ბეჟან ერაძე ახლახან იყო მიღებული ლიტერატურულ ჯგუფში, რომელსაც პლატონი ხელმძღვანელობდა. ღარიბი გლეხის, მეურმის შვილი ბეჟანი კარგა ხანს მუშაობდა ასოთამწყობად თბილისის ერთ-ერთ სტამბაში, მას მწერლობა იტაცებდა და მალე ლექსების წერა დაიწყო. რამდენიმე მისი ლექსი დაბეჭდილი იყო ჟურნალში, რომელსაც ვარლამ შევარდნაძე რედაქტორობდა. პლატონი აფასებდა ბეჟანის ნიჭს, მაგრამ არ მოსწონდა, რომ იგი თანამედროვე თემებს ეტანებოდა.

— რა დროს ძილია! ჩვენები თბილისს ტოვებენ. თბილისი გარშემორტყმულია. მთავრობა გაიქცა, — ყვიროდა გოთუა.

— რას ამბობ, რას მიჰქარავ! — დატუქსა პლატონმა გოთუა, თვალები გადმოკარკლა და უმალ გაშეშდა, თითქო დაბლა დაეცაო. იგი ენაწყართმეული, ამღვრეული თვალებით მიშტერებოდა ჭერს და ბორბლების გრიალს უსმენდა. ცოტა ხნის მერმე ოდნავ გამოცოცხლდა, მხოლოდ თავის საშინელ ტკივილს დაუწყო ჩივილი. საწოლზე ფეხმოთხმული დაჯდა და თავი პირსახოცით მაგრად გაიკრა. მერმე მისტიკური ჭვრეტით სავსე თვალები ჭერისაკენ აღაპყრო, ხელები აიწია და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ო, ღვთისმშობელო, წმინდა მარიამ, შენ უშველე საქართველოს! ის ხომ შენი წილხვედრია! — ბუტბუტებდა პლატონი.

ქონდრიწკაცს თეოფილ გოთუას შეეცოდა და ქალაქიდან გასვლა, მასთან ერთად გაქცევა უჩია.

— არავითარ შემთხვევაში, — გადაჭრილი უარი უთხრა პლატონმა, — მე მოვალე ვარ ჩემი ხალხს ბედი გავიზიარო. შეუძლებელია: რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ამ საშინელ და მრისხანე ჟამს მიგვატოვოს. არ მოხდების ესე!

პლატონის პოზა, თვალთმაქცობა, ღვთისმშობლისადმი ვე-

ძეს:

— პატონო პლატონ, თუ თქვენ გსურთ ქართველი ხალხის ბედი და ხვედრი გაიზიაროთ, მაშინ სხვანაირი შეფასება უნდა მისცეთ საქართველოში ამჟამად მიმდინარე ამბებს. მერწმუნეთ, რომ მათ, ვისაც თქვენ ქართველი ხალხის შეგობრებად და მფარველებად თვლით, სრულიადაც არ აწუხებთ ჩვენი მდგომარეობა, გასაჭირი და მწარე ხვედრი. ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგები, რომელთა იმედი თქვენ კიდევ შეგრჩენიათ, მეოცნებე პოეტები კი არ არიან, არამედ საქმის კაცები! დარწმუნდნენ რა მენშევიკების უმეცრებაში და უნიათობაში, იმაში, რომ მეტს ვერაფერს გამოსწოვენ ჩვენს ქვეყანას, და რომ ვერასოდეს ვერ იხილავენ არა მარტო ბაქოს ნავთს, არამედ ჰიათურის მარგანეცსაც, ისინი, ჩვეულებისამებრ, ყოველგვარი წუხილისა და სინდისის ქეჯნის გარეშე სტოვებენ თავის მიამიტ მეგობრებს უბედურებაში. ისინი ჩვენს გამო საბჭოთა ჯარებთან ბრძოლით თავს არ აიტკივებენ. მით უმეტეს, თუ ბაქოს ნავთის გამოინგლისი და საბჭოთა რუსეთი შეთანხმდნენ, მენშევიკების წირვა გამოსულია და ხალხს ეს ახარებს, თქვენ კი მათ ბედს დასტირით და ღვთისმშობელს ევედრებით...

— გაჩუმდი!.. როგორ ბედავ უმსგავსოების როშვას? — სიტყვა გააწყვეტინა პლატონმა ერაძეს. — მე პარტიას, სამშობლოს მივსტირი და არა მენშევიკებს და მათ პარტიას.

— მე მოგახსენეთ ის, რაც ყოველმა ჭკუათმყოფელმა კაცმა უნდა იცოდეს. ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ ჩვენ, პოეტებს, არ შეგვფერის რეაქციის, მენშევიკების მხარეზე დგომა. თქვენცა და მეც ხომ გლეხები ვართ, მაშ რად გვაშინებს რევოლუცია და მუშურ-გლეხური, საბჭოთა ხელისუფლება!

— სისულელეს როშავ! არა, ბექან, ამას შენ არ ამბობ. არამედ პლებეური სისხლი მეტყველებს შენში, — განაგრძობდა აღშფოთებას პლატონი.

— პლატონ, კაცის ასეთი შეურაცხყოფა დაუშვებელია,— შეაჩერა იგი რაფაელმა, — ბექანი სიმართლეს მოგახსენებს. მართლადაც, რა ჭირად გვინდა ჩვენ მრეწველები და მემამულეები?! რისი მაქნისნი არიან მენშევიკები! ისინი თავის

პარტიულ ინტერესებზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ქართველი ხალხის ბედნიერებაზე. კარგია, მათი ბატონობა რომ დამთავრდა...

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ისევ იყვირა პლატონმა. — თქვენ ნამდვილად გიჟები ხართ! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მენშევიკებთან, მემამულეებთან და მრეწველებთან ერთად მთელი საქართველოც იღუპება! არა, ყოვლისუარმყოფელი ეშმაკი მეტყველებს თქვენი ბაგით! ქვეყანა გაგიჟდა! არულს მართავენ კუდიანები ზესკნელზე, ჭკუას უმღვრევენ სუსტ სულებს! ჭინკები ეზიდებიან საბრჭობელაზე და უფსკრულისაკენ მიაქანებენ საქართველოს. თქვენ არ იცით, რანი არიან ბოლშევიკები! მე ვნახე ისინი, მათი მთავრობა, მათი ჯარი, „ჩეკა“ ბაქოში და აღარ მინდა კვლავ ვიხილო ისინი! ო, ღვთისმშობელო, შენ გამოიხსენ საქართველო დაღუპვისაგან. და უკეთუ ეს შეუძლებელ არს, — იყავ ნება შენი, უფალო! თუ დაღუპვა გვიწერია, დაე, დავიღუპოთ!.. დავიღუპოთ, რადგან დაღუპვაში შევიცნობთ სულიერი გაწმენდის უკანასკნელ სიტკბოებას, იმას, რასაც არისტოტელემ „კათარზისი“ შეარქვა...

გულხელდაკრეფილი ვარლამ შევარდნაძე და არსენ ლალიაშვილი დაღადით შესცქეროდნენ „პოეზიის მოგვს“, რომელიც მისტიკურ სიტყვას განაგრძობდა.

ბორბლების გრიალი ქუჩებში ისევ გრძელდებოდა.

— ო, წმინდა ნინოვ, ო, წმინდა მარიამ, — ისევ დაიწყო ვედრება პლატონმა, — შენ დაიფარე და უშველე საქართველოს ეშმაკთა, კუდიანთა და ჭინკათა შემოსევისაგან! გადააფარე შენი კალთა წილხვედრილ შენს ქვეყანას!

— ზეცამ ისმინა თქვენი ვედრება, ბატონო პლატონ. ღმერთმა იხსნა ჩვენი ქვეყანა, — დაცინვით შენიშნა ერაძემ.— ჭინკები უკვე გარბიან ჩვენს მიწა-წყლიდან. გესმით?

ვარლამ შევარდნაძემ მრისხანედ შეხედა და თავდასხმა დააპირა, მაგრამ ერაძე ქუჩაში გაიჭრა.

რამდენიმე წუთის მერმე მას რაფაელ ახვლედიანი და ლეონარდო ტაბადაძეც მიჰყვნენ.

ვერის ხიდით პლეხანოვის პროსპექტზე გასული მთავრობის ჯარის ნაწილები ქალაქგარეთ მიედინებოდნენ, რათა მცხეთაში მისულიყვნენ და იქ ახალ პოზიციებზე გამაგრებულიყვნენ. კუმისის ტბის რაიონიდან უკან დახეული ჯარების პირველი ჯგუფი, შარაგზით, ქვემო ავჭალასა და გლდანში უნდა ჩასულიყო. სოღანლუღიდან მომავალი მეორე ჯგუფი, მტკვრის მარცხენა ნაპირით ზემო ავჭალისაკენ მოძრაობდა. კოჯრის მიდამოებიდან წამოსული მესამე ჯგუფი კი, წყნეთზე გავლით საქართველოს სამხედრო გზაზე უნდა გასულიყო და მცხეთიდან სამხრეთით მდებარე პოზიციები დაეკავებია.

— რა მოხდა? რაშია საქმე? — ამაოდ ეკითხებოდნენ სამხედრო პირებს მოქალაქენი. ისინი დუმდნენ. არავინ არ იცოდა, რისთვის ტოვებდა ჯარი ფრონტს, თბილისს და სად მიდიოდა იგი. ეს მხოლოდ ჟორდანიამ, რამიშვილმა, სარდლობამ და ფრონტის გენერლებმა იცოდნენ. ჯარი კი კოჯრიდან, სოღანლუღიდან, კუმისის ტბის რაიონიდან ისევ ქალაქში შემოდიოდა და მერმე საქართველოს სამხედრო გზით და მტკვრის მარცხენა ნაპირით მცხეთისაკენ მიედინებოდა. მაგრამ მცხეთაში ამ ჯარის ნახევარიც არ ჩასულა. ჯარისკაცები თავის ნაწილებს სტოვებდნენ და იარაღით ხელში შინ მიდიოდნენ.

ქალაქში ნისლი იდგა და თოვდა. პოეტები რაფაელ ახვლედიანი და ლეონარდო ტაბადაძე პლეხანოვის პროსპექტზე ვაკიდნენ. იქ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი მიდიოდა. ფრონტიდან მომავალი, დაღლილ-დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი და სულიერად დაცემული ჯარისკაცები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს და დუმდნენ. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც მწკრივს სტოვებდნენ, მაღაზიების ვიტრინებს კონდახით ამტვრევდნენ, შიგ იჭრებოდნენ და სასმელებს, სანოვაგეს და საქონელს იტაცებდნენ. ჯარში ხრწნა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო.

ორთვალის უკან მიმავალი ჯარისკაცების ჯგუფიდან გულში ჩახშული, თავზარდამცემი ძახილი, ოხვრა და ქვითინი გაისმა:

— რას მოვესწარით, ძმებო, რას მოვესწარით! თბილისს

ვტოვებთ! არ შემიძლია ამის ატანა, თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ!

ამას შაეწვერა, შავსათვალიანი გამხდარი კაცი — ერენო გოდებანიძე იძახოდა. მან მართლაც აღოიძრო ბუდიდან ნაგანი და თავის მოკვლა დააპირა, ორმა ჯარისკაცმა — გენადი ქადაგიშვილმა და დათა კაჭკაჭიშვილმა იარაღი წაართვეს, შეკრეს, ორთვალაზე დაადეს და თავზე დააწვნენ.

რაფაელ ახვლედიანი და ლეონარდო ტაბადაძე შეძრწუნდნენ.

თოვლით დაფენილ პროსპექტზე ისევ ნისლი იდგა. მალე ორთვალა და მის უკან მიმავალი ჯარისკაცები გაუჩინარდნენ, მაგრამ ახვლედიანს და ტაბადაძეს კიდევ დიდხანს მოესმოდათ ისტერიკული ყვირილი, ოხვრა და ქვითინი:

— თბილისს ვტოვებთ, თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ!

პოეტებმა დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ადგურს. მოედანზე ერთმანეთში უწესრიგოდ არეული ათასი ჯარისკაცი, ბარგი-ბარხანით და ფუთებით მოსული ლტოლვილები ტრიალებდნენ. ყველა ცდილობდა ბაქანზე გასვლას, მატარებელში ჩაჯდომას და თბილისიდან გაქცევას.

საპარადო ოთახში შესასვლელთან მთავრობის წევრებს, მათი ნათესავებისა და სპეკულანტების უამრავი მანქანა იდგა. გვარდიელები იმ მანქანებით მოსულთ რიგს გარეშე უშვებდნენ. დარბაზში პოეტებმა ფრონტის გენერალი მაზნაშვილი დაინახეს. ძლივს გაიკვლიეს გზა მისკენ.

— გვითხარით, ბატონო გენერალო, რა ამბავია, რა ხდება? — მიმართა ახვლედიანმა.

— არ ვიცი, მეგობრებო, არ მესმის, რისთვის შექმნეს პრეზიდენტმა და ჯარების სარდალმა ასეთი პანიკა. — გაკვირვებით აიჩეჩა მხრები მაზნიაშვილმა. — პირადად მე მდგომარეობა არ მიმაჩნდა იმრიგად უიმედო, რომ უკან დახევის ბრძანება გაეცემულიყო.

— როგორ მოვიქცეთ? გვირჩიეთ. — ჰკითხეს პოეტებმა.

— ჩემის აზრით, უმჯობესია დარჩეთ თბილისში, — ჰიუგო გენერალმა: — რისა გეშინიათ? ისე, როგორც მე, არც თქვენ ბრძანდებით პოლიტიკოსები. დარჩით ქალაქში და ხალხს უპატრონეთ.

პოეტები ასეც მოიქცნენ.

მთავრობის მიერ თბილისის დატოვებისთანავე ქალაქში წესრიგის დასაცავად მფრინავი რაზმები შეესდგა. ერაძე, ახვლედიანი და ტაბადაძე ერთ-ერთ იმ მფრინავ რაზმთაგანში ჩაეწერნენ. მერმე ისინი იმ დელეგაციაში ჩარიცხეს, რომელიც ფრონტზე გაემგზავრა და საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს მენშევიკური მთავრობის მიერ მიტოვებული დედაქალაქის დაკავება სთხოვა.

3

ჯართან ერთად ფრონტიდან თბილისში გვიან ღამით მისული დათა მიქელაძე გიგივით შევარდა თავის ბინაში და იქ კორნელი და მარო რომ არ დაუხვდა, თავზარი დაეცა. სჩქაროდ ჩაჰყარა ჩემოდანში ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ფასეული ნივთები. მაზარის ღილები შეიკრა, შაშხანა გადაიკიდა, ბინის კარები დაკეტა, გასაღები გალობის მასწავლებლის ცოლს — ანეტას ჩააბარა და ბინისათვის თვალყურისდევნება სთხოვა. მერმე დიდიმთავრის ქუჩაზე გიგივით გავარდა, რომ თავის ნაწილს დაწეოდა. მოხუცმა მეეზოვემ ჩემოდანი ჩამოართვა და სადგურისკენ გაჰყვა.

გზაზე პლატონ მოგველაძე და თეოფილ გოთუა შეეყარნენ. ისინიც სადგურისაკენ გარბოდნენ. მოგველაძე კვლავ დამბლადაცემულსა ჰგავდა. გაშეშებული მანეკენივით მიაბიჯებდა პლეხანოვის პროსპექტზე, რომელზედაც ფრონტიდან მცხეთისაკენ უკან დახეული ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, არტილერია და ალაღი კვლავ განაგრძობდა სვლას.

როდესაც დათა, პლატონი, თეოფილე და გაბრიელი ჯარით და ლტოლვილებით სავსე სადგურში მივიდნენ, უკვე რიგრაგმა მოატანა. ხალხით და ჯარისკაცებით გაჭედილი უკანასკნელი მატარებელი მცხეთისაკენ გასულიყო და თბილისში საბჭოთა ჯარებს შემოჭრის შიშით შეპყრობილი რკინიგზის სადგურის უფროსი და მისი თანამშრომელნი მოხსნილიყვნენ. ახალი მატარებლის მცხეთისაკენ გამგზავრების იმედი არავის აღარ ჰქონდა. ამიტომ დათა, პლატონი და ალპინისტივით რუკზაკმოკიდებული თეოფილ გოთუა სხვა ლტოლვილებთან ერთად რკინიგზის ლიანდაგს დაადგნენ და მცხეთისაკენ ქვეითად გასწიეს.

ჯარისკაცის მაზარაში გახვეული, შაშახაგადაკიდებული, უძილო, გაიხდარი და სუსტი დირექტორი მიქელაძე, როცა ფრონტზე თავისი მოწაფეები შემოჰფანტოდნენ, საკადავად მიათრევდა დიდ ჩემოდანს. გოთუას შეეცოდა, ჯიხურის დანა ამოიღო, გზის პირას ხეს ტოტი შეაჭრა, გასხეპა, ჩემოდანის სახელურში გაუყარა და ტვირთის ზიდვაში დათანაშველა. ის ქონდრისკაცი ყველაზე ღონიერი, მხნე და ამ-ტანი აღმოჩნდა. იგი თბილისის დატოვების გამო მაინცდამაინც დიდ ტრაგედიას არ განიცდიდა. მხოლოდ სახეზე ნიშანებს იფარებდა, ღმერთო ჩემო, თბილისი დავტოვეთო, — განსაკრახ იძახდა, რათა პლატონისა და დათას გული მოეგო. მასაც ადამიანთა ცხოვრება, მათი ბრძოლა და ჭიდილი დედამიწაზე ეთამაშებულ კომედიად მიაჩნდა. მელასავით მიცუნცულებდა და ცინიკურად იღიმებოდა. იგი შინაგანად დაცლილი, ურწმუნო კაცი იყო, თითქო დედის საშოშივე დაეწყევლოთ.

როდესაც ხიზნები დიდუბეს გაშორდნენ და ავჭალის ველზე გავიდნენ, აჯანყებულთა საშველად მოსული მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილების თვითმფრინავები დაინახეს. თვითმფრინავები დაბლა დაეშვნენ, გზატკეცილებზე და მთისპირა ველიკებზე წეროსავით გამწკრივებულ, ნელი ნაბიჯით მცხეთისაკენ მიმავალ მთავრობის ჯარს და არტილერიას ზვერავდნენ. მფრინავებს მათი დაბომბვა ყოველ წუთს შეეძლოთ, მაგრამ ბრძანების გამო თავს იკავებდნენ.

ხიზნებმა თოვლით დაფენილ ჭალაში აქა-იქ მიტოვებული სამხედრო ფურგონები და გზაში დავარდნილი ცხენების ლეშები დაინახეს. ცხენებს მუცელი რუმბივით გაჰბეროდათ, კბილები დაეკრიჭათ. მათ თავზე ყვავ-ყორნები დაჰყრანტალებდნენ.

გათენდა. ზემო ავჭალისა და მცხეთის ვიწროებში, მთასა და მტკვრის შუა გზატკეცილი ერთმანეთში არეული ჯარისკაცებით და ხიზნებით გაიჭედა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საბჭოთა ჯარების მომლოდინე შოფრებმა საბარგო მანქანების მოტორები მოშალეს და ავტოკოლონა დააყენეს. აქ გაიჭედნენ ჩვენი ხიზნებიც. ერთმა შავგვრემანმა შოფერმა მის მანქანასთან მდგარი დრაფის პალტოში გამოწყობილი კოტელოკიანი პლატონი იცნო, კაბინიდან თავი გამოჰყო და გასძახა:

— - ? გამარჯობათ, ამხანაგო! თქვენც მოუსვით თბილისი-
ან?

პლატონმა მაშინვე იცნო შოფერი იმ გარაჟისა, რომლის აკავებებას აპირებდა იგი თვრამეტ წელს, მეორე საარტილერიო ბ ბრიგადის ჯარისკაცების დახმარებით. შოფრები ამკაცად აგაგაგინებდნენ მთავრობას. მათ მოშალეს და გარდიგარდმო ააყენენენეს მანქანები იქ, სადაც რკინიგზის ხაზს გზატკეცილი ჭრის. ს. ა.

პლატონი გზაში გაჭედილ არტილერიას წააწყდა. მან წვერ-ოშვებებული და დაქანცული კაპიტანი ალექსიძე დაინახა. კაპიტანინიი ცხენის მობრუნებას ვერ ახერხებდა და ამაოდ ცდილობდა ვიწრო გზაში გაჭედილი ბატარეის გაყვანას სამშვიობოსოზე.

პლატონმა ხალხში პოეტს იორამ მინაშვილსაც მოჰკრა ვალიანი.

4

მცხეთაში მართლაც წარმოუდგენელი ჟწესრიგობა და ორომტრიალი იდგა. ჯარისკაცები ერთმანეთში არეულიყვნენ. ადგილობრივ ხელისუფლებას დივიზიებისათვის არ მიუჩენია ადგილები და ადგილობრივებსა და ტაძრის შუა ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ, ვინც სად მოასწრო.

ქვეითად სიარულით დაღლილი და დაქანცული დათა, პლატონი და თეოფილე ბადგურის დარბაზში შევიდნენ. დათას ნაწილი უკვე აღარ არსებობდა და საძებარიც არაფერი იყო. გრძელ მაგიდაზე და კედლის გასწვრივ, იატაკზე, მსუბუქად დაჭრილი, ნაბრძოლი და უძილო ჯარისკაცები დაყრილიყვნენ. პლატონმა მაგიდაზე გაშხლართულ, ხახადაღებულ და მძინარ ჯარისკაცებს შორის ბევრი ნაცნობი დაინახა... ზოგი ძილფხიზლობდა, თავი ამაყად ეჭირა, ისევ ბრძოლის გუნებაზე იყო, ინგლისურ ჩიბუხს აბოლებდა და სიგარეტს ჭაჩავდა. პლატონმა დარბაზიდან ჭუჩაში ჩასასვლელ კიბეზე მჯდარი, გამხდარი და დაღლილი მოხუცი პროფესორი ფილიმონ ერისთავი,, ცისი მეუღლე სოფიო, ესტატე, ვარდო და ელო დაინახა. ა. იქვე იდგა მოწყალების დის ტანისამოსში გამოწყობილი ნინო. იგი ფრონტზე წასულიყო. მას მკერდზე წითელი

ჯვარი ეკერა, იუნკრებს ესაუბრებოდა და პლატონს ახლა ყურადღებას არ აქცევდა. ნინო ფრონტზე თოფ-ზარბაზნების გრიალსა და ტყვიების ზუზუნში ჭრილობებს უხვევდა მებრძოლებს.

ნინოს გვერდით მოჰკლეს ესტატეს ძმისწული, მზეთუნახავი ასული თამარ მაყაშვილი. თამარი შვილი იყო პოეტის კოტე მაყაშვილისა. ომში დაღუპულ იმ სტუდენტ ქალს ერთმა ახალგაზრდა პოეტმა სონეტი უძღვნა. იგი ასე იწყებოდა:

„მე არ გიცნობდით, ქალბატონო, სწორო თამარის,
მაქვს სავალალოდ, დაო, თქვენი უნახველობა,
მაგრამ ამბობენ, რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ტურფა სახეს, აწ რომ მიწა ფარავს სამარეს"...

— ნე არ გიცნობდით ასეთ გმირად. — შეაქო ნინო მაყაშვილი პლატონმა და ხელზე აკოცა, ნინომ ხელი ჩაიქნია და ფილიმონ ერისთავს და მის მეუღლეს უთხრა:

— წამობრძანდით, მამა მიგიყვანთ ჟორდანიასთან და რამიშვილთან. მთავრობის მატარებლით იმგზავრებთ მათთან ერთად. აქ თქვენი ჯდომა უხერხულია.

— ნუ სწუხდებით, ჩემო კარგო, — ფეხი გაიდგა პროფესორმა, — ღმერთმა უწყის, როდის გავა მცხეთიდან მატარებელი! წინადადებას ვიძლევი, მეგობრებო, — მიუბრუნდა იგი ესტატეს და დათას, — სანამ ძალა შეგვწევს, ქვეითად განვაგრძოთ გზა. დაყოვნება სახიფათოა.

ესტატე მაყაშვილმა პროფესორის წინადადებაზე უარი განაცხადა და დათასთან და პლატონთან ერთად პერონისაკენ გაეშურა. აქ იდგა მთავრობის მატარებელი, რომელშიც იმყოფნენ ჟორდანია და მინისტრები ცოლშვილიანად, საქართველოს ეგზარქოსი ამალით, გენერლები, მრეწველები და მშობელ წრეებთან ახლო მდგომი საქმოსნები. შავ პალტოში გამოწყობილი, შავი კრაველის ბუხრისქუდიანი, თეთრწვერა პოზადენტი ვაგონის სარკმელთან იდგა. იგი გაფითრებული გასცქეროდა მცხეთაში მდგარ ორომტრიალს, ბრძოლის უკანდაკარგულ ჯარისკაცებს, მენშევიკური საქართველოს ნგრევის სურათს. ვაგონის წინ მინისტრები, ზოგიერთი დეპუტატი, სენატორი შეგროვილიყვნენ და მომდინარე ამბებით გაწამებულ პრეზიდენტს თანაგრძნობით შესცქეროდნენ.

— საცოდავი, როგორ ჩამოხმა, — უჩურჩულა სენატორმა კუტალაძემ ესტატეს. — მეშინია, რამე არ მოუვიდეს. ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა ღირსი ამ უდიდესი სახელმწიფო მოღვაწისა. ღმერთო ჩემო, რას მოესწრო ეს ბუმბერაზი ადამიანი?! ყველაფერი დაიღუპა!

— ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაშია. — მიუგო ამრეზით ესტატემ. — თქვენს ეროვნულ ნიჰილიზმს უნდა დააბრალოთ ყველაფერი. ოცი წლის მანძილზე თქვენ საქართველოს ავტონომიისა და თვითგამორკვევის წინააღმდეგ ილაშქრებდით, ახლა კი ქართველი ხალხისაგან ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას და თავგანწირვას მოითხოვთ. ბედმა ქართველ ხალხს დანოტკრდებლობა მიანიჭა. თქვენ მისი მესაჭეობა გარგუნათ, მაგრამ სახელმწიფოს მართვაში უმეცრება გამოიჩინეთ. ვერ წასძელით ევროპის ინტერესი და თანაგრძნობა გაეღვივებინათ ჩვენდაში... ბოლოს ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჩვენ. ნაციონალ-დემოკრატები მოველოდით: ვერც ევროპას მოვეჭიდეთ და ვერც აღმოსავლეთს მივეწებეთ.

— თქვენ არა ხართ მართალი. განა ევროპას არ მოვეჭიდეთ, მაგრამ ევროპამ არ ინება მოგვჭიდებოდა ჩვენ... ამაზე ლაპარაკი ახლა გვიანღაა.

კუტალაძემ ერთბაშად შეწყვიტა მის მიერვე წამოწყებული ლაპარაკი; დათა მიქელაძეს მკლავში ხელი გაუყარა და ვაგონთან მიიყვანა.

— ბატონო ნოე, — შესძახა მან პრეზიდენტს, — აი, ეს კაცი გახლავთ დათა მიქელაძე. გიმნაზიის დირექტორი, რომელიც ქართველი ხალხისათვის მძიმე და მრისხანე დღეებში თავისი შეგირდებით ომში წავიდა.

ჟორდანიამ უღიმღამოდ დაუქნია თავი დათას და უთხრა:

— დიახ, ჩვენ გვაცნობეს. რესპუბლიკა ჯეროვნად დააფასებს თქვენს პატრიოტულ ნაბიჯს. ჩვენ გვინდა განათლების საქმე თქვენ ჩაგაბაროთ.

მიქელაძე სწორედ ამას ელოდა. კარიერის მხრივ, ახლა თითქო ყველაფერი ჩინებულად მოეწყო. მისთვის აშკარა იყო, რომ იგი ფრონტს აღარ დაუბრუნდებოდა. შეეცდებოდა მთავრობის მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში მოთავსებას, რომ რაც

შეიძლება მალე ჩასულიყო სადგურ რიონამდე, იქიდან კი — კარისმერეთში.

მაგრამ აქ საქმე კორნელის გამო კინაღამ არ ჩაიფუშა. ლაპარაკში ნოე რამიშვილი ჩაერია:

— იცით თუ არა თქვენ, — მიმართა მან პრეზიდენტს,— რომ სწორედ ამ დირექტორის მეუღლის დისწულია ის ვაჟბატონი, რომელიც ბოლშევიკურ მოთხრობებს ჯღაბნის? ყოველ შემთხვევაში ჩვენ იგი დავაკავეთ...

— ჯერ ერთი, მწერალი არ უნდა დაგეპატიმრებინათ, მეორეც, დირექტორი აქ რა შუაშია! — გაუკვირდა ჟორდანია.

ცოტა ხნის მერმე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ჯუღელისა და ჯარების სარდლის კვინიტაძის თხოვნით, ჟორდანია და რამიშვილი უკან დახეული სამხედრო ნაწილების დაბანაკების ადგილისაკენ — მცხეთის მიმდებარე კალთებისაკენ გაეშურნენ.

მათ თეოფილ გოთუა და იორამ მინაშვილიც მიჰყვნენ.

თებერვლის სუსხიანი ქარი უბერავდა. იტალიურ თხელ მანტოებში გამოწყობილ ჯარისკაცებს აქა-იქ კოცონები გაეჩაღებინათ და ცეცხლზე თბებოდნენ. ისინი წვერგაუპარსავი, მშიერი და დიდი მანძილის გავლის გამო დაღლილი, გახდარი და საცოდავი შესახედავი იყვნენ.

ჟორდანიამ და რამიშვილმა ჯარისკაცების გამხნევება სცადეს.

— თბილისი ჩვენ დროებით, სტრატეგიული მოსაზრებით დავტოვეთ, — არწმუნებდა მათ რამიშვილი. — მალე ისევ თბილისში დავბრუნდებით. ცოტა მოითმინეთ, ევროპიდან დამხმარე ძალები ამ დღეებში ჩამოვა და ჩვენი საქმე ჯმალ გამოსწორდება.

ერთმა გრძელულვაშიანმა ჯარისკაცმა, რომელსაც ჩექმა გაეხადა და დაშავებულ ფეხს იხვევდა, ჩაილაპარაკა:

— როდის მოვა დახმარება? მაგ დახმარების უკვე არავის არაფერი სჯერა. განა პირველად ვისმენთ!

— უნდა გჯეროდეთ. ინგლისმა და საფრანგეთმა იურიდიულად გვიცნო, — უთხრა მას ჯუღელმა.

— შე კაი კაცო, მარტო ცნობა რა თავში ვიხალო?! ნე რომ მტკვარში ვიხრჩობოდე და შენ კი ნაპირიდან გადმო-

ძახო: გიცანი, გიცანიო, რას მარგებს?! თუ მიცანი, ვიღუპები, ვიხრჩობი კაცი და, დამეხმარე, მიშველე.

— ასეთი მსჯელობა და ოხუნჯობა მხოლოდ ბოლშევიკებს სჩვევიათ, — შერისხა იგი რამიშვილმა. მაგრამ ჯარისკაცთა მრისხანე თვალებს წააწყდა და ისევ ტყუილები და ჯარისკაცების გამხნევება დაიწყო, უცხოეთის ჯარები გუბერნ ბათუმში და ფოთში გადმოსხდებენო.

იორამ მინაშვილმა, რომელიც ლევან ქორიძეს სახალხო გვარდიის შტაბში საგანმახათლებლო მუშაობისათვის მიეყვანა და ახლა მაზარა ეცვა, თეოფილ გოთუა გაიხმო, სვეტიცხოვლისაკენ მიმავალ გზაზე გაიყვანა და ჩუმად უთხრა:

— აბა ერთი უყურე, როგორ ატყუებენ ჯარისკაცებს ევროპის დახმარებით!

— რომ არ ტყუვდებიან, ხომ ხედავ... — მიუგო გოთუამ.

— საქმეც ეგ არი... — ეშმაკურად გაიცინა მინაშვილმა.— ჰოდა, მეც არ ვტყუვდები... რა მინდოდა, ამათ გვარდიაში რომ შევედი?! ლევან ქორიძის ბრალია. შემაცდინა. ახლა მშვიდობით, თავს ვანებებ გვარდიას. ამ განწირულ მთავრობას რომ ვდიო, ხელს არ მომცემს. ფეხსაც არ გადავდგამ მცხეთიდან. დღესვე თბილისში გავბრუნდები. შენ?

გოთუამ არ უპასუხა. მელასავით ეშმაკი თვალები შეანათა. ის, რაც მინაშვილმა ახლა მოისაზრა, გოთუას უფრო ადრე გადაეწყვიტა.

— რა მინდოდა შენშევიკებთან? — დარდობდა მინაშვილი. — ამბობენ, პოეტებს და მხატვრებს ბოლშევიკები პატივს სცემენ და დიდად აფასებენო.

გოთუამ მწარედ გაიღიმა და ახლა კი გამოუტყდა:

— შენ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ. კარგად გიანგარიშნია. ხომ გაგიგონია ანდაზა: სოფელი შენდებოდეს — შეასწარი; იქცეოდეს — გაასწარიო.

ეს ორი ჩია ქონდრისკაცი —იმერელი და კახელი — ახლა დალმართზე მიცუნცულებდნენ იმ განზრახვით, რომ მცხეთიდან ფარულად გასულიყვნენ, დაღამებამდე თბილისში დაბრუნება მოესწროთ და ახალ გზას დასდგომოდნენ.

ვერც რამიშვილმა, ვერც ჯუღელმა და ვერც კვინიტაძემ მცხეთაში დაბანაკებულ ჯარში წესრიგი და დისციპლინა ვერ დაამყარეს. სარდლის ბრძანების თანახმად, ოცდაექვს თებერვალს ჯარი მცხეთის ქვაბურიდან გავიდა და გორისაკენ გაეშურა. აჯანყებულთა რაზმები და საბჭოთა ჯარის ნაწილები ფეხდაფეხ მისდევდნენ მას და არსად — არც გორში, არც ხაშურში, არც ლიხის უღელტეხილზე ფეხის მოკიდებას და ახალი პოზიციების დაკავების საშუალებას არ აძლევდნენ. გზაში კი ჯარისკაცები ისევ ჯგუფ-ჯგუფად სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს და აჯანყებულებთან შესაერთებლად თოფებით, ტყვიამფრქვევებით მიდიოდნენ.

შორაპან-ზესტაფონის უბანზე მთავრობას და მათ ჯარს რკინიგზის ხაზი გადაუჭრა კარისმერეთის, ჭიათურისა და შორაპნის რაიონის გლეხთა რაზმმა, რომელსაც გალაქტიონ გელაშვილი ხელმძღვანელობდა. მაგრამ მენშევიკებმა ჯავშნიანი მატარებლის საშუალებით მოახერხეს მისი აღდგენა და შორაპნის ვიწროებიდან გასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ქუთაისში ჯარის მეტად მცირე ნაწილი ჩაჰყვა და ბრძოლის გაგრძელება უაზრობა იყო, რამიშვილმა კორესპონდენტებს მაინც დიდი რიხით განუცხადა: „საქართველო სულ უფრო და უფრო იპყრობს ევროპულ სახელმწიფოების ყურადღებას. უკანასკნელთათვის უფრო და უფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელსაც ასრულებს საქართველო ახლო აღმოსავლეთში და ამიტომ ისინი უთუოდ აღმოგვიჩენენ სამხედრო დახმარებას“.

მეორე დღეს მომხდარმა ამბებმა ის მტკნარი სიცრუე სავსებით გააბათილეს. იმ დღეს, როცა რამიშვილი ევროპული დიდი სახელმწიფოების ვითომდა დახმარებით იკვეხნიდა, სწორედ მაშინ საბჭოთა ჯარები ზამთრის პერიოდში გადაულახავ მამისონის დაბუქულ უღელტეხილზე გადმოვიდნენ. ამ საქმის შთამაგონებელი იყო კიროვი, რომელიც მაშინ კავსასიაში მუშაობდა. გადალახეს რა თოვლი, ბუქი, ზვავი, უგზოობა და დიდი დაბრკოლებანი, პარტიზანები და ჯარები მამისონის უღელტეხილზე გადმოვიდნენ, ჭალაჭი ონი აიღეს და ქუთაისს მიაშურეს.

დიდი ამბები მოხდა აგრეთვე თბილისის რაიონებიც. ოცდახუთ თებერვალს კოჯრიდან, სოღანლუღიდან და კახეთიდან მომავალი რაზმები და საბჭოთა ჯარის ნაწილები საზეიმოდ ჩორთულ საქართველოს დედაქალაქში შევიდნენ.

მთავარ მოედანზე მოწყობილ საზეიმო მიტინგის მერმე ორჯონიკიძემ ლენინს აცნობა:

„თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ეკლიანი გზა

ვერავითარი. ციხე და გადასახლება ვერ შეარყევს ჩვენი პარტიის ძალას და გავლენას. ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებენ რევოლუციის ძლევამოსილ მსვლელობას.

„კომუნისტი“, 1921 წ.

1

მამისონის უღელტეხილზე გადმოსული საბჭოთა ჯარი ქუთაისს უახლოვდებოდა. გაქცეული მთავრობისათვის ამ უკანასკნელი თავშესაფარის მიტოვებაც აუცილებელი შეიქმნა.

ქუთაისის მიტოვების წინ მთავრობამ შური იძია. საგანგებო რაზმის უფროსი კედია სასტიკად გაუსწორდა კომუნისტებს. რომლებითაც გაჭედილი იყო ყოფილი საგუბერნიო ციხე. პატიმრებს შორის აქ იმყოფებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე და სხვები. აქვე იყვნენ თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილი ალავიძე, კარპოვი, გოცირიძე, ჩიკვაიძე, ვართანიანი, ხუციშვილი, მარო ფრუნძე... დაპატიმრებულთა შორის იყვნენ მწერლებიც— პოლიხრონ ხარაბაძე, კორნელი მხეიძე და საქართველოში რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თითქმის ყველა თანამშრომელი.

ქავთარაძე განმარტოებულ პატიმრობაში, ცალკე საკანში იყო, რომელსაც საგანგებო ყარაული დარაჯობდა.

ერთხელ, საღამოს საკნის სარკმელში ვიღაცამ დააკაკუნა და ქავთარაძეს ჩუმად მოუხმო. როცა ქავთარაძე სარკმელთან

მივიდა და რკინის ბადის იმ ადგილს მიადგა, სადაც მინა იყო გამომტვრეული, მან ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დაინახა.

— ვინა ხარ? — ბრაზით მიმართა მას ქავთარაძემ. — ვინ გამოგგზავნა აქ?

— არავინ, მე თვითონ მოვედი. ნუ გეშინიათ. ხვალ ისევ ვიმორიგებ თქვენს საკანთან. მითხარით, რა გეჭირვებათ? არაფერი არ გინდათ?

— არაფერიც არ მინდა. გასწი აქადან! ჩანს, ცუდად შეგისწავლია პროვოკატორის ხელობა.

— ნუ ამბობთ მაგას... მე პროვოკატორი არა ვარ... ღმერთმა იცოდეს. დაგიმტკიცებთ. — ამ სიტყვების მერმე ოფიცერი მიიმალა.

მეორე დღეს იგი ისევ მივიდა სარკმელთან და გამომტვრეულ მინაში პატარა შეკვრა გააძვრინა.

— წაიღეთ, — ჩურჩულით უთხრა მან ქავთარაძეს, — ცოტა პური და ძეხვი მოგიტანეთ... გაზეთი, რომელშიც საჭმელია გახვეული, უთუოდ წაიკითხეთ. თუ რაიმე დაგჭირდეთ, შემატყობინეთ და შეგისრულებთ... მენდეთ...

უცნობი ხანგრძლივ მიაშტერდა ქავთარაძეს, გაუღიმა და წავიდა,

ქაღალდი, რომელშიც პური და ძეხვი იყო შეხვეული, ქუთაისის გაზეთი „ალმი“ აღმოჩნდა. მისი მესამე გვერდი მთლიანად ქუთაისის ეპისკოპოსის ქადაგების ტექსტს ეჭირა. ტექსტში მოთხრობილი იყო ფრონტზე და ზურგში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ბოლოს ეპისკოპოსი იარაღისაკენ მოუწოდებდა ყველას. ქადაგებიდან ირკვეოდა, რომ საბჭოთა ჯარები თბილისში შესულიყვნენ, მთავრობა კი ქუთაისში გაქცეულა. ქავთარაძემ გულში ბადლობა გადაუხადა ეპისკოპოსს კარგი ინფორმაციისათვის და გაზეთში დაბეჭდილი ცნობებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ მთავრობის ჯარები დემორალიზებული არიან. ისინი ვერ შესძლებენ ქუთაისის დაცვას და იძულებული იქნებიან საჯარეხოსაკენ დაიხიონ.

ქუთაისის ციხეში მძვინვარებდა მგლის ეშვებიანი და ნაცრისფერთვალებიანი ერთი ახმახი, გამხდარი კაცი. ყოფილი ოფიცერი, ახლა კი საგანგებო რაზმის ერთგული მსახური—

დუდე კვანტალიანი. მას ბოლშევიკები ეზიზღებოდა და მათი სრული ნოსპობა ეწადა. ციხეში მას „საფრთხობელას“ ეძახდნენ.

გუშინ დუდემ რამდენჯერმე წაიყვანა ქავთარაძე გამომძიებლის — გრძელულვაშიანი, ყვავილით ოდნავ დაკენკილი, კუპრივით შავი კაცის — სამსონ ხამასურიძის კაბინეტში დაკითხვაზე, ხამასურიძეს ჩვეულებად ჰქონდა დაკითხვის პროცედურის გაჭიანურება იმ ვარაუდით, რომ ჯერ როგორმე მოენადირებინა ჩვენების მიმცემი, სულსა და გულში ჩაძვრომოდა მას, საჭირო ცნობები მიეღო მისგან, მერმე კი ეწამებინა და გაენადგურებინა თავისი მსხვერპლი. მაგრამ დღეს ხამასურიძეს დაკითხვის გაჭიანურების თავი არა ჰქონდა. იგი არ აპირებდა ქავთარაძეზეც ხანგრძლივ შეჩერებას. მისთვის ყველაზე უფრო ადვილი იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოქცეოდა მას ისე, როგორც მოექცა იგი გუშინ ორ ცნობილ კომუნისტს მარდალეიშვილს და გოტცს, რომელთაც სამშობლოსადმი ღალატი შესწამეს, საღორიას ტყეში წაიყვანეს, ცემით მიაჯიკვდილეს, ხეზე მიაბეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. მაგრამ ქავთარაძის შესახებ გამომძიებელს განსაკუთრებული მითითება მიეღო.

კაბინეტში შესვლისთანავე, ხამასურიძემ წინადადება მისცა ქავთარაძეს ხელი მოეწერა აჯანყების შეწყვეტის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების ყალბ ტექსტზე.

— ჩემთვის გაუგებარია თქვენი წინადადება, — შენიშნა ქავთარაძემ, — მუშათა და გლეხთა აჯანყება ხომ თავისთავად მთავრდება — საქართველოში უკვე დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება.

ხამასურიძემ მალე შესწყვიტა ჯიუტ ბოლშევიკთან კამათი. დუდე კვანტალიანი გამოიძახა და დაავალა მოწოდების ტექსტზე ხელის მოწერის გამო „მოლაპარაკებოდა“.

კვანტალიანმა და ორმა თანამშრომელმა ქავთარაძე მეორე ოთახში გაიყვანეს, ხალათი გახადეს და კედელთან დააყენეს. მერმე დუდემ მაუზერის ლულა მიადო თავზე და ლოცვის თქმა უბრძანა.

ქავთარაძემ ზიზღით შეხედა ჯალათს.

— ნუ მაშინებ. თუ გინდა სროლა, მესროლე!..

ამ დროს შორიდან ზარბაზნების გრიალი გაისმა.

კვანტალიანი შეკრთა და მაუზერი დაუშვა.

უგონო, გამოციებული, ნაცრისფერი თვალების დახამხამებაც კი ვერ მოასწრო მან და მყისვე ხამკასურიძის კაბინეტში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ხამასურიძის პირფერული ხმის მიხედვით გასაგები იყო, რომ იგი ვიღაც დიდი თანამდებობის პირს ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დამთავრებისა და ტელეფონის ყურმილის დაკიდების მერმე ხამასურიძემ ბრძანა ქავთარაძე საკანში წაეყვანათ.

ქავთარაძე ვერ მიმხვდარიყო, თუ რა მიზეზით ჩაიშალა დუდესთან მისი „შეხვედრა".

ქალაქთან კავშირი შეწყდა. აბალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც მას გაზეთი „აზრი" მოუტანა, აღარ გამოჩენილა. მალე ქავთარაძემ გაიგო, რომ მისი მაცნე ჭაბუკი, ნოდარ ჯაფარიძე, საგანგებო რაზმის აგენტებს დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ, როგორც სამშობლოს მოღალატე. დიდხანს აკონდებოდა მერმე ქავთარაძეს ჭაბუკი ოფიცრის — რევოლუციური ბრძოლის ათასთაგან ამ ერთ-ერთი უცნობი გმირის ჭკვიანი, სანდომიანი სახე და მომხიბვლელი ლაჟვარდი თვალები.

2

ხუთ მარტს გამოირკვა, რომ აჯანყებულთა რაზმები და საბჭოთა ჯარები უახლოვდებიან ქუთაისს არა მარტო ორივე მომავალი გზით, არამედ დასავლეთის მხრითაც. ფოთის და ქვალონის აღების მერმე აჯანყებულთა ჯგუფი ახალ-სენაკი შევიდა. აქედან ბარცთუ ისე შორს იყო სამტრედია — რკინიგზის საკვანძო სადგური, საიდანაც რკინიგზის ერთი ხაზი ფოთისაკენ, ხოლო მეორე — ბათუმისაკენ მიდიოდა. ამ სადგურის აღება ქუთაისში მთავრობის ჩაბრჩენას გამოიწვევდა.

ხაფანგში რომ არ მოჰყოლოდა, მთავრობამ ბათუმში გადაბარგება გადაწყვიტა. დაწყო ქუთაისიდან და სამტრედიდან ცოცხალ-ცხვლებით სვლა ევაკუაცია.

მთავრობის ნარჩენ ჯარს სარდლობამ საჯავახოს სადგუ-

რისკენ უბრძანა დახევა, მთავრობის მატარებლისა და სხვა ეშელონების გატარება და მერმე რიონზე ხიდის აფეთქება.

ღამის ორ საათზე საპატიმროს დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. დუდემ საკნები შემოიარა, ყველაზე უფრო საწრში პატიმრების გვარები სიით ამოკითხა. მათ შორის სერგო ქავთარაძეც. და ყველას საჩქაროდ ჩაცმა უბრძანა. დუდეს მიერ ამოკითხულმა პატიმრებმა გადასწყვიტეს, რომ ისინი დასახვრეტად მიჰყავდათ. მაინც დაიწყეს უთავბოლო ჩაცმა. ზერძე საკნებში დარჩენილ ამხანაგებს დაემშვიდობნენ და უკანასკნელი თხოვნა გადასცეს. საპატიმროდან წასულებმა და მასში დარჩენილებმაც საწირველი წუთები განიცადეს: არავინ იცოდა მთავრობის განზრახვა პატიმრების მიმართ, როშელთა გვარები ამოიძახა დუდე კვანტალიანმა.

მას შემდეგ, რაც საგანგებო რაზმის თანამშრომლებმა პატიმრები შეამოწმეს და ციხის ეზოდან გაიყვანეს, საკნებში დადგინდა სუფევდა გულისმომკლელი მდუმარება.

ციხის ჭიშკართან კი უამრავი ხალხი შეგროვილიყო. მრავალრიცხოვანი ყარაულით გარშემორტყმული პატიმრები სწორედ იმ ზღვა ხალხის წინა გაატარეს, საშუალო საუკუნეების ჩვეულებათა მსგავსად, დასუსტებულ და უღონო პატიმრებს უშვერი სიტყვებით მიმართავდნენ, აგინებდნენ, კონდახებს სცემდნენ და აფურთხებდნენ. ახლა არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ისინი დასახვრეტად მიჰყავდათ. სადგურზე მათ კედია დაუხვდა:

— შეჰყარეთ ვაგონებში! — უბრძანა მან საგანგებო რაზმის თანამშრომლებს.

პატიმრები სადგურის ბაქანზე გაიყვანეს და ბათუმში გასამგზავრებლად გამზადებულ ერთ-ერთ ეშელონთან მიიყვანეს. მალე გამოირკვა, რომ სიით გამოძახებული პატიმრები მძევლებად მიჰყავდათ ბათუმში.

ბათუმში

ბათუმში ქართული ჯარის ნაწილებმა აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება და დააძარცხეს თურქები, რომლებიც ქალაქის აღებას ცდილობდნენ.

ქ ლ ო ბ ა

1

ბათუმის საპატიმროში ჭედა იყო. თითოეულ პატარა საკანში ორმოცდაათ, სამოცამდე პატიმარი მოათავსეს. ორსართულიან ტახტებზე, იატაკზე კაცი კაცს, მართლაც, თავზე აწვა. ჭუჭყისა და ცუდი კვების გამო მუცლის ტიფი და სხვა ავადმყოფობა გავრცელდა. პატიმართა შორის კორნელი მხეიძეც აღმოჩნდა.

ბათუმის საპატიმროში მოთავსებული კომუნისტები სანიმის კურსში იყვნენ. მათ ჯერ კიდევ ქუთაისში შეიტყვეს, მთავრობის ჯარებმა რომ თბილისი დატოვეს. მთავრობის განკარგულებაში მცირერიცხოვანი ძალები რჩებოდნენ. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც თბილისში ოცდახუთ თებერვალს ჩავიდა და ძალაუფლება ხელში აიღო, ყოფილ მთავრობას წინადადება მისცა, უაზრო სისხლისღვრის თავიდან ასაშორებლად, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი. იმ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომელნიც იარაღს დაჰყრიდნენ და ტყვედ დანებდებოდნენ, ახალი ხელისუფლება ხელშეუხებლობას შეჰპირდა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მენშევიკური მთავრობა მაინც განაგრძობდა ომს, უარს ამბობდა რევოლუციურ კომიტეტთან მოლაპარაკებაზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ეს რამიშვილს ახალი გეგმით აიხსნებოდა: მას სურდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის, ბათუმის გამო, ომი გამოეწვია.

მენშევიკების ბელადებმა იცოდნენ, რომ ქემალისტებს შორის გაჩნდა ძლიერი რეაქციული დაჯგუფება, რომელიც თურქეთს ანტანტის სახელმწიფოებთან შეთანხმებისაკენ და საბჭოთა რუსეთთან განხეთქილებისაკენ ეზიდებოდა. ერთერთი ლიდერი ამ დაჯგუფებისა, რომლის ცენტრს არზრუმი

წარმოადგენდა, კავკასიის საზღვარზე დაბანაკებული თურქეთის ჯარების სარდალი ჭიაზიმ ყარაბექირ-ფაშა იყო. ერთ დროს სომხეთის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურის მოწყობი, იგი საქართველოს წინააღმდეგ ახლა უფრო ფართო და საშიშ ავანტიურას ამზადებდა.

თურქეთის მთავრობის თავმჯდომარემ მუსტაფა ქემალ-ფაშამ არზრუმის ავანტიურისტების მიმტაცებლური გეგმის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა.

„ჩვენ ანგრიში უნდა გავუწიოთ საბჭოთა რუსეთს, რომელსაც არა სურს, თურქეთის ჯარებმა სამხედრო მოქმედებანი აწარმოონ კავკასიაში", — განაცხადა მან ეროვნულ კრებაზე.

მიუხედავად ქემალის ამ განცხადებისა, მემარჯვენე ქემალისტებმა ხელი არ აიღეს თავის განზრახვაზე. ყარაბექირ-ფაშამ გადაწყვიტა საქართველოში მომხდარი ამბებით ესარგებლნა. თავისი აგენტების მეშვეობით და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლების დახმარებით იგი ჟორდანია-რამიშვილის მთავრობასთან მოლაპარაკებას შეუდგა. მასთან დადებული საიდუმლო შეთანხმების თანახმად, თურქების ჯარების დახმარების საფასურში, საქართველო უთმობდა თურქეთს, გარდა მის მიერ უკვე დაკავებული ტერიტორიისა, ბათუმის ოლქსაც, რაც შეეხება ბათუმს, — არწმუნებდა რამიშვილი სარდლობას და დამფუძნებელი კრების დეპუტატებს, — თურქეთის ჯარები ქალაქს დროებით დაიკავებენ და მერმე დაუყოვნებლივ დასცლიან მას, როდესაც საქართველოში ბოლშევიკური საფრთხე გაივლისო.

2

ხუთ მარტს ბათუმში თურქეთის ჯარების შტაბის უფროსი თალაათ-ბეი ჩავიდა და ქართული ჯარების სარდალს მოსთხოვა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის ხუთი ათასი ასკერის დაბინავებისა და სურსათ-სანოვაგით მათი მომარაგების საქმეში. თალაათ-ბეიმ სთხოვა მას ეცნობებინა, როდის დაიწყებოდა თურქეთის სარდლობისათვის ბათუმის ციხესიმაგრის გადაცემა.

თერთმეტ მარტს ბათუმში თურქეთის ჯარებმა იწყეს შეს-
ვლა. ისინი მოათავსეს ბარცხანის ყაზარმებში, რომლებიც
მანამდე სახალხო გვარდიელებს ეკავათ. იმავე დღეს ასკერ-
თა რაზმებმა რადიოსადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, მთელი
რიგი დაწესებულება დაიკავეს და „წესრიგის" დამყარებას
შეუდგნენ. ქუჩებში თურქების პატრულები გამოჩნდნენ. თურ-
ქი ოფიცრები ისე ქედმაღლურად იქცეოდნენ ბათუმში, რო-
გორც დაპყრობილ ქალაქში. ისინი თვითნებობდნენ და ად-
გილობრივ ხელისუფლებას თავხედურ მოთხოვნილებებს უყე-
ნებდნენ და ემუქრებოდნენ.

მენშევიკური მთავრობა, რომელიც ყარაბექირ-ფაშის დახ-
მარებას ჩაეჭიდა, როგორც წყალწაღებული ხავსს, იმ ვარა-
უდით, რომ თურქების საფარქვეშ გაეძლო ანტანტის ჯარე-
ბის მოსვლამდე, მალე დარწმუნდა თავის შეცდომაში. არა-
ვითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ თურქები ახლო მომა-
ვალში ბათუმიდან გაიყვანდნენ ჯარებს. პირიქით, ყარაბე-
ქირ-ფაშა ყოველ საშუალებას მიმართავდა იმისათვის, რომ ბა-
თუმში საფუძვლიანად დამკვიდრებულიყო.

მასთან მთავრობის მოლაპარაკების ცდა უშედეგოდ დაძ-
თავრდა.

ბათუმში თურქების ახალი ჯარების შემოსვლა გრძელდე-
ბოდა.

ქიაზიმ ყარაბექირ-ფაშამ ქართული ჯარების განიარაღე-
ბა და ბათუმის ციხე-ფორტებზე დაპატრონება განიზრახა. თა-
ლაათ-ბეგმა ცხის კომენდანტს ფორტების ჩაბარება მოსთ-
ხოვა. მხოლოდ მაშინ, ჯორდანიას მოთხოვნით, მთავრობამ
შეადგინა და გაგზავნა ქუთაისში დელეგაცია საქართველოს
რევოლუციურ კომიტეტთან მოსალაპარაკებლად. მენშევიკუ-
რი მთავრობა აცხადებდა, რომ იგი თითქო თავისი ნება-სურ-
ვილის თანახმად ამბობდა უარს ხელისუფლებაზე და აუცი-
ლებლად მიაჩნდა „გარეშე მტრებისაგან" ქვეყნის დაცვის
ორგანიზაცია. მაგრამ ამავე დროს იგი სრულიად არაფერს
არ ამბობდა იმის გამო, რომ ქართული მიწა-წყლის საკრი-
ნობი ნაწილი, მასთან ბათუმიც, თურქებმა მისი დასტურით
და თანხმობით დაიკავეს, მენშევიკები ჯერ კიდევ არ ჰყა-
გავდნენ იმედს, რომ ანტანტის დიდი სახელმწიფოები შეპი-
რებულ დახმარებას შეასრულებდნენ.

საპატიმრო ღელავდა. საშინელი ხმებით იკვებებოდა. ამბობდნენ: პატიმრებს კონსტანტინეპოლში გზავნიან, პარტიის ხელმძღვანელებს კი ნავით შუა ზღვაში შეაცურებენ და იქ დაჰხოცავენო.

ღამით „შავი ზღვის ბატარეის“ მახლობლად გაშლილ მინდვრიდან თოფის სროლა მოისმოდა. იქ, სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით, პოლიტიკური „დამნაშავენი“, „დეზერტირები“ მიჰყავდათ და ხვრეტდნენ.

შავი, მშფოთვარე დღეები დაუდგათ ბათუმის ციხეში პატიმრებს.

პატიმრები ციხიდან ღამით გაჰყავდათ. ჯალათი პაკანის კარს დერეფნიდან მოადგებოდა, კაოში გამოჭრილ პაწია სარკმლის ფარს ასწევდა, ზედ ბაგეს მოადებდა, დასახვრეტი პატიმრის გვარის პირველ ასოს დაიძახებდა. ამის გამო პატიმრები ძილფხიზლობდნენ, ხოლო დღისით კი იძინებდნენ.

ამ ღამითაც მოადგა კარს შეჩვენებული ჯალათი, პაწია სარკმლის ფარი ასწია, ზედ ბაგე მოადო და ასო „ქ-ანი“ დაიძახა. ამ საკანში ასო „ქ“-ზე ორი პატიმრის — სერგო ქავთარაძისა და ნიკო ქურდიანის გვარი იწყებოდა. ორთავეს თავზარი დაეცა. ცოტა ხნის მერმე ქურდიძე გონს მოვიდა და თავში იმედის ნაპერწკალმა გაუელვა: იქნებ ქავთარაძეს ეძახიან და არა მეო. ასევე ანგარიშობდა ქავთარაძეც. სიცოცხლის შენარჩუნების წყურვილით, შიშითა და სულმოკლეობით გამოწვეული ის უკეთური აზრი ჰქრმე სიკვდილის დღემდე სტანჯავდა მათ.

ჯალათმა ქავთარაძეს დერეფანში გამოსვლა უბრძანა. მეგობრებთან — ფილიპე მახარაძესთან, მამია ორახელაშვილთან, მალაქია ტოროშელიძესთან, თენგიზ ჟღენტთან, მეძმარიაშვილთან და სხვებთან განომშვიდობებისა და ვაი-ვაგლახის მერმე ქავთარაძე, დარაჯების თანხლებით, ციხის კანტორაში წაიყვანეს. ახლა აღარ ეეჭვებოდა, დასახვრეტად რომ მიჰყავდათ, მაგრამ კანტორაში სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე ელოდებოდა, რომელსაც როგორც ვექილს უფრო იცნობდნენ, ვიდრე სამხედრო მინისტრს. ქავთარაძეც კარგად იცნობდა მას.

— თქვენ, როგორც ვხედავ, იურისტის პროფესია ჯაჯალათის ხელობაზე გაგიცვლიათ, გრცხვენოდეთ... — ძლივს გაცრა კბილებში სიტყვები ქავთარაძემ და ბაგე ზიზღით მოკუმა.

— ღმერთო ჩემო, რას ამბობთ, სერგო! — გაუკვირდა გიორგაძეს, — მე და ჯალათი?

— მაშ რა გნებავთ? რისთვის გამომიძახეთ აქ შუაღამით საკანიდან?

ბატონ ნოეს სურს თქვენი ნახვა.

— რომელ ნოეს?

— ჟორდანიას.

ქავთარაძე მოულოდნელობისაგან დაიბნა:

— თუ ეს პროვოკაციაა და მე დამხვრიტეს... თქვენზე პასუხს აგებთ...

— არა, მართალს მოგახსენებთ. ბავშვებს გეფიცებით. ჟორდანია გეძახით მოსალაპარაკებლად.

— კი მაგრამ, მე ხომ მძევალი ვარ...

— მაგას ახლა მნიშვნელობა არა აქვს.

ქავთარაძე ბნელი ქუჩებით აზიზიეს მოედანზე მიიყვანეს. აქ რკინიგზის ხაზზე მთავრობის ჯავშნიანი მატარებელი იდგა.

ქავთარაძე მკრთალად განათებულ ვაგონში შევიდა. მან ტყავის სავარძელში მჯდარი თეთრწვერა მოხუცი შეამჩნია. მოხუცი — ნოე ჟორდანია იყო. მას კრაველის ქუდი ეხურა, შავი პალტო ეცვა და წელქვეით, მუხლებზე შალი შემოეხვია, იქვე მინისტრები და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები ისხდნენ და იდგნენ.

პრეზიდენტი ქავთარაძეს თავდაჭერით მიესალმა, სარკმელთან მის პირდაპირ დაჯდომა შესთავაზა და ჭაღარა წვერზე ხელი გადაისვა.

— მე მოგიწვიეთ თქვენ იმისათვის, — დაიწყო მანამ სულიერად დაცემული კაცის დახშული ხმით, — რომ მანამდე, სანამ ჩვენ საქართველოს დროებით დავტოვებდეთ, მოგელაპარაკოთ, — ჟორდანიამ პაუზა გააკეთა, თავი მიიბრუნა და სარკმელს მიაშტერდა. სარკმელს ღამის წყვდიადი მოსწოლოდა. ვაგონში სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. პრეზიდენტმა ისევ ქავთარაძეზე გადაიტანა თავისი შუქჩაქრალი, უვ-

ნებაო, მოცისფრო თვალები და განაგრძო: — ჩვენ იძულებული ვართ დროებით დავტოვოთ საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ საჯავახოს ფრონტზე თხუთმეტი ათასი მებრძოლი გვყავს, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იქნებოდა: დიდ რუსეთთან ომი პატარა საქართველოს ძალ-ღონეს აღემატება. რუსეთი ძალადობის გზას დაადგა. მაგრამ ჩვეყანა ჩალით როდია დახურული. რუსეთი პასუხს აგებს დე-იურე საქვეყნოდ ცნობილ დამოუკიდებელ საქართველოზე ამ უმსგავსო, უპრეცედენტო თავდასხმისა და მისი დაპყრობის გამო.

— ეს თავდასხმა და დაპყრობა არ გახლავთ, — შეედავა პრეზიდენტს ქავთარაძე, — ეს აჯანყებული ქართველი მშრომელი ხალხისადმი ხელის გაწოდება და დახმარებაა...

— არავითარი აჯანყება! — არ აცალა აზრის დამთავრება ჟორდანიამ, — ქართველი ხალხი არ აჯანყებულა. თქვენმა ორჯონიკიძემ და მისმა მეგობრებმა მოისყიდეს და ააჯანყეს ბოლშევიკური სანაინისა და შულავერის არაქართული მოსახლეობა, თავს დაგვესხნენ სომხები და მერმე საბჭოთა ჯარები შემოგვასიეს...

— თქვენ კარგად იცით, რომ აჯანყება მთელს საქართველოში მიმდინარეობდა, — ისევ შეედავა ქავთარაძე. — საბჭოთა ჯარი არ აპირებდა გამოლაშქრებას. საბჭოთა ქვეყანას, მის წითელ ჯარს აჯანყებულმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა მიმართა, რომ იგი დახმარებოდა მას არაადამიანური ჩაგვრისა და იმპერიალისტური უღლის გადაგდებისათვის მიმართულ უთანასწორო ბრძოლაში.

— ეს თქვენს მიერ შეთხზული ზღაპარი, ფანდი და აგიტაციაა! აგიტაციისათვის კი ახლა ჩვენ არა გვცხელა, — მოუჭრა ჟორდანიამ. ქავთარაძე თვითონ მიხვდა, პრეზიდენტს კამათის თავი რომ არა ჰქონდა, მაგრამ მაინც შენიშნა:

— როდესაც დიდი ბრიტანეთის ჯარები საქართველოში დაუკითხავად შემოიჭრნენ და ისე მოქმედებდნენ, როგორც კოლონიაში, მაშინ თქვენ, ბატონო ნოე, იზიარებდით მათ აგიტაციას, კვერს უკრავდით მას და ამბობდით: დიდი ბრიტანეთი ცივილიზაციის მებაირაღტრე, დაჩაგრული ერებისათვის თავისუფლების მომტანი კუნძული არისო.

— ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რადგან ეს ჭეშმარიტებაა, — სრულის დარწმუნებით განაცხადა ჟორდანიამ.

„ბრიტანეთის იმპერია დაიშალა, დაუძლურდა, მას ოქტომბრის რევოლუციამ ნიღაბი ჩამოხადა, მაგრამ კაცის გონება დოგმატიკური აზროვნებით თუ ერთხელვე დაავადდა, ის მერმე ვერავითარი წამალი ვეღარ უშველის“, — გაიფიქრა ქავთარაძემ და მიუგო:

— ჰე მმარიტება ის გახლავთ, რომ არა იმპერიალისტურ ქვეყნებს, არამედ საბჭოთა სოციალისტურ რუსეთს და მის რევოლუციურ ჯარს მოაქვს შვება და თავისუფლება დაჩაგრული ერებისათვის, მათ შორის საქართველოსათვისაც. დაჩაგრული ერების თავისუფლება საბჭოთა ქვეყანას დროშაზე უწერია.

— უწერია მხოლოდ. მაგრამ ამას თავი გავანებოთ, საკამათოდ არ მომიწვევიხართ საპატიმროდან.

ჟორდანიას გაბრაზება დაეტყო. მერმე, ერთბაშად დაშვიდდა. მის სახეზე დარდი, წუხილი გამოიხატა. მან ისევ ქილოზე გაბაგრძო საუბარი, თითქო ქავთარაძეს რჩევა-დარიგებას აძლევს, თანაც ულტიმატუმს უყენებსო:

— მე მოგმართავთ თქვენ, როგორც კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ცნობილ ხელმძღვანელთაგანს: მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რათა საქართველოს ახალმა საბჭოთა მთავრობამ სულმოკლეობა არ გამოიჩინოს, შურისძიება ღხას არ დაადგეს და ანგარიშის გასწორება არ დაიწყოს, ახსოვდეთ არ აგებინოს საქართველოში დარჩენილ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, თანამოაზრეებს, ყველა მათ, ვინც ჩვენთან თანამშრომლობდა, თქვენს პოლიტიკურ ხაზს არ იზიარებდა. მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ გააპარტახოს ჩვენი ხალხის კულტურული ღირსება და ისტორიული ძეგლები. არ გააპარტახოს საქართველო.

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ, — ჰკითხა ქავთარაძემ, — იმ კომუნისტები თქვენზე ნაკლებ აფასებენ მას, რასაც ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე ჰქმნიდა?

— არა... მე მაგას არ ვფიქრობ, — ნაღვლიანად მიუგო ჟორდანიამ. — მაგრამ ომი მაინც ომია! ომი არ ემორჩილება კანონიერებას და წესიერებას, იგი მუდამ ძალადობაა ჩადენილი ადგენს, მას ტანჯვა-წამება და უბედურება მოაქვს დაპყრობილი ხალხისათვის.

— თქვენი შიში ამ შემთხვევაში უსაფუძვლოა. ისტორი-

ციურ ჯარში კანონიერება და წესიერება სუფევს. ქართველ ხალხს მისგან შვებისა და თავისუფლების გარდა არა ელის რა. თქვენ ამაში დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ. უფრო დარწმუნდებით, როდესაც ომი დამთავრდება.

ჩვენმა მთავობამ ფაქტიურად უკვე დაამთავრა ომი. თუმცა ჩვენი ჯარის ცალკეული ნაწილები, ცალკეული ჯგუფები, შესაძლოა, კიდევ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას.— ჟორდანიამ ისევ პაუზა გააკეთა. მერმე ზუბლი შეიჭმუხნა, ქავთარაძეს პირდაპირ თვალებში შეხედა და ჩუმი, იდუმალი ხმით უთხრა: — მე განკარგულება გავეცი მატარებლები ქუთაისისაკენ გაეგზავნათ, რომ თქვენი ჯარები რაც შეიძლება ჩქარა ჩამოვიდნენ აქ... ქალაქში თურქები შემოვიდნენ და კიდევ განაგრძობენ შემოსვლას...

ქავთარაძე გააოცა პრეზიდენტის სიტყვებმა, რადგან კარგად იცოდა, რომ თურქების შემოსვლა ბათუმში მენშევიკური მთავრობის თანხმობით მოხდა.

— ქუთაისში თქვენს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად წარვგზავნე აგრეთვე, — განაგრძო ჟორდანიამ, — ჩემი მოადგილე მიხეილ ლორთქიფანიძე. მან თქვენს ხელისუფლებას მოახსენა ჩვენი გადაწყვეტილება და თურქებისაგან საქართველოს დაცვის აუცილებლობა.

თქვა-ეს და ჟორდანია უცილობლად მიაწვა საკაბინეტის ზურგს. თვალები დახუჭა: ასეა იყო კარგა ხანს. ჩანდა, რომ რაღაც ფიქრი სტანჯავდა. ყველა დუმილით მიშტერებოდა ჩაფიქრებულ პრეზიდენტს. დუმილი დიდხანს გაგრძელდა. გიორგაძეს შეეცოდა გადაყუნებული პრეზიდენტი: იგი წებრუნდა და თვალზე მომდგარი ცრემლი ცხვირსახოცით შეიშრალა. უცებ, სადღაც შორს სროლა ატყდა. ჟორდანიამ მაშინვე გაახილა მანამდე უვნებო და აწ მგზნებარე თვალები და ქავთარაძეს უთხრა:

— თუ თქვენ ვერ შეძლებთ საქართველოს დაცვას და პატრონობას, დაგვიბრუნეთ იგი ჩვენ.

პრეზიდენტი, რომლის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას ახლა მხოლოდ ნახევრად ბნელი, ცივი ვაგონი წარმოადგენდა, ისევ არ კარგავდა მინდინარე ამბების რაღაც უცები შემობრუნების იმედს. ქავთარაძე არ შეეძლო იმ უახლო ფრა-

ზის გამო. მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ჟორდანიას ნათქვამი არ გაუგონიაო.

ბათუმის ციხეში მოთავსებულ პატიმრებს კავშირი ჰქონდათ დაჭერილი გარე სამყაროსთან. ისინი ინფორმირებულნი იყვნენ საქართველოში მიმდინარე ამბებით. ქავთარაძემ სერგო ორჯონიკიძის სახელზე მოსული, ქართველი კომუნისტებისადმი ლენინის სადირექტივო წერილის შინაარსიც კი იცოდა ამ სადირექტივო წერილში ლენინი ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა, რომ ისინი თავის პრაქტიკულ მუშაობაში რუსი ბოლშევიკების ასლს არ გაჰყოლოდნენ, არამედ ადგილობრივ, კონკრეტულ, თავისებურ პირობებთან შეფარდებით გაეაესხვაფერებინათ იგი და გამოეჩინათ მეტი სიმბილე, სიფრთხილე წვრილ-ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით კი გლეხობის მიმართ. ლენინი მოითხოვდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ძმური სოლიდარობის დამკვიდრებისათვის მთელი ძალ-ღონის დაძაბვას და განსაკუთრებული პატივისცემით მოპყრობას მათ სუვერენულ ორგანოებისადმი. მაშინდელი საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გამო ლენინი ქართველ კომუნისტებს ავალებდა ჟორდანიასთან მოლაპარაკებას და მის დატოვებას საქართველოში, განსაკუთრებით კი იმ მენშევიკებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ აჯანყებამდე მიაჩნდათ შესაძლებლად, გარკვეული პირობების გათვალისწინების საფუძველზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ქავთარაძემ იცოდა ყოველივე ეს და ამიტომ ჟორდანიას მიუბრუნდა:

— ბატონო ნოე, — უბრალოდ და გულწრფელად უთხრა მან, — მინდა თქვენთვის და ჩვენთვისაც მნიშვნელოვან ერთ საკითხზე ჩემი პირადი აზრი მოგახსენოთ.

ჟორდანიამ გაოცებით შეხედა მოსაუბრეს და ოდნავ წრე გადიხარა. პრეზიდენტის მხლებელნიც გაირინდნენ.

— გაფრთხილებთ, ჩემთვის არავის არ დაუვალებია ამ განცხადების გაკეთება, — განაგრძობდა ქავთარაძე. — მიიღეთ ჩემი სიტყვები, როგორც კეთილი სურვილი... თქვენ კარგად გიცნობთ ლენინი, კომუნისტური პარტიის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. დარჩით საქართველოში. თქვენ შეძლებთ ჩვენი ხალხისათვის დიდ და სასარგებლო მუშაობას.

არ უნდა გაუშვათ ჩვენთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ახალი საბჭოთა ხელისუფლება უთუოდ ანგარიშს გაუწევს საქართველოს თავისებურებას...

ჟორდანია ისევ უღონოდ მიებჯინა სავარძლის ზურგს. სახეზე მკვდრის ფერი გადაეფინა.

— არ შემიძლია, — დახშული, უვნებო ხმით მიუგო მან,— მე თქვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე ვარ. რა საბუთით უნდა შევასრულო საბჭოთა საქართველოში? მე პოლიტიკური მოღვაწე ვარ და არა ქვისმკოდავი... გარდა ამისა, მე ახლა ჯერ კიდევ მთავრობის თავმჯდომარე ვარ. ჩვენი მთავრობა კი საქართველოს ტოვებს დროებით. არა, არ შემიძლია...

გაუგებარი იყო, რა მიზეზით არ შეეძლო მას საქართველოში დარჩენა — პოლიტიკური თუ ფორმალური მოტივის გამო? იქნებ ისიც და ესეც იგულისხმებოდა? მაგრამ ქავთარაძეს მაშინ იმ საკითხის გარკვევისათვის არ სცხელოდა. მან უეცრად მიაქცია ყურადღება სარკმელთან მდუმარედ ატეხულ, შუბლშეჭმუხნილ ფერმკრთალ კაცს. იგი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი იყო, რომელსაც „ჟორდანიას ბეროტ გენიას“ უწოდებდნენ.

ქავთარაძე მაშინვე მიხვდა, რომ პრეზიდენტი შებოჭილი იყო თავის მოქმედებაში იმ კაცის გავლენის გამო.

ჟორდანიამ დაიჭირა რამიშვილის გამომცდელი შეხედვა და საუბრის გათავება გადაწყვიტა.

— აი, ყოველივე ის, — მიუბრუნდა პრეზიდენტი ქავთარაძეს, — რისი თქმაც მინდოდა. სხვა არაფერი, — დასძინა მან.

გიორგაძე გაჩუმდა და ჰკითხა:

— სად მიბრძანებთ მის წაყვანას?

ჟორდანიამ ქავთარაძეს გადახედა, მწარედ გაიღიმა და გიორგაძეს მიუგო:

— ჯერ იქ, საიდანაც მოიყვანეთ. ხვალ კი ეს ვაგონი, მატარებელი, ბათუმი და მთელი საქართველოც მისი იქნება.

ქავთარაძე წამოდგა, თავი დაუკრა და ვაგონიდან გავიდა. იგი ისევ ციხეში წაიყვანეს. ქავთარაძის მოლოდინში იქ არავის არ ეძინა. პატიმრები მისცვივდნენ და კითხვებით აღავსეს. ბოლოს ქავთარაძემ გაიღიმა და ამხანაგებს უთხრა:

— რამდენიმე საათის მერმე ჩვენ ყველანი თავისუფალი ვიქნებით.

ქავთარაძის წასკლის მერმე ვაგონში დარჩენილ მოწინააღმდეგეთა შორის დიდი კამათი გაჩაღდა. ყველა ერთბაშად ალაპარაკდა. ისინი უკვე აღარ ერიდებოდნენ თავის ბელადს — ჟორდანიას. მას, პარტიას აკრიტიკებდნენ და საკუთარ თავსაც იმართლებდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერი წაგებული იყო და ამ ბნელ ვაგონში გამართული თვითკრიტიკაც უდაბნოში მღაღადებლის ხმას წააგავდა.

— რაც მოგვივა, დავითარ, ყველა შენი თავითაო. ჩვენზედ არის ზედგამოჭრილი, — დაიწყო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ, ენამახვილობით ცნობილმა კარლო ჩხეიძემ.— ჩვენ ვერ გავუწიეთ ქართველ ხალხს ჭირისუფლობა. მუდამ ვღალატობდით მის ეროვნულ ინტერესებს. თავი უცოდველ პაპებად წარმოვიდგინეთ. თავზე სიბრძნის გვირგვინები დავიდგით და სოციალისტური სამოთხის მშენებლობა დავიჩემეთ, მაშინ როდესაც ჩვენი სახელმწიფო ეკონომიურად, პოლიტიკურად და მორალურად მოშლილი იყო. ჩვენ ვერ გადავწყვიტეთ ვერც ერთი სოციალური პრობლემა, ვერ ავაწყვეთ სახელმწიფო და მოვშალეთ მისი სახალხო მეურნეობა. მოსკოვის სესხზე უარი განვაცხადეთ, ხოლო ლონდონში კაპიკები მოგვიგდო და ბოლოს იმპერიალისტური ქვეყნების ტიკინებად გვაქცია. გაძვალტყავებულმა ხალხმა შეგვიძულა. ზურგი შეგვაქცია, გაგვაშავა და ახლა შავ ზღვას უნდა მივცეთ თავი, ისევ ევროპას მივაშუროთ. ვაი სირცხვილო, — თავს იმართლებდა ჩხეიძე.

— მიგვიღებს კი ევროპა? — სწუხდა რუსეთიდან საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსული პოლიტიკური მოღვაწე ირაკლი წერეთელი, — ჩვენ ვერც ევროპას და ვერც აზიას ვერ მივეკედლეთ. ცასა და მიწას შორის გადმოვეკიდეთ.

— ინგლისის ელჩს უორდროპს სარკმლები ჩავულეწეთ, ლაყე კვერცხები მივცხვეთ და გავაქციეთ, — ჩაიქნია ხელი ჩხეიძემ.

— ცა ერთხელ გაგვეხსნა: საქართველო დამოუკიდებლობას ეღირსა და ჩვენ კი, ჩვენი უმეცრებისა და სიბეცის გამო, დავუკარგეთ იგი ქართველ ხალხს. ამას მომავალი თაობა არა-

სოდეს არ გვაპატიებს. — წყრომით სდა საგარეო საქმეთა მინისტრი ალაკი ჩხენკელი.

— დამშვიდდით, — იყვირა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა და მოკამათეებს მრისხანე თვალი შეანათა,— შიშისაგან გამოწვეულ სასოწარკვეთილებას და უიმედობას სალი აზროვნების უნარი წაურთმევია თქვენთვის. გონს მოდით! საბჭოთა ქვეყანას დიდი დღე არ უწერია. იგი სულ მალე ხუხულასავით დაინგრევა და მაშინ ჩვენ ისევ დავბრუნდებით ევროპიდან საქართველოში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებთ. შეორე ინტერნაციონალის ლიდერებს აღარ ვარბენინებთ ჩვენში, არც წითელ დროშებს გამოვაფენთ ევროპელთა დასაფრთხობად. მაშინ სესხს მოგვცემენ, მეურნეობას ავაყვავებთ, ჩინებულ ჯარსაც შევქმნით და კომუნისტები და მათი წითელი არმია ცხვირს ველარ შემოჰყოფენ საქართველოში. ამას გარანტიას ხე ვიძლევი.

მიუხედავად რევოლუციის მოღალატე კაცის ამ პათეტიკური და იმედიანი განცხადებისა, ჯორდანია ისევ მდუმარედ, სასოწარკვეთილი, ცოცხალ-მკვდარი იჯდა ბნელი ვაგონის საეარძელზე, თითქო მუხლებზე შალმიფენილი, გაფითრებული და სნეული მოხუცი თავის აღსასრულის წუთს მოელისო.

მინისტრებმა მოკრძალებით შეხედეს პრეზიდენტს და შეკრთნენ. დადუმდნენ, მიხვდნენ, მათ ლიდერს მათზე დიდი დარდი და გლოვა რომ სტანჯავდა.

ქალაქში ხმა გავრცელდა, ჯორდანიას მთავრობამ მოკავშირეთა იმედი დაჰკარგა, საზღვარგარეთ წასვლას აპირებს, ბათუმსა და ჯარს ბედის ანაბარა სტოვებსო.

ახლა ეჭვი არავის არ ეპარებოდა იმაში, რომ საქართველოდან ბათუმისა და ბათუმის ოლქის ჩამოშორება მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის შედეგი იყო. ამიტომ ჯარმა და მოსმა საზოგადოებამ მთავრობის დაპატიმრება და, ბათუმიდან თურქების განდევნა გადაწყვიტა.

მაგრამ იმავე ღამეს მთავრობა საიდუმლოდ გადაბარგდა იტალიურ გემზე „ფერენ-ჟოზეფ-მერილი"-ზე და საზღვარგარეთ გაიქცა.

ჩვიდმეტ მარტს ქალაქს უკვე პატრონი არა ჰყავდა. საპატიმროც კი მიტოვებული აღმოჩნდა დარაჯების მიერ და პატიმრებმა დააგდეს იგი. სხვებთან ერთად კორნელიც ციხის გარეთ აღმოჩნდა. იგი თავის ძმასთან სტეფანესთან—გიმნაზიის დირექტორთან მივიდა. აქ მან გაიგო, რომ ესტატე მაყაშვილი თავისი ოჯახითურთ ბათუმში იყო ჩამოსული, რომ ისინი კუკურის და მარიკას მამის — გიზო ზარანდიას ბინაში ცხოვრობდნენ.

ომი ყველას წაგებულად მიაჩნდა. ანტანტის დიდი ქვეყნების დახმარებას არავინ აღარ მოელოდა. ყოფილ მინისტრებს, სენატორებს, ნაციონალური პარტიების ლიდერებს, დამფუძნებელი კრების დეპუტატებს, მრეწველებს, დიდ საქმოსნებს, ვაჭრებს — ყველას ერთი ფიქრი ჰქონდა, ბათუმიდან როგორმე საზღვარგარეთ გასულიყო. მაყაშვილებსაც საზღვარგარეთ გაქცევა აწუხებდათ, მათ სტამბულში და აქედან საფრანგეთში წასვლა გადაწყვიტეს.

მიუხედავად იმისა, რომ კორნელისა და ნინოს შორის დიდი ზღვარი გაჩნდა, იგი ქალთან შეხვედრის იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ისევ სწამდა, რომ ძველი სიყვარულის აღდგენა შესაძლებელი გახდებოდა. ახლა, როდესაც ნინო საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა და მასთან სამუდამოდ განშორება ფაქტად უნდა ქცეულიყო, მის გულში მიყუჟული ძველი სიყვარული ისევ პირვანდელი ძალით აღენთო. მან ვერ დათრგუნა ეს გრძნობა და ნინოსთან შეხვედრა გადასწყვიტა. შეხვედრა უნივერსიტეტის აუხანაგმა მარიკა ზარანდიამ მოაწყო.

პატიმრობით გალახულმა, ფერმკრთალმა, კოჭლობით მიმავალმა კორნელიმ ვაჟთა გიმნაზიასთან ქუჩა გადაჭრა და ზღვის პირას ბაღში შევიდა. მოღრუბლული დღე იყო. სცხოვანი ქარი უბერავდა, ზღვა ღელავდა და ნაპირისაკენ ფაფარაყრილი ტალღები გამორბოდნენ. ნინო არსად ჩანდა. კორნელი წუხდა, ნუთუ არ მოვა?

უცბად ხეივნის ბოლოს მისთვის კარგად ნაცნობი ქალის სილუეტი შეამჩნია, კორნელი მიეგება და ხელი ჩამოართვა. ისინი დიდი პალმის ქვეშ სკამზე დასხდნენ. ქალის ფერმკრ-

თალ და გატანჯულ სახეზე კაეშანი და გაოცება ახატულიყო. საუბარი არ ეწყობოდა. ჩანდა, მათი გზები მართლაც გაყრილიყვნენ, ისინი ერთმანეთისათვის უცხონი გამხდარიყვნენ. კორნელიმ ძალა მოიკრიბა და დუმილი დაარღვია:

— თქვენ საბოლოოდ გადაწყვიტეთ წასვლა?

— დიახ.

— საშინელია... სამშობლოს სამუდამოდ მიტოვება.

— რატომ სამუდამოდ? განა საქართველოში ბოლშევიკები სამუდამოდ იქნებიან? დამთავრდება ოდესმე რევოლუცია...

— მაგრამ რევოლუციისაგან გაქცევა მაინც არა ღირს. იქვე საზღვარგარეთაც მოგწვდებათ. ვერავინ ვერ შეაჩერებს მას, როგორც ნაპირისაკენ ამ ხვირთების რბენას.

— თქვენ ისეთივე მეოცნებე დარჩენილხართ, როგორიც იყავით... რა გაეწყობა... — ნაღვლიანად მიუგო ნინომ.

მზე ჩადიოდა ზღვის იქით და ჰორიზონტზე მიჯარულ ღრუბლებს წითლად და ვარდისფრად ჰლებავდა. რეიდზე მრისხანე ჩოდილებად ტორტმანებდნენ სამხედრო გემები.

ნაპირისაკენ მარბენალ ტალღებთან ერთად ზღვიდან ცივმა ქარმა დაუბერა. მარაოსავით გაშლილმა პალმის ფოთლებმა ცახცახი იწყეს და ხმა გამოსცეს. ნინოს შეაჟრჟოლა და ზღვისაკენ ზურგშექცევით დაჯდა, თითქო პატარა, გამხდარი ზურგით მოიგერიებდა სტიქიონის სუსხიან ქარსა და ღელას!

— თქვენ მაინც ამაოდ ტოვებთ სამშობლოს, — იბკა გაულმეორა კორნელიმ. — რა უნდა გააკეთო ევროპაში? იქ ყველაფერი უცხოდ მოგეჩვენებათ...

ნინომ კაეშნიანი სახით სადღაც შორს ანგარიშმიუცემლად დააჩერა ცქერა.

— მარტო ხომ არ მივდივარ ევროპაში, — ჩაილაპარაკა მან.

— მაინც საშინელია სამშობლოს დატოვება!

— რატომ? რა დამკარგვია, რა დამრჩენია სამშობლოში? ცარიელი — მშობლებიც ხომ ტოვებენ მას!

კორნელიმ იცოდა, რომ კიდევ რამდენიმე წუთი და ისინი სამუდამოდ განშორდებოდნენ ერთმანეთს. უკანასკნელად იდგნენ ისინი პირისპირ და კორნელი ცდილობდა აღებეჭდა თავის მეხსიერებაში რაც შეიძლება ნათლად ქალის თვალები, სახე, დაეხსომებია განშორების ჟამს თქმული მისი სიტყვე-

ბი. ნინოს მოწყალების დის ტანისაბოსი ეცვა. მკერდზე წრთელი ჯვარი ეკრა, რაც გამოუთქველ რაღაც სიწმინდის და სათნოების იერს ჰფენდა ქალს.

კორნელი დუმდა და სახეში მიჩერებოდა. ნინო დაიბნა, ისიც განშორების უკანასკნელ წუთებსა და გათავებულ სიყვარულზე ფიქრობდა, მაგრამ ცდილობდა თავი დაეჭირა. ბოლოს განზე გაჰხედა კორნელის გატანჯულ, ფერმკრთალ, განცდარ სახეს.

მოზღვავებულმა მოგონებებმა ააღელვა. კორნელი ისევ შეეცადა დაერწმუნებინა ნინო, დარჩენილიყო საქართველოში.

— რატომ მიდიხართ უცხოეთში? უცხოობაში რაა სიამე? უთვისტომობა დაგაჭლექებთ! ნუთუ თქვენ იმ ადამიანებს გზით უნდა იაროთ, რომელთაც თავისი ბოროტი საქმეების გამო პასუხისგებისა ეშინიათ? ისინი ხალხის რისხვას გაურბიან. თქვენ ხომ მოწამე იყავით იმისა, რაც ჩვენში ხდებოდა...

— მაგის განსჯა ჩემი საქმე არ არის. მით უმეტეს, თქვენი.

— რისთვის არ არის ჩემი საქმე?

— თქვენ არ შეგიძლიათ მიუდგომელი განსჯა. თქვენ ბოლშევიკი ხართ.

— მერმე რა?

— ბოლშევიკები ქართველი ხალხის მტრები არიან.

— ვინ მოგახსენათ, ბოლშევიკები ქართველი ხალხის მტრები არიანო? — მიუგო კორნელიმ და ბერმე ისეთი გულითადი ხმით განაგრძო, თითქოს აღსარებას ეუბნებაო: — სამშობლოს გარეშე ცხოვრება, სამშობლოს გარეშე ჰაერით სუნთქვა მე არ შემიძლია. რაც შეეხება ჩემს ბოლშევიკობას, ეს აიხსნება იმით, რომ მე რევოლუცია და პროგრესი მწამს, მწამს, რევოლუციას მშრომელთათვის, დაჩაგრული ერებისათვის, მათ შორის საქართველოსათვისაც თავისუფლება და ბედნიერება მოაქვს. ამის გამო დავდექი რევოლუციის მხარეზე და თუ მომავალში მისი ახალი მესვეურნი, რაღაც მანჭანებით, ფერს იცვლიან, რაც ამჟამად წარმოუდგენელია, თუ ისინი რევოლუციის ნიღაბქვეშ რევოლუციის საზიანო საქმის სასახურში ჩადგებიან, პატარა ერების ჩაგვრას, მისი ერთვნუ-

ლი ინტერესების უგულველყოფას, მისი ღირსების გათელვას დაწყებენ, მაშინ მე იმ რენეგატებს და მათ მიერ შეექმნილ მჩაგვრელ ძალას შევებრძოლები. არა, ნინო, მე ჩემი მშობელი ხალხის მოღალატე არასოდეს არ გავხდები.

კორნელი ისეთი რწმენით და გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ნინო მოინუსხა. შეწუხებულმა და დაბნეულმა ქალმა იცვა ამოიოხრა:

— ღმერთო ჩემო, რა ბედისწერა მოიწია ჩემს თავზე!

ამ დროს მთების კალთებზე თოფის სროლა ატყდა. კორნელიმ მაშინვე გამოიცნო თურქული შაშხანისათვის დამახასიათებელი ორმაგი გასროლის ხმა.

— თურქები ისვრიან, — აუხსნა კორნელიმ. — უნდათ ხელში ჩაიგდონ ბათუმი. ამბობენ, ქალაქი თურქებს გაქცეშულება მთავრობამ გადასცაო.

— ეგ არა მჯერა.

— ისეთი ხალხისაგან ნურაფერი გაგიკვირდებათ...

რეიდზე მდგარ სამხედრო გემების კოშკურებზე და ბანებზე ვარსკვლავებივით აღენთნენ ნათურები. გემიდან სასულე ორკესტრის შორეული ხმა შემოესმათ კორნელის და ნინოს, თითქო კოლონიებში თარეშს შეჩვეულ ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მეზღვაურებს არაფრად არ მიაჩნდათ მათ სამშობლოდან შორს, რომელიღაც პატარა ქალაქში ქართველ და თურქ ჯარისკაცებს შორის ატეხილი ბრძოლა და ისევ ჩვეულებრივ თავის ცხოვრებას. გემზე გამართულ ღრეობას, ცეკვა-თამაშს, სიმღერასა და მუსიკის დაკვრას განაგრძობენო. ეს უცხოელების ჩვეულებრივი თვალთმაქცობა იყო.

თოფის სროლა მოისმოდა ახლა არა მარტო მთებში განლაგებული ფორტებიდან. არამედ ქალაქშიც. იგი გახშირდა, აქა-იქ ტყვიამფრქვევიც აკაკანდა. ხალხმა ბაღი, ქუჩები დატოვა, გაიქცა და სახლებს მიაშურა.

— თურქებს ბათუმის აღება გადაუწყვეტიათ, მაგრამ ჩვენი ჯარები წინააღმდეგობას უწევენ. — განაცხადა კორნელიმ, — ნინოს მკლავში ხელი ჩასჭიდა და ბაღიდან გაიყვანა.

ისინი ზარანდიას სახლის პატარა ეზოს ჭიშკარს მიადგნენ.

— მშვიდობით! — უთხრა ნინომ კორნელის. ხელი გაუწოდა და უცნაურად დააკვირდა.

— ნახვამდის, გისურვებთ ბედნიერებას! — ჩუმად ვიუგო კორნელიმ.

უცბად, რაღაც უხილავი გატაცების ძალით, ნინო კორნელის ჰოეხვია, აკოცა და ეზოში შევარდა.

კორნელი გაშტერდა.

თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა გაძლიერდა. მთებიდან — ფორტებიდან ზარბაზნების გრიალიც გაისმა.

ახლა კი შეწყდა მუსიკის ხმა რეიდზე მდგარ სამხედრო გემებზე. ნათურებმა ზედიზედ იწყეს ქრობა. მერმე ხომალდები გაიშალნენ, სამხედრო წყობა მიიღეს და შუა ზღვისაკენ გაეშურნენ.

ესტატე მაყაშვილი, ვარდო, ელო და პლატონ მოგვეძებნა, ნავსადგურში ისხდნენ. მთავრობის, მათი მახლობლების და თანამშრომლების გაქცევის შემდეგ მეორე რიგის მგზავრთა სიაში ჩაწერილნი გემში ჩაბარგებას მთელ ღამეს ელოდნენ.

ესტატე და ვარდო შეშფოთებული იყვნენ, რადგან ნინო არსად ჩანდა. ფერმკრთალი იუნკერი სანდრო ხოტივარი თავზე დასდგომოდა მათ და ვერ ბედავდა ეთქვა, ნინო ნედლეულის დებთან — თამარ ქარელიძესთან, მაყვალა ყანჩაველთან და სხვებთან ერთად რომ წასულიყო ბრძოლის ველზე. ნავსადგურში უამრავი ხალხი ტრიალებდა და ამდენი მგზავრებისათვის გემები არა კმაროდა. მთებით შემოხვეულ ქალაქში ერთი ათად უფრო ძლიერად ისმოდა თოფ-ზარბაზნების გრიალი.

— რა ამბავია, ღმერთმანი, არ ვიცი! ამ ქვეყნის დაქცევის ჟამს სად დაიკარგა ნინო? — შფოთავდა ესტატე.— წუხელ მან, თამარ ქარელიძემ და მაყვალა ყანჩაველმა გიჟი ზარანდიასას გაათიეს ღამე, მერმე ნინო აქ უნდა მოსულიყო. სად წავიდა? სად გაქრა?

ზარბაზნები ისევ გრიალებდნენ. შიგადაშიგ თოფის და ტყვიამფრქვევის ხმაც მოისმოდა.

— კუკური ზარანდიას ხომ არ გაჰყვა, ვეჟო, ფრონტზე?— დაიძახა ესტატე მაყაშვილმა.

— იქნებ მართლაც იქ წავიდა, — შენიშნა ელომ და მერმე დამცინავი ღიმილით დაამატა: — რა მეტიჩარაა! ზარანდია რა შუაშია? იგი კორნელის გამო აკეთებს ამას.

ჩემოდანზე მჯდარი ვარდო თოფნაკრავივით წამოიჭრა..:
გულშეწუხებულ ვარდოს და ესტატეს მალე ზღვა ხალხი შემოერტყა.

6

ჩვიდმეტ მარტს, შუაღამეს, თურქეთის ჯარების სარდალმა თავის ბრძანებაში ბათუმის ოლქი თურქეთის ტერიტორიის ნაწილად გამოაცხადა, თავისი თავი კი — ოლქის გენერალგუბერნატორად. ქართული არმიის სარდლობას განმეორებით ეძლეოდა წინადადება, განეიარაღებია ოცდაოთხი საათის განმავლობაში თავისი ჯარები, ჩაებარებინა იარაღი და გაეყვანა ბათუმის ოლქიდან ყველა თავისი ჯარისკაცი.

ამ თავხედურმა და უმსგავსო ბრძანებამ ყველა აღაშფოთა და იგი უპასუხოდ იქნა დატოვებული. ქართული ჯარის პატრულები და რაზმები თურქებს შეებნენ და ქალაქში თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა გაჩაღდა. ბათუმელები ჯოჯოხეთურ ყოფაში ჩაცვივდნენ. ისინი იატაკებზე წვებოდნენ და სარდაფებში იმალებოდნენ.

თურქი სარდლის მოთხოვნილებანი იმ დროს იყო წამოყენებული, როდესაც საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და ყოფილი მთავრობის წევრებისაგან შემდგარი საჯავახოში შეთანხმების პირობებს იმუშავებდნენ. შეთანხმების პირობები შეეხებოდა მთავრობის უარის განცხადებას ხელისუფლებაზე, საქართველოს ტერიტორიაზე საომარ მოქმედებათა შეწყვეტას და რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარების შეყვანას ბათუმში, გარეშე მტრებისაგან მისი დაცვის მიზნით.

მცველებისაგან მიტოვებულ საპატიმროდან გამოსული კომუნისტები ბათუმის რევოლუციური კომიტეტის შესაქმნელად თათბირზე შეიკრიბნენ. მის თავმჯდომარედ სერგო ქავთარაძე აირჩიეს, კომიტეტის წევრებად — ფილიპე მახარაძე, მალაქია ტოროშელიძე და კიდევ რამდენიმე თბილისელი და ბათუმელი კომუნისტი.

ბათუმის ქუჩებში ისევ ბრძოლა მიმდინარეობდა, როდესაც რევკომში ოფიცერთა ჯგუფი გამოცხადდა და ქავთარაძეს ახალი ხელისუფლების განკარგულებაში გადასვლის სურ-

ვილი განეცხადა. მათვე შეიტყობინეს მას ფრონტებზე, ყაზარმებში და ქალაქგარეთ ქართული ნაწილების განლაგება.

იმავე ღამეს რევკომმა იქ აგიტატორები დაგზავნა, ისინი ვალდებულნი იყვნენ აეხსნათ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის, რომ მათ ბათუმი, უსიკვდილოდ, საქართველოსათვის უნდა შეენარჩუნებინათ, თურქები კი ქალაქიდან გაერეკათ.

კომუნისტების რაზმი გენერალი წულუკიძის მეთაურობით გაგზავნილ იქნა რკინიგზის სადგურის რაიონში იმ ათას ხუთასი ვაგონისა და ბაქანის დასაცავად, რომლებიც ჯერ კიდევ გადაყენებული მთავრობის განკარგულებით იყო აქ ნიგორებული და სხვადასხვა ძვირფასი ნივთებით დატვირთული.

ბათუმის დაცვისათვის საჭირო იყო გამოცდილი მხედართმთავრის შერჩევა, რომელიც შესძლებდა ამ რთულ ვითარებაში ჯარის ხელმძღვანელობას და ქალაქიდან თურქების განდევნას.

ერთადერთი მეთაური, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჯარში და შესძლებს მისი ყველა ნაწილის შეკავშირებას, — ერთხმად განუცხადეს ოფიცრებმა ქავთარაძეს, — მხოლოდ გენერალი მაზნიაშვილი შეიძლება იყოს. იგი ეს-ეს არის ჩამოვიდა ჩაქვიდან საბარგო სადგურში ჯავშნიანი მატარებლით.

ცოტა ხნის მერმე შავგვრემანი, ბრგე და ჯანსაღი კაცი — გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით, რევკომში მოვიდა.

— გენერალო, — მიესალმა ქავთარაძე მაზნიაშვილს, — კარგია, არ გაჰყოლიხართ საზღვარგარეთ გაქცეულ მთავრობას!

— არა, მათი გზით სიარულს არ ვაპირებ... სამშობლო ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე გაქცეული მთავრობისათვის. — მშვიდად მიუგო მაზნიაშვილმა.

— ასე სჯობია! ჩვენ კი მათზე უფრო გვჭირდება ახლა თქვენი ცოდნა, სიმამაცე და საბრძოლო გამოცდილება. ავეთია რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილება. მე გელაპარაკებით, როგორც რევკომის თავმჯდომარე. უნდა ახლავე ჩაუდგეთ სათავეში, გენერალო, ბათუმის დაცვის საქმეს.

— თუ ჩვენ, აამხედრო პირებს, დანაშაულად არ ჩაგ-

გეთვლება ის, რომ მენშევიკების ჯარში ვმსახურობდით და ამისათვის პასუხს არ გვაგებინებენ, მზად ვართ ახალ ხელისუფლებას ვემსახუროთ. ჩვენ სამშობლოს ვემსახურებოდით და არა მენშევიკურ პარტიას, — მიუგო გენერალმა.

— თქვენი პასუხი ულტიმატუმსა ჰგავს. ჩანს, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიმართვა მენშევიკურ მთავრობისადმი, რომელიც მან რადიოთი გადასცა, თქვენ არ ბოგისმენიათ და არც წაგიკითხავთ. — ქავთარაძემ მიმართვა აიღო და წაუკითხა: „შემდგომი, უაზრო სისხლისღვრის თავიდან აშორების მიზნით, შეწყდეს სამხედრო მოქმედებანი.., მათ, რომლებიც იარაღს დაჰყრიან და დაგვნებდებიან, გარანტირებული ექნებათ ხელშეუხებლობა და მათი წარსული დავიწყებას მიეცემა. ის პარტიები და ჯგუფები, რომლებიც აცნობენ გადატრიალებას და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, ამნისტირებული იქნებიან". — ქავთარაძემ მოწყდება გადადო და მაზნიაშვილს მიუბრუნდა: — ამრიგად, ძველი სამსახურისათვის პასუხს არავინ გაგებინებთ, — დააშვიდა თავისი და ოფიცრების სახელით მოლაპარაკე გენერალი ქავთარაძემ.

— მაშინ ჩვენ მზადა ვართ ვემსახუროთ, — მიუგო გენერალმა, ნაგრამ მაშინვე დაძინა: — ქალაქის დაცვას, სამხედრო ნოქმედებას ჯარი ესაჭიროება... მე ჯარი არა მყავს...

— თქვენ ეუბნებით, რომ ჯარი არა გყავთ? — ჰკითხა ქავთარაძემ. — რამდენიმე სამხედრო ნაწილი არტილერიით უკვე მზად არის საომარი მოქმედებისათვის, ნაგრამ მას საერთო სამხედრო ხელმძღვანელობა სჭირია. რევკომი გაწდობთ თქვენ რევოლუციური ხელისუფლების მხარეზე ყოფი ჯარების სარდლობას...

ქალაქში გაბახლებულმა შეიგმა დაშენმა დაჰფარა ქავთარაძის უკანასკნელი სიტყვები.

— გენერალო, დრო არ იცდის. გესმით, რა ხდება ქალაქში?

ცოტა ხნის ჩაფიქრების მერმე მაზნიაშვილმა მიუგო:

— თანახმა ვარ. ვღებულობ სარდლობას.

ქავთარაძემ ხელი ჩამოართვა და ოფიცრებს მიმართა:

— ამხანაგებო! ბოლშევიკები დაუმტკიცებენ ყველას, რომ

მათ ათასჯერ უფრო უყვართ საქართველო, ვიდრე საზღაზღვარ
გარეთ გაქცეულ მენშევიკურ მთავრობას.

ქავთარაძე ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდა მ მაზნი
ზვილს.

— ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, — ჯ უთხრ
გენერალმა, — შენობა შტაბისათვის, ადიუტანტი, ცხენები
ბათუმის გეგმა, ქალაქის მიდამოების დაწვრილებითი რუკა ე
თქვენი აგიტატორები.

გარნიზონის სამხედრო კომისრად დანიშნულმა თ თენგ
ლენტმა ზომები მიიღო, რათა ყველაფერი, რაც სარარდალ
ნოთხოვა, ჩქარა და უნაკლოდ შესრულებულიყო.

მაზნიაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა საჯავახოს ს ფრონ
ტის ჯარების შტაბის უფროსს, აუწერა ბათუმში შექმნილ
მდგომარეობა და სთხოვა ეცნობებინა გენერალ სუმბაბათაშვი
ლისათვის, რომ იგი მის თანაშემწედ დაინიშნა. მერმე მ მან გან
კარგულება გასცა, გაეგზავნათ საჯავახოს ხიდისაკენ ნ მატა
რებლები ბათუმში ჯარების გადმოსაყვანად.

დილის ექვს საათზე ქალაქის ქუჩებში რევოლუციური
კომიტეტის დადგენილება გაკრეს, ბათუმის გენერალ-გ-გუბერ
ნატორად მაზნიაშვილის დანიშვნის შესახებ. მაზნიაშვილმ
მოსთხოვა ქიაზიმ ყარაბექირ-ფაშას, რომ იგი ბათუმიდან თა
ვისი ჯარების ევაკუაციას შესდგომოდა, თურქების ჰიეერ და
კავებული შენობები და ბარცხანის სანაპირო ბატარეები გა
თავისუფლებინა. ეს ულტიმატუმი ყარაბექირ-ფაშამ ჯ უპრ
ხოდ დატოვა.

რევკომი ცდილობდა ქართველ და თურქ ჯარებ შორ
შეტაკება არ მომხდარიყო და მოლაპარაკებას განაგრძობ

ქიაზიმ ყარაბექირ-ფაშა, ერთის მხრივ, ირწმუნებოდა, მზ
და ვარ შექმნილი მდგომარეობა მშვიდობიანი გზით მოგვა
დეს, ხოლო ამავე დროს — თურქეთში ბატაკებს ჯზავნიდ
და სარდლობას დამხმარე ძალების გამოგზავნას თხოვდა.
ბატაკებს ხელში იგდებდნენ მზვერავები და ქარიშული ჯა
შტაბში მიჰქონდათ.

თვრამეტ მარტს ოთხ საათამდე ბარცხანისა და ახალაბერდ
ფორტის რაიონში ქართულ და თურქ ჯარებს შორის ცხარ
ბრძოლა მიმდინარეობდა.

დილის ექვს საათზე ქავთარაძე სადგურთან მოთავსებულ სამხედრო შტაბში გაეშურა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მან მაზნიაშვილს, როდესაც მისი ადიუტანტის და შტაბის უფროსის მიერ დაკავებულ ოთახში შევიდა.

— არა უშავს, ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ, — მიუგო გენერალმა.

მაგიდაზე კონიაკის თითქმის დაცლილი ბოთლი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალს კარგა გვარიანად გადაეკრა, მან დალაგებით აუხსნა მოქმედების გეგმა ქავთარაძეს.

— დღეს თავს შევუყრი ქალაქში გაფანტული ჯარის ნაწილებს. ხვალ შეტევაზე გადავალ და თურქებს გარეუბანში— გოროდოკში შევრეკავ. ხვალ თუ არა, ზეგ იერიშს მივიტან მათზე. ვფიქრობ, საღამომდე ყველაფერი მოვათავო, — მიუგო მშვიდად გენერალმა.

— როგორია არსებითი შანსები მაგისათვის?

— ოფიცრებისა და ჯარისკაცების განწყობილება შესანიშნავია! დიდი როლი მიუძღვით ამაში სამხედრო კომისარს ალავიძეს და თქვენს აგიტატორებს. გარდა ამისა, ჩვენ ჩინებული საველე და სანთო არტილერია გვაქვს, მათ კი ორიოდე სანთო ზარბაზანი.

მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა.

ბეორე დღეს დილის ხუთ საათზე რევკომს შეატყობინეს, რომ მაზნიაშვილმა შეტევა დაიწყოო. ქავთარაძემ გოროდოკისაკენ — ბათუმის ერთ-ერთი გარეუბნისაკენ გასწია.

მაზნიაშვილი ჯოხით ხელში პატარა დანგრეულ სახლთან იდგა და განკარგულებას იძლეოდა. იქვე იდგა ზარბაზანი, რომლის მახლობლად გათოკილი ასკერი ეგდო — თურქი მზვერავი.

არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი გაძლიერდა. დაიწყო იერიშის მზადება.

მაზნიაშვილისა და ალავიძის თანხლებით ქავთარაძემ ჯარები დაითარა და ხმამაღლა მიესალმა მათ:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გისურვებთ გამარჯვებას!

ჯარძა ერთსულოვანი „კაცა" ძესთანა.

— მაშ ასე, გენერალო, ველი დღეს თქვენს ცნობას გოროდოკის აღების შესახებ, — უთხრა ქავთარაძემ და ხაზინაშვილსა და ალავიძეს დაემშვიდობა.

მას შემდეგ, რაც ქართულმა ჯარებმა თურქები პორტისა და საბარგო სადგურის მიდამოებიდან გარეკეს, რკინიგზის ასაქცევ ხაზთან — „თამართან" საბჭედრო მატარებელი გამოჩნდა. რკინიგზის ხაზთან მდებარე ბატარეაში — ბარცხანაში დაბანაკებულმა თურქებმა იფიქრეს, ქართული ჯარის ეშელონი მოდისო და ეშელონის გასაიარაღებლად ბატარეა-ბარცხანიდან გამოცვივდნენ. თურქები შესცდნენ: ის საბჭედრო მატარებელი სადგურ საჯავახოდან გამოსული ხაბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი იყო. ბატარეა-ბარცხანიდან გამოსულ თურქებს შარაგზის მხრით რკინის ჩიშკრის დახურვა დაავიწყდათ. ამ გულმავიწყობით ისარგებლა ბაკაჩუზის ღკან მდგარმა ქართულმა ესკადრონმა, რომელსაც მაღალი პოლკოვნიკი ფრიდონ თუთბერიძე მეთაურობდა და გაღებულ ჩიშკრით ბატარეა-ბარცხანში შეიჭრა. მოულოდნელობის გამო გარნიზონი დაიბნა და სასტიკი, მაგრამ უწესრიგო წინააღმდეგობა გაუწია ესკადრონს. ქართველმა ხმლდრებმა გარნიზონის ნახევარი ხმლებით აჰკუწეს, ხოლო ცოცხლად დაჭრილი ორას თვრამეტი ასკერი ტყვედ იგდეს და ისინი გენერალ მაზნიაშვილის შტაბში გაგზავნეს.

ის თურქები, რომლებმაც ეშელონის განიარაღება განიზრახეს, გაიფანტნენ, ნაწილი კი ტყვედ ჩავარდა. ბათუმში შესულ საბჭოთა ჯარებს მოსახლეობა სიხარულით შეეგება.

7

სადგურის შენობაში მოთავსებულ ბათუმის გარნიზონის შტაბში ქართველმა მზვერავებმა ჭაბუკი მხედარი მიიყვანეს. მას კავალერიის ჯარისკაცის გრძელი მაზარა ეცვა და ნაცრისფერი მაღალი ბუხრის ქუდი ეხურა, რომლის ქვემოდან მოყრილი ქერა თმის ბღუჯა შუბლზე გადმოჰფენოდა. იგი მზით შეწუხებულ მოცისფრო თვალებს ნაბავდა და იღიმებოდა.

მხედარმა თავისი ცხენი შტაბის წინ მდგარ ჯარისკაცს ჩააბარა, მორიგე ოფიცრის ოთახში შევიდა და შეატყობინა,

რომ იგი გამოგზავნილია საბჭოთა საკავალერიო დივიზიის უფროსის ქლობას მიერ გენერალ მაზნიაშვილთან.

ქლობას შიკრიკი მაშინვე ჭართული ჯარების სარდალთან მიიყვანეს.

— სად იმყოფება ახლა თქვენი დივიზია? — დაინტერესდა უპირველეს ყოვლისა მაზნიაშვილი.

— ბათუმის მახლობლად, აჭარის წყალთან.

— დაიცათ, — გაოცდა გენერალი. — როგორ გაჩნდით თქვენ აჭარის წყალთან.

— ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილზე გადმოვედით.

ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარებმა გოდერძის დაბუქული უღელტეხილი გადმოლახეს და ბათუმს ახალციხის მხრიდანაც მოადგნენ. ძალიან გააოცა და თანაც გაახარა მაზნიაშვილი, რადგან ბათუმში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობა იყო. მაზნიაშვილმა ქლობას შიკრიკს მანქანა შესთავაზა და ის ჭართველი ოფიცრის თანხლებით უკანვე გაბრუნდა. ბათუმის გარნიზონის სარდლობა სთხოვდა საკავალერიო დივიზიის უფროსს ქლობას დაუყოვნებლივ ჩამოსულიყო ბათუმში.

ორი საათის შემდეგ ქლობა თავისი შტაბის უფროსის თანხლებით მაზნიაშვილთან გამოცხადდა. ისინი ერთად გაემგზავრნენ რევკომში.

ქლობამ, მაღალმა, გამხდარმა, მხრებში ოდნავ მოხრილმა ყუბანელმა კაზაკმა, ქავთარაძეს შეატყობინა, რომ ის იჩქაროდა ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილზე გადმოსვლას იმიტომ, რომ ბათუმელებს დახმარებოდა. მაზნიაშვილმა გადაწყვიტა სტეპანოვკისა და ანარიის ფორტები ქლობას დივიზიის ნახედრებით დაეჭირა, რათა საშუალება არ მისცემოდა გაეგზავნა მათი გარნიზონები კახაბერის ფორტზე. რომლებიც წინააღმდეგ თურქებს განუწყვეტელი და გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ. კახაბერის დაკავების შემდეგ თურქები ბათუმის ციხესიმაგრის ბატონ-პატრონი გახდებოდნენ. ქლობა შეცბუნდა და მოითხოვა, მიეცათ მისთვის საშუალება ტელეგრამა გაეგზავნა მეთერთმეტე არმიის უფროსის — ჰეკერისათვის მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულებისა და შემდეგი მოქმედების შესახებ.

ცისკარიშვილ მარტს დილიდანვე კახაბერის ფორტის რაიონში თურქებმა ბრძოლა განაახლეს, მაგრამ პოლკოვნიკი ნამო-

ჩაძის სამთო და სავალე ბატარეები ისე ბრწყინვალედ მოქმედებდნენ, რომ მათი იერიშები მოგერიებული იყო. თუმცა ნამორაძესაც ბევრი ხალხი გაუწყვიტეს და ზარბაზნებზე ახლო ოფიცრებს უხდებოდათ მუშაობა. რევოლუციურმა კომიტეტმა ნამორაძეს დასახმარებლად საარტილერიო საქმეში გამოცდილი ჯარისკაცები გაუგზავნა. მათ შორის მიტო ჩიკვაძეც იყო. მიტომ კორნელი და კუკური ზარანდიაც წაიყვანა. განთიადისას ისინი თურქების წინააღმდეგ მოქმედ ერთ-ერთ ბატარეაში მივიდნენ.

ჩვენი ჯარების მოსვლამ ბათუმის დამცველები აღაფრთოვანა.

სტეპანოვკისა და ანდრიას ფორტებიდან გამოსულმა სამხედრო ნაწილებმა კახაბერის ფორტზე მოიერიშე თურქები ცხარე ბრძოლის მერმე უკუაგდეს, კახაბერის გარნიზონს შეუერთდნენ და ფორტი მტრისათვის შეუვალი გახადეს.

თურქებმა ამ დღეს დიდი დანაკლისი განიცადეს. კახაბერის იარაღები, ყანები და ხევები თურქების გვამებით იყო დაფარული. მოკლულთა შორის ორი თურქი შტაბოფიცერი აღმოჩნდა.

მალე თურქები იძულებული გახდნენ ქალაქში დაკავებული ყველა შენობაც გაეთავისუფლებინათ და ბათუმიდან გასულიყვნენ.

ოც მარტს დილით გენერალ მახნიაშვილთან ყარაბექირფაშას ადიუტანტი გამოცხადდა. მან განაცხადა, რომ თურქების ჯარები ბათუმს ტოვებენ და მდინარე ჭოროხისაკენ იხევენო. ამას ისინი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულების თანახმად ჩადიოდნენ.

ამრიგად, მენშევიკური მთავრობის ცდა, რათა თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ომი გამოეწვიათ, ჩაიფუშა.

ბათუმში და მის ოლქში მტრის არც ერთი ჯარისკაცი აღარ დარჩენილა. მაგრამ თურქებზე გამარჯვება ძვირად დაუჯდა ქართულ ჯარს. მოკლულთა რიცხვი ას კაცამდე აღწევდა. მათ შორის ბევრი სტუდენტი დაიღუპა: მიტო ჩიკვაძე, შოთა ვადაჭკორია, სტეფანე ჭიაბრიშვილი, ნინო მაყაშვილი და სხვანი. დაღუპულთაგან ორმოცდაოთხი მებრძოლი,

კომისრის ბრძანებით, დიდი პატივით დაკრძალეს აზიზიეს შოედანზე. დანარჩენები მშობლებმა თავიანთ სოფლებსა და ქალაქებში წაასვენეს.

კორნელი, ვანო, კუკური და სხვანი გულმოკლული დაბრუნდნენ აზიზიეს მოედნიდან.

მიტოს თავში მოხვედროდა ტყვია, რომელიც სამთო ზარბაზნის ფოლადის ფარის პატარა ფანჯარაში იყო შეჭრილი. ნინოს კი მკერდში ჰქონდა მოხვედრილი ასკერის ტყვია, როცა იგი მებრძოლს ჭრილობას უხვევდა. მიტო ჩიკვაიძე, გრიგოლ ცაგურიშვილის შემდეგ, ყველაზე ახლო მეგობარი იყო კორნელისა, ნინო კი — მისი პირველი და დაუვიწყარი სიყვარული.

ვაჟლუკი

ერთბაშად დაბერებულ ესტატეს და ვარდოს ნება მისცეს, რომ ნინო თბილისში მატარებლით წაესვენებინათ, ვანო, კორნელი, კუკური და სხვანი საღამოს მატარებლით მიტო ჩიკვაიძის ცხედარს გაჰყვნენ. მიტო ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს. ვანომ და კორნელიმ მღელვარე სიტყვები წარმოთქვეს, ცრემლი ყელში ებჯინებოდათ. მათმა მგრძნობიარე და გულამაჩუყებელმა სიტყვებმა მშობლები, ნათესავები, მეგობრები და დაკრძალვაზე მოსული უამრავი ხალხიც აატირეს.

მესამე დღეს დაკრძალეს ნინო მაყაშვილი.

იგი საჭორწილო ტანისამოსში, ვარდ-ყვავილებით მორთული იწვა კუბოში, მისი ნატიფი, ლამაზი და მკრთალი სახე ახლა სრულიად მშვიდი და უშფოთველი იყო. გადამწვალდული გაშლილი წარბებიც მშვიდად და უმოძრაოდ ელავა ნინოს ფართო და მარმარ შუბლზე.

კორნელი პროცესიის ბოლოში გულმოკლული მიდიოდა კუკიის სასაფლაოსაკენ.

ზაშინელი დარდი და კაეშანი შემოაწვა კორნელის. იარე გავიდა აპრილი და მაისი, რომ არაფრის ხალისი არა ჰქონდა. განმარტოებით დადიოდა თბილისში. აქ მან შემთხვევით გაიგო, რომ პლატონ მოგველაძე და ვახა მაჭავარიანი ქვი-

თან ჩასულიყვნენ მოსაზღვრე სოფელ საროამდე, იქიდან ნავით ტრაპეზუნდში და მერმე კი გემით სტამბულშიც ამოეყოთ თავი. მათ ადვილად გაცვალეს სამშობლო, რომლის გამო ასე ლამაზად უყვარდა ლაპარაკი პლატონს, სულიერად განადგურებული და გაპარტახებული ემიგრანტის ცხოვრებაზე.

ერთხელ კორნელის რუსთაველის პროსპექტზე ვანო მახათაძე შეხვდა.

— სად დაიკარგე, რომ არა ჩანხარ და არ გვეკარები? რა მოგივიდა? როგორ მიდის შენი „შამქორის“ საქმე? — ჰკითხა ვანომ კორნელის.

— სიმართლე გითხრა, არაფერს არ ვაკეთებ. უსაქმოდ დავეხეტები, — აღიარა კორნელიმ. — ნინოს და მიტოს გარდაცვალების მერმე ჭკუაზე არა ვარ. მუშაობას გულს ვერ ვუდებ.

ვანო კორნელის შეაცქერდა და ჯთხრა:

— უმსხვერპლოდ დიდი საქმე არ გაკეთდება. გლოვით საქმეს ვერ უშველი. დაღუპულთა ყველაზე დიდი დაფასება იქნება ჩვენი შემოქმედებითი შრომა, ახალი ცხოვრების დამკვიდრება. მიტო შენზე ნაკლებ არ მეცოდება. გახსოვდეს: ის არა მარტო მეგობარი იყო ჩემი, არამედ ბრძოლის ამხანაგიც, რამდენი კარგი, შესანიშნავი ადამიანი დაღუპა, მაგრამ ახლა გლოვის დრო არ არის, ნაღველი გადაიყარე, წამო, ჩემთან წავიდეთ!

ვანო მაშინ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას განაგებდა. იგი სასტუმრო „ორიანტში“ ცხოვრობდა. მისი საწერი მაგიდა წიგნებითა და ჟურნალებით იყო სავსე.

ვანომ პირი დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა, სავარძელში ჩაჯდა და თავისი შეკითხვა გაიმეორა:

— ჩითხარი, როგორ მიდის შენი ნაწერლობის საქმე? სად არის შენი „შამქორი?“

— აკი გითხარი, ვეროფეოს კვლ ვაკუთხე, უსაფუძვლო დაკვეხტები-მეთქი, მუშაობისათვის განწყობილება არა მაქვს. ერთ ადგილზე გავიყინე...

— ჩვენს ხანაში ეგ შეუწყნარებელი რამ არის. საჭიროა ცოდნა და წინმსვლელობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ცოტაკეთილი იმდენი რამ, რასაც სხვა ქვეყანა ათ წელს ვერ გააკეთებს. აი, რა მოგვეთხოვება ახლა ჩვენ, — ჭკუას არიგებდა მეგობარს ვანო.

— შენ იცი, როგორი მუშაობა შემიძლია...

— ვიცი, მაგრამ რატომ ამბობ, ერთ ადგილას გავიყინე, თავში არაფერი მომდისო. ჩვენ არა გვაქვს უფლება, ასე ვილაპარაკოთ... მოდი, გაინძერი, საქმეს მოჰკიდე ხელი!.. ამ ზაფხულს სად აპირებ?

— ალბათ, კარისმერეთში წავალ.

— კარგია. ვერსად ისე ვერ დაისვენებს კაცი, როგორც თავის მშობლიურ სოფელში. შავ ფიქრებს თავიდან ამოიღებ, ნერვებს დაიმშვიდებ და იქნებ მუშაობასაც შეუდგე. მე ისევ ის შენი მოთხრობა მაქვს მხედველობაში. დაანთავრე, მინდა ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში დავბეჭდო. გახსოვდეს, არ მიღალატო! როდესაც კარისმერეთიდან დაბრუნდები, ჩვენს ჟურნალში იმუშაებ, რას გწერენ კარისმერეთიდან?

— იწერებიან, რომ ალმასკომის თავმჯდომარედ ჩვენში გალაქტიონ გელაშვილი აირჩიესო.

— სხვა არაფერი გაგიგია?

— სხვა რა?

— ის, რომ ჯალათი და არამზადა დათა ყიფიანი გლეხებმა იმავე მუხაზე დაჰკიდეს, რომელზედაც გოჯასპირი იყო ჩამოხრჩობილი.

— ეს სასტიკი, მაგრამ დამსახურებული სასჯელია, —შენიშნა კორნელიმ.

ვანოსთან შეხვედრამ და საუბარმა ისევ გამოაფხიზლა იგი. კარისმერეთში ჩასვლისთანავე გაიგო, რომ დედას დიდ

არ უგლოვია ადგილ-მამულის ჩაბარებისთმენა. არც ხანი, არც გატეხილი ჯაბი საშუალებას არ აძლევდა მას ისე გაძღოლოდა მეურნეობას, როგორც წინათ: „ჩემთვის ახლა ეს სახლი და დაოჩენილი კარ-მიდამოც დიდია, მალე, ალბათ, სამი ღერი ფიცარი და სამი ადლი მიწა მეყოფა“.

ამ უკანასკნელ ხანს ტერეზა ერთბაშად დაბერდა და მოტყდა. იგი უფრო და უფრო ხშირად უჩიოდა შვილს: რალაც მოურჩენელი სენი მეძგერა და გულ-ღვიძლს მიღრღნისო.

კორნელი ისევ ბეკრს კითხულობდა, წერდა, იონასთან ერთად სოფელში, მეზობელ გლეხებთან დაიარებოდა და ცხოვრებას ეცნობოდა. მან არამცთუ დაამთავრა „შამჭორი“, არამედ საჭირო ჩანიშვნებიც კი გააკეთა ორი ახალი მოთხრობისათვის. მაგრამ გატაცებული მუშაობის დროსაც არ აკიწყდებოდა ავადმყოფი დედა და მჭარედ ფიქრობდა: „რა დაემართა? რაიმე არ მოუვიდესო“ გრძნობდა, რომ მასთან სამუდამოდ განშორების საბედისწერო დღე ახლოვდებოდა.

ელენემ და დათამ თბილისში გაბრუნება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და კარისმერეთში „დაცდა“ არჩიეს.

ქორდანიას მიერ შეპირებული განათლების მინისტრის თანამდებობა დათამ სიხარულით გაცვალა კარისმერეთის სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

მალე კარისმერეთში კორნელის ძმა ევგენიც ჩამოკიდა, რომელიც პარიზში მეცნიერული მიკლინებიდან დაბრუნებულიყო და ახლა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ბინატორის კათედრას ჩასდგომოდა სათავეში. ევგენისთან ერთად ჩამოვიდა მისი მეუღლე — ქალმით დახატული მზეთუნახავი თამარ მაჩაბელი. თამარი მის კათედრაზე ასისტენტად მუშაობდა. მას ჩინებული ხმა ჰქონდა და იგი მუსიკისა და პოეზიის მოყვარულ იონა ჩხეიძეს თავისი სიმღერით ატკბობდა.

გვიანი შემოდგომა დადგა. ერთხელ მოღრუბლულ, სუსხიან დღეს კორნელი სოფლიდან ქუთაისში წავიდა. იგი დი-

ლეჟანსის მგზავრებთან ერთად სიგუნაკას ნაცნობ დუქანთან გაჩერდა. მასთან გამხდარი ვიღაც გლეხი მივიდა, გლეხს გაწუწული ჩაბალახით წაეკრა თავი, შარვალი მუხლამდე დაეკარწახნა და პირთამდე სავსე დიდი ხურჯინი მხარზე გადაეკიდა. კორნელი ტალახში ამოგანგლულ ფეხებზე, ბანჯგვლიან გამხდარ წვივებზე დააცქერდა, მერმე სახეზე შეხედა და უმალვე იცნო ბეგლარ სანიკიძე. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ და კარისმერეთის ამბებზე ჩამოაგდეს საუბარი. კორნელი დაგლახებულ ბეგლარს მისჩერებოდა და მასში მომხდარი დიდი ცვლილება აოცებდა. რა ხანია არ ენახა იგი და ახლა ის დრო მოაგონდა, როცა ბეგლარი მოურავი იყო ოტია მდივნისა, რომელიც თავის მდიდარ ადგილ-მამულს გამოეშვიდობა და ამ ერთი წლის წინათ სიღარიბეში დალია სული.

„რა იცოდა ძლიერი და მდიდარი ბატონის ფრთის ქვეშ გაზრდილმა და ბედნიერმა ბეგლარმა მაშინ, — ფიქრობდა კორნელი, — რომ ბაბოს მეორე და მესამე შვილიც შეეძინებოდა მისგან და, ოტიას გარდაცვალების მერმე ორწყება ოჯახის შენახვა და მასზე ზრუნვა წელში გაწყვეტდა! განა წარმოიდგენდა მაშინ, რა ტანჯვით, გაჭირვებით უნდა ეშოვნა და ეთრია ფუფუნებას შეჩვეული ბაბოსა და მისი შვილებისათვის ქუთაისიდან ზედაზენში ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თეთრი პური, ნამცხვარი, შაქარი.... და ქარსა და ბუქში, წყალდიდობის დროს, უბორნო ყვირილაში დაკარწახებული შესულიყო, რომ შორს არ იყო ის დღე, როცა გლეხები ოტიას მიწებს, კამეჩებს, ხარებს, ცხენებს ჩამოართმევდნენ და მას — ბეგლარს ქუთაისსა და ზედაზენს შორის ქვეითად უნდა ევლო, რომ გატენილი ხურჯინისა და ტომრის ტვირთქვეშ მოხრილს, ბნელი მთის აღმართის აყალო მიწა ეზილა, დაჭიმული ძარღვები კისერზე დაასხდებოდნენ და თვალები აჯამეთის მშიერი მგელივით აღენთებოდნენ?! რა იცოდა მაშინ ბეგლარმა, რომ განებივრებული, მბრძანებელი ბაბო თავის არშიყს არ დაინდობდა, წურბელივით სისხლს გამოსწოვდა და ჯაგლაჯ

და ჯაზრაკა ცხენს დააჭვანებდა! არ ეგონა მაშინ ბეგლარს, რომ ახლოვდებოდა ანგარიშის გასწორების საშინელი ჟამი, როცა ბაბოსთან გატარებული ტკბილი წუთები სასტიკად ჩამწარდებოდა". — ასე ფიქრობდა კორნელი და ბეგლარს ისევ გაცრუებით მიშტერებოდა.

მგზავრები სამიკიტნოდან გამოვიდნენ და მეეტლემაც თავისი ადგილი დაიჭირა კოფოზე. კორნელი ბეგლარს საჩქაროდ დაემშვიდობა და უკვე დაძრული დილიჟანსის კიბეზე შეხტა.

* *

კორნელიმ მოთხრობა „შაშკორი" დაამთავრა და მალე ჟურნალში ლიტერატურული განყოფილების გამგედ დაიწყო მუშაობა.

...1925 წლის ივლისის პირველ რიცხვებში კორნელი და დიონა ჩხეიძე მოსკოვსა და ლენინგრადში გაემგზავრნენ. ისინი დიდხანს და გულდასმით ათვალიერებდნენ ლენინგრადის მუზეუმებს, სურათების გამოფენებს, ხელოვნების მოღვაწეთა საგანძურს — ერმიტაჟს.

პეტერგოფი, კრონშტადტი და სხვა ადგილებიც ინახულეს.

ლენინგრადიდან წამოსვლის წინ ისინი ხრახნილი კიბით ისაკის ტაძრის გუმბათზე ავიდნენ, თვალწინ ქალაქის წარმტაცი პანორამა გადაეშალათ. შორს ჰორიზონტზე ზღვის უბე, ნევის შესართავი ჩანდა. ჩამავალი მზის სხივები ტალღებს ცეცხლს უკიდებდნენ, თითქო ხანძარიაო.

მოსკოვსა და ლენინგრადში მოგზაურობის შთაბეჭდილების ქვეშ კორნელიმ მოთხრობა „ნევა" დაწერა. შთაბეჭდილებათა დიდი მარაგი, რომლითაც იგი საქართველოში დაბრუნდა, მის წინაშე ლიტერატურული მოღვაწეობის ფართო

ასპარეზს შლიდა. მან უკანა რიგში დააყენა ახლა ყველაფერი, რაც მხოლოდ მის პირად ინტერესებს, ფიქრებსა და განცდებს ეხებოდა.

ახალმა ცხოვრებამ, ამბების სწრაფმა დინებამ, ახალმა ადამიანებმა დაჩრდილეს, ჩააქრეს ის მოგონებები და წარსულის ბუნდოვანი იმედებიც.

კორნელის სიჭაბუკე დამთავრდა. ახლა სიმწიფეში შესული კაცის სასურველი ხანა იწყებოდა.

სარჩევი

წიგნი მესამე

ნაწილი პირველი

მკვდრის მზე 5
ვაჟეში 22
გაუგებრობა 53
მუშტაიდი 62
გამოთხოვება 76
ქიმერიონი 82
პოეტები 90
დედის წერილი 110
შეხვედრა 116

ნაწილი მეორე

მთაწმინდაზე 129
არიერგარდული ბრძოლა 151
კონცერტზე 155
საბუთი 168
გარსკვლავები 177
ზღვასთან 185
განშორება 210

ნაწილი მესამე

ნანგრევეც 217
ისევ კარისმერეთში 226
კაკილას ნათლობაზე 244
სურათის გადაღება 263
გულითადი საუბარი 271

ნაწილი მეოთხე

ტყეში 276
ლტოლვილნი 284
ბარათები 291
ბედი მდევარი 300
მოციქული 319
მარტოობა 326
გულახდილი საუბარი 331

წიგნი მეოთხე

ნაწილი პირველი

მზადება 339
დილეტანტში 348
დიდი ამბების წ-ნ 356
ცუდი ამბები 363
დამსახურებული ჯილდო 368
მიწისძვრა 382
მიწისთვეის მკრძე 389

ნაწილი ორი

პროფესორი და პოეტი 397
პირველი ძაისი 410
გჭობა 421
სამხედრო სასწავლებელში 428
მეტეხში 444
ახალი მდგმურები 459

ნაწილი სამი

ავადმყოფობა 460
ამასთუმანი 470
პირისპირ 476
ისევ ამასთუმანში 483
ვერბიცკი 495
ახალი ცხოვრება 503
საუბარი 517
სტუმრად მოსულებთან 522

ნაწილი მეოთხე

აღლუმზე 534
ღამით 550
დასასრულის დასაწყისი 555
ზარბაზნების გრიალი 563
გაჩენა 569
ეკლიანი გზა 583
ბათუმში 588
ეპილოგი 614

რედაქტორი ნუკრი აბესაძე
მხატვრები: დავით დუნდუა, თამაზ შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ეთერ ციხელაშვილი
კორექტორები: ნანა ბაზუაშვილი, ირმა უკლება

გადაეცა წარმოებას 21.03.97. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.05.97. საბეჭდი ქაღალდი 84×108 1/32. გარნიტურა ვენა. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 32,76. საღრ.-საგამომც. თაბახი 29,5. ტირაჟი 7.000. შეკვ. № 127.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.